

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი  
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY  
PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS

---

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილი  
საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის  
მასალების კრებული

ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების  
აქტუალური პრობლემები  
(10-11 ივლისი, 2015)

Proceedings of Materials  
of International Scientific-Practical Conference  
Dedicated to the 110<sup>th</sup> Birth Anniversary of Academician Paata Gugushvili

ACTUAL PROBLEMS OF SUSTAINABLE DEVELOPMENT OF  
NATIONAL ECONOMIES  
(10-11 July, 2015)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE  
OF ECONOMICS OF IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

თბილისი Tbilisi

2015

UDC (უპკ) 338(47+57)33(479.22)(063)

პ – 645

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტში 2015 წელს გამართულ საეთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების მასალები

**Materials of reports made at the international scientific-practical conference held at Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University in 2015**

*სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია:* რ. აბესაძე (მთავარი რედაქტორი), ნ. არევაძე, თ. არნანია-კეპულაძე, ნ. ბიბილაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), შ. გოგიაშვილი, ლ. დათუნაშვილი, გ. ერქომაიშვილი, ე. კაკულია, მ. კვარაცხელია, ალ. კურატაშვილი, თ. ლაზარაშვილი, ი. ნათელაური, ს. პავლიაშვილი, ვლ. პაპავა, ს. პარტიცკი, ა. სილაგაძე, დ. სოროკინი, ქ. ქველაძე, ნ. ხადური, მ. ხუსკივაძე, ლ. ჩიქავა, თ. ჩხეიძე

*Scientific-editorial Board:* R. Abesadze (Editor-in-Chief), N. Arevadze, T. Arnania-Kepuladze, N. Bibilashvili (Executive Secretary), L. Chikava, T. Chkheidze, L. Datunashvili, G. Erko-maishvili, Sh. Gogiashvili, E. Kakulia, K. Kveladze, N. Khaduri, M. Khuskivadze, Al. Kura-tashvili, M. Kvaratskhelia, T. Lazarashvili, I. Natelauri, V. Papava, S. Partycki, S. Pavliash-vili, A. Silagadze, D. Sorokin

რეცენზენტები: ემდ ვ. ბურდული  
ემდ გ. ბერულავა

**Reviewers: Doctor of Economic Sciences V. Burduli  
Doctor of Economic Sciences G. Berulava**

კონფერენციის საორგანიზაციო ჯგუფი:

თ. გოგოხია (ხელმძღვანელი), ნ. კედია, ე. ჯაბანაშვილი, მ. ბაღათურია

**Organizing Group of the Conference:**

T. Gogokhia (Head), N. Kedia, E. Jabanashvili, M. Bagaturia

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პაატა გუგუშვილის ეკონომიკის სახელობის ინსტიტუტი, 2015

© IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY  
PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS, 2015

ISBN 978-9941-13-435-7

მდგრადი განვითარების ეკონომიკური ასპექტები

ხშირად მდგრადი განვითარების არსი დაიყვანება მხოლოდ მის ეკოლოგიურ მდგენელად, რომ ახლანდელმა თაობამ საფრთხე არ უნდა შეუქმნას მომავალ თაობას, რომ ახლანდელი თაობის მოთხოვნათა მაქსიმალურად დაკმაყოფილების პირობებში უნდა განხორციელდეს საზოგადოებასა და ბუნებას შორის ნივთიერებათა და ენერჯის რაციონალური გაცვლა, რომ ეკონომიკის განვითარება დაემყაროს ბუნების თვითაღდგენისა და აღწარმოების მკაცრ კანონზომიერებებს, რომ უნდა მოხდეს საზოგადოებისა და ბუნების განვითარების კოეფიციენტი, რომლის დროსაც ხდება ჩვენი პლანეტის ბიოსფეროს გადასვლა ახალ თვისებრიობაში – ნეოსფეროში. მოაზროვნე გარსში, სადაც ადამიანები ამცირებენ ბიოსფეროსადმი არა მხოლოდ მის, არამედ ბუნების დამანგრეველი ძალების მიერ მიყენებულ უარყოფითი ზემოქმედების შედეგებს!

რასაკვირველია, მდგრადი განვითარების ძირითადი მიზანი სწორედ ზემოთ თქმულში მდგომარეობს, მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად საზოგადოებამ უნდა გადაჭრას არაერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა. ეს ამოცანები არის როგორც ეკონომიკური, ისე არაეკონომიკური ხასიათის, თუმცა, დღევანდელი ეკონომიკა ისე პირდაპირ და სწრაფად რეაგირებს არაეკონომიკური ხასიათის ფაქტორებზე, რომ მათი უგულებელყოფა შეუძლებელია. ეკონომიკური ხასიათის ამოცანებიდან შეიძლება დავასახელოთ:

**ეკონომიკური ზრდის ტემპების შესაბამისობა მდგრადი განვითარების მოთხოვნებთან.** ეკონომიკური ზრდის გამოდევნებამ შესაძლებელია აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენოს საზოგადოებას. ამიტომ, აუცილებელია მოხდეს შეფასება, თუ რა დაჯდა იგი, რა რაოდენობის არააღდგენადი ან აღდგენადი რესურსები დაიხარჯა, რა ზარალი მიადგა ამის გამო გარემოს და შემდეგ მთელ საზოგადოებას.

რაც შეეხება ეკონომიკურ განვითარებას (ეკონომიკის თვისებრივ სრულყოფას), ის არავითარ წინააღმდეგობაში არ არის მდგრად განვითარებასთან, პირიქით, სწორედ ეკონომიკური განვითარების შედეგად არის შესაძლებელი მდგრადი განვითარების მიღწევა. მდგრადი განვითარება გულისხმობს არა ეკონომიკური განვითარების, არამედ ეკონომიკის რაოდენობრივი ზრდის შეზღუდვას. ამ შეზღუდვის კომპენსირება ხდება სწორედ ეკონომიკური განვითარების ხარჯზე, საზოგადოების კომფორტის ზრდის შედეგად. მაშასადამე მდგრადი განვითარება მოითხოვს ეკონომიკური ზრდის თანდათან შეწყვეტას, მაგრამ არა საზოგადოების სულ უფრო მზარდი დაკმაყოფილების შემცირების, არამედ თვისებრივ მანქნებელთა სრულყოფის საფუძველზე, რაც ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლებას განაპირობებს. საბოლოოდ, ეკონომიკური ზრდა შესაძლებელია ჩაანაცვლოს ტერმინმა – „ადამიანთა კეთილდღეობის ზრდა“, რომლის გაზომვის მანქნებლები ძირითადად იქნება თვისებრივი ცვლილების გამომსახველი მანქნებლები. ასეთ პირობებში ადგილი აქვს „ეკონომიკურ კლებას“, ანუ ეკონომიკური ზრდის ტემპების შენეებისაკენ მიმართულ პროცესს, რომელიც კომპენსირდება ინოვაციების შედეგად ნაკლებად რესურსტეკადი და კომფორტული პროდუქციის შექმნით. ეკონომიკურ კლებას საერთოდ ადგილი აქვს ეკონომიკური განვითარების პირობებში<sup>1</sup>, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური კლება მდგრადი განვითარების აუცილებელი მოთხოვნაცაა, ვინაიდან იგი ამცირებს ბუნებისადმი ადამიანის ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიყენებულ მავნე ზემოქმედებას.

ეკოლოგიური ფაქტორი ეკონომიკური ზრდის ტემპებზე შესაძლებელია მოქმედებდეს როგორც შენეების, ისე დაჩქარების მიმართულებით. შენელების მიმართულებით იმიტომ, რომ იწვევს დამატებით დანახარჯებს ფირმების მხრიდან, რაც ამცირებს მათ რენტაბელობასა და, შესაბამისად, ერთობლივი მიწოდების სიდიდეს. დაჩქარების მიმართულებით კი იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, ეკოლოგიურ პროდუქტებზე სულ უფრო და უფრო იზრდება მოთხოვნა და, მეორეც, ბუნებისდაცვითი მოთხოვნების განხორციელების პროცესში წარმოიშობა და ყალიბდება შესაბამისი დარგები, რაც, რასაკვირველია, ასევე ეკონომიკური ზრდის ტემპებს აჩქარებს. მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, მისი მოქმედება ეკონომიკური ზრდის ტემპების შენეებისკენაა მიმართული. მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებასა და ეკონომიკური ზრდის ტემპების შესაბამისობას ბუნების კვლავწარმოების შესაძლებლობებთან კი უზრუნველყოფს ეკონომიკური განვითარება, ანუ ეკონომიკის თვისებრივი სრულყოფა.

აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის რიცხოვნობასა და მისგან გამოწვეული წარმოების მოცულობის ზრდასთან შედარებით გარემოზე უფრო დიდ ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს ახალი ტექნოლოგიების ათვისება. მათი გამოყენების შედეგად მიიღება ბუნებაში არარსებული ნივთიერებები და მათი დაგროვება მავნე გავლენას ახდენს როგორც ლითონ-, ისე პიდრო- და ატმოსფეროზე, ისინი არღვევენ დეადამიწის ოზონურ შრეს და ა.შ.

ეკოლოგიური ფაქტორი ასევე იწვევს ცვლილებებს რესურსების გადანაწილებასა და სიმძლავრეთა განლაგებაში, ეკონომიკის სტრუქტურაში, ფიზიკურ და ადამიანისეულ კაპიტალში, პროდუქციის ხარისხში და ა.შ.

**სოციალური მდგრადობა.** სოციალური ფაქტორებიდან, უპირველეს ყოვლისა, სიღარიბე უმუშევრობა და კორუფციაა მდგრადი განვითარების ხელის შემშლელი ძლიერი ფაქტორი.

თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი კრიტერიუმი ხდება სიღარიბე. თუ განვითარების ნაყოფით ვერ სარგებლობს მოსახლეობის ღარიბი ფენები, თუ განსხვავება (ანუ უთანაბრობა) მდიდარ და ღარიბ ნაწილს შორის იზრდება, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკურ განვითარებას

<sup>1</sup> რ. აბესაძე, მდგრადი ეკონომიკური განვითარება – XXI საუკუნის გლობალური გამოწვევა. „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული“, ტ. I, თბ., „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა“, 2008.

<sup>2</sup> რ. აბესაძე, ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი. თბილისი, “თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”, 2014.

ადგილი არა აქვს, მიუხედავად იმისა, რომ პროგრესული ცვლილებები ეკონომიკური სისტემის ელემენტებში შეიძლება ხორციელდებოდეს.

მაშასადამე, წარმოებული სიმდიდრის განაწილების პრობლემა ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმად უნდა განვიხილოთ.

სიღარიბე აუარესებს ადამიანისეულ კაპიტალს და ადამიანისეული კაპიტალის გაუარესება კი აძლიერებს სიღარიბეს. სიღარიბე, უპირველეს ყოვლისა, მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, აუარესებს რამის ფიზიკურ და სულიერ მდგომარეობას. არასრულყოფილი კვება, ცუდი სანიტარული პირობები, ჯანდაცვის სფეროს, წყლის მომარაგების სისტემებისა და გზების განუვითარებლობა, განათლებისა და კულტურის დაბალი დონე, ქანცგამომცლელი შრომა, განუწყვეტელი დარდი თანდათან ცვეთს ადამიანს როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად, რაც კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაში აგდებს მას.

უმუშევრობა დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება შემდეგში: უმუშევრობა (განსაკუთრებით ხანგრძლივადიანი) ამცირებს საზოგადოების ადამიანისეული კაპიტალის სიდიდეს, ვინაიდან უმუშევარი ადამიანის კვალიფიკაციის დონე, ფიზიკური და გონებრივი უნარი თანდათან ქვეითდება; უმუშევრობის დროს, ადგილი აქვს რა გამოუმუშავებელი პროდუქციის დანაკარგებს, მცირდება დანაზოგების მოცულობა, რაც ამცირებს ინვესტიციებს, მათ შორის, ინვესტიციებს ინოვაციებზე. ასევე მცირდება სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსება როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო სექტორის მხრიდან, რაც მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს ეკონომიკური განვითარების პროცესებზე არა მხოლოდ მოკლევადიან, არამედ გრძელვადიან პერიოდშიც; უმუშევრობა, აძლიერებს რა შემოსავლების უთანაბრობასა და სოციალურ დაძაბულობას, გარდა რესურსების გამოუყენებლობით გამოწვეული დანაკარგებისა, იწვევს დამატებით დანაკარგებს (ინვესტიციების შემცირებას), რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკური, ფსიქოლოგიური და კრიმინოლოგიური დაძაბულობის ზრდასთან.

კორუფცია დაკავშირებულია მრავალ ნეგატიურ მოვლენასთან. ისეთთან, როგორცაა: ეკონომიკური რესურსების არაეფექტიანი გამოყენება; კორუფციული ნაკადების უარყოფითი გავლენა ეკონომიკაზე; შემოსავლების დანაკარგები ბიუჯეტში; სახელმწიფო აპარატის ეფექტიანობის დაქვეითება; მეწარმეთა განადგურება; ეკონომიკური ზრდის შეფერხება ინვესტიციების შეკვეცის გამო; ეკონომიკური განვითარების შეფერხება ინოვაციების შემცირების გამო; უცხოური დახმარებების არარაციონალური ათვისება; ინდივიდთა უნარის არამიზნობრივი გამოყენება; სოციალური უთანასწორობის ზრდა; კულტურული და ინტელექტუალური დაქვეითება; ხელისუფლების ავტორიტეტის დაკარგვა; საერთაშორისო ურთიერთობების დამახინჯება და სხვ.

კორუფციული მიმართულების დროს სახელმწიფო რესურსები მიედინება არა ქვეყნის ეკონომიკის მოთხოვნილებების შესაბამისად, არამედ იქ, სადაც უფრო მოსახერხებელია მისი მოპარვა.

**ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება.** ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების პრობლემა დგას იმის გამო, რომ აუცილებელია არაგანახლებადი რესურსების რაც შეიძლება დიდხანს შენარჩუნება, სანამ მოხდება მათი ალტერნატიული რესურსებით ჩანაცვლება და არ დაირღვეს განახლებადი რესურსების კვლავწარმოების პირობები. ამავე დროს, უნდა მოხდეს განახლებადი რესურსების რაც შეიძლება მაქსიმალური გამოყენება.

**გარემოს დაცვა.** გარემოსდაცვითი პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს როგორც ეკონომიკის განვითარების დონეს, ასევე სოციალურ მოთხოვნებს. არ უნდა დააწვეს ეკონომიკას დიდ ტვირთად და, ამასთან, არ უნდა გამოიწვიოს სოციალური მდგომარეობის გაუარესება.

**გარემოსდაცვითი განათლების გაძლიერება.** დღეისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება გარემოსდაცვითი განათლების პრობლემას, ანუ, თუ რამდენად შეესაბამება განათლების სისტემა გარემოსდაცვითი მოთხოვნების გადაჭრას. პირველად ამის შესახებ აღინიშნა ბელგრადის 1975 წლის ქარტიაში, ხოლო შემდეგ 1977 წელს გარემოსდაცვითი განათლების შესახებ თბილისში გამართულ სამთავრობო-შორისო კონფერენციაზე, რომელზედაც მიღებულ იქნა თბილისის დეკლარაცია. ნათლად განისაზღვრა გარემოსდაცვითი განათლება, როგორც „სწავლის პროცესი, რომელიც მიმართულია როგორც გარემოსა და მასთან დაკავშირებული გამოწვევების შესახებ ცოდნისა და საზოგადოებრივი ცნობიერების დონის ამაღლებისკენ, ასევე ამ გამოწვევების გადასაჭრელად აუცილებელი უნარებისა და ექსპერტული ცოდნის განვითარებისკენ და ხელს უწყობს სათანადო დამოკიდებულებების, მოტივაციის ჩამოყალიბებას, რომელიც საჭიროა ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად და პასუხისმგებლობით და გონივრულად მოქმედებისთვის“<sup>3</sup>.

საქართველოში გარკვეული ნაბიჯები იდგმება მდგრადი განვითარების მიმართულებით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მრავალი ნაკლოვანება არსებობს:

**ადამიანთა ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიმართულებით.** ამისათვის აუცილებელია სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფა და ქიმიკატების უსაფრთხო გამოყენება. ამ მხრივ გავლენას ახდენს: თამბაქოს ზემოქმედება ე.წ. „პასიურ მწველებზე“, განსაკუთრებით ბავშვებზე; ავტომობილების გამონაბოლქვის მავნე ზემოქმედება ქალაქების მცხოვრებლებზე და საბანაო-სარეკრეაციო წყლების არასაკმარისი სანიტარულ-ჰიგიენური დაცულობა. ყველა ამ მიმართულებით დიდი ნაკლოვანებებია, განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა მოსახლეობის ქიმიკატებისაგან დაცულობის მიმართულებით. საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების მოგროვებისა და გაწმენდის ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად, ავტომობილების გამონაბოლქვის შემცირების ან თამბაქოს ბოლისგან ბავშვებისა და სხვა პასიური მწველების დასაცავად არაფერი კეთდება. შიდა ბაზარზე გასაყიდი სურსათის მიკვლევადობისადმი დამოკიდებულება ზერელე და ზედაპირულია, ის, თუ რა საშიში ქიმიკატები ცირკულირებს ქვეყანაში, როგორ გამოიყენება ისინი და როგორ უნდა იყოს უზრუნველყოფილი ადამიანთა უსაფრთხოება მათი გამოყენებისას – არც ერთი საჯარო ორგანოსთვის ცნობილი არ არის. მო-

<sup>3</sup> გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისათვის  
[http://moe.gov.ge/files/Saministros%20Prioritetebi/Education\\_GE\\_A5\\_PRINT.pdf](http://moe.gov.ge/files/Saministros%20Prioritetebi/Education_GE_A5_PRINT.pdf)

სახელების დაცვლობა ქიმიკატების მხრივ საქართველოში ნულოვან დონეზე<sup>4</sup>.

**წყლის რესურსების დაცვის მიმართულებით.** საქართველო წყლის რესურსებით მდიდარია, მის ტერიტორიაზე არსებობს 26060 მდინარე და 860-მდე ტბა, რომელთა უმეტესობა ძალიან პატარაა. წყლის რესურსების ძირითადი ნაწილი ქვეყნის დასავლეთშია. დიდი ფართობი უჭირავთ ჭაობებს (225 ათასი ჰა) კოლხეთის დაბლობზე, ქვეყნის ტერიტორიაზე არის 43 წყალსაცავი, რომლებიც, გარდა ჰიდროელექტროსადგურებისა, ემსახურება ირიგაციულ სისტემებს ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში აქ არსებული მშრალი ჰავის გამო. ქვეყნის მტკნარი მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი მარაგი დაახლოებით 18000 მლნ მ<sup>3</sup>-ს შეადგენს. საერთო საპროგნოზო-საექსპლუატაციო მარაგები დაახლოებით 10600 მლნ მ<sup>3</sup>-ია, რაც გაცილებით მეტია, ვიდრე მათზე მოთხოვნის რაოდენობა შორეულ პერსპექტივაში.

საქართველოს მდინარეები ძირითადად დაბინძურებულია აზოტის ნაერთებით, ზოგიერთ შემთხვევაში მძიმე ლითონებით (მდინარე მაშავერა, ბოლნისის რაიონი; მდინარე ყვირილა ჭიათურა-ხესტაფონის მონაკვეთზე), ხოლო შავი ზღვის აჭარის რეგიონის მდინარეები – ნავთობპროდუქტებით. ზედაპირული წყლების ძირითადი დამაბინძურებელი არის კომუნალური სექტორი (ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების კანალიზაციის ჩამდინარე წყლები). დღევანდელი მდგომარეობით წყლის გამწმენდ არც ერთ ნაგებობას არ შეუძლია უზრუნველყოს ჩამდინარე წყლების გაწმენდა საპროექტო ხარისხის შესაბამისად. წყლის ბიოლოგიური გაწმენდა არ ხდება არც ერთ ქალაქში. პირველადი მექანიკური გაწმენდა ხორციელდება მხოლოდ ქ. თბილის-რუსთავის რეგიონულ გამწმენდ ნაგებობაზე. შედეგად, ზედაპირული წყლის ობიექტებში აღინიშნება მნიშვნელოვანი დაბინძურება<sup>5</sup>.

**ატმოსფეროს დაცვის მიმართულებით.** საქართველოში ატმოსფერული ჰაერი ავტოტრანსპორტიდან, ენერგეტიკული სექტორიდან, სოფლის მეურნეობის დარგებიდან და სამრეწველო ობიექტებიდან წარმოებული ატმოსფერული გაფრქვევებით ბინძურდება. მათგან ურბანიზებული გარემოს ძირითადი დამაბინძურებელია ავტოტრანსპორტი და ენერგოსექტორი. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში იზრდება ავტოტრანსპორტის და ენერგოსექტორის მიერ მოხმარებული საწვავის რაოდენობები და შესაბამისად იზრდება ამ სექტორებიდან მავნე ნივთიერებათა ატმოსფეროში გაფრქვევები. ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის საერთო გაფრქვევებში პირველ ადგილზეა ნახშირჟანგი. შემდეგ ნახშირწყალბადები, მეთანი, მყარი ნაწილაკები (არაორგანული მტვერი), აზოტის ოქსიდები და ამიაკი<sup>6</sup>.

**ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მიმართულებით.** ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველოს ბიომრავალფეროვნება მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც უკავშირდება ისეთ ანთროპოგენურ და ბუნებრივ ფაქტორებს, როგორცაა ჰაბიტატების კარგვა, ფრაგმენტაცია და დეგრადირება, უკანონო ნადირობა და თევზჭერა, უცხო სახეობების ინტროდუქცია, ბიოლოგიური რესურსების არამდგრადი გამოყენება და სხვ. არც ერთ დაცულ ტერიტორიაზე არ არის შესწავლილი ბიომრავალფეროვნების მდგომარეობა და, შესაბამისად, არ არსებობს ბიომრავალფეროვნების დაცვა-აღდგენის ან შენარჩუნების გეგმები. ფაქტობრივად, დაცული ტერიტორიები არა ბიომრავალფეროვნების დაცვისთვის, არამედ ტურიზმის განვითარების რესურსად გამოიყენება.

**ნიადაგის დაცვის მიმართულებით.** ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია საქართველოსთვის. ეს არის სახელმწიფოებრივი პრობლემა, რადგან საქართველოში, სადაც ნიადაგის დაბინძურების, ეროზიული პროცესების, ნიადაგის მეორადი დაჭაობებისა და დამლაშების, სასარგებლო წიაღისეულის და საშენი მასალების ღია წესით მოპოვების, ადამიანის არასწორი სამეურნეო მოქმედების შედეგად დიდი ნიადაგის დანაკარგები.

**ტყის დაცვის მიმართულებით.** საქართველოში უკვე 20 წელია მიმდინარეობს უკანონო და უკონტროლო ხე-ტყის მოპოვება, რის შედეგადაც ტყეების დიდი ნაწილი განანაგდა, ხოლო დანაკარგების ზუსტი აღრიცხვა-შეფასება დღემდე არ მომხდარა<sup>7</sup>.

**აღდგენადი და არატრადიციული ენერგორესურსების ათვისების მიმართულებით.** აღნიშნული რესურსებიდან საქართველო მდიდარია: ჰიდროენერგორესურსებით, მზის, ქარისა და თერმული წყლების რესურსებით, მაგრამ ყველა ეს რესურსი დღეისათვის მცირედითაა ათვისებული.

მდგრადი განვითარების მისაღწევად ქვეყანაში უნდა არსებობდეს მდგრადი განვითარების მაკროეკონომიკური მექანიზმი.

მდგრადი განვითარების მაკროეკონომიკური მექანიზმის არსი გამოიხატება იმაში, რომ სახელმწიფომ საბაზრო პრინციპებზე დაყრდნობით, ხელი უნდა შეუწყოს მდგრადი განვითარების ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებას ეკონომიკური განვითარების მეშვეობით, რისი არსიც მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო რეგულირების ძირითადი აქცენტი გადატანილია ეკონომიკის თვისებრივ სრულყოფაზე. მდგრადი განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების მთავარი მიზანი არის არა მხოლოდ ის, რომ ხელი შეუწყოს საბაზრო ძალების მოქმედებას და დავაჩქაროთ ეკონომიკური განვითარების პროცესი, არამედ იმაშიც, რომ თავიდან ავიცილოთ ეკონომიკური საქმიანობისაგან ბუნებისადმი (და, რასაკვირველია, აქედან გამომდინარე, თვით ადამიანთა საზოგადოებისადმი) მიყენებული ნეგატიური შედეგები.

მდგრადი განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმის სტრუქტურა და შინაარსი დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზე, არსებულ ეკონომიკურ მოდელზე, ქვეყნის ეკონომიკურ სტრატეგიასა და ტაქტიკაზე.

<sup>4</sup> თოდუა ლ., მურდულია შ. მდგრადი განვითარება და საქართველოს რეფორმები. [http://weg.ge/wp-content/uploads/2012/11/lia\\_shota\\_geo.pdf](http://weg.ge/wp-content/uploads/2012/11/lia_shota_geo.pdf)

<sup>5</sup> ფაქტობრივი მონაცემები აქ და სადაც მითითება არ იქნება, აღებულია საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს მალაბიდან [http://moe.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=1](http://moe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1)

<sup>6</sup> [http://moe.gov.ge/index.php?sec\\_id=50&lang\\_id=GEO](http://moe.gov.ge/index.php?sec_id=50&lang_id=GEO)

<sup>7</sup> თოდუა ლ., მურდულია შ. მდგრადი განვითარება და საქართველოს რეფორმები [http://weg.ge/wp-content/uploads/2012/11/lia\\_shota\\_geo.pdf](http://weg.ge/wp-content/uploads/2012/11/lia_shota_geo.pdf)

**ECONOMIC ASPECTS OF SUSTAINABLE DEVELOPMENT**  
**Annotation**

The article explains the essence of development in economic aspect. Are discussed such requirements of development as follows: the correlation of economic growth rates with the requirements of development; the improvement of social sustainability; the decrease of poverty; unemployment and corruption; the rational use of natural resources; the protection of environment; the deepening of environmental knowledge etc. The article elucidates the current shortages of sustainable development sphere in Georgia in the direction of human health care, water resources protection, forest, atmosphere and soil protection, biodiversity maintenance of renewable and nontraditional energoresources.

*ნანული არევაძე*

**შავი და შერადი მეტალურგიის მრეწველობის  
ბანკოთმშენებლის ზოგიერთი ასპექტი საქართველოში**

კრიზისამდელ პერიოდში (1990) შავი მეტალურგია საქართველოს მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ხვედრითი წილით იყო წარმოდგენილი. 1990 წელს მასზე მოდიოდა მთლიანად საქართველოს მრეწველობაში წარმოებული პროდუქციის 3,7%, მომუშავეთა რიცხოვნობის 4,5%, ანუ იქ დასაქმებული იყო 21 ათასი კაცი და დარგში ფუნქციონირებდა რვა საწარმო, რომელთა შორის ყველაზე მსხვილი რუსთავის მეტალურგიული ქარხანა იყო, არა მხოლოდ დარგში, არამედ მთელ მრეწველობაშიც.

შავი მეტალურგიის განვითარების ისტორია საქართველოში, როგორც ცნობილია, ბევრად ადრე დაიწყო, რამდენადაც რკინის კუსტარული წარმოება (რომელიც უმთავრესია მეტალურგიაში) ქვეყანაში უხსოვარი დროიდან არსებობდა, უშუალოდ თუჯის გამოდნობის ისტორია კი 1862 წლის ბოლოდან იწყება ფოლადურის (ჩათახის) მეტალურგიულ ქარხანაში<sup>8</sup>.

ფოლადურის (ჩათახის) რკინის მადნის საბადოთი სპეციალისტთა დაინტერესება XIX ს. 40-იანი წლებიდან იწყება, თუმცა, განსაკუთრებული ყურადღება მასზე 60-იან წლებში გამახვილდა, როცა გადაწყდა საკითხი ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობის დაწყების თაობაზე. მშენებლობისათვის საჭირო დიდი რაოდენობის შავი ლითონების წარმოებისათვის კი აუცილებელი გახდა მისი ადგილზე წარმოების ორგანიზება. ქარხანა 1862 წელს აშენდა, უცხოელი ე. ლიბის პროექტის მიხედვით. მისი ფუნქციონირება დაახლოებით 13 წელს გრძელდებოდა, რომლის განმავლობაში მან 5 728 ტონა რკინის მადანი გადაამუშავა და გამოუშვა 3 452 ტ თუჯი და მისი ნაკეთობები და 390 ტ რკინა. 1875 წელს ქარხანა დაიხურა, რამდენადაც არც ქარხნის მშენებლებს და არც მის შემდგომ მემარტონებს არ გააჩნდათ საკმარისი ფინანსური რესურსები, ვერ უწევდნენ სათანადო ხელმძღვანელობას ვერც ქარხნის მშენებლობას, ვერც მის ექსპლუატაციას. რკინის წარმოების ტექნოლოგიური სქემა მოქმედებული იყო, წარმოების მასშტაბი მცირე, საწვავი – ხის ნახშირი – ძალიან ძვირი. ყველაფერმა ამან წარმოებული პროდუქციის სიძვირე, დაბალი კონკურენტუნარიანობა და ქარხნის შემდგომი ექსპლუატაციის მიზანშეუწონლობა განაპირობა. შემდგომ იყო მისი ადგენის არაერთი უშედეგო ცდა. ქარხნის ადგენა მხოლოდ 1923 წელს გახდა შესაძლებელი. იმავე წლის მაისში საწარმომ პირველი ქართული ფოლადი გამოუშვა, მაგრამ, განვითარების უპერსპექტივობისა და რკინის მადნის ბაზის შეზღუდულობის გამო, 1926 წ. კვლავ განხორციელდა მისი კონსერვაცია<sup>9</sup>.

მეორე მსოფლიო ომამდე საქართველოშიც და ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებშიც საჭირო შავი ლითონი ტერიტორიულად შორი რესპუბლიკებიდან შემოჰქონდათ. ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკის განვითარებასთან ერთად კი სულ უფრო იზრდებოდა შავ ლითონებზე მოთხოვნა. ხელისუფლება ცდას არაკლებდა რეგიონისათვის საკუთარი მეტალურგიული ბაზის შექმნის პრობლემის გადაწყვეტას, რამდენადაც საჭირო ნედლეულისა და სათბობის ბაზა ყველასათვის გარკვეული იყო – დაშქესანის (აზერბაიჯანი) რკინის მადანი და ტყვარჩელისა და ტყიბულის ქვანახშირი. დაუზუსტებელი მხოლოდ ქარხნის ადგილმდებარეობის საკითხი იყო. თავდაპირველად განიხილებოდა ქალაქ განჯაში (აზერბაიჯანი) ქარხნის მშენებლობა, თუმცა შემდგომ, 1940 წლის სექტემბერში, სსრკ მაშინდელმა მთავრობამ მიიღო დადგენილება ქარხნის მშენებლობის შესახებ თბილისიდან 8 კილომეტრის დაშორებით, რკინიგზის სადგურ ველის მიდამოებში. 1941 წლის დასაწყისში შეიქმნა სამშენებლო მოედანი და დაიწყო გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები. ამავე დროს იქმნებოდა საბინაო ფონდი და მომავალი მშენებლობისათვის აუცილებელი დამხმარე საწარმოები. დიდი სამამულო ომის დაწყებამ სამუშაოები შეაჩერა, ხოლო აშენებული საბინაო ფონდი და სამშენებლო მოედნის დიდი ნაწილი თავდაცვის უწყებას გადაეცა.

1944 წელს საბჭოთა არმიის წინსვლისა და ზურგში დარჩენილთა თავდადებული შრომის შედეგად, შესაძლებელი გახდა სამოქალაქო მშენებლობისათვის სახსრების მოძიება. ერთ-ერთ პირველ ასეთ ობიექტად ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის განახლება იქცა, მაგრამ არა ძველ ადგილზე, არამედ რუსთავში დიდ და სწორ მინდორზე, რომლის ვრცელი ტერიტორია ფართო შესაძლებლობას, იძლეოდა როგორც ქარხნის, ისე მომავალი ქალაქისა და სამრეწველო საწარმოების მშენებლობისთვის<sup>10</sup>. რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ პირველი სხმული 1950 წლის 27 აპრილს გამოუშვა.

ქარხნის აშენებამ საქართველოს ინდუსტრიული განვითარება ახალ საფეხურზე აიყვანა და ყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში რუსეთის, უკრაინის და ყაზახეთის შემდეგ აქცია მეოთხე ქვეყნად, რო-

<sup>8</sup> ა. კოჭლავაშვილი, საქართველოს სამთამადნო მეტალურგიული მრეწველობის განვითარება XIX საუკუნეში, თბ., 1962, გვ. 44.

<sup>9</sup> საბჭოთა საქართველოს ეკონომიკა, მიღწევები, პრობლემები, პერსპექტივები, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1975, გვ. 207.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 210-211.

მელიც აღნობდა თუჯს და აწარმოებდა 100-ზე მეტი დასახელების მეტალურგიულ პროდუქციას – ფოლადს, ფურცლოვან ფოლადს, ნაგლინს და ა.შ. ამასთან, ქარხანა ძირითადად ნავთობის მიღების წარმოებაზე იყო სპეციალიზებული. წარმოებული ნაგლინის ორი მესამედი ამიერკავკასიაში მოიხმარებოდა, დანარჩენი არა მარტო საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, არამედ საზღვარგარეთის 25 ქვეყანაში იგზავნებოდა და უკვე 1980 წლისათვის ქარხანა წელიწადში 562,1 მლნ მანეთის პროდუქციას აწარმოებდა. მიღწეულის მიუხედავად, ჯერ კიდევ 60-იანი წლების ბოლოს ჩამოყალიბდა შეხედულება ქარხნის რეკონსტრუქცია-გაფართოების თაობაზე და მომზადდა შესაბამისი დოკუმენტაცია. 1967 წელს უკრაინის მეტალურგიული ქარხნების სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტმა („უკრაინპრომეზმა“) დაასრულა დოკუმენტაციის შედგენა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის გაფართოებისა და რეკონსტრუქციის საპროექტო გაანგარიშებების თაობაზე, რომლის პირველი ვარიანტის მიხედვით, 1968 წლის დონესთან შედარებით უნდა გაზრდილიყო თუჯის გამოდნობა – 2,4-ჯერზე მეტად, ფოლადისა და ნაგლინის წარმოება – 2,2-ჯერ, ფოლადის მიღებისა ორჯერ და ა.შ. პროექტით გათვალისწინებული იყო წარმოების ფართო მექანიზაცია და ავტომატიზაცია, საბრძმედ და მარტენის პროცესების ინტენსიფიკაცია და სხვა. სსრკ მეტალურგიის სამინისტროში განხილვის დროს მასში სხვადასხვა ცვლილება შევიდა, რომელმაც წარმოების ზრდის მაჩვენებლები, განსაკუთრებით ფოლადისა და ნაგლინის მიხედვით, რამდენადმე შეამცირა. თუმცა, მისი განხორციელების შემთხვევაში, ეს იქნებოდა წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი, რომელიც, ქარხნის საქონლური პროდუქციის ორჯერ გადიდებასთან ერთად, ძირეულად გააუმჯობესებდა მისი მუშაობის ხარისხობრივ მაჩვენებლებს. სამწუხაროდ, გეგმა ქაღალდზე დარჩა. 1970 წ. 10 მარტს სსრკ მეტალურგიის სამინისტრომ ახლად დაამტკიცა ქართველი სპეციალისტების მიერ შედგენილი „რუსთავის მეტალურგიული ქარხნის რეკონსტრუქციისა და განვითარების პირველი რიგის საპროექტო მოცემულობა“, რომელშიც შემდგომ მორიგი ცვლილებები იქნა შეტანილი დაგეგმილი ზრდის შემცირების მიმართულებით. ამასთან, გამოვლინდა ზოგიერთი პრობლემაც, მაგალითად, ვერ ჩამოყალიბდა ერთიანი შეხედულება ფოლადის მიღების ტრადიციული ტექნოლოგიის შენარჩუნებასთან დაკავშირებით, გამოითქვა აზრი უკოქსო მეტალურგიის განვითარების მიმართულებით, რომელიც ემყარებოდა მეტალურგიული ციკლიდან საბრძმედ პროცესის გამორიცხვას<sup>11</sup>. ვერც აღნიშნული პროექტი განხორციელდა. ამის მიუხედავად, 1975-1980 წლებში, საქართველო წელიწადში საშუალოდ 800 ათას ტ თუჯს, 1,5 მლნ ტ ფოლადს, 500 ათას ტ ფოლადის მიღებს აწარმოებდა<sup>12</sup>.

1980 წლიდან ქარხანაში წარმოების ზრდა რამდენადმე შეფერხდა, 1990 წლიდან კი მკვეთრად დაეცა. ამჟამად რუსთავში ადრინდელი ქარხნის ბაზაზე ორი მეტალურგიული ქარხანა ფუნქციონირებს, რომელთაგან პირველმა შეინარჩუნა ძველი სახელწოდება და დაკავებულია მხოლოდ მიღების წარმოებით. მეორის სახელწოდებაა „ქართული ფოლადი“ და აწარმოებს მხოლოდ სამშენებლო არმატურას. ქუთაისშიც ფუნქციონირებს ინდური ინვესტიციით აშენებული მესამე მეტალურგიული ქარხანა ყოფილი რკინა-ბეტონის საწარმოს ბაზაზე, ისიც სამშენებლო არმატურის წარმოებითაა დაკავებული. სამივე ქარხანაში წარმოების მოცულობა ძალზე მცირეა, პროდუქციის ასორტიმენტი კი – ღარიბი. საქართველოს ფოლადის ბაზარზე ძირითადი მომწოდებელია ლუქსემბურგში სათაფო ოფისის მქონე „Arcelor Mittal“ კრიეოი როკი.

ძველ პარამეტრებში რუსთავის მეტალურგიული ქარხნის აღდგენა-ფუნქციონირება შეუძლებელია, რამდენადაც ის ძირითადი ნედლეულის გარეშეა დარჩენილი. ქარხანა ხომ თავიდანვე დაშქესანის (აზერბაიჯანი) რკინის მადნით მარაგდებოდა. ახლა ის მადანი აზერბაიჯანის მეტალურგიასაც ძლივს ჰყოფნის. ამჟამად ჩვენთვის მიუწვდომელია ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოც.

მეტალურგიული წარმოების აღმავლობა, სავარაუდოდ, ალბათ, ახალი სამრეწველო პოლიტიკის გატარებით იქნება შესაძლებელი, რომლის საფუძველი უნდა გახდეს სხვადასხვა შედეგაობების გატარება.

მეტალურგიული მრეწველობის მეორე მნიშვნელოვანი ქვედარგია ფეროშენადნობების წარმოება ზესტაფონის ფეროშენადნობების ქარხანაში. როგორც ცნობილია, ქარხნის მშენებლობა 1930 წ. დაიწყო ჭიათურის მანგანუმის მაღალხარისხოვანი მადნის, ტყებულის ქვანახშირისა და რიონჰესის იაფი ელექტროენერჯის ბაზაზე. ქარხნის პირველი ელექტროსადნობი ღუმელი 1933 წ. 29 ოქტომბერს ამოქმედდა, საპროექტო სიმძლავრეს კი ქარხანამ 1937 წ. მიადწია, როცა გამოშვებულ იქნა 11 სახეობის ფეროშენადნობი, რის საფუძველზეც ფერო-მანგანუმის ქარხანას ფეროშენადნობთა ქარხანა დაერქვა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში, ქარხნის ძირეული რეკონსტრუქციის შედეგად, მისი სიმძლავრე 4-ჯერ, გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტი კი 40-ზე მეტ დასახელებამდე გაიზარდა, მ.შ. იყო 4 სახის ნახშირბადიანი ფერო-მანგანუმი, რომელიც არა მხოლოდ რესპუბლიკის შიგნით, არამედ ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში და მსოფლიოს 30 ქვეყანაში იგზავნებოდა.

გასული საუკუნის 80-იან წლებში განხორციელდა ძირითადი საწარმოო ობიექტების რეკონსტრუქცია და მოდერნიზაცია, გაუქმდა გარემოს ძლიერი დამაბინძურებელი ძველი ღუმელები, დაიდგა ახალი დანადგარები, რის შედეგადაც ფერო-მანგანუმის წლიურმა წარმოებამ 100 000 ტ მიადწია.

პოსტსაბჭოთა პერიოდში შექმნილი მძიმე ვითარების მიუხედავად, დაინერგა კალციუმის კარბიდის წარმოების ტექნოლოგია, სილიკომანგანუმის ნაყარის წილისაგან მანგანუმის რეექსტრაგირების ტექნოლოგია და ა.შ.

პრევატიზაციის შედეგად, ქარხნის მფლობელი გახდა კომპანია „სილქრომექს პოლდინგს ლიმიტეტი“, შემდეგ შპს „ჯორჯიან მანგანუმი“, რომლის განკარგულებაში გადავიდა აგრეთვე ვარციხის ჰიდროელექტრო-სადგური და ჭიათურის მანგანუმის საბადო. როგორც ცნობილია, ეს საბადო 1846 წ. ცნობილმა გეოლოგმა აბიხმა აღმოაჩინა, თუმცა მისი ექსპლუატაცია მაშინვე არ დაწყებულა, რამდენადაც იმ დროს მეტალურგიაში მანგანუმის მადანზე მოთხოვნა მცირე იყო. XIX ს. დასასრულსა და XX ს. დასაწყისში მეტალურგიის განვითარებისა და მანგანუმზე მოთხოვნის ზრდის კვალბაზე, ჭიათურის მანგანუმის საბადოს ექსპლუატაცია დაიწყო და უკვე 1900 წ. მასზე მოდიოდა მანგანუმის მსოფლიო მოპოვებისა და ექსპორტის თითქმის ნახევარი. მიუხედავად იმისა, რომ მადნის მოპოვება და დამუშავება პრიმიტიული იარაღებით ხორციელდებოდა, 1913 წ.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 213-219.

<sup>12</sup> ეკონომიკა, ხალხის კეთილდღეობა, საქართველო სსრ, ქსე, თბ., 1981, გვ. 118-158.

იქ მოპოვებული იქნა 966,8 ათასი ტონა მადანი. შემდეგ მისი მოპოვება შემცირდა და 1921 წლისათვის მთლიანად შეწყდა. ახალი ხელისუფლების პირობებში განახლდა, თუმცა მცირე მოცულობით, ფინანსური რესურსების ნაკლებობის გამო. შექმნილმა ვითარებამ განაპირობა მადნის დამუშავების უცხოელ კონცესიონერებზე გადაცემის აუცილებლობა. ხელშეკრულება 1925 წ. დაიდო ახალ ხელისუფლებასა და ამერიკელ კაპიტალისტ ჰარიმანს შორის 20 წლის ვადით, გარკვეული პირობებისა და ვალდებულებების გათვალისწინებით ამერიკელთა მხრიდან, რომელთა უდიდესი ნაწილის შეუსრულებლობის გამო, ქართულმა მხარემ ხელშეკრულება მალევე გააუქმა<sup>13</sup>. 1928 წ. ჭიათურის მანგანუმის ტრესტის შექმნის შემდეგ მისი მართვა-ეკსპლუატაცია ადგილობრივი ძალებით ხორციელდებოდა. თავდაპირველად, 30-იან წლებში აშენდა თხევად საწვავზე მომუშავე თბოელექტროსადგური, საბაგირო გზები, ცოტა მოგვიანებით, ახალი გამამდიდრებელი ფაბრიკა. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ამოქმედების შემდეგ მოპოვებული და გამამდიდრებელი მადნის მნიშვნელოვანი ნაწილი ქარხანას მიეწოდებოდა, ნაწილი ქვეყნის გარეთ გადიოდა.

უკანასკნელ წლებში ჭიათურაში ძალიან მძიმე ვითარებაა შექმნილი, მადარობის ეკსპლუატაცია თითქმის შეწყვეტილია, რის გამოც ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში საჭირო მანგანუმის კონცენტრატები ძირითადად მოხდას მადაროდან გაბონი შემოაქვთ. ჭიათურაში კი, მადნის ღია წესით მოპოვების გამო, ძალზე გაუარესდა ეკოლოგიური მდგომარეობა. შექმნილი ვითარება აუცილებლად მოითხოვს მადარობის სწრაფ რეაბილიტაციას, მანგანუმის მადნის დახურული წესით მოპოვების აღდგენას, რათა ფერო და სილიკომანგანუმის წარმოება ძირითადად ადგილობრივი ნედლეულით მომარაგდეს, რამდენადაც ახლა ერთადერთი კონკურენტუნარიანი მეტალურგიული პროდუქცია, რომლის წარმოებაცა და მსოფლიო ბაზრისათვის მიწოდება საქართველოს შეუძლია, სწორედ ფერო და სილიკომანგანუმი. ასევე, იმის გათვალისწინებაც საჭიროა, რომ ქვეყანაში არსებობს მეტალურგიული ნედლეულის სხვა სახეებიც – კალცედონი, დოლომიტები და ა.შ.

საქართველოში უძველეს დროში ფერადი მეტალურგიის განვითარებაზე ჯერჯერობით დაუზუსტებელი მოსახრებები არსებობს (საყდრისი). დადასტურებული მხოლოდ ის არის, რომ არსებობდა სპილენძის სადნობი რამდენიმე წვრილი კუსტარული საწარმო. ფერადი მეტალურგიის პირველ საწარმოდ შეიძლება მივიჩნიოთ კვაისის ფერადი ლითონების გამამდიდრებელი ფაბრიკა (ყოფ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე), რომელიც 1949 წ. ამოქმედდა და ახდენდა კვაისის ფერადი ლითონების მადაროში მოპოვებული ტყვია-თუთის მადნების გამამდიდრებას.

XX საუკუნის 80-იანი წლებისათვის ფერადი მეტალურგია საქართველოში (დასახელებულ საწარმოსთან ერთად) წარმოდგენილი იყო რუსთავეის მეორადი ნედლეულის სადნობი, ლითონური დარიშხანის მწარმოებელი რაჭის (ურავი) და სვანეთის (ცანა) ქარხნებით, აგრეთვე მადნეულის სპილენძისა და, ბარიტოლიმეტალური კომბინატით, რომელთა მიერ წარმოებული პროდუქცია ფერადი მეტალურგიის ქარხნებისათვის ნახევარფაბრიკატს წარმოადგენდა და ალუმინის გარდა, რესპუბლიკის გარეთ იყიდებოდა. ჩამოთვლილთაგან ყველაზე პერსპექტიული მადნეულის – სპილენძისა და ბარიტოლიმეტალური კომბინატია (დანარჩენთაგან უმეტესობა აღარ ფუნქციონირებს), რამდენადაც ეფუძნება მძლავრ სანედლეულო ბაზას – მადნეულის საბადოს, რომელიც, ფერადი ლითონების მარაგით, ერთ-ერთი უდიდესია ქვეყანაში (და ბევრი გავლენიანი ჯგუფის თუ ცალკეული პირის ინტერესების სფეროშია მოქცეული). როგორც კომპანია სს „მადნეული“ 1993 წლიდან ფუნქციონირებს, მისი სიმძლავრე თავიდან 1 700 000 ტ გადაამუშავებული მადანი იყო, რომელიც 2003 წ. 2 მლნ ტონამდე გაიზარდა. მადნეულში ოქროს შემცველი მეორადი კაჟოვანი მადნიდან ძვირფასი ლითონების ამოკრეფა გამოტუტვის მეთოდით ხდება. 2012 წლის 14 ივნისამდე სს „მადნეული“ და შპს „კვარციტი“ დამოუკიდებლად ფუნქციონირებდნენ, შემდეგ გაერთიანდნენ. ისინი 120 მილიონ დოლარად იყიდა კომპანია „კაპიტალ ჯგუფმა“, რომლის აქციონერები არიან დიმიტრი კორჟევი და დიმიტრი ტროიცი. წიაღისეულის მოპოვებაზე კი ლიცენზიის მფლობელი 110,5 მლნ დოლარად და 27 წლიანი ვადით გახდა კომპანია Mining Investments, და ლიტვის მოქალაქე ალვიდას ბრუსოკასი.

მადნეულში წლიურად იწარმოება 3,5 ტ დორე შენადნობის ოქრო. საერთოდ, მადნეულში წარმოებული ლითონების ექსპორტის წილი ქვეყნის მთელი ექსპორტის მოცულობაში უკანასკნელ წლებში 10%-ის ფარგლებში იყო.

*Nanuli Arevadze*

### **SOME ASPECTS OF FERROUS AND NON-FERROUS METALLURGICAL INDUSTRY DEVELOPMENT IN GEORGIA Annotation**

The article analyses main aspects of development of ferrous and non-ferrous metallurgical industry in pre crisis and post crisis periods. In comparison with other industries the above-mentioned sector has more or less preserved its material and technical basis and production personnel, though has decreased the volume of production and assortment directly connected with the problems of resources supply. Special attention is devoted to Zestaphoni Ferroalloy plant, as ferro and silico manganese are the only competitive metallurgical production Georgia is possible to export to world markets.

<sup>13</sup> საბჭოთა საქართველო, „მეცნიერება“, თბ., 1981., გვ. 30-31.



საკურორტო-ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების თანამშრომლობის საპროექტო

საკურორტო-ტურისტული რესურსების ეფექტიანი გამოყენება საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემაა. დღეს მას ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში გამოკვეთილი ადგილი უჭირავს, თუმცა ეკონომიკის რეფორმირების მესამე ეტაპის (2004-2012) ბოლო წლებში რამდენადმე დაგვიანებულიცაა ამ პრობლემის წინა პლანზე წამოწევა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან განვლილ პერიოდში, გაცილებით ადრე, ვიდრე სათანადო ყურადღება მიექცეოდა აღნიშნულ პრობლემას, არაერთი სტატია მიუძღვნებოდა ამ თემას<sup>14</sup>, კონფერენციებზეც გამოვიტანეთ მსჯელობის საგნად<sup>15</sup>, მაგრამ ხელისუფლების მხრიდან არ ყოფილა რეაგირება, თუმცა, არა მხოლოდ ამასთან დაკავშირებით, არამედ, საერთოდ, მეცნიერებასა და პრაქტიკას შორის გაწვევითი კავშირი საქართველოსთვის ახალი არ არის. მან უკვე კანონზომიერი ხასიათი მიიღო, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ეროვნული ეკონომიკის განვითარებას.

ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის (მიწის, ტყის, წყლის რესურსები, ექსპლუატაციაში არსებული თუ გამოვლენილი სასარგებლო წიაღისეული, კლიმატი, საინფორმაციო ტექნოლოგიები, წარმოებრივი, სოციალური, ინსტიტუციური და ეკოლოგიური ინფრასტრუქტურა, შრომითი რესურსები და ა. შ.) მნიშვნელოვანი ნაწილია. მათი ეფექტიანი გამოყენება საქართველოში საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების დამაჩქარებელი ფაქტორიცაა. იგი ორგანულ კავშირშია მომსახურების სფეროს დივერსიფიკაციასა და კურორტების განვითარებასთან.

საკურორტო-ტურისტულ სპეციალიზაციას საქართველოში პრაქტიკულად განუსაზღვრელი პოტენციური შესაძლებლობები განაპირობებს.

ტურიზმი თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის წამყვანი და დინამიკურად განვითარებადი დარგია. იგი მოიცავს ადამიანთა იმ კატეგორიას, რომელიც ნებაყოფილობით და დროებით გადაადგილდება ერთი ქვეყნიდან მეორეში დასვენების, მკურნალობის, შემეცნებითი დონის ამაღლებისა და ა. შ. მიზნით.

საქართველოში არსებული მდიდარი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები საკურორტო მკურნალობისათვის ნაჩვენები ყველა სახის დაავადების მკურნალობისა და ტურიზმის განვითარების შესაძლებლობებს იძლევა. ეს რესურსებია:

უმდიდრესი პიდრომინერალური რესურსები. საქართველოს ფიზიოთერაპიისა და კურორტოლოგიის ინსტიტუტი (რომლის სამეცნიერო საბჭოს წევრიც ამ სტატიის ავტორიც გახლდათ) ინტენსიურად იკვლევდა ამ საკითხებს. მისი მონაცემებით, საქართველოში გამოვლენილია 1300-ზე მეტი მინერალური წყარო, რომელთა სადღეღამისო დებიტი 130 მლნ ლიტრია<sup>16</sup>.

საქართველოში 102 კურორტი და 340 საკურორტო ადგილია. ამასთან, იგი უნიკალური კურორტების მფლობელია. ბორჯომი აღიარებულია საქართველოს კურორტების თვალ-მარგალიტად. მსგავსი შემადგენლობის წყალი მხოლოდ საფრანგეთშია და ცნობილია ვიშის სახელწოდებით. მათი შედარებისას სპეციალისტებმა უპირატესობა ბორჯომს მიანიჭეს უკეთესი საგემოვნო თვისებების გამო. ბორჯომის სიღამაზით მოხიბლულან როგორც ქართველი, ისე უცხოელი მწერლები, კომპოზიტორები. 1887 წელს ბორჯომს სტუმრობდა პეტრე ჩაიკოვსკი, რომელმაც ბორჯომი აღიარა მსოფლიოს ერთ-ერთ უღამაზეს კურორტად.

გარდა ბორჯომისა, კურორტებს შორის, თავისი წყლის სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა წყალტუბო. აღნიშნულის გარდა, საქართველოში დიდი სამკურნალო თვისებების მქონე წყლებია: საირმე, ლუგელა, უწყრა, ზვარე, ძულური, ლაშიჭალა, ნაბეღლავი, პლატე, ვაჟას წყარო და ა. შ. დადგენილია, რომ საქართველოში მინერალური წყლების სადღეღამისო დებიტი მთლიანობაში 130 მლნ ლიტრია<sup>17</sup>.

აბასთუმანი სამკურნალო თვისებებით არ ჩამოუვარდება საქვეყნოდ ცნობილ ბაიარამ ალის, ხოლო ესენტუის ანალოგი ფასანაურშია, რომელსაც ჯერჯერობით არ ექცევა სათანადო ყურადღება. ბაკურიანი, რომელიც ზღვის დონიდან 2000 მ-ზეა, მსოფლიოში ცნობილი ზამთრის კურორტია. სამთო-სათხილამურო სპორტის შემდგომი განვითარებისათვის დიდ პერსპექტივებს ქმნის აგრეთვე გუდაურში, რომელიც ზღვის დონიდან 2197 მ-ია. ყურადღებას იმსახურებს ზღვისპირა კურორტები, რომლებიც დღითი დღე ლამაზდება.

სამკურნალო ტალახი, კონტრასტული ბუნება და თვალწარმატი ლანდშაფტები. საქართველოში ახტალის გარდა, სამკურნალო ტალახი მოიპოვება კახეთის ზონაში, დასავლეთ საქართველოში, კუმისის ტბაში.

საქართველოში 1000-მდე კარსტული მღვიმეა, რომელთა მიკროკლიმატის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა დაავადებათა სამკურნალოდ;

კულტურის უძველეს ძეგლთა სიუხვე, ეთნოგრაფიული თავისებურებების მრავალფეროვნება რეკრეაციულად მიმზიდველს ხდის საქართველოს ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით. საქართველოში სხვადასხვა

<sup>14</sup> ასათიანი რ. ეროვნული ეკონომიკის სამომავლო კონტურები. „საქართველოს რესპუბლიკა, 1995, 14.XII; ასათიანი რ., ხატიაშვილი ნ. კურორტები ჩვენი სიმდიდრეა. „კომენტარი“, 2005, №3; Asatiani R. Использование рекреационных ресурсов Грузии и перспективы развития Туризма. „სოციალური ეკონომიკა“. 2006, №3; Asatiani R. Caucasus and Georgian Economy: Past, Present, Prospects. “Current Politics and Economics of the Caucasus Region”. Volume 3, Issue 4, New-York, 2009; ასათიანი რ. საკურორტო-რეკრეაციული რესურსები და ტურიზმი. „საქართველოს ეკონომიკა“. მთავარი რედაქტორი რ. ასათიანი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2012 და ა. შ.

<sup>15</sup> ასათიანი რ., მესხია ი. საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების გამოყენების პერსპექტივები. „ეკონომიკური რეფორმა და საქართველოს მომავალი“. რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები. თბილისი, 1999 წლის 7-8 მაისი; ასათიანი რ. საკურორტო-ტურისტული ბიზნესის მულტიპლიკაციური ეფექტი საქართველოში. „ეკონომიკური პოლიტიკა და ბიზნესის მართვა“. საერთაშორისო პრაქტიკული კონფერენცია. თბილისი, 15 აპრილი, 2006 და ა. შ.

<sup>16</sup> ასათიანი რ., ხატიაშვილი ნ. კურორტები ჩვენი სიმდიდრეა. „კომენტარი“, 2005, №3. გვ. 34.

<sup>17</sup> იქვე.

ეპოქის 85 ათასამდე ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლი და ეროვნული სტილის ნაგებობაა, 150-ზე მეტი მუზეუმი. მრავალი საკათედრო ტაძარი, ეკლესია-მონასტერი ახ. წ. აღრიცხვამდე VI-V საუკუნეებით თარიღდება.

საქართველოში საუკეთესო პირობებია აღპინიზმის განვითარებისათვის. ცად აზიდული მთები, მყინვარები თავიანთი მიმზიდველობით მომზიდველობის გარემოს ქმნის სპორტის ამ სახეობის განვითარებისათვის. აღნიშნულ სფეროში დიდ პერსპექტივას ქმნის აგრეთვე უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ამიტომ შესაბამისი საინვესტიციო პროგრამების შემუშავება ქვეყნის უპირველეს ამოცანად მიგვაჩნია. საინვესტიციო პოტენციალი უნდა წარმართოს ისეთი მაპროფირებელი დარგების განვითარებისათვის, რომელთა მულტიპლიკაციური ეფექტი მაღალი იქნება ეროვნული ეკონომიკისათვის. ეს დარგები ერთგვარი მულტიპლიკატორის როლს შეასრულებს ეროვნული მეურნეობის სხვა დარგების განვითარებასა და ეკონომიკის საერთო დონის ამაღლებაში.

საკურორტო-ტურისტული ინდუსტრიის განვითარება საქართველოში მისი საერთაშორისო ბაზარზე გასვლის ოპტიმალური გზაა. ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს ჩვენ მიერ ჩამოთვლილ ბუნებრივ ფაქტორებთან ერთად, ის ეკონომიკური ფაქტორებიც, რომლებიც ეკონომიკური ეფექტიანობის პრიზმაში აისახება. სახელდობრ:

ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების რაციონალური გამოყენება, გარდა იმისა, რომ უცხოური ვალუტის მოზიდვის საიმედო საშუალებაა, დიდი შემოსავლის მიღების წყაროცაა;

საკურორტო-ტურისტული სპეციალიზაცია საქართველოში ხელს შეუწყობს მცირე ბიზნესის განვითარებას: ჯერ ერთი, ამ სფეროში მეწარმეობის დაწვებისათვის საკმარისია მცირე ინვესტიციები; მეორე, მასზე მოთხოვნა ზრდის ტენდენციით ხასიათდება; მესამე, ტურისტული ფირმების გაკოტრების პროცენტი მხოლოდ 0,5-ის ტოლია; მეოთხე, ამ სფეროში დანახარჯების უკუგების ვადები მინიმალურია;

შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს, შეამცირებს უმუშევრობას, მიგრაციასა და ემიგრაციას;

ამაღლებს მთიანი რაიონების შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების დონეს და ხელს შეუწყობს მათ ადგილზე დამაგრებას;

შექმნის მყარ საშინაო ბაზარს სამრეწველო, სამშენებლო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის, ხელოვნებისა და კულტურის სფეროში წარმოებული საქონლის (მომსახურების) რეალიზაციისათვის;

ხელს შეუწყობს შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებას;

დააჩქარებს საერთაშორისო ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების განვითარებას;

ხელსაყრელ პირობებს შექმნის ადგილობრივი მოსახლეობის მკურნალობისა და დასვენებისათვის, რაც, მრავალ სიკეთესთან ერთად, წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებაში აისახება;

გააუმჯობესებს დემოგრაფიულ სიტუაციას საქართველოში;

პოზიტიური მიმართულებით სახეს შეუცვლის ეკოლოგიას და ა. შ.

აღსანიშნავია ერთი, მეტად სასიამოვნო, ფაქტი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტურიზმის მიმართულების სტუდენტებისათვის, 2013 წლის 25 თებერვალს გაიხსნა ტურიზმის განვითარების ინსტიტუტი, რომელსაც მჭიდრო ურთიერთობა აქვს საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნების შესაბამის სტრუქტურებთან და შემუშავებული აქვს როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები. ამის გარდა, ინსტიტუტში ხორციელდება 4 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. ეს პროგრამებია: სასტუმრო და საკურორტო მენეჯმენტი (მე-4 და მე-5 საფეხურები) და ტურიზმის მენეჯმენტი (მე-4 და მე-5 საფეხურები).

საქართველოში ტურისტების ყველაზე დიდი ნაკადი შემოდის აზერბაიჯანიდან, თურქეთიდან, სომხეთიდან, რუსეთიდან და უკრაინიდან. აღსანიშნავია, რომ ამ ბოლო დროს საქართველოში იკლო ჩამოსული ტურისტების რაოდენობამ. 2005 წლის 5 თვის მანძილზე მან შეადგინა 1381000, 2014 წლის იმავე პერიოდში შეადგენდა 1403532, კლება წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან იყო მინუს 1,6 %. პირველი 5 ქვეყნის მიხედვით ვიზიტების რაოდენობამ შეადგინა: **აზერბაიჯანიდან** – 2015 წლის პირველი 5 თვის მანძილზე 373350, 2014 წლის იმავე პერიოდში 350254, პროცენტული ცვლილება იყო 6,59 %; **თურქეთიდან**, შესაბამისად, 365244, 395463 და მინუს 7,64 %; **სომხეთიდან** – 325517, 324005, 0,47 %; **რუსეთიდან** – 181587, 187847, მინუს 3,33 %; **უკრაინიდან** – 32897, 38184, მინუს 13,85 %; სხვა ქვეყნებიდან – 102405, 107779, მინუს 4,99 %. სულ – 1381000, 1403532 და მინუს 1,61%<sup>18</sup>.

დღეს მსოფლიოში მწვავედ დგას ენერჯის ახალი წყაროების გამოვლენა, მაშინ, როდესაც საქართველო არასაკმარისად იყენებს თავის თერმულ წყლებს, მის ტერიტორიაზე აღრიცხულია 30<sup>0</sup>-დან 108<sup>0</sup>-მდე ტემპერატურის მქონე წყლის 250-მდე ბუნებრივი წყარო. მათი ჯამური დებიტი დღე-ღამეში 260 ათასამდე მ<sup>3</sup>-ია. დადგენილია, რომ საქართველოში თერმული წყლების პროგნოზული მარაგი 400 მლნ-მდე მ<sup>3</sup>-ს შეადგენს<sup>19</sup>.

ამ ბოლო დროს, სავსებით სამართლიანად, საქართველოში დაიწყო ტურისტული ინდუსტრიის განვითარება. იგი მეწარმეობისათვის ბიზნესის მიმზიდველი სფერო გახდა. ამის საფუძველს გვაძლევს, გარდა კურორტებისა, **სამკურნალო** ტურიზმის, **კულტურული** ტურიზმის (ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლები, ხუროთმოძღვრების ნიმუშები, ეკლესია-მონასტრები და ა.შ.), **სარეკრეაციო** ტურიზმის (საზღვაო, სამთო-სათხილამურო და ა. შ.), **სათავგადასავლო** ტურიზმის, **სამონადირეო** ტურიზმის, **აგროტურიზმის**, **ეკოტურიზმის** (ეროვნული პარკები, ნაკრძალები), **საქმიანი** ტურიზმის, **სპორტული** ტურიზმის განვითარება.

ტურიზმისადმი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა დაიწყო 2010 წლიდან. აღსანიშნავია, რომ სპეციალურად შედგენილ საქართველოს რუკაზე (რაც იძლევა ინფორმაციის მიღების საშუალებას ზემოთხსენებულ ელექტრონული წესით) აღნიშნულია საქართველოს 9 რეგიონის, 58 მუნიციპალიტეტის 2277 ტურისტული ობიექტი. შემუშავებულია ტურიზმის განვითარების სტრატეგია. საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების შესაძლებლობებს წარმოაჩენს ჩარჩო-პროგრამა „რეგიონული ინოვაციური სისტემა და ტურიზმის ინდუსტრიის კლასტერის განვითარების სტრატეგია: გამოწვევები და შესაძლებლობები“.

<sup>18</sup> www.iset.ge/list/con/

<sup>19</sup> **ასათიანი რ., ხატიაშვილი ნ.** კურორტები ჩვენი ხიმდიდრეა. „კომენტარი“, 2005, №3. გვ. 22.

აღსანიშნავია რომ, დღეს საქართველოში ტურისტული ორგანიზაციების ძალისხმევა მიმართულია „ტურისტების ექსპორტზე“ და ნაკლები ყურადღება ექცევა მათ მოზიდვას ქვეყანაში. ამას მრავალი ობიექტური მიზეზი განაპირობებს, თუმცა, სუბიექტური მიზეზიც არანაკლებია.

მიზანშეწონილია, ჩამოყალიბდეს მეცნიერული მიმართულება კურორტებისა და ტურიზმის განვითარების სხვადასხვა სფეროს კვლევასა და ტურისტების მოზიდვაში, აუცილებელია, სახელმწიფო დონეზე შეიქმნას კურორტებისა და ტურიზმის განვითარების მიზნობრივი პროგრამა.

*Rozeta Asatiani*

## **PECULIARITIES OF THE DEVELOPMENT OF RESORT AND TOURISM INDUSTRY IN GEORGIA**

### **Annotation**

Rapid development of resort and tourism industry should take a special place in the strategy of Georgia's economy. The investment potential must be directed towards the development of such profile branches which multiplication effect will be high for the economy. The advancement of resort and tourism industry will fulfill the role of a catalyst in the development of other branches of economy and in raising the general level of economy.

Resort and tourism specialization in Georgia is determined by practically unlimited potential possibilities. The existence of multifaceted natural and recreation resources (over 1300 mineral waters, 102 resorts and 340 resort places, about 1000 karst caves, the abundance of the ancient cultural monuments, etc.) provides an opportunity for resort treatment of all kinds of diseases and tourism development.

In Georgia the development of resort and tourism industry is the best way for a country to enter the foreign market. At the same time, it is a source of great income and a reliable means of obtaining foreign currency.

It would be advisable to create a targeted program for resort and tourism development at the state level and to strengthen scholarly research in this direction.

*George Berulava*

## **TRUST-BASED RELATIONS AND FIRM'S PERFORMANCE IN TRANSITION ECONOMIES**

The experience of transition economies shows that one of the key issues in the process of a market transformation of centrally-planned system is a creation of consistent and reliable institutional framework (World Bank, 2001; World Bank, 2002). The importance of the proper institutional framework for economic development stems from its ability to shape incentive structure of economic agents, which influences their investment and innovation decisions (Johnson, McMillan and Woodruff, 2002). According to North (1990), the existing difference in economic development levels among countries can be explained by the differences in an institutional environment, which involves both formal and informal rules of governing of a market economy. The lack of such institutions results in various types of market frictions, which hamper productive performance of firms in transition. In particular, market frictions such as the shortage of market information about partners and improper legal system of contract enforcement have a substantial impact on the efficiency of inter-firm relations (McMillan and Woodruff, 1999). In the absence of sound formal institutions of contract enforcement, businesses in transition employ informal relational mechanisms of governance based on trust.

The key element of informal or relational governance is the trust (Bradach and Eccles, 1989). The concept of trust that underlies relational contractual arrangements is based on social norms and personal relations (Lewis, 1985). Heide and John (1992) show that norms play a very important role in structuring economically efficient relationships between independent firms. They argue that supportive norms have significant economic value when specific assets need to be safeguarded. Mitigating possibility for opportunistic behavior and reducing uncertainty, trust reduces pressure toward vertical integration (Granovetter, 1985). Macaulay (Macaulay, 1963) in his preliminary study of non-contractual relations in business found that the norms of keeping commitments impose obligations on parties to transactions at the cost of damaging personal relationships. Arrow emphasizing the role of trust as a control mechanism defines it as "...an important lubricant of a social system" (Arrow, 1974; p. 23). The role of informal trust-based institutions takes on special significance for firms operating in transition economies. Such institutions allow firms to cope with the issues of high transaction costs, uncertainty and scarce information in dealing with their partners and thus facilitate smooth functioning of the economies in transition.

**წყარო:** Foreign direct investment, net inflows (% of GDP). <http://data.worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.WD.GD.ZS>

ნებისმიერი საერთაშორისო კომპანიისთვის, რომელსაც სურს საკუთარი ბიზნესის გაფართოება, მნიშვნელოვანია ისეთი ბაზარი, რომელიც დაცული იქნება როგორც ენდოგენური, ასევე ეგზოგენური ფაქტორების უარყოფითი ზეგავლენისგან. კომპანიის სტრატეგიის დაგეგმვის პროცესში, საგარეო ბაზარზე შესვლის თვალსაზრისით, კონფლიქტური რეგიონები, როგორც ბიზნესის გაფართოების არეალი, პირველ რიგში გამოირიცხება. ამიტომ, საერთაშორისო კომპანიებისათვის მნიშვნელოვანია მშვიდობიანობის ინდექსის ანალიზი, რომელიც მიუთითებს ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ სტაბილურობაზე. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მშვიდობიანობის ინდექსი გაიზარდა, თუმცა 2008 წლის შემდგომ 111 ქვეყანაში ეს ინდექსი შემცირდა, მხოლოდ 51-მა ქვეყანამ შეძლო მისი ზრდა.

IEP-ის (Institute for Economics & Peace) მონაცემებით, გამოიყო 10 ქვეყანა, სადაც არასტაბილური მდგომარეობა და სამოქალაქო დაპირისპირება ფიქსირდება. შესაბამისად, დიდ რისკფაქტორებს შეიცავს ბიზნესის განვითარებისათვის, რადგან ამ ეტაპზე არსებული მშვიდობა, შესაძლოა, ნებისმიერ დროს დაირღვეს. ესენია: ჰამბია, ჰაიტი, არგენტინა, ჩადი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ნეპალი, ბურუნდი, საქართველო, ლიბერია [1, p.8]. 2014 წლის მონაცემებით, მსოფლიო მასშტაბის დონეზე ყველაზე მშვიდობიან რეგიონებად ევროპა, კანადა და ავსტრალია ითვლებოდა. 2015 წელს საფრანგეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში განხორციელებული ტერაქტების შემდეგ ევროპამ დაკარგა ეს სტატუსი. 2013 წელთან შედარებით, 2014 წელს შეინიშნება კონფლიქტური რეგიონების და ძალადობრივი ფაქტების ზრდა. თუმცა ქვეყნების მიხედვით ვხვდებით ზოგიერთი განმაპირობებელი ფაქტორის ზრდას ან შემცირებას (ცხრ. 2).

**ცხრილი 2**

**მშვიდობიანობის ინდექსზე მოქმედი 3 ინდიკატორი, რომლებიც ყველაზე მეტად გაიზარდა და შემცირდა**

ტოპ-3 გაუმჯობესებული ფაქტორი (კონფლიქტურობის ინდექსი შემცირდა)	ცვლილება 2013-2014 წლებში
პოლიტიკური ტერორი	-0,049
მკვლელობათა რაოდენობა 100000 კაცზე	-0,049
გარე კონფლიქტებში ორგანიზებული სამხედრო მოქმედებების შედეგად დაღუპულთა რაოდენობა	-0,019
ტოპ-3 გაუარესებული ფაქტორი (კონფლიქტურობის ინდექსი გაიზარდა)	ცვლილება 2013-2014 წლებში
ტერორისტული აქტივობა	0,167
შიდა და გარე კონფლიქტების რაოდენობა	0,099
ლტოლვილთა რაოდენობა მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით	0,031

**წყარო:** Global Peace Index 2014, Institute for Economics & Peace, (IEP), 2014, p. 16.

2014 წლის მონაცემებით, კონფლიქტების, ძალადობის და ტერორიზმთან ბრძოლის დანახარჯმა მოლიანად 9,8 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც გლობალური მშპ-ს 11,3%-ია, თითოეულ ადამიანზე დაანგარიშებით კი 1350 აშშ დოლარის ეკვივალენტური. 2013 წელთან შედარებით, დანახარჯმა 179 მილიარდი დოლარით, ანუ 3,8%-ით მოიმატა. ეს კი გლობალური მშპ-ს 0,4%-ია. არსებული მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, ტერორიზმი, სხვადასხვა სახის კონფლიქტები, დესტაბილიზაცია და ძალადობა მსოფლიო ეკონომიკას საკმაოდ ძვირი უჯდება (ცხრ. 3).

**ცხრილი 3**

**კონფლიქტების, ტერორიზმის და ძალადობის გლობალური დანახარჯი 2014 წლის მონაცემებით.**

ძალადობის ტიპი	მოლიანი დანახარჯი (აშშ დოლარი, მილიარდი)
სამხედრო ხარჯი	2 535 \$
მკვლელობა	720 \$
თავდაცვა	625 \$
მძიმე დანაშაული	325 \$
პერსონალური დაცვა	315 \$
დატუსაღება	185 \$

მშპ-ს დანაკარგები კონფლიქტების შედეგად	130 \$
სიკვდილიანობა შიდა კონფლიქტების შედეგად	30 \$
შიში	25 \$
ტერორისტული აქტები	10 \$
გაეროს მშვიდობის შენარჩუნება	5 \$
იძულებით გადაადგილებული პირები	2 \$
სიკვდილიანობა გარე კონფლიქტების შედეგად	1 \$
მთლიანად (პირდაპირი ჯამი)	4908 \$
მთლიანი დანახარჯი (მულტიპლიკატორის გამოყენებით)	9816 \$

წყარო: Global Peace Index 2014, Institute for Economics & Peace, (IEP), 2014, p. 17.

მე-3 ცხრილი გვიჩვენებს, რომ დანახარჯები მოიცავს არა მარტო უშუალოდ ტერორისტული აქტის განხორციელების დროს მიღებულ დანაკარგებს, არამედ მისი პრევენციისთვის გაწეულ ხარჯებს, რაც ბევრად აღემატება უშუალოდ ფაქტის შედეგად მიღებულ დანახარჯს.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ტერორიზმის გავლენა ადამიანურ რესურსებზე, როგორც ტერაქტის პოტენციურ მსხვერპლზე. ბიზნესი იღებს უხარმაზარ დანაკარგს ფართომასშტაბიანი ტერაქტების შემთხვევაში, როდესაც კარგავს კვალიფიციურ კადრებს და მათი ჩანაცვლება რთულია, მით უმეტეს თუ ტოპმენეჯერებიც მსგავსი ტიპის აქტის მსხვერპლი გახდებიან [3, გვ 26]. მარტო 2013 წელს 17 958 ადამიანი დაიღუპა ტერორისტული თავდასხმების გამო. აქედან 82% ერაყში, ავღანეთში, პაკისტანში, ნიგერიაში და სირიაში მომხდარი ფაქტების შედეგად. მხოლოდ ერაყში 2013 წელს 2492 ტერორისტული აქტი დაფიქსირდა, რომელსაც 6362 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. 2000 წლის შემდგომ მომხდარი მსგავსი ფაქტების 5% თვითმკვლეელი ტერორისტების მიერ საზოგადო თავშეყრის ადგილებში განხორციელებული ტერაქტებია. ტერორისტული აქტების 90% ისეთ ქვეყნებში ხდება, რომლებიც გამოირჩევიან ეკონომიკური განვითარების დაბალი დონით. IEP (Institute for Economics & Peace) გამოყოფს 11 ქვეყანას, სადაც ტერორიზმის რისკფაქტორები მაღალია. ესენია: ანგოლა, ბანგლადეში, ბურუნდი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, კოტ დივუარი, ეთიოპია, ირანი, მალი, მიანმა, შრი ლანკა და უგანდა [2, გვ. 12].

კომპანია, სადაც ტერორისტული თავდასხმის საშიშროება არსებობს, იძულებული ხდება საკუთარი პერსონალი დაახლოვოს და მათ დაცვასა და ჯანმრთელობის, სიცოცხლის დაზღვევაზე უფრო მეტი ხარჯი გასწიოს, რაც, საბოლოოდ, აისახება ბიზნესის მაღალ დანახარჯებზე.

2008 წლის რუსეთის ტერორისტული თავდასხმის შედეგად საქართველოში ეკონომიკურად არამდგრადი სიტუაცია შეიქმნა. რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების (აფხაზეთის და სამჩხაბლოს) არსებობა ბიზნესის დაწვევის თვალსაზრისით მას არასტაბილური ქვეყნის იმიჯს უქმნის, ხელს უშლის საერთაშორისო ეკონომიკური საქმიანობის განვითარებას, იზრდება ბიზნესის დაწვევის რისკფაქტორები. მთლიანად ევრაზიის რეგიონის მშვიდობის ინდექსის ცვლილება 2014 წლის მონაცემებით პოზიტიურ ტენდენციებზე მეტყველებს რაც ჩანს მე-4 ცხრილიდან.

**ცხრილი 4**

**ევრაზიის რეგიონის და რუსეთის მშვიდობიანობის ინდექსის ცვლილება 2014 წლის მონაცემებით**


ევრაზიის რეგიონი და რუსეთი	შეფასება მთლიანი რაოდენობიდან	მთლიანი სკალირებული კოეფიციენტი	ცვლილება კოეფიციენტში	რეგიონის მიხედვით რანჟირება
მოლდოვა	71	1,971	-	1
ბელორუსია	92	2,078	-0,038	2
თურქმენეთი	95	2,093	-0,061	3
სომხეთი	97	2,097	-0,026	4
ყაზახეთი	103	2,150	0,119	5
უზბეკეთი	104	2,179	-0,141	6
საქართველო	111	2,225	-0,272	7
აზერბაიჯანი	123	2,365	0,028	8
ყირგიზეთი	125	2,382	-0,009	9
ტაჯიკეთი	126	2,395	0,100	10
უკრაინა	141	2,546	0,295	11
რუსეთი	152	3,039	-0,021	12
საშუალო		2,293		

წყარო: Global Peace Index 2014, Institute for Economics & Peace, (IEP), 2014, p. 10

საქართველომ გასულ წელთან შედარებით პოზიცია მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა – 2.225 I ქულით 2013 წლის 139-დან წელს 111-ე პოზიციაზე გადმოინაცვლა რეიტინგის 162 ქვეყანას შორის. ცვლილებებია საქართველოს მეზობელი ქვეყნების რეიტინგებშიც: რუსეთი 152-ე ადგილზეა (2013 წელს – 154), თურქეთი – 128-ე ადგილი (2013 წელს – 134), აზერბაიჯანი – 123 (2013 წელს – 126), სომხეთი – 97 (2013 წელს – 98). საქართველოს პოზიციების დაღებით ცვლა ნიშნავს, რომ სიტუაცია უფრო დასტაბილურდა წინა წლებთან შედარებით და ეკონომიკური განვითარებისათვის უფრო მეტი გზა და პერსპექტივა იხსნება ამ კუთხით.

ამ მაჩვენებლის პოზიტიურმა ცვლამ გამოიწვია ქვეყანაში გლობალური კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლის გაუმჯობესება.

საქართველოს სწრაფი ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკა გლობალურ დონეზე იყოს კონკურენტუნარიანი. შევიცარიული ორგანიზაცია – მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (WEF) 1979 წლიდან აქვეყნებს წლიურ ანგარიშს, სადაც გაანალიზებულია მსოფლიოს ქვეყნების კონკურენტუნარიანობა და ბიზნესგარემო. საქართველოდან კვლევაში მონაწილეობას იღებდა 200-მდე ფირმა, რომლებიც შემთხვევითობის პრინციპით ყოველ წელს შეირჩევა. 2014 წლის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში საქართველომ 69-ე ადგილი დაიკავა, სამი ადგილით ზემოთ გადაინაცვლა 2013 წლის პოზიციიდან. უკვე მეოთხე წელია, საქართველოს დადებითი ტენდენცია აქვს აღნიშნულ ინდექსში (გრაფიკი 1).



გრაფიკი 1. საქართველოს პოზიცია გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში

წყარო: <http://forbes.ge/news/453/saqarTvelos-ekonomikis-konkurentunarianoba>

კონკურენტუნარიანობის შეფასების 119 კრიტერიუმში 12 თემატურ ჯგუფშია გადანაწილებული. აღნიშნული ჯგუფების მიხედვით, საქართველოს ყველაზე კარგი პოზიცია შრომის ბაზრის ეფექტიანობაში აქვს – მსოფლიოში 41-ე ადგილს იკავებს. ხოლო ყველაზე დაბალ პოზიციაზე (121-ე ადგილი) ინოვაციების კუთხით არის.

ცხრილი 5

საქართველოს პოზიცია კრიტერიუმების მიხედვით

კრიტერიუმები	მსოფლიო პოზიცია	ქულა (მაქსიმალური 7 ქულა)
ინსტიტუტები	48	4.3
ინფრასტრუქტურა	48	4.2
მაკროეკონომიკური გარემო	59	4.3
ჯანმრთელობა და დაწესებულებების განათლება	63	5.8
უმადღესი განათლება და ტრენინგები	92	3.9
საქონლის ბაზრის ეფექტიანობა	60	4.4
შრომის ბაზრის ეფექტიანობა	41	4.5
ფინანსური ბაზრის განვითარება	79	3.9
ტექნოლოგიური მზადყოფნა	67	3.8
ინოვაციები	121	2.7

წყარო: <http://forbes.ge/news/453/saqarTvelos-ekonomikis-konkurentunarianoba>

ეს მაჩვენებლები ცხადყოფს, რომ პატარა ქვეყანასაც შეუძლია გახდეს ყველაზე მეტად კონკურენტუნარიანი მსოფლიოში და მოიხილოს იმ ოდენობის კაპიტალი, რომელიც მაღალ ეკონომიკურ ზრდასა და ქვეყნის განვითარებას შეუწყობს ხელს, რისთვისაც მნიშვნელოვანია ტერორიზმის პრევენციით გამოწვეული ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Amanda Macias, „The World Is Becoming More Violent – Here Are The Most And Least Peaceful Countries”, <http://www.businessinsider.com/>, JUN. 19, 2014
2. Amanda Macias, „A Snapshot Of Terrorism In The World Today”, <http://www.businessinsider.com>, 2014
3. Dean C. Alexander, „Business Confronts Terrorism: Risks and Responses”, Madison : University of Wisconsin Press/Terrace Books, ©2004
4. Global Peace Index 2014, Institute for Economics & Peace, (IEP), 2014
5. Larobina, Michael and Michael Pate. "The Impact of Terrorism on Business." The Journal of Global Business Issues 3.1 (2009)
6. Terrorism. <http://ka.wikipedia.org/wiki/>
7. Chaliand, Gérard and Arnaud Blin, eds. The history of terrorism : from antiquity to al Qaeda. University of California Press, 2007.
8. Crenshaw, Martha, ed. Terrorism in context. Pennsylvania State University Press, 1995.
9. CergoleiSvili T. „ra Secvala 11-ma seqtemberma“, Jurnal „tabula“, 2011 <http://www.tabula.ge/article-5448.html>
10. Land, Isaac, ed., Enemies of humanity : the nineteenth-century war on terrorism. Palgrave Macmillan, 2008.

11. მუკბანიანი ნ. საერთაშორისო ტერორიზმი გლობალური პილიტიკური პრობლემა
12. <https://pirveli4ever.wordpress.com/2010/06/23/>.

*Teimuraz Shengelia*

## **ECONOMIC RESULTS OF THE WORLD THREAT OF TERRORISM AND ITS IMPACT ON GLOBAL BUSINESS**

### **Annotation**

Terrorism is one of the most important problems for the modern world economy. That's why it is necessary for each state to take care for prevention of terrorist activity and to protect business from such attacks. The main problem for development of modern economy is to reach stability and peace, to which the attempts of world countries are directed. Despite this, the events recently developed in the countries of Europe clarify that the threat of terrorism is still great. Expenses of conflicts, terrorism and global violence still keep growing in the world, which impedes growth of global business and respectively reduction of poverty – the world's primary problem.

In result of Russia's terrorist attack against Georgia in 2008 made the situation in the country economically unsustainable. Existence of territories in Georgia, occupied by Russia (Abkhazia and Samachablo) forms the image of unstable country for Georgia from the viewpoint of starting business, impedes development of international economic activity, and risk-factors for starting business increase.

The means for avoiding terrorism should be introduced and their activity should be controlled worldwide. It is necessary to provide security of concrete companies, firms and establishments. Finally, the main thing is that each country and international organization should try to impede the activity of terrorist organizations and to promote fight against terrorism in the world.

*მიხეილ ჩიკვილაძე*

### **საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, პროგნოზი, რეალობა**

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პარამეტრების ანალიზიდან ჩანს, რომ მიმდინარე წლის ეკონომიკური ტენდენციები და საგადასახადო შემოსავლების დინამიკა კვლავ გაგრძელდება. ამასთან, გაძლიერდება ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური განვითარებისაკენ მიმართული ღონისძიებები, პრიორიტეტი სოციალური პროგრამების დაფინანსებას მიენიჭება.

2015 წელს ეკონომიკური ზრდის შედეგად მიღებული დამატებითი საგადასახადო შემოსავლების ნაწილი ზემოაღნიშნულის მიმართულებით დაფინანსების ზრდას მოხმარდება და, ამავე დროს, განხორციელდება საბიუჯეტო დეფიციტის შემცირება მთლიანი შიდა პროდუქტის 3%-მდე.

2015 წელს დაგეგმილია პენსიების ზრდა, პედაგოგთა ხელფასების მოწესრიგება და, რაც მთავარია, პარალელურად გაიზრდება კაპიტალური პროექტების დაფინანსება. 2015 წელს ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის გამოყოფილია 1 მილიარდი ლარი.

საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 8.090.0 მილიონი ლარით განისაზღვრა, რაც 2014 წლის ბიუჯეტის შესაბამის მაჩვენებელს 770.0 მლნ ლარით აღემატება.

2015 წელს სახელმწიფო ვალების მომსახურებისა და დაფარვისათვის გათვალისწინებულია 754 მლნ ლარი, ხოლო ივეგებება 720 მლნ ლარის ოდენობის სახელმწიფო ვალის აღება. სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვრა 9.575.0 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის: საბიუჯეტო სახსრები შეადგენს 8.785.0 მლნ ლარს, გრანტები - 100.0 მლნ ლარს, ხოლო კრედიტები - 690.0 მლნ ლარს. წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული ასიგნებები მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით შემდეგნაირად არის გათვალისწინებული:

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაფინანსება 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 127.0 მლნ ლარით, 2015 წლის ბიუჯეტის მეორე წარდგენასთან შედარებით - 10.0 მლნ ლარით და შეადგენს 2.785.0 მლნ ლარს (ბიუჯეტის მთლიანი დანახარჯების 29.0 %-ს).

სოციალური დაცვისა და საპენსიო უზრუნველყოფისათვის გამოყოფილია 2.041 მლნ ლარი, რაც 2014 წლის დაფინანსებას აღემატება 70.4 მლნ ლარით. გამოყოფილი თანხის ფარგლებში, 2015 წლის 1 სექტემბრიდან დაგეგმილია ყველა კატეგორიის პენსიონერისათვის პენსიის გაზრდა 10 ლარით, 160 ლარამდე, 500-დან 1000 ლარამდე გაიზრდება ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლების აღკვეთისა და დამოუკიდებლობისათვის გარდაცვლილთა ოჯახის წევრებისათვის კომპენსაცია.

ჯანდაცვის პროგრამებისათვის, 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით, გათვალისწინებულია ზრდა 656.2 მლნ ლარით.

სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის პროგრამის დაფინანსება განსაზღვრულია 33.3 მლნ ლარის ოდენობით.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის გამოყოფილია 1 მილიარდი ლარი (2014 წელთან შედარებით გაზრდილია 125.0 მლნ ლარით).

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის გამოყოფილია 853.9 მლნ ლარი (2014 წელთან შედარებით გაზრდილია 99.6 მლნ ლარით). მათ შორის 2015 წლის სექტემბრიდან მასწავლებელთა საბაზისო ხელფასები გაიზრდება 17%-ით და გახდება 355 ლარი, საშუალო ხელფასი გაიზრდება 400 ლარამდე, მაქსიმუმში, სრული განაკვეთის შემთხვევაში, მეოთხე კარიერული საფეხურის წამყვანი და მენტორის ანაზღაურება სრული განაკვეთის შემთხვევაში იქნება 760-860 ლარი.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2015 წელს ბიუჯეტი არის 292.9 მლნ ლარი, 29.4 მლნ ლარით აღემატება 2014 წლის ბიუჯეტს.

ენერგეტიკის სამინისტროს ბიუჯეტი მიმდინარე წელს 125.0 მლნ ლარია, რაც 10.4 მლნ ლარით აღემატება 2014 წელს.



გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსათვის 2015 წელს გამოყოფილია 39.0 მლნ ლარი, რაც 8 მლნ ლარითაა გაზრდილი წინა წელთან შედარებით.

ეკონომიკის სამინისტროსათვის 2015 წელს გამოიყო 120.0 მლნ ლარი.

იუსტიციის სამინისტროს გამოიყო 68.5 მლნ ლარი, რაც 8 მლნ-ით აღემატება წინა წელს.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს გამოიყო 70.0 მლნ, რაც 16.1 მლნ ლარით აღემატება წინა წელს.

თავდაცვის სამინისტროს გამოიყო 640 მლნ, რაც წინა წელთან შედარებით გაზრდილია 24.1 მლნ ლარით.

შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის ასიგნებების ზრდა განისაზღვრა 638.7 მლნ ლარით, რაც წინა წელთან შედარებით გაზრდილია 23.7 მლნ ლარით, რომელიც განპირობებულია სამინისტროს სისტემაში საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს შექმნითა და მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსებით.

კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსათვის გამოყოფილია 95.0 მლნ, რაც 15 მილიონითაა გაზრდილი წინა წელთან შედარებით.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერის მოცულობა გაზრდილია 800 ათასი ლარით და შეადგენს 854.8 მილიონს. 300.0 ათასი ლარი გათვალისწინებულია ადგილობრივი 5 თვითმმართველი ერთეულის მიზნობრივი ტრანსფერისათვის, ხოლო 500.0 ათასი ლარი – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისათვის.

მიმდინარე წლის აპრილში შეინიშნება გადასახადების 18%-იანი ზრდა, რაც, გასხვავებით წინა წლები-საგან, კოდექსის მოთხოვნების ცივილური წესის დაცვით ხდება. რაც შეეხება ეკონომიკური ზრდის პროგნოზის კორექტირების საკითხს, ფინანსთა სამინისტროს განცხადებით, ეკონომიკური ზრდის პროგნოზის დამტკიცების მიზნით მიმდინარეობს მუშაობა სათანადო ეკონომიკური მონაცემების თავმოყრა-ანალიზის მიმართულებით, რომელიც წარედგინება სავალუტო ფონდს მიმდინარე წლის მაისში.

გადადგმულია კონკრეტული ნაბიჯები მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მხრივაც. კერძოდ, ბოლო ორი წლის მანძილზე:

გაუქმდა „დრაკონული კანონი“, რომლის მიხედვითაც, საგადასახადო დავის დაწყებისთანავე სახელმწიფოს ჰქონდა უფლება, ქონება მოექცია მის საკუთრებაში და გაეყიდა, რაც არასწორი იყო, რადგანაც, შესაძლოა, სასამართლო პროცესი პირველ და მეორე ინსტანციაში მოეწონებოდა სახელმწიფოს, მაგრამ ბოლო ინსტანცია მოეწონებოდა ბიზნესმენს, რაც, საბოლოო ჯამში, პრობლემათა ჯაჭვს ქმნიდა.

საგადასახადო ხანდაზმულობის ვადა 6 წლიდან შემცირდა 3 წლამდე, რაც წინ გადადგმული ნაბიჯია მსოფლიო საგადასახადო სივრცეში.

სოფლის მეურნეობა გათავისუფლდა დღგ-ს ჩათვლის უფლებისაგან.

სასოფლო-სამეურნეო და სამედიცინო საქმიანობაში რეინვესტირებული მოგება აღარ დაიბეგრება.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ წლიური 6000 ლარამდე შემოსავლის მქონე შპს პირები საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლდნენ.

მცირე ბიზნესისთვის 5000 ლარამდე საგადასახადო დავალიანების რესტრუქტურისაცაა ყოველგვარი უზრუნველყოფის გარეშეა შესაძლებელი.

ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ წინა წლებში დღგ-გან გათავისუფლებული იყო წიგნების იმპორტი, მაგრამ არ იყო გათვალისწინებული წიგნის ქაღალდის იმპორტი, ამჟამად წიგნის ქაღალდის იმპორტიც იქნა გათავისუფლებული.

საშემოსავლო გადასახადისაგან გათავისუფლდა ყველა პირი, რომელიც მკურნალობისთვის იღებს თანხას ნებისმიერი საქველმოქმედო ფონდიდან.

გადაიდგა კანონიერი ნაბიჯი და დაახლოებით მილიარდი ლარის საგადასახადო დავალიანება ჩამოეწერა 20 ათას გადაამხდელს.

მშენებლობებს, რომლებიც 2008 წლამდე იყო დაწყებული, გაეწია 200 მლნ-ის სხვადასხვა სახის შეღავათი.

იმპორტიორებს, ხორბლის იმპორტირებისათვის დღგ-ს გადასახადის გადახდა, რეალიზაციის შემდეგ შეეძლება.

ბინის გაქირავებიდან, ასევე ბინის და ავტომობილის რეალიზაციიდან შემოსული შემოსავლის 20%-ის ნაცვლად 5%-იან დაბეგვრის შემოღებას გულისხმობს.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევად კი ევროკავშირთან დრმა და ყოველის- მომცველი თვისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება გვესახება.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლარის გაცვლითი კურსის გაუარესებამ იმ ზღვარს მიაღწია, როდესაც არსებობს ინფლაციის მნიშვნელოვანი საფრთხე, რაც შეიძლება შემდგომში ფასების ზრდაში გადაიზარდოს. ამ პროცესით კი განსაკუთრებით ის მოქალაქეები დაზარალებიან, ვისაც ვალდებულებები აქვთ დოლარში, შემოსავლები კი ლარში. ამიტომ, ლარის კიდევ უფრო გაუფასურება მათ ეკონომიკურ მდგომარეობას უფრო მეტად გაუარესებს, ეს კი, საბოლოო ჯამში, ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითად აისახება, ამიტომ მთავრობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ ეს არ მოხდეს. გარდაუვლად გვესახება მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება, იმ გამოწვევების ფონზე, რაც დღეს ეკონომიკაშია.

GEORGIAN STATE BUDGET, FORECAST, REALITY  
Annotation

According to the macroeconomic indices of 2015 state budget, the economic trends and dynamics of tax revenues shall still go on, furthermore the arrangements toward stable development of economy shall strengthen and the priority shall be given to financing of social programs.

The part of extra tax revenues obtained in the result of economic growth in 2015 shall be consumed for growth of financing of social programs and at the same time the budget shortcoming shall be reduced to 3% of GDP.

The plan for 2015 includes growth of pensions, adjustment of the salaries for pedagogues and in parallel, financing of capital projects shall be increased, in the current year one billion GEL is designed for infrastructural projects.

According to the draft of the 2015 state budget, the forecasting index of revenues is 8.090.00 mln GEL, which exceeds the same index of 2014 with 770.0 mln GEL. The forecasting index of the tax revenues of 2015 state budget is increased by 780.0 mln GEL in comparison with the approved budget of 2014 and constitutes 7.600.0 mln GEL.

Incomes of 2015 budget constitutes 9 billion 875 mln GEL, 200.0 mln GEL from 600.0 mln GEL receivable from treasury liabilities of the same year is foreseen for stimulation arrangements of economy and the incomes gained in such way shall be placed in the commercial banks at deposit accounts.

754 mln GEL is foreseen for service and covering of 2015 state arrears, taking of state loan amounted to 720 mln GEL is planned, assigns of the state budget is determined with 9.575.0 mln GEL, including: budget funds: 8785.0 mln GEL, grants: 100.0 mln GEL, and credits: 690.0 mln GEL.

As the analysis of finance micro and macroeconomic indices of the Ministry of Finances shows, the specific steps to support to small and medium business are made, during the last 2 years, separate "dragon laws" of tax disputes are invalidated, tax rates for some types of activities are decreased, different tax preferences are introduced, legal step toward writing off tax arrears amounted to approximately billion GEL for 20 000 payers is made. Instead of 20 %, the income for giving a flat under lease , for realization of apartment or vehicle shall be taxed with 5%, etc.

One from the most important achievements is an agreement with EU regarding a deep and exhaustive free trade zone.

*ეთერ ხარაიშვილი*

**ფერმერულ მეურნეობათა მასშტაბები და აგრობიზნესის განვითარების საჭიროებები საქართველოში**

საქართველოში აგრობიზნესის განვითარებამ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს არა მარტო მოსახლეობის უსაფრთხო კვების პროდუქტებით დაკმაყოფილების, არამედ სოფლის ტერიტორიების განვითარების სტიმულირების თვალსაზრისითაც. ამ სფეროსადმი დიდი ყურადღება განვითარებულ ქვეყნებში რამდენიმე მოსაზრებით არის განპირობებული: სურსათით თვითუზრუნველყოფა ნებისმიერი ქვეყნისათვის ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოებისა და მდგრადობის გარანტიაა<sup>52</sup>; მოსახლეობაში საშუალო ფენის მკვეთრი ზრდა იწვევს აგროსასურსათო პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდას; დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის სოციალური დაცვის მიზნით, სახელმწიფოს სტრატეგიულ მიმართულებებში ამ სფეროს განვითარება ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებს; აგრობიზნესში ჩართული მოსახლეობა ტრადიციული საქმიანობით ხელს უწყობს სოფლად ქვეყნის რეკრეაციული და სოციალური ფასეულობების, ეროვნული იდენტურობისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას, ქალაქსა და სოფელს შორის სოციალურ-კულტურული განსხვავებების შემცირებას; აგრობიზნესის განვითარების საჭიროებების გამოვლენის მნიშვნელობას აძლიერებს მომავალში სურსათზე ფასების ზრდის პერსპექტივა.

ბოლო პერიოდში ევროკავშირის ქვეყნებში განხორციელებული აგრარული პოლიტიკის ანალიზმა გამოავლინა, რომ ამ სფეროში მნიშვნელოვანად გაიზარდა არაკონტროლირებადი დანახარჯები და გარკვეული საფრთხეები შეექმნა ფერმერულ მეურნეობათა განვითარების სტიმულებს. თუმცა, ამ საფრთხეს ევროკავშირმა სოფლის მეურნეობის დანახარჯების შესაბამისი შეზღუდვით უპასუხა. დღეს ევროკავშირის საერთო ბიუჯეტში სოფლის მეურნეობის გარანტირებული ხარჯების წილი 50%-ზე ბევრად ნაკლებ დონეზეა შენარჩუნებული<sup>53</sup>. აღნიშნული პოლიტიკით ევროკავშირმა შეძლო აგრარული სფეროს გრძელვადიანი სტაბილურობისა და მდგრადი ფერმერული მეურნეობების ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანი წინაპირობების შექმნა.

ფერმერები, როგორც მწარმოებლები, უფრო მეტად არიან დაინტერესებულნი ევროკავშირის საფასო პოლიტიკით, ვიდრე მომხმარებლები. მაღალი გარანტირებული ფასებით აგრარული პოლიტიკის დანახარჯები შედარებით ფართოდ ნაწილდება მომხმარებელთა მთელ ჯგუფზე მაშინ, როდესაც პირდაპირი ფულადი დახმარებების დანახარჯები ჯერ სახელმწიფო ბიუჯეტზე მოდის და მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი გადასახადების გადამხდელებისათვის მათი გადაცემა. ამ თვალსაზრისით, პირდაპირი დახმარებები მეტ კონტროლსა და დასაბუთებას მოითხოვს<sup>54</sup>. შესასწავლია სახსრების განაწილების საკითხი ფერმერულ მეურნეობათა მასშტაბების მიხედვითაც.

ზოგადად აგრობიზნესის წარმართვა ორი მთავარი პირობის გათვალისწინებას მოითხოვს: ა) სოფლის მეურნეობა მჭიდროდ უნდა იყოს ინტეგრირებული ადგილობრივ ეკონომიკასა და საზოგადოებასთან; ბ) სოფლის მეურნეობამ ძლიერი ინტეგრაციული კავშირებით უნდა შეძლოს, არსებითი გავლენა მოახდინოს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაზე, კერძოდ კონკურენციის, სოციალური ურთიერთობებისა და

<sup>52</sup> საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020 წწ., სოფლის მეურნეობის სამინისტრო, 2015, გვ. 29.

<sup>53</sup> Klump, R. Wirtschaftspolitik, Instrumente, Ziele und Institutionen, 2, aktualisierte Auflage, Muenchen, 2011, S.301.

<sup>54</sup> Klump, R. Wirtschaftspolitik, Instrumente, Ziele und Institutionen, 2, aktualisierte Auflage, Muenchen, 2011, S. 304.

ადგილობრივი ეკოსისტემის გაუმჯობესებაზე<sup>55</sup>. ამ პირობების შესრულების ერთ-ერთი გზაა ფერმერულ მეურნეობათა ოპტიმალური მასშტაბების განსაზღვრა და სოფლის მეურნეობის განვითარების პოლიტიკაში მისი ხელშეწყობის მიმართულელების ასახვა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღეს სასოფლო-სამეურნეო ნაღებების წარმოებაში, გადაამუშავებასა და ტრანსპორტირებაში მიმდინარეობს ახალ ტექნოლოგიებზე გადასვლა, ღრმავდება ვერტიკალური ინტეგრაცია ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე, შიდა ბაზარზე შეინიშნება გლობალური კონკურენციის მნიშვნელოვანი გავლენა, გამოიკვეთილია ბუნებრივი რესურსების დეფიციტისა და დეგრადაციის ნიშნები, იცვლება ფერმერული მეურნეობებისადმი საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხარდაჭერი პოლიტიკა და სხვ.<sup>56</sup>

საქართველოში ფერმერულ მეურნეობათა მასშტაბების კვლევას და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას ისიც განაპირობებს, რომ დღეს ქვეყანაში ძირითადად მცირემასშტაბიანი ფერმერული მეურნეობები დომინირებს. ფერმერთა 20% ერთ ჰა-მდე მიწის ნაკვეთს ფლობს და პროდუქტებს მხოლოდ საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად აწარმოებს, 75%-ს საკუთრებაში გააჩნია ერთიდან სამ ჰა-მდე მიწის ნაკვეთი და ისინი პროდუქტებს აწარმოებენ როგორც საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ასევე ბაზრისათვის, ფერმერთა მხოლოდ 5% არის 100 ჰა-მდე მიწის ფართობის მფლობელი და ბაზარზე ორიენტირებული<sup>57</sup>. მეურნეობათა ოპტიმალური მასშტაბების დადგენით ფერმერები შეძლებენ იმ დარგებში შეღწევას, რომელთანაც დღეს არ აქვთ პირდაპირი საწარმოო კავშირები ან ფუნქციური დამოკიდებულება. პროდუქტებისა და შემოთავაზებული მომსახურების სახეობების გაფართოებით კი მათი საქმიანობა ახალ სფეროებზე გავრცელდება. ფერმერულ მეურნეობათა მასშტაბების ზრდა გამოიწვევს ეროვნულ აგრო-სასურსათო პროდუქტებზე თვითუზრუნველყოფის მანქანებლების გაუმჯობესებას, შექმნის საერთაშორისო ბაზრებზე გასვლის მდგრად საფუძვლებს, ასევე, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სოფლის ტერიტორიების განვითარების სტიმულირებაში.

კვლევის მიზანია ფერმერულ მეურნეობათა ოპტიმალური მასშტაბების დასაბუთებისა და აგრობიზნესის საჭიროებების გამოვლენის საფუძველზე საქართველოში ბიზნესის ამ სახეობის განვითარების შესაძლებლობებზე რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის პროცესში გამოვიყენეთ შემდეგი მეთოდები: სამაგიდო კვლევა; ჩადრმავებული ინტერვიუები; SWOT ანალიზით გამოვავლინეთ პრობლემების გადაჭრის გზები პრიორიტეტების სქემის მეთოდით. მოპოვებული ინფორმაციის ანალიზი განხორციელდა დედუქციური მიდგომის საშუალებით; ანალიზი დაეფუძნა მონაცემების დაჯგუფებასა და მსგავსებების გამოვლენას/საერთო ტენდენციებისა და განსხვავებების იდენტიფიცირებას.

მრავალ ქვეყანაში აგრობიზნესის განვითარება სოციალურ მიზნებზე აკებული სიღარიბის წინააღმდეგ განხორციელებული პოლიტიკის შედეგია, ეს სოფლის მეურნეობის დარგის მხოლოდ პასიური როლის აღიარებაა, ხოლო, თუ სახელმწიფოსთან ერთად კერძო კაპიტალდაბანდებებისა და ინფრასტრუქტურის ზრდით სოფლის მეურნეობა, სოციალურ დატვირთვისთან ერთად, კომერციულ მნიშვნელობასაც შეიძენს, მაშინ იზრდება ფერმერთა კონკურენტუნარიანობა და დარგი ხდება ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა<sup>58</sup>.

წარმოების მასშტაბების შეფასება მნიშვნელოვანია დანახარჯი-სარგებლის ანალიზის თვალსაზრისით. ცხადია, ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება ზრდის წარმოების მასშტაბის გაფართოების შესაძლებლობას, ამცირებს დანახარჯებს პროდუქციის ერთეულზე, რაც, თავის მხრივ, მცირე მეურნეობების ფუნქციონირების ეფექტიანობას ეჭვის ქვეშ აყენებს. თუმცა, ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ, მცირემიწიან ქვეყნებში საპირისპირო ტენდენცია შეიმჩნევა, რათა ცალკეული პირების ხელში არ მოხვდეს მიწის დიდი ქსივები. მსხვილი ფერმების უპირატესობის ტრადიციული თეორიის კრიტიკა მე-20 საუკუნის შუახანებში დაიწყო<sup>59</sup>. 90-იანი წლების ბოლოს კი გაჩნდა ლიტერატურა, სადაც არის იმის მტკიცება, რომ მცირე ფერმების შრომის ეფექტიანობა ხშირად აღემატება მსხვილი ფერმების ეფექტიანობას<sup>60</sup>. მცირე ფერმების ეფექტიანობის მომხრე მეცნიერების არგუმენტაციით, მცირე ფერმებს პროდუქტის ერთ ერთეულზე დაბალი მოგება აქვთ, ვიდრე მსხვილ ფერმებს, მაგრამ ისინი უფრო მგრძობიარენი და მოქნილი არიან ტრანზაქციულ დანახარჯებთან მიმართებაში, ვიდრე მსხვილი ფერმები. მათი ეფექტიანობა არ არის მსხვილი ფერმების ეფექტიანობაზე დაბალი იმ შემთხვევაში, თუ მხედველობაში მივიღებთ მათი სამუშაო ძალის დაბალ ღირებულებას და გარე ეფექტებს<sup>61</sup>.

დღეს აუცილებელია საშუალო და მსხვილი ფერმერული მეურნეობების სტიმულირება და განვითარება. მცირემასშტაბიანი ფერმერული მეურნეობა კონკურენციას ვერ უწევს იმპორტულ აგროსასურსათო პროდუქტებს. საქართველოს ხელი აქვს მოწერილი ვეროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე, შესაბამისად ამ ბაზარზე გასატან პროდუქციას ძირითადად საშუალო და მსხვილმასშტაბიანი მეურნეობები შექმნიან, რადგან მხოლოდ ისინი შეძლებენ თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ცოდნის გამოყენებას და კონკურენციას გაუწევენ იმპორტულ პროდუქტებს. წარმოების მასშტაბების ზრდა და წარმოების უწყვეტი

<sup>55</sup> სოფლის მეურნეობის განვითარება ევროპაში, FAO-ს საინვესტიციო ცენტრი, სოფლის მეურნეობის განვითარების ტენდენციები, FAO. (რუსულ ენაზე). 2010, გვ. 28.

<sup>56</sup> ე. ხარაიშვილი, ფერმერულ მეურნეობათა დივერსიფიკაცია აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში, ე. „ეკონომიკა და ბიზნესი“, №2, 2012.

<sup>57</sup> ხარაიშვილი ე., კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში, თბილისი, 2011, გვ. 102.

<sup>58</sup> საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროს ტრანსფორმაცია, თბილისი, 2012, გვ. 10.

<sup>59</sup> Frank Ellis & Stephen Biggs. 2001. Evolving Themes in Rural Development 1950s-2000s. Development Policy Review. 2001, 19 (4). p. 440. [http://www.geo.unizh.ch/~backhaus/asien\\_texte/8\\_Ellis\\_etal\\_2001.pdf](http://www.geo.unizh.ch/~backhaus/asien_texte/8_Ellis_etal_2001.pdf).

<sup>60</sup> Ernst Lutz. 1998. Agriculture and the environment: perspectives on sustainable rural development. World Bank. p. 57.

<sup>61</sup> საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროს ტრანსფორმაცია: თბილისი, 2012, გვ. 9.

ჯაჭვის შექმნა გამოიწვევს იაფ იმპორტულ აგროსასურსათო პროდუქტებთან კონკურენტული უპირატესობის მოპოვებას.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2013 წლის 1 მაისის მონაცემებით, საქართველოში დაახლოებით 800 000 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაა, მათგან დამუშავდა 400 000 ჰა მიწის ფართობი<sup>62</sup>. 2013 წელს თითქმის გაორმაგდა დამუშავებული მიწის ფართობების რაოდენობა, მაგრამ დინამიკაში მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ 1990 წლის შესაბამისი მაჩვენებლის დონე კვლავ მიუღწეველია<sup>63</sup>. მნიშვნელოვანი პრობლემაა მიწის ნაკვეთების წვრილკონტურიანობა, რაც ბაზარზე ორიენტირებული წარმოების საშუალებას არ იძლევა.

მცირე ნაკვეთების ფარდობითი სიხშირე მიწის მთლიან ფონდში მაღალია. მიწის ფრაგმენტაციის მაჩვენებლების შესწავლით ირკვევა, რომ მრავალწლიანი და ერთწლიანი ნაკვეთების ფრაგმენტაცია თითქმის მსგავსია. ერთი ნაკვეთის საშუალო ფართობის აბსოლუტური უმრავლესობა 5 ჰექტარზე ნაკლები ზომისაა და ეს კანონზომიერება ვრცელდება სათიბ-საძოვრებზეც<sup>64</sup>. ამგვარად, მიწის რესურსის ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობები ამ თვალსაზრისით ჯერ კიდევ გამოუყენებელია, რაც აგრობიზნესის განვითარების მნიშვნელოვანი შემაფერხებელი პირობაა.

მიწის საშუალო ფართობი ერთ მეურნეობაზე გაანგარიშებით დიფერენცირებულია ქვეყნების მიხედვით, მაგალითად, ევროკავშირში ეს მაჩვენებელი 14.1 ჰექტარია, ლიტვაში 13.7, ბელგიაში 31.7, ლუქსემბურგში 59.3, ბულგარეთში 9.8, უნგრეთში 8.0, ჩეხეთში 152.4, ნიდერლანდებში 26.0, დანიაში 64.6, ავსტრიაში 19.5, გერმანიაში 55.8, პოლონეთში 9.6, ესტონეთში 47.7, პორტუგალიაში 12.0, ირლანდიაში 32.3, რუმინეთში 3.4, საბერძნეთში 5.8, სლოვენიაში 6.4, ესპანეთში 24.0, სლოვაკეთში 28.1, საფრანგეთში 52.6, ფინეთში 35.9, იტალიაში 7.9, შვედეთში 43.5, კვიპროსში 3.1 ჰექტარია<sup>65</sup>.

*ცხრილი 1*

**ფერმერულ მეურნეობათა რაოდენობა და მასშტაბი საქართველოში<sup>66</sup>**

ფერმის ზომა (ჰა)	ფერმების რაოდენობა	%
<0,1	57 019	8.24
0.1დ1	462 340	66.85
1დ5	160 993	23.28
5დ50	10 112	1.46
50დ500	1 041	0.15
500>	72	0.01
<b>სულ</b>	<b>691 577</b>	<b>100.0</b>

საქართველოში ფერმერულ მეურნეობათა აბსოლუტური უმეტესობა უკიდურესად მცირე მასშტაბისაა და შესაბამისად ორიენტირებულია მხოლოდ საკუთრი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემებით, საშუალოდ ერთი შინამეურნეობის საკუთრებაშია 1.32 ჰა მიწის ფართობი, რომელიც შედგება დაახლოებით 0.45 ჰა ფართობის საშუალოდ 2-3 მიწის ნაკვეთისაგან. 5 ჰა-ზე უფრო ნაკლები ფართობის მიწის ნაკვეთების წილი ფერმერული მეურნეობების საერთო რაოდენობაში 98.4%-ს შეადგენს. შედარებით ნაკლები, თუმცა, მაინც საკმაოდ დიდია ამ ზომის ნაკვეთების წილი მიწის საერთო ფართობში – 63.4%. საქართველოს რეალობაში, ნებისმიერი ფერმერული მეურნეობა 2-3 ჰა-ზე ნაკლები მიწის ფართობით, იძულებულია, ნატურალურ მეურნეობას მისდოს. 5 ჰა-ზე მეტი სიდიდის მეურნეობას კი უკვე შეუძლია წარმოებული პროდუქციის ნახევარი ბაზარზე გაიტანოს. ბუნებრივია, ეს მაჩვენებელი იცვლება სასოფლო-სამეურნეო კულტურის სახეობისა და ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით. თუ დაუშვებთ, რომ მხოლოდ 5 ჰა-ზე მეტი მასშტაბის მეურნეობები ატარებენ ბაზარზე ორიენტირებულ დატვირთვას, მაშინ ამგვარი მეურნეობების რაოდენობა დაახლოებით 11 500 შეადგენს, რაც ქვეყანაში არსებული მეურნეობების 2%-ზე ნაკლებია. მიწების ფრაგმენტაცია მრავალ პრობლემას წარმოშობს და, შესაბამისად, დღეს საქართველოში არაეფექტიანი მიწის ბაზარი ფუნქციონირებს. აღნიშნულის გამო ფერმერულ მეურნეობებში ძალიან დაბალია მწარმოებლურობის დონე და ზოგადად დაკნინებულია სოფლის მეურნეობის დარგი. ექსპერტული შეფასებით გაირკვა, რომ კერძო საკუთრებაში არსებული ან იჯარით აღებული მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი არ მუშავდება. სტიმულირების ეფექტიანი მექანიზმების შემუშავებით აუცილებელია, მთავრობამ უზრუნველყოს წარმოების მასშტაბების ზრდა.

მიუხედავად მთელი რიგი პრობლემებისა, შეიძლება დავასკვნათ, რომ ბოლო წლებში აგრობიზნესის განვითარებაში საქართველოში ზრდის ტენდენციები აღინიშნება. აგრობიზნესის მიერ შექმნილი პროდუქციის ღირებულება 2014 წელს 10%-ით გაიზარდა 2013 წელთან შედარებით და 22%-ით 2012 წელთან შედარებით, ასევე, 5.3%-ით გაიზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება, ხოლო 13%-ით სოფლის მეურნეობის

<sup>62</sup> www.moa.gov.ge

<sup>63</sup> www.geostat.ge

<sup>64</sup> მიწის ბაზრის არსებული მდგომარეობა, ანალიზი და რეკომენდაციები, 2013, გვ. 5-6.

<sup>65</sup> www.epp.eurostat.ec.europa.eu/portal/page/portal/statistics

<sup>66</sup> 2004 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერის მონაცემები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

პროდუქტების გადამამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის გამოშვება. გაზრდილია აგრობიზნესის მთლიანი გამოშვების წილი ქვეყნის პროდუქციის მთლიან გამოშვებაში და ეს მაჩვენებელი 18%-ს შეადგენს<sup>67</sup>.

აგრობიზნესის საჭიროებები SWOT-ანალიზის საფუძველზე გამოვალდინეთ, შესაბამისად შევისწავლეთ აგრობიზნესის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. აღსანიშნავია, რომ ფერმერთა მოსაზრებები მცირე და საშუალო ზომის მეურნეობების SWOT-ანალიზის მიზნებისთვის მეტ-ნაკლებად მსგავსია და, შესაბამისად, გაერთიანებული სახით შემდეგია:

**ძლიერი მხარეები.** აგრობიზნესის განვითარებისათვის ერთ-ერთ ძლიერ მხარეს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მდიდარი ტრადიცია წარმოადგენს. ამასთან, ფერმერულ ოჯახებს გააჩნიათ მნიშვნელოვანი ცოდნა, რომელიც ამ საქმიანობის ეფექტიანად წარმართვაში ეხმარება. ტრადიციებთან ერთად, მნიშვნელოვან ძლიერ ფაქტორად განიხილება ადგილობრივი მოსახლეობის ძლიერი მოტივაცია, მიიღონ რაც შეიძლება მეტი ფინანსური შედეგი საკუთარი საქმიანობიდან. ასევე, აგრობიზნესის სფეროს ხელშეწყობით შესაძლებელი იქნება, ბუნებრივი პირობების შენარჩუნების გზით, კიდევ ერთი ძლიერი მხარის ადგილობრივი ნაყოფიერი ნიადაგებისა და ბუნებრივი-კლიმატური პირობების ეფექტიანი გამოყენება. აგრობიზნესის განვითარებისათვის საჭირო ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძლიერ მხარედ შეიძლება განვიხილოთ სახელმწიფო პროგრამების არსებობა, რომლებიც მიმართულია სოფლის მეურნეობის სექტორის მხარდასაჭერად.

**სუსტი მხარეები.** სუსტი მხარეებიდან უპირველესად უნდა განვიხილოთ მცირე და საშუალო ფერმერების დაბალი კვალიფიკაცია, რომელიც ხელს უშლის მათ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანად წარმართვასა და სხვადასხვა საგრანტო თუ სასესხო პროგრამებში მონაწილეობაში. სუსტ მხარეებში განიხილება სხვადასხვა შედეგითანი სესხებისა და გრანტების მოსაპოვებლად საჭირო რთული პროცედურები, სასუქებით და შხამქიმიკატებით მოვარგების სუსტი კონტროლი, რის გამოც ფერმერებს უხარისხო პროდუქცია მიეწოდებათ. ფერმერებისათვის რთულია ხარისხიანი შხამ-ქიმიკატების გარჩევა შედარებით დაბალი ხარისხიანისაგან. დამატებით სუსტ მხარედ შეიძლება განვიხილოთ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე დაბალი ხელმისაწვდომობა. მცირე ფერმერების აზრით, ტექნიკის რაოდენობა უნდა იყოს შესაბამისი და მათი ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი აგროვადების შესაბამისად.

აგრობიზნესის განვითარების ერთ-ერთი პრობლემაა მცირე და საშუალო ფერმერების მხრიდან ბაზარზე ფაქტობრივად არსებული პროდუქტების არსებობა, რაც ართულებს ადგილობრივი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების რეალიზაციას. განვითარების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად აგრონომებსა და ვეტერინარებზე დაბალი ხელმისაწვდომობაც არის. იმავე რანგში შეიძლება განვიხილოთ სხვადასხვა ხელშეწყობის პროგრამებისა და პროექტების შესახებ ხშირად ზუსტი და სრულყოფილი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა. აგრობიზნესის განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს აგროდაზღვევის პროდუქტების არარსებობა. სპეციალური სახელმწიფო პროგრამები ამ მიმართულებით უზრუნველყოფს ზარალის ანაზღაურებას და შესაბამისად წვრილმასშტაბური მეურნეობების სტიმულირებას. სუსტ მხარედ უნდა მივიჩნიოთ მემცენარეობასა და მეცხოველეობაში დაბალპროდუქტიული ჯიშების არსებობა.

**შესაძლებლობები.** აგრობიზნესის განვითარების ერთ-ერთი შესაძლებლობაა ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის მიხედვით კონკურენტუნარიანი პროდუქტების წარმოება, შესაბამისად მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგების ოპტიმალური სტრუქტურის ფორმირება. აგრობიზნესის საჭიროებად და შესაძლებლობად გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა/გაფართოება უნდა განვიხილოთ, მნიშვნელოვან საჭიროებას წარმოადგენს პროფესიული სწავლების ხელშეწყობაც. აგრობიზნესის განვითარების მიზნით ერთ-ერთი შესაძლებლობაა მცირე და საშუალო ფერმერულ მეურნეობებში არსებული ჯიშების განახლებით მიღებული შედეგები.

აგრობიზნესის განვითარებაში გარკვეულ წვლილს შეიტანს კონსულტაციებისა და სწავლების მომსახურების მიწოდება ფერმერებისათვის. აღნიშნული პროცესი გამოიწვევს აგრობიზნესისათვის საჭირო რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებასა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას.

წარმოების მასშტაბების გაზრდისა და საქმიანობის გასაფართოებლად ერთ-ერთ მნიშვნელოვან შესაძლებლობად უნდა მივიჩნიოთ კოოპერატივების შექმნა და ბაზარზე გაერთიანებული რესურსებით ოპერირება და სხვ.

**საფრთხეები.** აგრობიზნესის განვითარებისათვის ერთ-ერთ საფრთხეს წარმოადგენს სოფლის მეურნეობიდან ცოდნის გადინების საშიშროება. ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაზე უარყოფითად აისახება ახალგაზრდების მიგრაციის მაღალი დონეც. ფერმერული მეურნეობებისათვის მნიშვნელოვანი საფრთხეა შხამქიმიკატების გამოყენების შედეგად გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება, რაც მნიშვნელოვნად აზიანებს გარემოს და ართულებს მომავალში ხარისხიანი პროდუქციის წარმოებას. აგრობიზნესის განვითარების შემაფერხებელი საფრთხეა მანებლებსა და დაავადებებთან ბრძოლის საშუალებებზე დაბალი ხელმისაწვდომობა. იმავე რანგში საფრთხედ უნდა განვიხილოთ ბუნებრივი მოვლენებიც: გვალვა, სეტყვა, წყალდიდობა და სხვ.

კვლევის შედეგად ფერმერულ მეურნეობათა მასშტაბებისა და აგრობიზნესის განვითარების საჭიროებათა შესახებ შემიძლია ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები გამოვიკეთა:

ფერმერულ მეურნეობათა უმეტესობა საქართველოში წვრილმასშტაბურია, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს სურსათზე მიწოდების მდგრადობასა და სიღარიბის დაძლევაში მნიშვნელოვანი როლის შესრულებას. წარმოების მასშტაბების ზრდისათვის აუცილებელია შესაბამისი ხელშეწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, მთავრობამ დახმარება უნდა გაუწიოს ფერმერთა კოოპერატივების განვითარებას, რითაც მოხდება ბაზარზე გაერთიანებული რესურსებით ოპერირება. აღნიშნული პროცესი მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა ფერმერთა საქმიანობის გასაფართოებლად და სურსათზე მდგრადი მიწოდების ჯაჭვის შესაქმნელად.

<sup>67</sup> <http://www.moa.gov.ge>

ფერმერულ მეურნეობებში წარმოების ეფექტიანობაზე უარყოფითად მოქმედებს მიწების ფრაგმენტაცია; მიწის რესურსების ეფექტიანი გამოყენების შესაძლებლობები ჯერ კიდევ მიუღწეველია, რაც აგრობიზნესის განვითარების მნიშვნელოვანი შემაფერხებელი პირობაა. ფრაგმენტაციის მოწესრიგებასა და ფერმერულ მეურნეობათა მასშტაბების ზრდას ხელს შეუწყობს ფორმალიზებული მიწის ბაზრის ფორმირება.

წვრილმასშტაბური და საშუალო ფერმერული მეურნეობებისათვის პრობლემაა კვალიფიციურ კადრებზე ხელმისაწვდომობა. სამუშაოს მაძიებელთა ბაზის შექმნით გაუმჯობესდება სასოფლო-სამეურნეო სფეროში კვალიფიციური კადრების მოზიდვის შესაძლებლობები; კვალიფიციურ მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის დარგში მწარმოებლურობის გაზრდას. მიზანშეწონილია კვალიფიციურ აგრონომებსა და უპირატესად ვეტერინარებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ფერმერული მეურნეობებისათვის.

მსხვილი ფერმერებისათვის შეღავათიანი სესხი მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომია, მცირე და საშუალო ფერმერებისათვის თითქმის არ არსებობს შეღავათიანი აგროსესხების მიღების შესაძლებლობა. საჭიროა მცირე ფერმერებზე გათვლილი ბიზნესსესხების და ბიზნესგრანტების პროგრამების განხორციელება.

მცირე ფერმერებს ურთულდებათ მსხვილ ფერმერებთან კონკურენცია. თანამედროვე ტენდენციების მიხედვით, სოფლის მეურნეობის განვითარება მნიშვნელოვან როლს თამაშობს დამოკიდებული მცირემასშტაბიან ფერმერულ მეურნეობათა წარმატებაზე. აუცილებელია ასეთ ფერმერულ მეურნეობებზე საინვესტიციო აქცენ-ტის გაკეთება და მათთვის დახმარების შეთავაზება აგროსასურსათო პროდუქტების კომერციალიზაციაზე. ასეთ პირობებში აგრარული პოტენციალის მქონე მცირე მეურნეობები შეძლებენ სიღარიბის დაძლევის ფუნქციიდან აგროსასურსათო პროდუქტების კომერციულ შესაძლებლობებზე გადასვლას.

ფერმერული მეურნეობებისათვის პრობლემას წარმოადგენს აგროსასურსათო ნედლეულის მომხმარებლების მოძიება და შენახვა. სასურველია შეიქმნას ახალი გადამამუშავებელი საწარმოები, სადაც ფერმერები ნედლეულს მიაწვდიან. შესაბამისად, აუცილებელია გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის ხელშეწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება.

დაბალია ფერმერთა უმეტესობის ცოდნის დონე თანამედროვე ტექნოლოგიების, კონკრეტული დარგების განვითარების ტენდენციების, წარმოებისათვის საჭირო რესურსების (ხარისხიანი სასუქები, შხამ-ქიმიკატები და სხვ.), აგროსასურსათო პროდუქტების შიდა და საერთაშორისო ბაზრების შესახებ. აგრობიზნესის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ფერმერებისათვის შესაბამისი საინფორმაციო ბაზის შექმნა, მათთვის სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამებისა და კონსულტაციების მიწოდება.

საქართველოში აგრობიზნესის განვითარების სტრატეგია ჯერჯერობით მხოლოდ ფრაგმენტულად და დარგის ცალკეულ დონეზეა გააზრებული. აუცილებელია სტრატეგიების შემუშავება კომპლექსურად, მთლიანად დარგის დონეზე.

*Eter Kharaihvili*

## SCALES OF FARMS AND NEEDS FOR AGRIBUSINESS DEVELOPMENT IN GEORGIA

### Annotation

Considering the existing trends in Georgian agriculture, the necessity of agribusiness development is confirmed, the quantity and scales of farms are analyzed. Special attention is dedicated to small-scale farms; the frequency of areas of such farms in total agricultural land is studied. The role of production scale in terms of increasing productivity is assessed; based on expenditure-income analysis, correlation between scale and profitability of the farming is revealed.

Opportunities for gaining competitive advantages received through increasing the scales of farms and establishing continues chain of production is approved in the report.

In order to reveal agribusiness needs SWOT analysis is conducted; the strengths, weaknesses, opportunities and threats that faces agribusiness developments are demonstrated through detailed analysis of the sector.

Based on conducted research, conclusions are made about the agribusiness actual needs in Georgia and relevant recommendations are developed.

*რეზა ჯავახიშვილი*

### საქართველოს საბარჟო ვაჭრობის ევროკავშირის კურსი

ევროკავშირთან ასოცირების გზაზე, ევროპულ ღირებულებათა დამკვიდრებასთან ერთად, ქვეყნის წინაშე განსაკუთრებით დიდი გამოწვევებია ეკონომიკის, მ.შ. სავაჭრო, საბაჟო და სავადასახადო სფეროებში. ამ მხრივ ძალზე დიდი წარმატებები აქვთ მოპოვებული ევროკავშირის წევრ-ქვეყნებს, რომელთა გამოცდილების გაზიარება აუცილებელია საქართველოს წარმატებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.

ევროკავშირთან საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს თავისი ისტორია აქვს. მხარეებს შორის 1996 წელს გაფორმდა და 1999 წლიდან ძალაში შევიდა „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება“, რომელმაც ევროგაერთიანებასა და ყოფილ საბჭოთა კავშირს შორის 1989 წელს ხელმოწერილი ეკონომიკური და კომერციული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება ჩაანაცვლა. აღნიშნული შეთანხმებით ევროკავშირმა ივადღებულა, ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში ჩართულ ქვეყნებს (მ.შ. საქართველოს) დახმარებულა ეკონომიკის სფეროში თანამშრომლობის გადრმავევაში, რაც ითვალისწინებდა ევროკავშირის შიდა ბაზარში ჩართვას – კაპიტალის, სამუშაო ძალის, საქონლისა და მომსახურების თავისუფალ გადაადგილებას. ყოველივე ეს სრულად აისახა, ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში, 2006 წელს ხელმოწერილ საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმაში, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს კანონმდებლობისა და სტანდარტების ევროკავშირის შესაბამის ნორმებთან დაახლოებას.

ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოებამ კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა მას შემდეგ, რაც რუსეთმა 2006 წელს საქართველოს გამოუცხადა ცალმხრივი სავაჭრო ემბარგო, რითაც აიკრძალა რუსეთის ბაზრებზე ქართული პროდუქციის რეალიზაცია. ამან, თავის მხრივ, განსაზღვრა ქვეყნის ძალისხმევის ზრდა ახალი, პირველ რიგში, ევროპული ბაზრების მოძიების მიმართულებით. ამის შედეგად განხორციელდა ევროპულ ბაზრებზე ქართული პროდუქციის დივერსიფიკაცია და საქართველოს იმპორტში ევროკავშირის წილის საგრძნობი გადიდება, რის შედეგადაც 2013 წელს მათ შორის სავაჭრო ბრუნვამ 2879 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, წინა წლებთან შედარებით 3%-ით გაიზარდა და ქვეყნის სავაჭრო ბრუნვის 27% დაიკავა. ამავე წელს ევროკავშირთან ექსპორტი 72%-ით გადიდა და ქვეყნის ექსპორტის 21, ხოლო იმპორტის 7%-ით შემცირების მიუხედავად, მან მთლიანი იმპორტის 29% შეადგინა.

საქართველო-ევროკავშირის შორის სავაჭრო ბრუნვის ზრდის ტენდენცია 2014 წელსაც გაგრძელდა, რაც ნათლად ჩანს 1-ლი ცხრილიდან.

ცხრილი 1

საქართველოს საბარეო ვაჭრობა ევროკავშირთან 2014 წელს [6]

	სავაჭრო ბრუნვა /ათასი აშშ დოლარი/	მათ შორის	
		ექსპორტი	იმპორტი
ევროკავშირის ქვეყნები - სულ	2990160	620805	2369355
მ.შ. ავსტრია	76917	4837	72081
ბელგია	110291	41675	68616
ბულგარეთი	373864	164090	209774
გაერთიანებული სამეფო	119589	24671	94918
გერმანია	534995	69142	465853
დანია	13751	1053	12699
ესპანეთი	160582	70314	90268
ესტონეთი	7902	2501	5401
ირლანდია	9914	155	9759
იტალია	307812	86193	221619
კვიპროსი	4080	537	3544
ლატვია	28473	8047	20426
ლიტვა	76598	31764	44834
ლუქსემბურგი	2931	-	2931
მალტა	1580	53	1527
ნიდერლანდები	179649	31169	148481
პოლონეთი	103984	10091	93893
პორტუგალია	38683	1816	36867
რუმინეთი	315694	4294	311401
საბერძნეთი	131283	13752	117531
საფრანგეთი	157241	26813	130428
სლოვაკეთი	33295	11198	22096
სლოვენია	21669	586	21083
უნგრეთი	60597	777	49819
ფინეთი	18017	659	17358
შვედეთი	10642	262	10381
ჩეხეთი	81268	14165	67103
ხორვატია	8857	191	8666

2014 წელს, წინა წელთან შედარებით, ევროკავშირთან სავაჭრო ბრუნვა 4% -ით გაიზარდა და 2990 მლნ აშშ დოლარი, ანუ ქვეყნის საბარეო ვაჭრობის ბრუნვის 26,1% შეადგინა. ამავე პერიოდში ექსპორტი 2%-ით გადიდა და ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 22% შეადგინა, ხოლო იმპორტი გაიზარდა 4%-ით და მან ქვეყნის მთლიანი იმპორტის 28% დაიკავა.

ექსპორტის ზრდა დაფიქსირდა შემდეგი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარჯზე: თხილი და კაკალი, ძირითადი ბაზრები: გერმანია, იტალია, ესპანეთი, ჩეხეთი, ბელგია; ღვინო (პოლონეთი, ლატვია, ნიდერლანდები, ლიტვა); ხილ-ბოსტნეულის წვენი (გერმანია, ნიდერლანდები); მინერალური წყალი (ლიტვა და ლატვია); ხილ-ბოსტნეულის კონსერვები (გერმანია და სლოვაკეთი); კლევა დაფიქსირდა სპირტიანი სასმელებზე (ნიდერლანდები და საფრანგეთი).

სამრეწველო პროდუქციიდან ექსპორტის ზრდა განხორციელდა შემდეგ სასაქონლო ჯგუფებში: სპილენძის მადანები და კონცენტრატები (ბულგარეთი და ესპანეთი); ახალი საბურავები (გაერთიანებული სამეფო და ნიდერლანდები); სამკურნალო საშუალებები (ლიტვა და პოლონეთი); ფეროშენადნობები (ესპანეთი, საფრანგეთი, გაერთიანებული სამეფო). კლევა დაფიქსირდა: მინერალური სასუქები, ნედლი ნავთობი, მანგანუმის ოქსიდები. გასულ წელს ქვეყანაში შემოტანილ იქნა 98,6 მლნ დოლარით, ანუ 4%-ით მეტი პროდუქცია. ქვეყანაში სულ იმპორტირდა 250 მლნ დოლარის სოფლის მეურნეობის პროდუქცია, 24%-ით მეტი, ვიდრე წინა წელს. იმპორტის ზრდა მოხდა სპირტიანი სასმელების (საფრანგეთი, გაერთიანებული სამეფო და ნიდერლანდები), გაყინული ღორის ხორცის (გერმანია, ესპანეთი, ნიდერლანდები და იტალია); გაყინული თევზის (ესპანეთი, ნიდერლანდები); შაქრის (რუმინეთი, ჩეხეთი, ბელგია); ლუდის (გერმანია, ნიდერლანდები, ჩეხეთი) ხარჯზე. კლევა კი დაფიქსირდა ძხვეულის (ავსტრია, გერმანია); შესქელებული რძის და ნაღების (ლიტვა, ბელგია, ჩეხეთი) შემოტანის შემცირების გამო.

გასულ წელს ქვეყნის იმპორტის ზრდა დაფიქსირდა შემდეგი სახის სამრეწველო პროდუქციის შემოტანის ხარჯზე: ნავთობი და ნავთობპროდუქტები – შემოტანილ იქნა სულ 523 მლნ დოლარის, 37 მლნ-ით მეტი, წინა წელთან შედარებით (რუმინეთი, ბულგარეთი და სახელმწიფო); კანის მოვლის კოსმეტიკური საშუალებები (პოლონეთი, საფრანგეთი, ბელგია, გერმანია, ნიდერლანდები); სპილენძის მადანები და კონცენტრატები (პორტუგალია); აპარატურა მიმღები სატელევიზიო კავშირისათვის (უნგრეთი, ლიტვა, სლოვაკეთი და ნიდერლანდები); ჭურჭლის სარეცხი მანქანები (გერმანია, იტალია); სამკურნალო საშუალებები (გერმანია, უნგრეთი, საფრანგეთი, ავსტრია, ბულგარეთი, ნიდერლანდები); მუყაოს ქაღალდი (საფრანგეთი, შვედეთი).

იმპორტის კლება მოხდა შემდეგი სახის სამრეწველო პროდუქციის ხარჯზე: ამწე-ჩასატვირთი მოწყობილობები (გერმანია, გაერთიანებული სამეფო, იტალია); მერქან-ბურბუშელის ფილები (რუმინეთი, იტალია და პოლონეთი); მსუბუქი ავტომობილები (გერმანია, გაერთიანებული სამეფო, ნიდერლანდები, იტალია და საფრანგეთი).

სამომავლოდ, ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების შეთანხმებით განისაზღვრა ახალი ამოცანები და რეგულაციები. მხარეები ვალდებული არიან ითანამშრომლონ ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების (GATT-ის) და მისი სამართალმემკვიდრე – ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო-ს) მოთხოვნების შესაბამისად. კერძოდ:

- შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან მხარეებმა უნდა გააუქმონ ყველა საბაჟო გადასახადი მეორე მხარეში წარმოშობილ პროდუქციაზე;

- სპეციალურ დანართში ჩამოთვლილი სატარიფო კვორტების ფარგლებში, გადასახადის გარეშე უნდა იქნეს იმპორტირებული საქონელი ევროკავშირში, გადაჭარბებით იმპორტირებისას კი გამოყენებული უნდა იქნეს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის შესაბამისი საბაჟო გადასახადის განაკვეთი;

- შეთანხმებიდან ხუთი წლის შემდეგ მხარეებმა უნდა გამართონ კონსულტაციები ვაჭრობაში საბაჟო ტარიფების ლიბერალიზაციის მასშტაბის გაფართოებასთან დაკავშირებით.

If we wish to reach above-mentioned goal, we need to develop new forms of relationships between individuals and society or between society and state, such as solidarity, tolerance, confidence, cooperation, i.e. we need to develop social capital and first of all its the prerogative of educational system. Besides, we must overcome certain “deficiency of thought”, spontaneity, emotionality, near-sightedness upon making societal decisions and establish analysis and far-sightedness. We must be oriented on long-term results instead of instant effects. Our country should be genuinely democratic. It means that population should actively participate in decision-making process; level of democracy doesn't depend only on possibility of protest. We need to begin active dialogue between population and government.

As chairman of Georgian community in Switzerland, Giorgi Kavkasidze notes, there is significant difference between western and our value system, as well as way of thinking. The main difference is that in western world every action is oriented on result, whereas here orientation is principle. We are more negative and western people are more positive. Besides, they are more direct and open-hearted. We are indisciplined and don't respect laws, while western population deeply respects and obeys laws. The reason for such difference is value system. Therefore, we must synthesize western values with our culture and lifestyle.

Georgia is oriented on Euro-Atlantic values. Georgian society almost fully agrees to western course of our country. Therefore, it's natural to ask, whether we will lose our values or not. Ia Antadze notes: “Uncertainties about national identity are often provoked in society's conscience. They ask: Is there danger for Georgian traditions? Are the values respected by many generations degraded? We often hear the protest about the TV production: “it's inadmissible to show so much blood”; “moral of serials is malignant for youth”; “Hollywood movies promote cult of violence”. [1, p. 5].

Reasonable answer to above-mentioned questions is that “if in Georgia values are changing, level of aggression is increasing or traditions are losing, reason for this lies in our families and environment. If a role of culture is degraded or if scientists feel themselves useless, our society and government is responsible for this. European integration isn't dangerous for national identity and experience of old or new members of European Union approves it. If fear of losing of national identity has any foundation, we must find it in ourselves and not in Europe” [1, p. 5].

If we have ambitions to integrate with European Union and NATO, corresponding ammunition is necessary, i.e. we must change values, as members of European Union did. These countries reached for European values and integrated with each other without losing identity, eternal values or traditions. On the contrary, they strengthened and developed these values on the basis of integration. If we wish to reach for European values and become organic part of Europe, only judicial integration with European Union and NATO isn't enough. As it's said, “everything begins from cultural lifestyle, including disposition of our garbage and ends with political culture approved with even single precedent of peaceful change of government. We have to walk long and hard road till Europe...” [1, p. 5].

The main goal is to integrate our lifestyle and political culture with the standards of the modern civilized world. This is a chance of survival at the modern stage of globalization.

Where can we find source of perfection of our values? Generally, it's necessary to establish correct value system, but how can we do it? There are no universally accepted formulas. We must try together to define priorities, significant tasks and plan purposeful activities.

We must understand that as President of Georgia notes: “By making precedent of changing government with parliamentary and presidential elections, we could elevate to the new stage of state development. Post-Soviet era has ended and building of new, modern democracy has begun. We have founded new, European-type political culture. It doesn't matter what are the positions of citizens at the elections, we all have shared goal: peaceful, integrated, democratic, developed and free Georgia” [9].

President of Georgia in his speech outlines that our country must try to establish democratic governance, strengthen state institutions and guarantee participation of citizens in decision-making process. Especially important is to develop economy, create conditions for welfare and honorable living, peacefully and democratically develop Georgia, maintain cultural and ethnical identity, guarantee protection of political rights, unconditionally and safely return refugees to their homes, create conditions of honorable living for them and protect their rights.

#### REFERENCES

1. Antadze I. How it is close to Europe? "24 hours", 123 (1567), 2007.
2. Veshapidze Sh. Universal values and economic values. www.nplg.ge, 2012.
3. Veshapidze P. Lack of freedom of the press of tyranny, "24 hours", 121 (670), 24.05.2004.
4. www.news.ge. inaugural speech of the president. 17.11.2013
5. Kavkasidze G. What it is necessary to change in Georgia? "24 hours" 15.04.2009
6. Ivanishvili B. "Republic of Georgia" Report of the candidate of the Prime minister of Georgia '206 (7082), 2012.
7. <http://ge.boell.org/>
8. <http://iverioni.com.ge/print:page,1,5617-vulocav-am-istoriul-movlenas-yvelas-visthvisac-dzvirfasia-demokratiulighirebulebebi.html>
9. [http://eeas.europa.eu/delegations/georgia/key\\_eu\\_policies/human\\_rights/index\\_ka.htm](http://eeas.europa.eu/delegations/georgia/key_eu_policies/human_rights/index_ka.htm)

*Shota Veshapidze  
Nugzar Babuadze  
Tamari Beridze*

### EUROPEAN VALUES AND CHOICE OF GEORGIA (HUMAN DIGNITY, LAWFUL SOVEREIGNTY, DEMOCRACY AND WELLBEING)

#### Annotation

June 27, 2014 is an important date in the history of our country. On this day historical dream of every Georgian has come true. On this day our country approached to Europe as never before. Georgia has been artificially separated from Europe for hundreds of years. Georgia, as the country of ancient history and unique culture, will be contributor of diverse European culture. In the history of Georgia a new stage of development begins. We are at the beginning of the road, which will deepen and consolidate our relationships with European countries.

Georgian people chose European and Euro-Atlantic integration as the one and only foreign political orientation that completely corresponds to our values and aspirations on the path leading to democracy, peace and welfare. For Georgia European values are natural. Our country just returns to these values. Our sociological study shows how Georgian society estimates European choice. For great majority of respondents, attractiveness of Europe is related to human rights, sovereignty of law and democracy. They like the fact that in Europe family, individual, citizen and society are protected. State's main goal is to create honorable life conditions. Europe enables us to take advantage of non-reversible processes of globalization.

Europe has concrete examples how small nations can survive and maintain their identity in its area. Study shows that for ordinary citizen, Europe is an alliance of rich countries, where different values are accepted, until they become dangerous for society. To reach this goal, state agencies, civil organizations, educational institutions and media must work to provide corresponding education and informational facilities.

*რამაზ ნამიჭვიშვილი*

**საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე პრობლემები  
ნიკო ნიკოლაძის შრომაში „მამულის სიყვარული და მსახურება“<sup>68</sup>**

ნაშრომში გადმოცემულია ნიკო ნიკოლაძის კრიტიკული შეხედულებები საზოგადოებრივი განვითარების იმ პერიოდზე, როცა შესაძრწევი ხდებოდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე. წარმოჩენილია დიდი ნიკოსეული თვისებრივი პიროვნული მახასიათებლები, რომლებიც პატრიოტს უნდა ჰქონდეს, რომ ქვეყნისა და ხალხის სამსახური შეძლოს. გამორჩეული განხილულია ნიკოლაძისეული თვალსაზრისის ის მიმართულებები, რომლებიც დღესაც პრობლემურია თანამედროვე საქართველოსთვის.

”ღვთის მადლით ფხიზლდება და იღვიძებს ნელ-ნელა ჩვენი ქართველობა, მოძრაობას იწყებს ცოტ-ცოტად ჩვენი ქვეყანა. როგორც იქნა ამ დღესაც მოვესწარით” – ასე იწყებს ნიკო ნიკოლაძე თავის ნაშრომს და იქვე აღნიშნავს, რომ ბოლო 15-20 წლის მანძილზე ასეთი რამ არ შეინიშნებოდა და ყველა თავის თავზე ფიქრობდა – რა ვიშოვნო, რა შევიძინო და სამსახურში როგორ დავწინაურდეთ. ამის შემდეგ ამნაირი დღე ჩვენს მამულს ღმერთმა ნუ მოასწროსო. დაწვრილებით აღწერს იმ პერიოდს, როცა ქართველს ოლონდაც პირადი კეთილდღეობისთვის მიეღწია და სამშობლოს გამყიდველთანაც კი იჭერდა საქმეს. ყველაფერს პირადი სარგებლის პრიზმაში უყურებდა. არც თავისი თვისტომის ჩაშვებასა და დაბეზღებას თაკილობდა, ქართულ ენასაც არაფრად აგდებდა – რაში გამომადგებაო.

ნიკო ნიკოლაძე განუმეორებელი ტალანტია ქვეყნის ისტორიაში, რომელსაც არა მარტო უზარმაზარი თეორიული განათლება ჰქონდა და სიცოცხლის ბოლომდე ავართოებდა მის ჰორიზონტს, არამედ შეეძლო

<sup>68</sup> ნიკო ნიკოლაძის შრომა „მამულის სიყვარული და მსახურება“ პირველად 1880 წ. გამოიცა, მეორედ – 1914 წ., მესამედ – 1985 წ. დაიბეჭდა ნ. ნიკოლაძის თხზ. მე-7-ე ტომში. ამ წიგნის ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებში აღნიშნულია, რომ შრომას ჯეროვანი ყურადღება არ მოჰყოლია. 135 წელიწადი გავიდა მას შემდეგ და ბატონი ნიკოს ეს ნაჯაფარი კვლავ რჩება ჩვენი ცხოვრების უმთავრეს პრობლემად, რომლის გადაწყვეტაზე დამოკიდებულია ჩვენი სამშობლოს მომავალი.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, ჰქონდა შორსმჭვრეტელოური ინტუიციური ხედვა... როცა ის ზემოთ დასახელებულ შრომას წერდა, მაშინ მეცნიერება ტექნოლოგიების ციკლურ ხასიათს არ იცნობდა, რომელიც მეოცე საუკუნის 30-იან წლებში შეიქმნა ნ. კონდრატევის მიერ. პირველი ტექნოლოგიური ტალღა 1790 წლიდან იწყება, როცა საქონლო დაზგა გამოიგონეს, რასაც ევროპის საზოგადოებრივი აზროვნების მასობრივი გამოცოცხლება მოჰყვა. ნიკო ნიკოლაძე ხედავდა და გრძნობდა იმ ცვლილებებს, რომელსაც სტიქიურ ძალებს უწოდებდა, რომელიც დრომ გამოიწვია და რომელიც სერუპულოზურ შესწავლას მოითხოვდა, რათა იგი საზოგადოების სასიკეთოდ გამოყენებულიყო. თუ ქვეყანა პროგრესს ვერ მიხვდება და მის ბორცს მიღმა დარჩება, თვისტომობას ანუ დამოუკიდებლობას ვერ მოიპოვებს. თუმცა მისი შემწევა ძნელია და როგორც თვითონ წერს, მერე ქვეყნებს რთული გზის გაველა უხდებათ. ამის მაგალითად მას რუსეთი მოჰყავს და პეტრე პირველის და ეკატერინე მეორის რეფორმებს იმეორებს, რისი წყალობითაც მაშინ რუსეთი ფეხზე წამოიმართა და ევროპის ყურადღებაც დაიმსახურა. საქართველოში მას მ. გორონცოვის რეფორმები ხიბლავდა და მოსწონდა კიდევ მისი გატარების მეთოდები ერთმანეთთან შედარებით.

ბატონი ნიკო ხაზს უსვამდა იმასაც, რომ პროგრესს თავისი პიონერი და მიმდევარი ქვეყნები ჰყავს, რომლითაც განპირობებულია ამ ქვეყნების სოციალური და ეკონომიკური განვითარების ხარისხი. იგი იზიარებდა განვითარების სტადიების კლასიფიკაციას და ახასიათებდა მის ოთხ პერიოდს. პირველს უწოდებს ყრმობის პერიოდს, როცა ხალხი სხვაზე არის დამოკიდებული და თვითშემოქმედებითობის უნარი დაკარგული აქვს. მეორე პერიოდს მიმბაძველობას არქმევს, როცა ქვეყანა უცხოელთა დაწინაურებას ხედავს და მონურად ბაძავს მას. მესამე ისეთი პერიოდია, როცა ხალხი დარწმუნდება, რომ მიბაძვა მნიშვნელოვან წარმატებებს არ აძლევს და ტრადიციული განვითარების გზებს უბრუნდება. მეოთხე პერიოდი ეს არის „самобытного творчества“, რომელსაც იგი თავისებურ შემოქმედებად თარგმნის. ამ პერიოდს ახასიათებს უცხოური მიღწევების ეროვნულ თავისებურებებთან შესამება, ინტეგრაცია.

ბატონი ნიკო აღნიშნავს, რომ მიბაძვის პერიოდი ერთობ ხანგრძლივი იყო ჩვენში, მტერი მოსვენებას არ გვაძლევდა, ერთს მეორე მოჰყვებოდა, მეორეს – მესამე და ედგა ქვეყანას გაუთავებელი რიგი ისტორიის გრძელ მანძილზე. ერთმანეთში აირია ეროვნული და უცხოური. ამიტომ იგი ამ შრომაში საჭიროდ მიიჩნევს წარსულის საფუძვლიან შესწავლას, რათა გაირკვეს რომელი ჩვეულება, წესი და ზნეობაა ქართული, როგორი უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკური მოწყობა. არც მაშინ უსმინა და არც ახლა არავინ უსმენს ბატონ ნიკოს, უკან გახედვა არ გვინდა, წარსული საჭირო არ ყოფილა და თურმე მხოლოდ გაეგროპელება გვიშველის. ერის სამომავლო ენერჯია წარსულიდან გენერირდება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანა ჩაკეტილი და სხვებისაგან იზოლირებული უნდა იყოს. ისევე, როგორც არც იმასაც, რომ საზღვრები მოეშალოთ და ყველაფერი უცხოურში მივიდეთ. ზარივით რეკავს ბატონი ნიკოს შესხვება: „კერძო პირი ხშირად ვერც კი ხედავს, თუ თვითონ მას რა ისტორიული ძალა ამოქმედებს, რა ბუნების ძალას მიჰყავს ის ხან წინ, ხან უკან ...ჩვენში ზოგიერთს ყმაწვილთაგანს ჰგონია, რომ ქვეყნის ისტორია მით იწყება და მითვე გათავდება...“<sup>69</sup>. რუსეთის მაგალითი მოჰყავს სლავიანოფილობაზე და არჩევს მის ოთხ თვისებას. პირველ თვისებად მედიდური თავმოყვარეობა მიიჩნია, როცა ყველაფერი რუსული საუკეთესოა და უცხოური ბილწი და საძაგელი. მეორე თვისებად კარნაკეტილობას თვლის, როცა სხვა ქვეყნების ცხოვრება და პროგრესი მისი ინტერესების სფეროში არ ექცევა, არაფრად მიიჩნიათ მათი ეკონომიკური და სოციალური პროგრესი. მეოთხე თვისება სლავიანოფილებისა უცხო ნაციონალობის დევნა იყო. ვერ იტანდნენ ვერმანელებს, ფრანგებს, ინგლისელებს. მათი პროდუქციის ქვეყანაში შემოტანას არავის ანებებდნენ. ამის შედეგი იყო ის, რომ რუსეთი ევროპას ყველაფერში ჩამორჩებოდა. მაგრამ იმპერიალისტურ რუსეთს ჰყავდა ინტელექტუალები, რომელთაც კარგად ესმოდათ, თუ რა უნდა ეკეთებინათ ჩამორჩენილი რუსი ხალხის ცხოვრების აღმავლობისთვის. მათი საქმე და აზრი თანდათან იმარჯვებდა და ხალხშიც მათი პოპულარობა დღითი დღე იზრდებოდა, როგორც პატრიოტებისა. ამის გამო იყო, რომ საზოგადოებას თანაგრძნობა გაუჩნდა მამულის ბედზე. ჩამოყალიბდა ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც პატრიოტულ მოძრაობას მიეტიმანნენ. ბატონი ნიკო იმათ ცრუ პატრიოტებს უწოდებდა. ვინც მე ადრე პატრიოტობის გამო სულელად მიგლიდა, ახლა პატრიოტობაში ათათასჯერ გადამაჭარბესო.

ცრუ პატრიოტს ბატონი ნიკო არქმევს იმასაც, ვისაც სამშობლო შესაძლებელია, მართლაც უყვარს, მაგრამ მარტო იგი საქმარისად არ მიიჩნია, ვინაიდან ეს პატრიოტიზმზე, მამულის სიყვარულზე მცდარი წარმოდგენაა. მამული, ადგილის დედა ყველას უყვარს, ცხოველებსაც კი. სამშობლოს სიყვარული მათთვის ბუნებრივი მოვლენაა და მისი საჯაროდ კეხნა სისულელედ მიიჩნდა. მამულის სიყვარული, მისი აზრით, მოვალეობაა, რომელიც ბევრს არ ესმის თუ როგორ შეიძლება მისი აღსრულება, და იქვე სვამს კითხვებს: „მართლაც, რაში მდგომარეობს ეს მსახურება? რაში მდგომარეობს ის საზოგადო სიკეთე, რომელიც ჩვენს მამულს სჭირია? რა ხეირი უნდა მოუტანოს მამულს მისმა შვილმა, იგი მას რა ნაირად უნდა ემსახუროს?“<sup>70</sup>.

ამ კითხვებზე პასუხების გაცემამდე, ბატონი ნიკო არკვევს, თუ რამ გამოიწვია სამშობლოს ჩამორჩენა დაწინაურებული ქვეყნებისაგან. თუკი ოცი საუკუნე საქართველო მაინც ახერხებდა მრავალრიცხოვან მტრებზე გამარჯვებას, რომლებიც უწყვეტ ნაკადად აწვიმდა, ამას თავისი ეპოქის საკადრისი განათლების წყალობით აღწევდა. მერე ქვეყანა მეცნიერების განვითარებას ჩამორჩა და მამული გადამთიელებმა ცხრა მთას იქედან დაგვიანდნენ. აქ დიდი როლი ქართველთა შინაგანმა დაპირისპირებამ, საკუთარი თავის რწმენის დაკარგვამ ითამაშა – წერდა დიდი ნიკო. მისი აზრით, გამოსავალი იმაშია, რომ ქვეყანა მსოფლიო კავშირურთიერთობებში ჩაერთოს და მეცნიერება აითვისოს, ასწავლოს თავის ახალგაზრდობას სხვა ქვეყნების საუკეთესო სასწავლებლებში, რათა მერე იმათ თავიანთი ცოდნა სამშობლოს მოახმარონ.

ქვეყნისთვის დიდ უბედურებად მიიჩნდა მხოლოდ სხვა ქვეყნებისადმი მარტო მიბაძვითი ცხოვრება, მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრი და ოცნება, როცა საქვეყნო საქმისთვის არა სცალიათ, მხოლოდ კერძო მადას იკმაყოფილებენ, განცხრომას ეძლევიან, მდიდრულ ცხოვრებას არ იკლებენ, ათასობით ფულს ფლანგავენ,

<sup>69</sup> ნიკოლაძე ნ., თხზ., თ.7, მამულის სიყვარული და მსახურება. გვ. 313.

<sup>70</sup> იქვე, გვ. 323.

უმიზნოდ ხარჯავენ, ბანქოში/კაზინოში აგებენ და გაჭირვებული ადამიანისთვის, საზოგადო საქმისთვის კაპიკი არა ემეტებათ, სამშობლო მხოლოდ თავისთვის უნდათ. "ხალხი მაშინ არის ძლიერი და ბედნიერი, როცა მისი ძალა, თანამედროვე მეცნიერებით აღჭურვილი, მის სასარგებლოდ იხმარება და მოქმედებს. მაგრამ როცა ხალხის ცხოვრებაში ისეთი წესი შემოდის, რომ ნახევარი ხალხი თავის ძალას უქმად მიწაში მარხავს, უმოქმედოდ ჰვლანგავს, და მეორე ნახევარი კი ორჯერ უფრო მომეტებულად შრომობს, როგორც თავის სარჩენლად, ისე თავისი პირველი ნახევრის სარჩენლად, რომელიც უმოქმედოდ და უქმად ცხოვრობს, მაშინ ხალხი იღლებს, სუსტდება და სრულიადაც ქრება. მაშინ მარტო ხალხის ძალა კი არ იფანტება უხეიროდ, თვითონ ამ ხალხის ორ ნახევარს შუა ჩუმი, დაფარული ბრძოლა ატყდება, რომელშიაც იღვევა ხალხის გონებითი და ფიზიკური ძალის უმჯობესი ნაწილი. ქიშობა და სამღურავი იბადება, ერთობა იკარგება და ხალხი ორ ბანაკად იყოფა, ორს ერთმანეთზე მტრად გადაკიდებულ ბანაკად... რასაკვირველია, უმიზნოდ როდი დაბადებულა ჩვენ-ი, ძველად ეს უბედური განაწილება და განხეთქილება"<sup>71</sup>. ვისაც მამული უყვარს – აცხადებდა ბატონი ნიკო, იგი ვალდებულია, აღმოფხვრას ხალხში ასეთი უთანასწორობა, უსამართლობა, ფულის უგუნური ფლანგვა და უსაქმური მასა საზოგადოებრივ შრომაში ჩართოს, ეკონომიკური სამართლიანობა შექმნას, ხალხს მდგომარეობა გაუმჯობესოს, რათა ხალხი ერთ ძმურ ოჯახად იქცეს. "გაუადვილეთ ხალხს სხვისთვის შრომისგან თავის დახსნა, გამოიყვანეთ ის უსაქმო კაცების მონობისაგან, მიწა დაუქვიდრეთ, და მუქთახორებისაგან დაიხსენით, ან ასწავლეთ, თუ რა გზით დაიხსნას თავი, სასარგებლო, გამოსადეგი რჩევა აძლიეთ, სიკეთე, ნამდვილი რეალური მოუტანეთ მას რჩევით ან საქმით, და მაშინ ნახავთ, რომ მარტო ამნაირი საშუალებით შესაძლებელი ყოფილა, როგორც ერთობის დაარსება, ისე ხალხის ნდობის მოპოვება...აი, მარტო მაშინ დაამტკიცებთ, რომ მამულიც გვევარებათ და მისი მსახურებაც გცოდნიათ"<sup>72</sup>. ყოველივე ეს ჩვენს დღევანდელ ცხოვრებასთან ასოცირდება, რაც იმაზე მიაჩნებებს, რომ მდგომარეობა ახლა გაცილებით უარესია და ხელისუფლება თავისი ხალხის ახალი ხარისხის მტერია და მისი ხალხისთვის საერთოდ არა სცალია, პირიქით, ათასგვარი პიარებით ცდილობენ თავი ქვეყნის პატრონებად წარმოაჩინონ, ქვეყნის გარეშე მომხრეები იპოვნონ, რათა თავისივე თვისტომი დაამარცხონ და საჯაროდ განაცხადონ, რომ მისი ქვეყანა ანტიდემოკრატიულია, ვინაიდან მას არაევროპული ორიენტაციის ხელისუფლება მართავს, რომ ამ მთავრობას რუსეთთან ურთიერთობა სურს. ერთმანეთს ეჯიბრებიან იმაში, ვინ უფრო მეტად ასიაშოვნებს გადამთიელებს, ვინ უფრო მისაღები იქნება ფულიანებთან, მათ უცხოელ დამფინანსებლებთან. იკარგება/დაიკარგა რწმენა, უტყვევ რელიგიას, ცდილობენ არაფრად ჩააგდონ ეროვნული ტრადიციები, შეურაცხველი წმინდანები, შეცვალონ ეროვნული აზროვნება, ხალხი სიბნელეში ამყოფონ, ახალგაზრდები ერთმანეთს გადააკიდონ, ქვეყანას მომავალი დაუკარგონ. "ნუთუ იქამდე დავცა ჩვენი ხალხიც, იქამდე ბოლო მოელო საქართველოს, რომ ამნაირ უმომავლო და უიმედო ქვეყნად უნდა ჩავთვალოთ? ნუთუ მარტო იეზუიტური გზა დარჩენილა მის საშველად, მარტო ოინების, სიცრუისა და თვალების ახვევის გზა? ნუთუ ჩვენი ხალხი იმდენად დაცემულია, იმისთანა უიმედო მდგომარეობაში ჩავარდნილა, რომ ვეღარ აიტანს იმ შრომას, ვერ დაადგება იმ გზას, ვერ მოინებებს იმ საზრდოს, რომელიც სხვა ხალხს აბედნიერებს ან აძლიერებს?"<sup>73</sup>. იქვე იღვევა პასუხს თავისივე კითხვებზე და ამბობს, რომ ღვთის მადლით ჩვენი ხალხი შორს არის ამისთანა მდგომარეობისაგან, იგი ამისთანა მდგომარეობაში არ ჩავარდნილა, ის სხვანაირი სამსახურის ღირსია. მისმა მეთაურებმა, თუ მართლა ქვეყანა უყვართ, თუ მართლა სწამთ სამშობლოს მომავალი სამართლიანი და ზნეობრივი ეკონომიკა უნდა დააფუძნონ. ამიტომ "მარტო ჩვენი თავის იმედო ვიქონიოთ, მარტო ჩვენს ძალას მივყნდეთ, მარტო ჩვენს გაძლიერებასა და განათლებას ვიშრომოთ – მაშინ მკვლარეებიც ბევრი გაუნდება და ჩვენს ხალხს და დამხმარებელს"<sup>74</sup>. ბატონ ნიკოს ისევ სევდიანი განწყობილება უნდებდა და ევტეებოდა, რომ მაშინდელი მთავრობა იმ საქმეს ვერ გაუძღვებოდა, ვინაიდან მიწვეული იყო სხვის იმედად ყოფნას, გადაჩვეული იყო დამოუკიდებელ საქმიანობას. იმედი მხოლოდ ახალი თაობისა ჰქონდა, რომელიც ახალი ცხოვრებისთვის უნდა მომზადებულიყო.

ამ შრომის უნიკალობა ისიც არის, რომ 36 წლის ნიკო ნიკოლაძემ მასში თავისი ქვეყნისადმი სამსახურის პროგრამა ჩადო და მთელი ცხოვრება მის აღსრულებას მოახმარა. ვერ გაუხდა ბარიერებად ვერანაირი სოციალური ცვლილებები. ფეოდალურ საქართველოში განათლების აღორძინებას ებრძოდა, კაპიტალიზმის პერიოდში ჯერ მეწარმეობას მოჰკიდა ხელი, მერე ფოთის ქალაქი და პორტი აშენა, დამოუკიდებელ სამშობლოში მარგანეცის საექსპორტო საქმეს ემსახურებოდა, სოციალისტური საქართველოს ფერხულშიც იდგა. შვილებიც ქვეყნისადმი მსახურებად გაზარდა, შვილიშვილებიც. ახლა შვილთაშვილებიც ქვეყნის ჭაპანს ეწევიან. სალომე ზურაბიშვილის გახსენებაც საკმარისია.

საქართველოს ახლა ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესების საკმარისი რესურსი გააჩნია, მაგრამ მსოფლიო იმპერიას ვაი ქართველთა დიდი არმია ჰყავს გაწვრთნილი ჩვენი ქვეყნის სამტროდ, რომელიც თავის ველურ ინსტიტუტებზე ამხედრებული დუკმაპურის გარეშე ტოვებს თავის ხალხს, არაფრად აღვლევს ქვეყნიდან ხელზე მოსამსახურებად გაქცეული მილიონნახევარი ადამიანი და დამატებით იმის ძიებაშია, დარჩა თუ არა კიდევ რამე წასართმევი. მაგრამ ამის გამო უიმედობის განცდა არ უნდა გვექონდეს. ქვეყანას ჰყავს ინტელექტუალების მძლავრი არმია, რომელიც სამშობლოსთვის არაფერს დაიშურებს, ოღონდ საჭიროა მათი მოსახლეობასთან ინტეგრაცია, მათთან ერთად ქვეყნის მშენებლობა. ხალხის შვილებისა და ქვეყნის მოსახლეობის მთლიანობას წინ ვერაფერი დაუდგება.

<sup>71</sup> იქვე, გვ. 229.

<sup>72</sup> იქვე, გვ. 331.

<sup>73</sup> იქვე, გვ. 336.

<sup>74</sup> იქვე, გვ. 338.

**MODERN PROBLEMS OF ECONOMICS OF GEORGIA  
IN NIKO NIKOLADZE'S WORK "LOVE AND SERVICE TO MOTHERLAND"**

**Annotation**

Backwardness of the country from the world progress is displayed with crisis situations, but it cannot become catastrophe if it critically examines global processes, finds brilliant principles of quality changes, determines integral resources and provokes mobilization of economics which motive power is to exempt traditional institutes from out of date mechanisms and to make conditions for enlargement of freedom for those leverages being functionally restricted in traditional economic condition due to innovative frontal changes. The initiative on get-out is imposed to the high qualified patriots' groups which wholeness stability is stipulated by moral traditions. Without these phenomenon progressively promoted countries of financial empire can easily hold other countries within its private narrow interests.

*ჯემალ ხარტიონაშვილი*

**ვასილ ჩანტლაძე – ეკონომიკური აზრის მკვლევარი  
(დაბადებულია 110 წელი – 1904-1995)**

110 წელი შესრულდა დიდი ქართველი ეკონომისტის, გამოჩენილი მეცნიერის და ფინანსისტის, აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძის დაბადებიდან. აკად. ვ. ჩანტლაძის ნაშრომების უმეტესი ნაწილი ეძღვნება ფინანსების თეორიას, ეკონომიკის დარგთა ფინანსებს, ფინანსების ისტორიას, ეკონომიკური აზრის ისტორიას, ეკონომიკურ ტერმინოლოგიას და სხვ. ჩემს მოსახებაში შევეხები აკად. ვ. ჩანტლაძის მხოლოდ რამდენიმე მთავარ გამოკვლევას ეკონომიკური აზრის ისტორიაში.

1959 წ. აკად. ვ. ჩანტლაძემ გამოაქვეყნა ნაშრომი „სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებები“. განსახილველი ნაშრომის წინასიტყვაობაში იგი აღნიშნავს, რომ სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებების შესასწავლად გამოვიყენე მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის ისეთი ღირსშესანიშნავი შრომები, როგორცაა: „სიბრძნე სიცრუისა“, „სწავლანი“, „მოგზაურობა ევროპაში“ და „ქართული ლექსიკონი“. გამოვიყენე ასევე, სხვა დარგის მეცნიერთა გამოკვლევები სულხან-საბა ორბელიანის შესახებ. {1, გვ. 4}. შემდეგ შენიშნავს, რომ სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებები შემუშავდა საქართველოში ფეოდალიზმის მზარდი კრიზისის პირობებში. მიუხედავად ამისა, XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოში კაპიტალისტური წარმოება ჯერ კიდევ არ არსებობდა. სულხანი სასტიკად ებრძოდა არსებული ანტიგონისტური საზოგადოების ნაკლოვანებებს. სულხან-საბა ორბელიანის შეხედულებები ოპტიმისტურია. მისი აზრით, სიმართლე იმარჯვებს უსამართლობაზე, სიკეთე ბოროტებაზე. სულხანს სჯერა, რომ ჩაგვრასა და ძალადობას საზღვარი აქვს და ერთხელაც მას ბოლო მოეღება {1, გვ. 9-32}. სულხან-საბა ორბელიანს ესმის, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველი მატერიალური წარმოებაა. არამატერიალური წარმოების სფერო მატერიალურ წარმოებას ემყარება და სხვადასხვაგვარი მომსახურებით გადამოინაწილებს იქ შექმნილ მატერიალურ დოვლათთა ნაწილს. მას დაპირისპირებული პყავს მატერიალური და არამატერიალური წარმოების მუშაკები. სულხანს კარგად ესმის, რომ რაც უფრო დაბალია მწარმოებლური ძალების განვითარების დონე, მით უფრო ნაკლები იქნება სიმდიდრე მატერიალური წარმოების სფეროში და რაც უფრო ღარიბია ეს უკანასკნელი მით უფრო ნაკლები გადანაწილდება არამატერიალური სფეროს სასარგებლოდ {1, გვ. 33-34}. სულხანმა კარგად იცის, აგრძელებს ვ. ჩანტლაძე, რომ მატერიალური დოვლათის წარმოება შრომას მოითხოვს. უშრომლად ადამიანები მოთხოვნილებებს ვერ დაიკმაყოფილებენ, ვერ ჭამენ, ვერ შეიმოსებიან; უშრომლად შეუძლებელია ადამიანის სიცოცხლე. სულხანის აზრით, შრომა არის არა უბრალოდ ენერჯის ხარჯვა, არამედ ადამიანის მიზანშეწონილი მოქმედება. სულხანმა იცის ამასთანავე, რომ შრომა მხოლოდ ერთ-ერთი წყაროა სიმდიდრისა და რომ მის საწარმოებლად ადამიანი მუდამ ბუნების ძალებს ეყრდნობა. ის იძულებულია ბუნების მიერ მოცემული დოვლათები გარდაქმნას, რაც შრომასთან ერთად მოითხოვს შრომის საშუალებებს, მათ შორის წარმოების იარაღებს {1, გვ. 34-35}.

აკად. ვ. ჩანტლაძის წიგნში აღნიშნულია, რომ ს.-ს. ორბელიანმა თავის ნაშრომში „სიბრძნე სიცრუისა“ დააყენა მნიშვნელოვანი ეკონომიკური პრობლემა - რა არის სიმდიდრე. XVI-XVII-XVIII ს. პირველი ნახევრის მსოფლიო ეკონომიკური აზრის ისტორია ამ საკითხზე იცნობს ორ ძირითად მიმართულებას: მერკანტილისტურსა და ფიზიოკრატიულს. მერკანტილისტების აზრით, სიმდიდრე არის ფული, მისი წყარო -საგარეო ვაჭრობა. ფიზიოკრატების აზრით, ნამდვილი სიმდიდრე არის სოფლის მეურნეობის პროდუქცია, სიმდიდრის წყარო მიწათმოქმედებითი შრომაა. მათი აზრით, ვაჭრობა ახალ სიმდიდრეს არ ქნის. ის უკვე შექმნილს ანაწილებს და გადაანაწილებს; ქვეყნის სიმდიდრე სოფლის მეურნეობის ნატურალურ პროდუქტებშია გამოსახული. ამიტომ ქვეყნის გასამდიდრებლად საჭიროა სოფლის მეურნეობის განვითარება. სოფლის მეურნეობის პროდუქტების რაც შეიძლება მეტი რაოდენობით წარმოება ნატურალური სახით. სწორედ მათი საშუალებით არის შესაძლებელი მიიღო ფული {1, გვ. 37}.

სულხან-საბა ორბელიანის ერთ-ერთ არაკომი „ორი მდიდარი“ ერთმანეთისადმი დაპირისპირებულია ორი მდიდარი: ფულით, ძვირფასი განძეულობით მდიდარი და პურით მდიდარი. გამარჯვებული გამოდის პურით მდიდარი და მტკიცდება, რომ ნამდვილი სიმდიდრე სოფლის მეურნეობის პროდუქტია - პური {1, გვ. 38}. არაკომი „ორი ძმა“ ძმები ერთმანეთის გამდიდრებას ცდილობენ იმით, რომ თითოეული თავის ორმოდან პურს იღებს და მალევე მთავრე ორმოში ყრის {1, გვ. 39}.

აკად. ვ. ჩანტლაძე შენიშნავს, რომ სულხანის არაკების დიდი ნაწილი აგებულია სოფლის მეურნეობის პროდუქტით ვაჭრობისა და ამ პროდუქტის წარმოებისა და განაწილების მასალაზე. ასე მაგალითად, „უბედური ვაჭარი“, „თივაზე მოცილენი“, „მოლა და ღორი“, „სპარსი და ინდო“, სადაც ლაპარაკია ხორბლის, ბრინჯის, ხახვის, ნიორის, თივის და სხვ. მოყვანის, გაყოფის თუ ვაჭრობის შესახებ {1, გვ. 39}. მერკანტილის-

ტებისაგან განსხვავებით, სულხანი სიმდიდრის წყაროს ეძებს არა ვაჭრობაში, არამედ სოფლის მეურნეობაში. ეს არის დიდი ნაბიჯი წინ. სიმდიდრის შექმნის ნამდვილ წყაროდ აღიარებულია წარმოების სფერო - მიწათმოქმედება. როგორც ცნობილია, პოლიტიკური ეკონომია მეცნიერულ საფუძველზე დადგა მას შემდეგ, რაც ფიზიოკრატებმა სიმდიდრის წყაროდ აღიარეს წარმოება, სოფლის მეურნეობა. როგორც ვხედავთ, სულხან-საბა ორბელიანის შეხედულებები სიმდიდრისა და მისი წყაროს საკითხში ახლოს დგას ფიზიოკრატების შეხედულებებთან {1, გვ. 72}.

მიუხედავად ყოველივე ამისა, - დაასკვნის აკად. ვ. ჩანტლაძე, - შეუძლებელია ვილაპარაკოთ სულხან-საბა ორბელიანზე, როგორც ფიზიოკრატზე. ფიზიოკრატული სკოლა ჩამოყალიბდა საფრანგეთში მე-18 საუკუნის 50-იან წლებში, ე.ი. 25 წლის შემდეგ სულხანის გარდაცვალებიდან. ფიზიოკრატული შეხედულება ემყარება მიწათმოქმედებაში კაპიტალისტური მეურნეობის არსებობას. წმინდა პროლეტს ქმნის დაქირავებული სოფლის მუშა მიწათმოქმედებაში. სულხანის დროინდელი საქართველოს სოფლის მეურნეობაში დაქირავებული შრომის გამოყენება საფრანგეთთან შედარებით უფრო დაბალ დონეზე იდგა. ყოველივე ამის გამო არ შეიძლება სრული მსგავსება იყოს სულხანსა და ფიზიოკრატებს შორის; თუ გარკვეულ მომენტში მსგავსება არსებობს, სულხანს არ შეეძლო იგი ფიზიოკრატებისაგან წამოეღო ისევე, როგორც ფიზიოკრატებს სულხანისაგან {1, გვ. 42}. მართალია, ს.-ს. ორბელიანის იდეები წინ უსწრებდა ფიზიოკრატულს, მაგრამ არც იმის მტკიცება შეიძლება თითქოს ფიზიოკრატებს ესესხათ ს.-ს. ორბელიანის იდეები. მიუხედავად იმისა, რომ XVIII ს. დასაწყისში ს.-ს. ორბელიანმა პოლიტიკური მისიით ევროპაში იმოგზაურა (საფრანგეთში, იტალიაში) მას შეხების წერტილი არ ჰქონია ფიზიოკრატებთან და ამ უკანასკნელთათვისაც უცნობი იყო მისი შეხედულებები. ს.-ს. ორბელიანის შეხედულებანი XX ს. საერთაშორისო არენაზე ქართველმა ეკონომისტმა ვ. ჩანტლაძემ გაიტანა. ს.-ს. ორბელიანისა და ფიზიოკრატების იდეების მსგავსება განპირობებული იყო იმით, რომ იმ პერიოდში ორივე ქვეყანა აგრარული იყო {2, გვ. 76-77}.

საყურადღებოა, - შენიშნავს აკად. ვ. ჩანტლაძე, - რომ სულხანის შეხედულება დიდად განსხვავდება ფიზიოკრატებისაგან, მით უმეტეს მაკიაველისაგან. სულხანი სოფლის მეურნეობის პროლეტციას არ თვლის ყველა შემთხვევაში ადვილად გასასაღებელ ობიექტად, როგორც ფიქრობდნენ ფიზიოკრატები. ყოველთვის არ არის შესაძლებელი მისი ფულად გადაქცევა, დაასკვნის ვ. ჩანტლაძე. სულხანის აზრით, სოფლის მეურნეობის პროლეტცია სიმდიდრის ერთადერთ ფორმას არ წარმოადგენს. გარდა მიწათმოქმედებითი შრომისა, სულხანისათვის ცნობილია რეწვით საქმიანობაში გამოყენებული შრომა {1, გვ. 44}.

სულხანის აზრით, წერს აკად. ვ. ჩანტლაძე, ხელოსნური წარმოებისა და მოპოვებითი მრეწველობის შრომაც ქმნის სიმდიდრეს {1, გვ. 44}. მაგრამ ეს აზრი, რასაკვირველია, სუსტად და მკრთალად არის მოცემული. საქართველოს იმდროინდელი ეკონომიკური განვითარების დონე ამის შესაძლებლობას არ იძლეოდა. ეს აზრი, როგორც ცნობილია, ეკონომიკურ ლიტერატურაში დასაბუთა ინგლისურმა კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ ა. სმიტისა და დ. რიკარდოს სახით, მე-18 ს. მეორე ნახევარში {1, გვ. 47}.

როგორც აკად. ვ. ჩანტლაძე აღნიშნავს, სულხანის „სიბრძნე სიცრუისა“ გვიჩვენებს სა-ქართველოში საკმაოდ მაღალგანვითარებულ სასაქონლო მეურნეობის არსებობას, ქალაქისა და სოფლის ეკონომიკურ ურთიერთობას. მასში ნაჩვენებია საზოგადოებრივი შრომის დანაწილება. მოცემულია საქონლის არსისა და მისი თვისებების, ფასის განსაზღვრა. გაცვლას მოითხოვს ექვივალენტობის პრინციპის დაცვით. იგი იძლევა ფული-სა და მისი ფუნქციების განსაზღვრას. კერძოდ აღიარებს ფულს ღირებულების საზომის ფუნქციაში; მიმოქცევის საშუალებად; გადახდის საშუალებად; განძის შექმნას. იგი მოითხოვს ფულის არ გაჩერებას, არამედ კეთილად გამოყენებას. ამ უკანასკნელში გულისხმობს ფულის მეურნეობრივად ხმარებას და არა უთავბოლო ხარჯვას {1, გვ. 52-53}. სულხანს ნაჩვენებია აქვს ფეოდალური სიმდიდრის ხასიათი, რომელსაც მხოლოდ მოხმარებითი დანიშნულება ეძლეოდა. მას ავ მდიდრად მიაჩნია მფლანგველი, არა მწარმოებლურად დამხარჯველი, რომელიც ქვეყნის სიმდიდრეს არ ზრდის. იგი მოითხოვდა ფულის გადაქცევას კაპიტალად {1, გვ. 51-54}. სულხანი სატიკ ბრძოლას უცხადებს მევახშეობას. მაგრამ იგი არ იბრძვის საერთოდ სარგებლის, კანონიერი სარგებლის წინააღმდეგ. ამით ის გარემოება დასტურდება, რომ იმ ხანად საქართველოში კრედიტს მთლიანად სამომხმარებლო დანიშნულება არ ჰქონდა. დღევანდ. „მოელმა მსოფლიომ იგრძნო, რომ „მოხმარების“ იდეამ მსოფლიოს განვითარებაში ქვეყნებში მასობრივად წარმოშვა სოციალური მუქთამჯამელობა და გლობალური კრიზისის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა“ {5, გვ. 17-18}. „დრმაველება მორალურ-ზნეობრივი ფასეულობების გლობალური კრიზისი, ბევრ საზოგადოებაში ინერგება „ცრუ თავისუფლებები“, ხოლო პატიოსანი შრომის მოტივაციას ენაცვლება სწრაფი ნადავლისა და დაუოკებელი მოხმარებისაკენ სწრაფვა“ {5, გვ. 21}. როგორც აკად. ვ. ჩანტლაძე დაასკვნის: ს.-ს. ორბელიანმა გვიჩვენა ფულის და განსაკუთრებით ფინანსური სახსრების ძალა და მნიშვნელობა სახელმწიფოს სიმტკიცისათვის {1, გვ. 71-78}.

1992 წ. აკად. ვ. ჩანტლაძემ თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობა დაავიწყებინა ფუნდამენტური ნაშრომის „შოთა რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებები“ გამოქვეყნებით. ნაშრომი მიზნად ისახავს, გადმოსცეს შ. რუსთაველის აზროვნების ერთი დარგი - ეკონომიკური შეხედულებები.

ყურადღებას იპყრობს აკად. ვ. ჩანტლაძის განსახილველი ნაშრომის არქიტექტონიკა. მონოგრაფიაში მოცემულია რუსთაველის ეპოქის ეკონომიკურ-პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობის ზოგადი დახასიათება; შესწავლილია რუსთაველის შეხედულებები სიმდიდრის, შრომისა და მოცალეობის შესახებ; გაანალიზებულია რუსთაველის შეხედულება წარმოების, გაცვლის, განაწილების, მოხმარების საკითხებზე; გარჩეულია რუსთაველის შეხედულებები ფულის, ვაჭრობის, ტრანსპორტის და სახელმწიფო ფინანსების დარგში. იქვე მოცემულია რუსთაველის შეხედულება ზოგიერთ სოცოლოგიურ საკითხთან დაკავშირებით.

როგორც აკად. ვ. ჩანტლაძე აღნიშნავს, რუსთაველი კარგად იცნობდა იმდროინდელ მსოფლიო ეკონომიკურ შეხედულებებს. იგი, როგორც დიდად და მრავალმხრივად განათლებული ადამიანი, იცნობდა მეცნიერების მრავალ დარგს და თავისი შეხედულებები ჰქონდა ეკონომიკურ მოვლენათა შესახებაც {3, გვ. 4}. ყოველი მოაზროვნე, უდიდესი გენიოსიც კი, თავისი ქვეყნის და თავისი ეპოქის შვილია. გენიოსი სხვებისაგან განირჩევა იმით, რომ უფრო ღრმად და შორს იხედება. დასაწყისშივე ამჩნევს მოვლენის წარმოშობისა და მოძრაობის არსებობას და ადვილად იჭერს მათი განვითარების მიმართულებებსა და ტენდენციებს {3, გვ. 10}. შ.

რუსთაველის პოეტური შთაგონების წყაროა მიჯნურობა. ამასთან, შ. რუსთაველს კარგად ესმის, რომ ასეთი მაღალშინაარსიანი სიყვარულის საფუძველი არის საზოგადოებრივი წარმოება, მატერიალური დოვლათის, სიმდიდრის წარმოება {3, გვ. 41-43}. ადამიანმა რომ იცხოვროს მაღალი ცხოვრებით, იღვანოს შაირობით, სიბრძნით, გონიერებით, დატკბეს სილამაზით, დაშვრეს მიჯნურობის აღმაფრენით, დაიწვას მეგობრობისა და სამშობლოს სიყვარულით სჭირდება პირველყოფლისა... მატერიალური დოვლათი, საერთოდ სიმდიდრე {3, გვ. 43-47}. ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრება, მისი მიწიერი ყოფა, რაგინდ მაღალი იდეალებით არ უნდა ხელმძღვანელობდეს იგი, დაკავშირებულია მატერიალური დოვლათის მოპოვებასთან და, მაშასადამე, ეკონომიკასთან {3, გვ. 41-47}. რუსთაველის გმირები სიმდიდრეს არ უგულვებელყოფენ, პირიქით, მეკობრეთა წინააღმდეგ სიმდიდრის დაცვაში ვაჭრებს ეხმარებიან; დაფასებისა და პატივისცემის ნიშნად სიმდიდრეს ერთმანეთს სანუქრად სძღვნიან და სიმდიდრით ამაყოფენ კიდევაც. ავთანდილი წერს: „მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ასაწონები“ {794}. დიდი სიმდიდრითა და სიუხვით გამოირჩევიან „ვეფხისტყაოსნის“ გმირები: როსტევეანი, ფარსადანი, სარიდანი, ნურადნი ფრიდონი, ტარიელი, ავთანდილი {3, გვ. 43-47}.

აკად. ვ. ჩანტლაძის ნაშრომისათვის დამახასიათებელია საკითხების სერუპულოზური წვდომა. როდესაც ის მსჯელობს სიმდიდრის შესახებ, ამ საკითხის სისტემურ ანალიზს აკეთებს. იგი ამ საკითხზე განიხილავს მსოფლიო ეკონომიკურ აზრს. აღნიშნავს, რომ ბიბლიის მიხედვით, სიმდიდრედ მიჩნეული იყო სოფლის მეურნეობის პროდუქცია. ამ საკითხის განხილვის დროს ანალიზებს ანტიკური მოაზროვნეების: ქსენოფონტეს, პლატონის, არისტოტელეს დებულებებს. ამ მხრივ საინტერესოა პლატონის აზრი-„სადაც სიმდიდრე და სიღარიბეა, იქ ქვეყანა ორი სახელმწიფოსაგან შედგება: მდიდართა სახელმწიფოსა და ღარიბთა სახელმწიფოსაგან {3, გვ. 49}.

აკად. ვ. ჩანტლაძე მიუთითებს, რომ ანტიკური და შუა საუკუნეების მოაზროვნეებისაგან განსხვავებით, რუსთაველი უპირატესობას ანიჭებს მატერიალურ დოვლათს. მას სიმდიდრედ მიაჩნია როგორც სოფლის მეურნეობის, ისე ქალაქის ვაჭრობა-მრეწველობის პროდუქცია {3, გვ. 65}. აკად. ვ. ჩანტლაძე დაასკვნის, რომ რუსთაველის აზრით, მდიდარიც შეიძლება იყოს კეთილი და ბედნიერი. ვ. ჩანტლაძე შენიშნავს, რომ „ყოველგვარი სიმდიდრის წყარო არის შრომა, რომელიც უერთდება ბუნების ნივთიერებებს და ქმნის სახმარ ღირებულებებს. მას მოჰყავს უ. პეტის თეზისი- „შრომა არის სიმდიდრის მამა. მიწა- დედა“.

აკად. ვ. ჩანტლაძე წერს, რომ შ. რუსთაველი შრომისაგან თავისუფალ დროს, ე.ი. „მოცალეობის“ პრობლემასაც ეხება. „ჩრდილსა გარდასვით მაშვრალი, მიეცით მოსვენებასა“ (210) {3, გვ. 80}. თავისუფალი დრო ადამიანს შეუძლია გამოიყენოს განათლებისათვის, სოციალური ფუნქციების შესასრულებლად, მიჯნურობისათვის, ნათესაურ-მეგობრული ურთიერთობებისათვის, ფიზიკური და ინტელექტუალური სასიცოცხლო ძალების ლაღი თამაშისათვის, დასვენებისათვის და სხვ. {3, გვ. 88}.

აკად. ვ. ჩანტლაძე ხაზს უსვამს, რომ სიმდიდრის შექმნა მოითხოვს წარმოებას. იგი მიუთითებს, რომ რუსთაველს წარმოების ძირითად დარგებად წარმოდგენილი აქვს: სოფლის მეურნეობა, ნადირობა, შინამრეწველობა, ხელოსნობა; სიმდიდრის შექმნის საშუალებად მას მიაჩნია ვაჭრობა, განაწილება-გადაწილების საშუალებანი, გადასახადები, ალაფი, ხარკი.

ეს საკითხი განსაკუთრებული აქტუალობით წარმოჩინდება თანამედროვე საქართველოში, სადაც პრიმატი კეთდება მხოლოდ ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. ინფრა-სტრუქტურის სრულყოფა-განვითარება კარგია, მაგრამ ასე ქვეყანა შორს ვერ წავს. ინ-ფრა-სტრუქტურა მომსახურების სფეროა, რომელიც შეიძლება იყოს წარმოების დანამატი. გზები და ხიდები ნეოკალონისტებს სჭირდებათ განვითარებად ქვეყნებიდან რესურსების გასაზიდად. „XXI საუკუნეში უხნობაა ის სოციალურ-ეკონომიკური მოდელები, რომლებიც ეფუძნება „მესამე სამყაროს“ ბუნებრივი რესურსების „ამოტუმბვას“. იმავდროულად, უპერსპექტივოა ქვეყნის გარეთ გამუდმებით სესხის აღების პრაქტიკა არასამეწარმეო მიზნებისათვის, უარის თქმა ინდუსტრიული და საკუთარი ქვეყნის ადამიანური პოტენციალის განვითარებაზე“ {5, გვ. 29-30}. „მსოფლიოში რეინდუსტრიალიზაციის ტენდენცია შეინიშნება“ {5, გვ. 16} - აღნიშნავს ცნობილი თანამედროვე სახელმწიფო მოღვაწე, ეკონომიკის მეექვსედი არჩეული პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი.

აკად. ვ. ჩანტლაძე აღნიშნავს, რომ „შ. რუსთაველი, წარმოებასთან ერთად, ერცლად ეხება - გაცვლას, განაწილებასა და მოხმარებას {3, გვ. 107}. იგი ესება ეკონომიკურ კატეგორიებს - ფული, ფასი და მათი როლი. „ვეფხისტყაოსანში“ ფული და ფასი ხშირად არის გამოყენებული, როგორც ეპითეტი და ხშირად, როგორც არასამეურნეო საგანთა და მოვლენათა ღირსების გამოხატვის საშუალება {3, გვ. 126-129}. რუსთაველის ეპოქაში საქართველოში ფული განვითარებული იყო ყველა ფუნქციაში: ფული, როგორც ღირებულების საზომი; მიმოქცევის საშუალება; გადახდის საშუალება; განძის შექმნა. დაგროვების გვერდით, ფული ნეგატიური ფუნქციის შესრულებასაც იწვევს. „ქრთამი საურავსა ჯოჯოხეთსა აჩენს“.

როგორც აკად. ვ. ჩანტლაძე აღნიშნავს, „ვეფხისტყაოსანში“ ვაჭრობა ემყარება გაცვლის ექვივალენტურ პრინციპს. „მუნ ვაჭარმან ოქროს ფასად ცხენი მისცა არა უძღვნა“ {1360}. შ. რუსთაველის მიერ ვაჭრობა აღიარებულია გამდიდრების საშუალებად. ამასთან, სიმ-დიდრის სწრაფად შექმნაში ვაჭრობას წინ აყენებს მიწათმოქმედებასთან შედარებით... მართალია, ვაჭართა საზოგადოება მსდელი და არა რაინდული იყო, მაგრამ მის ხელში იყო ფული და სხვადასხვა საშუალებანი. ვაჭრობა ხელს უწყობდა გზების გაყვანას და გზებზე მიმოსვლის მოწესრიგებას {3, გვ. 143-163}. წარმოება, გაცვლა, განაწილება მთავრდება მოხმარებით. მოხმარება გულისხმობს ადამიანის მიერ საგნის სარგებლიანობის გამოყენებას.

აკად. ვ. ჩანტლაძე დიდი ფინანსისტი იყო და გასაკვირი არ არის, რომ ფინანსების საკითხს ვრცლად განიხილავს. როგორც პროფ. ლ. ჩიქავა აღნიშნავს: განსახილველი ნაშრომიდან კარგად ჩანს, თუ რაოდენ ღრმად ერკვეოდა რუსთაველი ფინანსების საკითხებში და რამდენად ფართოდაა წარმოდგენილი მის პოემაში. ეს შეიძლება იმითაც იყოს განპირობებული, რომ ერთ-ერთი გავრცელებული ვერსიის თანახმად, ერთ დროს თვით რუსთაველი იყო მეჭურჭლეუთხუცესი, ანუ ფინანსთა მინისტრი {4, გვ. 4}.

აკად ვ. ჩანტლაძე წერს: შ. რუსთაველი თავის პოემაში ეხება სახელმწიფო ფინანსების საკითხსაც. შ. რუსთაველს სახელმწიფო შემოსავალ-გასავალი ბალანსური მხრივ შედარებული აქვს ბუნებრივ მოვლენასთან - ზღვასთან, საიდანაც რამდენიც გამოდის, ორთქლდება, იმდენივე შედის. რუსთაველი როსტევეანს ათქმევით

ნებს: „უხვად გასცემდი, ზღვასაცა შესდის და გაედინების“ (49). „უხვად გავსცემდეთ, ვავსებდეთ“ (542). აქაც ვ. ჩანტლაძე მიმოიხილავს რუსთაველის წინარე პერიოდის ფინანსების საკითხებს სხვადასხვა ქვეყანაში. „ვეფხისტყაოსანში“ გამოთქმული აზრები შეიძლება დღესაც წარმატებით იქნეს გამოყენებული.

#### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ვ. ჩანტლაძე, სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებანი, თბ., 1959.
2. ჯ. ხარიტონაშვილი, ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები, თბ., 1997.
3. ვ. ჩანტლაძე, შოთა რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებები, თბ., 1992.
4. ლ. ჩიქავა, „შოთა რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებები. ორიგინალური გამოკვლევა. რეცენზია. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 22/VI.93.
5. ნ. ნაზარბაევი, XXI საუკუნის მსოფლიო. თბ., 2015.

*Jemal Kharitonashvili*

#### **VASIL CHANTLADZE – THE RESEARCHER OF ECONOMIC THOUGHT (THE 110<sup>TH</sup> ANNIVERSARY OF BIRTH – 1904-1995)**

##### **Annotation**

Academician V. Chantladze did a lot in scientific research of financial theories. He dedicated number of works to the research of the history of economic thought. In 1959 he published his work “Sulkhan-Saba Orbeliani’s Viewpoints on Economics”, where he states that Sulkhan-Saba Orbeliani raised a significant economic problem about the essence of wealth and its origin. V. Chantladze notes that according to Sulkhan-Saba Orbeliani the source of wealth is agriculture rather than commerce. Sulkhan-Saba Orbeliani expressed such a position far earlier than the physiocrats.

In 1992 Academician V. Chantladze published his fundamental work “Shota Rustaveli’s Viewpoints on Economics”, where he provides general description of economic, political and cultural life of the time of Rustaveli; investigates Rustaveli’s viewpoints on wealth, labor and leisure; provides the analysis of Rustaveli’s approach to production, exchange, distribution and consumption; considers Rustaveli’s opinion on money, commerce, transports and state finances.



**მსოფლიო ეკონომიკისა და  
საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სექცია**

*პაატა აროშიძე*

**ნავთობის ფასის ვარდნის ბავშვება საერთაშორისო ვითარებაზე**

ნავთობის ფასი ის კატეგორიაა, რომელიც გავლენას ახდენს ყველა საქონლისა და მომსახურების ფასზე. მასზე დიდადაა დამოკიდებული ქვეყნების ეკონომიკური თუ პოლიტიკური მდგომარეობა.

შესაძლებელია, ქვეყნები პირობითად დაყოთ 2 ნაწილად – ნავთობმომწოდებელი და ნავთობპროდუქტების მომხმარებელი. განსხვავებულია მათი მიდგომა ნავთობის ფასის მიმართ. პირველი ჯგუფის ქვეყნებისათვის (მაგალითად რუსეთისათვის, რომელიც ბიუჯეტს აგებს ნავთობის საკმაოდ მაღალ ფასზე) ხელსაყრელია ნავთობის ფასის რაც შეიძლება მაღალ დონეზე შენარჩუნება, ხოლო მომხმარებელი ქვეყნები ისწრაფვიან, შეამცირონ მისი ფასები. გარდა წმინდა ეკონომიკური ფაქტორებისა, ნავთობის ფასებზე გავლენას ახდენს სხვა ინდიკატორები, რომელთა როლი თანდათანობით იზრდება და, შეიძლება ითქვას, აჭარბებს მოთხოვნა-მიწოდების მიხედვით ფასის განსაზღვრის მექანიზმს.

განვიხილოთ მოთხოვნა-მიწოდების ბალანსი 2015 წლის პირველი კვარტლისა და 2014 წლის შესაბამისი პერიოდისათვის. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციამ (ოპეკი) უმნიშვნელოდ გააუმჯობესა 2015 წელს ნავთობზე მსოფლიო მოთხოვნილების პროგნოზი – 80 ათასი ბარელით დღე-ღამეში – 92,45 მილიონ ბარელამდე დღე-ღამეში, რაც 1,17 მლნ ბარელით აღემატება 2014 წლის მანქვებელს – ნათქვამია ორგანიზაციის მარტის თვის მოხსენებაში. ასევე გაიზარდა გასული წლის შედეგებით მოთხოვნილების შეფასება 80 ათასი ბარელით დღეში მარტის თვესთან შედარებით – 91,28 მლნ ბარელი დღეში. ოპეკის შეფასებით, 2015 წლის პირველ კვარტალში დღეღამური მოთხოვნილება შეადგენს 91,41 მლნ ბარელს, რაც 60 ათასი ბარელით მეტია წინა პროგნოზთან შედარებით. ამასთანავე, ნავთობის მოპოვება მსოფლიოში მარტის თვეში, წინასწარი მონაცემებით, გაიზარდა 0,9 მლნ ბარელით დღე-ღამეში 94,52 მლნ ბარელამდე დღე-ღამეში. ოპეკის პროგნოზის მიხედვით, მეორე კვარტალში ნავთობზე მოთხოვნილება შეადგენს 91,33 მლნ ბარელს დღე-ღამეში. ნავთობის მოპოვების პროგნოზი აშშ-ში 2015 წელს უცვლელი დარჩება – 13,64 მლნ ბარელის ოდენობით დღე-ღამეში, რაც 0,82 მლნ ბარელით აღემატება წინა წლის მანქვებელს.

ასეთი მოთხოვნა-მიწოდების პირობებში, 2014 წლის პირველ კვარტალში 1 ბარელი ნავთობის საშუალო ღირებულება შეადგენდა 101 აშშ დოლარს, მაშინ, როცა 2015 წლის ანალოგიური პერიოდისათვის ეს მაჩვენებელი შემცირდა 52 აშშ დოლარამდე. ეს საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ნავთობის ფასებზე გავლენას ახდენს არა მარტო საბაზრო მოთხოვნა-მიწოდების კანონი, არამედ პოლიტიკა და ერთ-ერთ ინდიკატორს მიეკუთვნება საერთაშორისო ვითარებაც, რომლის ურთიერთდამოკიდებულება ნავთობის ფასზე განსაკუთრებით საგრძნობია ბოლო ათწლეულში.



**ნახ. 1. ნავთობის მოპოვება და ნავთობის ფასი**

გრაფიკიდან ჩანს, თუ რა ფაქტორები მოქმედებდა ნავთობის ფასის რყევაზე ბოლო სამი წლის განმავლობაში. ნათლად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნავთობის ფასის ვარდნა დამოკიდებული არ არის არც მისი მოპოვების გაზრდაზე, არც ფიქალის გაზის მოპოვებაზე და არც სხვა ეკონომიკურ ფაქტორებზე.

ნავთობზე ფასების შემცირებამ, შეიძლება ითქვას, რომ დარტყმა მიაყენა ფასწარმოქმნის საბაზრო პრინციპებს. ნავთობმომხმარებლებს არ სურთ ფასის შემცირება, რადგან ეჭვქვეშ დგება მრავალი საინვესტიციო პროექტის განხორციელება.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ნავთობის დარგი შევიდა თავისი განვითარების ახალ ეპოქაში, რაც გამოიხატება საწარმოო დანახარჯებში, მიწოდების შემცირებაში, ნავთობრესურსების ხარისხის შემცირებასა და ფასების არაპროგნოზირებაში.

ამ სიტუაციიდან მოკლევადიან პერიოდში ვინ იზარალებს და ვინ იხიერებს?

ამერიკის შეერთებული შტატები ნავთობზე ფასების ვარდნის შედეგად იგრძნობს მნიშვნელოვან შედეგს: შემცირდება ფასები საწვავზე და, შესაბამისად, ზედმეტი თანხები, რაც გაზრდება მოქალაქეებში საწვავის გაიაფების შედეგად, ჩაბრუნდება შეერთებული შტატების ეკონომიკაში. თუმცა, ნავთობზე ფასების ვარდნა გარკვეული რისკის შემცველიცაა. მაგალითად, ბოლო ხუთწლეულის განმავლობაში ზედა შრეებში მოპოვებული ნავთობი და ფიქალის გაზი წარმოადგენს ამერიკის ეკონომიკის ზრდის მნიშვნელოვან პოტენციალს, მისი წილი ამერიკულ მშპ-ში ყოველწლიურად იზრდება 300-400 მლრდ დოლარამდე. ფიქალის გაზის მოპოვება ზრდის დასაქმების მანქანებს, მაშინ, როცა ეკონომიკის სხვა დარგებში დასაქმების დონე ერთსა და იმავე ადგილზე დგას. ფიქალის ბუმი გამოიწვია ნავთობზე ფასების ზრდამ, აშშ-ს მთავრობა იძულებული გახდა, ნავთობპროდუქტებზე ფასების ზრდისათვის დაეპირისპირებინა ფიქალის გაზის მოპოვება, რამაც, საბოლოო ჯამში, ეს სფერო მომგებიან დარგად აქცია, რადგან მრავალი კომპანია ჩაერთო ამ საქმეში და დაიღო უამრავი ფიზიკური კონტრაქტი. ნავთობის ფასის ვარდნის შემთხვევაში კი ეს კომპანიები პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ, რადგან ფიქალის გაზის საბადოების გაბურღვა საკმაოდ ძვირია და მისი შემდგომი ექსპლუატაცია ნავთობზე ფასის ვარდნის პირობებში მომგებიანი აღარ არის.

ნავთობის ფასების შემცირება ყველაზე მეტ დარტყმას აყენებს რუსეთის ფედერაციას. რუსეთი არის ნავთობმომპოვებელი მსხვილი ქვეყანა, გარდა ამისა, ნავთობიდან და ბუნებრივი აირიდან მიღებული შემოსავალი ბიუჯეტის შემოსულობების უმნიშვნელოვანეს ნაწილს შეადგენს. ნავთობზე ფასების შემცირებამ, ასევე ეკონომიკურმა სანქციებმა, რაც დაუწესდა რუსეთს უკრაინაში მიმდინარე სიტუაციის გამო, მძიმე ვითარებაში ჩააგდო ეს ქვეყანა. ყველაფერმა ამაზე გამოიწვია რუსული რუბლის დეველუაცია. საშუალოვადიან პერსპექტივაში ნავთობისა და გაზის მოპოვებლები დაცული არიან დაბალი ფასების შემოქმედებისაგან, რადგან ისინი ნედლეულს ყიდნიან ამერიკულ დოლარზე (რომლის კურსი რუბლთან მიმართებაში მაღალია), მაგრამ ისინი თავიანთ დანახარჯებს იხდიან რუბლში, რომელმაც დაკარგა მსყიდველობითი უნარი.

იმ შემთხვევაში, თუ ნავთობის ფასი დაბალ დონეზე შენარჩუნდება, ნავთობკომპანიების მოგება ძალიან შემცირდება (ზოგიერთი გათვლებით შემცირდება შეიძლება შეადგინოს 1 ტრლნ აშშ დოლარი). ეს კი იმას ნიშნავს, რომ შემცირდება დანახარჯები ნავთობის ახალი საბადოების მოსაპოვებლად და შესაბამისად მის დასამუშავებლად.

ამ სიტუაციაში ნავთობის საერთაშორისო ბაზარზე ჩამოყალიბდა შემაშფოთებელი სიტუაცია. ინვესტორებს არ შეუძლიათ დაეყრდნონ ფასწარმოქმნის იმ მექანიზმს, რომელიც ჩამოყალიბებულია ბაზარზე ათეული წლების განმავლობაში. ამ მექანიზმის მიხედვით, ნავთობის ფასი შეიძლება არ იზრდებოდეს, მაგრამ არ შეიძლება მცირდებოდეს დიდი ხნის განმავლობაში. ამ ორი ფაქტორის ურთიერთობამ გამოიწვია ნავთობის საერთაშორისო ბაზრის სტრუქტურული ცვლილება, ხოლო ინვესტორები ჩააგდო გაუგებრობაში. ამ ვითარებაში, ალბათობა იმისა, რომ ბანკები და მსხვილი საინვესტიციო კომპანიები გამოყოფენ თანხებს ახალი საბადოების დამუშავებისათვის, პრაქტიკულად ნულის ტოლია.

როგორც ჩანს, პრობლემების გამოწვევა შეუძლია როგორც ნავთობის ფასის ზრდას, ასევე შემცირებასაც. უფრო მეტიც, შესაძლებელია ფასის შემცირება უფრო პრობლემატური აღმოჩნდეს, ვიდრე მისი გაზრდა. რადგან, ერთი მხრივ, ზარალობენ ნავთობმომპოვებელი ქვეყნები, მეორე მხრივ – მცირდება საინვესტიციო პროექტები, რომლებმაც საშუალება უნდა მისცეს კაცობრიობას, ბოლომდე მოიხმაროს არსებული ნედლეული.

მაინც რა ფასი შეიძლება დაფიქსირდეს 1 ბარელ ნავთობზე, რაც ხელსაყრელი იქნება როგორც მომპოვებელი ქვეყნის, ასევე მომხმარებლისათვის? ხელსაყრელი იქნება ნავთობმომპოვებელი კომპანიების და ინვესტორებისათვის? რთულია ვივარაუდოთ ასეთი ფასი, მაგრამ ყველას ინტერესების გათვალისწინებით, შეიძლება მივიღოთ საშუალო შეწონილი ფასი 1 ბარელი = 80 აშშ დოლარს. ეს სწორედ ის ფასია, რომელზეც თანახმა იქნება ყველა, ვინც დამოკიდებულია ნავთობის ფასზე. არსებული დაძაბული საერთაშორისო ვითარება ითხოვს სწრაფი ნაბიჯების გადადგმას ამ მიმართულებით. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია ჩვენ აღმოვჩნდეთ კიდევ ერთი ეკონომიკური კრიზისის წინაშე, რომელიც ბევრად უფრო მძიმე იქნება, ვიდრე წინა კრიზისი.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი რესურსის – ნავთობის ფასზე, გავლენას ახდენს არა მარტო ეკონომიკური ფაქტორები - ერთობლივი მოთხოვნა და ერთობლივი მიწოდება (მოპოვება), არამედ სულ სხვა, არაფასობრივი დეტერმინანტები, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, პოლიტიკურადაა მოტივირებული და მიმართულია ნავთობმომპოვებელი რომელიმე ქვეყნის საწინააღმდეგოდ. ასეთ შემთხვევაში რთულია განისაზღვროს ნავთობის რეალური საბაზრო ღირებულება, თუმცა ფასების ცვლილებით შეიძლება გარკვეული კრიზისის პროგნოზირება, რომელიც ფასის შეცვლის შემდეგ მოხდება რომელიმე ქვეყანაში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Цена энергии: международные механизмы формирования цен на нефть и газ (2007) - доклад
2. <http://www.oil-price.net>
3. <http://www.bloomberg.com/energy/>

**THE EFFECT OIL PRICES ON THE INTERNATIONAL SITUATION**  
**Annotation**

The collapse of oil prices has led to long-term change in the laws of the market, experts say. According to them, investors are confused, that jeopardizes the funding of many expensive projects. Consumers also need to prepare for a rise in prices. Oil prices have fallen since the summer of 2014 by almost 50% and currently is at about 60 \$ for barrel. For the first time in decades, a collapse in prices has not been caused by the economic crisis. On the one hand, importing countries now can only envy. The cost of energy for them is reduced, fuel is cheaper, which means the growth of consumption and the economy. In the US, for example, 70% of the economy accounted for by consumer spending. On the other hand, there are exporters who are experiencing hard times. The budgets of these countries are heavily dependent on oil and gas costs, so they will have to strongly reduce their expenses.

*იზა ნათელაური*

**უცხოეთიდან მიღებული დახმარებები და ბრანტები 1992–2002 წლების საქართველოში**

საქართველომ 1992–2002 წლებში მიიღო დახმარება საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვადასხვა ქვეყნიდან, ფინანსური დახმარების (მხარდაჭერის), ტექნიკური დახმარების (მხარდაჭერის), ჰუმანიტარული დახმარების, გრანტებისა და სხვ. სახით. დონორი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება საერთაშორისო სავალუტო ფონდს, მსოფლიო ბანკს და გაეროს (გაეროს განვითარების პროგრამას და გაეროს სააგენტოებს: გაეროს ლტოლვილთა კომისარიატს, სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციას, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას, გაეროს ჰუმანიტარულ საკითხთა საკოორდინაციო ოფისს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას, გაეროს ბავშვთა ფონდს, გაეროს მოსახლეობის ფონდს, გაეროს მოხალისეთა პროგრამას, გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამას, მსოფლიო მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდს); ასევე მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას და შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკს; რაც შეეხება ცალკეულ ქვეყნებს, საქართველოს დაეხმარნენ აშშ, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, შვედეთის სამეფო, ნიდერლანდების სამეფო, იაპონია, თურქეთი, ჩინეთი და ქუვეიტი; საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ცალკეულ ქვეყნებთან ერთად, საქართველოს დიდი დახმარება გაუწია ევროკავშირმა.

საანალიზო პერიოდში ზემოთ ჩამოთვლილმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა და ქვეყნებმა საქართველოში დაასრულეს 450 პროექტი, 130 პროექტზე 2002 წელსაც გაგრძელდა მუშაობა და სამომავლოდ დაიგეგმა 18 პროექტი.

საქართველოში, საგადასხდელი ბალანსის მხარდაჭერის მიზნით, დასრულდა 5 პროექტი, ფინანსური დახმარების (მხარდაჭერის) მიზნით – 38, ტექნიკური დახმარების (მხარდაჭერის) მიზნით – 309, ჰუმანიტარული დახმარების მიზნით – 91. გარდა დასრულებული და მიმდინარე პროექტებისა, საქართველოს მსოფლიო ბანკთან, გაეროსთან, გერმანიასა და იაპონიასთან ჰქონდა დაგეგმილი პროექტებიც: მსოფლიო ბანკთან 5, გაეროსთან 2, გერმანიასთან 8 და იაპონიასთან 3 პროექტი.

მიმდინარე პროექტები ძირითადად გათვალისწინებული იყო ფინანსური დახმარებისთვის (მხარდაჭერისთვის) – 44 და ტექნიკური დახმარებისთვის (მხარდაჭერისთვის) – 74 პროექტი. დასრულებულ პროექტებში საერთაშორისო ორგანიზაციებმა და უცხოეთის ქვეყნებმა საქართველოს აღმოუჩინეს ტექნიკური დახმარება (მხარდაჭერა) 309 პროექტით, ჰუმანიტარული დახმარება 91 პროექტით და ფინანსური დახმარება (მხარდაჭერა) 38 პროექტით.

პროექტების რაოდენობით ყველაზე დიდი დონორები იყვნენ ევროკავშირი, რომელზეც მოდიოდა პროექტების საერთო რაოდენობის 39% (4/10, ანუ ყოველ ხუთ პროექტში ორი პროექტი), გაერო – 15% წილით (1/5, ანუ ყოველი მეხუთე პროექტით), აშშ, გერმანია, თურქეთი, შვედეთის სამეფო, ნიდერლანდების სამეფო, თითოეული დაახლოებით 6%-იანი წილით (1/10, ანუ ყოველი მეათე პროექტი). ევროკავშირის პროექტები (208 დასრულებული და 27 იმ დროისთვის მიმდინარე) გათვალისწინებული იყო ტექნიკური დახმარებისთვის (მხარდაჭერისთვის), გაეროს პროექტებიც ტექნიკური დახმარებისთვის (მხარდაჭერისთვის) იყო, დასრულებული 49 პროექტიდან 47 და მიმდინარე 38 პროექტიდან 32. მსოფლიო ბანკის პროექტები ფინანსური დახმარების (მხარდაჭერის) პროექტები იყო (15 დასრულებული პროექტიდან 9 და 17 მიმდინარე პროექტიდან 17-ივე). აშშ-ს დასრულებული პროექტები 34-ივე ჰუმანიტარულ დახმარებას ითვალისწინებდა. აშშ-თან ერთად ჰუმანიტარული დახმარების პროექტები გამორჩეული ქვეყანაა თურქეთი (36 პროექტი). რაც შეეხება გერმანიასა და ნიდერლანდების სამეფოს, მათი პროექტები შერეული ხასიათისაა. შვედეთის სამეფოს პროექტები ტექნიკური დახმარებისთვისაა (მხარდაჭერისთვისაა) განხორციელებული.

1992–2002 წლებში საქართველოში განხორციელებული უცხოური პროექტების საერთო ღირებულებამ შეადგინა 2.569.503.715 აშშ დ., 328.688.608 ევრო, 294.368.500 მარკა, 97.911.000 SEK და 67.282.000 გულდენი. ღირებულებით მაჩვენებლებში მსხვილი დონორები იყვნენ მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, გაერო, იაპონია და აშშ. აშშ დოლარებში განხორციელებული პროექტების საერთო ღირებულებიდან მსოფლიო ბანკზე მოდის 34% (34 პროექტი), საერთაშორისო სავალუტო ფონდზე 20,2% (6 პროექტი), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკზე 13,6% (16 პროექტი), გაეროზე 8,4% (89 პროექტი), იაპონიაზე 11,6% (16 პროექტი) და აშშ-ზე 6,4% (34 პროექტი). განსაკუთრებული განსჯის საგანია ევროკავშირის, გერმანიის და ნიდერლანდების სამეფოს მიერ განხორციელებული პროექტების ღირებულება.

განსახილველ პერიოდში საქართველოს უცხოეთი დაეხმარა ისეთ სფეროებში, როგორცაა: 1. საგადასხდელი ბალანსის მხარდაჭერა (მაკროეკონომიკური რეგულირება), 2. ძირითადი ინფრასტრუქტურის განვითარება, 3. სახელმწიფო სექტორის რეფორმა, 4. ტრანსპორტი და ტელეკომუნიკაციები, 5. ჯანდაცვა და სო-

ციალური სფერო, 6. ენერგეტიკა, 7. ნავთობი, გაზი და ნავთობპროდუქტები, 8. სოფლის მეურნეობა, 9. ფინანსები და საბანკო სექტორი, 10. კულტურა, ტურიზმი და რეკრეაცია, 11. კერძო სექტორის განვითარება, 12. გარემოს დაცვა, მეტეოლოგია, დაცული ტერიტორიები, 13. დემოკრატია და სამართალი, 14. განათლება, 15. მუნიციპალური განვითარება, 16. ლტოლვილები და პოსტკონფლიქტური ზონები, 17. მიწის მართვა, 18. თავდაცვა და სახელმწიფო უშიშროება, 19. ეროვნული განვითარება, 20. სხვა (მ.შ. ჰუმანიტარული დახმარება).

საგადასდელი ბალანსის მხარდამჭერი პროგრამები (6 პროგრამა) განახორციელა საერთაშორისო სავალუტო ფონდმა: 1994–1995 წწ. 39.875.000 აშშ დოლარის ღირებულებით, 1995–1996 წწ. 98.147.000 აშშ დ. ღირებულებით, 1996–1997 წწ. 83.250.000 აშშ დ. ღირებულებით, 1997–1998 წწ. 76.000.000 აშშ დ. ღირებულებით, 1998–1999 წწ. 80.000.000 აშშ დ. ღირებულებით, სულ 377.270.000 აშშ დ. 1999–2003 წლებში მიმდინარე პროგრამის ღირებულებამ შეადგინა 141.000.000 აშშ დ. დასრულებული და მიმდინარე პროგრამების საერთო ღირებულებამ შეადგინა 518.270.000 აშშ დ.

ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროში ძირითადი პროექტები ეკუთვნის მსოფლიო ბანკს (4 პროექტი), შვედეთის სამეფოს (2 პროექტი), ნიდერლანდების სამეფოს (1 პროექტი). ამ სფეროში მსოფლიო ბანკმა ჩაღო 88.900.000 აშშ დ., შვედეთის სამეფომ 3.560.000 აშშ დ. და ნიდერლანდების სამეფომ 650.000 აშშ დ. მსოფლიო ბანკის პროექტებიდან ერთი პროექტი დასრულდა – 18.000.000 აშშ დ. ღირებულებით, 2 იყო მიმდინარე – 20.000.000 აშშ დ. და 20.900.000 აშშ დ. ღირებულებით და ერთიც დაგეგმილი – 30.000.000 აშშ დ. ღირებულებით.

საერთაშორისო თანამეგობრობა აქტიური აღმოჩნდა სახელმწიფო სექტორის რეფორმირების სფეროში, რომელშიც მსოფლიო ბანკმა განახორციელა 8 პროექტი საერთო ღირებულებით 291.400.000 აშშ დ. გაერომ – 14 პროექტი საერთო ღირებულებით 10.137.923 აშშ დ., ევროკავშირმა – 30 პროექტი საერთო ღირებულებით 22.279.531 ევრო, აშშ – 4 პროექტი საერთო ღირებულებით 5.800.000 აშშ დ., შვედეთის სამეფომ 5 პროექტი საერთო ღირებულებით 11.850.000 SEK, ნიდერლანდების სამეფომ 9 პროექტი საერთო ღირებულებით 18.249.934 აშშ დ., 14.070.000 ევრო და 42.496.000 გულდენი.

2002 წლის მდგომარეობით, მსოფლიო ბანკის 8 პროექტიდან 7 დასრულებულია 274.900.000 აშშ დ. ღირებულებით, ერთი კი მიმდინარე – 16.500.000 აშშ დ. ღირებულებით; გაეროს 14 პროექტიდან 9 დასრულებულია – 6.618.148 აშშ დ.-ის ღირებულებით, 5 მიმდინარეა – 3.519.775 აშშ დ.-ის ტოლი ღირებულებით; ევროკავშირის 30 პროექტიდან 25 დასრულებულია – 15.019.531 ევროს ღირებულებით და 5 მიმდინარეა – 5.200.000 ევროს ტოლი ღირებულებით; აშშ-ს 4-ივე პროექტი დასრულებულია; შვედეთის სამეფოს 5-ივე პროექტიც დასრულებულია; ნიდერლანდების სამეფოს 7 პროექტი დასრულებულია 18.249.934 აშშ დ. და 40.063.000 გულდენის ღირებულებით, ერთ პროექტი მიმდინარეა – 14.070.000 ევროს და 2.433.000 გულდენის ტოლი ღირებულებით.

ამრიგად, საქართველოს სახელმწიფო სექტორის რეფორმირების სფეროში დასრულდა 57 პროექტი საერთო ღირებულებით 305.568.082 აშშ დ., 15.019.531 ევრო, 11.850.000 SEK და 40.063.000 გულდენი. მიმდინარე 13 პროექტის ჩათვლით 10 წლის მანძილზე სახელმწიფო სექტორის რეფორმირებას მოხმარდა 325.587.857 აშშ დ., 36.289.531 ევრო, 11.850.000 SEK და 42.496.000 გულდენი.

ტრანსპორტისა და ტელეკომუნიკაციების დარგში პროექტების რაოდენობითა და ღირებულებით გამოჩეულია ევროკავშირი. მას ეკუთვნის 54 პროექტი, მათ შორის, 49 დასრულებული და 5 მიმდინარე, საერთო ღირებულებით 88.579.338 ევრო. ევროკავშირის დასრულებული პროექტების ღირებულება უტოლდება 78.058.943 ევროს, მიმდინარე პროექტების კი – 10.520.395 ევროს.

გარდა ევროკავშირისა, ტრანსპორტისა და ტელეკომუნიკაციების სფეროში პროექტები ეკუთვნის მსოფლიო ბანკს (3 პროექტი), გაეროს (1 პროექტი), ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (2 პროექტი), შვედეთის სამეფოს (3 პროექტი), ნიდერლანდების სამეფოს (2 პროექტი) და იაპონიას (3 პროექტი).

ტრანსპორტისა და ტელეკომუნიკაციების სფეროში დასრულებული, მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების საერთო ღირებულება შეადგენს 337.800.000 აშშ დ., 88.579.338 ევროს, 1.373.000 მარკას, 20.275.000 SEK და 3.000.000 გულდენს.

ჯანდაცვისა და სოციალური სფეროს მხარდამჭერი პროექტები ეკუთვნის გაეროს (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას და გაეროს ბავშვთა ფონდს), მსოფლიო ბანკს, ევროკავშირს, აშშ-ს, გერმანიას, შვედეთის სამეფოს, ნიდერლანდების სამეფოს და იაპონიას. განხორციელებულია სულ 37 პროექტი საერთო ღირებულებით 112.702.700 აშშ დ., 2.359.804 ევრო, 6.400.000 მარკა, 8.086.000 SEK და 2.130.000 გულდენი.

საერთაშორისო ორგანიზაციებმა და უცხოეთის ქვეყნებმა 37 პროექტი განახორციელეს ენერგეტიკის სფეროში, აქედან 2002 წლისთვის 27 პროექტი დასრულდა, 7 პროექტი იყო მიმდინარე და 3 გეგმიური. 14 პროექტი ეკუთვნის ევროკავშირს, 14.624.656 ევროს ტოლი ღირებულებით. 13 პროექტი ღირებულებით 13.194.024 ევრო ევროკავშირმა დაასრულა 2002 წლამდე. გარდა ევროკავშირისა, ენერგეტიკის სფეროში პროექტები ეკუთვნის მსოფლიო ბანკს – 3 პროექტი, საერთო ღირებულებით 104.700.000 აშშ დ., გაეროს – 3 პროექტი საერთო ღირებულებით 16.755.000 აშშ დ., ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს – 3 პროექტი საერთო ღირებულებით 86.850.000 აშშ დ., საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას – 1 მიმდინარე პროექტი საერთო ღირებულებით 30.000.000 აშშ დ., აშშ-ს 4 დასრულებული პროექტი საერთო ღირებულებით 33.55.000 აშშ დ., გერმანიას – 5 დასრულებული და 3 გეგმიური პროექტი საერთო ღირებულებით 101.000.000 მარკა და 98.000.000 მარკა შესაბამისად, იაპონიას – 1 მიმდინარე პროექტი 45.000.000 აშშ დ.-ის ღირებულების.

პროექტი სახელწოდებით „ნავთობი, გაზი, ნავთობპროდუქტები“ განახორციელეს მსოფლიო ბანკმა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა. ამ ორ საფინანსო ორგანიზაციას ეკუთვნის 1 დასრულებული და 3 მიმდინარე პროექტი. მსოფლიო ბანკის პროექტები განხორციელდა – დასრულებული 1.400.000 აშშ დ. ღირებულებით, მიმდინარე – 9.630.000 აშშ დ. ღირებულებით. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიმდინარე პროექტების ღირებულება იყო 200.000.000 აშშ დ. და 13.300.000 ევრო.

38 პროექტი დამუშავდა სოფლის მეურნეობის დარგში. მათგან 1992–2002 წწ. დასრულდა 30 პროექტი და 1 დაიგეგმა. 2002 წლისთვის მიმდინარე იყო 7 პროექტი. პროექტების დიდი რაოდენობით გამოირჩეოდა გაერო

(სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია და გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამა) – 16 პროექტით, ევროკავშირი დასრულებული 10 პროექტით და იაპონია 5 დასრულებული პროექტით. გაეროს პროექტების საერთო ღირებულება იყო 142.916.213 აშშ დ., მათ შორის, დასრულებული 11 პროექტის 89.671.213 აშშ დ., მიმდინარე პროექტების – 52.845.000 აშშ დ. და დაგეგმილი პროექტების – 400.000 აშშ დ. ევროკავშირის პროექტების საერთო ღირებულებამ შეადგინა 14.748.002 ევრო და იაპონიის დასრულებული პროექტებისა კი 18.100.000 აშშ დ.

ფინანსები და საბანკო სექტორი დააფინანსა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ, აშშ-მა, გერმანიამ და ნიდერლანდების სამეფომ. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს ეკუთვნის 1 დასრულებული და 5 მიმდინარე პროექტი; დასრულებული პროექტი 4.400.000 ევროს ტოლი ღირებულებით და მიმდინარე პროექტები 15.500.000 აშშ დ. და 22.900.000 ევროს ტოლი ღირებულებით. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ 3 მიმდინარე პროექტი დააფინანსა საერთო ღირებულებით 9.080.000 აშშ დ. აშშ-მა დაასრულა 7 პროექტი ღირებულებით 20.630.000 აშშ დ.. გერმანიამ 2 პროექტი დაასრულა 8.821.000 მარკის ტოლი ღირებულებით და დაგეგმა 1 პროექტი 5.000.000 მარკის ტოლი ღირებულებით. ნიდერლანდების სამეფომ 1 პროექტი დაასრულა, 550.000 გულდენის ტოლი ღირებულებით. მასვე ეკუთვნის 1 მიმდინარე პროექტი, 2.750.000 გულდენის ღირებულებით.

კულტურის, ტურიზმისა და რეკრეაციის სფეროში პროექტები ეკუთვნის მსოფლიო ბანკს – 1 მიმდინარე პროექტი ღირებულებით 4.500.000 აშშ დ.; გაეროს – 2 დასრულებული პროექტი ღირებულებით 132.000 აშშ დ. და 1 მიმდინარე პროექტი ღირებულებით 200.000 აშშ დ.; ევროკავშირს – 11 დასრულებული პროექტი, 2.348.281 ევროს ტოლი ღირებულებით; შვედეთის სამეფოს 1 დასრულებული პროექტი, 200.000 SEK ღირებულებით და იაპონიას ერთი მიმდინარე პროექტი, 400.000 აშშ დ-ის ტოლი ღირებულებით.

კერძო სექტორის განვითარების მიზნით დაფინანსდა 60 პროექტი, მათ შორის, დაგეგმილი პროექტების დიდი უმრავლესობა, 32 პროექტი ეკუთვნის ევროკავშირს საერთო ღირებულებით 38.219.045 ევრო; დასრულებული პროექტების ღირებულებამ შეადგინა 36.919.045 ევრო.

47 პროექტი შემუშავდა სახელწოდებით „გარემოს დაცვა, მეტყვეობა და დაცული ტერიტორიები“. 3 პროექტი ეკუთვნის მსოფლიო ბანკს, 7 გაეროს, 31 ევროკავშირს, 4 გერმანიას, თითო-თითო კი შვედეთის სამეფოს და ნიდერლანდების სამეფოს. 31 პროექტი დასრულდა საერთო ღირებულებით 1.204.130 აშშ დ., 13.157.568 ევრო, 7.200.000 SEK და 744.000 გულდენი; 13 პროექტი იყო მიმდინარე, საერთო ღირებულებით 28.200.000 აშშ დ. და 9.200.000 მარკა.

პროექტი „დემოკრატია და სამართალი“ ეკუთვნის მსოფლიო ბანკს, გაეროს, ევროკავშირს, აშშ-ს, გერმანიას, შვედეთის სამეფოს და ნიდერლანდების სამეფოს. 40 პროექტი დასრულებულია 1992–1999 წლებში. 2002 წლის მონაცემებით, 6 პროექტი იყო მიმდინარე. 13 პროექტი დაასრულა ევროკავშირმა 3.432.445 ევროს ტოლი ღირებულებით, 8 პროექტი აშშ-მა 19.170.000 აშშ დ.-ის ტოლი ღირებულებით, 12 პროექტი შვედეთის სამეფომ ღირებულებით 21.071.000 SEK, 4 პროექტი ნიდერლანდების სამეფომ.

განათლების სფეროს ინვესტირებაში დიდი აქტიურობით გამოირჩეოდნენ ევროკავშირი, გერმანია და შვედეთის სამეფო. ევროკავშირს ეკუთვნის 16 დასრულებული პროექტი ღირებულებით 3.799.052 ევრო და 5 მიმდინარე პროექტი ღირებულებით 1.059.939 ევრო. გერმანიამ დაასრულა 4 პროექტი ღირებულებით 6.291.000 მარკა. შვედეთის სამეფომ დაასრულა 2 პროექტი ღირებულებით 10.650.000 SEK. მიმდინარე პროექტებში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მსოფლიო ბანკის პროექტი ღირებულებით 60.000.000 აშშ დ.. 1 მიმდინარე პროექტი ეკუთვნის გაეროს ბავშვთა დაცვის ფონდს ღირებულებით 2.210.000 აშშ დ. და ერთი შვედეთის სამეფოს ღირებულებით 3.630.000 SEK. თითო პროექტი დაასრულეს ნიდერლანდების სამეფომ ღირებულებით 1.019.000 ნ.გ. და იაპონიამ ღირებულებით 4.000.000 აშშ დ.

2002–2006 წლებში “მუნიციპალური განვითარების“ 1 პროექტი დაგეგმა მსოფლიო ბანკმა საერთო ღირებულებით 19.410.000 აშშ დ.

პროექტები სახელწოდებით „ღვთაობები და პოსტკონფლიქტური ზონები“ ეკუთვნის გაეროს (ღვთაობები უმაღლეს კომისარიატს და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციას) – 8 დასრულებული პროექტი საერთო ღირებულებით 5.459.700 აშშ დ. და 3 მიმდინარე პროექტი საერთო ღირებულებით 2.000.000 აშშ დ. „ნიდერლანდების სამეფოს 4 დასრულებული პროექტი ღირებულებით 4.708.000 გულდენი.

„მიწის მართვის“ პროექტები განახორციელეს გერმანიამ – ერთი პროექტი ღირებულებით 3.500.000 მარკა და შვედეთის სამეფომ – 4 პროექტი ღირებულებით 4.420.000 SEK. თითო მიმდინარე პროექტი ეკუთვნის გაეროს ღირებულებით 2.412.000 აშშ დ., გერმანიას ღირებულებით 32.750.000 მარკა და შვედეთის სამეფოს ღირებულებით 5.880.000 SEK.

პროექტი „თავდაცვა და სახელწიფო უშიშროება“ ეკუთვნის გაეროს და ნიდერლანდების სამეფოს. გაერომ 1 პროექტი დაასრულა 1992–2001 წლებში ღირებულებით 200.000 აშშ დ., ერთი პროექტი ჰქონდა მიმდინარე, ღირებულებით 137.000 აშშ დ. ნიდერლანდების სამეფოს 1 პროექტი იყო მიმდინარე, ღირებულებით 200.000 გულდენი.

„ევროპული განვითარების“ სახელწოდებით ერთი პროექტი დაასრულა გაერომ, ღირებულებით 213.200 აშშ დ.

ჰუმანიტარული დახმარების პროექტები ეკუთვნის გერმანიას – 8 პროექტი ღირებულებით 19.411.000 აშშ დ., ნიდერლანდების სამეფოს – 10 პროექტი, ღირებულებით 1.030.000 გულდენი და 2.747.500 აშშ დ., თურქეთს – 36 პროექტი, ღირებულებით 24.285.965 აშშ დ.

როგორც ვნახეთ, საქართველოსთვის ყველაზე მსხვილი ინვესტირები არიან: მსოფლიო ბანკი, გაერო, ევროკავშირი და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი.

მსოფლიო ბანკს საქართველოში ეკუთვნის 34 პროექტი საერთო ღირებულებით 874.770.000 აშშ დ. 2002 წლის მონაცემებით ეს თანხა განაწილებულია 13 სექტორზე. დიდი ხვედრითი წონის მანქანებლებით გამოირჩევა სახელწიფო სექტორი, ენერჯეტიკა და სოფლის მეურნეობა:

– „სახელმწიფო სექტორის რეფორმა“ აერთიანებს 7 დასრულებულ პროექტს საერთო ღირებულებით 274.900.000 აშშ დ. მასზე მოდის მსოფლიო ბანკის ქართული პროექტების 31,4% და დასრულებული პროექტების 71,7%. „სახელმწიფო სისტემის რეფორმა“ პროექტის ჩარჩოებში მსოფლიო ბანკმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ეკონომიკის რეფორმირებაში, სასამართლო რეფორმებში, პრივატიზების პროცესში, სახელმწიფო და კერძო სექტორის გარდაქმნაში...

– ენერგეტიკა აერთიანებს 2 დასრულებულ და 1 მიმდინარე პროექტს საერთო ღირებულებით 104.700.000 აშშ დ. ამ დარგზე მოდის მსოფლიო ბანკის პროექტების საერთო ღირებულების 12,0%, დასრულებული პროექტების 20,2% და მიმდინარე პროექტების 7,0%;

– სოფლის მეურნეობა აერთიანებს 3 მიმდინარე პროექტს საერთო ღირებულებით 117.780.000 აშშ დ. მასზე მოდის მსოფლიო ბანკის პროექტების საერთო ღირებულების 13,5% და მიმდინარე პროექტების საერთო ღირებულების 30,1%.

განსაკუთრებული განსჯის საგანია მსოფლიო ბანკის დაგეგმილი პროექტები – 5 პროექტი, საერთო ღირებულებით 100.410.000 აშშ დ. მსოფლიო ბანკმა დაგეგმა ისეთი სფეროების დაკრედიტება, როგორებიცაა: საგადამხდელო ბალანსის მხარდაჭერა, ჯანდაცვა და სოციალური სფერო, გარემოს დაცვა, მეტყვეობა და დაცული ტერიტორიები და მუნიციპალური განვითარება.

1994–2003 წლებში საქართველოს აქტიური დახმარება გაუწია გაერომ–გაეროს განვითარების პროგრამამ და სააგენტოებმა, რომლებმაც განახორციელეს პროექტები 15 სექტორში, სოფლის მეურნეობაში, ჯანდაცვაში, ენერგეტიკაში, სოციალურ სფეროში და სხვ.

გაეროს კრედიტებისა და ჰუმანიტარული დახმარების დიდი ნაწილი – 48,6% მოდის გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამაზე, 24,2%, გაეროს განვითარების პროგრამაზე და 16,9% სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდზე, სულ 89,7%.

საქართველოში მსხვილ ინვესტორთა შორისაა ევროკავშირი. მან განახორციელა რაოდენობრივად ყველაზე მეტი პროექტი – 208 დასრულებულ პროექტზე მუშაობა საერთო ღირებულებით 191.883.912 ევრო. ევროკავშირის პროექტები 11 სექტორს მოიცავს: ტრანსპორტი და ტელეკომუნიკაციები, კერძო სექტორის განვითარება, სახელმწიფო სექტორის რეფორმა, ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, გარემოს დაცვა, მეტყვეობა და დაცული ტერიტორიები. ამ სექტორებზე მოდის ევროკავშირის მიერ დასრულებული პროექტების 89,7%.

ევროკავშირის პროექტებიდან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს პროექტები კომუნიკაციების სფეროში, ნავთობისა და გაზის ტრანზიტზე INOGATE, ტვირთების სახმელეთო–საზღვაო ტრანსპორტირებაზე TRACECA, ტელეკომუნიკაციებსა და საფოსტო მომსახურებაზე.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების დასახმარებლად 1991 წელს შექმნილ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს ეკუთვნის 16 პროექტი საერთო ღირებულებით 348.350.000 აშშ დ. და 50.600.000 ევრო. ბანკმა საქართველოს ფინანსური დახმარება აღმოუჩინა 5 სექტორში: ტრანსპორტი და ტელეკომუნიკაციები, ენერგეტიკა, ნავთობი, გაზი და ნავთობპროდუქტები, ფინანსები და საბანკო სექტორი, კერძო სექტორის განვითარება. პროექტების დიდი ნაწილი, რაოდენობრივადაც და ღირებულებითაც იყო მიმდინარე, სულ 13 პროექტი საერთო ღირებულებით 319.200.000 აშშ დ. და 46.200.000 ევრო. 1999 წელს ხელი მოეწერა 13 წლიან სასესხო ხელშეკრულებას „ეი–ეს–თელასთან“ 30.000.000 აშშ დ.–ზე; 1998 წელს დაიწყო ამიერკავკასიის რკინიგზის რეაბილიტაციისა და რესტრუქტურისაციის პროექტი ღირებულებით 20.000.000 აშშ დ.; 1997 წელს ბორჯომი/საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიას გამოეყო 10.000.000 აშშ დ.; 1998 წელს ენგურის კაშხალის უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად დაფინანსდა პროექტი 38.750.000 აშშ დ.–ის ღირებულებით; 1999 წელს ხელმოწერილ იქნა, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან ერთად, ხელშეკრულება ადრეული ნავთობის ტრანსპორტირების თაობაზე 200.000.000 აშშ დ. ღირებულებით; 2002 წელს გაფორმდა სასესხო ხელშეკრულება 3.300.000 ევროზე ფოთის პორტში ნავთობის ტერმინალის დასაფინანსებლად.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის საქმიანობა საქართველოში მოიცავს ძირითადად ენერგეტიკის სფეროს, საბანკო სექტორს და კერძო სექტორს. ენერგეტიკის სფეროში კომპანიამ 1999 წელს დაიწყო 30.000.000 აშშ დ. ღირებულების პროექტი; საბანკო სექტორში, 1998 წელს თიბისი ბანკთან გახსნა საკრედიტო ხაზი 5.300.000 აშშ დ., 1999 წელს საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკთან – 780.000 აშშ დ. და 2000 წელს საქართველოს ბანკთან 3.000.000 აშშ დ. კერძო სექტორში საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ 1997 წელს დაიწყო საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის დაფინანსება 3.160.000 აშშ დ. და 1998 წელს ქსნის მინის ქარხნის დაფინანსება 8.800.000 აშშ დ.

შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკმა 2000 წელს ერთი დასრულებული პროექტით საკრედიტო ხაზი გახსნა საქართველოს ბანკში შპს „პროგრესისთვის“ 1.000.000 აშშ დ.–ის ტოლი თანხით, ფქვილის საექსპორტო შესაძლებლობების გაზრდის მიზნით. 2000 წელს დაიწყო ორი პროექტი ექსპორტ–იმპორტის სტიმულირების მიზნით; ერთი პროექტით გაიხსნა საკრედიტო ხაზი საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკში 1.000.000 აშშ დ.–ის ტოლი თანხით, მეორე პროექტით კი საკრედიტო ხაზი გაიხსნა საქართველოს ბანკში 1.500.000 აშშ დ.–ის ტოლი თანხით.

საქართველოს ყველაზე აქტიურად დაეხმარა აშშ–ის მთავრობა, რომელმაც სახელმწიფო ბიუჯეტის გავლით 1992–2002 წლებში ჩვენს ქვეყანას გამოეყო 1,1 მლრდ აშშ დ. აშშ დაეხმარა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ტექნიკით, უზრუნველყო ჰუმანიტარული დახმარება კერძო წყაროებიდან, სულ 405.000.000 აშშ დ. 2002 წელს დაიწყო საქართველოს შეიარაღებული ძალების წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა, რომლის დანახარჯებმაც შეადგინა 64.000.000 აშშ დ.

1997 წლიდან საქართველოში აქტიურად საქმიანობს აშშ–ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID). ამ სააგენტომ დააფინანსა 34 პროექტი საერთო ღირებულებით 164.880.000 აშშ დ. 34–ივე პროექტი დასრულებულია. დაფინანსება განხორციელდა 7 სექტორში: ჯანდაცვა და სოციალური სფერო, კერძო სექტორის განვითარება, ენერგეტიკა, ფინანსები და საბანკო სექტორი, დემოკრატია და სამართალი, ლტოლვილები და პოსტკონფლიქტური ზონები, სახელმწიფო სექტორის რეფორმა.

	სექტორის დასახელება	პროექტების რაოდენობა	ღირებულება აშშ დ.
1	სახელმწიფო სექტორის რეფორმა	4	5.800.000
2	ჯანდაცვა და სოც. სფერო	4	46.330.000
3	ენერჯეტიკა	4	33.550.000
4	ფინანსები და საბანკო სექტორი	7	20.630.000
5	კერძო სექტორის განვითარება	6	37.400.000
6	დემოკრატია და სამართალი	8	19.170.000
7	ღვთისმეტყველები და პოსტკონფლიქტური ზონები	1	2.000.000
	სულ:	34	164.880.000

საქართველო იმ ქვეყნების ხუთეულშია, რომელსაც გერმანია დაეხმარა. წლების მიხედვით გერმანიის დახმარება ასე გამოიყურება

წლები	ფინანსური დახ. (მარკა)	ტექნიკური დახ. (მარკა)	ჯამი
1992		4.500.000	4.500.000
1993	30.000.000	3.000.000	33.000.000
1994	–	2.700.000	2.700.000
1995	20.000.000	9.700.000	29.700.000
1996	50.000.000	6.700.000	56.700.000
1997	42.500.000	7.500.000	50.000.000
1998–1999	–	7.880.000	107.730.000
2000–2001	55.000.000	10.400.000	65.400.000
სულ:	297.350.000	52.380.000	349.730.000

ამ თანხით დაფინანსდა 37 პროექტი საერთო ღირებულებით 294.368.000 მარკა და 19.411.000 აშშ დ., მათ შორის 8 პროექტი ჰუმანიტარული დახმარების იყო საერთო ღირებულებით 19.411.000 აშშ დ. ძვირადღირებული პროექტები განხორციელდა ისეთ სფეროებში, როგორცაა ენერჯეტიკა, ფინანსები და საბანკო საქმე, განათლება, მიწის მართვა და სხვ.

რაც შეეხება იაპონიას, მას ეკუთვნის საკმაოდ ძვირადღირებული დაგეგმილი პროექტი, 210.000.000 აშშ დ-ის ღირებულებით ტრანსპორტისა და ტელეკომუნიკაციების სფეროში. 18.100.000 აშშ დ. ღირებულების 4 პროექტი დაასრულა სოფლის მეურნეობაში და 6.300.000 აშშ დ. დააბანდა კერძო სექტორში. იაპონიის მიერ დასრულებული, მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების საერთო ღირებულებამ შეადგინა 298.000.000 აშშ დ.

საქართველოსთან მიმართებაში, ჰუმანიტარული დახმარების თვალსაზრისით, გამორჩეული ქვეყანაა თურქეთი, რომელმაც განახორციელა 36 პროექტი საერთო ღირებულებით 24.285.965 აშშ დ.

გარდა ამ ქვეყნებისა, კერძო სექტორის განვითარებას საქართველოში დაეხმარა ჩინეთი 4.670.000 აშშ დ-ის ტოლი თანხით; ტრანსპორტისა და ტელეკომუნიკაციების დარგს კი ქუვეტი – 25.000.000 აშშ დ. ტოლი თანხით 1.800.000 აშშ დ. პროექტი დაასრულა დიდმა ბრიტანეთმა სოფლის მეურნეობის დარგში.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. საერთაშორისო თანამეგობრობა და საქართველო 1992–2002 წლები. თბილისი, 2002.
2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, 1992-2002 წწ.

*Iza Natelauri*

**FOREIGN ALLOWANCES AND GRANTS FOR GEORGIA IN 1992-2002**

**Annotation**

Is analyzed and assessed quantitative indicators, sum total, and spectrum of those who got grants and allowances in Georgia in 1992-2002 (financial, technical and humanitarian) from international organizations and separate countries.

*Agnieszka Rzepka*

**FDI AND INTERNATIONAL TRADE IN GLOBALISATION ASPECTS IN ECONOMY. THE CASE OF POLAND**

**International trade**

For centuries the economy to the greatest extent has been bound together by international trade. After the great economic collapse, the role of trade and its rate have changed. International trade in goods was characterized by high expansiveness and relative independence from economic fluctuations. After the World War II geographical structure of trade in goods did not change. Developed countries definitely prevailed in the trade flows. Their share in world trade ranged from 60% to 70%. The share of developing countries remained at about 20% level, and the contribution of the former socialist countries oscillated in a range of more or less 10% of the global trade exchange [Marszałek A., 1991: 58-62].

Between 1950 and 1980 world's import and export increased. The average annual growth rate of world's export in the period 1960-1970 amounted to 8.5% [C. Grece, M. Greffrath, H. Schumann, 2004:47-51]. This increase, however, was not steady. Until 1980 the trade exchange steadily expanded.

**Table 1. The increase in world trade (in million USD)**

	1960/1950	1970/1960	1980/1970
Export	65	179	1 652
Import	69	186	1 689

*Source:* Own study based on data from the UNCTAD database: Handbook of Statistics On-line.

The fastest growth was recorded in the 70s of the twentieth century when its rate was almost four times higher than in the 60s (see Table 1). In the 70s of the twentieth century total upswing in sales amounted to more than 3 trillion US dollars. It was, however, solely the result of intensification of exchange, but also the result of an increase in prices caused by the growth in commodity prices (especially oil). After 1980, the dynamics of rate of exchange weakened [Czarny E., Śledziowska K., 2007: 71-73].

## FDI

The process of opening economies and expanding the idea of free trade have increased the possibilities international business activities, providing them with almost unlimited access to the resources and factors of production. Increase in the position and strength of international companies on the international scene was the result of the so-called global presence of increasing independence towards nations, and also the growth of potentials and expansion of interactions.

Therefore, an important manifestation of globalisation is the international flow of capital, especially the expansion of transnational corporations (TNCs)<sup>75</sup>. They appear as factors which co-create the process of globalisation, and constitute one of its main driving forces. The importance of both foreign investments and corporations and their important role in the global economy tend to regard them as one of the main manifestations of globalisation.

The internationalization of economic activity, that is keeping it abroad, is a complex process and indicates a growing geographic scope of this activity, performed in a sequential or complementary manner with the use of three forms: trade, contractual cooperation and foreign investments which aim at creating foreign subsidiaries and joint ventures. Foreign direct investments (FDI) were (and still are) considered as a determinant of an international expansiveness of enterprises, their wealth (in capital, including human resources, technology and other supremacies), managerial skills, knowledge of foreign markets and other important attributes. The growing volume of global FDI and the growing involvement of transnational corporations in international trade have become for researchers the evidence of the ongoing expansion of the companies abroad, and indirectly changes taking place in them.

Corporations affect the progress of the process of globalisation through an influence on the global economy. Their presence can manifest itself in two ways: indirect and direct [Jarczewska – Romaniuk A., 2003:140]. The indirect form is based on the presence of corporate goods and services outside the borders of home country. This form of the presence is seen as a transitional stage, followed by a further process of transition to a more complex phase of foreign activity that is investments. The direct form of global presence of corporations are direct foreign investments (FDI).


Transnational corporations are formed and evolve through foreign direct investment (FDI) [Goldin I., Reinert K., 2006:78]. Direct foreign investments are based on locating the capital abroad by the parent company in order to obtain a direct impact on the activity of companies injected with capital with an the intention of financially support the entity in which the investor has significant share, or in order to create a new economic entity. Direct investment include investment transactions undertaken by the investor abroad in order to exert a direct impact on the production of the company in which the money are invested, or to provide finances, goods, technology, in which the market investor has ownership interests. Therefore, one shall not treat investments only as an international transfer of capital, but as a specific type of transaction which connects the capital, experience and entrepreneurship [J.H.Dunning., 1970:27].

In today's global economy, there has been no harmonization of conditions of activities of foreign investors. There are still differences in this respect between the different countries, but all countries continue to restrict the flow of FDI to sectors of strategic importance. Foreign capital investments allow to reduce international imbalances in capital equipment and promote new technologies [Czarny B., 2004:138].

For Poland, the total value of foreign direct investment (ang. FDI stock) amounted to 160.5 billion EUR at the end of 2013. They comprised of liabilities from capital share participations and reinvested profits (125.3 billion EUR) and remaining capital liabilities (35.2 billion). In contrast, the highest investment values were in the following countries: Germany (27.5 billion), the Netherlands (25.9 billion), France (19.1 billion).

<sup>75</sup> There is a problem with a name appropriate to the characteristics of the examined entities. In English literature there are several names. One of them is the multinational enterprises (MNEs) or multinationals, which should be translated into Polish as „przedsiębiorstwami międzynarodowymi”. The second name is the transnational corporations (TNCs or transnationals), which is the Polish equivalent of „korporacje transnarodowe” (KTN) or ponadnarodowe. The term "transnational corporations" was officially adopted by the UN in 1974 and since then has been consistently used in all publications of the organization (also in the publications of American authors). This name does not concern so internationalised companies that become stateless, and so extensive that operate in almost all countries and across borders. The name implies that the company is organized and coordinated by the parent company in the home country but actions of the company are spread globally. The term adopted by the UN is used in this article as a synonym for a company operating internationally.






**Chart 1. 20 main investors at the end of 2013**

Source: own study based on NBP data [NBP-National Bank of Poland]

On the basis of data<sup>76</sup>, it should be noted that the balance of foreign direct investments in Poland amounted to 2.2 billion euros in 2013. During this period, the main investors were companies from the following countries:

- United Kingdom (3.3 billion EUR),
- Germany (1.9 billion EUR),
- Switzerland (1.0 billion EUR).

Meanwhile, the largest outflow of investments (withdrawal of capital from Poland) took place in Jersey (-3.4 billion EUR), Luxembourg (-1.8 billion EUR), Sweden (-0.5 billion EUR).



**Chart 2. Main countries of the inflow and outflow of investments in 2013**

Source: own study based on NBP data [NBP-National Bank of Poland]

Another sector are entities with foreign capital. According to surveys of the Central Statistical Office, the population of these entities amounted to 26 128 units in 2013. In the same year, 1 489 entities with foreign capital were established compared to 1 712 of such entities in 2012. Among the entities set up in 2013 there were 1 214 new units, so called "Green field investors". The highest number of new entities was observed in activities related to culture, entertainment and recreation – 9.0%, in mining and extractive industry – 8.5%, in production and supply of electricity, gas and water – 8.2%. Foreign capital in entities which its value exceeded 1

<sup>76</sup> Information on foreign direct investment in Poland in 2013 was prepared for the first time based on the new standards of the Organization for Economic Cooperation and Development (OECD) concerning the way of making direct investment statistics, as described in Benchmark Definition of Foreign Direct Investment 4th ed. Because of the changes, data from the previous years and current data are not directly comparable. These data also cease to be directly comparable with direct investments presented in current account deficit and international investment position divided into assets and liabilities.

million USD constitute 96.8% of total foreign capital in Poland. The highest share of foreign capital of these entities was recorded in enterprises operating in the field of manufacturing & trade (36.3%), and the repair of motor vehicles (21.1%). Generally, foreign capital allocated in Poland at the end of 2013 came from 125 countries. From the European Union countries 89.5% of the foreign capital came, and from OECD countries 94.3%. Countries that allocated capital in Poland in the greatest extent include: the Netherlands (17.1% of total foreign capital), France (16.6%), Germany (16.4%). At the end of 2013, entities with foreign capital employed 1 628.5 thousand people, 3.6% more in comparison with 2012. Most people worked in entities engaged in the processing industry - 46.3% of the total number of people working in entities with foreign capital- and in trade and repair of motor vehicles - 23.9%. Almost 70% of the total number of employed in companies with foreign capital were employed in entities established in four voivodeships: Mazowieckie (33.7%), Wielkopolskie (14.3%), Slaskie (11.1%) and Dolnoslaskie (9.5% ).

Since the introduction of the free market in Poland and the international opening of the Polish economy that followed the collapse of communism, our country has made a tremendous progress towards global economic integration.

The 27th place of Poland in Globalisation Index 2012 – ranking of most globalized world economies prepared each year by Ernst & Young - is the confirmation of this progress. Poland precedes in the ranking, among other countries, Italy (which is at 30th place), South Korea (33rd), Japan (43rd), but also the BRIC countries - Brazil (45th), Russia (48th), India (54th) and China (44th ).

Compared with the previous edition of the Globalisation Index 2011, Poland has improved its overall score by 0.06 points to 4.23 points, which was enough to defend its position in the ranking. In the first edition of the ranking of Ernst & Young in 1995, Poland was at the 40th place, while the highest, 25th position in the Index, Poland has achieved in 2012.

Ernst & Young prepared globalisation Index based on interviews with 750 managers from international companies from the 60 largest economies in the world (by GDP). It is designed to measure the links between these economies. The value of the Index for individual countries consists of grades in five categories, respectively, openness to trade, capital flow, mobility of labour, exchange of technology and knowledge, and cultural integration.

Globalisation Index allows to identify areas that are the strengths of Poland compared to other countries of the world, as well as sides that should be improved. The report shows that in the category of openness to trade, Poland comes out best. The weakest side of Poland is rated in terms of technology and knowledge. Small investments in research and development and related to it low level of trade exchange shows a direction in which Polish economy and enterprises should evolve. According to the report, another possible direction of development is to increase export, both by entering new markets and expanding the range of exported goods. Another challenge for the Poland is to increase, in the context of increasing globalisation, competitive advantage in Central and Eastern Europe as an attractive country for foreign investment. An activity that certainly would contribute to the increase of the inflow of foreign direct investments to Poland is an extension of operation of special economic zones that offer investors preferential conditions, that cover, among other things, tax credits. In the light of current legal regulations, these zones would cease to operate in 2020 what is, unfortunately, not an optimistic sign in a long-term perspective.

Competitiveness of Poland in Central and Eastern Europe, confirmed by the report of Ernst & Young 2012, in which Poland was considered the second most attractive country for investment in Europe (behind Germany) can not be taken for granted, it should, however, be consistently reinforced. Special economic zones is one of the key factors that attract foreign investors to Poland – therefore, their future must be decided as quickly as possible. The attractiveness of Poland is largely dependent on the development of the economic zones. Another way to increase the attractiveness of Poland to consider is a more flexible labour law.

Investment attractiveness may be a subjective term, but the inflow of investments is hard data. These data show that in 2012, Poland has attracted significantly less foreign investment than a year earlier. According to preliminary data of the National Bank of Poland, the inflow of foreign direct investment to Poland last year amounted to 2.9 billion euros, while in 2011 reached 13.6 billion euros. These data seem to be confirmed by the estimated calculations presented at the United Nations Conference on Trade and Development (UNCTAD), which show that in 2012 inflow of FDI of amounted to 4.1 billion USD and a year earlier to 18.9 billion dollars.

## Conclusion

In conclusion, the size of the global foreign direct investments are growing much more rapidly than world trade or production, which in turn causes a rapid increase in the role of FDI as a “binding agent” of global economy. With increasing globalisation, FDI are increasingly used to minimize the possible adverse effects of globalisation and enhance its positive effects. Over the course of liberalization of restrictions on FDI it is important not to cause a situation where national regulations and restrictions could be replaced by a restrictions put forward by private companies. Those countries that fail to attract foreign investors and use them as a catalyst in the process of modernization of the domestic industry, are at greater risk of being on the verge of globalisation of the world economy.

The processes of economic globalization – increase of the flow of goods, services, capital and technology that lead to the integration and merging of markets, extension of the range and scope of the international business and the deepening of interdependence among countries - have a significant impact on the conditions for success of economic policy. Globalization changes the external environment in which national entities operate. On the one hand, it opens new opportunities, but on the other, it imposes a serious threat. That is why both governments and businesses must take appropriate measures and strategies to meet new challenges.

Domestic companies that undertake investments abroad may also bring benefits from participation in the processes of globalization. The government policy in Poland has been focused on attracting foreign investors to Poland for a dozen of years. It supports investing domestic resources abroad in a small extent. Other countries use many instruments to supports such action. In an era of globalization the investments should flow in both directions. The investors are looking for suitable locations for business and its forms worldwide. The possibility to expand contacts for Polish companies and access global markets, to a large extent, depends on the level of globalisation infrastructure.

## REFERENCES

1. G.W. Kołodko, *Rozwój polskiej gospodarki. Perspektywy i warunki*, Wydawnictwo Wyższej Szkoły Zarządzania i Przedsiębiorczości, Warszawa, 2002, s. 92.
2. A. Marszałek (red), *Gospodarka światowa (zarys wykładu)*. Łódź 1991, p.58 - 62.

3. E. Czarny, K. Śledziwska, *Zmiany w światowym handlu w latach 1950 -2004*, [w:] Bank i Kredyt, April, 2007, p.71 – 73.
4. A. Jarczewska-Romaniuk, *Korporacje w procesie globalizacji*, *Sprawy Międzynarodowe*, no 1, 2003 p.140.
5. I. Goldin, K. Reinert, *Globalization for development: trade, finance, aid, migration, and policy*, New York 2006, p.78.
6. J. H. Dunning, *Studies in International Investment*, London 1970, p.27.
7. B. Czarny, *Gospodarka otwarta* [w:] *Globalizacja od A do Z*, pod red. E. Czarny, Warszawa 2004, p.138
8. K. Ohmae, *The Borderless World: Power and Strategy in the Inter – Linked Economy*, New York 1995.
9. J. Stiglitz, *Future of Globalization. Explorations in light of recent turbulence*, (ed.) E. Zedillo, London – New York 2007, p. 81.
10. M. Castells, *Materials for an exploratory theory of the network society*, “British Journal of Sociology” 2000, Vol. 51, Issue 1, pp. 10-11.
11. D.B. Shaw, *Technoculture*, Oxford – New York 2008, p. 26.
12. Z. Bauman, *Globalization, what results from it for people*, Warsaw 2000, p.7 C. Grece, M. Greffrath, H. Schumann, *Człowiek w procesie globalizacji - ATTAC*, Kraków 2004, p. 47-51.
13. A. Zorska, *Ku globalizacji. Przemiany w korporacjach transnarodowych i gospodarce światowej*, Warszawa 1998, s.9.

*Agnieszka Rzepka*

**FDI AND INTERNATIONAL TRADE IN GLOBALISATION ASPECTS IN ECONOMY. THE CASE OF POLAND  
Annotation**

In today's global economy, there are developing various types of economic and political relationships. The most important include: the exchange of goods and services, trade in the foreign exchange markets, the flow of capital and labour, international cooperation in production, and international political cooperation. Fast development of economic relations between different countries, and the creation and development of international associations and institutions are all processes which characterize the modern world.

Polish economy becomes an open economy and it will be more and more influenced by the world economic, technical, scientific and demographic processes. The factors that will have a decisive impact in the long term perspective, with great probability will include the transition of developed societies to the era of civilization of information and globalisation and integration of economies. The dominant global process is the transition of the developed societies the era of information civilization. Its main determinants are [GW Kolodko, 2002: 92]:- the increase of the role of science and education,

- the transformation of knowledge into a production resource,
- the development of information technology,
- the fundamental transformation of activity of all sectors,
- the occurrence of new professions that require the skill of collecting, processing and using the information.

*ქოვეან ფიფია*

**მოსახლეობის მიგრაციის ეკონომიკური მოდელების შესახებ**

ეკონომიკის, დემოგრაფიის და სოციოლოგიის სხვადასხვა ასპექტების მათე-მატიკური მოდელების ეფექტურობა დიდი ხანია, ეჭვს არ იწვევს, მაგრამ არც ფიზიკური მოდელების გამოყენებას აქვს მცირე ისტორია; მეტიც, ეკონომიკაში და სოციოლოგიაში ფიზიკის გამოყენებამ წარმოშვა მეცნიერების ახალი დარგები ეკონოფიზიკა და სოციოფიზიკა [1]. ფიზიკური მოდელების გამოყენება იმიტომაც სასარგებლოა, რომ, თუმცა საბოლოო შედეგი მაინც მათემატიკურ სახეს იღებს, მაგრამ თვითონ ამ უკანასკნელის აგებისას ფიზიკური ინტუიცია მუშაობს, რასაც გადამწვევტი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენი მიზანია მიგრაციის ფენომენის განხილვა ფიზიკური მეთოდებით. ინტერგეიონულ, ინტერსახელმწიფოებრივ და ინტერკონტინენტალურ მიგრაციებს აქვთ ისტორიული და პოლიტიკური მნიშვნელობა, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა ის ეკონომიკური შედეგები, რომლებსაც იწვევს ადამიანთა ამ მასების მოძრაობა მათ სამშობლო ქვეყანასა და რეგიონში და შემდეგ იმ ქვეყანაში, სადაც ისინი მიდიან და ხშირად სამუდამოდ. ეს პროცესები დაკავშირებულია ეკონომიკური განვითარების პროგრესთან და ხშირად – რეგრესთანაც, განსაკუთრებით იმ ქვეყანაში, საიდანაც მიგრაცია ხდება. ყველაზე დამლუპველია განვითარებადი ქვეყნებიდან მაღალი ხელფასისა და მუშაობის უკეთესი პირობების საძიებლად განვითარებულ ქვეყნებში კვალიფიციური მუშახელის – მეცნიერების და ა.შ. მიგრაცია, რამაც მიიღო სახელწოდება “ტვინების გადინება”. ჩვენ არ ვვხებით ამ პრობლემის ეთიკურ ასპექტებს, კერძოდ, ქვეყნის მიერ იმ სპეციალისტების დაკარგვას, რომელთაც ქვეყანამ ბევრი ფული დახარჯა და, მიუხედავად იმისა, რომ ეს გასვლა მცირერიცხოვანია, მას სერიოზული უარყოფითი შედეგები აქვს.

მასობრივი მიგრაციის, განსაკუთრებით შრომითი მიგრაციის მიზეზები მრავალგვარი და უაღრესად დივერსიფიცირებულია. ქვემოთ ჩვენ ჩამოვთვლით მიგრაციის ძირითად ტიპებს მცირე შექცევადი მიგრაციების – მაგ., სეზონური, ტურისტული და სხვა გამოკლებით. თუ არ ჩავთვლით ისტორიის უდიდეს მიგრაციებს (მაგ., ბარბაროსთა შემოსევებს) და მიგრაციებს, რომლებიც გამოწვეულია ბუნებრივი კატასტროფებით, სოციო-პოლიტიკური კონფლიქტებით, ომებით და ა.შ., მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ არსებობს მიგრაციის ორი ძირითადი სახეობა:

- 1) მიგრაცია, რომლის მიზანია ცხოვრების უფრო მაღალი სტანდარტი, უკეთესი განათლება, საქმიანობის შეცვლა და ა.შ;
- 2) დაუსაქმებელი ან არაკვალიფიციური, ან დაბალკვალიფიციური პოპულაციის მიგრაცია, რომელსაც ადგილი აქვს ძირითადად ეკონომიკური რეცესიის დროს;

მიგრაციის ამ ორი კატეგორიის შემთხვევაში საზოგადოდ ადამიანი მიგრირებს სამუშაოს საშოვნელად ან ცხოვრების უფრო მაღალი სტანდარტის გამო, მაღალი ხელფასისთვის, უკეთესი უმაღლესი განათლების მისაღებად და ა.შ.

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის შუახანებში ამერიკელი სოციოლოგი ფ. კერი აღნიშნავდა ანალოგიას გრავიტაციულ ძალებსა და საზოგადოებრივ მოვლენებს შორის [2, გვ.137, 2005]. 1929 წელს ვ. რეილმა (აშშ) შემოიტანა საცალო ვაჭრობის გრავიტაციის კანონი, რომლის მიხედვითაც ქალაქის საცალო ვაჭრობა იზიდავს კლიენტურას მის გარშემო არსებულ ტერიტორიებიდან “ძალით”, რომელიც ქალაქის სიდიდის პროპორციულია და უკუპროპორციულია მანძილის კვადრატისა ქალაქის ცენტრიდან კლიენტამდე [2, გვ. 137]. გრავიტაციის კანონი დაუდო ავიაგადაზიდვების მოდელირებას საფუძვლად ნიმიკმა [3, 2003]. საზოგადოებრივ მეცნიერებებში ფიზიკური მოდელების აგებისას გამოიყენება ფაზური გადასვლები [4], თერმოდინამიკა, კვანტური მექანიკა, არაწრფივი დინამიკა [5,6] და სხვა.

მუშაძალის, მონეტარული ნაკადების, სამომხმარებლო საქონლის და სხვა მიგრაციები ეკონომიკური მიზიდულობის ცენტრებისკენ, ანუ ატრაქტორებისკენ, შეიძლება აღწერილ იქნეს გრავიტაციული და ელექტროსტატიკური მოდელების საშუალებით. მათი თვალშისაცემი მსგავსების მიუხედავად, გრავიტაციულ მოდელებთან შედარებით ელექტროსტატიკურ მოდელებს ის უპირატესობა აქვთ, რომ მისი საშუალებით შეიძლება განზიდვის მოდელირებაც, განსხვავებით გრავიტაციულიდან; ასევე, ელექტროსტატიკური მოდელების დროს ბუნებრივად ხდება შედევადობის მუდმივის შემოტანაც. აქვე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ რაც უფრო მეტია მანძილი ატრაქტორამდე (აქ მანძილი გვესმის არა მარტო პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ როგორც სიძნელეები ტრანზიტში, ეკოლოგიური, ეკონომიური და პოლიტიკური ბარიერები და სხვა), მით უფრო მეტია მისახიდი ელემენტების დანახარჯები.

მიგრაციის გრავიტაციული მოდელი აგებულია, მაგ., [7,8]-ში. რაც შეეხება მიგრაციის ელექტროსტატიკურ მოდელებს, ჩვენი განხილვის საგანი იქნება [9]-ში შემოთავაზებული მოდელი

$$M_{ij} = k \frac{q_i \rho_j a^2}{\epsilon R^2}, \quad (1)$$

სადაც

$M_{ij}$  – მიგრანტების მასა  $i$  ღარიბი ქვეყნიდან  $j$  მდიდარ ქვეყანაში;

$q_i$  – ღარიბი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა;

$\rho_j$  – მდიდარი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა;

$a$  – მდიდარი რეგიონის ზომა (რადიუსი);

$R$  – მანძილი ამ ორ ქვეყანას შორის;

$k$  – პროპორციულობის კოეფიციენტი;

$\epsilon$  – ქვეყნის “შედევადობა”, ანუ სხვადასხვა დაწესებული ბარიერი.

მიუხედავად იმისა, რომ (1) ფორმულა პრაქტიკულ შედეგებს ვერ მოგვცემს, რადგან რეალურად მიზიდვას (და განზიდვასაც) ადგილი აქვს მრავალ ქვეყანას შორის, ის საკმაოდ პერსპექტიული ჩანს უფრო სრულყოფილი მოდელის ასაგებად. ჩვენ ამ სტატიაში მის რამდენიმე შედეგს შევხებით და შევეცდებით გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება, თუ როგორ შეიძლება მისი გაუმჯობესება.

**პირველი შედეგი.** აღვნიშნოთ

$$\lambda = k \frac{\rho_j a^2}{\epsilon R^2}$$

და ჩავთვალოთ, რომ  $\lambda$  მუდმივია; ამოცანის პირობიდან გამომდინარე, ცხადია,  $\lambda < 1$ . მაშინ  $t$  დროში მოსახლეობის დანაკარგი იქნება

$$S = \lambda q_i t$$

და  $t = 1/\lambda$  დროის გასვლის შემდეგ  $i$  ქვეყანაში მოსახლეობა აღარ დარჩება. მაგრამ პრაქტიკულად ასეთი რამ შეუძლებელია. ეკონომიური რეცესიის დამთავრება, ახალი ბარიერების შემოღება, მოსახლეობის შემცირების გამო  $i$  ქვეყანაში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის ზრდა გარკვეული დროის შემდეგ ემიგრაციაში წასვლის მსურველთა რაოდენობის შემცირებას იწვევს, რასაც წონასწორობის დამყარება მოჰყვება. დაახლოებით ასეთი რამ მოხდა ახლახან საქართველოში – მოსახლეობის აღწერამ გამოავლინა, რომ ჩვენ გაცილებით ცოტანი დავრჩენილვართ, ვიდრე გვეგონა და ქვეყანაში საშუალო ეკონომიკურმა მაჩვენებლებმა საგრძნობლად მოიმატა.

**მეორე შედეგი.** (1) ფორმულა დროის ფაქტორს არ ითვალისწინებს. ეს ფაქტორი გავითვალისწინოთ შემდეგნაირად: ჩავთვალოთ, რომ დროის გარკვეულ შუალედში (რომელსაც ჩვენ ერთეულად ჩავთვლით) პოპულაციის გადინება (1)-ით გამოისახება. მაშინ დროის ერთი ერთეულის (შუალედის) გავლის შემდეგ ქვეყანაში დარჩება

$$S_1 = M_{ij} - \lambda M_{ij} = M_{ij}(1 - \lambda)$$

ადამიანი. დროის ორი შუალედის შემდეგ ქვეყანაში დარჩება

$$S_1 - \lambda S_1 = M_{ij} - \lambda M_{ij} - \lambda(M_{ij} - \lambda M_{ij}) = M_{ij}(1 - \lambda)^2$$

აღამიანი. მათემატიკური ინდუქციით ადვილად მტკიცდება, რომ დროის  $n$  შუალედის შემდეგ  $i$  ქვეყნის მოსახლეობა შეადგენს

$$S_n = M_{ij}(1 - \lambda)^n$$

კაცს.  $S_n$ -ის ფორმულიდან ჩანს, რომ როცა  $n$  მიისწრაფვის უსასრულობისაკენ, მაშინ  $S_n$  მიისწრაფვის ნულისკენ, რადგან  $1 - \lambda < 0$ , ანუ ზღვარში ქვეყანაში მოსახლეობა აღარ დარჩება, თუმცა, ცხადია, ასეთი ინტერპრეტაციისას ქვეყნის დაცარიელება უფრო ნელა ხდება, ვიდრე პირველ შედეგში.

ახლა სრულად გავითვალისწინოთ (1)-ში დროის ფაქტორი. (1)-ის რამდენიმე პარამეტრი შეიძლება იყოს ცვლადი, დროზე დამოკიდებული: იცვლება ღარიბი და მდიდარი ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობა, მანძილი ამ ორ ქვეყანას შორის (რადგან, როგორც აღვნიშნეთ, აქ მანძილი პირადაპირი აზრით არ არის გაგებულ), იცვლება ქვეყნის “შედევადობა”, მაგალითად, ვიზალბერალიზაციის ან პირიქით, ახალი ბარიერების დაწესების გამო. ამიტომ, თუ (1)-ს ჩავთვლით პოპულაციის მიგრაციის სინქარედ, მაშინ  $t_0$  დროის გასვლის შემდეგ  $i$  ქვეყნიდან მოსახლეობის გადინება უნდა გამოისახოს შემდეგი განსაზღვრული ინტეგრალით:

$$S = ka^2 \int_0^{t_0} \frac{q_i(t)\rho_j(t)}{\mathcal{E}(t)R(t)^2} dt. \quad (2)$$

არაა გამორიცხული, რომ გარკვეულ პირობებში  $k$  და  $a$  პარამეტრებიც იცვლებოდეს.


ამრიგად, (1) მოდელში დროის ფაქტორის გათვალისწინებას მივყავართ მოსახლეობის მიგრაციის მოდელამდე, რომელიც (2) განსაზღვრული ინტეგრალით გამოისახება. ამ ინტეგრალს ისეთივე ნაკლი აქვს, როგორც პირველ და მეორე შედეგებს, ანუ წინასწარმეტყველებს მოსახლეობის მუდმივ გადინებას. ამიტომ ინტეგრალქვეშა გამოსახლება უნდა გაგამრავლოთ ფუნქციაზე, რომელიც ამ ნაკლს გამოასწორებს. ამისთვის  $u_i(t)$ -თი აღვნიშნოთ  $i$  ქვეყნის მშპ ერთ სულ მოსახლეზე,  $u_j(t)$ -თი  $j$  ქვეყნის მშპ ერთ სულ მოსახლეზე.

ხოლო მათი შეფარდება იყოს  $u_{ij}(t) = \frac{u_i(t)}{u_j(t)}$ ; დავეუძახოთ მას ფარდობითი მშპ. მოსალოდნელია, რომ როცა

$u_{ij}(t)$  დაბალია, მაშინ მოსახლეობის მიგრაციისადმი მიდრეკილება დიდია, ხოლო როდესაც  $u_{ij}(t)$  უახლოვდება ერთს, ეს მიდრეკილება მცირდება და მეტიც, თითქმის ნული ხდება. აღვნიშნოთ  $\chi_1$ -ით ფარდობითი მშპ-ის მნიშვნელობა, რომელსაც აქვს თვისება, რომ როცა  $u_{ij}(t)$  მას უახლოვდება, მაშინ მოსახლეობის მიგრაციისკენ სწრაფვა მცირდება, და  $\chi_2$ -ით ფარდობითი მშპ-ის მნიშვნელობა, რომელსაც აქვს თვისება, რომ როცა  $u_{ij}(t)$  მას უახლოვდება, მაშინ მოსახლეობის მიგრაციისკენ სწრაფვა თითქმის ნულია ( $\chi_1$ -ის და  $\chi_2$ -ის მნიშვნელობები უნდა დავადგინოთ ემპირიულად ან ჰიპოთეზის სახით, რომელიც შემდეგ შეიძლება შემოწმდეს). მაშასადამე, უნდა ავაგოთ ფუნქცია, რომელიც, როცა  $u_{ij}(t)$  მცირეა  $\chi_1$ -ზე, თითქმის ერთს ტოლია, ხოლო როცა  $u_{ij}(t)$  უახლოვდება  $\chi_2$ -ს, თითქმის ნული ხდება. საფუძვლად ავიღოთ ე.წ. შეცდომის, ანუ გაუსის ფუნქცია  $erf(x)$ :

$$erf(x) = \frac{2}{\sqrt{\pi}} \int_0^x e^{-x^2} dx,$$

რომლის გრაფიკს [-5;5] სეგმენტზე აქვს სახე




გრაფიკიდან ჩანს, რომ დაახლოებით  $x = -2$  მნიშვნელობის შემდეგ ფუნქცია მკვეთრად იზრდება და  $x = 2$  წერტილზე ხდება მისი მკვეთრი სტაბილიზაცია და ის ხდება თითქმის 1-ის ტოლი. ამის გათვალისწინებით ავაგოთ ფუნქცია

$$\varphi(x) = \frac{1}{2} + \frac{1}{2} \operatorname{erf}\left(\frac{4}{\chi_1 - \chi_2} x + \frac{2(\chi_1 + \chi_2)}{\chi_2 - \chi_1}\right),$$

რომელიც აკმაყოფილებს საჭირო თვისებებს. მაგალითად, როცა  $\chi_1 = 0,4$  და  $\chi_2 = 0,8$ , გვექნება, რომ

$$\varphi(x) = \frac{1}{2} + \frac{1}{2} \operatorname{erf}(-10x + 6),$$

და მის გრაფიკს [-1;3] სეგმენტზე ექნება სახე



შეენიშნოთ, რომ გაეროს 2013 წლის მონაცემებით აშშ-ს მშპ ერთ სულ მოსახლეზე იყო 52391\$, ხოლო საქართველოსი კი 3715\$, ანუ 14-ჯერ ნაკლები; შესაბამისად,  $u_{ij} = \frac{3715}{52391} \approx 0,07$  (!)

ამრიგად, შეგვიძლია დავუშვათ პიპითეზის სახით, რომ ორ  $i$  და  $j$  ქვეყანას შორის მოსახლეობის მიგრაციის ელექტროსტატიკური მოდელი წარმოდგენილია შემდეგი ფორმულით

$$S = ka^2 \int_0^{t_0} \frac{q_i(t) \rho_j(t)}{\varepsilon(t) R(t)^2} \left( \frac{1}{2} + \frac{1}{2} \operatorname{erf}\left(\frac{4}{\chi_1 - \chi_2} x + \frac{2(\chi_1 + \chi_2)}{\chi_2 - \chi_1}\right) \right) dt.$$

ცხადია, ფარდობითი მშპ-ს მაგივრად შეგვეძლო აგველო რომელიმე სხვა პარამეტრი ან პარამეტრები, რომელიც (რომლებიც), ჩვენი აზრით განსაზღვრავს პოპულაციის მიგრაციას.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. Chakrabarti K. *Econophysics and Sociophysics*. 2006.
2. Власов М.П., Шимко П. Д. *Моделирование экономических процессов*. 2005.
3. Ныммик А. *Использование географических моделей в моделирование сети авиоперевозок*. *Transport and Telecommunication*, Vol 4, #1, 39-44, 2003.
4. Словохотов Ю. Л. *Аналоги фазовых переходов в экономике и демографии. Компьютерные исследования и моделирование*, т. 2, # 2, 209-218, 2010.
5. Lambertini L., *Quantum Mechanics and Mathematical Economics are Isomorphic*. University of Bologna, 1-17, 2000.
6. *Экономическая физика. Современная физика в поисках экономических теорий* (под ред. В. В. Харитоновой и А. А. Ежова), М., 2007.
7. Molho I., *Theories of Migration: A Review*, *Scottish Journal of Political Economy* (1986).
8. Sornette D. A., Johansen J. P., Bouchaud J. and Phys I. *Stock Market Crashes, Precursors and Replicas*, (France) 6, 167 (1996).
9. Gheorghiu A., Spanulescu I. *An Econophysics Model of the Migration Phenomena*, <http://arxiv.org/ftp/arxiv/papers/1202/1202.0996.pdf>

*Ketevan Pipia*

#### CONCERNING THE ELECTROSTATIC ATTRACTION MODEL OF MIGRATION Annotation

In the paper Anca Gheorghiu's and Ion Spanulescu's electrostatic attraction model is represented as integral of time  $t$  (i.e. it is taken into account the possible change in the parameters of the model over time) and in this integral is inserted a factor, which guarantees the termination of the flow of migrants after the increase some economic indicators in the country's with the poor economic; therefore, in our opinion, the new model is closer to reality.

**საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების პრობლემები და პერსპექტივები**

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის პირობებში სულ უფრო იზრდება ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი. შესაბამისად, ერთ ქვეყანაში წარმოქმნილი ეკონომიკური კრიზისი ჯაჭვურ რეაქციას იძლევა მისი სავაჭრო-პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკაზეც. შედეგად, ფუნდამენტურ საგარეო ეკონომიკურ პრობლემებს აწყდებიან იმპორტისადმი მაღალი ზღვრული მიდრეკილების მქონე ქვეყნები. საგარეო ფაქტორებზე დამოკიდებულების მაღალ დონეს კი ამჟღავნებენ განსაკუთრებით პატარა ქვეყნები. გარდა ამისა, სამრეწველო პროდუქციის მსოფლიო ფასებთან შედარებით, ნედლეულის ფასთა სიმცირის გამო, ნედლეულის ექსპორტიორი და მზა ნაწარმის იმპორტიორი ქვეყნები განიცდიან სავაჭრო ბალანსის ქრონიკულ დეფიციტს. მათ რიცხვს განეკუთვნება საქართველოც.

1990-იან წლებში საგარეო ვაჭრობაში ჩვენი ქვეყნის ქოტურად, ეროვნული ინტერესების სათანადო დონეზე შესწავლის, წარმოჩენისა და დაცვის გარეშე ჩართვამ, დანარჩენი მსოფლიოსათვის მიწოდების თვალსაზრისით ის გადააქცია სანედლეულო დანამატად, ხოლო მოხმარების თვალსაზრისით კი – გასაღების ბაზრად. საქართველოს სავაჭრო პარტნიორებს შორის გამოირჩევა თურქეთი, რომელთანაც სავაჭრო ბრუნვა სტაბილურად მაღალია. 2007 წლამდე ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობაში წამყვანი ადგილი ეკავა რუსეთს, რომლის ბაზარზეც იყო ორიენტირებული საქართველოს პროდუქციის უდიდესი ნაწილი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური კავშირები ჯერ კიდევ არ აღდგენილა, მათი სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტები მაინც არ შეწყვეტილა. დღემდე რუსეთი რჩება საქართველოს 10 უმსხვილეს პარტნიორს შორის. მართალია, 2008 წლამდე ეს ქვეყანა საქართველოს პირველი სავაჭრო პარტნიორი იყო, მაგრამ დღეს ის სავაჭრო ბრუნვის მოცულობით მეოთხე ადგილზეა თურქეთის, აზერბაიჯანისა და ჩინეთის შემდეგ. რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობები 2013 წლამდე საქართველოში მხოლოდ იმპორტით შემოიფარგლებოდა. 2008 წლიდან დღემდე, საქართველოს პირველი სავაჭრო პარტნიორი არის თურქეთი, სადაც ექსპორტირებული საქონლის ყველაზე დიდი წილი შავი ლითონის ჯართსა და ფეროშენადნობებზე მოდის. საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ჩამოყალიბებულ ზოგად ტენდენციებს ასახავს 2007-2014 წლების ექსპორტ-იმპორტის შესახებ მონაცემთა ცხრილი.

ცხრილი 1<sup>7</sup>

**საგარეო სავაჭრო ბრუნვა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2007-2014 წლების საქართველოში**

(მლნ აშშ დოლარი)	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015 I კვ
<b>საგარეო სავაჭრო ბრუნვა</b>	6444	7797	5634	6935	9254	10425	10934	11457	2279
<b>საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB)</b>	1232	1495	1134	1677	2189	2375	2908	2861	503
<b>საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (CIF)</b>	5212	6302	4500	5257	7065	8049	8026	8596	1776
<b>სავაჭრო სადღო</b>	-3980	-4806	-3367	-3580	-4876	-5674	-5117	-5735	-1273
<b>პირდაპირი უცხოური ინვესტიციები</b>	2014.8	1564.0	658.4	814.5	1 117.2	911.6	941.9	1272.5	---

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2015 წლის I კვარტალში შეადგინა 2279 მლნ აშშ დოლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მანუშებელზე 10%-ით ნაკლებია. აქედან ექსპორტი შეადგენს 503 მლნ აშშ დოლარს (28%-ით ნაკლები), ხოლო იმპორტი კი – 1776 მლნ აშშ დოლარს (3%-ით ნაკლები). საქართველოს სავაჭრო ბალანსის დეფიციტმა დროის ამ პერიოდში შეადგინა 1273 მლნ აშშ დოლარი. საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებია თურქეთი, აზერბაიჯანი, ჩინეთი, რუსეთი, გერმანია, უკრაინა, აშშ, სომხეთი, ბულგარეთი, იტალია და ა. შ. საქართველოსათვის საერთაშორისო ვაჭრობა ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია. დაბალანსებული სავაჭრო პოლიტიკის მიღწევა ქვეყნის საერთო ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. საქართველოს საგარეო ვაჭრობაში არსებული ქრონიკული დეფიციტის დაფარვის ძირითადი წყაროებია უცხოეთიდან მოზიდული ინვესტიციები, სასაქონლო პროდუქციის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები (ცხრ. 1), ჩვენი ქვეყნიდან ემიგრირებული მუშახელის მიერ გამოშუშავებული თანხების გზავნილები და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები, მაგრამ ეს წყაროები საკმარისი არ არის ქრონიკული დეფიციტის დასაფარავად. ამიტომ, ქვეყანაში მუდმივად დგას სავალუტო რეზერვების დაგროვებისა და ლარის კურსის შენარჩუნების პრობლემა.

ბოლო წლებში, საგარეო ვაჭრობის განვითარებისა და სავაჭრო პროცესების გამარტივების მიზნით, საქართველოში საფუძვლიანი რეფორმა გატარდა, რამაც ის ერთ-ერთი ლიბერალურ ქვეყნად აქცია<sup>78</sup>. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო დიდი ეკონომიკური სიმწელების წინაშე აღმოჩნდა, მაგრამ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დახმარებით ჩვენმა ქვეყანამ მოახდინა საგარეო ვაჭრობის დრმა და ყოვლისმომცველი ლიბერალიზაცია. ჩვენს ქვეყანაში გაუქმდა საიმპორტო კვოტები. ბოლო წლებში ქვეყნის ხელისუფლებამ განახორციელა სატარიფო პოლიტიკისა და ტექნიკური რეგულირების სფეროს რეფორმა, რის შედეგადაც ქვეყანას დღეისათვის გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა.

<sup>1</sup> www.geostat.ge, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: საგარეო ვაჭრობა და პირდაპ. უცხო. ინვესტიციები.

<sup>2</sup> ხათუნა ბერიშვილი. ეკონომიკის ლიბერალიზაცია და საგარეო სავაჭრო პოტენციალის ათვისების შესაძლებლობანი საქართველოში. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის კონფერენციის მოხსენებათა კრებული. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი, 2014, გვ. 127.

ეს უკანასკნელი გულისხმობს გამარტივებულ სავაჭრო რეჟიმს, საბაჟო პროცედურებს, დაბალ საბაჟო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას.

ქვეყანაში მოქმედებს შემდეგი სავაჭრო რეჟიმები: უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი. პრეფერენციების განზოგადებული სისტემა (მოქმედებს აშშ-თან, იაპონიასთან, შვეიცარიასთან, ნორვეგიასა და ევროკავშირის ქვეყნებთან მიმართებაში), რაც აადვილებს განვითარებადი ქვეყნების საქონლის შეღწევას განვითარებული ქვეყნების ბაზარზე. საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი აქვს თურქეთსა და დსთ-ს ქვეყნებთან. ბიზნესის შეუფერხებლად განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ცვლილებები გატარდა სატარიფო პოლიტიკის სფეროში. ექსპორტი გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან. იგი არ იბეგრება დღგ-ით. გათანაბრებულია დღგ-სა და აქციზის განაკვეთები როგორც ადგილობრივ, ისე იმპორტირებულ პროდუქციაზე.

ჩვენი ქვეყნის სავაჭრო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ევროკავშირში ინტეგრაცია, ამიტომ მნიშვნელოვანია ამ რეგიონულ ინტეგრაციასთან სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება, ამ მიზნით საქართველო მონაწილეობს ევროკავშირის მიერ შემუშავებულ სხვადასხვა შეთანხმებაში. მათ შორის მნიშვნელოვანია „ასოცირებული წევრობის შესახებ“ შეთანხმება, რომელიც მიზნად ისახავს კოტების და სხვა არასატარიფო ბარიერების მოშლას, ასევე ევროკავშირის ხარისხის სტანდარტების დანერგვას.

საქართველოს უფლება აქვს, შესაბამისი სანიტარული და ფიტოსანიტარული ნორმების დაცვის შემთხვევაში, შეღავათიანი პირობებით შეიტანოს ევროკავშირში პროდუქცია. თუმცა ჩვენი ქვეყნისათვის სტრატეგიული სავაჭრო საქონელი – ღვინო და მინერალური პროდუქტები არ შედის “GSP+”-ის სასაქონლო ჩამონათვალში. მიუხედავად ასეთი შეღავათებისა, საქართველოდან მცირე რაოდენობის პროდუქცია გადის ევროკავშირის ბაზარზე, რომელთაგან შეღავათიან რეჟიმს მხოლოდ 34 ექვემდებარება. “GSP+”-საგან განსხვავებით, შეთანხმებამ „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“, საქართველოს მისცა საშუალება, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ივაჭროს ევროკავშირთან. ასოცირების შესახებ შეთანხმებას ოფიციალურად საფუძველი ჩაეყარა 2010 წელს, მან ოფიციალურად ჩაანაცვლა მისი წინამორბედი “პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება” და ამით ხაზი გაესვა, რომ ევროკავშირი მომავალშიც ითანამშრომლებს საქართველოსთან. სწორედ ამის გამოსატყულებაა 2013 წელს ვილნიუსში ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების შეთანხმების პარაფირება. თანამედროვე ეტაპზე ევროკავშირის წევრი-ქვეყნები ახდენენ ამ შეთანხმების რატიფიცირებას, ხოლო საქართველოში კი, სამინისტროების დონეზე ხდება მისი მოთხოვნების იმპლემენტაცია.

მიუხედავად ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმებისა და სავაჭრო პოლიტიკის ლიბერალიზაციისა, საქართველოს არც ერთი წელი არ დაუმთავრებია არათუ დადებითი, არამედ ვაჭრობის სფეროში სავაჭრო ბალანსითაც კი. ამის მთავარი მიზეზი კი არის ის, რომ იმპორტი მნიშვნელოვნად აღემატება ექსპორტს და იმპორტის ზრდის ტემპიც ბევრად მაღალია ექსპორტის ზრდის ტემპთან შედარებით. გარდა ამისა, ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაში უნდა ჭარბობდეს არა ნედლეული, არამედ მზა ნაწარმი, რომლის მიღწევაც შეუძლებელია პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდის გარეშე. განვითარებულ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაზრდა არა მარტო ეროვნული წარმოების განვითარების, არამედ ინვესტიციების მოზიდვის საფუძველია. საქართველოს ამ გზით შეუძლია მიადწიოს გრძელვადიან კონკურენტუნარიანობას, გაზარდოს შემოსავლები, ხელფასები და მოსახლეობის ცხოვრების დონე.

ადგილობრივი პროდუქციის წარმოების დაცვისა და, შესაბამისად, სამუშაო ადგილების გაზრდის მიზნით, საქართველოს შეუძლია გამოიყენოს სავაჭრო ვაჭრობის რეგულირების არასატარიფო ინსტრუმენტების – ექსპორტის სუბსიდირების, დაზღვევის, უპროცენტო ან შეღავათიანი განაკვეთით დაკრედიტების, საიმპორტო კოტების, ლიცენზირების სისტემისა და სხვა ბარიერების მთელი სპექტრი. სავაჭრო პოლიტიკის ამ ბერკეტებს შორის ყველაზე უფრო ეფექტური, სავაჭრო სავაჭრო დისბალანსის აღმოფხვრაზე ორიენტირებული სავაჭრო ბერკეტების შერჩევითა და მათი გამოყენების ძალისხმევით სწორი დოზირების შემთხვევაში, სავაჭრო ვაჭრობას შეუძლია ხელი შეუწყოს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარებას.

მაგრამ საქართველოს მთავრობის მიერ ამ სავაჭრო ბერკეტების გამოყენების ეფექტის შეფასება შეუძლებელია მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციების გათვალისწინების გარეშე, რადგანაც გლობალიზაციამ მოახდინა მასში მონაწილე ქვეყნების მთავრობის ფუნქციების გადაფასება. ინტერნაციონალიზაციის პროცესი ერწმუნებს ეროვნული იდენტიფიკაციის პროცესს. ეროვნული თვითგამორკვევისაკენ სწრაფვას თან ერთვის გლობალიზაციის დამანგრეველი ძალების საწინააღმდეგო დამცავი რეაქციები. თანამედროვე პირობებში მსოფლიო ბაზარზე სიტუაციას განსაზღვრავენ არა ეროვნული მთავრობები, არამედ კორპორაციები. განსაკუთრებით ეს შესამჩნევია კრიზისის პირობებში, როცა სავალუტო-საკრედიტო და საერთო ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციის სფეროში ცალკეული ქვეყნის მთავრობის და ცენტრალურ ბანკთა ქმედებები სრულიად არაეფექტური და უსუსურია. გლობალიზაციისა და მისი თანმდევი საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის პროცესების გაგლენით გარკვეული ცვლილებები ხდება სახელმწიფო სტრუქტურების ფუნქციონირებაში ეროვნულ დონეზე. უწინარეს ყოვლისა, გართულდა საერთო ეროვნულ ინტერესთა გამოვლენა და მისი დაცვა საერთაშორისო დონეზე.

ეროვნულ სახელმწიფოებს თავიანთი უფლება-მოვალეობების (მარეგულირებელი ფუნქციების) გარკვეული ნაწილის დელეგირება უხდებათ ზეეროვნულ გლობალურ ინსტიტუტებზე (გაერო, ვმო, სსფ, მსოფლიო ბანკი და ა. შ.), რომელთაც გააჩნიათ გლობალური პროცესების კოორდინაციისა და ძლიერი ქვეყნებისაგან სუსტების დაცვის ბევრად უფრო მძლავრი ბერკეტები. მაგრამ ამ ორგანიზაციებმა პრაქტიკაში, თავიანთი ფუნქციების რეალიზაციის დროს, გამოამჟღავნეს უფლებამოსილების გარკვეულწილად დეგრადირება. კერძოდ, ამ ინსტიტუტების დამარსებელმა წამყვანმა ქვეყნებმა ეს ორგანიზაციები გამოიყენეს შედარებით უფრო სუსტ პარტნიორებზე ზეგავლენის მოსახდენად. მსოფლიო ბაზრის რეგულირების არსებული სტრუქტურები და ინსტიტუტები აშკარად არასაკმარისია. უფრო მეტიც, მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა გამოავლინა საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან მსოფლიო მეურნეობის რეგულირების კუთხით არსებული სუსტი მხარეები. შესაბამისად გაძლიერდა ამ ინსტიტუტების კრიტიკა. გასწორებულმა ფინანსურმა კრიზისმა აჩვენა, რომ საჭი-



რო ხდება ისეთი სტრუქტურების ფორმირება, რომლებიც ხელს შეუწყობს წარმოქმნილი ფინანსური პრობლემების გადაჭრას. ამდენად, აუცილებელია მარეგულირებელი სტრუქტურების რეორგანიზაცია ან გლობალიზაციის თანამედროვე დონის შესაბამისი ახალი, ალტერნატიული ორგანიზაციის შექმნა.

უფლებამოსილების დელეგირებისა და შესახელმწიფოებრივი ახალი სტრუქტურების ჩამოყალიბების ფონზე, ზოგერთი პოლიტიკოსი თვლის, რომ მოხდება სახელმწიფოს როლის დასუსტება, ხოლო ზოგიერთი ეკონომისტის აზრით კი პირიქით, საერთაშორისო ზეეროვნულ ორგანიზაციებზე სუვერენიტეტის ნაწილის გადაცემა არსებითად არაფერს ცვლის სახელმწიფო ფუნქციების გადანაწილებაში, რადგანაც სახელმწიფოს შეუძლია, უკან გამოიწვიოს დელეგირებული უფლებამოსილების მისთვის სასურველი ბერკეტი, ხოლო გაერთიანებული სუვერენიტეტი კი შეიძლება აღმოჩნდეს ცალკეულ ეროვნულ ბერკეტზე უფრო ძლიერი. საერთო-ეროვნული კურსის შემუშავების დროს მთავრობას უხდება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის – მწარმოებლების, მომხმარებლების, სახელმწიფო მოხელეთა, კერძო სექტორის, ექსპორტიორებისა და იმპორტიორების ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესის გათვალისწინება.

დროის ცალკეულ მომენტში ეს ინტერესები ყოველთვის სულაც არ არის საერთო-ეროვნული. ყოველ სამეურნეო სუბიექტს შეუძლია ამტკიცოს, რომ სწორედ მისი პოზიცია გამოხატავს საერთო-ეროვნულ ინტერესს. სინამდვილეში, ძალზე რთულია იმის განსაზღვრა, თუ რომელი ჯგუფის ინტერესი რამდენად შეესაბამება ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს. ეს ეხება სახელმწიფო აპარატსაც, რომლის წარმომადგენელს სამსახურებრივი მოვალეობით ევალება გამოავლინოს და წარმოადგინოს ეროვნული ინტერესები. არსებობს ასევე პარლამენტსა და სამთავრობო გუნდში ინტერესთა ლობირება, რათა წარმოაჩინონ მათი დამფინანსებელი ჯგუფის სურვილები, როგორც ეროვნული. ასეთად ზოგჯერ ცხადდება დომინირებულ ჯგუფთა ინტერესები, რომლებიც აკონტროლებენ სახელმწიფო აპარატს. ამრიგად, საგარეო ეკონომიკური სფეროს მნიშვნელობის მკვეთრად ზრდამ განაპირობა საგარეო და შიდა ეკონომიკური პოლიტიკის ინტერესთა დამთხვევა. პოლიტიკის საგარეო ეკონომიკური ვექტორი იქნეს სულ უფრო დიდ მნიშვნელობას. ის იძლევა გადაწყვეტილების მიღების ახალ საშუალებებს და განსაზღვრავს შიდა ეკონომიკურ ამოცანებს.

ამრიგად, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შეარჩიოს სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციების უფრო ეფექტურად რეალიზაციის ბერკეტები, რომლითაც ბევრად უფრო გაიზრდება სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის ეფექტიანობა და შესუსტდება ეკონომიკაში მისი ჩარევის დონე. გლობალიზაციის ახალ მიდგომებთან საქართველოს ადაპტაცია მთელი სიმძლავრით აყენებს დღის წესრიგში მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე ცვლილებების სწორად შეფასების აუცილებლობას, ჩვენი ქვეყნის მთავრობამ უნდა შეიმუშაოს ეროვნული ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი კონცეფცია, რათა მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები გამოიყენოს თავისი საგარეო სავაჭრო-ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად.

ამრიგად, საქართველოს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობაში არსებული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით საჭიროა გატარდეს შემდეგი ზომები:

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია ორიენტირებული უნდა იყოს ექსპორტის ზრდაზე, რაც უნდა წარმოადგენდეს სიღარიბის დაძლევის, წარმოების განვითარების, სპეციალიზაციისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების და, ზოგადად, ეკონომიკური ზრდის საფუძველს;

2. საქსპორტო დარგთა განვითარების მიზნით საჭიროა მოხდეს მისი ფინანსური მხარდაჭერა: საქსპორტო საწარმოთა სუბსიდირება, დახლეუვისა და უპროცენტოდ დაკრედიტების სისტემა. იმავედროულად, ევროკავშირის ბაზარზე დასამკვიდრებლად საჭიროა პრიორიტეტულ მიმართულებად იქცეს საქართველოში წარმოებული პროდუქციის ხარისხის, საქსპორტო პოტენციალისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება. ასევე, აუცილებელია მოხდეს საკუთარ წარმოებაში უახლესი ტექნოლოგიების, მანქანა-დანადგარების დანერგვა;

3. ექსპორტში უნდა გაიზარდოს განვითარებული ქვეყნების წილი. მონეტარული პოლიტიკის გატარებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ლარის კურსის გაგლეჩა ექსპორტ-იმპორტზე, ადგილობრივმა საწარმოებმა კონკურენტულ უპირატესობას უნდა მიაღწიონ მაღალტექნოლოგიურ დარგებში.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი, 2014.

2. ბერიშვილი ხათუნა. ეკონომიკის ლიბერალიზაცია და საგარეო სავაჭრო პოტენციალის ათვისების შესაძლებლობანი საქართველოში. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის კონფერენციის მოხსენებათა კრებული. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბ., 2014, გვ. 127.

3. ერაძე კ., ცაგარეიშვილი პ., ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების პოლიტიკურ-ეკონომიკური ასპექტები, თბილისი, 2010.

4. მესხია ი., საერთაშორისო ვაჭრობა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2011.

5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – [www.geostat.ge](http://www.geostat.ge).

6. [https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/Annual%20Report\\_2013](https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/Annual%20Report_2013).

*David Katamadze*

#### PROBLEMS AND PERSPECTIVES OF DEVELOPMENT OF FOREIGN ECONOMIC RELATIONS OF GEORGIA Annotation

The modern era of globalization of the world economy is increasing the degree of interdependence. The small countries which suffer from a chronic deficit of the trade balance show a high level of dependence on external factors. Georgia is one of those. In order to protect the local industry in our country it will be able to use the entire range of trade adjustment levers. Georgia has the

right, keeping to the sanitary and phytosanitary standards, to export products on preferential terms to the EU. To eradicate the problems in foreign economic relations should be considered the following:

1. Long strategy of Economic Development of Georgia should be focused on the development of export sectors, through financial support (subsidies, interest-free loans and insurance);

2. Our country's foreign economic ties should become priority of the quality of products, the export potential and competitiveness of the local industry with the introduction of modern technology, machinery;

3. The developed countries should increase the share of exports in the total volume. At the same time they should take into account the exchange rate impact on exports and imports, which are required to achieve a competitive advantage in high-tech industries in our country.

## მაკროეკონომიკის სექტორი

ნინო აბესაძე  
ოთარ აბესაძე

### საქართველოს საბარეო ვალის სტატისტიკური მახასიათებლები თანამედროვე მტკიცებით


მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში საქართველოს ინტეგრაციის ერთ-ერთი მაჩვენებელია სხვადასხვა ქვეყნებთან საგარეო ვალის წარმოშობა. საქართველომ თავისი საგარეო ვალების აღრიცხვიანობის მოწესრიგება 1996-1998 წლებში დაიწყო, რამაც შესაძლებელი გახდა საგარეო ვალის რესტრუქტურის შესახებ შეთანხმების გაფორმება ევროგაერთიანებასთან. ორმხრივი შეთანხმებები დაიდო 11 ქვეყანასთან. 2001 და 2004 წლებში საქართველომ, მრავალმხრივი მოლაპარაკების საფუძველზე, მიადწია შეთანხმებას კრედიტორ ქვეყნებთან საგარეო ვალების რესტრუქტურის განხორციელების დაკავშირებით პარიზის კლუბის ვედიტით, რის შედეგადაც ქვეყანას მნიშვნელოვნად შეუმსუბუქდა საგარეო ვალების მომსახურების სიმძიმე. ზემოაღნიშნული რესტრუქტურის შედეგად უზრუნველყოფილია საგარეო ვალის მდგრადობა, აღნიშნული ტენდენცია დღემდე გრძელდება. ამჟამად, მიღწეულია ის, რომ საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი ძირითადად შედგება შემდეგნაირად:

ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალი დროის მოცემული მომენტისათვის წარმოადგენს ფაქტობრივი, უპირობო ვალდებულებების გადაუხდელ თანხას, რომელიც მოითხოვს ამ ქვეყნის რეზიდენტი დებიტორის მიერ არარეზიდენტისათვის ძირითადი ან/და პროცენტის გადახდას მომავალი პერიოდის რომელიმე მომენტში. საგარეო ვალის ეს განმარტება საკმაოდ ფართო ხასიათს ატარებს, რომლის თანახმადაც, ნებისმიერი ვალდებულება, რომელიც მომავალ პერიოდში გადასახდელი იქნება არარეზიდენტისთვის, ჩართული უნდა იყოს ქვეყნის მთლიან საგარეო ვალში. ანგარიშსწორების დროს საანგარიშო ერთეულად გამოყენებულია აშშ დოლარი.

სახელმწიფო ვალი საგარეო და საშინაო ვალისგან შედგება. სახელმწიფოს საგარეო ვალი მთავრობის და საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალს მოიცავს, ხოლო საშინაო კი სახაზინო და სხვა სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს. საგარეო ვალის წარმოქმნის წყაროებია: სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, საქართველოს ტერიტორიაზე დაკარგული ტვირთების ღირებულება, საქართველოში მოხმარებული ბუნებრივი აირის ღირებულება; ე.წ. “სასაქონლო კრედიტი”<sup>[1]</sup>, სახელმწიფო გარანტიით აღებული სესხები.

საგარეო ვალის სტატისტიკის ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის და საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კვარტალური და თვიური ანგარიშგება უცხოური აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ; ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია სახელმწიფო გარანტიით აღებული საგარეო ვალის და მისი მომსახურების შესახებ; სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაცია საწარმოთა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ. მთლიანი საგარეო ვალის სტატისტიკის მეთოდოლოგია შესაბამისობაშია საერთაშორისო სავალუტო ფონდის სახელმძღვანელოსთან “საგარეო ვალის სტატისტიკა” (2013).

2014 წელს საქართველოს მთლიანი საგარეო ვალის მანქნებელმა 13,1 მლრდ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 150 მილიონი დოლარით ნაკლებია. ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალი მოიცავს საქართველოს სახელმწიფო სექტორის საგარეო ვალს, კერძო სექტორის საგარეო ვალს და ეროვნული ბანკის საგარეო ვალს. ეროვნული ბანკის მონაცემებით, საქართველოს სახელმწიფო სექტორის საგარეო ვალი 5.9 მილიარდ დოლარს შეადგენს, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 35.8%-ია. 2014 წლის ბოლოს საგარეო ვალის მოცულობა 2014 წლის 1 სექტემბრის მონაცემებს 3.8%-ით აღემატება. სახელმწიფოს კუთვნილი საწარმოების მთლიანი ვალი 829 მილიონი დოლარია, ეროვნული ბანკის საგარეო ვალდებულებები კი 251 მილიონ დოლარს შეადგენს<sup>79</sup>.



დიაგრამა 1

საქართველო მთლიანი საგარეო ვალი 2013 წლამდე ზრდადი ტენდენციით ხასიათდებოდა და მისმა მოცულობამ 2013 წლის ბოლოს ისტორიულ მაქსიმუმს - 13,6 მილიარდ დოლარს (მშპ-ს 88,3%-ს) მიადწია. 2014 წელს მისი მოცულობა შემცირებულია, მაგრამ სავალუტო კურსის ცვლილების გამო, ლარში სახელმწიფო ვალის მოცულობა 2014 წელს გაზრდილია. ამავე პერიოდში სამთავრობო სექტორის საგარეო ვალმა 4250 მილიონ დოლარს მიადწია, რაც 2012 წლის მაჩვენებელს 4 მლნ დოლარით აღემატება. ეროვნული ბანკის მაჩვენებელი ამ პერიოდში 252 მილიონ დოლარამდე შემცირდა. მთლიანად, სახელმწიფო სექტორის ვალი მშპ-


<sup>79</sup> <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304>

ს 40%-ზე ნაკლები რჩება. კომერციული ბანკების ვალები 200 მლნ დოლარით, სხვა სექტორების ვალები დაახლოებით 100 მლნ დოლარით გაიზარდა. პირდაპირი ინვესტიციები (კონპანიათაშორისი ვალები) შემცირდა 210 მლნ დოლარით; მთლიანი საგარეო ვალის მოცულობამ 13,5 მლრდ დოლარი, მშპ-ს 83% შეადგინა. ახალი გაცვლითი კურსის პირობებში ქვეყნის მთლიანი საგარეო ვალის მოცულობა აღემატება მშპ-ს მოცულობას (დაახლოებით 110%-ს შეადგენს). სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი 2015-ის 30 აპრილის მდგომარეობით 4, 04 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო მთავრობის საგარეო ვალი 4,01 მლრდ აშშ დოლარია.

საქართველოს წმინდა საგარეო ვალი 8.5 მილიარდი დოლარს, 15.9 მილიარდ ლარს (მშპ-ს 52%), სახელმწიფო სექტორის წმინდა საგარეო ვალი 3,2 მილიარდ დოლარს, 5,9 მილიარდ ლარს შეადგენს.

2012-2014 წწ-ში მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა კერძო სექტორის საგარეო ვალში. უნდა შევნიშნოთ, რომ კერძო სექტორის დაფინანსება ხელს უწყობს მომავალ ეკონომიკურ ზრდას. ამიტომ მთავრობის ვალის წილის შემცირება მთლიან საგარეო ვალში პოზიტიურ ცვლილებად ფასდება (ზრდა პირიქით). საქართველოს მთლიან საგარეო ვალში მთავრობისა და ეროვნული ბანკის წილი 2014 წლის ბოლოს 33,1%-ს შეადგენდა, 2004 წლის 63%-ის ნაცვლად. ამ ტენდენციის გამო გაიზარდა სახელმწიფოს პირობითი ვალდებულებები და ვალის მართვის სტრატეგიაში მთავრობამ უნდა გაითვალისწინოს აღნიშნული ცვლილებები.

სახელმწიფო ვალის მდგრადობის ყველაზე კარგი განმსაზღვრელი ინდიკატორი მისი ნომინალურ მშპ-თან პროცენტული თანაფარდობაა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით, ვალის მდგრადობის შესანარჩუნებლად განვითარებული ქვეყნებისთვის ვალი მშპ-ს 60%-ს, ხოლო განვითარებადი ქვეყნებისთვის კი ეს მაჩვენებელი 50%-40%-ს არ უნდა აღემატებოდეს. ვინაიდან საქართველო განვითარებადი ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება, ამიტომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიხედვით, სახელმწიფო ვალი პროცენტულად ნომინალურ მშპ-თან მიმართებაში 50%-ს არ უნდა აღემატებოდეს.




დიაგრამა 2  
სახელმწიფო ვალი პროცენტულად ნომინალურ მშპ-თან

როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2003-2007წწ. პერიოდში მთლიანი სახელმწიფო ვალი პროცენტულად ნომინალურ მშპ-თან მიმართებაში კლების ტენდენციით ხასიათდება, ამიტომ სახეზე იყო ეკონომიკური აღმავლობის პერიოდი; 2007-2010 წლებში შეინიშნება ზრდის ტენდენცია – საქართველო-რუსეთს შორის საომარი მოქმედებების შემდგომი წლები, ხოლო 2010 წლიდან კი დაიწყო კლება 2013 წლის ჩათვლით, რაც შეეხება 2014 წელს, სახელმწიფო ვალი ნომინალურ მშპ-თან მიმართებაში 35,5%-ია. ხოლო საგარეო ვალის წილი მშპ-სთან კი – 26,8%. 2014 წელს შეინიშნება მაჩვენებლის წინა წელთან შედარებით მცირედით გაზრდა. რაც შეეხება ვალის გადახდისუნარიანობას, 2008 წლიდან მოყოლებული, ქვეყანა ვალებს ძირითადად დროულად იხდიდა. მაგალითად, 2008 წელს სახელმწიფოს მიერ გადახდილმა ვალმა ამავე წლისთვის გეგმით გადასახდელი ოდენობის 99,2% შეადგინა. 2009 წელს გეგმა 98,6%-ით შესრულდა; 2010 წელს – 97,9%-ით; 2011 წელს – 99,9%-ით; 2012 წელს – 96,7%-ით, ხოლო 2013 წელს კი – 96%-ით. რაც შეეხება 2014 და მომდევნო წლებს, ქვეყნის გადახდისუნარიანობა აღებული თანხების რაციონალურ ხარჯვაზე იქნება დამოკიდებული. თუ ვალები ისე იქნება გამოყენებული, რომ შემდეგ ის ქვეყანას დიდ უკუგებას მოუტანს, მაშინ ეს როგორც ქვეყნის გადახდისუნარიანობის, ასევე განვითარების მაღალ ტემპზე გადასვლასაც შეუწყობს ხელს. რაც შეეხება ვალდებულებების ზრდას, 2008 წლიდან 2011 წლამდე მუდმივი ვარიაციებით ხასიათდებოდა. 2011 წელს აღებული ვალის ოდენობა 2010 წელთან შედარებით თითქმის განახევრდა, ის 712 მლნ ლარით შემცირდა. ამის მიზეზი მშპ-ს ზრდის მაღალი ტემპი და ქვეყანაში არსებული რთული ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება იყო. მშპ-ს ზრდამ მის მაქსიმუმს 2011 წელს მიაღწია, როდესაც 7,2% მატების ტემპი დაფიქსირდა, თუმცა, შემდეგ დაიწყო კლება. 2012 წელს 2011 წელთან შედარებით ვალდებულებები გაიზარდა, 2013 წელს მცირედით ისევ დაიკლო, ხოლო 2014 წელს 2013 წელთან შედარებით ბიუჯეტის გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების ოდენობა 2,2-ჯერ გაიზარდა და 1,636 მლნ ლარი შეადგინა.


ფინანსთა სამინისტროს სტატისტიკის მიხედვით, ქვეყნის საგარეო ვალდებულებები ერთი წლის განმავლობაში 90 მლნ დოლარით შემცირდა<sup>80</sup>.

<sup>80</sup> <http://www.mof.ge/4410>

2014 წლისათვის მთლიან საგარეო ვალში პირველ ადგილზე კერძო სექტორის ვალია, საბანკო სექტორის საგარეო ვალი 2.7 მილიარდი აშშ დოლარია, ხოლო სხვა კერძო სექტორების ვალი 3.5 მილიარდი. სახელმწიფო ვალის მთლიან მოცულობაში საგარეო ვალს 75,4%, ხოლო შიდა ვალს 24,6% უკავია. საგარეო ვალში 69% მრავალმხრივი კრედიტორებისა და 19% ორმხრივი კრედიტორების ვალებს უკავია, 12% კი-ევროობლიგაციებს.



დიაგრამა 3<sup>81</sup>




დიაგრამა 4  
ნაშთის დინამიკა კრედიტორების მიხედვით

ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, საერთაშორისო ინსტიტუტების მიმართ ქვეყანას 2,8 მლრდ დოლარი მართებს. კრედიტორ საფინანსო ინსტიტუტებს შორისაა მსოფლიო ბანკი; სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი; საერთაშორისო სავალუტო ფონდი; რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი; აზიის განვითარების ბანკი; ევროპის საინვესტიციო ბანკი. მათგან ყველაზე მსხვილი კრედიტორი საფინანსო ინსტიტუტი მსოფლიო ბანკია.

საქართველოს 17 ორმხრივი კრედიტორი სახელმწიფო ჰყავს და მათ წინაშე არსებული დავალიანება 709,2 მლნ დოლარამდეა. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან მიღებული საგარეო ვალის მოცულობა 500 მლნ დოლარია. ორმხრივი კრედიტორებიდან აღსანიშნავია ავსტრია, გერმანია, საგრანგეთი, იაპონია.

<sup>81</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს სახელმწიფო ვალის სტატისტიკური ბიულეტენი.№3



**დიაგრამა 5**  
**ნაშთი კრედიტორების მიხედვით<sup>82</sup>**

შიდა საგალო ინსტრუმენტებია სასაზიზო ვალდებულებები და სახელმწიფო ობლიგაციები და მათი საპროცენტო განაკვეთები ვადიანობის მიხედვით განსხვავებულია.

ობლიგაციებზე საპროცენტო განაკვეთები 2010 წლიდან 2013 წლის დეკემბრამდე შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა. ამის შემდეგ ეს განაკვეთები გაიზარდა 2-3 პროცენტული პუნქტით ინფლაციის განაკვეთის ზრდის გამო (რეალური საპროცენტო განაკვეთი შემცირდა). ვალის ტვირთის შესაფასებლად მნიშვნელოვანია მთლიანად სახელმწიფო სექტორის ვალის მასშტაბების განსაზღვრა.

მთლიანი საგარეო ვალის 93.6% დენომინირებულია უცხოური ვალუტით, 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვალის 47,3% აღებულია SDR; 31,9% აშშ დოლარში, ხოლო 17% ევროშია. რაც იმას ნიშნავს, რომ ეროვნული ვალუტის გაუფასურება ღარში საგარეო ვალის მოცულობას ზრდის.

სახელმწიფო ვალის 73,1% ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთითაა, 26,9% კი ცვლადი. საქართველოს წმინდა საგარეო ვალმა 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 8.5 მლრდ აშშ დოლარი (15.9 მლრდ ლარი) შეადგინა, რაც 2014 წლის მშპ-ს 51.7 პროცენტია. აქედან, სახელმწიფო სექტორის წმინდა საგარეო ვალი 3.2 მლრდ აშშ დოლარია (5.9 მლრდ ლარი), რაც მშპ-ს 19.2 პროცენტია.

სექტორების მიხედვით ყველაზე მეტი ბიუჯეტის მხარდაჭერასა და საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას მოხმარდა. თუ 2013 წელს ბიუჯეტის მხარდაჭერაზე მოდიოდა ათვისებული თანხის 18,2%, 2014

<sup>82</sup> დიაგრამა აკებულია ფინანსთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე.

წელს მისი სიდიდე 31,5%-ით გაიზარდა და 49,7% შეადგინა. მაშინ, როდესაც საგზაო ინფრასტრუქტურის სრულყოფაზე ათვისებული თანხების ხვედრითი წილი 14,1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 2013 წლის 43,6%-დან 29,5%-მდე დაეცა.

დინამიკაში მცირდება ენერგეტიკის სფეროში ათვისებული სესხების ხვედრითი წილი. 2014 წლის მონაცემებით, ის მხოლოდ 5,6%-ის დონეზეა, რომელიც 2012 წელთან შედარებით 17,9% პროცენტული პუნქტით არის შემცირებული.

ასეთია საგარეო ვალის სტატისტიკა თანამედროვე პირობებში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. "საგარეო ვალის სტატისტიკა" (ევროსტატი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკი, გაეროს კონფერენცია ვაჭრობასა და განვითარებაზე და სხვა, ვაშინგტონი, აშშ, 2003.
2. საგარეო ვაჭრობის სტატისტიკის წარმოების მოკლე მეთოდოლოგია.
3. საქართველოს საგარეო ვალი და მდგრადი განვითარება. თბ., 2011.
4. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მონიტორინგი, ეკონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრი, ავტ. ნარმანია დ., მურდულია შ., ხადური ნ., მურდულია თ., თბ. 2010.
5. სახელმწიფო ვალის მართვის ეფექტიანობის აუდიტი. სახელმწიფო აუდიტის სამსახური. თბ., 2014.
6. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საქართველოს სახელმწიფო ვალის სტატისტიკური ბიულეტენი. №3, 2014
7. www.geostat.ge

Nino Abesadze  
Otar Abesadze

## STATISTICAL CHARACTERISTICS OF THE EXTERNAL DEBT OF GEORGIA AT THE CONTEMPORARY STAGE Annotation

The paper considers the questions of sources of creation of a public debt, including, foreign and internal, are characterized in debt important indicators: debts of the public and private sector.

In article are given statistical features of external debt, net external debt of public sector and a loudspeaker of net external debt, also the relations of a public debt to GDP in par value are considered, structural indicators of creditors are investigated, and the debt structure of cumulative external debt in rates of foreign currency is characterized. There the corresponding analysis is given.

ხათუნა ბარბაქაძე

### ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესახებ

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის წლიური საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრულ პერიოდზე, რომლის გაანგარიშებაში გაითვალისწინება ყველა ფინანსური ხარჯი და მიღებული/მისაღები სარგებელი მომხმარებლის მიერ ამ ხარჯების გაწვევისა და სარგებლის მიღების პერიოდის გათვალისწინებით [1]. ინვესტიციების შემოსავლიანობა შეიძლება გამოირჩეოდეს პროცენტების დარიცხვის კონკრეტული პერიოდების მიხედვით. თუ ჩვენ გვსურს, შევადაროთ ინვესტიციები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან პროცენტების დარიცხვის პერიოდებით, მათი საპროცენტო განაკვეთები უნდა დაეფიქსირებოდეს ერთიან, სტანდარტულ ბაზამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იმით განსხვავდება ჩვეულებრივი ნომინალური განაკვეთებისგან, რომ მის გაანგარიშებაში გაითვალისწინება ყველა აუცილებელი ფინანსური ხარჯი, რომელიც იმალება საპროცენტო განაკვეთს მიღმა. ფინანსური ხარჯი – ხარჯი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მოთხოვნილია ბანკის მიერ და წარმოადგენს მომხმარებლის მიერ საკრედიტო/სადეპოზიტო პროდუქტის მიღების, შენარჩუნებისა და საკრედიტო/სადეპოზიტო პროდუქტით სარგებლობის დასრულებისათვის გასაწვევ აუცილებელ ხარჯს [1, მუხლი 6].

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის არსი შემდეგში მდგომარეობს - ის უნდა ასახავდეს კრედიტის რეალურ ღირებულებას და, გარდა კრედიტზე გადასახადებისა, უნდა ითვალისწინებდეს ყველა გვერდით გადასახადს, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია კრედიტთან. მაგალითად, ასეთი გვერდითი გადასახადებია ცნობილი „ფარული“ საკომისიოები ანგარიშის გახსნისა და წარმოებისათვის, საღარიბოში ნაღდი ფულის მიღებისათვის და ა.შ. ასევე, მაგალითად, თუ ჩვენ ვიღებთ ავტოკრედიტს, ბანკი გვაავალდებულებს, რომ დავაზღვიოთ შექმნილი ავტომობილი დაკრედიტების მთელი ვადის განმავლობაში. ამასთან, ჩვენთვის დაზღვევა იქნება სავალდებულო გვერდითი გადასახადი, მართალია არა ბანკისთვის, არამედ სადაზღვევო კომპანიისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №35/04 2011 წლის 13 მაისის ბრძანებით დამტკიცდა და 1 ივნისიდან ამოქმედდა „საბანკო მომსახურების გაწვევისას მომხმარებლისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესი“, რომლის თანახმად, საქართველოს კომერციული ბანკები ვალდებული არიან, მომხმარებელს ხელშეკრულების გაფორმებამდე მიაწოდონ ყველა აუცილებელი ინფორმაცია საბანკო პროდუქტის პირობების შესახებ, მათ შორის კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, რომლის დაწვრილებითი გაანგარიშება ეროვნული ბანკის შესაბამის ინსტრუქციას თან ერთვის, ასევე მოცემულია ფინანსური ხარჯის გაანგარიშების წესი [1, მუხლი 6], მაგრამ არ არის მითითებული კონკრეტულად რომელი გადასახადები უნდა შევიდეს გაანგარიშებაში. შედეგად, ამ საკითხზე კომერციულ

ბანკებს განსხვავებული მოსაზრებები გააჩნია. მაგალითად, ზოგიერთ ბანკს ამ გაანგარიშებაში არ შეაქვს სწორედ სადაზღვევო გადასახადები.

როგორც ბრძანებაშია აღნიშნული, ამ წესის მიზანია ქვეყანაში საბაზრო დისციპლინის განმტკიცება და სამომხმარებლო ბაზრის ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდა, ასევე, საბანკო სექტორისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლება, მომხმარებელთა ინტერესების მაქსიმალურად დაცვა და კომერციული ბანკების მიერ შეთავაზებული საბანკო პროდუქტების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს როგორც მომხმარებლის მიერ ახალი ფინანსური პროდუქტების აქტიურ გამოყენებას, ასევე საკრედიტო რისკების შემცირებას [1, მუხლი 1]. კომერციულ ბანკებს შორის კონკურენცია უზრუნველყოფს მათი პირობების დაახლოებას, ამიტომ ეფექტური საპროცენტო განაკვეთები მხოლოდ უმნიშვნელოდ განსხვავდება ერთმანეთისგან.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დანიშნულება მომხმარებლისათვის მაქსიმალურად ზუსტად და მარტივად ინფორმირებაა, თუ რა უჯდება მას სესხის აღება და მომსახურება<sup>83</sup>. განსხვავება ეფექტურ და ნომინალურ საპროცენტო განაკვეთს შორის და ბანკების მიერ არასტანდარტული მიდგომა ამ ინფორმაციის გამოქვეყნებისას, დამატებით გაუგებრობას ქმნის მომხმარებელში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია მკაფიო განსაზღვრება მივცეთ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს. **ეფექტური საპროცენტო განაკვეთი** – ეს არის კრედიტზე რთული საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გაანგარიშებულია იმის ვარაუდით, რომ მოცემული კრედიტის მისაღებად აუცილებელი ყველა გადასახადი საჭიროა სესხის დასაფარავად.

კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი მოიცავს ფულის ღირებულების ცვლილებას დროში და მისი გამოთვლისას გათვალისწინებულია ფინანსური ხარჯების გაწვევის პერიოდი. რაც უფრო გვიან აქვს გადასახდელი მომხმარებელს ფინანსური ხარჯი, მით უფრო მცირეა ფულის ღირებულება ღირებულება. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ითვალისწინებს ყველა არსებულ ფინანსურ ხარჯს, რომელიც არ შედის წლიურ საპროცენტო განაკვეთში. მაგალითად, თუ თქვენ განათავსეთ თანხა ერთწლიან ვადიან ანაბარზე და ამ პერიოდში იხდით ანგარიშის მომსახურების საკომისიოს, მიიღებთ უფრო ნაკლებ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს, ვიდრე აღნიშნული საკომისიოს არარსებობისას.

თუ  $S_0$  სიდიდის კრედიტის მიღების შედეგად უნდა განვახორციელოთ  $R_0, R_1, R_2, \dots, R_n$  გადახდები, შესაბამისად  $t_0 = 0, t_1, t_2, \dots, t_n$  დროის მომენტებში (გათვალისწინებულია გადახდები როგორც კრედიტზე, ასევე საკომისიოები, სადაზღვევო გადასახადები და სხვა), მაშინ ეფექტური საპროცენტო განაკვეთი  $i$  გამოითვლება შემდეგი თანაფარდობიდან:

$$S_0 = R_0 + \sum_{k=1}^n \frac{R_k}{(1+i)^{tk}} \quad (1)$$

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, უპირველეს ყოვლისა, გამოიყენება სხვადასხვა ტიპის საბანკო წინადადებების შესადარებლად. მისი გაანგარიშების დროს გადახდების განხორციელების ზუსტი თარიღები, როგორც წესი, უცნობია. თუ გადახდები ხორციელდება დროის ერთნაირ მონაკვეთებში  $m$  ხანგრძლივობით (ყოველთვიურად, ყოველკვარტალურად და სხვა), მაშინ (1) ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$S_0 = R_0 + \sum_{k=1}^n \frac{R_k}{(1+i)^{km}} \quad (2)$$

თუ ყველა გადახდა  $R_1=R_2=\dots=R_n=R$  ერთნაირია, გარდა პირველისა, მაშინ გეომეტრიული პროგრესიის ჯამის გამოთვლის ფორმულის შესაბამისად, თანაფარდობას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრისთვის ექნება შემდეგი სახე:

$$S_0 - R_0 = \frac{R}{(1+i)^{nm}} \cdot \frac{(1+i)^{nm} - 1}{(1+i)^m - 1} \quad (3)$$

შედარებით მარტივი სასესხო ოპერაციების შემთხვევაშიც კი შეუძლებელია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ზუსტი მნიშვნელობის პოვნა ფორმულის დახმარებით. ამ შემთხვევაში უმჯობესია ე.წ. **რიცხვითი მეთოდების** გამოყენება, რომლებიც საშუალებას იძლევა აუცილებელი სიზუსტით გამოთვალოთ საძიებელი სიდიდის მიახლოებითი მნიშვნელობა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი სესხისთვის, რომელზეც გადახდები ხორციელდება დროის ერთნაირ პერიოდში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოსათვლელად შესაძლებელია განვიხილოთ და გამოვიყენოთ **ნიუტონის რიცხვითი მეთოდი**, რომლის არსი ზოგადად ასეთია დაუშვათ, უნდა ამოვხსნათ განტოლება  $f_{(x)} = 0$ , სადაც  $f_x$  არის დიფერენცირებული

ფუნქცია, სადაც  $X_0$  აირჩევა დამოუკიდებლად, ხოლო  $X_k$  რიცხვების თანმიმდევრობას ვპოულობთ შემდეგი ფორმულის მიხედვით:

<sup>83</sup> რა არის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი და განათავსებულია თუ არა ბანკების ვებგვერდებზე? 11 მარტი, 2014. [http://agora.ge/news\\_.php?news\\_id=4829](http://agora.ge/news_.php?news_id=4829)



$$x_{(k+1)} = x_{(k)} - \frac{f(x_{(k)})}{f'(x_{(k)})} \quad (4)$$

ეს მეთოდი თავიდან აგვაცილებს  $f_x$  ფუნქციის წარმოებულის მნიშვნელობების გამოთვლას თითოეულ მიახლოებულ  $x_k$ -სთვის და განსაკუთრებით გამოსაყენებელია, როცა  $f(x_k)$  რთულია და ფუნქციის -  $f_x$  და  $f'_x$  ნიშნების მუდმივობის შემთხვევაში  $x_k$  მიახლოებათა მიმდევრობა კლებადია განტოლების ფესვისაკენ.

**ნიუტონის რიცხვითი მეთოდი** რომ გამოვიყენოთ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოსათვლელად, შემოვიტანოთ სიდიდე  $v^m = (1+i)^{-m}$ , რომელსაც ეწოდება დისკონტირების მამრავლი დროის m პერიოდისთვის. მისი დახმარებით (2) ფორმულა, რომელიც წარმოადგენს საერთო თანაფარდობას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მოსაძებნად, მიიღებს შემდეგ სახეს:

$$S_0 = R_0 + \sum_{k=1}^n R_k v_m^k$$

ამ განტოლების ფესვის პოვნა არის ფუნქციის ფესვის პოვნის ეკვივალენტური.

$$f(x) = \sum_{k=1}^n R_k x^k + R_0 - S_0$$

ამ ფუნქციას აქვს მხოლოდ ერთი დადებითი ფესვი, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს, ამავე დროს, ის მდებარეობს [0,1] ინტერვალში. ამ ფესვის პოვნა მარტივად შესაძლებელია ნიუტონის მეთოდის დახმარებით, თუ წინასწარ გამოვლით  $f_x$  ფუნქციის წარმოებულს:

$$f'(x) = \sum_{k=1}^n k R_k x^{k-1}$$

როცა საწყისი მიახლოებისთვის ავირჩიოთ  $f_x = 1$ , (4) ფორმულის დახმარებით მივიღებთ  $x_k$  რიცხვების თანმიმდევრობას, რომელიც მიახლოებული იქნება  $v_m$ -ს ზუსტ მნიშვნელობასთან და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელობა გამოითვლება  $i \approx (x)_{(n)}^{-1/m} - 1$ .

**ნიუტონის რიცხვითი მეთოდი.** რომელიც ზემოთ განვიხილეთ, სწორი გამოყენების შემთხვევაში საკმაოდ მოხერხებულია. მისი მეშვეობით კრედიტის დაფარვის ანუიტეტური გადახდებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის პოვნა შეიძლება კიდევ უფრო სწრაფად და მარტივად, რაც ამ მეთოდის უპირატესობაში - კომპაქტურობა - მდგომარეობს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრისათვის (3) ფორმულა, რომელიც გამოიყენება ანუიტეტური შენატანების დროს, დისკონტირების მამრავლის მეშვეობით  $v_m \approx (1+i)^{-m}$  მიიღებს შემდეგ სახეს:

$$S_0 - R_0 = \frac{R}{(1+i)^m} \cdot \frac{(1+i)^m}{(1+i)^m - 1} = \frac{R}{(1+i)^m} \cdot \frac{1 - (1+i)^{-m}}{1 - (1+i)^{-m}} = R v_m \cdot \frac{1 - v_m^n}{1 - v_m} \quad (5)$$

(5) განტოლების ორივე ნაწილი გავამრავლოთ  $(1 - v_m)$ -ზე, ხოლო შედეგი გავყოთ  $(S_0 - R_0 + R)$ -ზე და მივიღებთ:

$$\frac{R}{S_0 - R_0 + R} \cdot v_m^{n+1} + \frac{S_0 - R_0}{S_0 - R_0 + R} = 0 \quad (6)$$

განტოლების ფესვის მოსაძებნად შეიძლება ჩვენთვის უკვე ნაცნობი **ნიუტონის რიცხვითი მეთოდის** გამოყენება. ამისთვის შემოვიტანოთ ფუნქცია:

$$f(x) = \frac{R}{S_0 - R_0 + R} \cdot x^{n+1} - x + \frac{S_0 - R_0}{S_0 - R_0 + R}$$

და ვიპოვოთ მისი წარმოებული

$$f'(x) = \frac{R \cdot (n+1)}{S_0 - R_0 + R} \cdot x^n - 1 \cdot$$

თუ საწყისს მიახლოებად ავირჩევთ

$$x(0) = \frac{R}{S_0 - R_0 + R} \quad (7),$$

მაშინ (4) ფორმულის დახმარებით შესაძლებელია მივიღოთ  $\{x_{(k)}\}$  რიცხვების მიმდევრობა, რომელიც უახლოვდება  $v_m$  დისკონტირების მამრავლის ზუსტ მნიშვნელობას. განხილული **ნიუტონის რიცხვითი მეთოდი** მიგვიყვანს დისკონტირების მამრავლის  $v_m \approx (1+i)^{-m}$  მნიშვნელობასთან და ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან, თუ საწყის მნიშვნელობად ავირჩევთ მე-7-ე ფორმულით განსაზღვრულ  $x_0$  სიდიდეს.

რა თქმა უნდა, არსებობს სხვადასხვა რიცხვითი მეთოდები, რომლის შერჩევაც შესაძლებელია ეფექტური წლიური საპროცენტო გამოსათვლელად, კერძოდ, უფრო სწრაფი, მაგრამ გასაგებად უფრო რთული მეთოდები, ასევე, უფრო მარტივი მეთოდები, შეზღუდვების ნაკლები რაოდენობით, მაგრამ ისინი საჭიროებენ დიდი რაოდენობით გამოთვლებს. სწორედ ამიტომ, ნიუტონის რიცხვითი მეთოდი შეირჩა გამოყენების სირთულისა და დამთხვევის ოპტიმალური თანაფარდობის გამო.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №35/04, მუხლი 2 თბ., 2011.
2. ჯემს ს. ვან ჰორნი; ჯონ მ. ვახოვიჩი, უმც. ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები. გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბ., 2009;
3. Corporate Valuation: A guide for managers and investors – P. Daves, m. Ehrhardt and R. Shrieves - 2012;
4. Financial Management - Theory and Practice - E. F. Brigham and M. C. Ehrhardt – 11-th edition, - 2010;
5. [http://agora.ge/news.php?news\\_id=4829](http://agora.ge/news.php?news_id=4829).

*Khatuna Barbakadze*

#### ABOUT THE EFFECTIVE INTEREST RATE

##### Annotation

The effective interest rate –It is a difficult interest rate on a credit, which is calculated on the assumption that in order to receive the loan all taxes you have to pay is essential to cover the loan. Even with the formula, in simple lending operations, it is impossible to find exact meaning of effective interest rate. At this time, it is better to use so called *Numerical Methods*, which gives us possibility to calculate exact meaning of approximate index we are looking for. *Newton's numerical method* is especially useful when

$f_{(x_k)}$  is difficult and in case of function  $f_x$  and  $f'_x$  constancy  $x_k$  sequence is decreasing to the root of equation. This method will avoid the calculation of function's differentiates for each  $x_k$ .

There are different numerical methods by choosing one of them, it is possible to calculate effective annual interest rate, and in particular more fast but more complex methods to understand, also more simple methods with less restrictions, but they require a large number of calculations. Newton's numerical method was selected because of complexity of usage and optimal ratio of coincidence.

*ნანა ბენიძე  
ჯამბულ ბიწაძე*

#### საქართველოს ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამების დადებითი და უარყოფითი მხარეები

საქართველოში მიმდინარე რეფორმების ფონზე აქტუალურია ჯანმრთელობის დაცვის სფერო და ამ სფეროში სახელმწიფოს მონაწილეობა. საქართველოში ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემამ განვითარების რამდენიმე ეტაპი გაიარა.

1995 წლიდან ძალაში შევიდა კანონი სამედიცინო გადასახადის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა მოქალაქეთა ხელფასიდან დამატებით 3%-ის დაკეთვას მათი სამედიცინო მომსახურებისათვის. მიღებული თანხებით ფინანსდებოდა ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები, პროგრამები ითვალისწინებდა საქართველოს ყველა მოქალაქისათვის თანაბარი, მაგრამ კონკრეტული, შეზღუდული ასორტიმენტის მქონე სამედიცინო მომსახურების (თანა) დაფინანსებას. მაგრამ პროგრამა არაეფექტური აღმოჩნდა მოსახლეობის ამბიციური მოლოდინისა და იმავდროულად დეფიციტური ბიუჯეტის გამო, რომელიც ყოფნიდა დაავადებათა რეალური შემთხვევების წლიური რაოდენობის დაახლოებით 20%-ს. პროგრამების არასრულყოფილება იმაშიც გამოიხატებოდა, რომ მოსახლეობის უდიდეს ნაწილს წარმოუდგენავ კი არ ჰქონდა მათი არსებობის შესახებ.

2004-2006 წლებში ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში დონორი ორგანიზაციების დახმარებით დაიწყო მუშაობა ჯანდაცვის სისტემის რეფორმაზე, მაგრამ მისი განხორციელება შეფერხდა გადაწყვეტილებების მიმღებთა ერთიანი და ჩამოყალიბებული კონცეფციის უქონლობის გამო. თუმცა, ამ პერიოდში შეინიშნებოდა გარკვეული პოზიტიური ძვრები – უკვე 2003 წლიდან მოქმედებდა პირველადი ჯანდაცვის პროგრამა, რომლის მიზანს წარმოადგენდა სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა მოქალაქისთვის.

2007 წლის აპრილის მონაცემებით, ტენდერში სამმა კომპანიამ (“პსპ”, “ავერსიფარმა” და “ბლოკ-ჯორჯია”) გაიმარჯვა და მათ ხელში გადავიდა ჯანდაცვის თითქმის მთელი პირველადი ობიექტები და საავადმყოფოები, საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის განკარგულების შესაბამისად, თამაშვარე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ “პსპ” და “ავერსიფარმა”.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა და მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პოსპიტალური სექტორის რეფორმის კრახში. ბანკებმა სესხების გაცემა შეაჩერეს, რამაც პირდაპირი ზარალი მიაყენა კონკურსში გამარჯვებულ კომპანიებს. მათმა ნაწილმა პროექტში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. „100 საავადმყოფოს პროგრამის ფარგლებში“ 100 საავადმყოფოს „პროექტი“ ჩაფარდა.

2008 წელს მთელი საქართველოს მასშტაბით დაიწყო მოსახლეობის ეტაპობრივად დაზღვევა რეგიონების მიხედვით. 2008 წლის ბოლოსათვის პოლისი გადაეცა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ 666 651 ადამიანს. 2009 წელს საქართველოს მთავრობის #218 დადგენილებების ფარგლებში დაეზღვია სოციალურად დაუცველი მოსახლეობა, დევნილები, მზრუნველობამოკლებული ბავშვები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, სახალხო არტისტები, საჯარო სკოლების ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი. შემდგომი ეტაპი იყო საქართველოს მთავრობის #165 დადგენილება, რომლის ფარგლებშიც დაეზღვია: 0-5 წლის ასაკის საქართველოს მოქალაქეები, საპენსიო ასაკის მოქალაქეები, სტუდენტები, მკვეთრად გამოსატყუი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები.

2013 წლის 28 თებერვლიდან ჯანმრთელობის ორ მიმდინარე სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამას ახალი საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა დაემატა, რაც მოქალაქეთა მასობრივ დაზღვევას გულისხმობს. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა დააზღვევს ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა არადაზღვეულ პირს, ანუ პროგრამის მოსარგებლები არ იქნებიან მოქმედი სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ბენეფიციარები და კერძო სადაზღვევო სქემებში ჩართული პირები. პირველად ქვეყნის ისტორიაში, სახელმწიფო დაზღვევა გავრცელდება როგორც ქვეყნის მოქალაქეებზე, ისე პირადობის ნეიტრალური მოწმობის / ნეიტრალური სამზავრო დოკუმენტის მქონე პირებზე და სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებზე.

მეორე ეტაპი გაცილებით მნიშვნელოვანი რეფორმების ფონზე წარმართა. 2014 წლის გაზაფხულზე „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის“ უშუალო დამფინანსებელი გახდა სახელმწიფო. 2014 წლის 1 სექტემბრიდან კი არა მარტო 218, 165 პროგრამაც შეუერთდა საყოველთაო ჯანდაცვას, ანუ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა მოიცავს ყველა მოქალაქეს, რომლებიც არ არიან კორპორაციულად დაზღვეული. ცხადია, სხვადასხვა ჯგუფების გათანაწილება არ მომხდარა და სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განსხვავებული სადაზღვევო პაკეტები არსებობს: საბაზისო, საპენსიო, უმწვეთა, პედაგოგების, შშმ პირების, ვეტერანების, სტუდენტების.

შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრმა დაეით სერგეენკომ, სამინისტროს 2 წლის მუშაობის შემაჯამებელი ანგარიში წარადგინა, რომლის თანახმად 2014წ.20 ნოემბრის მონაცემებით პირველადი ჯანდაცვის ცენტრებში 2 882 238 მოქალაქე დარეგისტრირდა, აქედან, 822 413-მა ისარგებლა ამ პროგრამით. გაკეთდა 493 145 გადაუღებელი ამბოლატორიული მომსახურება, 31 598 – ქიმიო და სხივური თერაპია. 71 172 – გემშიური ქირურგიული ჩარევა, 2 448 – კარდიოლოგიური, 60970 – მშობიარობა.

საყოველთაო ჯანდაცვის მნიშვნელოვანი დადებითი შედეგია ის, რომ ყველა მოქალაქე დაზღვეული და აქვს სამედიცინო დაწესებულების თავისუფალი არჩევის უფლება. ახლა შესაძლებელია, სახელმწიფოს მიერ დაზღვეული პიროვნება მივიდეს ნებისმიერ საავადმყოფოში და მიიღოს პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ყოველგვარი შეფერხების გარეშე. თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს რისკები. საყოველთაო ჯანდაცვის დადებითი შედეგია ის, რომ ყველა მოქალაქე არის დაზღვეული და აქვს სამედიცინო დაწესებულების თავისუფალი არჩევის უფლება. იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფო დააზღვევს ყველას, დიდა ალბათობა იმისა, რომ დამსაქმებლები აღარ გაიღებენ ხარჯს საკუთარი თანამშრომლების დაზღვევაზე. დამსაქმებლებმა შეიძლება არ შეწყვიტონ საკუთარი თანამშრომლების დაზღვევა თუ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა დაზღვეულებს კერძო სადაზღვევო პაკეტზე ბევრად უარეს პირობებს შესთავაზებს. დამსაქმებლისთვის თანამშრომლის საბაზისო დაზღვევა საკვებით საკმარისი იქნება. მუქთა სარგებლობის (ფორია-დინგის) პრევენციისთვის შესაძლებელია დამსაქმებლების ან დასაქმებულებისთვის დაწესდეს ჯანმრთელობის დაზღვევის გადასახადი. იმის გათვალისწინებით, რომ სადაზღვევო კომპანიები გამოეთიშნენ პროგრამის მართვას, საყოველთაო სადაზღვევო პროგრამის სანქციები მომწოდებლებისთვის შესაძლოა სრულიად არასაკმარისი იყოს. მაგალითად, თუ პროგრამულ ანაზღაურებას დაქვემდებარებული დიაგნოზი არ დასტურდება ან დამძიმებულია, ან წარმოდგენილია თანხლები დიაგნოზის სახით, პროგრამის განმასრულებელი მომწოდებელს საჯარიმო სანქციის სახით დააკისრებს ანაზღაურებული თანხის სრულად უკან დაბრუნებას. სოციალური მომსახურების სააგენტო ყველაზე მასშტაბური შემოწმებითაც ვერ დაადგენს ყველა დარღვევას, რის გამოც მიგვაჩნია, რომ არ შეიძლება მომსახურების მომწოდებლისთვის დაწესებული ჯარიმები უფრო დაბალი იყოს, ვიდრე ამ რისკის გაწვევით მის მიერ მიღებული შემოსავალი.

საყოველთაო სადაზღვევო პროგრამის უმთავრეს რისკს წარმოადგენს ის, რომ სოციალური მომსახურების სააგენტომ შეიძლება ვერ მოახერხოს პროგრამის ეფექტიანად მართვა, რაც, საერთო ჯამში, პროგრამის ხარჯებს გაზრდის. სამედიცინო დაწესებულებას აქვს ცდუნება, პაციენტის დიაგნოზი დაამძიმოს ან სხვა დიაგნოზი დაწეროს, რათა მკურნალობისთვის დამატებითი ანაზღაურება მიიღოს.

მნიშვნელოვანი საფრთხე ემუქრება კერძო სადაზღვევო კომპანიებს. მათი კლიენტების რაოდენობა კატასტროფულად შემცირდა და კლების ტენდენციის გაგრძელების საშიშროებაც არსებობს. მიუხედავად იმისა რომ არსებობს ახრი, საქართველოს ყველა მოქალაქე დაზღვეულია და ასეც უნდა იყოს, სახელმწიფოც არ იცილებს ამ პასუხისმგებლობას, რეალურად არსებობს ფაქტები, როცა პირი არ სარგებლობს არანაირი დაზღვევით. ეს ის შემთხვევაა, როცა მოქალაქე სარგებლობდა კორპორაციული დაზღვევით, რომელსაც ვადა გაუვიდა და არაა გადასული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში. პროგრამაში მოსახვედრად მათ თავად უნდა გააკეთონ განაცხადი, თორემ რჩებიან ყოველგვარი დაზღვევის მიღმა. არც ისე ცოტაა შემთხვევა, როცა ამას გეზულობენ უშუალოდ იმ მომენტში, როდესაც ესაჭიროებათ გადაუდებელი დახმარება და მათ უწევთ გაწეული სამედიცინო მომსახურების სრულად ანაზღაურება. ეს გადასვლა გარკვეულ პრობლემებთანაცაა დაკავშირებული, რადგან სრული პაკეტის მიღებამდე ყოფილი კორპორაციულად დაზღვეული იღებს მინიმალურ პაკეტს, რომელიც გაცილებით ნაკლებ ოპერაციას აფინანსებს. ასე რომ, როცა კორპორაციულ პოლისს ვადა გაუვა ან შეწყვეტება, აუცილებელია მაშინვე გაკეთდეს განაცხადი და არ დაველოდოთ სადაზღვევო შემთხვევას.

საინტერესოა ყურადღება გავამახვილოთ სახელმწიფოსა და კერძო კომპანიების ურთიერთობაზე ერთი და იმავე მოქალაქის დაზღვევისას. მაშინ, როცა ვიღაც შეიძლება საერთოდ არაა დაზღვეული, ერთ პიროვნებას შეიძლება აზღვევდეს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სადაზღვევო კომპანია. უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო იხენს ინიციატივას სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებაზე და მხოლოდ მაშინ, თუ დაფინანსება არაა სრული, საქმეში ერთვება კერძო კომპანია. ჩემთვის არც ისე გასაგებია, ამ შემთხვევაში სახელმწიფოს პოზიცია. ბიუჯეტიდან იხარჯება მნიშვნელოვანი თანხები, როცა შესაძლებელია მისი გადახდა დაკისრებოდა კერძო სადაზღვევო კომპანიას, რომელსაც აქვს პასუხისმგებლობა თავისი დაზღვეულის მიმართ. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმების სისწორეს და პერიოდულობას, სავარაუდოა, რომ ამ კუთხითაც შეიძლება ველოდოთ ცვლილებებს. საქმე ეხება საქმიანობებს, დაწყებული პროფილაქტიკური გამოკვლევებიდან, დაგეგმილი ქირურგიული ოპერაციების ჩათვლით, მოქალაქეებისთვის უფასოდ მიწოდებას. ეს სერვისი ბევრად აღემატება ეკონომიკის რეალურ შესაძლებლობას. მეტიც, აღნიშნულის უზრუნველყოფას ვერ ახერხებს აშშ-ის მოქმედი მთავრობა, სადაც ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი 47000 აშშ დოლარია. გარდა ამისა, სახელმწიფო თავად აპირებს პროდუქტის წარმოებას სახელმწიფო საწარმოების ხარჯზე. უფასო მომსახურების მიწოდებით იგი ძალზე მძიმე მდგომარეობაში აყენებს კერძო სადაზღვევო კომპანიებს, რომლებმაც, მცირე მოცულობის ბაზრის გათვალისწინებით, მოახერხეს გარკვეული სისტემის ჩამოყალიბება, რომლის საფუძველზეც, გარკვეულ საფასურად, შედარებით შეძლებული საზოგადოების მცირე ჯგუფისთვის ჯანდაცვის შეზღუდული მომსახურება ხელმისაწვდომი გახდა. უფასო მომსახურება ნიშნავს ბაზრის პრინციპის იგნორირებას. ეს აღარ არის ბაზრის შერეული (mixed) მოდელი, სადაც სექტორში კერძო კომპანიებთან ერთად სახელმწიფო ორგანიზაციები ოპერირებენ (მაგალითად, განათლების სფერო). აქ საუბარია კერძო კომპანიების მთლიან ჩანაცვლებაზე სახელმწიფო კომპანიებით, რაც სოციალიზმის ნიშნებს შეიცავს. თეორიულად, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გაზრდა საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაა და ამ კონტექსტში, თეორიულად, მთავრობას შეუძლია პოზიტიური როლი ითამაშოს. თუმცა უნდა მოხდეს გარკვეული სეგმენტაცია: საზოგადოების შეძლებული ფენებისთვის, რომელთაც შეუძლიათ საკუთარი ჯამრთელობის უზრუნველყოფა, არაა აუცილებელი უფასო იყოს ასეთი სახის მომსახურებები. ცხადია, უფასო კერძო კერძო უარს არავინ იტყვის, არავინ მოითხოვს, რომ თვითონ დაიფინანსებს თავს და სახელმწიფოს დახმარება არ სჭირდება.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა მართლაც დიდი შედეგათია საქართველოს მოსახლეობისთვის, თუმცა ეს უარყოფითად არ უნდა აისახოს ქვეყნის მომავალზე. ცხადია, აუცილებელია პროგრამის სრულყოფა. აუცილებელია ასევე რისკების გათვალისწინება, პრევენციული ღონისძიებების შემუშავება და ეფექტური საინფორმაციო სისტემის შექმნა. შრომის, მეცნიერებისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა მოუწევს ახალი პროგრამის ეფექტურად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

*Nana Benidze  
Jambul Bitsadze*

## **ADVANTAGES AND DISADVANTAGES OF THE STATE HEALTH PROGRAMS Annotation**

In light of the ongoing reforms in Georgia, health care and state involvement in health care in this area is very important. It can be said that the universal health care program is really a great relief for the population, but it should not negatively affect the country's future. Obviously, it is necessary to improve the program, preventive measures and effective information system. Labor, Science and Social Affairs Ministry still have to work hard to ensure the effective operation of the new program.

*ლამარა ბერიძე  
მანანა ჭიპაშვილი*

## **შრომის ბაზარი საქართველოში – განვითარების პრობლემები და სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა**

მიმდინარე საუკუნის მეორე ათწლეულში შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს შრომის ბაზრის ყოველ სეგმენტში კვლავ რთული ვითარებაა: შრომის ბაზარი საქართველოში ხასიათდება სამუშაო ძალის შედარებით ჭარბი მიწოდებითა და სამუშაო ძალაზე მოთხოვნის შეზღუდულობით; ეკონომიკური განვითარების დაბალი დონის გამო, შრომითი შემოსავლების უკმარისობის პირობებში, დასაქმებული მოსახლეობის დიდი

ნაწილისათვის მნიშვნელოვნად შეფერხებულია გაფართოებული კვლავწარმოების პროცესი; დასაქმებულთა საერთო რიცხოვნობაში შეინიშნება დაქირავებით დასაქმებულთა წილის მკვეთრი შემცირება და თვით-დასაქმებულთა წილის პერმანენტული ზრდა. იზრდება სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობასა და მომსახურების სხვადასხვა სფეროებში დასაქმებულთა რაოდენობა და ხვედრითი წონები, მაშინ, როდესაც მრეწველობისა და მშენებლობის დარგებში დასაქმებულთა აბსოლუტური და შეფარდებითი რიცხოვნობა საგრძნობლად იკლებს.

დღეისათვის ქვეყანაში უმუშევრობა ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა და მოსახლეობის სიღარიბის გამომწვევი მთავარი ფაქტორია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2013 წლისათვის, მედიანური მოსამარების 60 პროცენტის ქვეით მყოფი მოსახლეობის წილი (ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებელი) მთლიანად ქვეყანაში 21,4%-ს, სოფლად კი 27,1%-ს შეადგენს [9]. უმუშევრობის დონე (შინამეურნეობების კვლევის მიხედვით) საანალიზო - 2013 წლის მონაცემებით, 14,6%-ს აღწევს. პერმანენტულად აქვს ადგილი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის არასრულ გამოყენებას, რაც იწვევს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის მნიშვნელოვან დანაკარგებს. ქვეყანაში უმუშევრობის მასშტაბების მხოლოდ ოფიციალური მონაცემების საფუძველზე, ჩვენი გათვლებით, საქართველოს ბიუჯეტს ყოველწლიურად, სულ მცირე, 0,8 - 0,9 მლრდ ლარი (0,5 მლრდ აშშ დოლარი) აკლდება.

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, ქვეყანაში სამუშაო ძალის რაოდენობა 2013 წლის ბოლოსათვის შეადგენს 2003,9 ათას კაცს, რაც შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) 66,2 პროცენტია. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 85,4% (1712,1 ათასი კაცი) დასაქმებულია, რომელთაგან დაქირავებული შრომით დასაქმებულია მისი 38,4% (658,2 ათასი კაცი), 61,0% კი თვით-დასაქმებულია (1043,8 ათასი კაცი) [9]. აღსანიშნავია, რომ 2000 წელთან შედარებით 1,9 პროცენტული პუნქტითაა შემცირებული დასაქმებულთა წილი სამუშაო ძალის შემადგენლობაში. შესაბამისად, გაზრდილია უმუშევრობის დონე, რომელიც, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, ევროკავშირის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს 1,5-ჯერ აღემატება [13]. ამასთან, 2013 წ. მონაცემებით, ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოზე მაღალი უმუშევრობა მხოლოდ 4 ქვეყანას – მაკედონია-ხორვატიას, ესპანეთს, საბერძნეთსა და პორტუგალიას აქვს [7]. თუმცა, იმის გამო, რომ ამ ქვეყნებში დაქირავებით დასაქმების დონე საქართველოსთან შედარებით მაღალია (მსოფლიო ბანკის მონაცემებით თანაფარდობა გამოიხატება პროპორციით 3/1-თან), დასაქმების პრობლემა ჩვენთან გაცილებით მწვავედ დგას, ვიდრე ევრო-კავშირის ქვეყნებში. უმუშევარ მოსახლეობას შორის დომინანტია ახალგაზრდობა, რაც კიდევ უფრო ზრდის სოციალურ რისკებს და უდიდეს საფრთხეს უქმნის ქვეყნის მომავალს.

საქართველოს შრომის ბაზრისათვის დამახასიათებელი ძირითადი ტენდენციაა დასაქმებულთა რაოდენობაში თვითდასაქმებულთა სიჭარბე და მისი ხვედრითი წონის ზრდა, რომელთა დაახლოებით 82% სოფელშია თვითდასაქმებული. თვითდასაქმების ხარჯზე არაბუნებრივად მაღალია დასაქმების დონე სოფლებში, სადაც 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის 69,2% დასაქმებულია, მაშინ, როდესაც იგივე ციფრი ევროკავშირის ქვეყნებში 50%-ს არ აღემატება [9,13]. ამით აიხსნება ის მდგომარეობაც, რომ ქალაქად ფიქსირდება უმუშევრობის ბევრად მაღალი დონე, ვიდრე სოფლად, თუმცადა, რეალურად ქალაქში დასაქმების პოტენციალი სოფელთან შედარებით გაცილებით მაღალია.

**ცხრილი 1**

**საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური სტატუსი 2000-2013 წლებში (ათასი კაცი)**

ეკონომიკური სტატუსი	წელი							
	2000	2005	2008	2009	2010	2011	2012	2013
ეკონ. აქტ. მოსახლეობა	2049,2	2023,9	1917,8	1991,8	1944,9	1959,3	2029,1	2003,9
დასაქმებული	1837,2	1744,6	1601,9	1656,1	1628,1	1664,2	1724,0	1712,1
დაქირავებული	683,9	600,5	572,4	596,0	618,6	632,0	662,6	658,2
თვითდასაქმებული	1041,2	1143,3	1028,5	1059,0	1007,1	1025,4	1054,0	1043,8
გაურკვეველი	112,1	0,8	1,1	1,2	2,4	6,8	7,4	10,0
უმუშევარი	212,0	279,3	315,8	335,6	316,9	295,1	305,1	291,8
<b>უმუშევრობის დონე (%)</b>	<b>10,3</b>	<b>13,8</b>	<b>16,5</b>	<b>16,9</b>	<b>16,3</b>	<b>15,1</b>	<b>15,0</b>	<b>14,6</b>
<b>აქტიურობის დონე (%)</b>	<b>65,2</b>	<b>64,0</b>	<b>62,6</b>	<b>63,6</b>	<b>64,2</b>	<b>65,2</b>	<b>66,9</b>	<b>66,2</b>
<b>დასაქმების დონე (%)</b>	<b>58,5</b>	<b>55,2</b>	<b>52,3</b>	<b>52,9</b>	<b>53,8</b>	<b>55,4</b>	<b>56,8</b>	<b>56,6</b>

*წაროს:* საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემები. ცხრილში მოცემული მაჩვენებლები მიღებულია შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევიდან

დასაქმებულთა რიცხოვნობის ზრდის პარალელურად, სოფლის მეურნეობაში ადგილი აქვს მეტისმეტად არაფექტიან დასაქმებას. არგუმენტად საკმარისია შემდეგი ფაქტის კონსტანტირება: 2013 წლისათვის, 1990 წელთან შედარებით, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა ხვედრითი წონა გაზრდილია 25,2%-დან 43,1%-მდე, მაშინ, როდესაც მთლიანი შიდა პროდუქტის საერთო მოცულობაში სოფლის მეურნეობის მიერ წარმოებული პროდუქტის წილი 29,8%-დან 8,4%-მდე შემცირებული [9].

მეურნეობის სხვა დარგებიდან, რომლებიც თვითდასაქმებულთა შედარებით მაღალი ხვედრითი წონით ხასიათდება, გამოირჩევა ვაჭრობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროები. ბოლო 15 წლის

მანიძლე მომსახურების სფეროს დარგების დაწინაურება (განსაკუთრებით თვითდასაქმებულთა ხარჯზე), ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანწილად განაპირობა სამამულო წარმოების სფეროში არსებულმა კრიზისულმა ვითარებამ, აგრეთვე იმპორტის წახალისებამ, რამაც, თავის მხრივ, ადგილობრივი წარმოების განვითარების შენელებაც კი გამოიწვია.

რაც შეეხება დაქირავებული შრომით დასაქმებულთა სტრუქტურას, ბოლო წლებში აქაც აშკარად გამოკვეთილია არასაწარმოო სფეროს უპირატესობა.

1990-იანი წლებიდან დაწყებული, ეკონომიკური დაქვეითების პროცესი განსაკუთრებით მეურნეობის მთავარ სამრეწველო სფეროებზე აისახა. შედარებით ნაკლებია ვარდნა მშენებლობისა და ტრანსპორტის დარგში, სადაც ბოლო ორი ათწლეულის მანიძლე თითქმის განახევრდა დასაქმებულთა რიცხოვნობა. დასაქმების შესაძლებლობათა მკვეთრი გაუარესება ეკონომიკის არასამრეწველო სფეროებსაც შეეხო, თუმცა-ღა, გაცილებით ნაკლები სიმწვავეით.

აღნიშნულ პერიოდში ქვეყანაში უდიდეს მასშტაბებს მიადწია ფარულმა უმუშევრობამ და არასრულმა დასაქმებამ. დასაქმების შესაძლებლობების შეზღუდულობამ განაპირობა ქვეყნიდან შრომისუნარიანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მიგრაცია საზღვარგარეთის ქვეყნებში. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული, საქართველოდან წასულ შრომით მიგრანტთა რაოდენობა მერყეობს 1-1,2 მლნ კაცამდე, რაც მნიშვნელოვანად აღემატება საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა საერთო რაოდენობას.

სქესობრივ-საკობრივ ჭრილში საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზისას შემდეგი კანონზომიერებებია თვალშისაცემი: ბოლო წლებში ქვეყანაში ეკონომიკური აქტიურობისა და დასაქმების დონის მიხედვით 50-64 წლის ასაკობრივ ჯგუფში მყოფი სამუშაო ძალა დომინირებს. საკმაოდ მაღალია 15-24 წლის მოსახლეობის უმუშევრობის დონე [7, 9].

უმუშევრობის მანქნებელი ქალებთან შედარებით, მამაკაცთა შორის უფრო მაღალია. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ დაუსაქმებელი ქალების უმრავლესობა დიასახლისია და არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას მიეკუთვნება.

საინტერესო სურათს გვაძლევს რეგიონულ ჭრილში შრომის ბაზრის ანალიზი. ეკონომიკური აქტიურობისა და დასაქმების დონის მიხედვით, პირველ ადგილზე 2013 წელს, კახეთის რეგიონია. იგი გამოირჩევა უმუშევრობის დონის ყველაზე დაბალი მაჩვენებლითაც (6,4%). აღნიშნული ტენდენცია მეტ-ნაკლებად საქართველოს სხვა რეგიონებზეც ვრცელდება და სოფლის მეურნეობაში მოსახლეობის თვითდასაქმების მაღალი მაჩვენებლით არის განპირობებული. თბილისსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ტრადიციულად, უმუშევრობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები ფიქსირდება (შესაბამისად 29,1% და 16,1%) [7, 9].

შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენებისადმი შრომის ბაზრის "მორგების" პროცესს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო რეგიონებში უფრო ადვილად მიმდინარეობს, ვიდრე ქალაქად.

მიუხედავად აღნიშნულისა, უკიდურესად პრობლემატურია ის გარემოება, რომ რეგიონებში დასაქმების შედარებით მაღალი დონე დაბალი ხელფასის პირობებში მიიღწევა. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის შემოსავლები საქართველოში, სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებთან შედარებით, უფრო დაბალია დაეცა. შედარებისათვის: თუკი ოთხმოციანი წლების ბოლოს ხელფასის წილი საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში დაახლოებით 44%-ს შეადგენდა, 90-იან წლებში იგი დაახლოებით 2,5-ჯერ შემცირდა. ბოლო წლებში კი ამ მაჩვენებელმა საგრძნობლად მოიმატა და 2013 წლისათვის 30,1%-ს გაუტოლდა [9, 10].

შეიძლება ითქვას, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოში არსებითად გაიზარდა დაქირავებით დასაქმებულთა შრომის საშუალო ანაზღაურების ოდენობა. 2013 წლისათვის დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი 773 ლარს შეადგენს, რაც შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმს თითქმის ხუთჯერ აღემატება [9, 11].

აღნიშნულის მიუხედავად, მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების პრობლემა საქართველოში კვლავ გადაუჭრელი რჩება. მთლიანობაში, მასობრივი დაუსაქმებლობა და დასაქმების არარაციონალური სტრუქტურა ანეიტრალებს დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ხელფასის ზრდის ეფექტს.

დასაქმების პრობლემის გადაჭრელობაში იგულისხმება ის, რომ, ბოლო ათწლეულში საშუალოდ 6-7 პროცენტის ეკონომიკური ზრდის [10] მიუხედავად, არსებითად არ გაზრდილა ქვეყანაში სამუშაო ადგილების რაოდენობა. პირიქით, გაიზარდა უმუშევართა რაოდენობა და უმუშევრობის დონე ქვეყანაში. აღნიშნულის ძირითადი მიზეზი შრომის ბაზრის ქრონიკული განუვითარებლობა და ახალი სამუშაო ადგილების ნაკლებობაა.

საქართველოში შრომის ბაზრის განუვითარებლობა სერიოზულად აფერხებს ქვეყნის წინსვლას და უამრავ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას წარმოშობს უმუშევრობის, სიღარიბის, არალეგალური მიგრაციისა და მათთან დაკავშირებული პრობლემების სახით. ამიტომ ქვეყანაში ბიზნეს - გარემოს გაუმჯობესებასთან ერთად (რაც ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ბუნებრივი და ძირითადი ფაქტორია), აუცილებელია შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა სახელმწიფოს მხრიდან მისი განვითარების მხარდაჭერის გზით.

ტრადიციულად, საქართველოში დასაქმების პრობლემის სიმწვავეს მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ისეთი ფაქტორი, როგორცაა საკუთარი ბიზნესის წამოწყებისათვის რესურსების სიმწარე და საკრედიტო რესურსების სიძვირე. შედეგად, ქვეყანაში სულ უფრო და უფრო მცირდება საშუალო და მცირე მეწარმეების წილი. ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, ბიზნეს - სექტორის მთლიან გამოშვებაში მსხვილი ბიზნესის წილი დაახლოებით 80-82%-ის [9, 10] ფარგლებში მერყეობს, რაც 2-ჯერ და მეტად აღემატება განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს [8, 13].

არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ საქართველოს შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მოთხოვნა-მიწოდებას შორის არა მარტო რაოდენობრივი, არამედ სერიოზული სტრუქტურული (პროფესიების მიხედვით) და ხარისხობრივი (კვალიფიკაციის მიხედვით) დისბალანსია. აღნიშნული მკვეთრი დისბალანსი გვევლინება

როგორც მხარე უმუშევრობის განმაპირობებელ, ასევე, ბიზნესის განვითარების ერთ-ერთ ძირითად ხელშემშლელ ფაქტორადაც.

ფაქტია, რომ ამჟამად მასობრივად გავრცელებული, „პოპულარული“ სპეციალობების გამო, მოსახლეობის განათლება არ ემთხვევა შრომის ბაზრის მოთხოვნილებებს. უმუშევართა 81%-ს საშუალო ან უმაღლესი განათლება აქვს მიღებული. ეს ნიშნავს, რომ განათლებული სამუშაო ძალა გამოუყენებელია და მას ქვეყნის ეკონომიკაში წვლილი ვერ შეაქვს. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების შემტეობა და, მათ შორის საქართველო, ე. წ. „სტრუქტურულ უმუშევრობას“ განიცდის.

სწორედ სტრუქტურული უმუშევრობის მაღალი დონე განაპირობებს იმ ვითარებას საქართველოში, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მოსახლეობის დასაქმებაზე არ მოქმედებს მაქსიმალური მასშტაბით. ამით შეიძლება, ასევე აიხსნას ისიც, რომ 2007 წელს, ანუ ქვეყანაში მშპ-ის ზრდის ყველაზე მაღალი, 12%-იანი მანჩვენების პირობებში, უმუშევრობის დონე მაინც საკმაოდ მაღალი იყო - 13.3% [9, 10].

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ შრომის ბაზარი საქართველოში არ არის თვითრეგულირებადი სისტემა და მას არ შესწევს უნარი, ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მოთხოვნებიდან გამომდინარე, უზრუნველყოს შრომითი პოტენციალის რაციონალური გამოყენება და განვითარება, მოსალოდნელ სტრუქტურულ ცვლილებებთან ადამიანური რესურსების დროულად მორგება, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის ოპტიმალური თანაფარდობის დაცვა და ა.შ.

აღნიშნულ ამოცანათა გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ შრომისა და დასაქმების სფეროში მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებითა და გატარებით. ეს, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს შრომის ბაზრის ინფრა-სტრუქტურის განვითარებას, სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსების მიზნით უმუშევართა პროფესიული სწავლებისა და დაბალკონკურენტუნარ-რიანი სამუშაო ძალის დასაქმების ხელშეწყობის მხარდაჭერას.

აღსანიშნავია, რომ შრომის ბაზრის მართვისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ახალი ხელისუფლების პირობებში გარკვეული წინ გადადგმული ნაბიჯები შეინიშნება. კერძოდ, 2014 წელს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინიციატივით შეიქმნა შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემა – worknet.gov.ge, რომელიც წარმოადგენს სამუშაოს მაძიებელთა, დამსაქმებელთა, ვაკანსიებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მონაცემთა ბაზას [1]. დღეისათვის, worknet.gov.ge-ზე შესაძლებელია მხოლოდ სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია. სამწუხაროდ, აღნიშნული პორტალი, მისი მომსახურე პერსონალის არასათანადო კვალიფიკაციისა და დაბალი პროფესიონალიზმის შედეგად, ფაქტობრივად ვერ ახერხებს დამჭირავებულების მოთხოვნებისა და სამუშაოს მაძიებელთა შესაძლებლობების ოპტიმალურად დაკავშირებასა და დასახული ამოცანის განხორციელებას.

ეროვნული შრომის ბაზრის რაციონალური ფუნქციონირებისათვის, მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების მხარდაჭერისა და უმუშევრობის მასშტაბების შემცირებისათვის, ასევე, შრომითი მიგრაციის მართვისათვის უმნიშვნელო-ვანესია შრომის ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირებული პროფესიული და აკადემიური სწავლების (მომზადება, გადამზადება, კვალიფიკაციის ამაღლება) სისტემის განვითარების აქტიური მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან.

თანამედროვე საქართველოსათვის შრომითი ემიგრაცია კვლავ რჩება ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემად. ქვეყანაში არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ ეს პროცესი საშუალოვადიან პერსპექტივაშიც შეინარჩუნებს დიდ სოციალურ-ეკონომიკურ მნიშვნელობას. შესაბამისად, შრომითი ემიგრაციის სახელმწიფო რეგულირების სტრატეგია უნდა იყოს მისი ლეგალიზაციის ხელშეწყობა და ეფექტიანობის გაზრდა.

საქართველოსთვის მეტად აქტუალური და გარკვეულწილად „მივიწყებული“ პრობლემაა შიდა შრომითი მიგრაციაც. ხანგრძლივი და მძიმე ეკონომიკური კრიზისის გამო, საქართველოს უმეტეს რეგიონებში, განსაკუთრებით კი მთიან რეგიონებში, უკიდურესად დაქვეითდა მოსახლეობისა და მეწარმეთა შრომითი და სამეწარმეო აქტივობა, დასაქმება, შემოსავლები. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ ქვეყანაში უნდა განხორციელდეს დიფერენცირებული, პროტექციონისტული რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა და იგი განსაკუთრებით აქტიური ხასიათისა უნდა იყოს საქართველოს მთიანი რეგიონების მიმართ.

დასასრულ, საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შრომის ბაზრის რეგულირების პრობლემა საქართველოში განხილული უნდა იქნეს სახელმწიფოს ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის კონტექსტში. მხოლოდ ყველა კომპონენტის გათვალისწინებით გახდება შესაძლებელი ეფექტიანი შედეგის მიღწევა მოსახლეობის დასაქმების მასშტაბების ამაღლებისა და მისი სტაბილიზაციის სფეროში, რაც მტკიცე საფუძველს შექმნის საქართველოს მთელი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისათვის.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგია – საქართველოს მთავრობის 2013 წ. 2 აგვისტოს №199 დადგენილება.
2. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – „საქართველო 2020“, 2013.
3. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის ანგარიში: „საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა - 2013 წლის ეკონომიკური მიმოხილვა“.
4. ლ. ბერიძე, მ. ჭიპაშვილი, “შრომის ბაზრის განვითარების ძირითადი ტენდენციები საქართველოში”. ჟურნ. “კომერსანტი”, 2007, №2 (3).
5. ლ. ბერიძე, “მოსახლეობის დასაქმების უზრუნველყოფის ასპექტები”. თსუ, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2014.
6. ვ. პაპავა, საქართველოს ეკონომიკა – რეფორმები და ფსევდორეფორმები, თბ., 2015.
7. დასაქმება და უმუშევრობა 2013 (პრეს-რელიზი) – საქსტატი.

8. World of Work 2014: Developing with jobs, ILO, 2015.
9. <http://geostat.ge>
10. <http://www.economy.ge>
11. <http://www.mof.ge>
12. <https://www.nbg.gov.ge>
13. <http://www.ilo.org>
14. <http://commerciant.ge>

*Lamara Beridze  
MananaChipashvili*

**LABOUR MARKET IN GEORGIA – DEVELOPMENT PROBLEMS AND STATE REGULATION NECESSITY  
Annotation**

The sharp quantitative and qualitative imbalance existing between demand and supply of labour force represents the main characteristic tendency for the Georgian labour market. Unemployment is the main reason for poverty in the majority of population. The sharp reduction of the employed by hire is marked in the total number of the employed. At the same time the scales of self-employment systematically are growing.

The training of specialists is taking place in the country without taking into account market demand, virtually without any justification and forecasting. Due to the nonexistence of effective system of professional training and retraining there is a severe shortage of labour resources with appropriate qualification at the countries labour market.

The labour market in Georgia is not a self-regulated system and has not ability to provide rational use of labour potential coming out from the requirements of the country's socio-economic development. The noted objective can be solved only through the formulation and pursuance of purposeful state policy in the sphere of labour and employment. This, above all, implies development of labour market infrastructure, perfection of professional education system that provides enhancement of human capital qualification and reduction of existing imbalance at the labour market.

*მაია გელაშვილი*


**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდში**

საქართველო ახალი ეკონომიკური სისტემის მშენებლობის პროცესში ურთულესი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, რომელშიც იგულისხმება სტაბილიზაცია, ინფლაციის დაძლევა, საფინანსო-საბანკო სისტემის გამყარება და ეროვნული ვალუტის დამკვიდრება. სტაბილური ეკონომიკური ზრდის მიღწევის წინაპირობას პირდაპირი უცხოური ინვესტიციები წარმოადგენს. მსოფლიო ბანკის კვლევამ ცხადყო, რომ ყველა ინდიკატორის მიხედვით, საქართველო უცხოური კაპიტალის მიმართ სრულიად ღია და უცხოური კომპანიის მიმართ არანაირი შეზღუდვა არ არსებობს. მართალია ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მაგრამ, როგორც წესი, უცხოელ ინვესტორს მოაქვს არა მხოლოდ კაპიტალი, არამედ, ხშირ შემთხვევაში, მოჰყავს დამსაქმებელიც და ამის მიხედვით ადამიანური რესურსების დაბალი კვალიფიკაციის დონეს ასახელებს ქვეყანაში, სადაც ინვესტიციას ახორციელებს, რასაც ადასტურებს ბოლო ცხრა წლის მანძილზე საქართველოში შემოსულ უცხოურ ინვესტიციებზე დასაქმებულთა სტატისტიკაც.

გარკვეულწილად, ინვესტიციების კლება ორი მიზეზით არის გამოწვეული: ერთი მხრივ, ეს გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს ბრალდება, ხოლო მეორე მხრივ, ქვეყნის შიგნით არსებული ეკონომიკური მდგომარეობითაა განპირობებული. საერთაშორისო საინვესტიციო რესურსების ბაზრებზე პოსტკრიზისული პერიოდები ყოველთვის ხასიათდება საინვესტიციო აქტივობის დაცემით და ინვესტორები, გარკვეულწილად, მოლოდინის და ბაზრების ანალიზით არიან დაკავებული. გარდა ამისა, თავისუფალი კაპიტალის ხელმისაწვდომობამ იკლო იმის გამო, რომ განვითარებული კაპიტალის ბაზრის მქონე ქვეყნებიც ეკონომიკური კრიზისის წინაშე აღმოჩნდნენ. მეორე მხრივ, საქართველოში ინვესტიციების შემცირების შიგა ფაქტორებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია პოლიტიკური არასტაბილურობა. ამ ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საერთაშორისო კერძო საინვესტიციო კორპორაციასა (OPIC) და საქართველოს საინვესტიციო რისკების მართვის სააგენტოს შორის გაფორმებული ურთიერთობის შემორანდუმი, რომლის საფუძველზეც საქართველოში ამერიკული ინვესტიციების წახალისებისა და პოლიტიკური რისკების მართვის საკითხებში ერთობლივი პროგრამა შეიქმნა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიუროს მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2013 წლის I კვარტალში 226 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 16%-ით ნაკლებია 2012 წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელზე: 2012 წლის პირველ კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 269 მილიონი აშშ დოლარი იყო, II კვარტალში – 219 მილიონი, III კვარტალში – 195 მილიონი და IV კვარტალში – 181 მილიონი აშშ დოლარი. მიმდინარე წელს განხორციელებული უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობით ინვესტორ ქვეყნებს შორის ლიდერობს ნიდერლანდები – 331 მილიონი დოლარის ინვესტიცია, ამას მოსდევს აზერბაიჯანი 302 მილიონი დოლარით. აქ ერთმნიშვნელოვნად ლიდერობს ჩინეთი 195 მილიონი დოლარით. მათ შორის ლიდერია გაერთიანებული სამეფო 114 მლნ დოლარით, ლუქსემბურგი 85 მლნ დოლარით, აშშ 80 მლნ დოლარი და თურქეთი 67 მლნ დოლარი. ყოფილი დსთ-ის სივრციდან საქართველოში შემოვიდა 66 მილიონი დოლარის პირდაპირი ინვესტიციები, მას მოსდევს პანამა 61 მილიონი დოლარით და მალტა 38 მილიონი დოლარის ინვესტიციით (ღიაგრამა 1).





დიაგრამა 1

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2014 წელს მლნ აშშ დოლარი**

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რაც შეეხება ინვესტიციების ზრდას, ის წლიდან წლამდე მუდმივი ცვალებადობით ხასიათდება და გამოწვეულია იმით, რომ ევროპელი ინვესტორები ერიდებიან კონფლიქტურ რეგიონებს და ისეთ ქვეყნებს, სადაც ბიზნესის მარეგულირებელი კანონმდებლობა და პროცედურები ხშირი ცვლილებებით ხასიათდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკური ზრდის მდგრადობის უზრუნველსაყოფად საჭიროა საბაზრო ინსტიტუტების გაძლიერება. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ პირდაპირ უცხოური ინვესტიციებს შეუძლია დამატებითი ფინანსების უზრუნველყოფა, ტექნოლოგიისა და ნოუ-ჰაუს შემოტანის სტიმულირება და საექსპორტო ბაზრებში შედარებით მაღალი გადამამუშავების ხარისხის მიღწევა. ისინი ასევე ზემოქმედებენ ადგილობრივ ეკონომიკაზე შიდა მომწოდებელთან კავშირების მეშვეობით და ხელს უწყობენ მწარმოებლობის გაუმჯობესებას. პირდაპირ უცხოური ინვესტიციებისა და ეკონომიკური ზრდას შორის ნამდვილად არსებობს კორელაცია. მთავრობამ ქვეყანა მიმზიდველი უნდა გახადოს („საინვესტიციო კლიმატი“) უცხოური ინვესტორებისთვის და ხელი უნდა შეეწყოს ექსპორტზე ორიენტირებული ინვესტიციების დაბანდობას იმისთვის, რომ საგადამხდელო ბალანსის ნეგატიური ეფექტი შესუსტდეს. კრიზისის შემდეგ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა საქართველოს მთავარ გამოწვევად რჩება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი სპეციალური ინდუსტრიული ზონების შესახებ. ამჟამად სამი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა მოქმედებს – ფოთში, ქუთაისსა და თბილისში. ეს ზონები ჯერ კიდევ ინვესტორთა მოზიდვის და ძირითადად მრეწველობის დარგში საწარმოების შექმნის პროცესშია. ამიტომ მათი გავლენა ქვეყნის ეკონომიკასა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მდგომარეობაზე ჯერჯერობით უმნიშვნელოა.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს სამეურნეო კომპლექსის ფუნქციონირება ყოველად შეუძლებელია ინვესტიციების გარეშე, რადგან ინვესტიციები უზრუნველყოფს კვლავწარმოების უწყვეტობას, ხელს უწყობს საწარმოო, ინოვაციური და სოციალური პროექტების რეალიზაციას, მონაწილეობს წარმოების მოცულობის ზრდისა და საზოგადოებრივი ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების საქმეში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობა დამოკიდებულია მოზიდული ინვესტიციების რაოდენობასა და ხარისხზე და მიმდები ქვეყნის უნარზე, დროულად მოახდინოს ინვესტიციების აპრობირება; განათავსოს იგი იმ დარგებსა და რეგიონებში, სადაც ისინი უფრო საჭიროა; უზრუნველყოს პროგრესული ტექნოლოგიების და მენეჯმენტის გამოყენება, რათა კაპიტალის მოზიდვით მაქსიმალური დადებითი შედეგები იქნეს მიღებული. შესაბამისად, ბევრი უარყოფითი შედეგის გამოწვევა შეუძლია უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სფეროში არაგონივრულ, არასწორ პოლიტიკას, რაც, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგება მიმდები ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებს. ეროვნული კაპიტალის მუდმივად უკმარისობისა და მსოფლიო ბაზარზე კაპიტალის ნაკლებობის პირობებში, უცხოური ინვესტიციებისადმი დამოკიდებულების განსაზღვრისას, მიმდები ქვეყანა შეიძლება პრობლემის წინაშე დგება: როგორ უნდა მოზიდოს ქვეყანაში უცხოური ინვესტიცია; მოზიდული ინვესტიციით მიღებულ იქნეს მაქსიმალური შედეგი, მიღწეულ იქნეს ეროვნული ინტერესების შესაბამისი მიზანი. ამიტომ, მოცემულ პირობებში საინვესტიციო პოლიტიკის განსაზღვრა ძალიან ფაქიზი საქმეა, რადგან საბაზრო მექანიზმები ყოველთვის არ მოქმედებს ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ. შესაბამისად, საჭიროა უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მეცნიერულად დასაბუთებული, აწინილი, აქტიური სახელმწიფო პოლიტიკა. აგრეთვე, მკაცრი კონტროლი სახელმწიფოს მხრიდან და მხარდაჭერა ინვესტიციებისადმი იმ დარგებსა და რეგიონებში, რომლებთანაც დაკავშირებულია ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. ევგენი ბარათაშვილი, დ. მაგრაქველიძე. საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები. თბ., 2009.
2. საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები, 2007 წ. იანვარი.
3. Грицюк Т.В. Фискальный федерализм и межбюджетные отношения, М., финансы и статистика, 2004, стр. 26-28.
4. <http://geostat.ge/>.

**FOREIGN DIRECT INVESTMENT IN THE PERIOD AFTER THE ECONOMIC CRISIS**  
**Annotation**

The functioning of the agricultural complex of the state is impossible without foreign direct investment, as the investment will ensure the continuity of reproduction. Essential for attracting foreign investment is the science-based and active state policy. Accordingly, the government has to take under its strict supervision and should support the investments that are deeply related to the economic development prospects of the state.

**შალვა გოგიაშვილი**

**კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა და მისი უმჯობესი საქართველოში**

განვითარების ეკონომიკური მოდელების განსხვავებები საბაზრო ურთიერთობათა სისტემაში ძირითადად სახელმწიფოსთვის მინიჭებული ადგილითა და როლით არის განპირობებული. საბაზრო ეკონომიკის ყველა მოდელისათვის მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსებაში კონკურენციის პრინციპს გააჩნია უალტერნატივო უპირატესობა; კონკურენციის აუცილებლობის ეჭვის ქვეშ დაყენება ეჭვის ქვეშ აყენებს თვით საბაზრო ეკონომიკის არსებობასაც. ამდენად, განსხვავებულ მოსაზრებათა და დამოკიდებულებათა სიმრავლის მიუხედავად, საბაზრო ორიენტაციის მქონე ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც არასოდეს დამდგარა კითხვის ნიშნის ქვეშ საკითხი კონკურენციის საჭიროება-არსაჭიროებისა და აუცილებლობის შესახებ.

საზოგადოდ, ეკონომიკურ პოლიტიკას გააჩნია შინაგანი წინააღმდეგობრიობა კონკურენციულ მექანიზმთან მიმართებაში. ბაზრის გარკვეულ მონაწილეებს თუ ანიჭებს უპირატესობებს, ეკონომიკური პოლიტიკა ხელს უწყობს საინვესტიციო რესურსების გადანაწილებას დარგებს, სფეროებსა და ტერიტორიებს შორის, რამაც შეიძლება მოკლევადიანი პერსპექტივისთვის ეკონომიკური ზრდის დაჩქარებასთანაც კი მიგვიყვანოს, რადგან ეკონომიკური აგენტები თავიანთ განკარგულებაში იღებენ საჭირო დამატებით რესურსებს. მაგრამ გადანაწილების ამგვარ, არასაბაზრო და არაკონკურენტულ წესს შეიძლება მოჰყვეს, უპირველეს ყოვლისა, უპირატესობის მქონე ეკონომიკური აგენტების დაინტერესების შემცირება წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მიმართ, რადგან მათ თავიანთი სამეწარმეო საქმიანობისთვის გააჩნიათ ხელოვნურად შექმნილი მონოპოლიური ძალაუფლება და, საერთოდ, მონოპოლიური პირობები; ეს, თავის მხრივ, გამოიწვევს ყველა იმ ნეგატიურ შედეგს, რაც საზოგადოდ დამახასიათებელია მონოპოლიური ბაზრებისათვის.

ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებსა და კონკურენციის ინტერესებს შორის ბალანსის მოძებნა დიდი ხანია წარმოადგენს თეორიული დისკუსიის საგანს; ამ საქმეში, სუბიექტურ ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ობიექტურ გარემოებათა გარკვეული ნაკრები: მართალია, საბაზრო ეკონომიკის პირობებში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნების მიღწევის ძირითად, განმსაზღვრელ ინსტრუმენტს წარმოადგენს კონკურენციული პოლიტიკა და შესაბამისი კონკურენციული გარემო, მაგრამ ღარიბი, განვითარებადი ქვეყნებისთვის დამახასიათებელი უმუშევრობის მაღალი დონე (ოფიციალურად, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო ორგანო აფიქსირებს დაახლოებით 16-17%-ს იმის გათვალისწინებით, რომ, კანონმდებლობით, უმუშევართა კატეგორიას არ განეკუთვნებიან სოფლად მცხოვრებნი, რომელთა ნაწილს მართალია აქვს მცირე ზომის მიწის ნაკვეთები, მაგრამ, რიგი მიზეზების გამო, ვერ ამუშავენ მას, ან მიღებული მოსავალი ვერ უზრუნველყოფს მინიმალურ საარსებო მოთხოვნილებასაც კი), ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის (20%) ოკუპაცია, ასევე ათასზე მეტი ოჯახის თავიანთი სამცხოვრებელი ადგილებიდან აყრა და დევნილობაში ყოფნა შესაბამისი თანმდევი შედეგებით(სხვადასხვა საექსპერტო შეფასებებით, დაახლოებით 1 მლნ საქართველოს შრომისუნარიანი მოქალაქე და მათი ოჯახების წევრების დიდი ნაწილი არასრულწლოვანი მოზარდების სახით იმყოფებიან ემიგრაციაში საზღვარგარეთ), ასევე მოსახლეობის დიდი ნაწილის “დაბერება” და სრულიად “არანორმალური” თანაფარდობა საპენსიო ასაკის მოსახლეობასა და გადასახადის გადამხდელ დასაქმებულებს შორის (პენსიონერთა რიცხოვნობა შეადგენს 800 ათასზე მეტს, მაშინ, როცა დასაქმებულთა რიცხოვნობა 600-700 ათასს შორის მერყეობს გაანგარიშების მეთოდოლოგიაზე დამოკიდებულებით), აიძულებს საქართველოს ხელისუფლებას სოციალური მიმართულებით ხარჯების გაზრდას (თუმცა აბსოლუტურ განზომილებაში ეს სახსრები მაინც არაადეკვატურია სატრანსვერო დაფინანსების საჭირო მოცულობასთან მიმართებით. ამის საიდუმლოდ საკმარისია ითქვას, პენსიის მოცულობა ერთ პენსიონერზე შეადგენს თვეში 150 ლარს, რაც დაახლოებით 65 აშშ დოლარზე ნაკლებია 2015 წლის 15 მაისის მდგომარეობით). უნდა აღინიშნოს, რომ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ აღმოჩნდა მოსახლეობის 40%. ამასთან, ზოგიერთ საექსპერტო შეფასებათა თანახმად, მოსახლეობის 85% დგას სერიოზული სოციალური პრობლემების წინაშე. შედეგად, ხდება კონკურენციული უპირატესობის მქონე კომპანიებისა და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის შემოსავლების გარკვეული ნიველირება, რაც აფერხებს ეკონომიკის სწრაფ განვითარებას.

საინვესტიციო ხარჯებსა და სამომხმარებლო ხარჯებს შორის ჩამოყალიბებული თანაფარდობა არ უწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას; რესურსების გარედან მოზიდვაზე დაფუძნებული ღარიბი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მოდელი (საქართველოს შემთხვევაში) ემყარება არა იმდენად წარმოების ზრდას, რამდენადაც მოხმარების სტიმულირებას, რამაც ეკონომიკის რეალური სექტორის სათანადო განვითარების გარეშე მიგვიყვანა იქამდე, რომ ბოლო წლებში იმპორტი 3-ჯერ და მეტად აღემატება ექსპორტს[3, გვ. 167]. საქართველოს ეკონომიკის უფრო მოხმარებაზე ვიდრე წარმოებაზე ორიენტირებულობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ კერძო და სახელმწიფო მოხმარების ჯამური მოცულობა მთლიან შიდა პროდუქტში დაახლოებით 90%-ს შეადგენს, მაშინ, როცა, ტრადიციულად, სამომხმარებლო ხარჯები არ აღემატება ხოლმე 75-80%, ხოლო ცალკეულ პერიოდებში, როცა დღის წესრიგში დგას ქვეყნის ეკონომიკის მოდერნიზაციისა და ტექნიკური გადაიარაღების ამოცანა, შეიძლება შეადგენდეს 70%-ს და ნაკლებსაც.

აღნიშნულის მიუხედავად, ბოლო ორი წლის მანძილზე გლობალური კონკურენტუნარიანობის შესახებ მოხსენებაში (2014-2015) ასახულია ცალკეული მაჩვენებლების მიხედვით საქართველოს მდგომარეობის გაუმჯობესება [1, გვ.15].

ვინაიდან საბაზრო ეკონომიკის ქვეყანა (შერჩეული მოდელის მიუხედავად) წარმოდგენილია კონკურენციისა და საკონკურენტო პოლიტიკის გარეშე, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის დეკლარირებასთან ერთად, საქართველოც დადგა მისი შემუშავებისა და განხორციელების აუცილებლობის წინაშე. კონკურენციის პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაცია კი მხოლოდ სათანადო საკანონმდებლო ბაზის ფორმირებით, აღმასრულებელი ორგანოების შექმნით დასაკანონმდებლო მოთხოვნების თანამიმდევრული გატარებით იყო შესაძლებელი.

აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ სახელმწიფოს კონკურენციული პოლიტიკა, ისევე, როგორც ეკონომიკური პოლიტიკა მთლიანად, არ შეიძლება იყოს სტატიკური. ის უნდა იყოს დინამიური და რეფლექსური ქვეყანაში ეკონომიკური სიტუაციის და სახელმწიფოს სხვა პოლიტიკების ჩარჩოებში პრიორიტეტების ცვლილებებისადმი. ამასთან, ცალსახა და აქსიომატური აუცილებლობაა შესაბამისი სასაქონლო და მომსახურების ბაზრებზე კონკურენციული გარემოს არა ერთჯერადი ფორმირება, არამედ მისი სისტემატური უზრუნველყოფა, ანუ კონკურენციის მუდმივი დაცვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თვით ჯანსაღ კონკურენციულ ბრძოლასაც კი ხშირად მოჰყვება ეკონომიკური აგენტის ხელში ძალაუფლების თანდათანობითი კონცენტრაცია და მონოპოლიური სუბიექტის წარმოქმნა შესაბამისი შედეგებით და მოსალოდნელი საბაზრო ქცევით.

საზოგადოებრივად უნდა გაეცხვას იმ გარემოებას, რომ კონკურენციის ეკონომიკურ პოლიტიკას საქართველოში გაანინია თავისი კონსტიტუციური საფუძველი. ქვეყნის ძირითადი კანონი ცალსახად კრძალავს მონოპოლიურ საქმიანობას და აკრძალავს სახელმწიფოს, რომ ხელი შეუწყოს კონკურენციის განვითარებას. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, “სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.”

რადგან კონკურენცია და კონკურენციული გარემო კერძო საკუთრებასთან ერთად წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების მთავარ მასტიმულირებელ ძალას, იმ უპირველესი ნორმატიულ-საკანონმდებლო აქტების ნუსხაში, რომლებიც საქართველოში 1991-1992 წლების ცნობილი მოვლენების შემდეგ საპარლამენტო საქმიანობის აღდგენამდე სახელმწიფო საბჭომ დაჩქარებულად მიიღო უკვე 1992 წლის დასაწყისში, იყო დეკრეტი “მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების ხელშეწყობის შესახებ”, რომელიც 1996 წელს საკონკურენტო კანონის მიღებამდე ასრულებდა კონკურენციული ურთიერთობების განმსაზღვრელი და მარეგულირებელი დოკუმენტის როლს. ეს დეკრეტი, ხოლო 1996 წლიდან კანონი “მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ” განსაზღვრავდა ქვეყნის კონკურენციული ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, საკონკურენტო გარემოს ფორმირებისა და დაცვის მექანიზმს. ვინაიდან საქართველოს საკონკურენტო კანონმდებლობის შემუშავებისას გათვალისწინებულ იყო ამ სფეროში არსებული მსოფლიო გამოცდილება, მიუხედავად რიგი ნაკლოვანებებისა და ხარვეზებისა, რომელთა შესახებ მიუთითებდნენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტები, მთლიანობაში ეს უკანასკნელი ითვლებოდა პროგრესულ კანონმდებლობად.

სამწუხაროდ, 2005 წელს განხორციელებულმა საკანონმდებლო და ინსტიტუციურმა რეფორმამ კონკურენციის სფეროში, მართალია შეავსო იგი ისეთი მიმართულებით, როგორცაა სახელმწიფო დახმარებები და სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები, მაგრამ, იმავდროულად, იგნორირება მოახდინა რიგი უმნიშვნელოვანესი საკონკურენტო ნორმებისა და დებულებებისა, რამაც მიახლოების ნაცვლად ქვეყნის საკონკურენტო კანონმდებლობა ფაქტობრივად მნიშვნელოვნად დაამორა ევროკანონმდებლობას, რომელთან პარამონიზაციაც საქართველოს ოფიციალურად დეკლარირებულ პრიორიტეტად და მიზნობრივ კრიტერიუმად აქვს მიჩნეული. რეფორმატორული პოლიტიკისა და ეკონომიკის ლიბერალიზაციის მიზნით მიმდინარე დერეგულირების კონტექსტში ფაქტობრივად უკანა პლანზე გადაიწია კონკურენციის პრობლემატიკა.

რეალურად, კონკურენციული პოლიტიკის განვითარების რეტროსპექტივა აჩვენებს ამ მიმართულებით 2004-2012 წლებში სახელმწიფო ქმედებების აშკარა დეფიციტზე. პროგრამების ანალიზი მიუთითებს, რომ საქართველოს მთავრობა აღიარებდა კონკურენციის განვითარების აუცილებლობას. მაგრამ არ არსებობდა საკმარისი წარმოდგენა, თუ როგორ, რა საშუალებებით და გზებით უნდა განხორციელებულიყო ეს საქმიანობა; პრობლემას წარმოადგენდა არა კონკურენციის როლისა და მნიშვნელობის შეუფასებლობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში (საბაზრო ურთიერთობათა პირობებში ამისი აფიშირება ნონსენსი იქნებოდა), არამედ ჯანსაღი საკონკურენტო გარემოს ჩამოყალიბებისათვის სათანადო ხელშეწყობისა და კონკურენციის მუდმივი დაცვისათვის სათანადო ქმედითი მექანიზმის არარსებობა. ევროპელი ექსპერტების კრიტიკისა და კონკურენციის პოლიტიკის სრულყოფის მოთხოვნების საპასუხოდ, ქვეყანაში წლების მანძილზე სისტემატურად მიმდინარეობდა ფსევდო ინტენსიური მუშაობა კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკისა და შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოს რეკონსტრუქცია-რეორგანიზაციისა და უფლებამოსილებათა ზრდის (ცვლილებების) მიმართულებით, რასაც არცერთხელ არ მოჰყოლია სულ მცირედი პოზიტიური შედეგი და ვერც მოჰყვებოდა, რადგან არ არსებობდა (ყოველ შემთხვევაში არ ჩანდა) სურვილი და სახელმწიფო ნება მის მისაღწევად.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ (პარლამენტი და მთავრობა), რომელსაც ჯერ კიდევ წინასაარჩევნო პროგრამით ჰქონდა გათვალისწინებული კონკურენციის სფეროს მოწესრიგება და ევროსტანდარტებთან მისი დაახლოება, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და უცხოელ ექსპერტებთან ერთად საკმარის ინტენსიურად წარმართა მუშაობა მოქმედი საკონკურენტო კანონმდებლობის სრულყოფისა და შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოს ოპტიმალური სტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად. სამოქმედოდ მიღებულ იქნა ახალი, მოთხოვნებისადმი მეტ-ნაკლებად ადეკვატური საკონკურენტო კანონმდებლობა; ხორციელდება ინსტიტუციური რეფორმა, რომელიც, იმედი უნდა ექიპონით, რომ გააფართოებს და განამტკიცებს სააგენ-

ტოს უფლებამოსილებებს, სრულყოფს სტრუქტურას, ხელს შეუწყობს მისი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებასა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას.

აღნიშნული გარდაქმნა წარმოადგენს ევროკავშირის შესაბამისი საკონკურენციო ორგანოების დასაბუთებულ რეკომენდაციებისადმი ადეკვატურ რეაგირებას. აუცილებელია ითქვას, რომ ეს რეფორმა, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ კი არ არის საჭირო და აუცილებელი, რომ იგი შეესაბამება აღიარებულ საერთაშორისო პრაქტიკას და საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების მოთხოვნებს (თუმცა ესეც უაღრესად მნიშვნელოვანია), არამედ იმიტომ, რომ სხვაგვარად შეუძლებელია საბაზრო პირობებში ქვეყნის ეკონომიკის ნორმალური განვითარება. რაც უფრო დაგვიანდება და დროში გაიწელება კონკურენციის ჯანსაღი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება და ამ ეტაპზე უკვე მისი პრაქტიკული რეალიზაცია, მით მეტად მოხდება ეკონომიკის დეფორმირება და, შედეგად, გაჭირდება მისი განვითარების ნორმალურ ტრაექტორიაზე დაბრუნება. არადა, მცირე ზომის ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვისაც (როგორცაა საქართველო), უპირველეს ყოვლისა, უაღრესად მნიშვნელოვანი სრულყოფილი საკონკურენციო ბაზის არსებობა, რადგან ეკონომიკური გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე ღია ეკონომიკის პირობებში (მცირე ზომის ეკონომიკის მქონე ქვეყნებს სხვა ალტერნატივა პოტენციურადაც კი არ გააჩნიათ) სწორედ ის წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ლეგალურ ინსტრუმენტს შიდა ბაზრის დასაცავად.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ბელიანაშვილი გ., ევროკავშირი და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ბენჩმარკინგის საკითხი: ინსტიტუციური მაკროსისტემური ასპექტი. ჟურნ. "ეკონომისტი", №5, თბ., 2014.
2. გოგიაშვილი შ., საქართველოს კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკის განვითარების ქრონოლოგია. ჟურნ. "ეკონომისტი", №2, თბ., 2013.
3. Папова Вл., О Некроэкономическом постиндустриализме на постсоветском пространстве (на примере Грузии и России). В журн. "Общество и экономика" № 6, М., 2014.
4. The Global Competitiveness Report 2014d2015. <http://www.weforum.org/issues/global-competitiveness>

*Shalva Gogiashvili*

## **ECONOMIC POLICY OF COMPETITION AND ITS CONSEQUENCES IN GEORGIA**

### **Annotation**

The article presents the main stages of formation and development of competition policy and competition legislation in Georgia: is assessed the past period based on the critical analysis and comparison of the relevant EU regulations and suggestions for improvement of the field of competition.

*მეგი გორგასლიძე*

**სახელმწიფოს მარაბუღიერებელი როლის ბაპლიერება ქვეყნის ეკონომიკის ბანვითარებაში**

***"სახელმწიფოს შეუძლია განსაზღვრულ ფარგლებში დაეხმაროს ეკონომიკას, ხოლო მისი შესაძლებლობა – ზიანი მიაყენოს მას, განუსაზღვრელია."***  
*ჯ.მ. კეინზი*

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება ბევრადაა დამოკიდებული მის ეკონომიკურ პოტენციალსა და წარმოების მიღწეულ დონეზე. შეიძლება ითქვას, წარმოება და ეკონომიკური ზრდა-განვითარება განუყოფელი ერთმანეთისაგან. მხოლოდ წარმოების ნორმალურ პირობებში იქმნება მტკიცე საფუძველი ეკონომიკური ზრდა-განვითარებისათვის. ადამიანები, უკველესი პერიოდიდან მოყოლებული, ცდილობდნენ განეციტარებინათ წარმოება, გაეუმჯობესებინათ შრომის იარაღები, აემადლებინათ შრომის კულტურა და ცოდნის დონე და აღნიშნულ საფუძველზე ეწარმოებინათ მეტი მატერიალური დოვლათი და ეცხოვრათ უკეთესად.

ეკონომიკურ განვითარებას წინ უნდა უძღოდეს სახელმწიფოს მიერ გატარებული დონისციებები, რაც მის მიკროეკონომიკურ და მაკროეკონომიკურ როლზე მიუთითებს, და რითაც განასხვავებენ ქვეყნის განვითარების დონეებს. დიდი ხანია, რაც ეკონომისტები ინტერესდებიან უმთავრესი პოლიტიკური ორგანიზაციით, ანუ სახელმწიფოთი. ძირითადად სახელმწიფოს სამეურნეო როლში აისახება ის განსხვავება, რომელიც არსებობს სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის. „სოციალიზმში, რომელიც კაპიტალიზმის კონკურენტული სისტემა იყო; დეფორმირებული კაპიტალიზმი (რომელიც არსებობდა ამ ბოლო დრომდე ლათინური ამერიკის ქვეყნებში); დასავლეთ ევროპის მეტისმეტად „დარეგულირებული“ და „სოციალიზებული“ კაპიტალიზმი, - ამ სხვადასხვა სამეურნეო სისტემებს ძირითადად ის განასხვავებს, თუ რა როლს ასრულებს სახელმწიფო ქვეყნების ეკონომიკურ ცხოვრებაში [1].

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობაზე დღეს აღარავინ დაობს, რადგან საბაზრო ეკონომიკას არ ძალუძს გადაწყვიტოს საზოგადოების მრავალი ეკონომიკური საკითხი და ამის გამო ბაზრის „უჩინარ ხელს“ უნდა ჩაენაცვლოს სახელმწიფოს „ხილული ხელი“. სხვა საკითხია სახელმწიფოს ახალი მაკროეკონომიკური მარეგულირებელი როლის გაძლიერება ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე და ამ როლის შესრულების თავისებურებანი სხვადასხვა ქვეყანაში.

საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების თეორიებიდან ყველაზე პოპულარული კეინზიანური კონცეფციაა, რომელსაც საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე იყენებდნენ, თუმცა მოვლენების შემდგომმა განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა ისეთი ეკონომიკური მექანიზმის შექმნა, რომელიც წარმოადგენდა ოქროს შუალედს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებასა და სახელმწიფოს რეგულირებას შორის. ასეთი მიდგომები აღმოაჩნდა მონეტარისტულ კონცეფციას, რომელიც წარმოადგენს ნეოკლასიკური სკოლის და კეინ-

ზიანელობის იდეათა მთელ რიგ ახლებურ, ორიგინალურ სინთეზს. მთავარი მოტივი ამ მიმდინარეობისა იმ-აშია, რომ დიდი ყურადღება ექცევა ფულად-საკრედიტო სისტემის რეგულირებას სახელმწიფო დონეზე.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება უნდა განხორციელდეს როგორც მაკროეკონომიკურ, ისე მიკროეკონომიკურ დონეზე. ეკონომიკის მაკროეკონომიკური დარეგულირება ხორციელდება ისეთი ეკონომიკური ინსტრუმენტების საშუალებით, როგორცაა სახელმწიფო ბიუჯეტი, გადასახადები, ფასები, ფულისა და ფასიანი ქაღალდების ემისია, ამ მიზნით სახელმწიფომ უნდა განახორციელოს მოქნილი ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რაზეც ბევრად დაამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარება.

სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის მიკროეკონომიკური დარეგულირება გულისხმობს ქვეყანაში არსებული წარმოების რესურსების განაწილებას. რამდენადაც საბაზრო ეკონომიკას ბოლომდე არ შეუძლია რესურსების ეფექტიან განაწილებასთან ერთად მისი ფუნქციონირების თანხლები ნეგატიური მოვლენების თავიდან აცილება, სახელმწიფოს ვალია, ჩაერთოს ამ პრობლემების მოგვარებაში, რისთვისაც ის იყენებს სხვადასხვა მეთოდებს. ეს შეიძლება განხორციელდეს როგორც ზოგიერთი მნიშვნელოვანი პროდუქციის წარმოების დაფინანსებით, ასევე ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით, რაც ძირითადად შეეხება ქვეყანაში ეკოლოგიური პოლიტიკის განხორციელებას. გარემოში მავნე გამონახობლქვების მაქსიმალურად შემცირების მიზნით შემუშავებულია აკრძალვები, ასევე დაწესებულია გადასახადები და ჯარიმები მეწარმეებზე.

ეროვნული ეკონომიკის აღმაშენებლისათვის სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი (ფინანსური ურთიერთობების გამოყენებით) ვლინდება საზოგადოებრივი კაპიტალის კვლავწარმოების სახელმწიფო ორიენტაციის უზრუნველყოფაში, რათა შეიქმნას ოპტიმალური კონკურენციულ-საბაზრო მექანიზმი, რომელიც შემოსავლების განაწილება-გადანაწილებით შექმნის ეკონომიკური ზრდის პირობებს.

საბაზრო ეკონომიკის მთავარ მარეგულირებელ ბერკეტს წარმოადგენს სწორად წარმართული ფისკალური პოლიტიკა, რომელშიც სახელმწიფო ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი გახდება როგორც ხარჯები, ისე შემოსავლები. ამით შეიქმნება ოპტიმალური პირობები სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შესამცირებლად. სახელმწიფო ყოველთვის განიცდის ხარჯების ზრდის აუცილებლობას და პარალელურად საზოგადოების დაწოლას საგადასახადო განაკვეთების შემცირების მიზნით, ხელისუფლების ასეთი პოლიტიკის შედეგად იგი იღებს მზარდ დეფიციტს, მაღალ ინფლაციას და, ბოლოს, ფინანსურ კრიზისს, რასაც მოჰყვება საერთო ეკონომიკური კრიზისი [2].

ქვეყანა სათანადო დონეზე ვერ განვითარდება, თუ ყურადღება არ ექცევა ცივილიზებულ საბაზრო ურთიერთობათა დამყარებას. ეს კი მიიღწევა ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარებით, რომელიც მოიცავს როგორც ადმინისტრაციულ, ისე ეკონომიკურ ღონისძიებებს, რაც გულისხმობს ცალკეული სუბიექტების მიერ წარმოებისა და ვაჭრობის სფეროში მონოპოლიური მდგომარეობის შეზღუდვას; მონოპოლიური ფასების მკაცრ კონტროლს; ზემსხვილი სამმართველო, წარმოებრივი და კომერციული სტრუქტურების დეზინტეგრაციას; კონკურენციისათვის ხელის შეწყობას; დივერსიფიკაციის წახალისებას; მიღებული კანონების ანტიმონოპოლიურ ექსპერტიზას.

საქართველოში 1992 წელს მიღებულ იქნა მთავრობის დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში მეურნეობრივი საქმიანობის დემონოპოლიზაციის ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ“ და დეკრეტი „საქართველოს რესპუბლიკაში კონკურენციის განვითარებისა და მონოპოლიზმის შეზღუდვის შესახებ“; 1996 წლის 23 ივნისს – კანონი „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ [3], რომელთა მოქმედება დღეს გაუქმებულია და ამ კუთხით სერიოზული ღონისძიებების დაგეგმვას საჭიროებს, რომელთა გარეშეც შეუძლებელი იქნება ჩვენს ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკაზე კონტროლის განხორციელება.

სახელმწიფოს მაკროეკონომიკური როლის აქტუალურობა მუდამდებელი ფულად-საკრედიტო სისტემის სრულყოფით. მასზეა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკის დაცვა როგორც შიგა, ისე გარე ფაქტორების უარყოფითი გავლენისაგან.

ფულის, როგორც ეკონომიკური ურთიერთობების ერთ-ერთი ყველაზე „მგრძობიარე“ ელემენტის, მიმოქცევის ეფექტიან რეგულირებასა და ბაზრის ფუნქციონირებისათვის ნორმალური პირობების შექმნას ემსახურება ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. აქედან გამომდინარე, იგი ეკონომიკური კონიუნქტურის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომლის სწორად წარმართვით ქვეყნის მაკროეკონომიკურ რეგულირებაში შესაძლებელია შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაჭრა: ფულზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსება, ფულის ბაზარზე წონასწორობის შენარჩუნება, მიმოქცევის სფეროში ფულადი მასის რეგულირება და კონტროლი, ეროვნული ვალუტის კურსისა და ეკონომიკური ციკლის რეგულირება, ინფლაციის დონის მინიმიზაცია, იაფი საკრედიტო რესურსებით ეკონომიკის რეალური სექტორის უზრუნველყოფა, ინვესტირების სტიმულირება და ა.შ. ამ ამოცანების რეალიზაციის გარეშე ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მოწვევებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს და ეკონომიკის დესტაბილიზაციის ფაქტორად იქცევა [4].

საქართველოში ბოლო პერიოდში განხორციელებულმა მოვლენებმა, რამდენადაც ადგილი აქვს მოსახლეობის მასობრივ მიგრაციას ქვეყნიდან, მთის რეგიონების დაცლას მოსახლეობიდან, ღარის კურსის გაუფასურებას კრიტიკულ ზღვრამდე, ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელებას, უმუშევრობის დონის მატებას და მოსახლეობის ცხოვრების დონის მკვეთრ გაუარესებას, დაგვარწმუნა, რომ აუცილებელია გაძლიერდეს სახელმწიფოს მაკროეკონომიკური რეგულირება, რისთვისაც სახელმწიფომ უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები მდგომარეობის გამოსწორებლად. დღეს საქართველო დგას ურთულესი ამოცანების და პრობლემების წინაშე, რომელთა გადაჭრის გარეშე საბაზრო ეკონომიკის სწორი ფუნქციონირება შეუძლებელია. ამის გარეშე კი შეუძლებელია ქვეყანაში ეკონომიკური წესრიგის დამყარება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ლ. ბალცეროვიჩი, თავისუფლება და განვითარება. თავისუფალი ბაზრის ეკონომიკა. თბ., 2004, გვ. 37.
2. ლ. ბახტაძე, რ. კაკულია, მ. ჩიკვილაძე. საგადასახადო საქმე. თბ., 2007, გვ.155.
3. ლ. ჩიქავა, ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი. საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, 1997. გვ. 226.

4. რ. ასათიანი. საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი. საგამომცემლო ფირმა „სიასლე“. თბ., 2014, გვ. 170.
5. ინტერნეტრესურსები.

*Megi Gorgasidze*

## **STRENGTHENING OF THE REGULATION ROLE OF THE STATE IN ECONOMIC DEVELOPMENT OF THE COUNTRY**

### **Annotation**

Strengthening of regulating role of the state at the modern step of economic development is an active issue. State regulation of economics should be implemented at macroeconomic as well as microeconomic level.

Macroeconomic regulation of economics is implemented by help of economic instruments as are state budget, taxes, prices, cash and securities emission. Microeconomic regulation implies distribution of produced resources in the country as the market economics cannot avoid operation-related negative situations together with effective distribution of resources.

Development of the national agriculture is depended on sound competitive mechanism in economics of the country which makes terms of economic growth by distributing incomes. Implementation of the process can be made through antimonopoly policy in the country which covers administrative as well as economic measures. Taking regulation measures for market economics is very essential for Georgia.

*Наталья Груцинская*

## **ЭВОЛЮЦИЯ СПЕЦИАЛИЗАЦИИ УКРАИНЫ. XX ВЕК: ПОЛИТИЧЕСКАЯ ДИКТАТУРА, ЭКОНОМИЧЕСКАЯ ПЛАНОВАЯ "НЕСТАБИЛЬНОСТЬ", ГОЛОД**

Наиболее подробно и доступно, с точки зрения международной экономической позиции, вопросы эволюции международных экономических отношений, международной специализации изложены в работе экономиста - международника, профессора Филипенко А.С. "Международные экономические отношения: история". Кроме того опираясь на работы историков Паля А., Кульчицкого С., Павленко Ю. и др. создается возможность изложить в форме серии статей особенности развития международной специализации Украины со времен догосударственной эпохи в истории Украины (каменный век, трипольская культура, бронзовый век), формирования первых государств на территории Украины (скифская культура, греческие государства на территории Украины, племенной союз антов и империя гетов, зарождение славян, происхождения украинского народа), периода основания Киева и до ликвидации Киевского княжества, Казачья эпоха в истории Украины, Украинская народная республика, провозглашение Независимости Украины, период Голодомора, место и роль международной специализации Украины в составе СССР. В представленной статье автор считает уместным раскрыть особенности специализации Украины в сложный период для страны, в период функционирования ее в рамках СССР, что соответственно и обозначало ее положение.

Как отмечает историк С. Кульчицкий "Голод 1932 - 1933 гг. надо изучать в контексте коллективизации сельского хозяйства, а саму коллективизацию - в общем контексте осуществляемой большевиками социально-экономических преобразований." Следует заметить, что данный период времени был официально назван как превращение преимущественно аграрной страны в индустриальную, что требовало мобилизации крестьянских средств, и, в свою очередь, могло быть сделано путем коллективизации деревни. Соответственно, рассматривая специализацию Украины в данный период, можно говорить о навязливой специализации или даже скорее, насильственной. Период восстановления советской власти в Украине совпадал с изменениями в аграрной политике. Создание совхозов или коммун, экспроприрование (так называемая коллективизация) собственности крестьян, уничтожение рынка, существовавшего между селом и городом, в свою очередь, привело к несамостоятельности агрария, невозможности распоряжаться своей продукцией труда. Отрицательная антиаграрная политика вызвала такую же "отдачу" и от крестьян, которые отказывались разрабатывать землю, и соответственно, посевные площади сокращались, земля оставалась необработанной.

Государственная политика 1919 - 1920 г. ставила своей целью - превратить советские республики в экономически мощную страну на основе внедрения электричества. "Технологическое обновление" должно было происходить за счет радикального использования сельской продукции и населения. Специализация, обусловлена природными ресурсами и человеческими возможностями и желанием, попросту уничтожалась. Наряду с официальными трактовками законов: "Возлагая на все органы советской власти обязанность усиления всесторонней помощи крестьянскому землевладению, рабочекрестьянская власть объявляет увеличение производства сельского хозяйства большим государственным долгом всего крестьянского населения ... и требует от всех земледельцев полного засева полей по заданию государства и правильной их обработки по примеру лучших исполнительных хозяев середняков и бедняков ". (С.35 Кульчицкий).

В 1920 году возникает необходимость немедленного изменения курса развития экономики, что вызвано острым социально-политическим кризисом. Методы внедрения нового курса имели агрессивный характер: материальные ресурсы, организационные силы - все было направлено на социальную индустриализацию, а именно получение продукта для поддержки Красной Армии. "Не производить, а брать" - так определялся плановый характер политики. Возможным источником ресурсов в основном аграрной стране оставалось сельское хозяйство. Процесс индустриализации перешел в "надиндустриализацию" и сопровождался социальным напряжением, государство - монополист устанавливало высокие цены на промтовары. В период 1928 - 1929 годов продолжала осуществляться индустриализация страны исключительно в интересах военно-промышленного комплекса отраслей.

В 1927 году началось резкое сокращение хлебазаготовки, что поставило под угрозу выполнение экспортного плана, однако уже 1929 год был назван "переломным": жесткая, подкреплённая законодательно, политика принуждения "розкультивания" привела к гибели крестьянина (закрытию хозяйств) и как результат, преобретала лицо геноцида - Голодомора[1].

Индустриализация осуществлялась в соответствии с пятилетними планами развития народного хозяйства. В годы первой пятилетки (1928-1932 гг.) было построено заводы «Запорожсталь», «Азовсталь», «Криворожсталь», Харьковский тракторный завод, в последующие пятилетки - Харьковский турбинный завод, Новокраматорский завод тяжелого машиностроения и другие предприятия. СССР из аграрной превратилась в индустриально-аграрную. Произошли структурные изменения в промышленности: предпочтение было отдано не легкой, а тяжелой промышленности.

Создана новая модель руководства экономикой - административно-командная. Возникал вопрос: как страна, специализирующаяся на сельском хозяйстве могла страдать от голода и нищеты? Ответ однозначен: планомерная, радикально-агрессивная, истребительная политика руководства. Однако в контексте тематики данной статьи, корни политической проблематики не рассматриваются, а лишь принимаются во внимание как значительный фактор влияния на формирование процессов специализации.

К сожалению, политические факторы доминировали на протяжении всего XX века. Рассмотрим частично влияние некоторых из них. Вследствие Второй мировой войны экономический потенциал Украины претерпел большие материальные потери, было разрушено 16 тыс. промышленных предприятий, 27910 колхозов, 872 совхоза, 882 шахты Донецкого угольного бассейна, выведено из строя 10 магистральных железных дорог, вывезено в Германию 3900000 голов рогатого скота, миллионы тонн зерна, в руины превращены 714 городов и поселков городского типа, свыше 28 тыс. сел. Основная задача первой послевоенной пятилетки заключалась в возобновлении довоенного уровня промышленности и сельского хозяйства и повышении производительности труда на 36%. Приоритетными были восстановление и дальнейшее развитие тяжелой индустрии, железнодорожного транспорта, возрождение угольной промышленности республики, металлургических заводов Донбасса и Приднепровья, химической промышленности. Это несло скрытую угрозу усиления диспропорций и деформаций в экономике СССР, прежде всего в хроническом отставании легкой промышленности и сельского хозяйства.

В процессе восстановления, административным аппаратом было проигнорировано опыт восстановления экономического потенциала стран, согласно которому предпочтение отдавалось техническому перевооружению различных отраслей хозяйства, развитию сельского хозяйства, легкой и пищевой промышленности. Успехи индустриального роста в Украине, как и в СССР в целом, обеспечивались в основном за счет привлечения дополнительной рабочей силы, то есть экстенсивным путем, что в будущем делало экономическую политику малоперспективной. Со всех секторов экономики в катастрофическом состоянии оставался аграрный. Вследствие оккупации значительно ослабла материально-техническая база, уменьшились посевные площади (в СССР посевная площадь в колхозах не превышала 60%), снизилась урожайность и продуктивность животноводства, уменьшилось количество трудоспособных колхозников (среди трудоспособного населения 80% составляли женщины и дети), не хватало квалифицированных кадров. Тяжелое положение на селе усложнялось непосильными налогами на индивидуальное хозяйство, низкими закупочными ценами на сельхозпродукцию, оргнаборы сельского населения на заводы и новостройки. Кроме того, аграрный сектор считался "вторичным" по сравнению с индустриальным, соответственно, на нужды сельского хозяйства выделялось в среднем только 7% капитальных вложений (всего за годы четвертой пятилетки капитальные вложения вместе с взносами колхозников составляли 15% от общесоюзных ассигнований).

Период 1947 - 1948 годов обозначена как черная в календаре Украины. Новая волна голода, сформировавшаяся в результате массового изъятия из коллективных хозяйств зерна, призвана усилить позиции СССР в мире как мощного милитаристского государства и обеспечить лояльность стран "социалистического лагеря" (в то время, когда население страдало от голода, хлеб экспортировался в дружеские СССР страны "народной демократии" - Болгарию, Польшу, Румынию, Чехословакию).

Рассматривая период 30 - 40-х годов, говоря о международной специализации Украины (в составе СССР), можно констатировать ее принудительный, необоснованный, изнурительный характер. В 1960-1970 гг. в экономике СССР произошли существенные изменения, внедренные "Косыгинскими реформами", направленными на усиление экономических рычагов, на увеличение самостоятельности предприятий и организаций, на обновление методов централизованного планирования. Как результат, среднегодовые темпы прироста национального дохода в 1966-1970 гг. выросли в среднем на 1,1% по сравнению с предыдущей пятилеткой, а прирост валовой продукции сельского хозяйства в те же годы увеличился на 1,7%. Косыгинская реформа 1965 делала ставку и на сельское хозяйство.

Однако в 1966-1967 гг. начали проявились недостатки реформы, главным из которых стало расхождение интересов предприятия и общества. За своей выгоды предприятие пыталось выпускать однотипную продукцию по высокой цене. Хозяйственный механизм страны начал давать сбой в работе, что могло привести к серьезному экономическому кризису. Для прекращения этих негативных явлений руководство страны приняло решение об ограничении прав предприятий и о возвращении к уже проверенному жесткому административному планированию.

В учебниках по политологии, экономической истории можно найти такую информацию о месте специализации Украины в рамках СССР: "По темпам экономического роста Украина находилась на последних местах среди республик СССР. Так, по темпам роста национального дохода Украинской РСР в восьмой пятилетке была на девятом месте, в десятый - на предпоследнем. В СССР национальный доход на душу населения в 1980 году составлял 1740 руб., а в Украине - 1550 руб. И это, вместе с тем, что экономика Украины была второй по величине в Советском Союзе и важным промышленным и сельскохозяйственным компонентом плановой экономики страны. Кроме того, следует добавить, что УРСР поставляла республикам каменный уголь, кокс, железную руду, природный газ, чугун, сталь, прокат черных металлов, металлургическое и горно-шахтное оборудование, турбины, дизели, электродвигатели, тракторы, экскаваторы, тепловозы, автобусы, автомобили, цемент, минеральные удобрения, природный камень, зерно, сахар, кондитерские изделия, консервы, масло и много другой продукции. В Украину поставляли нефть и нефтепродукты, руды, прокат цветных металлов, станки, нефтяное оборудование, средства автоматизации, легковые и грузовые автомобили, вагоны, силовые трансформаторы, электронно-вычислительные машины, кабель, автомобильные шины, пластмассы, изделия радиопромышленности и тому подобное. Более 20 стран (Австрия, Нидерланды, Италия, Норвегия, Франция, Финляндия, Германия, Швейцария, Швеция, США, Канада, Великобритания, Япония) получали из Украины промышленную продукцию и промышленное сырье: железную и марганцевую руду, кокс, прокат черных металлов, графит, стекло, металлургическое и горно-шахтное

оборудование, искусственные алмазы, алмазный инструмент, а также сахар, масло, льноволокно и тому подобное. В ФРГ Украина экспортировала ферросплавы, черные металлы, автопогрузчики, оконное стекло, масло и т.п., а оттуда импортировала различные машины и промышленное оборудование, прокат черных металлов, химическую продукцию. Украина вывозила товары в более чем 50 развивающихся стран. В структуре экспорта ведущее место занимали машины и промышленное оборудование. Машины, оборудование, приборы для африканских, азиатских и латиноамериканских стран изготавливались, учитывая природно-климатические условия работы. "

Учитывая анализ экономического развития СССР, последствия активной индустриализации, политические рычаги, можно утверждать, что международная специализация УССР отсутствовала, о ее необходимости не объявлялось и рассматривались возможности соседских взаимоотношений со странами Европы, США; агрессивный, нездорово сопернический характер СССР вызывал углубление страны в кризис.

С 70-х годов в Украине, скованной цепями командно-административной системы, происходило замедление экономического развития. Вместо внедрения новых технологий, интенсификации использования трудовых ресурсов, переориентации структуры производства на высокотехнологичные циклы и т.д., развитие промышленности происходило путем чрезмерных расходов, наращивание топливно-энергетической и химической базы, форсированного привлечения к производству новых природных ресурсов. Углубились и диспропорции между отраслями хозяйства. Не хватало товаров широкого потребления. С кон. 60-х до кон. 80-х годов в СССР неуклонно снижались такие показатели, как прирост объема производства промышленности - с 60 до 14%; производительность общественного труда - с 32 до 13%; национальный доход упал в своем приросте с 45 до 16%. В начале перестройки советские экономисты подсчитали, что реальный прирост ВВП в СССР за период 1980-1985 гг. равен нулю. Аналогичной была ситуация в аграрном секторе, где, несмотря на введение масштабных программ механизации, химизации и мелиорации сельского хозяйства, результаты были скудными. Введение механизации и химизации привели к загрязнению земель и сельскохозяйственной продукции химикатами, а мелиорация приводила к разорению плодородных земель и нарушению экологического баланса. Печальную картину дополняли крайне низкая эффективность использования человеческих ресурсов в сельском хозяйстве и отсталая система переработки и хранения сельскохозяйственной продукции, в результате чего ежегодные потери урожая из отдельных видов превышали 30%.

До обретения независимости Украина полностью была интегрирована в экономическую систему бывшего СССР и не могла выступать самостоятельным субъектом международных экономических отношений. Развал торговли с союзными республиками после распада СССР парализовал внешнеторговые связи страны. С распадом советской системы страна перешла от плановой экономики к рыночной. Переходный процесс был трудным для большинства населения. Украина сначала рассматривалась как республика с благоприятными экономическими условиями, тем не менее, страна пережила глубокий экономический спад, чем некоторые из других бывших советских республик.

Трансформационные процессы 90-х годов в Украине сопровождался многочисленными негативными проявлениями для ее экономики: распадом экономики СССР, СЭВ и стран всего социалистического лагеря, переориентацией их на более конкурентоспособную продукцию. Это усилило такие значительные экономические трудности как гиперинфляция, остановка большинства предприятий вследствие неконкурентоспособности отечественной продукции на внутреннем рынке по сравнению с импортными товарами, которые заполнили его, отсутствие многочисленных видов необходимого сырья (ранее поставлялась из республик СССР), острая ограниченность собственных энергоресурсов и другие. Вследствие такого ухудшения внутренней экономической ситуации экспортные позиции Украины в международном разделении труда значительно ослабли: сложилась ситуация необходимости завоевания места для национальной специализированной продукции в МРТ, которое состоялось в предыдущие годы.

Как результат, значительная часть экспорта Украины приходилась на технологическую специализацию, которая включает экспорт минеральной и сельскохозяйственного сырья и полуфабрикатов первичных стадий переработки металлургической, металлообрабатывающей и химической отраслей промышленности для дальнейшей переработки в странах-импортерах. Сырьевая экспортноориентированность в специализации требует усиления технико-технологического уровня указанных отраслей, в условиях жесткой ограниченности собственных и привлеченных иностранных инвестиций, способствует дальнейшей деформации экономики Украины в сырьевом направлении, сосредоточению на первичных технологиях.

Предметная специализация, то есть выпуск готовых изделий, прежде всего товары народного потребления: текстиль, одежда, вино, фармацевтические изделия. Среди товаров производственного назначения - небольшое количество самолетов, кораблей, машин и оборудования. Значительное место занимал экспорт оружия и военной техники.

Наличие значительного научно-технического потенциала создавало основу для расширения предметной специализации Украины на сложных и наукоемких изделиях машиностроения и приборостроения, электроники и радиотехники, на программных продуктах. Однако проблемы неконкурентоспособности своей продукции прежде всего на внутреннем рынке и отсутствие государственной поддержки производителей продукции, которая уже имела мировое признание, не давали возможности получить весомых результатов.

Для Украины процесс вхождения в мировое хозяйство сопровождался формированием нерациональной структуры экспорта, а следовательно, малоперспективной модели международной специализации. Основные черты модели международной специализации экономики страны связаны с тем, что Украина экспортирует на международные рынки те товары (продукты питания, руды, металлы, прежде всего черные), которые являются относительно малодинамичными и характеризуются сокращением их доли в глобальных продажах товаров. В то же время крайне скудными являются поставки на высокотехнологичные рынки, которые определяют перспективы развития мировой экономики.

Как было отмечено в начале статьи, представленная работа является одной из серии, посвященной вопросу международной специализации Украины, следовательно в следующих будет раскрыта детализация недостатков структуры международной специализации экономики Украины в XXI веке, необходимость ее реформирования с учетом тенденций глобальных трансформаций.



**ИСПОЛЬЗОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА**

1. Кульчицкий Станіслав. Терор голодом як інструмент колективізації сільського господарства // Голодомор 1932-1933 рр. в Україні: Причини і наслідки.- Київ,1995.- С. 23-35.
2. Палій О. Історія України. - Видавництво: Стилос, 2010 г. - 580 с.

*Nataliya Gruschinskaya*

**EVOLUTION OF SPECIALIZATION OF UKRAINE. XX CENTURY:  
DICTATORSHIP, ECONOMIC PLANNED "INSTABILITY", FAMINE  
Annotation**

The article is a short preview of a series of articles on topics of international specialization Economy of Ukraine entitled "Evolution of international specialization Economy of Ukraine from the Neolithic to modern times." The series focuses on the evolution of specialization of the national economy from the time dogosudarstvennoy day in the history of Ukraine (Stone Age, Tripoli culture, Bronze Age), the formation of the first states in the territory of Ukraine (Scythian culture, the Greek state on the territory of Ukraine tribal alliance Empire Ants and hutiv, origin Slavs origin Ukrainian people), the period from the establishment of Kyiv and Kyiv to eliminate principality Cossack era in the history of Ukraine, the Ukrainian People's Republic, Ukraine's independence during the famine and the place and role of international specialization Ukraine within the USSR. The presented article the peculiarities of specialization of the national economy during the Great Famine and the consequences of the period for development. The common thread through big time historical layer is the issue of specialization Ukraine as an agrarian economy, with it emphasizes the significant negative impact of political factors on the internal situation of the national economy.

*ვაჟა ვერულიძე*

**საგადასახადო პოლიტიკის როლი საინფლაციური სამართლებრივი რეგულირებაში**

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ეკონომიკის განვითარებისა და ზრდის დაბალი ტემპების გამომწვევი ფაქტორების გავლენის შემცირება შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიკის რეალური სექტორის ხელშეწყობითა და გაძლიერებით. შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკა არის მყიფე და არამდგრადი, შეუძლებელია გრძელვადიანი განვითარების პროგნოზირება, სათანადოდ ვერ ხორციელდება ეკონომიკური თუ სოციალური უსაფრთხოების მდგომარეობის შეფასება და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება. საქართველოს ეკონომიკა ვერ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს, ამიტომ ქვეყნის რესურსული პოტენციალიდან (ბუნებრივი, ადამიანური, ფინანსური) გამომდინარე, აუცილებელია მისი გაჯანსაღება და სტაბილური ზრდის უზრუნველყოფა.

ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურ განვითარებას უზრუნველყოფს მზარდი და პროგნოზირებადი ბიუჯეტი, რომლის შემოსავლების 85%-ზე მეტი საგადასახადო შემოსავლებით ივსება. საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურის ანალიზით 2008-2013 წლებში (ცხრ. 1) ირკვევა, რომ არაპირდაპირი გადასახადების ხვედრითი წილი საგადასახადო შემოსავლებში საკმაოდ მაღალია, კერძოდ, 2008 წლისთვის იგი შეადგენდა 58%-ს, ხოლო 2012 წლისთვის 60%-ს. საანალიზო პერიოდში თანაფარდობა პირდაპირ და არაპირდაპირ გადასახადებს შორის მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. ასეთი თანაფარდობა არაპირდაპირი გადასახადების სასარგებლოდ კი არაჯანსაღ ეკონომიკურ მდგომარეობაზე მიუთითებს. თავის მხრივ, არაპირდაპირი გადასახადების დიდი ნაწილი ამოიღება საქონლის იმპორტის განხორციელებისას, რაც განაპირობებს ბიუჯეტის შემოსავლების დამოკიდებულებას იმპორტზე და არა ეროვნულ ეკონომიკაში წარმოებული საქონლის მიწოდებასა და მომსახურების გაწევაზე. არსებული მდგომარეობა ართულებს ბიუჯეტის პროგნოზირებას გრძელვადიან პერიოდში.

*ცხრილი 1*

**ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების გეგმის ფაქტობრივი შესრულების მაჩვენებლები<sup>84</sup> (ათას ლარებში)**

მაჩვენებლები	წლები					
	2008	2009	2010	2011	2012	2013
საგადასახადო შემოსავლები	4541553,2	4161738,6	4592367,6	5801989,3	6311078,1	6287685
საშემოსავლო გადასახადი	1,218,300.3	1,053,228.8	1,119,020.1	1,439,463.1	1,636,356.0	1,795,142.0
მოგების გადასახადი	592,119.1	517,652.7	575,947.2	832,201.3	850,995.0	806,545.3
დამატებული ღირებულების გადასახადი	2,068,988.4	2,051,748.0	2,203,093.2	2,784,346.3	3,040,331.9	2,847,867.5
აქციზი	518,479.4	443,236.6	560,820.4	615,169.6	659,606.1	722,178.1
იმპორტის გადასახადი	51,880.8	35,911.4	70,382.9	93,210.8	90,079.0	89,375.3
სხვა გადასახადები	91,785.2	59,961.0	63,103.8	37,598.2	33,710.1	26,576.7

2013 წლისთვის საგარეო სავაჭრო ბრუნვაში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტის ხვედრითი წილი შეადგენდა 26,6%-ს, ხოლო საქონლის რეგისტრირებული იმპორტის წილი 73,4%-ს. სამომხმარებლო საქონლის წილი იმპორტში 2013 წელს შეადგენდა 47,6%-ს<sup>85</sup>, ხოლო შუალედური მოხმარების საქონელი 38,7%-ს.

<sup>84</sup> საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - <http://www.mof.ge/4562>

<sup>85</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი

-[https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/balanceofpayments/2015/sagadasaxdelo\\_\\_geo\\_04\\_02\\_15.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/balanceofpayments/2015/sagadasaxdelo__geo_04_02_15.pdf)

საგადასახდლო ბალანსის მაღალი უარყოფითი სადლო დაფიქსირდა 2012 წლისთვის და შეადგინა -1854,3<sup>86</sup> მლნ აშშ დოლარი, ხოლო 2013 წლისთვის შემცირდა 50,1%-ით და შეადგინა 926 მლნ აშშ დოლარი. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი დისბალანსი ექსპორტსა და იმპორტს შორის მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას.

საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღება შესაძლებელია მხოლოდ მასშტაბური ინვესტიციების განხორციელების პირობებში, ვინაიდან ინვესტიციების მოცულობამ, რომელიც ყოველწლიურად ხორციელდებოდა საქართველოში, გაკლებდა ვერ მოახდინა დასაქმების, ეკონომიკისა და საგადასახადო შემოსავლების ზრდაზე. საანალიზო პერიოდში ეკონომიკაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა მერყეობდა საშუალოდ ერთი მილიარდი დოლარის ფარგლებში<sup>87</sup>, რამაც პრაქტიკულად ვერ უზრუნველყო მისი მდგრადი განვითარება.

ეკონომიკური თეორიის ფუძემდებლები: ა. მარშალი, ს. მილი, ი. ფიშერი და სხვები, თავიანთ ფუნდამენტურ თეორიებში საინვესტიციო პროცესების შესახებ, აღნიშნავენ, რომ ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად აუცილებელია წმინდა ინვესტიციების ნორმის მაქსიმიზაცია, ხოლო ინვესტიციები დანაზოგების ტოლია<sup>88</sup>. სწორედ დანაზოგების დეფიციტს განიცდის დღეს საქართველოს ეკონომიკა კერძო სექტორის მხრიდან.

ქვეყანაში ინვესტიციებს ახორციელებს ასევე, სახელმწიფო სექტორი. სახელმწიფო რეგულირების შედეგად (მაგალითად, ინვესტიციების შეშვებით) იზრდება სამომხმარებლო მოთხოვნა, რომელიც, თავის მხრივ, წარმოშობს ახალ მოთხოვნას საქონელსა და მომსახურებაზე, რაც იწვევს ეროვნული შემოსავლის ზრდას, თუმცა ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, კერძო სექტორს გაუზიარდეს მოტივაცია საინვესტიციო საქმიანობის მიმართ და საინვესტიციო აქტივობამ არ მიიღოს ერთჯერადი ხასიათი.

ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთ ინსტრუმენტად განიხილება საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია, შესაბამისად მისი გამოყენებით შესაძლებელია წახალისდეს ან შეიზღუდოს ბაზრის სუბიექტების საქმიანობა, თუმცა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა სათანადოდ ვერ ახორციელებს საინვესტიციო საქმიანობის რეგულირებას, კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის “ე” პუნქტის მიხედვით, მოგების გადასახადისაგან თავისუფლება “სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული მოგების ის ნაწილი, რომლის რეინვესტირებაც ხორციელდება შესაბამისი საგადასახადო წლის დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში”, ასევე თავისუფლება მოგების გადასახადისაგან იმავე მუხლის “რ” პუნქტში აღნიშნული “სამედიცინო დაწესებულების (მიუხედავად მისი სამართლებრივი ფორმისა) სამედიცინო საქმიანობიდან მიღებული მოგების ის ნაწილი, რომლის რეინვესტირება (დაწესებულების რეაბილიტაცია, ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა) ხორციელდება შესაბამისი საგადასახადო წლის დასრულებიდან 3 წლის განმავლობაში.”

გარდა ზემოაღნიშნულისა, საგადასახადო კოდექსის 149-ე მუხლი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როცა არანაირი მოგება ან ზარალი მხედველობაში არ მიიღება, თუ: “განადგურების ან ჩამორთმევის შედეგად მიღებული კომპენსაციის თანხის რეინვესტირება ხორციელდება მსგავსი სახისა და მახასიათებლის მქონე აქტივში”<sup>89</sup>. ცხადია, კანონის ეს ნორმები მინიმალურადაც ვერ უზრუნველყოფს საინვესტიციო აქტიურობის სტიმულირებას.

საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს, ის გარემოება რომ გადასახადების ზრდა იწვევს, ერთი მხრივ, დანახარჯებისა და ფასების ზრდას და, მეორე მხრივ, წარმოების მოცულობის შემცირებას. მაღალი გადასახადები კი აფერხებს ინვესტირებას. ამიტომ გონივრული საგადასახადო პოლიტიკის პირობებში ზემოქმედება შესაძლებელია:

საინვესტიციო აქტივობის ზრდაზე, თუკი შემცირდება საგადასახადო სიმძიმე, მოხდება მოგების გათავისუფლება გადასახადისაგან, რომელიც მიმართულია წარმოების განვითარებასა და ტექნოლოგიურ სრულყოფაზე.

მოსახლეობის შემოსავლების ზრდაზე დაუბეგრავი მინიმუმის შენარჩუნებით და ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადის დიფერენცირებით.

მიუხედავად ქვეყანაში გატარებული ღონისძიებებისა, რეგიონების ეკონომიკური ურთიერთობების სისტემაში შენარჩუნებულია მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები, რომლებიც აქვეითებს საინვესტიციო მიმზიდველობას და ხელს უშლის ინოვაციურ საქმიანობას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონული საგადასახადო პოლიტიკის შემუშავება და რეალიზაცია, რომელიც ხელს შეუწყობს საინვესტიციო რესურსების მოზიდვას რეგიონში და უზრუნველყოფს მის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას. რეგიონული საგადასახადო პოლიტიკა რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილია. ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის კი აუცილებელია ცვლილებები საინვესტიციო საგადასახადო პოლიტიკაში. საგადასახადო პოლიტიკის ძირითადი მიმართულება უნდა იყოს განსაზღვრული ტერიტორიების განვითარების სტიმულირება, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ აღმავლობას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. საგადასახადო სტიმულები შესაძლოა წარმოდგენილი იყოს საგადასახადო არდადეგებით, სპეციალური განაკვეთებით, ახალი ინვესტიციების გადასახადებისგან გათავისუფლებით. ამ თვალსაზრისით, დღევანდელი საგადასახადო პოლიტიკა ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და არ იძლევა შესაძლებლობას რეგიონული ეკონომიკის მოდერნიზაციისა და სტიმულირებისათვის. ამიტომ, აუცილებელია საგადასახადო პოლიტიკის ორიენტირება ეკონომიკური რეფორმების გატარებაზე რეგიონებში.

<sup>86</sup> საქართველოს ეროვნული ბანკი –

[https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/balanceofpayments/2015/sagadasaxdelo\\_geo\\_04\\_02\\_15.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/balanceofpayments/2015/sagadasaxdelo_geo_04_02_15.pdf)

<sup>87</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=139&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=139&lang=geo)

<sup>88</sup> Полянин А.В. Генезис теории инвестиций в процессе эволюции экономической мысли / А.В. Полянин // Вестник ИНЖЭКОНа. Серия «Экономика». – 2008. – 31. – С. 24-29.

<sup>89</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2015.

აღნიშნული მიდგომა გულისხმობს, რომ საგადასახადო შეღავათები დაუწესდებოდათ კომპანიებს ტერიტორიული პრინციპის მიხედვით, კერძოდ იმ შემთხვევაში, თუკი ისინი ინვესტიციებს განახორციელებენ ე.წ. დეპრესიულ რეგიონებში და გამოიყენებენ ამ რეგიონის ბუნებრივ და ადამიანურ რესურსებს.

ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკის გადახედვა აუცილებელია იმისათვის, რომ ინვესტორები ყურადღებას აქცივენ არა მხოლოდ ეკონომიკურ პოტენციალს, რომელიც მოიცავს რესურსებისა და ნედლეულის პოტენციალს, ინფრასტრუქტურულ პოტენციალს, შრომით პოტენციალს და ა.შ. არამედ, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, საგადასახადო შეღავათები არანაკლებ მნიშვნელოვანია მათთვის ამა თუ იმ რეგიონის შერჩევისას ინვესტიციების განსათავსებლად. როგორც საზღვარგარეთის გამოცდილება ადასტურებს, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია მიზნობრივი საგადასახადო შეღავათების დაწესება ვიდრე საგადასახადო განაკვეთების შემცირება. ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საგადასახადო არდადეგების დაწესება 3-5 წლით იმ საწარმოებისთვის, რომლებიც ფუნქციონირებას დაიწყებენ ე.წ. დეპრესიულ რეგიონებში და ეკონომიკის იმ სფეროებში, სადაც გათვალისწინებული იქნება შეღავათები. საგადასახადო არდადეგები ითვალისწინებს ახლადშექმნილი საწარმოების გათავისუფლებას პირდაპირი გადასახადებისგან, საჭიროების შემთხვევაში კი, ზოგიერთი არაპირდაპირი გადასახადისგანაც.

*Vazha Verulidze*

## THE ROLE OF TAX POLICY IN THE REGULATION OF INVESTMENT ACTIVITY Annotation

The presented research deals with the analysis of the Tax Revenue Structure of 2008-2013, investigation of the ratio between export and import and economic safety issues of the country as well as the reasons of insufficient speed of economic growth of Georgia.

The research reveals the insufficient role of the Tax Code in regulating the investment activity and presents the prerequisites of elaboration and realization of the regional Tax policy which will contribute to the economic development and creation of jobs in the region.

*ციცინო თეთრაული*

### სახელმწიფო და მისი ეკონომიკური ფუნქციონირება

სხვადასხვა რეგიონებსა და სხვადასხვა ხალხებში პირველი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ფორმირება მიმდინარეობდა თავისი გზებით, რომელიც განპირობებული იყო გეოგრაფიული, კულტუროლოგიური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა ფაქტორებით. უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი თვისებების მიხედვით, რაც საფუძვლად უდევს ამა თუ იმ საზოგადოებაში სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებას, ასხვავებენ სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების დასავლურ (ევროპულ), აღმოსავლურ (აზიურს) და გერმანულ წესს. სახელმწიფოს დასავლური (დომინირებული) კონცეფციის ჩამოყალიბება ჯერ კიდევ უძველესი დროიდან დაიწყო, სახელმწიფოს, როგორც თავისუფალ და თანასწორ მოქალაქეთა ასოციაციის (გაერთიანების) არისტოტელესული გაგების დროიდან. ასეთი გაგებით სახელმწიფო, პრაქტიკულად, საზოგადოებისგან არ იყო გამოყოფილი. არისტოტელეს კონცეფციას შემდგომ მხარი დაუჭირეს ციცერონმა, თ. აქვინელმა, ჯ. ლოკმა, ი. კანტმა და სხვ. XVI-XVII სს. მიჯნაზე სახელმწიფო ხედვამ თანდათანობით შეიძინა ახალი თვისებები. იგი ასოცირდებოდა უმეტესწილად, სპეციალურ აპარატთან, საჯარო ხელისუფლებასთან (ე. ბოლენი, თ. გობსი, კ. მარქსი და სხვ.).

სახელმწიფო – ეს არის ერთიანი პოლიტიკური ძალაუფლების ორგანიზაცია საზოგადოებაში, რომელიც ვრცელდება მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე და მის მოსახლეობაზე, აქვს რა მართვისა და იძულების სპეციალური აპარატი, გამოსცემს ყველასათვის სავალდებულო ბრძანებებს და გააჩნია სუვერენიტეტი.

XVII საუკუნეში მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული ადამიანების ბუნებრივი უფლებებისა და სახელმწიფოს ხელშეკრულების თეორიის კონცეფციების საფუძვლები. XVIII საუკუნეში ეს ორი ელემენტი გააერთიანა ლიბერალური სახელმწიფოს ერთიანი სისტემაში, რომელიც მოწოდებული იყო, დაეცვა ინდივიდი განუკითხაობისაგან (რუსო, მონტესკიე, ჰუმბოლტი). XIX საუკუნის მეცნიერულმა გამოკვლევებმა მიგვიყვანა სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძვლების თეორიულ დასაბუთებამდე. საწარმოო ძალთა განვითარების დონე განსაზღვრავს საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ხოლო საწარმოო ურთიერთობები, რომელიც საწარმოო საშუალებებზე საკუთრების ერთი ტიპის ფორმაზეა აგებული, საზოგადოების ეკონომიკურ ბაზისს შეადგენს, რომელსაც შეესაბამება გარკვეული პოლიტიკური, სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი და სხვა ზედნაშენი მოვლენები. ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციიდან მეორეში გადასვლა საწარმოო ურთიერთობების დრომოჭმული ფორმების ახალი ეკონომიკური წყობით შეცვლის შედეგად ხდება. ეკონომიკური ბაზისის თვისების ცვლილებებს კანონზომიერად მოსდევს ზედნაშენში ძირეული გარდაქმნები.

სახელმწიფოს ტიპი განისაზღვრება იმით, თუ რა ეკონომიკურ ბაზისს იცავს ეს სახელმწიფო და რომელი გაბატონებული კლასის ინტერესებს ემსახურება იგი.

სახელმწიფოს ისეთი ისტორიული ტიპების გარდა, როგორცაა: მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური, სოციალისტური, არის კიდევ ერთი სახელმწიფო, რომელიც ფორმაციული ტიპოლოგიის ჩარჩოებში არასრულად ჯდება, მაგრამ ლოგიკურად მასთან ახლოს დგას. ეს არის გარდამავალი ტიპის სახელმწიფო. მატერიალისტური მიდგომის თვალსაზრისით, იგი სახელმწიფოებრიობას წარმოადგენს, რომელიც იქმნება კლასობრივი ან ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის, პოლიტიკური რეჟიმების მკვეთრი შეცვლის შედეგად. შემდგომში საკუთრების გაბატონებული ფორმების სიჭარბის მიხედვით, მსგავსი სახელმწიფოები გარკვეული ისტორიული ტიპის სახელმწიფოს უნდა მიეკუთვნოს – კაპიტალისტურს ან სოციალისტურს.

სახელმწიფოს ისტორიული ტიპების გარდა, არსებობს სახელმწიფოთა კლასიფიკაცია მართვა-გამგებობის ფორმისა და სახელმწიფო წყობილების ფორმის მიხედვით, მართვა-გამგებობის ფორმაში იგულისხმება სახელმ-

წიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სტრუქტურა, მათი შექმნის წესი და უფლებამოსილება. ამ მხრივ სახელმწიფოებს ძირითადად ყოფენ მონარქიებად და რესპუბლიკებად.

მონარქიის დროს სახელმწიფოს მეთაური ერთი პიროვნებაა – მონარქი, იგი შეიძლება იწოდებოდეს მეფედ, ფარაონად, იმპერატორად, შაჰად და ა.შ. ამასთან, მონარქის ხელისუფლება შესაძლებელია შეუზღუდველი იყოს, როგორც, მაგალითად, ძველი აღმოსავლეთის დესპოტიკებში ან კიდევ ფეოდალიზმის ეპოქის აბსოლუტურ მონარქიებში. მაგრამ შესაძლებელია მონარქის ხელისუფლება შეზღუდული იყოს რომელიმე სხვა ორგანოს მიერ, როგორც, მაგალითად, ფეოდალიზმის ეპოქის წოდებრივ-წარმომადგენლობით მონარქიაში და კაპიტალიზმის ეპოქის კონსტიტუციურ მონარქიაში.

რესპუბლიკის დროს უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება რომელიმე გარკვეული ვადით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს ხელშია. მაგალითად, სენატი - ძველ რომში რესპუბლიკის პერიოდში, პარლამენტი - ბურჟუაზიულ წყობილებაში, ქალაქი-რესპუბლიკები - ფეოდალიზმის ეპოქაში, უზენაესი საბჭო - ყოფილ სსრ კავშირში, პარლამენტი - თანამედროვე საქართველოში, სახელმწიფო წყობილების ფორმაში იგულისხმება სახელმწიფოს აკებულების ტერიტორიულ-ორგანიზაციული პრინციპები, ის ურთიერთობა, რაც არსებობს ცენტრალურ სახელმწიფო ხელისუფლებასა და ქვეყნის შემადგენელი ნაწილების სახელმწიფო ორგანოებს შორის, სახელმწიფო წყობილების ფორმის მიხედვით ქვეყნებს ძირითადად ყოფენ უნიტარულ (ანუ მარტივ) და ფედერაციულ (ანუ რთულ) სახელმწიფოებად. მარტივ, ანუ უნიტარულ სახელმწიფოში არსებობს მხოლოდ მთელი ქვეყნისათვის საერთო, ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები, სახელმწიფო იყოფა პირობით ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად, რომლებსაც ცალ-ცალკე არა აქვთ სახელმწიფოებრიობის ძირითადი ნიშნები. რთული, ანუ ფედერაციულია ე.წ. საკავშირო სახელმწიფოები, რომლებიც დაყოფილნი არიან გარკვეული, მეტი თუ ნაკლები დამოუკიდებლობის მქონე სახელმწიფოებრივ ერთეულებად. ფედერაციაში შემავალ თითოეულ წევრ სახელმწიფოს გააჩნია ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები, რომლებიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებენ შესაბამის ტერიტორიაზე, მაგრამ, საბოლოოდ, მაინც ემორჩილებიან მთელი ფედერაციისათვის საერთო მმართველობისა და ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს. ბურჟუაზიული ქვეყნებიდან ფედერაციულ სახელმწიფოებს წარმოადგენს აშშ, კანადა, შვეიცარია, ხოლო ყოფილი „სოციალისტური“ ქვეყნებიდან ფედერაციები იყო ყოფილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია. ფედერაციისაგან, როგორც საკავშირო სახელმწიფოსაგან, განასხვავებენ კონფედერაციას, ანუ სახელმწიფოთა კავშირს; ამ დროს ადგილი აქვს სახელმწიფოთა საქმიანობის გაერთიანებას ერთ ან რამდენიმე დარგში (სამხედრო, სავაჭრო, საფინანსო და სხვ.), რისთვისაც ამ დარგებისათვის დროებით იქმნება საერთო ორგანოები, გამოქმუწავდება საერთო პოლიტიკა, გამოიყოფა საერთო ფონდები და ა.შ. ისტორიულად, კონფედერაციას წარმოადგენდა აშშ, სანამ იქ ფედერაციული წყობილება დამყარდებოდა (1776-დან 1787 წლამდე), ასევე შვეიცარია 1848 წლამდე, კონფედერაცია იყო გერმანიაც 1815-1864 წლამდე. სახელმწიფო წყობილების ფორმის მიხედვით, რთულ სახელმწიფოდ ითვლება აგრეთვე იმპერია. ასე ეწოდებოდა სხვადასხვა ეპოქაში არსებულ ზოგიერთ მონარქიულ ქვეყანას, რომელთა სათავეში იდგა იმპერატორი.

სახელმწიფო თავისი დანიშნულების შესასრულებლად სრულ და მრავალმხრივ საქმიანობას ეწევა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ. ძირითდ საქმიანობას, რასაც იგი ეწევა, წარმოადგენს სახელმწიფო ფუნქციები. ეს ფუნქციებია საშინაო და საგარეო. საშინაო ფუნქციებს წარმოადგენს პოლიტიკური, იდეოლოგიური და სამეურნეო. საგარეო - სხვა ქვეყნებთან ურთიერთობა და თავდაცვა. იმის გამო, რომ ეკონომიკა შესაძლებელია იყოს: საბაზრო, საკომანდო და შერეული, სახელმწიფოს ფუნქციებიც წარმართება შესაბამისი მოდელის მიხედვით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკა რეგულირდება საბაზრო კანონების შესაბამისად, სახელმწიფო კი რეგულატორის ფუნქციას ასრულებს. საკომანდო ეკონომიკის დროს სახელმწიფოს ხელშია კონცენტრირებული ეკონომიკური სადავეები. არა მარტო საზოგადოებრივი წარმოება და განაწილება, არამედ განათლება, ჯანდაცვა და სხვა სფეროები ვითარდება სახელმწიფო გეგმის შესაბამისად, საზოგადოების განვითარების თანამედროვე პერიოდისათვის, ცივილიზებულ სამყაროში, ეკონომიკა შერეულ ხასიათს ატარებს. მართვაც შესაბამისი მოდელებით ხორციელდება. ასეთ პირობებში სახელმწიფოს ფუნქციებიც არსებულ ეკონომიკური პირობების შესაბამისად წარმართება. ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის შესახებ არის ორი ძირითადი კონცეპტუალური მიდგომა: ანტისახელმწიფოებრივი, ე.ი. ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მოწინააღმდეგე და პროსახელმწიფოებრივი, ე.ი. ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის დამცველები. პირველი მიდგომით სახელმწიფო გამოსცემს კანონებს, ახორციელებს სამეურნეო ინტერესების კოორდინაციას და ფაქტობრივად გამოდის, როგორც გარე ძალა ეკონომიკური პროცესების მიმართ. ამ შემთხვევაში სახელმწიფო და ეკონომიკა თითქოს ცალ-ცალკეა; პირველი თამაშის წესებს განსაზღვრავს, მეორე - თვითრეგულირებით ვითარდება.

მეორე მიდგომის თანახმად, სახელმწიფო მესაკუთრეა. უშუალოდ ახორციელებს სამეურნეო საქმიანობას და გამოდის ბაზრის სუბიექტის როლში. ამასთან, იგი სხვა სუბიექტების მიმართ იცავს საბაზრო ურთიერთობების ფუქიმდებლურ პრინციპებს. ასეთ შემთხვევაშიც ჩარევის ხარისხი სხვადასხვა ზომით განისაზღვრება. ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა ობიექტური აუცილებლობაა და არა ვინმეს ნება-სურვილი. მაგრამ ბუნებრივად ისმის კითხვა: რა ზომით და რა ფარგლებში უნდა ჩაერიოს სახელმწიფო საბაზრო ეკონომიკაში? ამ მხრივ თანაბრად საზიანოა ორი უკიდურესობა: 1. ეკონომიკაში ჩარევის ზომის გადამეტება, „ცხვირის ჩაყოფა“ ისეთ სფეროებში, რომლებსაც წარმატებით არეგულირებს თვითონ საბაზრო მექანიზმი. 2. მხოლოდ საბაზრო მექანიზმის იმედზე ყოფნა იმ სფეროებში, სადაც სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელია, ადმინისტრაციულ-მმართველური სისტემის პირობებში, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა შეუზღუდავია და უსაზღვრო. მთავრობა ყველაფერში ერევა. აქ მოქმედებს პრინციპი: „აკრძალულია ყველაფერი, რაც კანონით ნებადართული არაა“. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამეურნეო საქმიანობაში მთავრობის ჩარევის მასშტაბები შეიძლება განისაზღვროს როგორც: „მინიმალურად აუცილებელი“, ამ შემთხვევაში ამოსავალი პრინციპია: „ნებადართულია ყველაფერი, რაც კანონით აკრძალული არაა“. გერმანელი ეკონომისტი ლ. ერჰარდი ერთმანეთს უდარებდა სახელმწიფოს როლს და ფეხბურთის მსაჯის როლს: „ისევე, როგორც მსაჯს ევალება თამა-

შის წესების დაცვა და უფლება არა აქვს თვითონ ჩაერიოს თამაშში, ასევე სახელმწიფო უნდა იცავდეს სამეურნეო თამაშის წესებს, ე.ი. დადგენილ კანონებს და თვითონ არ უნდა ერიოდეს საწარმოთა საქმიანობაში“. თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიოს დემოკრატიულ სახელმწიფოებს დიდი და მრავალფეროვანი ფუნქციები აკისრია. აქედან გამოიყოფა სახელმწიფოს სამი გლობალური ეკონომიკური ფუნქცია: 1) ეფექტიანობა, 2) სამართლიანობა და 3) სტაბილურობა.

1. თანამედროვე ეკონომიკა ხშირად ზარალდება საბაზრო კონუნქტურის განსაზღვრის დროს დაშვებული შეცდომებისაგან და ადგილი აქვს წარმოების დაბალეფექტიანობას. მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის უნდა იმოქმედოს სახელმწიფომ, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში მოწოდებულია, შექმნას ოპტიმალური პირობები წარმოების მაღალეფექტიანი განვითარებისათვის. მხედველობაში გვაქვს ინფრასტრუქტურის რაციონალური ფუნქციონირება, კონკურენციის აქტივიზაცია, ანტიმონოპოლიურ ღონისძიებათა განხორციელება, რესურსების განაწილების კორექტირება, საბაზრო მექანიზმის სრულყოფა და ა.შ. ეკონომიკის ასეთი იდეალური ფუნქციონირება მხოლოდ სრულყოფილი კონკურენციის პირობებშია შესაძლებელი, რეალურ ეკონომიკაში კი ასეთი პირობები პრაქტიკულად მიუღწეველია, რადგან უამრავი ისეთი ფაქტორი არსებობს, რომლებიც სრულყოფილი კონკურენციის ჩამოყალიბებას აფერხებს. სახელმწიფოს ეფექტიანობის ფუნქციის ქვაკუთხედად თავისუფალი კონკურენციის დაცვა მიიხსნება.

2. თუ წარმოვიდგინოთ, რომ ეკონომიკა ფუნქციონირებს ასპროცენტული ეფექტიანობით, ბევრი მას მაინც არ ჩათვლის იდეალურად. მაგალითად, თუ მოცემულ ქვეყანაში ცხოველების შენახვაზე მეტ პროდუქციას ხარჯავენ ვიდრე ღარიბების განათლებაზე, ეს არა ბაზრის, არამედ შემოსავლების განაწილების დეფექტია. სამართლიანობის ფუნქციის განხორციელების აუცილებლობა გამოწვეულია საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი, შემოსავლების უაღრესად არათანაბარი განაწილებით, საბაზრო ეკონომიკის პრინციპების შესაბამისად, სამართლიანია შემოსავლების არათანაბარი განაწილება კონკურენციულ ბრძოლაში მონაწილეობის შედეგების მიხედვით. მაგრამ ის, რაც სამართლიანია საბაზრო ეკონომიკის წესებით, უსამართლოა ზნეობრივი თვალსაზრისით. ამიტომ სახელმწიფო თავის თავზე იღებს მოსახლეობის შეძლებული ფენებიდან ღარიბ და სოციალურად დაუცველ ფენებზე შემოსავლების გადაანაწილების ფუნქციას, ესენი არიან პენსიონერები, ინვალიდები, უმუშევრები და სხვა. უნდა აღინიშნოს რომ საბაზრო ეკონომიკა არ გულისხმობს მოქმედების, საქმიანობის შეუზღუდავ თავისუფლებას. არავის არა აქვს უფლება, საქმეს ხელი მოჰკიდოს ოფიციალური ნებართვის, რეგისტრაციის გარეშე. ნებისმიერი საქმიანობა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მიღებულია ლიცენზია სათანადო ორგანოებიდან. სახელმწიფო სათანადო კანონების საფუძველზე ფიზიკურ და იურიდიულ პირებს აიძულებს, გადაიხადონ გადასახადი. სახელმწიფო განსაზღვრავს დამქირავებლისა და დაქირავებულის უფლება-მოვალეობებს.

3. ეფექტიანობისა და სამართლიანობის გარდა, სახელმწიფო ჩართულია ეკონომიკური სტაბილურობის დაცვის მაკროეკონომიკურ ფუნქციაში. სტაბილურობაში იგულისხმება სახელმწიფოს მხრივ სისტემატური ზრუნვა ქვეყანაში მყარი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისა და ვალუტის მტკიცე კურსის შესანარჩუნებლად, რისთვისაც აუცილებელია ანტიინფლაციური პოლიტიკის განხორციელება. სტაბილურობის ფუნქციის განხორციელების აუცილებლობა საბაზრო ეკონომიკის ციკლური განვითარებითაა გამოწვეული, რაც ბაზრის თანამდევ გარდაუვალი და კანონზომიერი მოვლენაა, როდესაც ეკონომიკური აღმავლობისა და დაცემის პროცესები ერთმანეთს ენაცვლებიან.

სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია კონკურენციის დაცვაა. კონკურენცია „უხილავი ხელია“, რომელიც არეგულირებს საბაზრო ეკონომიკას, მონოპოლიისგან არ არის დაცული. დრამა იმაშია, რომ კონკურენცია თვითონ წარმოშობს თავის ანტიპოდს - მონოპოლიის, „პირმშოს“, რომელსაც შეუძლია გაანადგუროს „მშობელი“. თუ სახელმწიფო არ დაეხმარა, მონოპოლისტი თვითონ კარნახობს ფასს, რაც საშუალებას აძლევს, მაღალი მოგება მიიღოს არა ტექნოლოგიის სრულყოფით, არამედ იოლი გზით - ფასის მომატებით. კონკურენციის დაცვის მეთოდია ანტიმონოპოლური ღონისძიებები და კანონმდებლობა, ისეთი კანონები, რომლებიც ან საერთოდ კრძალავს მონოპოლიების არსებობას (ზოგიერთ დარგში), ან ზღუდავს მონოპოლიების ისეთ საქმიანობას, რომელიც ზიანს აყენებს კონკურენციას და პროგრესს. ქვეყნისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და პოლიტიკის, საბაზრო ეკონომიკის თანდათანობით სრულყოფის პროცესს. ცხოვრების დონის, შემოსავლების მიხედვით, საქართველო ჯერჯერობით ღარიბი ქვეყნების ჯგუფშია, მაგრამ განათლების დონით, ანუ ადამიანისეული კაპიტალით იგი საშუალოდ განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნის ჯგუფს განეკუთვნება. ქვეყნის ამოცანაა, თუ როგორ გამოიყენებს იგი არსებულ პოტენციალს. მთავარია არა მხოლოდ ეკონომიკურ განვითარებაზე, არამედ ეკონომიკური რეგრესის თავიდან აცილებაზე ზრუნვა, ვინაიდან იგი ყოველთვის აშკარად შესამჩნევი არ არის, წინააღმდეგ შემთხვევაში ეკონომიკურ განვითარებაში იქნება შეფერხებები, სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკის მესაჯის, მაგალითად გამოდგება სამხრეთ კორეა. მთავრობის სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, რესურსების არმქონე და განადგურების პირას მისული ქვეყანა, უმოკლეს დროში განვითარებული ქვეყნების რიგში ჩადგა. დღეს ეკონომიკური საკითხების განხილვა შეუძლებელია გლობალიზაციის გეგრდის ავლით. გლობალურ პროცესებში ჩართულია თითქმის მთელი მსოფლიო როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნები. გლობალიზაციამ სახელმწიფოები ახალი ეკონომიკური გამოწვევების წინაშე დააყენა. როცა ვსაუბრობთ გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესში საქართველოს მონაწილეობის შესახებ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნებისმიერ სახელმწიფოზე გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესი ახდენს როგორც დადებით, ისე უარყოფით გავლენას. დადებითი ეფექტი, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს გასაღების ბაზრის გაფართოებაში. გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესი ჩვენს ქვეყანას აძლევს დიდ შესაძლებლობებს, გააფართოვოს შიდა და გარე ბაზარი ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებების გამოყენებით. ბაზრის გაფართოება კი გადამწყვეტ როლს თამაშობს ინვესტიციების მოცულობის ზრდაში. ეს მოიხიდავს უცხოელ ინვესტორებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში დააბანდებენ ინვესტიციებს და შემოიტანენ ახალ ტექნოლოგიას. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, არ შეიძლება არ იქნეს გამოყენებული ქვეყნის მსოფლიო მნიშვნელობის გეოპოლიტიკური მდებარეობის რესურსები. ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი ის ძირითადი სატრანსპორ-

ტო არტერიები, რომლებიც საქართველო უკავშირდება შავი ზღვისპირეთის ნავსადგურებს, ჩრდილოეთ კავკასიას, აზერბაიჯანს, მთელ მსოფლიოს დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით. ეს სატრანსპორტო დერეფანი უდიდეს პერსპექტივებს უსახავს საქართველოს. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური თეორიის სკოლები, მიმართულებები და მიმდინარეობები ერთმანეთისაგან უმთავრესად ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ხარისხით განსხვავდებიან. ნებისმიერი სახელმწიფოს წინაშე, რომელიც საბაზრო ეკონომიკის გზაზე იწყებს სიარულს, აუცილებლად დადგება ეკონომიკური მოდელის არჩევის საკითხი, უკვე ორ ათეულ წელზე მეტია, რაც რთული ეკონომიკური და სოციალური პირობების მიუხედავად, საქართველო მაინც ლიბერალური ეკონომიკის მშენებლობის გზას ადგას. სახელმწიფოს სურვილი, უფრო მეტად ჩაერიოს ეკონომიკაში, უფრო გარდამავალი პერიოდის ავადმყოფობაა. შეიძლება ითქვას, რომ ყველა თვითრეგულირებადი ეკონომიკური სისტემა, შერეული მოდელია, სადაც სახელმწიფო და საბაზრო სისტემები თანაფუნქციონირებენ და სადაც მთავრობა საბაზრო სისტემის ფუნქციონირების ხელშეწყობის, სამართლებრივი ბაზის უზრუნველყოფის, თავისუფალი კონკურენციის დაცვის, დასაქმებისა და ინფლაციის კონტროლის მიმართულებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაში. სოციალური კუთხით საქართველოს ამჟამინდელმა მთავრობამ მნიშვნელოვანი პროექტები განახორციელა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საყოველთაო უფასო ჯანდაცვის პროექტი. სასოფლო-სამეურნეო პროექტები, უფასო სახელმძღვანელოების გამოშვება თანაინვესტირების ფონდის შექმნა.

მთავრობას, მენეჯმენტსა და მუშახელს შორის თანამშრომლობის გასამართივებად მნიშვნელოვანი მხარდაჭერა შეიძლება უზრუნველყოს საერთაშორისო ორგანიზაციებმა – მსოფლიო ბანკმა, UNDP-მ (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა) და სხვებმა. ამგვარი დახმარების ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია მსოფლიო ბანკის მიერ საწარმოების რესტრუქტურისა და მართვის ხელშეწყობის პროექტი (CERMA), რომელიც განხორციელდა საქართველოში 1990-იანი წლების შუა პერიოდში. ამ პროგრამამ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა საქართველოში კერძო სექტორის განვითარებაში ადგილობრივი საწარმოების მართვის თანამედროვე ცოდნით აღჭურვილთა და მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდით.

*Irakli Papava  
Vakhtang Datashvili*


## **BUSINESS ENVIRONMENT AND THE ROLE OF GOVERNMENT IN ITS IMPROVING**

### **Annotation**

The government and business represent integrated part of the society. State must provide optimal terms for business foundation and development. Improving the terms of investment environment, must play major role in resolving existing difficulties in Georgian economy. Resolving all these problems, which are oriented for providing innovative and top technologies, ensuring equal terms for each business representative and providing competitive environment will itself create demand for professional labor resources. It's very important for national interests to increase percentage of innovative technologies in investment structure. For foundation of new enterprises it's necessary to improve legal basis and business environment, accelerate economic liberation process and develop financial sector.


**ინვესტიციების როლი ეკონომიკურ ზრდაში**

ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველყოფა ნებისმიერი ქვეყნის პრიორიტეტული ამოცანაა. მის გადაჭრაზეა დამოკიდებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, მისი როლი და ადგილი მსოფლიო მეურნეობაში. ამდენად, ეკონომიკური ზრდის პრობლემა ყოველთვის დგას არა მარტო ეკონომისტების, არამედ პოლიტიკოსების ყურადღების ცენტრშიც. ამ პრობლემას იხიცი ამწვავეებს, რომ ეკონომიკური აღმავლობის ფაზებს სშირად მოსდევს ხოლმე დაქვეითების ეტაპები. ამის მაგალითია ეკონომიკური ზრდის საგრძნობი მერყეობა თუნდაც 2006-2012 წლებში, რომელზეც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს სურ. 1-ზე მოცემული დიაგრამა:



**სურ. 1**  
**მთლიანი მსოფლიო პროდუქტის ზრდის ტემპები [2]**

მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების კვლევებით დადასტურებულია, რომ ამ ამოცანის გადაჭრაში წამყვან როლს თამაშობს ინვესტიციები. ეს დებულება დამაჯერებლად ნაჩვენებია პ. რომერის, რ. ლუკასის, ს. რებელოსა და სხვათა ნაშრომებში [1]. შექმნილია ეკონომიკის ზრდის წყაროებზე და ინვესტირების ობიექტებზე დამოკიდებულებით ეკონომიკის მდგრადი და გრძელვადიანი ზრდის ენდოგენური მოდელები. მათში იგულისხმება, რომ ფიზიკურ კაპიტალში განხორციელებული ტექნოლოგიები და ცოდნა საზოგადოებრივი სიკეთე ხდება მეურნეობის ცალკეული სექტორების წარმატებულ მოდერნიზებაზე და სიახლეთა გავრცელების ეფექტის (spillover effect) მეშვეობით მთელი ეკონომიკის მწარმოებლურობის ზრდაზე ახდენს გავლენას (იხ. სურ. 2).



**სურ. 2**  
**ფიზიკურ კაპიტალში ინვესტიციების შემცველი ეკონომიკური ზრდის მოდელი [5]**

მეტად მნიშვნელოვანია ასევე, ინვესტიციების როლი ეკონომიკის მოდერნიზებაში.

ეკონომიკის მოდერნიზაცია მასში ახალი ტექნოლოგიების მუდმივად დანერგვის პროცესია, რომელიც ბუნებრივი რესურსების უკეთ გამოყენებას უზრუნველყოფს. ბუნებრივია, რომ იმ ქვეყნების ეკონომიკის მოდერნიზება, რომლებიც წამყვანი ეკონომიკების წრეს ეკუთვნის, ამ წრეში შემავალ ქვეყნებზე უფრო სწრაფად უნდა ხორციელდებოდეს, უახლესი ტექნოლოგიების განვითარება კი, როგორც მინიმუმ, არ უნდა ჩამორჩებოდეს მათ. თანამედროვე გაგებით, მოდერნიზაცია ნიშნავს არა ინდუსტრიალიზაციას, არამედ პირიქით – თანამედროვე რეალებისაგან გაუცხოებული ინდუსტრიული სტრუქტურების მსხვრევას და პოსტინდუსტრიული საზოგადოებისაკენ სვლას [4].

მსოფლიოში მრავალადა ეკონომიკის ცალკეული წარმატებული მოდერნიზების მაგალითები ისეთ ქვეყნებში, როგორცაა იაპონია, ტაივანი, სინგაპური, ფინეთი, ირლანდია და სხვები, სადაც შესაბამისი პროექტების განხორციელებიდან მდგრად განვითარებაზე გადასვლას 20-25 წელი სჭირდებოდა ხოლმე. გამონაკლისი გამოდგა სინგაპური, სადაც ამისათვის მხოლოდ 15 წელი გახდა საკმარისი [6]. თავიანთი მიზნების მისაღწევად ამ ქვეყნებმა შექმნეს ინვესტიციებისათვის სასიკეთო პირობები, რომ საკმარისი რესურსები მიეღოთ სწრაფი მოდერნიზებისათვის. ამის გარეშე კი არც ერთი პროექტი არ განხორციელდებულა. აღსანიშნავია, რომ მოდერნიზების პროცესში საერთაშორისო კრედიტებსა და უცხოურ ინვესტიციებს იყენებდნენ აშშ და ისრაელიც [6, გვ. 35]. მოდერნიზებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა უცხოურმა ინვესტიციებმა აშშ-სა და ჩინეთში. მაგალითად, 1990 წ. აშშ-ში თავმოყრილი იყო მსოფლიოს მთელი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მეოთხედზე მეტი, ჩინეთში მშპ-ის ყოველწლიურ ზრდის თითქმის მესამედს კი სწორედ ეს ინვესტიციები უზრუნველყოფდა [7].

საგულისხმოა, რომ ეკონომიკური სისტემების ეფექტიანად ფუნქციონირებისა და განვითარების მთავარ კატალიზატორად ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (ეთგო) პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს მიიხედავს [3, გვ. 2]. ამ ინვესტიციების დიდ ნაწილს სწორედ ეთგოს ქვეყნები ახორციელებენ, რითაც საკუთარი წვლილი შეაქვთ განვითარების ამოცანების შესრულებაში. ისინი ხელს უწყობენ განვითარებად ქვეყნებს იმაში, რომ მათ ხელი მიუწვდებოდეთ საერთაშორისო ბაზრებსა და ტექნოლოგიებზე, აფართოებდნენ კერძო და სახელ-მწიფო საინვესტიციო პროექტებში სასესხო სახსრების გამოყენების მასშტაბებს და ა.შ.

გარდა იმისა, რომ ინვესტირება თავდაპირველად მაკროეკონომიკური განვითარების სტიმულირებას იწვევს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დადებით გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე, უფრო ზოგადად კი მათი მიმღები ქვეყნის რესურსების გამოყენების ეფექტიანობაზე. ეს სამი არხით მიმდინარეობს:

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და საგარეო სავაჭრო ნაკადებს შორის არსებული მჭიდრო კავშირის წყალობით;

ეკონომიკის ერთი სფეროდან მეორეში რესურსების გადაინების მეშვეობით;

ქვეყნის სტრუქტურულ ფაქტორებზე ინვესტიციების უშუალო ზემოქმედებით.

ემპირიული კვლევების უმრავლესობაში ის დასკვნა გამოტანილი, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ჯერ ერთი, ისევე მოქმედებს, როგორც შიდა ინვესტიციები, ხოლო, მეორე, ხელს უწყობს წარმოების ფაქტორების მწარმოებ-ლურობის ზრდასა და რეციპიენტ ქვეყნებში შემოსავლების მატებას.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს უწყობს მათი მიმღები ქვეყნის მჭიდრო ინტეგრაციას მსოფლიო ეკონომიკაში. ეს განსაკუთრებით მაშინ ხდება, როცა იზრდება როგორც იმპორტის, ისე ექსპორტის მოცულობები. სხვა სიტყვებით, ვაჭრობა და ინვესტიციები ტრანს-სასაზღვრო საქმიანობის განხორციელების ურთიერთგამაძლიერებელი საშუალებებია. მას შემდეგ, რაც ქვეყანა ინდუსტრიული ხდება, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კიდევ უფრო აძლიერებენ მისი საგარეო ვაჭრობის ნაკადებს და აჩქარებენ მსოფლიო მეურნეობაში მის ინტეგრაციას (სავაჭრო და საინვესტიციო ქვეყნის კარგახსნილობის კავშირი ქვემოთ მოყვანილ სურათზეა ნაჩვენები). ამას რამდენიმე ფაქტორი უწყობს ხელს: მონათესავე კომპანიების საერთაშორისო ქსელის განვითარება-განმტკიცება, საზღვარგარეთული შეიღობილი კომპანიების მნიშვნელობის ზრდა და სხვა. აქ იგულისხმება, რომ პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვით მეტი სარგებლის მიღების მოსურნე ქვეყანა, თავის მხრივ, სტრატეგიად უნდა მიიჩნევდეს საერთაშორისო ვაჭრობისათვის კარგახსნილობას.

ექსპორტის მოცულობის გასაზიარებლად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გამოყენების უნარი ქვეყანაში არსებულ კონკრეტულ ვითარებაზე დამოკიდებული. საამისოდ ქვეყანას უნდა შეეძლოს ან საკუთარი რესურსების გამოყენება, და ამ შემთხვევაში ინვესტიციები მისი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სფეროში ხორციელდება, ან თავისი გეოგრაფიული მდებარეობით (როგორც ეს ზოგიერთ გარდამავალ ეკონომიკაში ხდება). ამ მხირვ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თავისუფალი ზონების ფუნქციონირებას, რომელთა მეშვეობითაც მატულობს განვითარებადი ქვეყნების ექსპორტიცა და იმპორტიც.

აღსანიშნავია, რომ ამ ბოლო ხანებამდე ვერ დასტურდება ის დებულება, თითქოს ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს შეუძლიათ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გამოყენება იმპორტის შეცვლის საშუალებად. ამის საპირისპიროდ მათ გამოავლინეს იმპორტის ზრდის ტენდენცია, რომელიც თანდათანობით სუსტდება იმ შემთხვევაში, თუკი ადგილობრივი კომპანიები ქვეყნის ბაზარზე შემოსული მრავალეროვნული კორპორაციების სუბმოიჯარეების როლში იწყებენ საქმიანობას [3, გვ. 14].

აღსანიშნავია, რომ თურქმა ეკონომისტებმა გამოიკვლიეს საქართველოში 1997-2010 წლებში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და მშპ-ის ზრდას შორის კავშირი და დაადგინეს, რომ ეს კავშირი მჭიდროა [8]. მას თავისი მიზეზები აქვს, რომელთა შორის ძირითადად ასახელებენ ხოლმე შემდეგს [9]:

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ტექნოლოგიების შემოსავლის საშუალებას;


ისინი ზრდიან კონკურენციას ადგილობრივ ბაზარზე;

მათი მიმღები მხარე ახდენს თანამშრომლების გადამზადებას და ამით ზრდის ადამიანურ კაპიტალს;

ინვესტიციების გამოყენებით მიღებული მოგების ზრდა იწვევს ქვეყანაში საგადასახადო შემოსავლების ზრდას.



ამის გათვალისწინებით ქვეყნები ცდილობენ, საკმარისად კარგახსნილები იყვნენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიღებისა და საერთაშორისო სავაჭრო ურთი-ერთობებისათვის. 1995-2000 წლებში მათი კარგახსნილობის დონე, რომელიც მშპ-ის მიმართ, ერთი მხრივ, შემოსული და გასული პირდაპირი ინვესტიციების, ხოლო მეორე მხრივ, ექსპორტისა და იმპორტის საშუალო მოცულობათა თანაფარდობითაა გამოხატული, სურ. 3-ზეა ნაჩვენები.



სურ. 3

ქვეყნების კარგახსნილობა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და ვაჭრობისათვის [3, გვ. 13]

თუმცა, ყველა ინვესტიცია ერთნაირად სასარგებლო და მომგებიანი ვერ იქნება. უფრო მეტიც, არსებობს ქვეყნისათვის ზიანის მომტანი ინვესტიციებიც, მაგალითად, როცა მათი განხორციელებით ექსპლუატაციას უწყვენ ადგილობრივ მუშახელს ან ზიანს აყენებენ გარემოს.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. И.А. Киршин, Трансформация представлений о действиях механизма возрастающей отдачи в теории экономического роста. Журнал экономической теории, 2008. №4. с. 128-146.
2. Мировое экономическое положение и перспективы в 2012 г. Доклад ООН. Эл. ресурс: <http://www.un.org/ru/development/surveys/docs/wesp2012.pdf>
3. Обзор: ПИИ в целях развития. ОЕСД, 2003.
4. Рубанов В., Модернизация России и Европа – <http://kreml/org/opinions/81390991>.
5. Т.В. Ускова, О роли инвестиций в обеспечении устойчивого экономического роста. Журн. Экономические и социальные перемены. 2013, №6, с.48
6. Хейфец Б., Российский бизнес в странах Евр АЗ ЭС. Модернизационный аспект М., Экономика, 2011. с. 31-38.
7. Чжифен У., Как привлечь деньги. Ведомости. 05. 03. 2011.
8. Foreign Direct Investment and Growth Relationship in Georgia. International Journal of Economic and Financial Issues 2, 2012.
9. How Beneficial Is Foreign Direct Investment for Developing Countries? Finance and Developments 38, 2001.

*Nino Kenkadze  
Irine Mamaladze*

**THE ROLE OF INVESTMENT IN ECONOMIC GROWTH  
Annotation**

To maintain high level of economy is a priority for any country. Consequently, economic situation is becoming a thing of major interest not only among economists, but among politicians as well. What makes things even more difficult is that the period of high economic activities, when big profits are made, is followed by slump.

Theoretical- methodological researches proved that investments are one of the best solution to this problem. The role of investments is also very important in modernization of economy.

Organization of Developing Economic Cooperation consider that effective functioning and developing of economic systems are largely depend on foreign investments. They support developing countries to get to international markets and technologies, to be involved in private and state projects, etc.

The majority of empiric researches show, that, from one hand, foreign investments are as effective as internal ones, and, on the other hand, they support to increase economic activities and incomes.

*ქეთევან ქველაძე  
ნუნუ ქისტაური  
მელა მელაშვილი*

**საინფორმაციო გარემოს განვითარების ასპექტები საქართველოს ეკონომიკაში**

XX საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიოში დაიწყო ძლიერი საზოგადოებრივი მოძრაობა ადამიანთა თანასწორუფლებიანობის, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების, აგრეთვე, ყოველი მათგანის უზრუნველყოფილი ცხოვრების დასამკვიდრებლად.

აუცილებელი გახდა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ფორმირება და ასევე პოლიტიკური ნების გამოვლენა. მალე ამას დაემატა აუცილებელი მესამე კომპონენტი – საინფორმაციო ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა გათვითცნობიერებას მიმდინარე პროცესებში, მათ ინფორმირებას ხელისუფლების ქმედებათა შესახებ და საზოგადოებრივი დოვლათის შექმნა – განაწილების გამჭვირვალობას. აქედან გამომდინარე, დაიწყო პრესის, რადიოსა და ტელევიზიის, კავშირგაბმულობისა და მონაცემთა ბაზების განვითარების ყოველმხრივი ხელშეწყობა, ბიძგი მიეცა ახალ ფენომენს – შეიქმნა საზოგადოებრივი ფენა, რომელიც დაკავებული იყო ინფორმაციის მოპოვება-დამუშავებითა და გავრცელებით. ამ ფენამ საბოლოოდ გამოიწვია ინფორმაციის მოპოვება-დამუშავებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების წარმოების მძლავრი ინდუსტრიის შექმნა, რომელმაც უზრუნველყო ინფორმაციის ფართომასშტაბიანი მიმოცვლა-გავრცელება და საფუძველი ჩაუყარა მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების განვითარებასა და ციფრული ეკონომიკის ფორმირებას.

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ წარმოქმნა ავტომატიზებული მართვა, ელექტრონული კომერცია, დისტანციური განათლება და ასევე იმოქმედა თვით ადამიანის და მოტივანად საზოგადოების ცნობიერებაზე, ფასეულობებსა და მიზნებზე, რითაც, შეიძლება ითქვას, რომ საფუძველი ჩაეყარა სავსებით ახალ, საზოგადოებრივი ფორმის - საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბებას.

მსოფლიო საინფორმაციო გარემოს ფორმირება წარმოადგენს გლობალიზაციისა და ინტეგრაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს, კერძოდ, ინფორმაციის მიმოცვლის არნახულმა ტემპებმა და მოცულობებმა გამოიწვია – პოლიტიკურ ასპექტში – საერთაშორისო ინსტიტუტების ჩამოყალიბება, ეკონომიკურ ასპექტში – ფართო მომსახურების მძლავრი ინდუსტრიისა და „სამომხმარებლო საზოგადოების“ ფორმირება, ხოლო სამეცნიერო-ტექნიკურ ასპექტში – მეცნიერებატევადი ტექნოლოგიების შექმნა-განვითარება.

საინფორმაციო საზოგადოების ფორმირება და ამოქმედება ამცირებს მანძილებს, მიმდინარეობს გლობალიზაციის პროცესები და იქმნება რეგიონული განვითარების ახალი შესაძლებლობები.

საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელთანაც ძალიან ახლოს დგანან: აშშ, იაპონია, კანადა და საფრანგეთი, საჭიროებს "მოაზროვნე" საინფორმაციო ინფრასტრუქტურის ფორმირებას, რაც გულისხმობს ხელფონური ინტელექტისა და ცოდნის ბაზების ფართომასშტაბიან დანერგვასა და მათ ბაზაზე ცოდნის ინდუსტრიის ჩამოყალიბებას, აგრეთვე ფართო მასებში ინფორმაციასთან მუშაობის კულტურის დამკვიდრებას.

ცნობილი პოლიტოლოგების – ბუჰინსკის, ტოფლერის, გელბრეიტის, ტურენის და ჰაბერმასის შეხედულებების თანახმად, მსოფლიოს ისტორიული განვითარება პირობითად 2 სტადიად იყოფა: ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულად. ეს უკანასკნელი, მათი აზრით, ხასიათდება შემდეგი თვისებებით:

- მიიმე მრეწველობის სანაცვლოდ მოწინავე პოზიციებს იკავებს მეცნიერებატევადი ტექნოლოგიები;
- მეცნიერებასა და ტექნიკაში ლიდერობს ბიო-, ენერგო-, კოსმო-, ნანო- და საინფორმაციო ტექნოლოგიები;

- ყალიბდება განვითარებული "მომსახურების" ინდუსტრია;
- წარმოებს ტექნიკური საშუალებების "ინტელექტუალიზაცია".
- მმართველი გადაწყვეტილებები მიიღება მეცნიერული ცოდნისა და კომპიუტერული მოდელირება-პროგნოზირების საფუძველზე;
- საერთო-ევროპული და სხვა საერთაშორისო ორგანოებისა და ინსტიტუტების ზეგავლენის ზრდითა და განმტკიცებით ყველა სფეროში;
- საინფორმაციო საზოგადოების ფორმირებით.

ყველა მოაზროვნე ადამიანი თანხმდება იმაზე, რომ ინტერნეტი მიეკუთვნება კაცობრიობის ტექნოლოგიური აღმოჩენების მცირე რიგს (ბორბალი, ორთქლი, ელექტროობა), რომლებმაც რევოლუციურად შეცვალეს არა მარტო ეკონომიკური წყობა, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრებაც. მან ლოგიკურად დაასრულა ინფორმაციული ტექნოლოგიების (რადიო, ტელეფონი, ტელევიზია, კომპიუტერი) მთელი ოჯახის განვითარება, რამაც განაპირობა ინფორმაციული საზოგადოების შექმნა.

ინტერნეტის გარეშე არ იქნებოდა მეგაეკონომიკა, მაგრამ სწორედ ობიექტურად განპირობებულმა მსოფლიო ეკონომიკის გადასვლის პროცესმა მეგაეკონომიკაში, გამოიწვია ინტერნეტის სიცოცხლისუნარიანობა. ამჟამად, როგორც ამბობენ, ხაზზეა სამ მილიონზე მეტი ადამიანი და მათი რიცხვი აქტიურად იზრდება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში.

უახლესი მონაცემების მიხედვით, 2014 წელს ინტერნეტის მოხმარება განაგრძობს სტაბილურ ზრდას 6.6%-ით მსოფლიოს მასშტაბით (3.3% განვითარებულ ქვეყნებში, 8.7% განვითარებად სამყაროში). ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვი განვითარებად ქვეყნებში გაორმაგდა ხუთი წლის განმავლობაში (2009-2014) და ამჟამად ინტერნეტით მოსარგებლე ადამიანების ორი მესამედი განვითარებად სამყაროში ცხოვრობს.

4.3 მილიარდი ადამიანიდან, რომლებიც ჯერ ისევ არ სარგებლობენ ინტერნეტით, 90% განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობს. ინტერნეტში ყველაზე ნაკლებად ჩართულ მსოფლიოს 42 ქვეყანაში, სადაც 2.5 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები კვლავ ნაკლებად არის ხელმისაწვდომი, მეტწილად, აღნიშნული ქვეყნების მრავალრიცხოვანი სოფლის მოსახლეობისათვის.

მოცემულ ისტორიულ ეტაპზე გაბატონებული ინფორმაციული ტექნოლოგიები მრავალმხრივ განსაზღვრავს ხელისუფლების სტრუქტურას, მართვის ტიპსა და საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმებს. XX საუკუნის ბოლო მეოთხედში წარმოიშვა საინფორმაციო-ფინანსური ოლიგარქია, რომელიც პრაქტიკულად აკონტროლებს პლანეტის საინფორმაციო და ფინანსური ნაკადების 90%-ზე მეტს. ბუნებრივია, ტყუილია, ვიფიქროთ, რომ არის პირთა რომელიღაც ჯგუფი, რომელიც ზის და წყვეტს, რა ინფორმაცია და როდის მიაწოდოს მსოფლიოს. არანაირი იატაკქვეშა, ჩრდილოვანი მსოფლიო ხელისუფლება, რომელიც საზოგადოებრივ ცნობიერებას აკონტროლებს, არ არსებობს. უბრალოდ, ხელისუფლებაში მყოფ ადამიანებს, სასტიკად რომ უწევდნენ ერთმანეთს კონკურენციას და თან ებრძვიან, ბევრ საკითხში თბიქტურად ერთნაირი ინტერესები და საერთო იდეოლოგიური პოზიციები აქვთ.

თანამედროვე მიღწევები ინფორმაციაში ძალიან შთამბეჭდავია, მას ფაქტობრივად განვითარების საზღვრები არა აქვს, ის უკიდურესად ვითარდება და შედეგებიც ალბათ შესაბამისი იქნება.

ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით. საქართველოში ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი ძვრები შეიმჩნევა ელექტრონული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარებაში, რაც მნიშვნელოვნად განპირობებულია თანამედროვე საკომუნიკაციო სისტემების ათვისებით, დანერგვითა და გამოყენებით, მაგრამ აღსანიშნავია საქართველოს მნიშვნელოვანი ჩამორჩენა მსოფლიო თანამედროვე დონესთან შედარებით. ქვეყანაში ელექტრონული საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ქსელების განვითარების მიღწეული შედეგები და პრობლემები განსაზღვრავს მსოფლიო საინფორმაციო საზოგადოებაში საქართველოს ინტეგრაციის საერთო სტრატეგიის ფორმირებას.

ყოველწლიურად დგინდება და ქვეყნდება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) მსოფლიო მონაცემები და ქვეყნების რეიტინგი, ასევე, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ინდექსი. ამ მონაცემების მიხედვით, დანია პირველი ადგილი დაიკავა, მეორე ადგილზეა კორეის რესპუბლიკა. 30 მოწინავე ქვეყანას შორის არიან ევროპის და მსოფილოს სხვა რეგიონების მაღალ-შემოსავლიანი ქვეყნები, მათ შორის ავსტრალია, ბაჰრეინის სამეფო, კანადა, იაპონია, ჩინეთი, ახალი ზელანდია, სინგაპური და შეერთებული შტატები. საინტერესოა, მაგრამ მოულოდნელი სრულიადაც არ არის მაჩვენებლები რეგიონული შედარების კუთხით. საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ინდექსის საშუალო სიდიდე ევროპაში - 7.14, ჯერ ისევ ბევრად უსწრებს მომდევნო ყველაზე წარმატებულ რეგიონს, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას („დესო“ -5.33), შემდეგ მოდის ჩრდილოეთი და სამხრეთი ამერიკა (4.86), აზია და წყნარი ოკეანის რეგიონი (4.57) და აფრიკა (2.31).

აღნიშნული კვლევა აგრეთვე განსაზღვრავს „ყველაზე დინამიური ქვეყნების“ ჯგუფს, რომლებმაც ბოლო 12 თვის მანძილზე საშუალოზე მეტად გააუმჯობესეს საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ინდექსის რეიტინგი. მათ შორისაა არაბთა გაერთიანებული საემიროები, ფიჯი, ტაილანდი, ომანი, კატარი, ბელარუსი, ბოსნია და ჰერცეგოვინა და საქართველო, რომელიც მსოფლიოს 166 ქვეყანას შორის 9 ყველაზე დინამიურად განვითარებადი ქვეყნების ჩამონათვალში მოხვდა. მისი რეიტინგი ამ პერიოდში 5 საფეხურით გაუმჯობესდა და 83-ე ადგილიდან 78-ე ადგილზე გადაინაცვლა.

ამჟამად არსებული ტექნოლოგიური შესაძლებლობების გამოყენებით ქვეყნის საკომუნიკაციო გარემოს პერსპექტიული განვითარების სტრატეგიული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრისას აქცენტირება გადატანილი უნდა იქნეს ქვეყნის ერთიანი საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცის ფორმირებაზე, ინფორმაციული რესურსებისა და საინფორმაციო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, რომლის გამოყენებაც შეეძლება როგორც სახელმწიფო სტრუქტურებს, ასევე ბიზნესის, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებსა და ქვეყნის მოსახლეობას.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, საქართველოს კავშირგაბმულობის სფეროში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. არსებული ინფრასტრუქტურა ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს თანამედროვე ტელეკომუნიკაციებზე, რასაც განაპირობებდა დარგში შესაბამისი ინვესტიციების ნაკლებობა და ტელეკომუნიკაციების სისტემის ნელი მოდერნიზაცია.

საქართველოს სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით, კავშირგაბმულობის დარგის მდგომარეობა ბოლო წლებში შემდეგნაირად გამოიყურება (ცხრ. 1):

კავშირგაბმულობის ძირითადი მაჩვენებლები

წლები	სატელეფონო სადგურების რაოდენობა, ერთეული	სატელეფონო ქსელში ჩართული აბონენტების რაოდენობა		ფიჭური კავშირის აბონენტების რაოდენობა, ათასი
		. სულ, ათასი ცალი	აქტიური ბინის	
2003	396	588.3	363.8	560.8
2004	318	532.8	445.1	840.6
2005	346	544.4	480.8	1174.3
2006	364	571.7	507.6	1703.9
2007	221	577.2	500.2	2310.4
2008	202	571.6	503.5	2755.1
2009	237	611.1	541.3	3130.5
2010	198	566.0	515.4	3715.9
2011	208	594.0	511.5	3921.2
2012	226	580.3	503.9	4046.8
2013	248	679.8	573.7	4411.8

საქართველოს სატელეკომუნიკაციო სისტემა მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესების პარალელურად ვითარდება, რაც მიზნად ისახავს ქვეყნისათვის იმ ისტორიული გეოპოლიტიკური ფუნქციის დაბრუნებას, რომელიც საქართველოს, როგორც მსოფლიო თანამეგობრობის განუყოფელ ნაწილს, ევროპა-აზიის უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საინფორმაციო-საკომუნიკაციო მაგისტრალად აქცევს. ინტეგრირებული საერთაშორისო ინფრასტრუქტურის ფორმირება საქართველოს სატელეკომუნიკაციო სივრცეში მოიცავს ინფორმაციული და თანამედროვე ელექტრონული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვასა და ინფრასტრუქტურის მომსახურებისათვის შესაბამისი პროფილის სერვისების განვითარებას. ეს უნდა შეესაბამებოდეს ქვეყანაში ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის გლობალურ პროცესებს, რადგან საერთაშორისო სავაჭრო, სასაქონლო, ფულად და საინფორმაციო ნაკადებს ადვილად შეუძლია მარეგულირებელი კანონმდებლობა საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულ საბაზრო პრინციპებსა და აგებული და სატელეკომუნიკაციო დარგში საქმიანობის მრავალმხრივი განვითარების საშუალებას იძლევა. მსოფლიოში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესები, ნაციონალურ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის კარმონიზებულ განვითარებასა და გაფართოებას ითხოვს. მსოფლიო გლობალური ტენდენციების გადრეკვა, რეგიონში გეოპოლიტიკური პოზიციების გამყარება – საქართველოსთვის მთელი სიმწვავეით სვამს დარგში საინვესტიციო საქმიანობის ახალი მოდელების შექმნის აუცილებლობას. სტაბილურობის შენარჩუნება და ნებისმიერი სისტემაწარმომქმნელი ფაქტორების გათვალისწინება საქართველოს სატელეკომუნიკაციო სისტემის საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდისა და განვითარებისათვის გადამწყვეტი ფაქტორია.

დღევანდელი მდგომარეობით საქართველოში საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა შეიძლება შეფასდეს როგორც ნაკლებად განვითარებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაბალი განვითარების ერთ-ერთი ობიექტური მიზეზი საზოგადოების დიდი მასის დაბალი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა, რაც ცალსახად მოქმედებს (განსაკუთრებით რეგიონებში) მისი მხრიდან საკომუნიკაციო მომსახურების მოთხოვნის სტიმულირების ფაქტორზე, ხოლო ეს კი, თავის მხრივ, აფერხებს ბიზნესსექტორის შემდგომ განვითარებას საკომუნიკაციო არეალის გაფართოების მცდელობისას. არსებული თანამედროვე ტექნოლოგიები, ცხადია, მინც ინერგება, მაგრამ ძირითადად ცენტრებში და რეგიონებსა და ცენტრს შორის დიდია გარღვევა ინფორმაციაზე მიღწევისადმი. ეს კი უარყოფითად მოქმედებს მთლიანად ქვეყნის განვითარებაზე, რადგან ქვეყნის პოლიტიკური მდგრადობა, სახელმწიფო სტრუქტურების გამართული და ეფექტიანი მუშაობა, ეკონომიკური ზრდა, საზოგადოების განათლების დონე და ა.შ. სწორედ იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ადვილად ხელმისაწვდომია ესა თუ ის ინფორმაცია საზოგადოების ნებისმიერი წევრისათვის. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ცხადი ხდება ელექტრონული საკომუნიკაციო სივრცის განვითარებაზე ზრუნვის აუცილებლობა და ამიტომაც ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული მიზანია განვითარებული, თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ელექტრონული საკომუნიკაციო სივრცის შექმნა ქვეყნის შიგნით და მისი ინტეგრაცია მსოფლიო საინფორმაციო გარემოსთან.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. საქართველოს სტატისტიკური წელიწადი, 2014.
2. საქართველოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ჩარჩო-პროგრამა, თბილისი, 2004.
3. „ეკონომიკის ინფორმაციზაცია და ინფორმაციზაციის ... [www.nplg.gov.ge/.../library.exe?..](http://www.nplg.gov.ge/.../library.exe?..)
4. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების... [Media.ge](http://Media.ge), [www.media.ge/ge/portal/news/303315/](http://www.media.ge/ge/portal/news/303315/)
5. საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი - ITU [www.itu.int/en/.../wtis14-press-release-ge.docx](http://www.itu.int/en/.../wtis14-press-release-ge.docx)

THE ASPECTS OF INFORMATIVE ENVIRONMENT DEVELOPMENT  
IN THE MOTIONED ECONOMY OF GEORGIA  
Annotation

The article analyses such a significant trend of service sphere, as information-communication sector, the most rapid growth of its significance and the possibilities of its further development. The progress of the mentioned sector in recent years has influenced the variability of society con-science and it can be said, that has lagged the foundation for the creation of a new social farm-information society. The article also shows the present situation of informative-communication infrastructure and the necessity of development and transformation principle strategic aim.

ირაკლი მაკალათია

უმუშევრობის სტატისტიკური ანალიზი და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა  
საქართველოს შრომის ბაზარზე

შრომის ბაზარი საბაზრო ეკონომიკის მნიშვნელოვანი ელემენტი და მოსახლეობის ცხოვრების დონის ერთ-ერთი განმსაზღვრელი მაჩვენებელია. რაც უფრო მაღალია დასაქმების დონე ქვეყანაში, მით უფრო მაღალია მისი მოქალაქეების ცხოვრების დონე, ხოლო უმუშევრობა იწვევს მრავალ ნეგატიურ სოციალურ მოვლენას, როგორცაა: შემოსავლების დაბალი დონე და სიღარიბე; ხარისხიანი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის არქონა; სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის კლება; მიგრაციის მატება; განათლების დაბალი დონე, რაც შემდეგ დასაქმების დაბალ დონესაც განაპირობებს; კრიმინალის დონის მატება; ადამიანის თავისუფლებისა და დემოკრატიული პროცესების შეზღუდვა; ქვეყნის ეკონომიკური ზრდის შემცირება და სხვა. აქედან გამომდინარე, დასაქმებაზე უშუალოდ აისახება ქვეყნის ეკონომიკური რეფორმების ძირითადი შედეგები და მისი წარმომქმნელი ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული მოვლენები.

შრომის ბაზარი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების დინამიური სფეროა. ქვეყანაში უმუშევრობისა და დასაქმების დონის შესწავლა და ისეთი სტატისტიკური მაჩვენებლების გაანგარიშება, როგორცაა დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეობების მიხედვით, უმუშევრების განაწილება ასაკისა და განათლების დონის მიხედვით და სხვ., საშუალებას იძლევა, დეტალურად იქნეს გამოკვლეული შრომის ბაზარი და მხოლოდ ამის შემდეგ, მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, სახელმწიფომ, საჭიროების შემთხვევაში, უნდა გაატაროს დასაქმების პოლიტიკა.

პრაქტიკული მიზნებისათვის გამოთვლება მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის დონე – ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხოვნობის შეფარდებით 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობასთან. მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის დონის კლების ტენდენცია, ცხადია, უარყოფითად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

საქართველოში მოცემული მაჩვენებელი მცირდება 2004-2008 წლებში, ხოლო მომდევნო წლიდან ხასიათდება ზრდის ტენდენციით, რაც დადებით მოვლენას წარმოადგენს (ცხრ. 1).

ცხრილი 1

საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობის დონე (%),<sup>96</sup> 2004-2013 წლები

წლები	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
ქალაქი	55.3	54.3	52.3	53.1	54.4	56.2	57.1	57.6	59.0	58.0
სოფელი	74.1	73.4	71.7	73.9	70.7	70.7	71.1	72.3	73.9	73.9
საქართველო	64.9	64.0	62.2	63.3	62.6	63.6	64.2	65.2	66.9	66.2

ეკონომიკური აქტიურობის დონე სოფელში უფრო მაღალია ვიდრე ქალაქში, ეს ნიშნავს, რომ დასაქმების მხრივ სოფელს დიდი პოტენციალი გააჩნია, ხოლო სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებით უნდა მოხდეს ამ პოტენციალის გამოყენება, რაც, ერთი მხრივ, უმუშევრობის პრობლემის მოგვარებისკენ გადადგმული ნაბიჯი იქნება, ხოლო მეორე მხრივ, მეტი დასაქმებული ადამიანი უფრო მეტ დოვლათს აწარმოებს ამ დარგში, რაც სამომავლოდ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზეც აისახება.

განვიხილოთ დასაქმებისა და უმუშევრობის დონის ცვლილება საქართველოში (ცხრ. 2). 2004-2009 წლებში დაფიქსირდა უმუშევრობის დონის ზრდა, ხოლო მომდევნო წლებში ეს მაჩვენებელი მცირდება. მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობის დონე შემცირდა, ამ ტენდენციას დადებით მოვლენად მაინც ვერ მივიჩნევთ, ვინაიდან ქვეყანაში შემცირებული უმუშევრობის დონე 2004 წლის მაჩვენებელზე მაღალია და ვერც იმის მტკიცებას შევუძლებთ, რომ ქვეყანა მაღალი ტემპებით ვითარდება და მოსახლეობის ცხოვრების დონე უმჯობესდება.


ცალკე განხილვის თემაა დასაქმების დონე საქართველოში. ცხადია, დასაქმების დონის ასეთი მაღალი მაჩვენებლები არ არის რეალური, რაც, პირველ რიგში, მიიღწევა დასაქმებულებში თვითდასაქმებულთა მაღალი ხვედრითი წილით.

<sup>96</sup> იხ. ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, საქართველოს სტატისტიკური წელიწადი 2009, გვ. 18, გვ. 42 და [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=145&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo)

15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით (%), 2004-2013 წლები<sup>97</sup>

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა	წლები	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
დასაქმების დონე		87.3	86.2	86.4	86.7	83.5	83.1	83.7	84.9	85.0	85.4
მათ შორის:											
დაქირავებულები		33.7	34.4	34.6	36.7	35.7	36.0	38.0	38.0	38.4	38.4
თვითდასაქმებულები		66.2	65.5	65.3	63.3	64.2	63.9	61.9	61.6	61.2	61.0
გაურკვეველი		0.1	0.0	0.1	0.0	0.1	0.1	0.1	0.4	0.4	0.6
უმუშევრობის დონე		12.6	13.8	13.6	13.3	16.5	16.9	16.3	15.1	15.0	14.6
სულ – ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა		100	100	100	100	100	100	100	100	100	100

თვითდასაქმებულთა კატეგორიას მიეკუთვნებიან: **ინდივიდუალურად მომუშავე**, რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს შრომითი შემოსავლის მომგან საქმიანობას, არ იყენებს დაქირავებულ მომუშავეებს ან იყენებს მათ მხოლოდ ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში; **დამქირავებული**, რომელიც მუშაობს დამოუკიდებლად, ერთ ან რამდენიმე პარტნიორთან ერთად საკუთარ საწარმოში და მუდმივად ჰყავს დაქირავებული მომუშავეები; **ოჯახურ საწარმოში უსასყიდლოდ მომუშავე პირი**, რომელიც მუშაობს უსასყიდლოდ ოჯახურ საწარმოში ან მეურნეობაში და რომლის მფლობელიც მისი ნათესავია. სწორედ ეს უკანასკნელი კატეგორია იქცევა ჩვენს ყურადღებას. რადგან ამ კატეგორიის ადამიანები წარმოადგენენ თვითდასაქმებულთა ძირითად ნაწილს და მათი რაოდენობის ხარჯზე ხდება თვითდასაქმებულთა რიცხოვნობის ზრდა. შედეგად, ჯაჭვური სისტემით, ვიღებთ შემდეგ სურათს: **ოჯახურ საწარმოში უსასყიდლოდ მომუშავეების ხელოვნურად გაზრდილი რიცხოვნობა განაპირობებს თვითდასაქმებულთა რიცხოვნობის ზრდას, ხოლო თვითდასაქმებულთა გაზრდილი რაოდენობა იწვევს დასაქმების დონის ზრდას და შესაბამისად ამ კატეგორიაში მის მაღალ ხვედრით წონას (დიაგრამა 1).**



დიაგრამა 1. დასაქმებულთა განაწილება კატეგორიების მიხედვით

ცხრილ 3-ში განვიხილავთ თვითდასაქმებულთა განაწილებას დასაქმების სტატუსის მიხედვით საქართველოში. სოფლად მიიმე სოციალურ მდგომარეობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ თვითდასაქმებულთა თითქმის ნახევარი შინამეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე ადამიანია, ხოლო დამქირავებულები, რომლებიც უნდა ასაქმებდნენ ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობის ნაწილს და შრომის ბაზარზე აქტიურ როლს უნდა ასრულებდნენ, მხოლოდ 0.3%-ს შეადგენენ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ როგორც ქალაქში, ისე სოფელში თვითდასაქმებულთა უდიდესი ნაწილი ინდივიდუალურად მომუშავეა და საკუთარი შესაძლებლობებით ცდილობენ ეკონომიკურ საქმიანობას.


<sup>97</sup> იხ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სტატისტიკური წელიწადი 2012, გვ. 42, საქართველოს სტატისტიკური წელიწადი 2011, გვ. 42 და [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=145&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo)

თვითდასაქმებულთა განაწილება დასაქმების სტატუსის მიხედვით საქართველოში (%), 2013 წელი<sup>98</sup>

		სულ	ქალაქი	სოფელი
თვითდასაქმებული	დამქირავებელი	1.9	9.3	0.3
	ინდივიდუალურად მომუშავე	58.4	76.0	54.5
	შინამუშევრობაში უსასყიდლოდ მომუშავე	39.7	14.7	45.2

2013 წელს მედიანური მოხმარების 60%-ის მიმართ სიღარიბის დონე სოფელში (27.1%) უფრო მაღალი იყო, ვიდრე ქალაქში (15.4%), სანაცვლოდ, უმუშევრობის დონემ სოფელში შეადგინა 6.5%, ხოლო ქალაქში – 25.6%<sup>99</sup>. ცხადია, ეს ორი ფაქტი შეუსაბამობას ქმნის, ვინაიდან იმ რეგიონში, სადაც მაღალია უმუშევრობის დონე, ასევე მაღალი უნდა იყოს სიღარიბის მაჩვენებელი. ჩვენს შემთხვევაში კი მონაცემები საპირისპიროს აჩვენებს. რეალურად, დასაქმების მაღალი დონე სოფელში მიღწეულია დასაქმებულთა შორის თვითდასაქმებულთა მაღალი ხვედრითი წონის არსებობით, რომელთა უმეტესობაც რეალურად არც არის დასაქმებული და ოჯახში უსასყიდლოდ მომუშავე წევრებს წარმოადგენენ.

შედეგად მივიღეთ, რომ **2013 წელს უმუშევრობის დონემ სოფელში შეადგინა 6.5%**<sup>100</sup>, ანუ სოფელში 1 155 400 სამუშაო ძალიდან დასაქმებულია 1 080 800 კაცი, მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ სოფელში დასაქმებულ ადამიანებში თვითდასაქმებულების წილი შეადგენს 79.0 %-ს, ანუ 853 900. თვითდასაქმებულებიდან უმეტესობა ოჯახში უსასყიდლოდ მომუშავე წევრები არიან. მსგავსი ტენდენცია შეინიშნება წინა წლებშიც და არსებითად არ იცვლება, ხოლო საქართველოში დასაქმებულთა საერთო რიცხვში თვითდასაქმებულთა მაჩვენებელი 60%-ს აჭარბებს.



დიაგრამა 2. თვითდასაქმებულთა წილი დასაქმებულებში, 2004-2013 წლები

ოჯახურ მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე წევრები, რომლებიც თვითდასაქმებულთა უმრავლესობას წარმოადგენენ, რეალურად არც არიან დასაქმებულები. ეს ნაწილი სამუშაოს უქონლობის გამო იძულებულია, ძალიან დაბალი ანაზღაურებით, ან სულაც ანაზღაურების გარეშე ეწეოდეს არაკვალიფიციურ შრომას. აღნიშნული განსაკუთრებით შეეხება საქართველოს რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას, რომლის უმრავლესობასაც, ძირითადად, სოფლის მეურნეობაში საქმიანობის შესაძლებლობა აქვს. სოფლად მცხოვრები მოსახლეობის უმეტესობა თვითდასაქმებულთა რიცხოვნობაში ითვლება მხოლოდ იმის გამო, რომ მათ გააჩნიათ თუნდაც 1 ჰექტარი ფართობის მიწის ნაკვეთი. ამდენად, თვითდასაქმებულთა ეს ნაწილი რეალურად დასაქმებულად არ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან, მიწის აქტივის დაბალი ფასის გამო, მის მესაკუთრეს არ გააჩნია იმ ღირებულების კაპიტალი, რითაც შეძლებდა ფულადი სახსრების მოზიდვასა და ეკონომიკური საქმიანობის დაწყებას, ამის გაუთვალისწინებლობა კი საქართველოში უმუშევრობისა და დასაქმების შესახებ მდგომარეობის შეფასებისას მცდარ სურათს იძლევა.

სოფლის მეურნეობის, ეროვნული წარმოების, მრეწველობის, ვაჭრობის, მშენებლობის, საფინანსო საქმიანობისა და სხვა დარგების განვითარების შედეგად შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ეკონომიკურად აქტიური ნაწილის დასაქმებას. პირველ რიგში კი უნდა მოხდეს ქვეყანაში სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება ბაზარზე სამართლიანობის დამკვიდრებითა და მონოპოლიური სისტემის გარდაქმნით კონკურენტულ ბაზრად. უმუშევრობა, თავის მხრივ, განაპირობებს ბიუჯეტში გადასარიცხი გადასახადების შემცირებას, რადგან წარმოებული პროდუქციის შემცირების შედეგად მცირდება

<sup>98</sup> წყარო: შინამუშევრობების ინტეგრირებული გამოკვლევა

<sup>99</sup> [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=187&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=187&lang=geo)

<sup>100</sup> [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=145&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo)

იურიდიული პირების საგადასახადო ბაზა, ხოლო, მეორე მხრივ, აუღებელი ხელფასები ამცირებს ფიზიკური პირებიდან შემოსულ საშემოსავლო გადასახადებს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ეფექტიანი საგადასახადო პოლიტიკის გატარება, რომელიც მიმზიდველი იქნება ეკონომიკური საქმიანობის დასაწყებად როგორც ქვეყნის რეზიდენტი, ისე არარეზიდენტი პირებისათვის. ამ ყველაფერს კი თან უნდა ერთვოდეს მშვიდი და სტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა ქვეყანაში, რაც გამოიწვევს ამ მიმართულებით ბიზნესის კვებას.

სიღარიბისა და უმუშევრობის მაღალი დონის პირობებში, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა ცდილობს, საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოყენებით, ეს იქნება ინდივიდუალურად მომუშავეს, დაქირავებულისა თუ დამქირავებლის სტატუსით, მოახერხოს შემოსავლის მიღება. ცხადია, ბაზარზე დაქირავებით მომუშავეები ჭარბობენ დამქირავებლებს, ხოლო დასაქმებულთა ის მცირე კონტინგენტი, რომლებიც დამქირავებლებს წარმოადგენენ, ვერ ახერხებენ შრომით ბაზარზე გამოსული „პოტენციური დაქირავებულების“ სრულ დასაქმებას. სახელმწიფომ, რომლის ეკონომიკურ გეგმებში შედის უმუშევრობასთან ბრძოლა, თავისუფალი ეკონომიკური და ბიზნესგარემო უნდა შეუქმნას დამქირავებლებს, რომლებსაც საკუთარი წარმოებისა თუ ბიზნესის გაფართოების შემდეგ საშუალება ექნებათ, უფრო მეტი ადამიანი დაასაქმონ, ვიდრე ამას დღეს ახერხებენ.

ქვეყანაში მდგომარეობის გამოსასწორებლად და სოციალური პრობლემების გადასაჭრელად უნდა გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები.

დასაქმების ზრდა უნდა მოხდეს ძირითადად დაქირავებულთა რიცხოვნობის ზრდის ხარჯზე, რომლებიც დღეს მთლიან დასაქმებულთა 40.0%-ს შეადგენს. ცხადია, სახელმწიფოს მხრიდან პირდაპირი გზით ვერ მოხდება დაქირავებულთა ზრდა, ეს უნდა მოხდეს დამქირავებელთა ზრდის ხარჯზე, რომლებმაც შემდგომ უნდა დაასაქმონ დაქირავებულთა კატეგორია. დამქირავებელთა და ინდივიდუალურად მომუშავეთა რიცხოვნობის ზრდა მიიღწევა სწორედ სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებით, ხოლო კონკურენტულ პირობებში დაქირავებული ადამიანების დახმარება სახელმწიფოს მხრიდან გამოიხატება შრომის კოდექსით დაქირავებულთათვის ღირსეული შრომის პირობების შეთავაზებით. შინამშენებლობაში უსასყიდლოდ მომუშავე პირთა კატეგორია არ გამოირიცხავს ადამიანთა აუნაზღაურებელ დასაქმებას, ამიტომ ამ კატეგორიის შინამშენებლებში დასაქმებულებად უნდა განიხილებოდნენ ის ადამიანები, რომლებიც ეკონომიკური საქმიანობის შედეგად იღებენ შემოსავალს.

შრომის ბაზრის ფორმირებისას აუცილებელია საკანონმდებლო აქტების, წესებისა და ნორმების შემუშავება, რომლებიც აუცილებელია შრომის ბაზრის ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის და არეგულირებს შრომის ბაზრის სუბიექტების: დასაქმებულების, მუშაობის მსურველი უმუშევრებისა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობებს. სახელმწიფომ ამ შემთხვევაში ეფექტიანად უნდა შეასრულოს საკანონმდებლო და მარეგულირებელი ფუნქციები, რაც ხელს შეუწყობს ხელსაყრელი ეკონომიკური პირობების შექმნასა და დასაქმების აქტიური პოლიტიკის გატარებას.

სახელმწიფომ შრომის ბაზარზე უნდა გაატაროს დასაქმების როგორც პასიური, ისე აქტიური პოლიტიკა. დასაქმების პასიური პოლიტიკის მიხედვით უნდა მოხდეს შესაბამის სამსახურებში რეგისტრირებული უმუშევრებისათვის დახმარების (შემწობის) გაცემა, ხოლო დასაქმების აქტიური პოლიტიკა კი, რომელიც არის ეკონომიკური, ორგანიზაციული და სამართლებრივი ღონისძიებების ერთობლიობა, მიმართული უნდა იქნეს დასაქმების ზრდისკენ, შესაბამისად, სახელმწიფოს უპირველესი ამოცანა უნდა გახდეს მასობრივი უმუშევრობის აღმოფხვრა და მისი შენარჩუნება ბუნებრივ დონემდე.

შრომის ბაზრის სიღრმისეული შესწავლის, ანალიზისა და მის წინაშე მდგარი პრობლემების ეფექტიანად გადაჭრისათვის უნდა მოხდეს კონკრეტულად უმუშევრობის დაყოფა კატეგორიებად, მათი მთავარი მახასიათებლების მიხედვით. თანამედროვე ეტაპზე საქართველოში უმუშევართა მთლიანი რაოდენობიდან არ გამოიყოფა სამუშაო ძალის ის რაოდენობა, რომელიც კვალიფიკაციის ამაღლებას საჭიროებს ან ისეთი პროფესიის მქონე უმუშევრები, ვისზეც არსებული დასაქმების ბაზრის მხრიდან მოთხოვნა დაბალია, შესაბამისად, რთულია განსაზღვრო, თუ რა პროფესიები, კვალიფიკაცია ან უნარებია მოთხოვნადი დღეს შრომის ბაზარზე. დასაქმების პრობლემის გადასაჭრელად და სახელმწიფოს მხრიდან მართებული სოციალური პოლიტიკის შემუშავებისათვის კი აუცილებელია შრომის ბაზრის კვლევა, მისი სტატისტიკური შესწავლა და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე ქმედითი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. მაკალათია, დასაქმებისა და უმუშევრობის სტატისტიკური ანალიზი რეგიონული ჰორიზონტით საქართველოში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, II საერთაშორისო კონფერენცია, ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება, შრომების კრებული, 2013.
2. მაკალათია, სიღარიბისა და უმუშევრობის პრობლემები საქართველოში გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თბ., 2013.
3. ჩიქავა ლ. დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2012.
4. ლაცაბიძე ნ., შელია მ., ბადრიძე ვ., გურგენიძე ვ., ანთაძე ც., ყარაშვილი ჰ., გაგნიძე ი., კუსრაშვილი ე., ხარაძე ნ., შრომის ეკონომიკა, გამომცემლობა „ენა და კულტურა“, თბ., 2004.
5. ვირსალაძე ნ., მოსახლეობის შემოსავლები საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003.
6. ლიეშიცი ა. ი., საბაზრო ეკონომიკის შესავალი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბ., 1996.
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სტატისტიკური წელიწადი 2012.
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სტატისტიკური წელიწადი 2011.



9. ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, საქართველოს სტატისტიკური წელიწადი 2009.

10. www.geostat.ge

*Irakli Makalatia*

## STATISTICAL ANALYSIS OF UNEMPLOYMENT AND THE ECONOMIC POLICY OF THE STATE ON THE GEORGIAN LABOR MARKET

### Annotation

In the article "Statistical Analysis of Unemployment and the Economic Policy of the State on the Georgian Labor Market" are considered changes of employment and unemployment rates in Georgia by dynamics.

The paper discusses the self-employed category by employment status in Georgia. Accordance with, there are explained the reasons for the high level of employment. There is given shares of self-employed by village, town and country by dynamics.

There is showed modern picture of unemployment situation in Georgia and proposed social and economic policy to reduce unemployment.

*ივლია ონიანი*

### მოსახლეობის ცხოვრების დონეზე ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი (აპკი)

მოსახლეობის ცხოვრების დონეზე ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი (აპკი) არის მსოფლიო ეკონომიკურ ლიტერატურაში ჯერ კიდევ არა არის შემუშავებული ერთი რომელიმე ინტეგრირებული ინდექსი, რომელიც სრულყოფილად წარმოაჩენს ამ მოვლენას. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ამ მიზნისათვის გამოიყენება განსხვავებული მაჩვენებლები სისტემა, რომელთაგან ერთ-ერთია „ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი“ (აპკი).

აპკი ფართოდ ცნობილი და გამოყენებადი ინდექსებია 1990 წლიდან. ეს ინდექსი მოსახლეობის ცხოვრების დონის ერთიანი აგრეგირებული მაჩვენებელია, რომელიც დამუშავებული და შემოთავაზებულ იქნა გაეროს განვითარების პროგრამის სპეციალისტების ჯგუფის მიერ. იგი წარმოადგენს სამი ინდექსის საშუალო არითმეტიკულს, რომლებიც ასახავს ცხოვრების დონის უმნიშვნელოვანეს ასპექტებს, როგორცაა: 1. სიცოცხლის მოსალოდნელი საშუალო ხანგრძლივობა. 2. მოსახლეობის განათლების მიღწეული დონე, 3. მთლიანი შიგა პროდუქტი ერთ მცხოვრებელზე გაანგარიშებით.

შემოქმედებულა გამოდინარე, „ადამიანური პოტენციალის“ ცნება გულისხმობს ადამიანური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებს, თუმცა ამ ცნებას ჯერ კიდევ არ აქვს ერთმნიშვნელოვანი, უმრავლესობის მიერ მოწონებული განსაზღვრება [1]. გასაგებია მხოლოდ ამ ცნების შინაარსი, რომლის მიხედვითაც, მოსახლეობა არ განიხილება მხოლოდ წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით, მხოლოდ შრომითი პოტენციალის ასპექტში. თუმცა თვითონ ცნება შინაარსობრივად კიდევ არა არის დადგენილი. განდა მისი მხოლოდ ფორმალური კონსტრუქცია აპკი-ს სახით, მაგრამ მასში საერთოდ არ არის გათვალისწინებული ეკოლოგიური ფაქტორი.

ერთი მხრივ, ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ გარემომცველი ბუნებრივი გარემო – ეს არ არის მოსახლეობის თვისებრივი მახასიათებელი, მაგრამ გარემო პირობები ძლიერ ზემოქმედებს ადამიანის განვითარებაზე, ხშირად ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე. ადამიანის არსებობის პირობაა ბუნება, ბუნებრივი გარემო მისი მრავალფეროვნებით. მრავალი დაავადება, რომელიც განპირობებულია არახელსაყრელი ეკოლოგიური სიტუაციით, იწვევს სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირებას. ცნობილია, რომ თანამედროვე მსოფლიოში, მატერიალური სიმდიდრის მნიშვნელოვანი ზრდის კვალობაზე, უარესდება გარემომცველი ბუნების მდგომარეობა. აქედან გამომდინარე, წარმოების ენერგოტექნოლოგიისა და მასალატექნოლოგიის ზრდა მნიშვნელოვნად უსწრებს მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდას. ასე მაგალითად, ენერჯის მოხმარება მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდას უსწრებს 3-ჯერ, ხოლო მინერალური რესურსების მოპოვება – 2-ჯერ. დღეისათვის სამთომოპოვებითი მრეწველობა დედამიწის ერთ მცხოვრებელზე აწარმოებს 40 ტონა პროდუქციას [4].

მეორე მხრივ, ეკოლოგიური მდგომარეობა თანამედროვე პირობებში სულ უფრო ფორმირდება ტექნოლოგიური ფაქტორების ზემოქმედებით და, შესაბამისად, წარმოადგენს ადამიანის საქმიანობის შედეგს. ამ ზემოქმედების მასშტაბები ახასიათებს არა მხოლოდ მოსახლეობის ეკოლოგიური კულტურის დონე და ეკოლოგიურ აღზრდას, არამედ ეს დონე რაღაც შინაარსით შესაძლებელია ჩაირთოს მოსახლეობის განათლების საერთო დონეში, რომელიც ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსის ერთ-ერთ შემადგენელს წარმოადგენს. თუმცა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი მაიცდამინც ძლიერ გაგლენას არ მოახდენს ინდექსით განსაზღვრულ შედეგზე.

ადამიანის ეკონომიკური აქტიურობის დონეს განსაზღვრავს ტექნოლოგიური ზემოქმედება გარემოზე, რომელიც აისახება მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიგა პროდუქტის მაჩვენებელში. მშპ-ის შექმნა უშუალოდ არის დაკავშირებული ბუნებასთან. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარეობს ბუნებრივი რესურსების მოპოვების და ხარჯვის ინტენსიური პროცესი. ასე მაგალითად, ყოველწლიურად მოიპოვება 100 მლრდ ტონა მადანი, სათბობი და სხვადასხვა სახის სამშენებლო მასალები, აგრეთვე 5 მლრდ ტონა ბუნებრივი აირი და ნავთობი და ა. შ. [3].

ადამიანის ეკონომიკურ აქტიურობასა და ბუნებრივ გარემოს შორის კავშირი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარად გამოვლინდება. ქვეყნების ერთ ნაწილში მშპ მთლიანად ბუნების ხარჯზე ფორმირდება, რომელიც რენტული შემოსავლის სახეს იღებს. ქვეყნების მეორე ნაწილში კი მშპ-ის შექმნა უკავშირდება მალაქ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ გადამამუშავებელ მრეწველობას. შესაბამისად, ქვეყნების ერთი ჯგუფი ავითარებს მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა წარმოებას, მეორე კი, ეკოლოგიურად დაბინძურებულს. ცხადია, ადამიანური პოტენციალის განვითარების დონე უნდა ითვალისწინებდეს ამ გარემოებას და თანამედროვე პირო-

ბებში მისი სტატისტიკური აღრიცხვა უნდა იყოს აქტუალური საკითხი. გაეროს საერთაშორისო კონფერენციაზე 1992 წელს მიღებულ იქნა დოკუმენტი „კომპლექსური ეკოლოგიური და ეკონომიკური აღრიცხვის სისტემის“ შექმნის შესახებ, რომელმაც უნდა ასახოს გარემომცველი ბუნებისა და ეკონომიკის ურთიერთკავშირი, შეაფასოს გარემომცველი ბუნებიდან ბუნებრივი ნაკადები ეკონომიკაში და მათი შემდგომი ტრანსფორმაცია გარემოში ეკონომიკის ნარჩენების ნაკადების სახით.

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, აპი-ს გაანგარიშებებში შევიტანოთ არა მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ს მაჩვენებელი, არამედ **ეკოლოგიურად კორექტირებული მშპ მოსახლეობის ერთ სულზე**. მშპ-ის კორექტირების პროცედურა შემოთავაზებულია გაეროს რეკომენდაციებით, რომლის მიხედვითაც მშპ-ის ტრადიციულად გაანგარიშებულ მნიშვნელობას გამოაკლდება **მოხმარებული ბუნებრივი რესურსების ღირებულება და ბუნებრივი რესურსების გამოფიტვისა და ეკოლოგიური კატასტროფების გამო ზარალის ეკონომიკური შეფასება**. მშპ-დან რენტული შემოსავლების გამოკლების შედეგად მიღებული მშპ-ს სიდიდე გვიჩვენებს **ადამიანური პოტენციალის ტექნოლოგიური განვითარების დონეს**, ხოლო მის უუნარობას – ე.წ. ბუნების მიერ **„გამომუშავებული“ შემოსავალი (რენტული შემოსავალი)** და თვითონ მისგან გამომდინარე **ადამიანთა ცხოვრების დონე**. მშპ-ის მაღალი მაჩვენებელი, ცხადია, ყოველთვის კარგია, მაგრამ თუ ეს მიღწეულია ძირითადად ბუნებრივი რესურსების ხაჯზე, მაშინ ეს უფრო შრომითი პოტენციალის განვითარების დაბალ დონეზე მეტყველებს, როგორც ადამიანური პოტენციალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი.

იგივე შეიძლება ითქვას ეკოლოგიური დარღვევებით გამოწვეული ზარალის შესახებ, რომელიც ასევე გამოაკლდება ტრადიციულად გაანგარიშებული მშპ-ს მოცულობას, მისი ეკოლოგიური კორექტირებისას [2]. სწრაფვა რაც შეიძლება დიდი მოცულობის მშპ-ს მიღებისაკენ ეკოლოგიური დარღვევების ხარჯზე, არ მეტყველებს ადამიანური პოტენციალის განვითარების მაღალ დონეზე თუკი შემდგომ მისი დიდი ნაწილი იხარჯება ეკოლოგიური დარღვევების შედეგად ზარალის ანაზღაურებაზე.

ხეშოთქმულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აპი-ს გაანგარიშებებში ტრადიციულად გამოთვლილი მშპ-ის ნაცვლად გამოვიყენოთ ეკოლოგიურად კორექტირებული მთლიანი შიგა პროდუქტი.

ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსი ზოგადად შეიძლება განვიხილოთ აგრეთვე დროსთან მიმართებაში და დავაკავშიროთ იგი მის შემადგენელ კომპონენტებთან. ამით წარმოჩინდება ის შეუთანხმებლობა, რომელიც არსებობს მის შემადგენელ კომპონენტებს შორის დროის პერიოდის თვალსაზრისით. თუ გამოვიყენებთ ეას-ის რიგ დებულებებს, რომელიც განსაზღვრავს მონაცემთა დამუშავების და მოწესრიგების ხერხებს, მაშინ წიგნიერების დონე მიეკუთვნება „მარაგების“ მაჩვენებელს, რომელიც ახასიათებს რესურსების არსებობას ამა თუ იმ თარიღისათვის, ხოლო მშპ მოსახლეობის ერთ სულზე – „ნაკადების“ მაჩვენებელს, რომელიც ახასიათებს ამა თუ იმ პროცესის სიდიდეს დროის პერიოდში, ანუ საბოლოო სიკეთის წლიურ ნაზრდს. გამოდის, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობა და განათლების დონე მიეკუთვნება რამდენიმე წარსული თაობის აქტიური ეკონომიკური საქმიანობის პერიოდს, ხოლო ეკონომიკური შემოსავალი – მხოლოდ ერთი წლის პერიოდს.

აპი-ს გაანგარიშებაში, გარდა ეკოლოგიურად კორექტირებული მთლიანი შიგა პროდუქტისა, საჭიროა შევიტანოთ აგრეთვე, როგორც მთლიანად ქვეყნის დონეზე, ისე **რეგიონულ დონეზე**; ეკონომიკის მიმართულეების ცვლილებების შედეგების ფექტიანობის შეფასება, ეს ცვლილება სანედლეულო წარმოებაში მაღალტექნოლოგიური და მეცნიერტეკვად დარგების განვითარებას გულისხმობს; **რეგიონების ინვესტიციური მიზიდვლობის შეფასება** ისეთი პროექტების დანერგვისათვის, რომლებიც აუცილებლად მოითხოვს ეკოლოგიურ ექსპერტიზას; ბუნებრივი რესურსების ამოწურვის გამო რაციონალური ბუნებათსარგებლობის პროგრამების შემუშავება და ა. შ. საჭიროა ეს ყველაფერი გავითვალისწინოთ აპი-ს გაანგარიშებებში.

საინტერესოა გაირკვეს, როგორია სხვაობა რეგიონულ ჭრილში რენტულ შემოსავლებს შორის, ანუ როგორია რიცხობრივი ცდომილება მთლიან რეგიონულ პროდუქტსა (მრპ) და კორექტირებულ მრპ შორის. ამის გარკვევისათვის ჯერ მოვახდინოთ რეგიონების კვარტილური (25%-იანი) დაჯგუფება ერთ მცხოვრებზე მრპ-ის მოცულობის მიხედვით, პირველ ჯგუფში გაერთიანდება ის რეგიონები, სადაც ყველაზე მცირეა ერთ მცხოვრებზე მრპ-ის სიდიდე, ხოლო მე-4-ში კი ის რეგიონები, სადაც აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე მაღალია. შემდეგ მოვახდინოთ რეგიონების ჯგუფების შედარება მრპ-ში რენტული შემოსავლის და ეკოლოგიური დარღვევებით გამოწვეული ზარალის წილის მიხედვით. ამ მონაცემთა ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია გავაკეთოთ შესაბამისი დასკვნები.

თავის მხრივ, მრპ-ის ხვედრი ბუნებატეკვადობის მაჩვენებელი წარმოადგენს ეკოლოგიური დარღვევებისაგან გამოწვეული ზარალის თანხას და ბუნებრივი რესურსების მოხმარებისაგან მიღებულ რენტულ შემოსავალს, რომელიც გამოისახება პროცენტებში მრპ-ის მიმართ. მოცემული ინდიკატორი ასახავს შემოსავლის წილს, რომელიც მიღებულია სამეურნეო საქმიანობის პროცესში ბუნებრივი ფაქტორების ხარჯზე.

ხვედრი ბუნებატეკვადობის შეფასებისათვის შეიძლება გამოვიყენოთ რეგიონების ორი გჯუფი: რეგიონები, რომლებიც ხასიათდებიან მდგრადი განვითარებით და რეგიონები, რომლებიც ხასიათდებიან არამდგრადი განვითარებით. დაჯგუფება უნდა მოხდეს შემდეგი ექვსი კრიტერიუმის მიხედვით: მრპ მოსახლეობის ერთ სულზე; მრპ ერთ დასაქმებულზე; სამრეწველო პროდუქციის მოცულობა ერთ მომუშავეზე; მრეწველობის მთლიანი დაბატებული ღირებულება ერთ მომუშავეზე; სანედლეულო დარგების სამრეწველო პროდუქციის მოცულობა ერთ მომუშავეზე; წამყვანი გადაამამუშავებელი დარგების სამრეწველო პროდუქციის მოცულობა ერთ მომუშავეზე.

ამ კრიტერიუმების საფუძველზე ერთ ჯგუფს ვუწოდოთ მდგრადი განვითარების რეგიონები, მეორეს კი არამდგრადი განვითარების რეგიონები. ხვედრი ბუნებატეკვადობის განსაზღვრის შემდეგ შესაძლებელია გამოვთვალოთ ეკოლოგიურად კორექტირებული მრპ-ის წილი %-ში. გაეროს გამოკვლევებით დგინდება, რომ მრპ-სა და კორექტირებულ მრპ-ს შორის სხვაობა არსებითია. ასეთი სხვაობა აუცილებლად მოითხოვს აპი-ს გაანგარიშებაში ცვლილებებს, რაც მრპ-ის შრომითი კომპონენტის შეფასებისას ე. წ. „გამომუშავებული“ შემოსავლის წილის გამოქვითვას გულისხმობს.

ეკოლოგიურად კორექტირებულ მრპ-ზე გადასვლისთვის მეცნიერთა ჯგუფის მიერ შემუშავებულია ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსის ახალი მნიშვნელობა, რომელიც ეფუძნება რენტული შემოსავლების ინდექსის ახალ ფორმალისებულ გამოსახვას:

$$I = \frac{\lg Y_i - \lg y_{\min}}{\lg y_{\max} - \lg y_{\min}}$$

სადაც,  $I$  რენტული შემოსავლების ინდექსია.  $y_i, y_{\min}, y_{\max}$  – შესაბამისად სულადობრივი, მინიმალური სულადობრივი და მაქსიმალური სულადობრივი შემოსავლები. თუ ინდექსის მნიშვნელობა მოთავსებულია 0,561 და 1,0 შორის, მაშინ ამ დიაპაზონში შემოსავლების ინდექსის ცვლილება უნდა შეფასდეს, როგორც არსებითი ცვლილება. თუ მივიჩნევთ, რომ შემოსავლების ინდექსი აპი-ს შემადგენლობაში იყო 1,0 ტოლი, მაშინ, მთლიანობაში, აპი-ს შემცირება შემოსავლების ინდექსის ერთი მესამედის ტოლი მაინც იქნება. ადამიანური პოტენციალი ასახავს რეგიონის მიღწევებს, მისი მოსახლეობის უნარს, მატერიალურ შესაძლებლობებს. თუ ეს ასეა, მაშინ აპი-ის გაანგარიშებაში ეკოლოგიურად კორექტირებული მრპ-ის გამოყენებისათვის საჭიროა რენტული შემოსავლების ინდექსის წინასწარი გაანგარიშება.

თუ მრპ-ის მაღალი დონე უზრუნველყოფილია რენტული შემოსავლებით, მაშინ ეს ნიშნავს, რომ არსებობს მოსახლეობის მატერიალური შესაძლებლობების კიდევ უფრო გაფართოების შესაძლებლობა, თუმცა არ მიუთითებს მოსახლეობის შემოქმედებით უნარზე. ამ შემთხვევაში აპი-ს გაანგარიშებაში უნდა შევიტანოთ რენტული შემოსავლები, როგორც ადამიანთა მატერიალური შესაძლებლობების მანევრებელი. მაგრამ არსებობს ამგვარი გაანგარიშების საწინააღმდეგო არგუმენტები. აქ განიხილული უნდა იქნეს არა მარტო თანამედროვე თაობების, არამედ მომავალი თაობების შესაძლებლობებიც. მომავალი თაობების ინტერესები და შესაძლებლობები კი ილახება მიმდინარე პერიოდში ბუნებრივი რესურსების მოხმარებით.

შემოსავლიდან ეკოლოგიური დარღვევებისგან ზარალის გამოკლება მიზანშეწონილია, მიუხედავად იმისა, ჩვენ როგორ განვიხილავთ ადამიანურ პოტენციალს – როგორც უნარს, თუ როგორც მატერიალურ შესაძლებლობას. ზარალი, ერთი მხრივ, გვიხასიათებს მაღალტექნოლოგიური წმინდა წარმოების უნარის არარსებობას, ხოლო მეორეს მხრივ, ამცირებს მოსახლეობის კეთილდღეობის ამადლების შესაძლებლობას, რამდენადაც დაკავშირებულია დიდ დამატებით ხარჯებთან, რომელიც მიდის ადამიანთა შერყეული ჯანმრთელობისა და გარემოზე მანეჟერულ ზემოქმედების გამო დარღვეული ცხოვრების პირობების კომპენსაციაზე.

ამდენად, ადამიანური პოტენციალის განვითარების ინდექსის განგარიშებაში ეკოლოგიურად კორექტირებული მშპ-სა და მრპ-ს ჩართვა წარმოადგენს ადამიანური პოტენციალის ცნების შინაარსის უფრო ნათლად წარმოდგენის შესაძლებლობას.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. Человеческое развитие: новое измерение социально-экономического прогресса. М., Права человека, 2008. с. 636.
2. Рюмина Е., В. Экономический анализ ущерба от экологических нарушений. М., Наука. 2009. с. 331.
3. ბ. გაბისაშვილი, პოპულარული სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში. თბ., „უნივერსალი“, 2008. გვ. 233.
4. მ. ხმალაძე. სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში. თბ., 2011.

*Ivliia Oniani*

#### STATISTIC EVALUATION OF ENVIRONMENTAL IMPACT ON THE STANDARD OF LIFE OF THE POPULATION Annotation

For characterization of the standard of life of the population there are used different systems of indexes. In systems almost everywhere there are mentioned “Human Development Index” which is aggregation of three indexes: 1. Life expectancy index; 2. Level of Education of Population. 3. Gross Domestic product calculation for an inhabitant, which doesn’t consider ecological factor.

In the article there is discussed expedience of statistic assessment of the nature and economics interrelation, natural flows from environment to economics and economic wastes after their transformation in the nature. It’s essential to be used ecologically corrected gross domestic product in calculation of Human development Index and not only index of gross domestic product for an inhabitant.

In the article there is offered correcting procedures. According to procedure, used natural resources value and loss economic evaluation due to natural resources exhaustion and ecological catastrophes will be deducted from traditionally calculated gross domestic product.

The conclusion is made that in calculation of Human Development Index involvement of ecologically corrected gross domestic product and gross regional product gives possibility to clearly represent content of concept of Human Development Index.

*ნუნუ ქისტაური  
მედეა მელაშვილი*

#### საგადასმდელო ბალანსის რეზუმირების კონცეფციები, მოდელები და მისი თანამართლება მდგომარეობა საქართველოში

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საგადასმდელო ბალანსის პრობლემას. გლობალიზაციის დღევანდელ პირობებში, როდესაც ქვეყნების ეკონომიკებს შორის ასეთი მჭიდრო ურთიერთკავშირებია და დიდია განვითარებული ქვეყნების ზეგავლენა დანარჩენი ქვეყნების ეკონომიკებზე, მეტად რთულია აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო სავალუტო საფინანსო სისტემაში ან

ქვეყნის განვითარების პროგნოზირება, თუ მკაფიოდ და რეალურად არ არის დაბალანსებული საგადასხდელი ბალანსი. ეს უკანასკნელი ახორციელებს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის სარკისებურ ასახვას. იგი წარმოადგენს განსაზღვრულ პერიოდში მოცემული ქვეყნის რეზიდენტების დანარჩენ მსოფლიოსთან ყველა ეკონომიკური გარიგების სისტემატიზებულ ჩანაწერს.

საგადასხდელი ბალანსის მდგომარეობაზე გავლენას ახდენს როგორც გარე, ასევე შიდა ფაქტორები: ციკლური ფაქტორები, ფასების დინამიკა (მსოფლიო ფასების დინამიკა ნედლეულზე, კურსების ცვლილება), სახელმწიფოთა საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკა (ექსპორტსა და იმპორტთან მიმართებაში), სამომხმარებლო და საინვესტიციო საქონელზე შიდა მოთხოვნა (ზრდა თუ შემცირება) და სხვ.

საგადასხდელი ბალანსის დიდი მნიშვნელობისა და ასევე პრობლემატურობის გამო ამ საკითხს დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ცნობილ მეცნიერთა მთელ რიგ ნაშრომებში, ჯერ კიდევ XVIII საუკუნიდან დაწყებული დღემდე.

საგადასხდელი ბალანსის ავტომატური თვითრეგულირების თეორია ბატონობდა დაახლოებით ორასი წლის განმავლობაში, გასული საუკუნის 30-იან წლებამდე (ეს თეორია შემუშავებულია XVIII საუკუნეში დ. იუმისა და დ. რიკარდოს მიერ). ამ თეორიის მიხედვით, მოცემული ქვეყნის პასიური საგადასხდელი ბალანსის დროს, მეორე ქვეყანაში მიმოქცევაში ოქროს ფულის რაოდენობის ზრდის გამო (ფულის რაოდენობრივი თეორიის მომხრეთა აზრით), სტიმული ეძლეოდა უფრო იაფ უცხოურ საქონელს, ამიტომ ოქროს სტიქიური გადაადგილების გამო მეორე ქვეყნის აქტიური საგადასხდელი ბალანსი პასიური ხდებოდა. მაშინ, როცა პირველ ქვეყანაში, მიმოქცევაში არსებული ოქროს ფულის რაოდენობის შემცირების გამო, მცირდება ფასები. ეს კი ხელს უწყობს ამ ქვეყნის საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მისი ექსპორტის მოცულობის ზრდას და ქვეყნის საგადასხდელი ბალანსის აქტივიზაციას. ე.ი. ხდება საგადასხდელი ბალანსის ავტომატური თვითრეგულირება.

საგადასხდელი ბალანსის ანალიზის ზოგადი საკითხები ძირითადად დაფუძნებულია ეკონომისტ-მერკანტილისტების ნაშრომებზე, რომელთა შეხედულებით (თუ თანამედროვე ტერმინოლოგიას გამოვიყენებთ), ეროვნული კეთილდღეობის საზომად მიჩნეულია დადებითი სალდოს მქონე სავაჭრო ბალანსი. მათი კრიტიკის საფუძველზე აღმოცენდა ნაღდი ნაკადების მექანიზმის თეორია, რომლის ფუძემდებლად ითვლება ადამ სმიტი. ეს თეორია განიხილა დ. ჰიუმ თავის ნაშრომში „სავაჭრო ბალანსის შესახებ“ (1752), რომელიც ეყრდნობა შემდეგ ძირითად პოსტულატებს:

- სავაჭრო – ეკონომიკური ოპერაციების მიხედვით ყველა ანგარიში მთავრდება ნაღდი გადახდებით;
- ფულადი მასის მოცულობასა და ფასების დონეს შორის არსებობს პირდაპირი კავშირი;
- სავაჭრო და საიმპორტო ფასები დამოკიდებულია მსოფლიო ბაზარზე ჩამოყალიბებულ ფასებზე.

მან შეიმუშავა საგადასხდელი ბალანსის ავტომატური წონასწორობის მექანიზმი. აქ სავაჭრო ბალანსის კორექტირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფასების დონის ცვლილება და შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა ვალუტის გაცვლითი კურსების ცვლილებას. ამ თეორიის გაუმჯობესებაში დიდი წვლილი მიუძღვის დ. რიკარდოს და დ. მილს.

ამრიგად, ჰიუმს მიერ შემუშავებული საგადასხდელი ბალანსის გაწონასწორების ავტომატური მექანიზმი (დაუბალანსებელი სავაჭრო ბალანსი – ფულადი მასის მოცულობის ცვლილება – შეფარდებითი ფასების ცვლილება – აღმოცენებული სალდოს გამოთანაბრება) მოდერის როლს ანიჭებდა ფასების დონის ცვლილებას და ვალუტის გაცვლითი კურსების ცვლილებაზე ნაკლებ ყურადღებას ამახვილებდა.

ამიტომ განჩნდა ახალი თეორიის შემუშავების აუცილებლობა მოცურავე სავალუტო კურსების პირობებში (ელასტიკურობის თვალსაზრისით).

მეტად საინტერესოა საგადასხდელი ბალანსის რეგულირების კეინსიანური მიდგომა, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს ჩარევას აუცილებლობას. კეინსიანელებმა შემოიღეს საგადასხდელი ბალანსის ქრონიკული გაუწონასწორებლობის ცნება. მათი შეხედულებით, შეუძლებელია ამ პრობლემის დაძლევა საბაზრო ძალების თავისუფალი მოქმედებით. ამიტომ საჭიროა აქტიური სახელმწიფო რეგულირების სხვადასხვა მეთოდების გამოყენება.

ეკონომისტთა ნაწილი (რ. ჰარროდი, ტ. სციტოვსკი, რ. მანდელი და სხვები) ცდილობდა, შემუშავებინა საგადასხდელი ბალანსის შიდა და გარე წონასწორობის მიღწევის მეთოდები ეკონომიკური მოდულების გამოყენებით. შიდა წონასწორობა გულისხმობს ეკონომიკის ისეთ მდგომარეობას, როცა ფასები სტაბილურია და მიღწეულია სრული დასაქმება, ხოლო გარე წონასწორობა საგადასხდელი ბალანსის მდგრადი ხანგრძლივი წონასწორობაა.

ინსტრუმენტულ-მიზნობრივი კონცეფციის წარმომადგენლები (ჯ. მილი, ი. ტინბერგენი და სხვ.) გვთავაზობენ საგადასხდელი ბალანსის რეგულირებას ეკონომეტრიკული მოდულების შემუშავების გზით. მათი ანალიზი შემოიფარგლება ქვეყნის საერთაშორისო გათვლების გაუწონასწორებლობის და შესაბამისი საბიუჯეტო და სავალუტო რეგულირების მეთოდების ცვლილებებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ძიებით.

ნორმატიული თეორიის (ჯ. ვილიამსონი, რ. მილერი და სხვ.) ძირითადი თავისებურებაა ანტიციკლური და ანტიინფლაციური მომენტების ჩართვა საგადასხდელი ბალანსის რეგულირების პროცესში და მათი დაკავშირება საერთაშორისო ანგარიშების რეგულირებასთან, ანუ საგადასხდელი ბალანსის და ინფლაციის საერთაშორისო რეგულირების აუცილებლობა.

საგადასხდელი ბალანსის რეგულირების მონეტარისტულმა თეორიამ განვითარება პოვა გასული საუკუნის 70-80-იან წლებში. აღნიშნული მიდგომის მიხედვით, საგადასხდელი ბალანსი განიხილება, როგორც მთელი ფულადი მეურნეობის დისპროპორციის (გაუწონასწორებლობის) შედეგი, რაც იწვევს შიდა ფასების სტრუქტურის დამახინჯებას და გვევლინება მოთხოვნასა და მიწოდებას შორის წონასწორობის დამყარების ხელშემწყობ ფაქტორად. აღნიშნული მიდგომა საგადასხდელი ბალანსის განიხილავს მთლიანად (როგორც მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშს, ასევე კაპიტალის ოპერაციათა ანგარიშს ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლით). საგადასხდელი ბალანსის მონეტარული მოდულის იდეალია – „ღია ეკონომიკა“, საქონლის,

სამუშაო ძალისა და კაპიტალის მოძრაობის მინიმალური შეზღუდვა, ე.ი. ეროვნულ და მსოფლიო ეკონომიკაში საბაზრო მექანიზმის მოქმედების თავისუფლების უზრუნველყოფა.

საგულისხმოა საგადაამხდლო ბალანსის სახელმწიფოთაშორისო რეგულირების თეორია, რომელიც დაფუძნებულია კეინსიანის მიხედვით, ნეოკეინსიანის მიხედვით და მონეტარიზმის შეხამებაზე, გამოიყენება საერთაშორისო სავალუტო სისტემის რეფორმის პროექტებში. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საგადაამხდლო ბალანსის კოლექტიურ რეგულირებას, რამაც გამოხატულება პოვა საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) წესდებაში. საგადაამხდლო ბალანსის გაბატონებული მონეტარული კონცეფციების შესაბამისად, სსფ შეიმუშავებს „სტაბილიზაციის“ სტანდარტულ პროგრამებს მაკროეკონომიკური აგრეგატების რაოდენობრივი ორიენტირების მეშვეობით. სსფ-ის „სტაბილიზაციური პროგრამები“ მოიცავს როგორც მოთხოვნაზე, ასევე მიწოდებაზე ზემოქმედების ღონისძიებებს. განახლებული აღნიშნული პროგრამები მოწმობს საგადაამხდლო ბალანსის საერთაშორისო რეგულირების გაძლიერებას.

შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ საგადაამხდლო ბალანსი წარმოადგენს იმ ინფორმაციის წყაროს, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის მონაწილეობის თავისებურებებს საქონლის, მომსახურების და კაპიტალის საერთაშორისო გაცვლის პროცესში. იგი იძლევა საშუალებას მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში ქვეყნის მონაწილეობის შესახებ დაკვირვება და შეფასება უწყვეტად განხორციელდეს. ამიტომაც, შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ საგადაამხდლო ბალანსის მდგომარეობა საფუძვლად უდევს ძალიან ხშირად არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას.

ბოლო წლებში საქართველოს საგადაამხდლო ბალანსს დიდი უარყოფითი საღლო ახასიათებს. გარდა ამისა, ქვეყანა განიცდის ფინანსური სახსრების უკმარისობას, რაც გამოწვეულია ინვესტიციების შემცირებით, მასშტაბური სავარყო ვალის დაგროვებით. ამასთან, საფრთხე ექმნება ეროვნული ვალუტის – ლარის კურსის სიმყარის შენარჩუნებას. ყოველივე ამის გამო ფერხდება ეკონომიკური ზრდა და ქვეყნის განვითარება.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2012 წელს მიმდინარე ანგარიშის უარყოფითმა საღლომ 1 814.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მშპ-ის მიმართ 11.5%-ია.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2012 წელს სავარყო სავაჭრო ბრუნვა წინა წელთან შედარებით 11%-ით გაიზარდა და 10 220.0 მლნ დოლარი შეადგინა. აქედან ექსპორტი 2 377.0 მლნ დოლარი იყო, ხოლო იმპორტი 7 842.0 მლნ დოლარი, რაც, შესაბამისად, 9 და 11 პროცენტებით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

2013 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მკვეთრად გაუმჯობესდა და მთლიანი შიდა პროდუქტის 5.9 პროცენტზე შეადგინა, 2012 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 5.8 პროცენტზე უნქტიითაა შემცირებული. აბსოლუტურ გამოსახულებაში 2013 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი წინა წელთან შედარებით 903 მლნ აშშ დოლარით გაუმჯობესდა და 951 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ქართულ ექსპორტში მოცულობის მიხედვით კვლავ პირველ ადგილს იკავებს მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტი. 2013 წელს, წინა წელთან შედარებით, ავტომობილების რეექსპორტი 19.9 პროცენტით გაიზარდა და მსუბუქი ავტომობილების წილმა მთლიან ექსპორტში 24.2 პროცენტი შეადგინა. მეორე უმსხვილეს საექსპორტო პროდუქციას ფეროშენადნობები წარმოადგენს (მთლიანი ექსპორტის 7.9 პროცენტი), ამ ჯგუფის საქონლის ექსპორტი 2013 წელს წლიურად 11.7 პროცენტით შემცირდა. 2013 წელს მიღებულმა უხვმა მოსავალმა ხელი შეუწყო თხილის და კაკლის ექსპორტის გაორმაგებას და შედეგად ამ ჯგუფის საქონლის წილმა მთლიანი ექსპორტის 5.7 პროცენტი შეადგინა. ასევე აღსანიშნავია 2013 წელს სომხეთიდან შემოტანილი სპილენძის კონცენტრატების რეექსპორტის მკვეთრი ზრდა.

უმსხვილეს საექსპორტო ჯგუფებში პოზიციები გაიმყარა ღვინის და მინერალური წყლების ექსპორტმა, რაშიც მნიშვნელოვანი როლი, მაღალ მოსავალთან ერთად, ქართული პროდუქციისათვის რუსეთის ბაზრის გახსნამაც შეასრულა.

2013 წელს, წინა წელთან შედარებით, ღვინის რეგისტრირებული ექსპორტი გაიზარდა 97.1 პროცენტით, ხოლო მინერალური წყლების – 80.1 პროცენტით. ათი უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფის წილმა 2013 წელს მთლიანი ექსპორტის 64 პროცენტი შეადგინა, რაც 2 პროცენტული პუნქტით აღემატება 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. რაც შეეხება ექსპორტის გეოგრაფიულ ორიენტაციას, ქართული ექსპორტისთვის უმსხვილეს ბაზრად აზერბაიჯანი რჩება, რომელზეც რეგისტრირებული ექსპორტის 24.4 პროცენტი მოდის.

საექსპორტო ბაზრებში მეორე ადგილი სომხეთმა დაიკავა მთლიანი ექსპორტის 10.9 პროცენტით. საექსპორტო ბაზრების ხუთეულში ასევე შედიან უკრაინა, რუსეთი და თურქეთი, 2013 წელს ამ ქვეყნებზე მოვიდა მთლიანი ექსპორტის შესაბამისად 6.6, 6.5 და 6.3 პროცენტი.

რაც შეეხება იმპორტირებულ სასაქონლო ჯგუფებს, აქ პირველ ადგილს კვლავ ნავთობი და ნავთობ-პროდუქტები იკავებს მთლიანი იმპორტის 12.1 პროცენტით. ამ ტიპის საქონლის იმპორტი 2013 წელს, წინა წელთან შედარებით, 0.4 პროცენტით გაიზარდა და 954.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

უმსხვილეს საიმპორტო საქონელში მეორე ადგილს იკავებს მსუბუქი ავტომობილები მთლიანი რეგისტრირებული იმპორტის 9.0 პროცენტით. მსუბუქი ავტომობილების იმპორტი 2013 წელს 7.2 პროცენტით გაიზარდა და 710.5 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. აღნიშნული ავტომობილების ძირითადი ნაწილი რეექსპორტისთვის არის განკუთვნილი.

ცალკეული ქვეყნიდან საქართველოში უმსხვილეს იმპორტიორად, წინა წლების მსგავსად, თურქეთი რჩება მთლიანი რეგისტრირებული იმპორტის 17.1 პროცენტით. 2013 წელს მისი წილი იმპორტში მცირედით შემცირდა (0.7 პროცენტული პუნქტი), მიუხედავად ამისა, თურქეთიდან იმპორტის მოცულობა კვლავ მნიშვნელოვნად აღემატება აზერბაიჯანულ იმპორტს, რომელმაც 2013 წელს მთლიანი იმპორტის 8.1 პროცენტი შეადგინა და იმპორტიორ ქვეყნებს შორის მეორე ადგილი დაიკავა.

მსხვილი იმპორტიორი ქვეყნების პირველ ხუთეულში ასევე შედის უკრაინა (იმპორტის 7.6 პროცენტი), რუსეთი (იმპორტის 7.5 პროცენტი) და ჩინეთი (იმპორტის 7.2 პროცენტი). აღსანიშნავია, რომ 2013 წელს, სავაჭრო ურთიერთობების აღდგენის პარალელურად, რუსეთიდან იმპორტი 24.4 პროცენტით გაიზარდა.

2014 წლის მეორე ნახევარში ექსპორტმა შემცირება დაიწყო. ექსპორტის შემცირებამ მზარდი იმპორტის ფონზე სავაჭრო ბალანსის 12%-ით გაუარესება გამოიწვია. ექსპორტმა შემცირება აგვისტოდან დაიწყო და 2014 წლის მესამე კვარტალში 6.2%-ით, ხოლო მეოთხე კვარტალში 20.5%-ით შემცირდა. სავაჭრო ბალანსის უარყოფითი საღდოს ზრდასთან ერთად გაუარესდა სავადამხდლო ბალანსის სხვა მუხლებიც, რამაც დოლარის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის დისპროპორცია გაზარდა. 2014 წელს ტურიზმიდან შემოსავლები უმნიშვნელოდ, მხოლოდ 4%-ით გაიზარდა, ფულადი გზავნილები საზღვარგარეთიდან 2%-ით შემცირდა, შესაბამისად, ქვეყანაში შემოსული დოლარი მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საკმარისი არ აღმოჩნდა, რაც ნოემბრის ბოლოს გაცვლით კურსზეც აისახა. ლარის გაუფასურებაზე დიდი გავლენა იქონია გასული წლის ბოლო კვარტალში ბიუჯეტის დეფიციტურმა ხარჯვამ.

დოლარის ნაკადების შემცირებაზე გავლენა რეგიონში მიმდინარე ეკონომიკურმა პროცესებმაც მოახდინა. 2014 წელს დსთ-ის რეგიონში ეკონომიკური ზრდის ტემპი დაეცა (ცხრ. 1).

ცხრილი 1

დსთ-ის ქვეყნების ეკონომიკური ზრდა და საქართველოს ექსპორტი (2014 წელი)

	მშპ-ის ზრდა	წილი საქართველოს ექსპორტში	საქართველოს ექსპორტის ზრდა (მლნ აშშ დოლარი)	საქართველოს ექსპორტის ზრდა %
დსთ-ის რეგიონი	0.8%	51.2%	-155.5	-9.6%
სომხეთი	3.2%	10.1%	-27.2	-8.6%
აზერბაიჯანი	4.5%	19.0%	-165.5	-23.3%
ბელორუსი	0.9%	1.2%	-5.7	-14.1%
ყაზახეთი	4.6%	3.1%	-15.1	-14.5%
ყირგიზეთი	4.1%	0.4%	1.1	12.0%
მოლდოვა	1.8%	0.2%	-9.7	-67.5%
რუსეთი	0.2%	9.6%	84.3	44.2%
ტაჯიკეთი	6.0%	0.4%	2.8	35.8%
თურქმენეთი	10.1%	0.5%	0.2	1.4%
უკრაინა	-6.5%	4.9%	-52.5	-27.3%
უზბეკეთი	7.0%	1.9%	31.8	140.1%

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, დსთ-ის ქვეყნების საერთო ეკონომიკური ზრდა 0.75%-მდე დაეცა. ეკონომიკური ზრდის მონაცემები განსხვავდებოდა ქვეყნების მიხედვით. ყველაზე მაღალი ეკონომიკური ზრდა თურქმენეთს (10.1%), უზბეკეთს (7%) და ტაჯიკეთს (6%) ჰქონდა. ხოლო ყველაზე დაბალი ეკონომიკური ზრდა უკრაინაში (-6.5%) და რუსეთში (0.2%) დაფიქსირდა. ეკონომიკური ზრდის შეფერხებამ შეამცირა შიდა მოთხოვნაც, რაც იმპორტზეც აისახა. 2014 წელს დსთ-ის რეგიონში იმპორტი 5%-ით შემცირდა. საქართველოს ექსპორტის უმეტესი წილი დსთ-ის ქვეყნებში გადის, შესაბამისად, რეგიონში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები საქართველოზეც ახდენს გავლენას. 2014 წელს დსთ-ის ქვეყნებში საქართველოს ექსპორტი 155 მლნ აშშ დოლარით (9.6%-ით) შემცირდა.

რეგიონში აზერბაიჯანი, რუსეთი, უკრაინა და სომხეთი საქართველოს უმსხვილეს საექსპორტო პარტნიორებს წარმოადგენენ. 2014 წლის განმავლობაში საქართველოს ექსპორტი უკრაინაში 27.3%-ით, სომხეთში 8.6%-ით და აზერბაიჯანში 23.3%-ით შემცირდა. რუსეთში ექსპორტის წლიური ზრდა 44% იყო, თუმცა 2014 წლის მეორე ნახევრიდან ექსპორტმა კლება დაიწყო და ბოლო კვარტალში რუსეთში ექსპორტმა 27%-ით დაიკლო. ექსპორტის კლების ტენდენცია 2015 წლის იანვარშიც გაგრძელდა. დსთ-ის ქვეყნებში ექსპორტირებული საქონლის ღირებულება 58 მლნ აშშ დოლარით (51%) ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. რუსეთთან ექსპორტი 62%-ით, უკრაინასთან 77%-ით, სომხეთთან 52%-ით, ხოლო აზერბაიჯანთან კი 23%-ით შემცირდა.

რუსეთში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები ფულად გზავნილებზეც აისახა. საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილების 49% რუსეთის ფედერაციიდან ირიცხება. 2014 წელს ფულადი გზავნილები რუსეთიდან 92 მლნ აშშ დოლარით (11.5%), ხოლო უკრაინიდან 15 მლნ აშშ დოლარით (32.4%) შემცირდა. მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში ფულადი გზავნილები 46 მლნ აშშ დოლარით (23%), ხოლო რუსეთიდან ფულადი გზავნილები კი, წინა წლის იანვარ-თებერვალთან შედარებით, 43 მლნ აშშ დოლარით (44%-ით) შემცირდა.

დასასრულს, ნათელია, რომ ლარის გაუფასურებას როგორც შიდა ფაქტორები (ეკონომიკური ზრდის ტემპის ვარდნა, გასული წლის ნოემბერ-დეკემბერში ბიუჯეტის დეფიციტური ხარჯვა, სავიზო რეჟიმის გამკაცრებით გამოწვეული ტურიზმის შემცირება, უცხოური კაპიტალის ნაკადების კლება, არაკოორდინირებული განცხადებები ხელისუფლების წევრების მხრიდან და სხვა), ასევე გარე ფაქტორებიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს. ქვეყანას უნდა გააჩნდეს მწყობრი სტრატეგია, პერსპექტივების ხედვის, მიზნების დასახვისა და მათი განხორციელების უნარი, რაც მოითხოვს სახელმწიფო ხელისუფლების როლის ამაღლებას ეკონომიკური პროცესების რეგულირებაში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. „ეკონომიკური განვითარების თეორიული ასპექტები და გლობალიზაცია“. შრომები, ტ. VIII, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, „სიახლე“, 2010.
2. [bargu.by/2176-makroekonomicheskaya-politika-i-platezhnyy-balans-html](http://bargu.by/2176-makroekonomicheskaya-politika-i-platezhnyy-balans-html). akroekonomiceskaia politika i platiojnii balans
3. „ეკონომიკის საგარეო სექტორი და საგადასახდლო ბალანსი“. საქართველოს ეროვნული ბანკი. წლიური ანგარიშები.
4. <http://knigi-uchebniki.com/ekonomika-mejdunarodnaya/disproportsii-platejnom-balanse-prichinyi.html>
5. <http://kazbook.narod.ru/makro/r3-g2-4.htm> Диспропорции в платёжном балансе
6. [http://www.agropolis-nw.ru/mirovaya-ekonomika-meo/platezhnyj\\_balans\\_i2.html](http://www.agropolis-nw.ru/mirovaya-ekonomika-meo/platezhnyj_balans_i2.html) Платежный баланс
7. <http://uchebnik-besplatno.com/mirovaya-ekonomika-uchebnik/problema-sbalansirovannosti-platejnogo.html> Проблема сбалансированности Платежного Баланса
8. <http://www.pandia.ru/text/77/202/63492.php> Теоретические модели платёжного баланса

*Nunu Kistauri  
Medea Melashvili*

### METHODS AND CONCEPTIONS OF BALANCE OF PAYMENT AND ITS CURRENT SITUATION Annotation

The article analyzes such significant issues of modern economy as balance of payments, different conceptions and models of its regulation. The authors present the opinions on the problem of world-wide scientists \_ economists as: D. Rickardo, A. Smith D. Hugh, so-called Keynesians: R. Hurrod, R. Mandel etc.

The article discussed the latest situation of balance of payments and trade balance of Georgia, the causes of their main negative indices.

*თინათინ ქურდაძე*

### საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის სრულყოფის საკითხისათვის

საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის სრულყოფის საკითხებია ძირითადი ქვაკუთხედი, რომელიც ყოველთვის იყო და არის პრობლემატური და აქტუალური მისი საქვეყნო ეკონომიკური დანიშნულებიდან გამომდინარე. მაგრამ დღეს საქართველოში ძალზე ძნელია ვისაუბროთ ეკონომიკური ბერკეტების აკარგვიანობაზე, როდესაც ქვეყნის მოქმედი ეკონომიკური გუნდი და საერთოდ მთავრობა არის პასიური, რომელიც ინერციით ვითარდება და მისი წარმატება დამოკიდებულია მხოლოდ გამართლებაზე, როგორც ეს ხდება ლატარიაში ან კაზინოში. იმისათვის, რომ გავარკვიოთ რა არის მიზეზი ქვეყნის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შევსების და ეროვნული ვალუტის არასტაბილურობისა, საჭიროა ზოგადი და ცალკეული ეკონომიკური ვარიაციების განხილვა სხვადასხვა ასპექტში, რასაც შევეცდებით დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე როგორც საშინაო, ისე გარე ფაქტორების გათვალისწინებით.

საერთოდ ეკონომიკაში ყველაფერი ერთმანეთზე დამოკიდებული და ამიტომ ვინმეზე გადაბრლება და რაიმეს გამორიცხვა სრულიად მიუღებელია. აქ ასევე დიდ როლს თამაშობს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარება, მოსახლეობის განწყობა (უზნადის განწყობის თეორია ყველაზე მეტად ეკონომიკაში მუშაობს, პოლიტიკურის შემდგომ), ანუ საზოგადოებრივი აზრი და ყველაზე მთავარი – მიკრო და მაკროგარემო, ანუ საერთო ეკონომიკური კლიმატი. ამის გამონაკლისი მაგალითია ჯანდაცვაში განხორციელებული რეფორმები, ახლა კიდევ ახალი პროგრამა „ც“ ჰეპატიტის უფასოდ მკურნალობისა. მაგრამ, როგორც ირკვევა, მას საცდელი ხასიათი აქვს, ვინაიდან უფასო მხოლოდ ყველა სათაურში, მითუმეტეს ჩვენ პირობებში და საქართველოს ეკონომიკურ სინამდვილეში. ეს ერთეული და მჭირი მაგალითია იმ საერთო პრობლემათა ჯაჭვში, რომელიც ძალზე დიდია. ჩვენი განხილვის უმთავრესი ობიექტი კი საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის სრულყოფის საკითხებია, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირება და სხვა საბიუჯეტო პროცესები და საგადასახადო კანონმდებლობა. ამიტომ გადავხედოთ რა გაკეთდა, როგორ გაკეთდა და რა ვერ ან არ გაკეთდა!?

როგორც ცნობილია, სახელმწიფო ბიუჯეტი ზოგადად და საქართველოშიც, ორიენტირებულია სოციალურ-ლიბერალური ამოცანების სწორად განსაზღვრასა და აღსრულებაზე. ესაა უმთავრესი პრობლემა ჩვენი აზრით, რომ დროულად და მართლზომიერად მოხდეს მისი გადაწყვეტა და არა მისი გახანგრძლივება დროში, როგორც ეს იყო დაგვიანებული საბიუჯეტო ვალდებულებების აღსრულებისას უახლოეს წარსულში, ანუ გასული საუკუნის ბოლოს. ამ ამოცანებიდან უნდა გამოვეყოთ სახელმწიფო ხარჯებისა და შემოსავლების ორგანიზაციული და სტრატეგიული სისტემის შექმნა და მისი სწორად წარმართვა. აქ იგულისხმება ძირითადად ის, რომ საბიუჯეტო პროცესმა უნდა განსაზღვროს ქვეყნის ტერიტორიაზე გაწეული ხარჯების მთლიანობა და მათი უზრუნველყოფა შესაბამისი ოდენობის საბიუჯეტო შემოსავლებით, მაგალითად, 2013 წელს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი ვერ შესრულდა და დანაკლისმა 600 მილიონი ლარი შეადგინა, ასევე დააკლდა ხარჯებსაც, მაგრამ მთლიანად ყველა ძირითადი მიმართულებით ხარჯები შესრულდა იმაზე მეტად, ვიდრე 2012 წელს. ამის საპირისპიროდ, 2014 წელს კი ეს გარდევს კიდევ გაიზარდა და შეადგინა 700 მილიონი ლარი. 2015 წლისთვის დაგეგმილი ეკონომიკური ზრდა 3,6%-ისა, უკვე 2,3%-ია. აქაც EBRD-ის დასკვნა გახდა გადამწყვეტი, ჩვენ კი მორჩილი ვართ მათი მოთხოვნების; გასაკვება, რომ დონორი ხარ, მაგრამ სად არის ეკონომიკური ლიბერალიზმი, დამოუკიდებლობა, ტრადიციულობა და სპეციფიკა. მაგრამ, თუ ეს პროცესები არ შეჩერდა, საერთოდ ეკონომიკურ ზრდაზე ლაპარაკიც ზედმეტია ქვეყანაში მიმდინარე ინვესტიციების მკვეთრი შემცირებისა და ეროვნული ვალუტის მკვეთრი გაუფასურების ფონზე, ასე რომ, ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროების მიერ ჩატარებული წინასწარი გათვლები და ბოლო პერიოდში მიცემული ინტერვიუები უკვე

არასერიოზულია და იმის შთაბეჭდილება იქმნება, რომ ისინი იმყოფებიან ეკონომიკურად ვირტუალურ საქართველოში. ჯერჯერობით რომ არავითარი ეკონომიკური ზრდა აღარ იქნება, უკვე საუბრობენ და პროგნოზირებენ საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციებით, როგორებიცაა სავალუტო ფონდი, მსოფლიოს განვითარების და რეკონსტრუქციის ბანკის წარმომადგენლები და სხვები.

ყოველივე ამის ფონზე სრულიად პარადოქსულია ის დასკვნები და პროგნოზები, რომლებიც პრესამ და მასმედიაში გააკეთა 14-15 მაისს თბილისში, EBRD-ს მიერ ყოველწლიურად ჩატარებულ რიგით 24-ე შეხვედრასა და ბიზნესფორუმზე, რომელშიც 60-ზე მეტი ქვეყანა მონაწილეობდა, მისმა პრეზიდენტმა სუმა ჩაკრაპარტიმ განაცხადა, რომ ქვეყანაში არანეულებრივი ეკონომიკური გარემოა, ბანკები ხელს უწყობს ინოვაციებსა და მოდერნიზაციას, ხოლო ისინი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობენ ყოველწლიურად გამართულ შეხვედრებსა და სხდომებზე, საბანკო განხილვებს და ინვესტიციების შემოდინების საკითხებს საქართველოში. ეს, ერთი მხრივ, კარგია, მაგრამ ცუდია, როდესაც მთავრობა მხოლოდ გარე ინიექციების იმედად ცდილობს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირებას, იმის მაგივრად, რომ მოიძიოს შიდა რესურსები კვალიფიციური პროფესიონალი კადრებითა და ბიზნეს-გეგმებით, რაც ხელს შეუწყობს საშუალო და მცირე ბიზნესის აღმადგენლობას, გადამამუშავებელი და მცირე საწარმოების მთელი სიმძლავრით ამუშავებას და სხვა. მართალია, დღეს საქართველოში ბიზნესი ნამდვილად გათავისუფლებულია ყველანაირი წინეხისაგან, მაგრამ, იმავდროულად, მოკლებულია ფულადი ბაზრის პრივილეგიებს კრედიტების გაძვირებისა და შეღავათების არქონის გამო. სანამ არ გვექნება განვითარებული საფონდო, ანუ ფინანსური ბაზარი, მანამ არ იქნება არც მყარი ვალუტა და არც მდგრადი განვითარებული ეკონომიკა. ამიტომ მიგვაჩნია, რომ საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტის ეროვნული ბანკისაგან დისტანცირება უფრო ადრე უნდა მომხდარიყო, რაც თავიდან აგვაცილებდა როგორც ეროვნული ვალუტის გაუფასურებას, ასევე ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირებისას თანხების დაზოგვასაც. ალოგიკურია ისიც, რომ პარადოქსული რეჟიმში ფიქსირდება ეკონომიკური ზრდის შემცირება, თანაც წახალისება, რომ ქვეყნის ეკონომიკა ძალიან კარგად ვითარდებოდეს. სრულიად გაურკვეველია ვინ ვის და ვალებას ასრულებს და ემსახურება. მეტი ეროვნულობა და იმპროვიზაცია საჭირო ეკონომიკაშიც.

მაშინ, როდესაც ქვეყანა უამრავი ეკონომიკური, საბიუჯეტო და საბანკო გამოწვევის წინაშეა, ყოველივე ეს პოლიტიკურ ელფერს იძენს. აქ განსაკუთრებით უნდა გამოვეყოთ ეროვნული ვალუტის გაუფასურებას, რაც ყველაზე მეტად მოსახლეობის სწორედ საშუალო და ღარიბ ფენას აწვებს პირველადი მოხმარების პროდუქციის გაძვირებითა და სოციალური დახმარებების შემცირებით. მთავრობამ რამდენიც არ უნდა უარყოს და შეაღამაზოს არსებული რეალობა, სახეზეა ეკონომიკური და სავალუტო კრიზისი, 30%-იანი დეველუაცია და არასტაბილური ეროვნული ვალუტა. 2015 წლის პირველი ნახევარი ჯერჯერობით არცთუ ისე კარგად დაიწყო და ეს რეჟეები უსასრულოდ გრძელდება. აქაც ისევ ეროვნული ბანკის საქმიანობის შემსწავლელი საგამომიებო კომისიის შექმნის საკითხი, მისი საქმიანობის განცალკევებულად შესწავლა არამართებულია ფინანსთა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროების საქმიანობის შესწავლის გვერდის ავლით. ხოლო რაც შეეხება ეროვნული ბანკიდან საზედამხებელო სამსახურის გამიჯვნას, რაც დიდი განსჯის საგანია, ზემოთაც ხაზი გავუსვი მის დამოუკიდებელ ეკონომიკურ ერთეულად ჩამოყალიბების აუცილებლობას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება საზოგადოების, ხოლო ანგარიშვალდებული – პარლამენტის წინაშე.

საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფისა და მასში მიმდინარე პროცესების ერთ-ერთი ბარომეტრი ვალუტის კურსის ცვალებადობაა. ეროვნული ბანკმა 2013 წელს 500 მილიონ აშშ \$-ზე მეტი შეიძინა დოლარის კურსის დასარეგულირებლად, ინტერვენციის მიზნით, გასულ 2014 წელს 480 მილიონ აშშ \$ გაყიდა ხელოჯერული აუთორიტატის ჩასაცხრობად, თითქოს წონასწორობა შეინარჩუნა პირველი კვარტლის ბოლოს ეს პროცესები ისევ გადრმავედა, ამიტომ ეროვნული ბანკი იძულებული გახდა, აეღო სახაზინო ვალდებულებები და გამოეშვა 350 მილიონი ლარის ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ექვსმა კომერციულმა ბანკმა შეიძინა, საშუალო წლიური პროცენტული განაკვეთი - 4,25%, მაქსიმალური მოგება - 4,44%, საშუალო შეწონილი ღირებულება - 4,37%-ით განისაზღვრა. ბოლოს კი 60 მილიონი აშშ \$-ის ყიდვა მოუწია, რათა ლარის კურსი როგორმე გაემყარებინა. 2015 წლის აპრილში ინფლაცია 25%-ია, როდესაც ლარის გაუფასურებამ უკვე ძალიან საშიშ ზღვარს მიაღწია, ყოფილი ექს-პრემიერის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, ეროვნულმა ბანკმა ისევ გამოიტანა გასაყიდად ბანკათშორის ბირჟაზე 40 მილიონი აშშ \$, მაგრამ უშედეგოდ, ლარის გაუფასურების პროცესი უფრო გაღრმავდა. ასე რომ, მარტო მონეტარული პოლიტიკით ეკონომიკის ზრდის დაფიქსირება არცთუ სახარბიელოა და დიდხანს ვერ გაგრძელდება, უნდა მოხდეს საბიუჯეტო ვალდებულებათა სრულყოფა, საგადასახადო ტვირთის უფრო შემსუბუქება, საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია, და, ბოლოს, ეკონომიკის რეალური ამუშავება შეპირებული 100 საწარმოთი, იაფი ფულის (კრედიტების) გაცემის პროგრამით, ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობით, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობით, ინვესტიციების შემოდინებით და სხვა უამრავი ბერკეტის ამოქმედებით, ანუ ფულის დასაქონლებით. მაშინ იქნება ლარი სტაბილური, ხოლო ბიუჯეტი რეალური და ნაკლებად დეფიციტური. ფინანსთა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის და ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ყოველივე ამაზე მოქმედებს შიდა პოლიტიკური რეჟეები და გარე ფაქტორები უკრაინასა და რუსეთს შორის არსებული კონფლიქტი, საიდანაც ვალუტა შემოედინებოდა და სხვა სავაჭრო და ეკონომიკური კავშირებიც იყო, ასევე ტურისტული სეზონის მოლოდინი. ამიტომაც მდგომარეობის გამოსწორებას საფხულდისთვის პროგნოზირებენ, ეს შეიძლება ნაწილობრივ რეალურიცაა, მაგრამ საფხულს მოსდევს შემოდგომა, შემოდგომას ზამთარი და ა.შ. ამიტომ საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის სრულყოფაზე ეკონომიკური ზემოქმედების პარამეტრები გრძელვადიან პერიოდზე უნდა იყოს გათვლილი. ფაქტია, რომ მიმდინარე წელს ეკონომიკამ რეალურად 550-600 მილიონი აშშ დოლარი დაკარგა. ამიტომ საჭიროა და აუცილებელიც, შეცვალოს სახელმწიფომ დღეისათვის არსებული ეკონომიკური მიდგომა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერი მიდის მთავრობის ეკონომიკური გუნდის საქმიანობაში რადიკალური ცვლილებების შეტანის აუცილებლობამდე.

ქვეყანაში მსგავს ეკონომიკურ პროცესებში სახელმწიფოს პირდაპირი მონაწილეობის დროს არანაკლებ მნიშვნელოვანია სწორედ რესურსების გამოყენების ეფექტიანობის საკითხი, რაზედაც ზემოთ მოგახსენებდით.



ასევე საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ იმის მაგივრად, რომ მთავრობამ მიიღოს რადიკალური ზომები სუბსიდიების შემცირებისა და საგადასახადო ტვირთის შემცირებით, სამწუხაროდ, დღის წესრიგში დადგა ხარჯების შემცირება. აქ ისმის კითხვა რომელი? ჩვენ ვიცით, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) გაანგარიშება ხდება სამი მეთოდით: წარმოების, შემოსავლების და საბოლოო მოხმარებით. წარმოების როლი მიზერულია, შემოსავლები შემცირებულია, ხოლო მოხმარება-მოთხოვნა გაზრდილია. საუბარი ხარჯების შემცირებაზე არ კონკრეტდება, მხოლოდ აღნიშნავენ, რომ ეს არ მოხდება ჯანდაცვისა და სოციალური დახმარებების შემცირების ხარჯზე, ეს უკვე კარგია. ასევე საგულისხმოა ისიც, რომ, პრიორიტეტები, რომლებიც ქვეყნის წინაშე ჯანდაცვის, განათლების და სოფლის მეურნეობის კუთხით, ასევე საფრთხის წინაშეა. ის, რომ სხვა ქვეყნები უარეს მდგომარეობაში არიან, ჩვენთვის არაფერი შევბაა და არანაირი გამართლება არა აქვს მსგავსი პარალელების გავლებას და ეს კიდევ უფრო ამძაფრებს წარმოდგენას ჩვენი მთავრობისა და ეკონომიკური გუნდის არაეფექტიანი საქმიანობის შესახებ.

იმედის მომცემია ის, რომ საქართველოს მთავრობამ და მსოფლიო ბანკმა ხელი მოაწერეს ორ საფინანსო ხელშეკრულებას რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRRD) მიერ კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის პროგრამული განვითარების პოლიტიკის, ასევე ქვეყანაში ინკლუზიური ზრდის პროგრამული განვითარების პოლიტიკის ღონისძიებებისთვის, ჯამში, 120 მილიონ აშშ \$-ის გამოყოფის თაობაზე, რაც გულისხმობს სახელმწიფო დაწესებულებების ფისკალური კონტროლის გაძლიერებას, ბიუჯეტის დაგეგმვის და სამოქალაქო სერვისების სისტემის რეფორმის გაუმჯობესებას, სოციალური ხარჯების ეფექტიანობის უზრუნველყოფს. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს „საპარტნიორო ფონდ“-ის საქმიანობის როლი ეკონომიკაში არსებული პრობლემების აღმოფხვრის კუთხით. გასული წლის სექტემბერში გამოქვეყნდა მათი ფინანსური ანგარიში, რომლის აუდიტიც მოამზადა საერთაშორისო აუდიტორთა დიდი ოთხეულის წევრმა კომპანიამ KPMG-იმ. ამ ანგარიშის მიხედვით, 2013 წლის ფონდის მოგება - 73 მლნ. 569 ათასი ლარი შეადგინა, რაც 8%-ით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე, ხოლო მთლიანმა შემოსავლებმა 979 მილიონი ლარი შეადგინა. რაც შეეხება ჯამურ აქტივებს, იგი 3%-ით გაიზარდა და 5 მილიარდ ლარს გადააჭარბა. ფონდის საინვესტიციო პროექტების მთლიანი მოცულობა 2 მილიარდ \$-მდე გაიზარდა. ამჟამად მიმდინარეობს 2014 წლის ფინანსური ანგარიშის აუდიტი და, ვფიქრობ, ციფრები გაცილებით შთამბეჭდავი იქნება. სხვა აქტიურ ოპერაციებთან ერთად, წელს იგეგმება, რომ ბაზარს მიეწოდოს, მხოლოდ კაპიტალის სახით, 150 მილიონ აშშ \$-ზე მეტი. აქედან ყველაზე პრიორიტეტული დარგები იქნება ენერჯეტიკა, მშენებლობა, გარემოს დაცვა, ტურიზმი და ყოველივე ამის საფუძველზე დასაქმების პრობლემის გარკვეულწილად აღმოფხვრას.

დღეისათვის საქართველოში ფინანსურ ბაზარზე საბანკო სისტემა მონოპოლისტად ჩამოყალიბდა. ფინანსურ, ანუ საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემაში აქტივების 90%-ზე მეტი საბანკო სექტორზე მოდის. მაშინ როცა ევროპის ცენტრალური ბანკის მონაცემებით, ევროზონაში ფინანსური სექტორის მთლიან აქტივებში ბანკები 60%-იანი წილით არიან წარმოდგენილი, აშშ-ში 23,4%-ია, ე.ი. ფინანსური სისტემის მეოთხედზე ნაკლებს წარმოადგენს. ჩვენი საბანკო ბაზარი ნაკლებად კონკურენტულია. მცირე ზომის ბანკები, რომლებიც, რადიკალური თვალსაზრისით, უმრავლესობას შეადგენენ, მათი შესაძლებლობები იმდენად მიზერული აქვთ, რომ არსებით გავლენას საბაზრო განაკვეთებზე ვერ ახდენენ. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების საბიუჯეტო დაფინანსების დეფიციტის გამო აუცილებელია უცხოური კაპიტალის შემოსვლა. ამ პროცესის უზრუნველყოფაში ორგანიზებული ბაზრის ფუნქციას ადგილობრივი საფონდო ბირჟა ასრულებს. 2012 წელს პარლამენტის საბიუჯეტო კომიტეტმა წარმოადგინა კანონპროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა ეროვნული ბანკის კომპეტენციის სფეროდან ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების გამოტანას და ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის აღდგენას. მიუხედავად ამ კანონის მომზადებისა, მისი განხილვა კვლავაც არ მომხდარა. რა არის მიზეზი ამ ინსტიტუტისადმი მოსახლეობის უნდობლობისა და სკეპტიკური დამოკიდებულებისა. ამისათვის საჭიროა სახელმწიფომ შეიმუშაოს სტრატეგიული გეგმა, რომელიც გათვლილი იქნება ფკ-ის განვითარების გრძელვადიან პერსპექტივაზე. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ინვესტიციების შემოდინებას და დაბანდებას კორპორაციულ ფკ-ში, რაც ეკონომიკის ზრდის და საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის პრობლემათა სრულყოფის საფუძველი იქნება.

მნიშვნელოვანია ის, რომ რიგის განვიღომა სამიტმა მომავალში მაინც გარკვეული ცვლილებები შეიტანოს არა მარტო სავიზო რეჟიმის გამარტივების, არამედ ეკონომიკური კავშირების გაღრმავებისა და ინვესტიციების შემოდინების კუთხითაც, რაც, ჩვენი აზრით, უფრო აქტუალურია ქვეყანაში არსებულ საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის სრულყოფისათვის. იმედია, ამაზე მეტი ძალისხმევა იქნება გაწეული ევროკავშირთან ხელშეკრულების ხელმოწერისთვის მზადების პროცესში, რასაც სჭირდება როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური ნება, რადგან ქვეყანა სრულიად პოლიტიზებულია, რაც წითელ ზოლად გაჰყვება ჩვენს ეკონომიკას 150 ლარიან პენსიასა და სხვა უამრავ პრობლემასთან ერთად, რასაც ევროკავშირი არგუმენტად იშველიებს ჩვენი ამ კავშირში მიღების ვადის დროში გაჭიანურების გამო.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ვლადიმერ (ლადო) პაპავა, არატრადიციული ეკონომიკის, თბილისი, 2011.
2. ვლადიმერ (ლადო) პაპავა, საქართველოს ეკონომიკა, რეფორმები და ფსევდორეფორმები, გამომცემლობა „ინტელექტი“ თბილისი, 2015.
3. И. К. Ковзанадзе, Тенденции и Перспективы Развития Экономики и Банковского Сектора Трансформационных Стран, М., 2005.
4. საქართველოს კანონი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი“.
5. საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“.
6. საქართველოს სტატისტიკური სამმართველოს მონაცემები.
7. პერიოდული გამოცემები, გაზეთები - „ბანკები და ფინანსები“.

IMPROVING OF BUDGET-TAX SYSTEM  
Annotation

The main task for government for improving of budget-tax (fiscal) system first of all is establishing advantageous finance, economic and social conditions for people and after this strengthening fiscal policy by connection of economy based on infrastructural development.

ბავლინა ყიფიანი

დასაქმება, როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის უპირველესი მიზანი

დასაქმებისა და უმუშევრობის მახასიათებლები ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ინდიკატორებად ითვლება. სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიზნებისა და მიმართულებების განსაზღვრა მრავალი სოციალური და ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით, მხოლოდ სრულფასოვანი და რეალური ინფორმაციის მოპოვების შემდეგ არის შესაძლებელი. მათ შორის კი ყოველთვის უმთავრესი ადგილი დასაქმების მაღალ და მყარ დონეს უკავია. ინფორმაცია ქვეყნის საერთო მოსახლეობაში დასაქმებულთა და უმუშევართა რაოდენობის შესახებ, პირდაპირ გვაძლევს პასუხს უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, კერძოდ მოსახლეობის ცხოვრების დონეზე.

უმუშევრობით გამოწვეული უარყოფითი შედეგები მით უფრო მძიმე და სავალალოა, რაც უფრო ხანგრძლივია ეს პროცესი. ამ დროს მცირდება მოსახლეობის შემოსავლები, ქვეითდება მყიდველობითი უნარი, მძიმდება სოციალური გარემო და, რაც ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია, წლების განმავლობაში სამუშაოს ძებნის პროცესს პროფესიულ-კვალიფიციური ცოდნის დონის დაქვეითება მოჰყვება. მნიშვნელოვანია ის ფსიქოლოგიური და ნერვული სტრესი, რომელსაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში სამუშაოს ძებნა იწვევს და ადამიანს არასრულფასოვნების შეგრძნებას უქალებს.

საქართველოში ამ პროცესებთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ საკმაოდ ბევრს მსჯელობენ, კამათობენ, პოლიტიკური და სოციალური დაპირისპირების უმთავრეს ბერკეტადაც „მოქნილად“ იყენებენ და, რაც ყველაზე მთავარი და სავალალოა, საქმე წინ მაინც ვერ მიდის...

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ქვეყანას არ დაკლებია მწვავე და მძიმე ხასიათის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები: ტრადიციული ეკონომიკური კავშირების რღვევა, სამოქალაქო დაპირისპირება, ტერიტორიების დაკარგვა, სამეწარმეო და ინფრასტრუქტურის განაწინაგება, გლობალური კრიზისებისა და პროცესების ნეგატიური გავლენა, რუსეთ-საქართველოს შორის შეიარაღებული დაპირისპირება, ქვეყნის შიგა პოლიტიკური ბატალიები...

ხელისუფლების მიერ ბოლო წლებში მრავალი სხვადასხვა სახის ღონისძიებები იქნა განხორციელებული დასაქმების პრობლემების გადაწყვეტის მიმართულებით, რომელსაც მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია. კერძოდ, უპროცენტო კრედიტები 2 წლის ვადით მცირე ბიზნესზე; უმუშევართა მომზადება-გადამზადების პროგრამა; სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის მიზნობრივი სოციალური დახმარებანი; „ იაფი კრედიტის“ პროგრამა; ახალი სამუშაო ადგილების შემქმნელი სამეურნეო ობიექტების გათავისუფლება საშემოსავლო გადასახადისაგან. ხელისუფლების მიერ განხორციელებული ზემოთ ჩამოთვლილი ერთჯერადი პროგრამებით ვერ მოხერხდა მოსახლეობის დასაქმების დონის ამაღლება, პირიქით, კიდევ უფრო გაიზარდა უმუშევრობის დონე.

2012 წლის შემოდგომიდან, ახლად მოსულმა ხელისუფლებამ თავდაპირველად დადებითი ნაბიჯები გადადგა, რაც შრომის კოდექსში შეტანილი ცვლილებებით დაიწყო. გაიზარდა დასაქმებულთა უფლებები და სოციალური გარანტიები, მნიშვნელოვნად მოიმატა სოფლის მეურნეობისადმი მხარდაჭერამ, დაიწყო იაფი კრედიტების გაცემა ფერმერული მეურნეობებისათვის, სუბსიდიები მეღვინეობის სექტორში, უფასო სწავლების პროგრამა პროფესიულ და სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში მთელ რიგ სპეციალობებზე, ამოქმედდა პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ და სხვა...

მიუხედავად ამისა, ქვეყანაში ჯერ კიდევ არ ჩანს ახალი სამუშაო ადგილები, პირიქით, 2014 წლის ბოლოდან მიმდინარე პერიოდამდე ეროვნული ვალუტის გაუფასურებასთან დაკავშირებულმა პროცესებმა მნიშვნელოვნად უარყოფითი გავლენა იქონია შრომის ბაზარზეც. ეკონომიკური ზრდის შენელებამ და, მით უფრო, მისმა დაბალმა ხარისხობრივმა მაჩვენებლებმა მნიშვნელოვნად შეამცირა მოსახლეობის მყიდველობითი უნარი. ეს კი პირდაპირ უკავშირდება საშინაო ბაზრის არასტაბილურობას. ხელისუფლებამ ვერც ამჯერად შეძლო რეალური სამუშაო ადგილების შექმნა და, მით უფრო, მათი შენარჩუნება დროის მცირე მონაკვეთშიც კი.

საბაზრო ურთიერთობების რეგულირების კეისური მექანიზმი აუცილებლობად მიიჩნევა სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას ეკონომიკური ზრდის დაცემისა და მაღალი უმუშევრობის დროს. ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირებამ ახალი საფრთხეები წარმოშვა, რაც პირველ რიგში, დასაქმებულებს შეეხო. სახელმწიფოს მხრიდან სწორედ ამ დროს არის აუცილებელი ქმედითი და გაბედული ღონისძიებების გატარება: მთავარია უმუშევრობის გამომწვევი რეალური მიზეზების ანალიზისა და არგუმენტირებულ ინფორმაციაზე დაფუძნებული დასაქმების გრძელვადიანი პროგრამის შემუშავება, სამეწარმეო საქმიანობისათვის საშუალო და მცირე ბიზნესზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება, რეალური ეკონომიკური სექტორის ადგილი და აღდგენა და გაძლიერება, ადგილობრივი ნედლეულისა და მასალების ბაზარზე მცირე საწარმოების ამოქმედება.

საქართველოში სამუშაო ძალის მნიშვნელოვანი ნაწილი ინტენსიურად არის ჩართული მიგრაციულ პროცესებში, რაც კიდევ უფრო ამძიმებს კვალიფიციური სამუშაო ძალის დასაქმებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. 2014 წლის მოსახლეობის აღწერის ძირითადმა მაჩვენებლებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ სწორედ დასაქმებისა და სამუშაოს ძებნის მიზნითაა გასული ქვეყნიდან მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი – 740000 კაცი (რეალურად, ალბათ, გაცილებით უფრო მეტი). ადამიანთა კეთილდღეობის ძირითადი მაჩვენებ-

ლები სწორედ დასაქმებით არის განპირობებული. უმუშევართათვის სამუშაო ადგილების შექმნის პროცესს თან მოჰყვება მოსახლეობის ყველა ფენის მყიდველობითი უნარის გაუმჯობესება, რაც საშინაო ბაზრის ჩამოყალიბებას განაპირობებს. სწორედ დასაქმებისა და დასაქმებულთა მწარმოებლურობის მაჩვენებელთა ზრდით იქმნება მყარი საფუძველი ხელფასის მატებისათვის, რასაც შედეგად ფასების სტაბილიზაცია და შემცირება მოჰყვება. ეს პროცესები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და, ჯამში, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას იწვევს. ეს კი სახელმწიფოს მიერ სწორად წარმართული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია. ამ პოლიტიკის წარმატებულად განხორციელებისთვის სახელმწიფოს ხელთ მრავალი ბერკეტი არსებობს. მთავარია მათი გამოყენების სურვილი და პოლიტიკური ნება.

#### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ბარათაშვილი ე., ხანიშვილი ნ. „მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმების დონის ამაღლების ტენდენციები საქართველოს რეგიონებში“. პროფესორ-მასწავლებელთა მეორე რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია, ქუთაისის უნივერსიტეტი, 2010, ქუთაისი.
2. გაბელაშვილი კ. „უმუშევრობის პრობლემა საქართველოში და მისი დაძლევის ძირითადი მიმართულებები“, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ქუთაისის უნივერსიტეტი, 2013, ქუთაისი.
3. პაპავა ვლ., „საქართველოს ეკონომიკა (რეფორმები და ფსევდორეფორმები), თბილისი, „ინტელექტი“, 2015.

*Mavlina Kipiani*

### **EMPLOYMENT AS A PRIMARY OBJECTIVE FOR ECONOMIC POLICY OF THE STATE**

#### **Annotation**

The rate of employment and unemployment are considered as indicators of economic development of the country. First of all, the government needs information reflecting number of employed and unemployed persons (including other indicators) for managing economics in the country. Otherwise, it's impossible to determine basic directions of economic policy. The goal of economic policy is high standard of employment. The real working places and their keeping for a long time can be achieved on the basis of stable economic development.

Keynesian mechanism for regulation of market relations considers that active involvement of the state in the time of depression and high unemployment is essential. This mechanism is particularly important for countries with economies in transition to a market economy (the first for post-Soviet space).

The key indicators of human welfare are stipulated by employment. The job-creating process to unemployed persons is followed by improvement of purchasing ability of all stratum of the population which stipulates development of the domestic market. Just growing output of employed and unemployed persons makes basis for salary growth which is followed by stabilization and reduction of prices. Many tools are available for the successful implementation of this policy. The most important is their use and political will.

*Карина Юрьевна Шерстюкова*

### **МЕХАНИЗМ ГОСУДАРСТВЕННОГО РЕГУЛИРОВАНИЯ РЕНТНЫХ ОТНОШЕНИЙ В НЕДРОДОБЫВАЮЩЕМ СЕКТОРЕ ЭКОНОМИКИ**

В современной системе рентных отношений государство занимает особое место. Зарубежный опыт свидетельствует о двойственной роли государства в системе регулирования рентного механизма экономики в целом и недродобывающего сектора в частности. С одной стороны, государство, располагая определенным набором методов, инструментов и рычагов, стремится получить максимум доходов, а с другой стороны, являясь собственником рентного ресурса, должно максимально стимулировать других субъектов рентных отношений (инвесторов, недропользователей) и обеспечивать условия их экономической эффективности. Преодоление государством этой двойственности зависит от целого ряда факторов (уровня экономической свободы, степени развития экономических институтов и т.п.). Основной задачей государства является изъятие и распределение рентных доходов во благо всех граждан страны, так как природные ресурсы принадлежат всему обществу, независимо от формы собственности экономических субъектов, занимающихся недродобычей.

К настоящему времени в мировой экономике сформировались и используются две модели системы предоставления государством права пользования недрами: разрешительная (лицензионная) и договорная (контрактная) [4; 7; 8].

Разрешительная модель предполагает распределение государством лицензий (разрешений) на пользование природными ресурсами на конкурсной основе и заключение с недропользователями лицензионного соглашения. Особенность модели состоит в том, что все налоговые сборы приходятся на хозяйствующую компанию-недропользователя. Основой функционирования лицензионной системы является широкое применение таких рентных платежей и налогов (рычагов регулирования), как: бонусы (разовые платежи); ренталс (ежегодные платежи за право поиска и разведки ресурсов); роялти (ежегодные платежи за право добычи ресурсов); налог на прибыль (дополнительный, единый), акциз, рентный налог на экспорт [4]. Выбор того или иного рычага зависит от конкретных задач регулирования рентных отношений и регулирующих возможностей самого рычага. Например, бонусы не дают возможности получать постоянные значительные финансовые доходы, а ренталс и роялти обеспечивают государству стабильный и систематический доход.

Договорная модель основана на заключении договоров между государством и инвестором о предоставлении права пользования недрами. Формами договоров являются: концессии, соглашения о разделе продукции (СРП) и сервисные соглашения. Концессия – договор на сдачу государством в эксплуатацию на определенных условиях недр и участков земли, предприятий и других хозяйственных объектов иностранному государству или частной фирме. Важной отличительной чертой концессии является то, что одним из субъектов взаимоотношений всегда является государство: одну часть добываемого сырья или доходов от продажи добытых ресурсов получают инвесторы, а другая часть передается государству

как плата за пользование природными ресурсами. Инвестор также несет риски поисково-разведывательных работ [8]. СРП предполагают, что только часть добытого сырья становится собственностью компании инвестора. Остальная часть направляется государству в счет оплаты за пользование природными ресурсами. Как правило, инвестор освобождается от уплаты большинства налогов на весь срок действия СРП: предполагается, что они входят в долю извлеченных ресурсов, причитающуюся государству. Обычно государство участвует в управлении деятельностью по СРП через создание государственной недродобывающей компанией совместного предприятия с компанией-инвестором. Согласно сервисным соглашениям добытые ресурсы не являются собственностью компании-инвестора. Государство также может контролировать уровень добычи и формировать стратегию предприятия. Компания-инвестор за свой счет проводит поисково-разведывательные работы, затем организует добычу природных ресурсов. Государство компенсирует его расходы, предоставляет вознаграждение за открытие новых запасов. Кроме того, инвестору выплачивается фиксированная норма прибыли [7].

Основным отличием двух систем специалисты считают право государства на изменение налоговой нагрузки: при лицензионной – есть, при договорной – нет. На практике разрешительная и договорная системы тесным образом связаны между собой.

Анализ зарубежного опыта показывает, что такие страны, как Соединенные Штаты Америки, Великобритания, Канада, Австралия, Норвегия, отдают предпочтение разрешительной модели рентного механизма. Нидерланды, Египет, Чили, Индонезия, Малайзия, Саудовская Аравия, Кувейт, Казахстан и другие страны используют систему договорных отношений.

Рассмотрим особенности механизма государственного регулирования рентных отношений в недродобывающем секторе некоторых зарубежных стран.

В Соединенных Штатах Америки собственник участка земли является и собственником недр. Для рентного механизма характерна децентрализация – изъятие основной части природной ренты и ее использование осуществляется на уровне отдельных штатов, а не на общегосударственном (федеральном) уровне. Особенностью регулирования является фиксированный роялти для континентальных месторождений – 1/8, а для шельфовых – 1/6 выручки от добытых ресурсов. Арендная плата определяется стоимостью запасов полезных ископаемых. При проведении торгов взимается бонус. Ренталс установлен в размере 741 доллар за 1 кв. км в течение первых пяти лет и 1235 долларов за 1 кв. км после пяти лет. Налог на прибыль (35%) взимается с разработчиков недр (нефти и газа) [8]. Отдельные штаты могут устанавливать свой подоходный налог. Законодательство США способствует рациональному недропользованию и росту отдачи путем предоставления скидок на истощение недр, условия добычи, местоположение участка и т.д. Примером эффективного рентного механизма является штат Аляска: 57,5% доходов недродобычи отчисляется государству (33,7% – в бюджет штата и 23,8% – в федеральную казну) [5, с. 56].

*Lyudmila Shimanovskaya-Dianich  
Badri Gechbaia*

## APPROACHES TO THE FORMATION OF THE ESSENCE AND COMPONENTS OF ECONOMIC SECURITY FROM THE LEVEL OF AN ENTERPRISE TO THE LEVEL OF A STATE

### Annotation

The article describes such things as security, economic security, national security both at the state and at the level of the enterprise. A list of the components of economic security with an indication that it may vary depending on the level of analysis and the specific environment in which the enterprise is located. Given the fact that economic security is an integral part of economic security and national security as a whole, the authors proposed a list of components of economic security based on the structure of the economic security of the State and taking into account that the economic security of the state - is its independence in the formation and development own economic system. The authors propose a list of components of economic security: technical and technological, organizational and production, resource (financial, information, energy, etc.), research and innovation, human resources, environmental and political-legal.

*დევი შონია  
ნინო მამულაძე*

### საპარტოველოს ეკონომიკის ინოვაციური აქტიურობა და საინვესტიციო გარემო

ქვეყნის საინვესტიციო გარემოს განვითარების პროცესს განსაზღვრავს მრავალი ფაქტორი, რომელთა შორის მეტად მნიშვნელოვანია ეკონომიკის ინოვაციური განვითარება, რაც, თავის მხრივ, ხელისუფლების, ბიზნესის, განათლების, ხელოვნების მჭიდრო თანამშრომლობაზე, პოლიტიკის შემუშავების პროცესში ქვეყნის მოსახლეობის ჩართულობის ხარისხზეა დამოკიდებული.

ამ მიმართულებით მიღწეული წარმატებები ქვეყნის იმ რეიტინგულ მანქანებლებში აისახება, რომლებიც განსაზღვრავს ქვეყანაში ჯანსაღი ინვესტიციების მოზიდვას, მშპ-ს ზრდას, მოწინავე ბაზრებზე ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებული წინააღმდეგობების გადალახვას.

ქვეყნის ეკონომიკის ინოვაციური აქტიურობა და მისი იმიჯის ფორმირება უდიდეს ზეგავლენას ახდენს საინვესტიციო გარემოზე, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაზე, ახალ ბაზრებზე გასვლისა და ინტეგრაციის პროცესზე.

თანამედროვე მსოფლიო საზოგადოებაში მუდმივად ვითარდება ტენდენცია საქონლისა და მომსახურების მომწოდებელი ქვეყნის აღქმაზე, სადაც მოთხოვნას მსოფლიო არენაზე მომწოდებელი სახელმწიფოს ფუნქციონირება, მისი ეკონომიკის ინოვაციური ხასიათი და იმიჯი განსაზღვრავს. მსოფლიო საზოგადოების თვალში ნებისმიერი ქვეყანა ატარებს გარკვეულ იმიჯს, მაგრამ ყველას არ გააჩნია მისი წინსვლის მკაფიოდ გამოხატული სტრატეგია.

ქვეყნის დადებითი საინვესტიციო გარემოს შექმნა – ეს არ არის მხოლოდ ეკონომიკური მიზანი. პირველ რიგში, ეს სოციალური მიზანიც არის, რაც უნდა ემსახურებოდეს დადებითი დემოგრაფიული სიტუაციის შექმნას, მოსახლეობის ცხოვრების დონისა და მათში პატრიოტიზმის გრძნობის ამაღლებას.

თანამედროვე მსოფლიოში როგორც ნებისმიერი კომპანიის, ასევე მთლიანად ქვეყნის კაპიტალიზაციის მნიშვნელოვანი ნაწილი ბრენდის შექმნით და მისი წინსვლით მიიღწევა. „თქვენ თუ ბრენდი არა ხარ – თქვენ არ არსებობთ. მაშინ ვინ ხართ თქვენ? თქვენ ჩვეულებრივი საქონელი ხართ“ – ფ.კოტლერი<sup>101</sup>. ბრენდის ტექნოლოგიები უზრუნველყოფს ასევე ქვეყნის რეპუტაციისა და მისი ინვესტიციური მიზიდველობის განვითარებას, ქვეყნისადმი ლოიალურობის გაზრდას როგორც შიდა, ასევე გარე მიზნობრივი აუდიტორიდან.

ინოვაციური ეკონომიკისა და რეფორმატორი ქვეყნის იმიჯის შექმნა ასახავს პოულობს საერთაშორისო რეიტინგებში, რომლებიც განსაზღვრავს მეტი ჯანსაღი ინვესტიციის მოზიდვას, წარმოების, ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, დასაქმებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

„ეროვნული ბრენდი უნდა იყოს გრძელვადიანი და გამოხატავდეს სახელმწიფოს მოქალაქეების მიზნებსა და ინტერესებს, უჩვენებდეს იმას, თუ რა შეუძლია შესთავაზოს ქვეყანამ მსოფლიოს. მან უნდა გააერთიანოს ქვეყნის მოქალაქეები და მოიპოვოს პოპულარულობა საზღვარგარეთ“<sup>102</sup>.

გარდა იმისა, რომ განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ მიზიდველობას, ეროვნული ბრენდი წამყვან როლს თამაშობს ასევე თანამედროვე მსოფლიოს საერთაშორისო ურთიერთობებში. სახელმწიფოს ბრენდი უნდა იყოს ემოციური იმისათვის, რომ გავრცელდეს მაქსიმალურად ფართოდ და განავითაროს ნდობა პოტენციურ მომხმარებლებში.

„ბევრი სპეციალისტი ბრენდის როლს საერთაშორისო ურთიერთობებში სათანადოდ ვერ აფასებს. პოლიტიკოსები სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების წარმატებული რეალიზაციისათვის უნდა ოპერირებდნენ სახელმწიფოს უპირატესობებით, სათავეში იმ პროდუქტების მოთავსებით, რომელთაც შეუძლიათ შექმნის მსურველთა მეტი რაოდენობის მოპოვება“<sup>103</sup>.

<sup>101</sup>Котлер Ф., 300 ключевых вопросов маркетинга: отвечает Филип Котлер/Пер. с англ. — М.: ЗАО „Олимп—Бизнес“.

<sup>102</sup>Cromwell T., Kyriacou S. Op. cit.

<sup>103</sup>Van Ham P. The Rise of the Brand State: The Postmodern Politics of Image and Reputation // Foreign Affairs. №5. 2001. P. 2-6.


„ინოვაციები ბრენდის კაპიტალს აძლიერებს და ანვითარებს, ბაზარზე კომპანიის კონკურენტული უპირატესობების ფორმირებით. ბრენდის წონა ეცემა ინოვაციური საქმიანობის კლებისას და პირიქით“<sup>104</sup>.

თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკის ინოვაციური განვითარება როგორც და წინააღმდეგობრივ პროცესს წარმოადგენს, რომლის რეალიზაციისას თავს იჩენს ისეთი ბარიერები, როგორცაა: გარემოს სწრაფი ცვლადობა, კონკურენტის მაღალი დონე, გაურკვეველობები უპირატესობებში, მომხმარებლის შაბლონური აზროვნება და ა.შ. ამ მეტად რთული ამოცანების გადაჭრა უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ მარკეტინგისა და ბრენდ-მენეჯმენტის სწორი გამოყენებით არის შესაძლებელი.

„ეკონომიკის ინოვაციური პროექტების ბრენდ-მენეჯმენტის ტექნოლოგიებით განვითარებისას, ბაზრის მიერ მისი მიღების სიჩქარე უფრო მაღალია, რაც იწვევს კონკურენტული უპირატესობის ფორმირებას. რაც უფრო მეტია ახალი პროდუქტის აღქმადი დამატებითი ფასეულობა, მით უფრო ჩქარა ადაპტირდება მის მიმართ მომხმარებელი. ინოვაციები უზრუნველყოფს ბრენდ-იმიჯის გამყარებას“<sup>105</sup>.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს, როგორც განვითარების მეტად რთულ გზაზე მყოფი ქვეყნის ეკონომიკის ინოვაციური აქტიურობა, მისი ბრენდ-მენეჯმენტისა და იმიჯის ფორმირების პროცესი უნდა განვიხილოთ მხოლოდ მჭიდრო ურთიერთკავშირში, რაც განსაზღვრავს საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღებასა და გაუმჯობესებას. იხ. ნახ.1<sup>106</sup>.

ნებისმიერი სახელმწიფოს, მათ შორის საქართველოს ეკონომიკის მიმართ სხვადასხვა მიმართულებით მსოფლიო საზოგადოების დამოკიდებულებას განსაზღვრავს ისეთი რეიტინგული შეფასებები, როგორცაა: „Anholt-GfK Roper Nation Brand Index“, „Country Brand Index“, „Best Countries for Business“, „Doing Business“ და სხვა. ისინი ეყრდნობიან ისეთი საერთაშორისო კვლევითი და სარეიტინგო ორგანიზაციების მონაცემებს, როგორცაა: Heritage Foundation, World Economic Forum, Transparency International, Freedom House, World Bank, Central Intelligence Agency და Property Rights Alliance და სხვა.



ნახ. 1

საქართველოს ეკონომიკის უკანასკნელი წლების ინოვაციური განვითარება, მიღწეული წარმატებები და მის მიმართ სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეების დამოკიდებულება აისახა საერთაშორისო რეიტინგებში და მან დიდი გავლენა მოახდინა ქვეყანაში პირდაპირი ინვესტიციების შემოდინებაზე, რაც გახდა ქვეყნის მშპ-ს ზრდის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი. განვიხილოთ საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში (იხ. დიაგრამა 1)<sup>107</sup>.

საქართველოში საინვესტიციო ნაკადების მკვეთრი ზრდის ტენდენცია შეინიშნებოდა 2004 წლიდან, რასაც იმ დროისათვის განაპირობებდა სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებული რეფორმები, შედარებით ფისკალური სტაბილურობა, ლიბერალური ეკონომიკური კურსი, ასევე მთელი რიგი სახსრების მობილიზება და ლეგალურ ჩარჩოებში მოქცევა, ქვეყნის იმიჯისა და რეპუტაციის მიმართულებით ხელისუფლების მიერ საერთაშორისო დონეზე განხორციელებული მასობრივი პიარ-კამპანიები, რაც თავის მხრივ პოზიტიურ გავლენას ახდენდა ინვესტიციების მოზიდვაზე და მშპ -ს ზრდაზე.

<sup>104</sup> См. *Остервальдер А. Пинье И.* Построение бизнес-моделей: Настольная книга стратега и новатора. М., Альпина Паблишер. Серия: Менеджмент. 2013. 288 с.

<sup>105</sup> См. *Phillips C.* Innovation and Brand Strategy in a Down Market // BSI, DASO Consulting.

URI: <http://www.brandingstrategyinsider.com> (05.10.2012).

<sup>106</sup> ავტორთა მიდგომა.

<sup>107</sup> პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა საქართველოში (2004-2014). დიაგრამა აგებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

წელი	სულ	ევროკავშირის ქვეყნებიდან	დსთ-ს ქვეყნებიდან	დანარჩენი ქვეყნებიდან
2004	499,106.5	195,542.3	114,452.1	189,112.2
2005	449,784.8	243,749.0	107,754.3	98,281.6
2006	1,190,374.6	407,189.7	266,414.3	508,028.9
2007	2,014,841.6	1,132,726.1	238,389.0	629,432.6
2008	1,563,962.4	476,655.2	94,695.6	968,960.7
2009	658,400.6	224,722.2	1,024.4	390,847.9
2010	814,496.6	348,211.4	91,155.6	429,943.5
2011	1,117,244.1	554,239.0	193,048.3	275,060.3
2012	911,564.3	440,348.3	86,736.5	321,024.8
2013	941,902.6	390,743.5	131,506.9	364,971.5
2014	1,272,452.0	640,507.4	353,048.6	384,991.0

დიაგრამა 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში  
(მლნ აშშ დოლარი 2004-2014)

წყარო: www.geostat.ge

ნახტომისებური ზრდა მოხდა 2007 წელს და დამოუკიდებლობის 22 წლიან პერიოდში პირდაპირი ინვესტიციების მოცულობამ საქართველოში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2,014,841.6 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. ინვესტიციების შემცირება დაიწყო 2008 წელს, კერძოდ მე-3 და მე-4 კვარტალში, მსოფლიო ფინანსური კრიზისისა და რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემდგომ, თუმცა წლიურმა ინვესტიციებმა მაინც სოლიდურ ნიშნულს მიაღწია და შეადგინა 1,563,962.4 ათასი აშშ დოლარი. 2009-2010 წლებშიც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა წინა წლებთან შედარებით და, შესაბამისად, 568,400.6 და 814,496.6 ათასი დოლარი შეადგინა. ინვესტიციები გაიზარდა 2011 წელს, თუმცა 2012, 2013 წლებში ის ისევ შემცირდა.

2013 წელს საქართველოს ეკონომიკური ზრდაც მკვეთრად შემცირდა. მშპ-ს ზრდა 6%-დან 2%-მდე დაკარგა და, შეიძლება ითქვას, რომ პროცესი დღესაც გრძელდება. მიზეზი ჯერ კიდევ 2013 წლის ანგარიშში – „რეგიონის ეკონომიკური პერსპექტივები“ – ევროპისა და რეკონსტრუქციის ბანკმა კერძო და სახელმწიფო ინვესტიციების შემცირებას დაუკავშირა. 2014 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის პოზიტიური პროგნოზი კი ბანკმა ორ მთავარ ფაქტორს დაუკავშირა – ქვეყანაში პოლიტიკური კლიმატის სტაბილიზაციას და რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების გაუმჯობესებას<sup>108</sup>.

ნეგატიური პროგნოზები ამ მიმართულებით სხვა კვლევითმა ორგანიზაციებმაც გააკეთა. მსოფლიო სავალუტო ფონდმა საქართველოს 2015 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 5%-დან 2%-მდე შეამცირა, რის შესახებაც ნათქვამია ფონდის ანგარიშში – „მსოფლიოს ეკონომიკური პროგნოზი“<sup>109</sup>. ამასთან, ამავე ფონდის პროგნოზით, 2015 წელს მსოფლიო ეკონომიკა 3,5%-ით გაიზარდება, განვითარებული ქვეყნების ეკონომიკა 2,4%-ით, ხოლო განვითარებადი ქვეყნების კი – 4,3%-ით.

2015 წლის საინვესტიციო მოლოდინის შემცირებას ბევრი ექსპერტი მხოლოდ სხვადასხვა მაკროეკონომიკური ფაქტორებით ხსნის. ისინი იგნორირებას უკეთებენ საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებაში დაშვებულ შეცდომებს, არსებულ გარემოში ინვესტორების სურვილების შენელების მიზეზებს, ქვეყნის ეკონომიკის ინოვაციურ აქტიურობისა და მისი იმიჯის ფორმირების პროცესის ზეგავლენას საინვესტიციო გარემოზე.

UNCTAD-ის თანახმად<sup>110</sup>, დღეისათვის სულ უფრო მეტი ნაკლებად განვითარებული ქვეყანა ახორციელებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდ პოლიტიკას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის კონკურენციას იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების ზრდას ესწრაფვიან.

არსებული კონკურენციის პირობებში, საქართველომ, როგორც ინვესტიციებზე დამოკიდებულმა ქვეყანამ, საჭიროა ინვესტიციების მოსაზიდად განახორციელოს უფრო მეტად აქტიური და აგრესიული პოლიტიკა. ამ მიმართულებით არსებული ხარვეზები კი, სერიოზული შემოფოტების საგანს უნდა წარმოადგენდეს ქვეყნის საინვესტიციო პოლიტიკის დღევანდელი შემუშავებლებისათვის. რადგან საქართველოს შიდა კაპიტალის ბაზარი კვლავ განუვითარებელია და ეკონომიკის ზრდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დაფინანსების გარე წყაროებზე – პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე, მხოლოდ ლიბერალური ეკონომიკური კურსის შენარჩუნება, რეგულაციების, გადასახადების, კორუფციის შემცირება და მაკრო- ფაქტორების გათვალისწინება საკმარისი ვერ იქნება სასურველი მიზნის მისაღწევად.

ცნობილია, რომ დღემდე განხორციელებული რეფორმებით (35 რეფორმით 2005 წლიდან), საქართველო იქცა პირველ რეფორმატორ ქვეყნად აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური ევროპის ქვეყნებს შორის. მსოფლიო ბანკის თანახმად<sup>111</sup>, ქვეყანა 2014 წელს მსოფლიო ქვეყნების ტოპათეულში მოხვდა, კერძოდ, ქონების რეგისტრაცია – პირველი ადგილი, მშენებლობის ნებართვით სარგებლობა – მე-2 ადგილი, კრედიტით სარგებლობა – მე-3 ადგილი, ბიზნესის დაწყება „Doing Business 2014“ – მე-8 ადგილი, რაშიც რეფორმებმა და ინოვაციურმა მიდგომებმა უდიდესი როლი ითამაშა. გარდა ამისა, საქართველოს აქვს „ინვესტორების დაცვის“ კრიტერიუმების უფრო მაღალი რეიტინგი ვიდრე იაპონიას, შვედეთსა და ნორვეგიას.

<sup>108</sup>EBRD.

<sup>109</sup>http://www.bpn.ge.

<sup>110</sup>UNCTAD (2012), *World Investment Report 2012: Towards a New Generation of Investment Policies*

<sup>111</sup>The World Bank; IFC (2014), *Doing Business 2013: Smarter Regulations for Small and Medium-Size Enterprises*, Washington, DC: World Bank Group.

ამ წარმატებების მიუხედავად, საქართველოს ინვესტიციური მიმზიდველობის მიმართულებით არსებობს მნიშვნელოვანი პრობლემებიც, რომელთა შორისაა: ინოვაციური პროექტების სიმცირე, ფინანსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა, შესაბამისი სამეწარმეო უნარებისა და განათლების დაბალი დონე, არააქტიური პოლიტიკა ქვეყნის იმიჯისა და მისი ბრენდინგის განვითარების მიმართულებით. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საინვესტიციო გარემო ჯერ კიდევ შორსაა საერთაშორისო, თავისუფალი ეკონომიკის და თუნდაც სხვადასხვა რეიტინგების შესაბამის სტანდარტებისგან.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის დრმა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ (DCFTA) შეთანხმების შემდგომ განვითარებასაც სწორედ ეკონომიკის ინოვაციურმა აქტიურობამ და მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნამ უნდა შეუწყოს ხელი.

ეკონომიკის ინოვაციური განვითარება და, შესაბამისად, ჯანსაღი საინვესტიციო გარემოს ფორმირება მხოლოდ მიზანმიმართული პოლიტიკის წარმართვით არის შესაძლებელი, რაც მოითხოვს საზოგადოებასა და გარემოში მიმდინარე რეალური ცვლილებების სწორად გაგებას, ქვეყნის უპირატესობებისა და მომგებიანობის განმსაზღვრელი რეალური ფაქტორების დადგენას, ხელისუფლების, ბიზნესის, განათლების, ხელოვნების მჭიდრო და განუწყვეტელ თანამშრომლობას, ამ პროცესში ქვეყნის მოსახლეობის ხარისხიან ჩართვას, საზოგადოების შეგნებაზე ზეგავლენის მომხდენი, მათ სულიერ სამყაროსთან ახლოს მყოფი ფასეულობების შეცნობასა და გათვალისწინებას.

*Devi Shonia  
Nino Mamuladze*

### **INNOVATIVE ACTIVITY AND INVESTMENT ENVIRONMENT OF ECONOMY OF GEORGIA Annotation**

Georgia is in difficult process of developing. Countries economical innovative activity, brand management and process of image formation, should be discussed together, which determines the recovery and improvement of the investment environment. Innovative development of the economy in recent years, its achievements and participation of various citizens were reflected in international rankings which take a big influence on investment flows in the country.

Georgia, as dependent on the investments, needs to provide more active and aggressive policy for attracting investments, as far as country's internal capital market is still undeveloped and its economic growth is depended on external sources of funding – direct foreign investment. The gaps should be a serious problem for those who make investment policy of the country. Only to maintain the liberal economic course, regulations, taxes, reducing corruption and macro factors will not be enough to achieve the goal.

Innovative development of economy and improvement of investment environment is available if country provides targeted policy: Understanding correctly changes which is in society and in the environment, determining real factors of country's advantages and profitability, constant cooperation of government, business, education and art, inserting people in this process, affecting on society consciousness, creating and understanding those values which are near to peoples spiritual world.

*ზამირა შონია  
მაია გიორგობიანი*

### **სიღარიბის სტატისტიკური მაჩვენებლები და მათი დინამიკა საქართველოში**

სიღარიბის შესწავლა, პირველ რიგში, იწყება მოსახლეობის შემოსავლებისა და მოხმარების შესწავლით. სიღარიბის შეფასების სწორი მიდგომა გულისხმობს სიღარიბის შესწავლას მოსახლეობის მოხმარების დონის შეფარდებით წინასწარ განსაზღვრული კეთილდღეობის გარკვეულ დონესთან. თუმცა, მნიშვნელოვანია აგრეთვე სიღარიბის განსაზღვრა შემოსავლების მიხედვით.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკურ-სტატისტიკურ ლიტერატურაში ყველაზე გავრცელებულია ცნობილი ინგლისელი ეკონომისტის, ჯონ ჰიქსის განმარტება შემოსავლების შესახებ. მისი აზრით, შემოსავალი არის ის მაქსიმალური თანხები, რომლებიც გარკვეულ პერიოდში შეიძლება დაიხარჯოს მოხმარებაზე, ამავე დროს, ამ პერიოდის ბოლოსათვის შენარჩუნებულ იქნეს პერიოდის დასაწყისში არსებული რაოდენობის კაპიტალი. აქედან ცხადია, რომ არსებობს ორი სახის შემოსავალი: გათვალისწინებული და ფაქტობრივი. გათვალისწინებული შემოსავლები მიიღება, თუ ფაქტობრივ შემოსავლებს გამოვაკლებთ გათვალისწინებულ შემოსავლებს, ისეთს, მაგალითად, როგორცაა ინფლაციის შედეგად აქტივების ზრდა. ცნობილი რუსი სტატისტიკოსი ი.ნ. ივანოვი უკეთებს კომენტარებს ჯ. ჰიქსის მოსაზრებებს შემოსავლებისა და დანაზოგების შესახებ და მიანიშნებს, რომ ჯ. ჰიქსის კონცეფცია ხასიათდება რიგი ნაკლოვანებებით. მათ შორის მთავარი მაინც ისაა, რომ ამ კონცეფციით ყველა შემოსული ფული არ არის შემოსავალი, კერძოდ, ის ნაწილი, რომელიც გათვალისწინებულია დანახარჯების აღსადგენად<sup>112</sup>.

ცნობილი გერმანელი მეცნიერი ლიპე მიინევეს, რომ შემოსავლები – ეს არის ფულადი შემოსავლების თანხა, რომელსაც რეგულარულად ღებულობენ სამეურნეო სუბიექტები, რაც გავლენას ახდენს ფულად მოთხოვნაზე. ამ განმარტებით შეიძლება ითქვას, რომ ნატურალური შემოსავლები არ ჩაითვლება მოსახლეობის საერთო შემოსავლებში, რაც არასწორად მიაჩნია ეკონომისტთა გარკვეულ ნაწილს. ამ შემთხვევაშიც, სიღარიბის შესწავლა ხდება მოსახლეობის შემოსავლების წინასწარ განსაზღვრული კეთილდღეობის რაღაც დონესთან შედარებით. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს სიღარიბის ფულად ინდიკატორებთან. თითოეულ მათგანს გააჩნია დადებითი და უარყოფითი მხარეები. იმ ქვეყნებისათვის, რომელთა ცხოვრების დონე საშუალო და დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება, უპირატესობა ენიჭება მოხმარების

<sup>112</sup> ბ. გაბიძაშვილი, ზ. კირვალიძე, სიღარიბე საქართველოში, თსუ გამომცემლობა, თბ. 2003, გვ. 88.

შეწავლას, რადგან: მოხმარება შედეგის უკეთესი ინდიკატორია, ვიდრე შემოსავალი, ფაქტობრივად მოხმარება უფრო ახლოს დგას კეთილდღეობასთან; კეთილდღეობა თავისი არსით არის საქონლისა და მოხმარების ის რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფს შინამეურნეობისა და ინდივიდის ნორმალურ ყოფას. ამის გამო მოხმარება შემოსავლებთან შედარებით კეთილდღეობასთან უფრო ახლო მდგომარეობაშია, ვინაიდან შემოსავალი ჯერ არ ნიშნავს მოხმარებას, თუმცა განსაზღვრავს მას და მისი ერთ-ერთი ელემენტია.

სიღარიბის სარკეს ყველა ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც მრავალი სტატისტიკური მაჩვენებელი წარმოაჩენს. მათ შორისაა: მშპ, მთლიანი ეროვნული შემოსავალი; მოსახლეობის ნომინალური და რეალური შემოსავლები; მოსახლეობის დონე და სტრუქტურა; დასაქმება; განათლება; სამედიცინო მომსახურება; სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და სხვ. ჩვენ ვიცით, რომ სიღარიბე არის შემოსავლების (ფულადი და არაფულადი) უკმარისობა ადამიანის ფიზიოლოგიური და სულიერი არსებობა-განვითარებისათვის საჭირო, მინიმალურად აუცილებელ მატერიალურ ღირებულებათა და მომსახურებათა მოხმარებისათვის.

როგორც სიღარიბის საბოლოო განმარტებიდან ჩანს, ყველა ქვეყანაში ღარიბთა რაოდენობას საარსებო მინიმუმით განსაზღვრავენ, საარსებო მინიმუმს, როგორც ადამიანთა ნორმალური ფიზიკური და სულიერი განვითარებისათვის საჭირო მოხმარების საგნებისა და მომსახურების მინიმალურად აუცილებელი ღირებულების სიდიდეს, პირველ რიგში მაინც მოსახლეობის შემოსავლები განსაზღვრავს.

განვიხილოთ ცხრილი 1, რომელშიც ნაჩვენებია საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება ერთ სულზე ქალაქისა და სოფლის ჭრილში.

ცხრილი 1

	2006		2007		2008	
	ქალაქი	სოფელი	ქალაქი	სოფელი	ქალაქი	სოფელი
<b>ფულადი შემოსავლები და ტრანსფერტები</b>	<b>86</b>	<b>51,7</b>	<b>104,3</b>	<b>57,3</b>	<b>134,2</b>	<b>72,9</b>
დაქირავებული შრომიდან	44,8	13	56,1	15,6	72,3	18,7
თვითდასაქმებიდან	15,1	6,7	16,6	6,2	21,5	7,4
სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან	0,6	16,3	0,5	14,6	1,2	15,2
ქონებიდან (გაქირავებიდან, პროცენტი ანაბრიდან)	0,5	0,3	1,8	0,3	1,4	0,5
პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები	8,6	8,7	10,8	11,7	16,1	18,3
უცხოეთიდან მიღებული გზავნილები	6,2	1,9	7,1	2,5	7,4	3,5
საჩუქრად მიღებული ფული	10,3	4,9	11,4	6,4	14,4	9,3
<b>არაფულადი შემოსავლები</b>	<b>6,3</b>	<b>36,6</b>	<b>6</b>	<b>35</b>	<b>7,7</b>	<b>40,4</b>
<b>შემოსავლები, სულ</b>	<b>92,3</b>	<b>88,3</b>	<b>110,3</b>	<b>92,3</b>	<b>142</b>	<b>113,3</b>
<b>სხვა ფულადი სახსრები</b>	<b>13,3</b>	<b>11,6</b>	<b>14,6</b>	<b>12,9</b>	<b>24</b>	<b>15,4</b>
ქონების გაყიდვა	2,6	1,1	2	1,2	4,6	1,1
ფულის სესხება ან დანაზოვის გამოყენება	10,7	10,5	12,7	11,7	19,5	14,3
<b>ფულადი სახსრები, სულ</b>	<b>99,3</b>	<b>63,3</b>	<b>118,9</b>	<b>70,2</b>	<b>158,3</b>	<b>88,4</b>
<b>ფულადი და არაფულადი სახსრები, სულ</b>	<b>105,5</b>	<b>99,9</b>	<b>124,9</b>	<b>105,2</b>	<b>166</b>	<b>128,7</b>

2009		2010		2011		2012		2013	
ქალაქი	სოფელი	ქალაქი	სოფელი	ქალაქი	სოფელი	ქალაქი	სოფელი	ქალაქი	სოფელი
150,3	80	168,9	96,3	174,5	110,6	202	124,3	235,6	149,6
78,9	22,2	86,5	26,5	92,3	28,2	105,5	34,5	125,5	41,5
22,9	7,2	23,1	7,8	21,4	9,2	28,3	9,5	30,3	10,6
1,1	14,5	1,5	19,2	1,7	23,7	1,4	24,2	2,3	25,2
3,2	0,3	3,3	0,6	2,9	0,2	2,1	0,3	3,9	0,4
17,7	22,7	20,8	24,8	22,1	25,9	23,9	29,1	27,7	41,2
9,2	3	10,1	3,8	9,4	6,8	10,5	5,6	12,8	6,7
17,4	9,9	23,6	13,6	24,7	16,7	30,3	21	33,3	24
<b>7,3</b>	<b>37</b>	<b>7,1</b>	<b>37,6</b>	<b>8</b>	<b>42,6</b>	<b>7,9</b>	<b>41</b>	<b>7,9</b>	<b>38,4</b>
<b>157,7</b>	<b>117</b>	<b>176,1</b>	<b>133,9</b>	<b>182,5</b>	<b>153,2</b>	<b>209,9</b>	<b>165,3</b>	<b>243,5</b>	<b>188</b>
<b>21,5</b>	<b>13,5</b>	<b>28,4</b>	<b>19,5</b>	<b>34,9</b>	<b>21,1</b>	<b>36,2</b>	<b>27,7</b>	<b>35</b>	<b>28</b>




3,1	0,6	5,2	1,1	8,2	0,9	7,4	4,3	3	1,4
18,3	12,9	23,3	18,5	26,7	20,3	28,8	23,3	32	26,6
171,8	93,5	197,4	115,8	209,4	131,7	238,2	151,9	270,6	177,6
179,1	130,4	204,5	153,4	217,3	174,4	246,1	192,9	278,6	216



ცხრილი შედგენილია შინამეურნეობების მიერ დეკლარირებული მოხაჯებების მიხედვით.

საშუალო თვიური შემოსავლები ორივე წყაროს (ფულადი და არაფულადი სახრები) მიხედვით ქალაქისა და სოფლისთვის თვალსაჩინოებისთვის ასახულია ქვემოთ მოცემულ დიაგრამებზე:

### საშუალო თვიური შემოსავლები



### წლების მიხედვით ქალაქისა და სოფლის საშუალო თვიური შემოსავალი



ქალაქის მიხედვით დაიწყო ფაქტების კონსტანტაცია. 2013 წელს საშუალო თვიური შემოსავლები დაქირავებული შრომით, ქალაქში 18,9%-ით გაიზარდა, ხოლო სოფლად 20,2% შეადგინა. 2012 წელთან მიმართებით თვითდასაქმება გაიზარდა 7,1%-ით (28,3-20,3). ამასთან, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვით მიღებული შემოსავლებიც გაიზარდა 4,1%-ით სოფლად, ხოლო ქალაქად (1,4-2,3) 64,3%-ით. ასევე პენსიები, დამხარებები, სტიპენდიები ქალაქად 15,9%-ით გაიზარდა, სოფლად 41,6%-ით. ფულადი საჩუქრებისა და უცხოეთიდან მიღებული გზავნილების ზრდადმა ტენდენციამ ქალაქიდან უკვე სოფელშიც გადაინაცვლა. 2013 წლიდან მოსახლეობა ხარჯებთან შედარებით შემოსავლების მაღალ დონეს უჩვენებს, როგორც ცხრილიდან ჩანს, უცხოეთიდან მიღებული გზავნილები ქალაქად (2012-2013) 21%-ით გაიზარდა, ხოლო სოფლად 19,6%-ით. ასევე საჩუქრად მიღებულმა ფულმა ქალაქად 9,9%-ით და სოფლად 14,3% შეადგინა. საქართველოში ფართოდ გავრცელებულია მეზობლური, ნათესაური, მეგობრული ურთიერთდახმარების ტრადიციები, რაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს სიღარიბესთან მიმართებაში. ამ ტრადიციების შედეგია ის, რომ შინამეურნეობების შემოსავლებში მნიშვნელოვანი წილი უკავია კერძო ტრანსპორტებს, გზავნილებს უცხოეთიდან და ფული ახლობლებისაგან.

რაც შეეხება შემოსავლის ორივე წყაროს ხვედრით წილს მოსახლეობის ფულად და არაფულად შემოსავლებში, შემდეგი სურათი ფიქსირდება, ქალაქად 13,1-16,5% ხოლო სოფლად 6,8-14,2%.

მიუხედავად ამ შედეგისა, მოსახლეობა მაინც შეჭირვებულია და სიღარიბე ქვეყანაში ისევ მძვინვარებს. ბოლო პერიოდში შეიმჩნევა ასევე შემოსავლების შევსება ისეთი წყაროებიდან, როგორცაა ქონების გაყიდვა, ფულის სესხება და დანაზოგის გამოყენება. ამ მანველებებმა ქალაქად 3,20 თეთრი შეადგინა (28,8-32), ანუ 11,1%. შინამეურნეობების შემოსავლები დინამიკაში ასეთ სურათს იძლევა, იხ. ცხრილი 2<sup>113</sup>.

**ცხრილი 2**

	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლები (მილიონი ლარი)	353.2	387.5	426.8	544.7	575.4	649.2	711.1	808.8	906.9
საშუალო თვიური შემოსავლები ერთ შინამეურნეობაზე (ლარი)	346.7	385.3	422.5	540.3	569.2	651.2	705.9	788.4	887.2
საშუალო თვიური შემოსავლები ერთ სულზე (ლარი)	92.3	102.6	115.2	147.2	154.5	178.6	195.2	218.4	246.6

2005-2013 წლებში მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლები 2,6-ჯერ გაიზარდა, ხოლო ერთ სულზე 2,7-ჯერ.

ქვეყანაში შემოსავლების გარკვეული ზრდა შეინიშნება ამ მონაცემებიდან გამომდინარე, მაგრამ საქართველოში მცხოვრები მოსახლეობა როგორც სოფლად, ასევე ქალაქად, გამუდმებით განიცდიან შემოსავლების დეფიციტს და შესაბამისად, ვერ იკმაყოფილებენ არსებულ მოთხოვნებს.

საინტერესოა მოხმარებული ხარჯების სტრუქტურა და დანამიკა წლების მიხედვით იხ. ცხრილი 3.


**ცხრილი 3**

	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008
<b>სამომხმარებლო ფულადი ხარჯები</b>	<b>219,6</b>	<b>231,9</b>	<b>225</b>	<b>249,9</b>	<b>270,4</b>	<b>296,9</b>	<b>330,9</b>	<b>393</b>
სურსათზე, სასმელზე, თამბაქოს ნაწარმზე	116,1	120,9	119,6	133,9	136,4	146,7	155,4	178,3
ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე	13,2	13,3	13,7	14,8	15,1	15,3	15,5	18
საოჯახო მოხმარების საქონელზე	27,9	8,1	7,7	9,3	9,9	10,2	12,2	13,7
ჯანმრთელობის დაცვაზე	12,5	16,8	14,1	15,6	19,8	23	27,4	37,5
სათბობსა და ელექტროენერჯიაზე	18,6	21,4	20,5	22,2	26,6	28,3	34	43,8
ტრანსპორტზე	13,4	27,5	22,7	23,9	27,5	24	27,8	33,7
განათლებაზე	7,9	14,2	6,4	6,7	8	9,2	12,6	13,2
სხვა სამომხმარებლო ხარჯები	10	9,7	20,4	23,5	27	40,2	45,9	54,8
<b>არაფულადი ხარჯები</b>	<b>101</b>	<b>98,8</b>	<b>90</b>	<b>89</b>	<b>80,6</b>	<b>82,1</b>	<b>74,9</b>	<b>89,5</b>
<b>სამომხმარებლო ხარჯები, სულ</b>	<b>320,6</b>	<b>330,7</b>	<b>315</b>	<b>338,8</b>	<b>351</b>	<b>379</b>	<b>405,8</b>	<b>482,5</b>
<b>არასამომხმარებლო ფულადი ხარჯები</b>	<b>29,6</b>	<b>53,6</b>	<b>50,9</b>	<b>46,7</b>	<b>38,7</b>	<b>49,7</b>	<b>53</b>	<b>73,6</b>
სასოფლო-სამეურნეო ხარჯები	6,4	7,6	6,8	6,6	7,4	7,6	8,8	9,5
ტრანსფერტებზე	0,8	6,1	9,3	9,6	9,6	11	12,8	13,1
დაზოგვაზე ან გასესხებაზე	22,4	24,8	26,7	23,1	13,9	19,3	21,5	31,8
ქონების შეძენაზე	-	15,2	8,1	7,5	7,7	11,8	9,8	19,3
<b>ფულადი ხარჯები, სულ</b>	<b>249,2</b>	<b>285,4</b>	<b>275,9</b>	<b>296,6</b>	<b>309,1</b>	<b>346,5</b>	<b>383,9</b>	<b>466,6</b>
<b>ხარჯები, სულ</b>	<b>350,2</b>	<b>384,3</b>	<b>365,9</b>	<b>385,6</b>	<b>389,7</b>	<b>428,6</b>	<b>458,8</b>	<b>556,1</b>


<sup>113</sup> ცხრილი აგებულია შინამეურნეობების მიერ დეკლარირებული მონაცემების მიხედვით

	2009	2010	2011	2012	2013
<b>სამომხმარებლო ფულადი ხარჯები</b>	<b>402,5</b>	<b>442,1</b>	<b>479,2</b>	<b>525,3</b>	<b>599,2</b>
სურსათზე, სასმელზე, თამბაქოს ნაწარმზე	168,7	168,8	193,9	199,9	224,3
ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე	17	17,2	17,5	19,3	23,3
საოჯახო მოხმარების საქონელზე	13,1	16,7	18,1	20,8	27,8
ჯანმრთელობის დაცვაზე	46,9	61,1	55,8	60,3	70,4
სათბობსა და ელექტროენერჯიაზე	44,8	50,2	59,4	67,4	67,8
ტრანსპორტზე	33,9	42,6	46	53,7	63,9
განათლებაზე	16,2	18,1	17,5	22,5	24
სხვა სამომხმარებლო ხარჯები	61,9	67,4	70,9	81,5	97,7
<b>არაფულადი ხარჯები</b>	<b>83,3</b>	<b>82</b>	<b>94,1</b>	<b>93,1</b>	<b>86,4</b>
<b>სამომხმარებლო ხარჯები, სულ</b>	<b>485,7</b>	<b>524,1</b>	<b>573,3</b>	<b>618,4</b>	<b>685,7</b>
<b>არასამომხმარებლო ფულადი ხარჯები</b>	<b>75,6</b>	<b>93,7</b>	<b>120,1</b>	<b>167,5</b>	<b>204,8</b>
სასოფლო-სამეურნეო ხარჯები	8,7	10,7	14,6	16,4	20,1
ტრანსპორტზე	14,9	18,3	19,7	23,6	27,7
დაზოგვაზე ან გასესხებაზე	37,8	42,1	52	99,4	123,3
ქონების შექენაზე	14,2	22,6	33,8	28,1	33,6
<b>ფულადი ხარჯები, სულ</b>	<b>478,1</b>	<b>535,8</b>	<b>599,3</b>	<b>692,8</b>	<b>804,1</b>
<b>ხარჯები, სულ</b>	<b>561,4</b>	<b>617,8</b>	<b>693,4</b>	<b>785,9</b>	<b>890,5</b>

**ხარჯების წილი 2013 წელს**



**მოხმარებული ხარჯების დინამიკა წლების მიხედვით**



2013 წელს ქვეყნის მასშტაბით სამომხმარებლო ფულადმა ხარჯებმა თვეში დაახლოებით 67,2% შეადგინა, რაც 586,2 ლარის ტოლია, აქედან უდიდესი ნაწილი 25,2% თითქმის 219,5 ლარი მხოლოდ სურსათის, სასმელებისა და თამბაქოს შექენისთვისაა განკუთვნილი, რაც ჯერ კიდევ სიღარიბის აქტუალობისა და ცხოვრების დაბალი დონის მაჩვენებელია, მიუხედავად ამისა, გაუმჯობესება შეინიშნება 2005 წელთან შედარებით, რადგან ის 35% შეადგენდა და შემცირებულია 2013 წელთან შედარებით 9,87%-ით ანუ 85,6 ლარით. 2005 წელს საქართველოში ერთი შინამეურნეობა თვეში 19,5 ლარს ხარჯავდა ჯანმრთელობის დაცვაზე. ეს მაჩვენებელი 2013 წლისათვის (19,5-68,8) 3,5-ჯერ გაიზარდა, ანუ 49,3 ლარის ტოლი გახდა, რაც დადებითია და ამას მოსახლეობა გრძნობს და აფასებს კიდევაც, რაც უშუალოდ სიღარიბის წინააღმდეგ გაწეული ძალისხმევაა. განათლებაზე გაწეული ხარჯების ხვედრითი წილი გაიზარდა, რაც მიმანიშნებელია ქვეყანაში დადებითი ტენდენციისა, არაფულადი სამომხმარებლო ხარჯები (2012-2013) წლებში შემცირდა (90,8-84,6) 6,8%-ით. გარდა ობიექტური ფულადი მაჩვენებლებისა, რომელიც მოხმარებას ემყარება, სიღარიბის შესწავლისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ალტერნატიული მაჩვენებლებიც, როგორცაა კალორიულობის ყოველდღიური მოხმარება ერთ სულზე, კვების პროდუქტების საერთო მოხმარება, ფიზიოლოგიური ნორმების გათვალისწინებით. მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხი.

საინტერესო სურათს იძლევა ერთ შინამეურნეობაზე საშუალო თვიური შემოსავლები და მათი შედარება საარსებო მინიმუმთან. ჩვენ გვაქვს შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმის 2014 წლის მონაცემები.

2014 წელი	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი (ლარი)	154.2	155.3	155.4	155.6	153.5	149.6	144.7	150.6	155.8	160.6	159.6	159.4

ჩვენ ვიცით, რომ საარსებო მინიმუმის შემადგენელი ნაწილია სასურსათო მინიმუმი (კალათა) პლუს სამომხმარებლო კალათა და არასასურსათო საქონლისა და გაწეული მომსახურების ღირებულებითი ჯამი.

საარსებო მინიმუმი 160 ლარს აღწევს, როცა პენსია 150 ლარია, რასაკვირველია, ეს ციფრები უფრო მითია ვიდრე რეალობა და შედეგად სახეზეა, მიუხედავად გარკვეული დადებითი ტენდენციისა, სიღარიბე ქვეყანაში უცვლელია. განვიხილოთ ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლები პროცენტებში (ცხრილი 4).

ცხრილი 4

	2004			2005			2006			2007		
	ქალაქი	სოფელი	საქართველო	ქალაქი	სოფელი	საქართველო	ქალაქი	სოფელი	საქართველო	ქალაქი	სოფელი	საქართველო
მედიანური მოხმარების 60 პროცენტის ქვეით მყოფი მოსახლეობის წილი	23	26,2	24,6	22,1	26	24,1	23	24	23,3	18	25	21,3
მედიანური მოხმარების 40 პროცენტის ქვეით მყოფი მოსახლეობის წილი	8,9	12,8	10,9	8,8	11,3	10,1	8,1	11	9,4	7	12	9,2


2008			2009			2010			2011			2012			2013	
ქალაქი	სოფელი	საქართველო	ქალაქი	სოფელი	საქართველო	ქალაქი	სოფელი	საქართველო	ქალაქი	სოფელი	საქართველო	ქალაქი	სოფელი	საქართველო	ქალაქი	სოფელი
180	26	22,1	17,6	24	21	18,6	26,7	22,7	18,8	27	23	18	27	22	15,4	27,1
7	12	9,5	7,3	10	8,8	8	11,9	10	7,8	13	10	6,7	12	9,3	6	10,7

ენახით რა მდგომარეობაა მედიანური მოხმარების 60-სა და 40%-ის მიმართ სიღარიბის მაჩვენებლების მიხედვით (2006-2013).


მედიანური მოხმარების 60% ქვეით მყოფი მოსახლეობის წილი საქართველოში (23,3-21,4) შემცირდა 12,9%-ით ხოლო 40% ქვეით მყოფი მოსახლეობის წილი მხოლოდ (9,4-9,4) ერთი პროცენტით, მათ შორის ქალაქად 60% ქვეით მყოფი მოსახლეობის წილი (22,8-15,4) შემცირდა 7,4%-ით, ხოლო 40%-ის (8,1-6) – 2,1%-ით. სოფლად 60% (23,7-27,1) შემცირდა 4,6%-ით ხოლო 40% სოფლად (10,7-10,7) უცვლელია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მედიანური მოხმარების 40% ქვეით მთავსებული სიღარიბის მდგომარეობა უცვლელია 2006 წელს, 2013 წელთან მიმართებაში სოფლად, რაც არასახარბიელო მდგომარეობაზე მიუთითებს.

საინტერესოა განვიხილოთ შინამეურნეობების შემოსავლები წლების მიხედვით (ცხრილი 5). როგორც ცხრილიდან ჩანს, მოსახლეობის შემოსავლების უთანაბრობა მცირდება, რაც დადებით ტენდენციას წარმოადგენს, 2006 წელს მოსახლეობის 2,1% 1500 ლარზე მეტი შემოსავალი მცირდება, ხოლო ეს მაჩვენებელი 13,9-მდე გაზარდილი 2013 წლისათვის. შემოსავალი 500 ლარამდე 77% რომ მცირდება, ეს მაჩვენებელი 2013 წლისათვის 37,3% ტოლია. ამ მონაცემთა საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ვიდრე შემოსავლების დიფერენციაციის შემცირებას.

საქართველოს შინამეურნეობების განაწილება საშუალო თვიური შემოსავლების მიხედვით 2006-2013 წლებში (%) ჯამთან ასე გამოიყურება:



ჯინის კოეფიციენტის გაანგარიშებისათვის ჯერ უნდა გამოითვალოს მოსახლეობის რიცხოვნობისა და შემოსავლების ხვედრითი წონები, ხოლო შემდეგ ხშირადობათა ნახარდი ჯამები მოსახლეობის შემოსავლებისა და რიცხოვნობის მიხედვით<sup>114</sup>.



ჯინის ინდექსს მთლიანი ფულადი და არაფულადი სახსრების მიხედვით 2006-2013 წლებში გვიჩვენებს ქვემოთ მოყვანილი დიაგრამა. ჯინის ინდექსის მაღალი მნიშვნელობა, როგორც ვხედავთ, დაფიქსირდა 2006 წელს, ხოლო 2013 წელს ეს მაჩვენებელი შემცირდა, რაც მოსახლეობის შემოსავლების განაწილების უთანაბრობის დონის შემცირებაზე მეტყველებს და დადებითი ტენდენციით ხასიათდება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, შემოსავლების განაწილება უთანაბროდ ხდება, რადგანაც მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მაღალ შემოსავალს იღებს, ხოლო უმრავლესობა ღარიბია და 150 ლარის იმედოდ არიან. მიუხედავად სოციალურად დაუცველ ფენებზე გარკვეული სოციალური დახმარებისა, ქვეყანაში მოსახლეობის დიდი ნაწილი საარსებო მინიმუმის დაბლა იმყოფება.

დასასრულ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსახლეობის შემოსავლების სტრუქტურის მიხედვით საქართველო განვითარებადი ეკონომიკური ქვეყანაა, მაგრამ ეკონომიკური ზრდა ავტომატურად არ იწვევს სიღარიბის დონის შემცირებას. ეკონომიკური ზრდის ყველა ტიპი თანაბრად არ ნაწილდება ღარიბებზე, ამის მრავალი მაგალითიც გვაქვს.

შემოსავლების მიხედვით, სიღარიბის დონის, სიდრმისა და სიმწვავის მაჩვენებლები, მატერიალური რესურსების გარდა, მოიცავს, აგრეთვე, სულიერი რესურსებით მოხმარებასაც მომსახურების ღირებულების სახით. მაგრამ ამ მაჩვენებლის მიღმა რჩება ადამიანის ყოფა-ცხოვრებაზე ისეთი სულიერი ღირებულებების მოქმედება, როგორცაა ადამიანის უფლებები, მისი დაცულობა მოცემულ ქვეყანაში, სამართლებრივი მდგომარეობა, განათლების მიღების უფლებები, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა, რომელთა

<sup>114</sup> მონაცემები აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან

ნეგატიურ ზემოქმედებას უფრო მეტად განიცდის ღარიბი, ვიდრე საშუალოდ ან მით უმეტეს მდიდრულად მცხოვრები.

მოკლე დასკვნის სახით, ფაქტები და გამოცდილება უჩვენებს, რომ სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია რთული ამოცანის წინაშე დგას და ამ ამოცანის გადაჭრა შესაძლებელია სამუშაო ადგილების შექმნით, სამართლიანობის აღდგენით და სწორი სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით.

*Zamira Shonia  
Maia Giorgobiani*

**STATISTICAL INDICATORS OF POVERTY AND THEIR DYNAMICS IN GEORGIA**  
**Annotation**

The work gives the statistical analysis of poverty. Poverty is determined as the ratio between the consumption rate of the population and the certain level of well-being determined in advance. The article also gives the explanations by other famous economists determining poverty in connection to income. However, both cases deal with the monetary indicators of poverty and have advantages and disadvantages. In the countries with average or high living standards, the study of consumption is prioritized because consumption is a better indicator of the result than income and factual consumption reflects the people's well-being better.

The work gives some tables to evaluate poverty: average monthly income per capita in rural and urban areas; dynamics of farmstead incomes; structure and dynamics of the expenses in different years; data of the subsistence minimum per able-bodied male in 2014, relative poverty indicators in percentage, distribution of farmsteads in Georgia depending on average monthly incomes in 2006-2013.

To illustrate the data, the work gives the graphical data analysis, and the trend of the average monthly income per capita in rural and urban areas is drafted.


*მალხაზ ჩიქობავა*

**თანამედროვე ეკონომიკური კრიზისის ახლებური ბაზარება და  
აშშ დოლარის ბოლოდროინდელი ბაჰმირების მიზეზები**

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს უამრავი სამეცნიერო ნაშრომი ეძღვნება, მაგრამ, როგორც კი საქმე მიდის მისი მიზეზებისა და განსაკუთრებით, შედეგების მკაფიო ახსნამდე, იწყება არსებითი გაურკვეველობა. ამ კრიზისის ერთ-ერთი სრული თეორია დამუშავებულ იქნა რუსი ეკონომისტების ო. გ. გრიგორიევის, ა. ბ. კობაკოვისა და მ. ლ. ხაზინის მიერ ჯერ კიდევ 1997-2001 წლებში. ის მეტ-ნაკლებად სრულად გადმოცემულია შემდეგ წიგნში: ა. კობაკოვი, მ. ხაზინი, „დოლარის იმპერიისა და Pax Americana-ს დასასრული“ [1]. ამ თეორიის მოკლე მიმოხილვის შემდეგ შევეცდებით მასზე დაყრდნობით გავცეთ პასუხი შემდეგ კითხვას: რამ გამოიწვია აშშ დოლარის საერთაშორისო კურსის ბოლოდროინდელი ზრდა?

მ. ხაზინის აზრით, კრიზისების თეორია ეფუძნება ორ ძირითად დებულებას. აქედან პირველი გულისხმობს იქნა დამუშავებული XIX საუკუნის პოლიტეკონომიის მიერ ღირებულების შრომითი თეორიის განვითარების ფარგლებში, რომლის მიხედვითაც შრომის პროდუქტი არათანაბარზომიერად ნაწილდება წარმოების ორ ფაქტორს – შრომასა და კაპიტალს შორის. კაპიტალიზმის ფუნდამენტური პრინციპებიდან გამომდინარე, შრომის პროდუქტი განიხილება, როგორც კაპიტალის მფლობელის კერძო საკუთრება და შედეგად, დაქირავებული სამუშაო ძალა მის სანაცვლოდ არ იღებს აუცილებელ კომპენსაციას. ამგვარად, კაპიტალიზმის იმანენტური, განუყოფელი პრობლემაა კაპიტალის ზრდის მუდმივი დაჩქარება.

ამ თვალსაზრისით, პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ კაპიტალი არა იმდენად ფულადი ფორმით არსებობს, რამდენადაც აქტივების ფორმით, ხოლო აქტივის ღირებულება განისაზღვრება საბაზრო მოთხოვნა-მიწოდების კანონით, რომელიც, თუ მიეყვებით ყიდვა-გაყიდვების თანმიმდევრობას, ადრე თუ გვიან მიგვიყვანს საბოლოო მოთხოვნამდე, რაც სახელმწიფო და კერძო მოთხოვნის ჯამია. მაგრამ, ეს უკანასკნელი უშუალოდ მონაწილეობს შრომის მხრიდან წარმოებით ურთიერთობებში, ხოლო სახელმწიფო მოთხოვნა არსებითად დამოკიდებულია მომხმარებელთა მყიდველობით უნარიანობაზე. ამგვარად, კაპიტალიზმის დროს მოთხოვნის ზრდა პერმანენტულად ჩამორჩება კაპიტალის ზრდას და სპეციალური პოლიტიკის გატარების გარეშე იწვევს კაპიტალის, როგორც საქონლის, პირდაპირ გაუფასურებას და არაპირდაპირ - მისი ეფექტიანობის (ზღვრული მწარმოებლურობის) შემცირებას. ეს უკანასკნელი გამოწვეულია იმით, რომ მოთხოვნის ზრდის ტემპის შემცირება კაპიტალთან მიმართებაში იწვევს მოგების ნორმის შემცირებას კაპიტალის ყოველ დამატებით ერთეულზე. ამ თეორიის ნახვა შესაძლებელია ნახ. 1-ზე, რომლის არსებობა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში იქნა დამტკიცებული.



ნახ. 1. 1979-97 წლებში აშშ-ში მთლიანი შიდა პროდუქტის, კორპორაციული მოგებისა და შრომის ანაზღაურების შეფარდებითი დინამიკა ნომინალურ ფასებში [2, გვ. 48]

კაპიტალისათვის ამ პრობლემის გადაჭრა პრინციპულად მნიშვნელოვანია და კაცობრიობის მთელი არსებობის მანძილზე ის სამი ძირითადი საშუალებით ხორციელდებოდა. პირველი წარმოიშვა კლასიკური კაპიტალიზმის პერიოდში, როცა რეგულარულად ხდებოდა ჭარბწარმოების კრისისები, რომელიც უზრუნველყოფდა აქტივების გადანაწილებას და ჭარბი კაპიტალის „წვას“. აღნიშნული საშუალება ეფექტიანად მოქმედებდა, მაგრამ მსოფლიო ეკონომიკის განვითარების კვალობაზე, კრისისები სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა, ასე რომ, საჭირო იყო რაიმე ახალი გზის პოვნა.

მეორე საშუალებები კაპიტალის გატანა ჯერ კიდევ აუთვისებელ ტერიტორიებზე. შესაბამისმა პოლიტიკამ XIX საუკუნის ბოლოსთვის მიიღო იმპერიალიზმის სახელწოდება. ამ საშუალებამ გამოიწვია გარდაუვალი მწვავე კონკურენცია არა მარტო საქონლის გასაღების, არამედ კაპიტალის გატანის ბაზრებისათვის და დასრულდა I და II მსოფლიო ომებით. რადგანაც თავდაპირველად სსრკ-ს, ხოლო შემდეგ სოციალიზმის მსოფლიო სისტემის წარმოშობით თვით კაპიტალისტური სისტემის არსებობას სისტემური საფრთხე შეექმნა, მას დასჭირდა ბევრად უფრო კოორდინირებული პოლიტიკის გატარება. შედეგად, 1944 წელს კაპიტალის გატანა შესაბამისი ინსტიტუტების შექმნით იქნა უზრუნველყოფილი ბრეტონ-ვუდის სისტემის ფარგლებში, რომელმაც შექმნა როგორც ამ პროცესის მარეგულირებელი ინსტიტუტები (GATT – ამჟამად მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკი), ასევე მსოფლიო ფინანსების მარეგულირებელი სისტემა აშშ დოლარის ბაზაზე, რომელიც მიბმული იყო ოქროს და შესაბამისად კონტროლდებოდა აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ.


აღნიშნული თეორიის მეორე საბაზისო ელემენტი შრომის მსოფლიო დანაწილების როლია. ეს უკანასკნელი პრინციპულ როლს თამაშობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის იმ პარადიგმის ფარგლებში, რომელიც ჩამოყალიბდა XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში და დღეისათვის მთელ მსოფლიოში გავრცელებულია. ამ მოდელის პრინციპული თავისებურება ისაა, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყოველი ახალი ტალღა უთუოდ თანდაყოლილია შრომის დანაწილების პროცესების გაღრმავებით, ხოლო ეს, თავის მხრივ, საჭიროებს გასაღების ბაზრების მოცულობის ზრდას. შედეგად, ნებისმიერი ქვეყანა მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების პროცესში ბოლო 250 წლის განმავლობაში საჭიროებდა საკუთარი პროდუქციის გასაღების, ანუ მის მიერ კონტროლირებადი ბაზრების გაფართოებას.

შესაბამისად, მსოფლიოში ტექნოლოგიურად დამოუკიდებელი სახელმწიფოების რაოდენობა ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში სულ უფრო მცირდებოდა. ევროპაში ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუა პერიოდში არსებობდა ათობით რეალურად დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომლებსაც შეეძლოთ ტექნოლოგიების, მათ შორის, სამხედრო წარმოების დამოუკიდებლად განვითარება. მაგრამ XX საუკუნის დასაწყისისათვის მათი რაოდენობა 5-მდე შემცირდა (რუსეთის იმპერია, გერმანია, ავსტრო-უნგრეთის იმპერია, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი), ხოლო XX საუკუნის შუა პერიოდში უკვე არა მარტო ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში, ამ თვალსაზრისით, მხოლოდ ორი რეალურად დამოუკიდებელი სახელმწიფო არსებობდა: სსრკ და აშშ.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, სსრკ-სა და აშშ-ში სახელმწიფოს პოლიტიკური და სოციალური მოდელები პრინციპულად განსხვავდებოდა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ამ ქვეყნებში პრაქტიკულად პარალელურად მიმდინარეობდა, რაც დამატებით ადასტურებს იმას, რომ მათი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების ეკონომიკური მოდელები ერთნაირი იყო. ერთიც და მეორეც ეყრდნობოდა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მორიგი ტალღისრეალიზაციის აუცილებლობას გასაღების ბაზრების გაფართოების ხარჯზე, თუმცა, მათ მიერ ბაზრების გამოყენების ტექნოლოგია ერთმანეთისგან განსხვავდებოდა. მიუხედავად ამისა, პროცესის არსი, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაფინანსება, მომხმარებლებზე სიმძიმის გადატანის (აშშ-ში) ან საზოგადოებრივი ფონდების ცენტრალიზებული გადანაწილების (სსრკ-ში) ხარჯზე არ იცვლებოდა.

მაგრამ, რამდენადაც მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების პროცესები გრძელდებოდა, ეს ორი მსოფლიო ლიდერი XX საუკუნის ბოლო ოცდახუთი წლის მანძილზე უთუოდ უნდა დამდგარიყო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შემდეგი ეტაპის დაფინანსების პრობლემის წინაშე.

XX საუკუნის 70-იანი წლების კაპიტალიზმის კრიზისი, ზემოთ მოყვანილი დებულების თვალსაზრისით, ორი მიზეზით იქნა განპირობებული. პირველი, იმ დროისათვის კვლავ წარმოიშვა ჭარბიკაპიტალის უტილიზაციის პრობლემა კაპიტალის გასატანად საჭირო რეგიონების ამოწურვის გამო. მეორე, გასაღების ბაზრების ზრდის შემცირებამ მკვეთრად გაართულა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების პროცესი. ჭარბწარმოების მწვავე კრიზისების ან ომების დაშვება სოციალიზმის მსოფლიო სისტემის არსებობის პირობებში კატეგორიულად მიუღებელი იყო და კაპიტალის ეფექტიანობამაც დაიწყო შემცირება. ეს დაუყოვნებლივ აისახა მოხმარებელთა კეთილდღეობაზე, რაც კარგად ჩანს ნახ. 2-ზე, სადაც ნახევრები აშშ-ში 1950 წლიდან თანამედროვე გლობალურ კრიზისამდე არსებული საშუალო ხელფასის დინამიკა. აღვნიშნოთ, რომ ბოლო 10 წლის მონაცემები უნდა შეფასდეს საკმარისად კრიტიკულად იმის გათვალისწინებით, რომ აშშ-ში ინფლაციის ოფიციალური მაჩვენებლები სულ უფრო და უფრო მცირდებოდა რეალურთან შედარებით.



ნახ. 2. აშშ-ის საშუალო რეალური ხელფასის დინამიკა (1947=100) [2, გვ. 50]

შედევად დაიწყო სერიოზული კრიზისი, რომელიც არა ლოკალურ, არამედ საერთო სისტემურ ხასიათს ატარებდა. 1971 წელს აშშ-მა გამოაცხადა დოლარის დეფოლტი, უარი თქვა რა ოქროსთან მის მიბმაზე, 1973 წელს დაიწყო სანავთობო კრიზისი. ამ დროს სსრკ-ში მიმდინარეობდა არსით ანალოგიური პროცესები, რომელმაც მოგვიანებით „უძრაობის“ სახელწოდება მიიღო, ამასთან, მდგომარეობიდან გამოსავალი ორივე მხარეს უნდა მოეძებნა კაპიტალის ეფექტიანობის ამაღლებით. შევნიშნოთ, რომ სსრკ-ში ანალოგიური ამოცანა ვერ გადაიჭრა, რამაც ცნობილ შედეგებამდე მიგვიყვანა.

აღნიშნული კრიზისი უნიკალური იყო იმით, რომ ხასიათდებოდა წარმოების ვარდნისა და მაღალი ინფლაციის ერთდროული არსებობით, რომელიც შესაძლებელი იყო კლასიკური კაპიტალისტური ეკონომიკის ფარგლებში. ეს დაკავშირებული იყო იმასთან, რომ აშშ ვალდებული იყო გაეგრძელებინა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მხრივ გამაღებელი შეჯიბრი სოციალისტურ სისტემასთან და ნებისმიერ ფასად დაეფინანსებინა ინოვაციური პროცესები.

პრობლემა დაიძლია 70-იანი წლების ბოლოს. ის უკავშირდება ფედერალური სარეზერვო სისტემის მაშინდელ ხელმძღვანელს უოლტერს და აშშ-ის პრეზიდენტის ჯიმ კარტერის მრჩეველთა ჯგუფს. ის მდგომარეობდა პარადოქსულ დასკვნაში: არ შემცირებულიყო ფულის ემისია, პირიქით, უნდა გაზრდილიყო! მაგრამ ეს უნდა წარმართულიყო არა კაპიტალის მხარდასაჭერად, არამედ საბოლოო მოთხოვნის როგორც სახელმწიფო, ისე კერძოს სტიმულირებაზე. ზემოთ აღწერილი შრომის დანაწილების მექანიზმის თვალსაზრისით, ეს გადაწყვეტა შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ: თუ შეუძლებელია გასაღების ბაზრების გაფართოება, მაშინ საჭიროა ხელმისაწვდომი ბაზრების თითოეული მონაწილის მოხმარების ეფექტიანობის ზრდა.

ამ გეგმის რეალიზაცია, რასაკვირველია, საშუალებას მისცემდა აშშ-ს, მიეღო რესურსები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ახალი ეტაპისათვის, მაგრამ ამ დროს საჭირო იყო რამდენიმე თანამდევნი ამოცანის გადაჭრა. ჯერ ერთი, არსებითად უნდა შემცირებულიყო ინფლაცია მოხმარების სექტორში, რამდენადაც წინააღმდეგ შემთხვევაში მის განსაკუთრებულ ზრდას უბრალოდ ადგილი არ ექნებოდა: საკრედიტო რესურსების ხარჯზე სამომხმარებლო ხარჯების ზრდის კომპენსირება მოხდებოდა ფასების ზრდით.


მეორე, აუცილებელი იყო მომხმარებელთა დანახარჯების მიმართვის უზრუნველყოფა მაღალტექნოლოგიური დარგების მხარეს, რამდენადაც სწორედ მათი განვითარება იყო აუცილებელი სსრკ-სთან საბრძოლველად.

მესამე, რამდენადაც ჭარბი ლიკვიდურობა მაინც მოხდებოდა ბაზრებზე (თუნდაც არა სამომხმარებლოზე), აუცილებელიყო საინვესტიციო პროცესის მასტიმულირებელი მექანიზმის უზრუნველყოფა, ე.ი. საწარმოო კომპანიების ძირითადი კაპიტალის ზრდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მომხმარებელთა ფული, ყოველ შემთხვევაში მისი მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც, მიმართული უნდა ყოფილიყო განვითარებისკენ და არა ფინანსური სპეკულაციისაკენ.



მაშასადამე, სამივე ეს ამოცანა გადაწყდა. ინფლაცია გადაიღა კრედიტების ღირებულების ისტორიულად უნიკალური ამაღების ხარჯზე. დისკონტის განაკვეთი თითქმის 20%-მდე გაიზარდა, რამაც პრინციპულად შეცვალა ქვეყანაში ეკონომიკური სიტუაცია, ამავედროულად, მან გაამყარა დოლარის პოზიცია მსოფლიო არენაზე, რომელიც ძლიერ შესუსტებული იყო 1971 წლის დეფოლტის შემდეგ. ამასთან ჭარბი ლიკვიდურობა „შტილიზირდა“ ფინანსური საპნის ბუშტების გაბერვის ხარჯზე, ე.ი. ფინანსური აქტივების მკვეთრი გადიდებით, მოკლედ, მათი მოცულობის ზრდით. ამ მიზეზით, ამერიკული კორპორაციების მოგების წილი, რომელიც მიღებულ იქნა ფინანსური სექტორის ხარჯზე, გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მკვეთრად გაიზარდა.

სწორედ ამ მიზეზის გამო „რეიგანომიკამ“ მიგვიყვანა კაპიტალიზმის არსებით ტრანსფორმაციამდე. კერძოდ, ფინანსური კაპიტალიზმის სტადიამდე. მაგრამ, როგორც ცნობილია, ფინანსური აქტივების წილის ზრდა აუცილებლად საჭიროებდა საკრედიტო მულტიპლიკატორის, კერძოდ, აშშ-სათვის ფართო ფულადი მასის (M3) ვიწრო ფულადი მასისადმი (M1) თანაფარდობის ზრდას. შესაბამისი პროცესი კარგად ჩანს ნახ. 3-ზე. ყურადღება მივაქციოთ 90-იანი წლების ვარდნას მოცემულ გრაფიკზე, რომელიც უკავშირდება რესურსების „ათვისებას“, ძირითადად, ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიაზე.



ნახ. 3. M3 აგრეგატის შეფარდება M1-თან აშშ-ში [2, გვ. 50]

შევნიშნოთ, რომ შესაბამისი „საპნის ბუშტები“ რეგულარულად სკდებოდა (საფონდო ბაზარი 1987 წელს, დოტ-კომპანიების ბაზრები 2000 წელს), თუმცა გარკვეული მომენტისათვის ეს პროცესი კონტროლს ექვემდებარებოდა, კერძოდ, ინფლაცია სამომხმარებლო სექტორის სასაქონლო ნაწილში შედარებით უმნიშვნელოდ იზრდებოდა.

სამომხმარებლო ხარჯების მიმართულება გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან მხარდაჭერილი იყო ძლიერი პროპაგანდით, რამაც განაპირობა ეკონომიკის იმ სექტორების არნახელი სისწრაფით ზრდა, რომლებიც უკავშირდებოდა ინფორმაციულ ტექნოლოგიებს. გარდა ამისა, სამამულო წარმოების მაღალტექნოლოგიური საქონლის ყიდვაზე დამატებითი რესურსები მიღებულ იქნა სამომხმარებლო საქონლის წარმოების გატანით „მესამე სამყაროს“ ქვეყნებში, განსაკუთრებით, ჩინეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნებში.

რაც შეეხება მესამე ამოცანას, ის გადაიტარა დისკონტის განაკვეთის უპრეცედენტო ზრდით. 80-იანი წლების დასაწყისიდან დისკონტის განაკვეთი თანდათანობით შემცირდა მონეტარული ექსპანსიის შედეგად, რამაც სტიმული მისცა კრედიტების გაფართოებას. ამ პოლიტიკამ ასევე გამოიწვია ფულადი მულტიპლიკატორის ზრდა, ხოლო ეკონომიკის ფინანსური სექტორი ახდენდა ჭარბი ლიკვიდურობის აკუმულირებას ისე, რომ არ აკარებდა მას სამომხმარებლო სექტორს.

ამგვარად, საშუალოვადიანი პერიოდისათვის ძირითადი მიზნები შესრულდა. რასაკვირველია, გრძელვადიანი პერიოდისათვის ფინანსური სექტორის ჰიპერტროფირებული ზრდის პრობლემებს უნდა ეჩინა თავი, რასაც ვაკვირდებით კიდევ დღეისათვის, მაგრამ იმ მომენტისათვის კაპიტალიზმის წინაშე მდგარი პრობლემები გადაიტარა და სოციალიზმის მსოფლიო სისტემაზე დაინგრა. რესურსები, რომლებიც „გადმოიქანა“ ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებიდან, მიმართული რომ ყოფილიყო „რეიგანომიკის“ ფარგლებში შექმნილი ვალუების დასაფარავად, მაშინ შესაძლოა მომხდარიყო მისი უარყოფითი შედეგების კომპენსირება. მაგრამ, თვით უმსხვილესი ბანაკების მიერ ემისიისგან შემოსავლების მიღების სისტემა იმდენად მიმზიდველი გამოდგა, ხოლო მათი როლი სახელმწიფო პოლიტიკაში იმდენად დიდი იყო (აშშ-ში ტრადიციულად ხაზინის მდივნის, ანუ ფინანსთა მინისტრის თანამდებობას, ხოლო თეთრი სახლის მთავარ მრჩეველთა თანამდებობებს იკავებენ საბანკო წრის წარმომადგენლები, რომ არაფერი ვთქვათ ფედ-ის ხელმძღვანელობაზე), რომ მასზე უარის სათქმელად ნება არ ეყოთ.

ამ სისტემის დანერგვის ძირითად შედეგად მივიღეთ ის, რომ რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ამერიკული ეკონომიკა არსებობდა მუდმივად ჭარბი მოთხოვნის პირობებში, რომელსაც არ შეეძლო არ შეექმნა მომხმარებელთათვის საჭირო მატერიალური სიკეთისა და მომსახურების წარმოების შესაბამისი სისტემა. მაგალითად, მ. ხაზინმა გააანალიზა აშშ-ის 1998 წლის დარგთაშორის ბალანსის მონაცემები, რომლის მიხანი

იყო ამერიკული ეკონომიკის იმ სექტორის მონახვა, რომელიც „დამატებით“ წყაროს ისე იღებდა, რომ არ გააჩნდა რესურსების დარგთაშორისი წრებრუნვის ფარგლებში წყარო. აღმოჩნდა, რომ „ახალი“ ეკონომიკის სექტორი, რომელშიც ჩაერთო საინფორმაციო ეკონომიკასთან დაკავშირებული დარგები, აგრეთვე საბითუმო და საცალო ვაჭრობა, მოხმარებული რესურსების მიხედვით აშშ-ის ეკონომიკის დაახლოებით 25%-ს იკავებდა, ხოლო, თავის მხრივ, ეკონომიკას „აძლევდა“ მხოლოდ 15%-ს.

გასაგებია, რომ აშშ-ის ეკონომიკის სტრუქტურა ამ დროიდან მოყოლებული, შეუძლებელი იყო არ შეცვლილიყო, მაგრამ „გამრუდების“ საერთო პრობლემა მაინც დარჩა ძალაში: აშშ-ის ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც არსებობს მოთხოვნის ემისიური სტიმულირება. ამის დანახვა შესაძლებელია ნახ. 4-ზე.




**ნახ. 4. აშშ-ში კერძო ვალების თანაფარდობა მათ რეალურ განკარგვად შემოსავლებთან და დაზოგვის ნორმა [2, გვ. 52]**

აშშ-ის ეკონომიკაში სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში. ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში ფინანსური მაჩვენებლები უნდა იზრდებოდეს ერთნაირად, რაც შეიმჩნეოდა კიდევ აშშ-ის ეკონომიკაში 80-იანი წლების დასაწყისამდე. შემდგომ ინდექსები გაიყო ორ ჯგუფად, რომლებიც ერთმანეთს დაშორდნენ პრაქტიკულად ექსპონენციალური სიჩქარით. ასეთი პარამეტრების მქონე ეკონომიკა დიდხანს ვერ იარსებებს, რამდენადაც ის გარღვევის საკომპენსაციოდ მუდმივად საჭიროებს დამატებით რესურსებს.

აღნიშნოთ, რომ 2000 წლის შემდეგ, როდესაც დასრულდა ბაზრების გაფართოების პოზიტიური ეფექტი ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ხარჯზე და მოხდა საფონდო ბაზრების კრიზისი, აშშ-მა დაიწყო ეკონომიკის ცალკეული სექტორების პირდაპირი არასაბაზრო მხარდაჭერასამომხმარებლო სექტორის გვერდის ავლით.

ასეთი მხარდაჭერის მასშტაბის შეფასება საკმაოდ მარტივია. თუ ავიღებთ 1998 წლის სიტუაციას, მაშინ გარღვევა, როგორც ვხედავთ, შეადგენს აშშ-ის მთლიანი შიდა პროდუქტის მინიმუმ 10%-ს, ე.ი. იმ პერიოდისათვის დაახლოებით წელიწადში 800 მლრდ დოლარს. თუ ამას დაემატებთ სახელმწიფო ხარჯების ზრდას და გავითვალისწინებთ ყველა დანარჩენ ეფექტს, მაშინ ეს ციფრი უნდა გავამრავლოთ დაახლოებით 1,5-2-ზე. ამგვარად, თეორიული მოცულობა რესურსისა, რომელიც გადასროლილ იქნა ამერიკის ეკონომიკაში, ამ პერიოდში შეადგენს 1,3-1,6 ტრილიონ დოლარს წელიწადში, ანუ 110-140 მლრდ დოლარს თვეში. რამდენადაც ეს გადასროლა აშშ-ში ხორციელდება სავალო მექანიზმით, ის ნათლად უნდა გამოჩნდეს ამერიკული ეკონომიკის სუბიექტების ერთობლივი ვალის, შინამეურნეობებისა და აშშ-ის ფედერალური მთავრობის ვალის გრაფიკზე (ნახ. 5):



ნახ. 5. ფედერალური მთავრობის, შინამეურნეობისა და აშშ-ის ეკონომიკის სუბიექტთა ერთობლივი ვალი [2, გვ. 53]

ვხედავთ, რომ სავალო სიმძიმის ზრდის ტენდენცია დაახლოებით შეესაბამება მითითებულ ციფრებს, რომელიც მიღებულია დარგთაშორისი ბალანსის მონაცემებით, ამასთან, სახეზეა აშშ-ში სტრუქტურული კრიზისის დამატებითი დამადასტურებელი საბუთი – ვალის ზრდის ტემპი მდგრადად აჭარბებს აშშ-ის ეკონომიკის ზრდის ტემპებს. რასაკვირველია, ნახაზის ანალიზის დროს აუცილებელია გავითვალისწინოთ ის, რომ პირველ ეტაპზე კრედიტის ღირებულების შემცირების ეფექტი უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე ერთობლივი ვალის ზრდა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ, აქედან მოყოლებული, აშშ-ის ეკონომიკა გაიზარდა მინიმუმ 1,5-ჯერ, ასე რომ, დღეისათვის სისტემის (შედარებით) სტაბილურ მდგომარეობაში შესანარჩუნებლად აუცილებელია დაახლოებით 200-250 მლრდ დოლარი ყოველთვიურად.

რა შედეგებია მოსალოდნელი, როცა ქვეყნის ეკონომიკის მინიმუმ 10% მხოლოდ ემისიის ხარჯზე არსებობს? მისი შეწყვეტის შემთხვევაში ეკონომიკის ამ ნაწილმა უნდა შეწყვიტოს არსებობა. მაგრამ რადგანაც დარგთაშორისი ბალანსის ფარგლებში ეს ნაწილი ჭარბი რესურსის გადანაწილებას ახდენს სხვა სექტორში, ეს უკანასკნელიც შეწყვეტს არსებობას ასეთ სიტუაციაში.

ამ სისტემის 30 წლიანი არსებობის მანძილზე მკვეთრად ამაღლდა ფინანსური ეკონომიკის წილის მაჩვენებლები, ამასთან, ფინანსური საპნის ბუშტებისა და სტრუქტურული დისპროპორციების მასშტაბებმა ისეთ სიდიდეებს მიაღწია, რომ ეკონომიკამ უკვე ვეღარ გაუძლო მას. ეს გამოიხატება მრავალ ეფექტში, მაგალითად იმაში, რომ ეკონომიკამ, კერძოდ, საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა შეწყვიტა ბოლო დროს შეწყვიტა რეაგირება დისკონტის განაკვეთის ცვლილებაზე. არსებობს სერიოზული საფუძველი ვიფიქროთ, რომ ამერიკულ ეკონომიკაში დიდი ხანია დაიწყო ვარდნა, მაგრამ მას მთლად რეცესიას ვერ ვუწოდებთ, რადგანაც ეს ტერმინი, ჩვეულებრივ, ეკონომიკაში ციკლური პროცესების აღსაწერად გამოიყენება, ხოლო თანამედროვე დეპრესია აშკარად გამოხატული სტრუქტურული ხასიათის მატარებელია.

როგორც ვხედავთ, ამერიკული ეკონომიკის ძირითადი პრობლემა „ჭარბი“ ნაწილის არსებობაა, რომელიც ბოლო 30 წლის განმავლობაში „გაიზარდა“ სამომხმარებლო მოთხოვნის მუდმივი და სულ უფრო მზარდი საემისიო სტიმულირებით. დღეისათვის აშშ-ს არ შეუძლია ეკონომიკის ამ ნაწილის არც დაფინანსება, არც „დახურვა“, რადგან მან ძალიან დიდ მასშტაბს მიაღწია. თეორიულად, საჭიროა მსგავსი სიტუაციის არსებობის აღიარება და პირდაპირი ანტიკრიზისული პოლიტიკის გატარება, მაგრამ ეს სრულიად შეუძლებელია წმინდა პოლიტიკური მიზეზების გამო, რადგან მსოფლიოს ყველაზე მსხვილი ეკონომიკის ასეთი მასშტაბით ვარდნა აშშ-სათვის აბსოლუტურად შეუძლებელს გახდის არა მარტო ერთადერთი მსოფლიო ლიდერის როლის შენარჩუნებას, არამედ მსოფლიო ფინანსური სისტემის არსებობის გაგრძელებას დოლარისა და ამერიკული ბანკების ბაზაზე. არ შეიძლება მან აგრეთვე არ გამოიწვიოს უადრესად სერიოზული შედეგები მთელი მსოფლიო ეკონომიკისთვის, კერძოდ, მსოფლიო ერთობლივი მოთხოვნის მასშტაბური ვარდნის შედეგად.

ამრიგად, ზემოთ განხილული თეორიის მიხედვით, თანამედროვე გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ძირითადი მიზეზი აშშ-ის ეკონომიკაში ჭარბი ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირებაა, რომელიც ხორციელდება ემისიური დაფინანსების ხარჯზე. აშშ-ის ეროვნულმა ვალმა 2015 წლის მაისის ბოლოსათვის 18,4 ტრლნ დოლარს მიაღწია მაშინ, როდესაც აშშ-ის GDP მხოლოდ 17,3 ტრლნ დოლარია, თანაც, აშშ ეროვნული ვალი, დროთა განმავლობაში, ექსპონენციალურად უსწრებს ამერიკის გამოშვებას. ამასთან, ბოლო მონაცემებით, აშშ-ში ფედერალური ფონდებისა და დისკონტის განაკვეთი პრაქტიკულად ნულის ტოლია. აშშ-ის მიმდინარე ოპერაციათა ანგარიშისა და ფედერალური ბიუჯეტის დიდი დეფიციტის, ასევე ასტრონომიული ეროვნული ვალის არსებობა წარმოშობს დოლარის დეფოლტის რისკის საშიშროებას და ართულებს აშშ-ის სახელმწიფო სესხის ობლიგაციების რეალიზაციას. ცხადია, ასეთ შემთხვევაში, საპროცენტო პარიტეტის დამოკიდებულებიდან გამომდინარე, თუ იარსებებს მოლოდინი იმისა, რომ აშშ-ის დოლარი გამყარდება სხვა ვალუტებთან მიმართებაში და ეს ტენდენცია შენარჩუნდება გრძელვადიანი პერიოდისათვის, მაშინ აშშ თავისუფ-

ლად შექმნის საკუთარი ჭარბი მოთხოვნის სავალო დაფინანსებას. 2014 წლის ბოლოდან დღემდე სახეზეა აშშ დოლარის საერთაშორისო კურსის ზრდა, თუმცა, ამის მიზეზი ნამდვილად არ ყოფილა ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ მკაცრ მონეტარულ პოლიტიკაზე გადასვლა. როგორც აღვნიშნეთ, აშშ-ში 2009 წლიდან საბაზისო საპროცენტო განაკვეთები ისტორიულად უპრეცედენტო დაბალ, პრაქტიკულად ნულოვან დონეზე ნარჩუნდება. მაშ, რას უნდა გამოეწვიოს დოლარის გაძვირება? როგორც აღვნიშნეთ, აშშ-ის ასტრონომიულად დიდი და მზარდი ეროვნული ვალის დასაფინანსებლად საჭიროა ამერიკული ობლიგაციების დიდი ოდენობით ემისია, ხოლო ამ ემისიას საფრთხე რომ არ შეექმნას, საპროცენტო პარიტეტის დამოკიდებულებიდან გამომდინარე, უნდა არსებობდეს დოლარის გაძვირების მოლოდინი გრძელვადიანი პერიოდისათვის. საქმე ისაა, რომ დოლარი კი არ გაძვირდა მსოფლიოს სხვა ვალუტებთან მიმართებაში, არამედ ეროვნული ვალუტები გაუფასურდა დოლართან მიმართებაში, რაც აშშ-ის ინტერესებშია. ეროვნული ვალუტების გაუფასურება კი ძირითადად გამოწვეულია შესაბამისი ქვეყნებიდან მსხვილი ბანკების მიერ მიზანმიმართულად საერთაშორისო სარეზერვი ვალუტის მასშტაბური გატანით.

ამრიგად, თანამედროვე კრიზისი, რომელიც გამოწვეულია აშშ-ში ჭარბი მოთხოვნის სტიმულირებით, თავის მხრივ, საჭიროებს დანარჩენი მსოფლიოდან რესურსების გადაქაჩვას აშშ-ში, ხოლო ეს უკანასკნელი ხორციელდება ეროვნული ვალუტების დოლარის მიმართ ხელოვნური გაუფასურებით.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Кобяков, А. Б., Хазин, М. Л. 2003. Закат империи доллара и конец «Рак Americana». М.: Вече. <http://www.e-reading.club/book.php?book=88873>
2. М. Хазин. Теория кризиса. Доклад на конференции в Милане, Италия, 9 июля 2008 года. Журн. "Профиль" №33 от 8 сентября 2008 года.
3. Л. Е. Гринин. Глобальный кризис как кризис перепроизводства денег, <http://www.socionauki.ru/journal/articles/130302/>
4. <http://www.weforum.org/events/world-economic-forum-annual-meeting-2014>
5. <http://www.vedomosti.ru/finance/news/21766731/ekonomika-uspokaivaet-tehnologii-vdohnovlyayut-socialnye>

*Malkhaz Chikobava*

### A NEW VISION OF THE CURRENT ECONOMIC CRISIS AND THE CAUSES OF RECENTLY APPRECIATION OF THE US DOLLAR

#### Annotation

In given work are analyzed the new vision of the theory of economic crisis, which belong to Russian economists O.V.Grigoriev, A.B.Kobyakov and M.L.Khazin in 1997-2001. Emphasized that the fundamental problem of the American economy is presence of a "redundant" part, which «outgrew» due to constant and all time increasing emission stimulation of a consumers' demand. Today the USA cannot neither finance this part of economy, nor "close" it because it became too great. Theoretically, it would be necessary to recognize this situation and begin a direct anti-recessionary policy, but it is absolutely impossible in view of purely political reasons as such scale of falling of the largest economy in the world makes absolutely impossible for the USA to keep not only role of the unique world leader, but also continuation of existence of a world financial system on the basis of dollar and the American banks. It can cause also rather and rather serious consequences for all world economy.

Based on this theory, the author of this article explains the reasons for the recent rise in price of the USA dollar

*ნათელა წიკლაშვილი  
თამილა თურმანიძე*

### ქალი შრომის ბაზარზე

თანამედროვე პირობებში უმუშევრობა კვლავაც რჩება ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარ მთავარ სოციალურ გამოწვევად. ამასთან, ქალთა უმუშევრობა ხასიათდება დამატებითი ბარიერებითა და ფაქტორებით, როგორცაა კულტურული დამოკიდებულებები, ბავშვის მოვლა-პატრონობის ტრადიციული ვალდებულება, განსხვავება ხელფასებში და ა.შ. აღნიშნული გარემოებები კიდევ უფრო ართულებს ქალთა დასაქმების შესაძლებლობებს საქართველოში.

ქალთა დასაქმების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები არა ერთხელ გამხდარა მეცნიერ-ეკონომისტთა და საერთოდ, საზოგადოების მსჯელობის საგანი. ოცდამეერთე საუკუნეში კვლავ განსხვავებულია მამაკაცთა და ქალთა დასაქმების მაჩვენებლები, შრომის ანაზღაურების სიდიდე, შრომის პირობები. ამ საკითხების ანალიზის დროს გვევლინება ვერ ავუვლით ქალთა დისკრიმინაციის ცნებას, რადგან ქალთა და მამაკაცთა ხელფასებს შორის საგრძნობი განსხვავება, მართალია, სხვადასხვა დონით, მაგრამ მაინც მთელ მსოფლიოში შეინიშნება. ამ ფენომენის საზომად გენდერული სახელფასო სხვაობა (Gender Pay Gap – GPG) გამოიყენება. ეს ინდიკატორი წარმოადგენს მამაკაცისა და ქალის საშუალო საათობრივ ხელფასებს შორის სხვაობას შეფარდებულ მამაკაცის საშუალო საათობრივ ხელფასთან. Eurostat-ის მიხედვით ქალები მამაკაცებთან შედარებით 16.2%-ით ნაკლებს გამოიმუშავენ საათში. ეს სხვაობა იცვლება ქვეყნების მიხედვით.[3]

2012 წელს მსოფლიო ბანკმა გამოაქვეყნა ანგარიში „Development Report on Gender Equality“ სადაც სამოცდაოთხი განვითარებადი და განვითარებული ქვეყნის შესახებ წარმოადგენს მონაცემებს და ასკვნის, რომ ქალის ხელფასი საშუალოდ 8-დან 48 პროცენტამდე ნაკლებია მამაკაცის ხელფასზე. ეს სხვაობა განსაკუთრებით დიდია დაბალშემოსავლიან ქვეყნებში [4].

ტერმინი “ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობის ინდექსი” ზომავს ქალთა ეკონომიკურ აქტიუობას, იგი პირველად ეურნალმა The Economist-მა გამოაქვეყნა 2010 წელს. იგი მოიცავს 5 მსხვილ კომპონენტს—შრომის კანონმდებლობა და დასაქმება, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, განათლება და პროფესიული სწავლება, ქალთა სამართლებრივი და სოციალური სტატუსი და ზოგადი ბიზნესგარემო. ეს კომპონენტები თავის მხრივ უფრო დეტალური ინდიკატორებისგან შედგება. ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობების 2012 წლის მონაცემების მიხედვით საქართველოს მაჩვენებელი ორივე – მსოფლიო და რეგიონის – საშუალო ინდექსზე მაღალია. კვლევის შეფასებით, ქალები ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. ის ფაქტი, რომ ქალები მამაკაცებთან ერთად უფრო აქტიურად ერთვებიან ეკონომიკურ ცხოვრებაში, მშპ-ის ზრდაზე დადებითად აისახება. კვლევის მონაცემებით, ევროპაში, 1995 წლიდან მშპ-ის წლიური ზრდის 25% სწორედ ქალთა გაზრდილ ეკონომიკურ აქტიუობაზე მოდის. საქართველო მსოფლიოს 128 ქვეყანას შორის 59-ე ადგილზე მოხვდა. [4]

იმისთვის რომ ქვეყანამ რეიტინგში მაღალი პოზიცია დაიკავოს, სახელმწიფომ ქალებისთვის თანაბრად უნდა უზრუნველყოფდეს დასაქმებას, ფინანსებზე წვდომას, განათლებას და პროფესიულ სწავლებას. ასევე მნიშვნელოვანია საზოგადოებაში ქალის სამართლებრივი და სოციალური სტატუსი და ზოგადი ბიზნესგარემო.

სხვადასხვა კვლევის შეფასებით, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ყველა ქვეყანაში ქალებისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა საკანონმდებლო დონეზე წლიდან წლამდე უმჯობესდება. მაგალითად, უმრავლეს ქვეყნებში არსებობს კანონები, რომლებიც კრძალავს დისკრიმინაციას დასაქმების, საკუთრების უფლების, ჯანდაცვის და სხვა სფეროებში. თუმცა, კანონების აღსრულება და კონტროლი მაინც პრობლემად რჩება. კანონმდებლობით თუ მისი აღსრულებით, საქართველო ყველა უშუალო მეზობელ ქვეყანაზე წინაა. ქალების ეკონომიკური შესაძლებლობების 2012 წლის ინდექსში პირველ სამეულში შედიან: შვედეთი, ნორვეგია და ფინეთი. მათი პირველობა ძირითადად განპირობებულია დასაქმების, საშუალო განათლების ხანგრძლივობის და ზოგადი ბიზნესგარემოს მაღალი მაჩვენებლებით.

ქალთა მაღალ ეკონომიკურ აქტიუობაზე მიუთითებენ სიღვერუშტინი და სეირა, რომლებიც აღნიშნავენ რომ ქალებს აქვთ უფრო მეტი ეკონომიკური შესაძლებლობა, ვიდრე ჩინეთსა და ინდოეთს. რომ 2009 წელს მსოფლიოს ქალებმა გამოიმუშავეს 13 ტრილიონი დოლარი, რაც ორჯერ უფრო მეტია ვიდრე ჩინეთის და ინდოეთის მშპ ერთად. ვარაუდობენ, რომ 2014 წლისთვის ეს მაჩვენებელი 18 ტრილიონამდე გაიზრდება. [5]

ბევრი ინსტიტუტი აღიარებს, რომ ქალთა მზარდი სიმდიდრე და გავლენა არ შეიძლება იგნორირებული იყოს, ვინაიდან ქალებს აქვთ ბაზარზე თავის დამკვიდრების დიდი შესაძლებლობა. ქალებს არა მხოლოდ მზარდი შემოსავალი აქვთ, არამედ ისინი მსოფლიო მაშტაბით აკონტროლებენ სამომხმარებლო ხარჯების დაახლოებით 64%-ს. ბარქლაიზის კვლევის მიხედვით (2013) ქალები აგროვებენ ქონებას მოგებიდან, დანაზოგებიდან და ბიზნესის შემოსავლებიდან. ტენდენციები ცხადყოფს, რომ გაიზარდა თვითდასაქმებულ ქალთა რაოდენობა, რომლებიც ქმნიან ცხოვრების წესს და მზარდ კომპანიებს. ქალების მუშაობას კორპორაციებში დადებითი ეფექტი აქვს. Catalyst (2007) დაახლოებით 500 კომპანიაში ჩაატარა დაკვირვება სადაც მაღალ თანამდებობაზე იყვნენ ქალები. შეადარა ცუდი და საუკეთესო ინდექსის მქონდე ქალთა წარმომადგენლობითი კომპანიები და ნახა, რომ მათი გავლენა კომპანიაზე დიდია. დაკვირვების შედეგად გამოვლინდა, რომ სააქციო კაპიტალის მოგება გაიზარდა 53 %-ით, ზღერული შემოსავალი 42 %-ით. [6]

ინვესტიციები, რომლებიც ქალი ლიდერების ზრდისთვისაა გაწეული, დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის მშპ-სა და კეთილდღეობაზე. როგორც Booz&Co კომპანიის მკვლევარებმა (2012) გამოთვალეს, მშპ-ს შესაძლო ზრდა ეკონომიკაში დამატებით ქალთა ჩართვის ხარჯზე ინდოეთში, სამხრეთ აფრიკასა და დიდ ბრიტანეთში შესაბამისად შეადგენს – 27%, 10% და 5%-ს. კვლევებმა ისიც აჩვენა, რომ ქალები უფრო მეტს ხარჯავენ საკუთარი და შვილების განათლებაზე და ჯანმრთელობაზე, ვიდრე მამაკაცები რომლებიც უფრო გართობას და მათთვის სახალისო საქმიანობას ახმარენ თავიანთ შემოსავლებს. [6]

ამდენად, თუ შევეუქმნით ქალებს დასაქმების და საკუთარი შემოსავლების მიღების პირობებს, ეს, პირდაპირ თუ ირიბად, დადებითად აისახება მომავალი თაობის კეთილდღეობასა და სტაბილურობაზე.

ევროკომისიის ანგარიშის თანახმად 2012 წლის დასაწყისისთვის ევროკავშირში ლიდერ ქალთა რაოდენობა მხოლოდ 13,7 % იყო. 2010 წლის მონაცემებით აზიის და წყნარი ოკეანის ქვეყნებში ქალები მაღალ თანამდებობაზე 6,5 %-ია. აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ აფრიკაში კი 3,2 %. 2010 წლის მონაცემებით ინდოეთსა და პაკისტანში ქალთა დასაქმების მაჩვენებელი 29 % და 22 %-ია. ნიგერიაში 48% ქალებისა დასაქმებულია. სამხრეთ აფრიკაში - 44 %, დიდი ბრიტანეთში 56 % ქალებისა არის დასაქმებული [4].

საინტერესოა დასაქმებულ ქალთა განათლების დონე. განვითარებულ ქვეყნებში 50%-ზე მეტია განათლებულ ქალთა რიცხვი. დიდი ბრიტანეთის ეროვნული სტატისტიკის სამსახურის ინფორმაციით უნივერსიტეტების კურსდამთავრებულთა 54 %-ზე მეტი ქალია [7].

2010 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, რომლის მთავარი არსი სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობაა. ქვეყანაში არსებობს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, რომელიც ქალსა და მამაკაცს თანაბარ პირობებში აქცევს. საკანონმდებლო თვალსაზრისით ყველაფერი რიგზეა. მაგრამ 2013 წელს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა ჩაატარა კვლევა- საჯარო სამსახურში დასაქმებულთა სტატისტიკა გენდერულ ჭრილში. 166 საჯარო ორგანიზაციის კვლევის მიხედვით, დასაქმებულების 70,7%-ია კაცი და ქალები მხოლოდ 29,3%-ით არიან წარმოდგენილი. ხელმძღვანელ თანამდებობაზე დასაქმებულია 78,3% კაცი და 21,7% ქალი. [2]

დაქირავებით დასაქმებულ ქალთა 44%-ია საჯარო სექტორში მუშაობს, ხოლო კერძო სექტორში შესაბამისად 56%-ი. ამასთან, საინტერესოა, რომ 2011 წლამდე ქალები უფრო მეტად სახელმწიფო სექტორში იყვნენ დასაქმებულები, თუმცა არასახელმწიფო სექტორში დასაქმებულ ქალთა რაოდენობა ზრდადი

ტენდენციით ხასიათდებოდა და 2013 წლის მონაცემებით აღნიშნულ სექტორში 21%-ით მეტი ქალი იყო დასაქმებული. ქალებისთვის განსაკუთრებით რთულია პარლამენტში, საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში დეპუტატ ქალთა რაოდენობა არასოდეს აჭარბებდა 10%-ს (1991, 1992, 1995, 1999, 2003 და 2008 წლების მოწვევის პარლამენტში (უმადლესი საბჭო) ქალთა რაოდენობა შესაბამისად შეადგენდა 6.8%, 5.6%, 7%, 6.4%, 9.4% და 5%). ამჟამად, 150 დეპუტატიდან 17 ქალია და მათი წილი 11.3%-ს შეადგენს. აღმასრულებელ ორგანოებშიც მცირეა ქალთა წარმომადგენლობა. 2012 წლის აგვისტოში 19 მინისტრიდან ხუთი იყო ქალი. 2014 წელს - მხოლოდ 3, 2015 წელს 4 ქალი მინისტრია. {8}

მონაცემები დამაფიქრებელია, თუ გავითვალისწინებთ იმას რომ, საჯარო სექტორი შედარებით სტაბილურ ხელფასებსა და სამუშაო პირობებს სთავაზობს მოქალაქეებს, ვიდრე კერძო სექტორი ან თვითდასაქმება და სქესის მიხედვით დისკრიმინაციას ადგილი არ აქვს, სხვა შემთხვევაში, როგორც ზემოთ ვნახეთ, ქალის შრომა მამაკაცთან შედარებით ბევრად უფრო დაბალ ანაზღაურებადია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით დაქირავებით დასაქმებული ქალების საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი დაახლოებით 50%-ით ნაკლებია, ვიდრე კაცების. საინტერესოა ასევე ეკონომიკური სტატუსის მიხედვით მოსახლეობის განაწილება.

დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლების სქესობრივ ჭრილში განხილვისას აღსანიშნავია, რომ 2013 წელს 2012 წელთან შედარებით ქალებში უმუშევრობის დონე შემცირდა 1.5 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში პირიქით 0.4 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და შესაბამისად 12.3 და 16.5 პროცენტი შეადგინა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ტრადიციულად კაცებში უმუშევრობის დონე მაღალია ქალებთან შედარებით. ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ დაუსაქმებელი ქალების უმრავლესობა დიასახლისია და შესაბამისად, არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას მიეკუთვნება. ქალებში არააქტიურობის დონე თითქმის ორჯერ აღემატება კაცებში ანალოგიურ მაჩვენებელს (შესაბამისად 43.2 და 22.7 პროცენტი). ამგვარად, კაცებთან შედარებით ქალებში დაბალია როგორც აქტიურობის, ასევე დასაქმების დონე. 2013 წელს 2012 წელთან შედარებით ქალებში დასაქმების დონე 0.3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და ყველაზე მაღალ ნიშნულს (49.8 პროცენტი) მიაღწია ბოლო 9 წლის განმავლობაში, ხოლო კაცებში დასაქმების დონე წინა წელთან შედარებით 1.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 64.5 პროცენტი შეადგინა.[1]

ქალთა შრომის ბაზარზე გააქტიურების თვალსაზრისით შესაძლოა სახელმწიფომ დააწესოს გარკვეული სტიმულატორები როგორც საჯარო ისე კერძო სექტორისათვის. ამასთან ეფექტიანი იქნება, თუ სხვადასხვა ეკონომიკური პროგრამები (სახელმწიფო და საერთაშორისო სექტორის მიერ ინიცირებული) განსაკუთრებულ აქცენტს გააკეთებენ ქალთა ჩართულობასა და დასაქმებაზე. შრომის ბაზარზე ქალთა გააქტიურების გაზრდა შესაძლებელია, როგორც გარკვეული საკანონმდებლო ინიციატივებით, ასევე სპეციალური პროგრამების ამოქმედებით მათ შორის, თვით ქალთა მენტალიტეტის შეცვლის მიმართულებით. ქალთა 43% ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას განეკუთვნება, ეს კატეგორია რეალურად არის ქვეენის ფარული რესურსი, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს მის განვითარებაში.

#### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, „დასაქმება და უმუშევრობა“- სტატისტიკური პუბლიკაცია. თბილისი 2013;
2. საზოგადოებრივი დამოკიდებულების კვლევა გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში, თბილისი 2013;
3. [http://epp.eurostat.ec.europa.eu/statistics\\_explained/index.php/Gender\\_pay\\_gap\\_statistics](http://epp.eurostat.ec.europa.eu/statistics_explained/index.php/Gender_pay_gap_statistics)
4. <https://siteresources.worldbank.org/INTWDR2012/Resources/7778105-1299699968583/7786210-1315936222006/Complete-Report.pdf>
5. Michael J. Silverstein and Kate Sayre, the-female-economy, Harvard business review, 2009
6. Gita Patel “Gender differences in leadership styles and the impact within corporate boards”. June 2013.
7. “Women’s economic opportunity: A new global index and ranking” An Economist Intelligence Unit publication. 2010
8. <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/42209/>

*Natela Tsiklashvili  
Tamila Turmanidze*

#### **WOMAN AT LABOR MARKET Anotation**

Women's unemployment is a major social problem in modern conditions. Increasing the activity of women in labor market is possible by means of some of the legislative initiatives, and special programs for implementation. There is a significant difference between the salaries of men and women around the world. In fact, if we discuss in terms of gender, female labor is cheap. Women are mainly employed in the private sector and representing the core of the country's economic welfare creation. Nowadays, many women have family breadwinner role. Economic independence gave women some kind of power, but this new situation do not change traditional gender roles, and women's main activity remains taking care of household duties, child care, and so on. The majority of women are employed in the formal sector, especially the agriculture, education, healthcare and light manufacturing sectors in low-paying jobs. Georgia is western values country. In 2010, the Parliament adopted the Law on Gender Equality, and low's main idea is to eliminate gender discrimination.

**ფისკალური რისკები და ეკონომიკური ბაზრების ტანამედროვე ეტაპზე**

საბიუჯეტო პოლიტიკა არის მაკროეკონომიკური პროპორციის რეგულირების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. უპირველეს ყოვლისა, მისი ამოცანაა ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა და ეკონომიკური განვითარების სტიმულირება.

საბიუჯეტო პოლიტიკა მჭიდრო კავშირშია ფულად-საკრედიტო პოლიტიკასთან და ინფლაციურ პროცესებთან. არასწორმა საბიუჯეტო პოლიტიკამ შეიძლება გამოიწვიოს ინფლაციური პროცესები, ასევე, არასწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა იწვევს საბიუჯეტო პრობლემებს.

პირველი რიგის ამოცანები, რომლებიც უნდა აისახოს საბიუჯეტო პოლიტიკაში, მდგომარეობს შემდეგში: წარმოების სტაბილიზაცია და ეკონომიკური პოტენციალის ზრდისათვის ოპტიმალური პირობების უზრუნველყოფა. ამისათვის კი საჭიროა ხელსაყრელი მონეტარული გარემოს შექმნა და განმტკიცება, ფინანსური სტაბილიზაცია, შედავათიანი საგადასახადო რეჟიმის გამოყენება. განსაკუთრებით, მოგების დაბეგვისას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა პრაქტიკაში დანერგვის სტიმულირება, შრომის მწარმოებლურობის ამაღლება და ა.შ.

ქვეყანაში ფულის მიმოქცევისა და ფინანსური მდგომარეობის განმტკიცების მიზნით საჭიროა:

- საბიუჯეტო მექანიზმის სრულყოფა ფულადი მასის სახელმწიფო რეგულირების გზით;
- ეკონომიკის რეალური სექტორის პრიორიტეტული ხელშეწყობა;
- საბანკო სისტემის საქმიანობის სრულყოფა;
- ინფლაციის დონის შემცირება;
- ეროვნული და უცხოური ინვესტირებისათვის ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნა, აგრეთვე, უცხოური ინვესტიციების სტიმულირება.

საბიუჯეტო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა სახელმწიფო ვალის მოცულობის შემცირება, საშინაო და საგარეო ვალის მთლიანად დაფარვა პერსპექტივაში, უდაფიციტო ბიუჯეტის შედგენა, აგრეთვე, საფინანსო-საბიუჯეტო რესურსების კონცენტრაცია ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტულ მიმართულებებზე.

საბიუჯეტო პოლიტიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გრძელვადიან პერიოდში ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის, ხანგრძლივი პერიოდისათვის მისი მიზანი უნდა იყოს:

- ხელისუფლების ყველა დონეზე სახელმწიფო ფინანსურ ვალდებულებათა სრული და დროული შესრულების უზრუნველყოფა;
- საბიუჯეტო პოლიტიკის მასტიმულირებელი ელემენტების განვითარება და არამასტიმულირებლების აღმოფხვრა, უპირველეს ყოვლისა, ოპტიმალური საგადასახადო სისტემის ფორმირების მეშვეობით;
- სახელმწიფოს ფუნქციონირების შეფარდებითი ხარჯების არსებითი შემცირება;
- ქვეყნის საშინაო და საგარეო ვალებით დატვირთვის მნიშვნელოვნად შემცირება;
- ქვეყანაში ფინანსური სტაბილურობის მხარდაჭერა.

ამ მიზნების რეალიზაცია შესაძლებელია საბიუჯეტო პოლიტიკის შემდეგი მიმართულებებით გატარების შემთხვევაში: სახელმწიფო ფინანსების მართვის ეფექტიანი სისტემის შექმნა; სახელმწიფოს ფინანსური რესურსების კონცენტრაცია მისი საბაზო ფუნქციების შესრულებაზე; სახელმწიფო ვალებისა და აქტივების მართვაში მიზანმიმართული პოლიტიკის გატარება; ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების სრულყოფა; საგადასახადო სისტემის ოპტიმიზაცია.

ფისკალური რისკების შეფასება უმთავრესად მოიცავს მაკროეკონომიკური რისკების შედეგების ანალიზს, რომელიც ხორციელდება მაკროეკონომიკური მოდელირების პროცესში სცენარების ანალიზის ფარგლებში და ის აგრეთვე იკვლევს შესაძლო მაკროეკონომიკურ შოკების გავლენას საბიუჯეტო შემოსავლებსა და ხარჯებზე.

რისკის მართვა წარმოადგენს რისკის განსაზღვრის, შეფასების, მონიტორინგის და რისკის მისაღებ დონეზე შენარჩუნების მიზნით საჭირო კონტროლის ღონისძიებების გატარების პროცესს, რომელიც გავლენას ახდენს დაწესებულების მიზნებისა და ამოცანების მიღწევაზე და გულისხმობს საჭირო ღონისძიებების განხორციელებას რისკის შემცირების მიზნით.

რისკის მართვა წარმოადგენს ერთიან, უწყვეტ და განვითარებად პროცესს, რომელშიც, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, მონაწილეობას იღებს დაწესებულების თითოეული თანამშრომელი.

რისკის მართვა წარმოადგენს დაწესებულების სტრატეგიული მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს.

რისკის მართვის მთავარი ამოცანაა, მოახდინოს რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის საშუალებით შესაძლებელია პოტენციური დადებითი თუ უარყოფითი ფაქტორების გამოვლენა, რაც გავლენას ახდენს დაწესებულების საქმიანობაზე.

რისკის მართვა მოიცავს პრაქტიკულად ყველა რისკს, რომელიც ეხება დაწესებულების საქმიანობას წარსულში, აწმყოსა და მომავალში.

ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს დაწესებულებაში რისკის მართვის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას, ხოლო დაწესებულებაში შექმნილი შიდა აუდიტის სუბიექტის მოვალეობაა არსებული რისკის მართვის სისტემის შეფასება და მის გასაუმჯობესებლად შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა.

რისკის მართვა უნდა ატარებდეს პერმანენტულ ხასიათს და ხორციელდებოდეს დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ყოველწლიურად დამტკიცებული რისკის მართვის სტრატეგიის შესაბამისად.

რისკის მართვა ეხმარება და აძლიერებს დაწესებულებას, უზრუნველყოფს რა მისი ამოცანების ეფექტურად შესრულებას, მათ შორის:

- დაწესებულების ზოგადი მიმართულებების ჩამოყალიბებას, რომელიც საშუალებას იძლევა, მომავალი საქმიანობა გამართული და კონტროლირებადი ფორმით წარიმართოს;
- რიგი პროცესების გაუმჯობესებას – გადაწყვეტილების მიღება, დაგეგმვა და პრიორიტეტების მინიჭება;
- დაწესებულებაში არსებული ქონებისა და რესურსების პროდუქტიული განაწილებისა და გამოყენების ხელშეწყობას;

- დაწესებულების რეპუტაციისა და აქტივების დაცვას და გაძლიერებას;
- ადამიანური რესურსებისა და ინსტიტუციური ცოდნის ბაზის განვითარებას და გაძლიერებას;
- ოპერაციების ოპტიმიზაციას და სხვ.

საჯარო ფინანსების რეფორმა ხელს შეუწყობს ფისკალური რისკების შეფასების და მართვის სისტემის ჩამოყალიბებას ფისკალური რისკების გამოვლენის, შესწავლის და გამჭვირვალის მიზნით. კერძოდ:

- რისკის გამოვლენა გულისხმობს მთავრობის ან სახელმწიფო საწარმოების მიერ აღებული ისეთი ვალდებულებების იდენტიფიცირებას, რომლებსაც მომავალში შესაძლოა ჰქონდეს უარყოფითი ფისკალური ეფექტი, მათ შორის პირობითი, საპენსიო და სხვა სახის აშკარა ან ფარული ვალდებულებების აღმოჩენას;

- შესწავლა გულისხმობს ფისკალური რისკების ანალიზს და მათი ეფექტების შეფასებას;

- გამჭვირვება გულისხმობს ფისკალური რისკების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებასა და გავრცელებას, მათ შორის, ბიუჯეტის თანმხლებ დოკუმენტებში.

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში, ბიუჯეტირების მიმართულებით დასახული ღონისძიებები უზრუნველყოფს საჯარო ფინანსების ეფექტიან მართვას და გამჭვირვალობას, სხვადასხვა სექტორის განვითარების მიზნით დასახული პოლიტიკის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების მობილიზებას ფისკალური მდგრადობის შენარჩუნების პირობებში და სოციალური ვალდებულებების დაფარვის პარალელურად ეკონომიკის ზრდის ხელშეწყობი ფისკალური პოლიტიკის გატარებას. ზემოაღნიშნულის განსახორციელებლად საჭიროა, რეფორმები რამდენიმე მიმართულებით გაგრძელდეს:

- სტრატეგიული და საშუალოვადიანი დაგეგმვის სტანდარტების შემუშავება და სრულყოფა;

- პროგრამული ბიუჯეტის და შესაბამისი მეთოდოლოგიის სრულყოფა;

- ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის (eBudget) ფუნქციონალუბის გაფართოება;

- პოლიტიკის ანალიზის და კოორდინაციის შემდგომი სრულყოფა.

შემუშავება დაგეგმვის ერთიანი სტანდარტები, რომელიც დაუკავშირდება როგორც ეროვნულ, ისე დარგის და სხვა სექტორულ საშუალოვადიან სტრატეგიულ დოკუმენტებს.

გარდა ამისა, მიზანშეწონილია გაგრძელდეს მუშაობა საშუალოვადიანი გეგმების გაუმჯობესების მიმართულებით; უზრუნველყოფილ იქნეს სხვადასხვა სექტორის სტრატეგიების თავსებადობა საშუალოვადიან პარამეტრებთან; საშუალოვადიანი გეგმები გამოყენებული იყოს, როგორც ეფექტური ინსტრუმენტი ფისკალური სტაბილურობის მისაღწევად; ეკონომიკის სტიმულირების მიზნით ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდის პარალელურად, შესაძლებელია კონკრეტულ პერიოდში გაიზარდოს საბიუჯეტო დეფიციტი, თუმცა, საშუალოვადიან პერიოდში უნდა შენარჩუნდეს მისი დაბალი მაჩვენებელი.

ამასთან, რაც შეეხება პროგრამული ბიუჯეტის დანერგვის და შესაბამისი მეთოდოლოგიის დახვეწის მიმართულებას, მათ შორის, მხარჯავი დაწესებულებებისათვის მეთოდოლოგიური მითითებების შემუშავება მათ პროგრამული ბიუჯეტის მომზადების შიდა პროცესის ეფექტური მართვის უზრუნველყოფაში დაეხმარება. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტირების სრულყოფილად დანერგვა, რაც გულისხმობს მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების დახვეწას და მათ რეალურ ინსტრუმენტად გამოყენებას როგორც დაგეგმვის, ისე შესრულების შეფასების პროცესში.

საბიუჯეტო პოლიტიკა ქვეყნის ფინანსური პოლიტიკის ორგანული შემადგენელი ნაწილია, ფინანსური პოლიტიკა, თავის მხრივ, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ელემენტია. ფინანსური პოლიტიკა ვლინდება სახელმწიფოს ფინანსური რესურსების გამოყენებაში, შემოსავლებისა და ხარჯების რეგულირებაში, სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენასა და აღსრულებაში, საგადასახდელი ბალანსის რეგულირებაში, ფულის მიმოქცევის მართვაში, ეროვნული ვალუტის გაყვლის კურსზე ზემოქმედებაში, ინფლაციური პროცესების მართვაში და ა.შ. საბიუჯეტო პოლიტიკა, რომელსაც ხშირად საბიუჯეტო-საგადასახდლო ან ფისკალურ პოლიტიკასაც უწოდებენ, არის საბიუჯეტო და საგადასახდლო სფეროში სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკა, რომელიც მიმართულია როგორც ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების უზრუნველყოფის, ასევე საზოგადოების წინაშე მდგარი სოციალური პრობლემების გადაწყვეტისაკენ.

სახელმწიფოს უპირველესი ამოცანაა საკუთარი გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფა. საჭიროა სახელმწიფო ვალდებულებათა მის რესურსულ შესაძლებლობებთან შესაბამისობაში მოყვანა, უდფიციტო ბიუჯეტის შედგენა და შენარჩუნება. ჭარბი ვალდებულებები უნდა შეიკვეცოს და მოხდეს მათი რესტრუქტურისა. საჭიროა ისეთი დაუსაბუთებელი სუბსიდიების გაუქმება, რომლებიც ბაზარზე არათანაბარი, არაჯანსაღი კონკურენციის პირობებს ქმნიან.

ეფექტიანი სახელმწიფოს შექმნისათვის საჭიროა ფინანსების მართვის შესაბამისი სისტემის შემუშავება. ამ მიმართულებით რეფორმების პრინციპებია – სახელმწიფოს ფინანსური გამჭვირვალობა და მკაცრი ფინანსური კონტროლი; სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციონირების ხარჯების შემცირება; საბიუჯეტო სისტემის ყველა დონეზე რესურსების და ვალდებულებების, უფლებამოსილებების და პასუხისმგებლობების დაბალანსება; სახელმწიფო ვალისა და აქტივების მიზანმიმართული მართვა.

საბიუჯეტო პოლიტიკის მეშვეობით სახელმწიფომ პოზიტიური ზემოქმედება უნდა მოახდინოს კვლავწარმოების პროცესებზე, აღმოფხვრას ბაზრის სტიქიური ძალების მოქმედების შედეგად გამოწვეული უარყოფითი შედეგები. ამასთან, ბიუჯეტი უნდა გახდეს სახელმწიფო რეგულირების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რისთვისაც გამოყენებული უნდა იყოს შემდეგი ბერკეტები:



- გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე, აგრეთვე, მათ მოთხოვნილებაზე;
- საერთო-სახელმწიფოებრივი პროგრამების საბიუჯეტო დაფინანსება;
- ზოგიერთი სტრატეგიული დარგისადმი ფინანსური მხარდაჭერა;
- საბიუჯეტო რესურსების გამოყენება სპეციალური ფონდებისა და რეზერვების შესაქმნელად ეკონომიკის განვითარებაში დისპროპორციების აღმოფხვრის მიზნით;
- სოციალური გარანტიების უზრუნველყოფა.

საბიუჯეტო პოლიტიკის ამოცანებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურულ გადაწყობას სახელმწიფო სახსრების გამოყენებით და პრეფერენციული საბიუჯეტო მექანიზმის დანერგვით.

საბიუჯეტო დეფიციტის დაძლევის მთავარ მიმართულებად უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ფინანსური რესურსების მუდმივი ზრდა, რაც უნდა განხორციელდეს ეკონომიკის გაჯანსაღების, წარმოების გაფართოებისა და ეფექტიანობის ამაღლების საფუძველზე. არ უნდა იქნეს დაშვებული ბიუჯეტის დეფიციტის საბანკო დაფინანსება, რაც აძლიერებს ინფლაციურ პროცესებს და უარყოფითად მოქმედებს ინვესტიციების მოცულობაზე.

იმის გამო, რომ ქვეყანაში მიმდინარე საბაზრო გარდაქმნების მთავარი ეკონომიკური მექანიზმი საჯარო ფინანსებია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო ფინანსური რესურსების ფორმირებას, განაწილებასა და გამოყენებას. უფრო მეტიც, ფინანსური რესურსები, წარმოადგენს რა ეროვნული მეურნეობის საფინანსო შედეგს, ერთდროულად მისი განვითარების წყაროც არის.

საბიუჯეტო პროცესის თითოეული მონაწილე, თითოეული ორგანიზაცია პრაგმატულად უნდა ახორციელებდეს ფუნქცია-მოვალეობას. დღესდღეობით განვითარებადი პროგრამული ბიუჯეტის ფარგლებში განსახორციელებელია სახელმწიფო სახსრების რაციონალურად ხარჯვის კონტროლი.

შედეგებზე ორიენტირებული მენეჯმენტი და ფინანსური რესურსის მართვის ქმედებები, როგორცაა ბიუჯეტისა და შემოსავლების მართვა, პასუხობს თუ როგორ მოქმედებს ერზე მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. საჯარო ფინანსური მანვერების კონცეპტუალური ანალიზი და შემოთავაზებული მართვის მოდელი მოიცავს თუ როგორ უნდა განკარგოს მთავრობამ სახელმწიფო ფინანსები ეფექტიანი შედეგების მისაღწევად.

#### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ხანთაძე გ., ცაავა გ., საჯარო ფინანსები, (სახელმძღვ.), თბ., დანი., 2013.
2. Cangiano M., Curristine T., Lazare M. - Public Financial Management and Its Emerging Architecture, 2013.
3. Icma - Management Policies in Local Government Finance, 6th Edition (Icma Green Book), 2012.
4. Drennan L. , McConnell A. , Stark A.,- Risk and Crisis Management in the Public Sector (Routledge Masters in Public Management), 2015.
5. [http://www.mof.ge/images/File/strategia/2014-2017\\_strategiis\\_document.pdf](http://www.mof.ge/images/File/strategia/2014-2017_strategiis_document.pdf).

*Giorgi Khantadze  
Lasha Murjikneli*

#### **FISCAL RISKS AND CHALLENGES AT MODERN STAGE Annotation**

As the ongoing market reforms of public finances are the main economic mechanism, great importance is attached to the formation, distribution and use of financial resources. Moreover, financial resources, being financial result of the national economy, is at the same time the source of its development.

The main direction for the budget deficit reduction should be considered continuous growth of financial resources, It should be carried out on the base of the economic recovery, expansion and improvement of efficiency of production. Should not be allowed bank financing of the budget deficit which reinforces a negative impact on inflation and the volume of investments.

Results - based management and financial resource management actions, such as the budget and revenue management responds how the government's decisions uact on the nation. Conceptual analysis of financial indicators and the proposed public finance management model includes how the state should dispose government finances to achieve effective results.

## მიკროეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების სამსახური

თამაზ გამსახურდია  
თეიმურაზ ფესტკენიძე

### სამეწარმეო საქმიანობა – მასშტაბის კონსპექტი

ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლებისათვის უმაღლესი მიზანია. ადამიანის მომავალზე ზრუნვა არის უწყვეტი პროცესი, რომლის განხორციელებაში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება სამეწარმეო საქმიანობას. ეს არის შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების უტყუარი გზა. მეწარმეობა ყოველთვის იყო, არის და იქნება ეკონომიკური წინსვლის მთავარი მამოძრავებელი ძალა. როცა ქვეყნის წინსვლასა და მეწარმეობის განვითარებაზე ვლაპარაკობთ, აუცილებელია ბიზნესგარემოს სწორი და ყოვლისმომცველი ანალიზური კვლევების ჩატარება და ამ კვლევის შედეგების მიხედვით ღონისძიებების მიზანმიმართულად დაგეგმვა. შეუძლებელია ვინმეს ვარაუდებსა და სურვილებზე ჩამოყალიბდეს სრულყოფილი სამეწარმეო ურთიერთობები, ის უნდა ეფუძნებოდეს არსებულ ჯანსაღ ბიზნესგარემოს.

სადავო არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ კარგი ბიზნესგარემო ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და წინსვლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი ფაქტორია. მისი ფორმირება ქვეყნის განვითარებაზე ორიენტირებული სტრატეგიის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს, რაც მთელ რიგ საკანონმდებლო და ინსტიტუციურ ცვლილებებთანაა დაკავშირებული. ამასეა დამოკიდებული უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვა, მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების ფორმირება და, აქედან გამომდინარე, სიღარიბისგან თავის დაღწევის უმნიშვნელოვანესი შანსის გაჩენა.

არსებობს აზრი, რომ ბუნებრივი რესურსებით ღარიბმა ქვეყანამ, რომელსაც, ამავდროულად, არ გააჩნია მაღალტექნოლოგიური საწარმოები, მზარდ და კონკრეტულ ეკონომიკას ლიბერალური ბიზნესგარემოს შექმნით უნდა ჩაუყაროს საფუძველი. ასეა თუ არა საქართველოში, ქვეყანაში, რომელიც არც ისე მდიდარი ბუნებრივი რესურსებითა და არც მაღალი ტექნოლოგიური დონით გამოირჩევა? მსოფლიო ბანკის ბოლო გამოკვლევების შედეგების მიხედვით, საქართველოში მკვეთრად გაუმჯობესდა პირობები სამეწარმეო საქმიანობისათვის.

რად ღირს ის ფაქტი, რომ ამიერკავკასიის რეგიონში, პირველად რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ორგანიზებით, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი აწყოებს შეხვედრას 60 ქვეყნის 2000-მდე ბიზნესმენტთან, რაც ქვეყანაში უცხო ინვესტიციების შემოდინების პროცესის დაჩქარებისა საწინდარი უნდა გახდეს. ყოველივე ამან ხელი უნდა შეუწყოს ამიერკავკასიის ქვეყნების სამეწარმეო საქმიანობისა და ინფრასტრუქტურის განვითარებას.

რაში გამოიხატება ხელშემშლელი მიზეზები ცხადია, ბიზნესით დაინტერესებულ პიროვნებებს მიზანი აქვთ, სამეწარმეო საქმიანობას მოჰკიდონ ხელი, წინა ხელისუფლებისგან მოდის იმის შიში, რომ ბიზნესმენტებს ჩააყენებენ მძიმე პირობებში, ასევე, პირველ რიგში იმიზეზებენ ფინანსების უქონლობას, უპერსპექტივობას. ამას ემატება ისიც, რომ ბიზნესით დაინტერესებულთა დიდ ნაწილს არა აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია, კომპეტენცია, გამოცდილება, გაურბიან რისკს. არის მრავალი შემთხვევა, როდესაც მცირე და საშუალო ბიზნესის წარმოებისათვის მოპოვებულ ისედაც მწირ ფინანსურ რესურსებს არაღანიშნულებით, პირადი მიზნებისათვის იყენებენ, რაც ბიზნესსაც და პირად კეთილდღეობასაც აზარადებს. ამიტომაც, რომ უმეტესობა ირჩევს, ყიდვა-გაყიდვით დაკმაყოფილდეს. მიაჩნიათ, რომ აქ უფრო ადვილი და სწრაფია ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება.

მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ქვეყნის ეკონომიკაში პრინციპული და ძირეული ცვლილებები მოხდა, ალბათ ადამიანების უმრავლესობას წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ იმ პრობლემებზე, რომელიც წინ ელოდათ, კერძოდ, მოშლილი ფინანსური სისტემა, განჩანაგებული და დანგრეული წარმოება-დაწესებულებები, კორუფცია, უნიათო და სუსტი ხელისუფლება, მასობრივი უმუშევრობა და ა.შ.

აღნიშნულ პერიოდში საქართველოში არსებობდა და დღესაც არსებობს ეფექტური მენეჯმენტის პრობლემები როგორც სახელმწიფო, ისე ცალკეული ბიზნესსუბიექტების დონეზე. ქვეყანაში აუცილებელი იყო ახალი მმართველობის პრაქტიკაში დანერგვა, რომელიც, მეტად მწვავე საკადრო პრობლემებისაგან გამომდინარე, არცთუ ისე მარტივი პროცესი იყო. აღსანიშნავია, რომ მაშინაც და ახლაც საჭირო კვალიფიციური კადრები არასაკმარისა. რჩეული კადრების დონე ძირითადად ვერ პასუხობდა იმ მოთხოვნებს, რომლებიც აუცილებელი და პრობლემური საკითხების გადასაჭრელად იყო საჭირო. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ დღევანდელ ეტაპზე კადრების მომზადება კვლავ დაბალ დონეზეა, ვერ პასუხობს თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის მზარდ მოთხოვნებს და, გარკვეულწილად, ამუხრუჭებს სამეწარმეო საქმიანობის წინსვლას.

საქართველოში ჯერ კიდევ დიდი პრობლემებია ექსპორტ-იმპორტის დაბალანსებასთან დაკავშირებით. ჩვენი ქვეყანა ძირითადად იმპორტორი ქვეყანაა, რადგან ის გაცილებით მეტ იმპორტირებულ პროდუქციას მოიხმარს, ვიდრე აწარმოებს ექსპორტისათვის. ასეთ პირობებში ჩნდება კითხვა: უზრუნველყოფს თუ არა ქვეყნის საკანონმდებლო ბაზა სამამულო პროდუქციის დაცვას? შეგვიძლია თუ არა ჩვენ იმპორტჩანაცვლებადი პროდუქციის წარმოება?

ადვილი შესაძლებელია, რომ საქართველოში, შეუსაბამო საკანონმდებლო ბაზის გამო, საქონლის ან მომსახურების იმპორტი გაცილებით მარტივია, ვიდრე აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში. ასეთ პირობებში არაკონკურენტუნარიანი ხდება ადგილობრივი, სამამულო წარმოება, რაც ამუხრუჭებს იმპორტ-ჩანაცვლებადი პროდუქციის წარმოებას. ამ მხრივ აუცილებელია ქვეყანამ რადიკალური ნაბიჯი გადადგას.

დღეს საქართველოში ბიზნესსექტორის კადრების ქრონიკული დეფიციტია. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ქვეყანაში არსებული მასობრივი უმუშევრობის ფონზე, ადგილებზე ბიზნესი კადრების მწვავე ნაკლებობას განიცდის, რაც ადამიანური რესურსების არასათანადო კვალიფიკაციით იხსნება. სახელმწიფო ვერ გამოყოფს საკმარის ფინანსურ რესურსებს სამუშაო ძალის განვითარებისათვის, რასაც, საბოლოოდ,

ფინანსური რესურსების არარაციონალური ხარჯვისაკენ მიყვავართ. მაგალითად, სოფლის მეურნეობა: ხელისუფლების მიერ სხვადასხვა პროგრამებით განსაზღვრულია აღნიშნული დარგის დაფინანსების ისეთი პროგრამები, როგორცაა გლეხების სათესლე მასალაზე მომარაგება, მიწის დამუშავებაში ხელშეწყობა და ა.შ. ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ გამოხატა კეთილი ნება და 2015 წლის მიმდინარე საგაზაფხულო სეზონში ყველა მიწის მესაკუთრეს გადასცა „ვაუჩერები“ მიწის დასამუშავებლად, რაც დიდი მხარდაჭერა და შეგებაა სოფლის მოსახლეობისათვის, მაგრამ, ჩვენი ვარაუდით, წარმოუდგენელია ამ დარგში ნებისმიერი რესურსის ოპტიმალურად განაწილება იმ პირობებში, როდესაც ქვეყანას პრაქტიკულად არ ჰყავს შემორჩენილი (თუ ჰყავს ძალიან ცოტა) მაღალკვალიფიციური აგროსპეციალისტები. ამიტომ, უპირველეს ამოცანად გვესახება, განისაზღვროს სახელმწიფოსათვის პრიორიტეტული დარგები და შეიქმნას გრძელი და საშუალოვადიანი განვითარების გეგმა. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია, პირველ ეტაპზე შეირჩეს ნიჭიერი და სწავლისადმი მიდრეკილი ბეჯითი ახალგაზრდები და გაიგზავნოს პრიორიტეტული დარგებისა და სპეციალობების მიხედვით, მოწინავე ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც უფრო ღრმად ათვისებენ თეორიას, გაეცნობიან თანამედროვე მოწინავე ტექნოლოგიებს, დაეუფლებიან პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს და ინოვაციებს, რომლებიც ჰაერით სჭირდება დღევანდელი სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას და ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებას. როგორც ცნობილია, განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში ადამიანური კაპიტალის საკმაოდ მაღალი დონე და ხარისხი უზრუნველყოფს ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს სტაბილურ ზრდას და მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლებას.

ამჟამად ადამიანური კაპიტალის თეორიისა და პრაქტიკის ბაზაზე შეიქმნა და სრულყოფილებას იძენს აშშ-ს და წამყვანი ევროპული ქვეყნების განვითარების წარმატებული პარადიგმა. ამ თეორიის საფუძველზე შეედითა შეძლო თავისი ეკონომიკის მოდერნიზაცია და 2000 წლიდან დაიბრუნა ლიდერის პოზიციები მსოფლიო ეკონომიკაში. ფინეთმა კი დროის განსაკუთრებით მცირე მონაკვეთში მოახერხა ძირითადად ნედლეულის ეკონომიკიდან ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლა, შექმნა რა საკუთარი კონკურენტუნარიანი მაღალი ტექნოლოგიები, უარი არ უთქვამს თავისი მთავარი ბუნებრივი სიმდიდრის - ტყის გამოყენება-გადამუშავებაზე. ფინეთი მსოფლიოში პირველ ადგილზე გავიდა კონკურენტუნარიანი ეკონომიკის რეიტინგის მიხედვით.

საზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჯერჯერობით ქვეყანამ ვერ მოახერხა ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელიც ინვესტიციების შემდგომ მოზიდვასა და სამეწარმეო საქმიანობის ფართოდ განვითარებას შეუწყობდა ხელს. ყოველივე ამან უარყოფითი გავლენა იქონია იმაზე, რომ ქვეყნის სასურსათო კალათაში ყოველწლიურად იზრდება იმპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წილი, რაც ქვეყნის მასშტაბით 2/3-ის ტოლია, ხოლო დედაქალაქში გაცილებით მეტი - 80%-ია. ცხადია, იმპორტირებული სასოფლო პროდუქტის ასეთი მოძალეობა ხელს უშლის ჩვენი ქვეყნის აგრარული სექტორის განვითარებას, უკარგავს გლეხს საქმიანობის მოტივაციას, მნიშვნელოვნად აღარბებს სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას და იწვევს მის დესოციალიზაციას. მას უდავოდ მოჰყვება სოფლების, განსაკუთრებით კი მთიანი რეგიონების დაცლა, რასაც, შესაძლოა, შორს მიმავალი და შეუქცევადი ნეგატიური შედეგები მოჰყვეს.

მიწის რეფორმა, რომელიც ჩატარდა საქართველოში, ძალიან შორს დგას მსოფლიო მოწინავე გამოცდილებისაგან და ამან უარყოფითი გავლენა იქონია სოფლის მეურნეობის, კერძოდ მეცხოველეობის განვითარებაზე. წინა წლებში საგრძობლად შემცირდა მემცენარეობიდან შემოსავალი, მსხვილფეხა პირუტყვის, ღორის, ცხვრის და თხის სულადობა. შემცირდა რძის, ხორცის, ქათმისა და სხვა პროდუქტის წარმოების მოცულობა. როგორც წყაროებიდან ირკვევა, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში დღესდღეობით დაუმუშავებელია ის მიწები, სადაც სიმინდს, ხორბალს, ქერს და სხვა კულტურებს თესდნენ.

ქვეყანაში აგრარული სექტორის მდგომარეობა საკმაოდ არახელსაყრელია, ვინაიდან არ არსებობს აგრარულ სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა. არ არის შემუშავებული სფეროს განვითარების ძირითადი მიმართულებები. საკანონმდებლო ბაზა არასრულყოფილია და მოითხოვს დახვეწას. საქართველოში საბაზრო ეკონომიკის დანერგვამ გამოიწვია აგრარული სფეროს თითქმის მთლიანად კერძო სექტორში გადასვლა. ამ მიმართულებით აუცილებელია ერთიანი პლიტიკის ჩარჩოებში დახმარების პროგრამების შემუშავება და მისი თანმიმდევრული განხორციელება.

დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ ეკონომიკური თამაშის წესებს დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია ქვეყანაში საქმიან აქტივობებზე. საკანონმდებლო რეგულაციები ბიზნესის განვითარების აუცილებელი, მაგრამ არა გადამწყვეტი ფაქტორებია. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარა კანონმდებლობის განვითარების თვალსაზრისით, დეტალური ანალიზი ცხადყოფს, რომ ქვეყანა მეორე უკიდურესობაში ვარდება და დიდი ადმინისტრაციული წნეხიდან დიდ ლიბერაციაში გადადის, რაც აბსოლუტურად მიუღებელია. ზომიერი ლიბერალიზაცია ეკონომიკურ ზრდას განაპირობებს, ხოლო განუსაზღვრელი ქაოსში გადადის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მცირე ბიზნესი ქვეყნის საქმიანი ნაწილის ის სფეროა, რომელშიც მაქსიმალურადაა შესაძლებელი მოსახლეობის სოციალური კეთილდღეობის მიღწევა და მისი მაქსიმალური დასაქმება. როგორც ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, 2000 წელს საწარმოთა მთლიან რაოდენობაში მცირე ბიზნესს 1/3 წილი ეკავა, ანუ 33%, დანარჩენი 2/3 მსხვილ და საშუალო ბიზნესზე მოდიოდა. დღევანდელი მდგომარეობით, საშუალო ბიზნესის წილად 8% მოდის, მცირე ბიზნესის წილად კი 7%. აღსანიშნავია, რომ მცირე ბიზნესის რაოდენობის შემცირება ძირითადად ფინანსური რესურსების დეფიციტით არის გამოწვეული. უნდა ვაღიაროთ, რომ სამეწარმეო ბიზნესის განვითარებაში არსებობს როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური მიზეზები, რომელთა აღმოფხვრის შედეგად შესაძლებელი გახდება სამეწარმეო საქმიანობის ტემპების სწრაფი განვითარება.

სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, რომ მოსახლეობის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის დამოკიდებულება უარყოფითია, ანუ გაცილებით მაღალია მოსახლეობის მოთხოვნილება ხარჯებზე, რასაც

ვერ პასუხობს შემოსავლები. ე.ი. მოსახლეობას დაგროვების პოტენციალი პრაქტიკულად არ გააჩნია და ამიტომ, რომ მისი დიდი ნაწილი ალტერნატივის დეფიციტის გამო ემიგრაციაში მიდის.

ნებისმიერი ქვეყნის განვითარება წარმოუდგენელია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გარეშე. ღია ეკონომიკის პრინციპები, შეიძლება ითქვას, რომ, პრაქტიკულად, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას ემყარება. წინა ხელისუფლების პერიოდში წლიდან - წლამდე იზრდებოდა უცხოური ინვესტიციების შემოდინება, ისმის კითხვა - ქვეყანაში შემოსული ინვესტიციები, გრანტები მოხმარდა კი სამეწარმეო საქმიანობის, ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას? ის დახარჯული ფინანსური რესურსები ადეკვატურად აისახა მწვავე ეკონომიკურ კრიზისში მყოფი ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების სასურველ სურათზე. დღევანდელი საქართველო თავისი ეკონომიკური განვითარებით ოცი-ოცდაათი წლის წინანდელი თურქეთის მდგომარეობაშია. მაშინ, როცა გასული საუკუნის 90-იან წლებში თურქეთის რესპუბლიკის მოსახლეობა ჩვენი ქვეყნის ამჟამინდელი ცხოვრების დონეზე იმყოფებოდა და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას თურქეთში გააქონდა იმდროისთვის საჭირო ტექნიკა-ტექნოლოგიები, საქართველოში წარმოებული სამრეწველო პროდუქცია, პირადი და საოჯახო მოხმარების ნივთები, ტანსაცმელი და სხვა, მათ შორის მეორადი საქონელიც. გავიდა ხანი და თურქეთი დაადგა ქვეყნის განვითარების სწორ პროგრესულ გზას, მოზიდული უცხოური ინვესტიციები გონივრულად გამოიყენა ახალი ტექნოლოგიების, ინოვაციების, ინფრასტრუქტურის შესაქმნელად. ქვეყანა დაადგა განვითარებისა და აყვავების შეუქცევად გზას, რის შედეგადაც გაჩნდა სამუშაო ადგილები და დასაქმდა შრომისუნარიანი მოსახლეობა, რომელიც მოტივირებულია ცხოვრების უკეთეს მომავალზე. დღევანდელ ეტაპზე თურქეთი, როგორც ცხოვრების პირობებით, ისე თავისი ინფრასტრუქტურისა და სამეწარმეო საქმიანობის დონის მიხედვით, ერთ-ერთ გამორჩეულ და ანგარიშგასაწვევ ქვეყანად ითვლება ევროპაში. თურქეთის ამ წარმატებებში ლომის წილი უდევს დასაქმებულთა შრომის დისციპლინის მეკვთრ ამაღლებას.

მაშინ, როცა მთელ მსოფლიოში სულ უფრო მწვავედება საყოველთაო კონკურენციული ბრძოლა გასაღების ბაზრების მოსაპოვებლად, მეტად იფიტება ბუნებრივი რესურსები, უპერსპექტივო ხდება ეკონომიკური ზრდის ტენდენციები „სანედლეულო სექტორზე“, საჭიროა, ვიყოთ კრეატიულები, ვიმუშაოთ ინოვაციებზე, მოვიზიდოთ და შევქმნათ უახლესი ტექნოლოგიები, მოვიძიოთ ქვეყანაში ღვთით ბოძებული უნიკალური ბუნებრივი გამოუყენებელი ადღენითი რესურსები, ვისწავლოთ ამ რესურსების პროდუქციად ქცევის გზები და გასაღების ბაზრები თვითონ გვიპოვიან. კმარა იმაზე ოცნება, რომ მომავალი მთავრობა უკეთესი იქნება, ევროპა და ამერიკა ხელს გამოგვიწვიდს, ნატოში და ევროკავშირში გაგვწვრიანდებით, ერთმორწმუნე „მორე რუსეთი“ უკეთესი თვალთ გადამოგვხედავს. ჩვენ კი ფეხიფეხგადადებული კარგად და ბედნიერად ვიცხოვრებთ ტურიზმის, კულტურის, ხელოვნებისა და სტუმართმოყვარეობის ხარჯზე.

სხვადასხვა გათვლებით, უახლოეს 15-20 წელიწადში მეცნიერებატექვადი პროდუქციის რეალიზაცია 10-ჯერ გადააჭარბებს სანედლეულო სექტორის პროდუქციის საერთო ღირებულებას. ყოველივე ეს მიუთითებს ინოვაციური პროექტების განვითარების აუცილებლობას (ნ. ქისტაური, მ. მელაშვილი, „სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა საქართველოში“ ჟურ. ეკონომისტი, N4. 2009, გვ. 48-51), ვეთანხმებით ავტორებს ბუნებრივი რესურსების გამოფიტვის თაობაზე, მაგრამ ზოგიერთი ავტორის მიერ იგნორირებულია სასიცოცხლო მნიშვნელობის ღვთიური ის უნიკალური გამოუღვევადი-ადღენადი ბუნებრივი რესურსი - სასმელი წყალი რომლის დეფიციტს განიცდის მსოფლიოს უმეტესი რეგიონები. აკადემიკოს პაატა გიორგაძის ხელმძღვანელობით დამუშავებული პროექტის ხორცშესხმაში არსებობს ბარიერი, რომელიც სასმელი წყლის ექსპორტთან არის დაკავშირებული, ამიტომ ინტელექტუალებისა და მოწინავე საზოგადოების ძალისხმევით, ხელი შეუწყვით საუკუნის პროექტის განხორციელებას, რის შედეგადაც გაიმართება და ფეხზე დადგება საქართველოში სამეწარმეო საქმიანობა და ძირფესვიანად შეიცვლება ინფრასტრუქტურა და მშრომელთა ცხოვრების პირობები. დასამალი არ არის და უნდა ვაღიაროთ, რომ ქართველი ხალხი ინერტულობას იჩენს, სრულ მზადყოფნას არ გამოხატავს ქვეყანაში არსებული რესურსების მაქსიმალური ათვისებისა და მისი ეფექტური გამოყენებისთვის.

სამეწარმეო საქმიანობის ეფექტური განვითარების მიზნით მიგვაჩნია, სრულყოფილად იქნეს შესწავლილი მისი ყველა მხარე და მიზანდასახულობა. ამისათვის საჭიროდ მიგვაჩნია განსაკუთრებული ყურადღება დაგუთმობა შემდეგ საკითხებს:

- \* ახალი, უფრო ეფექტიანი ბიზნესსტრატეგიების შემუშავება;
- \* წარმოების დანახარჯების შემცირება;
- \* საწარმოო სიმძლავრეების მაქსიმალური დატვირთვის შესაძლებლობა, როგორც საწარმოო დანახარჯების შემცირების უმთავრესი წინაპირობა;
- \* კვალიფიციური ადამიანური რესურსების მოზიდვის შესაძლებლობა;
- \* არსებული პოზიციის გაძლიერება და გაფართოება;
- \* წარმოების პროცესში ინოვაციების განხორციელება;
- \* არსებული ტექნოლოგიების ხარისხი;
- \* საწარმოს ხელსაყრელი ადგილმდებარეობა;
- \* ეფექტური რეკლამების აუცილებლობა;
- \* ობიექტური ინფორმაციების საჭიროება;
- \* კომუნიკაბელური და კეთილმოსურნე მომსახურე პერსონალის არსებობა.

დღევანდელ ეტაპზე, ხელისუფლების მიერ ეფექტურად დამუშავებული საკანონმდებლო აქტებისა და არსებული პოტენციალის გამოყენების შედეგად, უფრო მეტად განვითარდება სამეწარმეო საქმიანობა და მკვეთრად გაუმჯობესდება მშრომელთა ცხოვრების პირობები.

**THE ENTREPRENEURIAL ACTIVITY – THE PROSPECT OF EMPLOYMENT**  
**Annotation**

The article is devoted to topical issues of entrepreneurship, which is the key to improving the people's welfare and living standards in the country. It is also noted that creating a good business environment for entrepreneurial activity is the main and decisive factor for economic development and progress of the country. As it turns out, from the results of a study conducted by the World Bank conditions for entrepreneurial activities have dramatically improved in Georgia. However, there are still impediments such as lack of finance, hopelessness. Besides, among people interested in doing business there are many who do not have the appropriate qualifications, competencies, experience and determination. In addition, there is a lack of effective governance at the government level and at the level of entrepreneurs.

It is noted that at the present stage the development of personnel training is still at a low level, does not meet modern requirements of market economy and to some extent hinders the progress of business activities. Therefore, according to the authors, the first step is to select talented young people receptive to new information send them to advanced educational institutions abroad according to priority industries and professions.

The article stresses that the country has not yet managed to create a legislative base capable of attracting investments and supporting the development of entrepreneurial activity.

All this had an extremely negative effect leading to the annually increasing share of imported agricultural products in the food basket, the lack of population's cumulative potential, and therefore the majority finding no other alternative, emigrating abroad.

The work also notes that Georgia's many unique natural, yet unused inexhaustible resources, if turned into a commodity, will not need to look for markets, they will find themselves the product.

At this stage, the basis of effective legislation and the use of existing potentials, entrepreneurship will develop even more and improve the living conditions of the population significantly.

*ანზორ დევაძე*

**ლოჯისტიკური ნაკადების ეფექტური მართვის საკითხები**

საქართველოს საწარმოთა უმრავლესობაში დღეისათვის ლოჯისტიკური სისტემების, უკმარისობაა. მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდენციები გვიჩვენებს, რომ თანამედროვე საბაზრო სტრუქტურების კონკურენტუნარიანობის ამაღლების უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს ლოჯისტიკური მართვის დანერგვა ბიზნესსტრუქტურების თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით. კომპანიებში საკვანძო ლოჯისტიკურ ფუნქციებს მიეკუთვნება: ხარისხის შენარჩუნება; მატერიალური, ფინანსური და ინფორმაციული რესურსების მართვა; შეკვეთების პროცედურების მართვა და საწარმოო პროცედურების მხარდაჭერა; ფასწარმოქმნა; საინფორმაციო-კომპიუტერული მხარდაჭერა. ლოჯისტიკაში ინოვაციური მიდგომების დანერგვა ითვლება ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად როგორც მთლიანობაში, ასევე ცალკეული საწარმოების და გაცილებით რთული სისტემებისათვის.

საწარმოს ლოჯისტიკის სტრატეგია წარმოადგენს მმართველობითი მოქმედებებისა და გადაწყვეტილებების მიღების მეთოდების სისტემას, ის უზრუნველყოფს ლოჯისტიკური მომსახურების სუბიექტების გრძელვადიან განვითარებას საწარმოს ნაკადების მოძრაობის პროცესში და მიმართულია როგორც მომხმარებლების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, ასევე, მოქმედი ბიზნესის მიზნებიდან გამომდინარე შეფარდების „რესურსები – დრო – მოგება“ ოპტიმიზაციაზე. სერვისული ლოჯისტიკის სტრატეგიული მართვა მოიცავს ლოჯისტიკური მომსახურების სტრატეგიას კომპანიის ფუნქციონირების პროცესში, მის ორგანიზაციას, ანალიზს, კონტროლს და რეგულირებას განუსაზღვრელობისა და გარე სამყაროს სწრაფად ცვლადობის პირობებში. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტრატეგიული ორიენტირი – საწარმოების ლოჯისტიკა წარმოადგენს ინოვაციურ მიდგომას ნაკადური პროცესების მართვაში და მას აქვს სისტემური ხასიათი, რასაც შეუძლია უშუალოდ მოახდინოს დადებითი ზემოქმედება საწარმოების მართვასა და კონტროლინგზე.

ლოჯისტიკური მართვის აღნიშნული კონცეფცია ატარებს პერმანენტულ ხასიათს მართვის ტრადიციული მეთოდებიდან ლოჯისტიკურ მეთოდებზე გადასვლის დროს და განისაზღვრება ლოჯისტიკის შეჭრის ხარისხით კომპანიებში ნაკადური პროცესების მართვის ყველა დონეზე. ლოჯისტიკა მიმართულია მართვის არსებული სისტემის არა დანგრევაზე, არამედ პირიქით, ის გულისხმობს მატერიალური, ფინანსური და საინფორმაციო ნაკადების რაციონალიზაციას და ოპტიმიზაციას კორპორაციულ დონეზე. ყოველივე ამის შედეგი უნდა იყოს მართვის დონის ამაღლება, საწარმოების რესურსული პოტენციალის გაცილებით უფრო მაღალი მობილობა, ყველა ეკონომიკური ნაკადის ოპტიმიზაცია და რაციონალიზაცია.

საწარმოს ნაკადების მართვის პროცესებს ლოჯისტიკა არ უარყოფს, პირიქით, ანვითარებს უზრუნველყოფის ისეთ სახეებს, როგორებიცაა მარკეტინგული, ორგანიზაციული, სამართლებრივი უზრუნველყოფა, რომლებიც, საწარმოების ფუნქციონირების სპეციფიკიდან გამომდინარე, სრულიად დამოუკიდებელი არიან. სუბიექტურ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს საწარმოების სამყურნეო კავშირების ფორმირებაზე და განაპირობებს მათი ლოჯისტიკის აუცილებლობას, შეიძლება მივაკუთვნოთ: დარგის და მასთან დაკავშირებული მონათესავე დარგების ნაკადური პროცესების მონოპოლიზაციის მაღალი ხარისხი; ცალკეული საწარმოების მკვეთრად გამოხატული სპეციალიზაცია, რომელიც ზოგჯერ არ შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს; კონკურენციის არსებული პირობები სამამულო და საზღვარგარეთის ბაზრებზე.


უნდა აღინიშნოს, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში საწარმოს შიგა და გარე სამყარო იმყოფება მუდმივ ურთიერთკავშირში, ვინაიდან ბაზარი საწარმოსათვის ერთდროულად წარმოადგენს როგორც ნაკადური პროცესების წყაროს, ასევე მათი მოძრაობის საბოლოო მიზანს. საწარმოს ორგანიზაციულ-ეკონომიკური მდგრადობის ამაღლება ბაზარზე შესაძლებელია ოპტიმალური ლოჯისტიკური მენეჯმენტის პირობებში, რაც საშუალებას იძლევა, აღმოიფხვრას კონფლიქტები კომპანიის ფუნქციონალურ ქვედანაყოფებს შორის და უზრუნველყოფილ იქნეს ინტეგრირებული ურთიერთქმედება ლოჯისტიკურ პარტნიორებთან. ლოჯისტიკის მოცემული სტრატეგიის პოტენციური საშუალებას მოგვცემს, რეალიზდეს კომპანიის მიზნები მისი მისიის ფარგლებში და, დროთა განმავლობაში, შეიძლება გახდეს კომპანიის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ფაქტორი არა მარტო სამამულო, არამედ საზღვარგარეთის ბაზრებზეც.

ლოჯისტიკის პრინციპებს წარმოადგენს მოხმარების პრიორიტეტები, ამიტომ კლიენტებისათვის შეთავაზებული სერვისის დონე იწვევს წინა პლანზე, ხოლო შეკვეთის შესრულების დროის შემცირება და საიმედოობის ამაღლება წარმოადგენს ლოჯისტიკის მთავარ ამოცანას. ლოჯისტიკური მომსახურების პრობლემებზე შეიძლება ჩაითვალოს: მომსახურების ტექნოლოგია და ორგანიზაციული სტრუქტურა, გაწეული მომსახურების ხარისხობრივი მაჩვენებლები, მომსახურების ოპტიმალური სფეროს და მიზანშეწონილი დონის განსაზღვრა.

კომპანიებში ლოჯისტიკის ფუნქციონირების თავისებურებების შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ლოჯისტიკის გამოყენების ძირითადი სფეროებია ფირმის ფუნქციონირების სამი მთავარი მიმართულება: პროდუქტის ფორმირება; პროდუქტის „წინ წაწევა“; პროდუქტის რეალიზაცია.

პროდუქტის მოძრაობის ლოჯისტიკური ჯაჭვი მისი წარმოებიდან საბოლოო მოხმარებამდე წარმოდგენილია ნახ. 1-ზე.

მომსახურების მიწოდების კუთხით შეიძლება გამოვყოთ მომხმარებლების შემდეგი კატეგორიები: პირველი ჯგუფისათვის მნიშვნელოვანია დამხმარე (თანამდევი) მომსახურების ხარისხი, ხოლო მეორე ჯგუფისათვის – საბოლოო სერვისის ხარისხი, მისთვის არცთუ ისე მნიშვნელოვანია კომპანიის დამხმარე სერვისის ხარისხი.



**ნახ. 1. პროდუქტის მოძრაობის ლოჯისტიკური ჯაჭვი**

ბაზრის ცალკეული მონაწილეები ცდილობენ მოაწესრიგონ ურთიერთობები, ქმნიან რა სხვადასხვა რესურსებს, რომლებიც თავის თავში მოიცავენ მონაცემებს (ინფორმაციებს) მრავალი მონაწილის შესახებ. იქმნება სპეციალური პორტალები, online სისტემები და ა. შ. საინფორმაციო პორტალის (ვებსაიტების) მფლობელები დიდი რაოდენობით შრომითი რესურსების მოზიდვის ხარჯზე გადაამუშავენ და აკუმულირებენ უკეთებენ ინფორმაციის დიდ მოცულობებს.

ლოჯისტიკურ უზრუნველყოფაში მმართველობითი პროცესის ტრანსფორმაცია უნდა ხორციელდებოდეს გარკვეული კრიტერიუმებით მოცემულ კონკრეტულ პირობებში და ლოჯისტიკის გამოყენების შესაბამის სფეროებში, გარკვეული შეზღუდვების გათვალისწინებით. ყოველივე აღნიშნულის შედეგი შეიძლება იყოს მართვის დონის და კომპანიის რესურსული პოტენციალის მობილობის ამაღლება, ყველა ეკონომიკური ნაკადის ოპტიმიზაცია

და რაციონალიზაცია. რეზერვების მართვის პროცესების ლოჯისტიკა არ უარყოფს, არამედ, პირიქით, ანვითარებს მომარაგების ისეთ სახეებს, როგორებიცაა მარკეტინგული, ორგანიზაციული, სამართლებრივი, რომლებიც გამომდინარე კომპანიების ფუნქციონირების სპეციფიკიდან, ინარჩუნებენ სრულ დამოუკიდებლობას.

საუკეთესო შედეგების მიღწევა შეუძლიათ იმ კომპანიებს, რომლებიც გამოიყენებენ ინტეგრირებული ლოჯისტიკის კონცეფციას, ვინაიდან მისი საშუალებით შეიძლება გაერთიანდეს კომპანიის მმართველობითი პერსონალის, მისი სტრუქტურული ქვეგანყოფილებებისა და ლოჯისტიკური პარტნიორების ძალისხმევა ძირითადი და თანამდევნი ნაკადების გამჭოლი მართვის დროს ბიზნესის ინტეგრირებულ სტრუქტურაში: მომსახურება – განაწილება – გაყიდვები.

აღნიშნული მიდგომის მეთოდები და პრინციპები მიმართული უნდა იყოს ოპტიმალური შედეგის მიღებისაკენ, კერძოდ კომპანიის საერთო ლოჯისტიკური ხარჯების მინიმიზაციისაკენ.

ხარჯების და ლოჯისტიკური რისკების შემცირება საშუალებას აძლევს კომპანიებს, გამოათავისუფლონ ფინანსური რესურსები დამატებითი ინვესტიციებისთვის, რეკლამისა და მარკეტინგული კვლევებისათვის და ა. შ. ოპტიმალური ლოჯისტიკური გადაწყვეტილებების მიღება შეიძლება არა მარტო საერთო დანახარჯების მინიმიზაციის კრიტერიუმით, არამედ ისეთი საკვანძო მანევრებლების მიხედვით, როგორებიცაა შეკვეთის შესრულების ვადა და ლოჯისტიკური სერვისის ხარისხი.

კომპანიის ინტეგრირებული მიდგომის უპირატესობები გამოიხატება შემდეგი მომენტებით:

– კომპანიის პროდუქტის შემუშავებასა და მარკეტინგს შორის ადგილი აქვს მრავალრიცხოვან წინააღმდეგობებს. აღნიშნული წინააღმდეგობების აღმოფხვრის გაცილებით ეფექტური გზაა მათი გაერთიანება სისტემაში;

– მოთხოვნებს ინფორმაციის სისტემებისა და ორგანიზაციის მართვისადმი ერთნაირი ბუნება გააჩნია და მიეკუთვნება ლოჯისტიკური ოპერაციების ყველა ტიპს. კოორდინაციის ამოცანა მდგომარეობს სხვადასხვა მოთხოვნების ოპტიმალურ შეხამებაში ოპერატიულ დონეზე, რომლებიც წარმოიქმნება ლოჯისტიკურ სისტემაში.

აქედან გამომდინარე, ეფექტიანობის ამაღლების რეზერვების მართვის სისტემა ლოჯისტიკური მიდგომის საფუძველზე წარმოადგენს სისტემას, რომელიც დაფუძნებულია ინტეგრირებულ მიდგომაზე და იძლევა რეალურ საშუალებას, გააერთიანოს ლოჯისტიკის ფუნქციონალური სფეროები იმ მოქმედებათა კოორდინაციის გზით, რომლებსაც ასრულებენ ლოჯისტიკური სისტემის დამოუკიდებელი რგოლები და ინაწილებენ საერთო პასუხისმგებლობას კომპანიების ეფექტიანობის რეზერვების ამაღლების მიზნობრივი ფუნქციების ჩარჩოებში. დღეისათვის კომპანიების ნაკადური პროცესების ლოჯისტიკა უნდა ახდენდეს ორიენტაციას, რომ მომსახურების ოპტიმიზაციისათვის გამოყენებულ იქნეს ეფექტური სტრატეგიები, კერძოდ დაინერგოს ახალი ტექნიკური და ტექნოლოგიური მიღწევები კომუნიკაციებისა და კლიენტების მომსახურების სფეროებში.

ლოჯისტიკური სისტემა კომპანიებისათვის უნდა მოიცავდეს რამდენიმე ქვესისტემას: პროდუქტის მართვის, სატრანსპორტო კომპანიებთან ურთიერთობის, პერსონალის მართვის, საინფორმაციო ნაკადების მართვისა და ფინანსების ქვესისტემას. აღნიშნული ლოჯისტიკური სისტემის დანერგვა კომპანიებში საშუალებას იძლევა, შემცირდეს დანახარჯები, ამაღლდეს საინფორმაციო ნაკადების ეფექტურობა და საბოლოო მომხმარებლებისათვის გაუმჯობესდეს შემოთავაზებული მიწოდებული ხარისხი.

ლოჯისტიკურმა სისტემამ, მოიცავს რა თავის თავში ორგანიზაციულ-სამართლებრივ, ტექნოლოგიურ, ინფორმაციულ და ფინანსურ-საანგარიშგებო ერთიანობას, უნდა მოახდინოს მაღალი ინტენსივობის მქონე ეკონომიკური ნაკადების გენერირება, შექმნას შესაბამისი პირობები მსხვილი ინვესტიციებისა და რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის, გააფართოოს სისტემის ყველა მონაწილის რესურსული ბაზა.

ნაკადური პროცესების ლოჯისტიკის შემოთავაზებული მოდელი მიმართულია ეფექტიანობის საერთო რეზერვების გამოსაყვანად, ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემების ასაგებად და ა. შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოდელი ასევე ითვალისწინებს შემომავალ ძირითად, ფინანსურ და საინფორმაციო ნაკადებს შორის არსებული წინააღმდეგობების აღმოფხვრას.

აღნიშნული მოდელის დანერგვის ეტაპებიდან შეიძლება გამოვყოთ შემდეგი:

1. ორგანიზაციული. ის ხასიათდება ლოჯისტიკური სისტემის შესაძლო მონაწილეების ინტეგრაციისა და მიზნების გამოვლენით. ამ ეტაპზე ხორციელდება ლოჯისტიკური არხების ფორმირება, რგოლების რაოდენობის განსაზღვრა გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, სხვა ორგანიზაციული და სამართლებრივი ღონისძიებების გატარება;

2. საინვესტიციო. აღნიშნული ეტაპი ხასიათდება სისტემის მონაწილეების აქტიური თანამშრომლობით, რომელიც მიმართულია ლოჯისტიკური და სამეურნეო საქმიანობისათვის შესაბამისი პირობების შექმნისაკენ. ეტაპი სრულდება ნაკადური პროცესების ინტენსიურობის შეუქცევადი ზრდით, ინვესტირების შემცირებით და მოგების მიღების დაწყებით;

3. ოპერაციული. აღნიშნულ ეტაპზე ნაკადების ინტენსივობით მიღებული მოგების სიდიდე აღწევს თავის მაქსიმუმს;

4. შემდეგი რეორგანიზაციის. ის ითვალისწინებს ახალი გზების გამონახვას ლოჯისტიკური სისტემის შემდგომი განვითარებისათვის (ახალი ბაზრები, საქმიანობის ახალი სახეები). ამ ეტაპზე ხორციელდება „გამოცოცხლების“ ახალი გზების ძიება, კომპანიების სასიცოცხლო ციკლის გახანგრძლივების ღონისძიებების გატარება. აღნიშნული ღონისძიებების გატარებით გარკვეული დროით ხდება ნაკადური პროცესების

სტაბილიზაცია ან, თუნდაც, მათი ინტენსივობის ამაღლება. ლოჯისტიკურ არხში შეიძლება შეიცვალოს მონაწილეთა რაოდენობა.

ნაკადური პროცესების შესწავლა და მათი მართვის ეფექტური ორგანიზაცია თანამედროვე საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით, შესაძლებელს ხდის, გაკეთდეს ხარისხობრივი წინსვლა თანამედროვე საწარმოს მართვაში. კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვა, ავტომატური რადიო და ვიდეო სატელეფონო კავშირების დამყარების შესაძლებლობა ნებისმიერ აბონენტთან და ა. შ. ლოჯისტიკური მეთოდებისა და ხერხების გამოყენება შესაძლებელს გახდის გაცილებით ეფექტურად იქნეს გადაჭრილი საწარმოების სამეურნეო-ეკონომიკური ამოცანები.

ლოჯისტიკისადმი მეცნიერული მიდგომის სტრატეგია და ტაქტიკა ითვალისწინებს:

– პარტნიორობის ფორმირების თანმიმდევრული კურსის გატარება სხვადასხვა სექტორებს, კერძოდ, სახელმწიფო, აკადემიურ, კერძო და სოციალურ სექტორებს შორის;

– ახალი მეცნიერულ-კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური მიდგომების და მეცნიერული ღონისძიებების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს მონაწილეების გარკვეული კატეგორიების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას;

– სწრაფვა სამეცნიერო ადმინისტრაციის სხვადასხვა დონეებს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესებისადმი (ეროვნული, რეგიონული, ადგილობრივი), ასევე სოციალურ გაერთიანებებსა და უწყებებს შორის;

– პერსონალის მართვის შესაბამისობა კანონმდებლობასთან მიმართებაში, მისი მიზანდასახული მისწრაფება კადრების კვალიფიკაციის მუდმივ ამაღლებაში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. დევაძე. სატრანსპორტო ლოჯისტიკის ამოცანების და განვითარების პერსპექტივების შესახებ. გამომცემლობა “ ბათუმის საზღვაო აკადემია”. ბათუმი, 2008.
2. ა. დევაძე. “სატრანსპორტო ლოჯისტიკის მოდულის აგება”. ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი. რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია. 2009.
3. Сергеев В. И. «Логистика в бизнесе». Инфра-М., 2009.
4. Николайчук В. «Заготовительная и производственная логистика». Питер. 2008.
5. Киршина М. В. «Коммерческая логистика». ЗАО «Центр экономики и маркетинга». 2009.

Anzor Devadze

### THE ISSUE OF EFFICIENT MANAGEMENT OF LOGISTIC FLOWS Annotation

Logistic systems in most fields are not fully developed nowadays. The strategy field logistics are management activities and system of decision making methods that ensure of a long term development of logistic service subjects in the process of flow establishment.

A logistical chain of product movement from the point of production till the very usage is discussed in the resume. There is also mentioned that the best results can be made by companies that use integrated logistic conception because introduction of the above mentioned logistic systems gives possibility to reduce expenses, raise effectiveness of information flow and at the end improve the quality of the offered for the consumer.

The offered model is directed to display the common reserves, build integrated information systems, etc. The model also foresees the eradication of the existing difficulties among the basic financial and informational inflows.

თამარ დუდაური

### როგორ ვმართოთ რისკები კომპანიის საქმიანობაში

პრაქტიკულად, ნებისმიერი კომპანია ასე თუ ისე მართავს რისკებს, მხოლოდ ერთი აფასებენ რისკებს მათი დადგომის შემდეგ, რომლებმაც უკვე გამოიწვია მნიშვნელოვანი დანაკარგები, ხოლო მეორენი ამ საქმიანობას ეწევიან გამუდმებით და გეგმაზომიერად. მხოლოდ მეორე შემთხვევაში, შესაძლოა, საქმე გვექონდეს რისკ-მენეჯმენტის სრულფასოვან სისტემასთან. რისკების მართვის სისტემა მოითხოვს დიდ დანახარჯებს და ამიტომაც, ძირითადად მსხვილი კორპორაციებისათვის არის ხელმისაწვდომი. მაგრამ მათ გამოცდილებაზე დაყრდნობით ყველა კომპანიას, მათი სიდიდის მიუხედავად, შეუძლია დანერგოს ამ სისტემის ცალკეული ელემენტები, კერძოდ, გამოყოს ძირითადი რისკები და გაატაროს ღონისძიებები მათ შესამცირებლად.

ყოველი კომპანიის რისკები, რომლებიც გარკვეულ ქმედებებსა და გადაწყვეტილებების მიღებას მოითხოვს, უნიკალურია. ეს განპირობებულია კომპანიის საქმიანობის სპეციფიკით და მისი მმართველობითი სტრუქტურით. მაგრამ ყოველი ბიზნესის უნიკალურობის მიუხედავად, საზღვარგარეთის წამყვანი კომპანიების გამოცდილებაზე დაყრდნობით, შესაძლებელია საქართველოს კომპანიებშიც შემუშავდეს რისკების მართვის სისტემის საერთო სტრუქტურა.

იმისათვის, რომ რისკების მართვის სისტემა იყოს ქმედითი, აუცილებელია კომპანიის მენეჯმენტი გაერკვეს რისკ-მენეჯმენტის ტერმინოლოგიაში, განახორციელოს რისკების დიაგნოსტიკა, შეაფასოს მათი წარმოშობის ალბათობა და შესაძლო დანაკარგები, ორგანიზება გაუკეთოს რისკების მართვას.

„რისკის“ ცნება კომპანიის მენეჯერების მიერ შესაძლოა სხვადასხვანაირად იქნეს ინტერპრეტირებული. ტერმინოლოგიური გაურკვევლობა ართულებს პრობლემის აღქმას კომპანიის ქვეგანყოფილებების მიერ და



ხელს უშლის მათი გადაწყვეტილებისათვის კოორდინირებულ მუშაობას. ამიტომ რისკ-მენეჯმენტის სფეროში ერთიანი კორპორაციული ტერმინოლოგიის არსებობა მეტად მნიშვნელოვანია. იგი მისცემს მათ რისკების გაანალიზებისა და გაკონტროლების საშუალებას, დაეხმარება, კომპანიის ქვეგანყოფილებებისათვის მოამზადონ რეკომენდაციები სტანდარტული ფორმით.

პირველ რიგში კომპანიამ უნდა განსაზღვროს, თუ რა ჩაითვლება რისკად, როგორია მისი სახეები და განმსაზღვრელი ფაქტორები, რას ნიშნავს „რისკების მართვა“ და როგორია მისი მართვის სისტემის შემადგენლები.

შემდგომ ეტაპზე კომპანია ახდენს რისკების ძირითადი სახეების იდენტიფიცირებას, რომლებიც დამახასიათებელია მისი ბიზნესისათვის. არსებობს რისკების გამოვლენისადმი ორი მიდგომა – კონსერვატიული და პროგრესული. კონსერვატიული მიდგომის დროს, რომელსაც იყენებს მრავალი კომპანია, რისკების იდენტიფიცირება (დიაგნოსტიკა) ხორციელდება ან ყოველწლიურად, ან საჭიროების შემთხვევაში. ამ შემთხვევაში, როგორც წესი, რისკების განსაზღვრა ან შეფასება ხდება მოვლენის დადგომის შემდეგ, რომელმაც გამოიწვია დანაკარგები. მრავალი მეცნიერის აზრით, ასეთი მიდგომის დროს, ინვესტიციები, განხორციელებული რისკ-მენეჯმენტში, შესაძლებელია აღმოჩნდეს უშედეგო, ვინაიდან რისკ-მენეჯმენტი არ წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების პროცესის განუყოფელ ნაწილს [1].

მაგალითად, მრავალი საბითუმო ვაჭრობის კომპანია ახდენს პროდუქციის რეალიზაციას გადახდის გადავადებით ისე, რომ არ აფასებენ დებიტორული დავალიანების ზრდის საშიშროებას. ბევრი ასეთი კომპანია, რომლებმაც აირჩიეს გაყიდვების ზრდის ანალოგიური მეთოდი, გაკოტრდნენ. თუკი ამ კომპანიების ხელმძღვანელები გაითვალისწინებდნენ ასეთი სახის ანგარიშებზე გადაუხდელობის რისკს, შეიძულებდნენ დებიტორებთან მუშაობის სტრატეგიას აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა პრობლემების თავიდან აცილება.

პროგრესული მიდგომა, რომელსაც იყენებენ წამყვანი კომპანიები, მაგალითად, კომპანია Hoffmann - La Roche Ltd., გულისხმობს რისკების გამოვლენის განუწყვეტელ პროცესს, რომელშიც მონაწილეობს კომპანიის ყველა თანამშრომელი, ხოლო გენერალური და ფინანსური დირექტორები ახორციელებენ საერთო კოორდინაციას [2].

რისკ-მენეჯმენტის სისტემის აგების მომენტში პრობლემები ხშირად წარმოშობა იმის გამო, რომ კომპანიის ხელმძღვანელებს არ ესმით, თუ ეს სისტემა როგორ იმუშავებს და რა გავლენას მოახდენს მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებაზე. ამიტომ, რისკების მართვის სისტემის დანერგვა უნდა დაიწყოს კომპანიის საქმიანობის იმ სემენტებიდან, რომლებშიც რისკი უფრო თვალსაჩინოა. მაგალითად, შესაძლებელია დარეგულირდეს საწარმოო ან სავალუტო რისკების მართვა, შედარდეს კომპანიის საქმიანობის შედეგები სხვადასხვა პირობებში, ამ რისკების მართვის დაწყებამდე და მის შემდეგ, ხოლო მიღებული შედეგები მიეწოდოს კომპანიის ტოპმენეჯერებს. ამის შემდგომ შესაძლებელია რისკების მართვის სისტემის გავრცელება კომპანიის საქმიანობის სხვა სფეროებზეც.

რისკების დიაგნოსტიკის მრავალი მეთოდი არსებობს, მათ შორის ყველაზე ხშირად გამოიყენება: ანკეტირება, ინტერვიუება, საექსპერტო შეფასება და რისკების აუდიტი.

რისკების გამოვლენის დიაგნოსტიკის შემდეგ უნდა მოხდეს რისკების რანჟირება დადგომის ალბათობისა და მოსალოდნელი ზარალის მოცულობის მიხედვით. სასურველია, გამოვლენილი რისკების შეფასება როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხობრივად. უდავოა, რომ რისკების ხარისხობრივი შეფასება უფრო მარტივი, მაგრამ ნაკლებად ზუსტი და არასაიმედოა. ამიტომ, შემდეგისდაგვარად, კომპანიები ცდილობენ გამოიყენონ რისკების რაოდენობრივი შეფასება.

კომპანიის რისკ-მენეჯმენტის ამოცანა უნდა იყოს, რომ განახორციელოს რისკების ანალიზი და მოახდინოს მათი ეკონომიკური შეფასება. კომპანიის რისკების მართვის ორგანომ უნდა შესთავაზოს ხელმძღვანელობას დონისძიებები, რომლებიც საშუალებას მისცემს კომპანიას, მოახდინოს სარისკო მოვლენების შედეგების მინიმიზაცია, შეიმუშაოს პოზიცია ამა თუ იმ რისკის მიმართ – ან მიიღოს ეს რისკი, ან თავი აარიდოს მას [3]. მეთოდები, რომლებსაც ყველაზე უფრო ხშირად იყენებენ კომპანიის რისკ-მენეჯერები რისკების მართვის პროცესში, შემდეგია: რისკის თავიდან აცილება, რისკის შეკავება, რისკის გადაცემა, რისკის შემცირება, რისკების დაზღვევა.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოს წამყვან კომპანიებში რისკ-მენეჯმენტის სისტემა მოიცავს მათი საქმიანობის ყველა დონეს. ვინაიდან ოპერაციულ რისკებთან შეხება აქვს კომპანიის პრაქტიკულად ყველა ქვეგანყოფილებას, ამიტომ მუშაობა მათი გამოვლენისათვის მიმდინარეობს ყოველ მათგანში. ქვეგანყოფილებები იძლევიან სარისკო მოვლენის დადგომის ალბათობის ექსპერტულ შეფასებას და ახორციელებენ მთლიანობაში კომპანიისათვის შესაძლო შედეგების სასცენარო ანალიზს. კომპანიის რისკების მართვის ორგანო აგროვებს, აანალიზებს და კონსოლიდაციას უკეთებს მიღებულ ინფორმაციას, ეხმარება ქვეგანყოფილებებს შეიმუშაონ მოქმედების გეგმა, რომელიც მიმართული იქნება სარისკო სიტუაციის თავიდან არიდებაზე ან მათი წარმოშობის ალბათობის შემცირებასა და შესაძლო დანაკარგების მინიმიზაციაზე.

კომპანიის რისკების მართვის ორგანო თვალყურს უნდა ადევნებდეს რისკების განვითარებას და განუწყვეტლივ აახლებდეს იმ რისკების ჩამონათვალს, რომლებსაც აწყდება კომპანია და მისი ქვეგანყოფილებები. ანგარიში, რომელიც უნდა მომზადდეს რისკ-მენეჯერების მიერ, წარედგინება კომპანიის ხელმძღვანელობას, პირველ რიგში გენერალურ და ფინანსურ დირექტორს მინიმუმ წელიწადში ორჯერ. დამკვირვებელთა საბჭოს წევრებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხელმძღვანელობამ, მინიმუმ წელიწადში ერთხელ, უნდა განსაზღვროს კომპანიის ყველაზე ალბათური და მნიშვნელოვანი რისკებისადმი მისი მიდრეკილება და დამოკიდებულება.

ბოლო წლების განმავლობაში რისკების მართვის სფეროში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდეგ სხვადასხვა ქვეყანაში რისკის დონის შემცირებისა და მასზე კონტროლის განხორციელების მიზნით, მრავალმა კომპანიამ, ფინანსური ანგარიშგების მომზადების სფეროში

საკონტროლო პროცედურების საფუძველზე, დააფინანსა თავისი პერსონალის პროფესიული გადამზადება. ასევე პროცესების, ტექნოლოგიებისა და რისკების მართვის დახვეწა. რისკ-მენეჯმენტში გაწეული ინვესტიციების შეფასებამ აჩვენა, რომ მდგრად შედეგებსა და წარმატებას მიაღწიეს მხოლოდ იმ კომპანიებმა, რომლებმაც შექმნეს რისკების მართვის სისტემა. აღნიშნული დასკვნა გააკეთა კვლევის საფუძველზე კომპანია Ernst & Young-მა. კვლევის პროცესში გამოიკითხა 576 კომპანია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. შესწავლილ იქნა 2750 ანგარიში, რომლებიც მომზადებული იყო კომპანიების ანალიტიკური სამსახურების მიერ [5].

კვლევის ჩარჩოებში რესპონდენტებმა, კომპანიების უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელებმა, უპასუხეს ექვს შეკითხვას. ესენია:

1. რას შეიცავს რისკების მართვის არსი? რისკების მართვა რამდენიმე ქვეკატეგორიების თუ მთელი კომპანიის ვალდებულებაა?
2. თქვენს კომპანიაში როგორ აღიქმება რისკი, როგორც შესაძლებლობა, თუ როგორც საფრთხე?
3. ორიენტირებულია თუ არა თქვენს კომპანიაში რისკების მართვა საკანონმდებლო მოთხოვნებიდან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე, თუ სარგებელი მოაქვს მას სტრატეგიული თვალთახედვით, აუმჯობესებს რა საქმიანობის შედეგებს?
4. რამდენად ხართ დარწმუნებული, რომ თქვენს კომპანიაში ხორციელდება მნიშვნელოვანი რისკების მართვა?

5. რომელი რისკების მართვას მივყავართ ფინანსური შედეგების ამაღლებასთან?
6. რომელი მაჩვენებლების საფუძველზე აფასებთ რისკების მართვის სტრატეგიის ეფექტიანობას?

კითხვები ისე იყო შედგენილი, რომ მათზე პასუხების შესწავლის დროს შესაძლებელი ყოფილიყო იმის გაგება, ახდენს თუ არა გავლენას რისკების მართვა კომპანიის ფინანსურ შედეგებზე და რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის რისკების მართვის სტრატეგია. ვინაიდან, როცა საქმე ეხება კომპანიის სტრატეგიის შემუშავებასა და რეალიზაციას, რისკების მართვის მნიშვნელობა იზრდება. მან არა მხოლოდ უნდა დაიცვას ბიზნესი, არამედ ხელი უნდა შეუწეოს მის ეფექტიანობას გრძელვადიან პერსპექტივაში. სწორედ ასეთი სისტემის აგებასა და რისკების მართვის სტრატეგიის შემუშავებაში მდგომარეობს კომპანიაში ცვლილებების არსი.

კითხვებზე გაცემული პასუხებისა და კომპანიების ფინანსური ანგარიშების საფუძველზე ექსპერტებმა რაოდენობრივად შეაფასეს რისკების მართვაში კომპანიების მიერ მიღწეული შედეგები. მათ რესპონდენტები დაყვეს სამ ჯგუფად: კომპანია-ლიდერები – გამოკითხულთა საერთო რაოდენობის 20%, ძირითადი ჯგუფი – 60% და შედარებით სუსტი ჯგუფი, გამოკითხულთა 20%. კრიტერიუმად დადგენილი იყო რისკების მართვის სისტემის განვითარების ხარისხი. მკვლევართა აზრით, რისკების მართვის სისტემის განვითარება მოიცავს შედეგებს, სტრატეგიულ პრინციპებს, პროფესიულ ცოდნას და ხელს უწყობს ფინანსური ეფექტიანობის ზრდას.

პირველ ჯგუფს, რომელსაც ჰქონდა რისკების მართვის განვითარებული სისტემა, ჰქონდა საუკეთესო ფინანსური შედეგები. სწორედ ასეთი კომპანიები გამოირჩევიან მაღალი კონკურენტუნარიანობით და შემოსავლების ზრდის მაღალი ტემპით. მესამე ჯგუფს, რომელსაც არ გააჩნდა რისკების მართვის სისტემა, ფინანსური შედეგების ზრდის ტემპი აღმოაჩნდა ყველაზე დაბალი. ხოლო კომპანიების მეორე ძირითადმა ჯგუფმა, რომლებსაც შემუშავებული ჰქონდათ რისკების მართვის სისტემის ზოგიერთი მაჩვენებელი, აჩვენა საშუალო შედეგები.

ამრიგად, რისკების მართვის სტრატეგიის ჩამოყალიბება და განვითარება საშუალებას აძლევს კომპანიას, დიდი სიზუსტით მოახდინოს რისკების წარმოშობის პროგნოზირება. რისკების მართვის სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობის მიუხედავად, საჭიროა კომპანიაში შემუშავდეს რისკებზე რეაგირების სტრატეგია [5]. მაშასადამე, რისკების მართვის სისტემის დანერგვა საშუალებას აძლევს კომპანიას, გააუმჯობესოს თავისი ფინანსური მდგომარეობა, აამაღლოს ოპერაციული საქმიანობის ეფექტიანობა, ასევე მიიღოს მაღალი საინვესტიციო რეიტინგი და უფრო სარფიანად განათავსოს კაპიტალი.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. Шаповалов В. Система управления рисками компании. <http://fd.ru/articles/4365-sistema-upravleniya-riskami-kompanii?rndlink=f94f872ce7d8219b92865815771e40c3>
2. Новоженев Д. Первый опыт риск-менеджмента. Личный опыт: Андрей Р. ведущий риск-менеджер Hoffmann – La Roche Ltd. <http://fd.ru/articles/30818-pervyy-opyt-risk-menedjmenta?rndlink=fa9838bb504980aa1f92686fc2aed4ef>
3. Закис А. Как внедрить управление рисками. "Intelligent Enterprise" №13-14. 2003г.
4. Тонки Деккер. Корпоративное управление. Анализ рисков. <http://www.ippnou.ru/article.php?idarticle=000539>
5. Управление рисками для получения конкретных результатов. Ernst & Young. 2012. [http://www.ey.com/Publication/vwLUAssets/Turning-risk-into-results-2012-RU/\\$FILE/Turning-risk-into-results-2012-RU.pdf](http://www.ey.com/Publication/vwLUAssets/Turning-risk-into-results-2012-RU/$FILE/Turning-risk-into-results-2012-RU.pdf)

*Tamar Dudauri*

#### HOW TO OPERATE RISKS IN ACTIVITY OF THE COMPANIES

##### Annotation

Any risk management is of paramount importance for the companies, but they have a different approach to the evaluation of risks, some of them assess the risks when they have already led to significant losses, while others are engaged in this constantly and consistently. Only the other case may have a complete system of risk management. The paper, based on the studies shows the risk management system features and benefits, how important is it in the company's development and raising

itscompetitiveness. It is also clear that all companies, regardless of their size can implement this system of separate elements, in particular, to allocate the risks and take steps to reduce them.

**გულნაზ ერქომაიშვილი**

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საინვესტიციო პოლიტიკა საქართველოში**

გლობალიზაციის ეპოქაში საქართველო მრავალი გამოწვევის წინაშე დადგა. ამ გამოწვევების გადასაწყვეტად ერთ-ერთი აუცილებელი პირობა ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებაა. ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და განვითარება, ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება მნიშვნელოვანწილად განპირობებულია საინვესტიციო აქტიურობის დონით და საინვესტიციო საქმიანობის მასშტაბებით. კერძოდ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დონე გვიჩვენებს, რამდენად სტაბილურია ქვეყანა, როგორია მისი ეკონომიკური პოლიტიკა, საინვესტიციო გარემო, ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა და ა.შ. საქართველოს დღეს ჰაერივით სჭირდება ინვესტიციების მოზიდვა, რაც განაპირობებს ისეთი პრობლემების გადაჭრას, როგორცაა დასაქმება და შემოსავლების ზრდა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, საექსპორტო პოტენციალისა და ქვეყანაში სავალუტო შემოსავლების ზრდა, საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ქვეყნის ინტეგრაცია და სხვ. დღესდღეობით, უმუშევრობა და სიღარიბე ჯერ კიდევ უძიმეს პრობლემებად რჩება.

როგორც ცნობილია, განვითარებული ქვეყნების ეკონომიკისათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვან სტიმულს არ წარმოადგენს, ისინი უფრო განვითარებადი ეკონომიკებისთვისაა მნიშვნელოვანი. საქართველოში არ არის ბევრი მსხვილი კორპორაცია და კომპანია, რომელთა შემოსავლებითაც შესაძლებელი იქნება ეკონომიკაში რეინვესტირება. ამიტომ უცხოურ კაპიტალზე საქართველოს დამოკიდებულება მეტად დიდია.

საქართველოში საკმაოდ სერიოზული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განხორციელებულა 1993-1994 წლებში, მაშინ, როცა ქვეყანა ღრმა კრიზისულ სიტუაციაში იმყოფებოდა. ეს განსაკუთრებით ეხება მოპოვებითი მრეწველობის დარგებს. ინვესტიციების დაბანდების ზრდის მაღალი ტენდენციები გრძელდებოდა 1996-1998 წლებში. 1998 წელს დაფიქსირდა საქართველოში უცხოური ინვესტიციების დაბანდების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები, მან მაქსიმალურ დონეს – 288,04 მილიონ დოლარს მიაღწია. მაგრამ, ამავე წლის მეორე ნახევარში განვითარებულმა საგადასხდელ და საფინანსო-საბიუჯეტო კრიზისმა, ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრმა მერყეობამ და ინფლაციამ მძიმე დარტყმა მიაყენა ქვეყნის მეურნეობის აღორძინების პროცესს, დაძაბა სოციალური ფონი სახელმწიფოში. პოლიტიკური, სავალუტო და საფინანსო რისკის ზრდას თან მოჰყვა არსებული საინვესტიციო პირობების გაუარესება და ინვესტიციების მოცულობის მკვეთრი შემცირება. ამის მიზეზი იყო ასევე ბაქო-სუფსის მილსადენისა და სუფსის ტერმინალის დამთავრება, რაც ქვეყანაში ბოლო პერიოდში განხორციელებულ ყველაზე ძვირადღირებულ პროექტს წარმოადგენდა. ინვესტიციების მოცულობამ 1999 წელს შეადგინა დაახლოებით 83,65 მილიონი დოლარი, ხოლო 2000 წელს 60,14 მილიონი, ანუ ორი წლის წინანდელი მაჩვენებლის 21%.

ინვესტიციების რაოდენობა 2007 წელს, 2000 წელთან შედარებით, რამდენჯერმე გაიზარდა და საქართველოში შემოსული ინვესტიციების მაქსიმალურ დონეს მიაღწია. შემოსული უცხოური ინვესტიციების 36 პროცენტი ენერჯოსექტორის მოდერნიზებას მოხმარდა, თუმცა სხვა სექტორებში ჩადებულ მსხვილი ინვესტიციები ქვეყნის მიმდინარეობის ზრდაზე მიუთითებს. 2006 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ერთი მესამედი საქართველოს მეზობელი ისეთი მდიდარი ქვეყნიდან შემოვიდა, როგორცაა ყაზახეთი (152 მლნ \$), თურქეთი (130 მლნ \$) და რუსეთი (34,2 მლნ \$). ამავე წელს დიდი რაოდენობის ინვესტიცია შემოვიდა გაერთიანებული სამეფოდან (186 მლნ \$) და აშშ-დან (183 მლნ \$).

2007 წელს ინვესტიციები კიდევ უფრო გაიზარდა და 1,7 მლრდ დოლარი შეადგინა. მნიშვნელოვანი ოდენობის საინვესტიციო ნაკადები შემოვიდა ნიდერლანდებიდან (219 მლნ \$), ვირჯინიის კუნძულებიდან (151 მლნ \$) და კვიპროსიდან (136 მლნ \$). მკვეთრად იმატა ინვესტიციებმა დიდი ბრიტანეთიდან (103, 9 მლნ \$), დანიიდან (92,6 მლნ \$), საფრანგეთიდან (37 მლნ \$) და იტალიიდან (15,2 მლნ \$). პირდაპირი ინვესტიციები ევროკავშირიდან მეტწილად ენერჯეტიკაში, სამთომომპოვებელ მრეწველობაში, ტურიზმსა და სამშენებლო ინდუსტრიაში იქნა განთავსებული.

აღნიშნულ წლებში არსებობდა მოლოდინი, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ხელს შეუწყობდა ახალი ცოდნისა და ტექნოლოგიების შემოდინებას, რაც ექსპორტის ზრდის და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის წინაპირობაა, მაგრამ ინვესტიციების დიდი ნაწილი მიმართულ იქნა კაპიტალტრეკად დარგებში, სადაც დასაქმების მოცულობა მცირეა. ამგვარად, ეკონომიკური პოლიტიკა წარმატებული იყო ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, თუმცა ვერ მოხდა უმუშევრობის შემცირება და ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდა.

2008 წლის ცნობილი მოვლენების შემდეგ დაიწყო ინვესტიციების შემცირება. ინვესტიციები მკვეთრად შემცირდა 2009-2010 წლებში, თუმცა 2011 წლიდან დაიწყო მატება. 2014 წელს, 2007 წელთან შედარებით, ინვესტიციები 1,6-ჯერ არის შემცირებული. შეიცვალა უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნებიც და მათი წილიც. კერძოდ, 2014 წლის წინასწარი მონაცემებით, ყველაზე მეტი ინვესტიცია შემოვიდა ნიდერლანდებიდან (331 მლნ \$), აზერბაიჯანიდან (302 მლნ \$), ჩინეთიდან (195 მლნ \$), გაერთიანებული სამეფოდან (114 მლნ \$), სეროზული ინვესტიციები შემოვიდა ლუქსემბურგიდან, აშშ-დან, თურქეთიდან, რუსეთიდან, პანამიდან და მალტიდან.

2014 წლისათვის უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით ასე გამოიყურება: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა - 27%; მშენებლობა - 23%, დამამუშავებელი მრეწველობა - 13%; ენერჯეტიკა - 8%; უძრავი ქონება - 7%; საფინანსო სექტორი - 6%; სამთომომპოვებელი მრეწველობა -3%; დანარჩენი სექტორი -12%.

საინვესტიციო სააგენტოს მონაცემებით, მოსალოდნელია 2015 წელს ინვესტიციებმა საქართველოში 1,5 მლრდ დოლარს მიაღწიოს. ინვესტიციების ზრდა უკავშირდება ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებას და მის შემადგენელ ნაწილს, ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას. აღნიშნულმა შეთანხმებამ საქართველოს მიმართ ნდობა გაზარდა საერთაშორისო ინვესტორებში.

ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ჩამოყალიბებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ინვესტიციების განთავსების ფორმებსა და მიმართულებებს. უცხოელ ინვესტორთა გამოკითხვის მიხედვით დადგინდა, რომ საქართველოში ყველაზე პერსპექტიულ დარგებად ტურიზმი, ტრანსპორტი, კომუნიკაციები და კვების მრეწველობაა. შედარებით ნაკლები მხარდაჭერა მოიპოვა საბანკო სფერომ, ენერჯეტიკამ, ვაჭრობამ და სოფლის მეურნეობამ. მძიმე მრეწველობისა და მძიმე მანქანათმშენებლობის განვითარება, მათი აზრით, პერსპექტიული არ არის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 2007 წელს საკმაოდ მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა საქართველოში საბანკო, სადაზღვევო სფეროში, ასევე ტელეკომუნიკაციებში, ტრანსპორტში, სასტუმროებში, ენერჯეტიკასა და სხვა სფეროებში, 2008 წელს კი ყველაზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში, ასევე ენერჯეტიკაში.

საინვესტიციო გარემოს კუთხით არსებულ პრობლემებზე მიუთითებს სხვადასხვა საერთაშორისო შეფასება და ანგარიში. კერძოდ, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში 2013-2014 წლის მონაცემებით, საქართველოს აქვს შემდეგი მაჩვენებლები: საკუთრების უფლების დაცვით - 120-ე ადგილი, დაგების გადაჭრის სამართლებრივი ჩარჩოს ეფექტიანობა - 92-ე, ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტიანობა - 138-ე, ადგილობრივი კონკურენციის ინტენსივობა - 123-ე, ბაზარზე დომინირების მასშტაბები - 119-ე.

სახელმწიფომ უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შესანარჩუნებლად. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით მუშაობა განუწყვეტლივ მიმდინარეობდა.

საქართველოში ინვესტიციების მარეგულირებელი კანონი ჯერ კიდევ 1991 წლის 25 ივლისს იქნა მიღებული, რომელიც ძალადაკარგულად გამოცხადდა 1995 წლის კანონის - „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ - მიღების შემდეგ. აღნიშნულმა კანონმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინებას.

1996 წელს მიღებულ იქნა კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“, რომელიც მიზნად ისახავდა უცხოელი ინვესტორისათვის მეტი სტიმულის გაჩენას. კანონმა განსაზღვრა როგორც ადგილობრივი, ისე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სამართლებრივი საფუძვლები და მათი დაცვის გარანტიები საქართველოში.

2002 წელს მიღებულ იქნა კანონი „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“, რომლის მიზანი სახელმწიფო საწარმო-საინვესტიციო პოლიტიკის დარეგულირება იყო, თუმცა კანონი მრავალჯერ შეიცვალა.

2006 წლის კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ მიზნად ისახავდა ინვესტიციების ხელშეწყობას აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესებით, ასევე დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნას. მოცემული კანონი ინვესტორს შესაძლებლობას აძლევს, მის კაპიტალდაბანდებას განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის სტატუსი მიანიჭოს, რაც მას მთავრობასთან უფრო გამართლებული ურთიერთობისკენ უხსნის გზას.

2013 წელს მიღებულ იქნა კანონი „საინვესტიციო ფონდების შესახებ“, რომლის რეგულირების სფეროს მიეკუთვნება საინვესტიციო ფონდის ნაირსახეობების განმარტება, შექმნის მიზნები და საქმიანობის განსაზღვრა. კანონის მიხედვით არსებობს: საპაიო საინვესტიციო ფონდი (ღია, ინტერვალური, დახურული); გათვითცნობიერებულ (გამოცდილ) ინვესტორთა საინვესტიციო ფონდი; სააქციო საინვესტიციო ფონდი და სხვ., რომლებიც რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით. საინვესტიციო ფონდს ეკრძალება სამეწარმეო საქმიანობა, მას არ შეიძლება ჰქონდეს სხვა ქონება, გარდა ფულისა, ფულთან გათანაბრებული აქტივებისა და ფინანსური ინსტრუმენტებისა.

აღსანიშნავია ასევე, რომ ინვესტორთა სტიმულირებისათვის საგადასახადო კოდექსში შემოღებულ იქნა ორი სპეციალური სტატუსი: საერთაშორისო საწარმო და უცხოური კომპანიის ფილიალი, დაწესდა საგადასახადო შეღავათები უცხოელი ინვესტორებისათვის.

ძალზე საყურადღებოა ისიც, რომ საქართველოს სოციალური განვითარების სტრატეგიაში (საქართველო 2020) პირდაპირ მითითებულია, რომ საქართველოს მთავრობა იქნება საკუთრების უფლების დაცვის მთავარი გარანტორი, საქართველო-ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ფარგლებში განხორციელდება საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია. მინიმიზებული იქნება ცვლილებების შეტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში და ა.შ.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, მთავრობა საკანონმდებლო რეგულაციებით ხელს უწყობს საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, ინვესტორებისათვის დამატებით ფაქტორს წარმოადგენს ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობა. ხშირად ადგილი აქვს კონფლიქტებს ინვესტორსა და მოსახლეობას შორის, რაც ინვესტორების უკმაყოფილებას და ცალკეულ შემთხვევებში ამა თუ იმ პროექტის ჩაჯარდნასაც კი იწვევს.

საქართველოში საინვესტიციო კლიმატის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია: შესწავლილ იქნეს საერთაშორისო ბიზნესის განვითარების ტენდენციები და მიმართულებები, განისაზღვროს მათი ზეგავლენა ინვესტიციების მოსაზიდად საქართველოში არსებულ შესაძლებლობებზე; საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, სასამართლო პროცესის გამარტივება და გამჭვირვალობა; უცხოელი ინვესტორების დაინტერესება გადასახადებზე შეღავათებით და ნაკლები შეზღუდვებით; საინვესტიციო საქმიანობის ინფრასტრუქტურის განვითარება; საინვესტიციო პროექტების სრულყოფილი ბანკის შექმნა და მსოფლიო მასშტაბით საქართველოში არსებული რეალური მდგომარეობის შესახებ პოტენციური ინვესტორებისთვის ინფორმაციის მიწოდება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ერქომაიშვილი გ., საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები. თბილისი, 2013.
2. ერქომაიშვილი გ., ეროვნული კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ეკონომიკური პოლიტიკა. სა-მეცნიერო შრომების კრებული „ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების ტენდენციები საქართველოში“, თბი-ლისი, 2010.
3. G. Erkomaishvili, The economic policy, defining national competitiveness in Georgia. Збірник наукових праць `Соціально-економічний розвиток України: Європейський вибір. Мелітополь, 2013.
4. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020, საქართველოს მთავრობა, ნოემბერი, 2013.
5. www.Parliament.ge
6. www.rs.ge;
7. www.geostat.ge;
8. www.mof.ge

*Gulnaz Erkomaishvili*

### FOREIGN DIRECT INVESTMENT AND INVESTMENT POLICY IN GEORGIA Annotation

Attracting foreign direct investment and placing them in optimal fields is particularly necessary for developing countries.

In Georgia, there are not enough corporations or companies whose income will allow reinvesting in economy. Therefore dependence of Georgia on foreign capital is great. The main thing that foreign investors are worried about is that their rights to the property in the country is jeopardized.

In the article we talk about Investment regulations that were made in Georgia and their pros and cons.

*ნატო კაკაშვილი*

### სადაზღვევო კომპანიების მომგებიანობის შესახებ

მზღვეველის ფინანსური მდგრალობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია გადახდისუნარიანობა. მზღვეველის ფინანსური მდგრალობის შეფასებისას Standard & Poor's-მა გამოიყენა კრიტერიუმები, რომელიც ითვალისწინებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, დარგობრივ, სამეწარმეო და ფინანსურ რისკებს (Insaranse Criteria: Property / Casaalty Edition Ratings Pirect, საკრედიტო ანალიტიკურ სისტემაში Standard & Poor's). ფინანსური მდგრალობა სადაზღვევო კომპანიის ფინანსური კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელია.

სადაზღვევო რეზერვები კომპანიისათვის არის მოზიდული საშუალებები, მათ მკაცრი მიზნობრიობა ახასიათებს: ისინი გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ სადაზღვევო ანაზღაურების უზრუნველსაყოფად. სა-დაზღვევო რეზერვების და ფონდების შექმნის, განთავსების და ინვესტირების წესი რეგულირდება „საქართვე-ლოს დაზღვევის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით. მზღვეველი ვალდებულია, დაიცვას დაწესე-ბული ეკონომიკური ლიმიტები:

- სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე შევსებული საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა;

- დაზღვევის რეზერვების და ფონდების შექმნის წესი;
- დაზღვევის რეზერვების და ფონდების განთავსებისა და ინვესტირების წესი;
- აქტივებსა და აღებულ სადაზღვევო ვალდებულებებს შორის ზღვრული თანაფარდობა;
- მოზიდულ ფინანსურ საშუალებებსა და საკუთარ კაპიტალს შორის ზღვრული თანაფარდობა.

მზღვეველმა სადაზღვევო რეზერვების განთავსება უნდა განახორციელოს დივერსიფიკაციის, დაბრუნე-ბადობის, სარგებლიანობის და ლიკვიდურობის პრინციპებით.

სადაზღვევო კომპანიის ფინანსური მდგრალობის შეფასება ხდება სტატისტიკური მაჩვენებლით: საშუა-ლებათა დეფიციტის ალბათობის ხარისხი, რომელიც ცნობილია კონშინის კოეფიციენტის სახელწოდებით:

$$K_{კონშ} = \sqrt{\frac{1 - T_{საშ}}{nT_{საშ}}}$$

სადაც  $T_{საშ}$  არის ყველა სადაზღვევო პორტფელზე საშუალო სტარიფო განაკვეთი,  $n$  - დაზღვევის ობიექტე-ბის რაოდენობა. რაც უფრო ნაკლებია კონშინის კოეფიციენტის მნიშვნელობა, მით ნაკლებია სადაზღვევო ფონდის მოცულობის ვარიაციის ხარისხი და მაღალია კომპანიის მდგრალობა.

სადაზღვევო კომპანიის ფინანსური შედეგის შეფასებისათვის გამოიყენება რენტაბელობის მაჩვენებლები, როგორცაა: სადაზღვევო ოპერაციების რენტაბელობა; ინვესტიციების რენტაბელობა; აქტივების რენტაბელობა; გადახდების დონე.

2002 წლის იანვარში სადაზღვევო ზედამხედველობის საერთაშორისო ასოციაციამ (IAIS) გამოაქვეყნა: “კაპიტალისა და გადახდისუნარიანობის საკმარისობის პრინციპები”. დოკუმენტი აყალიბებს პრინციპებს, რომ-ლის საფუძველზე უნდა დადგინდეს მზღვეველის გადახდისუნარიანობა. აღნიშნული ტექნიკური სადაზღვევო პრინციპებია [3] ტექნიკური რეზერვები; აქტივები; შესაბამისობა; რისკისადმი “მგრძობელობა”; კონტროლის დონე; მინიმალური კაპიტალი; რისკის მართვა; ინფორმაციის გახსნა; გადახდისუნარიანობის შეფასება; ხოლო სადაზღვევო რეგულირების ფუნდამენტური პრინციპია მზღვეველის ფინანსური მდგრალობა და ეკვივალენტობა.

მზღვეველის ფინანსური მდგრადობა – სადაზღვევო რეგულირების საფუძველი და სადაზღვევო ზედამხედველობის ერთ-ერთი ძირითადი საზრუნავია. სადაზღვევო კომპანიის ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესებისათვის აუცილებლად მიგვაჩნია: სატარიფო განაკვეთების კორექტირება დაზღვევის სახეების მიხედვით; გადაზღვევის გაფართოება; დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვა აქციების გამოშვების გზით; საჭიროების შემთხვევაში აქტივების სტრუქტურაში ცვლილებების შეტანა; კრედიტორული და დებიტორული დავალიანებების შემცირება; სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი შესაძლებლობების გამოყენება ინტერნეტის მეშვეობით და ა.შ.

გადახდისუნარიანობის მოდელი სწორად გამოიყენება საზედამხედველო ორგანოების მიერ და ყოველთვის არ არის გამოყენებული სადაზღვევო კომპანიების მფლობელების სასარგებლოდ. სადაზღვევო კომპანიის გადახდისუნარიანობის მოდელის გამოყენების შედეგები უნდა აკმაყოფილებდეს არა მარტო კომპანიის გადახდისუნარიანობის ალბათობას, არამედ ხელი უნდა შეუწყოს სადაზღვევო კომპანიის მომგებიანობას და შემოსავლიანობას, რომლებიც მოიზიდავენ უფრო მეტ ინვესტორებს.

აუცილებლად მიგვაჩნია სადაზღვევო კომპანიის გადახდისუნარიანობასა და კაპიტალს შორის ურთიერთკავშირის კვლევა და კაპიტალის ფორმირების შემადგენლობისა და სტრუქტურის თავისებურებების განსაზღვრა სადაზღვევო საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სრულყოფილი სადაზღვევო ბაზრის შექმნისათვის საჭიროა არა მარტო სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა სადაზღვევო საქმის სფეროში, არამედ ეფექტური ნორმატიული ბაზის შექმნა და სადაზღვევო კულტურის განვითარება საქართველოში.

სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მდგრადობა დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ სიტუაციაზე და სახელმწიფო რეგულირებაზე.

სადაზღვევო ბაზრის მომგებიანობა უშუალოდ დამოკიდებულია ბაზრის სტრუქტურაზე, რადგან გარკვეული პერიოდისათვის შესაძლებელია სადაზღვევო ბაზრის მომგებიანობის დაგეგმვა.

პრინციპული მიდგომა ბაზრის მომგებიანობის ანალიზისას, არის მოთხოვნისა და მიწოდების წონასწორული დონის განსაზღვრა. როცა მიწოდება აჭარბებს მოთხოვნას, სადაზღვევო კომპანიები იძულებულნი არიან, დაწონ ფასები წონასწორულ დონეზე და დათმონ მოგების ნაწილი. მაგრამ, როცა მიწოდება დაბალია და მოთხოვნა მაღალი, სადაზღვევო კომპანიებს შეუძლიათ გაზარდონ ფასები და გამოიმუშაონ მეტი მოგება.

სადაზღვევო ბაზარზე რთულია დარგის აგრეგირებული მაჩვენებლებისა და მოთხოვნების ერთმანეთთან დაკავშირება, რისთვისაც, უმჯობესია, გამოვიყენოთ **ბაზარზე შეღწევის** ინდექსი (PI), რომელიც წარმოადგენს მთლიანი სადაზღვევო შენატანებისა (GWP) და მთლიანი შიდა პროდუქტის (GDP) ფარდობის კოეფიციენტს. აშშ-ში ეს ინდექსი მერყობს 3%-დან 4%-მდე, ხოლო დიდ ბრიტანეთში – 5%-დან 6%-მდე. PI ზომავს დაზღვევის მნიშვნელობას მთლიან ეკონომიკაში, შესაძლებელია მისი ინტერპრეტაცია მოგების ნორმის დასადგენად. ინდექსის მნიშვნელი (GDP) წარმოადგენს მოთხოვნის ცვლადს, ხოლო მნიშვნელი (GWP) არის წონასწორობის წერტილი, სადაც მოთხოვნა უტოლდება მიწოდებას. როდესაც ბაზარზე შეღწევის ინდექსი უახლოვდება თავის ემპირიულ ხედა ზღვარს, შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ სადაზღვევო ბაზარზე მოგება აჭარბებს საშუალო გრძელვადიან ნორმას. ხოლო როცა ინდექსი უახლოვდება ემპირიულ ქვედა ზღვარს, მოგების მაჩვენებელი ნაკლებია საშუალო გრძელვადიანი მოგების ნორმაზე. საბაზრო სტრუქტურისა და მომგებიანობის უფრო ძირეული ანალიზისათვის საჭიროა დადგინდეს თვითონ მოთხოვნისა და მიწოდების სტრუქტურა. სადაზღვევო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელია - პერფინდალის ინდექსი (Herfindahl index – HI)<sup>115</sup>. რაც უფრო მაღალია ინდექსი მით უფრო კონცენტრირებულია ბაზარი. 2002 წლამდე არსებული შეუთავსებლობა პერფინდალის ინდექსსა და კომბინირებულ კოეფიციენტს შორის განპირობებულია ინფორმაციის ასიმეტრიულობით, რაც დამახასიათებელია სადაზღვევო ბაზრებისათვის. ინფორმაციის ასიმეტრიულობა გულისხმობს, რომ გარიგების მონაწილე მხარე ფლობს გარიგებასთან დაკავშირებულ უფრო მეტ ინფორმაციას ვიდრე მეორე. 2002 წლიდან მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა სადაზღვევო ბაზარზე და შესაძლებელი გახდა მეტ-ნაკლებად დაძლეული ინფორმაციის ასიმეტრიულობის პრობლემა. 2002 წელს შეიქმნა აგეგურდი (aggregator), სადაც დამზღვევს შეუძლია მზღვეველებისგან დაუყოვნებლივ მიიღოს ინფორმაცია სადაზღვევო პროდუქტზე, რაც შედარებით სიმეტრიულ სიტუაციას ქმნის ბაზარზე, რადგან მყიდველებს შეუძლიათ აარჩიონ იდენტური პროდუქტებიდან მათთვის ხელსაყრელი. ამ ტენდენციამ 2002 წლიდან შეამცირა პერფინდალის ინდექსი და შესაბამისად შემცირდა ბაზრის კონცენტრაცია და გაიზარდა მისი მომგებიანობა. აშშ-ში თავი შეიკავებს ამ მოდელის დანერგვისგან. საპირისპირო ტენდენციები ცხადყოფს, რომ ბაზრის მომგებიანობის მაჩვენებლების ასამაღლებლად აუცილებელია მოდელში მოხდეს ცვლილება.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. გიგოლაშვილი გ. სადაზღვევო საქმე თბ., 2010.
2. საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ. 1997.
3. შათირიშვილი ჯ. კაკაშვილი ნ. სადაზღვევო საქმე თბ., 2012.
4. Overview of Dynamic Financial Analysis. The Dynamic Financial Analysis Committee of the Casualty Actuarial Society, 1999.
5. George Maher, Andy Staudt, Ryan Warren, Insurance Market Profitability, 2011.
6. Global InsuranceMarket Trends, OECD 2014. <http://www.oecd.org/daf/fin/insurance/Global-Insurance-Market-Trends-2014.pdf>
7. Global insurance outlook, 2014. [http://www.ey.com/Publication/vwLUAssets/EY-2014-global-insurance-outlook/\\$FILE/EY-2014-Global-insurance-outlook.pdf](http://www.ey.com/Publication/vwLUAssets/EY-2014-global-insurance-outlook/$FILE/EY-2014-Global-insurance-outlook.pdf)

<sup>115</sup> პერფინდალის ინდექსს ზოგჯერ პერფინდალის-ჰირშმანის ინდექსის (Herfindahl-Hirschman index - HHI) სახელით მოიხსენიებენ.

THE BENEFITS OF THE INSURANCE COMPANIES  
Annotation

The insurer's financial stability is the basis for insurance regulation and one of the major concerns of the insurance supervision. In our opinion, the next steps are very important for the financial stability of the insurance company's: adjusted tariff rates according of the types of insurance; expand the reinsurance; shares for additional financial resource, change to the structure of assets; decrease in payables and receivables; use additional capabilities such as the Internet for insurance agreement, etc. We think, it is necessary to research interaction between insurance company solvency and capital, also to determine the particular features between the capital composition and structure specific features of the insurance.

Comprehensive insurance market requires not only a comprehensive legislative framework in the field of insurance, but also an effective regulatory framework and insurance culture development in Georgia.

Financial sustainability of insurance companies depends on the economic situation and state regulation.

ქუთეხან კიწმარიშვილი

ღახმარეპა თანაწმრომლისთვის, რომელიც ტრომებს ორბანიზაციას

გათავისუფლება – ესაა მუშაკის პროფესიული გზის ბოლო სტადია. ეჭვს გარეშეა, რომ ეს სტრესია ადამიანისთვის, რადგან სამუშაოს (სამსახურს) შრომისუნარიანი მოსახლეობის ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს. სამუშაო ადგილის დაკარგვა მიეკუთვნება სუბიექტურად მძიმედ ასატან სიტუაციებს, რადგან უკავშირდება:

- მატერიალური რესურსების წყაროს დაკარგვას;
- ნიჭის და შესაძლებლობების რეალიზაციის ადგილის დაკარგვას (პიროვნების პოტენციალს);
- საურთიერთო გარემოს, კავშირების დაკარგვას.

გათავისუფლების ვექტორები (მიზეზები):

- 1) საკუთარი სურვილი;
- 2) კომპანიის უკმაყოფილება;
- 3) შემცირება;
- 4) პენსიაზე გასვლა.

ღ. პელცმანი გამოყოფს გათავისუფლების დროს ადამიანის მდგომარეობის ოთხ ფაზას<sup>116</sup> (უფრო შეე-საბამეა ვექტორებს 2, 3).

**1 ფაზა** – გაურკვევლობის და შოკის მდგომარეობა. ეს ძალიან მძიმე განცდაა, მით უფრო, თუ სამუშაოს დაკარგვა მოხდა მოულოდნელად (შტატების მოულოდნელი შემცირება, ხელმძღვანელთან დაპირისპირება და ა.შ.). მნიშვნელოვანია, რომ დაბნეულობა და შიში უკავშირდება სხვა უსიამოვნებებსაც: ავადმყოფობას, უბედურ შემთხვევას და ა.შ. ყველაზე ძლიერ პათოგენურ ფაქტორად მიიჩნევა არა იმდენად თვით სამუშაოს დაკარგვა, არამედ გამუდმებული შიში იმისა, რომ ეს მოხდება. როგორც ამბობენ, სიკვდილის მოლოდინი თვით სიკვდილზე უარესია. ამიტომ, ამ მოვლენის წინასწარ განჭვრეტა და მის მიმართ ასე თუ ისე მომზადება, რამდენადმე ამსუბუქებს სიტუაციას.

**მე-2 ფაზა** – სიტუაციის სუბიექტური გაიოლება მის მიმართ ფსიქოლოგიური ადაპტირებით. ეს ფაზა, ჩვეულებრივ, გრძელდება სამსახურის დაკარგვიდან 3-4 თვის მანძილზე. უკვე პირველივე კვირებში, როცა გადის ფსიქოლოგიური შოკი, ბევრი ადამიანი განიცდის სიტუაციის შემსუბუქებას, კინაღამ სიხარულს – აღარაა საჭირო ყოველდღიურად დილის 9 საათზე ფირმაში მისვლა, ქრება მძიმე პროფესიული ვალდებულებები, ჩნდება ბევრი თავისუფალი დრო, ზოგადად, ადამიანს უჩნდება ფსიქოლოგიური კომფორტის და კმაყოფილების გრძნობა (განსაკუთრებით, თუ აქვს დანაზოგი და რაღაც დროის განმავლობაში შეუძლია თავის რჩენა). იძულებითი დასვენება, ჩვეულებრივ, ხდება სასარგებლო. ბევრი აღნიშნავს ჯანმრთელობის მდგომარეობის და განწყობის გაუმჯობესებას. ძაღვების სრული აღდგენის შემდეგ ადამიანი იწყებს სამსახურის აქტიურ ძებნას.


ფსიქოლოგებმა დაადგინეს, რომ გათავისუფლებისთანავე სამსახურის ძებნა სულაც არ ზრდის მისი შოვნის შანსს. ისინი კი, რომლებიც ცდილობენ, გაუმკლავდნენ გათავისუფლებასთან დაკავშირებულ ისეთ ნეგატიურ მოვლენებს (შედეგებს), როგორიცაა დეპრესია და საკუთარი თავის პატივისცემის შესუსტება, და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებენ ახალი სამსახურის ძებნას, გასაუბრებისას ნაკლებად ნერვიულობენ, უფრო დარწმუნებული არიან საკუთარ ძაღვებში და კარგ შთაბეჭდილებას ახდენენ სამუშაოს მიმცემებზე. როგორც წესი, ეს ადამიანები მეტად არიან კმაყოფილი თავისი ახალი სამუშაოთი, ვიდრე ისინი, ვინც სამსახურის ძებნა გათავისუფლებისთანავე დაიწყო.

**მე-3 ფაზა** – მდგომარეობის დამძიმება. ეს ხდება სამუშაოს დაკარგვიდან 6-7 თვის შემდეგ. ამ დროისთვის, ჩვეულებრივ, უარესდება გათავისუფლებული პირის ფინანსური და სოციალური მდგომარეობა. შეინიშნება აქტიური ქცევის დეფიციტი, ურთიერთობის წრის შეზღუდვა, ცხოვრებისეული ჩვევების, ინტერესების, მიზნების რღვევა. უსიამოვნებებთან შებრძოლების ძაღვები თანდათან იკლებს. დეპრესია ძლიერდება, როცა ადამიანი უმუშევარია ხანგრძლივად, როდესაც ადამიანს არ აქვს მცირე ანაზღაურების მიღების საშუალებაც კი დროებით, სეზონურ ან შავ სამუშაოზე. განსაკუთრებით დამანგრეველად მოქმედებს სამსახურის ძებნისას გამუდმებული წარუმატებლობა, უფრო ზუსტად – ის გარემოება, რომ ჩნდება სამსახურის შოვნის რაღაც იმედი (მაგ.,

<sup>116</sup> ღ. პელცმანი, ადამიანის სტრესული მდგომარეობები, გამოწვეული სამსახურის დაკარგვით. ფსიქოლოგიური ჟურნალი. 1992, ტ. 13, №1.

როდესაც ადამიანი შეიტყობს ვაკანსიის არსებობის შესახებ) და შემდეგ კი ქრება. გამუდმებულმა წარუმატებლობამ შეიძლება გამოიწვიოს აპათია და სამსახურის ძებნის შეწყვეტა.

**მე-4 ფაზა** – შექმნილ სიტუაციასთან საკუთარი უსუსურობის შეგრძნება და მასთან შეგუება. ეს მიიქცევა ფსიქოლოგიური მდგომარეობა შეიმჩნევა მაშინაც, როცა უმუშევარი არ განიცდის მატერიალურ სიძნელეებს, მაგ., როცა ადამიანი იღებს უმუშევრობის დახმარებას. აპათიური მდგომარეობა იზრდება ყოველთვიურად. ადამიანი კარგავს იმედს, რომ როდისმე იშოვის სამუშაოს, წყვეტს მდგომარეობის შესაცვლელ მოქმედებებს და ეგუება უსაქმურობას. იგი აღარ აკონტროლებს საკუთარ თავს, იწყებს სმას და შედეგად აღმოჩნდება სოციალურ ფსკერზე.



**ადამიანის მდგომარეობის ოთხი ფაზა სამსახურიდან გათავისუფლებისას**

**გათავისუფლებით გამოწვეული სტრესის გადალახვის საშუალებები (კოპინგ-სტრატეგიები)<sup>117</sup>.**

კვლევებმა აჩვენა, რომ სხვადასხვა ადამიანები, გამომდინარე პიროვნული თვისებებიდან, სხვადასხვა-ნაირად იტანენ ამ სიტუაციას. ადამიანს შეუძლია აავსოს მიმდინარე პროცესების სხვადასხვა მოდელი.

1. სამსახურიდან გათავისუფლების სიტუაციის „არაკონსტრუქციული განცდის“ მოდელი. ამ ტიპის ადამიანებისთვის გათავისუფლება გახდა არასასიამოვნო სიტუაცია, დარტყმა, გამოიწვია სტრესი, წყენა. შემდგომ ისინი იწყებენ გათავისუფლების მიზეზების ინტერპრეტირებას და არ ცდილობენ სამსახურის ძებნას. ისინი არ გადიან კონსტრუქციულ კოპინგ-სტრატეგიებს, რომლებიც მიმართულია არსებული სიტუაციის წარმატებით გადასაწყვეტად.

2. სამსახურიდან გათავისუფლების „კონსტრუქციულად განცდის“ მოდელი. ამ კატეგორიის ადამიანები იხსენებენ განცდილ სტრესს და წყენას. თუმცა, რიგი მიზეზების გამო ისინი ახერხებენ მიიქცევიან მდგომარეობის გადალახვას და კონსტრუქციული კოპინგ-სტრატეგიების განხორციელებას, რომლებიც მიმართულია სამსახურის მოძებნისკენ.

3. გათავისუფლების სიტუაციის მიმართ „კონსტრუქციული დამოკიდებულების“ მოდელი. ამ შემთხვევაში გათავისუფლება არ წარმოადგენს რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციას. ამ კატეგორიის ადამიანები არ განიცდიან მწვავე უსიამოვნო შეგრძნებებს და განთავისუფლებიდან უახლოეს დროში გადადიან კონსტრუქციულ კოპინგ-სტრატეგიაში (მოქმედებაში).

რეკომენდაციები იმ მუშაკებისთვის, რომლებიც საკუთარი ნებით ტოვებენ კომპანიას:

- თავიდან გარკვეით რა პერსპექტივები გელით ამ ადგილზე;
- ესაუბრეთ ხელმძღვანელს თქვენი გადაწყვეტილების შესახებ;
- ხელმძღვანელთან საუბრისას ნუ გააკეთებთ თქვენი გადაწყვეტილების ახსნას იმით, რომ აქ თქვენ ყველაფერმა მოგაბეზრათ თავი. უკეთესია, თუ ისეთ გარემოებებზე გაამახვილებთ ყურადღებას, რაც აიძულებს ადამიანებს, რომ დატოვონ ფირმა;

• არ ღირს მაშინვე წახვიდეთ იქ, სადაც შემოგთავაზეს უკეთესი პირობები და დაივიწყოთ ყველაფერი, მათ შორის თქვენი ვალდებულებების შესახებ მაშინაც კი, თუ, თქვენი აზრით, უკვე ახალ ადგილზე ხართ, საქმის კეთების ეთიკა მოითხოვს, თქვენი წასვლის შემდეგ არ დარჩეს დაუსრულებელი სამუშაო;

• ხელმძღვანელთან საუბრის შემდეგ უნდა ჩააყენოთ საქმის კურსში თქვენი თანამშრომლები. ეს ამბავი მათთვისაც გარკვეული სახის სტრესია (რაც უფრო დაფასებული იყავით კომპანიაში, მით უფრო გაუჭირდებათ თქვენს თანამშრომლებს ამ სტრესთან გამკლავება);

• კომპანიების უმრავლესობაში მიღებული ტრადიციებიდან (ამ დროს) უნდა აღინიშნოს ყავის სმა ან მცირე საღამოს მოწყობა ძველ სამსახურში თქვენი ყოფნის ბოლო დღეს. ეს კიდევ ერთი საშუალებაა, რომ დარჩეთ ყველასთან კარგ ურთიერთობაში.

რეკომენდაციები კომპანიის მოქმედებისათვის თანამშრომლის გათავისუფლებისას:

• საერთაშორისო კომპანიების კადრების განყოფილებების ხელმძღვანელების, გენერალური დირექტორების და მმართველების გამოკითხვისას 60%-მა განაცხადა, რომ ყველაზე დიდ სტრესს ისინი განიცდიან იმ მომენტში, როცა უნდა გამოუცხადონ ადამიანს გათავისუფლების შესახებ;

• ღირებული თანამშრომლის დაკარგვა არ შეიძლება არ აისახოს კომპანიის საქმიანობის ეფექტურობაზე. ზარალი შეიძლება იყოს დიდი, თუ ორგანიზაციაში არაა შექმნილი კორპორაციული ცოდნის მართვის სისტემა;

• აუცილებელია საუბარი გასათავისუფლებელ თანამშრომელთან, რომელსაც ჰქონდა გარკვეული ვალდებულებები;

<sup>117</sup> კოპინგი – მუდმივად ცვალებადი კოგნიტიური და ქცევითი მოქმედებები, გაუმკლავდე სპეციფიკურ გარე და/ან შიდა მოთხოვნებს, რომლებიც შეფასებულია დაძაბულობად ან აღემატება ადამიანის რესურსებს.



• არ უნდა დანიშნოთ საუბარი გამოსასვლელი ან სადღესასწაულო დღეების წინ, როდესაც გასათავისუფლებელი რამდენიმე დღის მანძილზე მიიჩნევა თავს სავსებით მიტოვებულად, როდესაც არ იცის რა უთხრას მეგობრებს, ოჯახის წევრებს;

• არ შეიძლება ამ საუბრის პირდაპირ წარმართვა გასათავისუფლებელი პირის სამუშაო ადგილზე ან დარბაზში, სადაც მუშაობს ბევრი ადამიანი, რათა მას არ მოუხდეს გავლა მის მიმართ თანაგრძობით გამსჭვალულ თანამშრომელთა მწკრივში;

• საუბარი არ უნდა გაგრძელდეს 20-წუთზე მეტ ხანს, რადგან არასასიამოვნო ამბით შეწუხებულ მუშაკს, სულ ერთია, მინც არა აქვს დიდხანს მოსმენის უნარი, მით უფრო, როცა ხელმძღვანელი ყოველმხრივ ეცდება გათავისუფლების აქტის ყოველმხრივ შელამაზებას;

• აუცილებელია, თვით ხელმძღვანელი წინასწარ მოემზადოს მიმე საუბრისთვის, გააცნობიეროს საკუთარი გრძობები, მაქსიმალურად გულწრფელად რომ ისაუბროს;

• საჭიროა ფიქრი სხვადასხვა სახის კომპენსაციებსა და სოციალურ გარანტიებზე, რომელიც უნდა გაეწიოს მუშაკს გათავისუფლებისას, ასეთ შემთხვევაში საბოლოო საუბრის პროცედურა აღარ გამოიწვევს სტრესს იმ ადამიანში, რომელსაც უნდა გამოუცხადონ – „თქვენ გათავისუფლებული ხართ“.

გარდა საუბრისა, შეიძლება მოეწიოს გათავისუფლებული თანამშრომლის გაცილება, სუვენირის ჩუქება სამასხვროდ, კარგი სარეკომენდაციო წერილის გადაცემა, კარგი პირადი კონტაქტების შენარჩუნება გათავისუფლებულ პირთან, რათა ორმხრივი დაინტერესების შემთხვევაში მან შეძლოს ორგანიზაციასთან ურთიერთობა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Базаров Т.Ю. Управление персоналом (практикум), М., ЮНИТИ-ДАНА, 2012.
2. Горбатова М.М. Методы управления персоналом: Учеб. пособие. Кемеров: ЮНИТИ-ДАНА, 2002.
3. Управление персоналом: Учебник для вузов / Под ред. Т.Ю. Базарова, Б.Л. Еремина. 2-е изд., перераб. и доп. М.: ЮНИТИ-ДАНА, 2001.

*Ketevan Kitsmarishvili*

### HELP TO AN EMPLOYEE, WHO IS LEAVING THE ORGANIZATION Annotation

Dismissal – it's an employee's last stage of professional way. No doubt that it is a stress for the employee, because work (workplace) occupies a significant part of the population's living. The studies have shown that different people, on the ground of personal qualities, differently tolerate this situation. Loosing of job belongs to subjectively heavily dealt situations, because it is connected to: loss of material resources, place of realization of talents and abilities, loss of physical environment and communications.

*ზურაბ ლიპარტია*

### კორპორაციული ფინანსური კონტროლის შიდა აუდიტის ბამოყენებითი ასპექტები

ორგანიზაციაში შიდა აუდიტის კონტროლის მიზნები უნდა განისაზღვროს ყველა საქმიანობის მიხედვით და ინტეგრირებული უნდა იქნეს ორგანიზაციის საერთო მიზნებთან. განვითარებული ქვეყნების ბიზნეს-სპრაქტიკაში, სადაც აუდიტორული საქმიანობის საერთაშორისო დონის ნორმატიული დოკუმენტების მომზადება-გამოქვეყნება ხორციელდება, ფუნქციონირებს შიდა აუდიტის სხვადასხვა პოლიტიკური ინსტიტუტები, თვითრეგულირებადი პროფესიული ორგანიზაციები. ამ ინსტიტუტების საქმიანობას აშშ-სა და ჩრდილოეთ ამერიკაში ჩაეყარა საფუძველი და მინიჭებული აქვს საერთაშორისო კვალიფიკაცია. 1974 წ. ჩამოყალიბებული საერთაშორისო ორგანიზაცია – შიდა აუდიტორთა ინსტიტუტი, რომელსაც ამჟამად 180-ზე მეტი განყოფილება აქვს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნაში, გამოსცემს თავის პროფესიულ ჟურნალს "The Internal Audit".

შიდა აუდიტორის ინსტიტუტში შექმნილი სტანდარტების საბჭოს უმაღლესი ტექნიკური კომიტეტის მიერ, შემუშავებულია პროფესიონალ შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსი, რომლის პრინციპების პრეამბულა აქცენტს აკეთებს შიდა აუდიტორის პასუხისმგებლობაზე, ხოლო ქცევის კოდექსის პრინციპები განსაზღვრავს ქცევის მინიმალურ დონეს. საყურადღებოა, რომ ეკონომიკური სუბიექტის ხელმძღვანელობამ უნდა გაითვალისწინოს, რომ შიდა აუდიტის ეფექტურ და ადეკვატურ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობა მას ეკისრება, ამიტომ ის ყოველდღიურ ზრუნვას უნდა იხენდეს შიდა აუდიტის სამსახურის მიმართ, კარგად უნდა ერკვეოდეს მის ბუნებასა და მიზნებში, იყოს კომპეტენტური, იკავებდეს შიდა აუდიტორთა მხარდამჭერ პოზიციას და აშკარად გამოხატავდეს თავის პოზიტიურ დამოკიდებულებას მის მიმართ და, რაც მთავარია, აცნობიერებს, რომ კარგად ორგანიზებული შიდა აუდიტის სისტემა ის ფუნდამენტია, რომელზე დაყრდნობითაც ხორციელდება ორგანიზაციის, მისი მიზნების, საქმის წარმოებისა და რესურსების კონტროლი და წარმოადგენს ყველაზე საიმედო საშუალებას უტყუარი ინფორმაციის მიღების, კანონიერი რეჟიმის და საშემსრულებლო დისციპლინის ინტეგრირებული მიზნების მისაღებად.

შიდა აუდიტის, როგორც ორგანიზაციის ფინანსური კონტროლინგის ერთ-ერთი სამსახურის ფუნქციებია:

- ა) საფინანსო და ოპერაციული ინფორმაციის შემოწმება და შეფასება;
- ბ) კომპანიების ოპერაციების, მათ შორის არასაფინანსო კონტროლის პროცედურების ეკონომიკურობის, მწარმოებლურობისა და ეფექტიანობის მიმოხილვა;
- გ) გარე კანონებთან და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის მიმოხილვა;
- დ) შიდა პოლიტიკის მიმოხილვა;
- ე) სამეურნეო ოპერაციების უფლებამოსილების მიმოხილვა, რომელიც ითვალისწინებს

სპეციალური გამოკვლევების ჩატარებას, მათ შორის თაღლითობის გამოკვლევას;

ე) რისკების შეფასება.


ამრიგად, შიდა აუდიტის სამსახური – ეს არის დამოუკიდებელი, ობიექტური, სარწმუნო და საკონსულტაციო მომსახურება; მისი დანიშნულებაა, გაზარდოს ორგანიზაციის მიერ შექმნილი ღირებულება და გააუმჯობესოს მისი საქმიანობა.

როგორც მსოფლიო აუდიტორული საქმიანობის პრაქტიკა მოწმობს, აუდიტის კომიტეტები და კორპორაციული მართვა ბევრ ქვეყანაში კოტირებულ კომპანიებს აქვთ არააღმასრულებელი დირექტორებისგან დაკომპლექტებული აუდიტის კომიტეტები. როდესაც არსებობს შიდა აუდიტორული სამსახური, აუდიტის კომიტეტმა უნდა მიმოიხილოს შიდა აუდიტის პროგრამა, უზრუნველყოს გარე და შიდა აუდიტორების თანამშრომლობა და დარწმუნდეს, რომ შიდა აუდიტორული სამსახური სათანადოდ არის უზრუნველყოფილი რესურსებით და კომპანიაში შესაფერისი რეპუტაცია აქვს მოპოვებული.

აუდიტის კომიტეტს ასევე ეხება შიდა გამოკვლევებით გამოვლენილი მთავარი ფაქტებისა და ამ გამოკვლევებზე რეაგირებისათვის მენეჯერების მიერ გატარებული ღონისძიებების მიმოხილვა, რომელთაგან ბევრს შიდა აუდიტის განყოფილება ახორციელებს. გარე აუდიტორებიც წამოჭრიან მთელ რიგ საკითხებს, მათ შორის, შიდა კონტროლისა და შესაბამისობის პრობლემებზე. შიდა აუდიტის განყოფილებას მოეთხოვება გამოვლენილი ფაქტების გაკონტროლება და ნებისმიერი შედეგის გამოსწორება.

შიდა კონტროლის სისტემებზე პასუხისმგებელია დირექტორთა საბჭო. მან უნდა შეიმუშაოს სათანადო პოლიტიკა შიდა კონტროლისათვის და მუდმივად ესწარფოდეს ისეთი გარანტიების მოპოვებას, რაც მას დაარწმუნებს, რომ სისტემა ეფექტურად მუშაობს. საბჭომ დამატებით უნდა უზრუნველყოს გარანტია, რომ შიდა კონტროლის სისტემა ეფექტურია რისკების მართვის თვალსაზრისითაც და რისკების მართვა ხორციელდება საბჭოს მიერ დამტკიცებული პროცედურებით. შიდა აუდიტის განყოფილებას საუკეთესო მდგომარეობა აქვს კომპანიაში იმისთვის, რომ დირექტორები უზრუნველყოს მათთვის საჭირო გარანტიებით.

კორპორაციის ფინანსური კონტროლინგის სისტემის აგება ემყარება გარკვეულ პრინციპებს, რომელთა შემადგენლობა ასახულია ნახ. 1-ში, კერძოდ:



ნახ. 1. შიდა კონტროლის ღონისძიებათა ზოგადი კლასიფიკაციის სქემა

კონტროლინგის სისტემის აგების კონცეფციის შესაბამისად, იგი იყოფა შემდეგ ძირითად სახეებად, (ცხრ. 1). რომელიც უნდა შეესაბამებოდეს თავის განსაზღვრულ სფეროსა და ფუნქციების განხორციელების პერიოდულობას.

ცხრილი 1


**კორპორაციის ფინანსური კონტროლინგის სახეების მახასიათებლები**

ფინანსური კონტროლინგის სახეები	კონტროლინგის ძირითადი სფერო	ძირითადი საკონტროლო პერიოდი
1. სტრატეგიული კონტროლინგი	ფინანსური სტრატეგიის და მისი მიზნობრივი მაჩვენებლების რეალიზაცია	კვარტალი, წელი
2. მიმდინარე კონტროლინგი	მიმდინარე ინვესტიციური გეგმების კონტროლი	თვე, კვარტალი
3. ოპერატიული კონტროლინგი	ბიუჯეტის კონტროლი	კვირა, დეკადა, თვე

ფინანსური მონიტორინგის სისტემა წარმოადგენს კომპანიაში შემუშავებულ, მუდმივი დაკვირვების მექანიზმს ფინანსური საქმიანობის მნიშვნელოვან მაჩვენებლებზე, ფაქტობრივი შედეგების გადახრის სიდიდის განსაზღვრის და ამ გადახრის მიზეზების გამოვლენას. საქართველოს კონტროლის სისტემის პრაქტიკაში ნაკლებად პოპულარულია შიდა კონტროლის ისეთი ელემენტები, როგორცაა: რისკის მართვა და საინფორმაციო სისტემები. ამ ფაქტის ასხნა იმით შეიძლება, რომ მათი გამოყენება საკმაოდ სერიოზულ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

რაც შეეხება ორგანიზაციების შიდა კონტროლინგს, მას, როგორც ოპერაციული მენეჯმენტის ინსტრუმენტს, საქართველოში მხოლოდ ერთეული უცხოური ორგანიზაციები თუ იყენებენ. მაგალითად, "RMG"-ის კომპანიები სს "RMG Copper"-ი, ასევე სს "ენერჯო-პრო" და სხვ. შედარებით პოზიტიური ძვრები იგრძნობა შიდა აუდიტის ფუნქციისა და საქმიანობის პრაქტიკის მხრივ, რადგან ეს ფუნქცია საქართველოს თითქმის ყველა კომერციულ ბანკში არსებობს და მეტ-ნაკლები წარმატებით ფუნქციონირებს. ამ სფეროში ერთნულმა ბანკმა 2003 წლის ბოლოს კომერციულ ბანკებს გასაცნობად შესთავაზა ეუთოს პრინციპები, როგორც მათი საქმიანობის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი.

პრაქტიკაში შიდა კონტროლის ორგანიზაციული ღონისძიებები და პროცედურები შეიძლება უშუალოდ იყოს ინტეგრირებული სამუშაო პროცესებისა და ორგანიზაციის საქმიანობის ადმინისტრირებას, რეგულირებასა და მონიტორინგთან, რომლის ძირითადი ელემენტები (ნახ. 2) მოიცავს:



ნახ. 2. შიდა კონტროლის ელემენტების სქემა

ბიზნესის შიდა კონტროლისა და რისკის უკეთ შესწავლის მიზნით, აუდიტისა და მარწმუნებელი საქმიანობის სტანდარტების საბჭოს (ამსს-ს) მიერ შემუშავდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ასს), სადაც ასს 315 სამეურნეო სუბიექტებისა და მისი გარემოს შესწავლა და არსებითი უზუსტობების რისკების შეფასება; ასს 330 აუდიტის პროცედურები შეფასებულ რისკზე რეაგირებისათვის.

საგულისხმოა, რომ ასს 315 აუდიტორებს კლიენტის შიდა კონტროლის შესა-ფასებლად პირდაპირ სთვაზობს COSO-ზე დაფუძნებულ მეთოდოლოგიას, რაც გარე აუდიტორებისათვის არსებითად ახალ მიდგომას წარმოადგენს ბიზნესის კონტროლის გარემოსა და კონტროლის სისტემის შესახებ მტკიცებულებების მოპოვების მხრივ. ასს 315-ში აღნიშნულია, რომ შიდა კონტროლი ხუთი ელემენტისგან შედგება და დანაშაულია, თუ კომპანიას არა აქვს ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემა, აუდიტორმა კი ამის დასადაგენად უნდა გაითვალისწინოს ასს 315-ის დებულებები.

სისტემების განხილვის საჭიროება სავალდებულო მოთხოვნაა აუდიტორისთვის. სწორედ ამ მოთხოვნას ემსახურება 2004 წლის სექტემბერში გამოქვეყნებული ე. წ. ERM-მოდელი, სადაც მკაფიოდ არის განსაზღვრული შემდეგი კომპონენტები: მიზნის განსაზღვრა; მომავალი მოვლენების იდენტიფიცირება; რისკის რეაქცია.

1. კონტროლის გარემო	2. მიზნების განსაზღვრა	3. მოვლენის იდენტიფიკაცია	4. რისკის მართვა
<b>შიდა კონტროლის სისტემა</b>			
5. რისკზე რეაქცია	6. კონტროლის პროცედურები	7. ინფორმაცია და კომუნიკაცია	8. მონიტორინგი

ნახ. 3. COSO-ERM მოდელის ელემენტები

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ შიდა კონტროლის სისტემის შეფასებითი საქმიანობის სტანდარტების შემუშავებას დღესდღეობით, ორი არსებითი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მომზადებული სტანდარტები არეგულირებს, ესენია: შიდა აუდიტის ინსტიტუტის (ფლორიდა, აშშ) მიერ 2004 წელს

გამოქვეყნებული სტანდარტები და აუდიტისა და მარწმუნებელი საქმიანობის სტანდარტების საბჭოს (ამსს) მიერ მომზადებული ორი სტანდარტი, რომლებიც 2005 წლის იანვრიდან ამოქმედდა. ესენია:

- მასს 1000 – მარწმუნებელი გარიგების საერთაშორისო სტრუქტურული საფუძვლები; და
- მასს 3000 – მარწმუნებელი გარიგებები გასული პერიოდების საფინანსო ინფორმაციისა, აუდიტისა და მიმოხილვის გარდა.

ამრიგად, აუდიტორიული საქმიანობის სფეროში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შიდა აუდიტს, რომელიც მოიცავს ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობისა და სისრულის, ასევე მის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხის შემოწმებას და შეფასებას.

კორპორაციული მართვის საერთაშორისო კოდექსის დებულებებისა და ეფექტიანი კორპორაციული მართვის მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომლებიც ეხება კორპორაციის (დამკვეთი ბიზნესსუბიექტის) დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხებს რისკის მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის (კომიტეტის) ფუნქციონირებაზე და ასევე აუდიტორების საანგარიშგებო პასუხისმგებლობის ელემენტებს: თაღლითობისა და შეცდომების თავიდან ასაცილებლად.

შესაბამისად, შიდა კონტროლის სისტემის აუდიტის სამუშაო პროგრამაში კონტროლინგის სისტემის ძირითადი ელემენტების დამკვიდრებისათვის შემუშავებულია კერძო სექტორის აუდიტის სრულყოფის რეკომენდაციების პრიორიტეტები, კონტროლის სისტემის მონიტორინგის პროცედურების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის ხარისხის უზრუნველსაყოფად (ცხრ. 2).

**ცხრილი 2**

**შიდა კონტროლის მიზნები და პროცედურების მონიტორინგი**

კონტროლის მიზნები	კონტროლინგის პროცედურების მონიტორინგი
<p><b>1. რეალიზაციის ციკლი</b></p> <p>- რეალიზაცია ხორციელდება ნამდვილ (რეალურ) მომხმარებლებზე;</p> <p>- რეალიზაციის ოპერაცია სწორად აღირიცხება;</p> <p>- რეალიზაციის ყველა ოპერაცია აღირიცხება</p> <p>- ფულის ამოღება ხორციელდება მიზანშეწონილ დროში</p>	<p>ჩაატარეთ უკან დაბრუნებული საქონლის მაკორექტირებელი ფაქტურების, საქონლის გასაგდის სატრანსპორტო ხელდებულებისა და შეკვეთების თანამიმდევრობის შემოწმების ტესტები.</p> <p>შეამოწმეთ <b>სანქციონირების</b> პროცედურის არსებობის მტკიცებულება;</p> <p>შეამოწმეთ <b>მაკონტროლებელი ანგარიშების</b> შეჯერება.</p>
<p><b>2. შესყიდვების ციკლი</b></p> <p>შესყიდვა მოთხოვნილების შესაბამისად;</p> <p>დახარჯული ფული ეფექტურად გამოიყენება;</p> <p>მოწოდებული საქონლის/მომსახურების ხარისხი დამაკმაყოფილებელია;</p> <p>ვალდებულებები სრულყოფილად და სწორად აისახება;</p> <p>ფულს იხდიან მხოლოდ რეალური ვალდებულებების დასაფარად;</p> <p>ვალდებულებები იფარება გონივრულ კომერციულ ვაღებში.</p>	<p>შეამოწმეთ შესყიდვის შეკვეთების წიგნი.</p> <p>შეამოწმეთ შესყიდვის ანგარიშფაქტურების შერჩევითი ერთობლიობა;</p> <p>შეამოწმეთ უკან დაბრუნებული საქონლის მაკორექტირებელი ფაქტურები;</p> <p>შესყიდვის შეკვეთაზე მისი შემდგომი დამუშავების დამტკიცების დამადასტურებელი ხელმოწერის არსებობა.</p> <p>შესყიდვის ანგარიშფაქტურები მტკიცებულებების შესაკრებად და სხვ.</p>
<p><b>3. შრომის ანაზღაურების (ხელფასების) ციკლი</b></p> <p>ანაზღაურებას გადაუხდის შესაბამის თანამშრომლებს, სწორი (დადგენილი) განაკვეთებით რეალურად შესრულებული სამუშაოსთვის.</p>	<p>შეამოწმეთ პასუხისმგებელი ხელმძღვანელი პირის მიერ სატაბულო საათობრივი აღრიცხვის ბარათების, ქრონობარათებისა და ნამუშევარი საათების სხვა ჩანაწერების დამტკიცების პროცედურა შერჩევითი ერთობლიობისათვის.</p> <p>შეამოწმეთ კვირის სახელფასო საგადაამხდლო უწყისები; საგადაამხდლო უწყისების დამოუკიდებელი შემოწმების არსებობა.</p> <p>შეამოწმეთ ხელფასზე გაწეულ დანახარჯებში გამოვლენილი განსხვავებების შესახებ მომზადებული გადახრების ანგარიშები.</p> <p>ხელფასიდან დასაკავებელი თანხების სანქციონირების პროცედურა და სხვ.</p>
<p><b>4. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები (მარაგები)</b></p> <p>მარაგის დონეები ფული ეფექტურად იხარჯება;</p> <p>კომპანია აწვდიან იმ საქონელს/მომსახურებას, რომელიც შეუკვეთა;</p> <p>მოწოდებული საქონლის/მომსახურების ხარისხი დამაკმაყოფილებელია;</p> <p>ვალდებულებები სრულყოფილად და სწორად აღირიცხება;</p> <p>კომპანია ფულს იხდის მხოლოდ რეალურად არსებული ვალდებულებების დასაფარად;</p> <p>ვალდებულებები იფარება გონივრულ კომერციულ ვაღებში.</p>	<p>დააკვირდით მარაგის ფიზიკურ უსაფრთხოებას და მათი შენახვის პირობებს;</p> <p>დაათვალიერეთ მარაგის ბუღალტრული ჩანაწერები; დამკვეთის საწვობში დააკვირდით პერსონალს და დარწმუნდით, რომ როდესაც მარაგი მოძრაობს (შედის საწვობში ან გამოდის), მისი მოძრაობა აისახება სათანადო დოკუმენტში: საქონლის შემოსავლის ან გასაგდის ხელდებულში;</p> <p>შეამოწმეთ გამოუსადეგარი მარაგის ჩამოწერის სანქციონირების პროცედურა;</p> <p>შეამოწმეთ შესამე მხარის კუთვნილი მარაგის მოძრაობის აღრიცხვაზე დაწესებული კონტროლის პროცედურები;</p> <p>შეამოწმეთ მარაგის მოძრაობის სანქციონირების პროცედურები;</p> <p>შეამოწმეთ საქონლის შემოსავლისა და გასაგდის ხელდ.</p>

	ბულების რიგითი ნუმერაცია, რათა დარწმუნდეთ მათ სისრულეში; შეამოწმეთ მარაგის მოძრაობის ადრეცხვის პროცედურები საწყობებიდან და საწყობებისკენ.
<b>5. კაპიტალური და მიმდინარე დანახარჯები</b>	
კაპიტალური დანახარჯები ხშირად არსებით თანხებს უკავშირდება. ამდენად, კომპანიების უმეტესობა მოითხოვს ამგვარი მუხლების გათვალისწინებას წლიურ ბიუჯეტში და მის სანქციონირებას ზედა რგოლების ხელმძღვანელი პირების მიერ; რეგულარული მიმდინარე ხარჯების მუხლებზე მონიტორინგის განხორციელება შესაძლებელია ყოველთვიური გადახრების მარტივი ანალიზის ჩატარებით (ე.ი. ფაქტობრივი მონაცემები შეუდარდება საბიუჯეტოს); მარაგისგან განსხვავებით, რომლის ღირებულების დასადგენად ინვენტარიზაცია ტარდება, აქტივების შესამოწმებლად არსებული აქტივები რეგულარულად უდარდება აქტივების რეესტრის მონაცემებს;	კაპიტალური დანახარჯები ხშირად არსებით თანხებს უკავშირდება. გაითვალისწინება წლიურ ბიუჯეტში და მის სანქციონირებას ზედა რგოლების ხელმძღვანელი პირების მიერ; რეგულარული მიმდინარე ხარჯების მუხლებზე მონიტორინგის განხორციელება შესაძლებელია ყოველთვიური გადახრების მარტივი ანალიზის ჩატარებით; როდესაც აქტივები მეორად ბაზარზე იყიდება, ამგვარი ელემენტების ღირებულების შესამოწმებლად ისინი უდარდება ანალოგიურ ელემენტებს ან ფასების სახელმძღვანელოს, რათა დარწმუნდეთ, რომ კომპანია აქტივების გაყიდვიდან იღებს სამართლიან ღირებულებას; აქტივების საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები უსაფრთხო ადგილზე ინახება.
<b>6. ბანკი და სალარო</b>	
ფულადი სახსრების ნაშთები დაცულია; სალაროს ნაშთები მინიმალურ დონეზე არის დაყვანილი; ბანკის ანგარიშიდან ფულის გამოტანა შესაძლებელია მხოლოდ სანქციონირებული მიზნებისთვის.	შეამოწმეთ, რომ ფოსტის გახსნას ორი თანამშრომელი ესწრებოდეს, რათა მინიმუმამდე იყოს დაყვანილი თაღლითობა; ჩაატარეთ შემოსული ფულისა და ბანკში დეპონირებული თანხების დამოუკიდებელი შედარება; შეამოწმეთ მიღებული ფულის სანქციონირების პროცედურის არსებობა; მიღებული ფულის ბუღალტრული ჩანაწერების არითმეტიკული სიზუსტე. მტკიცებულება იმის შესახებ, ტარდებოდა თუ არა არითმეტიკული შემოწმება ნაღდი ფულის გადახდის ოპერაციების ბუღალტრულ ჩანაწერებში, მათ შორის სალაროს წიგნში; სანქციონირების მტკიცებულებები პირდაპირ სადებეტო გატარებებზე – დარწმუნდით, რომ ყველა გადახდა სანქციონირებულია.
<b>7. საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემები მანუალური</b>	
სამეურნეო სუბიექტის ოპერაციებიდან ისეთი კატეგორიის ოპერაციებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისათვის; IT და მანუალური სისტემის პროცედურებზე, რომლის მეშვეობითაც ხდება ოპერაციების ინიცირება, დოკუმენტირება, დამუშავება და წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში; შესაბამის ბუღალტრულ ჩანაწერებზე, ამოსავალ ინფორმაციასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ გარკვეულ ანგარიშებზე.	მანუალურ სისტემებს ადამიანები ამუშავებენ და, მაშასადამე, უფრო მეტია მექანიკური შეცდომების ალბათობა; ინფორმაცია ერთი დოკუმენტიდან მეორეში გადაიტანება, ამიტომ შეიძლება არასწორად მოხდეს ინფორმაციის გადატანა, ან ინფორმაციის გადაწერაში იქნეს დაშვებული შეცდომები.
<b>8. ნაკლოვანებებზე ანგარიშის წარდგენა</b>	
საფონდო ბირჟაზე კოტირებული კომპანიებისთვის – ანგარიში აუდიტის დამოუკიდებლობის შესახებ; დაგეგმვის სტადიაზე – ანგარიში, სადაც იდენტიფიცირებულია ძირითადი აუდიტორული რისკები და ჩასატარებელი აუდიტორული სამუშაო; აუდიტის დამთავრებისას – ანგარიში.	ამ ანგარიშში არ აისახება შიდა კონტროლის ყველა ნაკლოვანება, არამედ განხილულია მხოლოდ ის ნაკლოვანებები, რაც გამოვლინდა აუდიტორული შემოწმების ჩვეულებრივ პროცესში; ანგარიში განკუთვნილია მხოლოდ ხელმძღვანელობისთვის; ეს ანგარიში (ინფორმაცია) არ უნდა გაუმჯობესდეს მესამე მხარეებს აუდიტორის წერილობითი ნებართვის გარეშე; აუდიტორს არ ეკისრება პასუხისმგებლობა მესამე მხარეთა წინაშე.

შიდა კონტროლის პროცედურებისა და მაკონტროლებელი საქმიანობის მიზან-ამოცანებიდან გამომდინარე, ისეთი ელემენტების, როგორცაა: ამონაგები, შესყიდვები, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები (მარაგები), მიმდინარე და კაპიტალური დანახარჯები, შრომის ანაზღაურება, ბანკი და სალარო, ინფორმაციული ტექნოლოგიები, რომლებიც ბიზნესსუბიექტის (დამკვეთის) დირექტორატისათვის ფინანსურ ანგარიშგებაში შიდა კონტროლის სისტემის ნაკლოვანებების გავლენის შესახებ აუდიტორული მტკიცებულობების შედეგების გათვალისწინებით გამოსასწორებელი რეკომენდაციების შემოთავაზება, უზრუნველყოფს დამკვეთი ორგანიზაციის საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებას.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. ბასილაია კ., ლიპარტია ზ., ფინანსური კონტროლი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2012.

2. ლიპარტია ზ., ბაკურაძე რ. ბუღალტრული აღრიცხვა-აუდიტის ინსტიტუციური რეგულირების სრულყოფის პრიორიტეტები. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტ. VII. თბ., 2014, გვ. 170-178.

3. ლიპარტია ზ., მაისურაძე ნ. სტრატეგიული ფინანსური დაგეგმვისა და კონტროლინგის პრიორიტეტები სამომავლო-პროგნოზული დარგის "RMG"-ის მაგალითზე. საერთაშორისო რეგ. და რეცენზ. სამეც.-პრაქტიკული ჟ. "გადასახადები", თბ., №10-11, გვ. 81-93.

4. ლიპარტია ზ., თანამედროვე კორპორაციების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები. პროფ. გიორგი პაპავას დაბადებიდან 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, 2013, 28-29 ივნისი. გვ. 370-374.

5. ქუთათელაძე რ., ლიპარტია ზ., აბრალავა ნ. ეფექტიანობის აუდიტი ფინანსური კონტროლის სისტემაში. რეფერ. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟ. "ბუღალტრული აღრიცხვა", თბ., 2009, №6, გვ. 27-33; №7, გვ. 42-49.

6. Корпоративные финансы: Учебник для вузов. Под ред. М.В. Романовского, А. И. Вострокнутовой, стандарт третьего поколения. СПб: Питер, 2011. Гл. 25, с. 517-540.

7. ACCA, paper F8 JNT Audit and assurance, Kaplan Financial Limited, 2009 (წიგნი F8 "აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება", თარგმნილი და გამოცემული საქართველოს ბაფ-ის მიერ, თბ., 2010).

*Zurab Lipartia*

**APPLIED ASPECTS OF INTERNAL AUDIT OF CORPORATE FINANCIAL CONTROL**  
**Annotation**

The scientific paper discusses about the current stage of accounting-auditing activities solving problems in Georgia, incurred by the professional accountants and auditors successful business and accounting and auditing standards for the implementation of the country's private sector practice. Consequently, the management of the financial control in the fields of internal audit principles and approaches for improving the internal audit recommendations are proposed to adapt-establishing and monitoring internal control systems, as the priority areas of accounting procedures with international standards to ensure the quality of the audit. Also, to reduce the risk to an optimal level, which leads to effective results of entrepreneur activity.

*მედეა ლომინა შვილი-ფრუიძე*

**დამატებითი ღირებულების გადასახადის**  
**საგადასახადო და საბუღალტრო აღრიცხვის ამტხალური საკითხები**

სიახლეს არ წარმოადგენს, რომ ქვეყნის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ძლიერი ეკონომიკაა, მით უფრო საქართველოს რეალობაში საკითხის კვლევა აქტუალობას არ კარგავს. როგორც სახელმწიფოს შემოსავლების წყარო, ქვეყნის ეკონომიკური აქტივობა, წარმოების განვითარება სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ინდიკატორია. საქართველოს საგადასახადო შემოსავლებში ყველაზე დიდი წილი დამატებული ღირებულების გადასახადს (დღგ) უჭირავს. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე საგადასახადო სისტემაში დღგ ერთ-ერთი რთული და მნიშვნელოვანი გადასახადია. დღგ, როგორც ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების აკუმულირების მნიშვნელოვანი წყარო, მეტად ფართო განხილვას საჭიროებს.

დღგ არაპირდაპირი გადასახადია, რომელიც წარმოადგენს საქონლის/მომსახურების წარმოებისა და განაწილების ყველა სტადიაზე დამატებული ღირებულების ნაწილის ბიუჯეტში ამოღების ფორმას. დღგ-ის აკრეფის სქემა პირველად ფრანგმა ეკონომისტმა მორის ლორემ შეიმუშავა 1954 წელს, ხოლო საფრანგეთის საგადასახადო სისტემაში 1958 წლიდან შემოიღეს. ამჟამად ის 137 სახელმწიფოში მოქმედებს. განვითარებული ქვეყნებიდან აშშ და იაპონიაში დღგ გადასახადის ნაცვლად მოქმედებს გადასახადი გაყიდვებიდან (განაკვეთით 3%-დან 15%-მდე). მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში დღგ-ის განაკვეთი 18%-ია, თუმცა მოქმედებს გარკვეული შეღავათები ზოგიერთ საბავშვო და სამრეწველო საქონელზე, მათი დღგ-ით დაბეგვრის განაკვეთი 10%-ია. ექსპორტის სტიმულირების მიზნით ასევე 0%-ით იბეგრება საექსპორტო საქონელი.


საქართველოში დღგ შემოღებულია 1992 წლის 15 მარტიდან და მისი განაკვეთი დღესდღეობით 18%-ს შეადგენს.

წელი (ძალაში შესვლა)	საპროცენტო განაკვეთი
15 /მარტი /1992	25%
13/იანვარი/1997	20%
01/ივლისი/2005	18%
დღემდე	18%

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონით<sup>118</sup>, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 7 460.0 მლნ ლარს შეადგენს. მასში დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრება 3 534.0 მლნ ლარით, რაც ყველა სხვა საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელზე მეტია და მისი ხვედრითი წონა მთლიან საგადასახადო საპროგნოზო შემოსავლებში 47.37%-ს შეადგენს. საგადასახადო შემოსავლების ყველაზე მეტი წილი დამატებული ღირებულების გადასახადზე მოდიოდა ასევე 2014 წელსაც. სექტემბრის მდგომარეობით,

<sup>118</sup><http://www.ghn.ge/print.php?print=115456>

დღგ-ის სახით მიღებულმა საგადასახადო შემოსავლებმა 2 421.913.7 ათასი ლარი შეადგინა და შესაბამისი პერიოდის საპროგნოზო მანქნებელს აღემატება 4.388%-ით<sup>119</sup>, რაც იმავე პერიოდის 2013 წლის მანქნებელს 56.7 მლნ ლარით უსწრებს. დღგ-ის ზრდა, 2014 წლის ივნისიდან სპეციალური დაბეგვის რეჟიმის ფარგლებში (იმპორტის შემოტანის პროცესში დაბეგვრამ დააჩქარა დღგ-ის საგადასახადო შემოსავლების ზრდა)<sup>120</sup> განხორციელებული ცვლილებების გარდა, შეიძლება აიხსნას ეკონომიკური აქტივობის ზრდით. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2014 წლის მდგომარეობით ეკონომიკური ზრდის მანქნებელმა წინასწარი შეფასებით 4.7% შეადგინა<sup>121</sup>. წარმოდგენილი ანალიზი ხაზს უსვამს წარმოების/მეურნე სუბიექტების აქტივობასა და საგადასახადო შემოსავლებში



**წარმ.** საქართველოს ფინანსთა სამინისტრო „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 9 თვის ანგარიში“


დღგ-ის სახით თანხების აკუმულირებას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირის არსებობას.

ვინაიდან დამატებული ღირებულების გადასახადი არაპირდაპირი გადასახადია, დღგ-ის ოპერაციები გამოირჩევა აღრიცხვის სპეციფიკურობით. საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულია დღგ-ის გაანგარიშების, გადახდის, აღრიცხვის და რეგულირების წესი. ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების სრულად აკუმულირებისთვის, სააღრიცხვო სიტუაციების მიუხედავად, მნიშვნელოვანია მეურნე სუბიექტები კომპეტენტურად აღრიცხვადენ დღგ-ით დასაბეგვრ ოპერაციებს. აღრიცხვის სრულყოფის მიზნით, მიზანშეწონილი იქნებოდა კიდევ ერთხელ შეგვეჩერებინა ყურადღება დღგ-ის საგადასახადო და საბუღალტრო აღრიცხვის თავისებურებებზე (საგულისხმოა, რომ ქვეყნის საგადასახადო სისტემაში დღგ-ის არსებობა ევროკავშირში შესვლის სავალდებულო წინაპირობას წარმოადგენს).

დღგ წარმოადგენს ყველა დასაბეგრი საქონლის ან მომსახურების ღირებულების ნაწილს, თუ პირის მიერ დასაბეგრი ოპერაციის საერთო თანხა გადააჭარბებს 100000 ლარს ნებისმიერი უწყვეტი თორმეტი კალენდარული თვის განმავლობაში. მოქმედი საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულია დღგ-ის საგადასახადო განაკვეთი 18%. დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელად ითვლება:

- პირი, რომელიც რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად;
- პირი, რომელიც ვალდებულია, გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად;
- პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის იმპორტს ან დროებით შემოტანას საქართველოში, მხოლოდ ამ იმპორტზე ან დროებით შემოტანაზე, რეგისტრაციის ვალდებულების გარეშე;
- არარეზიდენტი, რომელიც ეწევა მომსახურებას საქართველოში დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისა და მუდმივი დაწესებულების გარეშე, მხოლოდ ამ მომსახურებაზე და ექვემდებარება უკუდაბეგვრას.

კანონით განსაზღვრულია დღგ-ის ჩათვლის უფლება (ჩათვლის უფლებით სარგებლობს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირი), რომელიც აქვს პირს გაყიდვებთან დაკავშირებით ბიუჯეტისათვის დღგ-ის გადახდის ვალდებულების წარმოშობის მომენტიდან. ბიუჯეტის კუთვნილი დღგ-ის გამოსათვლელი მარტივი ფორმულა შემდეგია:



დღგ-თან დაკავშირებული პერიოდი მოიცავს ერთ თვეს. პერიოდის განმავლობაში გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღრიცხვაში მოიხსენიება, როგორც გადასახდელი, ხოლო შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ, როგორც ჩასათვლელი დღგ. მათ შორის სხვაობა არის ბიუჯეტის კუთვნილი ან ბიუჯეტიდან დასაბრუნებელი დღგ.

გადასახდელ დღგ-ის ანგარიშთა გეგმაში მიკუთვნებული აქვს ანგარიში 3330 – გადასახდელი დღგ, ჩასათვლელ დღგ ანგარიში 3340 – გადახდილი დღგ. (3340) ანგარიში ახლავს საქონლის/მომსახურების შექმნის

<sup>119</sup>file:///D:/Users/Giorgi%20Pruidze/Downloads/01.pdf  
<sup>120</sup>საქართველოს კანონი საგადასახადო კოდექსში „იმპორტის დღგ-ით დაბეგვის სპეციალური წესის“ ცვლილების შეტანის შესახებ (#2183-II ძალაშია 2014 წლის 1 ივნისიდან).  
<sup>121</sup>საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), ეკონომიკური ზრდის წინასწარი შეფასება, დეკემბერი, 2014 . 30.01.2015.http://www.geostat.ge/cms/site\_images/\_files/georgian/economic/yovelTviuri%20ekonomikuri%20statistika\_dekemberi\_2014.pdf

ხარჯების (ფასეულობის/მომსახურების, ელექტროენერჯის, კომუნალური, იჯარის და სხვა) დაფარვის ოპერაციებს და აისახება დებეტის მხარეს. 3330 – გადასახდელი დღგ-ის ანგარიშს აქვს საკრედიტო ნაშთი და უკავშირდება რეალიზაციის ოპერაციებს.

ურთიერთთანხველი განისაზღვრება 3340 – გადახდილი დღგ-ის და 3330 – გადასახდელი დღგ-ის ანგარიშებს შორის უმცირესი თანხით. მათ შორის სხვაობის საფუძველზე დგინდება ბიუჯეტისათვის გადასახდელი ვალდებულების არსებობა ან არარსებობა. კერძოდ, თუ ადგილი ექნება ანგ. 3340 „გადახდილი დღგ“-ის მეტობას 3330 „გადასახდელი დღგ“-ის ანგარიშზე, ასეთ დროს ბიუჯეტისათვის გადახდილი დღგ-ის მეტობას აქვს ადგილი და არ ირიცხება დღგ-ის გადარიცხვის ვალდებულება ბიუჯეტის წინაშე. და თუ 3330 „გადასახდელი დღგ“-ის ნაშთის მეტობას აქვს ადგილი 3340 „გადახდილი დღგ“-ის ანგარიშთან მიმართებაში, წარმოიქმნება ბიუჯეტის წინაშე დღგ-ის გადახდის ვალდებულება.

დარიცხვის მეთოდის თანახმად, დღგ-ის გადახდის ვალდებულებად ითვლება ოპერაციის განხორციელების მომენტი, კომპენსაციის თანხის მიღების მომენტის მიუხედავად. შესაბამისად, საგადასახადო კოდექსის თანახმად, ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება საქონლის/მომსახურების მიწოდების მომენტი. დღგ-ის ჩათვლის საფუძველს წარმოადგენს ანგარიშგაქტურა, იმის მიუხედავად, დაფარულია თუ არა მომწოდებლის დავალიანება. თუმცა დღგ-ის ჩათვლა შეუძლებელია ისეთ სასაქონლო ოპერაციაზე ან მომსახურებაზე, რომელზეც მეურნე სუბიექტს ანგარიშგაქტურა არ მიუღია. თუ სუბიექტს მიმდინარე თვის განმავლობაში არ მიუღია ჩასათვლელი დღგ, ის სრულად გადაიხდის გადასახდელი დღგ-ის თანხას (ბიუჯეტის მიმართ წარმოქმნილი ვალდებულება) ბიუჯეტში. დღგ-ის ჩათვლის დოკუმენტაციაა:

- საგადასახადო ანგარიშგაქტურა;
- საბაჟო დეკლარაცია;
- უკუდაბეგერისას ბიუჯეტში დღგ-ის თანხის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- დროებითი შემოტანისას ბიუჯეტში დღგ-ის თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- საქონლის იმპორტის და/ან საქონლის დროებით შემოტანასთან დაკავშირებით დარიცხული დღგ-ის

გადასახდის გადახდის მიერ ბიუჯეტში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ხშირია შემთხვევები, როდესაც მეურნე სუბიექტებს უხდებათ დღგ-ის თანხის სრული თანხიდან (მათ შორის დღგ) გამოყოფა. დღგ-ის ყოველი ცვლილებისას ხდება იმ საპროცენტო განაკვეთის გადანგარიშება, რომელიც მთლიანი თანხიდან გამოყოფს სწორედ მოქმედი დღგ-ის (ამჟამად - 18%-ის) შესაბამის ოდენობის თანხას. ამისათვის ვადავსა პროპორციას ნებისმიერი მთელი რიცხვის მაგალითზე, საიდანაც მარტივია 18%-ს განსაზღვრა. მაგალითად, 1000 ლარის შემთხვევაში დღგ არის 180 ლარი, ჩვენი მიზანია დავადგინოთ 1180 ლარის რამდენი პროცენტი მოგვცემს იმავე 180 ლარს:

$$1180 - 180$$

$$100 - x$$

$$x = \frac{180 * 100}{1180}$$

$$x = 15.254\%$$

1180 \* 15.254% = 180 ლარს. ასევე მეორე მეთოდით, მთლიანი თანხიდან დღგ-ის გამოყოფა შესაძლებელია მთლიანი თანხის 1.18-ზე გაყოფის გზით. მაგალითად, საწარმო შეიძინა 2360 ლარის საქონელი, მათ შორის დღგ-ის ჩათვლით, ანუ დღგ-ის თანხა იქნება 360 ლარი (2360 \* 15.254% = 360), ან 2360-ის შევავარდებით 1.18-ზე, მივიღებთ 2000 ლარს - ძირითად თანხას დღგ-ის გარეშე, 360 ლარი (2360-2000) შეადგენს დღგ-ს. კონკრეტული მაგალითების საფუძველზე, სტატიის ფარგლებში ვეცდებით დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების აღრიცხვის ძირითად ასპექტებზე ყურადღების გამახვილებას.

**მაგალითად:**

**I.** შპს „დარის“ მიერ რეალიზებული იყო 2000 ლარის თვითღირებულების საქონელი 3000 ლარად + დღგ. უნაღდო ანგარიშსწორებით. მიღებულს შპს „დარის“ მიმართ წარმოექმნა 3540 ლარის (3000 + 3000 \* 18% = 3540) ვალდებულება. პირობაზე შედგება შემდეგი ბუღალტრული გატარება:

დ. 7210 „რეალიზებული საქონლის თვითღირებულება“	2000 ლარი
კ. 1610 „საქონელი“	2000 ლარი
დ. 1210 „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“	3540 ლარი
კ. 6110 „შემოსავალი რეალიზაციიდან“	3000 ლარი
კ. 3330 „გადასახდელი დღგ“	540 ლარი

**II.** ამავე პერიოდში შპს „დარის“ მიერ ნაღდი ანგარიშსწორებით შექენილია 1000 ლარის საქონელი + დღგ. შპს „დარის“ მომწოდებლისადმი წარმოექმნა 1180 ლარის ვალდებულება (1000 + 1000 \* 18% + 1180). ოპერაციაზე შედგება ბუღალტრული გატარება:

დ. 1610 „საქონელი“	1000 ლარი
დ. 3340 „გადახდილი დღგ“	180 ლარი
კ. 1110 „ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში“	1180 ლარი

**III.** შპს „დარის“ მიერ კრედიტში შექენილია საქონელი, მომწოდებლის წინაშე წარმოქმნილია 2360 ლარის ვალდებულება, მათ შორის დღგ - 360 ლარი. პირობაზე შედგება შემდეგი ბუღალტრული გატარება:

დ. 1610 „საქონელი“	2000 ლარი
დ. 3340 „გადახდილი დღგ“	360 ლარი
კ. 3110 „მომწოდებლიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი“	



ვალდებულება“

2360 ლარი

IV. კრედიტში რეალიზებულია 1000 ლარის თვითღირებულების საქონელი 4720 ლარად დღგ-ის ჩათვლით, რომელმაც შეადგინა 720 ლარი ( $4720 * 15.254 \% = 720$ ). პირობაზე შედგება შემდეგი ბუღალტრული გატარება:

დ. 7210 „რეალიზებული საქონლის თვითღირებულება“	1000 ლარი
კ. 1610 „საქონელი“	1000 ლარი
დ. 1410 „ მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან“	4720 ლარი
კ. 6110 „შემოსავალი რეალიზაციიდან“	4000 ლარი
კ. 3330 „გადასახდელი დღგ“	720 ლარი

ანგ. 3330 და ანგ. 3340-ის ბრუნვების საფუძველზე შესაძლებელია განისაზღვროს ბიუჯეტისადმი ვალდებულების არსებობა და მისი ოდენობა.

დ	3340	კ
	180	
	360	
ბრ. 540		
<b>ნაშ. 540</b>		

დ	3330	კ
	540	
	720	
	1 260 ბრ.	
	<b>1 260 ნაშ.</b>	

გადასახდელ და გადახდილ დღგ-ს შორის სხაობამ ჩვენს შემთხვევაში შეადგინა 720 ლარი, რაც ბიუჯეტისთვის გადასახდელ დღგ-ს წარმოადგენს. ვახდენთ ანგ. 3330 და ანგ. 3340-ის (დღგ-ის) გადახურვას უმცირესი თანხით, რაზეც შედგება ბუღალტრული გატარება:

დ. 3330 „გადასახდელი დღგ“	540 ლარი
კ. 3340 „გადახდილი დღგ“	540 ლარი

დ	3340	კ
540		540
<b>ბრ. 540</b>		<b>540 ბრ.</b>
	0	

დ	3330	კ
ბრ. 540	1260	
	1260	
	540	
	720 ბრ.	
	<b>ნაშ. 720</b>	

რადგან 3340 „გადახდილი დღგ“-ის ანგარიში წარმოადგენს პასიურ ანგარიშს ნაშთი 720 ლარი საბოლოო ბალანსში აისახება პასივების მხარეს. ბიუჯეტისთვის კუთვნილი დღგ-ის თანხის გადარიცხვაზე დგება შემდეგი ბუღალტრული გატარება:

დ. 3330 გადასახდელი დღგ	720 ლარი
კ. 1210 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	720 ლარი

დღგ-ით უკუდაბეგვრას ექვემდებარება არარეზიდენტი ფიზიკური პირი ან არარეზიდენტი საწარმოს მიერ საგადასახადო აგენტისთვის საქართველოს ტერიტორიაზე გაწეული მომსახურება.

არარეზიდენტი ფიზიკური პირის მიერ (გარდა საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირისა) საქართველოს ტერიტორიაზე გაწეული მომსახურება უკუდაბეგვრას. ასეთ დროს ადგილი აქვს დღგ-ით დაბეგვრის ოპერაციის არატიპურ აღრიცხვას. კერძოდ, არარეზიდენტი პირის უკუდაბეგვრის შემთხვევაში საგადასახადო აგენტი დღგ-ის თანხას განსაზღვრავს არარეზიდენტის კუთვნილი თანხიდან, რომელსაც გადაურიცხავს მომსახურების ღირებულებას დღგ-ის თანხის გამოკლებით. არარეზიდენტის მიერ გაწეული მომსახურების დღგ-ის თანხას ბიუჯეტში გადარიცხავს თავად საგადასახადო აგენტი.

**მაგალითად.** შპს „დარს“ მომსახურება გაუწია არარეზიდენტმა საწარმომ LTD“DELFOF“-მა, მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 2 360 ლარი (2 000 ლარს + დღგ-360 ლარი).

მიუხედავად იმისა, რომ სულ მომსახურების ღირებულება შეადგენს 2 360 ლარს (უკუდაბეგვრის ოპერაციის დროს არ წარმოიქმნება ანგ. 3340 „გადახდილი დღგ“), არარეზიდენტი საწარმოსათვის შპს „დარს“ აქვს 2000 ლარის გადარიცხვის ვალდებულება, დღგ-ის 360 ლარი კი მის მიერ უნდა გადაირიცხოს საქართველოს ბიუჯეტში. რაზეც შედგება გატარება:

- 1. არარეზიდენტის წინაშე დავალიანების წარმოქმნა**

დ. 7100, 7300, 7400 ჯგუფის ანგარიშები	2 000 ლარი
კ. 3110 „მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები“	2 000 ლარი
- 2. დღგ-ის დარიცხვა**

დ. 5330 „სანაგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი“	360 ლარი
კ. 3330 „გადასახდელი დღგ“	360 ლარი
- 3. დღგ-ის გადარიცხვა ბიუჯეტში**

დ. 3330 „გადასახდელი დღგ“	360 ლარი
კ. 1210 „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“	360 ლარი

გადასახადის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გათვალისწინებით, აღრიცხვის პროცესში უნდა მოხდეს დღგ-ის აღრიცხვის ოპერაციებიდან ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების აკუმულირების შესაძლებლობის და მეურნე სუბიექტის პასუხისმგებლობის გააზრება. დღგ-ის აღრიცხვის ოპერაციების

პრაქტიკული მაგალითების დემონსტრირება ხელს შეუწყობს პრაქტიკაში შეცდომების დაშვებით გამოწვეული სააღრიცხვო რისკების შემცირებას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. მიქიაშვილი. მ., „სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკის თეორიული ასპექტები“, თბ., 2011.
2. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2015 წელი.
3. Michael Lang, Peter Melz., Value Added Tax and Direct Taxation. December 2009, Number of pages 1296.
4. <https://matsne.gov.ge/en/document/view/2312316>
5. <http://www.forms.ge/sakartvelos-kanoni-sakartvelos-sagadasakhado-kodeksshi-tsvlilebis-shetanis-shesakheb>
6. [http://www.rs.ge/Default.aspx?lang=1&mid=11&sec\\_id=5699](http://www.rs.ge/Default.aspx?lang=1&mid=11&sec_id=5699)

Medea Lominashvili-Pruidze

### ACTUAL ISSUES OF VALUE ADDED TAX ACCOUNTING Annotation

The great part of tax revenues in Georgia is held by Value Added Tax (VAT) and it can be said that it's one of the difficult taxes. Considering political significance of the tax in the process of calculation there should be comprehended possibility of tax revenues accumulation from VAT calculation operations to budget and responsibility of the business entity. In spite of calculating difficulties competent calculation of VAT taxable operations by the business entities is very important. For the purpose of improvement of the calculation it's advisable to pay attention to peculiarities of VAT and accounting calculation. Demonstration of practical examples of VAT calculation operations will support to reduction of accounting risks made by practical mistakes.

დალი მგრაქველიძე

### საბაზრო რისკები და მათი მართვის მნიშვნელობა

რისკის მართვის პრობლემა არსებობს ეკონომიკის ნებისმიერ სექტორში – სოფლის მეურნეობიდან და წარმოებიდან დაწყებული, ვაჭრობამდე და ფინანსებამდე დამთავრებული, რაც ხსნის მის მუდმივ აქტუალობას. ამჟამად ფინანსურ თეორიაში ჯერ არ არის შემუშავებული რისკების ზოგადად მიღებული და ამომწურავი კლასიფიკაცია. ეს იმასთანაა დაკავშირებული, რომ პრაქტიკაში არსებობს სხვადასხვა რისკის გამოვლენის ძალიან დიდი რაოდენობა, ამასთან, ტრადიციულად, რისკის ერთი და იგივე სახე შეიძლება აღნიშნული იყოს სხვადასხვა ტერმინით. ამავდროულად, ხშირად ძალიან ძნელია რისკის ცალკეული სახის გარჩევა, მაგალითად, პორტფელურის და საბაზროსი.

მიუხედავად ამისა გარკვეული დარგობრივი კონსენსუსი რისკის იმ ძირითად კლასებსა და ტიპებს შორის, რომლებსაც აწყდებიან ფინანსური შუამაგლები, მაინც მიღწეულია. ამჟამად მიღებული სტანდარტული კლასიფიკაციის მიხედვით, ფინანსური ინსტიტუტების კეთილდღეობის მთავარ საფრთხეს წარმოადგენს საბაზრო, საკრედიტო და ოპერაციული რისკები, ლიკვიდურობის და ხდომილობათა რისკები.

**საბაზრო რისკი (market risk)** – ეს არის ობიექტის ეკონომიკური მდგომარეობის მახასიათებლების შეუსაბამობის შესაძლებლობა იმ მნიშვნელობებთან, რომლებსაც ელოდებიან საბაზრო ფაქტორების ზემოქმედების ქვეშ გადაწყვეტილების მიმღები პირები. მაგალითად, ინვესტორი ელოდება, რომ ფასიანი ქაღალდების პორტფელის შემოსავლიანობა იმყოფება რაიმე დიაპაზონის ფარგლებში. შემოსავლიანობის საბაზრო დონის ამ ინტერვალიდან გადახრის შესაძლებლობა წარმოადგენს საბაზრო რისკს. ამასთან, ხშირად რისკის ქვეშ იგულისხმება შემოსავლიანობის გადახრის შესაძლებლობა მხოლოდ უარყოფით დიაპაზონში.

საბაზრო რისკები – ეს პრაქტიკაში ხშირად გამოყოფილი ძირითადი ეკონომიკური რისკების სამი ჯგუფიდან ერთ-ერთია, რომლებშიც ასევე შედის საკრედიტო და ოპერაციული რისკები. საბაზრო რისკები დაკავშირებულია საბაზრო კონიუნქტურის რხევების განუხაზვრელობასთან – საფასო და საკურსო (სავალუტო) რისკებთან, საპროცენტო რისკთან, ლიკვიდურობასთან და ა.შ. – და ამ რხევებისადმი მგრძობიანობის მატარებელი ობიექტების რისკებთან (მაგალითად, აქტივები და სხვა). საბაზრო რისკებს, ხშირად, იმ ტექნიკურ ანალიზთან ასოციაციით, რომლებიც გამოიყენება ფასების, კურსების, მოცულობის და ბაზართან დაკავშირებული სხვა ინდიკატორების გამოკვლევისა და პროგნოზირებისათვის, **ტექნიკურს** უწოდებენ (არ უნდა აგურით ოპერაციული ან სხვა რისკების ნაირსახეობაში!). საბაზრო რისკის წყაროს მხოლოდ პირდაპირი საფასო ფაქტორები არ წარმოადგენს. მაგალითად, სხვადასხვა ინსტრუმენტების შემოსავლიანობების კორელაცია არ წარმოადგენს პირდაპირ საფასო ფაქტორს, მაგრამ ირიბად მოქმედებს იმ პორტფელის საფასო მახასიათებლებზე, რომელიც ამ ინსტრუმენტებს შეიცავს.

საბაზრო რისკების კლასიფიკაცია საჭიროა, რადგან ის საშუალებას იძლევა, მკაფიოდ მოვახდინოთ პრობლემის სტრუქტურირება და გავლენა მოვახდინოთ სიტუაციის გაანალიზებასა და ეფექტური მართვის არჩევანზე. რისკების კლასიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს თითოეული კვლევის კონკრეტულ მიზანს და ხორციელდება სისტემური მიდგომის პოზიციით. ამ პრინციპებიდან გამომდინარე, შეიძლება გამოიყოს ყველაზე ფართოდ გამოყენებადი საბაზრო რისკების კლასიფიკაცია საბაზრო სეგმენტების მიხედვით, მათ შორის: საპროცენტო რისკი (*interest rate risk*); სავალუტო რისკი (*exchange rate risk*); აქტივების ბაზრის საფასო რისკი, ანუ საფონდო რისკი (*equity risk*); სასაქონლო ბაზრების საფასო რისკი, ანუ სასაქონლო რისკი (*commodity risk*); წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ბაზრის რისკი (*derivative risk*).

საწარმოს რაიმე კონკრეტულ აქტივებს ან პასივებთან ასოცირებული რისკები არ შეიძლება განხილული იყოს იზოლირებულად. ნებისმიერი ახალი ეკონომიკური გადაწყვეტილება უნდა გაანალიზდეს საწარმოს აქტივების და პასივების მთელი ერთობლიობის (პორტფელის) შემოსავლიანობასა და რისკებზე მისი გავლენის

პოზიციიდან, რამდენადაც ამ გადაწყვეტილების შესაძლო შეხამებამ შესაძლებელია, მნიშვნელოვნად შეცვალოს ზოგადად მთელი პორტფელის მახასიათებლები.

**პორტფელური მიდგომა (portfolio approach)** ვარაუდობს საწარმოს აქტივების და პასივების (ზოგად შემთხვევაში სხვა დოვლანობის) როგორც ერთიანის, კერძოდ პორტფელის ელემენტებად აღქმას, რომლებიც მას აძლევენ რისკის და შემოსავლიანობის მახასიათებლების შესახებ ცნობებს, რაც საშუალებას იძლევა, ეფექტურად განსორციელდეს შესაძლებლობების ანალიზი და ეკონომიკური რისკების პარამეტრების ოპტიმიზაცია.

პორტფელი – ეს არის საკუთრების ან რაიმე დოვლანობის ტიტულის მქონე აქტივების (პასივების) ნაკრები, რომელიც წარმოადგენს კომპოზიტურ (შემადგენელ) აქტივს (პასივს) რისკისა და შემოსავლიანობის (ღირებულების) პარამეტრებით, რომელიც იცვლება ორი ფაქტორის კომბინაციის ზემოქმედების შედეგად:

- პორტფელის შემადგენლობის შეცვლა (აქტივების გატანა, გაცვლა);
- რისკის და შემოსავლიანობის (ღირებულების) ცვლილება, რომელიც დაკავშირებულია როგორც თვით აქტივების (პასივების), ისე სხვა კონიუნქტურის ცვლილებასთან.

პორტფელის ცნება განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება ფასიანი ქაღალდების ერთობლიობის აღსანიშნავად, ხოლო მათთან დაკავშირებული საბაზრო რისკები აყალიბებს შემაჯამებელ პორტფელურ რისკს.

პორტფელური რისკების მართვის სფეროში გამოყოფენ ეკონომიკური დამოკიდებულების სისტემის სამ ელემენტს: გადაწყვეტილების მიმღები პირი (რისკის სუბიექტი); მისაღები გადაწყვეტილების ობიექტი (პორტფელი); რისკის სუბიექტის და პორტფელის გარემო (ბაზარი).

რისკის მართვის სისტემის ძირითადი ბლოკები ღიად ან დაფარულად ასრულებენ შემდეგ ფუნქციებს:

- რისკის სუბიექტის მიერ რისკის მიმართ გამოვლენილი არჩევანის უპირატესობის ინტერესთა შეთანხმების პრობლემის გადაწყვეტასთან დაკავშირებული **მართვის კრიტერიუმების აგება**, თუ ეს აუცილებელია;

- **პორტფელის დიაგნოსტიკა** (რისკის პარამეტრების ანალიზი) კონიუნქტურის რხევის და შესაბამისი ბანკების მონაცემთა გამოყენებით;

- მართვის კრიტერიუმების თვალსაზრისით ფინანსური ინჟინერიის გამოყენებით პორტფელის ოპტიმიზაცია ფინანსური ინსტრუმენტების სინთეზისათვის, რომლებიც საჭიროა სარისკო და სხვა პარამეტრების მართვისთვის.

რისკმენეჯმენტი გავლენას ახდენს ღირებულებაზე როგორც საფინანსო, ისე არასაფინანსო საწარმოებში. **ტაქტიკური რისკმენეჯმენტის** გამოყენებით შესაძლებელია შემცირდეს დაფინანსების ღირებულება. ეს ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების საშუალებით.

პირველი, ხანდახან მენეჯერები აკეთებენ *საპროცენტო განაკვეთების ბაზრისგან განსხვავებული ქვევის პროგნოზს*. მაგალითად, ისეთი წარმოებული საფინანსო ინსტრუმენტი, როგორიცაა სვოპები, ფასდება ბაზრის მიერ პროგნოზირებული საპროცენტო განაკვეთების საფუძველზე, რომლებიც აისახება შემოსავლიანობის მრუდზე. თუ მენეჯერები ახდენენ განაკვეთების სამომავლო მოძრაობის განსხვავებულ პროგნოზს ვიდრე ეს ჩადებულია სვოპის მიმდინარე საბაზრო ღირებულებაში, მათ შეუძლიათ ამაზე ითამაშონ.


მეორე, შესაძლებელია ღირებულების დაწვეა *სხვადასხვა ბაზარზე არბიტრაჟის* გზით. განვითარებულ დასავლეთის ბაზრებზე არბიტრაჟი წარმოადგენს ბაზრის სხვადასხვა სეგმენტის ასიმეტრიულ ან სხვა სახელმწიფო რეგულირების შედეგს.

*სავადასახადო რეჟიმის* განსხვავებულობა იძლევა სრულიად გასაგებ ეფექტს, რომელსაც განსაკუთრებული განმარტება არ სჭირდება. ხანდახან არბიტრაჟი დაკავშირებულია კონკრეტულ სასესო ბაზარზე შედევვის ბარიერთან. თუ ასეთი ბარიერი რეალურად არსებობს, მაშინ ფიქსირებული შემოსავლების მქონე ინსტრუმენტების შემოთავაზება ამ ბაზარზე შეზღუდულია, მათი ფასი იმ ფასზე მაღალია, რომელიც შეიძლება განსაზღვრული ყოფილიყო თავისუფალ ბაზარზე. შესაბამისად, ამ ფასიან ქაღალდებს მოაქვთ საბაზრო დონეზე შედევვის კუპონური შემოსავალი. იმ მოთამაშეებს, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ ბაზრის ამ სეგმენტებზე შედევვის საშუალება (მაგალითად, სახელმწიფო დაწესებულებები, მსოფლიო ბანკი, ტრანსნაციონალური კორპორაციები), შეუძლიათ მიმართონ არბიტრაჟს და ამგვარად შეამცირონ დაფინანსების ღირებულება.

დაფინანსების გაიაფება შეიძლება *ტრანსაქციური ხარჯების შემცირების* გზით. მაგალითად, სვოპები, რომლებიც არ საჭიროებენ კრედიტის ძირითადი თანხის გატანას, ეკონომიის გაწვევის საშუალებას იძლევიან მოთხოვნა-პოლოდების ფასებს შორის სხვაობის, ინფორმაციის მოძებნის, დანახარჯების ლიკვიდურობის და ა.შ. ხარჯზე. საერთაშორისო კომპანიებს შეუძლიათ ისევე კაპიტალი მათთვის შედარებით იაფ ბაზრებზე და სვოპების მეშვეობით მოახდინონ მათი ტანსფორმირება სინთეტიკურ კაპიტალად მათთვის საჭირო იმ ბაზარზე (საჭირო ვალუტაში), სადაც მათ არ გააჩნიათ უპირატესობა.

კორპორაციებს შეუძლიათ სცადონ დაფინანსების შემცირება „**ჰიბრიდული**“ **სახესო ვალდებულებების (hybrid debts)** გამოშვებით. მაგალითად, მსესხებლის აქციების შექმნაზე ჩადგმული ოფციონებით ობლიგაციები – **ვარანტები (warrant)**, რომლებიც ოფციონების პრემიის ხარჯზე გაიცემა ასეთი ობლიგაციების მყიდველებზე, ვალის მომსახურების ღირებულების შემცირების საშუალებას იძლევიან. სხვა მაგალითს წარმოადგენს ჩადგმული ოფციონი ისეთ ინსტრუმენტში, როგორიცაა **გამოხმობადი ობლიგაცია (callable bond)**. ფაქტობრივად, ეს არის ობლიგაცია მსესხებლის უფლებით, განსაზღვრულ მომენტში დაფროს ვალი (საპროცენტო ოფციონი „ფუო“).

რამდენადაც კომპანიის ღირებულება ასახავს დისკონტირებულ ფინანსურ ნაკადებს, ამდენად **სტრატეგიული რისკმენეჯმენტი** დაკავშირებულია ორ ძირითად მომენტთან: პირველი, ფირმის ღირებულების მგრობილებლობასთან დისკონტირების განაკვეთის ცვლილების მიმართ (პორტფელური რისკი), მეორე, პროგნოზირებული ფულადი ნაკადების მოცულობის ოპტიმიზაციასთან. თუმცა ცნობილი **მოდილიანი-მილერის თეორემის (Modigliani-Miller theorem)** მიხედვით, ფირმის ღირებულება არ არის დამოკიდებული კაპიტალის სტრუქტურაზე. ამიტომ, თუ რისკმენეჯმენტი თავის მიზნად აყენებს ფირმის ღირებულებაზე ზემოქმედებას, მან უნდა მოახდინოს ზემოქმედება ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა გადასახადები, ტრანსაქციური ხარჯები, სანევესტიციო გადაწყვეტილებები და ა.შ. (ნახ. 1). რისკმენეჯმენტი მოგების გაზრდის შევიწროების საშუალებას იძლევა.



რისკის მართვას შეუძლია გაზარდოს ფირმის ღირებულება საგადასახლო გადახდების და მასთან დაკავშირებული დანაკარგების შემცირების გზით. პირველი, ეს თეორიულად შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გადასახადების მოცულობის ფუნქცია ამოზნექილია. ასეთი დამოკიდებულება შეიძლება არსებობდეს დაბეგვრის პორგრესული სკალის, ან, მაგალითად, ისეთი საგადასახლო შეღავათების დროს, რომელიც დამოკიდებულია დასაბეგრი ბაზის მოცულობაზე ან სხვა მანევრებელზე (ბრუნვაზე და ა.შ.). ფაქტობრივად, ამოზნექილი დამოკიდებულება შეიძლება წარმოიშვას ზოგიერთი დაბეგვრის ბაზისთვის ალტერნატიული გადასახდის გამოყენების შესაძლებლობის დროს, მაგალითად, გადასახადი დროებით შემოსავალზე (პატენტი), საგადასახლო კრედიტი და ა.შ.

ფირმაში რისკმენეჯმენტის შემოღების შემდეგ მოგება გახდა სტაბილური წელიწადში 50 ათასი ლარის ფარგლებში, ხოლო გადასახადმა ორი წლის მანძილზე შეადგინა 22 ათასი ლარი, ე.ი. 22%, ანუ საშუალოდ 11 ათასი წელიწადში. რისკ-მენეჯმენტის ეფექტმა შესაძლებელი გახადა, გადასახადების გადახდა წელიწადში საშუალოდ 35 ათასით შემცირებულიყო.

მეორე, წინასწარ გადასახადების გადახდა იძლევა დროში მოგების არათანაბარი განაწილების პრობლემის (რომელიც დაკავშირებულია სააღრიცხვო პერიოდში დიდი ავანსური საგადასახადების გადახდების საშუალო მოგებასთან შეუსაბამობის გამო სარგებელის ხელიდან გაშვებასთან) ძალიან ეფექტურ გადაწყვეტას. მაგალითად, რისკმენეჯმენტის არქონის გამო ფირმამ პირველ კვარტალში მიიღო წლიური მოგების დიდი ნაწილი და ავანსად გადაიხადა მთელი წლისათვის საჭირო საგადასახლო გადასახადზე მეტი, ამგვარად ხელიდან გაუშვა საგადასახლო გადახდებზე გადადებული სახსრებიდან სარგებელი.

ამრიგად, საბაზრო რისკების შესწავლა და მათი მართვის მეთოდების შემუშავება მნიშვნელოვანია წარმატებული ეკონომიკური საქმიანობისათვის.

*Dali Magrakvelidze*

**THE MARKET RISKS AND IMPORTANCE OF THEIR MANAGEMENT**  
**Annotation**

The market risk is an opportunity of irrelevance of objects economical condition with those results, which are expected by market factors influence decision-makers.

Market risks are associated with the uncertainty of the market environment oscillations with price and foreign exchange (FX) risk, interest rate risk, liquidity, etc. Market risk classification is needed, as it allows clearly structure the problem and impact on analyses of the situation and choice of effective management.

Risk management affects the value of the non-financial as well as financial enterprises. Using tactical risk management it is possible to reduce the value of financing. This is accomplished through a variety of factors.

*მარინა მაისურაძე*

**საინვესტიციო ქონების აღიარების და შეფასების საკითხები**

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელსაც ფლობს მესაკუთრე ან მოიჯარე საიჯარო შემოსავლების მიღების ან კაპიტალის ღირებულების ზრდის მიზნით. საინვესტიციო ქონების საშუალებით ხდება საწარმოს ფულადი ნაკადების გამომუშავება სხვა აქტივებისაგან დამოუკიდებლად.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს) 40-ის მიხედვით, საინვესტიციო ქონება შეიძლება იყოს:

ა) მიწა, რომელსაც ფლობენ კაპიტალის გრძელვადიანი ზრდისათვის, და არა მიმდინარე საქმიანობის პროცესში მოკლე ვადაში გასაყიდად.

ბ) მიწა, რომელსაც ამჟამად ფლობენ, მაგრამ განუსაზღვრელია მისი სამომავლო გამოყენების წესი (იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოს ჯერ არ განუსაზღვრავს, გამოიყენოს თუ არა მიწა, როგორც მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება ან გაყიდოს ის მიმდინარე საქმიანობის პროცესში, ის მიიხსნება კაპიტალის გაზრდის მიზნით გამოყენებულ ქონებად);

გ) შენობა, რომელიც არის ანგარიშვალდებული საწარმოს საკუთრებაში (ან ფლობს ანგარიშვალდებული საწარმო ფინანსური იჯარით) და გაცემულია ერთი ან რამდენიმე ჩვეულებრივი იჯარის ხელშეკრულებით.

დ) თავისუფალი შენობა, რომელსაც ფლობენ მომავალში ერთი ან რამდენიმე კონტრაქტით, ჩვეულებრივი იჯარით გასაცემად.

ქონება წარმოადგენს საინვესტიციო ქონებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი გამოიყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, ან მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის.

**მაგალითად**, ნაგლის მწარმოებელი საწარმო ფლობს 3 სართულიან შენობას, რომლის საერთო ფართი 550 მ<sup>2</sup>-ია. აქედან ორი სართული გაცემულია აქვს იჯარით, ხოლო მესამე სართულზე 30 მ<sup>2</sup> თავად იყენებს საოფისად. რაც მთლიანი ფართობის 5.5%-ია.

ამ შემთხვევაში შენობა მთლიანად წარმოადგენს საინვესტიციო ქონებას, ვინაიდან საწარმო იყენებს მის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს.

**ალიარება.** საინვესტიციო ქონება ალიარდება აქტივად, როდესაც:

ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს ამ ქონებასთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს;

ბ) შესაძლებელია საინვესტიციო ქონების თვითღირებულების საიმედოდ შეფასება.

საწარმო ალიარების ამ პრინციპით აფასებს ყველა საინვესტიციო ქონებაზე დანახარჯებს მათი გაწევისთანავე. ეს დანახარჯები მოიცავს საინვესტიციო ქონების შექმნის თავდაპირველ დანახარჯებს და აღდგენისა და მოქმედებაში მოყვანის დანახარჯებს. ამასთან, საწარმო საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულებაში არ ალიარებს ასეთი აქტივის ყოველდღიური მომსახურების დანახარჯებს. ეს დანახარჯები გაწევისთანავე ალიარდება მოგებაში ან ზარალში. მას მიეკუთვნება ძირითადად ქონების „რემონტის და ექსპლუატაციის“ დანახარჯები.

**შეფასება.** ბასს 40-ის თანახმად, საწყის ეტაპზე ქონება უნდა შეფასდეს თვითღირებულებით. შექმნილი საინვესტიციო ქონების ღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს და პროფესიული იურიდიული მომსახურების ჰონორარს, თუ რა თქმა უნდა, ასეთს ექნა ადგილი, აგრეთვე გადასახადს ქონების გადაცემაზე და გარიგების სხვა ხარჯებს.

**მაგალითად**, 2015 წლის მარტში ორგანიზაციამ შეიძინა მიწის ნაკვეთი 23500 ლარად, ის ვარაუდობს, რომ სამი წლის შემდეგ, როდესაც იქ აშენდება სპორტული კომპლექსი, მიწის ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზრდება და შეიძლება გაიყიდოს რამდენჯერმე უფრო ძვირად. იურიდიულ გაფორმებაზე დაიხარჯა 1500 ლარი. ხარჯები მთლიანად იქნა ანაზღაურებული.

გამომდინარე იქიდან, რომ საწარმოს აქვს ვარაუდი, გაიყიდოს ის სამი წლის შემდეგ, როდესაც იქ ააშენებს სპორტულ კომპლექსს, ის მიიჩნევა კაპიტალის გაზრდის მიზნით გამოყენებულ ქონებად.

საინვესტიციო ქონების ღირებულება შეადგენს

მაჩვენებლები	თანხა
საინვესტიციო ქონების გარიგების თანხა (სახელშეკრულებო თანხა)	23 500
იურიდიული მომსახურების ღირებულება	1 500
საინვესტიციო ქონების ღირებულება	25 000

იმ შემთხვევაში, თუ მოხდა საინვესტიციო ქონების საფასურის გადახდის გადავადება გარკვეული დროით, მისი ღირებულება უტოლდება ნაღდი ფულით გადასახდელი ფასის ეკვივალენტს, სხვაობა ამ თანხასა და მთლიანად გადახდილ თანხას შორის უნდა ალიარდეს, როგორც კრედიტის პერიოდში გაწეული საპროცენტო ხარჯები.

საინვესტიციო ქონების საწყისი ფასი არ შეიძლება შეიცვალოს, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

საინვესტიციო ქონების რეკონსტრუქცია (მოდერნიზაცია, აღდგენა) და სხვა მსგავსი სამუშაოები;

სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად საინვესტიციო ქონების გადაფასება;

ბასს 40-ის თანახმად, საწარმომ, თავდაპირველი ალიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონების შესაფასებლად, საადრიცხო პოლიტიკის სახით, უნდა შეარჩიოს ან რეალური ღირებულების მოდელი ან თვითღირებულების მოდელი და ეს პოლიტიკა გამოიყენოს ყველა საინვესტიციო ქონებისათვის.

საწარმომ, რომელიც თავდაპირველი ალიარების შემდეგ აირჩევს თვითღირებულების მოდელს, მთელი თავისი საინვესტიციო ქონება უნდა შეაფასოს თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხით.

თუ საწარმო თავდაპირველი ალიარების შემდეგ აირჩევს რეალური ღირებულების მოდელს, ის რეალური ღირებულებით ასახავს მთელ თავის საინვესტიციო ქონებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება. ეს ხდება მაშინ, როდესაც შესადარისი საბაზრო გარიგებები იშვიათ ხასიათს ატარებს და რეალური ღირებულების დადგენა ალტერნატიული გზებით (მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირება) არ არის გამოსადეგი.

ასეთ შემთხვევაში საწარმომ საინვესტიციო ქონების ღირებულება უნდა შეაფასოს ბასს 16-ის თვითღირებულების მოდელის გამოყენებით. ამ დროს საინვესტიციო ქონების ნარჩენი ღირებულება მიიჩნევა ნულის ტოლად. საინვესტიციო ქონების რეალურმა ღირებულებამ უნდა ასახოს ბაზრის მდგომარეობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის. საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილებით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი უნდა მიეკუთვნოს საანგარიშგებო პერიოდის მოგებას ან ზარალს.

აქტივის მფლობელს, როდესაც ადგილი აქვს ცვლილებას ქონების გამოყენებაში, შეუძლია აქტივის გადატანა საინვესტიციო ქონების კატეგორიაში ან პირიქით:

ა) გაყიდვის მიზნით სრულყოფის დაწვებით, საინვესტიციო ქონებიდან სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების კატეგორიაში გადასაყვანად;

ბ) მესაკუთრის მიერ ქონების დაკავების დასრულებით, მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონებიდან საინვესტიციო ქონების კატეგორიაში გადასაყვანად;

გ) სხვა მხარეებთან ჩვეულებრივი იჯარის დაწვებით, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებიდან საინვესტიციო ქონების კატეგორიაში გადასაყვანად;

ბასს 40-ის თანახმად, როდესაც რეალური ღირებულებით ასახული ქონება გადაიქცევა მესაკუთრის მიერ დაკავებულ ქონებად ან სასაქონლო მატერიალურ ფასეულობად, ასეთ შემთხვევაში ბასს 16-ის და ბასს 2-ის შესაბამისად, ქონების ღირებულებად ითვლება მისი რეალური ღირებულება ქონების გამოყენებაში ცვლილების თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ბალანსის შედგენის თარიღისათვის საწარმომ უნდა განსაზღვროს ხომ არ არსებობს რაიმე მინიშნება საინვესტიციო ქონების გაუფასურების შესახებ. გაუფასურება აღირიცხება ბასს 36-ის შესაბამისად.

საინვესტიციო ქონების გაუფასურების ნიშნებია:

- საინვესტიციო ქონების მიმდინარე საბაზრო ღირებულების მნიშვნელოვანი შემცირება;
- საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ზრდა;
- საინვესტიციო ქონების ფიზიკური დაზიანება;
- იმ ეკონომიკური გარემოს მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელშიც ფუნქციონირებს საწარმო;
- საინვესტიციო ქონების გაუფასურების სხვა ნიშნები.

როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია მის აღდგენით ღირებულებაზე, აქტივი გაუფასურებულია.

აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ, რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი თანხით.

ბასს 36-ის თანახმად გამოყენების ღირებულების გამოთვლისას გაითვალისწინება:

ა) აქტივის უწყვეტი გამოყენებისა და მისი გასვლის შედეგად მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების შეფასება, და

ბ) მომავალი ფულადი ნაკადების მიმართ შესაბამისი დისკონტის განაკვეთის გამოყენება.

მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებები უნდა მოიცავდეს: ფულადი სახსრების მიღების პროგნოზს მისი უწყვეტი გამოყენების პირობებში და იმ ფულადი სახსრების გასვლის პროგნოზს, რომელთა გასვლა აუცილებელია

მოცემული აქტივის უწყვეტი გამოყენების შედეგად ფულადი ნაკადების შემოსვლისათვის.

მაგალითად, კომპანიის შემოსავალი შენობის გაქირავებიდან, რომელიც აღიარებული იყო საინვესტიციო ქონებად, 2015 წლის მარტში 30%-ით შემცირდა ამავე წლის წინა თვესთან შედარებით. ეს მიგვანიშნებს საინვესტიციო ქონების გაუფასურებაზე.

შენობის პირვანდელი ღირებულება (თვითღირებულება) შეადგენს 450 000 ლარს, დაგროვილი ამორტიზაცია 150 000 ლარს. საბალანსო ღირებულება 300 000 ლარს (450 000 – 150 000). შენობის მიმდინარე საბაზრო ღირებულება რეალიზაციის ხარჯების გამოკლებით შეადგენს 250 000 ლარს.

საინვესტიციო ქონების მოსალოდნელი ფულადი ნაკადები მომდევნო სამი წლის განმავლობაში შეადგენს 100 000 ლარს. საბაზრო საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 20%.

გამოუთვალთ შენობის იჯარიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება:

- 1 წელი –  $100\ 000 / (1 + 0.2) = 83\ 033$
  - 2 წელი –  $100\ 000 / (1 + 0.2)(1 + 0.2) = 69\ 444$
  - 3 წელი –  $100\ 000 / (1 + 0.2)(1 + 0.2)(1 + 0.2) = 57\ 870$
- სულ 210 647.

საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულებასა და მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას შორის უდიდესი წარმოადგენს ანაზღაურებად ღირებულებას. ჩვენს შემთხვევაში ანაზღაურებადი ღირებულება ტოლია 250 000 ლარის.  $250\ 000 > 210\ 647$ .

სხვაობა ანაზღაურებად ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის 50 000 ლარი (300 000 – 250 000 = 50 000) წარმოადგენს გაუფასურების ზარალს. რომელიც მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ბასს 17 იჯარა
2. ბასს 36 აქტივების გაუფასურება
3. ბასს 40 საინვესტიციო ქონება
4. [www.gb.by](http://www.gb.by)
5. [www.iasb.org/IFRS](http://www.iasb.org/IFRS)
6. [www.accountingreform.ru](http://www.accountingreform.ru)
7. [www.fasb.org](http://www.fasb.org)

ON PREPARATION AND PRESENTATION OF CONSOLIDATED FINANCIAL STATEMENTS  
Annotation

Consolidated Financial Statement is a financial statement to be submitted by a group of companies which are integrated as one economic unit.

When preparing the consolidated financial statement, an accountable company shall integrate the financial statements of the parent company and of its subsidiaries by clauses, with summarizing the analogical clauses of their assets, liabilities, own capital, incomes and expenditures.

The financial statements of the parent company and of its subsidiaries forming the consolidate financial statement, must be prepared for one and the same reporting period.

იოსებ მასურაშვილი

საუნივერსიტეტო ინოვაციური ბიზნესი ბანკითარებულ ძველმაშ

როგორც მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ასევე, საქართველოშიც ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებაა ინოვაციური ბიზნესი. ქვეყნის სტრატეგიული დოკუმენტის („საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020“) ერთ-ერთი ძირითადი საკვანძო საკითხია ინოვაციური ბიზნესის – ინოვაციებისა და ტექნოლოგიების, სამეცნიერო კვლევების კომერციალიზაციის – ორგანიზება, ხელშეწყობა და განვითარება.

აღნიშნული აქტუალობიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა ინოვაციური ბიზნესის ორგანიზების, დაფინანსების, მართვის საკითხები განვითარებულ ქვეყნებში.

აშშ-ში ინოვაციური ბიზნესის<sup>122</sup> ორგანიზებაში (სამეცნიერო კვლევების კომერციალიზაციაში), როგორც წესი, იგულისხმება არა უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო კვლევის შესრულება სახელმწიფოს ან ბიზნესის დაკვეთით, არამედ რამდენიმე შესაძლო შემდეგი ვარიანტი: ა) სამეცნიერო აღმოჩენების ბაზაზე და უნივერსიტეტების სამართლებრივი, ფინანსური და ორგანიზაციული მხარდაჭერით სპინ-ოფ კომპანიების შექმნა და შემდგომი წილობრივი მოგების მიღება მათი საქმიანობიდან (კომპანიების აქციებიდან შემოსავალი) ან მოგების მიღება კომპანიების გაყიდვიდან; ბ) საპატენტო მუშაობა და საპატენტო მხარდაჭერა პერსპექტიული სამეცნიერო მიღწევებისა და ამ პატენტზე ლიცენზიების გაყიდვიდან მოგების მიღება; გ) ორგანიზება მკვლევებისთვის სასწავლო პროგრამებისა და სემინარებისა სამართლებრივ და კომერციულ საქმიანობაზე, განსაკუთრებით კი მათი დატრენინგება – თუ როგორი ურთიერთობაა საჭირო პოტენციურ ვენჩურულ ინვესტორებსა და „ბიზნეს-ანგელოზებთან“.

1980 წლამდე სამეცნიერო კვლევების კომერციალიზაციის მიმართულებით საქმიანობა აშშ უნივერსიტეტებში პრაქტიკულად ნულს უტოლდებოდა. მიზეზი კი იმ პერიოდისთვის მოქმედი კანონმდებლობა იყო, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო ფონდებიდან კვლევითი პროექტების დაფინანსების შემთხვევაში საპატენტო უფლებები გამოგონებებზე ფედერალური მთავრობის ხელში რჩებოდა, ხოლო კერძო კომპანიებს კი შეეძლოთ მიეღოთ მხოლოდ არაექსკლუზიური ლიცენზია. ასეთი სიტუაცია განისაზღვრებოდა გასაგები ლოგიკით - რამდენადაც კვლევები ტარდება გადასახადის გადამხდლების ფულით, შესაბამისად, მიღებული შედეგები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის. აგრეთვე არსებითად გვევლინება ის ფაქტი, რომ საუნივერსიტეტო სამეცნიერო კვლევებს ჰქონდა და ამჟამადაც აქვს შემდეგი თავისებურებანი:

- დაპატენტება ხდება მთელი გამოგონებების მხოლოდ ნახევარზე ნაკლებს;
- როგორც წესი, ზოგადად დაპატენტებული გამოგონებები იმყოფება კონცეფციის სტადიაზე და შორს არის იმ პროდუქტივიდან, რომელთაც შეუძლიათ შემოსავლის მოტანა.

აშშ საპატენტო და სასაქონლო ნიშნების მართვის სტატისტიკის მიხედვით<sup>123</sup>, ლიცენზირებული ტექნოლოგიების მხოლოდ 12%-ია მზად კომერციული დანერგვისთვის ლიცენზირების მომენტში, ხოლო ლიცენზირებული აღმოჩენების 75%-ზე მეტს კი ლიცენზირების მომენტისთვის არ გააჩნია ლაბორატორიული ან სამრეწველო ანალოგები და თავის მხრივ წარმოადგენს მხოლოდ იდეას ან კონცეფციას. ამის შედეგად კი, იმისათვის, რომ საუნივერსიტეტო გამოგონება გახდეს ინოვაცია ან საბოლოო პროდუქტი, რომელიც მზად იქნება კომერციულ ბაზარზე გასასვლელად, აუცილებელია კიდევ დამატებითი ხარჯები და ერთობლივი მუშაობა გამოგონებლისა და ლიცენზიის მყიდველისა იმ პროცესის დასასრულებლად, რასაც ჰქვია – იდეის გარდაქმნა პროდუქტად.

ყოველივე ამ გარემოებებმა კი მოიტანა ის, რომ 1980 წლამდე მეცნიერები აშშ-ის უნივერსიტეტებიდან აქვეყნებდნენ დიდი რაოდენობის ნაშრომებს სამეცნიერო აღმოჩენების უკიდურესად დაბალი კომერციალიზაციის პროცენტით. მაგ., 1980 წ. აშშ მთავრობა გახდა დაახლოებით 2800 პატენტის მფლობელი და მხოლოდ ამ ლიცენზიების მცირე ნაწილი ეკუთვნოდა მზა კომერციულ პროდუქტებს. კერძო კომპანიებმა ვერ შეძლეს მიეღოთ ექსკლუზიური ლიცენზია, იძულებულნი იყვნენ გაეწიათ ხარჯები პროდუქტის შემდგომ დამუშავებასა და ბაზრის განვითარებაზე, მაშინ, როდესაც კონკურენტმა კომპანიებმა შეძლეს შეეძინათ ანალოგიური პროდუქტის ლიცენზია შემდგომი წარმოების და გაყიდვის უფლებით. ხოლო მთლიანად საზოგადოება ვერ იღებდა ინოვაციებისგან მოსალოდნელ შედეგებს ბაზარზე ახალი სასარგებლო პროდუქტის მასობრივი გამოჩენით.

<sup>122</sup> ტერმინი „ინოვაციური ბიზნესი“ სხვადასხვა ლიტერატურაში სხვადასხვა სახით გვხვდება – „კვლევების კომერციალიზაცია“, „ტექნოლოგიების კომერციალიზაცია“, „ინტელექტუალური კაპიტალის მართვა“, „ინტელექტუალური საკუთრებითი ურთიერთობების მართვა“, „მეცნიერების კომერციალიზაცია“, „ინოვაციური საქმიანობის ორგანიზაცია და მართვა“.

<sup>123</sup> www.uspto.gov

სიტუაციის უკეთესობისკენ შეცვლის მიზნით, აშშ კონგრესის მიერ განისაზღვრა ახალი პოლიტიკა, რომელმაც მიზნად დაისახა: ეკონომიკის განვითარების სტიმულირება, აშშ-ის კონკურენტუნარიანობის გაძლიერება ინოვაციების სფეროში, მხარდაჭერა სახელმწიფოს მიერ ახალი ტექნოლოგიების კომერციალიზაციისა, რომლებიც ვერ გარდაიქმნებოდა საბოლოო პროდუქტად ამ მხარდაჭერის გარეშე.

დასახული ამოცანების რეალიზაციის მიზნით მიღებული იქნა მთელი რიგი საკანონმდებლო და ნორმატიული დოკუმენტები, როგორცაა ბეია-დოულის კანონი (1980)<sup>124</sup>, სტივენსონ-ვალდერის კანონი „ტექნოლოგიურ ინოვაციებზე“ (1980)<sup>125</sup>, ფედერალური კანონი ტექნოლოგიების ტრანსფერზე (1986)<sup>126</sup>, ნაციონალური კანონი კონკურენტუნარიანობის შესახებ ტექნოლოგიების ტრანსფერის სფეროში (1989)<sup>127</sup> და სხვ.

საუნივერსიტეტო კვლევების კომერციალიზაციაში გარდევია აშშ-ში დაკავშირებული ამ დოკუმენტებიდან ყველაზე ცნობილ ბეია-დოულის კანონთან, რომელიც 1980 წელს გამოიშვა. ამ კანონის თანახმად, უნივერსიტეტი ხდება ინტელექტუალური საკუთრების მფლობელი გამოგონებაზე, რომელიც სახელმწიფო ფონდებიდან დაფინანსებული კვლევების შედეგს წარმოადგენს. ამასთან ერთად, უნივერსიტეტი ვალდებულია აგრეთვე გამოძიებოს შესაძლებლობა გამოგონების კომერციული დანერგვისთვის და წარმატების შემთხვევაში კომერციალიზაციიდან შემოსავლის ნაწილი გამოუყოს გამოგონებელს. აუცილებლობას წარმოადგენს აგრეთვე პირობა, რომ დამფინანსებელ სააგენტოს წარუდგინოს მოხსენებითი დოკუმენტაცია, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში სააგენტოს შეუძლია მოითხოვოს თავისთვის უფლება გამოგონებაზე.

ახალმა პოლიტიკამ მიადგია მნიშვნელოვანი შედეგები. თუ 1980 წლამდე აშშ ყველა უნივერსიტეტი იღებდა დაახლოებით 250 პატენტს წელიწადში, 2005 წლისთვის ამ ციფრმა უკვე მიადგია 3000 პატენტს წელიწადში, ხოლო იმ უნივერსიტეტების რაოდენობამ, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ტექნოლოგიების ტრანსფერების პროცესში, გაიზარდა 24-დან 200-მდე (და ამ უნივერსიტეტებს თავიანთი წარმომადგენლები ჰყავთ საუნივერსიტეტო ტექნოლოგიების მენეჯერების ასოციაციაში – Association of University Technology Managers)<sup>128</sup>. ამერიკული უნივერსიტეტების ინოვაციური გამოგონებების ლიცენზირების შედეგად 2000 წელს აშშ ეკონომიკამ მიიღო დამატებითი 40 მლრდ დოლარი და შეიქმნა 250000 ახალი სამუშაო ადგილი. მარტო 2005 წლის განმავლობაში ბაზარზე გამოიშვა 527 ახალი საქონელი, შეიქმნა 628 ახალი სპინ-ოფ კომპანიები (ხოლო 1980 წლიდან სულ შეიქმნა 5000-ზე მეტი), გამოშვებულ იქნა 5000-მდე ახალი ლიცენზია.

ამასთან, აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ (რამდენადაც გასაოცარი არ უნდა იყოს) დღევანდლამდე თავად პატენტის მიღების პროცესი უკიდურესად რთული და ნელი პროცედურაა. საპატენტო განაცხადს აშშ-ში აკეთებს გამოგონებელი. ყველა საპატენტო დოკუმენტის გაფორმება ღირს 5-დან 25000 დოლარამდე. მზა დოკუმენტები საპატენტო სამსახურის შესაბამის თანამშრომელთან ხვდება გამოგონებლის მიერ საპატენტო დოკუმენტაციის გაფორმების დაწყებიდან საშუალოდ 2 წლის შემდეგ. ხოლო პატენტის მიღების საშუალო დრო აშშ-ში არის 5 წელი. მიუხედავად იმისა, რომ აშშ არის ერთ-ერთი მსოფლიო ლიდერი ინოვაციების სფეროში, ეს საქმიანობა დღემდე წამგებიანია და სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოების დოტაციაზე უამრავ მხარდამჭერ პროგრამებსა და ფონდებთან ერთად. ამის არაპირდაპირი მაგალითია აშშ ფედერალური კანონი, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ თავიანთი კვლევითი ბიუჯეტის არანაკლებ 2,5% სააგენტოებმა უნდა გამოიყონ „მცირე ბიზნესის“ საწარმოებისთვის, ხოლო თავად მცირე ბიზნესის ცალკეული საწარმოები კი კანონის მიერ მკვეთრად არის აღწერილი. აშშ-ში არსებობს მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია იმ ტექნოლოგიების მხარდასაჭერად, რომლებიც მცირე კომპანიებში მუშავდება და რომელშიც კერძო ინვესტორები არ რისკავენ, დააბანდონ თავიანთი კაპიტალი. დასახული ამოცანების რეალიზებაში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ პროგრამას წარმოადგენს ჯერ კიდევ 1982 წელს ამოქმედებული ინოვაციური კვლევების მცირე ბიზნესის კვლევების პროგრამა (Small Business Innovation Research Program, SBIR). ამ პროგრამის მთავარი ამოცანაა ტექნოლოგიური ინოვაციების სტიმულირება და მცირე ბიზნესის ორიენტირება იმ კვლევითი სამუშაოების შესრულებაზე, რომლებიც ფედერალურ მთავრობას აინტერესებს. ამჟამად, ეს პროგრამა ყოველწლიურად ხარჯავს 2 მლრდ დოლარზე მეტს 5000-ზე მეტი სხვადასხვა გრანტის გამოყოფით, რომელსაც იღებს 3000 ფირმა.

აშშ-ში არსებობს აგრეთვე ტექნოლოგიების ტრანსფერის მცირე ბიზნესის პროგრამა (Small Business Technology Transfer, STTR)<sup>129</sup>. ეს პროგრამა მიმართულია უნივერსიტეტებისა და მცირე ბიზნესის თანამშრომლობის განვითარებაზე ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების სფეროში.

ხარჯები აქვთ აგრეთვე უნივერსიტეტებს – მაგ., საპატენტო დანახარჯები, ტექნოლოგიების ტრანსფერისა და ბიზნესინკუბატორების ოფისების ორგანიზებაში, სტარტ-აპ და სპინ-ოფ კომპანიების ორგანიზებაში, სასწავლო პროგრამებზე, რომლითაც მეცნიერებს ბიზნესის საფუძვლებს შეასწავლიან და ბევრი სხვა. ეს ხარჯები მრავალჯერადად აღემატება იმ თანხას, რომელიც უბრუნდება თავად უნივერსიტეტებს და გამოგონებლებს.

უნივერსიტეტების მიახლოებითი შემოსავლები ყველა სახის სამეცნიერო კვლევის კომერციალიზაციიდან შეადგენს ე.წ. „კვლევითი“ ბიუჯეტის საშუალოდ 5-10%-ს, რომელშიც აკუმულირებულია გრანტები, შეკვეთილი სამეცნიერო კვლევები, ხელშეკრულებითი სამუშაოები ფედერალური სააგენტოებისა და კერძო კომპანიებისგან. აშშ-ს ყველაზე წარმატებულ უნივერსიტეტებში, მაგ., კალიფორნიაში სტენფორდის უნივერსიტეტში<sup>130</sup> კვლევითი ბიუჯეტი შეიძლება იყოს 1 მლრდ დოლარი წელიწადში. უნივერსიტეტის პროფესორთა გამოგონებების ბაზაზე წარმატებული დანერგვის და წინსვლის შემთხვევაში ტექნოლოგიების ტრანსფერის ოფისი ამერიკულ უნივერსიტეტში თვითგამოსყიდვის დონეს საშუალოდ 15 წელზე ადრე ვერ აღწევს.

<sup>124</sup> [http://en.wikipedia.org/wiki/Bayh%E2%80%93Dole\\_Act#History](http://en.wikipedia.org/wiki/Bayh%E2%80%93Dole_Act#History)

<sup>125</sup> [http://en.wikipedia.org/wiki/Stevenson-Wydler\\_Technology\\_Innovation\\_Act\\_of\\_1980](http://en.wikipedia.org/wiki/Stevenson-Wydler_Technology_Innovation_Act_of_1980)

<sup>126</sup> [http://en.wikipedia.org/wiki/Federal\\_Technology\\_Transfer\\_Act\\_of\\_1986](http://en.wikipedia.org/wiki/Federal_Technology_Transfer_Act_of_1986)

<sup>127</sup> <http://kie.georgetown.edu/nrcbl/documents/dnpatents/HGPPatDNACH6.pdf>

<sup>128</sup> [www.autm.net](http://www.autm.net)

<sup>129</sup> [www.sba.gov](http://www.sba.gov)

<sup>130</sup> <https://doresearch.stanford.edu/>



არის შემთხვევები, რომ მოულოდნელად ჩნდება დიდი შემოსავლები პერსპექტიულ ტექნოლოგიებზე ლიცენზიების გაყიდვიდან ან შემოსავლები მიზანსწრაფულად განვითარებადი საუნივერსიტეტო სპინ-ოფ კომპანიების აქციებიდან. ასეთ სიტუაციაში თავად ამერიკელები ხმარობენ ბეისბოლის ტერმინს და ეხახიან ამ ვითარებას "home run", რაც არაზუსტი თარგმანით ნიშნავს „ჯეკ-პოტს“. ამის ნათელი მაგალითია „გუგლი Google“ - სტენფორდის უნივერსიტეტის სპინ-ოფ კომპანია, რომელმაც თავის დედა უნივერსიტეტს სოლიდური შემოსავლები მოუტანა. ასეთი სიტუაციები დიდი იშვიათობაა და როგორც წესი, ეს სიხარული მუდმივი არ არის გრძელვადიან პერიოდში, რამდენადაც ახალ პერსპექტიულ ტექნოლოგიებზე ლიცენზიების ხელსაყრელი გაყიდვებიდან შემოსავლების შემოდინება არაუმეტეს ორი წლის განმავლობაში გრძელდება, შემდეგ ტექნოლოგია უკვე ძველდება (თუ, რა თქმა უნდა, თქვენ რაიმე ფუნდამენტურს არ დააპატენტებთ).

რაც შეეხება აშშ-ის უნივერსიტეტებისა და ბიზნესკომპანიების თანამშრომლობას, ამ მიმართულებით პრიორიტეტულ ამოცანებს შორის არის არა უბრალოდ პარტნიორობის რიცხოვნობის ზრდა ან ბიზნესკომპანიებთან და თავად უნივერსიტეტებში ერთობლივი კვლევების შესრულება მეცნიერებისა და ტექნოლოგიების აქტუალური მიმართულებით, არამედ სტრატეგიული აღიანსების შექმნა უნივერსიტეტებსა და კორპორაციებს შორის.

თუ როგორ ხდება ინოვაციური ბიზნესის დაფინანსება სხვადასხვა განვითარებულ ქვეყანაში, მოცემულია ცხრილ 1-ში.

**ცხრილი 1**

**ინოვაციური ბიზნესის დაფინანსება სხვადასხვა ქვეყანაში**

ქვეყანა	დაფინანსების უზრუნველყოფა	გადაწვევტილების მიღების საშუალებები
ევროკავშირი, აშშ	მცირე და საშუალო ინოვაციური ბიზნესის მხარდაჭერა მსხვილი ფირმების გაფლენის შეზღუდვით, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის გამკაცრების გზით	
ევროკავშირი, აშშ, იაპონია, სამხრეთ კორეა	ეროვნული ბრუნდების განვითარების პროგრამა	
აშშ, იტალია, ბელგია, ინგლისი, შვეცია, კანადა	სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმის სრულყოფა	სახელმწიფო დაკრედიტება და გრანტები; საბანკო კრედიტების მისაღებად სახელმწიფო გარანტიები. სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პროდუქტის სკსსს-ზე სახელმწიფო შეკვეთის განთავსება, სამეცნიერო კვლევებში წილობრივი მონაწილეობა (50%-მდე); საგადასახადო შეღავათები; დაჩქარებული ამორტიზაცია; ექსპორტი-იმპორტის კვრტები ეროვნული მეცნიერებატევეადი პროდუქტის მხარდაჭერისთვის; გადასახადების გადაფარვა საკუთარ სკსსს-ში ინვესტირების შემთხვევაში; პატენტების მხარდაჭერისათვის დანახარჯების სახელმწიფო დაფინანსება და მათი დაცვის უზრუნველყოფა შედეგების საბიუჯეტო დაფინანსებისას (სკსსს-ის დირექტივების დახსლოებით 10% იხარჯება პატენტების დაცვაზე).
შვეცია, კანადა	კერძო ინვესტიციების სტიმულირება	-საპატენტო ვენჩურული კომპანიების შექმნა, რომლებიც წარმოადგენენ პოლიტიკური კომპანიების ფილიალებს; -ორმაგი საგადასახადო დაბეგვრის არარსებობა.
ევროკავშირი, აშშ	სამეცნიერო კვლევების საგადასახადო დაბეგვრის პირობების გაუმჯობესება	ინვესტორთა მოძიებისათვის კვლევების სტრუქტურის შესახებ ანგარიშის შედეგანაში სახელმწიფოს მიერ პრაქტიკული დახმარება და კონსულტაციები
ევროკავშირი, აშშ, იაპონია	ეროვნული საწარმოო ინოვაციების მხარდაჭერა	სკსსს-ზე მატერიალური დანახარჯების თანამედროვე საშუალებების დანერგვა (მომავალი ბაზრის დაცვა, უცხოელი მეცნიერების მოზიდვა, რომელთაც გააჩნიათ ცოდნა შექმნილ ინტელექტუალურ პროდუქტზე, სავაჭრო ნიშნების დაცვა ადრეულ სტადიაზე).
ევროკავშირი, აშშ	კომერციალიზაციის მაღალრენტაბელური შედეგების შერჩევა	სახელმწიფო სკსსს-ის აკადემიურ კვლევებსა და ბიზნესს შორის ინოვაციური შუამავლების მექანიზმების განვითარება და მხარდაჭერა (რეგიონული ცენტრების და ტექნოლოგიების კომერციალიზაციის საუნივერსიტეტო ოფისების სახით).

შეიძლება გასაოცარია, მაგრამ, მაგალითად, პრაგმატულ ამერიკაში ყურადღება ექცევა არა რენტაბელობას, არამედ სოციალურ სარგებელს, რომ დაეხმარონ რაც შეიძლება მეტ ახალ ცოდნას და ტექნოლოგიებს წინსვლაში, რათა მკაცრი საბაზრო კონკურენციის პირობებში გახდნენ ადამიანებისათვის სასარგებლო და ადვილად მიღწევადი.

საუნივერსიტეტო ცოდნისა და ტექნოლოგიების ტრანსფერის მხარდაჭერის შედეგია აგრეთვე ახალი საშუალო ადგილები, საქონლისა და მომსახურების წარმოების ოპტიმიზება, ახალი მაღალტექნოლოგიური მოწყობილობები, მეცნიერებისა და ბიზნესის სწავლისადმი ახალგაზრდების სტიმულირება, ადამიანების ცხოვრების დონის გაუმჯობესება. ჩამოთვლილი ფაქტორები პროგრესისთვის აუცილებელი შემადგენელია და მათი ღირებულება ყოველთვის არ ექვემდებარება მშრად ფინანსურ გამოთვლებს.

თუკი ჩვენს ქვეყანას პრეტენზია აქვს, იყოს ცივილიზებული სახელმწიფო, ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს განვითარების ნებისმიერ დონეზე.

UNIVERSITY INNOVATIVE BUSINESSES IN DEVELOPED COUNTRIES  
Annotation

As well as in developed countries, also in Georgia, the priority areas for economic development is an innovative business. One of the key issues in our country strategy paper for innovative business - the commercialization of scientific research, innovation and technology - organization, promotion and development. The university is the result of knowledge and technology transfer as well as support for new jobs, to optimize the production of goods and services, a new high-tech equipment, science and business to stimulate the learning of young people, improving people's living standards. If the country claims to be a civilized state, are listed here with a sense of development at all levels.

დეზღემონა მაღლაკელიძე  
ნათელა ვაშაკიძე

სავალუტო ოპერაციების აღრიცხვის თავისებურებები

საწარმოებს, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისას, წარმოექმნებათ უცხოური ვალუტის გამოყენების აუცილებლობა და ოპერაციების უცხოურ ვალუტაში წარმოება.

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაცია ისეთი ოპერაციაა, რომელიც განსაზღვრულია უცხოურ სავალუტო ერთეულებში ან მოითხოვს ანგარიშსწორებას უცხოური ვალუტით. ასეთი ტიპის ოპერაციები წარმოიშობა მაშინ, როდესაც:

- საწარმო ყიდულობს ან ყიდის უცხოური ვალუტით შეფასებულ საქონელსა და მომსახურებას;
- საწარმო იღებს ან გაცემს სესხს და მისაღები ან გადასახდელი თანხები განსაზღვრულია უცხოურ სავალუტო ერთეულში;
- საწარმო მონაწილეობს საგარეო გაცვლით ხელშეკრულებაში;
- საწარმო იძენს ან ყიდის აქტივებს უცხოური ვალუტით, იღებს ან ფარავს უცხოური ვალუტით შეფასებულ ვალდებულებებს.

ბასს-ით (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი) უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველად უნდა აისახოს საანგარიშგებო ვალუტით ოპერაციების შესრულების დღისათვის საანგარიშგებო ვალუტაში და მოცემულ უცხოურ ვალუტას შორის დაფიქსირებული გასაცვლელი სავალუტო კურსის მიხედვით. საქართველოს საწარმოებისათვის ღარი საანგარიშგებო ვალუტაა, რომელიც გამოიყენება ფინანსური ანგარიშგების წარდგენისათვის. მას სამუშაო ვალუტას უწოდებენ. ბასს-თ საანგარიშგებო ვალუტა შეიცვალა ორი ცნებით:

- შესაფასებელი (სამუშაო) ვალუტა;
- წარსადგენი ვალუტა.

შესაფასებელი (სამუშაო) ვალუტა - აღნიშნავს ვალუტას, რომელშიც აისახება ფინანსური ანგარიშგების მუხლები.

წარსადგენი ვალუტა აღნიშნავს ვალუტას, რომელიც გამოიყენება საწარმოს ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად. საწარმოებს ნება ეძლევათ, ფინანსური ანგარიშგება წარადგინონ ნებისმიერი ვალუტით.

უცხოური ვალუტა ყველა სხვა ვალუტაა, რომელიც არ წარმოადგენს საანგარიშგებო ვალუტას. უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციების აღრიცხვის სწორად ორგანიზება გულისხმობს:

- უცხოური ვალუტით ასახული თანხების შეფასებას სამუშაო ვალუტაში (ღარი) ოპერაციის თარიღის სპოტ სავალუტო კურსით;
- სავალუტო კურსის დადგენას გადაანგარიშების მიხედვისათვის;
- ვალუტის კურსის ცვლილების შედეგების აღიარება-ასახვას.

თანაფარდობა, რომელიც ყალიბდება ორი ვალუტის ერთმანეთზე გაცვლის პროცესში, გასაცვლელი სავალუტო კურსი ან მარტივად, ვალუტის კურსი ეწოდება. ვალუტის კურსის დადგენას ვალუტის კოტირება ეწოდება. პრაქტიკაში გამოიყენება უცხოური ვალუტის შემდეგი ჯგუფები:

• თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა, რომელიც შეზღუდვის გარეშე თავისუფლად იცვლება ნებისმიერ უცხოურ ვალუტაზე. იგი მტკიცე ვალუტაა, როგორცაა: აშშ დოლარი, ევრო, იაპონური იენი, ინგლისური ფუნტი სტერლინგი და ა. შ.

• ნაწილობრივ კონვერტირებადი ვალუტა, რომლის გაცვლა შეიძლება მხოლოდ ზოგიერთი ქვეყნის ვალუტაზე. მაგალითად ავსტრალიის დოლარი, ჩინეთის იუანი და სხვა.

• არაკონვერტირებადი ვალუტა, რომელიც მიმოქცევაშია მხოლოდ მოცემული ქვეყნის ფარგლებში. მაგალითად ღარი.

საწარმო, რომელიც ახორციელებს საგარეო ეკონომიკურ საქმიანობას სავალუტო ანგარიშს ხსნის ნებისმიერ ბანკში, რომელსაც აქვს ეროვნული ბანკის ლიცენზია სავალუტო ოპერაციების წარმოებაზე. ბანკი ანგარიშებს ხსნის უცხოური ვალუტის სახეების მიხედვით. სავალუტო ანგარიშის გახსნის მიზნით ბანკში საწარმომ უნდა წარადგინოს სათანადო დოკუმენტები. მხარეთა შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც დაფიქსირებულია ორმხრივი უფლებები და მოვალეობები. ნაღდი სავალუტო ოპერაციების საწარმოებლად საწარმო ბანკიდან იძენს საჩუქრულ ვიზას.

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციების შეფასება ხდება სავალუტო კურსით. არსებობს ვალუტის შემდეგი კურსები:

- ვალუტის ოფიციალური კურსი, რომელიც განსაზღვრება საქართველოში ეროვნული ბანკის მიერ.

- ვალუტის თავისუფალი კურსი - რომელიც წარმოიქმნება სავალუტო ბაზარზე.

ბასს-ის თანახმად, უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები საანგარიშგებო ვალუტაში უნდა აისახოს ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სპოტ სავალუტო კურსით. პრაქტიკაში ხშირად იყენებენ მიახლოებით სავალუტო კურსსაც, მაგალითად, კვირის ან თვის საშუალო გასაცვლელ კურსს. თუ სავალუტო კურსი ძალიან მერყევია, საშუალო კურსის გამოყენება არ არის მიზანშეწონილი.

უცხოური ვალუტით წარმოებულ ოპერაციების პირობებში საწარმომ ბალანსის შედგენის თარიღისათვის უნდა გადაინაგარიშოს:

- უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი საბალანსო მუხლები-საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით;

- არაფულადი საბალანსო მუხლები, რომლებიც ასახულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, წარდგენილი უნდა იქნეს ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

ამრიგად, საწარმოებს აქვთ უფლება, გარიგებები აწარმოონ სხვადასხვა ვალუტით, ინფორმაციის განზოგადების მიზნით, ბუღალტრულ აღრიცხვაში ამგვარი ოპერაციები უნდა აისახოს ეროვნულ ვალუტაში, ოპერაციის მოხდენისას მოქმედი კურსით. უცხოური ვალუტის გაანგარიშება ლარებში წარმოებს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. მსგავსი ოპერაციები წარმოშობს რიგ პრობლემებს, რაც დაკავშირებულია ფინანსურ ანგარიშგებაში მათ ასახვასთან, როგორცაა: უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ფინანსური შედეგების აღრიცხვა, გამოსაყენებელი სავალუტო კურსის დადგენა და სხვა.

სავალუტო ოპერაციების აღრიცხვისას გამოყენებული უნდა იქნეს ბასს 21 „უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგები“, რომლის თანახმად საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიქმნება ფულადი მუხლების განადგობის ან მათი გადაანგარიშების დროს, უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც იგი წარმოიქმნება.

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციების აღსარიცხვად ამჟამად მოქმედი ანგარიშთა გეგმით გამოყენებულია ანგარიშები:

- 1220 „უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში“,
- 1230 „უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში“.

ეს ანგარიშები აქტიური ანგარიშებია. დებეტში ჩაიწერება უცხოური ვალუტით გამოსახული ფულადი საშუალებების მიღება, ჩარიცხვა, ხოლო კრედიტში - გაცემა, გადარიცხვა. აღნიშნულ ანგარიშებზე ოპერაციების წარმოების წესი რეგულირდება ეროვნული ბანკის მიერ. ამ ანგარიშების მეშვეობით ხორციელდება როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ოპერაციები.

საწარმოს ბუღალტრულ აღრიცხვაში სავალუტო ოპერაციები აისახება ბანკიდან მიღებული სავალუტო ანგარიშების ამონაწერებისა და თანდართული ფულად-საანგარიშსწორებო დოკუმენტების საფუძველზე. ასეთი დოკუმენტებია: სავალუტო შემოსავლის ორდერი და სავალუტო გასავლის ორდერი.

ანგარიშები 1220 „უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში“ და 1230 „უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში“ თავისი დებეტით შეიძლება დაუკავშირდეს შემდეგი ანგარიშების კრედიტს:

- სავალუტო ანგარიშებზე ნაღდი ფულის უცხოურ ვალუტაში შეტანისას:
- დ - 1220 „უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში“
- დ - 1230 „უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში“
- კ - 1120 „ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში“.
- ანგარიშსწორების ანგარიშიდან ეროვნული ვალუტის კონვერტაციისა და უცხოურ ვალუტაში გადევანისას:

- დ - 1220 „უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში“
- დ - 1230 „უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში“
- კ - 1210 „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“
- ინვესტირებული თანხების უცხოური ვალუტით დაფარვისას:
- დ - 1220 „უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში“
- დ - 1230 „უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში“
- კ - 1310 „მოკლევადიანი ინვესტიციები საწარმოს ფასიან ქაღალდებში“
- კ - 1320 „მოკლევადიანი ინვესტიციები სახელმწიფოს ფასიან ქაღალდებში“
- კ - 1330 „გრძელვადიანი ინვესტიციების მიმდინარე ნაწილი“
- კ - 1390 „სხვა მოკლევადიანი ინვესტიციები“.

• მყიდველების დებიტორული დავალიანებებით წარმოქმნილი მოთხოვნების უცხოური ვალუტით გადახდისას:

- დ - 1220 „უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში“
- დ - 1230 „უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში“
- კ - 1410 „მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან“ და ა.შ.

ანგარიშები 1220 „უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში“ და 1230 „უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში“ თავისი კრედიტით შეიძლება დაუკავშირდეს შემდეგი ანგარიშების დებეტს:

- სავალუტო ანგარიშებიდან ნაღდი ფულის უცხოურ ვალუტაში გამოტანისას:
- დ - 1120 „ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში“.
- კ - 1220 „უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში“

- კ - 1230 „უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში“
    - სავალუტო ანგარიშიდან უცხოური ვალუტის კონვერტაციისა და ეროვნული ვალუტის ანგარიშსწორების ანგარიშზე ჩარიცხვისას:
    - დ - 1210 „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“
    - კ - 1220 „უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში“
    - კ - 1230 „უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში“
      - სასაქონლო-მატერიალური მარაგის შექმნისას:
      - დ - 1610 „საქონელი“
      - დ - 1620 „ნედლეული და მასალები“
      - დ - 1690 „სხვა საწარმოო მარაგი“
    - კ - 1220 „უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში“
    - კ - 1230 „უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში“
      - მომწოდებლების ვალდებულებების გასტუმრებისას:
      - დ - 3110 „ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან“
    - კ - 1220 „უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში“
    - კ - 1230 „უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში“ და ა. შ.
- ამრიგად, სავალუტო ანგარიშების, აგრეთვე უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფასიანი ქაღალდების, მოთხოვნების და ვალდებულებების დავალიანებების ნაშთების გადაანგარიშებას საწარმო ახდენს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ე.ი. 31 დეკემბერს დაფიქსირებული ვალუტის გაცვლითი კურსით და შესაბამისად განისაზღვრება მათი საბალანსო ღირებულება. უცხოური ვალუტით შექმნილი დანარჩენი ქონება, რომელიც ასახულია ბუღალტრულ აღრიცხვაში პირვანდელი ღირებულებით, აგრეთვე პასივები (გარდა კრედიტორული დავალიანებებისა), გადაანგარიშებას არ ექვემდებარება.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. ნ. კვატაშიძე, ა. ხორავა, ზ. გოგრიძიანი. ფინანსური აღრიცხვა (მე2 დონე). თბილისი. მერკიანი, 2009.
2. ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები. დოკუმენტები 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ნაწ. 1.
3. ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები. დოკუმენტები 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ნაწ. 2.
4. ელიავა შ. პრაქტიკული ბუღალტერია, მეორე გამამუშავებული გამოცემა.

*Dezdemona Maglakelidze  
NatelaVashakidze*

**CURRENCY OPERATIONS MANAGEMENT PARTICULARITIES  
Annotation**

Upon implementation of the foreign economic activity the enterprises face requirements of using foreign currency and managing operation in foreign currency. Foreign currency operations made on the basis of IAS should be initially reflected as per exchange currency rate between the national and foreign currency on the calculating day. For Georgian enterprises Georgian Lari is a calculating currency which is used for producing financial accounts. It's called as working currency as well.

Operations managed by foreign currency should be reflected by spot currency rate on the day of operation. In the practice it's often used approximate currency rate, for example the rate of Sunday or average exchange rate of the month. If the currency rate is very unstable using of average rate isn't advisable.

Within the terms of operations managed by foreign currency, the enterprise should calculate the following on the day of drafting the balance: monetary balance articles evaluated by foreign currency- by using final currency rate; non-monetary balance articles, reflected in foreign currency, by using method of the basic cost should be presented by the currency rate on the day of operation .

Therefore, the enterprises are eligible to make deals in different currency; for the purpose of generalization of information, similar operations in the accounting should be reflected in national currency according to the rate on the day of operation. Calculation of the foreign currency in GEL is made according to exchange rate established by the National Bank. Similar operations make some problems connected with their reflecting in the financial statement as are: calculation of financial reports caused by changes of the foreign currency rate, determination of applicable currency rate etc.

*მერაბ მიქელაშვილი*


**საგადასახადო შეღავათების ზომიერობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტის შესახებ**

საგადასახადო შეღავათები საგადასახადო დაბეგვის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია, რომელიც უდიდესი მარეგულირებელი ეფექტის მატარებელია. საგადასახადო შეღავათებში, როგორც წესი, იკულისხმება საგადასახადო განაკვეთებისა და საგადასახადო ბაზის შემცირება ეკონომიკური აგენტებისათვის. ასეთი შეღავათები ხშირად გამოიყენება გარკვეული სოციალური ამოცანების გადასაწყვეტად, ეკონომიკური აქტივობების განსაზღვრული სახეობების სტიმულირებისათვის, ეკონომიკური ზრდასათვის და ა.შ. განვითარებული ქვეყნები ხშირად იყენებენ ფინანსურ შეღავათებს (გრანტები, სუბსიდიები კრედიტებზე, საკრედიტო გარანტიები), თუმ-

ცა, გავრცელებული აზრით, ასეთი შედეგები „ფიტავს“ ბიუჯეტს, რის გამოც განვითარებადი ქვეყნების მთავრობები არცთუ ისე ხშირად სთავაზობენ ასეთ პირობებს უცხოელ ინვესტორებს და ამ მიმართებით უპირატესობას ანიჭებენ საგადასახადო შედეგებს, რომელიც არ მოითხოვს სახელისუფლებო ფონდების ავანსად გამოყენებას.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედი საგადასახადო შედეგების საერთო რაოდენობა ორ ათეულზე მეტია, ტრანზიტული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ეკონომიკის სტიმულირების და უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად გამოიყენება ისეთი ინსტრუმენტები, როგორცაა საგადასახადო არდადეგები, თავისუფალი მეწარმეობის განსაკუთრებული ზონები და შედეგები, რომლებიც დაკავშირებულია რეინვესტირებასთან.

საგადასახადო შედეგების კლასიფიკაცია დადგენილია მსოფლიო ბანკის და UNCTAD (გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია) მიერ. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება საგადასახადო შედეგების გამოყენების საქმეში აჩვენებს, რომ განვითარებული ქვეყნები შედეგების მრავალფეროვან ფორმებს იყენებენ, მაშინ როცა განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა საგადასახადო არდადეგებსა და საგადასახადო განაცხადების შემცირებას ანიჭებს უპირატესობას.



ნახ. 1. საგადასახადო შედეგების სახეები

უცხოური გამოცდილების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ვისაუბროთ პირდაპირ და ირიბ საგადასახადო სტიმულირებაზე. პირდაპირი საგადასახადო შედეგები უშუალოდ უკავშირდება კორპორაციულ გადასახადს მოგებაზე და მის რეგულაციას, ხოლო ირიბი სტიმულირება მიმართულია ექსპორტზე ორიენტირებული დარგებისთვის არაპირდაპირ გადასახადებზე (იმპორტის გადასახადი, აქციზი, დღე) მთლიანი ან ნაწილობრივი შედეგების დაწესებაზე. აუცილებელია აღინიშნოს, რომ საგადასახადო სტიმულირება მთლიანობაში მიმართულია საგადასახადო ბარიერების შემცირებისკენ, განსაკუთრებით უცხოური კომპანიებისთვის პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირების მიზნით. აქვე უნდა გაეხსენებინათ, რომ მეცნიერება ფინანსირების შესახებ ემხრობა საგადასახადო შედეგების მინიმუმაციას, რადგან ისინი ამახინჯებენ კონკურენტულ საბაზრო გარემოს.

საგადასახადო შედეგები ნებისმიერი სახელმწიფოს საგადასახადო სისტემის განუყოფელი ნაწილია, რომელიც გულისხმობს გარკვეული კატეგორიის გადასახადის გადამხდელთათვის უპირატესობის მინიჭებას.

თანამედროვე ეტაპზე საგადასახადო შეღავათები ცხარე დისკუსიების საგანი. ერთი მხრივ, ის წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის რეგულირების ბერკეტს, რომელიც გვეხმარება ცალკეული სოციალურ-ეკონომიკური საკითხის გადაწყვეტაში, ხოლო მეორე მხრივ, საგადასახადო შეღავათები არღვევს სამართლიანობის პრინციპს, რადგან ბიუჯეტის დეფიციტის პირობებში დამატებით ტვირთად აწევს ამ შეღავათების მიღმა დარჩენილ გადასახადის გადამხდელებს.

ამასთან, საგადასახადო შეღავათები საგადასახადო სისტემას მოქნილობას ანიჭებს თუ, იმავდროულად, ართულებს გადასახადის ადმინისტრირების ტექნოლოგიას და საგადასახადო კანონმდებლობის შესრულებაზე კონტროლს რთულ ამოცანად აქცევს. არსებული შეღავათების ნაკლოვანებები თავმოყრილია არა კატეგორია „შეღავათებში“, არამედ იმაში, რომ პრაქტიკულად არ არსებობს მათი მინიჭებისადმი მეცნიერული მიდგომა. საგადასახადო შეღავათების სისტემის შემუშავების დროს აუცილებელია ბალანსის დაცვა გადასახადების ფისკალურ და მასტიმულირებელ ფუნქციებს შორის. გადასახადის გადამხდელზე ზემოქმედება კონკრეტული შედეგის მიღწევის მიზნით არ შეიძლება იყოს გადასახადის მთავარი მიზანი და თუ რომელიმე გადასახადი იწვევს მარეგულირებელი ფუნქციის შესრულებას და არ გააჩნია ფისკალური მიზნები, მაშინ ის აღარ წარმოადგენს გადასახადს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ამიტომ, საგადასახადო შეღავათების ეფექტურობა უნდა ეყრდნობოდეს ბიუჯეტის შევსების პოტენციურ შესაძლებლობას, როგორც ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდის შედეგს. ფისკალური და მასტიმულირებელი ფუნქციების გარდა, საგადასახადო შეღავათები ასრულებს საკომპენსაციო ფუნქციასაც და ატარებს სოციალური დახმარების ხასიათს. საკომპენსაციო შინაარსი მდგომარეობს თანაბარი შესაძლებლობების ფარგლებში იმ პირთათვის, ვინც ბიოლოგიური (უნარშეზღუდული) და სოციალური მიზეზების გამო არათანაბარ პირობებში არიან სხვებთან მიმართებაში. მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ საგადასახადო შეღავათები წარმოადგენს საგადასახადო პოლიტიკის უმთავრეს ინსტრუმენტს, რომელიც ხელს უწყობს გადასახადების მარეგულირებელი ფუნქციის რეალიზაციას. როგორც წესი, საგადასახადო რეგულირება განისაზღვრება, როგორც სახელმწიფოს მიზანმიმართული ზემოქმედება გაფართოებული კვლავწარმოების პროცესის ყველა სტადიაზე. სამეწარმეო, საინვესტიციო და შრომითი აქტივობის სტიმულირების, ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებში კაპიტალის დაჩქარებული დაგროვების, გამოყენებითი მეცნიერებისა და სოციალური სფეროს განვითარების მიზნით. სწორედ ასეთი ზემოქმედების ინსტრუმენტია საგადასახადო შეღავათები, რომლებიც, ისევე როგორც გადასახადის სხვა ელემენტები, ზუსტად უნდა განისაზღვროს.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არ არსებობს საგადასახადო შეღავათების სახეების სრული ჩამონათვალი და ასეთად არ მიიჩნევა ბევრი გადასახადის გადამხდელისთვის დაწესებული საგადასახადო გამოქვეითებები და შეღავათები, რაც ეწინააღმდეგება საგადასახადო შეღავათებისადმი საყოველთაოდ აღიარებულ მიდგომას. საგადასახადო შეღავათების დაწესებისა და მოქმედების სფეროში მრავალი პრობლემა არსებობს, რომელიც დაკავშირებულია ამ ინსტრუმენტის ეფექტურობის ზრდასთან. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს თავისუფალი კონკურენციის და სამართლიანობის პრინციპების დარღვევას, შესაბამისად, პრეფერენციების მინიჭების პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფოს მიერ ობიექტურად დაწესებული პრიორიტეტების რეალიზაციას. უმთავრეს პრობლემად მიგვაჩნია საგადასახადო შეღავათების მინიჭებისა და რეალიზაციის საქმეში მოქნილი და მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობა.

საგადასახადო შეღავათების მინიჭებას აქვს არა მარტო პირდაპირი შედეგი, რაც გამოიხატება საგადასახადო შემოსავლების შემცირებაში, არამედ ირიბი შედეგებიც, რომელიც გაცილებით რთულია და მისი ცალსახად შეფასება შეუძლებელია. ამ დროს ასეთი საგადასახადო შეღავათის მქონე გადასახადის გადამხდელის ქცევა ისე შეიძლება შეიცვალოს, რომ შეეხოს საგადასახადო პოლიტიკის სხვა ღონისძიებების მოქმედების სფეროს. როგორც კვლევები აჩვენებს, საგადასახადო შეღავათებით გამოწვეული ბიუჯეტის დანაკარგები არ კომპენსირდება საზოგადოების მიერ მიღებული სარგებლით. ამის კარგი მაგალითია ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში დაწესებული დღგ-ს შემცირებული განაკვეთი კვების პროდუქტებზე – ამ შემთხვევაში საზოგადოების შეძლებული მოქალაქეები კვების პროდუქტებზე ხარჯავენ აბსოლუტურ მაჩვენებლებში უფრო დიდ თანხებს და ამიტომ იღებენ საგადასახადო შეღავათების უფრო დიდ წილს.

ძალიან ბევრ შემთხვევაში საგადასახადო სტიმულები უფრო არაეფექტურია, ვიდრე საბაზრო ჩავარდნები, რომელთა კორექტირებისთვის ისინი იქნენ გამოყენებული. საილუსტრაციოდ მაგალითი, მოვიყვანო კანადაში ჩატარებული კვლევის შედეგებს, რომელიც მიეძღვნა კერძო სექტორში ინვესტიციების გაზრდის მიზნით კონკრეტული საგადასახადო შეღავათების გამოყენების შედეგად მიღებულ სარგებელსა და დანაკარგებს. ახალი შოტლანდიის პროვინციის ერთ-ერთ რაიონს, სადაც 1985-1992 წლებში, მთავარი სამრეწველო საწარმოების დახურვის გამო, მნიშვნელოვნად გაიზარდა უმუშევრობა, საინვესტიციო საგადასახადო კრედიტი იქნა გაცემული საინვესტიციო ხარჯების 60%-ის ოდენობით. კანადის მთავრობის მიერ ეკონომიკური ეფექტის შეფასება შეიცავს შემდეგ დასკვნებს:

- კაპიტალზე ხარჯების შემცირებისას საგადასახადო კრედიტი იწვევს შრომის ჩანაცვლებას კაპიტალით, რომელიც, სხვა თანაბარ პირობებში, იწვევს დასაქმების შემცირებას;
- დასაქმების პირდაპირი სუბსიდირება, რომელიც ტოლი იქნებოდა საგადასახადო კრედიტის მინიჭებით გამოწვეული ბიუჯეტის შემოსავლების დანაკარგების, შექმნიდა უფრო მეტ სამუშაო ადგილს;
- ეკონომეტრიკული გათვლებით გამოვლინდა, რომ ბიუჯეტისთვის ყოველი ერთი დაკარგული დოლარიდან მხოლოდ 75 ცენტის ღირებულების ინვესტიციები იქნა წარმოებული საგადასახადო კრედიტის მეშვეობით;
- საგადასახადო კრედიტმა გაზარდა შრომის ნაყოფიერება, მაგრამ შეამცირა კაპიტალის მწარმოებლურობა;
- სამუშაო ადგილების დანახარჯები ძალიან მაღალი აღმოჩნდა.

საგადასახადო შეღავათებს სხვა ბევრი მიმართულებითაც შეუძლია უარყოფითი პროცესების პროვოცირება, კერძოდ:

• გარდაუვალია დანაკარგები საზოგადოების კეთილდღეობის მიმართულებით – ეკონომიკის სექტორის იმ ნაწილში, რომელსაც მინიჭებული აქვს საგადასახადო შეღავათები, შემოსავლები იზრდება, მაშინ, როცა ეკონომიკის მთლიანი შემოსავლები მცირდება;

• საგადასახადო შეღავათები ან გადასახადისაგან გათავისუფლება უარყოფითად აისახება კონკურენციაზე. მსხვილი საწარმოები უფრო დიდ სარგებელს ნახულობენ, ვიდრე მცირე და საშუალო ბიზნესი. ამით მათ უზრუნველყოფენ კონცენტრაციის უფრო დიდი შესაძლებლობები, რაც, ხშირ შემთხვევაში, მცირე ბიზნესების შექმნით მთავრდება.

• საგადასახადო შეღავათები ამცირებს ფინანსურ დისციპლინას და ქმნის ხელისუფლების მხრიდან ინტერესების ლობირების მექანიზმებს, რაც ბევრ ქვეყანაში კანონსაწინააღმდეგო საქმიანობაში გამოიხატება.

• საგადასახადო შეღავათები საგადასახადო სისტემის ხარისხს დაბლა წევს, რადგან არღვევს ნეიტრალურობის, სამართლიანობის, ეფექტურობის და სიმარტივის პრინციპებს.

• საგადასახადო სისტემა, რომელიც გაჯერებულია საგადასახადო შეღავათებით, არის დამახინჯებული, რადგან სტიმულს აძლევს გადასახადის გადამხდელებს, დაკავდნენ არასამეწარმეო საქმიანობის იმ სფეროებში, რომელშიც იქნებოდნენ ნეიტრალური საგადასახადო რეჟიმის პირობებში.


• საგადასახადო სისტემა ნაკლებად სამართლიანი ხდება, რადგან, საგადასახადო შეღავათების გამო, პირები უფრო ნაკლებ გადასახადს იხდიან, ვიდრე იმავე შემოსავლების მქონე სხვა პირები.

სახელმწიფოს გააჩნია სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების დიდი არჩევანი. საგადასახადო შეღავათებისა და გათავისუფლების გარდა, მას შეუძლია საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის პროგრამების და სხვა მარეგულირებელი ღონისძიებების განხორციელება. მაგალითად, დაბალი შემოსავლების მქონე მოქალაქეებისთვის შესაძლებელია მინიმალური ხელფასის ოდენობის რეგულაციების შემოღება, სუბსიდიების შეთავაზება (ასეთი კატეგორიის პირებისთვის კვების თანხების ანაზღაურება) და საგადასახადო კრედიტების შეთავაზება. ასეთი ალტერნატიული ინსტრუმენტებს ის უპირატესობა გააჩნია, რომ, თუ საგადასახადო შეღავათები არ შეიძლება ატარებდეს ინდივიდუალურ ხასიათს, ზემოთ მოყვანილი ფორმების გამოყენება შესაძლებელია კონკრეტული მისამართით და უფრო მოქნილი ინსტრუმენტია სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადასაწყვეტად. პირდაპირი სახელმწიფო სუბსიდიები, ისევე, როგორც ნებისმიერი მარეგულირებელი ღონისძიებები, დიდი ალბათობით ფასდება საბაზრო ეკონომიკის პრინციპებთან შეუთავსებლად. ამასთან, ცალსახაა, რომ მომხმარებლებისთვის უმრავლეს შემთხვევაში სუბსიდიები უფრო მისაღებია, ვიდრე საგადასახადო შეღავათები.

უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახადო შეღავათების შემცირება, შესაბამისად საგადასახადო ბაზის გაზრდა და საგადასახადო განაკვეთების შემცირება, უფრო მეტ სტიმულს აძლევს ეკონომიკური აქტივობის ზრდას, ვიდრე საგადასახადო შეღავათები. ითვლება, რომ კორპორაციული მოგების გადასახადის განაკვეთის შემცირება საგადასახადო პოლიტიკის მიზნების მიღწევის უმთავრეს ინსტრუმენტად იქცა. ამ აზრის სასარგებლოდ ის ფაქტიც გამოდგება, რომ მოგების გადასახადის განაკვეთები ბოლო პერიოდში მსოფლიოს ყველა რეგიონში შემცირდა. საგადასახადო შეღავათებისგან განსხვავებით, პოტენციური ინვესტორებისთვის უფრო მნიშვნელოვანია საგადასახადო სისტემის ზოგადი მახასიათებლები, კერძოდ, საგადასახადო განაკვეთები. ამასთან, დაბალი საგადასახადო განაკვეთები ზრდის ბიზნესის დამწყების მსურველთა პოტენციურ რაოდენობას და მცირე ბიზნესიდან საშუალო ბიზნესში გადამსვლელთა მასშტაბებს, ზრდის მეწარმის სუფთა მოგებას, ხელს უწყობს თვითდასაქმებას და სტიმულს აძლევს ბიზნესის ზრდას.

გადაწყვეტილება ამა თუ იმ საგადასახადო შეღავათების დაწესების შესახებ მიღებული უნდა იქნეს ისეთი ასპექტების გათვალისწინებით, როგორცაა სახელმწიფო შემოსავლების პირდაპირი დანაკარგები, საგადასახადო ადმინისტრირების სიმარტივე, სოციალური და გამანაწილებელი ეფექტები, აგრეთვე ბაზრების არასრულყოფილება და გარე ფაქტორების არსებობა.

**გადასახადები ევროკავშირში**



**ნახ. 2. მოგების გადასახადის განაკვეთები ევროკავშირის ქვეყნებში**

საგადასახადო შეღავათების მინიჭება შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა:

- ✓ კორექტირებას უკეთებენ საბაზრო ჩაჯარდნას;
- ✓ მიმართულია აქტუალური ამოცანების გადაჭრისაკენ;
- ✓ არ ამცირებენ შემოსავლებზე გადასახადის პროგრესულობას;
- ✓ არ იწვევენ ზედმეტ სირთულეებს საგადასახადო კანონმდებლობაში;
- ✓ არ ამახინჯებენ ეკონომიკური აგენტების ქცევას;
- ✓ უფრო ეფექტურია სარგებლისა და ხარჯების ურთიერთდამოკიდებულების პრინციპის საფუძველზე, ვიდრე პირდაპირი ხარჯების პროგრამირება.

განვითარებულ ქვეყნებში საგადასახადო შეღავათებისა და სტიმულირების სისტემა დიდი ხანია აპრობირებულია. აშშ-ში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საგადასახადო კანონმდებლობა არეგულირებდა საგადასახადო შეღავათების სისტემას. ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობისთვის 1984 წლიდან ამ მიმართულებით მთავარ სტიმულად საგადასახადო კრედიტის გაცემა გახდა. კანადაში 1967 წლიდან ხდება გრანტების გაცემა იმ ბიზნესსუბიექტებზე, რომლებიც ინოვაციური მიმართულებით საქმიანობენ. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მიმართულებით იაპონიაში არსებული გამოცდილება, სადაც წარმატებით იყენებენ დაქპრებულ ამორტიზაციას უცხოური ტექნოლოგიის ხარჯების საგადასახადო შეღავათების და კვლევითი ხარჯების მიმართულებით. შედეგში გათვალისწინებულია კვლევების მთლიანი ხარჯების ოდენობის 10%-იანი საგადასახადო შეღავათი. აშშ-ის საგადასახადო კანონმდებლობა ითვალისწინებს საგადასახადო დაბეგვრის სპეციალურ წესებს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან მიმართებაში. აშშ-ის საგადასახადო კოდექსში არსებობს სპეციალური განყოფილება, რომელიც ეძღვნება ინტელექტუალური საკუთრებისა და გუდვილის ამორტიზაციას. მთლიანობაში, აშშ-ში არსებობს ასზე მეტი საგადასახადო შეღავათი, რომელიც ხელს უწყობს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის აქტივიზაციას. მთავარი უპირატესობა ისაა, რომ შეღავათების გაცემა ხდება არა ავანსად, არამედ რეალური ინოვაციების წახალისების საფუძველზე.

დასავლური სისტემის მთავარი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ საგადასახადო შეღავათები ენიჭებათ არა სამეცნიერო ორგანიზაციებს, არამედ საწარმოებსა და ინვესტორებს. შეღავათები და კონკურენცია უზრუნველყოფს დიდ მოთხოვნას კვლევებსა და ინოვაციებზე. საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოციაციის შესახებ შეთანხმება ითვალისწინებს ევროკავშირთან, შესაბამისად ევროპულ კანონმდებლობასა და სტანდარტებთან დაახლოების უმნიშვნელოვანეს მექანიზმებს. ამ ხელშეკრულების V თავი „ეკონომიკური თანამშრომლობისა და დაბეგვრის საკითხები“ აკონკრეტებს საქართველოს ვალდებულებებს, კერძოდ: „საქართველო უნდა მიისწრაფოდეს, დააფუძნოს და ეტაპობრივად დაუახლოვოს საკუთარი ეკონომიკური, საგადასახადო და ფინანსური რეგულაციები ევროკავშირის რეგულაციებს და იმავდროულად უზრუნველყოს სწორი საგადასახადო პოლიტიკის გატარება“. ამ ამოცანებიდან გამომდინარე, საინტერესოა იმ გამოცდილების და რეგულაციების გააზრება, რომელიც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს გააჩნიათ საგადასახადო შეღავათების სფეროში.

ევროკავშირში აქტიურად მიმდინარეობს სახელმწიფოთაშორისი საგადასახადო პარმონიზაციის პროცესი, რომელიც გულისხმობს გადასახადების სისტემატიზაციას და უნიფიკაციას, ქვეყნების საგადასახადო პოლიტიკისა და საგადასახადო სისტემების კოორდინაციას. პარმონიზაციის მთავარი მიზანია არაკეთილსინდისიერი საგადასახადო კონკურენციის არ დაშვება, რაც თავისთავად გულისხმობს საგადასახადო შეღავათების საერთო წესებზე შეთანხმებას. საინტერესოა, რომ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში შეზღუდვები ეხება სახელმწიფო დახმარებას ზოგადად და მათ შორის საგადასახადო სუბსიდიებისა და საგადასახადო შეღავათების ნაწილში. საგადასახადო შეღავათების პარმონიზაციის რეგლამენტაცია ხდება ევროკავშირის ინსტიტუტების სამართლებრივი აქტებით.



• ევროკავშირის ფუნქციონირების კონსოლიდირებული ხელშეკრულების 107-109 მუხლების მიხედვით, წვერი სახელმწიფოს მიერ ნებისმიერი ფორმით გაწეული დახმარება სახელმწიფო რესურსების ხარჯზე, რომელიც ამასინჯებს კონკურენციას, ანიჭებს რა უპირატესობას სამეურნეო სუბიექტს, შეუთავსებელია შიდა ბაზრისთვის.

• იმავე ხელშეკრულების 110-ე მუხლის თანახმად, არც ერთი წვერი სახელმწიფო პირდაპირ ან ირიბად არ უწევს სხვა წვერი-სახელმწიფოს საქონელს ისეთ გადასახადებს, რომელიც აჭარბებს ეროვნული წარმოების იმავე საქონელზე არსებულ პირდაპირ ან ირიბ გადასახადს.

• ხელშეკრულება ზღუდავს წვერი სახელმწიფოების ფისკალურ სუვერენიტეტს საგადასახადო სისტემის გამოყენებისთვის განსაზღვრული პირების, საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევის ან კაპიტალის მოზიდვის სტიმულირების ხელშეწყობის სახით.

• ევროკავშირის სასამართლოს 1994 წლის გადაწყვეტილებით, ნებისმიერი საგადასახადო ღონისძიება კვალიფიცირდება როგორც „სახელმწიფო დახმარება“ თუ სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტი ან ეკონომიკის სექტორი იღებს ფინანსურ „უპირატესობას“.

• ევროკავშირის სასამართლოს გადაწყვეტილებით, საგადასახადო სუბსიდია არის „წვერი სახელმწიფოს უარი საგადასახადო შემოსავალზე, რომელიც სხვა შემთხვევაში, როგორც წესი, მიღებული იქნებოდა“.

• ევროკომისიის გადაწყვეტილება (98/C 384/03) ნორმების გამოყენებასთან დაკავშირებით, ეხება სახელმწიფოს დახმარებას საწარმოების პირდაპირი საგადასახადო დაბეგვრის ღონისძიებების საქმეში. ევროკომისიის აზრით, ის ფაქტი, რომ ღონისძიება ატარებს საგადასახადო ხასიათს, არაარსებითია სახელმწიფო დახმარების დებულების გამოყენების დროს.

• ევროსაბჭოს დირექტივა 2006/112/EC საგადასახადო შეღავათების გამოყენების მექანიზმები დღგ-ს ნაწილში ევროკავშირის წვერი სახელმწიფოებისთვის

✓ სტანდარტული განაკვეთი არ უნდა იყოს 15%-ზე ნაკლები;

✓ შესაძლებელია ერთი ან ორი შემცირებული განაკვეთის გამოყენება არანაკლებ 5%-სა.

• ევროსაბჭოს დირექტივა 2008/118/EC საგადასახადო შეღავათები აქციზის ნაწილში აწესებს ზოგად წესებს აქციზებთან მიმართებაში, რომელიც გავლენას ახდენს მომხმარებელზე.

✓ ენერჯია და ელექტროენერჯია;

✓ სპირტი და ალკოჰოლური სასმელები;

✓ თამბაქოს ნაწარმი;

✓ აქციზი ღულზე შეიძლება შემცირდეს იმ პირობით, თუ ღულის მწარმოებელი ქარხნის მიერ გამოშვებული ღულის მოცულობა ერთი წლის განმავლობაში არ აჭარბებს 200 ათას გექტოლიტრს. შემცირებული განაკვეთი არ უნდა იყოს წვერი სახელმწიფოში არსებულ სტანდარტულ განაკვეთზე 50%-ზე მეტი.

უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახადო შეღავათების ნაწილში ევროკავშირის წვერი ქვეყნებში საგადასახადო ჰარმონიზაციის პროცესი რთულად მიმდინარეობს. ამ მიმართებით უფრო ხელშესახები შედეგები არაპირდაპირი გადასახადების ნაწილშია მიღწეული, რაც გამოწვეულია იმით, რომ პირდაპირი გადასახადების ბუნებიდან გამომდინარე, მათი ჰარმონიზაცია უფრო რთულია, რასაც ემატება წვერი სახელმწიფოების ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონე და ფისკალური ტრადიციები.

საზღვარგარეთის ქვეყნებიდან საგადასახადო სტიმულირების აქტიურ მომხმარებლებად გვევლინება ჩინეთი, ინდოეთი, ისრაელი, კორეა და ბრაზილია, რომლებიც, მიმდინარე ეტაპზე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უდიდეს ბენეფიციარებს წარმოადგენენ. ამ ქვეყნებში ყველაზე გავრცელებულ ინსტრუმენტად წარმოდგენილია საგადასახადო არდადეგები – კანონით დადგენილი ვადით საგადასახადო რეზიდენტების გათავისუფლება კონკრეტული გადასახადისაგან. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახადო შეღავათის ამ ფორმასთან მიმართებაში არ არსებობს ერთიანი მიდგომა. ზოგიერთი კვლევის თანახმად, ინვესტიციების უდიდესმა ნაწილმა, რომელიც მოზიდული იქნა საგადასახადო არდადეგების საფუძველზე, მხოლოდ შეზღუდული სარგებელი მოიტანა. მეორე კვლევის მიხედვით, საგადასახადო განაკვეთის 1%-ით ზრდა იწვევს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 3,7%-ით შემცირებას, ამასთანავე, ქვეყნიდან და ეკონომიკის სექტორიდან გამომდინარე, კლებამ შეიძლება შეადგინოს 0-დან 5%-მდე. საერთაშორისო რეიტინგებში ბოლო პერიოდში საქართველოს მიერ ნაჩვენები შედეგების ანალიზი ცხადყოფს, რომ სახეზეა საგადასახადო კლიმატის გაუმჯობესებისა და ქვეყნის საინვესტიციო მიზიდველობის ზრდის სურათი, რამაც პერსპექტივაში ხელი უნდა შეუწყოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდას.

რეიტინგები	2012	2013	2014	2015
Doing Business	12	9	14	15
ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი	34	21	22	22
გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი	88	77	72	69
კორუფციის აღქმის ინდექსი	51	55	50	50

**ნახ. 3. საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში**

მნიშვნელოვან პრობლემად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ ამა თუ იმ საგადასახადო შეღავათის შედეგად მიღებული საბიუჯეტო ეფექტის შეფასება ხდება ამ შეღავათის შემოღების ეტაპზე, ხოლო მისი შედეგები, რო-

მელიც გამოიხატება ბიუჯეტის შემოსავლების დანაკარგებში, ყურადღების მიღმა რჩება, შესაბამისად, იმ მიზნის მიღწევის ეფექტურობა, რისთვისაც საგადასახადო შეღავათი დაწესდა, ანალიზის გარეშე რჩება.

საგადასახადო შეღავათები გარკვეულწილად საბიუჯეტო ხარჯების ანალოგიურია და შესაბამისად უნდა ექვემდებარებოდეს ისეთივე სკურპულოზურ შემოწმებას გამჭვირვალობისა და ეფექტურობის მიმართულე-ბით. ითვლება, რომ ტერმინი „საგადასახადო ხარჯები“ (Tax expenditures) ეკუთვნის ს. სიურუსს, რომელმაც 1967 წელს მიმართა რა ფინანსური საზოგადოების წარმომადგენლებს, მოუწოდა მათ „ბიუჯეტის საგადასახადო ხარჯების“ შედგენისკენ. მისი აზრით, ბიუჯეტის საგადასახადო ხარჯების კონცეფცია მიმართული იყო საბი-უჯეტო პროცესის სრულყოფისაკენ, აგრეთვე დღის წესრიგში აყენებდა საგადასახადო რეფორმის აუცილებ-ლობას საგადასახადო შეღავათების შემცირების გზით, რადგან ისინი საგადასახადო სისტემას რეგრესულ შინაარსს ანიჭებდნენ (საგადასახადო შეღავათებით უფრო მეტ სარგებელს ნახულობენ მაღალი შემოსავლის მქონე პირები) და ხშირად ჰქონდათ ინდივიდუალური ხასიათი. აშშ-ში „საგადასახადო ხარჯების ბიუჯეტის“ საკვლეველო ჩართვა საბიუჯეტო დოკუმენტში დადგინდა 1974 წლის კანონით.

ავტორი	შინაარსი
საერთაშორისო სავალუტო ფონდი „საბი-უჯეტო-საგადასახადო სფეროს გამჭვირვა-ლობის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო“, 2001 წელი	საგადასახადო ხარჯები – არის შეღავათები ან გათავისუფლება გადასახადის „სტანდარტულ“ სტრუქტურასთან შედარებით, რომელ-იც იწვევს სახელმწიფოს შემოსავლების შემცირებას და რადგან სახელმწიფო პოლიტიკის მიზნები შეიძლება მიღწეული ყოფილიყო ალტერნატიული მეთოდებით, სუბსიდიების ან სხვა პირდაპირი ხარ-ჯების გზით, შეღავათები განიხილება როგორც საბიუჯეტო ხარჯე-ბის ეკვივალენტი.
საერთაშორისო სავალუტო ფონდი „საბიუჯეტო-საგადასახადო სფეროს გამჭ-ვირვალობის უზრუნველყოფის სახელმძღვა-ნელო“, 2007 წელი	საგადასახადო ხარჯები წარმოადგენს შემოსავლებს, რომელიც სა-გადასახადო კანონმდებლობის ცალკეული დებულებების მოქმედების შედეგად არ იქნა მიღებული
ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვი-თარების ორგანიზაცია „OECD წევრი სახელმ-წიფოების ოპტიმალური მიდგომები სახელმ-წიფო ბიუჯეტის გამჭვირვალობის უზრუნვე-ლყოფისთვის“	საგადასახადო ხარჯები – საგადასახადო შემოსავლების გამოკეთი-ვები, რომელიც დაკავშირებულია საშეღავათო საგადასახადო რეჟი-მებთან საქმიანობის ზოგიერთი სახეობისთვის.
კანადა	საგადასახადო ხარჯები წარმოადგენს ხელიდან გაშვებულ საგადა-სახადო შემოსავლებს, სპეციალური გამონაკლისების, გამოკეთივებ-ბის, საგადასახადო განაკვეთის შემცირების, საგადასახადო კრედი-ტების გამო, რომლებიც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ექვემდებარებოდა გადასახადს.
აშშ	საგადასახადო ხარჯები – არის გადასახადის სტრუქტურაში არსე-ბული შეღავათების შედეგად დაკარგული შემოსავლის შეფასება.
ავსტრალია	საგადასახადო ხარჯები – არის საგადასახადო შეღავათები, რომელ-იც გადასახადის გადამხდელს ან ჯგუფს ანიჭებს უპირატესობას საქმიანობის გარკვეული სახეობის საფუძველზე
ავსტრია	საგადასახადო ხარჯები ხელიდან გაშვებული სახელმწიფო შემო-სავლება, ეკონომიკური აგენტებისთვის საქმიანობის ზოგიერთ ნა-წილში ჩვეულებრივი საგადასახადო ნორმებიდან გამონაკლისების დაშვების გამო.
ბელგია	საგადასახადო ხარჯები – კანონმდებლობის დებულებებია, რომელბ-იც ამცირებენ საგადასახადო შემოსავლებს, გამოიხატება საგადა-სახადო საბაზო სტრუქტურიდან გადახრაში და რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს განსაზღვრულ ქცევას, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ საქმიანობას და შეიძლება შეიცვალოს პირდაპირი ხარჯების პროგრამებით.
გერმანია	საგადასახადო ხარჯები – ეს ის საგადასახადო შეღავათებია, რომ-ლებიც წარმოადგენენ სპეციალურ გადახრებს საგადასახადო ნორმე-ბის ცენტრალური კონცეფციიდან, რაც იწვევს საგადასახადო შემო-სავლების შემცირებას.
ჰოლანდია	საგადასახადო ხარჯები – სახელმწიფო ხარჯებია დანაკარგების ან საგადასახადო შემოსავლების გადავადების სახით, რომელთაც ად-გილი აქვთ იმ დებულებების გამო, რომლებიც არ შეესაბამება საგა-დასახადო კანონმდებლობის საბაზო სტრუქტურას
ესპანეთი	საგადასახადო ხარჯები გადასახადების ნორმალური სტრუქტურიდან გადახრაა, რომელსაც წარმოადგენს საგადასახადო შეღავათები ან საგადასახადო სუბსიდიები.
იაპონია	საგადასახადო ხარჯები – არის დებულება, რომელიც წარმოადგენს საგადასახადო დაბეგვრის პრინციპებიდან ფუნდამენტურ გადახრას და ემსახურება სხვა მიზნებს.

**ნახ. 4. „საგადასახადო ხარჯების“ განმარტებები**

ზემოთ მოყვანილი განმარტებების ანალიზიდან შეგვიძლია გამოვყოთ საგადასახადო ხარჯებისთვის და-მახასიათებელი ნიშნები:

- ✓ საგადასახადო ხარჯები წარმოადგენს ხელიდან გაშვებულ საგადასახადო შემოსავლებს, ე.ი. მივიღებთ ბიუჯეტის შემოსავლების კლებასთან;
- ✓ წარმოიშობა საგადასახადო შეღავათების დაწესების დროს;
- ✓ ემსახურება სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების რეალიზაციას;
- ✓ წარმოადგენს პირდაპირი საგადასახადო ხარჯების ალტერნატივას.

გასული საუკუნის 70-იან წლებში ბიუჯეტის დეფიციტმა აიძულა ბევრი სახელმწიფო, გამოეყენებინა სახელმწიფო ხარჯების კონტროლის ახალი ინსტრუმენტები. სწორედ ამ დროიდან ბევრმა განვითარებულმა ქვეყანამ დაიწყო ბიუჯეტის საგადასახადო ხარჯების ანგარიშების სისტემა.

ქვეყანა	წელი
გერმანია	1959
აშშ	1967
ავსტრია	1978
ესპანეთი	1978
დიდი ბრიტანეთი	1979
კანადა	1979
შვედეთი	1979
ავსტრალია	1980
საფრანგეთი	1980
ჰოლანდია	1987
შვეიცარია	1997

**ნახ. 5. საგადასახადო ხარჯების პირველი ანგარიშგება ზოგიერთ ქვეყანაში**

განვითარებულ ქვეყნებში ამ მიმართულებით მსოფლიო პირველი ნაბიჯები იდგმება. ვფიქრობ, საქართველოში სერიოზულად უნდა დაინტერესდნენ მსოფლიოში არსებული გამოცდილებით, რომელიც სხვა დონეზე აიყვანს საგადასახადო შეღავათების სისტემის კომპლექსურ გააზრებას, საგადასახადო კანონმდებლობაში ცალკე ნაწილად მის დაფიქსირებას და ამ სისტემის განუყოფელი ნაწილის საგადასახადო ხარჯების ანგარიშგების უმოკლეს ვადაში დაიწყო შეუწყობს ხელს.

ზემოთ მოყვანილი ანალიზიდან გამომდინარე, რომელიც მოიცავს საგადასახადო შეღავათების გაგენას ეკონომიკურ საქმიანობაზე და საგადასახადო სისტემის ხარისხობრივ დახასიათებას, აგრეთვე ალტერნატიული ინსტრუმენტების გამოყენებას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საგადასახადო შეღავათების დაწესება შეიძლება გამართლებული იყოს იმ შემთხვევაში, თუ ისინი მიმართულია აქტუალური ამოცანების გადასაჭრელად და საბაზრო ჩავარდნების კორექტირებისკენ, არ ამახინჯებს ეკონომიკური აგენტების ქცევას, არ ართულებს საგადასახადო ადმინისტრირებას და საგადასახადო კანონმდებლობის შესრულებას და, ხარჯებისა და სარგებლის თვალსაზრისით, უფრო ეფექტურია, ვიდრე პირდაპირი ხარჯების პროგრამები. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობაში ახალი შეღავათების შეტანას თან უნდა ახლდეს მათი შემოღების აუცილებლობის დასაბუთება დასახული მიზნების შესრულებისა და მიღებული შედეგების შემოწმების მეთოდების მითითებით. საგადასახადო კანონმდებლობაში არსებული დებულებები საგადასახადო შეღავათების შესახებ, უნდა ექვემდებარებოდეს მუდმივ კვლევას მათი დაწესების მიზნებთან მიმართებაში და მათი გაუქმების ან შეცვლის მიზანშეწონილობის თაობაზე.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. <http://eulaw.ru/taxonomy/term/34/all>
2. [http://ec.europa.eu/taxation\\_customs/index\\_en.htm](http://ec.europa.eu/taxation_customs/index_en.htm)
3. <http://worldtaxpayers.org/>
4. [http://europa.eu/eu-life/index\\_en.htm](http://europa.eu/eu-life/index_en.htm)
5. [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=238&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=238&lang=geo)
6. <http://www.enterprise.gov.ge/>
7. <http://www.economy.ge/economic-legislation/saqartvelo-2020>
8. [http://www.ec.europa.eu/commission\\_barroso/president/focus/index\\_en.htm](http://www.ec.europa.eu/commission_barroso/president/focus/index_en.htm)
9. <http://www.old.research/pdf/pp>
10. <http://www.wds.worldbank.org/servlet/WDScontentserver/WDS>
11. [www.siteresources.worldbank.org/INTRA/Resources](http://www.siteresources.worldbank.org/INTRA/Resources)
12. [www.unctad.org/pages/home.aspx](http://www.unctad.org/pages/home.aspx)
13. Messere.L Tax Polise in OECD, Tax Expenditures in OESD countries< OECD, 2010.

*Merab Mikelashvili*

**SOME THEORETICAL AND PRACTICAL ASPECTS OF TAX SAVINGS  
Annotation**

Tax savings is a very important mechanism of tax policy. It is directly connect with spending budget, but this process (usually) lessens income i.e. ed resources, which should be approachable while solving state problems. At some point, tax savings are similar to budget costs, so their use and its increase should be depended on stating their inevitability and effectiveness. Using "The Budget Costs" concept will help to fulfill this aim.

**პერსონალის მართვის იაპონური გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობები საქართველოში**

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საქართველოში ჯერ კიდევ არსებობს ხელმძღვანელის თანამდებობაზე კადრების შერჩევის არასწორი მიდგომა, ადგილი აქვს ნეპოტიზმს, მანკიერ მხარეს, რაც თანამდებობისათვის შეუფერებელი (არაპროფესიონალი და არასაკმაო გამოცდილების მქონე) ადამიანების დანიშვნით ხასიათდება. დღეისათვის ქვეყანაში პერსონალის მართვის ინსტიტუტი პრაქტიკულად განუვითარებელია. ქვეყანაში არსებული უამრავი ეკონომიკური პრობლემა დაკავშირებულია საწარმოთა არაეფექტიან მართვასთან, ქართული კომპანიები დღეისათვის ნაკლებად იყენებენ პერსონალის მართვის მსოფლიო პრაქტიკის მიღწევებს, ამიტომაც გახდა აუცილებელი ქვეყნის მასშტაბით, უმაღლეს სასწავლებლებში შემოეღოთ ახალი დისციპლინა - “პერსონალის მართვა”.

ბოლო ათწლეულია, რაც იაპონია აღიარებულ იქნა პერსონალის მართვის წარმატებული სისტემის მქონე ქვეყნად და ამას ორ ფაქტორს უკავშირებენ: პროდუქტიული ადამიანური ურთიერთობების უნარსა და სპეციფიკური იაპონური სოციოკულტურის ზეგავლენას. თუ რამდენად შესაძლებელია პერსონალის მართვის იაპონური მოდელის ადაპტირება სხვა ქვეყნის მენტალიტეტთან – ამ პრობლემით დაინტერესებულია მეცნიერთა ფართო წრე.

მმართველობითი მეცნიერების თვალსაზრისით, მენტალიტეტი – ცალკეული ადამიანების, ერის მოქმედებებისა და ქცევის ქვეცნობიერი სოციალურ-ფსიქოლოგიური “პროგრამაა”, რომელიც დევს ადამიანების ცნობიერებაში და შეიძლება მათ პრაქტიკულ საქმიანობაში პოვებს გამოვლინებას. ფორმირების წყარო – ფსიქოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური, ბუნებრივ-კლიმატური მოვლენების ერთობლიობაა, რომელიც ქვეყნის ხანგრძლივი ევოლუციის მანძილზე ყალიბდება. იაპონური კომპანიების წარმატების საფუძველს უპირატესი ეროვნული ნიშნები: კოლექტივიზმი, ლოიალურობა, მოწესრიგებულობა, მოჭირნეობა, მოხერხებულობა, უზომო შრომისმოყვარეობა, ახლი პირობებისადმი მაღალი შემგუებლობა წარმოადგენს.

საქართველოს პირობებში პერსონალის მართვის იაპონური სისტემის დანერგვისას საჭიროა ამ სისტემის შემადგენელი ელემენტების გათვალისწინება და არა კოპირება, ვინაიდან პერსონალის მართვის იაპონური სისტემა თავისი თანამშრომლების მენტალიტეტს ეფუძნება, რომელიც არსებითად განსხვავდება ჩვენი ქართულისაგან. ესაა: დისციპლინის მაღალი დონე; ხანგრძლივი დაქირავება; კადრების როტაცია: შრომის ანაზღაურების სისტემა და სამსახურეობრივი წინსვლა ნამსახურობის საფუძველზე; გუნდური მუშაობა და თანამშრომლობა; “მართვაში მონაწილეობა”; ფირმის თანამშრომლებს შორის ინტენსიური კავშირი; მენეჯერების დამოუკიდებლობა.

ფირმის ფილოსოფიის ფორმირება გახდა იაპონური კომპანიების ეფექტიანობის მთავარი ფაქტორი გრძელვადიან პერსპექტივაში და იგივე შეიძლება გახდეს უამრავი ქართული კომპანიისათვის. იაპონური კომპანიები – არა მარტო სამეურნეო ერთეულია, არამედ მნიშვნელოვანი სოციალური ორგანიზაციებია. თითოეულ ფირმას გააჩნია საკუთარი კორპორაციული ფილოსოფია, აქცენტი კეთდება შემდეგ ცნებებზე: გულწრფელობა, პარმონია, თანამშრომლობა, შეტანილი წვლილი საზოგადოების ცხოვრების გაუმჯობესებაში.

კომპანიის პრესტიჟის ამაღლება კომპანიის მთავარი ამოცანაა, რადგან ეს უკანასკნელი განსაზღვრავს მის **მისაველს** გარე საფინანსო წყაროებთან, მაღალი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსების მოზიდვის შესაძლებლობებს.

იაპონელები მუდმივად მიისწრაფვიან, მიადწიონ პარმონიას, კონსენსუსსა და კომპრომისს. მაგალითად, ისინი კონტრაქტს განიხილავენ არა როგორც იურიდიულ ინსტრუმენტს, არამედ როგორც ურთიერთობების მოგვარების საუკეთესო საშუალებას, ზეპირსიტყვიერ შეთანხმებას კი მეტ უპირატესობას ანიჭებენ.

იაპონიას მართლაც აქვს ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვის. კოლოსალური გამოცდილება თუ გულდასმით შევისწავლით ამ სისტემის თავისებურებებსა და სპეციფიკას, შეეძლებოდა მათ გამოყენებას ჩვენს ქვეყანაში.

განვიხილოთ ორგანიზაციული ქცევის რა საერთო ეროვნული ნიშნები შეიძლება ჰქონდეთ ქართულ და იაპონურ ფირმებს. ესენია:

- **გუნდურობა.** იაპონელი მმართველები აქტიურად იყენებენ მისი ერის ამ თავისებურებას წარმოების უფრო ეფექტიანი ორგანიზაციისათვის. ქართულ კომპანიებში შესაძლებელია ისეთი მეთოდების გადმოტანა, როგორიცაა:

- **გუნდის ორგანიზაცია.** იაპონურ საწარმოებში ფუნქციონირებენ 4-6 კაციანი ჯგუფები. ოპტიმალურად ითვლება 10-12 კაციანი ჯგუფები, რომლებშიც უზრუნველყოფილია მონაწილეების კონტაქტურობა და ურთიერთმოქმედებები სამუშაო ოპერაციების შესრულებისას. იაპონელი მენეჯერები სკეპტიკურად უყურებენ უფრო მსხილი ჯგუფების შექმნას, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ ის იწვევს ჯგუფის მიზანწრაფვის გახლეჩას, ასუსტებს მის დარაზმულობას.

- **კორპორაციული სულისკვეთების შექმნა.** მის მთავარ შემადგენელს იდეალებისადმი ერთგულება წარმოადგენს, რომელიც მუშაკს ფირმის საქმეებში, მის ატმოსფეროში ჩართულობის სისტემის მეშვეობით, ამოცანების, მისიის გაცნობიერების შედეგად უყალიბდება. იაპონია ამ მიზნით ფართოდ იყენებს სხვადასხვა მეთოდებსა და მიდგომებს. თითოეულ კომპანიას აქვს სამუშაო ტანსაცმლის თავისი ფორმა, დევიზი, სპირად ჰიმნი. ცალკეულ კომპანიაში მუდმივად სრულდება მიზანშეწონილი რიტუალები, დასაშვებია შეკრებები, ტარდება კონფერენციები. ფირმებში თვალსაჩინო სოციალურ-ორგანიზაციულ ფუნქციას შრომის ვეტერანები ასრულებენ. ყოველივე ეს კი უდიდეს ეფექტს იძლევა. იაპონური გამოცდილება კარნახობს, რომ ქართულ სინამდვილეშიც შესაძლებელია ერთი ორგანიზაციის ჩარჩოებში შეირჩეს ერთიანი სულისკვეთების მქონე ეთნიკურად მრავალფეროვანი კოლექტივი. კორპორაციული სულისკვეთება შრომის მწარმოებლურობის ამაღლების მნიშვნელოვანი პირობაა.

• **ძალაუფლებისადმი დამოკიდებულება.** ამ სფეროში საქართველოსთვის შეიძლება ეფექტიანი აღმოჩნდეს შემდეგი იაპონური გამოცდილება:

**უმცროსებზე მეურვეობა.** იაპონიაში მენეჯერი ის უფროსია, რომელიც მეურვის, დამხმარის როლში გამოდის. ის დაშვებული შეცდომებისათვის კი არ სჯის თავის ხელქვეითებს, არამედ ეხმარება მათ გამოსწორებაში. ეს ამბობს მმართველის ავტორიტეტს, მის ზეგავლენას კოლექტივზე, ეხმარება ორგანიზაციის ახალ წევრებს ადაპტაციაში.

**სამსახურებრივი წინსვლა.** იაპონელი მმართველი – ეს უფრო დიდი სტაჟისა და გამოცდილების მქონე, ასაკით უფროსი გუნდის წევრია, რომელიც თავის ხელქვეითებს შორის ავტორიტეტით სარგებლობს. ისინი გრძნობენ, რომ მმართველისათვის მინიჭებული ძალაუფლება დამსახურებული და კანონიერია, ამიტომაც ხალხით იღებენ მას. საერთო ადამიანური ზნეობრივი ნორმები უფრო ეფექტიანად აღმოფხვრიან იერარქიის “ძალაუფლება-დაქვემდებარების” კონფორტაციებს, ვიდრე ოფიციალური ინსტრუქციები. რაც შეეხება ქართულ მენტალობას, აქ მკაცრად დაცული სუბორდინაცია ხელქვეითსა და ხელმძღვანელს შორის. თუმცა მუშაკი თავის ხელმძღვანელში მბრძანებელს კი არ უნდა ხედავდეს, არამედ დამრიგებელს. იაპონიაში ასეთ ურთიერთობებს ბავშვობიდანვე ეჩვევიან, მაგრამ საქართველოში, თუ ხელმძღვანელი თავიდანვე სწორად მოახდენს თავისი თავის, ქცევის პოზიციონირებას, ასეთი რამ სავსებით შესაძლებელია.

• **რისკისადმი დამოკიდებულება.** აქ შეიძლება იაპონური სისტემის სოციალური გარანტიების გამოყენება ორგანიზაციის წევრისათვის. საქართველოში ხშირად არ აფასებენ მუშაკის წვლილს ორგანიზაციის საქმიანობაში, მის მიერ გაწეულ შრომასა და დახარჯულ დროს. საჭიროა გამყარდეს სამუშაო სტაჟის მიხედვით (არა რომელიმე სფეროში, არამედ კონკრეტულ კომპანიაში) სახელფასო დანამატის სისტემა. უფროს-უმცროსობით ანაზღაურების სისტემა კი მისაღებია მხოლოდ კომპანიის საქმიანობის მასშტაბების გაფართოებისას ხელმძღვანელთა თანამდებობების გაზრდის შემთხვევაში. კომპანია, რომელშიც იაპონელი მუშაობს, მისთვის ის როგორც ოჯახია. კომპანია აფასებს თითოეული მუშაკის ერთგულებას, მხარს უჭერს და ეხმარება მას ცხოვრების ყველაზე რთულ მომენტებში.

აღსანიშნავია, რომ იაპონურ ფირმებში კოლექტივის შიგნით შექმნილი სასურველი ატმოსფერო, მუშაკის რწმენა ხვალისდელი დღისადმი, ეს ის ფაქტორებია, რაც განაპირობებს იაპონიაში კადრების დაბალ დენადობას. ფაქტია, რომ ხელმძღვანელის ზრუნვას თავის ხელქვეითებზე სარგებელი მოაქვს როგორც კომპანიის, ასევე მისი მუშაკებისათვის. ნაცვლად იმისა, რომ კომპანიის ხელმძღვანელობამ გარედან დაიჭირაოს მაღალკვალიფიციური პერსონალი, ის ფულს დებს თავისი პერსონალის სწავლებაში. შედეგად დიდხანს არ აყოვნებს, საწყისი თანხის კომპენსირება სწრაფადვე ხდება კმაყოფილი მუშაკის შრომით. ეს სამართლიანია ნებისმიერი ქვეყნისთვის. შესაბამისად, ასეთ მიდგომას პერსონალის სწავლებისა და მისი მომზადებისადმი შეიძლება ადგილი ჰქონდეს საქართველოს პრაქტიკაშიც. თუმცა მთავარი დაბრკოლება პერსონალის მართვის იაპონური სისტემის ქართულ რეალობაში გამოყენების – მუდმივი დაქირავების სისტემაა, რომელიც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში არა რენტაბელურია, რაზეც თანხმდებიან უცხოელი და იაპონელი მკვლევრები. ფაქტია, რომ მუშაკი, რომელიც ერთ ფირმაში 5 წელზე მეტ ხანს მუშაობს, კარგავს სტიმულს თვითსრულყოფილებისკენ და იწყებს შრომით დეგრადირებას. აქ ქართული მენტალიტეტი უფრო ახლოსაა ჩრდილოამერიკულთან.

კვლევებიდან ჩანს, რომ ჩვენი ქვეყნის განვითარების ამ ეტაპზე შესაძლებელია პერსონალის მართვის იაპონური გამოცდილების ზოგიერთი ელემენტის დანერგვა ადგილობრივ წარმოებაში, რამაც შეიძლება პერსონალის მართვის სისტემაში საუკეთესო შედეგებამდე მიგვიყვანოს.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. Глинслий Б.М. О японском опыте управления. // Проблемы теории и практики управления. 2001, №4.
2. Коркина Т., Боковикова И. Японская система управления персоналом. // Управление персоналом. 2008, №6.
3. Куцивол В. Японский опыт управления персоналом. Управления персоналом. 2005, №7.
4. Проников В.А., Ладанов И.Д. Управление персоналом в Японии. М., Наука, 2001.

*Irma Molashkhia*

#### CAPABILITIES TO USE JAPANESE EXPERIENCE OF PERSONNEL MANAGEMENT IN GEORGIA

##### Annotation

Nowadays many economic problems in Georgia are caused by the inefficient management of the industries. Actually, Georgian companies rarely use modern achievements of the world politics.

Article is about capabilities to use the most rationale elements of Japan style of personnel management in Georgia. The work also analysis disadvantages of Japan model of personnel management. For example, permanent rental system, that is unfavorable for the company as well as for the employees. The precedence salary system is favorable only in the case of extending activities of the company, increasing of the manager's positions

The researches revealed that in the current situation it is not only possible to establish Japan model of personnel management in Georgia but it is necessary to use the specific forms of the management system to bring the country form the economic crisis.

**მცირე ბიზნესი – უმუშევრობის შემცირების შაბლონი**

ქვეყნის ცხოვრების დონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტერმინანტია უმუშევრობა. აღიარებულია, რომ ეკონომიკაში უმუშევრობა ყოველთვის არსებობს, მას უმუშევრობის ბუნებრივი დონე (5-7%) (ანუ სხვანაირად „სრული დასაქმება“) ეწოდება. მის მიმართ ფასდება ქვეყნის უმუშევრობის მაჩვენებლის ცვლილება, უმუშევრობის დონის ზრდა თუ შემცირება.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიხედვით უმუშევრად ითვლება პირი ვინც არის 15 წლის და მეტი ასაკის, არ უმუშავია (1 საათითაც კი) გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში, ეძებდა სამუშაოს ბოლო 4 კვირა და მზად არის მუშაობის დასაწყებად მომდევნო ორი კვირის განმავლობაში.

ასევე საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ უმუშევრად ითვლება 16 წლის ან უფროსი ასაკის პირი, რომელიც არ მუშაობდა (ერთი საათითაც კი) გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში, მზად იყო მუშაობისთვის და ეძებდა სამუშაოს ბოლო 4 კვირაში.

უმუშევრობის დონის შემცირების ღონისძიებათა კომპლექსი და ბრძოლის მეთოდები უნდა განსაზღვროს ცალკეული ქვეყნის ხელისუფლებამ, ქვეყნის შიგნით არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, ქვეყანაში არსებული უმუშევრობის სახეების გათვალისწინებით. ამ მეთოდების ეფექტური რეალიზაციისთვის საჭიროა გამოვლინდეს ფაქტორები რომლებიც გავლენას ახდენს სამუშაო ძალის მოთხოვნა-მიწოდებაზე. ცხადია, შრომის ბაზარზე მოქმედ ფაქტორებზე ორიენტირებულ პოლიტიკას შეუძლია, უმუშევრობის შემცირების მხრივ, სასურველი შედეგი მოგვცეს.

უმუშევრობის შემცირება წარმოადგენს განსაკუთრებულად რთულ ამოცანას რამდენადაც არსებობს უმუშევრობის სხვადასხვა სახეები (ფრიქციული, სტრუქტურული, ციკლური, სეზონური, რეგიონული, ფარული, დემოგრაფიული, ინსტიტუციური, ნებაყოფლობითი, ტექნოლოგიური).

უმუშევრობის შემცირების ბრძოლის მეთოდები (ღონისძიებები) უმუშევრობის თითოეულ სახეობაზე სხვადასხვაა. მაგალითად, ფრიქციულ უმუშევრობაზე, ბრძოლის ღონისძიებებია: შრომის ბაზრის ინფორმაციული უზრუნველყოფის სრულყოფა; ამისათვის სპეციალური სამსახურის შექმნა.

სტრუქტურულ უმუშევრობაზე - უმუშევრებისათვის გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების შექმნა; მხარდაჭერა კერძო და სახელმწიფო სამსახურს, რომლებიც ამით არიან დაკავებულნი; პროტექციონისტული ღონისძიებანი შრომის ბაზრის ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე.

მარგინალურ უმუშევრობაზე – მოსახლეობის დაუცველი ფენის სოციალური დაცვა; დანაშაულთან ბრძოლა.

ტექნოლოგიურ უმუშევრობაზე – თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება; ტექნოლოგიური პროგრესის შენელება და/ან მისი შედეგების დანერგვის ტემპების შენელება.

ციკლურ უმუშევრობაზე – სტაბილურობის პოლიტიკის გატარება; სახელმწიფოს მიერ დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა და ა. შ.

უმუშევრობის ყველა სახეობისათვის საერთო ღონისძიებებს განეკუთვნება: ახალი სამუშაო ადგილების შექმნა; შრომის ბირჟის და დასაქმების სხვა მომსახურების ფორმის შექმნა-სრულყოფა [7].

მსოფლიო განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან ჩანს, რომ ბიზნესფორმებიდან (მცირე, საშუალო, მსხვილი) ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში ლიდერობს მცირე ბიზნესი. ამერიკელი სპეციალისტების [9] თვალსაზრისით, მცირე ბიზნესის მნიშვნელობა ეკონომიკაში გამოიხატება: სამუშაო ადგილების შექმნაში; ახალი ტექნოლოგიებისა და მომსახურების დანერგვაში; მსხვილი კორპორაციების გარკვეულ საჭიროებათა დაკმაყოფილებაში; სპეციალიზებული საქონლითა და მომსახურებით უზრუნველყოფაში. აშშ ნაციონალური სამეცნიერო ფონდის შეფასებით, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ყოველ დოლარზე, ფირმები, სადაც დაკავებულია არაუმეტეს 100 კაცისა, 4-ჯერ მეტ სიახლეებს ნერგავდა, ვიდრე ფირმები, სადაც დასაქმებულია 1000-დან 10 000-მდე ადამიანი, და 24-ჯერ მეტს, ვიდრე კომპანიები, სადაც დაკავებულია 10 000 კაცზე მეტი [8]. ახალი პროდუქციის დანერგვისა და ახალი სამუშაო ადგილების უზრუნველყოფის გვერდით, მცირე ბიზნესი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსხვილი კორპორაციების საქმიანობაში მათი მომარაგებით, პროდუქციის გასაღებით და მათთვის მომსახურების გაწევით.

ბოლო 3 წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებულ შტატებში შექმნილი 7 მილიონი სამუშაო ადგილიდან 2-3 მლნ მცირე ბიზნესზე მოდის; გერმანიაში 4.4 მილიონი მცირე საწარმოა და მათზე კერძო სექტორში დასაქმებულია 70% მოდის; საკითხის შესწავლიდან შეიძლება ითქვას, რომ მცირე ბიზნესს შესწევს უნარი, ხელი შეუწყოს ზემოთ განხილული თითქმის ყველა სახეობის უმუშევრობის შემცირებას.

ეკონომიკის განვითარების, უმუშევრობის შემცირების და სტაბილურობის საქმეში მცირე ბიზნესის მთელი რიგი მნიშვნელოვანი შესაძლებლობების და უნარის გამო, მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში დღეს სპეციალური სახელმწიფო ინსტიტუტები და სახელმწიფო პროგრამები მუშაობს მისი მხარდაჭერის მიზნით. ეს არის საგადასახადო, საკრედიტო, საინვესტიციო, სადაზღვევო, სამეცნიერო-საკონსულტაციო მომსახურების სახელმწიფო მხარდაჭერის ერთიანი სისტემა.

ამ მხრივ, საქართველოში, შეიძლება ითქვას, დღემდე თითქმის არაფერი გაკეთებულა.

მართალია, საქართველოში 2014 წლის ოფიციალური მონაცემებით, წინა წელთან შედარებით, უმუშევრობის მაჩვენებელი 2.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა, იგი მაინც მაღალია და შეადგენს 12.2% [10].


ნათლად ჩანს, რომ ის ღონისძიებები, რომლებიც დღემდე მთავრობის მხრიდან, ბიზნესის კეთების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა, ზემოთ მოყვანილი პრობლემის გადაჭრისათვის საჭირო შედეგს ვერ იძლევა. აშკარაა, საჭიროა ქვეყანამ გაიზიაროს განვითარებული ქვეყნების გამოცდილებანი და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს მცირე ბიზნესის განვითარებას.

ამასთან, აღიარებულია ის ფაქტი, რომ მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით, ჩვენთან თითქმის ყველაზე ადვილია ბიზნესის კეთების დაწყება, ცხადია, ვერც ამან შეუწყო ხელი ქვეყანაში მეწარმეობის სექტორის, განსაკუთრებით კი მცირე ბიზნესის განვითარებას.

სტატისტიკური მახასიათებლების მიხედვით მცირე ბიზნესის განვითარების არსებული მდგომარეობა მეტად არასახარბიელოა. როგორც გრაფიკიდან ჩანს საქართველოში ბიზნესსექტორში დასაქმებულია რაოდენობა, 1999-2014 წლებში, მართალია ზრდადი ზრდადი ტენდენციით ხასიათდება, მაგრამ მეტად არა სტაბილური დაბალი ტემპით. ხოლო როგორც ცხრილიდან ჩანს ბიზნეს სექტორში დასაქმებულია რაოდენობა 2002-დან 2014 წლამდე (12 წლის განმავლობაში) მხოლოდ 1,8-ჯერ გაიზარდა; ხოლო მსხვილ, საშუალო და მცირე ბიზნესში გაიზარდა შესაბამისად 2,2; 1,3 და 1,5-ჯერ.

როგორც ცხრილიდან ჩანს ბიზნესსექტორში დასაქმებულია საერთო რაოდენობაში მცირე ბიზნესზე 1999 და 2004 წელს შესაბამისად მოდიოდა 24, 3, და 25.5 %, ხოლო 2014 წელს - 20,4%, მაშინ, როცა ეს მაჩვენებელი 2013 წელს უდრიდა 25.1%. 2004 და 2014 წლებში მსხვილ ბიზნესზე მოდის ბიზნესსექტორში დასაქმებულთა, შესაბამისად 53 და 63%, საშუალო ბიზნესზე კი - 21.8 და 16.6%.

ოუკენის კანონის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უმუშევრობის დონის ყოველი 1%-ის ზრდა მშპ-ის დაახლოებით 2%-იან კლებას იწვევს [2].



დიაგრამა 1

ცხრილი 1

დასაქმებულთა რაოდენობა საწარმოთა ზომის მიხედვით

წელი	კვარტალი	სულ, კაცი	მათ შორის:		
			მსხვილი	საშუალო	მცირე
		1	2	3	4
1999	...	379 360	...	...	92 202
2000	...	378 055	...	...	125 807
2001	...	313 370	...	...	90 159
2002	...	301 310	153 546	74 435	73 329
2003	...	297 795	147 239	69 390	81 166
2004	...	322 779	169 883	70 454	82 442
2005	...	388 946	200 903	87 628	100 415
2006	...	360 987	192 242	84 192	84 554
2007	...	361 209	201 748	91 784	67 677
2008	...	349 250	209 532	74 443	65 276
2009	...	387 463	223 178	78 198	86 086
2010	...	397 806	224 354	91 943	81 508
2011	...	503 236	273 581	103 004	126 651
2012	...	534 397	305 340	73 661	155 396
2013	...	550 885	315 447	97 090	138 348

2014	I	495 713	307 189	75 514	113 010
	II	507 610	322 302	72 444	112 864
	III	520 217	331 421	84 309	104 487
	IV	534 952	336 999	88 705	109 248
2015	I	545 374	330 420	89 568	125 386

**წყარო:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [4].

განვითარებულ ქვეყნებში მცირე ბიზნესის ნორმალური ფუნქციონირებისათვის მარეგულირებელი სახელმწიფოებრივი მექანიზმის ფორმირება-განვითარების პროცესების შესწავლა ნათლად გვიჩვენებს ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილობას ამ სფეროში, ამასთან იმას, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს, ისეთი ქვეყნისათვის, როგორც საქართველო, მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატის და ხელსაყრელი ბიზნესგარემოს შექმნას მცირე ბიზნესისათვის.

საქართველოში მცირე ბიზნესში არსებული მდგომარეობით თუ ვიმსჯელებთ, მცირე ბიზნესის ხარისხობრივი და რაოდენობრივი განვითარების მაღალი პოტენციალი გააჩნია ქვეყანას. დღეს მცირე ბიზნესს ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში უკავია მხოლოდ 9%, მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი ხასიათდება 60-70%-ით.

მცირე საწარმოთა რიცხოვნობა ყოველ 1000 მცხოვრებზე მოდის დიდ ბრიტანეთში - 46; იტალიაში - 68; აშშ-ში - 74; იაპონიაში - 50; ყოფილ საბჭოთა სივრციდან რუსეთში - 6; ბელორუსიის რესპუბლიკაში - 3 [6]; საქართველოში ჩვენი გაანგარიშებით დაახლოებით 4-ის ტოლია. მცირე ბიზნესის ინტენსივობის ეს მაჩვენებელი იმდენად მცირეა, რომ აქ მცირე ბიზნესის რაოდენობრივი ზრდის დიდი პოტენციალი გააჩნია ქვეყანას.

დღეს, ქართული ეკონომიკის განვითარებისათვის, მაშინ, როცა ის გლობალიზაციის პირობებში აშენებს ეკონომიკის საბაზრო მექანიზმს აუცილებელია, ქვეყანაში შეიქმნას მცირე ბიზნესის რაოდენობრივი და ხარისხობრივი განვითარების ხელშემწყობი ერთიანი მუდმივმოქმედი სახელმწიფო მექანიზმი. ქვეყანაში ამ მიმართულებით სახელმწიფოს მხრიდან გატარებული, ინექციური და ლოკალური ხასიათის ღონისძიებანი ვერ იძლევა სასურველ შედეგს. ამის ნათელი მაგალითია საქართველო, აქ არსებული ეკონომიკური მდგომარეობა, უმუშევრობის და სიღარიბის მაჩვენებლის მაღალი დონე.

ქვეყანაში ბევრი კეთდება კარგი, განსაკუთრებით ეკონომიკის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიმართულებით, ახლა აუცილებელია ქვეყანაში ისეთი ინსტიტუტების შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს უმუშევრობის შემცირებას და ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის დაჩქარებული ტემპით აღორძინებას. ამის ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორად მიგვაჩნია მცირე ბიზნესი.

როგორც სტატისტიკური მასალებიდან ჩანს, ქვეყანაში აქტიური ეკონომიკის 80-85% მოდის მსხვილ ბიზნესზე, ეს იმას ნიშნავს, რომ მცირე ბიზნესი, თამამად შეიძლება ითქვას, განვითარებული არ არის.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით [8], სპეციალური დაბეგვრის რეჟიმი ვრცელდება მიკრობიზნესის და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირებზე. საშემოსავლო გადასახადებისგან გათავისუფლებულია მიკრობიზნესი, ხოლო მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი იბეგრება 5%-ით. 3%-ით იგი იმ შემთხვევაში დაიბეგრება, თუ ერთობლივი შემოსავლის 60% ხარჯი ექნება და შეძლებს ამის დოკუმენტურად დადასტურებას და ასევე, თუ საქმიანობს მხოლოდ სპეციალური სავაჭრო ზონის ტერიტორიაზე. აღნიშნული კანონმდებლობით მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსი განისაზღვრება ერთობლივი შემოსავლით კალენდარული წლის განმავლობაში და მისი სტატისტიკური სიდიდე მიკრობიზნესისათვის არ უნდა აღემატებოდეს 30 000 ლარს, ხოლო მცირე ბიზნესისათვის 100 000 ლარს. არ მიგვაჩნია მართებულად მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის მხოლოდ ერთი კრიტერიუმით განსაზღვრა, ზემოთ აღნიშნულ კრიტერიუმთან ერთად მათი სტატუსის განსაზღვრად უნდა გამოვიყენოთ დასაქმებულთა (დაქირავებულთა) რაოდენობა, რომლის სტატისტიკური სიდიდე განისაზღვროს შესაბამისად: მიკრობიზნესისთვის 10, ხოლო მცირე ბიზნესისათვის კი 50 კაცამდე. მიკრობიზნესს არ უნდა ეკრძალებოდეს დაქირავებული შრომა.

ეკონომიკაში მცირე ბიზნესის განვითარებას ხელი უნდა შეუწყოს ტურიზმის, მწვანე ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის მიმართულებით და ა.შ.

ამდენად, ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას ლეიტმოტივად უნდა გასდევდეს მცირე ბიზნესისთვის კუთვნილი ადგილის დამკვიდრება, რადგან ის შრომის ბაზრის რეგულირებისა და უმუშევრობის შემცირების ერთ-ერთი ფაქტორია

### გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., კაკულია ე., მცირე ბიზნესის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი საქართველოში. 2009.
2. ჩიქობავა მ., კაკულია ნ., მაკროეკონომიკა. 2010.
3. საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსი. თბ., 2011.
4. საქართველოს სტატისტიკური წელიწადი, 2014.
5. მეწარმეობა საქართველოში, 2014.
6. Горфинкел В., Швандар В. Малый бизнес организация экономика управление. М., «ЮНИТИ», 2003.
7. Материал из википедии – свободной энциклопедии. Борьба с безработицей.
8. Мазоль С. Экономика малого бизнеса. Минск, «Книжный Дом», 2004.
9. Речмен Д., Мескон М., Боуви К., Тилл Д. Современный бизнес в 2 т., М., «Республика», 1995



**SMALL BUSINESS – A FACTOR OF UNEMPLOYMENT DECREASE****Annotation**

The article shows the methods of unemployment decrease, simultaneously on all types and separate types of unemployment. On the bases of materials developed countries is shown the role of small business in employment and the decrease of unemployment. In this aspect is studied the current situation in Georgia. There exists the opinion on the necessity of small business development as of a factor of unemployment decrease and is shown the potential of the country.

*Константин Викторович Павлов***ИНВЕСТИЦИИ И ИННОВАЦИИ ИНТЕНСИВНОГО И ЭКСТЕНСИВНОГО ТИПА**

В последнее время всё больше внимания уделяется вопросам формирования в России инновационной экономики, что совершенно справедливо, т.к. это позволит уменьшить зависимость уровня и темпов социально-экономического развития страны от получаемых доходов вследствие экспорта сырьевых ресурсов. Важно также и то, что в результате этого улучшится имидж России, которую пока ещё нередко отождествляют с сырьевым придатком капиталистического мира. Таким образом, в целом мировой опыт действительно свидетельствует о том, что рост инвестиций в инновационные сферы экономики способствует ускоренному развитию народнохозяйственного комплекса страны и повышению среднего уровня жизни.

Однако это только в целом, а в каждом конкретном случае вложение инвестиций в инновационные сектора далеко не всегда способствует росту прибыли и доходов – так, в фундаментальной науке известно немало случаев, когда вложение средств не только не окупалось, но и приводило к негативным результатам. Кстати, руководство России в последнее время нередко критикует различные ведомства и организации в связи с тем, что существенные инвестиции в создание нанотехнологий пока ещё не дают ожидаемого результата. В этой связи совершенно справедлива постановка вопроса о том, насколько эффективны те или иные инвестиции и инновации.

Однако, на наш взгляд, в современных условиях этого не достаточно и кроме осуществления социально-экономической оценки эффективности инвестиций и инноваций необходимо осуществлять оценку последствий внедрения инвестиций и инноваций с точки зрения их влияния на усиление процессов интенсификации общественного воспроизводства. В этой связи нами предлагается выделять инвестиции и инновации интенсивного или экстенсивного типов в зависимости от того, способствуют ли результаты их внедрения соответственно интенсификации или, наоборот, процессу экстенсификации. Важно также в общей структуре инвестиций и инноваций выделять удельный вес, долю каждой из этих двух групп. Целесообразность осуществления такого рода классификации инвестиций и инноваций во многом объясняется тем обстоятельством, что в последнее время существенно возросла актуальность использования интенсивных методов хозяйствования. Прежде всего, это связано с демографическим кризисом последних лет – как известно, на 1000 жителей России умерших сейчас приходится в 1,5 раз больше, чем родившихся (приблизительно 15 человек против 10). В этой связи осуществление мероприятий трудосберегающего направления интенсификации представляется весьма своевременным и эффективным.

В других странах могут быть актуальными и иные направления интенсификации. Так, например, в среднеазиатских странах СНГ – Узбекистане, Туркмении, Таджикистане, Киргизии исключительно важным являются водосберегающее направление интенсификации общественного производства. В Японии, где сравнительно немного крупных месторождений природных ресурсов, весьма актуально материалосберегающее направление интенсификации, здесь же в связи с крайне ограниченным характером земельных ресурсов большое значение имеет также землесберегающее направление интенсификации. В большинстве стран мира весьма актуально энерго- и фондосберегающее направления.

Более того, даже в разных регионах одной и той же страны актуальными могут быть разные направления интенсификации: на Дальнем Востоке и на Севере России большое значение по-прежнему (т.е. как и во времена социалистической экономики) имеет трудосберегающее направление, в старопромышленных регионах Урала - в Свердловской области, Удмуртской Республике, Челябинской области – крайне актуально фондосберегающее направление интенсификации. В Белгородской области, где на высоком уровне развиты металлургическая и горнодобывающая отрасли промышленности очень эффективно осуществление мероприятий материалосберегающего направления. Таким образом, кроме выделения двух групп инвестиций и инноваций, способствующих интенсификации или экстенсификации, в первой группе целесообразно выделить несколько подгрупп, соответствующих разным направлениям интенсификации – трудо-, фондо-, материалосберегающему и т.д. в соответствии с региональной, отраслевой и структурной спецификой экономики той или иной страны. Напомним, что говоря о процессах экстенсификации и интенсификации, имеются в виду два принципиально различающихся способа достижения производственной цели. При одном происходит количественное увеличение использования ресурса, при втором на единицу выпуска продукции при решении производственной задачи экономится ресурс. Целесообразно определять поэтому интенсификацию производства как реализацию мероприятий, имеющих своим результатом экономии стоимости совокупности применяемых ресурсов. Ресурсосберегающим направлением интенсификации производства является реализация мероприятий, в результате которых экономится ресурс, например, живой труд. Таким образом, предложенный подход понимания процесса интенсификации позволяет говорить и об интенсификации производства, и об интенсификации использования отдельных факторов производства, не отождествляя эти понятия [3].

Таким образом, если существующую функциональную зависимость между экономическим результатом (обозначим его Э) от использования какого-либо ресурса (обозначим Р) представить в виде  $\mathcal{E} = f(P)$ , то в случае экстенсивного использования ресурса его увеличение приведёт к пропорциональному росту экономического эффекта, тогда как при

интенсивном использовании ресурса его увеличение приведёт к большему росту эффекта. Иначе говоря, если имеем два значения ресурса  $P_1$  и  $P_2$ , причём  $P_2 = n \times P_1$  ( $n$  – коэффициент пропорциональности), то в случае экстенсивного использования ресурса  $\mathcal{E}_2 = n \times \mathcal{E}_1$ , а в случае интенсивного использования  $\mathcal{E}_2 > n \times \mathcal{E}_1$ . Как можно видеть, интенсивное использование ресурса (труда, фондов, материалов, воды и пр.) обусловлено ростом ресурсоотдачи (производительности труда, фондоотдачи, материалоотдачи и т.д.), правда в вышеозначенной функциональной зависимости следует учитывать также временной лаг.

Оценить, относится ли тот или иной инвестиционный ресурс к экстенсивному и интенсивному типу также можно на основе использования таких показателей, как капиталотдача (капиталоёмкость) и фондоотдача (фондоёмкость), но не только с их помощью. Для этого, в частности, можно также использовать мультипликатор. В этой связи напомним, что в соответствии с макроэкономическим подходом объём национального дохода страны находится в определённой количественной зависимости от общей суммы инвестиций и эту связь выражает особый коэффициент – мультипликатор, причём увеличение национального дохода равно приращению общей суммы инвестиций, помноженному на мультипликатор (обычно мультипликатор обозначают буквой  $K$ ).

Для количественной оценки экстенсивных и интенсивных инвестиций мультипликатор следует представить в виде суммы двух слагаемых:

$$K = K_{\text{экт}} + K_{\text{инт}}, \text{ где}$$

$K_{\text{экт}}$  – характеризует влияние экстенсивных, а  $K_{\text{инт}}$  – интенсивных инвестиций на национальный доход. Обычно в реальной хозяйственной практике используют как экстенсивные, так и интенсивные инвестиции, поэтому, как правило, и

$\frac{K_{\text{экт}}}{K}$ , и  $\frac{K_{\text{инт}}}{K}$  больше нуля, но меньше единицы. В маргинальных случаях, когда имеет место использование либо только экстенсивных, либо только интенсивных инвестиций (что соответствует классическому экстенсивному или

интенсивному способам общественного воспроизводства),  $\frac{K_{\text{экт}}}{K}$  либо  $\frac{K_{\text{инт}}}{K}$  соответственно равны единице, тогда как второе соотношение равно нулю.

Учитывая, что в соответствии с макроэкономической теорией величина мультипликатора связана с предельной склонностью к потреблению и сбережению, выделение в мультипликаторе двух вышеозначенных слагаемых позволит также количественно оценить влияние экстенсивных и интенсивных инвестиций на показатели предельной склонности к потреблению и сбережению, а, соответственно и определению оптимальных параметров доли потребления и сбережения в национальном доходе, что имеет большое значение при разработке эффективной стратегии социально-экономического развития, т.к. от этого зависит и средний уровень жизни населения, и темпы технического перевооружения экономики.

Целесообразно, на наш взгляд, кроме общего показателя мультипликатора, характеризующего связь объёма национального дохода с общей суммой инвестиций, выделять и так называемые частные показатели мультипликатора в соответствии с различными направлениями интенсификации общественного воспроизводства. Иначе говоря, это означает, что в общем объёме инвестиций следует выделять те, реализация которых приведёт к более интенсивному использованию определённого вида ресурсов – энергетических, материальных, водных, трудовых и т.д., причём в частных показателях мультипликатора также необходимо выделять два слагаемых, т.е.

$$K_{pi} = K_{pi \text{ экт}} + K_{pi \text{ инт}}, \text{ где}$$

$K_{pi}$  – частный мультипликатор для  $i$ -го вида ресурсов;

$K_{pi \text{ экт}}$  – показатель, характеризующий влияние на национальный доход инвестиций, реализующих экстенсивный вариант использования  $i$ -го вида ресурсов;

$K_{pi \text{ инт}}$  – показатель, характеризующий влияние на национальный доход инвестиций, реализующих интенсивный вариант использования  $i$ -го вида ресурсов.

Как и в случае общего мультипликатора, для частных показателей мультипликатора величины  $\frac{K_{pi \text{ экт}}}{K_{pi}}$  и  $\frac{K_{pi \text{ инт}}}{K_{pi}}$  могут принимать любые значения в интервале от нуля до единицы, причём крайние значения этого интервала (т.е. ноль или единицу) они принимают, также как и для общего мультипликатора, лишь в случае исключительно экстенсивного (т.е. когда используются только экстенсивные инвестиции), либо исключительно интенсивного (т.е. когда используются только интенсивные инвестиции) способа воспроизводства. Для смешанного же способа воспроизводства (т.е. когда используются как экстенсивные, так и интенсивные инвестиции – случая, наиболее часто встречающегося в хозяйственной практике) рассмотренные выше соотношения обязательно будут принимать значения, больше нуля, но меньше единицы.

Говоря о смешанном способе воспроизводства, следует уточнять, идёт ли речь о преимущественно экстенсивном (т.е. когда преобладают экстенсивные инвестиции) или же о преимущественно интенсивном (т.е. когда преобладают интенсивные инвестиции) способе воспроизводства [2]. Важно учитывать также то, что говоря об экстенсивном, интенсивном и смешанном типах воспроизводства, всегда следует уточнять, идёт ли речь о воспроизводстве с учётом использования всех ресурсов в целом (и лишь только в этом случае, на наш взгляд, имеет смысл использовать термин «общественное воспроизводство»), либо же речь идёт об экстенсивном, интенсивном и смешанном типах воспроизводства, основанных на использовании лишь определённого вида ресурсов (или же совокупности некоторых, но не всех видов ресурсов). Например, рассматривают же в специальной литературе только воспроизводство населения или воспроизводство основного капитала – всё это подтверждает справедливость предложенного нами подхода. Таким образом, учитывая, что инвестиционные ресурсы – особый вид ресурсов, которые используются в процессе воспроизводства любого другого вида

ресурсов – трудовых, капитальных, материальных, водных, энергетических, природных и т.д., для определения экстенсивных и интенсивных инвестиций наряду с показателями фондоотдачи и капиталотдачи целесообразно использовать также показатель мультипликатора и его две составляющих. Что касается инноваций, то и здесь, на наш взгляд, целесообразно учитывать те социально-экономические последствия, к которым приводит их внедрение в реальную хозяйственную практику и поэтому, подобно инвестициям, выделять инновации интенсивного или экстенсивного типов в зависимости от того, способствуют ли результаты их внедрения соответственно интенсификации или, наоборот, процессу экстенсификации. Кроме этого, целесообразно выделить несколько групп инноваций, соответствующих разным направлениям интенсификации общественного воспроизводства.

Выделять разные виды и типы инноваций особенно важно в связи с тем обстоятельством, что инновации считаются формой реализации НТП, тогда как сам НТП считается важнейшим фактором интенсификации общественного воспроизводства. Поэтому получается, что инновации вроде как всегда соответствуют процессу интенсификации производства, что, однако, не соответствует действительности – на самом деле инновации могут способствовать как усилению интенсивного характера общественного воспроизводства, так и процессу экстенсификации (например, когда внедряются недостаточно новые инновации или инновации, внедрение которых не способствует экономии какого-либо ресурса).

Выделение инвестиций и инноваций экстенсивного и интенсивного типов важно не только с теоретической, но и с практической точки зрения. Дело в том, что процесс интенсификации является важнейшим условием повышения конкурентоспособности национальной экономики, причём в обозримом будущем роль и значение этого процесса в связи с исчерпанием и усложнением условий добычи и эксплуатации ряда важных природных ресурсов ещё более возрастут. В связи с этим внедрение инвестиций и инноваций интенсивного типа будет способствовать также повышению экономической безопасности страны.

Рассматривая различные формы и направления инвестиций с точки зрения их влияния на процесс интенсификации общественного производства в России, следует отметить, что доля интенсивных инвестиций в общей структуре иностранных инвестиций существенно меньше по сравнению с аналогичным показателем в структуре внутренних инвестиций, что, на наш взгляд, в значительной степени объясняется нежеланием Запада технологически усилить российскую экономику. Сравнивая прямые и портфельные инвестиции, можно констатировать, что в первом случае возможности реализации интенсивных инвестиций существенно выше, чем во втором.

Как известно, в зависимости от выбранной инвестиционной стратегии субъекта хозяйствования выделяют несколько различных портфелей инвестиций и, в частности, консервативный портфель, когда предполагается инвестирование в мало доходные, но стабильные объекты; доходный портфель, в соответствии с которым инвестиции осуществляются в объекты, гарантированно приносящие высокие доходы и рискованный портфель, формирование которого связано с осуществлением инвестирования в объекты, приносящие наибольший, но не гарантированный доход. Целесообразность выбора конкретного портфеля инвестиций с точки зрения максимального использования имеющихся потенциальных возможностей в отношении внедрения интенсивных инвестиций в значительной мере определяется отраслевой и региональной спецификой, однако можно констатировать, что в будущем в связи с усложнением условий осуществления общественного воспроизводства значение рискованного портфеля как предпосылки роста доли интенсивных инвестиций существенно возрастёт. Таким образом, можно видеть, что лишь создание системы эффективных и взаимосвязанных мер и условий хозяйствования на разных уровнях иерархии – макро-, мезо- и микроуровне позволит существенно увеличить использование в обозримом будущем в российской экономике интенсивных инноваций и инвестиций, однако наибольшее значение в этой системе всё же имеет использование комплекса мер государственного регулирования развития народнохозяйственного комплекса страны.

Интенсификация общественного производства является одной из важнейших тенденций развития мировой экономики [1]. Особенно эта тенденция проявляется в развитых капиталистических странах. Это объясняется тем обстоятельством, что интенсификация, важнейшим фактором которой является научно-технический прогресс, является обязательным условием и материально-технической основой существенного повышения социально-экономической эффективности и ускорения темпов развития народно-хозяйственного комплекса страны. Интенсификация производства является также одним из важнейших факторов повышения конкурентоспособности отечественной продукции. Действительно, в современных условиях именно наукоемкие технологии — роботизация, биотехнология, электронно-вычислительная техника позволяют достигать высоких стандартов, уровня и качества жизни.

#### ИСПОЛЬЗОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. Андреев В.А., Павлов К.В. Интенсификация общественного производства в свете институциональной теории / Общество и экономика. 2006. № 6. С. 152-162.
2. Александров Г.А. Курсом интенсификации. М.: Экономика, 1998. 158 с.
3. Павлов К.В. Интенсификация экономики в условиях неопределённости рыночной среды. М.: Магистр, 2007. 271 с.

*Konstantin Pavlov*

#### INVESTMENTS AND INNOVATIONS: INTENSIVE AND EXTENSIVE TYPE Annotation

The article deals with the socio-economic characteristics of the use of investment and innovation, facilitating greater intensification of social reproduction process. Mainly deals with the problems of analysis and the use of investment and innovation intensive type in the Russian economy.

როგორც ცნობილია, ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად. ამდენად სამეწარმეო სფეროსთვის მოგების მიღება მისი საქმიანობის ძირითადი მოტივია, რომლის სიდიდეზე სხვადასხვა ფაქტორები ახდენს გავლენას. მათ შორის ერთ-ერთ ფაქტორად ძირითადი საშუალებებიც განიხილება.

ძირითადი საშუალებები მონაწილეობას იღებენ სწორედ იმ პროდუქციის შექმნაში, რომლის რეალიზებასაც ახდენს საწარმო და იღებს მოგებას. ძირითადი საშუალებების აღრიცხვა რეგულირდება ბასს 16-ით - „ძირითადი საშუალებები“. რომლის თანახმად: ძირითადი საშუალებები არის ის მატერიალური აქტივები, რომლებიც:

ა) იმყოფება საწარმოს მფლობელობაში და გამოიყენება საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის;

ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

როგორც საგადასახადო კოდექსით, ასევე ბასს-ით ძირითად საშუალებებს აჯგუფებენ ერთნაირი ბუნებისა და ეკონომიკური დანიშნულების მიხედვით, რაც მასზე ცვეთის დარღვევის პროცესს აადვილებს.

საწარმოს განკარგულებაში არსებული ყველა მატერიალური აქტივი არ მიეკუთვნება ძირითად საშუალებებს. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებიდან გამომდინარე, ბასს-ი ძირითად საშუალებებად აღიარებს ისეთ მატერიალურ აქტივებს, რომლებიც ერთდროულად აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და
- საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

აღიარება კი გულისხმობს ობიექტის ძირითადი საშუალებების აღიარების კრიტერიუმებთან შესაბამისობის შემოწმებას და უკანასკნელის დადასტურების შემთხვევაში მის აღრიცხვას შესაბამის ბუღალტრულ ანგარიშებზე: 2100 – ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმს, თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით. რომელიც მოიცავს:

- შესყიდვის ფასს, საიმპორტო საბაჟოსა და დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და შეღავათების გარეშე;
- ნებისმიერ დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;
- აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის ადგენის დანახარჯებს, თუ საწარმო იღებს ასეთ ვალდებულებას შექმნის მომენტში.

ძირითადი საშუალებების თვითღირებულებაში არ შეიტანება და მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარდება:

1. ახალი სიმძლავრეების, პროდუქციისა და მომსახურების ათვისების დანახარჯები;
2. პერსონალის სწავლებისა და რეკლამის დანახარჯები;
3. ადმინისტრაციულ და სხვა ზედნადები დანახარჯები.

ძირითად საშუალებებში განივთვლება ეკონომიკური სარგებელი, რომელიც მიიღება მათი გამოყენების პერიოდის განმავლობაში. პერიოდს, რომელშიც ძირითად საშუალებას შეუძლია მოიტანოს ეკონომიკური სარგებელი, ეწოდება სასარგებლო მომსახურების ვადა.

ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციით მიღებული ეკონომიკური სარგებლის აღიარებით აღიარებული უნდა იქნეს მასზე გაწეული ხარჯიც. ამ მიზნით ძირითად საშუალებებს ერიცხება ცვეთა.

ბასს-ის თანახმად ძირითადი საშუალებების ცვეთა არის აქტივის ცვეთადი ღირებულების მოხმარებული ნაწილის სისტემატური განაწილება, მისი მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთადი ღირებულება არის აქტივის თვითღირებულება ან ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივის ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული სხვა თანხა, ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ძირითადი საშუალებების ყოველი ერთეულის ნაწილს, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი ღირებულება ერთეულის მთლიან ღირებულებასთან მიმართებაში, ცვეთა ცალ-ცალკე უნა დაერიცხოს. საწარმო ადგენს ძირითადი საშუალებების ერთეულის თავდაპირველად აღიარებული მნიშვნელოვანი წილის მოცულობას და ცვეთას აღრიცხავს ცალ-ცალკე, თითოეულ ასეთ ნაწილს.

ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივში განივთვებული ეკონომიკური სარგებელი საწარმოს მიერ გამოიყენება სხვა აქტივების საწარმოებლად და ცვეთის თანხა სხვა აქტივის ღირებულების ნაწილს შეადგენს და ჩართულია მის საბალანსო ღირებულებაში.

აქტივს ცვეთა დაერიცხება იმ დროიდან, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკურ საქმიანობაში მისი გამოყენება. აქტივის ცვეთადი ღირებულება უნდა განაწილდეს სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა არ წყდება მაშინაც კი, როცა აქტივი ხდება გამოუყენებელი ან გამოსულია აქტიური მოხმარებიდან, მანამ, სანამ აქტივს სრულად არ დაერიცხება ცვეთა. აქტივზე ცვეთის დარიცხვა შეწყდება იმ დროიდან, როდესაც იგი გასაყიდად კლასიფიცირდება.

ბასს-ით აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება:

ა) პერიოდით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია საწარმოს მიერ აქტივის გამოყენება; ან

ბ) პროდუქციის ან მსგავსი ნაწარმის რაოდენობით, რომლის მიღებაც მოსალოდნელია საწარმოს მიერ მოცემული აქტივის გამოყენებით.

ცვეთის გაანგარიშებისათვის გამოყენებულმა მეთოდმა უნდა ასახოს საწარმოს მიერ ამ აქტივიდან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მიღების ხასიათი. საწარმოს მიერ არჩეული მეთოდი უნდა გამოიყენებოდეს მუდმივად

პერიოდებიდან პერიოდამდე მანამ, სანამ არ შეიცვლება მოცემული აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის გამოყენების მოსალოდნელი მოდელი. ბასს-ით გათვალისწინებულია ცვეთის დარიცხვის შემდეგი მეთოდები:

- წრფივი მეთოდი;
- შემცირებადი ნაშთის (დაჩქარებული ცვეთის) მეთოდი;
- წარმოების ერთეულთა ჯამის მეთოდი.

თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საგადასახადო მიზნებისათვის საამორტიზაციო ანარიცხები ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება საგადასახადო კოდექსის 111-ე მუხლის მიხედვით, რაც ერთგვარ დახვეწასა და ბასს-თან აღნიშნული მუხლის შესაბამისობაში მოყვანაზე მეტყველებს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საგადასახადო კოდექსის მოთხოვნებიდან გამომდინარე, გადასახდის გადამხდელს უფლება არ აქვს, ამავე კოდექსის 111-ე მუხლით გათვალისწინებულ მეორე და მესამე ჯგუფის აქტივებზე გამოიყენოს დაჩქარებული ამორტიზაციის ნორმა, მაგრამ არაუმეტეს მოცემული განაკვეთის ორმაგი ოდენობისა. ეს ის აქტივებია, რომელთაც ამორტიზაცია 20%-იანი განაკვეთით ერიცხება.

ცვეთის დარიცხვა გატარდება შემეგნაირად:

**დებეტი — 7170, 7455 —** ცვეთისა და ამორტიზაციის ხაჯები

**კრედიტი — 2200 —** ძირითადი საშუალებების ცვეთა

ე. ი. ძირითად საშუალებებზე დარიცხული ცვეთა აღიარდება ხარჯებად. მათ შორის საწარმოო დანიშნულების ძირითად საშუალებებზე დარიცხული ცვეთის ხარჯი შეიტანება პროდუქციის/მომსახურების თვითღირებულებაში **7170** – ცვეთისა და ამორტიზაციის ხაჯების **ანგარიშზე**, რითაც მცირდება დასაბეგრი შემოსავალი. ხოლო არასაწარმოო დანიშნულების ძირითად საშუალებებზე დარიცხული ცვეთის თანხა აღიარდება საერთო ხარჯებში ანგარიშზე **7455** – ცვეთისა და ამორტიზაციის ხაჯები, რითაც მცირდება საკუთარი მოგება.

საგადასახადო კოდექსი მეწარმეს აძლევს არჩევანის საშუალებას, განსხვავებულად მოახდინოს ძირითადი საშუალებების ამორტიზებადი თანხის გამოქვითვა ერთობლივი შემოსავლიდან.

ეკრძალ, მუხლი 112-ის თანახმად: „ძირითადი საშუალებების მიმართ, გარდა საწარმოს კაპიტალში შეტანილისა, გადასახდის გადამხდელს უფლება აქვს, სრულად გამოქვითოს ამ აქტივების ღირებულება იმ საგადასახადო წელს, როდესაც ძირითადი საშუალებები ექსპლუატაციაში შევიდა.“ რაც თავისთავად გავლენას ახდენს მოგების გადასახადის შემცირებაზე. ეს კი ერთგვარ ინვესტიციად შეიძლება ჩაეთვალოს საწარმოს, რაც დადებით გავლენას მოახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა თუ ფინანსურ შედეგებზე.

მეწარმემ ამავდროულად უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ ძირითადი საშუალებების ღირებულების სრულად გამოქვითვის უფლების გამოყენების შემთხვევაში იგი ვალდებულია იგივე მეთოდი გამოიყენოს ყველა შემდგომი შესყიდული (წარმოებული) ძირითადი საშუალების მიმართ.

ძირითადი საშუალებების ღირებულების სრულად გამოქვითვის შემთხვევაში მეწარმე გადასახადის გადამხდელს უფლება არ აქვს, არჩეული გამოქვითვის ნორმა შეცვალოს 5 წლის განმავლობაში. ამასთანავე, გამოქვითვის ასეთი ნორმის არჩევა უნდა მოხდეს იმ საგადასახადო წელს, როდესაც ძირითადი საშუალებები ექსპლუატაციაში შევიდა.

ძირითადი საშუალებების ღირებულების სრულად გამოქვითვა არ ნიშნავს მათი ბალანსიდან ჩამოწრას. ძირითადი საშუალებები, როგორც წესი, დარჩება ბალანსზე და დაერიცხება ფინანსური ცვეთა. გამოქვითვა ხდება მხოლოდ საგადასახადო მიზნებისათვის.

გასათვალისწინებელი ის გარემოება, რომ ძირითადი საშუალებების ღირებულების სრულად გამოქვითვის უფლება არ ვრცელდება ისეთ ძირითად საშუალებებზე, რომლებიც არ ექვემდებარება ამორტიზაციას. ამორტიზაცია არ ერიცხება საგადასახადო კოდექსის 111-ე მუხლის მიხედვით მიწას, ხელოვნების ნიმუშებს, სამუზეუმო ექსპონატებს, ისტორიული მნიშვნელობის მქონე ობიექტებს, ასევე 1000 ლარამდე ღირებულების ძირითად საშუალებებსა და ბიოლოგიურ აქტივებს.

1000 ლარამდე ღირებულების ძირითადი საშუალებები მილიანად გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან იმ საგადასახადო წელს, როცა იგი ექსპლუატაციაში გადაეცა, ხოლო ბიოლოგიურ აქტივებზე გავრეული ხარჯი გამოიქვითება ერთობლივი შემოსავლიდან იმ საანგარიშო წელს, როცა იგი ფაქტობრივად იქნა გავრეული.

აქტივად აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების ესა თუ ის ერთეული, რომლის რეალური ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ, უნდა აისახოს გადაფასებული თანხით, რომელიც გადაფასების მომენტისათვის არსებული აქტივის რეალური ღირებულების ტოლია, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურებული ზარალის თანხების გამოკლებით. გადაფასება რეგულარულად უნდა ტარდებოდეს იმისათვის, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი რეალური ღირებულებისგან საანგარიშებო პერიოდის ბოლოს.

როდესაც გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება, ნამეტი უნდა აღიარდეს სხვა სრულ შემოსავალში და დაგროვდეს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „გადაფასების ნამეტის“ სახელწოდებით. ამასთან, გადაფასების ნამეტი მოგებაში ან ზარალში უნდა აღიარდეს იმ ოდენობით, რამდენიც საჭიროა იმავე აქტივის ჩამოფასების თანხის საკომპენსაციოდ, რომელიც ადრე მოგებაში ან ზარალში აღიარდა.

თუ აქტივის გადაფასების შედეგად მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება, ეს შემცირება მოგებაში ან ზარალში უნდა აღიარდეს. ამასთან, შემცირების თანხა უნდა აღიარდეს სხვა სრულ შემოსავალში იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემცირების თანხა ამცირებს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „გადაფასების ნამეტის“ სათაურის ქვეშ დაგროვილ თანხას.

ძირითადი საშუალებების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება :

ა) გაყიდვის შემთხვევაში; ან

ბ) როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

აღიარების შეწყვეტის აღრიცხვა ითვალისწინებს გასული ძირითადი საშუალებების ჩამოწერას და მიღებული ფინანსური შედეგის დადგენას. ჩამოწერით მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა. შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გასვლის წმინდა ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის.

ძირითადი საშუალებების უსასყიდლოდ გადაცემის დროს ჩამოიწერება: აქტივი თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთა, ხოლო გაწეული ხარჯი აღიარდება ზარალად.

თუ მაგალითად, კომპანიამ საქველმოქმედო ორგანიზაციას აჩუქა კომპიუტერი, რომლის თვითღირებულებაც 2 500 ლარი იყო, დარიცხული ცვეთის თანხა 700 ლარი, ხოლო ტრანსპორტირების ხარჯმა შეადგინა 150 ლარი, ამ ოპერაციით საწარმომ მიიღო ზარალი 1950 ლარის ოდენობით. ეს ოპერაცია ბუღალტრულად აისახება:

დ – 2260 – ოფისის აღჭურვილობის ცვეთა – 700

დ – 8290 – სხვა არასაოპერაციო ხარჯები –150

დ – 8220 – არასაოპერაციო ზარალი – 1800

კ – 2160 – ოფისის აღჭურვილობა –2500

კ – 1100, 1200 – ფულადი საშუალებების ამსახველი ანგარიშები –150.

როგორც ვხედავთ, ძირითადი ფონდების მოძრაობასთან დაკავშირებული სამეურნეო ოპერაციები გარკვეულ გავლენას ახდენს საწარმოს ფინანსურ შედეგებზე, რაც ერთობ საყურადღებოა და გასათვალისწინებელია არა მარტო აღრიცხვის დარგის მუშაკების, არამედ საწარმოს მენეჯერებისა და მესაკუთრებისთვისაც.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები. ოფიციალური დოკუმენტები 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

2. საქართველოს საგადასახადო კოდექსი.

3. ა. ხორავა, ნ. კვაცაშიძე, ნ. სრესელი, ზ. გოგრიჭიანი. ბუღალტრული აღრიცხვა. თბ., 2014.

4. დ. სოლოლაშვილი, ე. უდესიანი. ბუღალტრული აღრიცხვა. ფინანსური აღრიცხვა. ქუთაისი, 2010.

*Dali Sologashvili*

## THE IMPACT OF OPERATIONS OF THE FIXED ASSETS MOVEMENT ON A COMPANY'S FINANCIAL RESULTS Annotation

The article deals with such movement of fixed assets and related transactions, which have a financial impact on the industry's performance. The article deals with some getting and leaving operations, calculation of amortization amount and recognition as expense issues.

Particular attention is paid to deduction of the value of fixed assets from gross income, which is very significant and should be considered not only by accounting sector workers, but also by company managers and owners.

*მირონ ტულუში*

### მართვის ფუნქციების მართვულად გაბეზისათვის

მართვის ფუნქციებისადმი დაინტერესება დაახლოებით 100 წლის წინათ გამოიკვეთა, მაგრამ, ვფიქრობთ, მასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი დაზუსტება-სრულყოფას დღესაც საჭიროებს. იგი ეხება მართვის ძირითადი ან საბაზო ფუნქციების განსაზღვრას და მათი ზედმეტად დანაწილებისგან უარის თქმას, ზოგიერთი ფუნქციის არსისა და მნიშვნელობის დაზუსტებას და ა.შ.

აღნიშნული საკითხის სწორად ფორმულირება და გაგება, ჩვენი აზრით, ძალზე მნიშვნელოვანია სტუდენტებისათვის, განსაკუთრებით კი ბაკალავრებისათვის (მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს, მათი საგანმანათლებლო პროგრამებიდან გამომდინარე, მეტი შესაძლებლობა აქვთ, თვითონვე დრმად ჩაწვდნენ საკითხის არსს), რადგან მართვის აღნიშნული საკვანძო საკითხის განსხვავებული ინტერპრეტაციები მათ დაბნეულობას იწვევს და ხელს უშლის, ამ მხრივ, მყარი ცოდნის ჩამოყალიბებასა და ლოგიკური აზროვნების განვითარებას.

დავიწყოთ იმით, რომ ავტორთა უმეტესობა იზიარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მართვის ფუნქციები მრავალია, რასაც ჩვენც ვეთანხმებით. სხვადასხვა ავტორის აზრით ის შეიძლება იყოს ოთხი, ხუთი, ათი, თხუთმეტი და მეტიც კი. მაგალითად, არმსტრონგი [11], დესსლერი [13], ვესნინი [12], პუგანოვი [21] და სხვები ადამიანური რესურსების მენეჯმენტის 23 და მეტ ფუნქციასაც კი ასახელებენ. ისინი ადამიანური რესურსების მენეჯმენტის პროცესის ნებისმიერ შემადგენელ ელემენტს ფუნქციას უწოდებენ, რაც აღსაქმელად ძალიან ძნელია. თუმცა, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ვესნინი [12], ამავე დროს, პერსონალის მართვის 8 ძირითად ფუნქციასაც გამოყოფს, ესენია: **დაგეგმვა, ორგანიზაცია, განკარგვა, კოორდინაცია, მოტივაცია, კონტროლი, ინფორმირება და განვითარება** [12, გვ.9].

ყოველივე ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ავტორთა დიდი ნაწილი იზიარებს მოსაზრებას, რომ შეიძლება მართვის ფუნქციების გამსხვილება და მათი 4-5 ფუნქციის სახით წარმოდგენა (მესკონი, ალბერტი, ხედლოური, რობინსი, კოულტერი, დაფტი და სხვები), რაც ჩვენ უფრო მართებულად მიგვაჩნია, ვიდრე მართვის ფუნქციების ზედმეტად დანაწევრება. ამიტომ, წინამდებარე სტატიაში ჩვენ მართვის გამსხვილებული სახით წარმოდგენილ ძირითად, საბაზისო ფუნქციებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

ცნობილია, რომ მართვის ფუნქციების (დაგეგმვის, შრომის სტიმულირების აუცილებლობის და ა.შ.) შესახებ მსჯელობა მეცნიერული მენეჯმენტის სკოლის წარმომადგენლებმა დაიწყო, მაგრამ მართვის

პროცესში განსახორციელებელი ფუნქციები მეტ-ნაკლებად სრულად, პირველად, მართვის კლასიკურმა სკოლამ ჩამოაყალიბა. ამ საქმეში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა აღნიშნული სკოლის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, მენეჯმენტის მამად აღიარებულმა ანრი ფაიოლმა (1841-1925), რომელიც საფრანგეთში 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა სამთო-მეტალურგიულ სინდიკატს. მან 1916 წელს გამოაქვეყნა საყურადღებო ნაშრომი – „სამრეწველო საწარმოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები: **განჭვრეტა, ორგანიზაცია, განკარგვა, კოორდინაცია, კონტროლი**“, რამაც, შეიძლება ითქვას, გარდატეხა შეიტანა მართვის ფუნქციების ჩამოყალიბებაში. აღსანიშნავია, რომ ფაიოლი, ზემოქანთოვლილ ფუნქციებში მართვის პროცესის ყველა ასპექტს მოიაზრებდა.

ა. ფაიოლმა, ფ. ტეილორთან, ჰ. ფორდთან, ურვიკთან, მუნთან და სხვა აღიარებულ სპეციალისტებთან ერთად, შემდგომშიც გააგრძელა მუშაობა მართვის მეცნიერული თეორიის სხვადასხვა საკითხზე. ამ მხრივ მუშაობა, შეიძლება ითქვას, რომ დღესაც გრძელდება (მაგალითად, ბოლო პერიოდში წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს კონტროლინგის, როგორც სისტემური მართვის, თანამედროვე კონცეფციის პრაქტიკული რეალიზაცია, რომლის მიზანი ორგანიზაციების ხანგრძლივადიანი არსებობის უზრუნველყოფაა). მიუხედავად იმისა, რომ ფაიოლის ცნობილი ნაშრომის გამოქვეყნებიდან თითქმის 100 წელი გავიდა, მართვის ძირითადი (საბაზო) ფუნქციების შესახებ განსხვავებული აზრი დღესაც არსებობს. ამასე მართვის ფუნქციების შესახებ მსოფლიოში აღიარებული მკვლევრების განსხვავებული განმარტებები მიუთითებს:

- **მესკონის, ალბერტისა და ხელოურის** მიხედვით, „**მართვა არის დაგეგმვის, ორგანიზაციის მოტივაციისა და კონტროლის პროცესი**, რომელიც აუცილებელია ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად“ [20, გვ. 38];

- **სტივენ რობინზი და მერი კოულტერი** მიიჩნევენ, რომ მენეჯმენტის ფუნქციებია: „**დაგეგმვა, ორგანიზაცია, ხელმძღვანელობა და კონტროლი**“ [25, გვ. 9];

- **რ. დაფტის** აზრით, „მენეჯმენტი – ესაა ორგანიზაციის მიზნების ეფექტიანი და მწარმოებლური მიღწევა **დაგეგმვის, ორგანიზაციის, ლიდერობის (ხელმძღვანელობის) და კონტროლის** მეშვეობით“ [18, გვ. 34].

მართვის (მენეჯმენტის) საკითხზე ქართულ ენაზე გამოცემული სახელმძღვანელოების, დამხმარე სახელმძღვანელოების თუ ლექციების კურსის გაცნობის შედეგად ნებისმიერი დაინტერესებული სპეციალისტი შეიძლება დარწმუნდეს, რომ მათი ავტორების უმრავლესობაზე აშკარაა მენეჯმენტის უცხოელი სპეციალისტების ნაშრომების გავლენა. მაგალითად, ქართულ ენაზე გამოცემულ მართვის (მენეჯმენტის) სახელმძღვანელოებსა თუ ლექციების კურსში გადმოცემული ძირითადი საკითხების (მათ შორის მართვის ფუნქციების) შინაარსიდან ნათლად იკვეთება ესა თუ ის ავტორი რომელი უცხოელი სპეციალისტის მოსაზრებებს იხიარებს.

**ე. ბარათაშვილი და ლ. თაკალანძე** მართვის ფუნქციებს სხვადასხვა ნიშნით ყოფენ. მათი აზრით, არსებობს მართვის ტექნიკური ფუნქცია, ფინანსური ფუნქცია, ადმინისტრაციული ფუნქცია და ა.შ. ადმინისტრაციული ფუნქციებია: **დაგეგმვა, კოორდინაცია, სტიმულირება და კონტროლი**“ [1, გვ. 140].

**შ. შაჭავარიანი** მიიჩნევს, რომ „მართვის ფუნქციებია: **დაგეგმვა, ორგანიზება, მოტივაცია, კონტროლი და კოორდინაცია** წარმოადგენს მენეჯმენტის საფუძვლების საკვანძო თემებს“ [2, გვ. 92];

**გ. შინაშვილის და კ. რუსიძის** მოსაზრებით, „მენეჯმენტში ხელმძღვანელობის სისტემა აგებულია მენეჯმენტის ოთხი ფუნქციის საფუძველზე. ესენია: **დაგეგმვა, ორგანიზაცია, ხელმძღვანელობა და კონტროლი**“ [6, გვ.7].

**მ. ტულუში და ნ. ყირიმლიშვილი** [5, გვ. 39], **გ. შუბლაძე, ბ. მღებრიშვილი და ფ. წოწკოლაური** [7, გვ. 46], **მ. ხარხელი და გ. ქეშელაშვილი** [9, გვ. 37], **თ. ხომერიკი** [10, გვ. 42] და სხვები მართვას განიხილავენ, როგორც პროცესს, რომელიც შედგება ერთმანეთთან დაკავშირებული „**დაგეგმვის, ორგანიზაციის, მოტივაციისა და კონტროლის ფუნქციებისაგან**“.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში მართვის ძირითადი (საბაზო) ფუნქციების შესახებ სრული თანხმობა არ არსებობს, მაინც შეიძლება ითქვას, რომ ავტორთა უმრავლესობა მხარს უჭერს იმ კლასიფიკაციას, რომლის მიხედვით, მართვის (მენეჯმენტის) ფუნქციებია: **დაგეგმვა, ორგანიზაცია, მოტივაცია და კონტროლი**. მაგრამ, რადგან არსებობს ამ ფუნქციების განსხვავებული ინტერპრეტაციები (თანაც, მსოფლიოში აღიარებული სპეციალისტების მიერ) საჭიროა მათი განხილვა და შეფასება. მართვის (მენეჯმენტის) ძირითადი (საბაზო) ფუნქციების ჩამონათვალად ჩანს, რომ სამი ძირითადი ფუნქცია: „**დაგეგმვა**“, „**ორგანიზაცია (ორგანიზება)**“ და „**კონტროლი**“ ყველა მათგანში ფიგურირებს, ერთ-ერთ ფუნქციად კი ზოგიერთ მათგანში მოხსენიებულია „**მოტივაცია**“ (მესკონი, ალბერტი, ხელოური), ზოგიერთში – „**ხელმძღვანელობა**“ (რობინზი, კოულტერი და სხვები), სხვაში (დაფტი) კი „**ლიდერობა (ხელმძღვანელობა)**“. ამ მხრივ კიდევ უფრო განსხვავებულია ფაიოლისეული კლასიფიკაცია, რომელშიც, როგორც აღვნიშნეთ, მართვის ფუნქციებად ჩათვლილია „**განჭვრეტა**“, „**განკარგვა**“ და „**კოორდინაცია**“ რაც, ჩვენი აზრით, მეტად საყურადღებოა.

უნდა აღინიშნოს, რომ **ფაიოლს** მართვის ფუნქციების შესახებ ზემოაღნიშნულთან შედარებით რამდენადმე განსხვავებული განმარტებაც აქვს. კერძოდ, „**მართვა ნიშნავს დაგეგმვასა და პროგნოზირებას, ორგანიზებასა და გუნდის ხელმძღვანელობას, კოორდინირებასა და კონტროლს**“ [17, გვ. 20]. მისი ნაშრომიდან ჩანს, რომ მომავლის „განჭვრეტაში“ ფაიოლი ორგანიზაციის განვითარების დაგეგმვასა და პროგნოზირებას გულისხმობდა. ან, სხვანაირად თუ ვიტყვით, ფაიოლი დაგეგმვას წინასწარგანჭვრეტის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად განიხილავდა. ამიტომ, არც არის გასაკვირი, რომ, დროთა განმავლობაში, პროგნოზირების ფუნქცია (რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოიკვეთოს მომავლის შესახებ ხედვა და შეგაფასოთ განვითარების შესაძლო ვარიანტები) დაგეგმვის ფუნქციასთან გაერთიანდა. ამდენად, ფაიოლისეული მომავლის „განჭვრეტის“ „დაგეგმვის“ ფუნქციაში გარდასახვა სრულიად გასაგებია.

ფაიოლი მართვის ერთ-ერთ ფუნქციად „**გუნდის ხელმძღვანელობას**“ მოიაზრებდა. იგი გუნდის წევრების მაღალ პროფესიონალიზმს, კარგად კოორდინირებულ საქმიანობას, ურთიერთთანადგომასა და დახმარებას საერთო წარმატების განმსაზღვრელ ფაქტორად მიიჩნევდა. ამასთან, გუნდის ხელმძღვანელობაში ის „განკარგვის“ ფუნქციას, ანუ მენეჯერების მიერ გაცემული განკარგულებების, ბრძანებების, მითითებების

ერთობლიობასაც გულისხმობდა, რომელზეც დიდად იყო დამოკიდებული დასახული მიზნების ეფექტიანად განხორციელება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მან განსაზღვრა ნებისმიერი ორგანიზაციისათვის დამახასიათებელ მოქმედებათა ექვსი მიმართულება (ტექნიკური, საფინანსო, უსაფრთხოების, საადრინციხო და მმართველობითი საქმიანობა), რომელთაგან მმართველობით საქმიანობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

თანამედროვე ორგანიზაციაში არავინ უარყოფს მთელი მენეჯერული საქმიანობის ეფექტიანი კოორდინაციის როლსა და მნიშვნელობას, პირიქით, მას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, მაგრამ მართვის სპეციალისტთა უმრავლესობა მას „ორგანიზების“ ფუნქციაში მოიაზრებს, რასაც ჩვენც ვეთანხმებით და, ვფიქრობთ, ეს საკამათო არ უნდა იყოს.

ფაიოლის მიერ განსაზღვრულ მართვის ფუნქციებში ცალკე გამოყოფილი არ არის „მოტივაციის“ ფუნქცია. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ორგანიზაციის მისიისა და მიზნების ეფექტიან რეალიზებაში მმართველობისა თუ რიგითი პერსონალის საქმიანობის სტიმულირების დიდი მნიშვნელობა ფაიოლს გააზრებული არ ჰქონდა. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა ის, რომ ფაიოლის ზემოაღნიშნული ნაშრომის გამოქვეყნებამდე, ფ. ტეილორის ნაშრომში „მეცნიერული მენეჯმენტის პრინციპები“ (1911) მოტივაცია მინეუღია ადამიანების უმეტესობის მთავარ მამოძრავებელ ძალად, აგრეთვე ყურადღება გამახვილებულია სტიმულირების პროგრამებზე. იგივე შეიძლება ითქვას ჰ. ემერსონის ნაშრომის „ეფექტიანობის თორმეტი პრინციპის“ (1913) შესახებაც, რომელშიც ეფექტიანი შრომის სტიმულირების საკითხს ჯეროვანი ყურადღება აქვს დათმობილი. ამდენად, ფაიოლს, თუნდაც აღნიშნული ნაშრომების გავლენით, მართვაში მოტივაციის როლისა და მნიშვნელობის შესახებ სრული წარმოდგენა არ შეიძლება არ ჰქონოდა, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ის „მოტივაციას“ ცალკე ფუნქციის სახით არ განიხილავდა. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მოგვიანებით, ფაიოლმა, მის მიერ ჩამოყალიბებულ მართვის პრინციპებში „პერსონალის წახალისება“ ცალკე პრინციპად გამოყო და დასძინა, რომ „ანაზღაურება უნდა ასახავდეს ორგანიზაციის მდგომარეობას და ახდენდეს მომუშავეთა შრომის მწარმოებლურობის ამაღლების სტიმულირებას“. მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ „მოტივაციის“ მნიშვნელობის საგრძნობი ამაღლება და მართვის ძირითად (საბაზისო) ფუნქციებში მისი ცალკე ფუნქციად ჩამოყალიბება ფაიოლის შემდგომ პერიოდს უკავშირდება.

რ. დაფტის აზრით, ლიდერობის (ხელმძღვანელობის), როგორც მენეჯმენტის ერთ-ერთი ფუნქციის მნიშვნელობა მუდმივად იზრდება. ლიდერობა (ხელმძღვანელობა) მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მომუშავეებზე, რათა წარმატებით იქნეს რეალიზებული ორგანიზაციის მიზნები. დაფტი ეფექტიანი ხელმძღვანელობაში გულისხმობს ისეთ ვითარებას, როცა „ყველა მუშაკი სრულად იზიარებს ორგანიზაციის მიზნებს, ფასეულობებსა და კულტურას, ერთობლივი ეფექტიანი საქმიანობით ცდილობს მიადწიოს მაღალ შედეგებს“ [18, გვ. 20]. ის თვლის, რომ ასეთ წარმატებებს შეიძლება მიადწიოს ლიდერის თვისებების მქონე ხელმძღვანელმა, რომელსაც შეუძლია ორგანიზაციის ყველა წევრამდე დაიყვანოს ორგანიზაციის მიზნები და შექმნას სტიმული მათ შესასრულებლად. ის ასეთ ლიდერებად მოიხსენიებს ლი იაკოკას, გენერალ უ. გრინს, გ. კელლუგერს და სხვებს, რომლებმაც, ხელქვეითებზე შთამბეჭდავი გავლენის წყალობით, მკვეთრად აამაღლეს შრომისადმი მოტივაცია [18, გვ. 21]. ამასთან, რ. დაფტი ზემოაღნიშნული სახელმძღვანელოს მე-16 თავში დეტალურად განიხილავს მოტივაციის კონცეფციებსა და საფუძვლებს, მოტივაციისადმი ტრადიციულ და თანამედროვე მიდგომებს, შინაარსობრივ და პროცესუალურ თეორიებს და ა.შ., რაც იმაზე მიუთითებს, რომ ის კარგად აცნობიერებს ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნების რეალიზებაში მოტივაციის როლსა და მნიშვნელობას, თუმცა წარმატების გარანტიად მაინც ლიდერების (ხელმძღვანელების) საქმიანობას თვლის. დაფტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სამუშაო გუნდის ფორმირებას, განვითარებასა და ეფექტიან საქმიანობას, უპირველესად კი მათი ხელმძღვანელების მიერ ლიდერის თვისებების გამოვლენას<sup>11</sup>.

ხელმძღვანელობის შესახებ რობინზისა და კოულტერის მოსაზრებები, ძირითადად, ფაიოლისა და მინცბერგის შეხედულებებს ემყარება. საყოველთაოდ ცნობილია მინცბერგის მოსაზრებები მმართველობითი საქმიანობის სპეციფიკისა და თავისებურებების შესახებ, რომ მან ხანგრძლივი ექსპერიმენტების საფუძველზე სიღრმისეულად შეისწავლა მმართველობითი და არამმართველობითი შრომის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები და ნაშრომში „მმართველობითი შრომის ბუნება“ (1973) დაასკვნა, რომ მათ შორის არსებითი განსხვავებაა. დღეს, ამ საკითხზე არავინ კამათობს და ყველა თანხმდება იმაზე, რომ „საამქროს უფროსისა და კომპანიის პრეზიდენტის საქმიანობაში ბევრად მეტი საერთოა, ვიდრე საამქროს უფროსისა და მისდამი დაქვემდებარებული პირების შესასრულებელ ფუნქციებში“. იგივე შეიძლება ითქვას ხელმძღვანელის მინცბერგისეულ 10 როლზე, რომლებიც მან, სამ მსხვილ ჯგუფში გააერთიანა (პიროვნებათაშორისი როლი, ინფორმაციული როლი და გადაწყვეტილების მიღების როლი), აგრეთვე იმის შესახებაც, რომ „ცალკეულმა პიროვნებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ხელმძღვანელის ამა თუ იმ როლის ხასიათზე, მაგრამ არა მის შინაარსზე“.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მართვის ფუნქციების, კერძოდ კი „ხელმძღვანელობის“ ფუნქციის მართვის ცალკე ფუნქციად გამოყოფისას ისევე, როგორც დაფტი, რობინზი და კოულტერიც საერთო წარმატების მიღწევაში არ უარყოფენ „მოტივაციის“ უდიდეს მნიშვნელობას. ეს მათ სახელმძღვანელოში განხილული „მოტივაციის“ საკითხების ჩამონათვალიდანაც კარგად ჩანს. კერძოდ, „მენეჯმენტის“ სახელმძღვანელოს 2013 წლის ელექტრონულ ვერსიაში (თავი 17) რობინზი და კოულტერი დეტალურად განიხილავენ მოტივაციის არსსა და მნიშვნელობას, მოტივაციის ადრინდელ და თანამედროვე თეორიებს, მოტივაციის თანამედროვე აქტუალურ საკითხებს, მაღალნაყოფიერი შრომის წამახალისებელი პროგრამების დამუშავების მნიშვნელობასა და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი მოტივაციას მართვის ძირითად (საბაზო) ფუნქციად არ თვლიან,

<sup>11</sup>საინტერესოა გუნდების დაფტისეული კლასიფიკაცია. მისი აზრით, არსებობს ვერტიკალური, ჰორიზონტალური, სპეციალიზებული, თვითმართვადი გუნდები. იგი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს გუნდების განვითარების საკითხს, მათ შორის გუნდებში კონფლიქტური სიტუაციების ეფექტიანად მართვას და ა.შ.



მიიხსენიან, რომ ხელმძღვანელები, მათი საქმიანობის ნებისმიერ ეტაპზე აუცილებელია იყვნენ ცოდნის მოტივაციის შესახებ.

ეკონომიკურ ლიტერატურაში მენეჯმენტში გამოყენებული ცნებების შესახებ განსხვავებული შეფასებები იშვიათად არ არის, ასეა მაგალითად, „მართვისა“ და „ხელმძღვანელობის“ შემთხვევაშიც. მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ მენეჯმენტის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართა დიდი ნაწილი იზიარებს მოსაზრებას, რომ „ხელმძღვანელი“ და „მმართველი“, „ხელმძღვანელობა“ და „მართვა“, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის გარკვეული განსხვავებაც არსებობს<sup>132</sup>, ძირითადად, იდენტური ცნებებია. ამასთან, ისინი მართვის დონეების დახასიათებისას „ხელმძღვანელებსა“ და „მმართველებს“ სინონიმურად განიხილავენ. მაგალითად, მესკონის, ალბერტის, ხედოურისა და სხვების აზრით, „არსებობს ხელმძღვანელების (მმართველების) სამი დონე (რგოლი): დაბალი, საშუალო და მაღალი. [20, გვ. 41-44 და ა.შ.]. ვენსინის აზრით კი „მენეჯმენტი“ ტრანსფორმირებულია ცნებაში „ხელმძღვანელობა“, „მენეჯმენტი“ გულისხმობს მართვის პროცესს და იმ პირებს, რომლებიც მას ახორციელებენ, ანუ მმართველებს“ [12, გვ. 7-8].

„ხელმძღვანელობისა“ და „მართვის“ ცნებების შინაარსობრივ მსგავსებას ჩვენც ვეთანხმებით და მიგვაჩნია, რომ ამას აღნიშნულ საკითხზე არც ფაიოლისა და არც მინცბერგის მოსაზრებები ეწინააღმდეგება.

სანამ მართვის ძირითად, საბაზო ფუნქციებად „ხელმძღვანელობის“ თუ „მოტივაციის“ შესახებ ჩვენ მოსაზრებას წარმოვადგენთ, შემოვთავაზებთ რამდენიმე დასკვნას:

- ეფექტიანი ხელმძღვანელობა ეფექტიანი მართვის აუცილებელი პირობაა, იგი მისი საფუძველია, რომლის გარეშე შეუძლებელია ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნების სრულად რეალიზება;
- ეფექტიანი ხელმძღვანელობა ბევრად არის დამოკიდებული ლიდერის თვისებების მქონე მმართველზე, რომელსაც შეუძლია ორგანიზაციის მისიისა და მიზნების კარგად გაცნობიერება და მათი სრულად რეალიზაციისათვის აუცილებელი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;
- მაღალეფექტიანი თუ ნაკლებადეფექტიანი ხელმძღვანელობა შესაბამის გავლენას ახდენს მართვის პროცესზე მთლიანად და არა მხოლოდ მისი ცალკეული ფუნქციის შესრულებაზე;
- მართვის ძირითადი, საბაზო ფუნქციების ჩამონათვალი მიზანშეწონილია, იყოს მცირერიცხოვანი (არა უმეტეს 4 ან 5-ისა), რათა არ გაძნელებს მათი აღქმა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ მესკონის, ალბერტის, ხედოურისა და სხვების მოსაზრებას, რომ „ეფექტიანი ხელმძღვანელობის გარეშე შეუძლებელია ეფექტიანად შესრულდეს დაგეგმვის, ორგანიზების, მოტივაციისა და კონტროლის ფუნქციები“ [20, გვ. 463]. მაშასადამე, ეფექტიანი ხელმძღვანელობა არის ეფექტიანი მართვის საერთო საფუძველი, მისი განხორციელების უმნიშვნელოვანესი საშუალება, რომლის წარმატებით გამოყენებაზე მთლიანად არის დამოკიდებული არა მხოლოდ ეფექტიანი მოტივაციის, არამედ, სხვა ძირითადი ფუნქციების (დაგეგმვის, ორგანიზებისა და კონტროლის) განხორციელება. უფრო მეტიც, სხვადასხვა რგოლის ხელმძღვანელების (განსაკუთრებით კი უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელების) კარგად კოორდინირებული საქმიანობის გარეშე შეუძლებელია „დაგეგმვის“, მათ შორის „სტრატეგიული დაგეგმვის“ მეტად რთული ფუნქციის ეფექტიანად განხორციელება, ამასთან, საფუძვლიანად გააზრებული მიზნებისა და დაბალანსებული გეგმების გარეშე კი აზრს დაკარგავდა როგორც პერსონალის „მოტივაცია“, ასევე „ორგანიზებაც“ და „კონტროლიც“. იგივე შეიძლება ითქვას „მოტივაციის“ შესახებაც. პერსონალის არასრულფასოვანი მოტივაციის შემთხვევაში საფრთხე შეექმნებოდა თუნდაც ყოველმხრივ დასაბუთებული გეგმების და შესაბამისად ორგანიზაციის მიზნების შესრულებას და, შესაძლებელია, მთელი ორგანიზაციის არსებობასაც კი.

რაც შეეხება „ხელმძღვანელ-ლიდერებს“, ისინი, ისევე, როგორც „მოტივაციის“ შემთხვევაში, „დაგეგმვის“ ფუნქციის განხორციელების პროცესშიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, რათა ზედმიწევნით სწორად შეფასდეს ორგანიზაციის შიგა და გარე გარემო, მისი ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები და განისაზღვროს განვითარების მიმართულებები. ყველას კარგად უნდა ახსოვდეს, რომ პერსონალის მოტივაცია არ არის განპირობებული მხოლოდ ეფექტიანი ლიდერების პიროვნული თვისებებით და ვერც იაკოკა, ვერც გრინი და ვერც სხვები მხოლოდ მაღალი ავტორიტეტისა თუ სხვა პიროვნული თვისებების მაქსიმალურად რეალიზებითაც კი ვერ შეძლებდნენ პერსონალის მაღალ დონეზე მოტივირებას. ამისათვის, ზემოაღნიშნულთან ერთად, აუცილებელია ორგანიზაციაში არსებობდეს შესაბამისი გარემო პირობები (ეფექტიანი შრომის წახალისების სისტემა და მისი განხორციელების შესაძლებლობები, კარგი სამუშაო გარემო და ა.შ.).

ამრიგად, მართვის ძირითად, საბაზო ფუნქციებში „მოტივაციის“ ფუნქციის „ხელმძღვანელობის“ (რობინზი, კოულტერი) ან „ლიდერობის (ხელმძღვანელობის)“ ფუნქციებით (რ. დაფტი) ჩანაცვლება მიზანშეუწონელია და მართვის ფუნქციების – „დაგეგმვის“, „ორგანიზების“, „მოტივაციისა“ და „კონტროლის“ სახით ჩამოყალიბების მართებულობა, ჩვენი აზრით, ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ., მენეჯმენტის საფუძვლები. თბ., 2010.
2. მაჭავარიანი შ., მენეჯმენტის საფუძვლები, თეორიები, კონცეფციები და პრაქტიკული მიდგომები. „მეგობრობა“, თბ., 2014.
3. პაიჭაძე ნ., ჩოხელი ე., ფარესაშვილი ნ., ადამიანური რესურსების მენეჯმენტი. „სიტკვა“, თბ., 2011.
4. პაიჭაძე ნ., პერსონალის მართვა. თსუ-ს გამომცემლობა, 2003.
5. ტულუში მ., ყირიმლიშვილი ნ., მენეჯმენტი. „ინოვაცია“, 2011.

<sup>132</sup>მაგალითად, ორგანიზაციის ხელმძღვანელში (organizational leader) გულისხმობენ ადამიანს, რომელიც, იმავდროულად, ლიდერია და ეფექტიანად ხელმძღვანელობს მისი ხელქვეითების საქმიანობას. მაგრამ, ამავე დროს, პრაქტიკაში არცთუ იშვიათია შემთხვევა, როცა ყველა ლიდერი ვერ ახერხებს, იყოს ეფექტიანი მმართველი და და ყველა ხელმძღვანელი, არცთუ იშვიათად, ვერ ავლენს ლიდერისათვის დამახასიათებელ თვისებებს.

6. შიხაშვილი გ., რუსიძე კ., პროექტების მენეჯმენტი. „მერიდიანი“, თბ., 2010.
7. შუბლაძე გ., მღებრიშვილი ბ., წოწკოლაური ფ., მენეჯმენტის საფუძვლები. „უნივერსალი“, თბ., 2008.
8. შუბლაძე გ., მესხია ი., ნანიტაშვილი მ., საერთაშორისო მენეჯმენტი. „უნივერსალი“, თბ., 2012.
9. ხარხელი მ., ქეშელაშვილი გ., მენეჯმენტის საფუძვლები. სახელმძღვანელო, „საინო“, თბ., 2013.
10. ხომერიკი თ., მენეჯმენტი. „ინოვაცია“, თბ., 2008.
11. Армстронг М., Практика управления Человеческими ресурсами. 10-е издание, „Питер“, 2012.
12. Веснин В. Р., Управление Персоналом, Теория и практика. Учебник, М., 2008.
13. Десслер Г. Управление персоналом. Пер. С англ., М., 2000.
14. Друкер П., Менеджмент: задачи, обязанности, практика. М., 2008.
15. Друкер П., Задачи менеджмента в XXI веке. М., 2000.
16. Кибанов А. Я., Мамед-заде Г. А., Родкина Т. А., Управление персоналом. М., 2000.
17. Орлов А. И., Менеджмент. М., из-во „Измруд“, 2003.
18. Ричард Л. Дафт, Менеджмент. Питер, 2008.
19. Стивен Робинз, Мери Коултер, Менеджмент. Москва, Санкт-Петербург-Киев, 2007.
20. Мескон М.Х., Альберт М., Хедоури Ф. Основы менеджмента: пер. С англ. Под ред. Л.И. Евенко. – М., Дело, 2005.
21. Пугачев В. П., Руководство персоналом организации. Учебник, М., 2000.
22. Файоль А., Эмерсон Г., Тейлор Ф., Форд Г., Управление – это наука и искусство. М., „Республика“, 1992.
23. Daft Richard L., New Era of Management. Vanderbilt University., Inc., 2010.
24. Hitt M., Black J., Porter L., Management. Pearson Education, Inc., 2005.
25. St. P. Robbins, Mary Coulter, Management. Twelfth Edition, 2013, ელექტრონული ვერსია.

*Miron Tugushi*

**FOR PROPER UNDERSTANDING OF MANAGING FUNCTIONS  
Annotation**

The article emphasizes the different interpretations of the basic managing functions by different authors. It also contains the review of the hypothesis by Henri Fayol, St.P.Robbins, Mary Coulter, Daft Richard together with Georgian scholars opinion.

According to the author, the main basic managing functions are the following: "planning", "organizing", "motivating", "controlling"; he considers unacceptable to replace the "motivating" function with "Leadership" or "Leader" function.

The author thinks that "Leadership" or "Leader" functions are the basis of the effective management and is necessary to implement all basic functions and not only one (even motivation).

*თეა უღესიანი*

**ეფექტიანობის კვლევა და მისი გამოყენება ეფექტიანობის აუდიტის პროცესში**

ეფექტიანობის აუდიტი აუდიტის იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება დამოუკიდებელი კვლევა ორგანიზაციების, სახელმწიფო პროექტებისა და პროგრამების ეკონომიურობის, მიზანშეწონილობისა და პროდუქტიულობის დასადგენად. ეფექტიანობის აუდიტის მეშვეობით უნდა იქნეს შესწავლილი შესაძლებელია თუ არა კონკრეტული შედეგის მიღწევა მინიმალური ფინანსური დანახარჯებით და შესაძლებელია თუ არა კონკრეტული ფინანსური სახსრებით უკეთესი შედეგის მიღწევა.

ეფექტიანობის აუდიტის პროცესში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნევა ისეთი მეთოდების შერჩევა და გამოყენება, რომლის მეშვეობითაც უზრუნველყოფილი იქნება იმის დადგენა, თუ როგორ შეიძლება ეფექტიანობის გაუმჯობესება და არაეფექტიანი ქმედებების თავიდან აცილება. ეფექტიანობის აუდიტის სრულყოფისათვის აუცილებელ პირობად გვევლინება ეფექტიანობის კვლევის პრაქტიკის დანერგვა როგორც ორგანიზაციებში დონისძიებების დაგეგმვის ეტაპზე, ასევე ეფექტიანობის აუდიტის ჩატარების პროცესში. **ეფექტიანობის კვლევა არის დაგეგმილი ან განხორციელებული დონისძიებების სისტემატურად მოქმედი და დოკუმენტური კვლევა აღიარებული მეთოდების გამოყენებით.**

ეფექტიანობის აუდიტის ჩატარების დროს ეფექტიანობის აუდიტორის მიზანი უნდა იყოს იმის შეისწავლა, განხორციელდა თუ არა აუდიტის ობიექტების ხელმძღვანელების მიერ ეფექტიანობის კვლევა და დადებითი პასუხის შემთხვევაში არის თუ არა განხორციელებული ეფექტიანობის კვლევა საიმედო. ამ მიდგომაზე დაფუძნებული ეფექტიანობის აუდიტი იქნება იმის გარანტია, რომ აუდიტის შედეგად გაცემული დასკვნა მაქსიმალური ობიექტურობით ასახავს რეალურ სურათს.

ეფექტიანობის კვლევის ჩატარებისას უნდა მოხდეს შემდეგი ასპექტების გაანგარიშება:

- ინვესტიციის (ასიგნების) გამოყენების მთლიანი პერიოდის შესაბამისად შედეგის მოქმედების მთლიანი პერიოდის განხილვა (საჭიროებისამებრ დაგეგმვის პორიზონტი);
  - პირდაპირი და არაპირდაპირი შედეგების გათვალისწინება (ხარჯების/შედეგები);
  - ალტერნატივების შედარებისას ფლობის სხვადასხვა მიმართულებების გათვალისწინება და ა.შ
- ეფექტიანობის კვლევა აუდიტის ობიექტის შიდა პროცესს წარმოადგენს, რომლის დროსაც მმართველობითმა რგოლმა უნდა ჩაატაროს კვლევა, მმართველობითი ქმედების განხორციელებისათვის რომელი ალტერნატივა უფრო ეფექტიანი. ეფექტიანობის აუდიტორმა უნდა შეამოწმოს რამდენად მიღწეულია მმართველობის მიერ დასახული მიზანი (შედეგობრიობა) და ქმედება ეფექტიანად განხორციელდა თუ არა.

ეფექტიანობის კვლევას საფუძვლად უნდა დაედოს ეფექტიანობის ძირითადი პრინციპი - არსებული რესურსების ყველაზე ოპტიმალური გამოყენება. აღნიშნული პრინციპი ერთნაირად ეხება როგორც მიკრო და

მაკროეკონომიკური მნიშვნელობის ღონისძიებებს, ასევე ორგანიზაციების სტრუქტურულ ცვლილებებსა და ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებს.

ეფექტიანობის კვლევის დროს სავალდებულოა ამოცანების კრიტიკული ანალიზი. კერძოდ:

აუცილებელია თუ არა კონკრეტული ამოცანის დაგეგმილ დროში განხორციელება მოცემული სახით?


არსებობს თუ არა სხვა ალტერნატივები აღნიშნული მიზნის მისაღწევად?

შესაძლებელია თუ არა დასახული ამოცანის ოპტიმირება შიდა პროცესების შეცვლის გზით?

ეფექტიანობის კვლევა გადაწყვეტილების მიღების საფუძველს უნდა წარმოადგენდეს, რომელიც გამოყენებული იქნება, როგორც დამხმარე საშუალება დაგეგმვის ფაზაში და, ამასთანავე, როგორც წარმატების კონტროლის ინსტრუმენტი შესრულების ფაზაში. ეფექტიანობის კვლევა იმ ორგანიზაციებში უნდა განხორციელდეს, რომლებიც პასუხს აგებენ განხორციელებულ ღონისძიებებზე. ხოლო დიდი მოცულობის სამუშაოების შემთხვევაში ეფექტიანობის კვლევა საფუძველად უნდა დაედოს ბიუჯეტის შედგენის პროცესს. ეფექტიანობის კვლევის პროცესის მიზანია მაქსიმალურად რაციონალური გახადოს რესურსების გამოყენება და ხელი შეუწყოს ეფექტიანი განაწილების პროცესს.

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ეფექტიანობის კვლევის სტრუქტურა წარმოდგენილი იყოს როგორც მიკროეკონომიკურ (ლოკალური მნიშვნელობის ღონისძიებებისათვის), ასევე მაკროეკონომიკურ ჭრილში. ეფექტიანობის კვლევის მიკროეკონომიკური გაანგარიშებისას შესწავლილი უნდა იქნეს მმართველობითი რგოლის გადაწყვეტილებების უშუალო გავლენა უწყების ხარჯებზე, უწყების შემოსავლებზე, უწყების პროდუქტზე და ა.შ. ხოლო მაკროეკონომიკურ ჭრილში გაანგარიშებისას შესწავლილი უნდა იქნეს უშუალო გავლენა საგადასახადო შემოსავლებზე, ქვეყნის ეკონომიკის გაუმჯობესებაზე, საერთო კეთილდღეობაზე და ა.შ.

**მიკროეკონომიკური ღონისძიებების ეფექტიანობის გაანგარიშების ძირითადი მეთოდები**



**სტატისტიკური მეთოდი (მონეტარული შეფასება):** ამ მეთოდის დროს ძირითადად გამოიყენება მიახლოებითი, უხეში გაანგარიშებები. აღნიშნული ფაქტორი სტატისტიკური მეთოდის გამოყენების სიმარტივეს უზრუნველყოფს, თუმცა მიღებული შედეგის საიმედოობის ხარისხზე ახდენს გავლენას. სტატისტიკური მეთოდის დროს შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ხარჯთა შეპირისპირებითი აღრიცხვა, მოგების შეპირისპირებითი ანალიზი, რენტაბელურობის ანალიზი, ამორტიზაციის სტატისტიკური გაანგარიშება.

ეფექტიანობის კვლევის სტატისტიკური მეთოდით ჩატარება ძირითადად ემყარება ხარჯთა შეპირისპირებით აღრიცხვას, რომელიც გაიანგარიშება შემდგენიარად:

$$\text{ხარჯები} = \text{საწარმოო ხარჯები} + \text{კალკულაციური ამორტიზაცია} + \text{გაანგარიშებული პროცენტები}$$

ხარჯთა შეპირისპირებითი ანალიზის დროს ფასდება მხოლოდ შესადარებელი ობიექტების ფინანსური ხარჯები. ამ მეთოდის გამოყენება შესაძლებელია, თუ შესადარებელია მსგავსი ობიექტების საქმიანობის სფეროები. ხარჯთა შეპირისპირება იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მმართველმა რგოლმა დეტალურად შეისწავლოს და შეაფასოს ორგანიზაციის მიერ გაწეული ხარჯების რაოდენობა და საჭიროება სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით. აღნიშნული ტიპის ანალიზი ხასიათდება იმ უპირატესობით, რომლის დროსაც შესაძლებელია თავიდან იქნეს აცილებული არაეფექტური ხარჯი.

ეფექტიანობის კვლევის ჩატარებისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი პარამეტრები: პერიოდი, რამდენი ხნის განმავლობაში უნდა იქნეს გამოყენებული აქტივი და საპროცენტო განაკვეთი. მნიშვნელოვანია

სტატისტიკის სამსახურის გამოთვლილი მაჩვენებლების გამოყენება, რათა უზუსტობების რისკი მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი<sup>133</sup>.

**დინამიკური მეთოდი** ეფექტიანობის მიკროეკონომიკური კვლევის მონეტარული შეფასების მეორე მეთოდს წარმოადგენს. აღნიშნული მეთოდის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფაქტობრივი ღირებულების გაანგარიშება, სამომავლო ღირებულების გაანგარიშება, ამორტიზაციის დინამიკური გაანგარიშება და სხვა. დინამიკური მეთოდის გამოყენება საჭიროა იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება გადახდების ნაკადის გათვალისწინება და მთლიანად ექსპლუატაციის ვადის შესწავლა.

დინამიკური მეთოდის ყველაზე მოსახერხებელ და ეფექტურ ფორმას წარმოადგენს ფაქტობრივი ღირებულების მეთოდი. ფაქტობრივი ღირებულების გაანგარიშებისას ეფექტიანობის კვლევის ფარგლებში უნდა მოხდეს იმ სამომავლო შემოსავლებისა და ხარჯების პროგნოზირება და შეფასების დროისათვის გათვალისწინება, რომლებიც დაკავშირებულია შესადარებელ ობიექტებთან. ამ მეთოდის გამოყენება რეკომენდებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ინვესტიციის დადებითი და უარყოფითი მხარეების, ანუ შემოსავლებისა და ხარჯების რაოდენობრივი გაანგარიშება. ფაქტობრივი ღირებულება გაიანგარიშება ფორმულით:

**ფაქტობრივი ღირებულება = ნომინალურ ღირებულება X დისკონტირების განაკვეთი**

სადაც ნომინალური ღირებულება არის ყველა ლიკვიდურობის უზრუნველყოფელი შენატანებისა და გადახდების ღირებულების ჯამი.

**სარგებლიანობის ანალიზი (არამონეტარული შეფასების მეთოდი):** აღნიშნული მეთოდი საშუალებას იძლევა, ეფექტიანობის კვლევის პროცესში განხორციელდეს ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ფულად ღირებულებაში გამოსახვა. სარგებლიანობის ანალიზისას ის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომლებიც შესადარებელ ობიექტებს ეხება, სიტყვიერად უნდა იქნეს აღწერილი, ცალკეული დადებითი და უარყოფითი მხარეებისათვის შეფასებითი მაჩვენებლის მინიჭებით. ეს მეთოდი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ინვესტიციის (ან ღონისძიების) დადებითი და უარყოფითი მხარეების რაოდენობრივი გაანგარიშება შემოსავლებისა და ხარჯების სახით შეუძლებელია ან მხოლოდ ნაწილობრივად შესაძლებელია<sup>134</sup>.

სარგებლიანობის ანალიზის მეშვეობით შესაძლებელია კავშირის დადგენა დანახარჯებსა და სარგებელს შორის. ანალიზის პროცესში უნდა განისაზღვროს მნიშვნელოვანი და ნაკლებმნიშვნელოვანი საკითხები. სარგებლიანობის ანალიზის მიზანია არსებული რესურსების რაციონალური გამოყენება რაციონალური გადაწყვეტილებების საფუძველზე. სარგებლიანობის ანალიზისათვის საჭიროა ალტერნატიული პროექტის შემუშავება და მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირება პროექტის მიმდინარეობის მთელი პერიოდისათვის. ერთი ალტერნატიული პროექტის არსებობის შემთხვევაში არჩევანი უნდა გაკეთდეს ისეთ პროექტზე, რომლის წმინდა დღევანდელი ღირებულება დადებითი მაჩვენებელია.

ეფექტიანობის კვლევის პროცესი, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეთოდით იქნება წარმოდგენილი, უნდა განხორციელდეს:

- ღონისძიების დაწყების წინ, დაგეგმვის ფაზაში (გეგმიური);
- ღონისძიების განხორციელებისას, შუალედური შედეგის გადამოწმების მიზნით (წარმატების თანმხლები კონტროლი);
- წარმატების დასრულების ფაზაში, გეგმიური მონაცემისა და მიღებული შედეგის შედარების მიზნით (ფაქტობრივი და გეგმიური შედარება).

ეფექტიანობის აუდიტის სრულყოფას წინ უნდა უსწრებდეს ორგანიზაციებში ეფექტიანობის კვლევის პრაქტიკის დანერგვა. ეფექტიანობის კვლევის საერთო ანალიზი და შეფასება დაეხმარება ორგანიზაციის ხელმძღვანელობას მიზნებისა და ამოცანების ზუსტ, თანამიმდევრულ, გონივრულ და რაციონალურ დასახვასა და შესრულებაში. ეფექტიანობის კვლევა ხელმძღვანელობას შეუქმნის საერთო წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რამდენად ეფექტიანია ორგანიზაციის მუშაობა ყველა ასპექტში, იქნება ეს საოპერაციო თუ რესურსების ხარჯვა.

რესურსების ეფექტიანი გამოყენება საბიუჯეტო გეგმის შედგენისას ეფექტიანობისა და ეკონომიურობის პრინციპების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს. მაღალეფექტიანი შედეგის მისაღწევად აუცილებელია ყველა ფინანსური ღონისძიებისათვის ეფექტიანობის კვლევის ჩატარება, რომლის დროსაც მოხდება სხვადასხვა ხანგრძლივობისა და მნიშვნელობის პროექტების გამოიჯვანა და მათი შედარება ანალოგიური ხანგრძლივობის ალტერნატივასთან. ეფექტიანობის კვლევის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები საბიუჯეტო სახსრების დაზოგვის მთავარ წინაპირობას წარმოადგენს, ხოლო ეფექტიანობის კვლევის შედეგზე დაფუძნებული ეფექტიანობის აუდიტი მაღალი რწმუნების მქონე აუდიტორული შეფასების საფუძველია.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. ამერიკის შეერთებული შტატების გენერალური აუდიტორული ოფისი; სახელმწიფო დაწესებულებების აუდიტის სტანდარტები; 205 გვ. 2003 წლის რედაქცია.
2. ACCA აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება, წიგნი 3.1.
3. ACCA აუდიტი და შიდა მიმოხილვა, წიგნი 2.6.

<sup>133</sup> იხ. Cost-benefit and cost-effectiveness analysis. D.S. Codray, H.S. Bloom and J.R. Light (gamomcemlebi), Evaluation practice in review, San Francisco, CA: Jossey-Basis, 1987.

<sup>134</sup> ღონდაძე ნ. „ხარჯ-სარგებლის ანალიზი“-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი. 2012.

4. ეფექტიანობის აუდიტის განხორციელების ძირითადი პრინციპები – INTOSAI-ს სახელმძღვანელო.
5. ღონდაძე ნ. „ხარჯ-სარგებლის ანალიზი“-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი. 2012.

*Udesiani Tea*

**RESEARCH AND USE OF EFFECTIVENESS IN THE PERFORMANCE AUDIT PROCESS**  
**Annotation**

Performance audit is one of the categories of audit, which is carried out by independent research of organizations to determine the productivity, efficiency and expediency of state projects and programs. Performance audit enables us to explore the possibility of reaching specific outcome by using minimal financial expenses and the possibility of reaching better outcome by using specific financial resources.

The article deals with some specific issues, which are base of research of effectiveness. The structure of research of effectiveness is submitted as macroeconomic as microeconomic perspective.

*ოღლა ფაჩულია*

**კვლევა და განვითარება წამყვან კომპანიებში**

თანამედროვე პირობებში ინდივიდის ინტელექტუალური პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება, პერსონალის უწყვეტი სწავლების პროცესი მეტად აქტუალურ ელფერს იძენს. საჭიროა როგორც ადამიანის მატერიალური ინტერესების, ასევე მისი სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ მიმართული ინტელექტუალური აქტივობის მოტივაციის სისტემის შექმნა. პროცესები, რომლებიც მოტივირებენ ინდივიდის შრომით საქმიანობას, უშუალო კავშირშია სამუშაოსა და თავად მენეჯერის პიროვნებასთან, კერძოდ, მის უნართან, იყოს კრეატიული სხვადასხვა მიდგომისა და მეთოდის დანერგვაში. ინტელექტუალური აქტივობა ეფუძნება ადამიანის ისეთ მოთხოვნილებებს, როგორცაა: საზოგადოებრივი აღიარება, მიზნის მიღწევა (როგორც თვითდამკვიდრების საშუალება), დამოუკიდებლობა. პრაქტიკაში ის თავის რეალურ გამოხატულებას პოულობს ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ იმ გარემოების გაცნობიერებაში, რომ ინტელექტუალური აქტივობის მოტივაციის ამაღლების შედეგად ხდება პერსონალის ინტელექტუალური პოტენციალის განვითარება და, საბოლოო ჯამში, იზრდება მთლიანად ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობა. ცხადია, ინტელექტუალური აქტივობა ყოველთვის არის შემოქმედებითი და საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ინდივიდის მხოლოდ პირველადი მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ შეიძლება ვისაუბროთ მასზე. შესაბამისად, მატერიალური სტიმულირების გამოუმუშავება ინტელექტუალური აქტიურობის მოტივაციის სისტემაში აუცილებელია იმ ობიექტის სპეციფიკისა და თავისებურებების გათვალისწინებით, რომლისკენაც ის არის მიმართული.

ყოველი ადამიანი პოტენციურად საუკეთესო მომუშავეა, საჭიროა თითოეული ინდივიდის პოტენციალის აღმოჩენა და განვითარება<sup>135</sup>. ამიტომ კომპანიის მენეჯმენტის უმთავრეს ამოცანას უნდა წარმოადგენდეს თითოეული მომუშავეს, როგორც ყველასთვის მისაღები და თანასწორი წევრის, ჩართვა კოლექტივში, ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ინდივიდს აქვს დამოუკიდებელი მუშაობის, ინიციატივის გამოვლენისა და თვითკონტროლის შესაძლებლობა, რაც ხელს უწყობს ორგანიზაციაში საერთო ღირებულებების ფორმირებას.

საბოლოო ჯამში, მომუშავეებს უნდა მათი მოტივაცია, რომლის საფუძველია რაღაცის არასაკმარისობის გამო წარმოშობილი მოთხოვნილებები, რომელთა გარეშეც პიროვნება გრძნობს დისკომფორტს, შინაგან და გარეგან გაუწონასწორებლობას, შესაბამისად კი – მისწრაფებას, სძლიოს მას<sup>136</sup>. ორგანიზაციაში პერსონალის ინტელექტუალური პოტენციალის განვითარების სისტემა უნდა იყოს კომპლექსური, ის უნდა ეფუძნებოდეს სისტემურობის, უწყვეტობის პრინციპებს, რაც დაკავშირებულია მეცნიერული ცოდნის შექმნასთან და მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციებს.

მსოფლიოს წამყვანი კომპანიების პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ წარმატებული ფირმები მნიშვნელოვან სახსრებს იღებენ კვლევისა და განვითარებაზე. Strategy&Formerly Booz&Company-ს მოცემული აქვს ტოპ 20 კომპანია, რომლებმაც 2005 წლიდან 2014 წლის ჩათვლით, ყველაზე დიდ თანხები დახარჯეს კვლევისა და განვითარებაზე<sup>137</sup>.

გერმანული ავტომობილების მწარმოებელი კომპანია Volkswagen-ი ბოლო ათი წლის განმავლობაში მუდმივად გვხვდება აღნიშნულ ტოპ ოცეულში, ხოლო 2012-2014 წლებში ურყევად იკავებს პირველ ადგილს. ის თავისი შემოსავლების (261.6 ბილიონი დოლარი) 5.16 %-ს ხარჯავს კვლევისა და განვითარებაზე, რაც, საერთო ჯამში, შედგენს 13.5 ბილიონ დოლარს. აღსანიშნავია, რომ მის გარდა, 2011 წლიდან მსოფლიოს ტოპ ოცეულში ავტომობილების მწარმოებელი ინდუსტრიიდან კიდევ 5 კომპანია გვხვდება: Toyota, GM, Daimler, Ford, Honda.


აღნიშნულ ოცეულში მეორე და მესამე ადგილს კომპიუტერებისა და ელექტროტექნიკის მწარმოებელი კომპანიები Samsung-ი და Intel-ი იკავებენ. კომპანია Samsung-ი თავისი შემოსავლების (209 ბილიონი დოლარი) 6.41%-ს ხარჯავს კვლევისა და განვითარებაზე, რაც შეადგენს 13.5 ბილიონ დოლარს. კომპანია Intel-ი თავისი შემოსავლების (52.7 ბილიონი დოლარი) 20.11%-ს ხარჯავს კვლევისა და განვითარებაზე, რაც 10.6 ბილიონ დოლარს

<sup>135</sup> Одноминутный менеджер и ситуационное руководство. К. Бланшар. П. Зигарми. Д. Зигарми. Минск. 2002, стр. 65.

<sup>136</sup> Мескон М., Альберт М., Хедоური Ф. Основы менеджмента. М., Дело, 1992. с. 362.

<sup>137</sup> Strategy&Formerly Booz&Company, „The Global Innovation 1000: Top 20 R&D Spenders 2005-2014“ <http://www.strategyand.pwc.com/>


შეადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ Intel-ი თავისი შემოსავლებიდან ყველაზე დიდ წილს ხარჯავს კვლევისა და განვითარებაზე სხვა კომპანიებთან შედარებით.



დიაგრამა 1

კომპანიების შემოსავლების შედარება კვლევისა და განვითარებაზე გაწეულ ხარჯებთან  
 წყარო: დიაგრამა აგებულია ვებგვერდის მონაცემებზე დაყრდნობით: [www.strategyand.pwc.com](http://www.strategyand.pwc.com)

კომპანია „Volkswagen“-ის ხარჯები კვლევისა და განვითარებაზე 2011 წელს, 2010 წელთან შედარებით, 20%-ით, შემოსავლები კი მომდევნო წელს მნიშვნელოვნად, 32%-ით გაიზარდა. 2012 წელს კვლევისა და განვითარებაზე გაწეული ხარჯები 2011 წელთან შედარებით უფრო ნაკლებად, 11%-ით გაიზარდა, შედეგად - 2013 წელს შემოსავლებშიც შედარებით დაბალი, 12%-იანი ზრდა დაფიქსირდა. 2013 წელს ხარჯები კვლევისა და განვითარებაზე 13%-ით, შემოსავლები კი 6%-ით გაიზარდა (იხ. დიაგრამა 2).




დიაგრამა 2

კომპანია Volkswagen-ის მიერ გაწეული ხარჯები კვლევისა და განვითარებაზე და მისი შემოსავლების დინამიკა (2010-2014 წლების მიხედვით)

წყარო: დიაგრამა აგებულია საკუთარ გათვლებზე დაყრდნობით, ვებგვერდის მონაცემების გამოყენებით : [www.strategyand.pwc.com](http://www.strategyand.pwc.com)

კომპანია Samsung-ის შემთხვევაში 2011 წელს კვლევასა და განვითარებაზე ხარჯები 31 %-ით გაიზარდა 2010 წელთან შედარებით, ხოლო შემოსავლები - 22%-ით. მომდევნო წლებში შემოსავლებიცა და ხარჯებიც კვლევასა და განვითარებაზე ერთნაირად გაიზარდა, 2012 წელს - 11%-ით, 2013 წელს - 20% -ით და 2014 წელს 17%-ით (იხ. დიაგრამა 3).




დიაგრამა 3

კომპანია Samsung - ის მიერ გაწეული ხარჯები კვლევასა და განვითარებაზე და მისი შემოსავლების დინამიკა (2010-2014 წლების მიხედვით)

წყარო: დიაგრამა აგებულია ვებგვერდის მონაცემებზე დაყრდნობით: [www.strategyand.pwc.com](http://www.strategyand.pwc.com)

კომპანია Intel-ის ხარჯები კვლევასა და განვითარებაზე 2011 წელს, 2010 წელთან შედარებით, 5.7-დან 6.6 ბილიონ დოლარამდე, 16%-ით გაიზარდა. ამავე წელს, კომპანიის შემოსავლები 24%-ით გაიზარდა. ეს მაჩვენებელი განმეორდა მომდევნო წელსაც, 2012 წელს, 2011 წელთან შედარებით, Intel-ის შემოსავლები კვლავ 24%-ით გაიზარდა. კომპანიამ 2012 წელს შემოსავლების ზრდასთან ერთად კვლევასა და განვითარებაზე გაწეული ხარჯები მნიშვნელოვნად, 27%-ით გაზარდა, თუმცა 2013 წელს, 2012 წელთან შედარებით, კომპანია Intel-ის შემოსავლები მხოლოდ 1%-ით გაიზარდა. კომპანიამ, შემოსავლების მცირედი ზრდის მიუხედავად, კვლევასა და განვითარებაზე გაწეული ხარჯები კვლავ 20%-ით გაზარდა. 2014 წელს კვლევასა და განვითარებაზე გაწეული ხარჯები იგივე, 10.1 ბილიონი დოლარი დარჩა, თუმცა შემოსავლები 53.3 ბილიონი დოლარიდან 52.7 ბილიონ დოლარამდე, სულ 1%-ით შემცირდა (იხ. დიაგრამა 4).



დიაგრამა 4

კომპანია Intel-ის მიერ გაწეული ხარჯები კვლევასა და განვითარებაზე და მისი შემოსავლების დინამიკა (2010-2014 წლების მიხედვით)

წყარო: დიაგრამა აგებულია ვებგვერდის მონაცემებზე დაყრდნობით: [www.strategyand.pwc.com](http://www.strategyand.pwc.com)

წამყვანი კომპანიები, როგორც ვხედავთ, წარმატების მნიშვნელოვან ფაქტორად კვლევასა და განვითარებას მიიჩნევენ. პერსონალის განვითარება უზრუნველყოფს შრომის მწარმოებლურობის ზრდას, ორიენტირებულია გარკვეული საბოლოო შედეგების მიღებაზე. მისი დაფინანსება შეესაბამება დანახარჯების ეფექტიანობის პრინციპს, მაგრამ ადამიანური რესურსების განვითარებაზე დახარჯული ფინანსური სახსრების შეფასება სხვა ინვესტიციების ანალოგიურად, კერძოდ, იმ თვალსაზრისით, არის თუ არა იგი ეფექტიანი, საკმაოდ რთულია შემდეგ გარემოებათა გამო: კაპიტალის დაბანდება მატერიალიზდება თავად ადამიანის მიერ, დამოკიდებულია მის პიროვნებაზე, ორგანიზმის ფიზიკურ და ბიოლოგიურ მდგომარეობაზე. ამასთან, პერსონალის სწავლების ორგანიზება უნდა მოხდეს იმის გათვალისწინებით, თუ როგორია ადამიანის დამოკიდებულება განათლების მიმართ არა მხოლოდ საბაზო პროფესიული ცოდნის მიღების სტადიაში, არამედ მთელი ცხოვრების მანძილზე. საჭიროა მომუშავეთა ცოდნისა და შესაძლებლობების შესაბამისობაში მოყვანა, რაც მიიღწევა ინტელექტუალური აქტივობის მოტივაციის სისტემის შექმნით, ნებისმიერი შემოქმედებითი წამოწყებისა და ინიციატივის წახალისებით. მენეჯერმა, თითოეული მომუშავეს პოტენციალის გამოვლენისა და გამოყენების მიზნით, უნდა შეძლოს ორგანიზაციაში კრეატიული ატმოსფეროს შექმნა, რათა კომპანიის ყოველმა წევრმა თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი, არგუმენტირებულად დასაბუთოს საკუთარი პოზიცია და კონცეფცია. ყოველივე ზემოაღნიშნული კი უზრუნველყოფს კვლევისა და განვითარების პროცესის ეფექტიანობას და, საბოლოო ჯამში, ფირმის მიერ ბაზარზე უპირატესობის მოპოვებას.

*Olga Pachulia*

## RESEARCH AND DEVELOPMENT IN LEADING COMPANIES Annotation

The article discusses practical experience of world's leading companies and the following conclusion is given: one of the most affective investment is to put money in research and development of the company. It helps to provide future revenues and maximize incomes. Based on this, company's management should priority research and development.

Companies have to develop intellectual potential of the stuff in a nonstop regime in order to catch up current dynamic changes in business. To fulfill this, firms need to create motivation system of intellectual activity, which should be oriented to people's creativity and ability to implement ideas, to work on the creation innovative products and services. By realization the system of intellectual activity motivation, it is possible to develop the intellectual potential of the stuff and as a result, the whole effectivity of the organization increases. In order to display the potential of each employee and use their abilities managers should create creative atmosphere, which will help all the member of the organization to express their views and ideas and ground their positions and concepts by arguments. All of these, discussed above will finally make a positive influence on the companies revenues.

*ნინო ქეცავია*

## ბრენდის მართვის სპეციფიკა

ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე კომპანიის მხრიდან საქონლის (მომსახურების) ზოგად პროგრამებზე ძალისხმევის მიმართვა საკმარისი არ არის. მთავარია აქცენტის გადატანა ბრენდის დაწინაურებაზე. ბრენდი თავისთავად კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის საწინდარს (გარანტიას) არ წარმოადგენს. აუცილებელია შესაბამისი თანმიმდევრული ღონისძიებების გატარება, მოკლედ და გასაგებად, რომ ვთქვათ, საჭიროა „ბრენდის მართვა“.

სანამ უშუალოდ ბრენდის მართვის საკითხებს შევეხებოდეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ადგილი აქვს ბრენდის ცნების არევის საგაჭრო მარკასთან, სასაქონლო ნიშანთან, საფირმო სახელთან და ა. შ. ამასთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ხსენებული ტერმინები უკავშირდება მხოლოდ ფიზიკურად ხელშესახებ სფეროს, ანუ საქონლის წარმოებას. რაც შეეხება მომხმარებელს, აღნიშნული ტერმინები მისთვის არაფრის მთქმელია. საქმე ისაა, რომ მომხმარებელი სწორედ ბრენდს ყიდულობს და არა საგაჭრო მარკებს და ნიშნებს. ბრენდის ცნებაში დევს მომხმარებლის გონებაში არსებული შეუმჩნეველი და ვირტუალური ერთეულება. ბრენდი მომხმარებლის პოზიციიდან არ არის უბრალოდ საქონელი (მომსახურება) თავისი თავისებურებით და განსხვავებული ნიშნებით. ბრენდი, პირველ რიგში, არის ხელშესახები (საგრძნობი) და იმავდროულად ხელშეუხებელი (შეუმჩნეველი) სარგებლობის ნაკრები, რომელიც საქონლისა და მომსახურების მოხმარებასთან ასოცირდება. დღევანდელ რეალობაში ნათლად იკვეთება ყველა სარგებლის ხელშეუხებელი (შეუმჩნეველი) სფეროში გადასვლის ტენდენცია, რადგან სხვადასხვა საქონლით და მომსახურებით გაჯერებულ ბაზარზე ნებისმიერ კონკურენტს შეუძლია გაიმეოროს კონკურენტის ტექნოლოგია, მოახდინოს პროდუქციის გარეგანი სახის ან მომსახურების არსის კოპირება, მაგრამ ვირტუალური, წარმოსახვითი, ილუზორული სარგებლობების და თავისებურებების გამეორება შეუძლებელია. სწორედ, რომ ხშირად სარგებლობის არახელშესახებობა აიძულებს მომხმარებელს, გახდეს ერთგული. ამით გასაგები ხდება, რომ მომხმარებელი ყიდულობს არა საგაჭრო მარკებს და ნიშნებს, საქონელს და მომსახურებას, რეკლამას და შეფუთვას, არამედ ყიდულობს იმ ობიექტებს, რომლებიც მეტ-ნაკლებად საუკეთესოდ აგვარებენ მათ ყოფით პრობლემებს. რამდენადაც, ადამიანის პრობლემების უდიდესი ნაწილი არამატერიალური (არა ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური) ბუნების მატარებელია, შესაბამისად, მათი გადაწყვეტისთვის საჭირო ბრენდები განლაგებული უნდა იყოს შესაბამის სიბრტყეზე. ბრენდის ფასეულობა არა საქონლის ფასით, არამედ მომხმარებელში გამოწვეული უნიკალური ემოციური განცდებით განისაზღვრება. ბრენდზე ფასნამატი საქონლის ღირებულების 15%-ზე ნაკლები არ არის, სამაგიეროდ, ზედა ზღვარი მას პრაქტიკულად არა აქვს. მაგალითად, “ბრენდირებული” სპირტიანი სასმელები ან საიჟველირო საშაულები შეიძლება თავის უსახო ანალოგებზე 300%-ზე უფრო ძვირი ღირდეს.




როგორც აღვნიშნეთ, კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის საწინდარი არის უწყვეტ რეჟიმში ისეთი ქმედებების გატარება, რომელიც შეიძლება დახასიათდეს, როგორც “ბრენდის მართვა”.

ბრენდის მართვა – ეს არის ბრენდის ღირებულების სტრატეგიული ზრდის მიზნით სავაჭრო მარკების მართვის პროცესი. გარდა ამისა, ბრენდის მართვაში იგულისხმება ბრენდის ინდივიდუალური სახის შექმნასა და ეფექტიანობის მდგრადი ჩართული პასუხისმგებელი პერსონალი.

ნებისმიერი ბრენდის მართვის საწყისი არის ბაზარზე მისი პოზიციონირება. თანამედროვე პირობებში ბრენდის წარმატებისა და განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ოპტიმალური პოზიციის შერჩევა.

ბრენდის პოზიციონირების პროცესი სქემატურად ასე წარმოგვიდგება (ნახ.1).



ნახ. 1. პოზიციონირების პროცესი

ბრენდის პოზიციონირება ხორციელდება სამ დონეზე: ანალოგიურ საქონელთა კატეგორიაში ადგილის განსაზღვრა; ბრენდიმიჯის შექმნა; ბრენდის უპირატესობებზე მიზნობრივი აუდიტორიის ყურადღების აქცენტირება. ამასთანავე, ხდება პოზიციონირების სტრატეგიის შემოთავაზება:


- ცენტრალური ბრენდი, როგორც თავის სასაქონლო კატეგორიაში საუკეთესო წარმომადგენელი;
- დიფერენცირებული – თავის სასაქონლო კატეგორიაში ბრენდის ადგილის მკაფიო განსაზღვრა;
- მომხმარებელთა მიმართებით – სამომხმარებლო ბაზრის გარკვეულ სეგმენტზე ორიენტაცია;
- პროდუქტთან მიმართებით – მისი უპირატესობის განსაზღვრა.

პოზიციის შერჩევა ყოველთვის უკავშირდება იმ ფასების პოლიტიკას, რომელსაც ბაზრისთვის შერჩეულ ბრენდს უწესებენ.

ურთიერთკავშირი მოთხოვნა-მიწოდებას და ფასს შორის ილუსტრირებულია ნახ. 2-ზე.

მაღალი ფასი, დაბალი მოთხოვნა

მაღალი ფასი, მიწოდების მაღალი დონე



მიწოდების დაბალი დონე, დაბალი ფასი

დაბალი ფასი, მიწოდების დაბალი დონე

ნახ. 2 ოპტიმალური ფასის განსაზღვრა

ცხადია, პროდუქტზე დაბალი ფასი მაღალი მოთხოვნის გარანტიას არ იძლევა, რამდენადაც მისდამი მომხმარებელთა დიდი ნაწილის დამოკიდებულება იქნება ფრთხილი. მაღალ ფასს ასევე შეუძლია დააფრთხოს პოტენციური მყიდველებიც, თუმცა მაღალი ფასის პირობებში მოთხოვნის ზრდის უზრუნველყოფა ბრენდის, როგორც პრემიუმ კლასის პროდუქტის ხარისხში დაწინაურებითაა შესაძლებელი.

ბრენდის წარმატებული პოზიციონირებისათვის მნიშვნელოვანია ყურადღების მიქცევა იმ ბრენდებზე, რომლებიც ბაზრის იმავე სეგმენტში მონაწილეობენ. ეს საშუალებას იძლევა: პირველი – თავი დაავადწიოთ დუბლირებას, მეორე – კონკურენტების მიერ დაშვებული შეცდომების და გადაცდომების გათვალისწინებას და მესამე – ახალი ორიგინალური იდეის დაბადების შანსს.

ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, რომელიც ბრენდის პოზიციონირებისას გამოიყენება, არის პროდუქტში უნიკალური თვისების აღმოჩენა. იდეა ძალზე მარტივია: ბაზარზე წარმოდგენილ პროდუქტში ვიპოვოთ ისეთი უნიკალური და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თვისება, რომელიც მას ყველასგან განასხვავებს. თუმცა ეს მიდგომა თავის თავში შეიცავს საშიშროების ელემენტებს. სრულად შესაძლებელია წარმოვადგინოთ საკონკრეტო, რომელსაც არ გააჩნია უნიკალური თვისებები, ანდა ისინი არ არის მომხმარებლისათვის საინტერესო

(ლუდი, ბენზინი, ძრავის ზეთები, კარაქი და სხვა). ასეთ შემთხვევაში აუცილებელი არ არის ხელოვნურად საქონლის უნიკალური თვისებების აღმოჩენა. უფრო მისაღები და სწორი იქნება, თუ მათ პოზიციონირებას სხვა საფუძველი ექნება.

ბრენდის ფორმირების პროცესში კომპანიამ ნათლად უნდა განსაზღვროს, თუ როგორი უნდა იყოს თავისი ბრენდი სხვა ბრენდების გვერდით ან იყოს თუ არა გამოკვეთილად ლიდერი.

ბრენდინგში ცნობილია ე.წ. “პოზიციონირების პრინციპი”. ამ პრინციპით ფირმის გარკვეული პოზიციების დაკავება პირველ რიგში, ნიშნავს მის შენარჩუნებას, შემდეგ კი განახლებასა და გზადაგზა მის კორექტირებას.

თუ კომპანიას ფინანსური რესურსების უკმარისობის ან ბაზარზე “დაგვიანებით” გამოჩენის გამო არ შეუძლია იყოს პირველი, ლიდერობის მოსაპოვებლად არ უნდა მიმართოს უკიდურეს ფორმებს იმათ მიმართ, ვინც უკვე წარმოდგენილია ბაზარზე. პირველობის სურვილის შემთხვევაში, საჭიროა მინიმუმ ორი პირობის შესრულება: პირველი – როგორც ლიდერი, გამაგრდეს სხვა სფეროში და მეორე – მხოლოდ შემდეგ გამოხვიდეს სასურველ ბაზარზე. არის მეორე მიდგომაც. ბრენდის ლიდერი პოზიციის მოპოვება შესაძლებელია, თუ შეიქმნება პრინციპულად ახალი საქონელი, რომელსაც მიიღებს მომხმარებელი და ამით დაიმკვიდრებს ლიდერობას. ეს საკითხის მოგვარების თეორიული ასპექტია, რაც შეეხება პრაქტიკულს, კომპანიას, რომელსაც გააჩნია ძლიერი ბრენდი, უნდა გააფართოვოს ბრენდის მომხმარებელთა მიზნობრივი სეგმენტი, ბაზრის გეოგრაფია და დისტრიბუციის არხები. აღნიშნული ქმედებები პრაქტიკაში ცნობილია, როგორც „ბრენდის გაფართოება“.

ფაქტია, რომ, ხშირ შემთხვევაში, ჩვენგან დამოუკიდებლად, ცნობილი ბრენდები პოლიტიკური შემადგენლის ორბიტაში ექცევა და ამას შემთხვევით არ ვუკავშირებთ „ბრენდების გაფართოების“ საკითხს. კომპანია “პორჯომი” 2004-2006 წლებში ცნობილი რუსული და უკრაინული მინერალური წყლების მწარმოებელ კომპანიებთან შერწყმით გახდა პოლდინგი. პოლდინგმა, როგორც ბუნებრივი მინერალური წყლების უმსხვილესმა დამოუკიდებელმა მწარმოებელმა, დაიწყო სერიოზული ფიქრი მსოფლიო წყლების ბაზარზე ღირსეული სეგმენტის დაკავებაზე. საქართველოსა და რუსეთს შორის 2008 წლის ომმა და უკრაინაში მიმდინარე პროცესებმა უარყოფითი გავლენა იქონია პოლდინგის შემდგომ განვითარებაზე.

საქართველოში ბრენდზე და საქონლის ბრენდირების პროცესებზე ყურადღების მიპყრობა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო. ეს იყო პერიოდი, როდესაც ქართული კომპანიები ბრმად იყენებდნენ დასავლეთის პრაქტიკაში აპრობირებული ბრენდირების მეთოდებს, რაც თავისთავად შედეგის მომტანი არ ყოფილა და არც იქნებოდა, რამდენადაც არ არსებობდა იურიდიული და საკანონმდებლო ბაზა.

საკუთარი ეროვნული სიმდიდრის დაცვაზე ფიქრი საქართველომ ოფიციალურად 1990 წელს „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ საქართველოს კანონის“ მიღებით დაიწყო, თუმცა ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯები არ გადადგმულა. მხოლოდ 2004 წელს, „ლისაბონის შეთანხმების“ საფუძველზე, ქართული ღვინოების და მინერალური წყლების ადგილწარმოშობის დასახელების რეგისტრაციის მიზნით, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა „საქპატენტმა“ განცხადებები ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციაში წარადგინა (ისმო-ში).

2012 წლის აპრილიდან “ევროკავშირსა და საქართველოს შორის სოფლის მეურნეობისა და საკვები პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის შესახებ” შეთანხმება ამოქმედდა. შეთანხმების თანახმად, საქართველომ ევროკავშირის ქვეყნების ტერიტორიაზე დაცვის მიზნით უკვე წარადგინა 18 ქართული ღვინოს ადგილწარმოშობის დასახელება, რომელთა შორის არის „ხვანჭკარა“. ეს უკანასკნელი ამ შეთანხმებამდე ევროპის სხვადასხვა სუპერმარკეტების თაროებზე “ხვანჭკარას” თუ “ხვანჭვარას” სახელით იყო წარმოდგენილი სხვა ქვეყნების ბრენდების სახით. ამ დონის დაცვას ევროპაში ქართული ღვინოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. დღეს დაახლოებით ქართული ღვინის ექსპორტის თითქმის 20% ევროპაზე მოდის, 10% აშშ. საქართველოდან რეგისტრირებულ 70 ექსპორტიორ კომპანიას ქვეყნის ფარგლებს გარეთ წელიწადში დაახლოებით 12 მილიონი ლიტრი გააქვს.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ საქართველომ, როგორც პატარა და ეკონომიურად ჯერ კიდევ კრიზისულ სიტუაციაში მყოფმა ქვეყანამ, შეძლოს საქონლის ბრენდების მიმართულებით სრულმასშტაბიანი განვითარება, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფომ ხელი არ წააშველოს ისეთი უნიკალური და საუკუნის ისტორიის მქონე პროდუქტს, როგორცაა მაგ., უნიკალური ეროვნული ბრენდი “ლადიძის წყლები”. ყოფილ საბჭოთა სივრცეში უაღკოპოლო სასმელების წარმოების განვითარებას საფუძველი სწორედ მიტროფონე ლადიძემ ჩაუყარა. მის მიერ შემუშავებული ხილის სიროფების დამზადების ორიგინალური მეთოდები, ხილის ესენციების რეცეპტურა და მიღების ტექნოლოგიები უნიკალურია.

სახელმწიფოს, სულ ცოტა, საყოველთაოდ აღიარებული ქართული ბრენდების პოპულარიზაციით და აღიარების მიმართულებით უნდა ჰქონდეს ნება და სწორი ხედვა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელი უნდა ავიღოთ ეროვნულ ღირებულებებზე და დამოკიდებელი ვიყოთ, უმეტეს შემთხვევაში გაურკვეველი წარმოშობის უცხოურ ე.წ. „ბრენდებზე“.

*Nino Ketsbaia*

### **SPECIAL BRAND MANAGEMENT Annotation**

The process of creating a brand becomes more and more complicated in the conditions of modern economics, as their number is increasing every day. Customer's taste and demands are constantly changing and improving. Despite of these difficulties the issues of brand creation and popularization become more and more actual.

A prerequisite for vital functions of any company is performing such actions in continuous mode, which could be characterized as a “Brand Management”.

Brand Management is a process of management of trade marks for the purpose of strategic growth of brand value. Besides that under Brand Management is understood a staff responsibility for creation of individual face of the brand and achievement of efficiency.

**ნორმის არაკონსტიტუციურობა თუ მიწარმეთა კონტროლის იმპანიზმი?**

ნებისმიერ ქვეყანაში გადასახადების ადმინისტრირების პროცესი უფლებამოსილი ორგანოების მხრიდან მოიცავს გარკვეულ ღონისძიებათა ერთობლიობას. გადასახადების ადმინისტრირებით ხდება არა მხოლოდ გადასახადების ამოღება, არამედ მეწარმეებსა და საგადასახადო ორგანოებს შორის საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების პროცესში ჩამოყალიბებული ურთიერთობების რეგულირებაც. ყოველივე ეს კი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საგადასახადო ორგანოების მიერ საგადასახადო ადმინისტრირების პროცესის ეფექტიანად განხორციელებას. სახელმწიფოსა და ბიზნესსექტორს შორის ურთიერთობის ფორმები და გადასახადების ადმინისტრირების მეთოდები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ საგადასახადო ადმინისტრირების მარეგულირებელ სამართლებრივ ბაზაზე და მის შემდგომ სრულყოფაზე. შესაბამისად, მარტივი და არაორაზროვანი საგადასახადო კანონმდებლობა წარმოადგენს მეწარმეთა კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვის გარანტს და გადახედვლზე დაკისრებული ვალდებულებების პირნათლად შესრულების აუცილებელ წინაპირობას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა კონსტიტუციურ უფლებამოსილებას და განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება საგარეო ვაჭრობა, საბაჟო და სატარიფო რეგულირების და საგადასახადო კანონმდებლობის ფორმირება, აუცილებელია, ბიზნესსექტორსაც გათავისებული ჰქონდეს, რომ ეფექტიანი და სამართლიანი საგადასახადო სამართლებრივი ბაზის არსებობა არის არამარტო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, არამედ, უპირველესად, საგადასახადო ადმინისტრირების პროცესში ჩართულ მეწარმეთა საზრუნავი, რომელთა აქტიური მონაწილეობითაც უნდა განხორციელდეს აღნიშნული პოლიტიკა.

ქვეყანაში საგადასახადო ადმინისტრირების პროცესი ეფუძნება სხვადასხვა ნორმებისა და პრინციპების ერთიანობას, რომლებიც ქმნიან საგადასახადო სამართალს და, ამასთანავე, წარმოადგენენ ქვეყნის სამართლებრივი სისტემის შემადგენელ ნაწილს. აღნიშნული პრინციპებიდან აღსანიშნავია სამართლებრივი ნორმის უკუქმედების ძალის უარყოფის პრინციპი (დამძიმებისას), რომლის თანახმად, გადასახადის გადახედვლს არ დაუძიმდება პასუხისმგებლობა. კერძოდ, თუ საგადასახადო სამართალდარღვევისათვის სანქციის შეფარდების დროს კანონით გაუქმებულია ან შემსუბუქებულია პასუხისმგებლობა ასეთი ქმედების ჩადენისათვის, მოქმედებს ახალი კანონით დადგენილი ნორმა, ხოლო თუ შემოღებულია ან დამძიმებულია პასუხისმგებლობა, გამოიყენება ქმედების ჩადენის მომენტისათვის არსებული ნორმა<sup>138</sup>. იგივე აზრია გატარებული „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში – „ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს“<sup>139</sup>.

ზემოაღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე, გვიჩნდება ეჭრადღება გავამახვილოთ საგადასახადო კოდექსში არსებულ ნორმაზე (სსკ 47-ე მუხლის მე-7 ნაწილი), რომელიც სავარაუდოდ კანონმდებლის მიერ იქნა შეტანილი წინასწარი გადაწყვეტილების უპირატესობის წარმოჩენის და შემოსავლების სამსახურის მხრიდან მეწარმე სუბიექტების მსგავსი შეთავაზებით დაინტერესების მიზნით. კერძოდ, აღნიშნული რეგულაციის მიხედვით, „საქართველოს კანონმდებლობის ნორმამ, რომელიც ამძიმებს საგადასახადო მდგომარეობას და რომელსაც მიეცა უკუქცევითი ძალა, არ შეიძლება გავლენა მოახდინოს ნორმის ამოქმედებამდე გამოცემული წინასწარი გადაწყვეტილების შესაბამისად განხორციელებულ ოპერაციებზე“. აღნიშნულ ნორმაში ყურადღასღება შემდეგი ჩანაწერი „ამძიმებს მდგომარეობას და მიეცა უკუძალა“, რომელიც წარმოადგენს სადავო საკითხს. მისი აქტუალურობა მდგომარეობს შემდეგში: გამოდის, რომ აღნიშნული რეგულაციით კანონმდებელი აკეთებს დაშვებას, რომ იმ პირებზე, რომლებიც არ სარგებლობენ წინასწარი გადაწყვეტილებით, შესაძლებელია დამძიმებულ კანონს მიეცეს უკუძალა, რაც მიმართა, რომ წარმოადგენს ანტიკონსტიტუციურ ნორმას და წინააღმდეგობაშია კონსტიტუციით აღიარებულ უკუძალის პრინციპთან.

იმის გამოსარკვევად, მოცემული სადავო ნორმა კონსტიტუციურია თუ არა, პირველ რიგში უნდა გაირკვეს, თუ რა სამართლებრივი სიკეთის (სამართლებრივი დაცული ინტერესი) დაცვის გარანტიებს იძლევა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის მიხედვით, „არავინ არ აგებს პასუხს იმ ქმედებისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროს სამართალდარღვევად არ ითვლებოდა. კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს“.

იმისთვის, რომ ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას, სადავო ნორმა ეწინააღმდეგება თუ არა კონსტიტუციას, მიზანშეწონილია თვითონ პასუხისმგებლობის განმარტება. ამ კუთხით საინტერესოა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება<sup>140</sup>, რომლის თანახმად, კონსტიტუციაში მოცემული ტერმინი „პასუხისმგებლობა“ ფართო ცნებაა და მოიცავს როგორც პირის მიერ განსახორციელებულ ქმედებას და სანქციას, ასევე იმ ღონისძიებებსაც, რომლებიც პირის სამართლებრივ მდგომარეობას ცვლის. შესაბამისად, კონსტიტუციაში არსებული სიტყვები „ამსუბუქებს ან აუქმებს პასუხისმგებლობას“, გულისხმობს არა მარტო სანქციის შემსუბუქებას/გაუქმებას, არამედ ვალდებულებისაგან (ქმედებისაგან) გათავისუფლებას. შესაბამისად, თუკი ხდება ისეთი კანონის მიღება, რომელიც ამძიმებს პირის მდგომარეობას, მას არ უნდა მიენიჭოს უკუძალა.

აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის ზემოაღნიშნულ პუნქტში განმტკიცებულია სამართლის ისეთი ფუნდამენტური პრინციპი, როგორცაა კანონიერების პრინციპი (nullum crimen sine lege). ამ პრინციპის გამოვლინებაა კანონის უკუძალის აკრძალვა, რაც კანონთა დროში მოქმედების ერთ-ერთი განმსაზღვრელი გარემოებაა. კონსტიტუცია ერთი მხრივ ადგენს, რომ კანონს არა აქვს უკუძალა, მეორე მხრივ კი განსაზღვრავს იმ გამონა-

<sup>138</sup> „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“-ს 269-ე მუხლის მე-2 ნაწილი, საქართველოს პარლამენტი. ქ. თბილისი. 2010 წლის 17 სექტემბერი. კანონი 3591.

<sup>139</sup> „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 24-ე მუხლი. საქართველოს პარლამენტი. ქ. თბილისი, 2009 წლის 22 ოქტომბერი. 1876 – III.

<sup>140</sup> საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისი N1/1428,447,459 გადაწყვეტილება.

კლის შემთხვევებს, როცა მას შეიძლება მიეცეს უკუხალა. კერძოდ, კონსტიტუციის დასახელებული პუნქტის პირველი წინადადიდან ჩანს, რომ პირს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ ქმედებისათვის, რომელიც სამართალდარღვევად გამოცხადდება მას შემდეგ, როცა პირმა ჩაიდინა იგი. ამით კონსტიტუცია იცავს პირს სამართლის ნეგატიური ზემოქმედებისაგან. საქართველოს კონსტიტუციაში მოცემული რეგულაცია უზრუნველყოფს პირის შესაძლებლობას, წინასწარ დადგინდეს, საჯაროდ ხელმისაწვდომი და არაინდივიდუალური ხარისხის სამართლებრივი წესების შესაბამისად, შეძლოს იმის განჭვრეტა, თუ რა ქმედებები წარმოადგენს სამართალდარღვევებს ან/და მის მიერ შესასრულებელ ვალდებულებებს, რაც სახელმწიფოს მიერ სამეწარმეო სექტორის თვითნებური ღვევის უმნიშვნელოვანესი გარანტიაა.

უკუხალის აკრძალვა ზღუდავს კანონმდებლის თავისუფლებას, შემოიღოს ისეთი ნორმა, რომელიც მეწარმე სუბიექტს ვალდებულებას ან პასუხისმგებლობას დააკისრებდა იმ ქმედებისათვის, რაც მისი ჩადენის მომენტში არ იყო დარღვევა ან მისი შესრულება არ წარმოადგენდა აუცილებლობას და ამით არ განახორციელოს გადასახადის გადახდების მდგომარეობის დამიძევა. ამით კონსტიტუცია აღიარებს, რომ აღნიშნული პრინციპი ატარებს აბსოლუტურ ხასიათს და მისი დარღვევა დაუშვებელია. ამ პრინციპის დაუცველობის შემთხვევაში საფრთხის ქვეშ აღმოჩნდებოდა არა მარტო ცალკეული პირის კონსტიტუციური უფლებები, არამედ ღირებულებათა წესრიგი, სამართლებრივი უსაფრთხოება, რომელიც თავად წარმოადგენს კონსტიტუციურ უფლებათა არსებობის (დაცვის) საძირკველს. ღირებულებათა ნორმატიული წესრიგი ცალკეული პირის ქმედებათა (მოქმედება ან უმოქმედობა) შეზღუდვის საშუალებაა.

ვინაიდან, სწორედ კერძო სამართლებრივი ურთიერთობებისათვის სახელმწიფო მიერ დადგენილია თუ რა არ უნდა გააკეთოს პირმა, შესაბამისად, პრინციპი, რაც არ არის აკრძალული – დაშვებულია, მოქმედებს მხოლოდ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში. აღნიშნული პრინციპის უფლებებლყოფა დაუშვებელია სახელმწიფოს მხრიდან რეპრესიული ქმედებების განხორციელებისას, ვინაიდან თვითონ სახელმწიფო მკაცრად არის შეზღუდული კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებით. შესაბამისად, ასეთი წესრიგის პირობებში მეწარმეს აქვს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელმწიფო იმოქმედებს სამართლით დადგენილ ფარგლებში და მის მიერ ჩადენილ ქმედებას შეაფასებს არსებული ნორმატიული სინამდვილის პირობებში და მომავალში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები უარყოფითად არ აისახება მის მდგომარეობაზე.

აუცილებელია ბიზნესსექტორს შეექმნას დაცვლობისა და სტაბილურობის განცდა, რომ მთავრობა არ შეცვლის თამაშის წესებს, არ შემოიღებს დამატებით რეგულაციებს და დამატებით ტვირთს ბიზნესისათვის. ყველა ადგილობრივმა მეწარმემ და უცხოელმა ინვესტორმა უნდა იცოდეს, რომ შემოდის პროგნოზირებად ბაზარზე, სადაც ერთი რომელიმე პოლიტიკური ჯგუფის მიერ არ მოხდება თამაშის წესების ცვლილება და არ გაუარესდება ბიზნესგარემოების მიერ შეზღუდვა გადასახადის გადამხდელისათვის მტკიცებულად აღსაქმელია, მაგრამ როცა სახეზეა ნორმატიული აუცილებლობის შეგნება, რომ კანონმდებლის ადგილზე ყოფნის შემთხვევაში, თვითონაც ისე იმოქმედებდა, როგორც მოიქცა კანონმდებელი, ამ გაუცხოებას საფუძველი გამოეცლებოდა. ამიტომაც, რომ კანონებისადმი სანდოობა მათი კონსტიტუციურობის პრეზუმციის მნიშვნელოვანი საფუძველია. შესაბამისად, კანონმდებელმა უნდა გაითავისოს, რომ როცა ესა თუ ის კონკრეტული ქმედება არ იყო სამართლებრივი შეფასების საგანი მისი ჩადენის დროს, ის ასეთად ვერ იქცევა იმის გამო, რომ მსგავსი ქმედებანი მომავალში გახდა ამ შეფასების ობიექტი.

შესაბამისად, თუკი ხდება ისეთი მარეგულირებელი კანონის მიღება, რომელიც ამიძეებს გადასახადის გადამხდელის მდგომარეობას, მას არ უნდა მიენიჭოს უკუხალა არც წინასწარი გადაწყვეტილების მქონე მეწარმისა და არც ნებისმიერი სხვა გადასახადის გადამხდელისათვის. ვინაიდან სამართლის უზენაესობის პრინციპთან შესაბამისობისათვის აუცილებელია, რომ კანონი უზრუნველყოფდეს სამეწარმეო სექტორის უფლების ეფექტური დაცვის შესაძლებლობას ხელისუფლების მხრიდან თვითნებური ჩარევისაგან. თუ უფლებაში ჩარევაზე უფლებამოსილ პირს ზუსტად და კონკრეტულად არ ეცოდინება თავისი შესაძლო მოქმედების ფარგლები, ერთი მხრივ, უნებლიედ გაიზრდება რისკი უფლებაში არასწორი, გადამტეხული ჩარევისა, ხოლო, მეორე მხრივ, ცდუნებაც უფლების შეგნებულად ბოროტად გამოყენებისა, რისი კანონზომიერი შედეგიც არის უფლების დარღვევა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, საგადასახადო კოდექსში განხორციელდეს შესაბამისი ცვლილება და წინასწარი გადაწყვეტილების ნაწილში არსებული ნორმა მოექცეს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში, ვინაიდან კანონის რეტროაქტიულობის აკრძალვის პრინციპი ინსტრუმენტური გარანტიაა, რომელიც იცავს პირის უფლებებსა და ლეგიტიმურ მოლოდინებს. საგადასახადო კოდექსში მსგავსი სამართლებრივი ნორმის არსებობა ხელყოფს პირის შესაძლებლობას, წინასწარ განჭვრეტოს მისი ქმედების სამართლებრივი შედეგი. ამრიგად, სადავო საგადასახადო ნორმა აუცილებლად უნდა მოხდეს საგადასახადო ომბუდსმენის ინტერესის სფეროში, ვინაიდან საგადასახადო კანონმდებლობით მისი პირდაპირი მოვალეობაა, შედამხედველობა გაუწიოს საქართველოს ტერიტორიაზე გადასახადის გადამხდელთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, გამოავლინოს მათი დარღვევის ფაქტები და ხელი შეუწყოს დარღვეული უფლებების აღდგენას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია.
2. საქართველოს საგადასახადო კოდექსი.
3. ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონი.
4. საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისი N1/428,447,459 გადაწყვეტილება.

NON CONSTITUTIONALISM OF A NORM, OR CONTROL MECHANISM OF ENTREPRENEURS?!

Annotation

Simple and unambiguous tax legislation is a guarantee to protect the legitimate interests and rights of entrepreneurs, and it is a necessary prerequisite for taxpayers to fulfill their obligations honestly. Accordingly, it is important to have a regulatory legal basis for taxation in order to improve business.

It is necessary to create security and stability in business, meaning that the government does not change the rules of the game and does not impose any additional regulations and/or burdens on business. All local entrepreneurs and foreign investors need to know that they come to a market where one political group will not change the rules of the game and the business environment will not deteriorate.

ლამარა ქოქიაური

ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბების ეკონომიკური პოლიტიკები საქართველოში

საინვესტიციო გარემო იმ ეკონომიკური პირობების მდგომარეობას ასახავს, რომელიც ინვესტიციების დაბანდების მომგებიანობის, ანუ მიზიდველობის დონეს განაპირობებს. სახელმწიფო დამატებით სტიმულებს უქმნის საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას. ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ფორმირების ღონისძიებებს ფუნქციური ნიშნით აგებენ. ჩვენ ოთხ ბლოკს გამოვყოფთ:

1. საინვესტიციო პროცესის პოტენციური ფინანსური რესურსების გამოვლენა;
2. იმ მაკროეკონომიკური გარემოს შექმნა, რომელიც ხელს უწყობს ამ რესურსების ტრანსფორმირებას რეალურ საინვესტიციო მოთხოვნად;
3. საინვესტიციო პროცესის სუბიექტების სახელმწიფოებრივი სტიმულირება და ამით დამატებითი საინვესტიციო მოთხოვნის შექმნა;
4. ინვესტირების უნარის მქონე სუბიექტების ფორმირების პირობების შექმნა.

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბების პროცესის ბლოკები:

**1. პირველი ბლოკი ანალიტიკურია.** მისი ამოცანაა გამოავლინოს ფინანსური შესაძლებლობები, საინვესტიციო პროცესის რესურსები. ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის დროს ამ პოტენციურ რესურსებს შეუძლია საინვესტიციო მოთხოვნა შექმნას ქვეყანაში.

საინვესტიციო პროცესის წყაროები იყოფა შიდა და გარე წყაროებად. გარე წყაროები, თავის მხრივ, შეიძლება შედგებოდეს უცხოური კომპანიების მიერ ქვეყნის ეკონომიკაში დაბანდებული ინვესტიციებისა და სხვა ქვეყნებისა და ფონდების იმ სხვადასხვაგვარი ფინანსური დახმარებისგან, რომლებსაც სახელმწიფო იზიდავს მისი მიზნობრივი საინვესტიციო პროგრამების სარეალიზაციოდ. მაგრამ დღეისათვის ინვესტიციების გარე წყაროები უკიდურესად დაბალ დონეზე რჩება, რადგან, ერთი მხრივ, საქართველოს საინვესტიციო გარემო ხელსაყრელი არ არის კერძო უცხოური ინვესტიციებისათვის. მეორე მხრივ, ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტს მწვავედ ესაჭიროება სახსრების მოზიდვა სახელმწიფო ვალის დასაფარავად, სოციალური და სხვა პროგრამების დასაფინანსებლად და, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, სახელმწიფოს პრაქტიკულად აღარ რჩება სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამების დასაფინანსებელი სახსრები.

იმის მოლოდინი, რომ მდგომარეობა მალე გამოსწორდება, არარეალურია, რადგანაც დაგროვების პროცესი თანდათანობით ფართოვდება, მას არ შეუძლია მოწყდეს საზოგადოებაში შემოსავლების ზრდას. შემოსავლების დონე კი ლიმიტირებულია წარმოების დაბალი ეფექტიანობით, რომლის გადიდებაც ბოლო წლებში ვერა და ვერ მოხერხდა. ასეთ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უკვე დაგროვილი დანაზოგების ამოქმედებას ეროვნული მეურნეობის ინტერესებისათვის.

დაგროვების პროცესის დაბალი დონე არ იძლევა ქვეყანაში საინვესტიციო პროცესის სერიოზული აღმავლობის შესაძლებლობას. მაგრამ იგი არც ქრება, რადგან სამრეწველო საწარმოთა ნაწილმა მოახერხა საბაზრო პირობებთან ადაპტირება. ბევრმა მათგანმა თავისი პროდუქციის გასაღების საექსპორტო ნიშნებიც კი იპოვა. ფეხზე წამოდგომა იწყებენ იმპორტშემცველი დარგები.

მაგრამ საინვესტიციო მოთხოვნა მარტო წმინდა შემოსავლის ხარჯზე არ ყალიბდება, ცნობილია, რომ რეალური წარმოების მხარდაჭერა საამორტიზაციო ანარიცხების ხარჯზეც ხორციელდება. ისინი წარმოების განახლების საშუალებას იძლევიან. ეს ანარიცხები წარმოებაში ახალი ტექნიკის მოსვლის წყარო ხდება, რადგან მათი მეშვეობით შეძენილი მოწყობილობა თავისი მანქანათმშენებლობით ჯობნის ძველს. საამორტიზაციო ანარიცხებს დღეს ქვეყნის მთავარ რესურსად მიიჩნევენ, რომელიც საინვესტიციო მოთხოვნის ნახევარზე მეტს განსაზღვრავს. მაგრამ ინვესტიციების დაფინანსების ამ წყაროს სანახევროდ არადანიშნულებით იყენებენ – საბრუნავი სახსრების შესავსებად, რომელიც საინვესტიციო მოთხოვნის ნახევარზე მეტს განსაზღვრავს.

**2. ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ფორმირების მეორე ბლოკი წარმოადგენს** ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებებს ისეთი ხელსაყრელი მაკროეკონომიკური გარემოს შესაქმნელად, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების სფეროში განხორციელებულ დაბანდებათა მომგებიანობას. ღონისძიებათა ამ ბლოკმა უნდა უზრუნველყოს ფინანსური რესურსების რეალიზაცია საინვესტიციო მოთხოვნაში.

ასეთ მიმართულებებს, უპირველეს ყოვლისა, უნდა მივაკუთვნოთ მთავრობის ძალისხმევა დანაზოგების ინვესტიციებად გარდაქმნის საქმეში.

იმისათვის, რომ პოტენციური საინვესტიციო პროცესი რეალური გახდეს, აუცილებელია ფინანსური სტაბილურობა. იგი გულისხმობს მიმდინარე ინფლაციის იმ დონის შემცირებას, რომელიც საინვესტიციო პროცესს უშლის ხელს, და იმ მიზეზების აღმოფხვრას, რომლებმაც შესაძლოა მომავალში გამოიწვიონ ინფლაციური ტალღის ზრდა. მას მიაკუთვნებენ ბიუჯეტის დეფიციტის, სახელმწიფო ვალის და საგადასახდელ ბალანსის დეფიციტის გაზრდას. ესაა ურთიერთდაკავშირებული პროცესები, რომლებიც იწვევს სასაქონლო და

საფინანსო ბაზრების დაბალანსებულობის რღვევას და ეროვნული ვალუტის კურსის დაცემას, რასაც შემდეგ უფრო მაღალი ინფლაცია მოჰყვება თან.

ინფლაციას წარმოების სფეროდან სპეკულაციურ ბიზნესში გადააქვს კაპიტალი და ქვეყნის ნეგატიური საინვესტიციო გარემოს დამახასიათებელი ნიშნია. ამიტომ მიმდინარე ინფლაციასთან ბრძოლა მთავრობის მასშტაბილიზებულ, ამით კი – საინვესტიციო პოლიტიკად უნდა გადაიქცეს. ინფლაციას იმ დონეზე უნდა ვინარჩუნებდეთ, რომელიც ხელს არ შეუშლიდა ინვესტიციების ნაკადს წარმოებაში. მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე, მისი დონე არ უნდა აღემატებოდეს 40%-ს წელიწადში.

ინფლაციასთან ბრძოლის სირთულეს მრავალი ანალიტიკოსი სამართლიანად უკავშირებს ბიუჯეტის კრიზისსა და სახელმწიფო ვალს. სესხებისა და მათზე დარიცხული პროცენტების გასტუმრება აქვეითებს საზოგადოების პოტენციალს, კვეცავს მის საინვესტიციო რესურსებს. დღეისათვის მარტო სახელმწიფო ვალი ეროვნული დანახოების %-ს ნიჭავს. სახელმწიფოს საგარეო ვალის გადახდა ამცირებს ეროვნული ვალუტის კურსს, რაც ქვეყანაში ინფლაციის ახალ სპირალს აჩენს. ამიტომ სახელმწიფოს საგარეო სესხებთან დაკავშირებული სამეურნეო ურთიერთობების რეგულირება დღესაც მჭიდროდაა გადაჯაჭვული ქვეყანაში ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის ჩამოყალიბების პრობლემასთან.

სახელმწიფოს დიდი შიდა ვალი არ განაპირობებს სახსრების გასვლას ქვეყნიდან და თითქოს უარყოფით გავლენას არ ახდენს საინვესტიციო პროცესზე. მაგრამ ფაქტია, რომ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის მეტისმეტმა შემოსავლიანობამ ფინანსური რესურსების გარეშე დატოვა სხვა ბაზრები, რამაც ხელი შეუშალა ინვესტიციებს. როდესაც სახელმწიფოს არ აქვს თავისი ვალების გასტუმრების უნარი, მაშინ სახელმწიფო სავალო ვალდებულებების ბაზარი გარკვეულად კარგავს უფრო მაღალი შემოსავლების მიღების პრივილეგიებს. ამიტომ რაღაც დროის შემდეგ საგარეო ვალი თავისუფალი ფინანსური სახსრების გადმოსვლა სახელმწიფო სავალო ვალდებულებების ბაზრიდან ეკონომიკის რეალურ სექტორში.

დღევანდელ პირობებში საგარეო ვალის ზრდამ პასიური საგადასახდელო ბალანსი ჩამოაყალიბა. საგარეო ვალების არაეფექტიანად გამოყენებამ გამოიწვია მათ გასტუმრებაზე დროებით უარის თქმა. ამან დასცა ეროვნულ ვალუტაზე არსებული მოთხოვნა და მისი დეველვაცია განაპირობა, რასაც ინფლაცია მოჰყვა. მომხდარმა საფინანსო კრიზისმა დაადასტურა ეკონომიკური თეორიის დასკვნები იმის შესახებ, რომ ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის ჩამოყალიბებას თან უნდა ახლდეს მთავრობის ძალისხმევა ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის შემოსავლისა და გასავლის ნაწილების გაწონასწორებაში.

საქართველოს პირობებში, რომელიც ხანგრძლივად იმყოფება ეკონომიკურ კრიზისში, საწარმოები რთულ ეკონომიკურ გარემოში აღმოაჩინა კრიზისში მოთხოვნის და, შესაბამისად, საწარმოთა შემოსავლების დაქვეითება მოიტანა. საწარმოებს გაუჭირდათ თავიანთი ანგარიშების განაღდება, რამაც არგადახდათა ზრდა განაპირობა. მათი კიდევ უფრო გაზრდა გარდაუვლად გამოიწვევს წარმოების კოლაფსს, რადგანაც პროდუქციის ვალში გაგზავნა ამ ვალის გასტუმრების იმედის უქონლად, გარკვეულ ეტაპზე მაინც შეწყდება. ასეთ პირობებში ინვესტიციების საკითხიც კი აღარ დადგება, რადგანაც ამგვარ ვითარებაში საწარმოებს მარტივი კვლავწარმოების უზრუნველყოფაც კი არ შეუძლიათ. ამის გათვალისწინებით, სახელმწიფოს მოეთხოვება არგადახდათა აღმკვეთი ღონისძიებების გატარება. ეს პრობლემა უნდა გადაწყდეს გაკორტების მექანიზმის ამოქმედებითა და თამასუქების ბაზრის რეგულირებით. საკამათო არ არის ისიც, რომ არგადახდათა პრობლემა ეკონომიკურმა აღმავლობამაც უნდა შეარბილოს.

ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი მაკროეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბებაში დიდი როლის თამაში შეუძლია იმ ღონისძიებებსაც, რომლებიც უზრუნველყოფს ახალი კაპიტალების მოზიდვას და ხელს უწყობს კონკურენტული გარემოს შექმნას. საუბარია ანტიმონოპოლიურ პოლიტიკასა და, აგრეთვე, იმ პოლიტიკაზე, რომელიც ეკონომიკის ჩრდილოვან სექტორს ავიწროებს, როგორც მონოპოლიები, ისე ჩრდილოვანი სექტორი ზღუდავს საინვესტიციო პროცესის შესაძლებლობებს, რადგანაც აფერხებს კაპიტალის შედღვევას ეროვნულ ეკონომიკაში, იმ ინვესტიციებს უქმნის ბარიერებს, რომლებიც ახალ კაპიტალს შეეძლო მოეგნა თან.

ჩვენ ჩამოვთვალეთ ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ფორმირების მიმართულებები, ისეთები, როგორცაა დანახოების ტრანსფორმირება ინვესტიციებად, მიმდინარე ინფლაციის უკუქმედება და მისი იმ მიზეზების აღმოფხვრა, რომლებიც გრძელვადიანი მოქმედებისაა: ბიუჯეტისა და საგადასახდელო ბალანსის დეფიციტი, არგადახდელები და სხვა ფაქტორები. ისინი ხელს უშლიან საბაზრო სისტემის ნორმალურად ფუნქციონირებას (აქვე შედის ჩრდილოვანი ეკონომიკა და სამეწარმეო და საინვესტიციო პროცესისთვის სამართლებრივი ველის ფორმირების დაუსრულებლობა). აღნიშნული ასპექტებით სამეურნეო ცხოვრების შეცვლამ ხელსაყრელი მაკროეკონომიკური პირობები უნდა შეუქმნას საინვესტიციო პროცესის გააქტიურებას. გარდა ამისა, სახელმწიფომ ცენტრალური ბანკის სახით მუდმივად უნდა ადევნოს თვალყური საბანკო საპროცენტო განაკვეთების დონეს და ხელი შეუწყოს მათი დაქვეითების ტენდენციას. საბანკო პროცენტის დაწვეის მცდელობა იმ ბლოკის ღონისძიებათა უმნიშვნელოვანეს მიმართულებად უნდა იქცეს, რომლებიც წარმოების სფეროში დაბანდებიათა მომგებიანობის მაკროეკონომიკურ პირობებს უზრუნველყოფენ.

**3. იმ ღონისძიებათა მესამე ბლოკში,** რომლებიც ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ფორმირებისკენაა მიმართული, განვიხილავთ საინვესტიციო პროცესის სუბიექტების სახელმწიფოებრივ სტიმულირებას და, მაშასადამე, დამატებითი საინვესტიციო მოთხოვნის ჩამოყალიბებას.

სახელმწიფოს იმ აქტიური საინვესტიციო პოლიტიკის არსენალში, რომელიც პოტენციური ინვესტორების ინტერესებზე მოქმედებს, მთელი რიგი ისეთი მიმართულებებია, რომლებიც ყველა მწარმოებელთან კაპიტალწარმოქმნის პროცესს არეგულირებენ. ინვესტორთა ამგვარი მხარდაჭერა გულისხმობს:

ა) საამორტიზაციო ანარიცხების როგორც შექმნილი პროდუქტის იმ ნაწილის როლის ამაღლებას, რომელიც არ იბეგრება. იგულისხმება ამორტიზაციის ნორმის ამაღლება და დაჩქარებული ამორტიზაციის რეჟიმის უფრო ფართოდ გამოყენება. ასეთი ღონისძიება საგადასახდელო ტვირთის შემსუბუქების ანალოგიურად მოქმედებს, თუმცა, იგი უფრო მჭიდროდ უკავშირდება ძირითადი კაპიტალის კვლავწარმოებას;

ბ) ამავე მიმართულებით შეუძლია მოქმედება მწარმოებლებისთვის გაწეულ საგადასახდელო შეღავათებს იმ ნაწილში, რომელშიც მათი მოგება ინვესტიციებში გადადის;

გ) აშშ-ში საგადასახადო შეღავათები აქვთ იმ საწარმოებსაც, რომლებიც თავიანთი მუშაკების პროფესიულ მომზადებაში აბანდებენ სახსრებს. ამგვარ პრაქტიკას იქ 1970-იანი წლებიდან მიმართავენ. ეს მოწიბობს ამერიკის საინვესტიციო პოლიტიკის კომპლექსურ ხასიათს, რადგან ახალი ტექნოლოგიების ათვისება შეუძლებელია ამისათვის საჭირო ცოდნისა და ჩვევების გარეშე. როგორც ეტყობა, სახელმწიფოს შემოსავლების ზრდასთან ერთად საჭირო იქნება ამ გამოცდილების ჩვენთან დანერგვა.

მოგებაზე საგადასახადო შეღავათების – როგორც ქვეყანაში საინვესტიციო პროცესის სტიმულირების მეთოდის – სირთულე უკავშირდება მწარმოებლების მიერ შემოსავლების დამალვის მყარ ტენდენციას და, მასთანავე, ზედმეტი ხდება საგადასახადო შეღავათების გამოყენების საჭიროება.

რადგანაც მოგების დაბეგვრაზე საინვესტიციო შეღავათები და ამორტიზაციის რეჟიმის რეგულირების მეშვეობით ინვესტიციების სტიმულირება ერთპლანიანი ბარკეტებია, საქართველოს პირობებში უფრო აქტუალურია ყურადღების გამახვილება საამორტიზაციო პოლიტიკაზე, საწარმოების საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებაზე, წარმოების სფეროდან მიმოქცევის მხარეს სიმძიმის გადატანაზე. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიებებია, რადგანაც გადასახადების მაღალი დონე არა მარტო დანაზოგებს აკარგუნიებს საწარმოებს, არამედ წარმოების სფეროში ახალი რესურსების მოზიდვასაც უშლის ხელს. უფრო მეტიც, საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების შემოსვლის პროცესიც კი.

ახალი საამორტიზაციო პოლიტიკის გამოყენება და საწარმოთა საგადასახადო ტვირთის შემცირების პროცესი უფრო ფართო შესაძლებლობებს უქმნის ყველა საწარმოს კაპიტალწარმოქმნას. მაგრამ, ამასთან ერთად, იმ საწარმოების მიმართ შერჩევითი მიდგომაცაა აუცილებელი, რომლებიც უკვე ფლობენ ასეთ სახსრებს.

სადღესოდ არსებობს საინვესტიციო პროცესის სტიმულების გამოყენების ორი სრულიად განსხვავებული მიდგომა:

- პირველი მიმართულება უკავშირდება სამამულო წარმოების მხარდაჭერის იდეოლოგიურ მოთხოვნას. იგი არსებითად ეყრდნობა ეკონომიკის იმ არსებულ სტრუქტურის დაკონსერვებას, რომელსაც ახასიათებს არაეფექტიანი ექსპორტის სუბსიდირება და გაკოტრებული სახელმწიფო საწარმოების ხელოვნური მხარდაჭერა, ჭარბი სამუშაო ადგილების შენარჩუნება (ე.ი. შრომის დაბალი მწარმოებლურობა), გარედან კონკურენციისგან ადგილობრივ საქონელმწარმოებელთა დაცვის პროტექციონისტული ღონისძიებები. ამგვარი საინვესტიციო პოლიტიკა უპერსპექტივოა. იგი სახალხო მეურნეობაში იმ ტენდენციების მხარდაჭერას ემსახურება, რომლებმაც ეკონომიკური კრიზისი განაპირობეს;

- საინვესტიციო პოლიტიკის მეორე მიმართულება გულისხმობს მის დაკავშირებას სტრუქტურული გარდაქმნის ამოცანებთან. იგი გამომდინარეობს იმ სერიოზული სინდრომების დაძლევის აუცილებლობიდან, რომელიც უკავშირდება წამებებიანი საწარმოების ლიკვიდაციას და უფრო ეფექტიანი კერძო სექტორის განვითარების უზრუნველყოფაზე ძალისხმევას კონცენტრაციას, მაღალეფექტიანი ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, სტრუქტურული გარდაქმნის გატარებას.

იმ მწარმოებლების მიმართ, რომლებიც პერსპექტიული ინვესტორები შეიძლება იყვნენ, სახელმწიფომ შეძლებისდაგვარად უნდა განახორციელოს მათი პირდაპირი ფინანსური მხარდაჭერა. მაგრამ სახელმწიფო სახსრები უნდა ხმარდებოდეს არა დოტაციებს, რაც საწარმოებისთვის მიცემული ერთგვარი სანუქარია, არამედ უნდა ხდებოდეს მათი გაცემა უკან დაბრუნების წესით. ეს აღმოფხვრის საწარმოების სხვის მოიმედდელ ყოფნის განწყობილებას და ამით გააძლიერებს დაბანდებული სახსრების ეფექტიანობის მიმართ მოთხოვნებს.

ფინანსური მხარდაჭერის განხორციელება შესაძლებელია იმ სახელმწიფო რესურსების ფარგლებში, რომლებიც საკმაოდ მწირია. ეს გვაიძულებს უფრო მკაფიოდ განვსაზღვროთ ის საკითხი, თუ პირველ რიგში ვის მხარდაჭერას უნდა მოხმარდეს ეს უკიდურესად შეზღუდული სახსრები. კონცეფციურად, ინვესტორებისთვის გამიზნული პრეფერენციული ღონისძიებები უნდა ხორციელდებოდეს კერძო ინვესტიციების, როგორც უფრო ეფექტიანი დაბანდების პრიორიტეტით.

სახელმწიფო სახსრებიდან უნდა ხდებოდეს ყველაზე ძლიერი მწარმოებლების წახალისება. კერძო ინვესტორების მხარდაჭერის ეს პრინციპი უნდა ხორციელდებოდეს მაღალეფექტიანი საინვესტიციო პროექტების შემსრულებლებისათვის გამართული კონკურსების საფუძველზე.

ამგვარად, შესაძლო კერძო ინვესტორებს შორის ძლიერი მწარმოებლების გამოყოფა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ის მიმართულებაა, რომელსაც ახასიათებს ზრუნვა დამოუკიდებლად განვითარების პოტენციის მქონე ახალი, კონკურენტუნარიანი საწარმოო სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე.

მწარმოებელთა პირდაპირი მხარდაჭერა შეიძლება გამოიხატებოდეს არა მარტო და არა იმდენად სახელმწიფოს ფულადი სახსრების გამოყენებით, არამედ იმითაც, რომ სახელმწიფო თავის თავზე აიღებს საინვესტიციო რისკებს კერძო ინვესტორებთან წილში, გამოიყენებს საგირაუნო ოპერაციებს უცხოური და ადგილობრივი კაპიტალდაბანდებისთვის.

ამავე მიმართულებით უნდა მოქმედებდეს სამთავრობო გარანტიები კონკურსგაველი მაღალეფექტიანი საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის დროს. კერძო ინვესტორებისათვის გარანტიების სისტემა ჩვენს ეროვნულ მეურნეობაში სიხალღეთა დანერგვის სტიმულირების ახალი მიმართულებაა.

წარმოებაში ახალი ტექნოლოგიების შემოსვლის უზრუნველყოფა სახელმწიფოს შეუძლია სალიზინგო ოპერაციებისათვის ხელის შეწყობით. ამ დროს შესაძლებელია ახალი მოწყობილობისა და ნოუ-ჰაუს მიღება კრედიტის გვერდის ავლით და ამ დანახარჯების გადატანა თვითღირებულებაში. ეს, თავის მხრივ, გადასახადების შემცირების შესაძლებლობასაც იძლევა, რადგანაც თვითღირებულება არ იბეგრება. ამგვარად, ლიზინგი გამოდის არა მარტო როგორც რესურსების პირდაპირი განაწილება, არამედ როგორც ახალი ტექნოლოგიების გამოყენების სტიმული.

სალიზინგო ურთიერთობათა გაფართოება ადასტურებს ინვესტირებაზე სახელმწიფოს მიერ გამოყენებული რესურსების სტიმულირების ღონისძიებათა ქმედითობას, ე.ი. კაპიტალდაბანდებულ ეფექტიანობის ზრდის სტიმულირების შედეგია. ესაა ის ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც ინვესტიციების მიზიდველობას ქმნის.

გასათვალისწინებელია, რომ ინვესტიციების სტიმულირების ბლოკის გამოყენება არ შეიძლება იყოს ინ-

ვესტირების ეკონომიკური პოლიტიკის ერთადერთი ბერკეტი. მას შეუძლია ხელი შეუწყო საწარმოებში სახსრების დაგროვებას, მაგრამ არახელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის დროს ეს რესურსები ვერ გაამდიდრებს კაპიტალდაბრუნებას. ამიტომ თვითონ მწარმოებლებს სტიმულირება უნდა განხორციელდეს არა საინვესტიციო კლიმატის ჩამოყალიბებამდე, არამედ როგორც ამ კლიმატის ჩამოყალიბების ნაწილი.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ სტრუქტურულ გარდაქმნასთან მასტიმულირებელი საინვესტიციო პოლიტიკის შეთავსების აუცილებლობა. ეს შეთავსება გულისხმობს ძლიერი მწარმოებლის მხარდაჭერას, რომელსაც აქვს ცვალებად მოთხოვნასთან შეგუების უნარი, შეუძლია ბაზრის სხვა სუბიექტებისთვის სამუშაო ადგილებისა და თანამშრომლობის შეთავაზება. ძლიერ მწარმოებელს შეუძლია შექმნას გაზრდილი მოთხოვნისა და შემოსავლების ზრდის ჯანსაღი ზონა. მისმა გაფართოებამ სასიკეთოდ უნდა იმოქმედოს ეკონომიკის განვითარებაზე. ეს დასკვნა, რომელიც ადრე 1970-იანი წლების ინსტიტუციონალისტებმა გააკეთეს, თანდათან გასაგები ხდება ჩვენი საზოგადოებრიობისათვის. ამ მოთხოვნის გამოყენება მცირე, მაგრამ მნიშვნელოვან დაზუსტებას მოითხოვს. მწარმოებლების მხარდაჭერა, თუნდაც ისინი ძლიერები იყვნენ, მხოლოდ იმ ზომით უნდა ხორციელდებოდეს რა ზომითაც სარგებლობს მათი პროდუქცია მოთხოვნით და პერსპექტიულია. ამ შემთხვევაში მხარდაჭერა გააძლიერებს ძლიერი მწარმოებლის სასიკეთოდ გავლენას ეკონომიკაში მიმდინარე პოზიტიურ ძვრებზე. ამ პირობის დაუცველობა ზრდის იმ პროდუქციის მოცულობას, რომელზეც უკვე აღარაა მოთხოვნა, და გამოიწვევს საქონლის მასის დაუფარავი შემოსავლებით მატებას, ე.ი. ინფლაციურ პროცესებს აძლევს ბიძგს.

ცნობილია, რომ ეკონომიკის რეალური სექტორი ჯერ კიდევ სტაგნაციაშია და არ შეუძლია პირველი ქვედანაყოფის პროდუქციაზე შიდა მოთხოვნის გამოხატვა. ამიტომ სახელმწიფო მხარდაჭერით უნდა სარგებლობდნენ ის საწარმოები, რომელთა პროდუქციაზე შეიძლება რეალური გადახდისუნარიანი მოთხოვნა არსებობდეს. დღეს ესაა სამომხმარებლო ბაზრის პროდუქცია და ის პროდუქცია, რომელიც საექსპორტო წარმოებაზეა ორიენტირებული.

წარმოების მხარდაჭერის აუცილებლობის შეცნობა კაპიტალის სწრაფი ბრუნვის მქონე იმ დარგებში, რომლებიც სამომხმარებლო ბაზრის საქონლის დაგროვებას უზრუნველყოფენ, მოწმობს ეკონომიკური აზროვნების იმ სტერეოტიპების შეცვლას, რომლებიც საბჭოთა პერიოდში მტკიცედ იყო დაკავშირებული პირველი ქვედანაყოფის დარგების განვითარებასთან.

სამომხმარებლო ბაზრის მხარდაჭერა არაინფლაციური ხასიათისაა, იგი მიმართულია რეალური მოთხოვნის მქონე საქონლის წარმოებისკენ და ამით ხელს უწყობს საზოგადოებაში შემოსავლების ზრდას, დაზოგვის პროცესს, რაც შემდგომში ინვესტირებისათვისაა საჭირო. გერმანული სასწაულის ავტორმა ლ. ერხარდმა სწორედ სამომხმარებლო ბაზრის წახალისებით ჩამოაყალიბა ომის შემდგომი გერმანიის საინვესტიციო კლიმატი. დღეს სამომხმარებლო ბაზრისთვის პროდუქციის მწარმოებელი დარგების მხარდაჭერა ქვეყნის საინვესტიციო პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებადაა მიჩნეული.

ეროვნული ვალუტის კურსის შემცირება ძალიან აძვირებს იმპორტს და კვეცავს მის მოცულობას, ჩამოიცილებს ხოლმე ადგილობრივი საქონელმწარმოებლების კონკურენტების ნაწილს. ეს სამომხმარებლო სექტორს ხელსაყრელ ვითარებას უქმნის წარმოების გაფართოებისათვის, რაც კარა ხანს შეიძლება გაგრძელდეს. ასეთ პირობებში ეკონომიკის სამომხმარებლო სექტორის მხარდაჭერას შეუძლია ხანგრძლივი და სასურველი გავლენა იქონიოს საინვესტიციო კლიმატის ჩამოყალიბებაზე.

ეკონომიკის სამომხმარებლო სექტორში მომუშავე მწარმოებელთა სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა:

– განამტკიცებს ეკონომიკის არაინფლაციურ განვითარებას სახალხო მოხმარების საქონლის ზრდის ხარჯზე;

– უზრუნველყოფს გამოსყიდვის მცირე ვადის მქონე სექტორის ზრდას, რაც გააიოლებს ინვესტირებისათვის საჭირო ფინანსური რესურსების დაგროვებას;

– უზრუნველყოფს მშპ-ის გადიდებას წმინდა ექსპორტის ზრდისა და სამამულო წარმოების გადიდების ხარჯზე.

**4. საინვესტიციო პოლიტიკის იმ სამი ბლოკის გარდა,** რომლებიც საინვესტიციო პროცესის მაკროეკონომიკური პირობების ჩამოყალიბებას უზრუნველყოფენ, დღეს საქართველოსთვის განსაკუთრებით აქტუალურია **მეოთხე ბლოკი**, იგი მოიცავს ინვესტირების უნარის მქონე სუბიექტების ჩამოყალიბებისთვის საჭირო პირობების შექმნის ღონისძიებებს.

საინვესტიციო პოლიტიკის ეს მიმართულება საბაზრო ეკონომიკის მქონე ყველა ქვეყანაშია, რადგანაც ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი სახელმწიფო ცდილობს ჩამოაყალიბოს ეფექტიან მწარმოებელთა წყება. ასეთ მწარმოებლებს, უპირველეს ყოვლისა, ბაზარი აყალიბებს და ავანგარდულ პოზიციებზე გაჰყავს ისინი საკონკურენტო ბრძოლის ბუნებრივი გადარჩევის შედეგად. მაგრამ ბაზრის სუბიექტების ევოლუცია ხანგრძლივი პროცესია. საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე სახელმწიფოები ცდილობენ დააჩქარონ ეს პროცესი და აქტიურად უჭერენ მხარს საინვესტიციო პროცესს. ამის მაგალითია სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს საკუთარი საწარმოების განვითარების უნარის მქონე ბაზრის სუბიექტების ფორმირებას. საქართველოს პირობებში პრივატიზაციის მიზანი იყო იმ საბაზრო სტრუქტურების ფორმირებისთვის ხელშემწყობა, რომლებიც დამოუკიდებლად შეიძლებდნენ საბაზრო გარემოსთან შეგუებას. იგულისხმებოდა, რომ ეს შეგუება საინვესტიციო საქმიანობის მოთხოვნილებას გააჩენდა. მაგრამ ეს თეორიული მოსაზრებები მაშინვე ვერ დადასტურა სამეურნეო პრაქტიკამ, რადგან საწარმოს სამეურნეო სტატუსის შეცვლამ ელვსებურად ვერ შეცვალა ახალი სტრუქტურის შიდა პროცესები. გარდა ამისა, როგორც ზემოთაც ვაჩვენეთ, პრივატიზებული საწარმოს ადმინისტრაციისა და კოლექტივის მენტალიტეტი ერთბაშად საბაზრო არ გამხდარა. იგი აშკარად ეწინააღმდეგებოდა ადაპტაციის ახალ მოთხოვნებს, რაც ამუხრუჭებდა საინვესტიციო პროცესის შესაძლებლობებს.

მიუხედავად ამისა, პრივატიზაციის პროცესის შედეგების ამსახველი მონაცემები პრივატიზებული სამრეწველო საწარმოების უფრო მაღალეფექტიანობაზე მეტყველებს. შეიმჩნევა ასეთი ტენდენცია: „ღრმად პრივატიზებული საწარმოები“, სადაც სახელმწიფოს კუთვნილი აქციების წილი ყველაზე მცირეა, „საშუალოდ პრივატიზებულ საწარმოებზე“ უფრო ეფექტიანია, ორივე ეს ჯგუფი კი იმ საწარმოებზე უფრო ეფექტიანია,



რომლებიც სახელმწიფო საკუთრებაშია დარჩენილი. ეს იმას ნიშნავს რომ პრივატიზებული საწარმოები, ფინანსური რესურსების დაგროვებასთან ერთად, სახელმწიფო საწარმოებზე უფრო ადრე შექმდებიან საინვესტიციო პროცესში ჩართვას.

ინვესტიციის უზარის მქონე კაპიტალის ორგანიზაციის სახელმწიფო ხელშეწყობის მეორე ბერკეტი პოლიტიკის დიფერენცირება მსხვილი და მცირე ბიზნესის მიმართ. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მსხვილ ბიზნესს მხარს უჭერენ იმ შემთხვევებში, თუ იგი ორიენტირებულია სტრატეგიული პროდუქციის წარმოებაზე ან ისეთ მეცნიერებატევად წარმოებაზე, რომელიც უზრუნველყოფს ზრდის საუკეთესო პირობებს, ქვეყნის წარმატებებს მსოფლიო ბაზარზე. მსხვილი ბიზნესის მასობრივად მხარდაჭერა, ჩვეულებრივ, მიღებული არ არის, რადგან მიაჩნიათ, რომ ბაზარს თვითონ შეუძლია იმათი პოზიციების განმტკიცება, ვინც, ფინანსურ რესურსებთან ერთად, ეფექტიანი მენეჯმენტის გამოყენებასაც შეძლებს. უფრო მეტიც, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება მიმართული იყო ბაზარზე ეკონომიკური ძალაუფლების კონცენტრაციის პროცესების კონტროლის გაძლიერებისკენ, ანუ მონოპოლისტური წარმოების შეზღუდვისკენ.

განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში მსხვილი ბიზნესის მიმართ დამოკიდებულება რამდენადმე განსხვავებულია. ამას იწვევს ქვეყანაში ფინანსური რესურსების უკმარისობა და ის, რომ აქ უფრო მეტად იგრძნობა მწარმოებელთა უკმარისობა, ვიდრე მათი სიჭარბე. ამიტომ სახელმწიფო დაინტერესებულია, რომ რესურსების მქონე საწარმოებმა შეძლონ გაფართოება, მოდერნიზება, უზრუნველყონ მიწოდების ზრდა და საინვესტიციო პროცესის გაფართოება. მსხვილი ბიზნესის და, კერძოდ, ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფების მხარდაჭერა სამხრეთ კორეაში მომხდარი სასწაულის ერთ-ერთი მიზეზი გახდა. ამ ჯგუფებს ძალიან აქტიურად უჭერს მხარს სახელმწიფო რუსეთშიც. მათ უამრავი შეღავათი აქვთ, მათ შორის სახელმწიფოს აქციების მინდობით მართვა იმ ნაწილში, რომელშიც სახელმწიფო გამოდიოდა ფინანსურ-სამრეწველო ჯგუფის მონაწილედ. სახელმწიფოს მხრიდან ამ ჯგუფებისთვის მიცემულმა მრავალრიცხოვანმა შეღავათებმა და გარანტიებმა ფაქტობრივად ის გამოიწვია, რომ ისინი მნიშვნელოვანწილად სახელმწიფო სახსრებით მუშაობდნენ და მთელი დატვირთვით არ ეძებდნენ დამოუკიდებელ წყაროებს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისთვის. ამჟამად ის ჯგუფები იმყოფებიან გადაჯგუფების სტადიაში, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადობის უზრუნველყოფას ახალ საბაზრო პირობებში.

უკანასკნელ წლებში განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების საინვესტიციო პროცესის სახელმწიფოებრივ რეგულირებაში მკვეთრად ჩანს ისეთი ახალი მიმართულება, როგორცაა საშუალო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერა. ამის მიზეზია ის, რომ მცირე და საშუალო ბიზნესს შეუძლია შიდა ბაზრის კონკურენტული პოზიციების გაძლიერება გამყიდველთა რაოდენობის მატებით და შრომის ბაზრის ფუნქციონირების დარეგულირება დამატებითი დასაქმებით. დასავლეთის ქვეყნებში ბოლო ხანს მცირე ბიზნესი აქტიურად ინერგება ინოვაციურ საქმიანობაში და გზამკვლევის როლს თამაშობს სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში.

დასავლეთში მცირე მეწარმეობის მხარდაჭერას სპეციალური სამთავრობო პროგრამების ფარგლებში ახორციელებენ. იგი, როგორც წესი, გამოიხატება საგადასახადო არდადეგებში (ფირმის ჩამოყალიბების პერიოდში), პირდაპირ დოტაციებსა და სახელმწიფო გარანტიებით გაცემულ შეღავათიან კრედიტებში. ყოველ ქვეყანაში მცირე ბიზნესის მხარდაჭერის ამ საერთო მომენტებზე გროვდება ის საკითხები, რომელთა მოგვარებას ყველაზე უფრო აქტუალურად მიიჩნევენ. მაგალითად, საფრანგეთში ამ სტრუქტურების მხარდაჭერას უკავშირებენ მცირე ფირმების მმართველი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების პრობლემებს. იაპონიაში მცირე ბიზნესი მხოლოდ მაშინ იღებს შეღავათებს, თუ იგი ეკონომიკის „ზრდის წერტილებში“ მუშაობს. რადგანაც იაპონიის ეკონომიკა დინამიკურად ვითარდება და იცვლის საწარმოო სტრუქტურას, იცვლება ბიზნესის პრიორიტეტული მიმართულებებიც, ამიტომ მცირე ბიზნესის განვითარების მიმართულებათა პრიორიტეტებს ერთ წელზე მეტი ხნით არ ადგენენ.

მცირე ბიზნესის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა საქართველოს ეკონომიკაშიც ხორციელდება, მაგრამ ეს არ მოასწავებს მცირე საწარმოთა სახსრების უსწრაფესად გადასვლას ეკონომიკის რეალური სექტორის საინვესტიციო პროცესში. იქ მცირე ბიზნესს მოწინავე პოზიციები არ უკავია სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სფეროში. ამ მხრივ საქართველოს მცირე საწარმოები დასავლეთის მცირე საწარმოებს არ ჰგავს. წარმოების სფეროში მცირე ბიზნესი კონცენტრირებულია დაბალი კაპიტალტევადობის ისეთ დარგებში, როგორცაა ვაჭრობა, კვების მრეწველობა, სასტუმრო მეურნეობა და ა.შ.

ჩვენს პირობებში მეწარმეობის მცირე ფირმების მხარდაჭერას ხანმოკლე პერიოდში არ შეუძლია საინვესტიციო ეფექტის მოცემა. ეს ეფექტი შესაძლოა გამოვლინდეს გრძელვადიან პერსპექტივაში, რადგანაც მცირე მეწარმეობის განვითარება თანდათანობით იწვევს კაპიტალის დაგროვების და მოსახლეობის დანახოების ზრდას. უეჭველია, ქვეყანაში ფინანსური რესურსების შესაძლო მატება საინვესტიციო პროცესის წინამძღვრების შექმნად უნდა განვიხილოთ.

სხვა საბაზრო სუბიექტი, რომელიც ინვესტორის როლს თამაშობს, არის ქვეყნის ეკონომიკაში იმპორტირებული უცხოური კაპიტალი. ასეთი ინვესტიციები საკმაოდ მომგებიანია საქართველოსთვის. საბანკო კრედიტების გამოყენების ხარჯზე ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვა ნაკლებ ეფექტს იძლევა, რადგან დიდ დანახარჯებს მოითხოვს. გარდა ამისა, უცხოელ ინვესტორს თან მოაქვს ახალი ტექნოლოგიური და მენეჯმენტის მაღალი კულტურა. ეს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კიდევ ერთი ფაქტორია.

2012 წლის შედეგებიდან გამომდინარე, საქართველოს და მთლიანად რეგიონის ეკონომიკური პერსპექტივა გლობალური ფინანსური კრიზისიდან ნელი გამოსვლის პროცესს შეესაბამებოდა. 2012 წელს საქართველოში მარკოეკონომიკური ცვლილებები პოზიტიური და ინფლაცია შემცირებული იყო. თუმცა ამის პარალელურად, იმ პერიოდში ეკონომიკური ზრდა შენედა და ინვესტიციები შემცირდა პოსტსაარჩევნო გაურკვევლობის გამო.

2013 წელს საქართველოში 914 მილიონი აშშ დოლარის უცხოური ინვესტიცია ჩაიღო. ეს 2012 წლის მონაცემებს 0,3%-ით აღემატებოდა. უმსხვილესი ინვესტორი ქვეყანა ნიდერლანდები იყო (180 მილიონი აშშ დოლარი) მთლიანი ინვესტიციის თითქმის მესუთედით; მეორეს წარმოადგენდა 145 მილიონით, ხოლო მესამე –

ჩინეთი – 198 მლნ. 2013 წელს ყველაზე მეტი პირდაპირი ინვესტიცია – 198 მლნ აშშ დოლარი, ანუ მთლიანი მოცულობის 22% – ენერჯეტიკის სექტორში დაიღო. მეორე ადგილზე საფინანსო სექტორია 170 მილიონი აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე – ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (138 მლნ).

უნდა აღინიშნოს, რომ 2013 წელს საქართველოში კანონის უზენაესობა და კერძო საკუთრების დაცვა გამოცხადდა პრიორიტეტად; ქვეყანამ საერთაშორისო რეიტინგებში მყარი პოზიციები შეინარჩუნა და გეოგრაფიული მდებარეობისა და სხვადასხვა ქვეყანასთან ურთიერთობის შედეგათიანი სისტემის წყალობით, საქართველომ ინვესტორებს ფართომასშტაბიანი ბაზარი შესთავაზა.

2014 წლის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ჯამურმა მაჩვენებელმა 1272 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 39 პროცენტით აღემატებოდა 2013 წლის წინასწარ, ხოლო 39 პროცენტით ამავე წლის დაზუსტებულ მონაცემებს. 2014 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით, უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების სამეული ისევე იყო ნიდერლანდები, აზერბაიჯანი და ჩინეთი, მათმა წილმა მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 65 პროცენტი შეადგინა.

2015 წლისათვის უცხოური ინვესტიციების მოცულობა კიდევ უნდა გაიზარდოს, ვინაიდან სახელმწიფო გეგმის შესაბამისად გათვალისწინებულია ექსპორტის წახალისება და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა, მნიშვნელოვანი რეფორმების დაჩქარება. ხაზგასმით გამოვეყოფდით ენერჯეტიკის სექტორს, სადაც მილიარდ ლარამდე ინვესტიციის მოლოდინია და ეს მოლოდინი რეალური ფაქტებით არის გამყარებული.

უადრესად მომგებიანია ე.წ. უცხოური საინვესტიციო კრედიტები, განსაკუთრებით, როცა კრედიტისა და მასზე დარიცხული პროცენტების დაფარვა იმ პროდუქციის მიწოდების საფუძველზე ხდება, რომელიც დაბანდებული სახსრების შედეგია.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ყველაზე ფართოდ უნდა ხდებოდეს იმ დარგებში, რომლებიც სოციალურად მნიშვნელოვან მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს, აგრეთვე ტექნიკურად მნიშვნელოვნად ჩამორჩენილ დარგებში.

მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებებს ითხოვს მომპოვებელი მრეწველობის ექსპორტუნარიანი დარგები. უცხოური ინვესტიციების ხარჯზე მათი მოზიდვაცაა შესაძლებელი.

მთელი უცხოური ინვესტიციებიდან ყველაზე მეტად ფასობს ძირითად კაპიტალში განხორციელებული დაბანდებები. მაგრამ მათი მასშტაბები ჩვენთან შედარებით მცირეა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება ეკონომიკის სექტორების ჭრილში 2014 წლის მიხედვით, ასეა განაწილებული:


ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	– 27%
სამშენებლო სექტორი	– 23%
დამამუშავებელი მრეწველობა	– 13%
ენერჯეტიკა	– 8%
უძრავი ქონება	– 7%
საფინანსო სექტორი	– 6%
სამთომშობვებითი მრეწველობა	– 4%
დანარჩენი სექტორები	– 12%

ამის მიზეზია ადგილობრივი საინვესტიციო ბაზრის არასაკმარისი ტევადობა და წარმოების მაღალი საინვესტიციო რისკები.


ეროვნული ვალუტის დეველვაცია აძლიერებს უცხოელი ინვესტორების უნდობლობას საქართველოს ბაზრის მიმართ. ამასთან, ართულებს ერთობლივი საწარმოების მუშაობას, რადგანაც ადგილობრივი კაპიტალის წილი ასეთ სტრუქტურებში ადრინდელზე მეტ მატერიალურ აქტივებს მოითხოვს, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ დოლარებით აღრიცხული გამოშვებული პროდუქცია მნიშვნელოვნად იაფდება და საგრძნობლად უფრო დაბალრენტაბელური ხდება უცხოელი ინვესტორებისათვის. რაც შეეხება ეროვნული ვალუტით გამოხატული ფასების აწევას და დოლარის კურსის ახალ თანაფარდობამდე მათ მიყვანას, ეს ყოველთვის არ არის შესაძლებელი მოთხოვნის დიდი შეზღუდულობის გამო. ამიტომ საინვესტიციო გარემოც ნაკლებად ხელსაყრელი ხდება უცხოური და ადგილობრივი კაპიტალისათვის.

ჩვენ დავახასიათეთ ეკონომიკური პოლიტიკის ის მიმართულებები, რომლებიც ინვესტიციების უნარის მქონე საბაზრო სუბიექტების ფორმირების ხელის შეწყობას უკავშირდება. ეს მიმართულებები შემდეგ ცხრილში წარმოვადგინოთ:

**ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ფორმირების ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები**




რეალური საინვესტიციო მოთხოვნადი რესურსების ტრანსფორმაციის ხელშეწყობი  
მაკროეკონომიკური გარემოს ფორმირება:



ინვესტირების პროცესის გააქტიურების სტიმულების გამოყენება:



ეფექტიანი ინვესტირების უნარის მქონე საბაზრო სუბიექტების ჩამოყალიბებისთვის პირობების უმჯობესება:



ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ფორმირების პოლიტიკის ეს ბლოკები ასახავს იმ პირობების განსხვავებულ ასპექტებს, რომლებიც საინვესტიციო პროცესის გააქტიურებას განაპირობებს.

Lamara Kokiauri

**ECONOMICAL BLOCKS OF ESTABLISHING FAVORABLE INVESTMENT ENVIRONMENT IN GEORGIA**

**Annotation**

Effective economical policy of the country shall prevent multiple obstacles of establishing favorable investment environment and promote its actualization. As there are quite many negative phenomenon of the investment environment and due to their influence upon each other, the investment policy of the country shall be multifaceted and of complex internal structure. Each facet of the Policy is the block of activities, which are directed towards solution of private tasks of forming favorable investment climate.

Investment environment reflects status of economical conditions, giving rise to the profitability of investments, i.e. their level of attractiveness. The government creates additional stimuli to the improvement of investment environment. Activities of forming favorable investment environment are built based on the functional grounds. We separate four blocks:

1. Identification of potential financial resources of the investment process;
  2. Creation of macro-economical environment, supporting transformation of the said investments into the real investment demand;
  3. State stimulation of the subjects of investment process and thus creation of additional investment demand;
  4. Creation of conditions for establishing subjects having investment abilities.
- In this article is discussed the blocks of the process of establishing favorable investment environment in details.

*თამარ ლამბაშიძე*

## **თანამედროვე ორგანიზაციული კულტურა და მისი სტრატეგიული მნიშვნელობა**

საერთო ფასეულობები ორგანიზაციული კულტურის საფუძვლად გვევლინება და განსაზღვრავს, თუ რა არის მთავარი მისი სუბიექტების აზრით. კოლექტივის ნებისმიერ წევრს შეუძლია ჩამოთვალოს და განმარტოს საერთო ფასეულობები, რადგან ის საყოველთაოდ არის აღიარებული და მიღებული. საერთო ფასეულობებს განეკუთვნება: საკვანძო აქტივები ან ჩვევები; პრაქტიკულ ქმედებებზე კონცენტრაცია; საქმიანობის შედეგები; ფუნქციური მიმართულებისადმი ყურადღება; მენეჯმენტის სტილი; საერთო მიზანი.

ორგანიზაციული კულტურა სხვებისგან რომ განსხვავდებოდეს, მან უნდა გამოიმუშაოს მისთვის დამახასიათებელი ქცევის ნორმები, რომლებიც გავლენას მოახდენს ორგანიზაციის ყველა წევრის გადაწყვეტილებაზე. განვითარებული და კარგად ჩამოყალიბებული ქცევის ნორმები ეფექტურ გავლენას ახდენს კომპანიაში მიმდინარე პროცესებზე. ქცევის ნორმებს გააჩნია ორი მახასიათებელი: ინტენსიურობა, ანუ მოსალოდნელ შედეგთან თანხმობის ან უთანხმოების დონე და კონსენსუსი, ანუ ქცევის ნორმის კოლექტივის მიერ აღიარება. ქცევის ნორმები ახდენს საერთო ფასეულობების შესაბამისი ქმედებების სტიმულირებას.

დამფუძნებელი და ორიგინალური მისია მიუთითებს კომპანიის წარმოშობის ორიგინალურ სათავეებზე. ეს შეიძლება იყოს როგორც ძლიერი პიროვნება -კომპანიის დამფუძნებელი, ასევე მისი მართვის სტილი და დაფუძნებისას ჩამოყალიბებული მისია; მიბაძვის თანამედროვე პერსონაჟი. ფასეულობების და ნორმების გადაცემას, პერსონალიზაციას და განმტკიცებას ხელს უწყობენ თანამედროვე გმირები და პერსონაჟები, რომლებიც შეიძლება მიბაძვის ობიექტებად იქცნენ;

ხელმძღვანელობის მიერ კულტურის ძირითადი პრინციპების ფორმულირების შემდეგ იწყება მათი განმტკიცება. ამისთვის უმთავრესია სამუშაოზე იმ თანამშრომლების აყვანა, რომელთა პიროვნული თვისებები, მრწამსი, უნარები შეესაბამება ორგანიზაციაში დამკვიდრებულ შეხედულებებს. შემდეგ ეტაპზე ახალბედებს გააცნობენ კომპანიაში დამკვიდრებულ როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ წესებს. პირველ შემთხვევაში ამას აკეთებენ ხელმძღვანელები და გამოცდილი თანამშრომლები, ხოლო მეორე ამოცანას თავს წარმატებით ართმევენ კოლეგებიც. ახალმოსულებს აგრეთვე გააცნობენ კომპანიის ისტორიას, მათ შორის ლეგენდების მეშვეობითაც და განაწყობენ არსებული კულტურის მოთხოვნების დასაცავად, რისთვისაც ხდება იმ თანამშრომელთა წახალისება, ვინც სანიმუშოდ იცავს მას, ხოლო ვინც სისტემატურად არღვევს, ისჯებიან.

ახალი თანამშრომლების მიღებისას მენეჯერებმა ორიენტაცია უნდა აიღონ არა მარტო მაღალ პროფესიულ უნარებსა და საუკეთესო სამსახურებრივ გამოცდილებაზე, არამედ კანდიდატის პიროვნულ თვისებებზეც. სხვა სიტყვებით, მაღალია იმ კანდიდატების სამუშაოზე აყვანის შანსები, რომელთა ფასეულობათა სისტემა, სამუშაოსადმი დამოკიდებულება და პიროვნული თვისებები შეესაბამება ორგანიზაციულ კულტურას. მეორე მხრიდან რომ შეეხედოთ ვითარებას, კანდიდატებიც ცდილობენ, იმ კომპანიაში მოეწონ სამუშაოდ, სადაც, მათი აზრით, უფრო სიამოვნებით და ნაყოფიერად იშრომებენ. ის თანამშრომლები, რომლებიც ვერ შეეწყობიან კომპანიას, როგორც წესი, სწრაფად თავისუფლდებიან დაკავებული თანამდებობებიდან, ხოლო საწინააღმდეგო შემთხვევებში, ანუ როდესაც მუშაკათვის მისაღებია ორგანიზაციაში დამკვიდრებული ატმოსფერო, ისინი ხანგრძლივად ვადით რჩებიან სამუშაოზე. რაც უფრო დიდხანს მუშაობს ადამიანი კომპანიაში, მით უფრო ძლიერია მასზე ორგანიზაციული კულტურის ზემოქმედება და მით უფრო მყარად და სრულად ითვისებს მას.

გლობალიზაციის პირობებში მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიების ორგანიზაციული კულტურა, როგორც წესი, რამდენიმე სუბკულტურისგან შედგება. ფასეულობები, ფილოსოფია და მუშაობის მეთოდები ხშირად ფრიად განსხვავდება განყოფილებების, გეოგრაფიული რეგიონების და ფუნქციონალური ერთეულების მიხედვით. განყოფილებათა სუბკულტურები შესაძლოა არ იყოს ერთმანეთის შესაბამისი, უფრო მეტიც, კონფლიქტურ დამოკიდებულებაში აღმოჩნდნენ ერთმანეთთან, თუკი მათთვის დამახასიათებელია ხელმძღვანელობის სხვადასხვა სტილი, ფილოსოფია და მუშაობის მეთოდები. გლობალური და ტრანსნაციონალური კომპანიები მეტ-ნაკლებად მულტიკულტურული არიან, რაც მათში დასაქმებულებს შორის არსებული ფსიქოლოგიური, ტრადიციული და ენობრივი განსხვავებებით აიხსნება. მიუხედავად ზემოთ თქმულისა, გლობალური და ტრანსნაციონალური კომპანიების სუბკულტურებს შორის თანამშრომლობა არ არის გამორიცხვული.

ყოველი ორგანიზაციის მენეჯერებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ორგანიზაციული კულტურა დიდ გავლენას ახდენს სტრატეგიის რეალიზებაზე. თუ კულტურის ელემენტები შეესაბამება სტრატეგიას და მის მიზნებს, მაშინ ორგანიზაციული კულტურა დადებით გავლენას ახდენს სტრატეგიის რეალიზებაზე, საწინააღმდეგო შემთხვევაში კი აფერხებს მას. მყარი და სტრატეგიასთან შეხამებული ორგანიზაციული კულტურა ძლიერი იარაღია სტრატეგიის წარმატებული რეალიზების საქმეში. მაგალითად, მომჭირნეობის და ეკონომიის კულტურა, რომელიც მხარდაჭერილია კომპანიის ყველა თანამშრომლის მიერ, ხელს უწყობს დანახარჯების მიხედვით ლიდერობის სტრატეგიის განხორციელებას. ის კულტურა კი, რომლის მთავარი ელემენტებია შემოქ-

მედებითობა, ნოვატორობა, მობილობა, ახალი საქონლის შემუშავებას და შესაბამისად, ინოვაციური სტრატეგიის რეალიზებას განაპირობებს.

სტრატეგიასა და ორგანიზაციულ კულტურას შორის შესაბამისობამ შესაძლოა მათ შორის კონფლიქტი გამოიწვიოს, რაც უკიდურესად არასასურველია. ასეთ ვითარებას ორგანიზაციის წევრებში შიდაპიროვნული კონფლიქტის პროვოცირება შეუძლია, რისი შედეგიცაა ამოცანების ორჯეროვანი აღქმა და არასწორი გადაწყვეტილებების მიღება. ამ დროს კომპანიის თანამშრომლებს უწევთ არჩევა: დაიცვან კომპანიის კულტურა და ტრადიციები თუ მისდონ ახალ სტრატეგიას. მსგავსი სიტუაცია ასუსტებს ან სტრატეგიას, ან ორგანიზაციულ კულტურას, ან ერთსაც და მეორესაც. ასეთ ვითარებაში გამოსავალი ერთია: თუ კულტურა და ახალი სტრატეგია არ შეესაბამება ერთმანეთს, სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს ორგანიზაციული კულტურა. თუმცა, იშვიათ შემთხვევებში, თუ ეს არ არის დაკავშირებული კარდინალურ გადაკეთებასთან, შესაძლოა კორექტივები შევიდეს სტრატეგიაშიც.

ორგანიზაციული კულტურა სხვადასხვა კომპანიის ბიზნესზე განსხვავებულ გავლენას ახდენს. ზოგიერთ ფირმაში ძლიერი კულტურაა და იგი გვევლინება საქმიანობის ბირთვად, ზოგან კი სუსტია და არ გამოდგება მხარდამჭერად სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში. იმ კომპანიებში, სადაც ძლიერი კულტურა არსებობს, ის იმდენად მყარად არის ფესვგადგმული, რომ ფასეულობათა სისტემის და ქცევის ნორმების უგულვებელყოფა სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზების პროცესში არ შეიძლება. ძლიერი ორგანიზაციული კულტურის მქონე კომპანიას გააჩნია მკაფიოდ ჩამოყალიბებული ფასეულობები და პრინციპები, რომლებსაც ხელმძღვანელობა დიდი ხნის განმავლობაში შეიმუშავებდა და ნერვავდა. ამ შემთხვევაში კულტურა ორგანულად არის დაკავშირებული შრომით ატმოსფეროსთან და მას თანამშრომლების აბსოლუტური უმრავლესობა იზიარებს. ძლიერი ორგანიზაციული კულტურის რვეიზია არ ხდება ხელმძღვანელობის შეცვლის დროსაც კი. ახალი სტრატეგიის შემუშავების ან ძველის კორექტირების შემთხვევაში, თუ ის არ ეხება კულტურის ძირითად ასპექტებს, ძლიერი კულტურის მთავარი ელემენტები აგრეთვე უცვლელი რჩება.

**ძლიერი ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებას განაპირობებს სამი ფაქტორი:**

1. ძლიერი ლიდერის არსებობა, რომელიც ამკვიდრებს იმგვარ ფასეულობებს, მეთოდებს და პრინციპებს, რომელიც კეთილსასურველია კლიენტურისთვის, კონკურენტული ბრძოლის წარმართვისა და სტრატეგიული მიზნების მისაღწევად;

2. კომპანიის მიერ არსებული ტრადიციების დაცვა, რაც დიდად ეხმარება გადაწყვეტილებების მიღებას და სტრატეგიის რეალიზებას, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება კულტურის ნორმებს;

3. სამ საკვანძო პარტნიორზე - კლიენტებზე, თანამშრომლებსა და აქციონერებზე გულწრფელი ზრუნვა.

**ძლიერი კულტურის ჩამოყალიბებას** ასევე განაპირობებს ლიდერებს შორის მეტყველებითობა, კოლექტივის არამრავალრიცხოვნობა და მდგრადობა, ტერიტორიული კონცენტრაცია და კარგი ორგანიზაციული სტრუქტურა. ძლიერი ორგანიზაციული კულტურა, რომელიც შეესაბამება სტრატეგიას, მეტად ღირებული აქტია, ხოლო ძლიერი კულტურა, რომელიც ეწინააღმდეგება მას - ძნელად სატარებელი ტვირთი.

**სუსტი ორგანიზაციული კულტურის მთავარი მახასიათებლებია:** მასში მრავალი სუბკულტურის არსებობა; საერთო ორგანიზაციულ ფასეულობათა სისტემის, ქცევის ნორმების და მყარი ტრადიციების უქონლობა. სუსტი ორგანიზაციული კულტურის მქონე კომპანია გამოირჩევა შეკრულობის დაბალი დონით და სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის სუსტი კავშირებით. ამ შემთხვევაში ტოპმენეჯმენტი არ აწარმოებს საერთო კორპორაციული ფილოსოფიის, ერთიანი ფასეულობათა სისტემის და მუშაობის ეფექტური მეთოდების სისტემატურ დამკვიდრებას, რის გამოც კოლექტივის წევრებს არ გამოუმუშავდება ერთიანობის შეგრძნება. სუსტი ორგანიზაციული კულტურის პირობებში მუშაკები კომპანიას აღიქვამენ მხოლოდ როგორც სამუშაო ადგილს, ხოლო შესრულებულ სამუშაოს- შემოსავლის წყაროდ. ამიტომ სუსტი კულტურა არასაკმარის მხარდაჭერას უწევს სტრატეგიის რეალიზებას, ან ასეთი მხარდაჭერა საერთოდ არც არსებობს, თუმცა ის, როგორც წესი, არც სტრატეგიის განხორციელებას უშლის ხელს.

ზოგჯერ ორგანიზაციული კულტურა იმგვარ ფორმებს იღებს, რაც აუარესებს კომპანიის საერთო მწარმოებლობას. არაჯანსაღი კულტურის ერთ-ერთი მახევენებელია შიდა გარემოს პოლიტიზება, ეს ხდება მაშინ, როდესაც გავლენიანი მენეჯერები თვითნებურად მართავენ „მათ სამკვიდროს“ და ეწინააღმდეგებიან სტრატეგიულად მნიშვნელოვან ცვლილებებს. კულტურის პოლიტიზების დროს ბევრი საკითხი წყდება ძალისმიერი ან პოპულისტური მეთოდებით. წინა პლანზე გადმოდის ცალკეული ქვედანაყოფების მისწრაფებები, ხოლო საერთო ორგანიზაციული მიზნები მეორეხარისხოვანი ხდება. არაჯანსაღი კულტურის მეორე თვისებაა კონსერვატულობა, რაც მტრულ დამოკიდებულებაში ვლინდება ცვლილებისა და იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც მათ ატარებენ. ამ დროს ხდება ინიციატივის და სრულყოფის მისწრაფების ჩაკვლა და კარიერის გაკეთების პირობად გვევლინება „სტატუს-ქვოს“ შენარჩუნების უნარი. სიახლეებისადმი მტრული დამოკიდებულება ხშირად ახასიათებს იმ კომპანიებს, რომლებსაც მრავალსაფეხურიანი მმართველობითი სტრუქტურა გააჩნიათ, მაგრამ გარდაუვალი ცვლილებების წინაშე დადგნენ.

**არაჯანსაღი კულტურის თვისებაა** იმ მენეჯერების დაწინაურება, რომლებიც ყოველთვის ზუსტად ასრულებენ ბიუჯეტს, მკაცრად აკონტროლებენ მათდამი დაქვემდებარებული ქვედანაყოფების საქმიანობას და ყურადღება კონცენტრირებული აქვთ მმართველობით მეთოდებზე. ამ დროს უნდა დაწინაურდნენ ის ხელმძღვანელები, რომლებსაც კარგად აქვთ გააზრებული კომპანიის მისია, მიზნები და სტრატეგია, იცნობენ ორგანიზაციულ კულტურას, საკუთარი თავი გამოავლინეს, როგორც ეფექტიანმა მენეჯერებმა და შეუძლიათ თანამშრომლების სტიმულირება. პირველი ტიპის მენეჯერები კულისებში ბრძოლის ოსტატები არიან, მაგრამ არ გააჩნიათ შემოქმედებითობა და ახალი სტრატეგიების დანერგვის უნარი, რის გამოც ვერ ქმნიან ახალ კონკურენტულ უპირატესობებს და ორგანიზაციულ კულტურას.

სწრაფად ცვალებად გარე გარემოში ღირებულ აქტივად გვევლინება **ადამტური ორგანიზაციული კულტურა**. თუ დინამიკურ გარემოში მოქმედ კომპანიას სურს, დიდი ხნის განმავლობაში შეინარჩუნოს ეფექტიანობა, მას ახალი სტრატეგიების დანერგვა მოუწევს, რაც ორგანიზაციული კულტურის ცვლილებასაც გამოიწვევს. ამგვარი მანევრულობის მიღწევა მოითხოვს ისეთი ორგანიზაციული კულტურის ფორმირებას, რომელიც

ხელს შეუწყობს კომპანიას, ეფექტურად მოახდინოს რეაგირება გარე გარემოს ცვლილებებზე. ადაპტური კულტურის მქონე ორგანიზაციის წევრებს არ ევჭვებათ, რომ კომპანია გადალახავს ნებისმიერ საფრთხეს და მოახდინოს ყველა შესაძლებლობის რეალიზება, ამიტომ ისინი მზად არიან რისკის გასაწვეად, არ უფრთხიან ექსპერიმენტებს, სიახლეებს, სტრატეგიისა და მუშაობის მეთოდების ცვლილებებს და მზად არიან მათთვის, როდესაც ეს საჭიროა დაინტერესებული მხარეების - კლიენტების, თანამშრომლების, აქციონერების, მიმწოდებლების და საზოგადოებრიობისთვის.

**ადაპტური ორგანიზაციული კულტურის** მქონე კომპანიები აქტიურ პოზიციას იკავებენ პრობლემების გამოვლენისა და შეფასების დროს. ასევე აქტიურად იღვწიან გადაწყვეტილების მიღებისა და რეალიზებისთვის. მსგავს კომპანიებში შექმნილია ატმოსფერო, რომელიც განაპირობებს გრძელვადიან წარმატებულობას. მენეჯერები სათავეში უდგანან და წახალისებენ ახალი საქონლის შემუშავებას, საჯაროდ მსჯელობენ თანამედროვე იდეებზე და მზად არიან, ბიზნესში წამყვანი პოზიციების მოსაპოვებლად რისკი გაწიონ. გარე გარემოს ცვლილების ან ახალი შესაძლებლობის გამოჩენის საპასუხოდ, არსებული სტრატეგიები და სამუშაოს მეთოდიკა სწრაფად განიცდის კორექტირებას. ამავდროს, ადაპტური კულტურის ქონა არ ნიშნავს ცვლილებების მხოლოდ ცვლილებებისთვის გატარებას და კურსი და პოლიტიკა იმგვარად კორექტირდება, რომ არ დაზიანდეს კომპანიის უმნიშვნელოვანესი პრინციპები და ფასეულობები. თანამედროვე პირობებში ადაპტურ კულტურას ყველაზე ხშირად ფლობენ საინფორმაციო დარგებში მოღვაწე კომპანიები, რადგან ისინი დინამიურ გარემოში მუშაობენ.

ადაპტური კულტურისთვის დიდი საფრთხეა ცვლილებებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება და მათთვის წინააღმდეგობის გაწევა. ასეთ შემთხვევაში მენეჯერები შესაძლოა შეუშინდნენ რისკს და გადაწყვეტილების მისაღებად ვითარების გარკვევას დაელოდონ. ამ დროს მათ ურჩევიათ, ფრთხილად და ნელა წაიწიონ წინ, ირჩევენ მღვრიის სტრატეგიას და არ ახდენენ ცვლილებების ინიცირებას. იმ კომპანიებში, სადაც კულტურა ქმნის ცვლილებებისადმი წინააღმდეგობის ატმოსფეროს, ხელმძღვანელობა შეცდომების დაშვების შიშის გამო ირიბად წახალისებს უმოქმედობას. ამ დროს ძალიან დიდი საფრთხის შემცველია, ბიზნესის ინტერესებზე წინ არ დადგეს კომპანიის თანამშრომელთა ინტერესები.

კომპანიის კულტურის ფუძემდებლური პრინციპების შესაბამისი სტრატეგიის შერჩევა ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სტრატეგიის შემუშავების დროს. ორგანიზაციული კულტურის იმ ასპექტების ცვლილება, რომლებიც ხელს უშლის სტრატეგიის ეფექტურ რეალიზებას, ასევე მნიშვნელოვანი საკითხია და ის სტრატეგიის რეალიზებაზე პასუხისმგებელი მენეჯერის კომპეტენციაში შედის.

სტრატეგიასთან შესაბამისობაში მოყვანის გამო კომპანიის კულტურის ცვლილება ხელმძღვანელობის წინაშე მდგარი ერთ-ერთი ყველაზე რთული ამოცანაა. თორიულად კულტურის შეცვლა ადვილია, პრაქტიკულად კი ძალიან ძნელი, რადგან ფასეულობები და ტრადიციები დროთა განმავლობაში ღრმად იღვამს ფესვებს, ხოლო ადამიანებს, კონსერვატიული ბუნებიდან გამომდინარე, ეშინიათ ყოველივე სიახლის. იმისათვის, რომ გაჯანსაღდეს ორგანიზაციული კულტურა, აღმოიფხვრას არასასურველი ტრადიციები და დამკვიდრდეს ახალი, რომელიც მხარს დაუჭერს სტრატეგიას, ხელმძღვანელობას მოუწევს, დიდი ხნის განმავლობაში გაატაროს შეთანხმებული ღონისძიებები. ორგანიზაციული კულტურის ცვლილების გზაზე პირველი ნაბიჯია იმის განსაზღვრა, თუ კულტურის რომელი ასპექტები შეესაბამება სტრატეგიას და რომელი არა. ამის შემდეგ მენეჯერებმა ყველა დაინტერესებულ მხარესთან ერთად საჯაროდ და პატიოსნად უნდა განსაჯონ კულტურის ის ასპექტები, რომელთა შეცვლაც აუცილებელია. შემდგომ ეტაპზე გადამჭრელი, აშკარა ღონისძიებები ტარდება იმ ახალი კულტურის დასამკვიდრებლად, რომელიც უფრო შეესაბამება სტრატეგიას. ამ ღონისძიებებს განეკუთვნება: საერთო მიდგომების, პროცედურებისა და წახალისების სისტემის გადახედვა; იმ თანამშრომლების აშკარა შექება, რომლებიც მხარს უჭერენ სიახლეს; დაქირავება იმ მენეჯერებისა და პერსონალისა, რომლებიც ფლობენ სათანადო თვისებებს და მიბაძვის ობიექტებად გამოდგებიან; იმ ხელმძღვანელების დათხოვნა, რომლებსაც არ სურთ ძველ კულტურასთან გამოთხოვება და თანამშრომლებისთვის მუდმივად განმარტება იმისა, თუ რატომ არის აუცილებელი ახალი კულტურის დამკვიდრება. ზოგჯერ ხელმძღვანელები წარმატებას აღწევენ ფასეულობათა სისტემის და მენეჯერთა ქცევის შეცვლის დროს, მაგრამ შემდეგ აღმოაჩენენ, რომ ყოველივე ამას არ აქვს აზრი, რადგან დანარჩენი კულექტივი ცვლილებებს ეწინააღმდეგება. თუ ორგანიზაციის ამგვარი წევრები უმრავლესობაში არიან, მაშინ ახალი ორგანიზაციული კულტურა ვერ დამკვიდრდება.

ორგანიზაციული კულტურის შეცვლის დროს განსაკუთრებით შედეგის მომტანი საჩვენებელი (დემონსტრაციული) ღონისძიებების გატარება. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ნათლად აჩვენებს, თუ როგორი ქცევა და საქმიანობაა მისაღები მენეჯერებისთვის. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მისაბაძი ნიმუშების შექმნას. აქ ყველაზე მნიშვნელოვანია მენეჯერების ქმედებები. მაგალითად, მათ შეუძლიათ უარი თქვან შეღავათებზე, როდესაც გამოცხადდება დანახარჯების შემცირების კურსი; შეცვალონ საკუთარი შრომის გრაფიკი და მეტი ყურადღება დაუთმონ კლიენტებთან ურთიერთობებს, თუკი ამასვე ითხოვენ ხელქვეითებისაგან; აქტიურად შეცვალონ საქმიანობის მეთოდები, თუ ისინი არ შეესაბამება ახალ სტრატეგიას. საჩვენებელ ღონისძიებებს აგრეთვე განეკუთვნება იმ თანამშრომლების გამოვლენა და საჯაროდ დაჯილდოება, რომელთა მოღვაწეობა შეესაბამება ახალ მოთხოვნებს. მრავალმა უნივერსიტეტმა შემოიღო ყოველწლიური პრემიის მინიჭების პრაქტიკა საუკეთესო მასწავლებლებისთვის; ბევრ კომპანიაში ხდება “თვის მუშაკის” წოდების მინიჭება; სამხედროებს კი გამორჩეულთა მედლებით დაჯილდოების დიდი ხნის ტრადიცია აქვთ. ზოგიერთი კომპანია აღნიშნული მიზნებისთვის მატერიალურ წახალისებასაც მიმართავს. საუკეთესო კომპანიები და ხელმძღვანელები ფართოდ იყენებენ სახეიმო სხდომებს სტრატეგიისა და კულტურის დაახლოებისთვის. ის ხელმძღვანელები, რომლებსაც ესმით სტრატეგიისა და კულტურის დაახლოების მნიშვნელობა, მუდმივად იღებენ ისეთ ცერემონიებში მონაწილეობას, სადაც იმ თანამშრომელთ აჯილდოებენ, რომლებიც მხარს უჭერენ ახალ ინიციატივებს და აღწევენ დასახულ მიზნებს. მენეჯერები აგრეთვე მონაწილეობენ თანამშრომელთა სწავლების პროგრამებში და ამ დროს ხაზს უსვამენ სტრატეგიული პრიორიტეტების, ფასეულობების, ეთიკური პრინციპების და კულტურული ნორმების აუცილებლობას ორგანიზაციისათვის.

მენეჯერებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა თანამშრომლის დარწმუნებას, რომ კულტურის ცვლილება აუცილებელია ორგანიზაციისთვის. საუბრები და საჩვენებელი ღონისძიებები უნდა ავსებდეს რეალურ საქმეებს, რომლებიც, თავის მხრე, შესამჩნევი უნდა იყოს და ადასტურებდეს ხელმძღვანელთა გადაწყვეტილების სერიოზულობას, შეცვალონ არსებული კულტურა და წამოაყენონ სტრატეგიული ინიციატივები. ამ მხრივ ძალიან ღირებულია რომელიმე სფეროში სიახლის შედეგად მიღებული კარგი შედეგი, რაც თანამშრომლებში ენთუზიაზმის მოზღვაგებას იწვევს. ამავე დროს, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სწრაფი შედეგი არ არის იმდენად მნიშვნელოვანი ახალი ორგანიზაციული კულტურის ფორმირებისათვის, როგორც მოთმინების უნარი და სტაბილური მუშაობა. ყველაზე ნათელი ქმედითი ღონისძიებები კულტურის ცვლილებისთვის არის: კონსერვატორი მენეჯერების ჩანაცვლება ნოვატორებით; ახალი მოთხოვნების გათვალისწინებით კომპანიის სტრუქტურის რეორგანიზაცია; მატერიალური წახალისების დაკავშირება მიღწეულ მაჩვენებლებთან; საბიუჯეტო სახსრების იმგვარად გადანაწილება, რომ უფრო მეტი რესურსი იმ განყოფილებებში მიიღონ, რომლებიც ახალ მოთხოვნებს შეესაბამებიან.

იმ ახალი ქცევის სისტემებისა და მოდელების წარმატებული დანერგვა, რომელთაც ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება, უწინარესად დამოკიდებულია უმაღლეს ხელმძღვანელობაზე. ის მუდმივად უნდა ადასტურებდეს, რომ სიტყვით და საქმით მხარს უჭერს ახალ ორგანიზაციულ კულტურას. ამ შემთხვევაში დიდ როლს არ თამაშობს არც ქარიზმა და არც პიროვნული მიმზიდველობა, მაგრამ მნიშვნელოვანია პირადი ზემოქმედების ფაქტორი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ორგანიზაციული კულტურის შეცვლა არ არის ინდივიდუალური სამუშაო და მასში ჩართულნი არიან სხვადასხვა დონის მენეჯერები. ახალი ორგანიზაციული კულტურის ფორმირება არც ერთჯერადი ღონისძიებაა და ამ პროცესს დიდი დრო ესაჭიროება. რაც უფრო დიდია კომპანია, მით უფრო ხანგრძლივად მიმდინარეობს ახალი კულტურის დანერგვა.

გრძელვადიანი სტრატეგიული წარმატების მისაღწევად ორგანიზაციული კულტურა უნდა ეფუძნებოდეს ბიზნესის ეთიკას და მორალურ ფასეულობებს. ბევრი ხელმძღვანელი თვლის, რომ კომპანიამ ყურადღებით უნდა ადევნოს თვალი ბიზნესის მართვის საკუთარ მეთოდებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი რეპუტაცია და ბოლოს და ბოლოს, ეფექტიანობაც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. მორალური ფასეულობები და მაღალი ეთიკური სტანდარტები დადებით გავლენას ახდენს კომპანიის კულტურაზე. კორპორაციული ფასეულობების ფორმულირება აუცილებელია კულტურის ფორმირებისთვის, ეთიკის კოდექსი კი - კორპორაციული ცნობიერების განვითარებისთვის. მაღალი ეთიკური სტანდარტები ხელს უწყობს კომპანიის მიერ გრძელვადიანი წარმატების მიღწევას, ხოლო ეთიკის საკითხებისადმი უყურადღებობა აუარესებს ორგანიზაციულ კულტურას და საბოლოოდ ცუდად აისახება ორგანიზაციის ეფექტიანობაზე.

სტრატეგიის ეფექტური რეალიზებისთვის აუცილებელია, თანამშრომლებს გააჩნდეთ პირადი მისწრაფება სტრატეგიული წარმატების და მაღალი მაჩვენებლების მისაღწევად. ამისათვის საჭიროა, რომ ისინი კომპანიის ერთგულნი იყვნენ და მაღალი შრომითი ენთუზიაზმი გააჩნდეთ. კომპანიის სტაბილურობა და კარგი საწარმოო მაჩვენებლები არა მარტო უზრუნველყოფს სტრატეგიის წარმატებულ რეალიზებას, არამედ განაპირობებს საუკეთესო მორალურ გარემოს, რაც ხელს უწყობს თვითრეალიზაციის და კიდევ უფრო მაღალი შედეგების მიღწევას. ამგვარი მორალური კლიმატის ფორმირებისთვის არ არის მთავარი მუშაკის საკუთარი შრომის პირობებით კმაყოფილება ან ერთმანეთთან ურთიერთობები, თუმცა ამ ფაქტორებსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს. ორგანიზაცია, სადაც არსებობს თვითრეალიზაციის განწყობა და ენთუზიაზმის სულისკვეთება, პირველ ადგილზე აყენებს მაღალ მიღწევებს და მუდმივ სრულყოფას. მისი კულტურა ორიენტირებულია შედეგზე, ხოლო ხელმძღვანელობას ძალუძს, თანამშრომლები თავდაუზოგავი შრომისთვის განაწყოს. კომპანიები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან მაღალ შრომით მაჩვენებლებზე, როგორც წესი, ზრუნავენ თავიანთ თანამშრომლებზე. ისინი აფასებენ მათ, უმყარებენ საკუთარი ღირსების გრძნობას, ორგანიზებას უწყვენ სწავლებას, წახალისებენ ინიციატივას, ხელს უწყობენ შემოქმედებითი პოტენციალის ზრდას, აწესებენ მკაფიო და გონიერ შრომით სტანდარტებს, ეფექტიანობის ამაღლებისთვის ქმნიან სტიმულირების და წახალისების გააზრებულ სისტემას, მენეჯერებისგან ითხოვენ მათზე დაქვემდებარებული მუშაკების განვითარებაზე ზრუნვას და აფართოებენ თანამშრომელთა უფლებამოსილებას, რათა მოახდინონ მათი თვითრეალიზებისა და პირადი დაინტერესების მოტივირება. შედეგზე ორიენტირებული კომპანიის კულტურა, როგორც წესი, უზრუნველყოფს იმ თანამშრომელთა პატივისცემას და დაფასებას, რომელთაც მაღალ შრომით მაჩვენებლებს მიაღწიეს.

კარგი მორალური კლიმატისა და შედეგზე ორიენტირებისთვის გამოიყენება სხვადასხვა მმართველობითი მეთოდი, ვერბალური ზემოქმედება, სიმბოლიკა, ქცევითი მოდელები, აგრეთვე ფასეულობათა სისტემა და კორპორაციული პოლიტიკის შემუშავება. მაღალი შრომითი მაჩვენებლების მისაღწევად აუცილებელი პირობაა მუშაკებისადმი რწმენა, კადრების შემოქმედებაზე უარის თქმა, საკუთარი თანამშრომლების მომზადება და დაწინაურება, პირადი ინიციატივის და შემოქმედებითობის წახალისება, მათი დარწმუნება, რომ “წვრილმანები არ არსებობს” და ამიტომ აუცილებელია ყველა, მათ შორის სრულიად უმნიშვნელო დავალების შესრულება. მაგრამ მხოლოდ წახალისებით ეფექტური ორგანიზაციული კულტურის შექმნა არ შეიძლება, ზოგჯერ საჭიროა სადამსჯელო ზომებიც. ის მენეჯერები, რომელთა ქვედანაყოფები დაბალ შრომით მაჩვენებლებს აჩვენებენ, უნდა შეიცვალონ. ცუდი თანამშრომლები და ისინიც, რომელთა პირადი თვისებები არ შეესაბამება ორგანიზაციის კულტურას, უნდა დაითხოვონ ან გადაიყვანონ მეორეხარისხოვან თანამდებობებზე. იმ თანამშრომლებს კი, რომლებიც არაფრით წარმოაჩენენ საკუთარ თავს, რბილი ფორმით უნდა ეცნობოთ, რომ თუ არ მოინდობენ, არ აიმაღლებენ კვალიფიკაციას და არ შეცვლიან საქმისადმი დამოკიდებულებას, იერარქიულ კიბეზე ვერ წაიწვევენ.

ORGANIZATIONAL CULTURE AND ITS STRATEGIC SIGNIFICANCE  
Annotation

Each company has its own organizational culture, that includes the philosophy and principles of how to conduct the company, the system of values, standards of behavior, the ways to solve problems and tools of making decision, the atmosphere of labor, "folklore" or the history of values of the company, system of taboos or "not made decisions".

Organizational culture is a style of thinking and a way of actions, which have turned into habits and became a tradition. It is shared by all employees of organization, with this or that degree. It has to be learnt and at least partially to be acknowledged by newcomers. Otherwise, they can't become full members of staff.

Beliefs and methods that generate organizational culture, originates from various sources: from worker who obtains a special authority, from formal or informal groups, from managers. Different attributes of organizational culture may be raised from the "bottom" or established by the leadership. Often the key components of culture are established by founders or several strong leaders of the organization. "Above" established elements of culture gradually take roots into the organization, after which affects its atmosphere by means of formation of behavior of new employees. The culture can be sat up "even itself" in fast-growing organizations and not by the influence of some principles. So it happens because of the fact, that the main criteria for candidates of employee are technical skills and experience and not beliefs and value.

ნაირა ლევდაშვილი

შოუბიზნესის მენეჯმენტი: პრობლემები, ბანკოთარების პერსპექტივა

კულტურულ ფასეულობათა მიმართებაში საბაზრო ურთიერთობათა ფორმირებამ, მუსიკალური ბაზრის გაფართოებამ და მისმა უნივერსალიზაციამ მძლავრი მუსიკალური ინდუსტრიის შექმნა გამოიწვია. პოპულარული მუსიკის გავრცელება XXI საუკუნის დასაწყისში ახალ მასშტაბებს იძენს. იგი დაუკავშირდა მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, კერძოდ ინფორმაციის უმარტივესი მატარებლების – გრამფირფიტებისა და რადიოგადამცემების ასევე მასშტაბურ წარმოებას, შოუბიზნესის სფეროში ინოვაციების დანერგვის აუცილებლობას, რასაც სტიმულს აძლევს კონკურენცა და მუსიკალური ბაზრის მთელი რიგი სხვა მოთხოვნები. მათი გამოყენება განპირობებულია აგრეთვე დემოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალური ხასიათის ცვლილებებით, მომხმარებელთა ცვალებადი მოთხოვნებით, ცვლილებებით თანამედროვე ადამიანის ფსიქოლოგიაში და ა. შ. ტექნიკური პროგრესის წყალობით არა მხოლოდ მუსიკის აღქმა, არამედ მთლიანად მუსიკალური საქმიანობა შეიცვალა. მუსიკა, ჩაწერილი ფირფიტაზე, კასეტებზე, კომპაქტდისკზე, წარმოადგენს კულტურის ინდუსტრიის განუყოფელ ნაწილს. სწორედ მუსიკალური ფესტივალები წარმოადგენს განსაკუთრებულ საშუალებას მუსიკალური ვარსკვლავებისათვის ფართო მაცურებლის წინაშე გამოსასვლელად, მათი მნიშვნელოვანი და, ამავე დროს, უფასო გაშუქებით ინფორმაციის მასობრივ საშუალებებში. შესრულებული მუსიკალური ნაწარმოები, როგორც წესი, იწერება კომპაქტდისკზე, ხდება მისი გამრავლება და რადიო და ტელესადგურების მეშვეობით მოსმენა. მუსიკა ინდუსტრიად ყალიბდება მის სხვადასხვა სფეროში – კლასიკურ მუსიკაში, მსუბუქ, როკ და პოპმუსიკაში, ხალხურ და ჯაზურ მუსიკაში. მუსიკალურ ბაზარზე ყველა მათგანს თავისი ნიშა აქვს.

მსუბუქ, ხალხურ და როკმუსიკის განვითარებასა და გავრცელებაში დიდ როლს თამაშობს მასობრივი ინფორმაციის და ხმის ჩამწერი ინდუსტრიის საშუალებები.

მრავალრიცხოვან საკონცერტო ავენტებსა და მენეჯერებთან ერთად, ისინი კონცერტების, ტურნეების, ფესტივალების და სხვა მასიური მუსიკალური ღონისძიებების ორგანიზატორები არიან. გრამფირფიტების, აუდიო და კომპაქტდისკების ბაზარი ეკონომიკური თვალსაზრისით ყველაზე მძლავრი კულტურული ბაზარია მთელ მსოფლიოში.

საქართველოში, ისე, როგორც მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში, შოუბიზნესი საკმაოდ გვიან, კერძოდ 80-იანი წლების შუა პერიოდში გამოჩნდა. მან, ე.წ. „საბჭოთა ესტრადა“ შეცვალა. ტერმინი „ესტრადა“ ხელოვნების მსუბუქი ჟანრის ყველა სახეს მოიცავდა. საზღვარგარეთ, კერძოდ ევროპასა და ამერიკაში, ასეთ ჟანრს კაბარე, შოუ, ვარიეტე და მიუზიკ-კოლი ეწოდებოდა.

ესტრადას თავის განვითარებაში ყოველთვის მიისწრაფის მრავალფეროვნებისა და განუმეორებლობისაკენ.

ესტრადა საქართველოში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ განვითარდა. იგი ხელოვნების მიმართულე-ბად იქცა. რადგან მას მასიური პოპულარობა ჰქონდა, მის ჟანრებს ხშირად იყენებდნენ რადიო და ტელეგადაცემებში. მაშინდელი ესტრადის მომღერლები ხალხში დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ. მათ შორის ყველაზე გამოჩენილები სახელმწიფო პრემიის მსახიობებიც ხდებოდნენ.

თანამედროვე შოუბიზნესში უმნიშვნელოვანესი როლი ავტორს და შემსრულებელს ეძლევა. თუმცა, პროდიუსერების, მენეჯერების, პრომოუტერებისა და შოუბიზნესში დაკავებულ სხვა პერსონათა მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ მათ გარეშე ეს კულტურული მოვლენა ვერ შედგებოდა.

პროდიუსერი, როგორც მეწარმე, ეძებს ახალ იდეებს და მათი განხორციელების საშუალებებს. პროდუქტის შექმნის საწყისიდან მის ფინალამდე, იგი პასუხს აგებს საწარმოო და შემოქმედებით საქმიანობაზე: ახდენს პროექტის ბიუჯეტის ფორმირებას, პოულობს და ქირაობს შემოქმედებით და აღმასრულებელ პერსონალს, ადგენს მუშაობის გრაფიკს, ამუშავებს სარეკლამო სტრატეგიებს, ახორციელებს გაქირავებას, დისტრიბუციას და ა. შ.

თანამედროვე ეტაპზე შოუბიზნესში დიდ როლს თამაშობს წარმოების ორგანიზების ხარისხი, ანუ ის, თუ როგორი ადამიანები მონაწილეობენ შოუ-პროდუქტის წარმოებასა და მოსახლეობისთვის შეთავაზებაში.



შოუპროდუქტის რეალიზაცია მუშების ჯგუფებს და კონკრეტულ მუშაკებს შორის ფუნქციების დანაწილების გარეშე შეუძლებელია. ამის გათვალისწინებით შოუბიზნესი იყოფა 4 ბლოკად:

1. ფინანსური;
2. ორგანიზაციულ-სამართლებრივი;
3. შემოქმედებით-მმართველობითი;
4. PR-ბლოკი.

ფინანსურ ბლოკში ის სამუშაოები ხორციელდება, რომლებსაც ფინანსური დირექტორი, ინვესტორები და სპონსორები ახორციელებენ.

ფინანსური დირექტორი იძლევა რჩევებს, თუ სად შეიძინონ შოუ-მოწყობილობა უფრო სარგებლიანად, საიდან მოიხილონ ინვესტიციები და რაში დააბანდონ, რომ არ იზარალონ.

ფინანსური მენეჯერი მუშაობს ოპტიმალური ხელფასის განსაზღვრაზე. განსაკუთრებით ეს ეხება პროდიუსერების ხელფასს. იგი მოელი შემოსავლის 20%-ის ფარგლებში უნდა მერყეობდეს.

ინვესტორები და სპონსორები პროდიუსერის პარტნიორები არიან. ისინი აფინანსებენ პროექტს და მათ უფლება აქვთ, ჩაერთონ ან არ ჩაერთონ პროექტის განხორციელებაში. მათი ეს უფლება-მოვალეობა დაფიქსირებულია მათთან დადებულ ხელშეკრულებაში.

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ბლოკი შეიცავს აღმასრულებელი პროდიუსერის, ჯგუფის დირექტორის, მენეჯერის, იურისტის და ასევე გასტროლების (კონცერტების) დირექტორის მუშაობას.

აღმასრულებელი დირექტორი გენერალური პროდიუსერის მარჯვენა ხელს წარმოადგენს. იგი წვევებს პროექტის ყველა ფინანსურ, მმართველობითი და შემოქმედებითი ხასიათის საკითხებს, თუმცა გადაწყვეტი სიტყვა მაინც პროექტის ხელმძღვანელს ეკუთვნის. ამის გარდა, მის ფუნქციებში შედის მოწყობილობის მუშაობის ორგანიზება.

ჯგუფის დირექტორი მონაწილეობს ჯგუფის ყველა საქმიანობაში, კერძოდ, მათთან ერთად მიდის გასტროლებზე, ადგილზე წვევებს პარტნიორებთან ურთიერთობის საკითხებს. ჯგუფში შემავალი მსახიობები მასთან ათანხმებენ და წვევებენ ყველა საჭირო საკითხს და მეტად იშვიათად მიმართავენ გენერალურ დირექტორს.

მენეჯერი ჯგუფის სამუშაოებთან (ვიდეოკლიპების გადაღება, საგასტროლო საქმიანობა და ა.შ.) დაკავშირებულ მოლაპარაკებებს აწარმოებს, ახდენს პროცესის კოორდინირებას და ა. შ.

გასტროლების დირექტორი დასაქმებულია კონცერტების (ნებისმიერი მასშტაბის) ორგანიზებაზე. იგი პასუხს აგებს კონცერტის ბილეთების და სასტუმროს ადგილების დაჯავშნაზე, ბილეთის ფასების პოლიტიკაზე, კონცერტების ჩატარების გრაფიკზე და ა. შ. საგასტროლო ტურნეს ორგანიზებაში გასტროლების დირექტორს, როგორც წესი, დახმარებას უწევს ტურმენეჯერი ან ტურნეს ადმინისტრატორი.

შემოქმედებით-მმართველობითი ბლოკი მოიცავს ავტორების, შემსრულებელი მსახიობების, მუსიკალური გამომცემლობების, რეკორდ-კომპანიების, არტ-მენეჯერების, ტელე და რადიო პროგრამის დირექტორების და სხვათა მუშაობას.

ავტორების და შემსრულებელ მსახიობთა რიცხვში არიან ის ადამიანებიც, რომლებიც შეიძლება არც მუსიკას წერენ და არც მათ ასრულებენ სცენაზე, მაგრამ მუშაობენ მათი იმიჯის შესაქმნელად. ესენი არიან: დამდგმელი რეჟისორები, დამდგმელი ქორეოგრაფი, ბენდი, ტურნეს დროს დროებით დაქირავებული მუსიკოსები და სხვა.

მუსიკალური გამომცემლობები ის ორგანიზაციებია, რომლებიც მუსიკალური მასალის ავტორების, კომპოზიტორების და პოეტების უფლებებს მართავენ. მათთან, როგორც საავტორო უფლებების მფლობელებთან, პროდიუსერი მოლაპარაკებებს აწარმოებს საავტორო მუსიკალური მასალის გამოყენების თაობაზე.

ამა თუ იმ კომპოზიციის გამოყენებამდე პროდიუსერი მუსიკალურ გამომცემლობასთან ხელშეკრულებას აფორმებს, რომელსაც ევალება, ავტორს გადაურიცხოს ჰონორარი. ასე რომ, ამ ფორმით პროდიუსერი მუსიკალურ გამომცემლობასთან ფინანსურ-სამართლებრივ ურთიერთობებში შედის. შეიძენს რა ავტორისაგან მუსიკალურ პროდუქტზე საავტორო უფლებას, გამომცემელი მისი ერთადერთი მესაკუთრე ხდება. ავტორს მასზე მხოლოდ არაქონებრივი უფლებები რჩება. მის პროდუქციას მართავს გამომცემლობა და იგი მხოლოდ შემოქმედებითი შრომით არის დაკავებული.

არტმენეჯერი არის პროექტის ყველა შემოქმედებითი მუშაკის, მ.შ. მსახიობების საქმიანობის ექსპერტი. მის კომპეტენციაში შედის, გადაწყვიტოს რამდენად საჭიროა შოუბალეტი, როგორი უნდა იყოს გამოსვლის სტილი და ა. შ. ასე რომ, არტმენეჯერი აკონტროლებს მსახიობის სახეს და მასთან დაკავშირებულ ყველა მეტამორფოზას. მისი მთავარი მიზნებია მსახიობებთან დაკავშირებული ყველა შემოქმედებითი საქმის ორგანიზაცია, იმ საბოლოო შოუ-პროდუქტის შეფასება, რომელშიც ქორეოგრაფმა, იმიჯმეიკერმა და რეჟისორმა მიიღოს მონაწილეობა.

ტელე და რადიო პროგრამების დირექტორები ის ადამიანებია, რომლებიც წვევებენ თუ რომელი ჩანაწერები უნდა გავიდეს რადიოს ეთერში.

PR-ბლოკი მოიცავს PR დირექტორების, პრომოუტერების და პრესატაშეების მუშაობას. PR დირექტორი კონტროლს უწევს მის დაქვემდებარებაში მყოფი პრომოუტერების შემოქმედებით გადაწყვეტილებებს. შემოქმედებით ამოცანებში, როგორც წესი, პროექტის იდეის, სახის და კონცეფციის შექმნა შედის.

პრომოუტერები მუშაობენ ხმის ჩამწერ კომპანიებში. მათი საქმიანობის შინაარსი იმაშია, რომ რაც შეიძლება მეტი დრო მიიღონ ახალი ჩანაწერის ტელეეთერში გასვლისას. ამისათვის ისინი უშუალო კონტაქტს ამყარებენ ტელე და რადიოარხების პროგრამების პროდიუსერებთან.

პრესატაშე უშუალო კონტაქტს ამყარებს პრესასთან და ყველა იმ მოვლენის საქმის კურსშია, რაც შემსრულებელ-მსახიობთა ცხოვრებაში ხდება.

წარმატებული პროდიუსერებისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ პროფესიის ცოდნა. საჭიროა, მან იცოდეს და დაიცვას ეთიკის ნორმები. ის პროდიუსერის პროფესიონალიზმის განუყოფელი ნაწილია და დიდ როლს თამაშობს მის საქმიან პრაქტიკაში.

თავის საქმიან პრაქტიკაში პროდიუსერს სხვადასხვანაირ ადამიანებთან უხდება ურთიერთობა, ამიტომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები აუცილებლად უნდა იყოს ზნეობრივად დასაბუთებული. პროდიუსერის ქცევის ეთიკურ ჩარჩოს განსაზღვრავს ეთიკის ნორმები, რადგან მისი საქმიანობა იწყება ურთიერთობით, ამიტომ მან, პირველ რიგში, უნდა იცოდეს ურთიერთობის ეთიკა.

პარტნიორებთან, მსახიობებსა და გუნდის სხვა წევრებთან პროდიუსერს უნდა ჰქონდეს პატიოსანი დამოკიდებულება. ამისთვის მან უნდა დაიცვას საერთო ადამიანური მორალი, რომელიც პიროვნებათაშორის ურთიერთობის ფუნდამენტია. მმართველობითი ეთიკიდან გამომდინარე, პროდიუსერი ვალდებულია, უგებდეს თავის ქვეშევრდომს, მათში ხელაგდეს პატივსაცემ პიროვნებებს, იყოს ჰუმანური, ითვალისწინებდეს მათ ინტერესებს და სურვილებს. პროდიუსერი გუნდში ურთიერთგაგების და ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროს უნდა ქმნიდეს.

პროდიუსერის ეთიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია სამართლიანობა. თითოეულ შემსრულებელ მსახიობს მიანიჭა, რომ ის გამორჩეულია და „ვარსკვლავის“ ავადმყოფობა სჭირს. პროდიუსერი თავისი შესაძლებლობის ფარგლებში უნდა დაეხმაროს მას ამ მითის რეალობად გადაქცევაში.

მუშაობის პროცესში პროდიუსერი ხელაგდს დაქვემდებარებულების შეცდომებს. იგი ვალდებულია, მიუთითოს მათ ამის შესახებ, დაეხმაროს გამოსწორებაში, მაგრამ ეს უნდა გააკეთოს პროფესიული ტაქტით. დაშვებული შეცდომების შესახებ შემდგომ მათ არ უნდა გაახსენოს, რადგან ეს დაბაბავს ურთიერთობას და შეამცირებს შრომის მწარმოებლურობას.

რაც შეეხება შემსრულებლებს, შემსრულებლებთან ურთიერთობაში მნიშვნელოვანია დასახულ ამოცანათა შესრულების მეთოდის არსებობა. ამით ამაღლება შემსრულებლების პასუხისმგებლობაც. მათ უნდა დაინახონ ლიდერის – მოცემულ შემთხვევაში პროდიუსერების, მენეჯერის, ქარიზმატული მხარეები, რაც მის უნარსა და შესაძლებლობებში გამოიხატება. შემსრულებელი აცნობიერებს, რომ, თუ იგი მის დავალებებს შეასრულებს, მაშინ ისიც მასავით ქარიზმატული იქნება. მსახიობს ლიდერში, პირველ რიგში, მისი გარეგნობა მოსწონს.

დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება, სიტუაციის ფლობა და მუსიკალური პროცესის კოორდინირება მენეჯერში თანდათან ყალიბდება. მას ამას პრაქტიკული გამოცდილება აძლევს. გარდა ამისა, იმის გამო, რომ შოუბიზნესში დღითი დღე ახალ-ახალი სპეციალობები – დიდიმეიკერი, ნიუსმეიკერი, იმიჯმეიკერი და სხვ. ჩნდება, პროდიუსერი (მენეჯერიც) ვალდებულია, ეს სფეროებიც შეისწავლოს, იმისთვის, რომ ავტორიტეტი არ დაკარგოს.

შოუბიზნესის მენეჯმენტის არსიც სწორედ მის მიერ დასახული მიზნების მიღწევაში მდგომარეობს, რომლებიც მართვაში შემდეგ ძირითად ამოცანებს ასრულებენ: არსებული მდგომარეობის შეჯერება სასურველთან (სად ვართ ჩვენ შოუბიზნესის კუთხით? და საით მივდივართ?); საქმისადმი წაყენებული მოთხოვნები (რა უნდა გააკეთოთ შოუბიზნესის განვითარებისათვის? რა პერსპექტივები გააჩნია ქვეყანას? რა შესაძლებლობები გაგვანია და როგორ უნდა გამოვიყენოთ ის?) და სხვა.

შოუბიზნესის სფეროში მართვა ემორჩილება მომსახურებათა წარმოების საბაზრო განვითარების ამოცანებს – ადამიანური რესურსების შრომის ორგანიზაციას, პერსონალთა შრომის ნაყოფიერების გაზრდას, მომსახურებათა კონკურენტუნარიანობის მიღწევას, მომგებიანობის ზრდას და სხვ. ამავე დროს, ის გამიზნებულია ადამიანთა დიდი ჯგუფების და კონკრეტული ინდივიდების სხვადასხვა განაცხადისა და მოთხოვნების რეალიზაციაზე, რომლებიც საბაზრო გაცემის პროცესში მომსახურებათა მწარმოებლებთან შედიან კონტაქტში. ყველაფერი ეს აყალიბებს შოუბიზნესის მენეჯმენტის განსხვავებას საზოგადოებრივი ტიპის ორგანიზაციების მართვისაგან.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. М. П. Переверзев, Т. В. Косцов. „Менеджмент в сфере культуры и искусства.“ М., ИНФРА-М. 2015.
2. Жданова Е. „Управление и экономика в шоу-бизнесе.“ М. „Финансы и статистика.“ 2003.
3. Тульчинский Г.Л., Шекова Е. Л. „Менеджмент в сфере культуры,“ СПб. Изд-во „Лань“ и „Планета Музыки.“

2009.

*Naira Ghvedashvili*

### MANAGEMENT OF SHOW BUSINESS: PROBLEMS, PROSPECTS OF DEVELOPMENT

#### Annotation

At the beginning of XXI century, distribution of popular music gains new scopes. It was connected with scientific-technical progress, particularly with the simplest carriers of information - large-scale production of radios and vinyl. Music is being formed as an industry in its various fields- in classical, mild, rock and pop music, in folk and jazz music. They all have their own niches in the music market. In Georgia, as well as in the former Soviet Union, the show business appeared very late, particularly in the middle of the 80s. In the field of show business, management is the subject to the tasks of market development of service production- Human Resources Labor Organization, achieving competitiveness of services, increasing profitability. At the same time, it is intended for realization of the requests of large groups of human and some individuals, who are entering into contact with the producers of services in the process of market exchange.

**საოპერაციო რისკის მართვისაში თანამედროვე მიდგომები**

თანამედროვე ეტაპზე საკრედიტო დაწესებულებების საოპერაციო რისკების მართვას უდიდესი ყურადღება უნდა დაეთმოს. ფაქტობრივად, საოპერაციო რისკის კარგად მართვა ბანკის მთელი შიდა სისტემის, ე.ი. ბანკის კარგად მართვას ნიშნავს და, პირიქით, სადაც არ შესწევთ უნარი, მართონ საოპერაციო რისკები, მნიშვნელოვნად იზრდება ბანკის გაკოტრების ალბათობა.

საოპერაციო რისკების ადეკვატური მართვის გარეშე ბანკის ხელმძღვანელობა მოკლებული იქნება ინფორმაციას ბანკში არსებულ ვითარებასა და პრობლემის სიღრმეზე. საოპერაციო რისკის ადეკვატური მართვა ამ რისკით გამოწვეული რაიმე პრობლემის საწყის ეტაპზევე გამოვლენისა და გადაწყვეტის საშუალებას მისცემს ბანკის მენეჯმენტს, რაც ბანკის სტაბილურობისა და ფინანსური მდგრადობის საფუძველია.

კომერციული ბანკების მიერ რისკების მინიმიზაციის ერთ-ერთი საშუალება საოპერაციო რისკის ნეიტრალიზაციისთვის დამატებითი კაპიტალის ფლობაა, ვინაიდან უკანასკნელ პერიოდში სწორედ საოპერაციო რისკების გამო (სხვა რისკებთან ერთად) გაკოტრდა არაერთი მსხვილი ბანკი და კომპანია.

საოპერაციო რისკის შესაფასებისათვის საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში - „საოპერაციო რისკის მართვისა და ზედამხედველობის ჯანსაღი პრაქტიკა“<sup>141</sup>, რეკომენდებულია სამი მიდგომა:

- საბაზისო ინდიკატორული მიდგომა (Basic Indicator Approach);
- სტანდარტიზებული მიდგომა (Standardised Approach);
- ე.წ. განვითარებული გაზომვის მიდგომა (Advanced Measurement Approaches -AMA).

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

**საბაზისო ინდიკატორული მიდგომის** გამოყენებით საოპერაციო რისკის შეფასება და შესაბამისი კაპიტალის განსაზღვრა წარმოებს საერთო შემოსავლების საფუძველზე. საერთო შემოსავალი განიშარტება, როგორც წმინდა საპროცენტო და წმინდა არასაპროცენტო შემოსავლების ჯამი.

ამ მიდგომის მიხედვით საოპერაციო რისკის დასაფარავად კაპიტალის მიმართ მოთხოვნა შემდეგი ფორმულით გამოისახება:

$$K_{BIA} = \left[ \sum (GI_{1..n} * \alpha) \right] / n$$

სადაც:

**GI** – წლიური საერთო შემოსავლები (თუ დადებითია) ბოლო 3 წლის განმავლობაში;

**n** – იმ წლების რაოდენობა, როცა ბოლო 3 წლის განმავლობაში საერთო შემოსავლები დადებითი იყო;

**α** – 15%, ბაზელის კომიტეტის მიერ დადგენილი რისკის ფაქტორი.

ამდენად, საბაზისო ინდიკატორული მიდგომა ითვალისწინებს ბანკების მიერ კაპიტალის ფლობას საოპერაციო რისკის დასაფარავად, რომელიც უნდა შეადგენდეს ბოლო 3 წლის წლიური საერთო შემოსავლების საშუალო მანველებლის 15%.

**სტანდარტიზებული მიდგომა** ითვალისწინებს ბანკის საქმიანობის დაყოფას რვა ძირითად ბიზნეს-მიმართულებად და კაპიტალის მოთხოვნის განსაზღვრას თითოეული მიმართულებისათვის, დიფერენცირებული **β** კოეფიციენტის გამოყენებით.

ამ მიდგომის გამოყენების შემთხვევაში კაპიტალის მინიმალური მოთხოვნა შემდეგნაირად გამოითვლება:

$$K_{StA} = \left\{ \sum_{years 1-3} \max \left[ \sum (GI_{1-8} * \beta_{1-8}), 0 \right] \right\} / 3$$

სადაც:

**GI** – წლიური საერთო შემოსავლები თითოეული ბიზნეს-მიმართულებისათვის;

**β** – ბაზელის კომიტეტის მიერ თითოეული ბიზნეს-მიმართულებისათვის დადგენილი რისკის ფაქტორი, რომელთა მნიშვნელობებიც ქვემოთ მოყვანილ ცხრილშია<sup>142</sup> წარმოდგენილი:

<sup>141</sup> Basel Committee on Banking Supervision – “Sound Practices for the Management and Supervision of Operational Risk” (<http://www.bis.org/publ/bcbs96.pdf?noframes=1>).

<sup>142</sup> Basel Committee on Banking Supervision – “Sound Practices for the Management and Supervision of Operational Risk” (<http://www.bis.org/publ/bcbs96.pdf?noframes=1>).

ბანკის ბიზნეს-მიმართულება	β ფაქტორები
კორპორაციული დაფინანსება (corporate finance)	β <sub>1</sub> =18%
ვაჭრობა და გაყიდვები (trading and sales)	β <sub>2</sub> =18%
საცალო საბანკო მომსახურება (retail banking)	β <sub>3</sub> =12%
კომერციული საბანკო მომსახურება (commercial banking)	β <sub>4</sub> =15%
გადახდები და ანგარიშსწორება (payment and settlement)	β <sub>5</sub> =18%
სააგენტო მომსახურება (agency services)	β <sub>6</sub> =15%
აქტივების მართვა (asset management)	β <sub>7</sub> =12%
საცალო საბროკერო მომსახურება (retail brokerage)	β <sub>8</sub> =12%

თუ რომელიმე წელს ერთი ან რამდენიმე ბიზნეს-მიმართულებიდან მიღებული საერთო შემოსავალი უარყოფითი იქნება, შესაძლებელია მისი განეიტრალება სხვა ბიზნეს-მიმართულებიდან მიღებული საერთო შემოსავლით. მაგრამ, თუ რომელიმე წელს საერთო შემოსავალი ყველა ბიზნეს-მიმართულებიდან უარყოფითი იქნება, აღნიშნული წელი გაანგარიშების დროს მხედველობაში არ მიიღება.

პრაქტიკაში ასევე გამოიყენება სტანდარტიზებული მიდგომის ალტერნატიული ვარიანტი: ე.წ. **ალტერნატიული სტანდარტიზებული მიდგომა (Alternative Standardised Approach)**. ამ მიდგომის მეთოდოლოგია სტანდარტიზებული მიდგომის ანალოგიურია, გარდა იმისა, რომ ბიზნეს-მიმართულებისა, სახელდობრ, საცალო საბანკო მომსახურებისა და კომერციული საბანკო მომსახურებისათვის საერთო შემოსავლის ინდიკატორი შეიძლება განისაზღვროს ბოლო 3 წლის საკრედიტო პორტფელის საშუალო მანვენებლის გამრავლებით ფიქსირებულ  $m$  რისკ-ფაქტორზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში შესაბამისი β ფაქტორი უცვლელი რჩება.

ალტერნატიული სტანდარტიზებული მიდგომის გამოყენებით კაპიტალის მინიმალური მოთხოვნის განსაზღვრა საცალო საბანკო მომსახურების ბიზნეს-მიმართულებისათვის შემდეგი ფორმულის გამოყენებითაა შესაძლებელი:

$$K_{RB} = \beta_{RB} * m * LA_{RB}$$

სადაც:

**LA<sub>RB</sub>** – ბოლო 3 წლის საკრედიტო პორტფელის საშუალო მანვენებელი;

**m** – 0.035, ფიქსირებული რისკ-ფაქტორი;

**β<sub>RB</sub>** – საცალო საბანკო მომსახურებისათვის განსაზღვრული β ფაქტორი.

ანალოგიურად მოხდება კაპიტალის მინიმალური მოთხოვნის განსაზღვრა საბანკო მომსახურების მიმართულებისთვისაც.

**განვითარებული გაზომვის მიდგომა** ბანკს საშუალებას აძლევს თავად შეიმუშაოს საოპერაციო რისკის შეფასების საკუთარი მეთოდიკა, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს განსაზღვრულ ხარისხობრივ და რაოდენობრივ კრიტერიუმებს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიდგომის გამოყენებისათვის ბანკმა აუცილებლად უნდა მიიღოს საზედამხედველო ორგანოს წინასწარი თანხმობა.

განვითარებული გაზომვის მიდგომა მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას:

1. ბანკის მენეჯმენტის ზედამხედველობისა და საინფორმაციო სისტემას;
2. საბანკო პოლიტიკისა და პროცედურების განუხრეგლ შესრულებას;
3. ადეკვატურ შიდა კონტროლის სისტემას.

აღნიშნული მიმართულებებიდან განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს მენეჯმენტის ზედამხედველობის სისტემაზე. იგი გულისხმობს ბანკის სტრუქტურაში აღმასრულებელი მენეჯმენტის დონეზე გარკვეული ქვედანაყოფის არსებობას, რომელიც შესაბამის მონიტორინგს უწევს ყველა სახის ფინანსურ რისკს, განსაზღვრავს და დროულად აღმოფხვრის საოპერაციო რისკის გამომწვევ მიზეზებს. ბევრ ბანკში ასეთი ქვედანაყოფები არსებობს ბანკის მენეჯმენტის (დირექტორატის) დონეზე სხვადასხვა კომიტეტების (საკრედიტო, საფინანსო, რისკის მართვის და აუდიტის) სახით. ამასთანავე, სასურველი იქნება, თუ ქართული ბანკები გაითვალისწინებენ თავიანთ სტრუქტურებში ახალი საბანკო პროდუქტების დანერგვის რისკის განსაზღვრისა და მართვის კომიტეტს.

რისკების მართვაში აქტიურად უნდა იყოს ჩართული როგორც სამეთვალყურეო საბჭო, ასევე მენეჯმენტი. ბანკის სიდიდის, კომპლექსურობისა და რისკის დონის შესაბამისად უნდა განისაზღვროს, თუ რომელი მიდგომა იძლევა საოპერაციო რისკის მართვის ყველაზე ეფექტიან შედეგს.

უნდა აღინიშნოს, რომ საოპერაციო რისკის მთლიანი ნეიტრალიზაცია შეუძლებელია, ოპტიმალურ შემთხვევაში, გატარებულმა ღონისძიებებმა და რისკების მართვის სისტემამ უნდა უზრუნველყოს მისი მინიმუმამდე დაყვანა.

საოპერაციო რისკის ეფექტიანად მართვა შესაძლებელია ისეთ ბანკებში, რომელთაც რისკის მართვის კომპლექსური სტრატეგია გააჩნიათ, რაზეც სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის მხრიდან ხორციელ-

დება მუდმივი ზედამხედველობა, სადაც სწორად ხდება პასუხისმგებლობებისა და მოვალეობების გადანაწილება, რეგულარულად მზადდება შიდა ანგარიშგებები, მაღალ დონეზეა შიდა კონტროლის კულტურა. ყოველივე ეს კი დამახასიათებელია ბანკებისათვის, სადაც კორპორაციული მართვა სათანადოდაა მოწესრიგებული. ამიტომ კორპორაციული მართვის პრინციპების დანერგვას კომერციულ ბანკებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. დებულება „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე“ (საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება 2008 წლის 17 მარტი № 71);
2. Basel Committee on Banking Supervision – Amendment to the Capital Accord to Incorporate Market Risks. January 1996(<http://www.bis.org/publ/bcbs24.pdf?noframes=1>);
3. Basel Committee on Banking Supervision – International Convergence of Capital Measurement and Capital Standards: Revised Framework-Comprehensive Version. June 2006 (<http://www.bis.org/publ/bcbs128.pdf?noframes=1>);
4. Linda Allen, Jacob Boudoukh, Anthony Saunders. Understanding Market, Credit, and Operational Risk: The Value at Risk Approach. October 2003, Wiley-Blackwell.

*Leila Ghudushauri*

## MODERN APPROACHES OF OPERATIONAL RISK MANAGEMENT Annotation

The article deals with modern methods of operational risk management, namely, the three approaches of the Basel Committee:

- Basic Indicator Approach;
- Standardised Approach;
- Advanced Measurement Approaches-AMA.

The article concludes that the operational risk as a whole can not be neutralized, but in the optimal case, the measures adopted and effective risk management system can ensure its minimization.

*ასმათ შამუგია*

### ადამიანის როლი ორგანიზაციაში

ნებისმიერი დაწესებულების წარმატების საფუძველს და ძირითად სიმდიდრეს ადამიანი (კადრი) წარმოადგენს. ამიტომ ყოველი თანამშრომელი დღევანდელი ორგანიზაციებისთვის გახდა არა მარტო გადაამწყვეტი, არამედ განვითარების ძვირადღირებული ფაქტორი. ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ თითოეული დაწესებულება, პირველ რიგში, მუდმივად უნდა ცდილობდეს ადამიანური რესურსების ეფექტიანად გამოყენებას, ქმნიდეს ყველა პირობას იმისათვის, რომ მაქსიმალურად შეუწყოს ხელი დასაქმებულების პოტენციალის ინტენსიურ განვითარებას. სწორედ ეს მიმართულება წარმოადგენს თანამშრომლისა და ორგანიზაციის ურთიერთქმედების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს, თუმცა აქვე მიუთითებენ ამ ურთიერთქმედების მეორე მხარის არსებობასაც, რომელიც ასახავს, თუ როგორ უწყურებს ადამიანი ორგანიზაციას, რა როლს თამაშობს ის მის ცხოვრებაში, რას აძლევს დაწესებულება მას და როგორ მნიშვნელობას ანიჭებს ინდივიდი ორგანიზაციასთან თავის ურთიერთობას. სტრატეგიული მართვისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ორგანიზაციისა და ადამიანის ზემოსხენებული ორივე მიმართულება. როგორც ფართოდაა აღიარებული, სტრატეგიული ამოცანების მიღწევის (სტრატეგიული პერიოდის ყველა მონაკვეთში) ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს თანამშრომლების ჰარმონიული და ეფექტიანი ჩართვა ორგანიზაციის ცხოვრებაში. ამისათვის აუცილებელია, სწორად აიგოს ადამიანისა და ორგანიზაციული გარემოს ურთიერთქმედება, რაც ითხოვს დიდ ძალისხმევასა და სპეციალურ ცოდნას. თუ ვიხელოვანდებით ორგანიზაციის თეორიაში ფართოდ აღიარებული დებულების მიხედვით, მაშინ ადამიანისა და ყოველი დაწესებულების ურთიერთქმედების განხილვაში ამოსავალი ფაქტორი არის ინდივიდი. ეს ურთიერთქმედება კი შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად:

❖ ადამიანი, რომელიც შედის ორგანიზაციულ გარემოსთან ურთიერთქმედებაში, მისგან იღებს წამახალისებელ ზემოქმედებას;

❖ ინდივიდი, ამ ორგანიზაციული გარემოს მხრიდან მიღებული წამახალისებელი სიგნალების გავლენით, ახორციელებს გარკვეულ მოქმედებებს;

❖ მოქმედებები, რომელსაც ახორციელებს ადამიანი, შედეგად მისი მხრიდან გარკვეული სამუშაოების შესრულებას იწვევს და, ერთდროულად, გავლენას ახდენს ორგანიზაციულ გარემოზე.

ასეთი განხილვის შემთხვევაში ორგანიზაციულ გარემოში ერთგება ის ელემენტები, რომლებიც ურთიერთქმედებენ ადამიანთან. წამახალისებელი ზემოქმედება მოიცავს შესაძლებელი სტიმულების მთელ სპექტრს (სიტყვიერი, წერილობითი და სხვ.).

თითოეული დაწესებულების წარმატების საფუძველს წარმოადგენს მისი კოლექტივი, თანამოაზრეების გუნდი, რომელიც ზოგჯერ წლობით ყალიბდება. სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ მდიდარი ტრადიციების მქონე ორგანიზაციები ხელიდან არ უშვებენ შესაძლებლობას, რათა ხაზი გაუსვან თავიანთი არსებობის ხანგრძლივ პერიოდს.

ყოველი ასეთი მიდგომა ნებისმიერი ადამიანის გონებაში გაიგივებულია ორგანიზაციების საიმედოობასთან, მომუშავე თანამშრომლების მდიდარ გამოცდილებასთან, გარემო მოვლენების ზემოქმედებების წინააღმდეგ მათი მდგრადობის მაღალ დონესთან. ამის გათვალისწინებით ყველა ორგანიზაციაში უადრესად დიდი მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს ადამიანური ფაქტორის ეფექტიანობის ამაღლებაზე (კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაზე) მიმართულ საქმიანობას, რისთვისაც აუცილებელია:

❖ თანამშრომლების მოტივირების, მათი მატერიალური და მორალური დაინტერესების სისტემის შექმნა;

❖ კადრების მატერიალური წახალისების დაკავშირება მათი ინდივიდუალური და მთლიანად ორგანიზაციის შეფასების კრიტერიუმებთან;

❖ პერსონალის საქმიანობის ეფექტიანობის შესაფასებელი კრიტერიუმების ამოქმედება, მინიმალური კრიტერიუმის ნორმატივების დაწესება, თითოეული თანამშრომლის საქმიანობის შედეგების სისტემატური შეფასება;

❖ ორგანიზაციის საქმიანობის საერთო შედეგებისა და კონკურენციული დაწესებულებების მოქმედებების გათვალისწინება კადრების მატერიალური (ხელფასი, პრემირება, ბონუსები და ა.შ.) და არამატერიალური (დაჯილდოება, დაწინაურება, უფლებამოსილება და ა.შ.) სტიმულირების დროს.

ინდივიდი, რომელსაც აქვს წარმოდგენა საკუთარ შესაძლებლობებზე და რომელიც ფლობს დროის შესაბამის ცოდნას დაწესებულების შესახებ, უნდა მასთან ურთიერთობის სურვილი, შეიძლოს ორგანიზაციასთან ურთიერთქმედებაში, რათა დაიკავოს გარკვეული ადგილი, შეასრულოს განსაზღვრული სახის სამუშაო, დაინახოს თავისი საქმიანობის პერსპექტივები კონკრეტულ ორგანიზაციაში და მიიღოს შესაბამისი შრომის ანაზღაურება. თანამედროვე ორგანიზაციები საკუთარი მიზნების შესაბამისად, სამუშაოების შინაარსიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, ცდილობენ, დაასაქმონ კადრი, რომელიც ფლობს შესაბამის კვალიფიციურ და პიროვნულ მახასიათებლებს, რათა შეასრულოს მასზე დაკისრებული სპეციფიკური სახის სამუშაო, რომლის პრაქტიკულად რეალიზებაზე მან, რასაკვირველია, უნდა მიიღოს კონკრეტული შრომის ანაზღაურება.

ზოგადად ინდივიდის ძირითადი მოლოდინები მდგომარეობს:

- ❖ სამუშაოს მნიშვნელობასა და შინაარსში;
- ❖ სამუშაოს ორიგინალობასა და შემოქმედებით ხასიათში;
- ❖ შრომის მიმზიდველობასა და ინტენსიურობაში;
- ❖ მოცემულ სამუშაო ადგილზე დამოუკიდებლობის ხარისხსა და უფლებამოსილებაში;
- ❖ რისკისა და პასუხისმგებლობის ხარისხში;
- ❖ უფრო ფართო სამუშაო პროცესებში ჩართულობის ხარისხში;
- ❖ სამუშაოს პრესტიჟულობასა და სტატუსში;
- ❖ კარგი მუშაობის აღიარებასა და წახალისებაში;
- ❖ ხელფასსა და პრემიებში;
- ❖ სოციალური პირობების დაცვასა და სხვა სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფის ხარისხში;
- ❖ კარიერული ზრდისა და განვითარების პირობებში;
- ❖ დისციპლინასა და სხვა ნორმატიულ ასპექტებში, რომელთა მეშვეობითაც ხდება სამუშაოზე ქცევის რეგლამენტაცია;

❖ კოლექტივის წევრებს შორის კომუნიკაციაში.

თანამედროვე ეტაპზე, ორგანიზაციებისთვის, ისე, როგორც არასდროს, საჭირო და აუცილებელია კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა. დღეს სიახლეს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სწორედ პერსონალის ცოდნის, გამოცდილების, უნარ-ჩვევებისა და პოტენციალის ეკონომიკური ეფექტიანობა არის ადამიანური კაპიტალი. ამ უკანასკნელის მართვის ორგანიზაცია განსაზღვრავს ნებისმიერი დაწესებულების კონკურენტუნარიანობას და მისი წარმატების საფუძველს. როგორც ცნობილია, ორგანიზაციის შედეგიან საქმიანობაში უმთავრესი ადგილი უჭირავს ადამიანურ რესურსებს. ინდივიდები იძენენ, ინარჩუნებენ და იყენებენ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს (ადამიანური კაპიტალი) და ქმნიან ინტელექტუალურ კაპიტალს. მათი ცოდნა ღრმად ეფუძნება ერთმანეთთან ურთიერთობით (სოციალური კაპიტალი), რაც ქმნის ინსტიტუციურ ცოდნას, რომელიც ხდება ორგანიზაციის საკუთრება (ორგანიზაციული კაპიტალი). ადამიანური კაპიტალი ორგანიზაციაში წარმოადგენს შრომით ფაქტორს, იმ ინტელექტს, უნარ-ჩვევებსა და გამოცდილებას, რაც გამორჩეულ ხასიათს ანიჭებს ორგანიზაციას. ინდივიდებს გააჩნიათ თანდაყოლილი უნარ-ჩვევები, შესაძლებლობები, ქცევა და ენერჯია, რაც ქმნის ადამიანურ კაპიტალს. ყოველივე ამას ისინი იყენებენ მუშაობის პროცესში. ამ კაპიტალის მფლობელები არიან თავად ეს ადამიანები და არა მათი დამკვირვებლები. ისინი თვითონ წვევენ როდის, როგორ და სად გამოიყენონ ეს კაპიტალი, ანუ მათ აქვთ არჩევანის უფლება. მუშაობისას ხდება შესაძლებლობებისა და ფასეულობების ორმხრივი გაცვლა და არა მუშაობის მხრიდან რესურსების ცალმხრივად ექსპლუატაცია. ორგანიზაციის ადამიანური ელემენტები გულისხმობს დაწესებულების პოტენციალს, ისწავლოს, შეცვალოს, განაახლოს, სრულყოს, შემოქმედებითად მიუდგეს, რასაც, სწორი სამოტივაციო სისტემის ეფექტიანად განხორციელების შემთხვევაში, შეუძლია დიდი ხნით უზრუნველყოს თითოეული დაწესებულების არსებობა. ყოველივე ეს კი შესაძლებელია კვალიფიციური პერსონალის გამოყენებით, რაც განსაზღვრავს კიდევ კადრებზე მოთხოვნას.

ადამიანური რესურსების ფორმირება წარმოუდგენელია ორგანიზაციის პრობლემებისა და დაწესებულებაზე მოქმედი ფაქტორებისგან განყენებულად, კერძოდ ისეთების, როგორცაა გლობალიზაცია, ტექნოლოგიური პროგრესი, მაღალკვალიფიციური სამუშაოს მოცულობის ზრდა, ბაზარზე და გარე გარემოში მიმდინარე სწრაფად ცვლადები პროცესები, ცვლილებები როგორც ორგანიზაციის მიზნებსა და სტრატეგიაში, ისე სტრუქტურასა და საქმიანობის კულტურაში.

ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის ძირითადი წყარო მისი თანამშრომლები არიან, სწორედ ისინი განსაზღვრავენ ყოველი დაწესებულების საქმიანობის ეფექტიანობას, ხოლო მენეჯმენტი კი მთავარ როლს ასრულებს კადრების შერჩევასა და გამოყენებაში. ამიტომაც, რომ ორგანიზაციის შედეგიანი საქმიანობის უპირატესი გარანტი ადამიანური რესურსების ფორმირება და მართვაა.

ადამიანური რესურსების ფორმირებასა და მართვაში იგულისხმება ისეთი ორგანიზაციული სისტემის შემუშავება და გამოყენება, რომელიც ხელს შეუწყობს ინდივიდების თავისებურებებისა და შესაძლებლობების სრულად გამოვლენას, ასევე შრომის მაღალი პროდუქტიულობის მიღწევას ორგანიზაციის ინტერესების გათ-

ვალისწინებით. აღნიშნული პროცესი მოიცავს კადრების შერჩევას, განაწილებას და დასაქმების მთლიან სისტემას, რომელსაც კარგად ორგანიზებული სტრატეგია გააჩნია. ის განსაზღვრავს საერთო სისტემას ან თანამედროვე ადამიანური რესურსების ფორმირების პრაქტიკის ერთობლიობას, რომლების დანერგვაც სურს ორგანიზაციას თავისი სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით. ამ მიმართულებით პრაქტიკაში არსებობს სამი მთავარი მიდგომა. ესენია:

**პირველი**, სამუშაოს შესრულებაზე ორიენტირებული მენეჯმენტი – სამუშაოს ეფექტიანი შესრულება ან შედეგიანი მუშაობა გამიზნულია, გავლენა მოახდინოს ორგანიზაციის მუშაობის ისეთ სფეროებზე, როგორცაა პროდუქტიულობა, ხარისხი, მომსახურების სერვისის დონე, ზრდა და მოგება.

სამუშაოს შესრულებაზე ორიენტირებული პრაქტიკა მოიცავს კადრების მოზიდვისა და შერჩევის აქტიურ პროცედურებს, ხანგრძლივ და რელევანტურ ტრენინგს და მართვის განვითარების აქტივობებს, სახელმძღვანელო სისტემას, რომელიც წახალისების გზით მოტივაციის გაზრდაზეა ორიენტირებული და ასევე გულისხმობს სამუშაოს მართვის პროცესებს. **მეორე**, ვალდებულებაზე ორიენტირებული მენეჯმენტი – ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია ძირითადი აქცენტის გადატანა ერთობლივი ვალდებულების მნიშვნელობაზე. ვალდებულებაზე ორიენტირებული მართვა შეიძლება განმარტოთ, როგორც „მართვის ფორმა, რომელიც მიმართულია ვალდებულების გაზრდაზე ქცევის თვითკონტროლით და არა გარეშე სანქციებითა და ინდივიდზე ზეწოლით, ხოლო ორგანიზაციის შიგნით ურთიერთობები ეფუძნება ნდობის მაღალ დონეს“. **და, მესამე**, ჩართულობაზე ორიენტირებული მენეჯმენტი – სამუშაოში ჩართულობაზე ორიენტირებული შრომითი პრაქტიკა წარმოადგენს ადამიანური რესურსების მართვის გამოცდილების განსაზღვრულ ერთობლიობას, რომელიც ფოკუსირებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა დასაქმებულების მიერ გადაწყვეტილების მიღება, ძალაუფლება, ინფორმაციის წვდომა, ტრენინგი და წახალისება. ძველი ბიუროკრატიული მოდელისაგან განსხვავებით, რომელიც კონტროლს ემყარებოდა, ეს არის ვალდებულებასა და ჩართულობაზე დაფუძნებული მენეჯმენტის სისტემა. მისი მთავარი პირობების თანახმად, დასაქმებული უფრო მეტად ჩართულობა თავის საქმიანობაში, თუ მას ექნება უფლება, თავად გააკონტროლოს და ბოლომდე გაითავისოს საკუთარი სამუშაო. მუშაობაში ჩართულობაზე ორიენტირებული პრაქტიკა საკმაოდ ეფექტიანია, რადგან მას შედეგად მოაქვს ერთობლივი მოდერნიზაცია და პროდუქტიულობა. ეს მიდგომა გულისხმობს დასაქმებულებთან ურთიერთობას, როგორც პარტნიორებთან, რომელთა ინტერესებს პატივს სცემენ და რომლებსაც აქვთ უფლება, თავიანთი შეხედულებები გამოთქვან იმ საკითხებზე, რომლებიც მათ ეხებათ. აღნიშნული მიდგომა მოიცავს კომუნიკაციასა და ჩართულობას; მისი მიზანია, შექმნას ისეთი გარემო, როდესაც მუდმივად არის დიალოგი მენეჯერსა და გუნდის სხვა წევრებს შორის, რათა განისაზღვროს მოლოდინი, ერთმანეთს გაუზიარონ ინფორმაცია ორგანიზაციის ფილოსოფიის (მისიის), ფასეულობებისა და ამოცანების შესახებ. შედეგად ყველა სათვის გასაგები ხდება რას უნდა მიაღწიოს ორგანიზაციამ, ყალიბდება კადრების მართვისა და განვითარების სტრატეგია, რაც უზრუნველყოფს დაწესებულების მიერ დასახული მიზნების მიღწევას.

ნებისმიერი ორგანიზაციის მომავალი საქმიანობა პერსონალის ფორმირების სფეროში დიდად დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი კადრები იქნება შერჩეული და როგორ ჩატარდება შერჩევის პროცესი. საჭიროა მთელი სერიოზულობით მოვეყიდოთ პერსონალის ფორმირების ამ ეტაპს, რათა ადგილი არ ჰქონდეს დამატებით მოსალოდნელ გართულებებს ორგანიზაციის საქმიანობაში. იმისათვის, რომ არსებული ვაკანსიების შესავსებად შესაბამისი მომუშავეები იქნენ დაქირავებული, საჭიროა, მოვიპოვოთ ზუსტი ინფორმაცია ამ სამუშაოს ხასიათის, აგრეთვე იმ თვისებებისა და კვალიფიკაციის შესახებ, რაც აუცილებელია გააჩნდეს პრეტენდენტს მოცემული სამუშაოს შესასრულებლად და არა ტრადიციულად დამკვიდრებული მოთხოვნები, როგორცაა ნებისმიერ პოზიციაზე უმაღლესი განათლება და სხვ. ესაა ე.წ. მოსამზადებელი ეტაპი პერსონალის შერჩევისათვის, რომელიც იწყება სამუშაოს ანალიზით, თანამდებობრივი ინსტრუქციის (აღწერის) შედგენით და პერსონალისადმი მოთხოვნების ფორმულირებით. სამუშაოს ანალიზი გულისხმობს თანამდებობრივი მოვალეობების, ვალდებულებების, ამოცანების სისტემატურ მონიტორინგსა და შეფასებას. ამიტომ, უფლებამოსილი პირები ახორციელებენ კონტროლს თანამდებობრივი მოვალეობების შესრულებაზე, რის მიხედვითაც დგინდება თანამდებობრივი საქმიანობის თავისებურებები, საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები, შრომის მწარმოებლურობის ნორმა და სამუშაო პირობები. ამ პროცესს **თანამდებობრივი ინსტრუქციების წინასწარი აღწერა** ჰქვია. ასეთი აღწერები ამაღლებს კადრების შერჩევის ეფექტიანობას. შემდეგ ეტაპზე უნდა განისაზღვროს თანამდებობების მიხედვით ამოცანები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა, აგრეთვე საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ყოველივე ეს არის საკადრო პოლიტიკის შემუშავების საფუძველი, სადაც უნდა აისახოს ორგანიზაციისთვის საჭირო რაოდენობისა და კვალიფიციური კადრების მოზიდვის, დასაქმების, გადამზადებისა და თანამდებობრივი დაწინაურების ღონისძიებები. აღნიშნული პოლიტიკის შემუშავების პროცესში ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს დასაქმების და შრომის ანაზღაურების საკითხებზე ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობა. ამ პროცესში უნდა მოიცავს ყველა ღონისძიება, რომელიც საჭიროა კადრების შერჩევისა და შეფასებისათვის. კვალიფიციური პერსონალის შერჩევისას გამოიყენება შემდეგი მეთოდები: განცხადების გამოქვეყნება პრესაში, ურთიერთობა შრომითი მოწყობის სამსახურებთან, კადრების მომზადება სპეცკურსებზე, კადრების მოზიდვის საშუალებები და ა.შ. ბევრი ორგანიზაცია კადრების თანამდებობრივი გადაადგილების ფორმას უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს და ხშირად იყენებს ამ მეთოდს. ასეთი მიდგომა ამაღლებს თანამშრომლების დაინტერესებას და აუმჯობესებს ფსიქოლოგიურ კლიმატს ორგანიზაციაში. თუმცა ამ ფორმას გააჩნია უარყოფითი მხარეც - ძნელდება ახალი, პროგრესულად მოახროვნე ადამიანების სამუშაოზე მიღება, რაც ორგანიზაციის საქმიანობაზე უარყოფითად აისახება.

აღსანიშნავია, რომ კადრების შერჩევის პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს კანდიდატების განათლების დონე, სამუშაო გამოცდილება, კვალიფიკაცია. როგორც ცნობილია, თანამშრომლების პირადი თვისებების შესაფასებლად გამოიყენება ინტერვიუ (გასაუბრება). ინტერვიუს, თავის მხრივ, აქვს ორმხრივი დანიშნულება. ორგანიზაციის მენეჯერი და კანდიდატი ერთმანეთს უცვლიან საჭირო ინფორმაციას, რაც სხვა მეთოდების მეშვეობით შეუძლებელია და რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ორივე მხარისთვის. გასაუბრების დროს არ არის გამორიცხული არასწორი ინფორმაციის მიღებაც, ამიტომ გასაუბრებას ხშირად ატარებენ

რამდენჯერმე, სხვადასხვა ინტერვიუების მეშვეობით განსხვავებულ თემაზე. მიხნეულია, რომ ასეთი ინფორმაცია უფრო უტყუარო და ზუსტია.

როგორც წესი, ადამიანური რესურსების ფორმირებისა და მართვის ეფექტიანობა ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით: საკადრო პოლიტიკის გავლენის ეფექტიანობით, დაწესებულების მიზნების განხორციელებითა და პერსონალის მიერ ფუნქციების შესრულების ხარისხით.

ამასთან, შედეგები ფასდება რაოდენობრივი მაჩვენებლებით, შედარებითი და ხარისხობრივი ანალიზის მეთოდების გამოყენებით. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას ისიც, რომ შეფასებისთვის გამოიყენება შემდეგი ობიექტური კრიტერიუმები:

- ❖ საკადრო მაჩვენებლების გაუმჯობესება, ე.ი. კვალიფიკაციის ამაღლების შედეგები;
- ❖ კადრების სტაბილურობა (დაწესებულებაში სამუშაოზე მიღებულებისა და გაათავისუფლებულების დინამიკა, სამუშაოდან გაათავისუფლების მიზეზები და სხვ.);
- ❖ სამეცნიერო ხარისხისა და წოდების მქონე მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების რიცხვის ზრდა;
- ❖ პერსონალის კმაყოფილება შრომის პირობებით;
- ❖ მოტივაციის პირობების ხარისხობრივი ცვლილება;
- ❖ კორპორაციული კულტურის ხარისხი და მისი გავლენა პერსონალზე.

საჭიროა ითქვას ისიც, რომ კადრების შერჩევის პროცესი მოიცავს ღონისძიებების განსაზღვრას და რეალიზაციას, რომლის მეშვეობითაც შეიძლება კვალიფიციური სამუშაო ძალის მოზიდვა ორგანიზაციაში. თუ დაწესებულების მენეჯმენტი შეძლებს მოიხილოს კვალიფიციური თანამშრომლები, ე.ი. გარანტირებულია საქმიანობის ეფექტიანი განხორციელება. თანამედროვე ორგანიზაციებში მენეჯმენტი მიიხნევის, რომ კადრების შერჩევა საქმის მხოლოდ დასაწყისია, გადაწყვეტა ადამიანური რესურსების განვითარება. ადამიანური რესურსები მუდმივ ცვლილებას განიცდის და, რაც მთავარია, იგი ყოველთვის პროგრესულად ვითარდება. ამ პროცესის სრულყოფის, ასევე პოტენციური შესაძლებლობების ამაღლების ღონისძიებებია: პროფესიული ორიენტაცია, სოციალური ადაპტაცია კოლექტივში, შრომის მწარმოებლურობის შეფასება, დაჯილდოების (პრემირების) სისტემა, პროფესიული მომზადება და სწავლება, სამსახურში დაწინაურება და სხვ. შრომის მწარმოებლურობის ამაღლების უზრუნველსაყოფად ფართოდ აღიარებულ მეთოდებს შორის განვიხილავთ რამდენიმეს, მათ შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მათგანის – სისტემატური სწავლებისა და გადამზადების პროგრამის არსებობის აუცილებლობას. თანამშრომლების სწავლება რთული პროცესია, სწავლების მეთოდები კი – მრავალრიცხოვანი. ამიტომ სწავლების მეთოდები უნდა შეირჩეს სამუშაოს ხასიათის, შინაარსის, პროფესიული მოთხოვნების შესაბამისად. ის ძირითადი მოთხოვნები, რომელსაც პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს შემდეგია: საჭიროა, სწავლება აუცილებლად იყოს მოტივირებული; მნიშვნელოვანია, სწავლება ითვალისწინებდეს თითოეული კადრის ინფორმირებას ორგანიზაციის მიზნების, ამოცანების, შრომის მწარმოებლურობის გზებისა და საშუალებების შესახებ, რაც გამოიწვევს პერსონალის კმაყოფილების გრძობას; ორგანიზაციის მენეჯმენტმა უნდა უზრუნველყოს სწავლების პროცესის განხორციელებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. ასეთი პირობები არა მარტო წახალისებს დასაქმებულ კადრებს, არამედ უზრუნველყოფს მათ აქტიურ მონაწილეობას სწავლის პროცესში.

ადამიანური რესურსების განვითარებაში არანაკლებ აუცილებელი მომენტია შრომის შედეგების შეფასება. ეს უკანასკნელი ორგანიზაციაში განიხილება, როგორც მონიტორინგის ფუნქციის გაგრძელება. შედეგების შეფასება საჭიროებს მენეჯერების მიერ ინფორმაციის შეგროვებას, თუ რამდენად ეფექტიანად ასრულებენ კადრები თანამედრობრივ მოვალეობებს. საქმიანობის შედეგების შეფასება ემსახურება ადმინისტრაციული, საინფორმაციო და მოტივაციის მიზნების მიღწევას. ადმინისტრაციული მიზანი, თავის მხრივ, გულისხმობს თანამშრომლების დაწინაურებას, დაბალ თანამდებობაზე ჩამოქვეითებას, სხვა თანამდებობაზე გადაყვანას, დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების გაუქმებას. ინფორმაციული მიზანი მდგომარეობს შრომის შედეგების მიღწეული ღონის შესახებ პერსონალის ინფორმირებაში. ეს თანამშრომელს შესაძლებლობას აძლევს, გაეცნოს საკუთარი შრომის დადებით და უარყოფით მხარეებს და იზრუნოს მათი სრულყოფა/გამოსწორებისათვის. მოტივაციის მიზანია კადრების ქცევის კონტროლი და რეგულირება. შრომის შედეგების შეფასება პერსონალის ქცევის მოტივაციის კარგი საშუალებაა. თუმცა, აღნიშნული მეთოდი მხოლოდ შეფასებისთვის არ უნდა ტარდებოდეს, საჭიროა, მას მოჰყვეს ადეკვატური შედეგი, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ყველაზე არასასურველი და არაეფექტიანი პროცესი იქნება შრომითი კოლექტივისათვის. საჭიროა, პერიოდულად შეფასდეს შრომის შედეგები. პერიოდულობას განსაზღვრავს სამუშაოს ხასიათი და კოლექტივში არსებული ფსიქოლოგიური კლიმატი. მონიტორინგის პროცესში უნდა გამოვლინდეს ყოველი წარმატება, თითოეული წინ გადადგმული ნაბიჯი, და, რაც ყველაზე მთავარია, აუცილებელია ყოველ შედეგს სათანადო რეაგირება მოჰყვეს ორგანიზაციის მენეჯმენტის მხრიდან.

როგორც წესი, დაწესებულებების უმეტესობაში თანამშრომლების განვითარების პროცესს ან ნაკლები ყურადღება ეთმობა, ან ძალიან არასისტემური და უფრო მეტად სპონტანური ხასიათი აქვს. შედეგად იღებენ მუდმივი ერთფეროვნებით უკმაყოფილო და გადაღლილ კადრებს, რომელთა პროდუქტიულობაც მცირდება. არაპროდუქტიული თანამშრომლები კი მხოლოდ ხელფასის გამო დადიან სამსახურში, არიან პასიურები, არასდროს გამოდიან ინოვაციური შემოთავაზებებით, ცდილობენ, რაც შეიძლება ნაკლები დავალება მიიღონ და ყოველთვის ნაკლები იმუშაონ. ამის საპირისპიროდ კი, პროდუქტიული თანამშრომლები ძალიან ადვილი შესაძენეა ნებისმიერ ორგანიზაციაში. ისინი არიან ინიციატივანები, პროაქტიურები, ენერგიულები, მონდობილები და მოტივირებულები; ფუნქციებს ყოველთვის ასრულებენ მაღალი ხარისხით, ოპერატიულად. ამიტომ, რაც მეტი ასეთი თანამშრომელი ეყოლება ორგანიზაციას, მით უფრო გაიზრდება დაწესებულების ეფექტიანობა და წარმატება.

ის ორგანიზაცია, რომელსაც გააზრებული აქვს თანამშრომლებზე მუდმივი ზრუნვის მნიშვნელობა და სისტემატურად მუშაობს ამ მიმართულებით, ხარჯავს ძალისხმევასა და რესურსებს, ხვდება, თუ რაოდენ ფა-



სეუღია ეს და არ აღიქვამს მხოლოდ ხარჯად, ყოველთვის გამორჩეულია კონკურენტებისგან. ეს ორგანიზაციები სხვა განზომილებაში იმყოფებიან, ბევრად უფრო ძლიერები, მდგრადები და წარმატებულები არიან გრძელვადიან პერსპექტივაში.

დასასრულ, რა თქმა უნდა, ყოველთვის იქნებიან დასაქმებულები, რომელთა პროდუქტიულობაც არ შეიცვლება, რაც არ უნდა მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელოთ და უზარმაზარი ძალისხმევა დაეხარჯოთ, მაგრამ თანამშრომლების 80-90%-ის ეფექტიანობის მკვეთრი ცვლილებისათვის მთავარია შემდეგი ამოცანების გადაჭრა: თითოეულმა კადრმა იცოდეს, ზუსტად რა ევალება მას, ჰქონდეს ყოველივე ამის შესრულების სურვილი, ინტერესი, მოტივი, ასევე სათანადო მხარდაჭერა და დაფასება ორგანიზაციის მენეჯმენტის მხრიდან.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Райзберг В.А., „Государственное управление экономическими и социальными процессами,“ М., 2010.
2. Пугачев В.П., „Руководство персоналом организации“, М.: Аспект Пресс, 1998, 276 с.
3. Оптимизация состава персонала Журнал: „Справочник кадровик год 2010“.
4. Жданова М. Г., „Особенности управления персоналом в условиях новой Экономики“, М., 2013.
5. Управления персоналом в России: „Современные исследования, проблемы и решения.“ Сборник научных трудов, материалы научно-практической конференции. Г. Ульяновск, 2011.

*Asmat Shamugia*

## THE ROLE OF HUMAN IN THE ORGANIZATION

### Annotation

This scientific article explores that, therealways be employed individuals, whose productivity does not change, no matter how significant the changes are and a huge effort is spend, but sharp changes in 80-90% of employees efficiency is important for the following tasks: each staffs must know exactly what is responsible for them and have the desire, interest, motivation, as well as the proper support and appreciation from the organization's management.

*ვატი შენგელია*

### კორპორაციული კულტურის ბავშვინა კომპანიის საქმიანობაზე

კორპორაციული კულტურა დაწესებულების თანამშრომელთათვის საქმიანობისა და ქცევის ღირებულებაა, ნორმებისა და წესების ერთიანი სისტემა. მაიკლ არმსტრონგის განმარტებით, მოცემული ორგანიზაციის ყველა თანამშრომლისთვის საერთო მრწამსი, ურთიერთობები, ქცევის ნორმები და ღირებულებებია. ისინი, შესაძლოა, არ იყოს ყოველთვის მკვეთრად გამოხატული, მაგრამ, პირდაპირი ინსტრუქციების არარსებობის პირობებში, სწორედ ისინი განსაზღვრავს ადამიანების ქმედებასა და ურთიერთქმედებას და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამუშაო პროცესზე.

კომპანიები, რომლებიც ორიენტირებული არიან მაღალ შედეგებზე, როგორც წესი, ზრუნავენ საკუთარ თანამშრომლებზე – ისინი პატივს სცემენ საკუთარი თანამშრომლების ღირსებებს, აფასებენ მათ, ახდენენ სწავლების ორგანიზებას, ახალისებენ ინიციატივას, ხელს უწყობენ შემოქმედებითი პოტენციალის წარმოჩენას, ადგენენ მკაფიო და მიზანშეწონილ საქმიან მანქვენებლებს, ქმნიან გონივრული სტიმულირებისა და წახალისების სისტემას. ეფექტიანობის ზრდის მიზნით, მენეჯერებისაგან მოითხოვს საკუთარი ქვეშევრდომების განვითარების უზრუნველყოფას, აფართოებს თანამშრომელთა უფლებამოსილებას, რათა ამაღლდეს თვითრეალიზაცია და პირადი დაინტერესება. შედეგებზე ორიენტირებული კორპორაციული კულტურა, როგორც წესი, უზრუნველყოფს თანამშრომელთა პატივისცემას და დაფასებას, რომელთაც მიაღწიეს საქმიანობის მაღალ მანქვენებლებს.

კარგი მორალური კლიმატის შექმნისა და შედეგებზე ორიენტაციის მიზნით გამოიყენება მენეჯმენტის მეთოდები, ვერბალური ხემოქმედება, სიმბოლიკა, ქცევითი მოდელები, ფასეულობათა სისტემისა და კორპორაციული პოლიტიკის შექმნა. საქმიანობის მაღალი მანქვენებლების მიღწევის აუცილებელი პირობაა თანამშრომელთა მიმართ ნდობა, შტატების შემცირებაზე უარის თქმა, საკუთარი კადრების მომზადება და წინ წაწევა, პირადი ინიციატივებისა და დავალბული სამუშაოს შესრულებისთვის შემოქმედებითი მიდგომის წახალისება, დარწმუნება იმაში, რომ „წვრილმანები არ არსებობს“ და აუცილებელია ხარისხიანად შესრულდეს ყველაზე მარტივი დავალბებიც“. [1, გვ. 584].

თუმცა, მხოლოდ წახალისებით ეფექტიანი კორპორაციული კულტურა არ შეიქმნება, ასევე საჭიროა დასჯის ზომების გამოყენება. მენეჯერები, რომელთა განყოფილებები საქმიანობის სუსტი მანქვენებლების დემონსტრირებას ახდენენ, უნდა შეიცვალოს. თანამშრომლები, რომლებიც ვერ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას, უნდა გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობებიდან და გადაყვანილ იქნენ მეორეხარისხოვან თანამდებობებზე.

დღეს ქართულ ბაზარზე მოღვაწე კომპანიები ცდილობენ, დახვეწონ დაქირავებულებთან ურთიერთობები. აყალიბებენ ან, არსებობის შემთხვევაში, აუმჯობესებენ კორპორაციულ კულტურას. სახელმწიფო ცდილობს, არჩეული ევროპული კურსის ფარგლებში, შესაბამისობაში მოვიდეს ევროპულ კანონმდებლობასთან, ამაზე მეტყველებს ახალი შრომის კოდექსი. სულ უფრო აქტუალური ხდება კომპანიებში არსებული კორპორაციული კულტურის იდენტიფიცირება და დახვეწა.

ყოველ კომპანიას გააჩნია საკუთარი ორგანიზაციული კულტურა, რაც მოიცავს ბიზნესის წარმართვის ფილოსოფიას და პრინციპებს, ფასეულობათა სისტემას, ქცევის სტანდარტებს, პრობლემების გადაწყვეტის გზებს და გადაწყვეტილების მიღების საშუალებებს, შრომით ატმოსფეროს, „ფოლკლორს“, ანუ კომპანიის ფასეულობების ისტორიას, ტაბუს სისტემას ან მიუღებელ გადაწყვეტილებებს. კორპორაციული კულტურა არის

აზროვნების სტილი და მოქმედების საშუალება, რომელიც გადაიზარდა ჩვევებში და გახდა ტრადიცია. მას ამა თუ იმ ხარისხით ორგანიზაციის ყველა თანამშრომელი იზიარებს. ის აგრეთვე უნდა აითვისონ და გაითავისონ ახალბედებმაც, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერ გახდებიან კოლექტივის სრულფასოვანი წევრები.

ორგანიზაციული კულტურა არის ქცევების, სიმბოლოების, რიტუალების და მითების ერთობლიობა, რომელიც შეესაბამება ორგანიზაციისთვის დამახასიათებელ და მის მიერ გაზიარებულ ფასეულობებს და გადაეცემა ყოველ მის წევრს ზეპირი ფორმით, როგორც ცხოვრებისეული გამოცდილება. [9]

ყველაზე გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ორგანიზაციული კულტურა შედგება სამი მთავარი ელემენტისგან: საერთო ფასეულობების, ქცევის ნორმების ნაკრების, საერთო ფასეულობების შენარჩუნების და განვითარებისთვის საჭირო სიმბოლოების და სიმბოლური ქმედებებისგან.

**საერთო ფასეულობები** ორგანიზაციის კულტურის საფუძვლად გვევლინება და განსაზღვრავს, თუ რა არის მთავარი მისი სუბიექტების აზრით. კოლექტივის ნებისმიერ წევრს შეუძლია ჩამოთვალოს და განმარტოს საერთო ფასეულობები, რადგან ის საყოველთაოდ არის აღიარებული და მიღებული. საერთო ფასეულობებს მიეკუთვნება: საკვანძო აქტივები ან ჩვევები; პრაქტიკულ ქმედებებზე კონცენტრაცია; საქმიანობის შედეგები; ფუნქციური მიმართულებებისადმი ყურადღება; მენეჯმენტის სტილი; საერთო მიზანი.

**ქცევის ნორმები.** ორგანიზაციული კულტურა სხვებისგან რომ განსხვავდებოდეს, მან უნდა გამოიმუშაოს ქცევის ნორმები, რომლებიც გავლენას მოახდენს ორგანიზაციის ყველა წევრის გადაწყვეტილებაზე. განვითარებული და კარგად ჩამოყალიბებული ქცევის ნორმები ფექტურ გავლენას ახდენს კომპანიაში მიმდინარე პროცესებზე. ქცევის ნორმებს გააჩნია ორი მახასიათებელი: ინტენსიურობა, ანუ მოსალოდნელ შედეგთან თანხმობის ან უთანხმოების დონე და კონსენსუსი, ანუ ქცევის ნორმის კოლექტივის მიერ აღიარება. ქცევის ნორმები ახდენს საერთო ფასეულობების შესაბამისი ქმედებების სტიმულირებას.

**სიმბოლოები და სიმბოლური ქმედებები.** ორგანიზაციული კულტურა წარმოიშობა და ვითარდება სიმბოლოებისა და სიმბოლური ქმედებების მეშვეობით. მათი ჩამონათვალი საკმაოდ დიდია, მაგრამ მათგან უმნიშვნელოვანესია:

- **დამფუძნებელი და ორიგინალური მისია,** რომელიც მიუთითებს კომპანიის წარმოშობის ორიგინალურ სათავეებზე. ეს შეიძლება იყოს ძლიერი პიროვნება კომპანიის დამფუძნებელი, ასევე მისი მართვის სტილი და დაფუძნებისას ჩამოყალიბებული მისია;

- **მიბაძვის თანამედროვე პერსონაჟი.** ფასეულობების და ნორმების გადაცემას, პერსონალიზაციას და განმტკიცებას ხელს უწყობენ თანამედროვე გმირები და პერსონაჟები, რომლებიც შეიძლება მიბაძვის ობიექტებად იქცნენ.

- **ქმედებები.** თუ როგორ მოქმედებს ხელმძღვანელი, როგორ ხარჯავს ის დროს, შეიძლება იქცეს სიმბოლოდ და გავლენა იქონიოს ორგანიზაციულ კულტურაზე.

- **მთავარი საკითხები,** როდესაც ორგანიზაციის ხელმძღვანელობას სურს შეცვალოს კომპანიის ორიენტაცია, ის წამოაყენებს ეგრეთ წოდებულ ახალ საკითხს და სისტემატურად აპელირებს მასზე.

- **რიტუალები.** რიტუალები, დაწყებული სამსახურში აყვანის ცერემონიიდან, დამთავრებული სადილებით, დიდ გავლენას ახდენს ორგანიზაციულ კულტურაზე.

**„ფოლკლორის“ როლი ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე.** ძალიან ხშირად ორგანიზაციული სტრუქტურა ყალიბდება იმ ლეგენდების საფუძველზე, რასაც სტაჟიანი თანამშრომლები უყვებიან ახალბედებს. მათში ასახულია კომპანიის ტრადიციები და პრინციპები.

ხელმძღვანელების მიერ კულტურის ძირითადი პრინციპების ფორმულირების შემდეგ იწყება მათი განმტკიცება. ამისათვის აუცილებელია სამუშაოზე ისეთი თანამშრომლების აყვანა, რომელთა პიროვნული თვისებები, მრწამსი, უნარები შეესაბამება ორგანიზაციაში დამკვიდრებულ შეხედულებებს. შემდეგ ეტაპზე ახალბედებს გააცნობენ კომპანიაში დამკვიდრებულ როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ წესებს. ახალი თანამშრომლების მიღებისას ხელმძღვანელებმა ორიენტაცია უნდა აიღონ არა მარტო მაღალ პროფესიულ უნარებზე და საუკეთესო სამსახურებრივ გამოცდილებაზე, არამედ კანდიდატის პიროვნულ თვისებებზეც.

ძალიან მდგრადი კულტურაც არ არის სტატიკური, ის იცვლება კომპანიის სტრატეგიის და სტრუქტურის შესაბამისად. შიდა კრიზისები, თანამედროვე ტექნოლოგიები, ახალი პრობლემები და საქმიანობის წარმატებული მეთოდები ცვლის კულტურას. ორგანიზაციის წევრების და ლიდერების ბუნებრივი ცვლა ასევე განაპირობებს ახალი მეთოდების და ფასეულობების წარმოშობას, რაც გავლენას ახდენს კულტურაზე. დღევანდელი მდგომარეობით, მთელი მსოფლიოს მასშტაბით ორგანიზაციულ კულტურაზე ყველაზე ძლიერ გავლენას ახდენს გლობალიზაცია და ინტერნეტი.

გლობალიზაციის პირობებში მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიების ორგანიზაციული სტრუქტურა შედგება რამდენიმე სუბკულტურისგან. ფასეულობები, ფილოსოფია და მუშაობის პირობები ხშირად ფრიად განსხვავდება განყოფილებების, გეოგრაფიული რეგიონების და ფუნქციონალური ერთეულების მიხედვით. განყოფილებათა სუბკულტურები შესაძლოა კონფლიქტურ დამოკიდებულებაში აღმოჩნდნენ ერთმანეთთან, თუკი მათთვის დამახასიათებელია ხელმძღვანელობის სხვადასხვა სტილი, ფილოსოფია და მართვის მეთოდები. გლობალური და ტრანსნაციონალური კომპანიები მეტ-ნაკლებად მულტიკულტურული არიან, რაც მათში დასაქმებულებს შორის არსებული ფსიქოლოგიური, ტრადიციული და ენობრივი განსხვავებით აიხსნება. მიუხედავად ამისა, გლობალური და ტრანსნაციონალური კომპანიების სუბკულტურებს შორის თანამშრომლობა არ არის გამორიცხვადი. ზოგიერთ კულტურაში აღიარებული და გაზიარებული რწმენები და ღირებულებები მკვეთრად რანჟირებულია, მაგრამ, ამასთან, მათი შედარებითი მნიშვნელობა და ურთიერთკავშირი სულაც არ ამცირებს თითოეული მათგანის როლს.

არსებობს ორგანიზაციული კულტურის მხარდაჭერის მეთოდები, რომლებიც არ დაიყვანება მხოლოდ საჭირო ადამიანების დაქირავებაზე და არასაჭიროთა სამსახურიდან დათხოვნაზე. მეთოდების ძირითადი ჯგუფები შემდეგია:

**მენეჯერის მხრიდან ყურადღების, შეფასების, კონტროლის ობიექტები და საგნები.** ეს არის ორგანიზაციაში მხარდაჭერის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მეთოდი, რამდენადაც მენეჯერი თანამშრომლებს მიუთითებს, თუ რა არის მნიშვნელოვანი და რა არის მოსალოდნელი მათგან.

**ხელმძღვანელობის რეაქცია კრიტიკულ სიტუაციებზე და ორგანიზაციულ კრიზისებზე.** კრიზისის სიღრმემ და გაქანებამ შეიძლება მოითხოვოს ორგანიზაციისაგან არსებული კულტურის ან გაძლიერება, ან კიდევ იმ ახალი ღირებულებების და ნორმების შემოღება, რომლებიც შეცვლიან მას გარკვეული დროით. თუ ორგანიზაციის მიერ წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნა მკვეთრად შემცირდა, მაშინ ორგანიზაციას რჩება ორი ალტერნატივა: დაითხოვოს მომუშავე პერსონალის ნაწილი, ან კიდევ ნაწილობრივ შეამციროს სამუშაო დრო მომუშავეთა იმავე ოდენობის შენარჩუნებით. იმ ორგანიზაციებში, სადაც ადამიანი მინეული და აღიარებულია, როგორც ნომერ პირველი ფასეულობა, მეორე ვარიანტს გაიზიარებენ და განახორციელებენ. ხელმძღვანელობის ასეთი მოქმედება დროთა განმავლობაში გარდაიქმნება ორგანიზაციულ ფოლკლორად, რაც უჭველად გადადიეობს კულტურის ასპექტს ორგანიზაციაში.

**როლების მოდელირება, სწავლება და ვარჯიში.** ორგანიზაციული კულტურის ასპექტების დაქვემდებარებულების მიერ ათვისება იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ უნდა შეასრულონ მათ თავიანთი როლები. მენეჯერებს შეუძლიათ სპეციალურად ჩართონ „კულტურული“ სიგნალები სწავლების პროგრამებსა და დაქვემდებარებულთა მუშაობის ყოველდღიურ დახმარებაში.

**წახალისების და სტატუსის განსაზღვრის კრიტერიუმები.** ორგანიზაციაში კულტურა შეიძლება შესწავლილ იქნეს დაჯილდოებისა და პრივილეგიების სისტემის მეშვეობით. აღნიშნული ჩვეულებრივ მიბმულია ქცევის გარკვეულ სტერეოტიპთან და, ამგვარად, მუშაკებისთვის გამყოფენ პრიორიტეტებს და მიუთითებენ იმ ფასეულობებზე, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ცალკეული მენეჯერების და მთლიანად ორგანიზაციისათვის. ამავე მიმართულებით მუშაობს ორგანიზაციაში სტატუსის პოზიციების სისტემაც, პრივილეგიების განაწილება მიუთითებს როლზე და ქცევაზე, რომელიც მეტად არის დაფასებული ორგანიზაციის მიერ.

**სამუშაოზე მიღების, დაწინაურებისა და დათხოვნის კრიტერიუმები.** ეს არის ორგანიზაციაში კულტურის მხარდაჭერის და ხელშეწყობის ერთ-ერთი საშუალება. ის, თუ რა მოსაზრებით ხელმძღვანელობს ორგანიზაცია და მისი მმართველობა, როდესაც არეგულირებენ საკადრო პროცესს, სწრაფად ხდება ცნობილი და ნათელი მისი წევრებისათვის ორგანიზაციის შიგნით თანამშრომლების მოძრაობის მიხედვით. საკადრო გადაწყვეტილებების კრიტერიუმებს შეუძლია დაეხმაროს, ან ხელი შეუშალოს ორგანიზაციაში არსებული ორგანიზაციული კულტურის განმტკიცებას [2, გვ. 467].

ყოველი ორგანიზაციის მენეჯერებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ორგანიზაციული კულტურა დიდ გავლენას ახდენს სტრატეგიის რეალიზებაზე. თუ კულტურის ელემენტები შეესაბამება სტრატეგიას და მიზნებს, მაშინ ორგანიზაციული კულტურა დადებით გავლენას ახდენს სტრატეგიის რეალიზებაზე. საწინააღმდეგო შემთხვევაში კი აფერხებს მას. მეორე და სტრატეგიასთან შეხამებული ორგანიზაციული კულტურა ძლიერი იარაღია სტრატეგიის წარმატებული რეალიზების საქმეში. მაგალითად, მოჭირნეობის და ეკონომიის კულტურა, რომელიც მხარდაჭერილია კომპანიის ყველა თანამშრომლის მიერ, ხელს უწყობს დანახარჯების მიხედვით ლიდერობის სტრატეგიის განხორციელებას. ის კულტურა კი, რომლის მთავარი ელემენტებია შემოქმედებითობა, ნოვატორობა, მობილობა, ახალი საქონლის შემუშავება და შესაბამისად, ინოვაციური სტრატეგიის რეალიზებას განაპირობებს.

ორგანიზაციული კულტურისა და სტრატეგიული გეგმის თანხვედრა ზემოქმედებას ახდენს თანამშრომლებზე მათი ქცევების ფორმირების მეშვეობით და სტრატეგიული გეგმის შესრულებისთვის მობილიზებით. ეს ზემოქმედება ორი გზით ხორციელდება:

- კულტურა, რომელიც ხელს უწყობს სტრატეგიის წარმატებით რეალიზებას, ახდენს არაოფიციალური წესებისა და შრომითი ატმოსფეროსადმი ინსტიტუციონალური მოთხოვნების ფორმირებას, რითაც კომპანიაში იზრდება შრომის ეფექტიანობა;
- სტრატეგიის შესაბამისი კულტურა დიდ გავლენას ახდენს თანამშრომელთა პროფესიულ ზრდასა და მოტივირებაზე, ხელს უწყობს მათ მიერ კომპანიის მისიისა და მიზნების აღქმას [9].

სტრატეგიის წარმატებული რეალიზებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ვითარების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს ორგანიზაციის მთელი ენერჯის სტრატეგიული მიზნების მიღწევისათვის აუცილებელ კალაპოტში მოქცევას, ამაში კი დიდ როლს ასრულებს სტრატეგიის შესაბამისი ორგანიზაციული კულტურის ფორმირება.

სტრატეგიისა და ორგანიზაციულ კულტურას შორის შესაბამისობამ შეიძლება მათ შორის კონფლიქტი გამოიწვიოს, რაც მეტად არასასურველია. ასეთ ვითარებას ორგანიზაციის წევრებში შიდა კონფლიქტის პროვოცირება შეუძლია, რისი შედეგიცაა ამოცანების ორჯეროვანი აღქმა და არასწორი გადაწყვეტილებების მიღება. ამ დროს კომპანიის წევრებს უწევთ არჩევანის გაკეთება: დაიცვან კომპანიის კულტურა და ტრადიციები თუ მისდინონ ახალ სტრატეგიას. მსგავსი სიტუაცია ასუსტებს ან ორგანიზაციულ კულტურას, ან სტრატეგიას, ან ერთსაც და მეორესაც. ასეთ შემთხვევაში გამოსავალი ერთია – უნდა შეიცვალოს ორგანიზაციული კულტურა, თუმცა ისევეა შემთხვევაში შეიძლება კორექტივები შევიდეს სტრატეგიაშიც.

ზოგჯერ ორგანიზაციული კულტურა იმგვარ ფორმას იღებს, რაც აუარესებს კომპანიის საერთო მწარმოებლურობას, არაჯანსაღი ორგანიზაციული კულტურის ერთ-ერთი მაჩვენებელია შიდა გარემოს პოლიტიზება, როდესაც გავლენიანი მენეჯერები თვითნებურად მართავენ კომპანიას და ეწინააღმდეგებიან სტრატეგიულად მნიშვნელოვან ცვლილებებს. ასეთ დროს წინა პლანზე გამოდის ვიწრო პარტიული ინტერესები, ხოლო საერთო ორგანიზაციული მიზნები მეორეხარისხოვანი ხდება. არაჯანსაღი კულტურისთვის მეორე თვისებაა კონსერვატიულობა, რაც მტრულ დამოკიდებულებაში ფლინდება ცვლილებებისა და იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც მათ ატარებენ. ასევე არაჯანსაღი კულტურის მესამე თვისებაა ისეთი მენეჯერების დაწინაურება, რომლებიც ზედმიწევნით ზუსტად ასრულებენ ბიუჯეტს, მკაცრად აკონტროლებენ მათდამი დაქვემდებარებული ქვედანაყოფების საქმიანობას და ყურადღება კონცენტრირებული აქვთ მმართველობით მეთოდებზე. ამ დროს უნდა დაწინაურდნენ ის ხელმძღვანელები, რომელთაც კარგად აქვთ გააზრებული კომპანიის მისია, მიზნები და

სტრატეგია, იცნობენ ორგანიზაციულ კულტურას, საკუთარი თავი გამოავლინეს როგორც ეფექტიანმა მენეჯერებმა და შეუძლიათ საკუთარი თანამშრომლების სტიმულირება. პირველი ტიპის მენეჯერები კულისებში ბროლის ოსტატები არიან, მაგრამ არ გააჩნიათ შემოქმედებითობა და ახალი სტრატეგიების დანერგვის უნარი, რის გამოც ვერ ქმნიან ახალ კონკურენტულ გარემოს და ორგანიზაციულ კულტურას.

არაჯანსაღი კულტურის მეოთხე თვისებაა მოწინავე კომპანიების გამოცდილების შესწავლის და წარმატებული მეთოდების გაზიარების სურვილის უქონლობა. ხშირად წარმატებული კომპანიის ხელმძღვანელები ინერტულ და თვითკმაყოფილები ხდებიან, თვლიან რომ ყველა კითხვაზე პასუხი გააჩნიათ, რეალობას მოწყვეტილი, ხშირად ვერ ითვალისწინებენ ახლად წარმოქმნილ პროცესებს და უშეგებენ შეცდომებს, რითაც ამცირებენ კომპანიის ეფექტიანობას.

თუ დინამიკურ გარემოში მოქმედ კომპანიას სურს, ხანგძლივად შეინარჩუნოს ეფექტიანობა, მას ახალი სტრატეგიების დანერგვა მოუწევს, რაც ორგანიზაციული კულტურის ცვლილებებსაც გამოიწვევს. ადაპტური გარემოს მქონე კომპანიების წევრებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ კომპანია გადაღახავს ნებისმიერ საფრთხეს და მოახდენს ყველა შესაძლებლობის რეალიზებას. ამიტომ ისინი მზად არიან რისკის გასაწვევად, არ უფროსიან ექსპერიმენტებს, სიახლეებს, სტრატეგიისა და მუშაობის მეთოდების ცვლილებებს.

ამგვარად, კორპორაციულ კულტურას გადამწყვეტი გავლენის მოხდენა შეუძლია კომპანიის საქმიანობაზე, ჯანსაღი კორპორაციული კულტურა კომპანიის წარმატების საწინდარია.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. არტურ ა. ტომპსონი, ა. ჯ. სტრიკლენდი III, სტრატეგიული მენეჯმენტი, კონცეფციები და ბიზნესსიტუაციები, გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, საქართველო 2010.
2. ევგენი ბარათაშვილი, ლარისა თაკალანძე, მენეჯმენტის საფუძვლები, თბ., 2010.
3. ლ. თაკალანძე, ტრანსნაციონალური კორპორაციები, ბიზნესის ელიტა, ჟურნ. „ეკონომიკა“. №8, 2006.
4. თ. შენგელია, ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, თბ., 2010.
5. <http://www.nplg.gov.ge/>
6. [https://en.wikipedia.org/wiki/Organizational\\_culture](https://en.wikipedia.org/wiki/Organizational_culture)
7. <http://www.medgeo.net/>
8. <http://www.lari.ge/>
9. <http://old.press.tsu.ge/GEO/internet/internetgak/STRATEGIULI/Tavi%207.html>
10. <http://strategy.ge/>
11. <http://smallbusiness.chron.com/>
12. <http://blogs.cisco.com/>
13. <http://businessculture.org/>
14. <https://hbr.org/2013/05/six-components-of-culture>
15. <http://upstarthr.com/>

*Fati Shengelia*

## CORPORATE CULTURE IMPACT ON A COMPANY'S OPERATIONS

### Annotation

The dominant culture in organizations depends on the environment in which the company operates, the organization's objectives, the belief system of the employees and the company's management style. Therefore, there are many organizational cultures. For example, highly bureaucratic and well-structured organizations typically follow a culture with extensive controls. Employees follow standard procedures with a strict adherence to hierarchy and well-defined individual roles and responsibilities. Those in competitive environments, such as sales, may forgo strict hierarchies and follow a competitive culture where the focus is on maintaining strong relationships with external parties. In this instance, the strategy is to attain competitive advantages over the competition. The collaborative culture is yet another organizational way of life. This culture presents a decentralized workforce with integrated units working together to find solutions to problems.

*Eka Chokheli*

*Davit Narmania*


## IMPACT OF CORPORATE SOCIAL RESPONSIBILITY ON THE COMPETITIVENESS OF COMPANIES

In today's world, companies find it increasingly difficult to maintain and strengthen their competitiveness. Ever changing environment brings up new challenges before businesses. Those who adequately assess the reality and try to use all opportunities offered, succeed and gain leading positions on the market. In this respect, it is very important how the companies assimilate into the role of corporate social responsibility and recognize it as one of the ways to increase their business revenues.

Unlike other countries, Georgian companies do not exercise corporate social responsibility (CSR) widely. The study conducted by Next Consulting, a consultancy research center, reveals that corporate social responsibility is the highest among European companies and respectively, ¾ of companies with CSR are European and ¼ of companies with CSR are American.

In the developed countries, the evolution of corporate social responsibility started in 1950s. As for Georgia, discussions about CSR started just about ten years ago. Earlier, corporate social responsibility was associated with philanthropy and charity. In Western developed countries, CSR is a broad concept that involves the companies to take responsibility for the potential impact of their businesses activity or a specific decision on environment, local communities, social-economic systems and mitigate any negative impact.

European Commission defines CSR as a “concept where the companies voluntarily consider social and environmental issues in their business operations and in their relations with stakeholders.”<sup>143</sup> In developing countries, including Georgia, social responsibility is still associated (in some companies) with charity and this has been confirmed by a simple survey in the pharmaceutical sector. The survey sample was leading pharmaceutical companies such as PSP Pharma, GPC Pharmacy and AVERSI Pharma (based on turnover in 2014). The activities carried out by these companies within their social responsibility efforts were the following: addressing public/community needs; protection of rights of their employees and people; protection of customer rights and responsibility for their products; relations with suppliers and customers, protection of environment and publishing reports. However, companies do not implement all of these activities concurrently; rather, for some companies some of these activities are identified as a priority (See Fig.1). And quite often, such activities are not regular, systematic and organized, but mostly ad hoc.




**Figure 1. CSR activities according to the priorities**

Due to the aforementioned, we can conclude that “although the company is engaged in philanthropic activities and participates in social activities, this is only one part of social responsibility. A company may be deemed to have social responsibility, if it is raising public awareness on environmental issues, publishes reports and takes all components into account”<sup>144</sup>.

In Georgian companies, managers still ask questions about the benefit of increased corporate social responsibility on its competitiveness, image, financial indicators. It should be mentioned that increasing business revenues are dependent on the society in which the business operates. No business can be successful in the society that has problems. When companies demonstrate good will and take voluntary efforts to take care of addressing the problems of the society, its well-being, society, particularly of customers, suppliers, employees, investors, public organizations, etc. become more loyal towards the company.

A company’s number of customers increases when it has an image of a company with CSR. This has been proved by customers behavior analysis conducted as a part of a survey of customers. The respondents were asked to state what they paid attention to when buying pharmaceutical products. A total of 150 customers were interviewed under the survey and the results were as follows: corporate citizen - 85%, service - 65%; brand - 50 %; other - 25 % (See Fig.2).



**Figure 2. Factors affecting the choice of users to buy**

<sup>143</sup> <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=16315>

<sup>144</sup> <http://chveniambebi.info/ambebi/?p=23889>

As can be seen from the survey, the majority of customers give preference to the products of a company with the CSR. This, in turn, improves the image of a company and increases customer loyalty. During competition, reputation is the most valuable asset of a company. It is based on such values as reliability and confidence. Respectively, a company that is not yet well known will gain customer loyalty through social responsibility; this, in turn, will boost company sales, contribute to its overall success and sustainable development. Moreover, CSR:

Ensures competitive advantage of a company and increases its competitiveness. Companies introduce such innovations for enhancing their CSR, as technological development, producing and offering to their customers high quality and/or high-tech and/or environment friendly products. All of the above-mentioned can form the basis for strengthening and improvement of competitive position of a company;

Helps companies with attracting investments. Presently, the number of organizations or financial institutions who consider the level of social responsibility of companies, when taking investment related decisions is increasing. When assessing a country, many large companies look at CSR of the business for such business is more reliable, it takes care of the environment, welfare and protection of labor rights of their employees. Their customers are satisfied and happy. Respectively, companies with CSR have higher access to bigger capital.

Allows companies to obtain benevolence of government, state and non-governmental organizations. Since, in many countries across the globe, there are certain reliefs provided to companies that are distinguished for their corporate social responsibility, within the powers of government bodies. E.g., there are some benefits for issuing permissions and licenses or tax relief. In some countries, legislation envisages preferences for companies with CSR in government tenders.

Although corporate social responsibility has positive impact on competitiveness of business companies, in Georgia CSR is not developed to the level as to meet the requirements of the developed world. Accession to various international organizations, aspiration to Euro integration, enactment of the European Neighborhood Action Plan and the Free Trade Agreement between Georgia and EU brings up new challenges for Georgia, and compels them to enhance their CSR. This requires certain actions by companies themselves, as well as various public groups.

Firstly, the awareness of Georgian companies about CSR should be increased. This should be achieved by invigoration of business circles, as well as various sectors of the society towards the promotion of actions and methods of social responsibility. This will require holding large-scale events, conferences, workshops, trainings, so that mass media, state agencies or non-governmental organizations deliver relevant knowledge to businesses.

It should be mentioned that corporate social responsibility became the subject of discussions in 2004-2005 and Center for the Strategic Research and Development has played and is still playing very active role in the process. The Center has created the Georgian version of the Global Reporting Initiative's Sustainable Development Reporting Guidelines in 2008. Moreover, the Center has conducted the study on various legal and social-economic aspects and has published the paper Corporate Social Responsibility and Public Sector (in 2011). Efforts of the British company BOC – Global Events Group for the promotion of CSR in Georgia should also be mentioned. The Group organized the first business development forum in Tbilisi in 2013 and the second forum was held in 2014. During the 2014 Forum, Business Brilliance Award ceremony was held, and a social project of the year was revealed. Company Natakhtari became the winner in the nomination Brilliance CSR. However, the above-mentioned activities are not sufficient and more efforts and activities are required from interested parties.

In the Western world, various systems of reliefs and incentives for the companies with CSR are commonly used for increasing the level of company social responsibility. The reliefs envisage such issues as streamlined license granting for the companies that meet CSR standards; introducing social partnership practice; tax reliefs; priority in state procurement, etc.

Furthermore, many countries have a practice of introducing certain criteria for assessment of social responsibility of companies. In some of the Western Countries (the Netherlands, UK), ethical and social indices have been introduced; they reflect social responsibility in terms of the responsibility towards its employees, protection of human rights, ensuring transparency and reporting on sustainable development, etc. The introduction of such indices will boost the interest of Georgian companies towards raising their social responsibility.

It is important to consider international practice, in terms of the improvement of the legislation to support to overall increase of the level of social responsibility. For instance, it would be good if the government developed regulations regarding publishing of sustainable development reports by the companies. Some countries even have coordinating body at the state level, under Prime Minister's administration or in one of the ministries. Its work involves initiation of awareness raising campaigns and training programs and is interested in rendering businesses socially responsible.

Therefore, experience has demonstrated that business has undergone substantial transformation and a social element has been added to the economic one. Only the companies that have embraced corporate social responsibility and regard it an integral part of their strategy succeed in maintaining competitiveness and strengthen their position on the market.

## REFERENCES

1. Corporate Social Responsibility in Georgia. (2013). Available from: <http://forbes.ge/news/149/korporaciuli-socialuripasuxismgebloba-saqarTveloSi>.
2. Chokheli, E. (2012) Strategic Management. 3-th ed. Tbilisi: Universally.
3. Narmania D. (2012) Many companies are not aware of the benefits of its social responsibility. Available from:
4. [http://www.bpi.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=3497%3A2012-04-28-18-54-28&catid=948%3A2011-12-29-04-45-10&Itemid=127&lang=ka](http://www.bpi.ge/index.php?option=com_content&view=article&id=3497%3A2012-04-28-18-54-28&catid=948%3A2011-12-29-04-45-10&Itemid=127&lang=ka)
5. Khoperia, L. (2012) The Role of Government and Public Policies in Promoting Corporate Social Responsibility – An Analytical Overview and Recommendations to the Georgian Government. The Centre for Strategic Research and Development of Georgia Friedrich-Ebert-Stiftung.
6. <http://bpi.ge/index.php/saqartvelos-umskhvilesi-kompaniebi-lideri-kvlav-sokar-petrolium-jorjiaa/>

**IMPACT OF CORPORATE SOCIAL RESPONSIBILITY ON THE COMPETITIVENESS OF COMPANIES**  
**Annotation**

Ever changing environment brings up new challenges before businesses. Those who adequately assess the reality and try to use all opportunities offered, succeed and gain leading positions on the market. In this respect, it is very important how the companies assimilate into the role of corporate social responsibility. In Georgian companies, managers still ask questions about the benefit of increased corporate social responsibility on its competitiveness, image. No business can be successful in the society that has problems. When companies demonstrate good will and take voluntary efforts to take care of addressing the problems of the society, its well-being, society, particularly of customers, suppliers, employees, investors, public organizations, etc. become more loyal towards the company. Corporate social responsibility ensures competitive advantage of a company and increases its competitiveness, helps companies with attracting investments, allows companies to obtain benevolence of government, state and non-governmental organizations.

Although corporate social responsibility has positive impact on competitiveness of business companies, in Georgia CSR is not developed to the level as to meet the requirements of the developed world. Firstly, the awareness of Georgian companies about actions of CSR should be increased, it is important to use various systems of reliefs and incentives for the companies with CSR and to introduce certain criteria for assessment of social responsibility of companies, to improve the legislation to support to overall increase of the level of social responsibility. Only the companies that have embraced corporate social responsibility and regard it an integral part of their strategy succeed in maintaining competitiveness in Business.

*მარინე ცუცქერიძე*

**ბიზნესის ორგანიზაციული სისტემის განვითარების ასპექტები**

თანამედროვე ბიზნესის განვითარება და მისი კანონზომიერებების დაცვა ძირითადად დაკავშირებულია წარმოებისა და მომსახურების ორგანიზაციული სისტემის ეფექტიან ფუნქციონირებასთან. ევროინტეგრაციული პროცესების გააქტიურების დროს, ბიზნესის განვითარებაზე განსაკუთრებით ზემოქმედებს ორგანიზაციული და ტექნიკური ფაქტორები. ამ ფაქტორების გავლენითა და ბიზნესის საქმიანობის საბოლოო შედეგებით შესაძლებელი ხდება ინოვაციური ეფექტის მიღება, წარმოებისა და მომსახურების დანახარჯების შემცირება და მათი მომგებიანობის გადიდება. იგი ბიზნესის საქმიანობის რაციონალურად წარმართვისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. ამ მიმართულებით მისი მთავარი საფუძველია ბიზნესის ორგანიზაციული სისტემის განვითარების ის ასპექტები, რომლებიც ფირმათა ნორმალურ ფუნქციონირებას განაპირობებს. ხოლო წარმოებისა და მომსახურების სისტემისათვის გაწეული დანახარჯების შემცირება პროდუქტისა და მომსახურების ხარისხის ამაღლების, მისი საბაზრო კონკურენტუნარიანობის ზრდის საფუძველზეა შესაძლებელი და ფირმათა ეფექტიანობის გადიდების საშუალებად გვევლინება.

ევროინტეგრაციული ურთიერთობების პირობებში ძირითადია ბიზნესის ინოვაციური განვითარებისა და მისი სოციალური მიზანდასახულობის გაძლიერების სტრატეგიული ასპექტები. გარდა ამისა, ბიზნესის ორგანიზაციული სისტემის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენით გამოირჩევა საბაზრო და ინფლაციური ასპექტები. ბიზნესის შემოსავლებზე მათი გავლენა აისახება პროდუქტისა და მომსახურების რეალიზაციის შედეგების საშუალებით. ფირმათა საქმიანობის საბოლოო შედეგების – პროდუქტებისა და მომსახურების საბაზრო მიწოდებათა ორგანიზებულობა და მასზე ინფლაციის პროცესის გავლენა, საბაზრო შეყოვნებათა და მასთან დაკავშირებული რისკის გაძლიერების ძირითად მიზეზად გვევლინება.

წარმოებისა და მომსახურების ორგანიზაციული სისტემის ფუნქციონირება საქართველოში უმთავრესად უკავშირდება ბიზნესის ინოვაციურ განვითარებას. იგი ფირმების ორგანიზაციული და ტექნიკური განახლების საფუძველს წარმოადგენს. ამიტომ ინოვაციური ასპექტის გაძლიერება წარმოებისა და მომსახურების დარგებში არსებულ ფირმათა პრივატიზების, მმართველობითი სისტემის გარდაქმნის, საწარმოების რესტრუქტურისაციის პროცესების მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს. ამას ისიც განაპირობებს, რომ აღნიშნული ინოვაციური ეფექტის მიღების შესაძლებლობას იძლევა, რაც ფირმათა ორგანიზაციული და ტექნიკური საფუძვლების გარდაქმნით შეიძლება იქნეს მიღწეული.

ბიზნესის ორგანიზაციული სისტემის განვითარება და მისი საქმიანობის ეფექტიანად წარმართვა დამოკიდებულია წარმოების ძირითად ორგანიზაციულ ფაქტორებზე. მათი ურთიერთგავლენა კი ფირმათა ტექნიკური, შრომითი და რესურსული პოტენციალის ურთიერთშესაბამისობით აისახება. ორგანიზაციული ფაქტორების ზემოქმედება ბიზნესის განვითარებაზე ინოვაციური ტექნოლოგიების მიზიდვით, პროდუქტისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობით, ფირმათა საწარმოო და საბაზრო შედეგების გაუმჯობესებით გამოიხატება. მას ევროინტეგრაციული ურთიერთკავშირების გააქტიურება უდევს საფუძველად. წარმოებაზე აღნიშნული ფაქტორების გავლენა განაპირობებს ბიზნესის ორგანიზაციულ სისტემაში ფუნქციონირებადი ფირმების საბაზრო კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მათი მოგებისა და შრომითი შემოსავლების ზრდას, მმართველობითი კაპიტალის რაციონალურად გამოყენებას, რესურსების დანახარჯების შემცირებას. იგი წარმოებისა და მომსახურების ორგანიზაციული სისტემისათვის ინოვაციური ეფექტის გადიდების საშუალებაა, რაც განაპირობებულია ამ სისტემის ტექნიკური დონის გაუმჯობესებისთვის საჭირო დონისძიებათა გატარებით მიღწეული საბოლოო შედეგებით. ამავე დროს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ორგანიზაციული ფაქტორების გავლენას ფირმათა საბაზრო საქმიანობაზე. ინოვაციურ ასპექტებთან დაკავშირებით ძირითადს წარმოადგენს 1. წარმოებისა და მომსახურების სისტემაში დასაქმების გაუმჯობესება; 2. მისი ტექნიკური დონის სრულყოფა; 3. ტექნოლოგიური სიახლეების – ინოვაციური ტექნოლოგიების მოზიდვა და ათვისება; 4. ბიზნესის მმართველობითი ეფექტის ამაღლება და საბაზრო რისკის წარმომქმნელი ფაქტორების შემცირება.

დასაქმების ფაქტორების (დასაქმებულთა კვალიფიკაცია, ბიზნესისათვის საჭირო შრომითი გამოცდილება და სხვ.) გააღწევა ბიზნესის განვითარებაზე, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ ინოვაციებთან ერთად, უკავშირდება შრომითი სიხლეების ათვისებას და დასაქმების დონის ამაღლებას. იგი ფირმებში დასაქმების სისტემის გაუმჯობესებისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. წარმოებისა და მომსახურების ტექნიკური დონის სრულყოფა ძირითადად ინოვაციური ტექნიკის მოზიდვის ან შექმნილის ათვისების მიზნით საბაზრო არეთა გაფართოების აუცილებლობას განაპირობებს. წარმოებისა და მომსახურების ორგანიზაციის სრულყოფისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორი ინოვაციური ტექნოლოგიების ათვისებაა. იგი ბიზნესის საწარმოო სისტემის განვითარების ერთ-ერთი საფუძველია. ბიზნესის საქმიანობა და მისი მმართველობითი ეფექტის მიღწევა ძირითადად ფირმის საბაზრო პროცესების მართვის ხარისხის გაუმჯობესებას უკავშირდება. მართვის მიზნით დასახულ პრობლემათა გადაჭრა კი ამ დროს წარმოქმნილ რისკზე და მის შესაბამის მმართველობით გადაწყვეტილებასზე დამოკიდებულია. ბიზნესის შემოსავლის ზრდა ხორციელდება საბაზრო რისკის პირობებში. ამდენად, საბაზრო რისკის განმაპირობებელი ფაქტორების გააღწევის შემცირება მმართველობით გადაწყვეტილებათა საიმედოების საშუალებასაც წარმოადგენს.

სოციალურ ასპექტებთან განუხრელადაა დაკავშირებული ბიზნესის ორგანიზაციული სისტემის განვითარება. ამასთან, ძირითადია დასაქმების საბაზრო პროცესების გაუმჯობესება, შრომითი შემოსავლების ზრდა და უმუშევრობის დონის შემცირება. იგი თანამედროვე ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებელ და მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. ასევე ძირითადია დასაქმებისა და შრომითი პროცესების სრულყოფა ბიზნესის ორგანიზაციულ სისტემაში გაერთიანებული ფირმებისა და მომსახურების ობიექტებზე, მისი შესაბამისი დონისძიებების გატარება. აღნიშნული საქართველოში ფუნქციონირებად ბიზნეს-სექტორში შრომითი დანახარჯების ზრდის ტემპის შემცირების საფუძველად გვევლინება. ბიზნესის ორგანიზაციული სისტემისათვის ასევე დამახასიათებელია წარმოებისა და მომსახურებაზე დანახარჯების შემცირება, რაც მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის აუცილებელი საფუძველია. იგი შესაძლებელი გახდა საწარმოებისა და მომსახურების დარგებში არსებული ფირმების პრივატიზების ახალი სისტემის შემოღებით და რესტრუქტურისაციის განხორციელების შედეგად. მისი წინაპირობაა საწარმოო ტრანსფორმაციული პროცესის გატარება, რომელმაც წარმოების პროცესების გარდაქმნის გზით, ბიზნესის შიდასისტემური ელემენტებისა და ძირითადი საწარმოო ფაქტორების გაუმჯობესება განაპირობა.

ბიზნესსექტორში გატარებულ საწარმოო და საბაზრო გარდაქმნებთან ერთად, განსაკუთრებული ადგილი უკავია მისი სოციალური მიზნების მისაღწევად საჭირო ეკონომიკური და ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას. ბიზნესის განვითარების სოციალური მიზნების შესრულებისთვის ხელშემწყობ ფაქტორად გვევლინება მისი დარგობრივი ორგანიზაციის გაფართოება. იგი ძირითადად მშენებლობისა და ტრანსპორტით მომსახურების, ასევე ახალი საბაზრო სისტემების წარმოქმნის გზით ხორციელდება. ეს შრომისუნარიანობა დასაქმების პროგრამისა და მათი სოციალური დაცვის დონისძიებათა გატარებისათვის საჭირო წინამძღვარს წარმოადგენს. ამან, ბიზნესსექტორში შრომითი დანახარჯების ზრდის ტემპის შემცირებასთან ერთად, დასაქმების დონისა და მათი შრომითი შემოსავლების გადიდება გამოიწვია.

ეკონომიკური განვითარებაში საქართველოში წარმოებისა და მომსახურების ორგანიზაციულ სისტემაში განხორციელებული გარდაქმნების ძირითად შედეგს ინოვაციური სტრატეგიისა და სოციალური მიზნების ფირმების საქმიანობაში რეალიზება წარმოადგენს. იგი თანამედროვე ბიზნესის ორგანიზაციული სისტემის განვითარების მნიშვნელოვანი საფუძველია საბაზრო ურთიერთობებისა და ინტეგრაციული ურთიერთკავშირების პირობებში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ., ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებები პოსტკომუნისტურ საქართველოში, საერთაშორისო კონფერენციის მასალების კრებული „პოსტკომუნისტური ქვეყნების ეკონომიკების აქტუალური პრობლემები საქართველოში“, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2013.
2. Берилава Г., О роли неформальных и формальных институтов в регулировании межфирменных отношений, Сб. материалов междунар. конференции, Тбилиси, изд. Института экономики им. Паата Гугушвили, 2011.
3. პაპავა ვლ., არატრადიციული ეკონომიკის, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011.
4. პაპავა გ., სამრეწველო ფირმის ორგანიზაცია და მართვა, ტ. II, თბილისი, „სამშობლო“, 1996.
5. წერეთელი გ., საქართველოს მწარმოებლურ ძალთა განვითარების სტრატეგიული მიზნები და მათი რეალიზაციის მიმართულებები, სამეცნიერო შრომების კრებული „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“, ტ. I, თბილისი, „მეცნიერება“, 2000.
6. ცუცქერიძე მ., პროგნოზირების ძირითადი ასპექტები და მისი მახასიათებლების ანალიზის საკითხები, ე. „ეკონომისტი“, №3, თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2013.
7. [www.geostat.ge/?action=page&lang=en](http://www.geostat.ge/?action=page&lang=en), 2004-2013

*Marine Tsutskiridze*

### THE ASPECTS OF DEVELOPMENT OF BUSINESS ORGANIZATION SYSTEM

#### Annotation

The article analysis the innovation and Social Aspects of business development. There are given the characteristics of results of organization system production and service, and its influencing on the business development processes an Georgia.



მოგების გადასახადის აღრიცხვის ოპტიმალური სქემა

მოგების გადასახადის სამართლებრივ მხარეს საქართველოს საგადასახადო კოდექსი არეგულირებს, რომლის მოთხოვნების დაცვა ყველა იურიდიული და ფიზიკური პირისათვის სავალდებულოა. შესაბამისად, მოგების გადასახადის დროული და ობიექტური აღრიცხვა საწარმოთა ფინანსური მენეჯმენტისა და აღრიცხვის მნიშვნელოვან უბანს წარმოადგენს. პრაქტიკოსების მოვალეობაა, დაიცვან ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის სააღრიცხვო და სამართლებრივი მოთხოვნები. ხოლო, თეორეტიკოსების მოვალეობაა, მოქნილი, სინამდვილის შესაბამისი და რაც შეიძლება მარტივი სააღრიცხვო მეთოდის დაამუშაონ და შესთავაზონ პრაქტიკოსებს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია საწარმოთა მოგების გადასახადის სააღრიცხვო მეთოდის სრულყოფის საკითხების შესწავლა და დამუშავება. წინამდებარე შრომის მიზანია მოგების გადასახადის დღეს არსებული სააღრიცხვო მეთოდის გამარტივების მცდელობა.

**სააღრიცხვო ინფორმაციაზე დაყრდნობით, საწარმომ უნდა მოამზადოს მოგება/ზარალის ანგარიშგება, რომელსაც 2010 წლის ცვლილებების შემდეგ ეწოდა „სრული შემოსავლების ანგარიშგება“, რასაც ვერ ვუთანხმებით. ანგარიშგების ამა თუ იმ კომპონენტის სახელწოდების შეცვლა მხოლოდ მაშინაა მიზანშეწონილი, თუკი მასში გადმოცემული ინფორმაცია არსებითად იცვლება, რასაც ადგილი არ ჰქონია. მოგება/ზარალის გამოთვლა იმთავითვე მოითხოვდა და მოითხოვს საწარმოს ყველა შემოსავლისა და ხარჯის აღიარებას და წარდგენას. ასე რომ, აქ სიახლე არაფერია. ამასთან, საწარმოში მარტო შემოსავლები არ არის. გაიწევა ხარჯები, რომელთა გამოქვითვის შემდეგ მიიღება ფინანსური შედეგი: მოგება ან ზარალი. ახალი სახელწოდებიდან კი ისეთი შთაბეჭდილება რჩება, მასში თითქოს მხოლოდ შემოსავლებია გადმოცემული და არა ხარჯები. მიგვაჩნია, რომ ადგილი აქვს ეკონომიკური მაჩვენებლების ტერმინების: „შემოსავალი“ და „მოგება“ – აღრევას, რაც საჭიროა გასწორდეს. სახელწოდება „მოგება/ზარალი“ კი ნათლად მიუთითებს, რომ ანგარიშგებაში შემოსავლები და ხარჯები უნდა იქნეს გადმოცემული.**

მოგების გადასახადის გაანგარიშების დროს, ცხადია, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები გამოიყენება. საგადასახადო კოდექსი ადგენს რომელი სახის ხარჯი გამოიქვითოს ან არ გამოიქვითოს შემოსავლებიდან. ამიტომ, ერთმანეთისაგან განსხვავდება სააღრიცხვო მოგებისა და საგადასახადო მოგების მაჩვენებლები.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (ბასს) 12 – „მოგებიდან გადასახადები“ - განსაზღვრავს მოგების გადასახადის აღრიცხვის წესებს. იგი განასხვავებს საგადასახადო და სააღრიცხვო მოგების მაჩვენებლებს (1. მუხლი 5-12).

**სააღრიცხვო მოგება** არის, აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად აღიარებული საანგარიშგებო პერიოდის წმინდა შემოსავლის ან ზარალის თანხა, საგადასახადო ხარჯის გამოქვითვამდე.

**საგადასახადო (ანუ დასაბეგრი) მოგება** (ან საგადასახადო ზარალი) არის შესაბამისი საგადასახადო კანონმდებლობის მარეგულირებელი წესებით განსაზღვრული მოგება (ზარალი), რომლის მიხედვითაც ხდება გადასახადის გადახდა (ან დაბრუნება).

**საგადასახადო ხარჯი** (საგადასახადო შემოსავალი) არის საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგების ან ზარალის განსაზღვრისას გამოყენებული მიმდინარე და გადავადებული გადასახადების მთლიანი თანხა. საგადასახადო ხარჯი შედგება მიმდინარე საგადასახადო ხარჯისა და გადავადებული საგადასახადო ხარჯისაგან.

მიმდინარე გადასახადი არის საანგარიშგებო პერიოდის საგადასახადო მოგებიდან (საგადასახადო ზარალიდან) გადასახდელი (დასაბრუნებელი) გადასახადის თანხა.

**გადავადებული საგადასახადო ვალდებულება** არის დასაბეგრი დროებითი სხვაობით გამოწვეული, მომავალ საანგარიშგებო პერიოდებში გადასახდელი მოგების გადასახადის თანხა.

**გადავადებული საგადასახადო აქტივი** არის მოგებიდან გადასახადების თანხა, რომელიც უნდა აღდგეს მომავალ საანგარიშგებო პერიოდში. თუმცა, საქართველოს საგადასახადო კოდექსში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი და, ვფიქრობთ, ამის აუცილებლობაც არ არსებობს. დაბრუნებას ექვემდებარება მხოლოდ წინასწარ ზედმეტად გადარიცხული მოგების გადასახადისათვის გადახდილი თანხები.

**დროებით სხვაობას** უწოდებენ ბალანსში წარდგენილი აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და მის საგადასახადო ბაზას შორის განსხვავების თანხას. დროებითი სხვაობა შეიძლება იყოს ორნაირი:

ა). დასაბეგრი დროებითი სხვაობა, რომელიც უნდა დამატოს მომავალ საანგარიშგებო პერიოდებში საგადასახადო მოგების (საგადასახადო ზარალის) თანხას, როდესაც აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულების ამოღება ან დაფარვა მოხდება ;

ბ). გამოსაქვითი დროებითი სხვაობა, რომელიც მომავალ საანგარიშგებო პერიოდში უნდა გამოიქვითოს საგადასახადო მოგების (საგადასახადო ზარალის) თანხიდან, როდესაც აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულების ამოღება ან დაფარვა მოხდება.

**აქტივის ან ვალდებულების საგადასახადო ბაზას** უწოდებენ იმ თანხას, რომელიც გამოიყენება მოცემული აქტივის ან ვალდებულების საგადასახადო მიზნებისათვის.

**აქტივის საგადასახადო ბაზა** არის ის თანხა, რომელიც საგადასახადო მიზნებისათვის გამოიქვითება დასაბეგრი ეკონომიკური სარგებლიდან (ანუ შემოსავლებიდან) და საწარმო მიიღებს ამ აქტივის საბალანსო ღირებულების დაბრუნების შემდეგ. თუ აღნიშნული ეკონომიკური სარგებელი არ იქნება დასაბეგრი, მაშინ აქტივის საგადასახადო ბაზა მისი საბალანსო ღირებულების ტოლია.

**ვალდებულებების საგადასახადო ბაზა** არის მისი საბალანსო ღირებულება იმ თანხის გამოკლებით, რომელიც საგადასახადო მიზნებისათვის გამოიქვითება მომავალ საანგარიშგებო პერიოდებში ამ ვალდებულე-

ბასთან დაკავშირებით. შემოსავლების ავანსის სახით მიღების შემთხვევაში წარმოშობილი ვალდებულების საგადასახადო ბაზა ტოლია მისი საბალანსო ღირებულებისა, შემოსავლების იმ თანხის გამოკლებით, რომელიც მომავალ პერიოდებში არ დაიბეგრება.

აღრიცხვის სტანდარტებით აღიარებული შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობით მიღებული დასაბეგრი მოგება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხშირად განსხვავდება ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნით აღიარებული შემოსავლებისა და ხარჯებისაგან. შესაბამისად, სააღრიცხვო მოგება საგადასახადო მოგებისაგან განსხვავდება. ამდენად, წარმოიშობა სხვაობა მათ შორის, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს გადავადებულ საგადასახადო აქტივს ან გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებას.

**ცნობილია გადავადებული გადასახადის აღრიცხვის ორი მეთოდი: აღრიცხვა გადავადების მეთოდის ან ვალდებულების მეთოდის მიხედვით, რომელსაც ზოგჯერ მოგება/ზარალის ანგარიშგების ვალდებულების მეთოდს უწოდებენ და მეორეს, ბალანსის ვალდებულების მეთოდს.**

ბასს 12 - მოგებიდან გადასახადები - საწარმოებისაგან მეორე მეთოდის გამოყენებას მოითხოვს.

**მოგება/ზარალის ანგარიშგების ვალდებულების მეთოდი** ფოკუსირებულია დროით სხვაობებზე, ხოლო ბალანსის ვალდებულების მეთოდი კი დროებით სხვაობებზე.

**დროითი სხვაობა** არის დასაბეგრი მოგებასა და სააღრიცხვო მოგებას შორის სხვაობა, რომელიც წარმოიშვა ერთ პერიოდში და რომლის უკუგატარება ხდება შემდგომ პერიოდში ან პერიოდებში.

**დროებითი სხვაობა** წარმოადგენს ბალანსში წარდგენილი აქტივის ან ვალდებულების საგადასახადო ბაზასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობას. **აქტივის ან ვალდებულების საგადასახადო ბაზას უწოდებენ იმ თანხას, რომელიც საგადასახადო მიზნებისათვის მიეკუთვნება მოცემულ აქტივს ან ვალდებულებას.**

ყველა დროითი სხვაობა წარმოადგენს დროებით სხვაობას, ხოლო დროებითი სხვაობა ყოველთვის არ წარმოადგენს დროით სხვაობას. მაგალითად, ის დროებითი სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა მაშინ, როდესაც:

- საწარმოს არაფულადი აქტივებისა და ვალდებულებების შეფასება ხდება მის სამუშაო ვალუტაში, მაგრამ დასაბეგრი მოგება ან საგადასახადო ზარალი (და, ამდენად, არაფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო ბაზა) განისაზღვრება სხვა ვალუტაში;
- არაფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაანგარიშება ხდება ბასს-29 - „ფინანსური ანგარიშგება ჰიპერინფლაციური ეკონომიკის პირობებში“ - მიხედვით, ან
- აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება მისი თავდაპირველი საგადასახადო ბაზისაგან.

ბასს 12-ით მოითხოვება, განმარტებით შენიშვნებში საწარმოებმა წარადგინონ შემდეგი ინფორმაცია (1. მუხლი 79) :

- მოგების გადასახადის განაკვეთის ცვლილების შესახებ, წინა წელთან შედარებით;
- რიცხობრივი თანაფარდობა საშუალო საგადასახადო განაკვეთსა და გამოყენებულ საგადასახადო განაკვეთს შორის;
- თითოეული ტიპის დროებით სხვაობასთან დაკავშირებით გამოყენებული საგადასახადო ზარალისა და გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტის თანხები;
- აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივისა და ვალდებულებების თანხები;
- მოგება/ზარალში აღიარებული გადავადებული საგადასახადო შემოსავლის ან ზარალის თანხა, თუ ეს არ არის ბალანსში აღიარებული თანხების ცვლილებებიდან;
- შეწყვეტილ ოპერაციებთან დაკავშირებით - საგადასახადო ხარჯი, რომელიც უკავშირდება შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებულ შემოსულობას ან ზარალს და შეწყვეტილი სამეურნეო ოპერაციებიდან მიღებული მოგების ან ზარალის თანხას;
- გადავადებული საგადასახადო აქტივის თანხა და მისი აღიარების საფუძველი, როდესაც: გადავადებული საგადასახადო აქტივის გამოყენება დამოკიდებულია იმაზე, გადაამტებს თუ არა მომავალი პერიოდის საგადასახადო მოგების თანხები მოგების იმ თანხას, რომელიც წარმოიშობა არსებული დროებითი სხვაობების ამოწურვის შედეგად და საწარმოს გააჩნია მიმდინარე ან წინა საანგარიშგებო პერიოდების ზარალი იმ საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, რომელსაც უკავშირდება გადავადებული საგადასახადო აქტივი.

მოგების გადასახადის სიდიდე ფაქტობრივი საგადასახადო მოგებიდან განისაზღვრება. მაგრამ წლის ბოლომდე ცნობილი არ არის მოგების ფაქტობრივი სიდიდე, ამიტომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნით, ის სუბიექტები, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას, ვალდებული არიან, მოგების მიმდინარე გადასახადების თანხები ბიუჯეტში შეიტანონ გასული საგადასახადო წლის ფაქტობრივი წლიური გადასახადის მიხედვით.

წლის ბოლოს, როცა ფაქტობრივი საგადასახადო მოგება უკვე ცნობილია, შესაძლებელი ხდება ბიუჯეტში მოგებიდან გადასახადი გადასახადის ფაქტობრივი სიდიდის დადგენაც. როგორც ცნობილია, ბიუჯეტში რეალურად გადასარიცხი მოგების გადასახადის სიდიდე საგადასახადო მოგებიდან გამოითვლება.

მოგების გადასახადის სიდიდე, როგორც ცნობილია, გავლენას ახდენს წმინდა მოგების სიდიდეზე, ანუ საწარმოს განაკარგულებაში დარჩენილი მოგების თანხაზე, რომელიც წარმოადგენს შესაკუთრებისა და მმართველების ინტერესს. წმინდა მოგებიდან გაიცემა დივიდენდები და პრემიები თანამშრომლებზე. ამიტომ, მათ უნდა იცოდნენ, რეალურად მოგების რა სიდიდე შეიძლება განაწილდეს მათზე.

განვიხილოთ რამდენიმეწლიან პერიოდს, სადაც მოცემულია სააღრიცხვო, საგადასახადო და წმინდა მოგების მანქანებლები (ცხრ. 1).

მოგებისა და მოგებიდან გადასახადების მანქანებლები

მანქანებლები	I წელი	II წელი	III წელი	IV წელი
სააღრიცხვო მოგება	5400	6200	7500	8000
მოგების გადასახადი 15%	(810)	(930)	(1125)	(1200)
1. წმინდა მოგება	4590	5270	6375	6800
საგადასახადო მოგება	5000	6000	6000	8400
მოგების გადასახადი 15%	(750)	(900)	(900)	(1260)
2. წმინდა მოგება	4250	5100	5100	7140

ცხრილში მოყვანილია წმინდა მოგების ორი სახის მანქანებელი. ისმება კითხვა: მათგან რომელი შეე-საბამება რეალურ ვითარებას, ანუ რომელი ასახავს წმინდა მოგების იმ რეალურ სიდიდეს, რომელიც რჩება საწარმოს განკარგულებაში, რათა გაანაწილოს იგი მესაკუთრეებზე? მაგალითად, პირველ წელს, ჩვეულებრი-ვი აქციის მფლობელებზე დივიდენდის სახით, რეალურად რომელი ოდენობის მოგება უნდა განაწილდეს: 4590 ლარი თუ 4250 ლარი? (იხ. ცხრილი 1). არც ერთი. ვინაიდან რეალობას არც ერთი არ შეესაბამება.

სააღრიცხვო მოგება არის ის რეალური მოგება, რაც საწარმომ ფაქტობრივად მიიღო ყველა მიმდინარე შემოსავლიდან იმავე პერიოდის ხარჯის გამოკლებით. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმის გამო, რომ სა-გადასახადო კოდექსით ყველა ხარჯი არ გამოიქვითება, მოგების გადასახადი გამოთვლილია საგადასახადო მოგებიდან. მაშასადამე, საწარმოდან ბიუჯეტში ფაქტობრივად პირველ წელს გადაირიცხა 750 ლარი და არა 810 ლარი. ამდენად, საწარმოს განკარგულებაში რეალურად რჩება სააღრიცხვო მოგებასა და ბიუჯეტში გადა-სახდელი მოგების გადასახადს შორის სხვაობა:

**საწარმოს რეალური წმინდა მოგება = 5400 - 750 = 4650 ლარი.**

მოყვანილი ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდულ კაში კი გადავადებული საგადასახადო აქტივისა და ვალდებულებების ანგარიშები ერთმანეთს არეგულირებენ, ერთმანეთისაგან გამოიქვითება, რასაც წმინდა მო-გების რეალურ სიდიდემდე არ მიყვავართ. ასე მაგალითად, მეორე წელს გადავადებული საგადასახადო ვალ-დებულების (4210) ანგარიშის ნაშთი გახდა 90 ლარი, მესამე წელს - 315 და მეოთხე წელს - 255 ლარი. ამ თანხებით წმინდა მოგების კორექტირება რეალური შინაარსის შემცველ მანქანებებს არ იძლევა, სწორედ იმიტომ, რომ ბიუჯეტთან ანგარიშსწორება ყოველწლიური საგადასახადო მოგებიდან ხდება.

გამომდინარე იქიდან, რომ გადავადებული საგადასახადო აქტივი და გადავადებული საგადასახადო ვალ-დებულებები გავლენას არ ახდენს ბიუჯეტში ფაქტობრივად გადასარიცხი ფულადი ნაკადების სიდიდეზე, მათი აღრიცხვა აუცილებლობას არ წარმოადგენს. საკმარისი იქნება მოგების გადასახადის ხარჯის (9210) ანგარი-შის დებეტში აღრიცხვას არა სააღრიცხვო მოგებიდან გამოთვლილი გადასახადის თანხა, როგორც ახლა ხდება, არამედ, აღრიცხვის საგადასახადო მოგების საფუძველზე დადგენილი გადასახადის თანხა. ამის სა-ფუძველზე, სააღრიცხვო მოგებიდან გამოიქვითება თანხა, რომელიც საწარმოდან ფაქტობრივად მიედინება ბიუჯეტში. შედეგად, მოგება/ზარალის ანგარიშგებაში აისახება რეალური წმინდა მოგება, რომელიც რჩება საწარმოს მესაკუთრეებისა და მმართველების განკარგულებაში, საიდანაც ისინი ელოდებიან დივიდენდებს და პრემიებს.

მოცემულ შემთხვევაში, საგადასახადო დეკლარაციის ინფორმაციის საფუძველზე მოხდება მხოლოდ ერთი ბუღალტრული გატარება მოგების გადასახადის დარიცხვაზე, რათა აღიარებულ იქნეს გადასახადის ხარჯი და ვალდებულება. შემდეგ, ჩვეულებრივ მოხდება წლის განმავლობაში გადახდილი გადასახდების ჩათ-ვლა და საბოლოო ანგარიშსწორება ბიუჯეტთან.

აღრიცხვის საერთაშორისო სატნდარტების რეკომენდაციებით, „მოგების გადასახადის ხარჯის (9210)“ ანგარიშის დებეტში უნდა აღრიცხოს არა საგადასახადო მოგებიდან, არამედ სააღრიცხვო მოგებიდან გამოთ-ვლილი გადასახადი. სწორედ ეს მოთხოვნა წარმოშობს უამრავი ბუღალტრული გატარებისა და გამოთვლების საჭიროებას. ბიუჯეტის წინაშე წარმოქმნილი რეალური ვალდებულება მოგების გადასახადზე კი აღრიცხება „მოგების გადასახადზე ვალდებულების (3310)“ ანგარიშის კრედიტში. წარმოშობილი სხვაობა აღრიცხება ან „გადავადებული საგადასახადო აქტივის (2340)“ ანგარიშის დებეტში ან „გადავადებული საგადასახადო ვალდე-ბულების (4210)“ ანგარიშის კრედიტში.

პირველ ცხრილში მოყვანილი ინფორმაციის საფუძველზე გადმოვცემთ მოგება/ზარალის ანგარიშგე-ბის ფრაგმენტს (ცხრ. 2).

მოგება/ზარალის ანგარიშგების ფრაგმენტი IV წელს

	ბასს-ის მოთხოვნით	მარტივი მეთოდით
სააღრიცხვო მოგება	8000	8000
მოგების გადასახადის ხარჯი	(1200)	(1260) (საგადასახადო მოგებიდან)
-----	-----	-----
წმინდა მოგება	6800	6740

მართლაც, სწორედ 6740 ლარია ის რეალური თანხა, რომელიც უნდა განაწილდეს მესაკუთრეებს შო-რის, შეიქმნას სხვადასხვა რეზერვები, გამოითვალოს შემოსავალი ერთ აქციაზე და ა.შ.

მოყვანილი ანალიზის საფუძველზე შეძლება დავასკვნათ, რომ, ჩვენ მიერ მოცემული მოგების გადა-სახდის აღრიცხვის ოპტიმალური სქემის გამოყენება მართებულია, რადგან:

- მოგება/ზარალის ანგარიშგებაში გადმოცემული უნდა იქნეს ობიექტური ინფორმაცია მესაკუთრეთათ-ვის რეალურად გასანაწილებელი წმინდა მოგების შესახებ;

- საწარმოთა მოგება/ზარალის ანგარიშგებაში ერთ ჩვეულებრივ აქციაზე საბაზისო (გაზაგებული) შემოსავლის მჩვენებლების გამოსათვლელად საჭირო რეალური წმინდა მოგების სიდიდე იქნეს ასახული;
- სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი მოგების გადასახადის სიდიდის დასადგენად საკმარისი იქნება მხოლოდ საგადასახლო მოგების მჩვენებლის გამოთვლა;
- სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორება ზეგავლენას არ ახდენს გადავადებული საგადასახლო აქტივისა და გადავადებული საგადასახლო ვალდებულებების თანხები, რადგან გადასახადი ყოველი წლის საგადასახლო მოგების საფუძველზე გადაიხდება;
- ბიუჯეტი უკან აბრუნებს არა „გადავადებული საგადასახლო აქტივის“ თანხას, არამედ, წლის განმავლობაში წინასწარი გადახდების გამო წარმოქმნილ ზედმეტად გადარიცხულ თანხებს.
- \* საკმარისი ხდება მოგების გადასახადის დარიცხვის მხოლოდ ერთი მარტივი მუხლის შედგენა მოგების გადასახადის ხარჯის (9210) ანგარიშის დებეტსა და საგადასახლო ვალდებულების (3310) ანგარიშის კრედიტში, არა სააღრიცხვო მოგებიდან დარიცხული მოგების გადასახადის თანხით, არამედ, უშუალოდ, საგადასახლო მოგებიდან გამოსული გადასახადის თანხით.
- \* საწარმოებს აღარ დასჭირდებათ მრავალი ინფორმაციის მომზადება, რომელიც მათ ამჟამად ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა წარადგინონ მე-12 სტანდარტის მოთხოვნით. ეს სტანდარტიც მნიშვნელოვნად გამარტივდება და საწარმოები აუდიტორული მომსახურების ანაზღაურების ზედმეტი ფულადი ხარჯებისაგან გათავისუფლდებიან.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. ბასს (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი) – 1 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“. თარგმანი ინგლისურიდან. ბაფ. თბ., 2008.
2. ბასს - 12 – „მოგებიდან გადასახადები“. თარგმანი ინგლისურიდან. ბაფ. თბ., 2008.
3. ბასს – 18 – „ამონაგები“. თარგმანი ინგლისურიდან. ბაფ. თბ., 2008.
4. ფასს – „ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლები“. თარგმანი ინგლისურიდან. ბაფ. თბ., 2008.
5. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება. სახელმძღვანელო. ბაფ. თბ., 2008.
6. ფინანსური აღრიცხვა. F3. ACCA. ინგლისის სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაცია. სახელმძღვანელო. თარგმანი ინგლისურიდან. ბაფ. 2009.
7. საქართველოს საგადასახლო კოდექსი. თბ., 2010.
8. ჭილაძე ი. მოგების გადასახადის აღრიცხვის სრულყოფის საკითხები. მონოგრაფია. მერიდიანი, თბ., 2012.
9. [www.accountingcoach.com/financialaccounting/](http://www.accountingcoach.com/financialaccounting/)

*Izolda Chiladze*

**THE OPTIMAL SCHEME OF ACCOUNTING TAX PROFIT  
Annotation**

In the present Article based on practical accounting has been reviewed existed accounting rule of deferred tax assets and deferred tax liabilities risen while the profit tax upon basis of analysis of which has been made conclusion that it is possible to simplify the existed practice of profits tax accounting.

We consider expedient to compose only one simple clause of profits tax charge in profits tax expenses (9210) account debit and tax liability (3310) account credit with profits tax amount drawn not from accounted profit but with tax profits directly calculated from tax amount. Furthermore we suppose that there does not exist the necessity of accounting and calculation of “Deferred tax assets and Deferred tax liabilities” owing to following circumstances:

- accountability of profits-losses should represent impartial information for owners about net profits actually distributed;
- factual profits of the company is an accounted profit, and the real net profit is a difference between paid amount of calculated from tax profits and accounting profit.
- an enterprise should publish for one ordinary share showings of basic and diluted revenues, which should be calculated based on real net profits as well and not on conventional net profit;
- in order to establish the size of profits owned by the state budget it is enough to calculate only tax profits indicator;
- amounts of deferred tax assets and deferred tax liabilities do not influence the existed tax liability since the tax will be paid on the grounds of tax profits of each year;
- the Budget brings back not the amount of “ deferred tax asset” or “ deferred tax liabilities” but excess of transferred amounts risen owing to advance payments while a year.

*ბორის ჭიჭინაძე*

**აღბილობრივი თვითმმართველობის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში**

პოსტსოციალისტურ საქართველოში ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად ყოველთვის მიიჩნეოდა ადგილობრივი თვითმმართველობების ფორმირება და გაძლიერება. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში განვითარების რამდენიმე მოდელი შეიქმნა, იყო პოზიტიური ნაბიჯებიც, თუმცა თვითმმართველობათა რეალური განვითარება მაინც ვერ მივიღეთ.

თვითმმართველობების განვითარების აუცილებლობა განსაკუთრებით მწვავედ დგას დღის წესრიგში ახლა, რადგანაც საქართველოს კურსი აღებული აქვს ევროპული სტრუქტურებისკენ, გამომდინარე აქედან,

უადრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების ისეთი სტრატეგიის შემუშავებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საქართველოს მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და მათი კონკურენტუნარიანობის ზრდა. საქართველოში წლების განმავლობაში არ არსებობდა საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უზრუნველყოფდა მუნიციპალიტეტების შემდგომ განვითარებას. მუნიციპალიტეტებისადმი გატარებულ პოლიტიკას არ გააჩნდა მწყობრი ხასიათი, ამას ემატებოდა ქვეყანაში არსებული მიმდევარ კრიზისოვანი და ეკონომიკური მდგომარეობა, დაქვეითებული შრომითი და სამეწარმეო აქტიუობა, რაც, მთლიანობაში, მუნიციპალიტეტების განვითარებაზე უარყოფითად აისახებოდა და არაპროგნოზირებადს ხდიდა მათ საქმიანობას.

მიუხედავად ცენტრალური ხელისუფლების მიერ მიღებული არაერთი კანონისა, წლების განმავლობაში მუნიციპალიტეტების მდგომარეობა არ უმჯობესდებოდა და მათი ცენტრზე დამოკიდებულება კიდევ უფრო იზრდებოდა.

ათწლეულების განმავლობაში არ ხდებოდა მუნიციპალიტეტებში არსებული რეზერვების გამოყენება. მათ არ გააჩნდათ ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე პროგრამები. მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარებისათვის არ იყო განსაზღვრული სხვადასხვა ადგილობრივი მიმართულებების პრიორიტეტულობა, საკითხები წყდებოდა სპონტანურად, ყოველგვარი განხილვისა და მოსახლეობის აზრის გათვალისწინების გარეშე. ადგილი ჰქონდა კომპეტენციების და უფლება-მოვალეობების აღრევას ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის.

მდგომარეობა ამჟამადც რთულია, ადგილობრივ თვითმმართველობებს არ გააჩნიათ დამოუკიდებლობა, ცენტრალური მთავრობის მიერ მიღებული კანონები ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ეკონომიკის მდგრად განვითარებას, ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღებას და ეკონომიკური ზრდის პოლიტიკაზე გადასვლას.

საჭიროა აღინიშნოს, რომ საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობებს აქვს განვითარების დიდი პერსპექტივა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან იქნება პოლიტიკური ნება მუნიციპალიტეტების განვითარებისათვის. მინიმალური იქნება უცხოეთის ე.წ. „კეთილისმყოფელების“ ჩარევის ხარისხი ადგილობრივი კანონების მიღებისას და მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია.

თვითმმართველობების განვითარებისათვის ამოსავლად უნდა იქცეს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებში ცენტრის და მუნიციპალიტეტების ურთიერთობების სწორად შეფასება. ამისათვის კი საჭიროა არსებული პრობლემებისადმი სისტემური მიდგომა, სხვა ქვეყნების განვითარების, მისი მმართველობითი სისტემის ისტორიის ცოდნის გაზიარება; მუნიციპალიტეტების რესურსული პოტენციალის განსაზღვრა-შეფასება, ადგილებზე არსებული ადამიანური კაპიტალის მაქსიმალურად გამოყენება. საზღვარგარეთის ქვეყნების მუნიციპალიტეტების გამოცდილების გაზიარებისას აუცილებელია გათვალისწინება ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებების და ტრადიციების.

თვითმმართველობების განვითარების მორიგ მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ ხელისუფლების მიერ თვითმმართველობის ახალი კოდექსის შემუშავება, რომელიც, ვფიქრობთ, გარკვეულ ნოვაციებთან ერთად, დაზღვევით არ არის ხარვეზებისაგან და პრობლემათა ღრმად წვდომას მოითხოვს.

ახალი თვითმმართველობის კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლის 15 ივნისს ჩატარებული თვითმმართველობის არჩევნების ოფიციალურად გამოცხადების შემდეგ, მნიშვნელოვანი ნოვაციებით ხასიათდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საჭიროა აღინიშნოს, რომ ვერც ეს ახალი კოდექსი უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობების ფინანსურ დამოუკიდებლობას და ცენტრისა და მუნიციპალიტეტების უფლება-მოვალეობათა მკაცრად გამიჯვნას.

ამ კანონით მნიშვნელოვნად გაიზარდა პირდაპირი საყოველთაო არჩევნების გზით არჩეული გამგებლის (მერის) ფუნქციები, მაგრამ, ამასთანავე, შემცირდა თემების (სოფლების) უფლებები. მუნიციპალიტეტის თემებში ადრე არსებული რწმუნებული შეიცვალა გამგებლის წარმომადგენლებით, აღნიშნული ცვლილება გაუგებარია, რადგანაც ამ ცვლილებით არ მომხდარა მუნიციპალიტეტების თემებში დანიშნული პირების უფლებების ზრდა, ამ პირებს ისევ მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიშნავს და მათი ფუნქციები კანონით არ არის მკაცრად რეგულირებული, ასეთი მიდგომები ადგილებზე კიდევ უფრო ართულებს ისედაც გართულებულ მდგომარეობას. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის (გამგებლის/მერის უფლება მოსილება) მეორე ნაწილით გამგებელი/მერი უფლება მოსილია, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში დანიშნოს გამგებლის/მერის წარმომადგენელი. საჭიროა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ნორმა გამგებელს ანიჭებს უფლებას და არ ავალდებულებს მას მუნიციპალიტეტის ყველა თემში დანიშნოს თავისი წარმომადგენელი, ასეთი მიდგომით შეიძლება მოხდეს, რომ ზოგიერთ თემში მუნიციპალიტეტის გამგებელს არ ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი.

სიახლეა ახალ კოდექსში ტრანსფერების კუთხითაც, რადგანაც შემოღებულია ახალი ტრანსფერი - კაპიტალური ტრანსფერი. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 94-ე მუხლის მიხედვით, სულ მუნიციპალიტეტებში შემდეგი სახის ტრანსფერებს მიიღებენ:

- ა) გათანაბრებითი ტრანსფერი;
- ბ) მიზნობრივი ტრანსფერი;
- გ) სპეციალური ტრანსფერი;
- დ) კაპიტალური ტრანსფერი.

იმავ კოდექსის 96-ე მუხლის მიხედვით კაპიტალური ტრანსფერი გადაეცემა ერთი ბიუჯეტიდან სხვა ბიუჯეტს მიზნობრივი პროექტის განსახორციელებლად და იგი დაკავშირებულია ტრანსფერის მიმღების არაფინანსური აქტივების ზრდასთან. კაპიტალური ტრანსფერი შეიძლება გადაეცეს:

- ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს;
- ბ) ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს.

იქვე აღნიშნულია, რომ კაპიტალური ტრანსფერის გადაცემის წესს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.

კოდექსის სიახლედ შეიძლება მივიჩნიოთ სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების შემოღება. კოდექსის 146-ე მუხლის მიხედვით, სამხარეო საკონსულტაციო საბჭო არის სახელმწიფო რწმუნებულთან - გუბერნატორთან არსებული მუნიციპალიტეტთა საკონსულტაციო ორგანო, რომელიც იქმნება და საქმიანობს ამ კანონით დადგენილი წესით. საკონსულტაციო საბჭოს მიზანია, უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის ინტერესების წარმოდგენა და გათვალისწინება სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის უფლებამოსილების განხორციელების, ტერიტორიის განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობაში თანამდებობრივად შედის ყველა შესაბამისი მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი, საკრებულოს თავმჯდომარე და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე. სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს უფლებამოსილებაა:

ა) სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის წარდგინებით შესაბამის ტერიტორიაზე სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი პროექტების, პროგრამებისა და მათი ხარჯთაღრიცხვების განხილვა;

ბ) სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის უფლებამოსილების განხორციელების ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის განხილვა;

გ) სახელმწიფო რწმუნებულისთვის-გუბერნატორისთვის რეკომენდაციების შემუშავება შესაბამისი ტერიტორიის განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.

სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომებს იწვევს სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორი. სამხარეო საკონსულტაციო საბჭო იკრიბება 3 თვეში ერთხელ მაინც.

რამდენად ეფექტური და პროდუქტიული იქნება რეგიონებში სამხარეო საკონსულტაციო საბჭოების ფუნქციონირება, ამას დრო გვიჩვენებს, ამ ეტაპისათვის რაიმე სახის კომენტარის გაკეთება არ იქნება მიზანშეწონილი.

სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები ახალი კოდექსით არ განხორციელებულა, გამომდინარე აქედან ისევე გადაუჭრელი დარჩა ის მნიშვნელოვანი საკითხები, რაც წლების განმავლობაში არსებობს მუნიციპალიტეტებში.

ახალი კანონის პროექტში არაფერია აღნიშნული ზიარი გადასახადების შესახებ, ანუ სახელმწიფო გადასახადებიდან დარჩება თუ არა გარკვეული შემოსავალი ადგილობრივ თვითმმართველობებში. აღნიშნული კოდექსის 154-ე მუხლი ავალდებულებდა მთავრობას, 2014 წლის 1 სექტემბრამდე საქართველოს პარლამენტში განსახილველად წარედგინა „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ კანონ-პროექტი, ამ ცვლილებებით უნდა განსაზღვრულიყო სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის საშემოსავლო გადასახადის განაწილების პროპორცია და მექანიზმი. ამ დროისათვის აღნიშნული მიმართულებით რაიმე სახის სიახლე არ შეინიშნება, ცნობილია, რომ ეს საკითხი მომავალი წლისათვის გადაიდო. უნდა ვიფარაუდოთ, რომ კანონმდებელი ამ საკითხს „საბიუჯეტო კოდექსში“ შესატანი ცვლილებების დროს გაითვალისწინებს. აქვე საჭიროა აღინიშნოს, რომ, იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო გადასახადებიდან, განსაკუთრებით საშემოსავლო და მოგების გადასახადებიდან ადგილობრივ თვითმმართველობებში კვლავ არ დარჩა განსაზღვრული ანარიცხები (თუნდაც 20-50%), მაშინ ადგილი ექნება არსებული მმართველობის კიდევ უფრო ცენტრალიზებას, რაც ადგილობრივი თვითმმართველობების საბიუჯეტო დამოუკიდებლობაზე ნეგატიურად აისახება.

აქვე აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 165-ე მუხლით საქართველოს მთავრობა ვალდებულია, მიიღოს ასევე გარკვეული სახის ადმინისტრაციული აქტები მუნიციპალიტეტების ნორმალურად ფუნქციონირებასთან დაკავშირებით.

კიდევ უფრო რთულად დგას საკითხი მუნიციპალიტეტების ქონების ფორმირებისას. კანონის პროექტით ფაქტობრივად არ არის განსაზღვრული თვითმმართველობებზე გადასაცემა ქონების შესახებ, რაც კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის თვითმმართველობების მუშაობას და აძლიერებს ცენტრალიზებას. კანონის 107-ე მუხლში აღნიშნულია, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებას წარმოადგენს:

ა) ადგილობრივი მნიშვნელობის გზები და მათი შემადგენელი ნაწილები, ქუჩები, მიწისქვეშა და მიწის-ზედა გადასასვლელი, ტროტუარები, შუქნიშნები, გარე განათების კონსტრუქციები, მოედნები, სკვერები, ბულვარები, შადრევნები, პარკები, მწვანე ნარგავები და ნაპირგასამაგრი ნაგებობები.

ბ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, გარდა:

ბ.ა) კერძო საკუთრებაში არსებული, სახელმწიფო ქონებაზე დამაგრებული მიწისა;

ბ.ბ) სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებულ ქონებაზე დამაგრებული მიწებისა;

ბ.გ) მიწებისა, რომლებიც ექვემდებარება დასახელებული კატეგორიის ქონებაზე (სახელმწიფო ქონება და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებული საზოგადოების ქონება) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამაგრებას;

გ) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ობიექტებზე, მათ შორის ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ობიექტებზე დამაგრებული მიწა;

დ) ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის და წყლის რესურსები;

ე) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, გარდა:

ე.ა) კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებისა, მათ შორის საძოვრებისა (აქ ცოტა გაურკვეველობაა, მიწა ან კერძოა, ან სახელმწიფო საკუთრებაშია, აქედან აღნიშნული კანონის პროექტით არც ერთი არ წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებას, მაშინ საინტერესოა, რომელი მიწები ეძლევა ადგილობრივ თვითმმართველობებს);

ე.ბ) პირუტყვის გადასარეკი ტრასებისა;

ე.გ) 500 მეტრზე ნაკლები სიღრმის არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა;

ე.დ) დაცული ტერიტორიების მიწისა;

ე.ე) სახელმწიფო ტყის ფონდის მიწისა;

ე.ზ) საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემული მიწისა;

ე.თ) წყლის ფონდის მიწისა.

როგორც ჩანს, თვითმმართველობების საკუთრებაში არსებული ქონების ჩამონათვალი მეტად მწირია და ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობების წინაშე არსებული ვალდებულებების შესრულებას. აღნიშნული კუთხით კანონში მნიშვნელოვანი ცვლილებებია შესატანი, რათა დაცულ იქნეს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის მოთხოვნები, სადაც პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებს უნდა გააჩნდეთ საკუთარი ქონება და ფინანსები.

აქვე საჭიროა აღვნიშნოთ იმის შესახებ, თუ რა სტრატეგიული გეგმები ჰქონდა მიღებული მთავრობას ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების მიმართულებით. 2010 წლის 25 ივნისის №172 დადგენილებით, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული, საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიით განსაზღვრული იყო:

ა) ადგილობრივი და რეგიონული სტატისტიკის განვითარება;

ბ) სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარება;

გ) ადგილობრივი მოსახლეობისათვის მომსახურების ეფექტიანად გაწევის უზრუნველსაყოფად თვითმმართველ ერთეულებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების ხელშეწყობა;

დ) რეგიონული განვითარების სამართლებრივი უზრუნველყოფა;

ე) რეგიონული განვითარების რეფორმის პროცესში მონაწილე სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციების განსაზღვრა;

ვ) ეფექტიანი რეგიონული მართვის უზრუნველყოფისათვის ახალი ინსტიტუციების შექმნა;

ზ) მოქალაქეთა თანამონაწილეობის ხელშეწყობა „მოქალაქეებზე ორიენტირებულ“ ეფექტიანი რეგიონული მართვის უზრუნველსაყოფად;

თ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა;

ი) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების დამოუკიდებლობის ხელშეწყობა და ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის უფლებამოსილებების მკაფიო გამოჯვანა;

კ) ადამიანური რესურსების მომზადება მდგრადი რეგიონული განვითარების უზრუნველსაყოფად;

ლ) საჯარო მოსამსახურეების შეფასების და ანაზღაურების ერთიანი სისტემის შემუშავება და დანერგვა;

მ) ელექტრონული მმართველობის (ე-ოვერნანს) პლატფორმის შემცველი კომპონენტებისა და სერვისების დანერგვა ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.

აღნიშნული სტრატეგიით განისაზღვრა ასევე გასატარებელი ღონისძიებები მუნიციპალური მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების, ინოვაციების, ახალი ტექნოლოგიებისა და მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის, სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარების, გარემოს დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

2012 წელს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა ახალი სამთავრობო პროგრამა „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“, რითაც განისაზღვრა 2013-2016 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები. აღნიშნულ სამთავრობო პროგრამაში ერთ-ერთ პუნქტად გამოიყო ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობისა და თვითმმართველობის საკითხი. დაიგეგმა, რომ თვითმმართველ ორგანოებს გადაეცემა შესაბამისი საკუთარი (ექსკლუზიური) უფლებამოსილება, ფინანსები და საკუთრება. მნიშვნელოვნად გაიზარდა თვითმმართველობების საბიუჯეტო შემოსავლები, თვითმმართველ ერთეულებს საკუთრებაში გადაეცემათ ადგილობრივი მნიშვნელობის სახელმწიფო ქონება, მათ შორის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული არაპრივატიზებული როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსების დიდი ნაწილი. თვითმმართველ თემებში შემავალ სოფლებს ეყოლებათ არა დანიშნული, არამედ მათ მიერ არჩეული მამასახლისები. ჩამოყალიბდება თვითმმართველობის მოხელეთა სწავლების ქმედითი სისტემა, უზრუნველყოფილი იქნება მოხელეთა უწყვეტი მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, საქართველოს მაღალმოთხანი ზონის განვითარებისათვის ამოქმედდება ფინანსური სტიმულირების სისტემა.

აღნიშნულ სამთავრობო პროგრამაში 2013 წელს შევიდა უმნიშვნელო ცვლილებები. ამ ეტაპისათვის ფაქტობრივად გაურკვეველია ჩამოთვლილი საკითხებიდან რისი შესრულება შეძლო მთავრობამ თვითმმართველობების განვითარების მიმართულებით, გამომდინარე იქიდან, რომ სამთავრობო პროგრამა 2016 წლის ბოლოს მთავრდება, საკითხი კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს. საჭიროა ამ მიმართულებით მთავრობის მნიშვნელოვანი გააქტიურება.

ჩემი აზრით, ამ ეტაპზე რეგიონის და თვითმმართველობების დონეზე საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1) თვითმმართველობების საშემოსავლო ბაზის გაძლიერების მიზნით, კანონით მკაცრად უნდა განისაზღვროს სახელმწიფო გადასახადებიდან (ამ ეტაპისათვის მოგების და საშემოსავლო გადასახადებიდან) ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებში ჩასარიცხი პროცენტული ანარიცხების ოდენობები;

2) კანონით მკაცრად განისაზღვროს იმ ქონების (მათ შორის სასოფლო და არასასოფლო მიწა) ჩამონათვალი, რომელიც გადაეცემა ადგილობრივ თვითმმართველობებს;

3) მკაცრად გაიმიჯნოს გამგეობისა და საკრებულოს ფუნქციები. ამ ეტაპზე საჭიროა გადაიხედოს მუნიციპალიტეტებში საკრებულოს წევრების რაოდენობა. რადგან, როგორც დაკვირვებები გვინფორმებს, ხშირად ხელოვნურად არის გაზრდილი მუნიციპალიტეტების საკრებულოების წევრების, საკრებულოს კომისიების, ფრაქციების რაოდენობა, რაც პარალელურად იწვევს შესაბამისი საბიუჯეტო თანხების ზედმეტად ხარჯვას;

4) მინიმუმამდე უნდა შემცირდეს სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის უფლებები, რადგანაც ხშირ შემთხვევაში მათი საქმიანობა არანაირად არ უწყობს ხელს რეგიონების და მათ შორის თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ხშირ შემთხვევაში დანიშნული რწმუნებულ-გუბერნატორები თვითმმართველობებში არჩეული გამგებლების და საკრებულოების თავმჯდომარეების უფროსებადაც კი გვევლინებიან, რაც კიდევ ერთხელ უსვამს სახს იმას, რომ დანიშნულ პიროვნებებს უფრო მეტი უფლებები აქვთ ვიდრე მოსახლეობის მიერ პირდაპირი წესით არჩეულ პიროვნებებს;

5) ყველა კანონის ძირითადი მიზანი უნდა იყოს ადგილობრივი შრომითი, ბუნებრივი და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტიანად და ყაირათიანად გამოყენების უზრუნველყოფა. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილობრივ თვითმმართველობებში დასაქმებული არიან კომპეტენტური, კეთილსინდისიერი და საქმის ერთგული პიროვნებები. აღნიშნული მიმართულებით ჩვენს ადგილობრივ თვითმმართველობებში მდგომარეობა არასახარბიელოა და სწრაფ საკანონმდებლო ცვლილებებს საჭიროებს;

6) 2014 წლიდან (როგორც წინა წლებში იყო) ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტების ძირითადი შემოსავალი კვლავ ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერებია. გამომდინარე აქედან, ადგილობრივი თვითმმართველობები კვლავ ცენტრზე დამოკიდებული იქნებიან. ასეთი არასტაბილური ბიუჯეტების დროს ფაქტობრივად აზრს კარგავს თვითმმართველობების დამოუკიდებლობა;

7) საჭიროა მთავრობამ შეიმუშაოს თვითმმართველობებში პიროვნებების თანამდებობებზე (განსაკუთრებით მაღალ თანამდებობებზე) დანიშვნის კრიტერიუმები, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება თვითმმართველობებიდან პროფესიონალი კადრების გადინება, რაც საბოლოოდ თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე ნეგატიურად აისახება;

8) ამ ეტაპზე, ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებისთვის, პირველ რიგში, საჭიროა განხორციელდეს ცვლილება თვითმმართველობის მოქმედ კანონში, რათა მნიშვნელოვნად გაიმიჯნოს ცენტრისა და თვითმმართველობების კომპეტენციები, ასევე დასახვეწია თვითმმართველობებისათვის გადასარიცხი ტრანსფერის გამოსაანგარიშებელი ფორმულა, რათა თვითმმართველობებმა მიიღონ ტრანსფერის ის ოდენობა, რომელიც მათ ეკუთვნის;

9) დასახვეწია კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“. კანონით შედავათები უნდა დაუწესდეთ იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც კაპიტალს განათავსებენ მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე, აღნიშნული მიდგომა მათთვის ერთგვარი სტიმული იქნება;

10) აუცილებელია, საკანონმდებლო დონეზე მოხდეს ადგილობრივი თვითმმართველობების კომპეტენციების გაზრდა მოსახლეობის დასაქმების და სამუშაო ადგილების შექმნის მიმართულებით. საჭიროა ადგილობრივი გადასაზღვრების ცენტრების და პროფესიული სასწავლებლების შექმნა, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ადგილობრივი მოქალაქეების დასაქმება და დასაქმებული პირების სისტემატური გადამზადება;

11) მუნიციპალიტეტებში, სტატისტიკური ინფორმაციის მოძიების სრულყოფის მიზნით, საჭიროა შეიქმნას ადგილობრივი სტატისტიკური სამსახურები, რადგანაც ამ ეტაპისათვის მუნიციპალიტეტები ვერ ფლობენ ინფორმაციას მათ სამოქმედო ტერიტორიაზე მოქმედი საწარმოების და მათ ბალანსზე რიცხული ქონების შესახებ, მაშინ, როდესაც ამ საწარმოების ბალანსზე რიცხული ქონება წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტების ქონების გადასახადის ძირითად წყაროს;

12) მუნიციპალიტეტებში დასაქმებული პირები ანაზღაურებას უნდა იღებენ დამსახურებისა და ნამსახურები წლების, გამოცდილებისა და შესაბამისი უნარ-ჩვევების მიხედვით. აღნიშნული მიდგომების უგულვებელყოფა ხელს შეუწყობს ადგილობრივ თვითმმართველობებში არაპროფესიონალი კადრების შემოდინებას.

მჯერა და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ცენტრალური მთავრობის მიერ სწორედ ისეთი კანონები იქნება მიღებული, რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ადგილობრივი თვითმმართველობების დამოუკიდებლობის ზრდას, რაც, საბოლოოდ, თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საწინდარი გახდება.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.
2. „საბიუჯეტო კოდექსი“.
3. „საგადასახადო კოდექსი“.
4. საქართველოს მთავრობის რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგია.
5. საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2013-2016 წლებისათვის (გადამუშავებული ვარიანტი).
6. ჭიჭინაძე ბ., „რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიული პრიორიტეტები“. ივჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გაერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. თბილისი, 6-7 აპრილი, 2012 წ. კონფერენცია თემაზე: ცელობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები“. გვ.134-140.
7. Уваров В. Н. Учебник- „Государственная служба и управление“, Петропавловск, 2004 г, ст. 41-43.
8. Чичинадзе Б., „К вопросу регулирования экономического развития местного самоуправления в Грузии“. Международная научно-практическая конференция, „Проблемы и перспективы развития местного самоуправления в странах СНГ и Европы“ Сборник научных трудов. Москва, РУДН, 2013, ст. 77-78.

*Boris Chichinadze*

### THE DEVELOPMENT PROBLEMS OF SELF-GOVERNMENT INSTITUTIONS IN GEORGIA AND FUTURE PERSPECTIVES Annotation

Despite of the reforms passed during the last 20 years in Georgia additional reforms are needed for the future development of self-government institutions. The government has a lot to do to solve social-economical problems and improve situation in this regard.



**მეფრინველეობის ბიზნესის მდგომარეობა საქართველოში**

მსოფლიოში მიმდინარე თანამედროვე ცვლილებები, გლობალიზაციის ინტენსიური პროცესი, ქვეყნების ეკონომიკური განვითარების თავისებურებების ტრანსფორმაცია, უსაფრთხოების საკითხის წინა პლანზე წამოწევა, ინტეგრაციული პროცესების გააქტიურება და ა. შ., თავის მოთხოვნებს უყენებს როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს. გამოწვევის არც საქართველოა, რომელიც გარდამავალი ეკონომიკური და პოლიტიკური რეალობის ჩარჩოებშია მოქცეული.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების თანამედროვე დონე არადამაკმაყოფილებელია. მეტიც, მთელ რიგ სფეროებში მწვავე კრიზისული სიტუაციაა შექმნილი. პირველ რიგში, ეს ეხება სოფლის მეურნეობას. FAO-ს მონაცემებით, 2003-2009 წლებში საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე აგრარული პროდუქციის წარმოების ინდექსი შემცირდა 29%-ით [1], რაც ყველაზე უარესი მაჩვენებელია ამ პერიოდის პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიხედვით. ეს პროცესი ასე გამოიყურება: ის გაიზარდა თურქმენეთში (10%-ით), ტაჯიკეთში (24%-ით), უზბეკეთში (25%-ით), ლიტვაში (47%-ით), ლატვიაში (46%-ით), მოლდოვაში (16%-ით), ბელორუსიაში (68%-ით), უკრაინაში (32%-ით) და რუსეთში (36%-ით). სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ინდექსის შემცირება პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან მოხდა მხოლოდ საქართველოში (29%-ით) და ყირგიზეთში (11%-ით) [2, გვ. 12]. ასეთ დროს, ახლო წარსულში საქართველოს აგრარული სექტორი იძლეოდა ქვეყნის მთლიანი ეროვნული პროდუქტის 52-55%-ს. აქ თავმოყრილი იყო ძირითადი საწარმოო ფონდების 48%, დასაქმებული იყო მატერიალურ წარმოებაში დასაქმებულ მუშაკთა 52% და, რაც ყველაზე მთავარია, ეს დარგი აკმაყოფილებდა ქვეყნის სასურსათო მოთხოვნილებების თითქმის მთელ მოცულობას [3, გვ. 155]. ამჟამად კი საქართველოს სოფლის მეურნეობა ქმნის მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 9%-ს, მასში დასაქმებულია ქვეყანაში დასაქმებულთა 50%, შედეგი კი არის სიღარიბე [4, გვ. 24]. საქართველო სურსათზე მოთხოვნილების უდიდეს ნაწილს იმპორტის ხარჯზე (80%) იკმაყოფილებს. ამიტომ, საჭიროა, ისეთი გარდაქმნების განხორციელება, რომ ქვეყანამ პირველ ეტაპზე თვითონ დაიკმაყოფილოს თავისი სასურსათო მოთხოვნილებები, ხოლო მეორე ეტაპზე – მაღალი ხარისხის ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქცია ექსპორტის საგნად აქციოს. ეს ქვეყნის ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზე და მის მიერ განხორციელებულ რეფორმებზეა დამოკიდებული.

სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ქვედარგია მეფრინველეობა. ფრინველის ხორცი და კვერცხი მოსახლეობის პირველადი მოხმარების პროდუქტებია (პურთან, ბოსტნეულთან, საქონლის, ღორის, ცხვრის ხორცთან, რძე და რძის პროდუქტებთან და ხილთან ერთად). მისი მოხმარების ზრდა ან შემცირება მიუთითებს:

- ან ამ პროდუქტების დეფიციტზე;
- ან მათ მაღალ ფასებზე;
- ან მოსახლეობის საგანგაშოდ დაბალ შემოსავალზე.

1990 წლიდან 2006 წლის ჩათვლით, საქართველოში კატასტროფულად მცირდებოდა როგორც კვერცხის წარმოება (შემცირდა 67,7%-ით), ისე ფრინველის რაოდენობა (შემცირდა 75,3%-ით). მატება ფაქტობრივად დაიწყო 2007 წლიდან და თუ ბაზად 2006 წელს მივიღებთ, დაინახავთ (იხ. ცხრ. 1), რომ 2006-2013 წლებში კვერცხის წარმოება საქართველოში მთელი 99%-ით არის მომატებული. ფრინველისა კი – 26%-ით. კვერცხის წარმოება ყველა რეგიონს გაუზრდია, განსაკუთრებით კი შიდა ქართლს (2,4-ჯერ) და ქვემო ქართლს (2,3-ჯერ). ის გაზრდილია მეფრინველეობის ფაბრიკებში, ხოლო შინამეურნეობებში ზრდა დაფიქსირდა მხოლოდ ფრინველზე. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ კვერცხის ექსპორტორი ქვეყანა არ ვართ (პირიქით, ვაწარმოებთ მის იმპორტს), ეს იმას ნიშნავს, რომ წარმოებული კვერცხი მთლიანად მოიხმარა საქართველოს მოსახლეობამ. რაც შეეხება კვერცხის იმპორტს საქართველოში, ინფორმაციას მის შესახებ ამ ბოლო წლებში სტატისტიკის დეპარტამენტი აღარ აქვეყნებს.

**ცხრილი 1**

**კვერცხისა და ფრინველის წარმოება საქართველოში შინამეურნეობებისა და მეფრინველეობის ფაბრიკების მიხედვით 1990-2012 წლებში [5, გვ. 162-163]**

	1990	1998	2000	2004	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	დინამიკა 2013 წ. %-ად			
													1990	2006	2012	
<b>სულ წარმოება:</b>																
• კვერცხი, მლნ ცალი	769,2	380,4	361,4	496,6	249,2	438,1	437,5	430,6	444,5	483,1	474	495,3	64,3	199,0	14,4	
• ფრინველი, მლნ ფრთა	21,8	8,2	7,8	9,8	5,4	6,1	6,7	6,7	6,5	6,4	6,2	6,8	31,2	126	109,6	
<b>მათ შორის: მეფრინველეობის ფაბრიკებში:</b>																
• ფრინველი, მლნ ფრთა	10,9	0,1	0,1	0,8	1,4	1,3	1,6	1,4	1,7	1,8	1,7	1,9	17,4	136	111,7	
• კვერცხი, მლნ ცალი	505,8	3,4	4,2	95	34,4	250,2	261,2	242,9	250,3	307,9	289,1	313,0	61,8	909,8	108,3	

ოჯახურ მეურნეობებში:																
• ფრინველი, მლნ ფრთა	10,9	8,1	7,7	9,0	3,0	4,8	5,1	5,3	4,8	4,6	4,5	4,9	44,9	163	109	
• კვერცხი, მლნ ცალი	263,4	377	357,2	401,6	214,8	187,9	176,3	187,7	194,2	181,2	184,9	182,3	69,2	84,1	98,9	

ჩვენი ვარაუდით, ქართულ ბაზარზე 2013 წელს გამოვიდოდა 495,3 მლნ ცალი ადგილობრივი და დაახლოებით 15 მლნ ცალი იმპორტირებული კვერცხი, ანუ სულ 510,3 მლნ ცალი. თუ ჩავთვლით, რომ მისი სრული რეალიზაცია მოხდა, მაშინ ერთ სულ მოსახლეზე კვერცხის მოხმარება ტოლი იქნებოდა 2006 წელს 62 ცალის, 2007 წელს 103 ცალის, 2012 წელს 109 ცალის, ხოლო 2013 წელს – 114 ცალის (ცხრ. 2).

**ცხრილი 2**

**კვერცხის სულადობრივი მოხმარება საქართველოში**

	სულ კვერცხების რაოდენობა (მლნ ცალი)	მათ შორის		მოსახლეობის რიცხვი, ათ. კაცი	კვერცხის მოხმარება ერთ მცხოვრებზე ანგარიშით (ცალი)
		ადგილობრივი	იმპორტი		
2006 წელს	273,7	249,2	24,5	4401,3	62
2007 წელს	456,0	438,1	17,9	4397,4	103
2012 წელს	489	474,0	15	4497,6	109
2013 წელს	510,3	495,3	15	4483,5	114

ცხრილი 2 გვჩვენებს, რომ საქართველოში კვერცხის მოხმარება 2006-2013 წლებში 47 ცალით გაზრდილა. კვერცხის სულადობრივი მოხმარება უფრო მაღალი ყოფილა წინა წლებში, კერძოდ, 1990 წელს იგი 140 ცალს შეადგენდა, შემდეგ წლებში კი სისტემატურად მცირდებოდა და თუ 2013 წლის მოხმარებას 1990 წლის სულადობრივ მოხმარებას შევადარებთ, დავინახავთ, რომ იგი მის 81,4% შეადგენს მხოლოდ.

იმავეს გვეუბნება კვერცხის ფაქტობრივი სულადობრივი მოხმარების შედარება მისი მოხმარების ბილოგიურ (სამედიცინო) ნორმებთან.

ერთ სულ მცხოვრებზე კვერცხისთვის ნორმა შეადგენდა 298 ცალს, ხოლო ფრინველის ხორცისთვის – 16,5 კილოგრამს. კვერცხის ფაქტობრივი მოხმარების შედარებამ ნორმებთან გვჩვენა, რომ ამ მხრივ არათუ მიმდინარე წლებში, არამედ 1990 წელსაც კი, რომელიც შესადარებელ წლად ავიღეთ, და, რომელ წელსაც კვერცხის მაღალი სულადობრივი მოხმარება დაფიქსირდა, იგი ნორმის ტოლი მაინც არ იყო. 1990 წელს ის შეადგენდა ნორმის 47%-ს, 2000 წელს 41%-ს, 2006 წელს 21%-ს და 2013 წელს 38%-ს. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს მოსახლეობა გამოკვლეული პერიოდის არც ერთ წელს არ იღებდა საკვებად მათთვის ბიოლოგიურად საჭირო კვერცხის რაოდენობას. 1990 წელს ერთი ადამიანის წლიური კვების რაციონს აკლდებოდა 158 კვერცხი, ხოლო 2013 წელს კი – 184 ცალი.

იგივე მდგომარეობაა ფრინველის ხორცის მიმართულებითაც. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი აქვეყნებს ინფორმაციას არა ფრინველის ხორცის წარმოებაზე, არამედ ფრინველის სულადობაზე. მისი მთლიანი რაოდენობა 2013 წელს 6,8 მლნ ფრთას შეადგენდა, ანუ 1,4 მლნ ფრთით მეტს 2006 წელთან შედარებით. ფრინველის 72% ოჯახურ მეურნეობებს ჰყავთ მოშენებული, დანარჩენი კი ფერმერულ მეურნეობებს.

დასაკლავი და ბაზარზე გასატანი ფრინველის (ძირითადად ქათმის) საშუალო წონიდან (0,9 კგ) გამომდინარე, ჩვენ ვიანგარიშეთ ფრინველის ხორცის საერთო წონა და გამოვთვალეთ დინამიკაც (ცხრ. 3). აღმოჩნდა, რომ საქართველოში 2006-2013 წლებში ერთ სულ მცხოვრებზე გაანგარიშებით წელიწადში საშუალოდ 2,5-2,7 კგ ფრინველის ხორცი იწარმოებოდა. ეს მაშინ, როცა მისი წლიური მოხმარების მინიმალური საერთაშორისო ნორმა არის 16,5 კილოგრამი.

ფრინველის ხორცი, ისე, როგორც მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ხორცის დიდი რაოდენობა, საქართველოში საზღვაგარეთიდან შემოდის. ინფორმაცია ფრინველის ხორცის იმპორტზე საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ ცალკე არ ქვეყნდება. იგი ერთ პოზიციად – ხორცი და კვების პროდუქტები, შინაური ფრინველი ახალი, "შეყინული" – განიხილება. მისი 50% შემოდის აშშ-დან, 20% – ბრაზილიდან.

**ცხრილი 3**

**ფრინველის ხორცის წარმოება საქართველოში**

		2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
1	ფრინველის სულადობა მლნ ფრთა	5,4	6,1	6,7	6,7	6,5	6,4	6,2	6,8
2	ფრინველის ხორცის წარმოება, ათასი ტონა	11	12	13	12	12	12,5	12,3	12,7
3	მოსახლეობის რაოდენობა ქვეყანაში (ათ კაცი)	4401,3	4394,7	4382,4	4385,4	4436,4	4469,2	4497,6	4483,5
4	ერთ მცხოვრებზე წარმოებული ფრინველის ხორცი, კგ	2,5	2,7	2,9	2,7	2,7	2,8	2,7	2,8

იმპორტირებული ხორცის და ხორცპროდუქტების საერთო რაოდენობიდან, ჩვენი აზრით, 70% ფრინველის ხორცი და მისი სუბპროდუქტების იქნება. ამას იმით ვასაბუთებთ, რომ საქართველოში მოსახლეობის 70% უკიდურესად ღარიბია და მათ საქონლის ხორცზე, როგორც ძვირადღირებულ პროდუქტზე, ხელი არ მი-

უწევდათ. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ საქართველოში დაახლოებით ამდენი იყოს მოთხოვნა ფრინველის ხორცზე.

დავეყრდნით რა ამ ვარაუდს, და ფრინველის ერთი ტონის საშუალო ფასს (1107 დოლარი), ხორცის საერთო იმპორტიდან ვიანგარიშეთ (70%-ის ვარაუდით) ფრინველის ხორცის იმპორტის მოცულობა საქართველოში. მან შეადგინა: 2006 წელს 61851 ტონა, 2007 წელს 66783,3 ტონა, 2008 წელს 70126,5 ტონა, 2009 წელს 792198 ტონა, 2010 წელს 90027 ტონა, 2011 წელს 118991 ტონა, 2012 წელს 137622 ტონა, 2013 წელს 146033 ტონა.

როგორც ადგილობრივი, ისე იმპორტირებული ფრინველის ხორცის სულადობრივი მოხმარების დაჯამებით, ჩვენ ვიანგარიშეთ ფრინველის ხორცის სულადობრივი მოხმარება საქართველოში და შევედარეთ იგი საერთაშორისო ნორმას (ცხვ. 4).

**ცხრილი 4**

**ფრინველის ხორცის სულადობრივი მოხმარება და მისი შედარება მინიმალურ საერთაშორისო ნორმასთან**

№		2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2013 წ. %-ად 2006 წელთან
1	ადგილობრივი წარმოების ფრინველის ხორცის მოხმარება (კგ)	2,5	2,7	2,9	2,7	2,7	2,8	2,7	2,8	112
2	იმპორტირებული ფრინველის ხორცის მოხმარება (კგ)	14	15,2	16,	16,7	20,2	26,6	30,6	32,6	232,8
3	სულ ფაქტობრივი სულადობრივი მოხმარება (1+2), (კგ)	16,5	17,9	18,9	19,4	22,9	29,4	33,3	35,4	212,0
4	ფრინველის ხორცის სულადობრივი მოხმარების საერთაშორისო ნორმა	16,5	16,5	16,5	16,5	16,5	16,5	16,5	16,5	-
5	გადახრა ნორმიდან (3-4)	0	+1,4	+2,4	+2,9	+6,4	+12,9	+16,8	18,9	-

როგორც ცხრილიდან ჩანს, საქართველოს მოსახლეობა მინიმალურ ნორმასთან შედარებით გაცილებით მეტ ფრინველის ხორცს და მის სუბპროდუქტებს მოიხმარს. თანაც, 2006-2013 წლის პერიოდში მისი კიდევ უფრო ზრდის ტენდენცია აშკარად იკვეთება. თუ 2006 წელში ერთი ადამიანი მოიხმარდა 16,5 კგ-ს, 2013 წელს უკვე მოიხმარს 35,4 კგ-ს.

ამრიგად, გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ საქართველოში ფრინველის ხორცის სულადობრივი მოხმარება მინიმალურ ნორმაზე მეტია. თანაც, იგი 2006-2013 წლის პერიოდში სისტემატურად იზრდებოდა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საქართველოს მოსახლეობა, თავისი სიღარიბის გამო, ცხოველურ ცილაზე მოთხოვნილებას მხოლოდ ფრინველის ხორციით იკმაყოფილებს (რადგან საქონლის, ღორის, ცხვრის და ა. შ. ხორცი ძალზე ძვირია), მაშინ ფრინველის ხორცის ფაქტობრივი სულადობრივი მოხმარების მოცულობები არ არის საკმარისი. მსოფლიოში ფრინველის ხორცის საშუალო სულადობრივი მოთხოვნა-მოხმარება 38,5 კგ-ია (აშშ-ში 59 კგ) და ჩვენ ვთვლით რომ, თუ მეტი არა, საქართველომ ამ ნიშნულს უნდა მიაღწიოს.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. FAO – Statistical, Yearbook, 2010.
2. კოლუაშვილი პ., ჟ. "ახალი ეკონომიკა" №4, 2011.
3. ნაცვალაძე მ., საქართველოს სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები, ჟ. „სოციალური ეკონომიკა“, №5, 2007.
4. ჟ. „საქართველოს ეკონომიკა“, 2012, №10.
5. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული, თბ., 2014.
6. Экономика промышленного птицеводства (под. ред. К. Карюкина), М., 1983.

**Manana Kharkheli**

**THE CONDITION OF POULTRY BUSINESS OF GEORGIA  
Annotation**

In the article, “the Condition of poultry business of Georgia”, is discussed how Georgian poultry developed in the years 1990-2013. Eggs and poultry meat consumption peaked in 1990.

Egg consumption per person is less than biological norm, while poultry meat consumption is nearly three times higher. This situation is caused by poverty of Georgian population, due to which they aren't able to consume other species of meat, considering their high price.

The demand on egg in Georgia is satisfied mainly by local production on the other hand Georgian production of poultry meat satisfies only 8 percent of its demand.

ანალიზური ბიზნესეთიკის განმარტებისათვის

კომპანიათა ფუნქციონირების საბაზისო დონეზე, რომელიც ეხება რაციონალურ მოქმედებათა და ეთიკურ ნორმათა ურთიერთშესაბამისობის ურთულეს ასპექტებს, წარმოიშობა კონფლიქტური სიტუაციები, სადაც ამგვარი კონფლიქტების პოზიტიური გადაწყვეტის საფუძველს ექსპლიციტური ანალიზი<sup>145</sup> წარმოადგენს. ამიტომ ბიზნესეთიკის შესწავლის ცენტრალურ საგნად სავსებით შესაძლებელია, რომ სწორედ ანალიზური მიდგომა იქნეს მიზნული, რომლის არსიც ბიზნესგადაწყვეტილების მიღების დროს წარმოქმნილი მორალური პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების ძიებაში მდგომარეობს.

ბიზნესის ეთიკის ეს მნიშვნელოვანი პრობლემური სფერო იყოფა ნორმათა და გადაწყვეტილებათა კონფლიქტებად.

ნორმათა კონფლიქტის შეცნობა შესაძლებელია ეკონომიკურ მიზნებსა და ეთიკურ ნორმებს შორის არსებული დამოკიდებულების ანალიზით. ნორმათა ანალიზში კვლევის ობიექტს წარმოადგენს ის, თუ რა მოცულობასა და თანაფარდობაში იმყოფება ეკონომიკური მიზნები – ლიკვიდურობა, ერთეული თუ მულტიპერიოდულობის წარმატებები (მაგ., სეზონური მოგება, შემოსავლის ოდენობა, აქციის ღირებულება), მოთხოვნის დაკმაყოფილება და ა.შ., ისევე, როგორც აქედან ნაწარმოები ცალკეული კომპლემენტარული, კონკურენტული, ნეიტრალური ოპერაციული მიზნები ისეთ ეთიკურ ნორმებთან მიმართებაში, როგორც არის ჰუმანურობა, სამართლიანობა, თავისუფლება, პატიოსნება და სხვ.<sup>146</sup> ეს დამოკიდებულებები შეიძლება იყოს ლოგიკური და/ან ემპირიული სახის. ლოგიკური სახის დამოკიდებულებები აიხსნება დეფინირებული დასაზღვრულობითა და ტავტოლოგიური სახეცვლილებებით, ხოლო ემპირიული სახის დამოკიდებულებები ხშირად კონკრეტული გამოყენების სფეროებით არის ლიმიტირებული. ეკონომიკური გადაწყვეტილების თეორიაში მიზნობრივ ურთიერთობათა წვდომისა და ანალიზისათვის შემუშავდა და განვითარდა რიგი საშუალებები, რომლებიც, შეიძლება ნორმათა ანალიზისათვის იქნეს გამოყენებული.

საკვლევე კრიტერიუმთა შერჩევა ერთი მხრივ დამოკიდებულია ეკონომიკურ სისტემასა და მასთან ერთად ჩარჩო-წესრიგზე, ისევე, როგორც მასში დასახულ მიზნებზე, ხოლო მეორე მხრივ – საზოგადოების მორალსა და ამ მორალის ნორმათა მხედველობაში მიმდებ საზოგადოების წევრებზე. სწორედ ამიტომ აქვს ეკონომიკური სისტემის გახსნილობას, ფართო ეკონომიკურ სივრცეთა ინტეგრაციასა და გლობალიზაციას მნიშვნელოვანი გავლენა ბიზნესეთიკაში შემავალ საგნებზე. განსხვავებულ ეკონომიკურ სისტემებსა და კულტურებს შორის შესხვედრები ხსნის კვლევის ახალ სფეროებს ბიზნესეთიკისათვის. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ანალიზური ბიზნესეთიკა ეფუძნება დესკრიფციული ბიზნესეთიკის<sup>147</sup> წვდომას და მიანიშნებს მისი შეცნობის გარდაუვალ აუცილებლობაზე.

სინამდვილეში, ეკონომიკურ და ეთიკურ ნორმებს შორის კონფლიქტები თავს იჩენს კომპანიებში, უწინარესად, კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღებისას წარმოქმნილი პრობლემის დროს. ემპირული გამოცდილებები აჩვენებს, რომ კომპანიებს მსგავს მიზნობრივ კონფლიქტთა გადაჭრა მხოლოდ გარკვეული მასშტაბით ძალუძთ. ამიტომ გადაწყვეტილებათა კონფლიქტის ანალიზში ნორმათა ანალიზის გვერდით არსებობს ანალიზური ბიზნესეთიკის მეორე მნიშვნელოვანი საგანი. იგი მოიცავს გადაწყვეტილებათა პრობლემის გულდასმით დამუშავებას, მის სისტემატიზაციასა და კვლევას იქ, სადაც სახეზეა კონფლიქტები ეკონომიკურ და ეთიკურ კრიტერიუმებს შორის<sup>148</sup>. მათი ურთიერთგამიჯვნისათვის შეიძლება დაისვას კითხვა იმის შესახებ, თუ რა ზომით არსებობს ამგვარი კონფლიქტები როგორც ცალკეულ, ისე სხვადასხვა პერსონალიებსა და ინსტიტუციებს შორის. თანახმად ამისა, შესაძლებელია მოხდეს ინტრა და ინტერპერსონალური, ისევე, როგორც ინტრა – და ინტერინსტრუქციონალური გადაწყვეტილების კონფლიქტთა გამოჯგანავ<sup>149</sup>. ეთიკური ნორმების მხედველობაში მიღება და მათი მაქსიმალურად გათვალისწინება როგორც ცალკეულ პირებთან, ჯგუფებთან, ასევე კომპანიის შიდა ფუნქციონირებასა და კომპანიათაშორის ურთიერთობებთან მიმართებაში, წარმოადგენს ქმედით საშუალებას არსებული კონფლიქტების გადასაჭრელად. გარდა ამისა, გადაწყვეტილებათა კონფლიქტების ანალიზით შესაძლებელია ხდებოდეს ის, თუ რა ეფექტები აღძრავს ეთიკური კრიტერიუმების დაცვისა და მათთან გადაწყვეტილების მიღების შესაბამისობაში ყოფნის აუცილებლობას ამ მიმართულებით.

ეთიკური კრიტერიუმების გავლენის სისტემური კვლევა საწარმოო გადაწყვეტილებათა პრობლემების შესახებ ასევე ემსახურება გარკვეულ სფეროთა და თავად გადაწყვეტილებების სირთულეთა შეცნობას, სადაც მორალურ კონფლიქტებს სრულებით არ აქვს ადგილი, და თუ აქვს, მხოლოდ უმნიშვნელოდ. ეს კი გეიჩვენებს, რომ კომპანიაში მოდგაწე ნებისმიერი ადამიანი, რომელიც მორალური ქცევისათვის ფლობს გარკვეულ სათამაშო სივრცეს, არც ჩარჩო-წესრიგის და არც ბიზნეს-ეკონომიკური მიზნების პირობებით არ იზღუდება. ამიტომ ამ სფეროებში ეთიკური ნორმების საპირისპიროდ მიმართული ქცევები არის არა ეკონომიკური, არამედ ინდივიდუალური ნიშნით დეტერმინირებული. ურთიერთწინააღმდეგობრივი მიზნის კონფლიქტების გადასაჭრელად ეკონომიკურ გადაწყვეტილებათა მიღების თეორიის ფარგლებში განვითარდა ფართო მექანიზმები, მიზნის კომ-

<sup>145</sup> ექსპლიციტური ანალიზი ავალიბებს ეთიკური დისკურსის შინაარსის, შინაარსობრივად განსაზღვრულ ნორმათა გამოყენების და მორალურად არასრული ჩარჩო-წესრიგის, ანუ ზოგად რეგულაციების შევსების საფუძველს.

<sup>146</sup> I.Gäfgen, G. ökonomische Implikationen ethischer Prinzipien, in: Duwendag, D., Siebert, H. (Hrsg.): Politik und Markt. Wirtschaftspolitische Probleme der 80er Jahre, Stuttgart-New York, 1980, გვ.191-207; Schneider, D., Unternehmensethik und Gewinnprinzip in der Betriebswirtschaftslehre, in : Zeitschrift für betriebswirtschaftliche Forschung, №42, 1990, გვ. 869-891.

<sup>147</sup> დესკრიფციული ბიზნესეთიკის ამოცანას წარმოადგენს ბიზნესში არსებული ნორმებისა და ფასეულობების წვდომა და განმარტება. ის ბიზნესში სფეროებისა და მასშტაბების მიხედვით ცდილობს განსაზღვროს პერსონალზე ეთიკური ნორმებისა და მორალური ფასეულობების ქმედითობის ხარისხი, და დაადგინოს, თუ რა გავლენას ახდენს მათი მხედველობაში მიღება ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, მოქმედებებსა და პროცესებზე.

<sup>148</sup> Hansen, U., Marketing und soziale Verantwortung, in : Die Betriebswirtschaft 48., Jahrgang, Heft 6.,1988, გვ. 713.

<sup>149</sup> Kreikebaum, H., Grundlagen Der Unternehmensethik, Stuttgart, 1996, გვ. 229.

პრომისის განსხვავებული მეთოდებით დაწესებული და ინტერაქციულ პრეფერენციითა ფორმირების წესებით დამთავრებული<sup>150</sup>. ეს მეთოდები გამოიყენება კორპორაციულ ნორმათა და გადაწყვეტილებათა კონფლიქტების გადასაჭრელად, გადაწყვეტილების მიმღებ როგორც ცალკეულ პიროვნებებს, ისე ჯგუფებთან მიმართებაში. ამგვარად, კორპორაციულ კონფლიქტთა გადაჭრის მიდგომათა განვითარება განეკუთვნება ანალიზური ბიზნესეთიკის მესამე საგნობრივ სფეროს.

გადაწყვეტილებათა თეორიული გადაჭრის მიდგომები სხვადასხვა კრიტერიუმებისა და/ან პიროვნებებს შორის არსებული კონფლიქტების მიუხედავად გვინგენებს მართებულ გადაწყვეტილებათა მიგნების გზებსა და პოტენციური მექანიზმების მოქმედებათა საზღვრის დადგენის შესაძლებლობებს. აქ მთავარია ის, რომ შესაბამის გადაწყვეტილებათა პრობლემების მოსაგვარებლად არსებობდეს მოქმედებათა ალტერნატიული ფორმები. პრობლემათა გადაჭრის სხვა გზა მდგომარეობს ახალი ალტერნატივების მოძიებაში, რითაც ეკონომიკურ და ეთიკურ კრიტერიუმთა კომპლემენტარული შესრულება მიღწევადი ხდება. ამგვარი მორალური ინოვაციების სტრატეგიითა შემუშავების მექანიზმების განვითარება/ანალიზი ასევე წარმოადგენს ანალიზური ბიზნესეთიკის მნიშვნელოვან ამოცანას.

ამგვარად, დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მსგავსი ანალიზური ეთიკის მიდგომებს აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, იმდენად, რამდენადაც ისინი ნათლად გვინგენებს მათ მჭიდრო დამოკიდებულებას კონკრეტულ პრობლემებთან მიმართებაში, კერძოდ კი იმას, თუ რა მექანიზმებით, ანუ რა ინსტრუმენტებითა და მეთოდებით მიიღება კომპანიაში გადაწყვეტილებები, რომლებიც ზოგადი ეთოსის ფარგლებში მოქცეული ეთიკის საფუძვლებსა და მის ძირითად პრინციპებზე აღმოცენებულ მეცნიერულ დისკურსებს ემყარება.

*Vasil Khizanishvili*

### FOR THE DEFINITION OF ANALYTIC BUSINESS ETHICS Annotation

Analytic method of approach of business ethics refers to the aspects of the correspond of ethical norms and the company functioning rational action, finding ways of solving of conflict situations arising out of it, the basis of this represents the explicit analysis.

This important problematic sphere of business Ethics is divided to the conflicts of norms and decisions. Understanding of norms conflict is possible through the existing dependency analyses between the economic goals and ethical norms, the essence of the conflict of decisions is in the carefully processing of problem of decisions, its systematization and searching. To the solution of the conflicts of norms and decisions is developed wide mechanisms with different methods and rules. Important task of business ethics is to find new alternatives, with the direction of the problem solving, making possible to perform complementary of economic and ethical criteria.

This kind of analytical method of approach has a great practical value, because they show us their close dependence with respect to the specific problems, - by which mechanism taken the decisions in the company, based on the ethical basics existing in the general ethos area and scientific discussions established on its basic principles.

*ემზარ ჯულაყიძე*

### პერსონალის მართვის თანამედროვე მოტივატორები

კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეპოქა ცვლილებების სწრაფი ტემპით ხასიათდება. ამიტომაც, წარმატების მსურველ მენეჯერთა უმთავრესი გამოწვევაა ცვლილებების არა მარტო იდენტიფიცირება, არამედ მათზე სწორი რეაგირება. ცნობილია, რომ დღეს არსებულ აგრესიულ ბიზნეს გარემოში სულ უფრო მწვავეება კონკურენცია. საქმე ისაა, რომ თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით ნებისმიერი, თუნდაც ახლად შექმნილი, კომპანია უმაღლეს ხდება მსოფლიო ბაზრის მონაწილე. შესაბამისად, ყველა კომპანია, მიუხედავად მათი სიძლიერისა, შეიძლება განადგურების საფრთხის წინაშეც კი აღმოჩნდეს, თუ მუდმივად თვალყურს არ ადევნა კონკურენტებს და ყველა სამოქმედო პროგრამის ფორმირებისას არ გაითვალისწინა მათგან რეაგირების შედეგებიც.

მიუხედავად იმისა, კომპანია კონკურენტებთან მიმართებაში გამოიყენებს შემტევ თუ თავდაცვით სტრატეგიას, ანუ მისი ქმედება ორიენტირებული იქნება ხარჯების შემცირებაზე, ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე, სადისტრიბუციო არხების სრულყოფაზე, თუ იმის მცდელობაზე, მაქსიმალურად შეამციროს მოსალოდნელი თავდასხმის რისკი, ყველა ასეთ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მოაქვს სასურველი შედეგი, თუ არსებული სიახლე ინტეგრირებულია საწარმოო პერსონალთან.

საწარმოო პერსონალისადმი ასეთი განსაკუთრებული მიდგომა განპირობებულია იმით, რომ მზარდი კონკურენციის პირობებში, კონკურენტუნარიანობის მთავარი ფაქტორი გახდა არა მიწა, კაპიტალი და ბუნებრივი რესურსები, როგორც ამას თვლიდნენ კლასიკური ეკონომიკური თეორიის წარმომადგენლები, არამედ კარგად მოტივირებული პერსონალი. ბუნებრივია, ეს პოზიცია არ ამცირების მიწის, კაპიტალისა და ბუნებრივი რესურსების, როგორც წარმოების ფაქტორთა მნიშვნელობას. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ კონკურენტულ უპირატესობად ამ ფაქტორთა გამოყენება შეუძლებელია საწარმოო პერსონალის წარმატებული მოტივირების გარეშე.

საწარმოო პერსონალის ეფექტურ გამოყენებაზე აქცენტის გადატანას განაპირობებს ის გარემოებაც, რომ, მანქანებისა და ნედლეულისაგან განსხვავებით, ადამიანი არის პიროვნება, რომელსაც ინტელექტი და

<sup>150</sup> Küpper, H.-U., Controlling. Konzeption, Aufgaben und Instrumente, Stuttgart, 2. Auflage., 1997, გვ. 70., Laux, H., Entscheidungstheorie, Berlin, 4 Auflage., 1998, გვ.87.

ემოცია ახასიათებს, რომ ამ სახის რესურსის პროდუქტიულობას საზღვარი არ აქვს. სწორედ ამიტომ, მასშია ყველაზე დიდი რეზერვი კომპანიის ეფექტურობის ამაღლებისა და მისი კონკურენტუნარიანობის მიღწევისათვის.

პერსონალის მართვისას ყველას, და განსაკუთრებით კი მენეჯერებს, კარგად უნდა ესმოდეს, რომ ადამიანების მართვა შეუძლებელია განხორციელდეს სტანდარტული მეთოდებით და რეცეპტებით, რომ ადამიანთა მართვა ხელოვნებაა, რომელიც არა მხოლოდ მათ ფუნქციურ ვალდებულებებსა და უფლებამოსილებებს, არამედ მათ გრძნობებს, განწყობას, სულიერებას და სხვა პიროვნულ მახასიათებლებსაც უკავშირდება. სწორედ ეს თავისებურებები უნდა იქნეს გათვალისწინებული პერსონალის მოტივაციის მექანიზმის შექმნის პროცესში.

სამწუხაროა, მაგრამ დღესაც არცთუ ისე ცოტა ხელმძღვანელი ფიქრობს, რომ საწარმოო პერსონალის წარმატებული საქმიანობის მთავარი და ხშირად ერთადერთი მოტივი მატერიალური დაინტერესებაა. ბუნებრივია, თითოეული ადამიანი უნდა გრძნობდეს, რომ მის შრომას და მონდომებას სათანადოდ აფასებენ და ეს ყველაზე კარგად მისი შრომის ანაზღაურებაში გამოიხატება. თუმცა, ამ ფაქტორის ძალზე დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, განსაკუთრებით დღევანდელ ქართულ სინამდვილეში, იშვიათი როდია ისეთი შემთხვევები, როცა ადამიანი დიდი მონდომებითა და ენთუზიაზმით მუშაობს, მაშინაც კი, როცა ხელფასი სრულად ვერ აკმაყოფილებს მის მინიმალურ მოთხოვნებსაც. ასე რომ, ფული ყოველთვის და ყველაფერს არ წყვეტს და პერსონალის მოტივაცია მხოლოდ მას არ უკავშირდება.

პერსონალის მოტივაციას უზრუნველყოფს სხვა მრავალი ფაქტორიც: სამუშაოთა რაციონალური განაწილება; კარიერული პერსპექტივა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობა; მორალური წახალისების სწორი გამოყენება; იმის უფლება, რომ მიიღოს მონაწილეობა ორგანიზაციის მართვის საქმეში და გამოხატოს აზრი მის შესახებ; მართვის გამჭვირვალობა; სრულყოფილ სამუშაო გარემო; მეგობრული ატმოსფერო და ა.შ. თუმცა, ისევე, როგორც ყველა სისტემა, მოტივაციის მექანიზმიც საჭიროებს განახლებას, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს პერსონალის მოტივაციის ხანგრძლივ შენარჩუნებას და ამ მოტივაციის კომპანიის მიზნების განხორციელებისაკენ წარმართავს. ამ მიზნით, პერსონალის მართვის თანამედროვე სისტემა მოითხოვს მისი ისეთი მოტივატორებით შევსებას, როგორცაა: ხელმძღვანელისა და ხელქვეითების ურთიერთნდობა, პერსონალის გუნდურობა, მენეჯერში ლიდერული უნარ-ჩვევების განვითარება.

**მენეჯერში ლიდერული უნარ-ჩვევების განვითარება.** როგორც ცნობილია, მენეჯმენტში არსებობს ავტორიტეტის ორი ფორმა: რაციონალური და ირაციონალური. ბიზნესში რაციონალური ავტორიტეტი ლიდერის სახელითაა ცნობილი, ხოლო ირაციონალური ავტორიტეტი ბელადს უკავშირდება. კონკურენტულ უპირატესობაზე ორიენტირებული მენეჯერი მისი დაქვემდებარებული პერსონალისათვის რაციონალურ ავტორიტეტს უნდა წარმოადგენდეს, ანუ იყოს ამ ორგანიზაციის ლიდერი. სწორედ ამ შემთხვევაში შეძლებს მენეჯერი თვითგანვითარებაზე და, იმავდროულად, შედეგებზე ორიენტირებული ადამიანების შერჩევას, მათ მოტივაციას და მათგან ერთიანი გუნდის შექმნას. ირაციონალური ავტორიტეტი კი, როგორც ცნობილია, მენეჯმენტს პერსონალის დაშინებაზე აწყობს, რაც, საბოლოო ჯამში, აუცილებლად უარყოფითად აისახება კომპანიის საბოლოო შედეგებზე. ანუ მენეჯერები ყოველთვის უნდა ზრუნავდნენ, გაიუმჯობესონ თავიანთი უნარ-ჩვევები, რომელიც დაეხმარებათ დასახული მიზნების მიღწევაში, რისთვისაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ, კარგ მმართველებთან ერთად, იყვნენ კარგი ლიდერებიც.

**ნდობის ფაქტორი ხელმძღვანელსა და ხელქვეითებს შორის.** ნდობა – ეს არის პოზიტიური მოლოდინი იმისა, რომ მეორე მხარე არ იმოქმედებს საკუთარი მერკანტილური მოსაზრებებიდან გამომდინარე. შესაბამისად, პერსონალის მოტივაციის ამაღლების მიზნით, ხელმძღვანელი უნდა ეცადოს დაქვემდებარებულებთან ნდობის ამაღლებას, ვინაიდან მკაცრი ადმინისტრირება ზღუდავს ინიციატივას და ადვილებს უნდობლობას, რაც მართვაში ხელს უშლის შემოქმედებითობის განვითარებას და ხელქვეითთა მიერ დამოუკიდებელი, მართებული გადაწყვეტილებების მიღებას, ანუ უნდა ამაღლდეს ორმხრივი ნდობა – ხელმძღვანელის ხელქვეითების მიმართ და, პირიქით, რაც შეამცირებს შიშის გავლენას როგორც გადაწყვეტილებების მიღების, ასევე მისი აღსრულების პროცესშიც. ფაქტობრივად, ნდობის პრინციპის წინ წამოწევა განაპირობებს იაპონური მენეჯმენტის წარმატებას, რითაც მართვაში სრულ ერთსულოვნებას მიადევს. ბუნებრივია, ნდობა ის პროცესია, რომელიც დროში ვითარდება, ანუ ნდობის განმტკიცებისათვის საჭიროა დრო. ურთიერთობის პროცესის ინტენსივობა და მისი ხანგრძლივობა ცვლის ჩვენს დამოკიდებულებას ადამიანთან და მისადმი ნდობას. როგორც ტომ პიტერსი მომავალ მენეჯერებს მიმართავს – „ადამიანი მაშინ იმსახურებს ნდობას, როდესაც თქვენ იწყებთ მის ნდობას“ [3, გვ. 24]. ნდობის ფაქტორის იგნორირების შედეგია ის, რომ ჩვენი ორგანიზაციების შემეტსობა შეკრული გუნდის შთაბეჭდილებას არ ტოვებს. ასევეა, მაგალითად, სპორტშიც. საქმე ისაა, რომ ფეხბურთის კარგი გუნდი არ ნიშნავს მხოლოდ კარგი ფეხბურთელებისგან შემდგარ ნაკრებს. სიტყვა „გუნდი“ თავისი არსით უკვე გულისხმობს მენეჯმენტის წარმატებას. გუნდის თითოეული წევრის მიზანია, თუ რამდენად ძლიერი იქნება ის უშუალოდ გუნდში. რადგან მათი პოპულარობა და წარმატება სწორედ გუნდის წარმატებებს უკავშირდება.

**პერსონალის გუნდურობა.** სასურველი მიზნის მიღწევის პრაქტიკულ განხორციელებაში ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ეფექტური გუნდის ფორმირებას. უნდა აღინიშნოს, რომ გუნდი – ეს უფრო მეტია, ვიდრე თანამშრომელთა ერთობლიობა, რომლებიც ერთად მუშაობენ. ეს არის ერთნაირად მოტივირებული პერსონები, რომელიც მოქმედებს, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი. გუნდის ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზეც, თუ რამდენად ენდობიან, მხარს უჭერენ, პატივს სცემენ, კომფორტულად გრძნობენ ერთად თავს გუნდის წევრები. როდესაც ცნობილია მიზანი, როდესაც გარკვეულია თითოეულის როლი და სტრატეგია, მუშაობის პროცესი და პროცედურები შეთანხმებულია და გუნდი შეწყობილად მუშაობს, მაშინ მათ შორის შესანიშნავი ურთიერთობაც ყალიბდება და მიზნის მიღწევაც ადვილდება.

#### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. რამიშვილი ბ., სტრატეგიული მენეჯმენტი, თავი I. სტრატეგიული მენეჯმენტის არსი და მნიშვნე-

ლობა, თბილისი, 2013, old.press.tsu.ge/GEO/internet

2. მარკოზაშვილი ნ., ნლობა, ჟ. „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“. №1, 2007, www.sapientisat.ge/index.php?section=24

3. ტომ პიტერსი, Re-Imagine! წარმოდგინეთ! ჟ. „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“. № 6(35), 2010 წ. www.nplg.gov.ge

4. ჯულაყიძე ე., მენეჯმენტის საფუძვლები, ქუთაისი, „ხანძთა“, 2013.

*Emzar Julakidze*

**MODERN MOTIVATORS OF PERSONNEL MANAGEMENT  
Annotation**

The modern era of mankind development is characterized by rapid changes. Therefore the main challenge of managers seeking success is not only to identify but to react correctly to them. All such organized-technical measures have desired result only in case if the novelty is integrated with the personnel of the enterprise. Particularly with its motivation. Though modern methods of handling motivation requires to be complemented with such modern motivators as: trust between an employer and an employee, teamwork and the importance of developing leadership skills. In other words, when the desired aim of the personnel is known, when the role and strategy of each member is known, when the procedures are agreed, then the perfect relationship is formed between them and the aim is achieved easily.

*ემზარ ჯულაყიძე  
ელიზბარ ბარბაქაძე*

**მიზანი და მმართველობითი გადაწყვეტილების შემუშავების ალგორითმი მენეჯმენტის სისტემაში**

ორგანიზაციის მიზანი – ეს არის მენეჯერთა მცდელობა, მიიღონ გარკვეული შედეგი გარკვეულ დროში, ხოლო მმართველობითი გადაწყვეტილება – კონკრეტული მიზნის მისაღწევად არსებული მრავალი ალტერნატივიდან საუკეთესოს შერჩევაა, რომელიც მიიღება წარმოდგენილი ვარიანტების ანალიზის, პროგნოზირების, ოპტიმიზაციისა და ეკონომიკური დასაბუთების საფუძველზე. შესაბამისად, მიზნის დასახვა ნიშნავს ორგანიზაციის იმ სასურველი მდგომარეობის მკაფიო ფორმულირებას, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია მისი პროგრესის რაოდენობრივი შეფასება. ანუ მენეჯერთა ხედვა და სათანადო მმართველობითი გადაწყვეტილების წარმატება ფასდება სწორედ ისეთი მიზნებით, თუ რამდენად კონკრეტული, დროში გათვლილი და რეალურ შედეგზეა ორიენტირებული იგი.

ნათქვამია, „კარგი დასაწყისი (მიზნის ფორმირება) საქმის ნახევარიაო“. მენეჯმენტის სისტემაში მიზნების სწორად განსაზღვრის ესოდენ დიდი მნიშვნელობა დაკავშირებულია იმასთან, რომ მიზანი არის ყველა მმართველობითი გადაწყვეტილების შემუშავების საფუძველი და რომ მხოლოდ სწორად დასახული მიზანი განსაზღვრავს ორგანიზაციის ეფექტურობის ზრდას.

მიუხედავად იმისა, რომ მიზნები ყოველთვის მასტიმულირებელი უნდა იყოს, ისინი რეალობას არ უნდა იყოს მოკლებული. სწორად შერჩეული, გამომწვევი მიზანი მენეჯერებს უღვიძებს ინტერესს, გამონახონ გზები ორგანიზაციის საქმიანობის გასაუმჯობესებლად. ხოლო, თუ მიზანი არარეალურია, ბუნებრივია, შეუძლებელია მისი განხორციელება. ამასთან, დასახელებული უნდა იყოს დროის შუალედი, რომლის განმავლობაშიც უნდა მიიღწეს მიზანი. მენეჯმენტსა და ზოგადად ბიზნესში დროითი შეზღუდვები ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ამით ხაზგასმულია, რომ მიზნის განხორციელება უნდა მოხდეს დაგეგმილ პერიოდში, რითაც იქმნება იმის შეგრძობა, რომ ეს საქმე გადაუდებელია, რაც, თავის მხრივ, ქმნის დამატებით მოტივაციას მიზნის ვადაში განსახორციელებლად. ამიტომაც, მენეჯმენტის სისტემაში მიზნის შერჩევის პრობლემას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. შესაბამისად, პირველ რიგში, სწორედ აქ გეჭირდება მენეჯერთა შემოქმედებითი საქმიანობა.

მენეჯერული საქმიანობის შემოქმედებით ხასიათს პირველ რიგში მიეკუთვნება ის, რომ იგი ირჩევს როგორც ორგანიზაციის მიზანს, ასევე მისი შესრულების საშუალებებს. აღნიშნულ პრობლემაზე ყურადღებას ამახვილებს მენეჯმენტის დარგში თანამედროვეობის უდიდესი თეორეტიკოსი პიტერ დრუკერი, რომელიც აღნიშნავს, რომ “მართვა უნდა იწყებოდეს მიზნების შემუშავებით და მერე გადადიოდეს იგი ფუნქციების, ურთიერთქმედების სისტემისა და პროცესების ფორმირებაზე” [4, გვ.17].

როგორც აღინიშნა, თითოეულ მიზანს გაზომვის სათანადო კრიტერიუმი უნდა გააჩნდეს. მიზნის გაზომვა ნიშნავს, რომ მოსალოდნელ შედეგს, რომელიც დადგენილ დროში უნდა მივიღოთ, უნდა გააჩნდეს გარკვეული ღირებულება და მისი შეფასების კონკრეტული მაჩვენებლები, რომელიც განსაზღვრავს ამ ღირებულებას. ხოლო, ყველა იმ ალტერნატივას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასურველი მიზნის მისაღწევად, შეიძლება გუწოდოთ მენეჯერთა შესაძლო ქმედებები.

მარტივად, ქმედებები კი არის ორგანიზაციული რესურსების გამოყენების გზები. შესაბამისად, ვინაიდან რესურსები შეზღუდულია, ყოველი ალტერნატივა შეიძლება შევაფასოთ, ერთი მხრივ, რესურსების ხარჯვის ოდენობით, ხოლო მეორე მხრივ, მოსალოდნელი შედეგებით, რომლის საფუძველზე შესაძლებელია განისაზღვროს, თუ რომელია მათგანია უკეთესი. თუმცა, გასათვალისწინებელია ასევე მიზნის მიღწევის ალბათობაც. საქმე ისაა, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესი ყოველთვის დაკავშირებულია გაურკვეველობასთან, ანუ რისკთან.

ამასთან, როგორც რესურსების ხარჯი, ასევე მიზნის მიღწევის ალბათობა და სასურველი შედეგი პროგნოზირებადი მახასიათებლებია. შესაბამისად, საჭიროა მოვახდინოთ წარმოდგენილ პრობლემათა რანჟირება მათი აქტუალობის, მასშტაბის, ინვესტიციის მოცულობის, რისკის ხარისხისა და სხვა მიმართულებათა მიხედვით. თუ აღნიშნული შეზღუდვები სრულადაა ასახული მმართველობითი


გადაწყვეტილების შემუშავების საქმეში, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ „საქმის ნახევარი თითქმის შესრულებულია“.

ამრიგად, მმართველობითი გადაწყვეტილების სისტემის საწყისი მომენტებია: მიზნობრივი ფუნქცია (მიზანი) და გადახრები (პრობლემები). ხოლო მართვის, როგორც პროცესის, ამოცანა ისეთი მმართველობითი გადაწყვეტილების შემუშავება, რომლის საშუალებით მოხდება ამ გადახრების აცილება, რაც ფაქტობრივად ნიშნავს, მოიძებნოს ზუსტი კავშირი მართვის ობიექტის არსებულ (სიტუაციურ) მდგომარეობასა და სასურველ შედეგს (მიზანს) შორის. სხვა სიტყვებით, მართვის ამოცანაა წინააღმდეგობის ლიკვიდაცია, რომელიც წარმოიქმნება ფაქტობრივად და სასურველ მდგომარეობებს შორის. შესაბამისად, გადაწყვეტილება შეიძლება იყოს განხილული როგორც მმართველობითი შრომის პროდუქტი, ხოლო მმართველობითი გადაწყვეტილების შემუშავება – როგორც პროცესი, რომელსაც მიეყვარება ამ პროდუქტის შექმნისაკენ.

როგორც აღინიშნა, გადაწყვეტილების მიღება – ეს არის ისეთი ალტერნატივის შერჩევა, რომელიც სრულად ითვალისწინებს დასაშვებ შეზღუდვებს. ანუ ყველა იმ ალტერნატივას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს არსებული შეზღუდვების ფარგლებში, ეწოდება შესაძლო, ანუ დასაშვები ალტერნატივები. ხოლო, მათ შორის ისეთ ალტერნატივას, რომელიც აღწევს სასურველი მიზნის ექსტრემუმს, მის ყველაზე მაღალ ღირებულებას, უწოდებენ ოპტიმალურ ალტერნატივას, ანუ ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების საფუძველს.

ბუნებრივია, მმართველობითი გადაწყვეტილების ოპტიმალურობის შესაფასებლად უფრო მოსახერხებელია ის ალტერნატივები, რომლებშიც ეფექტიანობის საზომი რაოდენობრივი კრიტერიუმებია (საქონლებრუნვა, შემოსავალი, მოგება, დანაკარგები და ა.შ.), რადგან უკეთესი ხარისხი, მომხმარებელთა უკეთ დაკმაყოფილება და სხვა მსგავსი ალტერნატივების შეფასება მეტ-ნაკლებად მაინც სუბიექტურია.

როგორც აღინიშნა, მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავება ხდება როგორც გარე გარემოში მიმდინარე დინამიური პროცესის გაანალიზების, ასევე ორგანიზაციის შიდა ურთიერთდაკავშირებული პროცესის მეშვეობით, რომელიც შეიძლება შემდეგი ალგორითმის სახით წარმოვიდგინოთ (იხ. ნახ. 1).



ნახ. 1. მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესი

**მმართველობითი ამოცანის დასმა.** ბუნებრივია, გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა ჩნდება მაშინ, როდესაც წარმოიქმნება პრობლემა, ანუ მაშინ, როდესაც ორგანიზაციის მიერ მიღწეული მიმდინარე შედეგები ვერ პასუხობს დასახულ მიზნებს, ე.ი. მისი საქმიანობის ზოგიერთი ასპექტი ითხოვს გაუმჯობესებას. ამ ეტაპზე მენეჯერი ატარებს საუბრებს კონსულტანტთან, რომელიც საკმაოდ კომპეტენტურია არსებულ საკითხში. იგი შეიძლება იყოს ცნობილი მეცნიერი ან პრაქტიკოსი, ორგანიზაციის რომელიმე ფუნქციონალური რგოლის ხელმძღვანელი, ან რომელიმე წამყვანი სპეციალისტი. კონსულტანტის მოვალეობაა დაანახოს მენეჯერს წამოჭრილი პრობლემა მთლიანობაში, გამოყოს მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები და შესთავაზოს მას პრობლემის გადაჭრის საფარადო გზები. ბუნებრივია, ამავე ეტაპის მნიშვნელოვანი მომენტი ის, რომ ამ ორ მხარეს შორის დამყარდეს ურთიერთნდობის ატმოსფერო.

**ალტერნატივების ჩამოყალიბება.** ამ ეტაპზე ხდება წამოჭრილი პრობლემის გადაწყვეტის შესაძლებლობათა დადგენა, რომლის საფუძველს წარმოადგენს ორგანიზაციის შიდა და გარე გარემოს შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია. აქ უკვე უნდა გაჩნდეს საქმიანი კონტაქტები კონსულტანტს, მენეჯერსა და ამ გადაწყვეტილების შემსრულებლებს (დაქვემდებარებულ პერსონალს) შორის. ეს მეტად რთული და საპასუხისმგებლო ეტაპია. დრო, რომელიც იხარჯება ამ , არ არის დასანანი, ვინაიდან სწორედ ამ დროს ხდება პრობლემის ყველა შესაძლო ვარიანტის განსახილველად არსებული შეზღუდვების ჩარჩოში. შეზღუდვები კი უამრავია: სახელმწიფო კანონმდებლობა და ნორმატიული აქტები, კონკურენცია, ფასწარმოქმნა ნედლეულსა და მასალებზე, სატრანსპორტო ხარჯები, მატერიალური და ფინანსური რესურსები, პერსონალის კომპეტენცია, ტექნოლოგია, პროდუქციის ინოვაცია და ა.შ.

**ალტერნატივების შედარება და შეფასება.** მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების ამ ეტაპის მიხედვით ხდება ყველა შესაძლო ქმედების (არსებული ვარიანტების) შედარება და მათი შეფასება შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით. ბუნებრივია, ის ალტერნატივას უკეთესი, რომელიც ყველაზე მეტად ისწრაფვის, მიიღოს საუკეთესო შეფასებები. თუმცა, არსებული შეზღუდვების პირობებში ყოველთვის არ არის იმის



შესაძლებლობა, რომ შევირიხოთ ყველაზე საუკეთესო. ამიტომ, ამ ეტაპზე საჭიროა, რომ მოხდეს ალტერნატივათა გარკვეული რანჟირება ორგანიზაციის სუსტი და ძლიერი მხარეების მკაფიო გათვალისწინებით.

**არჩევანი.** ეს იგივეა, რაც იმ ალტერნატივის არჩევა, რომელიც, ერთი მხრივ, ორგანიზაციის მენეჯმენტს საშუალებას აძლევს, მიადწიოს სასურველ შედეგს და, მეორე მხრივ, ის ყველაზე მეტად შეესაბამება ორგანიზაციის ფასეულობებს, რესურსების უმცირესი მოცულობის გამოყენების პირობებში უკეთესი შედეგების მიღწევას.

**გადაწყვეტილების დანერგვა.** ანუ შერჩეული მმართველობითი გადაწყვეტილების გადატანა აბსტრაქტული დასკვნების სივრციდან რეალურ სიბრტყეში. მის უზრუნველსაყოფად, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, მენეჯერებს ჰქონდეთ ადმინისტრირების ნიჭი, დაქვემდებარებულთა დარწმუნების უნარი. მისი წარმატება განისაზღვრება იმით, შეძლებს თუ არა მენეჯმენტი თეორიული იდეები პრაქტიკულ ქმედებად გარდაქმნას. შეიძლება ითქვას, რომ მმართველობითი გადაწყვეტილებების ეს ეტაპი არის ყველაზე რთული და მისი ალგორითმის ყველაზე შრომატევადი ნაწილი. აქ სირთულე გამოიხატება იმაში, რომ გადაწყვეტილების დანერგვა დამოკიდებულია არა მხოლოდ მასზე, როგორც მენეჯერზე, არამედ ორგანიზაციის მთელ პერსონალზე, მათ უნარზე, მიიღოს სასურველი შედეგი. ამასთან, თუ მოხდა, რომ ვერ ხერხდება შერჩეული მმართველობითი გადაწყვეტილების პრაქტიკული რეალიზაცია, საჭიროა ხელმეორედ დაუბრუნდეთ ალტერნატივების ჩამოყალიბების ეტაპს, რომ გამოიძებნოს ის რეალური გზა, რომლის განხორციელებასაც ნამდვილად შეძლებს ორგანიზაცია.

**გადაწყვეტილების თანმიმდევრულობის მხარდაჭერა და კონტროლი.** გადაწყვეტილების მიმდინარეობის პროცესის ანალიზი და კონტროლი გვარწმუნებს იმაში, რომ მიღებული გადაწყვეტილება მართლაც შედეგიანი იქნება და ის უზრუნველყოფს იმ მმართველობითი ამოცანის სრულ რეალიზაციას, საიდანაც დაიწყო გადაწყვეტილების მიღების პროცესი. მმართველობითი გადაწყვეტილების თანმიმდევრულობის მხარდაჭერისა და კონტროლის სისტემები არის თვალყურის დევნებისა და უკუკავშირის ის სისტემები, რომლებიც ამარაგებენ მენეჯერს ინფორმაციით ორგანიზაციის მიმდინარე საქმიანობისა და მაკორექტირებელი მოქმედებების აუცილებლობის შესახებ. ამრიგად, გადაწყვეტილების მხარდაჭერა და კონტროლი გულისხმობს, სისტემატიურად შემოწმდეს სწორად მიმდინარეობს თუ არა შემუშავებული მმართველობითი გადაწყვეტილების სრული რეალიზაცია. ანუ დასახული მიზნები მიღწეული იქნება თუ არა დათქმულ დროში და ის, თუ როგორ სრულდება ამ მიზნების მიღწევისათვის საჭირო ცალკეული სამუშაო ამოცანები, საჭიროებს თუ არა ისინი რაიმე კორექტირებას.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. რამიშვილი ბ., სტრატეგიული მენეჯმენტი, თბილისი, 2013, old.press.tsu.ge/GEO/internet
2. შუბლაძე გ., ნანინაშვილი მ., დოლოკაშვილი ლ., სტრატეგიული მენეჯმენტი, თბილისი, 2010.
3. ჯულაყიძე ე., მენეჯმენტის საფუძვლები, ქუთაისი, „ხანძთა“, 2013.
4. Питер Ф. Друкер. Задачи менеджмента в XXI веке, Учебное пособие. М., 2007. <http://www.koob.ru/drucker peter/>
5. Трофимова Л.А., Методы принятия управленческих решений, Санкт-Петербург, Изд-во «Санкт-Петербургского государственного университета Экономики и Финансов», 2012.

*Emzar Julakidze  
Elizbar Barbakadze*

### THE TARGET AND THE ALGORITHM OF COLLABORATING THE MANAGERIAL DECISION IN THE MANAGEMENT SYSTEM Annotation

The target of the organization is an attempt of the managers to gain the result in certain period of time. Making the decision is a process of choosing alternative which takes into consideration all the possible limitations of the organization, including such alternatives which reach the extremum of the desired target, the highest value of the managerial decision and it is called-optimum. The process of its formation can be represented by the certain algorithm, which begins with raising the managerial task and comprises the following: forming all the possible alternatives, comparing and assessing them, selecting the best among them, implementing the selected decision and supporting the sequence of the decision.

*Maria Hămuraru*

### WAYS TO RAISE THE EFFICIENCY OF THE AN ENTERPRISE'S ECONOMY

**Introduction.** Making the business activity more efficient is a key factor ensuring economic competitiveness. The objective of microeconomic efficiency is closely correlated with human resources performance in the organization. *The research hypothesis:* the development of Leaders' management skills insures high efficiencies of the economic activity for the enterprise, and this in turn generates competitiveness of the national economy. Economic competitiveness both at micro as well as macro level is a basic criterion for European integration.

**The volume of the transport enterprises' activity in the Republic of Moldova.** According to the National Bureau of Statistics of the Republic of Moldova in July 2014, national enterprises have transported 1,65 million tons of cargo, which is 7,6% less than in September and 0,3% more than in October, 2013. During the period from January to October 2014 4.1 million tonnes of freight were transported by land, which is 6% less than for the same period in 2013. The largest share of the goods transported by rail-roads consists of cereals, flour (43%). During the the same period in 2013 that share was of only 41%, that is 2 percentage points less than in 2014. In 2013 and 2014 ferrous freight transport, including scrap iron was of 13% and 16%; construction materials, including cement - 10% and 12,3%. The volume of goods transported in January-October 2014 by automobiles increased by 13,3% to 7,3million

- 2015 წლის ეკონომიკური ზრდის და ინფლაციის ახალი პარამეტრების (შესაბამისად 3.5% და 9%) გათვალისწინებით, უნდა გადაიხედოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი (შემოსავლები და ხარჯები) შემცირების კუთხით (დაახლოებით 300 მლნ ლარით). გადახედილი უნდა იქნეს ბიუჯეტის არა მხოლოდ საერთო პარამეტრები, არამედ საბიუჯეტო ხარჯები მუხლობრივ ჭრილში და რაც უნდა რთული და არაპოპულარული იყოს, მაქსიმალურად უნდა შეიკვეცოს სუბსიდიები, არამწარმოებლური ხარჯები;

-მთავრობამ ყველაფერი უნდა იღონოს უცხოური ინვესტიციების მაქსიმალური შემოდინების უზრუნველსაყოფად. ამ მიმართულებით მან ინვესტორებს უნდა შესთავაზოს “მზა” საინვესტიციო პროექტები და გადადგას სხვა აქტიური ნაბიჯები. ქვეყნის ეკონომიკისთვის საჭიროა დაახლოებით 1.5 მლრდ აშშ დოლარის ინვესტიცია. ცოტა ხნის წინ განცხადებული პრივატიზაციის პროგრამა უდავოდ მისასაღებელია, მაგრამ მას სხვა პროექტების სტრუქტურაზე უნდა მოჰყვეს.

ამიტომ, ფიქრობ, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყნის სტაბილურობაში ამერიკელები და ევროპელები დავაჯეროთ. ნორმალური ინვესტორები დავარწმუნოთ, რომ არც ეკონომიკური პოლიტიკის რყევებია მოსალოდნელი. მაშინ დავინახავთ, რომ ინვესტიციები წამოვა.

უმთავრესია, მთავრობის მიერ შემუშავებულ სტრატეგიით მივიღოთ ცხადად ჩამოყალიბებული ეკონომიკური ხედვა, მკაფიო ამოცანები, რომელთა შესრულება არა მხოლოდ სასურველია, არამედ შესაძლებელიც.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. www.nbg.gov.ge
2. http://geostat.ge
3. www.mof.ge

## A DEPRECIATION OF THE CAUSES AND UNUSED MECHANISMS OF STRENGTHENING THE GEL

## Annotation

Depreciation of GEL for economy caused serious problems. Enterprises closed down, while others have reduced turnover. Problems encountered in large businesses. The depreciation is still continuing. National Bank does not thing to stop this process and the actions of the government is weak. The last two months the region's currencies, suffer the devaluation process, but now are being fixed or stable. The only Georgian lari, continues to fall. GEL devaluation raised serious challenges in business. They faced problems of rental and loan payment. In Georgia, the standards are set in dollar for rent. Consequently, the depreciation increased tax rate. Although a small part of business persons has the loan in GEL, it has, mainly struck, medium and large businesses. Because of this, their income is reduced and they have to release people to reduce the costs.

მაია გოგობია

## ფინანსურ ბაზრებზე ფასწარმოქმნის სავაჭრო სექტორის საკითხისათვის

ეროვნული ეკონომიკის სტაბილური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ფინანსური ბაზრის გამართული ფუნქციონირება, რომელიც განსაკუთრებულ როლს ასრულებს ინვესტიციებისა და ინოვაციების დაფინანსებისას. ამავდროულად, ფინანსური ბაზარი თანამედროვე გლობალური ეკონომიკის მეტად აქტუალური სფეროა, რომელიც სწრაფად იცვლება და ვითარდება. საყურადღებოა მისი ფასწარმოქმნის მექანიზმი. ეფექტიანი ბაზრის თეორიის ფუნდამენტური იდეაა ის, რომ კონკურენტულ ბაზრებზე არ არსებობს ფულის „კეთების“ ადვილი ხერხი, რადგანაც ფასიანი ქაღალდების კურსი ასახავს ძირითადი აქტივების რეალურ ღირებულებას. თუმცა, ბოლო წლების განმავლობაში სხვა მოსაზრებაც გაჩნდა – აქციის ფასი შეიძლება შეიცვალოს ინვესტორთა არარაციონალური ქცევის გამო. ასეთი მიდგომის მომხრეებს „ქცევითი ფინანსების“ (behaviorial finance) ან „ქცევითი თეორიის“ მიმდევრებს უწოდებენ. ჩვეულებრივი აქციის ღირებულება დღევანდელ დოლარებში ყველა მომავალი ფულადი ნაკადის შეფასების შედეგია, რომლის მიღებაც შეუძლია აქციონერს (დივიდენდების, აქტივების გაყიდვიდან ამონაგების, ან როგორც ერთის, ისე მეორის სახით) [1, გვ. 194]. ბაზარზე მიმოქცევადი სავალო ვალდებულებების ფასი უკუდამოკიდებულებაშია საპროცენტო განაკვეთების საერთო დონის ცვლილებასთან. თუ აწმყოში ემიტირდება ახალი სავალო ვალდებულებები უფრო მაღალი შემოსავლიანობით, მაშინ, იმისათვის, რომ ინვესტორებმა იყიდონ წინა ემისიის ფასიანი ქაღალდები, გამოიძველები იძულებული არიან, შეამცირონ მისი ფასები, თუმცა, სამართლიანია პირუკუ მტკიცებაც – თუ საპროცენტო განაკვეთები მცირდება, მაშინ შეიძლება გავზარდოთ ადრე გამოშვებული სავალო ვალდებულებების გაყიდვის ფასი, და ამასთან, შემოსავლიანობა მისაღები დარჩება მყიდველებისათვის [2, გვ. 178]. ოცდობის ფასწარმოქმნის თეორიას კავშირი აქვს შესაძლო მოთხოვნების ან ოცდობის ფასების (განმსაზღვრელების) დეტერმინანტების ანალიზთან [3, გვ. 166].

ფიუნქციონირების ბაზარზე ხორციელდება ისეთი გარიგებები, როგორცაა ჰეჯირება და სპეკულაცია. რაც უფრო დიდია გაფანტვა მოსაზრებებისა იმის თაობაზე, თუ როგორი იქნება მოსალოდნელი ფასი სპოტურ ბაზარზე, მით უფრო სავარაუდოა, რომ ბაზარზე ჭარბობდეს სპეკულაცია, რომელიც ჰგავს ახარტულ თამაშს, რომლის მონაწილეები ჩამოდიან ფსონს მოცემული ფასის მომავალ მნიშვნელობაზე.

მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთქმედების „აბლაბუდისებრი“ მოდელებში მეწარმეები იღებენ მიმდინარე საწარმოო გადაწყვეტილებებს წინა წლის ფაქტობრივი ფასების საფუძველზე. დაეუშვათ, ფუნქციონირებას იწყებს ფიუნქციონირების ბაზარი, მაშინ ფერმერები, რომლებმაც თავდაპირველად მოახდინეს რეაგირება წინა წლის მაღალ ფასებზე და დაგეგმეს წარმოების გაფართოება, დაიწყებენ ფიუნქციონირების გაყიდვას, რაც გამოიწვევს ფიუნქციონირების ფასების დაცემას სპოტურ ბაზარზე ფასის მოსალოდნელ დონემდე, რაც, თავის მხრივ, აიძულებს მეწარმეებს, გადახედონ უწინდელ (მცდარ) საწარმოო გეგმებს. შედეგად, ფასის მოსინჯვის „აბლაბუდისებრი“ მექანიზმი შესუსტდება და ბაზარი უფრო სტაბილური გახდება.

როდესაც დგება ფიუნქციონირების კონტრაქტის შესრულების ვადა, მონაწილეებმა, რომლებმაც ამ დროისათვის შეინარჩუნეს მოკლე პოზიციები, უნდა მიაწოდონ ის საქონელი, რომელიც მათ უწინ გაყიდეს, ხოლო მონაწილეებმა, რომელთაც აქვთ გრძელი პოზიცია, იღებენ რა შესაბამის საქონელს, უნდა გადაიხადონ იმისთვის, რაც მათ ადრე იყიდეს. ცხადია, რომ მონაწილეები ღია მოკლე პოზიციებით არ დადებდნენ გარიგებას, თუ ივარაუდებდნენ, შემდგომ პერიოდში საქონელი შეიძლება გაიყიდოს უფრო მაღალ ფასად სპოტურ ბაზარზე. ზუსტად ასევე, მონაწილეები ღია გრძელი პოზიციებით არ გადაიხდიდნენ რომელიმე საქონლისათვის, თუ ეცოდინებოდათ, რომ მომდევნო პერიოდში ის შეიძლება ყვიდათ უფრო დაბალ ფასად სხვა ადგილას. შესაბამისად, მიწოდების მომენტში ფიუნქციონირების ფასი უნდა აღმოჩნდეს სპოტურ ბაზარზე მიწოდებული საქონლის ფასის ტოლი, რადგან ფასების ასეთი „დამასრულებელი ტოლობა“ (ultimate equality) აღნიშნულ ბაზრებზე წინასწარ გათვალისწინებულია ბევრი მონაწილის მიერ, ის გავლენას მოახდენს ფიუნქციონირების და სპოტური ფასების დონეზე ჯერ კიდევ მიწოდების მომენტამდე.

ჰეჯირების ოპერაციები აგრეთვე ხემოქმედებს ფიუნქციონირების და სპოტური ფასების მიმართებაზე, რაც გულისხმობს არბიტრაჟის ზოგ ფორმას შესაბამის ბაზრებს შორის, თუ ფიუნქციონირების ფასი აღემატება ფასს სპოტურ ბაზარზე, იქნებ ჰეჯირები შესაბამის საქონელს ყიდულობდნენ სპოტურ ბაზარზე და გაყიდვიან ფიუნქციონირებულ ვალდებულებებს. მათ შეუძლიათ განახორციელონ ეს ოპერაცია რისკის გარეშე მანამ, სანამ სხვაობა ფიუნქციონირების ფასსა და სპოტურ ბაზარზე ფასს შორის აღემატება საქონლის შენახვის ხარჯებს ფიუნქციონირებულ ვაჭრობაში (carrying charge).



უწინ ჰეჯირებას მიიხვედნენ სპეკულანტებზე ფასობრივი რისკის გადაკისრების მცდელობად. თუმცა, უნდა შევნიშნოთ, რომ სულაც არ არის სავალდებულო ჰეჯირება ამცირებდეს ჰეჯერის საერთო რისკს. უფრო ხშირად ბანკერები მზად არიან, გასცენ მეტი კრედიტები სასაქონლო მარაგების გირაოს ქვეშ იმ მეწარმეებზე, რომლებმაც მიმართეს ჰეჯირებას (არაჰეჯირებული მარაგების მფლობელებთან შედარებით). მიმართავს რა ჰეჯირებას, ვაჭარს იმავე საკუთარი კაპიტალის დახმარებით შეუძლია არსებითად გაზარდოს თავისი სასაქონლო მარაგები, აფართოვებს რა ამით გასაქანს მის წინ გადაშლილი კომერციული შესაძლებლობების გამო-საყენებლად. შესაბამისად, თანამედროვე გაგებით, კავშირი ჰეჯირებასა და მეწარმეების რისკისადმი მიდრეკი-ლებას შორის არცთუ ისე მკაფიოდაა გამოხატული.

ლონდონის საფონდო ბირჟის ენაზე „ბექვარდაცია“ (backwardation) – ეს არის ჯილდო, რომელსაც აქციების (ან სხვა ფასიანი ქაღალდების) გამოიდევლი უხდის მყიდველს შესაძლებლობისათვის, გადაავადოს აღნიშნული ქაღალდების მიწოდება. შესაბამისად, ეს ნიშნავს, რომ ფიუნერსული ფასი აღმოჩნდება სპოტურ ფასზე დაბალი. კეინზმა და ჰიქსმა განავითარეს „ნორმალური“ ბექვარდაციის თეორია. მსჯელობა სიტუა-ციაზე, როდესაც მიწოდების მომენტისათვის საქონლის ფიუნერსული ფასი აღმოჩნდება გადმოწვევით უფრო ქვევით (downwardly biased) შედეგად ვარაუდისა, შესაბამისი სპოტური ფასის თაობაზე მიწოდების მომენტისათ-ვის. რადგანაც ვარაუდი ნორმალური ბექვარდაციის თაობაზე ტოლფასია ვარაუდისა რისკისათვის დადებითი პრემიის არსებობისა, ფიუნერსულ ოპერაციებში სასაქონლო ბაზარზე ჰეჯერები, პრინციპში, მიისწრაფიან, დაიკავონ მოკლე პოზიციები, ხოლო სპეკულანტები – გრძელი. ნორმალური ბექვარდაციის თეორია მიხნად ისახავს ჰეჯერების ასეთი სტრატეგიის ახსნას.

კეინზმა და ჰიქსმა ახსნეს ნორმალური ბექვარდაციის არსებობა, გამომდინარე „ტექნოლოგიური“ მოსა-ზრებებიდან. სპეციფიკური ტექნოლოგიები, რაც ჩამოყალიბდა წარმოებასა და მოხმარებაში, ჩვეულებრივ გუ-ლისხმობს, რომ მეწარმეებლები გაცილებით უფრო შორს „უნდა იყურებოდნენ წინ“, ვიდრე მომხმარებლები, რადგან სწორედ მეწარმეებებმა დაუკავშირეს მჭიდროდ თავისი საქმიანობა წარმოებას, მაშინ, როცა მომხმარ-ებლები უფრო თავისუფალი არიან არჩევანში. შესაბამისად, ჰეჯერები ფიუნერსულ ოპერაციებში უფრო ხში-რად დაიკავებენ მოკლე პოზიციას. იმისათვის, რომ აიძულოს სპეკულანტი, დაიკავოს გრძელი პოზიცია, მას უნდა შესთავაზონ დადებითი პრემია რისკისათვის, სხვა სიტყვებით, ადგილი უნდა ჰქონდეს „ნორმალურ“ ბექ-ვარდაციას.

ჰეჯერებისთვის აუცილებელია კორელაციის მაღალი დონე ფიუნერსულ ფასებსა და იმ ფასებს შორის სპოტურ ბაზარზე, რომელიც შეიძლება აინტერესებდეს ჰეჯერს. კონტრაქტი არ უნდა იყოს ძალზე ვრცელი (არ უნდა მოიცავდეს მიწოდებული საქონლის ბევრ განსხვავებულ სახეობას), ამასთან, ის არ უნდა იყოს ძალზე სპეციალიზებულიც. ფასები უნდა იყოს საკმაოდ მოძრავი, რათა აზრი ჰქონდეს ჰეჯირებასა და სპეკუ-ლაციას.

ყველაფერ ამას შეუძლია ახსნას, მრავალი წლის მანძილზე ვაჭრობის ობიექტის სახით ფიუნერსულ ბაზარზე რატომ გამოდიოდა მხოლოდ ხორბალი, ზეთოვანი კულტურების თესვები, შაქარი, ბამბა, ფერადი ლითონები და ზოგიერთი სხვა საბირჟო საქონელი, რომლისთვისაც ადვილად შეიძლება დადგინდეს შესაბამი-სი სტანდარტები და რომელთა ფასები ამჟღავნებს განსაკუთრებულ დინამიკურობას. შევნიშნავთ, რომ ისეთი მნიშვნელოვანი საქონელი, როგორცაა, ვოქვათ, ფოლადი, ქაღალდი და სინთეტიკური ბოჭკო, არ გახდა ვა-ჭრობის ობიექტი ფიუნერსულ ბაზარზე. XXს. 70-იან წლებში, როცა სავალუტო კურსი და საპროცენტო გა-ნაკვეთები უფრო მოძრავი გახდა, ფიუნერსული ვალდებულებებით ვაჭრობა წარმატებით ინერგებოდა ბევრ ფინანსურ ბაზარზე – ჯერ ოპერაციებში უცხოური ვალუტით, შემდეგ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით და სხვა ანალოგიური ვალდებულებებით, ხოლო უახლესი დროიდან – საბირჟო ინდექსების ბაზარზეც, დღეისათ-ვის ფიუნერსებით ნედლი ნავთობისა და ნავთობგადამუშავების ზოგიერთი პროდუქტის ბაზარზეც ვაჭრობენ.

კრედიტორს, რომელსაც აწუხებს პროცენტის შემცირების შესაძლებლობა, შეუძლია იყიდოს მოკლევა-დიანი საპროცენტო ფიუნერსო: თუ განაკვეთი მცირდება, უფრო დაბალი შემოსავალი კორექტირდება ფიუნერ-სის ფასის ზრდით. საფონდო ინდექსზე კონტრაქტი წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების „ვირტუალური“ პაკე-ტის ყიდვა-ყაყიდვას. თუ ბაზარზე დომინირებენ დათვები და აქციების უმეტესობის კურსები ეცემა, ინვესტო-რის ზარალი ფასიანი ქაღალდების პორტფელიდან კომპენსირდება მოგებიდან ფიუნერსიდან ინდექსზე (გაყიდ-ვა ფიუნერსული კონტრაქტისა ინდექსზე). დღეისათვის ყველაზე ლიკვიდურია ფიუნერსები შემდეგ ინდექსებზე: S&P-500, DJI, FISE-100, DAX და რიგი სხვა [4, გვ. 570].

ფიუნერსებით ვაჭრობის ერთ-ერთი ეკონომიკური ფუნქციაა რისკის გადანაწილება. სხვა ანალოგიურ ფუნქციას ზოგჯერ უწოდებენ „ფასის გამოვლენას“ (price discovery). ის დაიყვანება ეტალონური კონკურენტული ფასის დადგენაზე ამა თუ იმ საქონლისათვის ან ფინანსური ინსტრუმენტისათვის. ფორვარდული ფასი ამა თუ იმ კონკრეტულ გარიგებაში შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს შემდეგნაირად: მაისის ფიუნერსულ ფასს უბრა-ლოდ ემატება (ან ფასიდან გამოაკლდება) გარკვეული თანხა – ვოქვათ, რამდენიმე ცენტი.

ფიუნერსული ბაზრების ეკონომიკური ფუნქციები განსაკუთრებით ეფექტურად რეალიზდება იმ შემთხვე-ვაში, როცა ეს ბაზრები ინტენსიური კონკურენციით ხასიათდება. თუ ერთი ან რამდენიმე მსხვილი ვაჭარი ფლობს საკმარის საბაზრო ძალას, ფიუნერსული ფასები შეიძლება არ ასახავდეს მოთხოვნის და მიწოდების საბაზრო პირობების გავლენას. ამიტომ ფიუნერსული ბაზრების ორგანიზატორების და მარეგულირებელი ინ-სტანციების მთავარი საზრუნავია მსგავსი დარღვევების თავიდან აცილება, განსაკუთრებით ე.წ. „ქორნერებისა“, როცა ერთ ან რამდენიმე სპეკულანტს, რომლებიც გაზრდაზე თამაშობენ, შეუძლიათ ფასებით მანიპულირება. აშშ-ში სასაქონლო ფიუნერსებით ვაჭრობის კომისია (Commodity Futures Trading Commission) აკონ-ტროლებს ბაზრებს ასეთი ბოროტმოქმედების თავიდან აცილებისა და მათთვის დასჯის მიზნით, თუმცადა ამ ამოცანის გადაჭრა ყოველთვის წარმატებით არ მთავრდება. დიდ ბრიტანეთში მეტ-ნაკლებად მსგავს ფუნქ-ციებს ინგლისის ბანკი ასრულებს.

ოფციონები, ერთი მხრივ, და ფორვარდები და ფიუნერსული კონტრაქტები, მეორე მხრივ, პრინციპულად განსხვავებული ფასიანი ქაღალდებია. რა თქმა უნდა, ყველა მათგანი იძლევა შემდგომ პერიოდში საბაზო აქ-

ტივის შექმნის (ან გაყიდვის) უფლებას. მაგრამ, გრძელი პოზიცია ფორვარდული კონტრაქტის მიხედვით, ავალდებულებს კონტრაქტის მფლობელს, დადგინდეს ვადაში უპირობოდ იყიდოს აქტივი ფორვარდული ფასით. ამის საპირისპიროდ, ყიდვაზე ოფციონის მფლობელს შეუძლია გადაწყვიტოს, იყიდოს საბაზო აქტივი შესრულების ფასით თუ არა. ამგვარად, ფორვარდული კონტრაქტს შეიძლება ჰქონდეს უარყოფითი ღირებულება, მაშინ, როცა ოფციონის ის უბრალოდ არ შეიძლება ჰქონდეს.

ოფციონებზე ფასების ფორმირების თეორია შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასესო არხებით მობილიზებული კაპიტალის შეფასებისათვის, და, შესაბამისად, დეფოლტის რისკისადმი მიდრეკილი კორპორაციული დავალიანების შეფასებისათვის, რამდენადაც იმ ფირმის აქციონერული კაპიტალი, რომელიც თავისი საქმიანობის დასაფინანსებლად იყენებს არა მხოლოდ აქციების გამოშვებას, არამედ სავალო ვალდებულებების განთავსებასაც, გამოამქლავნებს გადასახდელების სტრუქტურას, რომელიც ყიდვაზე ოფციონის ექვივალენტურია, ამასთან, ანგარიშსწორების საბაზო ობიექტის სახით გამოდის ფირმის აქტივები, შესრულების ფასი აღმოჩნდება დავალიანების ნომინალური სიდიდე, შესრულების ვადა კი – აღნიშნული ვალის დაფარვის ვადა.

ფიუნერსები, ოფციონები, სვოპ გარიგებები, ფორვარდები, საანგარიშსწორებო ფორვარდები სრულდება სავალუტო ბაზარზეც, რომლის ფუნქციებია: საქონლის, მომსახურების, კაპიტალის საერთაშორისო ბრუნვის მომსახურება, ვალუტის კურსის დადგენა; სავალუტო რისკისაგან დაზღვევა; სახელმწიფოს ფულად-საკრედიტო და ეკონომიკური პოლიტიკის გატარება. სავალუტო კურსის ფორმირების მოდელი ფინანსური აქტივების ბაზრის თეორიის პოზიციებიდან საშუალებას იძლევა, აიხსნას როგორც სავალუტო კურსების ვოლანტილობა, ასევე ვალუტის კურსის ზრდა და მისი შემდგომი დაცემა [5, გვ. 206-207].

ამგვარად, ფინანსური ბაზარი მთლიანად ეკონომიკის მდგომარეობის შეფასების ერთგვარი ბარომეტრია.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Фредерик С. Мишкин, Экономическая теория денег, банковского дела и финансовых рынков, перевод с английского. Москва-Санкт-Петербург-Киев, 2006.
2. Банковское дело: стратегическое руководство, под. ред. В. Платонова, М. Хитгинса, М., 2001.
3. ბერიძე რ., საბანკო მენეჯმენტი, თბ., 2009.
4. Якимкин В.Н., Сегментация финансового рынка, М., 2006.
5. ბახტაძე ჯ. ფინანსური ბაზარი, თბ., 2007.

*Maia Gogokhia*

## THE QUESTION OF PRICING SPECIFICATION IN FINANCIAL MARKETS

### Annotation

Financial market is actual sphere of modern economy, which is rapidly changing and developing. The article deals with its pricing mechanism: on stocks, bills, options, futures. Special attention is paid to the last, because one of the economic functions of futures trading is „price discovery”, which means standard competitor price establishment for commodities and financial instruments.

*ლია გოგოხია  
ლაშა ბერიძე*

### კორპორატიული ფინანსების მართვის საბანკო სექტორში კონკურენციის დონის განსაზღვრაში

საქართველოს საბანკო ბიზნესი არის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული, რომლის ზრდის ტემპები მნიშვნელოვნად აღემატება ეკონომიკის სხვა სექტორებს. საბანკო სექტორის აქტივების მოცულობა დღეისათვის შეადგენს ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის 70.6%-ს, ხოლო საკრედიტო პორტფელის მოცულობა კი – 43,6 [9]. ქვეყნის საბანკო ბაზარზე წარმოდგენილია 19 ბანკი, რომელთა რაოდენობა შემცირდა ბოლო პერიოდში განხორციელებული ორი შერწყმის შედეგად.

როგორც ყველა ბაზრისათვის, ასევე საბანკო ბაზრისათვისაც დამახასიათებელია კონკურენცია, რომლის რეგულირებაც მოექცა 2012 წელს მიღებული საქართველოს კანონის “კონკურენციის შესახებ” ნორმების ფარგლებში [1].

აღნიშნული კანონის შესაბამისად, შეიქმნა კონკურენციის სააგენტო, რომელსაც დაევადა კონკურენციის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება და კონკურენციის განვითარების ხელშეწყობის პირობების შექმნა. ამ პოლიტიკის ფარგლებში კონკურენციის სააგენტომ შეიმუშავა ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, რომლებიც საერთოა საქართველოში არსებული ყველა ბაზრისათვის, მათ შორის საბანკო ბაზრისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ საბანკო ბაზარზე კონკურენცია გარკვეულ სპეციფიკურ ნიშნებს ატარებს, რითაც იგი განსხვავდება სხვა ბაზრებზე არსებული კონკურენციებისაგან. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ საბანკო ბაზარი ოპერირებს ფულით, აბსოლუტური ლიკვიდურობის მქონე საქონლით, რომლის ჩანაცვლება სხვა საქონლით შეუძლებელია. შესაბამისად, ფული არ წარმოადგენს ელასტიკური მოთხოვნის საქონელს. მეორე მნიშვნელოვანი თავისებურება დაკავშირებულია საბანკო სექტორში ფინანსური კაპიტალის მობილობასთან. განსხვავებით სხვა სახის კაპიტალისაგან, ფინანსური კაპიტალი უფრო მეტად არის მობილური, ვიდრე ფიზიკური საქონელი, რადგან მას შეუძლია უფრო სწრაფად განერიდოს იმ ქვეყნებს, სადაც მაღალია გადასახადები და მკაცრი საბანკო რეგულირების მექანიზმი გამოიყენება.

ვინაიდან საბანკო ბაზრისათვის, ისევე, როგორც ყველა სხვა ბაზრისათვის, დამახასიათებელია კონკურენტული ურთიერთობების არსებობა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ბერკეტების არსებობა,

რომლებიც უზრუნველყოფს კონკურენტული გარემოს არსებობასა და დაცვას. ამ ამოცანების შესრულება შეუძლებელია საბანკო ბაზარზე კონკურენციის დონის გაზომვის გარეშე, რაც მოითხოვს შესაბამისი სპეციალური მეთოდოლოგიისა და მეთოდების შემუშავებასა და გამოყენებას.

ზემოხსენებულ კონკურენციის სააგენტოს მიერ შემუშავებული ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები [2] ზოგად ხასიათს ატარებს და გამოიყენება ყველა ტიპის ბაზრებისათვის. საქართველოში ჯერჯერობით არ გამოიყენება საბანკო ბაზრის კონკურენციის დონის ანალიზის სპეციალური სპეციფიკური მეთოდოლოგია.

გამომდინარე აქედან, დღის წესრიგში დადგა იმის დაზუსტება, თუ რამდენად სწორად ასახავს ბაზრის მონოპოლიზაციის განსაზღვრის არსებული საკანონმდებლო წესები საქართველოს საბანკო ბაზარზე არსებულ მდგომარეობას. ბაზრის ანალიზისათვის გამოვიყენეთ კონკურენციის სააგენტოს მიერ შემოთავაზებული მეთოდური მითითებები [2].

კონკურენციის სააგენტოს მეთოდური მითითებების ერთ-ერთი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ საკრედიტო რესურსების ბაზრის მოცულობაში ჩართულია არა მხოლოდ კომერციული ბანკების, არამედ არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების საკრედიტო აქტივები. თუ რითი არის განპირობებული კომერციული ბანკების კონკურენტი საკრედიტო ბაზრის ისეთი მონაწილეების, როგორცაა მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები, ე.წ. ონლაინ გამსესხებლები და სხვათა საკრედიტო აქტივების გამორიცხვა საკრედიტო ბაზრიდან, ალბათ დამატებით არგუმენტირებას საჭიროებს. რაც შეეხება საბანკო სექტორის მიერ გაწეული მომსახურების შეფასებას, სრულიად სამართლიანია კონკურენციის სააგენტოს მიდგომა საბანკო-საკრედიტო აქტივებთან ერთად შეფასდეს იქნას მათი არასაკრედიტო საქმიანობაც.

კონკურენციის სააგენტოს მიერ დადგენილია, რომ „საკრედიტო რესურსების ბაზარზე კომერციული ბანკების წილის ოდენობა განისაზღვრება ბანკის აქტივების შეფარდებით ბაზრის მოცულობასთან“ [2, მუხლი 17]. შესაბამისად, საკრედიტო აქტივების ბაზარზე უნდა შეფასდეს ბანკების აქტივები, რომლებიც ბევრად უფრო ფართო ცნებაა და, საკრედიტო აქტივების გარდა, მოიცავს სხვა სახის აქტივებსაც. აშკარა შინაარსობრივი და ეკონომიკური შეუსაბამობა, შესაძლოა, არის ეკონომიკური ტერმინების აღრვევის შედეგი, რაც ასევე მოითხოვს დამატებით განმარტებას და კორექტირებას.

კონკურენციის სააგენტოს მიერ განსაზღვრულია მხოლოდ სასაქონლო ბაზრის კონცენტრაციის დონე, რომელიც „წარმოადგენს ბაზრის ხარისხობრივ მახასიათებელს და აფასებს ეკონომიკური აგენტის წილების ურთიერთთანაფარდობასა და მათი განაწილების სიმჭიდროვეს ბაზარზე“ [2, მუხლი 18]. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობაში “ბაზრის მონოპოლიზაციის” ცნება ჩანაცვლებულია “ბაზრის კონცენტრაციის” ცნებით, რომლებიც ერთმანეთს იდენტურია. ამიტომ ჩვენ გამოვიყენებთ ბაზრის მონოპოლიზაციის ცნებას, ვინაიდან იგი, ჩვენი აზრით, დღეისათვის არსებული რეალობიდან გამომდინარე, უფრო ობიექტურად ასახავს საქართველოს ეკონომიკაში არსებულ კონკურენტულ გარემოს.

ბაზრის დარგის მონოპოლიზაციის მაჩვენებლის გამოსათვლელად კონკურენციის სააგენტო იყენებს ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსს [12], რომელიც შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:  $HHI = \sum_{j=1}^n D_n^2$ ,

სადაც  $n$  არის ბაზარზე საქონლის მიმწოდებელთა ჩამონათვალი,  $D_n$  -  $n$ -ური მიმწოდებლის წილი ბაზარზე,

რომელიც გამოითვლება შემდეგნაირად:  $D_n = \sum_{j=1}^n \frac{V_j}{V_m} = 100\%$ , სადაც  $V_j$  არის მიმწოდებლის საქონლის

რეალიზაციის მოცულობა, ხოლო  $V_m$  – ბაზრის მთლიანი მოცულობა.

ამრიგად, ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (HHI) არის ბაზრის მონოპოლიზაციის დონის მაჩვენებელი, რომელიც განისაზღვრება როგორც ბაზრის ყველა მონაწილის წილების კვადრატების ჯამი. ამ ინდექსს ფართო გამოყენება აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგალითად, ისეთი შემთხვევების დროს, როდესაც ფირმები საჭიროებენ ნებართვას შერწყმას ან შთანთქმას. ჩვენ ჩავატარეთ კვლევა, რომელმაც მოიცვა ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის საფუძველზე საბანკო ბაზრის კონცენტრაციის დონის განსაზღვრა საკრედიტო რესურსებისა და საერთო აქტივების ანალიზის მეთოდების გამოყენებით. კვლევას საფუძველად დაედო საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ოფიციალურად გამოქვეყნებული საბანკო სექტორის სტატისტიკა. ამასთან, საბანკო სექტორში მიმდინარე ბოლო პერიოდის ტენდენციების გათვალისწინებით, რომელიც ხასიათდება ბანკების შერწყმის პროცესით, „თიბისი ბანკი“-სა და „ბანკი კონსტანტა“-ს მონაცემები, აგრეთვე, „საქართველოს ბანკის“-სა და „პრივატ ბანკი“-ს მონაცემები გაერთიანდა. გათვლებში გამოყენებულ იქნა სტატისტიკური მონაცემები 2014 წლის მე-3 კვარტლის მდგომარეობით კვლევის მომენტისათვის უახლესი ოფიციალური ინფორმაციის არარსებობის გამო.

ჩვენ მიერ გაანგარიშებული საბანკო ბაზრის კონცენტრაციის დონე მოცემულია პირველ ცხრილში.

ცხრილი 1

საბანკო ბაზრის კონცენტრაციის დონის გაანგარიშება ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის (HHI) საფუძველზე [3]

კომერციული ბანკები	წმინდა სესხების მეთოდი		მთლიანი აქტივების მეთოდი	
	$D_n$	$D_n^2$	$D_n$	$D_n^2$
ბანკი რესპუბლიკა	6%	36	6%	36
თიბისი ბანკი	28%	784	27%	729
საქართველოს ბანკი	35%	1225	36%	1296
ლიბერთი ბანკი	7%	49	8%	64
ბაზის ბანკი	2%	4	1%	1
ვითიბი ბანკი ჯორჯია	5%	25	5%	25
ბანკი ქართუ	4%	16	4%	16

პროკრედიტ ბანკი	7%	49	6%	36
სილქ როუდ ბანკი	0%	0	1%	1
კაპიტალ ბანკი	0%	0	0%	0
აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი – საქართველო	1%	1	1%	1
ზირაათ ბანკის თბილისის ფილიალი	0%	0	0%	0
კავკასიის განვითარების ბანკი – საქართველო	0%	0	0%	0
თურქეთის იშ ბანკის ბათუმის ფილიალი	0%	0	0%	0
პროგრეს ბანკი	0%	0	0%	0
კორ სტანდარტ ბანკი	2%	4%	3%	9
ხალიკ ბანკი საქართველო	1%	1%	1%	1
პაშა ბანკი საქართველო	0%	0%	1%	1
ფინკა ბანკი საქართველო	1%	1%	1%	1
სულ, HHI		HHI=2195		HHI=2225

კონკურენციის სააგენტოს მეთოდოლოგიით, ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის საფუძველზე, ბაზრების კონცენტრაციის დონეები განისაზღვრება შემდეგნაირად: დაბალკონცენტრირებული –  $HHI < 1250$ , ზომიერად კონცენტრირებული –  $1250 < HHI < 2250$ , მაღალკონცენტრირებული  $HHI > 2250$ . ჩვენ მიერ მიღებული შედეგის თანახმად, საკრედიტო ბაზრისათვის  $HHI=2195$ , ხოლო საბანკო მთლიანი აქტივების მეთოდით  $HHI=2225$ . შესაბამისად, საბანკო ბაზარი, შეფასებული ორივე მეთოდით, ზომიერად მონოპოლიზებული ფარგლებშია, თუმცა მისი კონცენტრაცია მიღწეულია ზედა კრიტიკულ ზღვარს, რომლის იქით ბაზარი ხდება მაღალმონოპოლიზებული. მომავალში თუ გაგრძელდა კომერციული ბანკების შერწყმის პროცესი, ინდექსი ადვილად გადალახავს 2250 ნიშნულს და გახდება მაღალმონოპოლიზებული.

ჩვენს გაანგარიშებებში ვერ მოხერხდა კომერციული ბანკების არასაკრედიტო საქმიანობის შეფასება სრულყოფილი სტატისტიკური ინფორმაციის არარსებობის გამო. თუმცა, ექსპერტული შეფასებით, შესაძლებელია, დიდი ალბათობით, იმის ვარაუდი, რომ ყველა ფაქტორის გათვალისწინებით HHI ინდექსი ბევრად უფრო მაღალი იქნება მაღალკონცენტრირებული ბაზრის ქვედა დონის მაჩვენებელზე.

კონკურენციის დონის განსაზღვრის მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის მეშვეობით განსაზღვრული ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი კონკურენციის დონის დადგენისათვის ხშირად არ იძლევა სასურველ შედეგს. ასე მაგალითად, შაფერმა და დისალვომ [4] გამოაქვეყნეს შემთხვევები, როდესაც ბანკებს გააჩნდათ ბევრად უფრო მაღალი ძალაუფლება, ვიდრე იგი იყო განსაზღვრული საბაზრო სტრუქტურით. გარდა ამისა, კლაუსენსმა და ლივენმა [5] 16 განვითარებადი და განვითარებული ქვეყნის ბანკების მაგალითზე დაადგინეს, რომ რიგი ბანკის ქცევა არის უფრო კონკურენტუნარიანი, ვიდრე იგი იყო განსაზღვრული ამ ბანკებისათვის დამახასიათებელი საბაზრო სტრუქტურით.

ამიტომაც, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დამატებითი მაჩვენებლები, რომელთა გამოთვლისა და ანალიზის საფუძველზე უნდა განხორციელდეს კონკურენციის დონის შეფასება. ესენია ჰორიზონტალური და არაჰორიზონტალური კონცენტრაციის შეფასების კრიტერიუმები, ბაზარზე შესვლის ბარიერები და მათი მადეტალიზებული მაჩვენებლები. თუმცა, ჯერ-ჯერობით არ არის შემუშავებული ამ მაჩვენებლებისა და კრიტერიუმების დადგენისა და ანალიზის კონკრეტული მეთოდოლოგია.

ამ პრობლემას დამატებით თან ერთვის ზოგადად საბანკო სექტორის კონკურენციის თავისებურებები, რომლებიც გარკვეულწილად განსხვავდება ეკონომიკის სხვა სექტორებში კონკურენციის ნიშნებისაგან. ამიტომაც, სპეციალურად საბანკო სექტორისათვის უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში, მსოფლიოში მუშავდება კონკურენციის შეფასების მეთოდები, რომელთა შორის განსაკუთრებულად გავრცელდა შეფასების არასტრუქტურული მეთოდები.

არასტრუქტურული მეთოდები საშუალებას იძლევა, კონკურენცია გაეანალიზოთ ბაზრის მონაწილეების მიერ მომსახურებაზე ფასის წარმოქმნის მეშვეობით. ამ მეთოდების უმრავლესობა ეფუძნება მონოპოლიურ ძალაუფლებას, რომლის ცნება შემოღებულ იქნა ა. ლერნერის მიერ 1934 წელს [6]. არასტრუქტურული მეთოდები ძირითადად ეყრდნობა წონასწორობითი ბაზრის სტატისტიკურ თეორიას, სადაც ფირმები ფასს ადგენენ ხარჯების საფუძველზე (mark-up pricing). ემპირიულ ანალიზში ფართო გავრცელება პოვა ჯ. პანზარისა და ჯ. როსის მეთოდმა, რომელიც შემუშავდა 1987 წელს და ეწოდება H-statistic [7].

პანზარ-როსის H-statistic მიდგომით შესაძლებელი ხდება გაიზომოს ფაქტორული ფასების ცვლილების ასახვის დონე ბანკის შემოსავლის ცვლილებაზე. ამისათვის, თავდაპირველად ხდება ბანკის საპროცენტო და არასაპროცენტო შემოსავლების ელასტიკურობის ეკონომეტრიკული შეფასება შემდეგი სამი ფაქტორის მიხედვით: მოზიდული სახსრების ღირებულება (AFR – Average Funding Rate), შრომითი რესურსების ღირებულება (PPE – Price of Personnel Expenditure) და სხვა ხარჯების ღირებულება (PONILE – Price of Other Non Interest and Labor Expenditure). შემდეგ ხდება შეფასებული ელასტიკურობების დაჯამება და შედეგად მიიღება H-statistic მაჩვენებელი.

პანზარ-როსის თანახმად, რაც უფრო მაღალია შემოსავლების ელასტიკურობა, მით უფრო მეტად არის ბაზარი კონკურენტუნარიანი. შესაბამისად, მონოპოლიური ან ოლიგოპოლიური ბაზრისათვის H-statistic არის უარყოფითი  $H < 0$ , მონოპოლიური კონკურენციის არსებობისას ეს მაჩვენებელი ვარირებს ნულიდან ერთამდე დიაპაზონში  $0 < H < 1$ , ხოლო სრულყოფილი კონკურენციის დროს მაჩვენებელი ერთის ტოლი უნდა იყოს  $H=1$  [8]. მონოპოლიური ბაზრის პირობებში H-statistic იღებს უარყოფით ან ნულოვან მნიშვნელობას იმის გამო, რომ მონოპოლისტის შემოსავალი საწინააღმდეგო მიმართულებით რეაგირებს წარმოების ფაქტორების

ღირებულების ცვლილებებზე. H-statistic აგრეთვე შეიძლება იყოს უარყოფითი, როდესაც ბაზარზე არსებობს მოკლევადიანი ოლიგოპოლია.

H-statistic ტოლია ერთის, როდესაც საბაზრო სტრუქტურა ფასდება, როგორც სრულფასოვანი კონკურენცია. კონკურენტუნარიან ბაზარზე წარმოების ყველა ფაქტორის ღირებულების ცვლილება პროპორციულად იწვევს როგორც ზღვრული, ასევე საშუალო ხარჯების ზრდას, რომელიც უცვლელად ტოვებს გაწეული მომსახურების მოცულობას წარმოების ფაქტორების ღირებულების ცვლილების პირობებში. ბანკმა რომ გაუძლოს გამაკაცრებულ საბაზრო პირობებს, უნდა გაზარდოს ფასები თავის მომსახურებაზე, სანამ არ გადაიფარება გაზრდილი ხარჯები. ფასის ადაპტაციის პირობებში არაეფექტური ბანკები უფრო მეტად ეფექტურები უნდა გახდნენ ან გაიფიქსირდნენ ბაზრიდან. ბანკების შემცირება ზრდის მოთხოვნას ბაზარზე დარჩენილი ბანკების მომსახურებაზე, რაც იწვევს მათ მომსახურებაზე ფასების ზრდას.

როდესაც H-statistic მდებარეობს ნულსა და ერთს შორის, ასეთი ბაზარი ხასიათდება, როგორც მონოპოლიური კონკურენცია. აღნიშნული ნიშნავს, რომ ყოველ ბანკს ჰყავს მუდმივი კლიენტი და რეაგირებს სხვა ბანკების საპროცენტო პოლიტიკისა და მომსახურების ცვლილებებზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს ბანკები მოქმედებენ როგორც მონოპოლისტები, დაბალი აუნაზღაურებელი ხარჯები და არაკონკურენტუნარიანი მომსახურება უბიძგებს ბანკებს, დააწესონ ისეთი ფასი, რომელიც მინიმუმადე შეამცირებს მათ მოგებას. ამ დროს ბანკის შემოსავლები იცვლება არაპროპორციულად წარმოების ფაქტორების ცვლილებასთან შედარებით.

H-statistic მოდელი აქტიურად გამოიყენება ემპირიულ კვლევებში, რადგან მას აქვს მთელი რიგი უპირატესობები. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ანალიზისთვის არ არის საჭირო ნაკლებად ხელმისაწვდომი მონაცემების არსებობა სექტორში არსებული ყველა ბანკის მომსახურების ღირებულებაზე. აგრეთვე არ არის საჭირო სტრუქტურული გამრავლებები, რომლებიც ახასიათებს ბანკის საწარმოო ფუნქციას. H-statistic მოდელი ასევე საშუალებას იძლევა, შევადაროთ კონკურენცია ბანკების სახეობებს შორის, მაგალითად, კომერციული და დაგროვებითი, ადგილობრივი და უცხოური და სხვ.

საბანკო ბაზარზე კონკურენციის დონის შესაფასებლად შეიძლება გამოიყენებულ იქნას ბრესნანის და ბაროს-მოდესტოს მოდელების გამოყენება [10]. აღნიშნული მოდელებით ხდება საბანკო სექტორის ცალკეულ სეგმენტებს შორის კონკურენციის დადგენა (კრედიტები, დეპოზიტები და სხვ.). ბრესნანის მოდელი თავდაპირველად გამოიყენებოდა მხოლოდ რაოდენობრივი ოლიგოპოლიის აღწერისათვის, მაგრამ მნიშვნელოვან საკითხად რჩებოდა ის, თუ რამდენად უნდა განვიხილოთ საბანკო სექტორი რაოდენობრივ ოლიგოპოლიად. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ბანკების მოქმედება უფრო მეტად შეესაბამება ფასობრივ ოლიგოპოლიას. შესაბამისად, ცალკე გამოიყენება ბრესნანის მოდელი რაოდენობრივი და ფასობრივი ოლიგოპოლიისათვის [11]. ბაროს-მოდესტოს მოდელის მიხედვით, ძირითადი ყურადღება ექცევა ბანკის მომსახურებაზე მოთხოვნას. მოთხოვნის ფუნქციის პარამეტრები განსაზღვრავს, თუ რამდენად არის ცალკეული საბანკო დარგი მონოპოლიზებული.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საბანკო სექტორში კონკურენციის დონის დასადგენად სპეციფიკური მიდგომა საჭირო. მიუხედავად იმისა, რომ ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსით ხდება კონცენტრაციის დონის განსაზღვრა ყველა ბაზრისთვის და, მათ შორის, საბანკო სექტორისთვისაც, ის არ შეიძლება მივიჩნიოთ კონკურენციის დონის განმსაზღვრელ ერთადერთ ფაქტორად საბანკო ბაზარზე. ის არ გვაძლევს ინფორმაციას საბანკო ბაზრის ცალკეულ სეგმენტებსა და მომსახურებებზე. ამიტომ საბანკო სექტორში კონკურენციის კვლევისას აუცილებლად უნდა გამოიყენოთ დამატებითი მიდგომები. ერთ-ერთი შეიძლება იყოს H-statistic მოდელი, რომელიც ფართოდ გამოიყენება საბანკო სექტორში კონკურენციის დასადგენად. ის კონკურენციას იკვლევს არასტრუქტურული მიდგომით და გვაძლევს უფრო მეტ ინფორმაციას საბანკო სექტორში არსებულ მდგომარეობაზე, რადგან ეყრდნობა ბანკების შემოსავლებისა და ხარჯების პროპორციულ ურთიერთქმედებას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“.
2. კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 30 სექტემბრის ბრძანება №30/09-3 “ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე” <http://competition.ge/ge/page2.php?p=4&m=138>
3. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=404>
4. Shaffer S., DiSalvo J. Conduct in a Banking Duopoly, *Journal of Banking and Finance*, N18, 1994, pp. 1063-1082.
5. Claessens S., Leaven L., Financial Dependence, Banking Sector Competition and Economic Growth, *Journal of the European Economic Association*, N1, 2005, pp. 179-207.
6. Lerner, Abba P., The Concept of Monopoly and the Measurement of Monopoly, *Review of Economic Studies*, N1, 1934, pp. 157-175.
7. Rosse J., Panzar j., Chamberlin vs Robinson: an empirical study for monopoly rents, *Bell Laboratories Economic Discussion Paper*, 1977.
8. Panzar J., Rosse j., Testing for “Monopoly” equilibrium, *Journal of Industrial Economics*, N35, 1987, pp. 443-456.
9. [https://www.nbg.gov.ge/uploads/depozitarycorpreshenqartulad/money\\_aggregates\\_and\\_monetary\\_ratiosgeo.xls](https://www.nbg.gov.ge/uploads/depozitarycorpreshenqartulad/money_aggregates_and_monetary_ratiosgeo.xls)
10. Bresnahan, T.F. “The Oligopoly Solution Concept is Identified”, *Economic Letters*, vol. 10, 1982; Barros F., Modesto L. “Portuguese banking sector: a mixed oligopoly?”, *International Journal of Industrial Organization*, 17, 1999.
11. Дробышевский С., Пашенко С., Анализ конкуренции в российском банковском секторе, Москва, ИЭПП, 2006 [http://www.iep.ru/files/text/working\\_papers/96.pdf](http://www.iep.ru/files/text/working_papers/96.pdf)
12. Hirschman A. O., National power and the structure of foreign trade Expanded, written in 1945, published by University of California Press, Berkeley, USA, 1980

USING HERFINDAHL-HIRSCHMAN INDEX (HHI)  
IN THE BANKING SECTOR FOR DEFINING LEVEL OF COMPETITION  
Annotation

Defining the level of competition in the Banking market still stays the methodology and methodic problem. According to the Herfindahl-Hirschman Index (HHI) suggested by the competition agency defining the level of competition in the Banking market is less effective. The proof of which are our researches and existed real situation in the Banking sector. Thus, while making analysis of the level of competition in the Banking market it is necessary to use non-structural methods of competition assessment together with structural methods. Such non-structural methods are H-statistic model, Bresnahan model, Baros-Modesto model.

ლია ელიავა  
თონა გრიგოლაშვილი

სავალუტო ინტერვენციების როლი ლარის ბაცვლითი კურსის რეგულირებაში

სავალუტო ინტერვენციები წარმოადგენს ცენტრალური ბანკების ინსტრუმენტს, რომლის საშუალებითაც ხდება ეროვნული ვალუტის კურსის რეგულირება ბაზარზე ვალუტით ვაჭრობის მეშვეობით.

სავალუტო ინტერვენციების განხორციელება და, შესაბამისად, სავალუტო კურსის რეგულირების აუცილებლობა, წარმოიშობა მცურავი სავალუტო კურსის პირობებში. ეს უკანასკნელი 1976 წლიდან არსებობს საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრ ქვეყნებში, რომლებიც მიუერთდნენ მიერთებით იამაიკის სავალუტო სისტემას. ამ სისტემით მოხდა ოქროს განდევნა საერთაშორისო ანგარიშსწორებებიდან და გაუქმდა მასთან ვალუტების გაცვლითი კურსების მიბმა. შედეგად, სავალუტო გაცვლითი კურსი გახდა მცურავი, ანუ მისი ჩამოყალიბება ხდება ღია ბაზარზე ფულზე მოთხოვნისა და მიწოდების საფუძველზე. ამასთან, მონეტარულ ხელისუფლებას მიეცა შესაძლებლობა, სავალუტო კურსის რეგულირება განახორციელოს სხვადასხვა ინსტრუმენტებით, მათ შორის, სავალუტო ინტერვენციებით.

საქართველოში 2009 წლიდან ამოქმედდა მცურავი სავალუტო კურსის რეჟიმი, რომლისთვისაც დამახასიათებელია მერყეობა, დინამიურობა, განპირობებული როგორც ეკონომიკაში მიმდინარე ობიექტური პროცესებით, ასევე სავალუტო სპეკულანტების მიზანმიმართული სუბიექტური ფაქტორებით. ამიტომაც, იმ ქვეყნებში, სადაც მოქმედებს ვალუტის მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი, ცენტრალური ბანკები ხშირად მიმართავენ ამის აუცილებლობას იწვევს ეროვნული ვალუტის კურსის ვარდნა, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ეროვნული ვალუტის მსყიდველობითუნარიანობის შემცირებას და, შესაბამისად, ინფლაციური პროცესების პროვოცირებას.

ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ხანგრძლივი ვარდნა იწვევს იმპორტის გაძვირებას, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია იმპორტზე ორიენტირებული ქვეყნებისათვის. ასეთ პირობებში საქონელზე ფასების ცვლილება მიმართულია არა წარმოების ხარჯების ცვლილებაზე, არამედ გაცვლითი კურსის ვარდნაზე. შედეგად წარმოიშობა ინფლაცია.

ვინაიდან, პრაქტიკულად, ყველა ქვეყნის ცენტრალური ბანკი ორიენტირებულია ფასების სტაბილურობის შენარჩუნებაზე, მათი ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავია ეროვნული სავალუტო კურსის სტაბილურობის შენარჩუნება. ცენტრალური ბანკები სავალუტო კურსის რეგულირებას ახორციელებენ ორი ძირითადი მეთოდის გამოყენებით: ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებით და სავალუტო ინტერვენციების განხორციელებით, რომელიც სავალუტო პოლიტიკის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ მრავალ ქვეყანაში ვალუტის გაცვლითი კურსზე მოქმედებს ისეთი საგადასახადო ნორმები, რომლებსაც ადგილი არ აქვს საქართველოში. მათ შორის უნდა აღინიშნოს საკურსო სხვაობის დაბეგვრა; სავალუტო ოპერაციებზე დაბეგვრის რეჟიმები; გადასახადები ვალუტის შექმნასა და გაყიდვაზე. სავალუტო კურსზე მოქმედებს ასევე ეკონომიკური საქმიანობის პირობები, რომლებსაც ასევე ადგილი არა აქვს ან არ სრულდება სათანადოდ საქართველოში: უცხოურ ვალუტაში ანგარიშსწორებების განხორციელების საკანონმდებლო ნორმები; საწარმოების მიერ სავალუტო ანგარიშების გამოყენების რეგლამენტაციები; სავალუტო ამონაგების აუცილებელი გაყიდვის ნორმები; საპროცენტო განაკვეთები სავალუტო კრედიტებზე, რომელიც გადაიტანება საქონლის ან მომსახურების თვითღირებულებაში; სახელმწიფო შესყიდვის წესი, დაკავშირებული ადგილობრივი ან უცხოელი მომწოდებლის არჩევასთან.

მიუხედავად მთავრობებისა და ცენტრალური ბანკების ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების მრავალფეროვნებისა, სავალუტო კურსის ცვლილებაზე ზემოქმედება საქართველოში, ტრადიციულად, სავალუტო ინტერვენციების მეშვეობით ხორციელდება.

სავალუტო კურსის დონის დადგენისა და სავალუტო ინტერვენციების განხორციელების მიზნით, ეროვნულმა ბანკმა კომერციული ბანკებისათვის უზრუნველყო სავაჭრო პლატფორმის ორგანიზება ბლუმბერგის სისტემაში ([www.bloomberg.com](http://www.bloomberg.com)) [3]. აღნიშნულ სისტემაში, სპეციალური ტერმინალის მეშვეობით, კომერციული ბანკები ერთმანეთთან დებენ გარიგებებს ვალუტით ვაჭრობაზე. ამ სავაჭრო პროცესში ეროვნული ბანკი ერთგვარა საკუთარი სავაჭრო წინადადებებით, რაც გულისხმობს სავალუტო ინტერვენციების პრაქტიკულ რეალიზებას.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მცურავი სავალუტო კურსის პირობებში სავალუტო ინტერვენციების განხორციელება დაიწყო 2009 წლის მარტიდან, როდესაც საბანკო კრიზისმა გადაინაცვლა მთლიანად ეკონომიკაში, რაც გარკვეულწილად ნეგატიურად აისახა ლარის გაცვლით კურსზეც. ეროვნული ბანკის სავალუტო ინტერვენციების 6 წლიანმა პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ღია ბაზარზე ეროვნული ბანკის ჩარევა თითქმის ყოველთვის მადალფექტიანი და სასურველი შედეგის მომტანი იყო.

საქართველოში 2008 წლის აგვისტოში დაფიქსირებულმა ლარის გაცვლითმა კურსმა აშშ დოლართან მიმართებაში 1,41 შეადგინა, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში ვარდნის ტენდენციით ხასიათდებოდა და 2009 წლის თებერვალში შეადგინა 1:1,68 თანაფარდობა. 2009 წლის 10 თებერვალს ეროვნულმა ბანკმა დაიწყო სავალუტო ინტერვენციები კომეციული ბანკებისათვის აშშ დოლარის მიწოდების გზით და ლარის გაცვლითმა კურსმა თანდათანობით შეწყვიტა ვარდნა და მცირედით გამყარდა კიდევ. მიუხედავად ამისა, ეკონომიკაში მიმდინარე ნეგატიური პროცესები აგრძელებდა ლარის გაცვლითი კურსზე ნეგატიურ ზეწოლას და, შესაბამისად, მოელი 2009 წლისა და 2010 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში ეროვნული ბანკი სისტემატურად, თვეში რამდენჯერმე აგრძელებდა სავალუტო ინტერვენციების განხორციელებას. იმ პერიოდში სავალუტო კურსი აშშ დოლართან მიმართებაში მერყეობდა საშუალოდ 1,7-1,8 ნიშნულის ფარგლებში.

სავალუტო კურსის რყევის დასტაბილურების შემდგომ, ეროვნულმა ბანკმა 2010 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო სავალუტო ინტერვენციების გზით აშშ დოლარის ამოღება, ამასთან, პერიოდულად უცხოური ვალუტის ამოღებას აბალანსებდა მისი მიწოდებით. ამ პროცესის შედეგად ლარის გაცვლითმა კურსმა მოგვიანებით იპოვა წინასწორება 1,6-1,7 ნიშნულზე.

ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული სავალუტო ინტერვენციების მოცულობა წლიურ ჭრილში მოცემულია პირველ ცხრილში.

**ცხრილი 1**

**სეზონის სავალუტო ინტერვენციები 2009-2015 წლებში (მლნ აშშ დოლარი) [4]**

წელი	ვალუტის გაყიდვა	ვალუტის ყიდვა	სხვაობა
2009	116,7	5,0	-111,7
2010	331,2	126,0	-205,2
2011	80,0	380,0	300,0
2012	65,0	220,0	155,0
2013	240,0	575,0	335,0
2014	300,0	200,0	-100,0
2015	160,0		-160,0

როგორც ცხრილიდან ჩანს, ეროვნული ბანკის მიერ წინა წლებში გაყიდული და შექენილი სავალუტო სახსრები არ იყო დიდი მოცულობის. სავალუტო კურსის მცირედი მერყეობის დროსაც კი ეროვნული ბანკი მყისიერად რეაგირებდა მასზე სავალუტო ინტერვენციების განხორციელების გზით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წლიდან მოყოლებული დღემდე, ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ინტერვენციების სახით კომერციულ ბანკებს მიაწოდა 1, 293 მლნ აშშ დოლარი, ხოლო გამოისყიდა 1,506 მლნ აშშ დოლარი. ფაქტობრივად, ეროვნულ ბანკს, განხორციელებული ინტერვენციების შედეგად, შეემატა სავალუტო რეზერვები 200 მლნ აშშ დოლარის ოდენობით.

საქართველის ეროვნული ბანკის სავალუტო ინტერვენციების პრაქტიკა და ლოგიკა დაირღვა 2014 წლის შემოდგომაზე, როდესაც ლარის გაცვლითმა კურსმა მყისიერად დაიწყო პოზიციების დაკარგვა და ორ თვეში 1,76-დან დაიწია 1,86-მდე. იყო თუ არა ეს ვარდნა განპირობებული გარე ფაქტორებით, ქვეყანაში სავალუტო ნაკადების შემოდინების შემცირებით თუ სპეკულაციური პროცესებით, ამ შემთხვევაში არ არის მნიშვნელოვანი. ფაქტობრივად, ლარის გაცვლითი კურსის მყისიერ ვარდნას უნდა გამოეწვია ეროვნული ბანკის მხრიდან ადეკვატური ქმედებები. მიუხედავად დაწყებული ნეგატიური პროცესებისა, ეროვნული ბანკის რეაქცია აღმოჩნდა დაგვიანებული და პროცესები გახდა უმართავი.

ეროვნული ბანკის მხრიდან სავალუტო ინტერვენციების დაყოვნებამ გამოიწვია პანიკური პროცესი როგორც საფინანსო წრეებში, ასევე მოსახლეობაში, ხოლო მის მიერ განხორციელებულმა ინტერვენციებმა 2014 წლის ნოემბერსა და დეკემბერში 80 მლნ აშშ დოლარის ოდენობით პრაქტიკულად ვერანაირი გავლენა ვერ მოახდინა ლარის კურსის ვარდნის პროცესის შეჩერებაზე.

დაგვიანებულმა სავალუტო ინტერვენციებმა ვერ შეაჩერა ლარის კურსის ზეგავისებრი ვარდნა, რომლის ოფიციალური კურსი 2015 წლის გაზაფხულისათვის 2,25 დონემდე დაეცა, ხოლო სავალუტო ბაზარზე კი – 2,3. ფაქტობრივად, 3 თვის განმავლობაში ლარის კურსი დაეცა 30%-ით, ანუ ქვეყანაში განვითარდა სავალუტო კრიზისი. 2015 წლის თებერვალსა და მარტში ეროვნულმა ბანკმა განახორციელა 160 მლნ დოლარის სავალუტო ინტერვენცია, და, მიუხედავად ლარის გაცვლითი კურსის შემდგომი ვარდნისა, კატეგორიულად განაცხადა უარი სავალუტო ინტერვენციების შემდგომ განხორციელებაზე. ვინაიდან, ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის აზრით, „რეზერვებით ფუნდამენტური ეკონომიკური ფაქტორების ჩანაცვლება, კონკრეტულად კი ექსპორტის, გზავნილების, ტურიზმის კლების ჩანაცვლება არის არა მარტო არასწორი ეკონომიკური გადაწყვეტილება, არამედ კონტრპროდუქტიული და უშედეგო“ [5]. დღევანდელი გადასახედიდან, როდესაც გამოქვეყნდა ექსპორტის, ტურიზმისა და უცხოური ინვესტიციების შედეგად შემოდინებული უცხოური ვალუტის ოფიციალური სტატისტიკა, ცხადია, რომ უცხოური ვალუტის შემოდინება კი არ შემცირდა, არამედ გაიზარდა კიდევაც. შესაბამისად, ჩნდება კითხვა, თუ რას ემსახურებოდა ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული 240 მლნ აშშ დოლარის სავალუტო ინტერვენციები და რატომ შეწყვიტა მან შემდგომ ასეთი ინტერვენციების განხორციელება.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, სავალუტო კრიზისის პერიოდში კომერციული ბანკების მიმდინარე ანგარიშებიდან გავიდა დაახლოებით იგივე თანხა, რაც ეროვნულმა ბანკმა დახარჯა სავალუტო

ინტერვენციების განსახორციელებლად. ფაქტობრივად, საფინანსო წრეებში წარმოქმნილი პანიკის შედეგად ქვეყნიდან დაიწყო კაპიტალის გადინება, რომლის დანაკლისიც შეივსო ეროვნული ბანკის ინტერვენციებით. მოგვიანებით, მოსახლეობაში წარმოშობილი პანიკის შედეგად, ლარის გაუფასურების თავიდან აცილების მიზნით, ფიზიკური პირების ხელზე არსებული ლარი გადასურდავდა დოლარში და დაახლოებით 250 მლნ დოლარი დეპოზიტების სახით განთავსდა კომერციულ ბანკებში.

ეროვნული ბანკის მცდელობამ, სავალუტო ინტერვენციებით შეეცაო კომერციული ბანკებიდან გადინებული კაპიტალის შედეგად წარმოქმნილი დანაკლისი და მოსახლეობის ანაბრების ზრდის ტენდენციამ მხოლოდ დროებით შეაჩერა ლარის გაცვლითი კურსის ვარდნა. 2015 წლის მარტის თვიდან ლარის კურსის ვარდნა გაგარძელდა შედარებით უფრო დაბალი ტემპებით და ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

გასულ წლებთან შედარებით, როდესაც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულ სავალუტო ინტერვენციებს დადებითი შედეგი ჰქონდა ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურების შეჩერების საქმეში, მიმდინარე წელს მსგავსი მცდელობა აღმოჩნდა არაეფექტიანი. ამის მიზეზი ისევე უნდა ვეძიოთ ეროვნული ბანკის სავალუტო ინტერვენციების პრაქტიკაში. მსოფლიოში ცენტრალური ბანკების მიერ გამოიყენება როგორც რეალური ინტერვენციები, როდესაც ხდება ცენტრალური ბანკის ფაქტობრივი ჩარევა სავალუტო ბაზარზე, და ვერბალური ინტერვენციები, როდესაც ცენტრალური ბანკი რეალური ინტერვენციების სანაცვლოდ ასაჯაროებს ინტერვენციების განხორციელების გეგმებს. ვერბალურ ინტერვენციებს ისეთივე ძლიერი გავლენა აქვს სავალუტო კურსის ფორმირებაზე, როგორც რეალურ ინტერვენციებს. თუმცა, ეს არის უცხო სახელმწიფოების ცენტრალური ბანკების საკმაოდ აპრობირებული და ეფექტიანი პრაქტიკა.

საქართველოს ეროვნული ბანკი, რამდენადაც მოწმობს პრაქტიკა, არასოდეს მიმართავდა ვერბალურ ინტერვენციას. უფრო მეტიც, 2014-2015 წლების სავალუტო კრიზისის დროს მან, ფაქტობრივად, მიმართა ვერბალური ინტერვენციის საპირისპირო ხერხს – ანტიინტერვენციულ ვერბალურ მიმართვას საზოგადოებისადმი, რაც გამოიხატა ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობის არაერთ განცხადებაში იმის შესახებ, რომ იგი არ გამოიყენებს სავალუტო ინტერვენციებს. თუმცა, მსგავსი განცხადებების პარალელურად, ეროვნულმა ბანკმა მაინც გამოიყენა სავალუტო ინტერვენციების მექანიზმი. ყოველივე ამან დაბნეულობა და ქაოსი შეიტანა ქვეყნის სავალუტო სივრცეში და ნეგატიურად იმოქმედა ლარის კურსის სტაბილურობაზე.

მსგავსი წინააღმდეგობრივი სიგნალების შედეგად ეროვნულმა ბანკმა, ფაქტობრივად, სავალუტო ბაზარს მიაწოდა საფრთხის შემცველი ინფორმაცია – რომ მისი ქმედებები არ არის პროგნოზირებადი, რაც, როგორც მოსალოდნელი იყო, ნეგატიურად აისახა ბაზრის მონაწილეების ქცევაზე. ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა თავისი დანაზოვი ლარში, გადაიყვანა უცხოურ ვალუტაში. ამ უკანასკნელის თვიური ზრდის ტემპი შეადგინდა საშუალოდ 2%-ს, სავალუტო კრიზისის დაწყებისას 2014 წლის ნოემბერში ამ მაჩვენებელმა შეადგინა 4%, ხოლო 2015 წლის იანვარსა და თებერვალში კი 7% და 6% შესაბამისად. თანხობრივად, ზემოხსენებული 4 თვის განმავლობაში, დეპოზიტების მოცულობა გაიზარდა 1,2 მლნ ლარით, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (325 ათ. ლარი) შეადგენს 27%-ს [6].

როგორც ჩანს, სავალუტო კრიზისი საკმაოდ ხელსაყრელი აღმოჩნდა საბანკო სექტორისათვის დამატებითი თანხების მოზიდვის თვალსაზრისით, ხოლო ეკონომიკისათვის კი მოიტანა არასახარბიელო შედეგი. მოსახლეობის დანაზოგების ზრდა უცვლელი შემოსავლების პირობებში ნიშნავს გადახდისუნარიანი მოთხოვნის შემცირებას, რაც აისახა კიდევაც როგორც იმპორტის მოცულობის კლებაში, ასევე ადგილობრივი წარმოების შემცირებაში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სავალუტო ინტერვენციები წარმოადგენს არა მხოლოდ ეროვნული ბანკის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს სავალუტო კურსის რეგულირებაში, არამედ ის აგრეთვე არის მძლავრი ინდიკატორი, რომლის საშუალებით შესაძლებელია ქვეყნის ეკონომიკური ზრდის როგორც სტიმულირება, ისე შეფერხება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ლ. ელიავა, ზედამხედველობის დეფიციტი საბანკო სექტორის რეგულირებაში, ჟურნალი “ბიზნესი და კანონმდებლობა”, 2009, მარტი, №3.
2. ლ. ელიავა, დეფლაცია საქართველოში: სად ვეძებთ დამნაშავეს, ჟ. “ბიზნესი და კანონმდებლობა”, №1 და №2, აპრილი-მაისი, 2013.
3. <http://www.bloomberg.com/quote/USDGEL:CUR>
4. <https://www.nbg.gov.ge/uploads/mpir/refinancinggeo.xls>
5. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=2650>
6. [https://www.nbg.gov.ge/uploads/depozitarycorporeshenqartulad/assets\\_liabilities\\_of\\_commercial\\_banks\\_totalgeo.xls](https://www.nbg.gov.ge/uploads/depozitarycorporeshenqartulad/assets_liabilities_of_commercial_banks_totalgeo.xls)
7. ავტორების გათვლები

*Lia Eliava  
Teona Grigolashvili*

## THE ROLE OF CURRENCY INTERVENTION ON REGULATION OF LARI'S EXCHANGE RATE

### Annotation

From 2009 year, in condition of floating exchange rate, currency intervention was made by NBG (National Bank of Georgia). As practice shows, effectiveness of currency intervention is high when managing Lari's exchange rate. Exception was the approach, which was used in autumn 2014, to regulate falling down of Lari's exchange rate. Late response of NBG, defective volume of implemented currency intervention, and contradicting messages for financial institutions, promoted currency crisis development. Thus there was disrupted effectiveness of currency intervention. This emerges negative trends in country's economic development.



სააღრიცხვო პოლიტიკის უორმირების ასპექტები საბიუჯეტო ორბანიზაციებში

ფინანსური რესურსების და მათი წვდომისადმი შეზღუდულობა სახელმწიფო ორბანიზაციებისგან მოითხოვს რესურსების მართვის გაუმჯობესებას, რაშიც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ხარისხიანი ინფორმაციის მომზადებას მათი წყაროებისა და ხარჯვის შესახებ. ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება და ფინანსური ანგარიშგების მომზადება საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს – IPSAS) შესაბამისად, საშუალებას იძლევა ინფორმაციის მომხმარებლებმა (საერთაშორისო ორბანიზაციებმა, მთავრობებმა, ინვესტორებმა, მოქალაქეებმა და სხვ.) მიიღონ უტყუარი და საიმედო ინფორმაცია სახელმწიფო რესურსების ხარაჯვაზე როგორც ცალკეულ ორბანიზაციებში, ისე მთლიანდ სახელმწიფოში ეკონომიკური და ფუნქციური დანიშნულების მიხედვით.

საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტიზაცია დინამიური პროცესია, რომელიც უზრუნველყოფს საყოველთაოდ აღიარებული წესების გამოყენებას აღრიცხვის სისტემის რეგულირებასა და ფინანსური ანგარიშგების ერთიანი სტრუქტურის ფორმირებაში.

საქართველოში გრძელდება საჯარო სექტორში აღრიცხვისა და ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის პროცესი. მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს ფინანსთა მინისტრის №429 ბრძანებით (31.12.2014) დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორბანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“, რითაც მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა შეტანილი სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორბანიზაციების, ამავე ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით“ განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის წესებში.

დოკუმენტში აისახა სსბასს 3-ით სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები, განსაზღვრული მოთხოვნები.

სააღრიცხვო პოლიტიკა ერთეულის მიერ აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს გამოყენებული პრინციპების, საფუძვლების, დაშვებების, წესებისა და მეთოდების ერთობლიობაა, რომელიც მაღალი ხარისხის ფინანსური ანგარიშგების შედგენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.

მოქმედი ინსტრუქციის მიხედვით, საბიუჯეტო ერთეულმა უნდა აირჩიოს სააღრიცხვო პოლიტიკა და უცვლელად გამოიყენოს მსგავსი ოპერაციების, სხვა მოვლენების ან მდგომარეობისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ინსტრუქცია სპეციალურად მოითხოვს ან ნებას რთავს ელემენტების კატეგორიზაციას, რომელთა მიმართაც შეიძლება მისაღები იყოს სხვადასხვა პოლიტიკის გამოყენება. ერთეულს სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია თუ ცვლილებას

- მოითხოვს ინსტრუქცია; ან/და
- შედეგად მოჰყვება ისეთი ფინანსური ანგარიშგება, რომელშიც უფრო საიმედო და შესაბამისი ინფორმაცია იქნება წარდგენილი ერთეულის ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების ნაკადებზე ზეგავლენის მქონე ოპერაციების, სხვა მოვლენების ან პირობების შესახებ.

სხვადასახვა საანგარიშგებო პერიოდში სააღრიცხვო პოლიტიკის უცვლელობა შესადარისს ხდის ამ პერიოდების ფინანსური ანგარიშგების მონაცემებს, რაც ფინანსური ინფორმაციის მომხმარებელს საშუალებას აძლევს, განსაზღვროს ცვლილებების ტენდენციები.

აქტივების, ვალდებულებების, ასევე სხვა ოპერაციებისა და მოვლენების მიმართ აღრიცხვის მეთოდების, აღიარებისა და შეფასებების ცვლილება განიხილება სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლად. აღიარებისა და შეფასებების განსხვავებული მეთოდების გამოყენება ისეთი ოპერაციების ან მოვლენების მიმართ, რომლებიც აქამდე არ მომხდარა ან არარასებით იყო, სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებად არ განიხილება.

სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები აქტივების და ვალდებულებების საბალანსო დირებულებაზე შეიძლება აისახოს როგორც რეტროსპექტულად, ისე პერსპექტიულად. რეტროსპექტული მიდგომის დროს ახალი სააღრიცხვო პოლიტიკა ისე ვრცელდება სამეურნეო ოპერაციებსა და მოვლენებზე თითქოს ყოველთვის გამოიყენებოდა. შესაბამისად, უნდა შესწორდეს ბალანსის ყველა იმ ელემენტის ნაშთი, სადაც აისახა მოცემული ცვლილება.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების პერსპექტიული გამოყენება გულისხმობს, რომ ახალი სააღრიცხვო პოლიტიკა გამოიყენება იმ ოპერაციებისა და მოვლენების მიმართ, რომლებიც განხორციელდება სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლის თარიღის შემდეგ. ამ ცვლილებებს წინა საანგარიშგებო პერიოდთან არავითარი შეხება არა აქვს და აისახება მხოლოდ მიმდინარე და მომავალ პერიოდებში.

სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევის საფუძვლებს ქმნის საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტები. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სახელმწიფო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებს ადგენს ფინანსთა სამინისტრო. ამისათვის მიღებული იქნა სხვადასხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები. ფაქტობრივად, აღრიცხვის არც ერთ სახის საკანონმდებლო რეგულირება არ ხდება იმ დონეზე, როგორც საბიუჯეტო ორბანიზაციების. საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საკანონმდებლო-ნორმატიული რეგულირება ძირითადად წარმოდგენილია სამ დონეზე. თითოეული აერთიანებს ნორმატიული აქტების ჯგუფს, რომლის შესრულება სავალდებულოა.

**პირველი დონე** აერთიანებს უმაღლესი იურიდიული სტატუსის ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებს, ესენია საბიუჯეტო კოდექსი, კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ და სხვა.

**მეორე დონე** მოიცავს ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებს, რომელიც მიღებულია საბიუჯეტო კოდექსის ან სხვა კანონების საფუძველზე. მათ მიეკუთვნება „საბიუჯეტო კლასიფიკაცია“, ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორბანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ და სხვა.

ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციის **მესამე დონე** ეხება გადაწყვეტილებებს, რომელსაც იღებს ხელმძღვანელი ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების წინა ორი პაკეტის მიხედვით.

საბიუჯეტო ორგანიზაციებში აღრიცხვის მთავარი პირობაა საბიუჯეტო პროცესის ყველა მონაწილის სააღრიცხვო ინფორმაციის ფორმირებისა და სისტემატიზაციის ერთიანი პრინციპების მკაცრი შესაბამისობა. სააღრიცხვო პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს საბუღალტრო სისტემის ერთიანობა და მთლიანობა. იგი მოიცავს საბუღალტრო პროცესის მეთოდურ, ორგანიზაციულ და ტექნიკურ ასპექტებს.

სააღრიცხვო პოლიტიკის მეთოდოლოგიური ასპექტები – ეს, ფაქტობრივად, ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდებია. ამ მეთოდების გამოყენებით ხდება ორგანიზაციის ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის აღრიცხვა და ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში.

სააღრიცხვო პოლიტიკის ტექნიკური ასპექტები კონკრეტულად უზენებს თუ როგორ, რა ტექნიკური საშუალებებით ხორციელდება ორგანიზაციაში მიღებული მეთოდების ასახვა საბუღალტრო აღრიცხვის წიგნებში.

სააღრიცხვო პოლიტიკის ორგანიზაციული ასპექტები გულისხმობს საბუღალტრო სტრუქტურის ჩამოყალიბებას, ცალკეული თანამდებობების პასუხისმგებლობის განსაზღვრას, სააღრიცხვო სამუშაოებთან დაკავშირებულ სამენეჯმენტო ამოცანების ურთიერთშეთანხმებას, აგრეთვე მონიტორინგს ბუღალტრული აღრიცხვის განხორციელების მეთოდებზე.

სააღრიცხვო პოლიტიკის მეთოდოლოგიურ ასპექტებს მიეკუთვნება ის მეთოდები და წესები, რომლებიც გავლენას ახდენს სააღრიცხვო ჩანაწერების შინაარსსა და ღირებულებით მანქვინებლებზე. ესენია:

- ეკონომიკური მოვლენების აღრიცხვის მეთოდები;
- ძირითადი აქტივების კლასიფიკაცია და მიკუთვნების წესი;
- ძირითადი აქტივების თვითღირებულების ელემენტების დადგენა (მაგ., სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების ასახვა თვითღირებულებაში);
- ძირითადი აქტივების რემონტის აღრიცხვის წესი;
- ძირითად და არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის და ცვეთის დარიცხვის;
- სასაქონლო-მატერიალური ფასულობების (მარაგების) მიღების ასახვის;
- სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასების;
- უიმედო და საეჭვო მოთხოვნების და ვალების აღრიცხვის მეთოდები და სხვა.

ორგანიზაციულ-ტექნიკურ ასპექტებს მიეკუთვნება:

- შიდა აღრიცხვის წესები;
- პირველადი აღრიცხვის დოკუმენტებისა და რეგისტრების ფორმები;
- ანგარიშთა გეგმა;
- ინფორმაციის დამუშავების ტექნოლოგიები;
- ინვენტარიზაციის ჩატარების დრო და ვადები და სხვა.

ორგანიზაციების მიერ სააღრიცხვო პოლიტიკის განსაზღვრა გულისხმობს აღრიცხვის წესების არჩევანს ალტერნატიულ ვარიანტებს შორის. საერთაშორისო სტანდარტებში ასახულია აღრიცხვის ალტერნატიული მეთოდები, რაც სააღრიცხვო პოლიტიკის დამოუკიდებლად შერჩევის საშუალებას იძლევა, მაგალითად,

ძირითადი აქტივებისათვის:

1. სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება:

ა. პერიოდით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ერთეულის მიერ აქტივის გამოყენება ან/და

ბ. პროდუქციის ან მსგავსი ნაწარმის რაოდენობით, რომლის მიღებაც მოსალოდნელია ერთეულის მიერ მოცემული აქტივის გამოყენებით.

2. აღიარების შემდგომი შეფასება ხდება:

ა. თვითღირებულების მოდელით ან/და

ბ. გადაფასების მოდელით

3. აქტივების ცვეთისა და ამორტიზაციის მეთოდები, წარმოდგენილია წრფივი ცვეთის, შემცირებადი ნაშთის და წარმოების ერთეულთა ჯამის მეთოდებით და სხვა.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით კი საბიუჯეტო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა „ისე უნდა შეარჩიონ და განახორციელონ სააღრიცხვო პოლიტიკა, რომ ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაში იყოს აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების ინსტრუქციით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნასთან.“

მაგრამ დღეისათვის მოქმედი საკანონმდებლო ნორმებით აღრიცხვის მეთოდების ალტერნატიული ვარიანტები თითქმის არ განიხილება.

მაგალითად, ინსტრუქციაში მითითებულია, რომ „აქტივად პირველადი ასახვის შემდგომ, ძირითადი აქტივი აღრიცხება მისი ნარჩენი (საბალანსო) ღირებულებით, რომელიც მიიღება ყველა იმ ცვლილების გათვალისწინებით, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონოდა მათი მიღების შემდეგ (მ.შ. ძირითადი კაპიტალის მოხმარება). მაშინ, როდესაც სტანდარტი გვთავაზობს აღიარების შემდგომი შეფასების ორ, თვითღირებულების ან გადაფასების მოდელს.

აგრეთვე დადგენილია ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმები და სხვა, რაც ორგანიზაციის ხელმძღვანელს არ აძლევს ალტერნატიული არჩევანის საშუალებას.

რაც შეეხება ორგანიზაციულ-ტექნიკურ საკითხებს, პირველადი საბუღალტრო დოკუმენტები, სააღრიცხვო რეგისტრების ფორმები სინთეზური და ანალიზური აღრიცხვისათვის, ანგარიშთა გეგმა, სააღრიცხვო სისტემაში ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ასახავის მეთოდები და ა.შ. დამტკიცებულია სხვადასხვა ნორმატიული აქტებით.

შესაბამისად, საბიუჯეტო დაწესებულების ხელმძღვანელობას სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისას არ აქვს აღრიცხვის მეთოდების ალტერნატიული არჩევანის შესაძლებლობა. მათი როლი სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევისა და განხორციელების საქმეში მხოლოდ საბუღალტრო საქმიანობის წარმოების ორგანიზების უზრუნველყოფით შემოიფარგლება, როგორცაა:

- საბუღალტრო სამსახურის რიცხოვნობისა და სტრუქტურის ოპტიმიზაცია;
- საბუღალტრო სამსახურის საინფორმაციო კავშირების დამყარება ინფორმაციის შიდა და გარე მომხმარებლებთან;
- ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- თანამშრომლების ფუნქციების შესრულებაზე კონტროლის ორგანიზაცია;
- დოკუმენტბრუნვა;
- არქივის წარმოება.

ეფექტობით, ასეთის მიდგომა არასწორია, რადგან სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანი არა მხოლოდ საბუღალტრო სამსახურის, როგორც სტრუქტურული ერთეულის, ამოცანების, ფუნქციების, უფლებებისა და მოვალეობების და ა.შ. განსაზღვრაა, არამედ შიდა აღრიცხვის იმ წესების ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს სამეურნეო ოპერაციების სამართლიან აღრიცხვას და ასახავს ანგარიშგებაში. მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია, თუ როგორ აისახება ცალკეული ერთეულების მიერ საკუთარი სააღრიცხვო პოლიტიკის განსაზღვრის შედეგები მსგავსი დაწესებულებების (მაგ., სამინისტროების ნაერთ ბალანსში) კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, რომელიც ვერტიკალურადაა ინტეგრირებული.

**დასკვნა:** „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ მოქმედ ინსტრუქციაში სსბას 3-ით – სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები – გათვალისწინებული მოთხოვნების ასახვას დიდი მნიშვნელობა აქვს საბუღალტრო აღრიცხვის სისტემის ორგანიზებაში, რამდენადაც ის გავლენას ახდენს სააღრიცხვო პროცესის ხარისხზე. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი ინსტრუქციით განსაზღვრული დებულებები არსებით გავლენას ვერ ახდენს სააღრიცხვო ჩანაწერების შინაარსსა და ღირებულებით მაჩვენებლებზე, რადგანაც არ იძლევა ცალკეული ერთეულების მიერ საკუთარი სააღრიცხვო პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის საშუალებას. სწორედ ამას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, თუ გავითვალისწინებთ საანგარიშგებო მონაცემების განზოგადებისას მათი შესადარისობის აუცილებლობას, კონსოლიდირებულ ანგარიშებს და მსგავსი დაწესებულებების საერთო ბალანსს, რომელიც ვერტიკალურადაა ინტეგრირებული.

#### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების სახელმძღვანელო, 2012.
2. კანონი ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ.
3. ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“.

*Mariam Vardiashvili*

### **THE ASPECTS OF FORMATION OF THE ACCOUNTING POLICY IN THE BUDGETARY ORGANIZATIONS**

#### **Annotation**

The Article reviews the elements of formation of the accounting policy in the budgetary organizations and the related problems, which may take place by reason of the current legal-and-normative acts of Georgia

*თენგიზ ვერულავა  
ნელი კელახონია*

#### **ფინანსური რისკების დაზღვევის ტენდენციები საქართველოში**

საბანკო სისტემაში, სადაც საქმიანობა წლიდან წლამდე მრავალფეროვანი ხდება, სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ რისკების მართვას. საბანკო პრაქტიკაში რისკი არის გარკვეული შემთხვევების დადგომისას ბანკისთვის ზარალის მიღების საშიშროება. იმ ბანკებში, სადაც ეფექტურად ხდება რისკების მართვა, დიდი ალბათობით, სწორადაა ორგანიზებული რისკების მართვაზე პასუხისმგებელი ერთეულების საქმიანობა. მსოფლიოში ფართოდ არის გავრცელებული საბანკო რისკების დაზღვევა. საქართველოში მსგავსი პრაქტიკა ჯერაც ჩანასახის სტადიაშია. ფინანსური რისკების დაზღვევის წილი ეროვნული ბანკის 2012 წლის ანგარიშით 0.5%-ს შეადგენს [1. გვ. 89].

საბანკო რისკი არის საბანკო საქმიანობის სიტუაციური მახასიათებელი, რომელიც გვინგენებს შედეგის განუსაზღვრელობას და ახასიათებს მოსალოდნელიდან რეალური შედეგის უარყოფითი გადახრის ალბათობას. კომერციული ბანკების უმთავრესი ამოცანაა რისკების შემცირება, რაც გულისხმობს ოპტიმალური თანაფარდობის დაცვას ერთი მხრივ კრედიტებს, დეპოზიტებს, სხვა ვალდებულებებსა და მეორე მხრივ საკუთარ კაპიტალს შორის [2. გვ. 287-288]. საბანკო რისკების სამი სახე არსებობს: საკრედიტო, საბაზრო და ოპერაციული.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესების მიხედვით, საბანკო სფეროს რეგულირებისათვის დადგენილია რისკის შემდეგი სახეები: საკრედიტო რისკი, საბაზრო და საპროცენტო რისკები, ლიკვიდობის რისკი, საოპერაციო რისკი, სამართლებრივი რისკი, რეპუტაციის რისკი, სტრატეგიული რისკი და შესაბამისობის რისკი [3]. აღნიშნული წესების შემუშავებას საფუძვლად უდევს ბაზელის ფორმატით

საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის ყოველწლიური შეხვედრები, საერთაშორისო პრაქტიკა და კომერციულ ბანკებში რისკების მართვის აუცილებლობა.

სადაზღვევო კომპანია აღდავი ბი-სი-აი მომხმარებელს სთავაზობს ფინანსური რისკების დაზღვევის შემდეგ პოლისებს: საბაჟო ვალდებულებათა შესრულების გარანტია – ფინანსური რისკის დაზღვევის პოლისი, საგარანტიო მომსახურება, სასაქონლო კრედიტის (კონსინგაციის) რისკების დაზღვევა.

„ჯიპიაი პოლინგმა“ შეიმუშავა სადაზღვევო პროგრამები, რომლებიც მიზნად ისახავს ფინანსური ინსტიტუტების პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების მინიმიზებას. მათ შორისაა: ბანკების კომპლექსური სადაზღვევო მომსახურება; ელექტრონული და კომპიუტერული დანაშაულისაგან მიყენებული ქონებრივი ინტერესის დაზღვევა; კომპანიის დირექტორებისა და მენეჯერების სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა.

ჩარტის ევროპა ს. ა. საქართველოს ფილიალი მომხმარებელს სთავაზობს ფინანსური რისკების დაზღვევის შემდეგ პროდუქტებს:

ა) საბანკო ბარათის მფლობელთა დაზღვევა;

• პოლისის მფლობელის მიერ გამოშვებული ბარათის თაღლითური გზით გამოყენება ბარათის დაკარგვის ან მოპარვის შემდეგ – დაკარგული ან მოპარული ბარათის უკანონოდ გამოყენება;

• ბარათით ბანკომატიდან აღებული ფულის გატაცება ძარცვა/ყაჩაღობის გზით – ძარცვა;

• ბარათით შექმნილი ნივთის ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა ან შემთხვევითი დაზიანება – შენაძენის დაცვა;

• ბარათის და მასთან ერთად ოფიციალური დოკუმენტაციის დაკარგვა ან მოპარვა – დოკუმენტების შეცვლა

ბ) კეთილსინდისიერების/ბოროტმოქმედებისგან დაზღვევა გულისხმობს ფულის ან სხვა ქონების დაკარგვას, რომელიც ქურდობის, თაღლითობის, დატაცების ან სხვა მსგავსი ბოროტმოქმედების შედეგია და ჩადენილია ორგანიზაციის თანამშრომლის მიერ განზრახ, დამოუკიდებლად ან სხვასთან შეთქმულებით. იგი მოიცავს შემდეგ რისკებს:

• თანამშრომლის (დამოუკიდებლად ან მესამე მხარესთან შეთქმულებაში მყოფი) მიერ დამზღვევისათვის განზრახ მიყენებული ზიანი;

• მესამე პირთა დანაკარგი სათავსებში;

• დანაკარგი გადაზიდვის დროს;

• გაყალბებული საგადასახადო დავალებები;

• ჩეკებისა და ფასიანი ქაღალდების გაყალბება;

• მესამე მხარის კომპიუტერული თაღლითობა.

გ) დირექტორებისა და ოფიცრების პასუხისმგებლობის დაზღვევა გულისხმობს დირექტორების, ოფიცრების და კორპორაციული პასუხისმგებლობის დაზღვევას და ითვალისწინებს კომპანიის, მისი შეიღობილი კომპანიების დირექტორებისა და ოფიცრების დაცვას მესამე მხარის სარჩელებისაგან. ასეთი მესამე მხარე მოიცავს: აქციონერებს, თანამშრომლებს, კლიენტებს, კონკურენტებს. პოლისით შეიძლება დაიფაროს შემდეგი: საიდუმლოს შენახვის ვალდებულების დარღვევა, შეცდომა, დაუდევრობა (მაგრამ არა პროფესიული პასუხისმგებლობა); დაზღვეული კომპანიის ან სხვა ორგანიზაციის დირექტორის ან ოფიცრის რაიმე სახის ქმედება; დასაქმების წესების დარღვევა.

დ) პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა გულისხმობს ყველა იმ ზარალის დაფარვას, რომლისთვისაც დამზღვევეს სარჩელი წარედგინება პროფესიული მოვალეობების დარღვევით გამოწვეული ზიანის გამო. არამართლზომიერი პროფესიული ქმედება მოიცავს: გაუფრთხილებლობას, შეცდომასა და დაუდევრობას; მოვალეობის შეუსრულებლობას; რწმუნების დარღვევას, მათ შორის რწმუნებულის ვალდებულებების დარღვევას; საიდუმლოს გათქმას; უფლებამოსილების შესახებ გარანტიის დარღვევას; ჭორს და ცილისწამებას (არა წინასწარ განზრახული სისხლის სამართლის ქმედება); თანამშრომელთა არაკეთილსინდისიერებას, თაღლითობას, ბოროტგანზრახვით ან სისხლის სამართლის ქმედებას; დოკუმენტების (და კომპიუტერული სისტემების) დაკარგვას; სასამართლოში დასწრების ხარჯების ანაზღაურებას. საინტერესოა რომ ჩარტის ევროპა ს.ა. საქართველოს ფილიალი ფინანსურ რისკებში აერთიანებს პასუხისმგებლობის დაზღვევას. საზღვარგარეთაც მიღებულია მსგავსი პრაქტიკა.

„აი-სი“ ჯგუფი მომხმარებელს სთავაზობს ფინანსური რისკების დაზღვევის შემდეგ პროდუქტებს: კომპლექსური საბანკო დაზღვევა, საქმიანობის დროებით შეჩერებისგან დაზღვევა, გირაოს დაზღვევა, საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის მიერ მოთხოვნილი ფინანსური გარანტიები, სხვა ფინანსური გარანტიები.

საქართველოში ფინანსური რისკების დაზღვევას გარკვეულ სტიმულაციას აძლევს სახელმწიფო. სახელმწიფო ითხოვს გარანტებს კომპანიებისგან (გარანტი არის ფინანსური ინსტრუმენტი, რომელსაც გასცემს ან ბანკი, ან სადაზღვევო კომპანია). სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურები არ აფორმებენ ხელშეკრულებას შემსრულებლის მიერ გარანტიის პოლისის წარდგინის გარეშე, არც წინასწარ თანხებს რიცხავენ, რაც იმას ნიშნავს რომ ფინანსური რისკებისაგან დაზღვევა ნელ-ნელა ფეხს იკიდებს სადაზღვევო ბაზარზე.

ფინანსური რისკების დაზღვევის პროდუქტებიდან გამოყოფენ შემდეგ სადაზღვევო პაკეტებს:

საგარანტიო მომსახურება – წინასაგანდერო გარანტია (საჭიროა იმისათვის, რომ კლიენტმა ტენდერში მიიღოს მონაწილეობა); ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (იმისათვის, რომ კლიენტმა ბენეფიციართან გააფორმოს ხელშეკრულება); საავანსო გადახდის საგარანტიო უზრუნველყოფა (ბენეფიციართან წარსადგენად წინასწარ ავანსის ასაღებად); საბაჟო გარანტია (რაიმეს დროებითი განბაჟების ან დროებითი გადამუშავების რეჟიმში მოსაქცევად); TIR-ის გარანტია (საერთაშორისო გადაზიდვებისათვის ლიცენზიის მისაღებად) და ხარისხის გარანტია (ამა თუ იმ სამუშაოს დასრულების შემდეგ ბენეფიციარი

შემსრულებელს უკავებს პროექტის ღირებულების გარკვეულ პროცენტს მასზე, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში თუ რაიმე დეფექტი აღმოიფხვრა, დაკავებული თანხის მეშვეობით კლიენტი აღმოფხვრის ამ დეფექტებს. ხარისხის გარანტიის წარდგენის შემთხვევაში დაკავებული თანხა კლიენტს უბრუნდება და ამ გარანტიის მეშვეობით ხდება მომავალში ზარალის ანაზღაურება.

ფინანსური გარანტიებიდან ყველაზე აქტიური მოთხოვნა არის წინასატენდერო, ხელშეკრულების შესრულების და საავანსო გარანტიებზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, ფინანსური რისკების დაზღვევა წარმოდგენილია სამი ტიპის პოლისით: ფინანსური დანაკარგებისგან დაზღვევა, ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა, საკრედიტო ვალდებულებათა დაზღვევა.

ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა (ცხრ. 1) პირველი ოთხი წელი ზრდადი იყო, ხოლო 2012 წელს ადგილი ჰქონდა ვარდნას თითქმის 50%-ით. საფინანსო დანაკარგებისგან დაზღვევის (ცხრ. 2) დინამიკა არის ზრდადი. საკრედიტო ვალდებულებათა დაზღვევისთვისაც (ცხრ. 3) ასევე დამახასიათებელია ზრდადი დინამიკა, თუმცა მისი ბაზარი ნაკლებად სტაბილურია, რადგან მუდმივად იცვლება კომპანიები ან აკლდება ძველი, ან ემატება ახალი მოთამაშე.

### ცხრილი 1

ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა [4]

№	სადაზღვევო კომპანია	2008	2009	2010	2011	2012
1	აღლადი ბი-სი-აი	2008758	1569440	686649	1469155	793669
2	"იმედი L International" *	482912	331107	482801	507635	258962
3	ჯი-პი-აი ჰოლდინგი	507543	963617	1160358	1740533	1351179
4	„სახალხო დაზღვევა“	1036899				
5	„არდი ჯგუფი“			612191	2223767	1879410
6	„ირაო“	3062868	3511620	1169884	172010	1936
7	ტაო	645436	1332159	463788	88077	24312
8	„სტანდარტ დაზღვევა“			3018	22416	48037
9	აი-სი ჯგუფი	1174445	1962263	1117564	241664	54699
10	პარტნიორი	137384	68101	150732		
11	ვესტი	6150889	9387349	5618801		
12	მობიუსი		222351	2818485		
13	უნისონი				562318	427476
	ჯამი	15207134	19348007	14284271	7027574	4839680

### ცხრილი 2

საფინანსო დანაკარგებისგან დაზღვევა [4]


№	სადაზღვევო კომპანია	2008	2009	2010	2011	2012
1	ჯი-პი-აი ჰოლდინგი	559 321	421039	415444	504248	498320
2	„სახალხო დაზღვევა“	58746				
3	„ქართუ“		29750		38957	37341
4	„ირაო“	26103	171290	176771		750031
5	ჩართისი ჯორჯია	34122	13600	400558	577368	248 000
6	აი-სი ჯგუფი	94645	328030	253266	278422	255365
7	პარტნიორი	18738				
8	ვესტი			6374		
9	უნისონი				14496	240482
	ჯამი	791674	963709	1252414	1413490	2029654

### ცხრილი 3

საკრედიტო ვალდებულებათა დაზღვევა [4]

№	სადაზღვევო კომპანია	2008	2009	2010	2011	2012
1	"იმედი L International" *		952	18,012	908,727	8,648
2	ქართუ	12,796	9,438			
3	„არდი ჯგუფი“					83,092
4	ტაო					398,916
	ჯამი	12,796	10,391	18,012	908,727	490,656

ექსპერტთა აზრით, ფინანსური რისკების დაზღვევის ბაზარი საქართველოში ზრდადია და თანდათან ვითარდება. ქვემოთ მოცემული გრაფიკიდანაც ნათლად ჩანს, რომ წლის დასაწყისისთვის გაფორმებული პოლისები ყოველთვის არ მუშაობდა წლის ბოლომდე.



გრაფიკი 1  
ფინანსური რისკების პოლისების გაყიდვების სტატისტიკა 2009-2012 წწ. [4]

როგორც ვხედავთ, არც ერთი სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურა არ აფორმებს ხელშეკრულებას შემსრულებლის მიერ გარანტიის პოლისის წარდგენის გარეშე, არც წინასწარ თანხებს რიცხავენ, რაც იმას ნიშნავს რომ ეს პროდუქტი ნელ-ნელა ფეხს იკიდებს სადაზღვევო ბაზარზე.

ეროვნული ბანკის მონაცემებით, ფინანსური რისკების დაზღვევა წარმოდგენილია სამი ტიპის პოლისით: ფინანსური დანაკარგებისგან დაზღვევა, ვალდებულებათა დაზღვევა, საკრედიტო ვალდებულებათა დაზღვევა. დღესდღეობით გაიცემა შემდეგი სახის ფინანსური გარანტიები: წინასატენდერო გარანტია, ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, საავანსო გადახდის საგარანტიო უზრუნველყოფა, საბაჟო გარანტია, TIR-ის გარანტია (საერთაშორისო გადაზიდვებისათვის ლიცენზიის მისაღებად) და ხარისხის გარანტია. პროდუქტის განვითარებისთვის ხელის შემშლელი ფაქტი იქნება, პირველ რიგში, თუ რომელიმე სადაზღვევო კომპანია ისე არ აანაზღაურებს ზარალს, როგორც გარანტიაში აქვს გაწერილი და ეს უკვე გამოიწვევს სადაზღვევო კომპანიებისადმი ნდობის დაკარგვას. სწორედ სადაზღვევო კომპანიებისადმი ნდობის არარსებობის ბრალია, რომ ბევრი ბენეფიციარი მხოლოდ ბანკიდან წარმოდგენილ ფინანსურ გარანტიას ითხოვს, რაც ხელს უშლის სადაზღვევო ბაზარზე ამ პროდუქტის განვითარებას. აქვე აღსანიშნავია, რომ პროდუქტის უმთავრესი ნაკლია ის გარემოება, რომ ის არ არის მხოლოდ დაზღვევის პროდუქტი და მისი გაცემა ბანკებსაც შეუძლიათ.

ამრიგად, საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე ფინანსური რისკების დაზღვევა ნაკლებად განვითარებული. დღესდღეობით მხოლოდ რამდენიმე სადაზღვევო კომპანია გაცემს ფინანსურ გარანტიებს. სადაზღვევო ბაზარზე საერთოდ არ არსებობს ფინანსური რისკების დაზღვევის პროდუქტი, რომლის გაცემა მხოლოდ სადაზღვევო კომპანიების პრეროგატივაა. ბანკები იყენებენ შიდა რისკმენეჯმენტს, რომელსაც არეგულირებს ეროვნული ბანკი. შეიძლება ითქვას, რომ ფინანსური რისკების დაზღვევაში ბანკები გვევლინება სადაზღვევო კომპანიების კონკურენტებად. სადაზღვევო სფეროში ფინანსური რისკების დაზღვევის განვითარების ხელის შემწყობ ფაქტორად შეიძლება განვიხილოთ პროექტების ზრდა, რომლებზედაც გამოცხადდება ტენდერები. ასევე მნიშვნელოვანია სადაზღვევო კომპანიებისადმი ნდობის ფაქტორის ამაღლება. ამით მეწარმე შეეცდება, ფინანსური გარანტიის საჭიროებისას მიმართოს არა ბანკს, არამედ სადაზღვევო კომპანიას.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიში (2012 წელი).
2. ბერიძე რ., საბანკო მენეჯმენტი, თბილისი, 2009.
3. დებულეა „კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე“, საქართველოს ეროვნული ბანკი, ბრძანება №71, 2008, 17 მარტი.
4. საქართველოს ეროვნული ბანკი. სადაზღვევო ბაზრის სტატისტიკური მაჩვენებლები.

FINANCIAL RISK INSURANCE TRENDS IN GEORGIA  
Annotation

The theme of article is financial risk management and insurance system development trends in Georgia and formation of its key features, how companies manage their financial risks in Georgia and if this risks are insured, what kind of financial risk is insured by Georgian insurance companies and what is the dynamics of financial risk insurance, etc. The development of the insurance sector primarily depends on several issues such as: formation of insurance companies' culture, stabilization of economy, if societies trust for insurance companies grows. These factors impede the development of insurance sector.

თვა კასრადჲ

ფინანსური კრიზისების თეორიული ასპექტები

მსოფლიო საფინანსო სივრცე მიმდინარე კომპლექსური ტრანსფორმაციის პირობებში სულ უფრო და უფრო ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული ხდება, რაც ართულებს ფინანსური პრობლემების (კრიზისების) თავიდან აცილების, შეჩერების და გადაჭრის შესაძლებლობებს. ღია ეკონომიკების პირობებში კაპიტალის თავისუფალმა და სწრაფმა მოძრაობამ, სარგებლის გარდა, ხელი შეუწყო ეკონომიკების და ინსტიტუტების ურთიერთდამოკიდებულების ზრდას და თანამედროვე ფინანსური სექტორის რყევების გაფართოებას ფინანსურ კრიზისებში გადაზრდის პოტენციური შესაძლებლობით.


ფინანსური კრიზისი, ფართო გაგებით, ეს არის სიტუაცია, როცა ფინანსური აქტივები მოულოდნელად კარგავენ მათი ნომინალური ღირებულების დიდ ნაწილს. ფინანსური კრიზისის სახეებია: საბანკო, სავალუტო, ფასიანი ქაღალდების ბაზრის, საერთაშორისო საფინანსო და ფართომასშტაბიანი ეკონომიკური კრიზისი.

**საბანკო კრიზისი** შეიძლება, ერთი მხრივ, გამოწვეული იყოს ბანკის ვალდებულებების შეუსრულებლობით, რასაც, საბოლოო ჯამში, მიყვავართ დეპოზიტარების დენასთან ბანკიდან, მეორე მხრივ კი ბანკის კუთვნილი უძრავი ქონების და სხვა აქტივების, მათ შორის გარანტიების ფასების მკვეთრი დაცემით.

როცა ქვეყნის ფინანსურ ინსტიტუტებს და კორპორაციებს აღარ შესწევთ უნარი, დროულად მოემსახურონ ნაკისრ ვალდებულებებს, შედეგად საბანკო სისტემის აგრეგირებული კაპიტალი მთლიანად ან თითქმის მთლიანად ქრება. ამის შემდგომი ნაბიჯია ფასიანი ქაღალდებისა და უძრავ ქონებაზე ფასების დაცემა, შემდეგ საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი ზრდა, რაც ამცირებს კაპიტალის მოძრაობას. შემდგომ ეტაპზე იწყება დეპოზიტორების გაქცევა ბანკებიდან, რაც ფინანსური სისტემის დააგადების საბოლოო გამოვლინებაა [1].

დეპოზიტების გაღივების მიზეზი ხშირად კონკრეტული ბანკების ირგვლივ აგორებული ჭორებიც შეიძლება გახდეს, რასაც, თუ დროულად არ იქნება დარეგულირებული, შეიძლება საბანკო პანიკა მოჰყვეს. საბანკო პანიკა კი ხშირად საბანკო სისტემის კრახით სრულდება.

საბანკო კრიზისმა შეიძლება ინიცირება მისცეს სავალუტო კრიზისს და პირიქით. ხშირად მას თანმდევი (twin) კრიზისად მოიხსენიებენ.



**უცხოური ვალუტის კრიზისი/სავალუტო კრიზისი** შეიძლება განიმარტოს, როგორც მნიშვნელოვანი ცვლილება მოკლე პერიოდში: 1. ვალუტის დიდი გაუფასურება/დევალვაცია რომელიმე წამყვანი ვალუტის მიმართ ან საერთაშორისო ვაჭრობაში გამოყენებული წამყვანი ვალუტების კალათის მიმართ და 2. ცენტრალური ბანკის ინტერვენციები ვალუტის გაცვლითი კურსის დასაცავად დიდი მოცულობით სავალუტო რეზერვების გაყიდვით ან საპროცენტო განაკვეთების მნიშვნელოვანი აწევით, რაც შთანთქმავს ზეწოლას ზემოხსენებულ გაცვლით კურსზე.

**სპეკულაციური საპნის ბუშტები და კრახები (ფასიანი ქაღალდების ბაზრის კრიზისი).** საპნის ბუშტის მახასიათებელია ადამიანთა მზადყოფნა, გადაიხადონ ამა თუ იმ აქტივში მის რეალურ ღირებულებაზე გაცილებით მეტი. საპნის ბუშტის ცნობილი ისტორიული მაგალითია 1920 წლის საფონდო ბირჟის კრახი. ამ შემთხვევაში სპეკულაციური საპნის ბუშტის „გაბერვა“ იმან გამოიწვია, რომ ადამიანებმა, რომლებსაც მანამდე ინვესტორთა აზრადაც არ მოსვლიათ, მასიურად დაიწყეს ფულის სესხება და აქციებში დაბანდება, რათა ხელიდან არ გაეშვათ გამდიდრების შანსი. ეიფორია სულ უფრო და უფრო მატულობდა, საფონდო ბირჟის

ახალი ამბები კი დიასახლისების, დოკერებისა და დამლაგებლების განსახილველ თემად გადაიქცა. ეს ყოველივე 1929 წელს ბუშტის გასკდომითა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით დასრულდა [2].

**საერთაშორისო საფინანსო კრიზისის** საგადასახადო ბალანსის კრიზისსაც უწოდებენ. ეს არის სიტუაცია, როცა ქვეყანას არ შესწევს უნარი, მოემსახურის ნაკისრ (სუვერენულ) ვალდებულებებს. ამ სიტუაციას სუვერენულ დეფოლტსაც უწოდებენ.

**ფართომასშტაბიანი ეკონომიკური კრიზისისთვის დამახასიათებელი ნიშნებია** რეცესია, დეპრესია, ეკონომიკური სტაგნაცია, უმუშევრობის ზრდა, ცხოვრების დონის დაცემა, დანაშაულის ზრდა და სხვ. თუმცა ბევრი მეცნიერ-ეკონომისტი მას ფინანსური კრიზისის ნაწილად მიიჩნევს, უფრო მეტიც, თვლიან, რომ ფართომასშტაბიანი ეკონომიკური კრიზისის საფუძველი ფართომასშტაბიანი ფინანსური კრიზისია.

თუ ზემოთ მოყვანილ კრიზისთან რომელიმე შეუძლია სერიოზული ზიანის მიყენება ფინანსური სისტემის ფუნქციონირების უნარისათვის, მაშინ საქმე გვაქვს სისტემურ რისკთან. ნებისმიერ საფინანსო სისტემას, სადაც ინსტიტუტები ურთიერთდაკავშირებულნი არიან აქტიური ბანკთაშორისი ბაზრით, აქვს სისტემური რისკის პოტენციალი [3].

სისტემური რისკი ნეგატიურ გავლენებს ახდენს მთლიან ეკონომიკაზე:

- ამცირებს ერთობლივ ეროვნულ პროდუქტს და შესაბამისად დასაქმებას;
- ანგრევს საგადასახადო სისტემას, რასაც მიყვარათ საწარმოთა გადახდისუნარობამდე / გაბანკროტებამდე, მომგებიანი პროექტების დაკრედიტების შეწყვეტამდე;
- იწვევს უძრავი ქონების ფასების კოლაფსს, რასაც მიყვარათ სიმდიდრისა და მოხმარების შემცირებამდე და გაურკვევლობის ზრდამდე.
- სწრაფად ეცემა მომხმარებელთა და ინვესტორთა ნდობა.

ეკონომიკურ შოკებს სისტემური რისკით აქვს პოტენციური შესაძლებლობა, გავრცელდეს ნაციონალური ეკონომიკების მიღმა და დააავადოს სხვა სისტემები და ქვეყნები. ყველაზე დაუცველი ის ქვეყნებია, რომელთაც ფუნდამენტური კავშირები (პოლიტიკური, სავაჭრო, სავალუტო) აქვთ ინფიცირებულ წყაროებთან ან მსგავსი სოციალურ-ეკონომიკური პირობები გააჩნიათ.

1970 წლიდან მოყოლებული დღემდე, მსოფლიოს 125-ზე მეტმა ქვეყანამ, მათ შორის ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც, მინიმუმ ერთი სერიოზული საფინანსო ან საბანკო კრიზისი მაინც გადაიტანა. ნახევარზე მეტ შემთხვევაში განვითარებადი ქვეყნების საბანკო სისტემები გადახდისუნარო გახდა და 40-ზე მეტ შემთხვევაში კრიზისის დაძლევის საფასური ქვეყნებს საშუალოდ მშპ-ის 13% დაუჯდათ [3].

აქვე შევხებით ფინანსური რისკის გამომწვევ იმ ძირითად მიკრო და მაკროფაქტორებს, რომლებიც, ვფიქრობთ, არ არიან შესაბამისად გაკონტროლებული და არსებობს შესაძლებლობა, რომ სხვადასხვა სახის და ხარისხის კრიზისებში გადაიზარდოს.

რისკი, მარტივად რომ ვთქვათ, არის გაზომვადი შესაძლებლობა/აღბათობა დაკარგვის ან მოგების არმიღების. საბაზრო ეკონომიკის პირობებში კერძო საწარმოს უმთავრესი მიზანია დაინტერესებული მხარებისთვის/პარტნიორთათვის მდგრადი ღირებულების შექმნა და ამ მიზნის მიღწევისას რისკავს მათი კაპიტალით.

კერძო საწარმოს უმთავრესი მიზნის მიღწევის მიკროდონის რისკები, რომლებიც ძირითადად ფირმის/ორგანიზაციის შიგნით წარმოიშობა, შეიძლება ოთხ კატეგორიად დაიყოს:

1. მართვასთან, საორგანიზაციო, სტრატეგიულ, მოდელთან და რეპუტაციასთან დაკავშირებულ რისკად;
2. მომხმარებელთა/გარიგების მონაწილეთა კრედიტუნარიანობის გაუარესებასთან დაკავშირებულ რისკად;
3. ზემოქმედებების/გავლენების კონცენტრაციად;
4. სამართლებრივ/საოპერაციო რისკებად (არასრულფასოვანი კონტრაქტები, კანონის მოთხოვნებთან შეუსაბამობა, არასწორი აღრიცხვა და შიდა პროცედურები, გაუფრთხილებლობა/გულგრილობა, IT შემთხვევები და დანაშაულობები, გადახდის უნარობა, თაღლითობა, ფულის გათეთრება).

არსებობს რისკების შემცირების სხვადასხვა ტექნიკა, რომელთა ფასი მეტ-ნაკლებად მძიმეა, თუმცა არსებობს რისკები, როგორებიცაა რეპუტაციის და სტრატეგიული რისკი, რომელთაგან დაზღვევა პრაქტიკულად შეუძლებელია. რეპუტაცია არის არამატერიალური და ძვირფასი აქტივი, რომელიც ხშირად წლების მანძილზე შენდება კარგი მენეჯმენტით და ხარისხიანი მომსახურებით. იგი შეიძლება კომპრომენტირდეს გულგრილობით და სიძუნწით, რამაც საწარმოს დანგრევამდე შეიძლება მიგვიყვანოს.

ასეთი ნაკლოვანებებით გამოწვეული თითქოსდა სუსტი, უმნიშვნელო პრობლემები ისეთ მასშტაბურ კრიზისშიც შეიძლება გადაიზარდოს, როგორცაა აზიის 1997 წლის ფინანსური კრიზისი. ამ კრიზისმა მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტი 2 ტრილიონი დოლარით შეამცირა [4].

- გარდა ამ კატეგორიის რისკებისა, არსებობს **გარე ფაქტორებით გამოწვეული რისკები**:
- კანონმდებლების, პოლიტიკოსების და გავლენიანი ჯგუფების ჩარევები;
  - ეკონომიკური შოკები;
  - სოციალურ-ეკონომიკური ძალადობა ან შეიარაღებული კონფლიქტები;
  - კორუფცია და დანაშაულობები;
  - სისტემური ან გადამდები რისკები;
  - ბაზრის ძალების ბოროტად გამოყენება;
  - ეკოლოგიური ან ადამიანთა მიერ გამოწვეული კატასტროფები და უბედურებები;
  - რეგულირებადი გადახდისუნარობები; და
  - ბაზრების არამდგრადობით გამოწვეული რისკები (ვალუტთან, ფასთან ქაღალდებთან, დერივატივებთან, უძრავ ქონებასთან, საპროცენტო განაკვეთებთან, ვალუტასთან, გადასახადებთან და სხვ. დაკავშირებული რისკები).

დასკვნები, რაც შეიძლება უახლოესი წარსულის გაკვეთილებით გაკეთდეს, არის ის, რომ:



1. ქვეყნები, რომლებმაც გადაიტანეს ფინანსური კრიზისები, ხასიათდებიან ბევრი მსგავსი, საერთო ნიშნებით: მთავრობების მითითებით და ნაცნობებზე გაცემული სესხები; ფინანსური სისტემის სუსტი ზედამხედველობა; არაადეკვატური საკანონმდებლო ინფრასტრუქტურა; კრედიტის კულტურის არარსებობა, რომლის დროსაც მსესხებელი და ინვესტორი გადაწყვეტილებას იღებენ დამოუკიდებელი შეფასების და ფინანსური ანალიზის საფუძველზე; განუვითარებელი ფასიანი ქაღალდების და გრძელვადიანი შეფასების და ფინანსური ანალიზის საფუძველზე; განუვითარებელი ფასიანი ქაღალდების და გრძელვადიანი შეფასების და ფინანსური ანალიზის საფუძველზე; ადრიცხვის ადეკვატურობის და ტრანსპარანტულობის ნაკლებობა; კორპორატიული მართვის არაეფექტური სისტემები; და ფინანსური ინსტიტუტების მიერ გაწეული გადაჭარბებული და არაგონივრული რისკები, გაწეული მთავრობების ცხადი და არაცხადი გარანტიებით და სხვ.

2. კრიზისულ ქვეყნებს მსგავსი, საერთო ნიშნების გარდა, ჰქონდათ ინდივიდუალური მაპროვოცირებელი ელემენტებიც, რომლებმაც ხელი შეუწყო და, ხშირ შემთხვევაში ბიძგიც მისცვა გარკვეულ შემთხვევებს: სუსტი ფიქსირებული გაცვლითი კურსის რეჟიმები, ხშირად ხელოვნურად მიბმული აშშ დოლართან; ვალის და აქტივების ფასების მნიშვნელოვანი დეფლაცია; მიმდინარე საგადამხდელო ბალანსის მყარი დეფიციტი, ხშირ შემთხვევაში, დაფინანსებული არასტაბილური უცხოური მოკლევადიანი კაპიტალის შემოდინებით;

მე-3 მნიშვნელოვანი დასკვნა, რაც შეიძლება გაკეთდეს კრიზისის გამომწვევი საერთო ნიშნების გაანალიზებით, არის ის, რომ ქვეყნებს, ძლიერი ფინანსური ინფრასტრუქტურით, მათ შორის კარგი კადრით (და არა მხოლოდ ზედამხედველობის და რეგულირების თეორიული სისტემებით), საკანონმდებლო ბაზით და დაცული კერძო საკუთრების უფლებებით, აქვთ უფრო მეტი იმუნტეტი ფინანსური შოკების მიმართ და სტაბილური ზრდის მანქანებელი. ფინანსური სისტემის სტაბილურობა ბაღებს ნდობას, რომელიც სასიცოცხლოდ აუცილებელია კარგად ფუნქციონირებადი, კონკურენტუნარიანი ფინანსური სისტემისათვის [5]. კორპორაციული მართვის სუსტმა სამართლებრივმა ინსტიტუტებმა აზიის კრიზისის ქვეყნებში მნიშვნელოვნად განაპირობა ვალუტის გაუფასურება და ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ფასების დაცემა. გამოცდილებამ აჩვენა, რომ კორუფციის მასშტაბები, საკანონმდებლო ბაზა და სასამართლო ხელისუფლება, ეს ის ფაქტორებია, რომლებსაც შეუძლია კრიზისის სიღრმეზე გავლენის მოხდენა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Luc Laeven and Fabian Valencia, Systemic Banking Crises: A New Database, IMF Working Paper, November, 2008.
2. ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის უძრავი ქონების ფასების ინდექსი: ამ ეტაპზე თბილისის უძრავი ქონების ბაზარზე ფინანსური სპეკულაციის სიმპტომები არ შეინიშნება, <http://www.iset.ge/blog/?p=4562>
3. Zuhayr Mikdashi, Regulating the Financial Sector in the Era of Globalization,
4. Ramon Moreno, What Caused East Asia's Financial Crisis?  
<http://www.frbsf.org/economic-research/publications/economic-letter/1998/august/what-caused-east-asia-financial-crisis/>
5. კასრაძე თ., ფინანსური გლობალიზაცია – პოზიტიური და ნეგატიური გავლენები განვითარებად ქვეყნებზე, ე. კონომისტი, №2, 2014.

Tea Kasradze

### THEORETICAL ASPECTS OF FINANCIAL CRISES Annotation

Under the conditions of current complex transformation, the financial world becomes increasingly intertwined and interdependent. This obstructs the measures aimed at avoiding, stopping and solving financial problems (crises). Unhindered and swift movement of capital in open economies, apart from gain, contributed to increase in interdependence of economies and institutions as well as trembles of modern financial sector that can eventually transform into financial crises.

The present article discusses the categories of financial crises, as well as the major micro and macro factors causing the financial risks; the conclusions are made based on the lessons learned in the recent past in terms of the factors escalating crises and factors enabling us to avert these crises.

ქეთევან კოკია

### ფასიანი ქაღალდების ბაზარი და მისი ბანკოთარება საქართველოში

ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის აუცილებელი პირობაა ფინანსური ბაზრების განვითარება. განვითარებული ფინანსური ბაზრები ქვეყანაში საერთაშორისო კაპიტალის მოზიდვის, ინვესტიციების ზრდის და ადგილობრივი ფინანსური რესურსის ეფექტიანი გადანაწილების წინაპირობაა.

საქართველოში ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონი და სხვა საკანონმდებლო აქტები აწესრიგებს. თითოეული ემიტენტის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რეესტრს აწარმოებს თავად ემიტენტი [ემიტერე-გამომშვება]. იურიდიული პირი: ბანკი, დაწესებულება, სახელმწიფო ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლების მმართველობის ორგანო, რომელიც მიმოქცევაში უშვებს ფასიან ქაღალდებს და კისრულობს ამ ფასიანი ქაღალდების მფლობელების მიმართ გარკვეულ ვალდებულებებს; 2. საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც უშვებს ფასიან ქაღალდებს (საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, მუხლი 1, პუნქტი 16) ან ფასიანი ქაღალდების რეესტრატორი. რეესტრში აღნიშნული რეესტრირებული მფლობელების და მათ მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, კლასი და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ინფორმაცია. საფონდო ბირჟა, ცენტრალური დეპოზიტარი, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორები და საბროკერო კომპანიები წარმოადგენენ ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებად მონაწილეებს. ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეები არიან ბაზრის რეგულირებადი მონაწილეები, ემიტენტები, ინვესტორები და აუდიტორები.

საქართველოს საფონდო ბირჟა დაფუძნებულია 1999 წლის დასაწყისში, ხოლო საბირჟო ვაჭრობები დაიწყო 2000 წლის გაზაფხულიდან. 2000 წლიდან ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებას ახორციელებდა საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია, ხოლო 2008 წლიდან ამ ფუნქციას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი. საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში ამა თუ იმ ფასიანი ქაღალდის მოსახვედრად საჭიროა ემიტენტმა ბირჟას თავად მიმართოს განცხადებით.

ამჟამად საქართველოში შემდეგი ფასიანი ქაღალდები არსებობს:

- კორპორაციათა (სააქციო საზოგადოებათა) აქციები,
- კორპორაციათა ობლიგაციები,
- ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდები (სადეპოზიტო სერტიფიკატები) სახელმწიფო ობლიგაციები.

სახელმწიფო ობლიგაციები, რომლებსაც ფინანსთა სამინისტრო 1997 წლის აგვისტოდან უშვებდა, 2006 წლის ზაფხულის შემდეგ მიმოქცევაში აღარ არის, ვინაიდან ფინანსთა სამინისტრომ მათი ემისია გაურკვეველი ვადით შეაჩერა. საქართველოს საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული 2000 სააქციო საზოგადოებიდან მხოლოდ 242 საწარმოს აქციებით ხდება ვაჭრობა.

რაც შეეხება საფონდო ბირჟას, ეს ინსტიტუტი ჩვენში ერთადერთია და არის "საქართველოს საფონდო ბირჟა". საფონდო ბირჟა, ცენტრალური დეპოზიტარი, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორები და საბროკერო კომპანიები წარმოადგენენ ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებად მონაწილეებს. მათზე ლიცენზიებს გასცემს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია. საერთოდ კი, ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეები არიან ბაზრის რეგულირებადი მონაწილეები, ემიტენტები, ინვესტორები და აუდიტორები.

საქართველოში ფინანსური ბაზარი ჯერ კიდევ განვითარების სტადიაშია. ბიზნესისთვის ფინანსური რესურსის მოზიდვის ძირითად წყაროს კომერციული ბანკებიდან აღებული სესხი წარმოადგენს, ხოლო სააქციო კაპიტალით დაფინანსების წყარო შედარებით გამოუყენებელია. ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება მთავრობის მიერ გამოცხადებულ ქვეყნის განვითარების სტრატეგიაშია ასახული და პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

საზოგადოდ, განვითარებულ ქვეყნებში საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაშვებული ფასიანი ქაღალდების სიას ლისტინგი ჰქვია. მაგრამ ჩვენთან, როგორც განვითარებად ქვეყანაში, საფონდო ბირჟაზე დაშვების 2 საფეხური არსებობს (ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, მოლდავეთში 3 საფეხურიც კი იყო): პირველი საფეხურია ბირჟის სავაჭრო სისტემა (ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, თუ როგორ ხდება აქ დაშვება) და მეორე საფეხურია ლისტინგი, რომელიც ემიტენტს უფრო მეტი პირობის შესრულებას ავალდებულებს. კერძოდ, ფასიანი ქაღალდის ლისტინგში მოსახვედრად საჭიროა ემიტენტის საკუთარი კაპიტალის ოდენობა იყოს არანაკლებ 100 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტი, ემიტენტის საქმიანობის ხანგრძლივობა უნდა იყოს არანაკლებ 3 წელი; ზარალის გარეშე მუშაობის ხანგრძლივობა ბოლო 3 წლიდან უნდა იყოს არანაკლებ 2 წელი; გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა 50 ათასზე ნაკლები არ უნდა იყოს და ემიტენტის მიერ ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება უნდა ხდებოდეს საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. გარდა ამისა, ბირჟის სავაჭრო სისტემაში ფასიანი ქაღალდის მოსახვედრად ემიტენტი არაფერს იხდის, მაგრამ სავაჭრო სისტემიდან ფასიანმა ქაღალდმა ლისტინგში რომ გადაინაცვლოს, ემიტენტისთვის გარკვეული მოსაკრებელია დაწესებული. საერთოდ, ლისტინგს გარკვეული უპირატესობები გააჩნია.

უცხოელი ინვესტორი ამა თუ იმ კომპანიის წარმატებულობას სახლვრავს იმის მიხედვით, არის თუ არა ლისტინგში დაშვებული მისი აქციები.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ფასიანი ქაღალდების ბაზრის ეფექტურ ფუნქციონირებას. განვითარებადი ქვეყნები არ ფლობენ საკუთარ სახსრებს, საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას კი ფასიანი ქაღალდების ბაზრის ამუშავება წარმოადგენს. ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ვაჭრობის წარმოების აუცილებელ წინაპირობას საფონდო ბირჟები ქმნიან. საქართველოს საფონდო ბირჟა გამოირჩევა ძალიან დაბალი აქტივობით. 2011 წელს საფონდო ბირჟაზე დადებული გარიგების მოცულობამ 2.5 მილიონი ლარი შეადგინა, 2012 წელს კი - 8.9 მილიონი. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ საქართველოს ბანკის პოლიტიკური კომპანიის აქციები დაშვებულ იქნა ლონდონის საფონდო ბირჟაზე. მიუხედავად გარკვეული პოზიტიური ძვრებისა, კვლავ რჩება ფუნდამენტური პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის ეფექტურ ფუნქციონირებაში. პრივატიზაციის პროცესში ბირჟის როლი შეზღუდულია, ინვესტორებს არ აქვთ გაცნობიერებული საფონდო ბირჟის როლი მათი ბიზნესის განვითარებაში. ასევე არ არსებობს საერთაშორისო სტანდარტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ფასიანი ქაღალდების ბაზრის უმოქმედობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ინსტიტუტისადმი მოსახლეობის ნეგატიური დამოკიდებულება და ამ სფეროში გაუთვითცნობიერებაა.

საჭიროა სახელმწიფომ შეიმუშაოს სტრატეგიული გეგმა და ისეთი კანონები, რომლებიც გათვლილი იქნება ფინანსური ინსტრუმენტების გრძელვადიან პერსპექტივებზე. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ინვესტიციების დაბანდებას კორპორაციულ ფასიან ქაღალდებში, რაც შემდგომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საფუძველი იქნება. ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებას უნდა ახორციელებდეს ორგანო, რომელიც შეიმუშავებს ბაზრის ეფექტური ფუნქციონირებისათვის აუცილებელ წესებს, უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებას, ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი კანონმდებლობის მომზადებასა და ბაზრის ფინანსური მდგომარეობის კონტროლს. ძირითად პრობლემას საქართველოს განვითარებული ფინანსური ბაზარი წარმოადგენს, რაც ართულებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. ფასიანი ქაღალდების განვითარების მიზნით, საჭიროა განისაზღვროს, თუ რომელ მოდელს მივანიჭებთ უპირატესობას: **საბანკო მოდელს** (გერმანიულს), რომელიც გულისხმობს საბანკო და საკრედიტო დაწესებულებების მონაწილეობას, თუ **არასაბანკო მოდელს** (ამერიკულს), რომელიც უპირატესობას საინვესტიციო ბანკებსა და საბროკერო ფირმებს ანიჭებს. ამ მოდელში მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მინიმუმამდე არის დაყვანილი ბანკების მონაწილეობა ფასიანი ქაღალდების ემიტირებასა და კონტროლის სფეროში. ასევე არსებობს **შერეული მოდელი**, რომელშიც ბანკებთან ერთად არასაბანკო საინვესტიციო ინსტიტუტებიც მონაწილეობენ.

საფონდო ბირჟები წარმოადგენენ სახელმწიფოთა ეკონომიკური დონის განმსაზღვრელ ინდიკატორებს. როდესაც საფონდო ბირჟაზე დადებული გარიგებების მოცულობა მცირდება, ის ქვეყნის ეკონომიკის ვარდნაზე მიგვანიშნებს. მაგალითად, 2007 წელს ბელგიის საფონდო ბირჟაზე გარიგებების მოცულობამ შეადგინა 256 მილიარდი აშშ დოლარი, ხოლო 2008 წელს, ფინანსური კრიზისის შედეგად, დაეცა 211 მილიარდ აშშ დოლარამდე. დიდი ბრიტანეთის მანკენბელი 10324 მილიარდიდან - 6484 მილიარდ აშშ დოლარამდე დაეცა. საქართველოს საფონდო ბირჟის გარიგებათა მოცულობით კი შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკური დონის განსაზღვრა.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი გლობალური ეკონომიკის აუცილებელი და მნიშვნელოვანი ელემენტია, რომლის გარეშეც შეუძლებელია ეკონომიკის მდგრადი ფუნქციონირება. აუცილებელია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, რომელიც მოიცავს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებასა და პროფესიონალთა ფართო წრის მონაწილეობით თანამედროვე სტანდარტების სამართლებრივი ბაზის შექმნას. სახელმწიფო ვალდებულია, ხელი შეუწყოს ბაზრის მონაწილეების საქმიანობის არეალის გაფართოებასა და მომსახურების გაუმჯობესებას, უზრუნველყოს ფასიანი ქაღალდები ბაზრის გამჭვირვალობა, გახსნილობა, ორგანიზებულობის ამაღლება და საიმედოობა.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი რგოლი ფასიანი ქაღალდების ბაზარი და მისი გამართული ფუნქციონირებაა. ისეთი განვითარებადი ქვეყნები, როგორც საქართველო, განიცდიან საკუთარ უსახსრობას, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების აუცილებელი წინაპირობა კი ორგანიზებული საფონდო ბაზრის და მისი ინფრასტრუქტურის (საფონდო ბირჟა, ცენტრალური დეპოზიტარი) მდგრადი ფუნქციონირებაა. განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბების პროცესში სახელმწიფოს დიდი როლი ეკისრება. ფასიანი ქაღალდების ბაზარი გლობალური ეკონომიკის აუცილებელი და მნიშვნელოვანი ელემენტია, რომლის გარეშეც შეუძლებელია საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება. საქართველოს საფონდო ბირჟა არსებობის 15 წლიან გამოცდილებას ითვლის. მიუხედავად ამისა, ამ სფეროში პრობლემები ჯერ კიდევ ბევრია.

საქართველოს საფონდო ბირჟა (სსბ) არის ერთადერთი ორგანიზებული ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში, რომელიც ჩამოყალიბდა USAID-ის დახმარებით და მოქმედებს ამერიკელი ექსპერტების დახმარებით შემუშავებულ საკანონმდებლო ჩარჩოებში. იგი სთავაზობს ეფექტურ საინვესტიციო მექანიზმს როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ ინვესტორებს. სსბ-ის ელექტრონული სავაჭრო სისტემა ბროკერებს ათასობით სხვადასხვა აქციით ვაჭრობის შესაძლებლობას აძლევს სამუშაო ადგილებიდან, რომლებიც განლაგებულია როგორც სსბ-ის სავაჭრო დარბაზში, ასევე – დისტანციური წვდომის დახმარებით – საბროკერო კომპანიათა ოფისებში.

2014 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, 129 კომპანიის ფასიანი ქაღალდი დაშვებული სსბ-ის სავაჭრო სისტემაში, რომელთა სრულმა საბაზრო კაპიტალიზაციამ მიაღწია 1.14 მილიარდ დოლარს, ხოლო დღიურმა ბრუნვამ 3 255,42 ლარს. მიუხედავად გარკვეული პოზიტიური ძვრებისა, კვლავ რჩება ფუნდამენტური პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის მას ეფექტურ ფუნქციონირებაში. პრივატიზაციის პროცესში ბირჟის როლი პრაქტიკულად 0-ზეა დაყვანილი, ხოლო ინვესტორებს არ აქვთ გაცნობიერებული საფონდო ბირჟის როლი მათი ბიზნესის განვითარებაში. საქართველოში ბიზნესის დაფინანსების გავრცელებული ფორმები საკმაოდ დიდ რისკებთანაა დაკავშირებული. საუბარია ისეთ მექანიზმებზე, როგორცაა საბანკო კრედიტი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ადგილობრივი საბანკო ჯგუფების პირდაპირი ინვესტიციები კაპიტალში და IPO უცხო ქვეყნის ბირჟებზე.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ინსტიტუტისადმი მოსახლეობის სკეპტიკური დამოკიდებულება და ამ სფეროში გაუთვითცნობიერებაა. სპეციალისტთა შეფასებით, საჭიროა სახელმწიფომ შეიმუშაოს სტრატეგიული გეგმა და ისეთი კანონმდებლობა, რომელიც გათვლილი იქნება ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების გრძელვადიან პერსპექტივებზე. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ინვესტიციების დაბანდობას კორპორაციულ ფასიან ქაღალდებში, რაც შემდგომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საფუძველი გახდება.

*Ketevan Kokaia*

## **THE MARKET OF SECURITIES AND ITS DEVELOPMENT IN GEORGIA** **Annotation**

Effective functioning of securities have significant role in state economic development. Financial market in Georgia is still in the stage of development. The market of securities are necessary and an important element of global economics and functioning of stable economics is impossible without it.

*ელგუჯა კონჯარია*

### **ფინანსური ანგარიშგების არსი, მიზანი, ამოცანები და დანიშნულება**

საწარმოს მეპატრონეები, ხელმძღვანელები, პოტენციური ინვესტორები და კრედიტორები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას. საწარმოს განვითარების მიმართულებები რომ დავსახოთ, სრულად უნდა იქნეს შესწავლილი საწარმოს ფინანსური მდგომარეობა. ამისათვის აუცილებელია ფინანსური ანგარიშგების დრმა ცოდნა, რაც დაგვეხმარება, თავიდან ავიცილოთ ფინანსურ საქმიანობაში უარყოფითი მოვლენები და დავადგინოთ, თუ როგორ აისახება საბალანსო ანგარიშგება საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, რა გავლენას ახდენს მოგება-ზარალის ანგარიში საწარმოს საქმიანობაზე, გავერკვეთ ნაღდი ფულის მოძრაობის არსში. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ წლის ანგარიშგება, როგორ წავიკითხოთ და ვიცოდეთ მისი შემადგენელი ნაწილები, კომერციული და სავაჭრო ოპერაციების განხილვა და დამხმარე კალენდარული გეგმა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში ფინანსური ანგარიშგების შედგენა დაფუძნებულია ფინანსების მართვის ეფექტურ პრინციპებზე. ამ პრინციპების გამოყენება დაეხმარება ფინანსურ მენეჯერს საწარმოს წინაშე მდგომი მიზნის მიღწევაში.

ფინანსურ ბაზარზე საწარმოს საქმიანობის ავტორიტეტი დამოკიდებულია იმ ინფორმაციაზე, რომელსაც ის გასცემს დაინტერესებული მომხმარებლისათვის. ინფორმაცია, რომ იყოს სასარგებლო, მან უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი პირობები: შესაფერისობა, უტყუარობა, ნეიტრალურობა, გაგების უნარიანობა, შესადარი-სობა.

შესაფერისობა ნიშნავს, რომ ინფორმაცია ღირებულია და გავლენას ახდენს გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც იღებს მომხმარებელი. თუ ინფორმაცია არ არის მიწოდებული თავის ვადებში, ის გავლენას ვერ მოახდენს გადაწყვეტილებების მიღებაზე.

უტყუარობა, დადგინდება ინფორმაციის სისწორე, ინფორმაცია არის სწორი, თუ ის არ შეიცავს შეცდომებს და მიკერძოებულ შეფასებას, სამეურნეო საქმიანობა არ არის ფალსიფიცირებული.

ნეიტრალურობა გულისხმობს იმას, რომ ფინანსური ანგარიშგება არ ითვალისწინებს რომელიმე ჯგუფის ინტერესს.

გაგების უნარიანობა ნიშნავს, რომ მომხმარებელს შეუძლია გაიგოს ანგარიშგების შინაარსი, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა პროფესიული მზაობა.

შესადარისობა მოითხოვს, რომ საწარმოში შენარჩუნებულ იქნეს ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდების გამოყენების თანმიმდევრობა.

ანგარიშგების შედგენაში მნიშვნელოვანია აღრიცხვის პრინციპები, რომლებსაც მიეკუთვნება:

ეკონომიური ერთეულის აღრიცხვის პრინციპები, რომლის შესაბამისად სამეურნეო ერთეული იდენტიფიცირებულია ანგარიშგებაში, გამოიყოფა მისი მუპატრონისაგან ან სხვა ერთეულიდან.

პერიოდულობის პრინციპი ნიშნავს, რომ საწარმომ პერიოდულად უნდა წარუდგინოს ანგარიშგება დაინტერესებულ პირებს თავისი საქმიანობის შესახებ (თვე, კვარტალი, წელი).

საწარმოს მუშაობის პრინციპი ნიშნავს, რომ ის საქმიანობას განაგრძობს საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში იმ მიზნის მისაღწევად, რისთვისაც არის შექმნილი და მოკლე დროში არ იქნება ლიკვიდირებული ან რეორგანიზებული.

ფულადი შეფასების პრინციპი ნიშნავს ფულის ოდენობის გამოყენებას უნივერსალური სახით.

ფინანსური საკითხების გადაწყვეტა დამოკიდებულია ინფორმაციაზე, რომელიც შემოდის ბუღალტრული აღრიცხვის სისტემიდან. არსებობს ორი ანგარიშგება, რომელიც მზადდება ბუღალტრული აღრიცხვის სისტემის მიერ და შედის წლის აუცილებელ ანგარიშგებაში: საბალანსო ანგარიშგება და მოგება-ზარალის ანგარიში. თუმცა ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება არის სავალდებულო, მაგრამ მისი შედგენა საშუალებას მოგვცემს, უკეთ გავერკვეთ ფულადი ნაკადის დადებით და უარყოფით მხარეებში, რაც მეტად აქტუალურია ბიზნესის განვითარებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ეს საფინანსო ანგარიშგებები შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან კომერციული სფეროს საქმიანობით ან ბიზნესის ორგანიზაციის ფორმით, მათი ძირითადი მიზანი უცვლელი რჩება.

საბალანსო ანგარიშგებაში აისახება ფინანსური მდგომარეობა განსაზღვრული დროის განმავლობაში, ის აჩვენებს, რა გვაქვს (აქტივი), რამდენი გვაქვს გამოყენების და კრედიტორების (პასივი) ვალი და რა რჩება (აქტივის მინუს პასივი). საბალანსო ანგარიშგება აჩვენებს მოძრაობას, აჩვენებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას განსაზღვრული კალენდარული თარიღისათვის.

საბალანსო ანგარიშგება, როგორც წესი, აქტივს ყოფს ხუთ კატეგორიად: საბრუნავი საშუალებები, გრძელვადიანი კაპიტალური დაბანდებანი, ქონება, საწარმოო შენობები და დანადგარები (ძირითადი საშუალებები), არამატერიალური აქტივები და მომავალი პერიოდის ხარჯები.

საბრუნავი საშუალებები – ეს არის კაპიტალი, რომელიც შეიძლება გადაყვანილ იქნეს ნაღდ ფულად სახსრებში ან დაიხარჯოს ერთი წლის განმავლობაში, ან ნორმალურ საოპერაციო ციკლში. ბიზნესის სფეროში საოპერაციო ციკლი – ეს არის პერიოდი საქონლის პარტიის შესყიდვა-გაყიდვის მიზნით და საქონლის მოძრაობა სავაჭრო ქსელში, რაც ფიქსირდება, როგორც დებიტორული დავალიანება ან ფულადი სახსრების მიღება. სინამდვილეში, საოპერაციო ციკლი გრძელდება ფულის გადახდის მომენტიდან მიღებამდე. საბრუნავი საშუალებების მაგალითია ნაღდი ფულადი სახსრები, ადვილად რეალიზებული ფასიანი ქაღალდები, დებიტორული დავალიანება, სასაქონლო-მატერიალური მარაგი, ასევე წინასწარ გადახდილი ხარჯები (რომლებიც დადგენილია ერთი წლის განმავლობაში).

გრძელვადიანი კაპიტალური დაბანდებანი ეხება სხვა საწარმოში აქციების ინვესტირებას (ჩვეულებრივი და პრივილეგირებული) ან ობლიგაციების შექმნას იმ მიზნით, რომ მისი მფლობელობა გრძელდება ერთ წელზე მეტს. ფასიანი ქაღალდები აღირიცხება საბალანსო ანგარიშგებაში ღირებულებაზე დაბალ ფასში ან მიმდინარე საბაზრო ღირებულებით.

ქონება – საწარმოო შენობები და დანადგარები (ძირითადი კაპიტალი) მიეკუთვნება აქტივს, რომელიც მონაწილეობს საქონლის შექმნასა და მომსახურების გაწევაში და მისი ვადა აღემატება ერთ წელზე მეტს. ისინი მატერიალურია ე.ი. აქვთ მატერიალური საფუძველი (თქვენ შეგიძლიათ მას შეხედოთ და შეეხოთ) და ფაქტობრივად გამოიყენება კომერციულ საქმიანობაში. მატერიალურ აქტივებს მიეკუთვნება: მიწა, ნაგებობები, დანადგარები, ავტომობილები და სხვა. სასაქონლო მატერიალურ მარაგთან შედარებით აქტივის ეს მუხლი არ იყიდება ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში.

არამატერიალური აქტივები – ეს არის გრძელვადიანი გამოსაყენებელი აქტივები, რომელიც არ შეიცავს სასაქონლო საფუძველს და მიეკუთვნება პირობებს, რომლებსაც იძლევა მთავრობა (პატენტი, სავტორო უფლება და სასაქონლო ნიშანი) ან სხვა საწარმოები (ლიცენზია). მისი მაგალითია სხვა საწარმოს ნიშნის გამოყენება.

მომავალი პერიოდის ხარჯებია – რომლებიც უკვე გაწეულია, მაგრამ გადავადებულია მომავალი პერიოდისთვის, ან იმისთვის, რომ ისინი მომავალში უზრუნველყოფენ მოგების მიღებას ან განსაზღვრულ პირდაპირ ხარჯებს მომავალი ოპერაციების უზრუნველსაყოფად.

პასივი – კლასიფიცირდება (ერთი წლით ან ნაკლებ ვადით) დაფარული იქნება საბრუნავი საშუალებებით. მაგალითად, საკრედიტო დავალიანება (კრედიტორებისთვის განკუთვნილი თანხა), მოკლევადიანი თამასუქები (წერილობითი მოწმობა სესხზე, რომელიც მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში) და დაგროვილი ხარჯებითი ვალდებულებები (მაგალითად გასაცემი ხელფასი).

გრძელვადიანი ვალდებულება (მოქმედებს ერთ წელზე მეტი ვადით) ექვემდებარება ობლიგაციების და თამასუქების დაფარვას. მიმოქცევაში არსებული გრძელვადიანი ვალდებულებები (ის ნაწილი, რომელიც უნდა გადავიხადოთ წლის განმავლობაში) ფიგურირებს მიმდინარე ვალდებულებების დასახელებით.

გაუნაწილებელი მოგება – ეს საწარმოს აკუმულირებული შემოსავალი გამოცხადებული და გაცემული დივიდენდების გამოკლებით. ამ ანგარიშზე, როგორც წესი, არის ზედმეტი სახსრები, მაგრამ შეიძლება იყოს დეფიციტი, თუ ბიზნესს ჰქონდა წამგებიანი ოპერაციები.

საკუთარი სააქციო კაპიტალი არის ზემოხსენებული კაპიტალის კატეგორიების ჯამი. სააქციო საზოგადოებაში საწესდებო კაპიტალს წარმოადგენს აქციონერთა კაპიტალი: ინდივიდუალური საკუთრების ფორმებში ან სხვა ამხანაგობებში საწესდებო კაპიტალს მიეკუთვნება კატეგორია “კაპიტალი”.

ფინანსური მენეჯმენტისათვის საჭიროა, ვიცოდეთ არა მარტო ფინანსური შედეგები, არამედ ცალკე მოვახდინოთ ფულადი სახსრების მოძრაობის ანალიზი ანგარიშგების პერიოდში იმისათვის, რომ მოხდეს ფულადი სახსრების ძირითადი წყაროს დადგენა და მისი გამოყენების მიმართულებები. მოგებისა და ფულადი ნაკადის განსხვავება ბუღალტრული აღრიცხვის მუხლებში ასახულია არა იმ მომენტში, როდესაც ხდება ფულადი სახსრების შემოსავლა და გადასახადის გადახდა, არამედ ოპერაციის ჩატარების მომენტში.

საინვესტიციო საქმიანობა – არის ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის შედეგი. შენატანის შემოდინება ინვესტიციის სახით შედგება: 1. ამონაგები ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან, ასევე 2. თანხა, რომელიც შემოდის ძირითადი კაპიტალის გაყიდვიდან. ნაღდი ფულის გადინება შეიცავს: 1. ფასიანი ქაღალდების შექმნის თანხას და 2. ძირითადი კაპიტალის ყიდვის თანხას.

ფინანსური საქმიანობა გამოიხატება აქციების გამოშვებასა და წარსულში გამოშვებული აქციების შექმნაში, ასევე დივიდენდების გაცემაში აქციონერებზე, ასევე შედის სესხიდან დაფინანსება და ვალდებულების დაფარვა.

ფულადი სახსრების მოძრაობა გვაძლევს საშუალებას, მივიღოთ ინფორმაცია იმაზე, თუ საწარმომ როგორ მიიღო და გამოიყენა ფულადი სახსრები, ე.ი. რატომ იზრდებოდა ან მცირდებოდა ფულადი ნაკადი. ამ ანგარიშების ანალიზი ასევე სასარგებლოა საქმიანობის წინა პერიოდის შეფასებისათვის, რათა მომავალში უკეთ შევადგინოთ საწარმოს პერსპექტიული გეგმა.

საგულისხმოა, რომ ანგარიშგება მოგვცემს პასუხს შეკითხვაზე, თუ როგორ დავაფინანსოთ გაფართოების ოპერაცია, როგორ გამოვიყენოთ წმინდა მოგება, საიდანაც ვლდებულთ ფულად სახსრებს, რა ეფექტი მოგვცა საწარმოს შიდა ეფექტების გამოყენებამ და დაბალანსებულია თუ არა სადივიდენდო პოლიტიკა წარმოების პოლიტიკასთან, რა როლდენობის ვალდებულებები იქნა გასტუმრებული, რა შემოსავალი მივიღეთ აქციების გამოშვებით, როგორი შედეგი მისცა დაფინანსებამ არსებული სესხიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაკადს, გაყოფილს აქციების რაოდენობაზე.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფულადი სახსრების წმინდა მოძრაობის ანალიზს წარმოების სფეროში, რომელიც შესაძლებლობებს გვაძლევს, დავადგინოთ ფულადი სახსრების მოზიდვის ადეკვატურობა საწარმოო საქმიანობიდან. სასურველია, გვეჩვენოს ამ ურთიერთობის მაღალი დონე, რადგანაც ის გვიჩვენებს ლიკვიდურობის ხარისხს, ე. ი. იმას, რომ საწარმოს თავის განკარგულებაში საკმარის რაოდენობის ფულადი სახსრები აქვს. მაგალითად, წარმოების ფულადი ხარჯები, ფულადი ანაზღაურება მიედევლისათვის, მიგვითითებს პრობლემებს ხარისხთან დაკავშირებით, ამავე დროს, ჯარიმის გადახდა, ჯარიმის და სარჩელის არსებობა ზარალის ასანაზღაურებლად, მოწმობს საწარმოს ხელმძღვანელობის არასწორ მოქმედებას, რაც ზრდის არასაწარმოო ხარჯებს.

საწარმოს საინვესტიციო საქმიანობის ანალიზი, რომელიც მოცემულია ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში, მიგვითითებს კაპიტალის დაბანდების საიმედო გზებს სხვა საწარმოებში. ასეთმა კაპიტალურმა დაბანდებამ შეიძლება მოგვცეს შესაძლებლობა, დავამყაროთ კონტროლი სხვა საწარმოებზე საქმიანობის სფეროს გაფართოების მიზნით. ამ ანალიზს ასევე შეუძლია გვჩვენოს საწარმოს მოსალოდნელი ცვლილებები მომავალ საქმიანობაში და ცვლილებები ბიზნესის პოლიტიკაში. ძირითადი კაპიტალის ზრდა მიგვითითებს კაპიტალის გადიდებასა და ეკონომიკურ ზრდაზე. ბიზნესის მოცულობის შეკვეცა ძირითადი კაპიტალის გაყიდვის ხარჯზე ახლის შეცვლის გარეშე, არის ნეგატიური მოვლენა.

ფინანსური საქმიანობის შეფასება გვჩვენებს საწარმოს შესაძლებლობას, მიიღოს დაფინანსება ფულის ბაზრიდან და კაპიტალის ბაზრიდან, ასევე საწარმოს შესაძლებლობას ვალდებულებების შესასრულებლად. ფინანსური ინსტრუმენტის ფართო არჩევანი, როგორც არის ობლიგაციები, გრძელვადიანი სესხები ბანკიდან და ჩვეულებრივი აქციები, გავლენას ახდენს რისკზე და დაფინანსების ღირებულებაზე. სესხით დაფინანსება გამოირჩევა დიდი რისკით, რადგან საწარმომ უნდა შექმნას შესაბამისი ფონდი ხარჯის დასაფარავად, სარგებლის გადასახდელად და ვალდებულების დროულად გასასტუმრებლად. პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია, თუ მოგება და ფულადი სახსრების შემოდინება იკლებს. მეორე მხრივ, გრძელვადიან ვალდებულებათა შემცირება დადებითია, რადგანაც ის ამცირებს რისკს. პრივილეგირებული აქციების გამოშვებამ შეიძლება ნეგატიურად იმოქმედოს საწარმოს პრესტიჟზე, რადგანაც ის მიუთითებს, რომ საწარმოს პრობლემები აქვს თავისი ჩვეულებრივი აქციების გაყიდვით. თუ შეანაბრებები ჩათვლიან, რომ საწარმო ძალიან რისკიანია, მაშინ ფულს ისინი ჩადებენ მხოლოდ პრივილეგირებულ აქციებში, რადგანაც საწარმოს ლიკვიდაციის შემთხვევაში მხედველობაში უნდა მივიღოთ საწარმოს უნარი, გადაიხადოს დივიდენდები.

საწარმოს წარმატების პროგნოზირების ერთ-ერთი ფაქტორია მიმდინარე რენტაბელობა. ასევე არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მიმდინარე და მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობის ნაკადს. შეიძლება მოხდეს, რომ წარმატებული საწარმო განიცდიდეს ფულადი სახსრების დეფიციტს, მაგალითად, საწარმო, რომელიც აწარმოებს კრედიტით გაყიდვის მსხვილ ოპერაციებს, შეიძლება იყოს მომგებიანი, მაგრამ მას ფაქტობრივად არ ჰქონდეს ფულადი სახსრები, რადგანაც თანხის შემოსვლას გარკვეული დრო სჭირდება.

ფინანსური მენეჯერები პასუხისმგებლები არიან დაგეგმვაზე, თუ როგორ და სად იქნება მიღებული და გამოყენებული ფულადი სახსრები. როდესაც დასაგეგმი ხარჯები ფულად სახსრებზე მეტია, რომელიც შეიძლება გამოყოს საწარმომ, ფინანსურმა მენეჯერებმა უნდა გადაწყვიტონ, რა მოიმოქმედონ. მათ შეიძლება გამოიყენონ სასესხო სახსრები ან საკუთარი სახსრები ან გაყიდოს კაპიტალი, ან ბიზნესის ნაწილი. მეორე მხრივ, მათ უნდა შეამცირონ დაგეგმილი საქმიანობა, შეცვალონ წარმოების გეგმა, მაგალითად, გააუქმონ კონკრეტული სარეკლამო კომპანია, გადადონ ახალი შესყიდვები ან გადაიხადონ დაგეგმილი გადასახადი ობლიგაციების მფლობელებსა და აქციონერებზე. როგორც გადაწყვეტილებაც არ უნდა იქნეს მიღებული, ფინანსური მენეჯერების ამოცანაა, მოახერხონ არსებული ფულადი რესურსების მოხმარების დაბალანსება როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან გეგმებში.

წლიური ანგარიშგების სხვა განყოფილებები, ფინანსურ ანგარიშგებებთან ერთად, სასარგებლოა საწარმოს ფინანსური მდგომარეობის თვალსაზრისით. ეს განყოფილებები შეიცავენ:

- ძირითად მონაცემებს და დებულებებს - რენტაბელობა, გაყიდვა, დივიდენდი, აქციების საბაზრო ფასი და კაპიტალის შექმნა. როგორც მინიმუმ, საწარმო იძლევა მონაცემებს გაყიდვაზე, წმინდა შემოსავალზე აქციაზე ბოლო ორი წლის განმავლობაში;
- ფინანსურ ცხრილებს და ოპერაციებს - რომლებიც ასახავს პროდუქციის წარმოებას და მომსახურებას, წარმოების საშუალებებს და მომავალი საქმიანობის მიმართულებებს;
- თანდართულ შენიშვნებს - რადგან ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხდება შეჭვივებული ფორმით, ამიტომ თანდართული შენიშვნები შესაძლებლობას მოგვცემს, უფრო კონკრეტულად გავერკვეთ არსებულ მდგომარეობაში. ამ სახის ინფორმაციის მოწოდება ხდება ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად ისეთ საკითხებზე, როგორცაა, ფასების დადგენა სასაქონლო-მატერიალურ მარაგზე, საპენსიო ფონდის სახსრებზე, გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებების მომსახურების პირობებსა და თავისებურებებზე, მოგების მიღების ღონისძიებებზე, საიჯარო ხელშეკრულებების სპეციფიკაზე, გაუთვალისწინებელ ღონისძიებებსა და საგადასახადო საკითხებზე;
- დამატებით ცხრილებს და გრაფიკებს, რომლებიც ეხმარება ფინანსურ მენეჯერს წარმოადგინოს ფინანსური მდგომარეობა;
- საბაზრო ფასების დინამიკას - ცნობს ფასების გადიდებას ან შემცირებაზე, აქციების საბაზრო ფასების ხასიათს და ტენდენციას;
- დამოუკიდებელი საზოგადოებრივი აუდიტის დასკვნას.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. ხარაბაძე ე., ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები. თბილისი, 1998.
2. ხორავა ა., კვატაშიძე ნ., სრესელი ნ., გოგრიჭიანი ზ., ბუღალტრული აღრიცხვა. თბილისი, 2008.
3. მესხია ი., მაღლაკელიძე დ., ვაშაკიძე ნ., ბუღალტრული აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტებით. თბილისი, 2001.
4. გაღელია დ., ფინანსური მენეჯმენტი. თბილისი, 2006.
5. ძაძაძია რ., ფინანსური აღრიცხვა. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. თბილისი, 2000.

*Elguja Konjaria*

### FINANCIAL CALCULATION THEME, GOAL AND PROBLEMS AND DESTINATION

#### Annotation

Financial calculation must be useful for user, must help to solve problems. The job of every day production and business give chance to calculate information which helps to have financial facts. These facts will give chance to users to solve the financial problems. Managers need them to make their business effectively. Users need information about company's solvency about their working process etc.

Financial calculation reflect on financial accounts, and this means of production make chance to calculate their index and all these make to define the company.

*თეა ლაზარაშვილი  
ნანა ბიბილაშვილი*

#### ზახიანი ძალაღმების ბაზრის ჩამოყალიბებისა და ბანკოთარების თავისებურებები საქართველოში

დიდი ხნის განმავლობაში საქართველოში „ფინანსური ბაზრის“ ცნება პრაქტიკულად არ არსებობდა. ფინანსური ბაზრების ეფექტიანი ფუნქციონირება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი საწინააღმდეგარია. იმის გამო, რომ განვითარებადი ქვეყნები საკუთარი კაპიტალის ნაკლებობას განიცდიან, მათთვის მნიშვნელოვანია საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვა, ამისთვის კი ერთ-ერთ ძირითად წყაროს სწორედ ფინანსური ბაზრების განვითარება წარმოადგენს.

საქართველო, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, მრავალი პრობლემისა და გამოწვევის წინაშე დადგა. ერთ-ერთი ასეთი გამოწვევა დამოუკიდებელი საფინანსო პოლიტიკისა და სისტემის ჩამოყალიბება იყო. საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას მრავალი პრობლემა უძღვდა წინ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზარი ძალზე მგრძობიარეა ქვეყნის ეკონომიკაში არსებული პრობლემების მიმართ. საქართველოში ფასიანი ქაღალდების ჩამოყალიბება განპირობებული იყო იმ პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკით, განსაკუთრებით პრივატიზაციის პროცესით და აგრეთვე სხვადასხვა ფინანსური დახმარებებით. ყველაზე ცუდი ის იყო, რომ საფონდო ბირჟაზე ძალიან მცირე ან თითქმის არ იყო ისეთი ინსტიტუციური ინვესტორები, როგორცაა საპენსიო ფონდები, სადაზღვევო კომპანიები და სხვა. თუმცა, საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბებას თავისი დადებითი მხარეც ჰქონდა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ იგი განვითარებული ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე მიმდინარეობდა და საქართველოც, ასე ვთქვათ, გაკვალულ გზაზე მიდიოდა.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობის უზრუნველყოფა.

ინვესტორების მოზიდვისათვის ერთ-ერთ წინაპირობას ქვეყანაში სტაბილური პოლიტიკური, კრიმინოგენური გარემო, საგადასახადო კანონმდებლობა, სახელმწიფო პოლიტიკა და ა.შ. წარმოადგენს.

ცნობილია, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზარი, ისევე, როგორც საბანკო სესხების ბაზარი, ფინანსური ბაზრის შემადგენელი ნაწილია. საბანკო სესხებისაგან განსხვავებით, ფასიანი ქაღალდები გრძელვადიანი დაბანდება.

ძირითადი ნაკლოვანება თავდაპირველ ეტაპზე ის იყო, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენდა აქციები და ობლიგაციები წარმოადგენს. შესაბამისად, აქციების ძირითადი გამომშვები კორპორაციები და სააქციო საზოგადოებებია, რომლებიც უმეტესად გრძელვადიან პერიოდზეა გათვლილი, ხოლო სახელმწიფოსა და ადგილობრივ ხელისუფლებათა ვალდებულებები, რომლებსაც საკმაოდ დიდი სემპტი უკავია ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ძირითადად მოკლევადიანი სახაზინო ვალდებულებებია.

ინვესტორებისათვის კორპორაციათა აქციებს უფრო მეტი მიმზიდველობა გააჩნია, ვიდრე სახელმწიფო ობლიგაციებს, თუმცა უკანასკნელი ნაკლებრიკიანია, რადგან გარანტიად ამ შემთხვევაში სახელმწიფო გამოდის.

2007 წლიდან ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირება ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა ჩაიბარა, მას შემდეგ, რაც მოხდა ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის ლიკვიდაცია და დაიწყო რადიკალური ცვლილებების გატარება. ეს ცვლილებები პირველ რიგში ეხებოდა საკანონმდებლო ბაზის შეცვლას, რაც გულისხმობდა საკანონმდებლო ბაზის თანამედროვე სტანდარტებთან დაახლოებას და მისი რეგულირების პრინციპების სრულყოფას.

“ფასიანი ქაღალდების ბაზრის” შესახებ საკანონმდებლო ბაზა ხასიათდებოდა რიგი ნაკლოვანებებით. კერძოდ, იმ დროისათვის არსებული ნორმატივები არ შეესაბამებოდა ბაზარზე არსებულ რეალობას და ხელს უშლიდა ბაზრის რეგულირებას. არსებული ნორმატივები მონოპოლიურ უფლებებს ანიჭებდა ზოგიერთ მონაწილეს. ინვესტორები არ იყვნენ დაცულნი და ყოველივე ეს ხელს უშლიდა ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას.

ცვლილებები, რომლებიც 2 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, მიზნად ისახავდა არსებული კანონმდებლობის დახვეწას, მის ლიბერალიზაციას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა კომპანიების განვითარებას.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ, თუკი რეფორმამდე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა დაშვებული იყო მხოლოდ ლიცენზირებული საბროკერო კომპანიებით და მხოლოდ საფონდო ბირჟაზე, არსებული კანონმდებლობით ინვესტორს უფლება არ ჰქონდა ბროკერის ან საბროკერო კომპანიის შუამავლის გარეშე განეხორციელებინა ფასიანი ქაღალდებით ვარიგება. ამასთან, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის ერთადერთ ადგილად საფონდო ბირჟა მოიაზრებოდა. აღნიშნული დამატებით ხარჯებს და სხვა ქმედებებს მოითხოვდა. რეფორმის შემდგომ, ინვესტორებს საშუალება მიეცათ, დამოუკიდებლად გადაეწყვიტათ, სჭირდებოდათ თუ არა საბროკერო კომპანიის მომსახურება და საფონდო ბირჟაზე ვარიგების დადება. ახალმა კანონმდებლობამ, ე.წ. ფიქსინგის უაღრესესი განსაზღვრებით, შესაძლო გახდა “ორმაგი ვარიგებების” მცდელობის თავიდან აცილება. ახალმა კანონმდებლობამ ხელი შეუწყო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას. დადებითი ძვრები მოხდა საქართველოში “ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ” კანონში შეტანილი ცვლილებებით, რომლებიც მნიშვნელოვნად ამარტივებდა ზედამხედველობასა და რეგულირებასთან დაკავშირებულ პროცედურებს. ცვლილებები ძირითადად ეხებოდა იმ ბირჟათა ნუსხის განსაზღვრას, რომელთა ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულატორები სანდო რეპუტაციით სარგებლობდნენ.

ბოლო 3 წლის განმავლობაში საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე შემდეგი სურათი ჩამოყალიბდა:

2012 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე 1 საფონდო ბირჟა, 1 ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი, 10 საბროკერო კომპანია (რომელთაგან 3 საფონდო ბირჟის წევრი არ იყო) და რეგისტრატორი ეწეოდა საქმიანობას. რეგისტრატორების მიერ იწარმოებოდა 651 სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრი. 2013 წელს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მონაწილეობას იღებდა 1 საფონდო ბირჟა, ფასიანი ქაღალდების 1 ცენტრალური დეპოზიტარი, 9 საბროკერო კომპანია და ფასიანი ქაღალდების 3 დამოუკიდებელი რეგისტრატორი. აღნიშნული პერიოდისათვის იწარმოებოდა 782 სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრი, რაც 131 სააქციო საზოგადოებით მეტია წინა წელთან შედარებით. 2014 წლის ბოლოსათვის ფასიანი ქაღალდების ბაზარზე შესაბამისად 1 საფონდო ბირჟა, 1 ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი, 8 საბროკერო კომპანია (რომელთაგან 2 საფონდო ბირჟის წევრი არ იყო) და 3 ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორი საქმიანობდა. 2014 წელს, მართალია, ერთიმ შემცირდა მოქმედი საბროკერო კომპანიების რაოდენობა, თუმცა რეგისტრატორების მიერ 818 სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრი იწარმოებოდა, რაც 2013 წელთან შედარებით 36 სააქციო საზოგადოებით მეტი იყო.

რაც შეეხება მოქმედ საბროკერო კომპანიებს, 2012 წლის ბოლოსათვის მათი აქტივების საერთო მოცულობა 46,6 მლნ ლარი იყო, რაც წინა წელს 4%-ით აღემატებოდა. ვალდებულებების საერთო მოცულობამ 17,6 მლნ ლარი შეადგინა და წინა წელთან შედარებით 25%-ით გაიზარდა. კაპიტალის საერთო მოცულობამ 29 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მონაცემებთან შედარებით 5%-ით ნაკლებია.

2013 წლის ბოლოს მოქმედი საბროკერო კომპანიების აქტივების საერთო მოცულობა 30,3 მლნ ლარი იყო, რაც 35%-ით ნაკლებია წინა წელთან შედარებით. ვალდებულებების საერთო მოცულობა 6,1 მლნ ლარი იყო, რაც შესაბამისად წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლებზე 65%-ით ნაკლებია. კაპიტალის საერთო მოცულობამ 24,1 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 17%-ით ნაკლებია.

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კი შემდეგი სურათი გვაქვს: მოქმედი საბროკერო კომპანიების აქტივების საერთო მოცულობა 33,7 მლნ ლარი იყო, რომელიც 11%-ით ნაკლებია წინა წელთან შედარებით. შესაბამისად, ვალდებულებების საერთო მოცულობა 8,4 მლნ ლარი, რაც 37%-ით მეტია 2013 წელთან შედარებით, ხოლო კაპიტალის საერთო მოცულობამ კი 25,3 მლნ ლარი შეადგინა, რაც 5%-ითაა გაზრდილი წინა წელთან შედარებით.

რაც შეეხება უშუალოდ ფასიან ქაღალდებს, 2012 წლის ბოლოსთვის საფონდო ბირჟის სისტემაში 133 ემიტენტის ფასიანი ქაღალდი იყო დაშვებული, გარიგებათა საერთო მოცულობამ კი 735,6 მლნ ლარი შეადგინა და წინა წელთან შედარებით ფასიანი ქაღალდებით დადებულ გარიგებათა ღირებულება 3-ჯერ გაიზარდა, ხოლო მოცულობა კი 1,73-ჯერ შემცირდა. 2013 წლის ბოლოსათვის კი საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაშვებული იყო 129 ემიტენტის ფასიანი ქაღალდი. საანგარიშგებო პერიოდში სავაჭრო სესიებსა და ბირჟაზე მთლიანად დაფიქსირებულ გარიგებათა საერთო ღირებულება 52,5 მლნ ლარს შეადგენდა, რაც წინა წლის ანალოგიურ მონაცემებზე 14-ჯერ ნაკლებია, ხოლო მოცულობა, შესაბამისად, 4,28-ჯერ გაზრდილი. 2014 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში მხოლოდ 128 ემიტენტის ფასიანი ქაღალდი დაიშვა, ხოლო მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში სავაჭრო სესიებსა და ბირჟაზე დაფიქსირებულ გარიგებათა საერთო ღირებულებამ 47,4 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის მონაცემებთან შედარებით 1,11-ჯერ შემცირდა, მოცულობა კი – 2,96-ჯერ.

ანალიზი ცხადყოფს, რომ ფინანსური ბაზრების ფუნქციონირება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, თუმცა ის ჯერ კიდევ რიგი ნაკლოვანებებით ხასიათდება და სრულყოფას საჭიროებს.

კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების მიუხედავად, თუმცა ეს ცვლილებები რადიკალურ მოსახრებებს იწვევს სპეციალისტებს შორის, იგი საკმაოდ დასახვეწია. ძირითად ნაკლოვანებას მაინც კანონმდებლობის გამჭვირვალობა წარმოადგენს. ინვესტორების მხრიდან არა არის საკმარისი ნდობა, რაც ფასიან ქაღალდებზე ფასებისა და, შესაბამისად, გარიგებების რაოდენობის შემცირებას იწვევს.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების დაბალი დონე გამოწვეულია კიდევ იმით, რომ მოსახლეობა სკეპტიკურადაა განწყობილი ამ ინსტიტუტებისადმი. მნიშვნელოვანია, თუ სახელმწიფო განახორციელებს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ფასიანი ქაღალდების გრძელვადიანი განვითარებისაკენ იქნება მიმართული. ამისთვის კი აუცილებელია, სახელმწიფომ ხელი შეუწყოს ინვესტიციების დაბანდებას კორპორაციულ ფასიან ქაღალდებში, მოიხილოს უცხოური პორტფელური ინვესტიციები, აგრეთვე უნდა მოხდეს საფონდო ბაზრის განვითარებისათვის ხელშეწყობა, რომელიც ქვეყანაში სტაბილური ნაკადისა და სტაბილური ეკონომიკის არსებობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტია.

საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას საფინანსო სისტემის სტაბილურობის ხელშეწყობა წარმოადგენს. ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის საფინანსო სექტორს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ 2009 წლიდან ეროვნული ბანკი პასუხისმგებელია როგორც საფინანსო ბაზრის ცალკეულ მონაწილეთა, ასევე ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობასა და რეგულირებაზე. ფინანსური სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშეწყობი ფაქტორი, სწორედ ფინანსური სტაბილურობის მიკრო და მაკროსაკვებების ერთი ორგანიზაციის ქვეშ მოქცევაა.

*Tea Lazarashvili  
Nana Bibilashvili*

## THE PECULIARITIES OF FORMATION AND DEVELOPMENT OF SECURITIES IN GEORGIA Annotation

The article discusses main ways and directions of formation and development of security's market in Georgia. are also analyzed the peculiarities of security market in Georgia, are shown positive and negative sides and are outlined the ways of improvement of security market development.

*ნინო სამჭკუაშვილი*

### საფინანსო ბაზრების როლი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფინანსური რესურსების განუწყვეტელი ფორმირების პროცესს. ნებისმიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ხდება ბაზარზე, სადაც მოქმედებს მოთხოვნა მიწოდების ობიექტური კანონი. ამასთან დაკავშირებით, როგორც ფინანსურ რესურსებზე მოთხოვნა, ასევე ეფექტიანი ინვესტირება და მათი მიზანდასახული გამოყენება უზრუნველყოფილია ფინანსური ბაზრის საშუალებით.

ფინანსური სექტორი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ნებისმიერი სისტემის განვითარებაში, რომელიც ეფუძნება შრომის განაწილებას. იგი ახდენს ურთიერთქმედების ორგანიზებას შრომის განაწილების



სხვადასხვა დონეს შორის და წარმოადგენს აღწარმოების კონტურების განვითარების მამოძრავებელ ძალას. ამ ფუნქციის რეალიზება იძლევა ძირითადი მიზნის მიღწევის საშუალებას – მიღებულ იქნეს მეტი მოგება.

ფინანსური ბაზარი ხელს უწყობს რესურსების რაციონალურ განაწილებას, გავლენას ახდენს წარმოების მოცულობასა და სტრუქტურაზე, ეკონომიკის გაჯანსაღებაზე, ეკონომიკის ათავისუფლებას წამგებიანი არაკონკურენტუნარიანი საწარმოებისაგან, მომხმარებლებს აიძულებს, აირჩიონ მოხმარების რაციონალური სტრუქტურა, საბაზრო ფასები გამოდის, როგორც ეკონომიკური ინფორმაციის მატარებელი.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გავლენით ხდება საფინანსო ბაზრის ცვლილება. დღესდღეობით ამ ბაზრისათვის დამახასიათებელია შემდეგი თავისებურებანი:

- ახალი ტექნოლოგიების გავრცელება, როგორებიცაა: საბანკო ანგარიშების მართვა, ოპერაციების ელექტრონული სისტემით განხორციელება, ხელმოწერა ონლაინ რეჟიმში, საფონდო ბირჟები და ა.შ.
- ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზაზე ახალი საფინანსო პროდუქტების (მომსახურების) გამოჩენა;
- ინფორმაციის შეგროვების, შენახვისა და ანალიზური დამუშავების ახალი მეთოდები;
- ქვეყნების ფინანსური ბაზრების ურთიერთკავშირის ზრდა.

საფინანსო სისტემა საშუალებას აძლევს როგორც მეწარმეებს, ასევე სახელმწიფოს, გაანალიზონ და დაგეგმონ როგორც, კერძოდ საწარმოს, ასევე ქვეყნის ეკონომიკის განვითარება. ამ ანალიზის პროცესში ნათლად ვლინდება ის მიმართულებები, რომელთა ანალიზიც საშუალებას იძლევა, ქვეყნის ეკონომიკა განვითარდეს სწორი მიმართულებით. საქართველოს საფინანსო სისტემა და მისი ძირითადი შემადგენელი ნაწილი – საფინანსო ბაზრები ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია.

საფინანსო ბაზრის სტრუქტურა გულისხმობს შემდეგი სეგმენტების ჩართვას, ესენია: საკრედიტო ბაზარი, სავალუტო ბაზარი, ფასიანი ქაღალდების ბაზარი, ინვესტიციების ბაზარი და სადაზღვევო ბაზარი. საფინანსო-საკრედიტო ბაზრებზე პირველ რიგში განისაზღვრება აქტივების გადანაწილების მიმართულებები და ეფექტიანი სფეროები ფინანსური რესურსების დასაბანდობლად.

ფინანსური ბაზრის საბაზო კომპონენტს წარმოადგენს ნაციონალური ბანკები, რომლებიც განსაზღვრავენ საპროცენტო განაკვეთებს, უშუალოდ ახდენენ გავლენას ნაციონალური ვალუტის ღირებულებაზე, ახორციელებენ ოპერაციებს ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე. შემდეგ მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენს კომერციული ბანკები, საფონდო და სავალუტო ბირჟები – სწორედ ეს აგენტები განსაზღვრავენ დიდწილად საქართველოს საფინანსო ბაზრის განვითარებას.

ნაციონალური სამეურნეო სისტემის განვითარების მოთხოვნილება, მისი მსოფლიო მეურნეობის შემადგენლობაში ინტეგრაციის პირობებში, განაპირობებს სამამულო ფინანსურ ბაზრზე ხარისხობრივად ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბებას. იმისათვის, რომ კარგად გავერკვეთ საფინანსო სისტემაში, უნდა განვიხილოთ საფინანსო ბაზრების კლასიფიკაცია. საფინანსო ბაზრების კლასიფიკაცია ეფუძნება ფინანსური ინსტრუმენტებისადმი მიმართვის სხვადასხვა ვადებს. ფულის ბაზარი ჩვეულებრივ ხასიათდება იმით, რომ ფინანსური აქტივები, რომლითაც მასზე მუშაობენ, მოკლევადიანია, ლიკვიდურია და ახასიათებს რისკის დაბალი დონე. ამ ინსტრუმენტებით ვაჭრობენ ბაზარზე, სადაც სახსრების მოძრაობა განისაზღვრება განსაკუთრებული ფასითა და რისკით. ამრიგად, მოკლევადიანი სესხი, რომელსაც ბანკი აძლევს კომპანიას, არ ითვლება ფულის ბაზრის ინსტრუმენტად. კაპიტალის ბაზარზე ოპერირებენ ინსტრუმენტებით დაფარვის ხანგრძლივი ვადითა და, ხშირად, მცირე ლიკვიდურობით.

საკმაოდ რთულ ფულის ბაზარზე ოპერაციებს ახორციელებენ კომერციული ბანკები და ლიდერები, რომლებიც მუშაობენ ფასიან ქაღალდებთან. ფულადი ბაზრის ინსტრუმენტების პროცენტული განაკვეთები გამოირჩევა მნიშვნელოვანი მერძობელობით მოთხოვნისა და მიწოდების განუწყვეტელი ცვლილებების მიმართ. ახალი ინფორმაცია საკმაოდ სწრაფად გადაემუშავება, რის საფუძველზეც ხდება ფასის კორექტირება. სახსრების გადარიცხვა გამოიწვევს დიდ ვარიაციებს, როგორც წესი, ელექტრონული ქსელების მეშვეობით ხორციელდება, რაც გარიგების სწრაფად განხორციელების საშუალებას იძლევა:

ეფექტიანი ფულის ბაზრები აკმაყოფილებს ქვეყნის ლიკვიდებში მოთხოვნილებას. დიდი რაოდენობის ფასიანი ქაღალდები შესაძლოა სწრაფად იქნეს გაცვლილი წინა გარიგების ფასიდან მცირე გადახრით. ექნებათ რა თავის განკარგულებაში ასეთი ლიკვიდები, ფინანსური ორგანიზაციები, კომპანიები და კერძო პირები უფრო ადვილად შეძლებენ თავიანთი აქტივების პორტფელის მართვას და მის დაგეგმვას. ფულადი ბაზრის ინსტრუმენტის მაგალითად შესაძლოა მოვიყვანოთ სახაზინო ვექსილები, მოკლევადიანი კომერციული ვექსილები, გარდამავალი დეპოზიტური სერტიფიკატები. ჩვენ, შევეცადეთ, სტატიაში განგვეხილა აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტები მთლიანად ფინანსური ბაზრების კონტექსტში.

კაპიტალის ბაზრები უფრო ცვალებადია, ვიდრე ფულის ბაზრები, ვინაიდან მათში მოძრავი ფასიანი ქაღალდები ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდება მრავალი მახვენებლით. სახაზინო ვექსილები და ობლიგაციების ბაზარი კარგად არის ორგანიზებული, ამიტომ ეს ფასიანი ქაღალდები საკმაოდ ლიკვიდურებია. აშშ-ის ხაზინა წარმოადგენს მსოფლიოში ყველაზე დიდ მევალეს, იგი განუწყვეტლივ ახორციელებს გარიგებებს სახსრების მოსაზიდად და არსებული სახსრების რეფინანსირებისათვის. ვინაიდან სახელმწიფო ფასიან ქაღალდებზე არგადახდის რისკი ფაქტობრივად ნულის ტოლია და ისინი მაღალლიკვიდურნი არიან, ამ აქტივების მიხედვით ფასიან ქაღალდებზე ყველაზე მცირე შემოსავლის დარიცხვა ხდება, იმ შემოსავლებისა, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას. გირაო ბაზარზე ლიკვიდურობა უფრო დაბალია, ვიდრე სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში. კაპიტალის ბაზრის სრულიად სხვა ნაირსახეობას წარმოადგენს მუნიციპალური ფასიანი ქაღალდების ბაზარი. ვინაიდან მუნიციპალური ობლიგაციებიდან შემოსავალი მიიღება შემოსავლის დაბეგვიდან გამოკლების გზით, ისინი საინტერესოა ძირითადად ფიზიკური პირებისთვის, რომლებიც იხდიან დიდ გადასახადებს და ფირმებისათვის, რომელთა შემოსავლები იბეგრება კორპორაციული საშემოსავლო გადასახადის მთლიანი განაკვეთით. ამით აიხსნება ის, რომ აღნიშნული სახის ფასიანი ქაღალდების ბაზარი სეგმენტირებულია და მათგან მიღებული შემოსავლები განსხვავდება სხვა

ინსტრუმენტებით მიღებული შემოსავლებისაგან. მუნიციპალურ ფასიან ქაღალდებზე არგადახდის რისკის ხარისხი სხვადასხვაა და დამოკიდებულია ემიტენტზე.

დასასრულ, კაპიტალის ბაზრის ბოლო ნაირსახეობას წარმოადგენს კორპორაციული ობლიგაციები. მათგან მიღებული შემოსავლები მთლიანად იბეგრება, ამიტომ მათზე ინტერესს იხევენ ინვესტორთა სხვა კატეგორიები. საზოგადო, კორპორაციული ობლიგაციები არასაკმარისად ლიკვიდური არიან, ვიდრე სახაზინო და მუნიციპალური ობლიგაციები. ჩვეულებრივი აქციები არის იმის დასაბუთება, რომ თქვენ გეკუთვნით ფირმის ნაწილი და მათზე ფასის ცვლილებები მნიშვნელოვნად განსხვავდება ობლიგაციების ფასის ცვლილებებისაგან. ამრიგად, კაპიტალის ბაზრების მოკლე განხილვიდანაც ნათლად ჩანს, რომ მისი ინსტრუმენტები ძალიან განსხვავდება ფულის ბაზრის ფასიანი ქაღალდებისაგან.

ბოლო თხუთმეტი წელი ხასიათდება მნიშვნელოვანი ინოვაციებით ჯერ აშშ-ში, შემდეგ ევროპაში და შორეული აღმოსავლეთის განვითარებულ ქვეყნებში. ამ სიახლეების სია საკმაოდ მნიშვნელოვანია: ობლიგაციები ნულოვანი პროცენტული შემოსავლით, ფულადი ბაზრის პრივილეგირებული აქციები, ოფციონებისა და ფიჩერების ბაზრები, კრედიტები გადახდის პროცენტის დადგენილი ჭკერით, მულტივალუტური სესხები, გარიგებები სავაჭრო წერტილის ტერმინალში და სხვა. ეს სიახლეები ვრცელდება ახალ გაუმჯობესებულ საქონელზე ან პროცესებზე. ინოვაციების წარმოშობა არ ხდება თავისთავად, არამედ აქვს მრავალი მიზეზი, როგორც კონცეპტუალური, ასევე წარმოშობილი გარემო პირობების ცვლილების გამო.

ნებისმიერი ფინანსური სიახლის წარმოშობის მოტივს წარმოადგენს შემოსავალი. ეკონომიკური თვალსაზრისით, ნებისმიერი ახალი ფინანსური პროდუქტი ან პროცესი შემოსავლიანი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა იგი ბაზრის ფუნქციონირებას გახდის უფრო ეფექტიანს ან უნივერსალურს. როგორც აღვნიშნეთ, ფინანსური ბაზრის ამოცანაა – მიემართოს საზოგადოების დანახოვს უფრო ეფექტური მიმართულებით. მაგრამ შუამავლობაც მოითხოვს დანახარჯებს. დანახარჯი წარმოადგენს სხვაობას იმ თანხას შორის, რომელსაც იღებს სახსრების ბოლო მფლობელი და რასაც იხდის ბოლო მსესხებელი. ფინანსურ ინოვაციებს შეუძლია ბაზარი უფრო ეფექტიანი გახადოს ამ სხვაობის შემცირების თვალთახედვით და/ან შეამციროს დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა უხერხულობის აღმოსაფხვრელად. თუ ყოველივე ზემოთ თქმული მიიღწევა, მაშინ შუამავლობის ღირებულება შემცირდება.

განხილული პრინციპული დებულებები ახასიათებს საქართველოში ფინანსური ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმს მთლიანობაში და მისი ცალკეული სახეების მიხედვით. ამასთან, ცალკეული ფინანსური ბაზრების ფუნქციონირების მექანიზმს გააჩნია სპეციფიკური თავისებურებები, რომლებიც განისაზღვრება შემდეგი მანკვებლებით: მათზე არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფასით (საბაზრო ღირებულებით); ფაქტორების სისტემით, რომელიც გავლენას ახდენს ამ ინსტრუმენტების ფასის (საბაზრო ღირებულების) კონკრეტული დონის ფორმირებაზე; ბაზრის მონაწილეების მიერ ფასის კვტირების (ფორმირების) მეთოდებით და ა.შ. რაც მოითხოვს დამატებითი კვლევების ჩატარებას და აფართოებს ახალი სამეცნიერო ძიებების საზღვრებს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Роль финансовых рынков в развитии экономики страны Сумма денежных средств Источники формирования. <http://www.myshared.ru/slide/81206/>
2. Роль финансового сектора в развитии экономики. Журнал «Консультант».
3. Saretto A., Corporate Leverage, Debt Maturity and Credit Supply: The Role of Credit Default Swaps, Review of Financial Studies, march 2013. <http://rfs.oxfordjournals.org/content/26/5/1190.abstract>

*Nino Samchkuashvili.*

### ROLE OF THE FINANCIAL MARKET IN DEVELOPMENT OF NATIONAL ECONOMY

#### Annotation

The country's economic development, great importance is attached to the financial markets. The financial sector plays an important role in the development of any system that is based on the distribution of labor. It is the interaction between organized labor and the distribution of the different levels of development of the driving force of the contours of the playback. This function makes it possible to realize the goal of achieving the method - taken over profit. The principal provisions of the financial market operation mechanism described Georgia as a whole and its individual types.

*მირონ ტულუში  
დირექტორი შარაშენიძე*

### ეროვნული ვალუტის კურსის რეგულირების პრობლემები საქართველოში

ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილებები დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკის მქონე ნებისმიერი ქვეყნისათვის. ეკონომიკური თეორიიდან და მსოფლიო გამოცდილებიდან ცნობილია, რომ ვალუტის კურსზე გავლენას ახდენს მრავალი შიგა და გარე ფაქტორი, შესწავლილია ის ნეგატიური შედეგებიც, რაც შეიძლება თან ახლდეს ვალუტის ზედმეტად გამყარებას ან დევალვაციას. ამიტომ, ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილებები ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლების (საკანონმდებლო, აღმასრულებელი), ცენტრალური ბანკის და ა.შ. მხრიდან მუდმივ, სისტემურ ანალიზსა და კონტროლს საჭიროებს.

ლარის კურსის რყევები, მათ შორის დევალვაცია და მისგან გამომდინარე ნეგატიური შედეგები (ინფლაციური მთვლიანი, პროდუქტებისა და მომსახურებაზე ფასების ზრდა და ა.შ.) საქართველომ არაერთხელ გამოსცადა და დღეს, ამ მხრივ, ჩვენთვის გასაკვირი თითქოს არაფერი არ უნდა იყოს. თუმცა, მაინც უნდა

ითქვას, რომ ქვეყანის ხელისუფლება (საქართველოს პარლამენტი, მთავრობა) და ეროვნული ბანკი ამ მეტად არასასურველ მოვლენას, ჩვენი აზრით, სათანადოდ მომზადებული ვერ შეხვდა. მართალია, ლარის კურსის სტაბილიზაციის მიმართულებით განხორციელდა რიგი ღონისძიებები (ინტერვენციები სავალუტო ბაზარზე, ბრუნვაში არსებული ფულის მასის კონტროლის გაძლიერება და ა.შ.), მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული, ამ მეტად მნიშვნელოვანი პროცესის ეფექტიანი მართვა ქვეყანაში არ ხორციელდება.

სანამ უშუალოდ ლარის კურსის ცვლილების მართვის სრულყოფის საკითხებს შევეხებით, მოკლედ მიმოვიხილოთ თუ როგორ განვითარდა ეროვნული ვალუტის კურსის დევალვაციის პროცესი საქართველოში გასული წლის ბოლოსა და 2015 წლის დასაწყისში. აშშ დოლართან შედარებით ლარის კურსის 1,6500-დან 1,7500-მდე დაცემის შემდეგ, ლარის შემდგომი გაუფასურება 2014 წლის ბოლოს, 20 ნოემბრიდან დაიწყო: ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებით 1,7675 გახდა, 15 დეკემბრისათვის მან 1,8315-ს მიაღწია (აქედან მოყოლებული 11 მარტამდე, იგი ამ დონემდე აღარ გამოყარებულა), 2015 წლის 28 იანვრიდან კი მყარად გადალახა 2-ლარიანი ნიშნული (მხოლოდ 3,4 და 5 თებერვალი იყო გამოჩნაკლისი, როცა ლარი ოდნავ გამოყარდა და აშშ დოლარის მიმართ 1,9933-1,9977 შეადგინა). 2015 წლის მაისის დასაწყისში აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა 2,30-ს გადააჭარბა, რაც მეტად დამაფიქრებელია.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნულ პერიოდში, აშშ დოლართან შედარებით, მეტ-ნაკლებად, თითქმის ყველა ვალუტა გაუფასურდა (განსაკუთრებით კი რუსული რუბლი და უკრაინული გრივნა) და ლარის დევალვაციის მახვევებელი რეგიონის ქვეყნების ვალუტებთან შედარებით ერთ-ერთი ყველაზე დაბალი იყო, როგორც ექსპერტებმა, ისე ოპოზიციონერმა პოლიტიკოსებმა აღნიშნული მოვლენა მეტად მწვავედ შეაფასა. რა თქმა უნდა, გაიზარდა უკმაყოფილება მოსახლეობაშიც, რადგან მათ საკმაოდ დიდ ნაწილს, ვისაც აშშ დოლარში აქვს აღებული სესხი ან სხვა უცხოურ ვალუტაში იხდის სხვადასხვა სახის ქირას, ხოლო ხელფასი თუ სხვა შემოსავლები აქვთ ლარში, გაეზარდა გადასახადების ოდენობა. გარდა ამისა, უკმაყოფილების მიზეზი გახდა ზოგიერთი დასახელების პროდუქტებისა და მომსახურების გაძვირების ფაქტები და მასშტაბური ინფლაციური მოლოდინი.

ლარის კურსის ბოლოდროინდელი 25%-იანი დაცემა, ანუ სავალუტო „კრახის“ [7, გვ. 4] გამოძვევი მიზეზები საქართველოში სხვადასხვანაირად შეფასდა. მართალია, ყველა თანხმდება იმის თაობაზე, რომ აღნიშნული მოვლენა გარე და შიგა ფაქტორებმა განაპირობა, მაგრამ ექსპერტთა ერთი ნაწილი ეროვნული ბანკის (შემდგომში სეპ-ის) არასაკმარის აქტიურობაზე მიუთითებს, რომ მან სავალუტო ბაზარზე დროულად არ განახორციელა ინტერვენციები და არ გამოიყენა სხვა ინსტრუმენტები, მეორე ნაწილის აზრით კი ლარის დევალვაცია, სხვა ფაქტორებთან ერთად ქვეყნის დეფიციტურმა სახელმწიფო ბიუჯეტმა და წლის ბოლოს ბრუნვაში გაშვებულმა ლარის ზედმეტმა მასამ, ანუ ქვეყნის მთავრობის გაუაზრებელმა საბიუჯეტო პოლიტიკამ განაპირობა. ცალკეულ ინტერვიუებში აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები (ფინანსთა მინისტრი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი და სხვები) მიუთითებდნენ, რომ ლარის დევალვაცია მათი მიზეზით არ მომხდარა და ამ მხრივ სეპ-ის ვალდებულებაზე მიუთითებდნენ. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მაშინდელმა მოადგილემ (ამჟამად კი მინისტრმა ნ. ჯავახიშვილმა) ლარის კურსის დაცემისათვის მთელი პასუხისმგებლობა სეპ-ის პრეზიდენტს დააკისრა და მიუთითა, რომ მან სავალუტო ბაზარზე დროულად და საკმარისი ოდენობით არ განახორციელა ინტერვენციები (ამ მიზნით, სომხეთმა და მოლდოვამ სავალუტო რეზერვების ბევრად მეტი ოდენობა გამოიყენა, შესაბამისად 34 და 30% და უკეთეს შედეგებსაც მიაღწია), ამასთან, კრიტიკულ სიტუაციაში დაუშვა მიუტევებელი შეცდომა, როცა გაყიდვის ნაცვლად შეისყიდა ბაზარზე არსებული დოლარის დიდი ოდენობა, რითაც ხელი შეუწყო ლარის დაჩქარებულ გაუფასურებას.

ლარის კურსის დევალვაციის უმთავრეს მიზეზად სეპ-ის მოუქნელი საქმიანობა დაასახელა საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა. მისი აზრით, „ნაციონალური მოძრაობის მიერ აღნიშნულმა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ თავისი უმოქმედობითა და არასწორი ქმედებებით მიგვიყვანა ეროვნული ვალუტის კრიზისამდე. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კი ოფიციალური რეზერვების მხოლოდ 5%-მდე (120 მლნ დოლარი) დახარჯა, რაც შედეგს ვერ გამოიღებდა და ვერც გამოიღო.

დღეს ლარის გაცვლითი კურსი არ უნდა აღემატებოდეს 2,0 ლარს და მოუწოდებდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტს, შეასრულოს კონსტიტუციური მოვალეობა და გადადგას ადეკვატური ნაბიჯები“.

შექმნილი სიტუაციის უფრო მწვავე შეფასებებს გვთავაზობენ ექსპერტები დემურ გორხელიძე და ლია ელიავა, რომლებიც თვლიან, რომ ლარის ვარდნა წმინდა სპეკულაციური ხასიათისაა და მისი დევალვაციის მიზეზები, ძირითადად, სეპ-ს მიერ მასზე დაკისრებული ფუნქციების შეუსრულებლობაში უნდა ვეძიოთ. უფრო მეტიც, ისინი არ გამორიცხავენ, რომ სეპ-ის საქმიანობის კომპეტენტური აუდიტის მიერ შესწავლის შემდეგ დანაშაულის ნიშნებიც კი გამოიკვეთოს.

გამოითქვა საპირისპირო მოსაზრებებაც (რ. გოცირიძე, მ. ჯიბუტი და სხვები), რომელთა მიხედვით ლარის გაუფასურებაში სეპ-ის დადანაშაულება არასწორი და ქვეყნისათვის საფრთხის შემცველია, რადგან საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიამ ფაქტობრივად მოიწონა სეპ-ის მიერ ლარის ვარდნის შესაჩერებლად განხორციელებული ღონისძიებები და შემოგვთავაზა სამომავლო საქმიანობის რეკომენდაციები. სეპ-ის პრეზიდენტი გ. ქადაგიძე მისდამი წაყენებულ ბრალდებებს არ იზიარებს და მიიხვევს, რომ ლართან მიმართებაში „სეპ-ის ქმედებები იყო და არის სწორი, დროული და ადეკვატური. იმისათვის, რომ არასაბაზრო კურსი დაეჭიროთ, რეზერვებს არ დაგხარჯავთ, როგორც უნდა იყოს თხოვნა, მოთხოვნა და კრიტიკაც კი“. ჩვენი აზრით, ლარის დევალვაციის გამოძვევი მიზეზების ასეთი რადიკალურად განსხვავებული შეფასებები აღნიშნული ნეგატიური მოვლენის სწრაფად და სრულფასოვნად შესწავლის აუცილებლობაზე მიუთითებს.

ჩვენ ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ აშშ დოლართან შედარებით ლარის კურსის დაცემა მრავალი (გარე და შიგა) ფაქტორის ერთობლივმა ზემოქმედებამ განაპირობა და მასზე უადრესად ნეგატიურად იმოქმედა იმან, რომ დროულად ვერ აღმოიფხვრა მასთან დაკავშირებული აუცილებელი და სპეკულაციები. გარე ფაქტორებიდან, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ რამდენიმე თვეა აშშ დოლარი თითქმის ყველა ვალუტის მიმართ გამოყარდა და ამ მხრივ ისედაც სუსტი ქართული ლარი გამოჩნაკლისი ვერ იქნებოდა.

გარდა ამისა, ფაქტია, რომ ჩვენი ეკონომიკის დაჩქარებული განვითარებისათვის საჭიროა მეტი უცხოური ინვესტიციები, ქვეყანაში მის ნაკლებობას განიცდის. აქვე უნდა დავახსენოთ, რომ ლარის კურსის დეველვაციის გამოწვევით ერთ-ერთი გარე ფაქტორი უცხოური ინვესტიციების ნაკლებობაა და არა ბოლო ხანს მისი შემცირება, როგორც ამას ზოგიერთი ოპოზიციონერი ექსპერტი თვლის (მათ საყურადღებოდ შევნიშნავთ, რომ გასულ წელთან შედარებით საქართველოში უცხოური ინვესტიციების ოდენობა არათუ შემცირდა, არამედ გაიზარდა კიდევ).

წლების განმავლობაში ლარის კურსის სტაბილურობის ერთ-ერთი განმაპირობებელი გარე ფაქტორი იყო უცხოეთიდან საქართველოში შრომითი მიგრანტების მიერ გადმორიცხული თანხები, რომლის ოდენობა გასულ წელს, გასაგები მიზეზების გამო, საგრძნობლად შემცირდა და, სამწუხაროდ, ამ მხრივ პერსპექტივები საკმაოდ ბუნდოვანია.

ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინების ანგარიშგასაწვე წყაროს წარმოადგენდა უცხოური ტურისტული ნაკადები, რომელთა რიცხვი ბოლო ხანს, სამწუხაროდ, შემცირდა. ბოლო წლებში საგრძნობი ზრდის შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა საქართველოდან (ძირითადად რუსეთსა და უკრაინაში, ასევე აზერბაიჯანში) ექსპორტირებული პროდუქციის მოცულობა, რამაც ნეგატიურად იმოქმედა ლარის კურსის გამყარებაზე.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ არ ვიზიარებთ იმ ექსპერტების მოსაზრებას, რომლებიც თვლიან, რომ ლარის დეველვაცია მხოლოდ საგარეო ფაქტორებმა განაპირობა. მიგვაჩნია, რომ ლარის კურსის ვარდნა მნიშვნელოვანწილად საშინაო ფაქტორების შედეგია.

დავიწყოთ იმით, რომ საქართველოში ბოლო 25 წლის განმავლობაში, სხვადასხვა მიზეზით, ეკონომიკის განვითარებისათვის ბევრი არაფერი გაკეთებულა. ამ მხრივ, განსაკუთრებით კარგი გარემო შეიქმნა ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, როცა ცივილიზებულმა მსოფლიომ საქართველოსათვის ფინანსური მხარდაჭერა მნიშვნელოვნად გაზარდა. ქვეყანაში რამდენიმე მილიარდი უცხოური ვალუტა შემოვიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეკონომიკის განვითარებისათვის მათი მხოლოდ მცირე ნაწილი იქნა გამოყენებული. განსაკუთრებით აღსანიშნავია 2008 წლის ოქტომბერში ბრიუსელის დონორთა კონფერენციაზე მეგობარი ქვეყნებისა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ საქართველოსათვის გამოყოფილი 4.5 მილიარდი აშშ დოლარის (ექვივალენტი ლარში) ფინანსური დახმარება (მისი დაახლოებით 30% გრანტი იყო, დანარჩენი კი დაბალ პროცენტის სესხი), რომლის მიზნობრივად და ეფექტიანად გამოყენების შემთხვევაში ჩვენი ეკონომიკა დღეს ბევრად უფრო მძლავრი იქნებოდა. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ წინა ხელისუფლებამ 2009-2012 წლებში ძირითადად ამ უპრეცედენტო ფინანსური დახმარებით (და არა ეკონომიკის განვითარებით) შეძლო ლარის კურსის სტაბილურობის შენარჩუნება. სამწუხაროდ, მოკლე ხანში, არარეალურია, საქართველომ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნებიდან (მსოფლიოში აშკამად არსებული მდგომარეობის გამო) კიდევ მიიღოს უპრეცედენტო მოცულობის ფინანსური დახმარება, არადა, იგი ჩვენი ეკონომიკისა და სოციალური სფეროს განვითარებისათვის ძალზე საჭიროა.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი განვითარების პოლიტიკა იმგვარად უნდა შეიცვალოს, რომ მისი რეალიზაციის შედეგად უზრუნველყოფილ იქნეს ექსპორტის დაჩქარებული ზრდა და იმპორტის ადგილობრივი წარმოებით ჩანაცვლება. ამ მიზნით უნდა დამუშავდეს და განხორციელდეს სპეციალური პროგრამები. ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობის მისაღწევად ორივე მნიშვნელოვანი ამოცანაა – პირველი ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას გაზარდოს, მეორე კი ქვეყნიდან მის გადინებას შეამცირებს. ეკონომიკის ზრდამ აუცილებლად უნდა უზრუნველყოს ტურისტების ინდუსტრიისა და ინფრასტრუქტურის განვითარება, ამ მხრივ კი მთავრობას სერიოზული პრობლემების დაძლევა მოუწევს.

ქმედითი ღონისძიებების გატარებაა საჭირო ქვეყნის ბიუჯეტების (პირველ რიგში სახელმწიფო ბიუჯეტის) ფორმირების და გამოყენების, მთლიანად საბიუჯეტო პროცესის სრულყოფის მიმართულებით. უპირატესობა უნდა მიენიჭოს ეკონომიკის განვითარების პროგრამების განხორციელების ხელშეწყობას (თანადაფინანსებას), მკაცრად შეიზღუდოს ადმინისტრაციული ხარჯები და ა.შ.

ლარის კურსის ვარდნის განმაპირობებელი შიგა ფაქტორებიდან აუცილებლად უნდა გამოვყოთ აღნიშნული პროცესის მართვა-რეგულირებაში არსებული პრობლემები. პირველ რიგში, საყურადღებოა, რომ ლარის კურსის დაცემის დაწყებიდან 6 თვეზე მეტი გავიდა, მაგრამ დღესაც სრულად არ არის გარკვეული თუ რამ განაპირობა იგი და კონკრეტულად ვის როგორი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს. ეს იმიტომ ხდება, რომ სახეზეა არსებითი ხასიათის საკანონმდებლო ხარვეზები, რომელთა გამო შესაბამის კანონებში სრულად და ნათლად არ არის გაწერილი რომელ სახელისუფლო ორგანოს თუ აღნიშნულ პროცესში ჩართულ სხვა სტრუქტურას რა ევალება, როგორია მათი უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა<sup>156</sup>.

დავიწყოთ იმით, რომ ლარის კურსის დეველვაციის გამო უმაღლეს დონეზე გამართულ დებატებში, როცა სეზ-ს უმოქმედობაში სდებდნენ ბრალს, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და მისი მუდმივი დამცველი „ნაციონალური მოძრაობა“ ხშირად აპელირებენ იმაზე, რომ მათი მოწინააღმდეგეები კარგად არ იცნობენ შესაბამის კანონს, იგი, ეროვნულ ბანკს ლარის კურსის სტაბილურობის უზრუნველყოფას არ ავალდებულებსო. სეზ-ის პრეზიდენტი და „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები ფორმალურად მართალია, რადგან საქართველოს აშკამად მოქმედ ორგანოში „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ აღნიშნულია, რომ „ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა“ (2, მუხლი 2, პ.1)<sup>157</sup>.

<sup>156</sup> სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენს ქვეყანაში ცნება „პასუხისმგებლობის“ პრაქტიკული დატვირთვა ბოლომდე გასაგები არ არის. გამონათქვამები – „არ გავუბრუნებ პასუხისმგებლობას“, „ვიღებ პასუხისმგებლობას“ – ხშირ შემთხვევაში ცარიელი სიტყვებია და მეტი არაფერი.

<sup>157</sup> ეკონომიკის ექსპერტებისათვის გასაგებია, რომ „ვალუტის კურსი“ და „ფასების სტაბილურობა“ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ცნებებია და წარმოუდგენელია ფასების სტაბილურობა მიღწეულ იქნეს ვალუტის კურსის მკვეთრი დაცემის პირობებში, მით უმეტეს ისეთ ქვეყანაში, როგორც საქართველო, რომლის სავაჭრო ბრუნვაში იმპორტის წილი,

ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობის შესახებ კი მასში არანაირი ნორმა არ არის გათვალისწინებული, არადა, 2008 წლამდე, ეროვნული ბანკის კანონში ასეთი ჩანაწერი არსებობდა. კერძოდ, 1991 წლის 2 აგვისტოს ქვეყნის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ კანონში „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ“ საზღვარსმიტ იყო აღნიშნული, რომ, ფასების სტაბილურობასთან ერთად, „ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა ეროვნული ფულის სიმტკიცის უზრუნველყოფა“ იყო [4, მუხლი 1, პ.3]. იგივე მიდგომა იყო შენარჩუნებული 1995 წლის 23 ივნისს მიღებულ „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კანონში“, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ „ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა ეროვნული ფულის ერთეულისა და მისი მსყიდველობითი უნარის, ფასების სტაბილურობის მიღწევა და შენარჩუნება...“ [3, მუხლი 2, პ.1]. ლარის შემოდგომის შემდეგ, ახალი ეროვნული ვალუტის მიმოქცევაში გაშვებასთან დაკავშირებით მიღებულ საქართველოს კანონში „საქართველოს ეროვნული ბანკის კანონში ცვლილებისა და დამატების შესახებ“ გათვალისწინებული იყო ნორმა – „ეროვნული ბანკი აღგებს და არეგულირებს ლარის გადაცემის კურსს უცხოური ვალუტის მიმართ“ [5, მუხლი 36, პ.3]. იგი ძალაში იყო საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ ორგანული კანონის 2008 წლის 14 მარტის ცვლილებებამდე, რომლითაც სააკაშვილის ხელისუფლებამ უარი თქვა ეროვნული ვალუტის კურსის სტაბილურობის უზრუნველყოფაზე და კანონში ჩაიწერა, რომ „ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა“ [6, მუხლი 2, პ.1]. შემდეგ აღნიშნული ნორმა უცვლელად შევიდა 2009 წელს მიღებულ სეპ-ის ახალ კანონში, რომელიც დღესაც ძალაშია. **დღევანდელი გადასახედიდან ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ ზემოაღნიშნული ცვლილება პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით წინასწარგანზრახვით გააკეთა, რასაც დღეს, სეპ-ის პრეზიდენტი „წარმატებით“ იყენებს.** ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალური სფეროს განვითარებაში სტაბილური ეროვნული ვალუტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია „ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფასთან“ ერთად, საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანა „ლარის კურსის სტაბილურობის უზრუნველყოფაც“ გახდეს. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ლარის კურსის განსაზღვრის ახალი მექანიზმის შესახებაც. ჩვენ ვიზიარებთ ექსპერტების (დ.გიორგედიძის, ლ. ელიავას, ვ. ხომიზურაშვილის და სხვების) მოსაზრებებს იმის შესახებ, რომ ე.წ. ბლუმბერგის სისტემით ლარის კურსის განსაზღვრის მექანიზმი გაუმჯობესდება (მაგალითად, გაუგებარია გარიგებათა მოცულობები, არ კონტროლდება გარიგებათა შესრულების მდგომარეობა და ა.შ.), რაც, ამ მიზნით სეპ-სა და კომერციულ ბანკებს შორის სპეკულაციური გარიგებების არსებობის ეჭვებს აძლიერებს.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი ლარის კურსის ეფექტიან რეგულირებას (შესაბამისი კანონი რომც ითვალისწინებდეს) და ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფას, დამოუკიდებლად, ანუ მთავრობასთან (და ხელისუფლების სხვა შტოებთან) აქტიური თანამშრომლობის გარეშე, ვერ შეძლებს. ამ მიმართულებით საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში, რომელიც საქართველოს პარლამენტის საქმიანობას არეგულირებს, ასახულია ყველა აუცილებელი ნორმა, რაც შეეხება მთავრობას, ვფიქრობთ, რომ ლარის კურსის სტაბილურობის უზრუნველყოფის მიმართულებით მისი პასუხისმგებლობის გაძლიერება აუცილებელია. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლში, რომელიც მთავრობის კომპეტენციას განსაზღვრავს, „საფინანსო-საბიუჯეტო ურთიერთობების რეგულირებასთან“ (პუნქტი „კ“) ერთად „ეროვნული ვალუტის კურსის რეგულირების მიზნით ეროვნულ ბანკთან აქტიური თანამშრომლობაც“ იქნეს გათვალისწინებული.

აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა აუცილებელია, მაგრამ ის აზრს დაკარგავს, თუ არ მოხდება კანონით მინიჭებული უფლებამოსილების პრაქტიკული რეალიზაცია. ლარის კურსის დეველუაციის პროცესის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ქვეყნის ეროვნული ბანკის, რბილად რომ ვთქვათ, ნაკლებადეფექტიან საქმიანობასთან ერთად, ჩვენი აზრით, კრიტიკას იმსახურებს საქართველოს პარლამენტიც, რომელმაც მომავალში აუცილებლად უნდა გარდაქმნას საქმიანობა ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის დარგში მისთვის კანონით მინიჭებული საზედამხებელო უფლებამოსილების განხორციელების მიმართულებით.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, საბიუჯეტო კოდექსი და სხვა კანონები საქართველოს პარლამენტს, მის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს ავალდებულებს, ზედამხედველობა გაუწიოს სეპ-ის მიერ ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელების პროცესს. სამწუხაროდ, ლარის დეველუაციის გამო ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, საქართველოს პარლამენტმა ზემოაღნიშნულ ნეგატიურ პროცესზე დადებითი გავლენა ვერ მოახდინა. ამ მხრივ სრულიად არადაამაკმაყოფილებელია საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის საქმიანობაც. იგი ვალდებული იყო, საფუძვლიანად შეესწავლა სავალუტო კრიზისის (კრახის) გამომწვევი მიზეზები და პარლამენტისათვის შეეთავაზებინა სრულყოფილი ანალიზი და რეკომენდაციები. მიუხედავად, რომ მას ამგვარი გამოცდილება აქვს<sup>158</sup>.

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოთ, რომ ლარის კურსის გამყარება და მისი სტაბილურობის უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, რომელიც მხოლოდ ხელისუფლების შტოების გაერთიანებული ძალისხმევით შეიძლება გადაწყდეს. ამასთან, ეს დროულად უნდა მოხდეს, რადგან დაგვიანების შემთხვევაში თავიდან ვერ ავიცილებთ მიზნობრივზე (6%) მაღალ ინფლაციას, რომლის პირველი ნიშნები უკვე გამოიკვეთა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995.

<sup>158</sup> ტრადიციულად, ძალიან მაღალია. ამიტომ, თუ ხელისუფლებას სურს, უზრუნველყოს ფასების სტაბილურობა, მან ვალუტის კურსის არსებითი დაცემა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას.

<sup>159</sup> იხ. 1999 წელს საბიუჯეტო ოფისის მიერ გამოქვეყნებული 170 გვერდიანი ნაშრომი – „სავალუტო კრიზისი: ლარის დეველუაციის მიზეზები და მოსალოდნელი შედეგები“.

2. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ, (№1676-III, 2009 წლის 24 სექტემბერი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №29, 10.12.2009).
3. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ (1995 წლის 23 ივნისი, საქართველოს პარლამენტის უწყებები, თბ., 1994-1995, №№27-30, მუხ. 642).
4. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, №8, თბ., 1991).
5. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის კანონში ცვლილებისა და დამატების შესახებ“ (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1995, (№31-33).
6. საქართველოს ორგანული კანონი „ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე (საკანონმდებლო მაცნე, პირველი ნაწილი, №7, 2008, 26 მარტი).
7. სავალუტო კრიზისი, ლარის დევალვაციის მიზეზები და მოსალოდნელი შედეგები. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. თბ., 1999.
8. ოლივიე ბლანშარი. მაკროეკონომიკა (მე-5 გამოცემა) სამეცნ. რედ. ი. ანანიაშვილი, თსუ-ს გამომცემლობა, 2010.
9. Джеффри Д. САКС, Фелипе ЛАРРЕНБ. Макроэкономика. Глобальный подход, Из-во „Дело“, Москва, 1999.
10. [www.nbg.gov.ge/index.php?m=582](http://www.nbg.gov.ge/index.php?m=582)
11. [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=124&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=124&lang=geo)

*Miron Tugushi  
Dimitri Sharashenidze*

**PROBLEMS OF REGULATING THE NATIONAL CURRENCY IN GEORGIA**  
**Annotation**

The article includes analysis of dynamics in change of Gel (Georgian Lari) rate, the causes of its devaluation and also presents the way of its resolution. The importance of uniting the efforts of Georgian Parliament, Georgian Government and the National Bank of Georgia is emphasized in the article, as well as the change to be implemented in the Organic Law of Georgia on the National Bank of Georgia.

*ხათუნა შალამბერიძე*

**კონკურენცია საქართველოს საკრედიტო-საფინანსო ბაზარზე**

საბაზრო ეკონომიკის განვითარების პერიოდში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისთვის დამახასიათებელი ინფრასტრუქტურის ფორმირებას და განვითარებას, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია საკრედიტო-საბანკო სისტემა. საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს განვითარება, გლობალიზაციის პროცესში მისი ჩართვა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების წარმატებით განხორციელება შეუძლებელია საკრედიტო სისტემის გამართული ფუნქციონირების გარეშე.

საქართველოს თანამედროვე საკრედიტო სისტემის ახალი სტრუქტურა შეესაბამება საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნილებებს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საკრედიტო სისტემის ფორმირებას გააჩნდა და დღესაც გააჩნია რიგი ნაკლოვანებები. საწყის ეტაპზე იქმნებოდა საფინანსო ინსტიტუტები სუსტი ფინანსური ბაზით, რის გამოც კლიენტების ხარისხიან მომსახურებას ვერ უზრუნველყოფდნენ, ძირითადად იძლეოდნენ მოკლევადიან კრედიტებს, გრძელვადიანი საინვესტიციო რესურსები ქვეყნის კომერციულ ბანკებს ფაქტობრივად არ გააჩნდა. თანდათან მიმდინარეობდა ბანკების შერწყმისა და გამსხვილების ტენდენცია.

კონკურენციის მთავარი მიზანია უპირატესობის მოპოვება ერთსა და იმავე ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებს შორის და მაქსიმალური მოგების მიღება უპირატესობის მიღწევის ხარჯზე. კონკურენცია არსებობს ყველგან და ყველგან. გამონაკლისი არც საქართველოს ფინანსური ბაზარია, სადაც სხვადასხვა ინსტრუმენტებისა და პროდუქტების გამოყენებით უპირატესობის მოპოვებას ცდილობენ ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებები.

საბანკო სექტორის განვითარების ძირითადი ტენდენციებიდან შეიძლება გამოვყოთ ბანკების რაოდენობის შემცირება, საკრედიტო ორგანიზაციების გამსხვილება. საბანკო სფეროში, ისევე, როგორც ეკონომიკის ნებისმიერ დარგში, თავისუფალი კონკურენცია აუცილებლად იწვევს კონცენტრაციას. ბანკების ერთი ნაწილი უმძლავრესი კონკურენტების მიერ შთაინთქმებიან, დანარჩენებიდან ნაწილი კი, დამოუკიდებლობის ფორმალურად შენარჩუნებით, ფაქტობრივად უფრო ძლიერი მოწინააღმდეგეების გავლენის ქვეშ ექცევიან. ასევე შეიძლება განხორციელდეს ბანკების შერწყმა, „გადაჯახვა“. ასეთ შემთხვევაში ბანკების რაოდენობა მცირდება, მაგრამ, ამასთან ერთად, მათი სიდიდე იზრდება, ოპერაციის მოცულობა მატულობს. კონკურენცია შეიმჩნევა როგორც ცალკეულ ბანკებს, ასევე საბანკო და არასაბანკო დაწესებულებებს შორისაც.

საქართველოს საბანკო სექტორი ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ სფეროდ იქცა, სადაც ყოველწლიურად იზრდება უცხოური კაპიტალის ხვედრითი წილი, იხსნება უცხოური ბანკების ფილიალები, იზრდება საბანკო კონკურენცია, წამყვანი ქართული ბანკები გაზრდილი კონკურენციის პირობებში, სულ უფრო აქტიურად მიმართავენ ქვეყნის მასშტაბით არა მხოლოდ ფილიალებისა და განყოფილებების ქსელის გაფართოებას, არამედ შეიღობილი კომპანიების დაფუძნების პრაქტიკას სადაზღვევო, საფონდო თუ სალიზინგო ბაზრის ათვისების მიზნით. გარდა ამისა, წამყვანი ქართული ბანკები უკვე იწყებენ სხვა ქვეყნებში შეიღობილი ბანკების გახსნასაც. ბანკებმა აქტიურად დაიწყეს ინოვაციური საბანკო პროდუქტების დანერგვა.

საბანკო ბაზრებზე კონკურენციას უწევენ ერთმანეთს: უნივერსალური ბანკები; სპეციალიზებული ბანკები; არასაბანკო საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები. ბანკთაშორის კონკურენცია ხორციელდება: საკრედიტო მომსახურების ბაზარზე; საანგარიშსწორებო მომსახურების ბაზარზე; დეპოზიტური მომსახურების ბაზარზე; ახალი საბანკო მომსახურების ბაზარზე.

დეპოზიტური მომსახურების ბაზარზე კომერციულ ბანკებს და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებს კონკურენციას უწევენ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, მიუხედავად იმისა, რომ, კანონმდებლობით, მათ ეკრძალებათ დეპოზიტების მოხილვა. ცნობილია, რომ ბიზნესისათვის ნებადართულია ყველაფერი, რაც აკრძალული არ არის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ვერ იზიდავენ ფიზიკური და იურიდიული პირების თავისუფალ ფულად სახსრებს დეპოზიტების სახით, თუმცა შეუძლიათ ამ სახსრების სესხება, რასაც აქტიურად ახორციელებენ. ისინი თამასუქების სახით უშვებენ ფასიან ქაღალდებს და პროდუქტიდან მიღებულ სახსრებს აქტიურ ოპერაციებში იყენებენ.

საკრედიტო კავშირი – არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულება – არის კოოპერატივის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებული საწარმო, რომელიც მხოლოდ თავისი წევრებისაგან იღებს ანაბრებს, აძლევს მათ სესხს, ახორციელებს მხოლოდ კანონით ნებადართულ საბანკო საქმიანობას და მისი უმთავრესი მიზანი არ არის მოგების მიღება.

საკრედიტო კავშირი უფლებამოსილია, განახორციელოს შემდეგი საბანკო საქმიანობა:

- მიიღოს ანაბრები მხოლოდ თავისი წევრებისაგან;
- გასცეს სესხები მხოლოდ თავის წევრებზე;
- განახორციელოს ინვესტიციები;
- გასწიოს ზემოაღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურება, სასესხო ვალდებულებების

აღების ჩათვლით.

საკრედიტო კავშირის საქმიანობის პრინციპებია:

- წევრობის ნებაყოფლობითობა;
- ფიზიკურ პირთა საერთო ნიშნით გაერთიანება;
- წევრთა უშუალო მონაწილეობა საკრედიტო კავშირის მართვაში.

საკრედიტო კავშირების საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი. საკრედიტო კავშირების საქმიანობაზე ზედამხედველობის მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკი გამოსცემს სხვადასხვა ნორმატიულ აქტებს.

საკრედიტო კავშირის საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა ფულადი ფორმით განისაზღვრება მისი წევრთა რაოდენობის, და 50 ლარის ნამრავლის ოდენობით, მისი განაღდება საკრედიტო კავშირის წევრების მიერ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საქართველოს ეროვნულ ბანკში ლიცენზიის მისაღებად განცხადების წარდგენამდე. საკრედიტო კავშირის მთლიანი კაპიტალის მინიმალური ოდენობა მის მიერ ლიცენზიის მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში უნდა იყოს არანაკლები საწესდებო კაპიტალის მინიმალური მოთხოვნისა, ხოლო შემდეგ, მომდევნო წელს აქტივების არანაკლებ 12 პროცენტისა.

საკრედიტო კავშირების ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, საქართველოს ეროვნული ბანკი პერიოდულად განიხილავს მათთვის საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობის გაზრდის საკითხს. საკრედიტო კავშირის საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობის დადგენის მთავარი კრიტერიუმი არის მათი აქტივები. არ შეიძლება საკრედიტო კავშირის საწესდებო კაპიტალის შემცირება, თუ ამის შემდეგ იგი აღმოჩნდება სუბ-ის მიერ დადგენილი საწესდებო კაპიტალის მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები.

საკრედიტო კავშირის განვითარების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი საკუთარი კაპიტალის ზრდაა. საკრედიტო კავშირის საკუთარი კაპიტალი შედგება შემდეგი მუხლებისაგან: 1. საწესდებო, ანუ საპაიო კაპიტალი; 2. შემოწირულობა კაპიტალში; 3. საერთო რეზერვი; 4. გაუნაწილებელი მოგება

საერთო რეზერვის გარდა, საკრედიტო კავშირმა სუბ-ის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად უნდა შექმნას აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვი. აღნიშნული რეზერვი არ არის საერთო რეზერვის შემადგენელი ნაწილი.

საკრედიტო კავშირის მიერ მოხილული ანაბრები არის საკრედიტო კავშირის სახსრების ფორმირების ძირითადი წყარო. იგი ანაბრებს იღებს მხოლოდ თავისი წევრებისაგან. ანაბარი შეიძლება იყოს მოთხოვნამდე და ვადიანი.

რა სხვაობა და მსგავსებაა საბანკო ანაბარსა და საკრედიტო კავშირის ანაბარს შორის?

ანაბარი, როგორც საფინანსო ბაზარზე დაბანდების ერთ-ერთი აღიარებული საშუალება, დანაზოვის შენახვისა და დაგროვებისათვის საკმაოდ ცნობილი და მარტივი საშუალებაა. საკრედიტო კავშირის ანაბარსა და საბანკო ანაბარს შორის არ არსებობს რამე არსებითი სხვაობა, გარდა იმისა, რომ საკრედიტო კავშირი გასცემს ანაბრებს მხოლოდ თავის წევრებზე, რაც თითოეულ წევრს აძლევს საშუალებას, თვითონ აკონტროლოს თავისივე ფულადი სახსრების გამოყენება, მიიღოს სისტემატური ანგარიშები თითოეულ გაცემულ სესხზე ან/და საკრედიტო კავშირის მიერ განხორციელებულ ნებისმიერ ინვესტიციაზე, მიიღოს საბანკო ანაბარზე მეტი სარგებელი.

რატომ აქვს საკრედიტო კავშირს ბანკებთან შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთები ანაბრებზე?

საკრედიტო კავშირის ბუნებიდან გამომდინარე, ის ზრუნავს მხოლოდ თავისი წევრებზე, რომლებიც იმავდროულად წარმოადგენენ მეპაიეებს მაქსიმალურ სარგებელზე, განსხვავებით ბანკებისგან, როდესაც ბანკის მიერ აკუმულირებული მოგება ნაწილდება მხოლოდ აქციონერებზე/დამფუძნებლებზე. აქედან გამომდინარე, საკრედიტო კავშირებს აქვთ საშუალება, თავიანთი წევრების მომავალი მოგების წილი წინასწარ გადაანაწილონ შემოტანილ ანაბრებზე მაღალი სარგებლის დარიცხვის გზით. საკრედიტო კავშირის სარგებელი საბანკო სადეპოზიტო სარგებელზე ჩვეულებრივ, 40-50%-ით, ზოგ შემთხვევაში კი 75%-ით მაღალია.

საკრედიტო კავშირს შეუძლია ჭარბი ლიკვიდურობის გათვალისწინებით განახორციელოს ინვესტიციები: ა) სახაზინო ვალდებულებებში; ბ) კომერციულ ბანკებში მოკლევადიანი დეპოზიტების სახით; გ) სხვა საკრედიტო კავშირებზე მოკლევადიანი სესხების გაცემით; დ) ასევე, ეროვნული ბანკის მიერ დაშვებულ სხვა ინვესტიციებში.

ყველა საკრედიტო კავშირი ვალდებულია, ყოველწლიურად მოიწვიოს გარე აუდიტი აუდიტორული შემოწმების ჩასატარებლად. თუ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საკრედიტო კავშირის საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელების შედეგად დადგინდა, რომ საფრთხე ემუქრება საკრედიტო კავშირის წევრთა ანაბრებს, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით, დანიშნოს დროებითი ადმინისტრაცია ან გააუქმოს საკრედიტო კავშირის ლიცენზია.

რა განსხვავება და მსგავსებაა საკრედიტო კავშირსა და ბანკს შორის?

საკრედიტო კავშირსა და კომერციულ ბანკს შორის მსგავსება ისაა, რომ ორივე სტრუქტურა არის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული, მასზე (საკრედიტო კავშირზე) ვრცელდება თითქმის ყველა რეგულირება დადგენილი ფინანსური კოეფიციენტებისა და ლიმიტების სახით, რაც ვრცელდება კომერციულ ბანკებზე. თუმცა საკრედიტო კავშირები გაცილებით ლიბერალურნი არიან, რაც, ბანკთან შედარებით, თავისი წევრების მომსახურებაში მეტ მოქნილობასა და უპირატესობას ანიჭებს. საკრედიტო კავშირს, ისევე, როგორც ბანკს, უფლება აქვს, მოიხილოს დეპოზიტები და გასცეს სესხები, ერთი განსხვავებით, რომ საკრედიტო კავშირს სესხების გაცემა და დეპოზიტების მოხილვა შეუძლია მხოლოდ თავის წევრებზე (მეპაიეებზე). სხვაობას ასევე წარმოადგენს ის, რომ საკრედიტო კავშირის წევრობა შეუძლია მხოლოდ ფიზიკურ პირს. ბანკებისგან განსხვავებით, საკრედიტო კავშირის ძირითად მიზანს არ წარმოადგენს მოგება, არამედ მოქნილობა, გამჭვირვალობა და თავის წევრებზე ზრუნვა. იმ დროს, როდესაც ბანკი ოპერირებს და ქმნის მოგებას მხოლოდ მისი დამფუძნებლებისათვის, საკრედიტო კავშირი ზრუნავს თითოეული მისი წევრის მაქსიმალურ სარგებელზე, იქნება ეს მსესხებელი თუ მეანაბრე.

რა უპირატესობები აქვს საკრედიტო კავშირს ბანკთან შედარებით?

საკრედიტო კავშირის ძირითადი უპირატესობა არის მის წევრებზე ბანკთან შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთი, რადგან საკრედიტო კავშირი მომავალი მოგების დიდ წილს წინასწარ უნაწილებს თავის წევრებს.

ბანკის მიმართ საკრედიტო კავშირის ძირითად უპირატესობას წარმოადგენს ოპერაციების სიმარტივე, ანაბრის მიღებისა და სესხის გაცემის გამჭვირვალობა, გადაწყვეტილების მიღებაში თითოეული წევრის მონაწილეობის შესაძლებლობა, კავშირის წევრებზე ორიენტირებული ოჯახური გარემო, კავშირის საერთო მიზნების განხორციელებაში აქტიური მონაწილეობის მიღების საშუალება. საკრედიტო კავშირი მის წევრებს აძლევს საშუალებას, მიიღონ მონაწილეობა კავშირის მიერ განხორციელებულ საზოგადოებრივ საქმიანობაში, იქნება ეს საქველმოქმედო პროგრამები, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვა.

წარმოგიდგინათ, რომ თქვენ, როგორც მეანაბრე, მოგეცეთ საშუალება, თვითონ მართოთ თქვენივე ანაბარი, გქონდეთ საკრედიტო კომიტეტში მონაწილეობის უფლება, მიიღოთ შიდა ინფორმაცია ფინანსური სტრუქტურის საქმიანობაზე? ამ ყველაფრის შესაძლებლობას გაძლევთ საკრედიტო კავშირის წევრობა.

რა სისუსტეები აქვს საკრედიტო კავშირს ბანკთან შედარებით?

საკრედიტო კავშირს არ გააჩნია კლიენტების მიმდინარე ანგარიშები, კავშირში შემოსული ყველა ანაბარი დეპონირდება კავშირის საბანკო ანგარიშზე წევრის სახელით მითითებით. საკრედიტო კავშირის წევრობა შეუძლია მხოლოდ ფიზიკურ პირს. საკრედიტო კავშირებს საქართველოში გააჩნია გაცილებით უფრო მოკლე ისტორია და მწირი გამოცდილება და, აქედან გამომდინარე, საკრედიტო კავშირების ცნობადობა ბანკებთან შედარებით დაბალია. კომერციული ბანკები ემსახურებიან როგორც იურიდიულ, ასევე ფიზიკურ პირებს მაშინ, როდესაც საკრედიტო კავშირი შექმნილია მხოლოდ ფიზიკური პირების მიერ, სხვაგვარად საკრედიტო კავშირი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ფიზიკური პირების საბანკო დაწესებულება.

რამეს ხომ არ ავალდებულებს საკრედიტო კავშირის წევრობა და ხომ არ არსებობს რამე პასუხისმგებლობა საკრედიტო კავშირის საქმიანობაზე?

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (შპს) მსგავსად, საკრედიტო კავშირის წევრის პასუხისმგებლობა გამოიხატება მხოლოდ მისი საწევრო შენატანით, რომლის ოდენობაა 50 ლარი. რამე სხვა სახის პასუხისმგებლობა ან/და ვალდებულება ან კავშირის სხვა წევრების ან მესამე პირების მიმართ არ არსებობს. ანუ თუ კრიზისის, ომის ან სხვა სუბიექტური ან ობიექტური მიზეზის გამო საკრედიტო კავშირს შეეკმნება პრობლემა, წევრი შეზღუდულად, თავისი გადახდილი 50-ლარიანი საწევრო გადასახადით აგებს პასუხს მესამე პირების წინაშე (არანაირი პირადი ქონებით ან რამე დანაზოგით და ა.შ.).

რა სხვაობაა მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და საკრედიტო კავშირებს შორის? მიკროსაფინანსო ორგანიზაციები წარმოადგენს არალიცენზირებულ ფინანსურ ინსტიტუტებს, რომელთა რეგულირება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცილებით მცირეა, ვიდრე ლიცენზირებული საკრედიტო კავშირებისა, რომელთა მიმართაც ეროვნულ ბანკს აქვს რეგულირების მკაცრი ნორმები ფინანსური კოეფიციენტებისა და ლიმიტების სახით. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს კანონით ეკრძალებათ ორმოცდაათი-ასი ათას ლარზე მეტი სესხის ერთ მსესხებელზე გაცემა, მაშინ, როდესაც საკრედიტო კავშირებზე ასეთი შეზღუდვა არ არსებობს. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს არ შეუძლიათ ანაბრებისა და დეპოზიტების მოხილვა, საკრედიტო კავშირებს არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების შესახებ კანონის მიხედვით შეუძლიათ თავიანთი წევრებისგან დეპოზიტებისა და ანაბრების მოხილვა. ძირითად და უპირატეს განსხვავებას წარმოადგენს ის, რომ საკრედიტო კავშირის დეპოზიტარი და მსესხებელიც იმავედროულად არის საკრედიტო კავშირის წევრი, მეპაიე, რომელსაც შეუძლია კავშირის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობის მიღება.

ბანკებისა და სხვა საფინანსო ორგანიზაციების დამფუძნებლები ადამიანთა და ორგანიზაციათა შეზღუდული წრეა, შესაბამისად მათი საქმიანობის ძირითადი მიზანი კლიენტებისათვის მომსახურების ფართო სპექტრის



შეთავაზებით, შეზღუდული წრისათვის მაქსიმალური მოგების მიღებაა, ხოლო საკრედიტო კავშირის ყოველი წევრი (კლიენტი) მისი დამფუძნებელია, შესაბამისად, საკრედიტო კავშირი ცდილობს, მიღებული შემოსავლებით მოგება მაქსიმალურად კი არ გაზრდოს, არამედ მის დამფუძნებლებს მოახმაროს მიმდინარე ანაბრებსა და ვადიან დეპოზიტებზე შემოტანილ თანხებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთების შეთავაზების გზით. იგი არ მისწრაფვის წევრებიდან მიღებულ ანაბრებზე და გაცემულ სესხებზე დაწესებულ საპროცენტო განაკვეთებს შორის სხვაობის გაზრდასაკენ. საქმიანობის წარმართვის ასეთი მიდგომები ხელს არ უშლის ორგანიზაციას განვითარებისათვის საჭირო მოგების მიღებაში, რაც საკუთარი კაპიტალის ფორმირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, სწორედ აღნიშნული განაპირობებს საკრედიტო კავშირის მოგებაზე არაორიენტირებულობას. სწორედ ეს განასხვავებს საკრედიტო კავშირს ბანკის, ლომბარდის თუ სხვა საფინანსო სტრუქტურისაგან.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია არის შპს ან ს/ს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელიც მისი განაცხადის საფუძველზე რეგისტრირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და ახორციელებს ამ კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას საქართველოს ეროვნული ბანკის ზედამხედველობით.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალში ფულადი შესატანი არ უნდა იყოს ორას ორმოცდაათი ათას ლარზე ნაკლები. ამ თანხის ზემოთ წესდებით დადგენილი საწესდებო კაპიტალის სრული ოდენობის ფულადი ან/და არაფულადი ფორმით შეესება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უფლებამოსილია, განახორციელოს მხოლოდ შემდეგი საქმიანობა:

ა) იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის მიკროსესხების, მათ შორის, სამომხმარებლო, სალომბარდო, იპოთეკური, არაუზრუნველყოფილი, ჯგუფური და სხვა სესხების (კრედიტების) გაცემა; ბ) ინვესტირება სახელმწიფო და საჯარო ფასიან ქაღალდებში; გ) ფულადი გზავნილების განხორციელება; დ) სადაზღვევო აგენტის ფუნქციის შესრულება; ე) მიკროდაკრედიტებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურების გაწევა; ვ) სესხების (კრედიტების) მიღება რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან; ზ) იურიდიული პირების საწესდებო კაპიტალის წილების ფლობა, რომელთა ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალის 15%-ს; თ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ფინანსური მომსახურებები და ოპერაციები, მათ შორის, მიკროლოზინგი, ფაქტორინგი, ვალუტის გადაცემა, თამასუქების, ობლიგაციების გამოშვება, რეალიზაცია, გამოსყიდვა და მათთან დაკავშირებული სხვა ოპერაციები.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციას ეკრძალება დეპოზიტების მიღება ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციათა საქმიანობა, ჩვეულებრივ, დაბალი რისკს-ფაქტორებით, პორტფელის მაღალი ხარისხით, ზრდის სტაბილური ინდიკატორებით ხასიათდება. მართალია, ამ ორგანიზაციებს არ აქვთ ისეთი დიდი ფინანსური შესაძლებლობები, როგორც ბანკებს, მაგრამ ისინი მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებაში მაინც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, მათი შეზღუდული რესურსების მიუხედავად, კრედიტებს ყოველთვის მყარი უზრუნველყოფითა და მაღალი საპროცენტო განაკვეთით გაცემდნენ. აქედან გამომდინარე, კრიზისის პირობებში, როდესაც ქართულმა ბანკებმა სესხებისა და კრედიტების გაცემა პრაქტიკულად შეაჩერეს და ბანკების საკრედიტო განყოფილებების თანამშრომლების დიდი ნაწილი შეამცირეს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საკრედიტო პორტფელები უფრო დაზღვეული აღმოჩნდა, შესაბამისად, ფინანსური კრიზისი მიკროსაფინანსოების მდგომარეობაზე ნაკლებად აისახა.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გაცემული მიკროკრედიტის მაქსიმალური ჯამური ოდენობა ერთ მსესხებელზე არ უნდა აღემატებოდეს ორმოცდაათი ათას ლარს. სესხი შეიძლება იყოს ჯგუფური ან ინდივიდუალური, უზრუნველყოფილი ან საბლანკო.

მიკროკრედიტი არის მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადიანობის, დაბრუნებადობის, ფასიანობის და მიზნობრიობის პირობების შესაბამისად მსესხებელზე ან მსესხებელთა ჯგუფზე გაცემული ფულადი თანხა.

საქართველოში კომერციული ბანკების 90-95% დამწვები ბიზნესმენებისთვის ბიზნესკრედიტს არ გასცემენ და თუ გასცემენ, მხოლოდ არსებული ბიზნესის გასაგვითარებლად – ბიზნესკრედიტის გაცემის ერთ-ერთ პირობას ბიზნესსაქმიანობის მინიმუმ რამდენიმეთვიანი ისტორია წარმოადგენს. მცირე მეწარმეების ბიზნესბრუნვა მცირეა და ითხოვენ მცირე თანხებს. ასეთ შემთხვევებში, მათ ბანკში სესხის აღება ძალიან მაღალ პროცენტში უწევთ, რადგან როდესაც ბანკიდან მცირე თანხას იღებ, საპროცენტო განაკვეთი მაღალია. სწორედ ამიტომ, ბიზნესი საბანკო სექტორს საკრედიტო პოლიტიკის მოუქნელობაში ადანაშაულებს. გარდა ამისა, ეკონომიკის ექსპერტებიც თანხმდებიან, რომ ქვეყანაში მეწარმეობის სუსტი განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ ბანკების მიერ დამწვები ბიზნესმენების დაკრედიტების არარსებობაა.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ მიკროსაფინანსო ბაზარზეც გამოიკვეთა კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირების ტენდენცია, მათი საპროცენტო განაკვეთი მაინც მნიშვნელოვნად აღემატება საბანკო სექტორის საპროცენტო განაკვეთებს. თუმცა, მომხმარებელი მათ მაინც დიდი რაოდენობით ჰყავთ. ექსპერტთა განმარტებით, მიკროსაფინანსო ბაზარზე არსებული მაღალი საპროცენტო განაკვეთის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საკუთარი ფულის უქონლობაა, ამიტომ ისინი ფინანსებს საერთაშორისო ფონდებიდან, გრანტებიდან ან მიზნობრივი პროგრამებიდან იზიდავენ. მაგრამ, რაკი საქართველოში ასეთი ფონდები პრაქტიკულად არ არსებობს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები საბრუნავ თანხას ბანკებიდან კრედიტის სახით იღებენ და შემდეგ ასევე კრედიტად გასცემენ. ექსპერტთა ნაწილის განცხადებით, რადგან საქართველოში ბანკიდან სესხის აღება გართულებულია, მომხმარებელი იძულებულია მიკროსაფინანსო ორგანიზაციას მიმართოს და ბანკთან შედარებით ბევრად მაღალი საპროცენტო განაკვეთი გადაიხადოს.

**COMPETITION OF THE CREDIT- FINANCIAL MARKETS IN GEORGIA**  
**Annotation**

Modern society demands certain requirements to banks in connection with their financial activities. Banks' work should be highly effective. That's why it's actual to assess efficiency of bank's financial activities. It should be noted that there is no single approach of efficiency determination in the world. In economically highly developed countries effectiveness is determined by the increase of the bank's stock or business price, while in less developed countries, it is possible to evaluate the effectiveness by means of profitability and rent ability.

Moreover, the modern banking sector is characterized by increased competition and the existence of a global crisis. In this case, assessment is concentrated on the evaluation of banks' sustainability and reliability. On the other hand consistency and reliability is highly dependent on banks' capital structure and enough to cover this risk, balance sheet liquidity levels, asset quality and structure, risk management policy, risk - Management arrangements for quality control.

**საბანკო საქმის მდგრადობის, სტაბილურობისა და საიმედოობის თეორიული საფუძვლები** *გიორგი ცაავა*

ეკონომიკური ლიტერატურის ანალიზმა დაგვანახა, რომ საბანკო სისტემის მდგომარეობის აღწერისას ყველაზე ხშირად გამოიყენება ზედსართავეების „მდგრადი“, „სტაბილური“, „საიმედო“ – შესაბამისი სიტყვებისაგან წარმოქმნილი განყენებული არსებითი სახელწოდებები. ამასთან, შეხედულებების ერთიანობა არ არის, საბანკო საქმისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კვლევებსა და ლიტერატურაში აღნიშნული ცნებების განსჯაში ტერმინოლოგიური არეულ-დარეულობა შეიმჩნევა.

საბანკო საქმეში მოცემული ცნებების განსჯის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს წარმოადგენს:

- უპირველეს ყოვლისა, ბანკის საიმედოობის, სტაბილურობისა და მდგრადობის მიმართებაში ერთიანი თვალსაზრისების არარსებობა;
- მეორე მხრივ, მოცემული ტერმინების განსაზღვრებები ტრანსფორმირდება ავტორების თვალსაზრისებიდან გამომდინარე;
- მესამე, ცნებების დაქვემდებარებულობის განსჯის კონტექსტში ერთიანობა არ არის;
- მეოთხე, ინგლისურენოვან პუბლიკაციებში გამოიყენება ტერმინი „Stability“, რომელიც, კონტექსტიდან დამოკიდებულებაში, შეიძლება როგორც „სტაბილური“, ასევე როგორც „მდგრადი“ სახით იქნეს გადათარგმნილი.

*ცხრილი 1*

**მოცემული ცნებების აპარატის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები**

კატეგორია	ტერმინი	განსაზღვრება
ლექსიკური	- მდგრადობა;	მყარად დგომის თვისების მქონე, დაცემის გარეშე, მერყეობის გარეშე; ასეთი მდგომარეობის შენარჩუნების შემძლე, მიუხედავად სხვადასხვა ძალების ზემოქმედებისა; რაიმე სახის ზემოქმედებზე დაუმორჩილებელი, მყარი, მდგრადი, საიმედო
-,-	- სტაბილურობა	მდგრადი, მუდმივი, უცვლელი
-,-	- საიმედოობა	ნდობის მომცემი, ისეთი, რომელზედაც შეიძლება დაყრდნობა; მტკიცე, მაგარი (საგნების შესახებ); მიზნის მიღწევის უზრუნველყოფელი, საიმედო; იმედის მქონე, დარწმუნებული ვიღაცის მიმართ, რაღაცის მიმართ
ფილოსოფიური	- სტაბილურობა	თავისებურებების მკაცრი ნაკრები, სადაც მცირეოდენი რყევებიც კი განიხილება როგორც დაბრკოლებები, როგორც არასტაბილურობაში გადახრა
მათემატიკური	- მდგრადობა	უშფოთველი მოძრაობა მდგრადია, თუ დროის საწყის მომენტში აღშფოთებულობა შემდგომში მთლიანად თავისი საწყისი მდგომარეობის უშუალო სიახლოვეს მიმდინარეობს და აღნიშნულ სამეზობლო სფეროს არ ტოვებს
-,-	- საიმედოობა	ობიექტის თავისებურება – საჭირო ფუნქციების შესრულების შესაძლებლობის მახასიათებელი ყველა პარამეტრის მნიშვნელობების დასახულ ჩარჩოებში დროში შენარჩუნებასთან დაკავშირებით
ეკონომიკური	- მდგრადობა	ეკონომიკური სისტემის შესაძლებლობა,

		რომელმაც მისი დასაშვები მნიშვნელობის ჩარჩოებს გარეთ არასასურველი გადახრები განიცადა შიდა და საგარეო რესურსების ხარჯზე წონასწორობის მდგომარეობაში დაბრუნებასთან დაკავშირებით
„-“	- სტაბილურობა	ბაზრის ეკონომიკური სისტემის მდგომარეობა, რომელიც ორი სხვადასხვა მიმართულების ფაქტორების დაბალანსებულობის, გაწონასწორებულობის არსებობით ხასიათდება

აღნიშნულთან დაკავშირებით საბანკო საქმის მოცემულ კატეგორიებში გარკვეული დაზუსტებების შეტანა მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

თანამედროვე მკვლევრები საბანკო საქმის საკითხებთან მიმართებაში ტერმინებს – „სტაბილურობა“, „მდგრადობა“, „საიმედობა“-ს იყენებენ ეკონომიკის საბანკო სექტორის ჩამოყალიბების პრინციპების დამუშავების ამოცანების გადაწყვეტისას შემდეგი სახის შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით:

- საბანკო სექტორის მიერ მოცემული ფორმაციისათვის დამახასიათებელი ფუნქციების განხორციელებისადმი მიმართებაში;
- ნეგატიური შიდა და საგარეო ზემოქმედებისადმი წინააღმდეგობის გაწევასთან მიმართებაში;
- საგარეო გარემოცვის მხრიდან საბანკო სექტორისადმი ნდობის გამოწვევასთან მიმართებაში.

მანამ, სანამ საბანკო სისტემის მდგრადობის შეფასებისა და რეგულირების მეთოდების შესახებ გვექნება საუბარი, საბანკო ბიზნესის არამდგრადი მდგომარეობის აღბათობით განმავლობებელი მიზეზების ანალიზის ჩატარება არის საჭირო. აღნიშნულთან დაკავშირებით, ცნებების – „ბანკი“ და „საბანკო სისტემა“ – არსთან მიმართებაში ჩამოყალიბება არის მნიშვნელოვანი. პროფესორ ა.პ. მერკიტანოვის მიერ ჩატარებულმა ანალიზმა [4] გვიჩვენა, რომ აღნიშნულ საკითხშიც თვალსაზრისების ერთიანობა არ არსებობს, რაზეც თვალნათლივ მოწმობს ცხრილი 2-ის მონაცემები.

**ცხრილი 2**

**ცნება „ბანკი“-ს განსჯა**

მიდგომა	ცნების განსჯა	განსაზღვრა:
სამართლებრივი	სამართლებრივი უფლებამოსილება	საკრედიტო ორგანიზაცია, რომელსაც საბანკო ოპერაციების განხორციელების განსაკუთრებული უფლება გააჩნია
ფუნქციონალური	ფინანსური შუამავალი	საშუაშავლო ორგანიზაცია, რომელიც თავისუფალი ფულადი სახსრების აკუმულირებას და მოთხოვნის გათვალისწინებით მათი საზოგადოებრივი წარმოების სხვა მონაწილეებზე მიწოდებას ახორციელებს [4] ბანკი არის ფულადი მიმოქცევის სფეროს ძირითადი სტრუქტურული ერთეული რომელიც კრედიტორებიდან მსესხებლებისაკენ და გამსაღებლებისაკენ მყიდველებისაკენ ფულადი სახსრების გადაადგილებაში შუამავლის როლს ასრულებს [5]
„-“	მომსახურების მწარმოებელი	ბანკი არის პროფესიული საკრედიტო დაწესებულებების მიერ მიწოდებადი ფინანსური მომსახურების განმახორციელებელი ფორმა [1]
„-“	ეკონომიკური მარეგულირებლები	ბანკი არის პროფესიონალური საკრედიტო დაწესებულებების მიერ მიწოდებადი ფინანსური მომსახურების განმახორციელებელი ფორმა [1]

ჩვენი მოსაზრებით, მოცემული კონცეფციები არა იმდენად წინააღმდეგობრივია, რამდენადც ავსებენ ერთმანეთს და ცნება „ბანკი“-ს სირთულეს ამჟღავნებენ და მისი საქმიანობის მრავალმიზნობრივ ხასიათს ადასტურებენ. საბანკო ბიზნესი მოიცავს: დეპოზიტურ, საკრედიტო, საანგარიშსწორებო, საკონვერსიო, საფონდო, საგარანტიო-ოვალურ ოპერაციებს. ამასთან, მიუხედავად მრავალფეროვანი ნაირსახეობისა, საბანკო ბიზნესი გარკვეული ხარისხით ერთგვაროვანი მოვლენაა. თითოეულ ბანკს შეუძლია ოპერაციების სპეციალიზება გარკვეულ ნაკრებზე განახორციელოს, მაგრამ საბანკო სისტემა მთლიანობაში საქმიანობის მიმართულებების მთლიანი სპექტრის რეალიზებას ახორციელებს. შესაბამისად, ბანკისა და საბანკო სისტემის ფუნქციები შეიძლება და კომპლექსურად უნდა იქნეს განხილული და დაყვანილი შემდეგზე:

- აკუმულირება მოსახლეობის, საწარმოებისა და ორგანიზაციების ფულადი სახსრებისა და მათი გადანაწილება კრედიტებსა და ინვესტიციებში;

- რეგულირება ეკონომიკაში ფულის მოთხოვნისა და მიწოდების;
- ჰარმონიზაცია ეკონომიკაში გადახდების.

მითითებული ფუნქციები მნიშვნელოვანი ხარისხით საერთო ეკონომიკური ხასიათის საკითხებთან უშუალოდ არის დაკავშირებული და სწორედ აღნიშნულ კონტექსტში, ეკონომიკის საბანკო სექტორის ინსტიტუციურ და ფუნქციონალურ მთლიანობა და ადეკვატურობასთან დაკავშირებული პრობლემები წინა მხარესაა წამოწეული. საერთო ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით კანონზომიერია საუბარი საბანკო სექტორის განვითარების პროცესების სახიანოდაც, ანუ ეკონომიკის საერთო განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, საბანკო სექტორის სტაბილური მდგომარეობის უზრუნველყოფა აუცილებელია. აღნიშნულთან დაკავშირებით არ შეიძლება არ დავეთანხმოთ პროფესორ გ. გ. ფეტისოვის მოსაზრებას, რომელიც ამტკიცებს: „საბანკო სისტემისა და მისი ცალკეული ელემენტების სტაბილიზაცია ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემად წარმოგვიდგება“ [3].

თეთი საბანკო სისტემისა და მის შემადგენელ ელემენტებთან მიმართებაშიც დაკისრებული ფუნქციების შესრულების შესაძლებლობის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს ცვალებად შიდა და საგარეო ფაქტორებზე ადეკვატურად რეაგირება. მოცემულ შემთხვევაში საუბარი შეიძლება მიდიოდეს არა მარტო და არა იმდენად საბანკო თანამეგობრობის სტრუქტურული და ფუნქციონალური სტაბილურობის შესახებ, არამედ მაკრო- და მიკროეკონომიკურ შიდა პროცესებზე ზემოქმედებისა და ამ ფაქტორების ცვლილებებისადმი მგრძობიანობის შესახებაც. აღნიშნულიდან ჩანს, რომ, ამ თვალსაზრისით ყველაზე აქტუალურს, საბანკო თანამეგობრობისა და ცალკეული ბანკების მხრიდან მკვეთრი ცვლილებებისადმი, რომლებიც ხასიათდება როგორც კრიზისი, მდგრადობით დაპირისპირების შესაძლებლობის ანალიზი წარმოადგენს.

ამრიგად, ცნება „სტაბილურობა“ გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი მოვლენების ანალიზისას, რომლებიც საბანკო სისტემის მიერ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სტრუქტურული და ფუნქციონალური მთლიანობის შენარჩუნების შესაძლებლობასთან იქნება დაკავშირებული. ამასთან, ანალიზის საფუძველში სისტემის წონასწორობისა და მისი ელემენტების ფუნქციონალურობის (საიმედობის) მდგომარეობაზე ზემოქმედი ფაქტორების შესწავლა ჩაიდება. ასეთი მსჯელობისას საიმედობის ეკონომიკური თეორიისა და კიბერნეტიკული თეორიის გამოყენება კანონზომიერი ხდება.

ტერმინი „მდგრადობა“ მეტი ხარისხით საბანკო სისტემის კრიზისულ მოვლენებზე რეაქციის შესწავლისას არის გამოყენებადი. ამ შემთხვევაში, მეთოდოლოგიური საფუძვლის სახით, შეიძლება მდგრადობის მათემატიკური თეორიისა და რისკების თეორიის მეთოდები იქნეს განხილული.

ცნება „საიმედობა“ დამოუკიდებელ განხილვაში (უფრო ფუნდამენტური ცნებების ჩარჩოების გარეშ, ისეთების, რიგორიცაა სტაბილურობა და მდგრადობა) შეიძლება შესაბამისი მეთოდოლოგიური აპარატის გამოყენების მეშვეობით საბანკო სისტემის ცალკეული ელემენტების შედარებითი მახასიათებლების ანალიზისას იქნეს გამოყენებული.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით შემდეგი სახის მოკლე დასკვნის გაკეთება არის შესაძლებელი:

1. შეთავაზებულია, რომ ბანკისა და საბანკო სისტემის ფუნქციები კომპლექსურად უნდა იქნეს განხილული და ისინი, თანამედროვე პირობებში, შემდეგ ოთხ ძირითად ფუნქციას ასრულებენ: ფულადი სახსრების აკუმულირებისა და განაწილების; ეკონომიკაში ფულის მოთხოვნისა და მიწოდების რეგულირებას; ეკონომიკაში გადახდების ჰარმონიზაციას.

2. განსაზღვრულია ცნებები „სტაბილურობა“, „მდგრადობა“, „საიმედობა“-ს გამოყენების სფეროები და წესი და რომ: ცნება „სტაბილურობა“ გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი მოვლენების ანალიზისას, რომლებიც საბანკო სისტემის მიერ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სტრუქტურული და ფუნქციონალური მთლიანობის შენარჩუნებასთან იქნება დაკავშირებული; ცნება „მდგრადობა“ მეტი ხარისხით საბანკო სისტემის მიერ კრიზისულ მოვლენებზე რეაქციის შესწავლისას უნდა იქნეს გამოყენებული; ცნება „საიმედობა“ – საბანკო სისტემის ცალკეული ელემენტების შედარებითი მახასიათებლების ანალიზისას.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. Роуз Питер С. Банковский менеджмент. Москва, Дело, 1997.
2. Банковское дело: Учебник / Под ред. О.И. Лаврушина. Москва, Финансы и статистика, 1999. – 576 с.
3. Фетисов Г.Г. Некоторые вопросы формирования устойчивой банковской системы // Банковское дело в Москве, №8 (92), 2002.
4. Меркитанов А.П. Теоретические основы устойчивости, стабильности и надежности банковского дела. Оренбург, Вестник ОГУ, №1 / январь 2007. с. 92 – 94.
5. ცაავა გ., ხანთაძე გ. საბანკო საქმე (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა), სახელმძღვანელო. თბილისი, გამომცემლობა „დანი“, 2014. – 600 გვ.

*George Tsaava*

#### THEORETICAL FOUNDATIONS OF STABILITY, SUSTAINABILITY, RELIABILITY OF BANKING

##### Annotation

1. The proposal that the functions of the bank and the banking system should be considered as a whole and in modern conditions they perform the following four basic functions: accumulation and redistribution of funds; regulating demand and supply of money in the economy; harmonization of payments in the economy.

2. define the scope and procedure for applying the concepts of "stability", "sustainability", "reliability" and that: the concept of "stability" should be used in the analysis of phenomena associated with the ability of the banking system to maintain long-term structural and functional integrity; the concept of "sustainability" is more applicable in the study of the reaction of the banking system in the crisis; the concept of "reliability" should be used in the analysis of the comparative performance of individual elements of the banking system.

**კომპიუტერული ბანკის ლიკვიდობის მართვის მიმართულებები**

ბანკის ლიკვიდურობა მისი აქტივებისა და პასივების დაბალანსებით, განთავსებული აქტივებისა და მოხილული პასივების ვადების შესაბამისობის ხარისხით განისაზღვრება.

ბანკს, რომელსაც მიმდინარე ლიკვიდურობის მხარდაჭერისათვის ლიკვიდური აქტივების საკმარისი მარაგი გააჩნია, მან ის, ვალდებულებების ნაკადის დაბანდების ლიკვიდურ აქტივებად გარდაქმნის ნაკადებზე მეტობის გამო, შეიძლება დროთა განმავლობაში დაკარგოს. ლიკვიდურობის შეფასება საკმაოდ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს, ვინაიდან იგი ბანკის აქტიური ოპერაციების რისკის შეფასებასთან არის დაკავშირებული.

ასეთი მიდგომისას ლიკვიდურობის შეფასება არა მარტო ბანკის საანგარიშგებო ბალანსების მონაცემებს, არამედ მოგებისა და ზარალის ანგარიშგების სტრუქტურის შესახებ ინფორმაციას, დაფინანსების წყაროების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას, სააქციო კაპიტალის ცვლილების შესახებ ანგარიშგებას და სხვა ფინანსურ ინფორმაციასაც უნდა ითვალისწინებდეს.

ვადიანი ტრანსფორმაციის რისკის ხარისხის შეფასებისათვის აქტიური და პასიური ოპერაციების ვადების აღრიცხვაში გამოსახულების რეგულირება არის მიზანშეწონილი. საკრედიტო პოტენციალის სახსრების შემოდინებისა და გადინების ხარისხობრივი და რაოდენობრივი თანასწორობა ბანკის ლიკვიდურობის მხარდაჭერის პრაქტიკაში მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

გადაწყვეტილების შერჩევისათვის ფინანსურ ინფორმაციას ბუღალტრული ბალანსი წარმოადგენს, რომელიც მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად სრულად უნდა იქნეს გამოყენებული, იგი ხელს უნდა უწყობდეს მოგების მიღებას და ფინანსური და სტატისტიკური ანგარიშგებების შემცირებას.

ჩვეულებრივ ნებისმიერ დღეს, პატარა ბანკმაც შეიძლება განახორციელოს და მიიღოს ასობით გადახდის ოპერაცია. ბანკის სიცოცხლისუნარიანობისთვის აუცილებელია, რომ მას გააჩნდეს უწყვეტი უნარი, დაგვიანების და საბალანსო უწყისში ხარჯიანი კორექტირებების გარეშე განახორციელოს სხვადასხვა საგადასხდელი ოპერაცია. ამ უნარს ეწოდება ლიკვიდობა.

საგადასახდელი სისტემაში ბანკები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. ყოველი ბიზნესი, კერძო პირი და სამთავრობო ორგანიზაცია სადეპოზიტო ანგარიშებს იყენებს სხვა მხარეებისთვის თანხების გადასახდელად. თუ ბანკი არალიკვიდურ მდგომარეობაში იმყოფება და არ შეწყვეს უნარი, შეასრულოს კლიენტის ჩვეულებრივი მოთხოვნა გადახდის შესახებ, მისი რეპუტაცია საფრთხეში აღმოჩნდება. ასეთ შემთხვევაში კლიენტები დაიჯერებენ რომ ბანკი გადახდისუნაროა, რამაც შეიძლება განაპირობოს დეპოზიტორების მხრიდან საბანკო ანგარიშებიდან მთელი ფულადი რესურსის გატანის სურვილის გაჩენა. თითოეული დეპოზიტორი შეეცდება, პირველმა გაიტანოს თანხა ბანკიდან იმის შიშით, რომ ბანკი გადახდისუნაროა და შეიძლება არ ჰქონდეს აქტივების საკმარისი ოდენობა ყველა დეპოზიტორის დასაკმაყოფილებლად. ამ მეტად კრიტიკულ მდგომარეობას დეპოზიტების გადინება ეწოდება, რომელსაც ხშირად ბანკის დახურვა მოსდევს. შეიძლება წარმოიშვას ისეთი პრობლემა, რომ დეპოზიტების გადინების შედეგად ერთი ბანკის დახურვას მოჰყვება საზოგადოების მხრიდან ნდობის შესუსტება მთლიანი საბანკო სისტემის მიმართ, რამაც გადინების იგივე პროცესი შეიძლება გამოიწვიოს სხვა ბანკებში.

ასეთი მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად, ბანკებმა შეიძლება რამდენიმე ზომას მიმართონ. პირველია, ფულის მიმოქცევის სათანადო მონიტორინგი. მეორე, მათ უნდა შექმნონ ფულის მიმოქცევის დამაჯერებელი პროგნოზირება. შემდეგ, მათ უნდა დაგვემონ ფულის სათანადო რაოდენობის ან ისეთი აქტივების ქონა, რომელთა ფულად ქცევა სწრაფად მოხდება, რათა გაუმკლავდნენ ფულის დროებით გადინების მოულოდნელ სიჭარბეს შემოდინებასთან შედარებით. ფულის მოულოდნელი გადინების შემთხვევაში ბანკმა უნდა შეძლოს ფულადი სახსრების ალტერნატიული წყაროების გამოძებნა, როგორცაა, მაგალითად, ნასესხები სახსრები.

ფული ნებისმიერ ეკონომიკურ სისტემაში გადახდის ყველაზე ფართოდ გავრცელებული, მაგრამ არა ერთადერთი საშუალებაა. როდესაც დიდი ოდენობის თანხა გადასახდელი, ფული არ წარმოადგენს ყველაზე მოსახერხებელ საგადასხდელი საშუალებას დიდი რაოდენობისას დატაცება-დაყაჩაღების შესაძლებლობის გამო. ბანკებისთვის, ასეთ შემთხვევაში არსებობს ალტერნატიული აქტივები გადახდის განსახორციელებლად, როგორცაა სადეპოზიტო ანგარიშები საკორესპონდენტო ბანკებში, სებ-ში, რომელთაც ნაღდი ფულის მახასიათებლები გააჩნია. ეს ანგარიშები ადვილად ხელმისაწვდომია მოთხოვნის შემთხვევაში და კარგი რეპუტაციის მქონე საკორესპონდენტო ბანკებში არსებულ ანგარიშებზე გამოწერილი ჩეკები ან ტრატები (თამასუქები) გადახდის მიღებულ მეთოდებს წარმოადგენს. სებ-ში არსებული სადეპოზიტო ანგარიშები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთი ბანკის მიერ მეორესთვის თანხის გადასახდელად. ეს აქტივები ნაღდი ფულის ეკვივალენტებად შეიძლება განვიხილოთ. ტერმინები ფული, ფულის შემოდინება და გადინება ამ თავში იქნება გამოყენებული გადახდის სამ ტიპთან დაკავშირებით.

ბანკში ფული მრავალი წყაროდან შემოდინდება. მის ყველაზე მნიშვნელოვან წყაროებს წარმოადგენს ახალი სადეპოზიტო ანგარიშები და არსებულ ანგარიშებზე თანხის დამატება, სესხებთან დაკავშირებული გადახდის პროცესი, ფულის სახით მიღებული მრავალნაირი შემოსავალი, როგორცაა საკომისიო შემოსავალი, ბანკებისა და ეროვნული ბანკიდან ახალი ნასესხები სახსრები და ბანკის პორტფელში არსებული ფასიანი ქაღალდების ან სხვა აქტივების გაყიდვიდან შემოსული თანხები. ფულის შემოდინების სხვა წყაროებია მაგალითად, სესხების და უძრავი ქონების ან დაყადაღების შედეგად მიღებული ქონების გაყიდვა. ფულის კიდევ ერთი წყაროა ახალი აქციების გაყიდვა.

ფულის გადინების მონიტორინგი უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე შემოდინების. ამ შემთხვევაში არსებობს ორი წყარო, რომელიც სხვებთან შედარებით უფრო მნიშვნელოვანია. გადინების ყველაზე არაპროგნოზირებადი ფორმაა სადეპოზიტო ანგარიშებიდან თანხების გადინება. ეს შეიძლება განხორციელდეს პირადად ან

დეპოზიტორის მიერ მის ანგარიშზე ჩეკის ან თამასუქების გამოწერით. ბანკების ლიკვიდობის მართვის ძირითადი ამოცანაა, დეპოზიტების გაუთვალისწინებელი გატანის ან ასეთი გატანის საშიშროებისთვის ლიკვიდობის დაგეგმვა.

ახალი სესხების გაცემა ფულის გადინების ასევე მნიშვნელოვანი სახეა. ბანკებისთვის, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ სასესხო ბაზრებზე, სესხის გაცემა ფულის უფრო მნიშვნელოვან გადინებას იწვევს ყოველ პერიოდში, ვიდრე დეპოზიტების გატანა. თუმცა, სესხების გაცემა ბანკის კონტროლის ქვეშაა და ამგვარად უფრო პროგნოზირებადია და კონტროლირებადიც, ვიდრე დეპოზიტების გადინება. მაგრამ მაინც, ბანკისთვის მნიშვნელოვანია შესწევდეს უნარი, დროულად უპასუხოს ახალი და არსებული კლიენტების მხრიდან სესხებზე მოთხოვნის ზრდას, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი ამ შესაძლებლობას დაკარგავს სხვა ბანკების სასარგებლოდ. ამასთან, მსესხებლებმა შეიძლება მოითხოვონ წარსულში მათზე ბანკის მიერ გაცემული სესხების ან საკრედიტო ხაზების საშუალებით დაფინანსების მიღება. ბანკმა უნდა შეძლოს აღნიშნული სესხების დაფინანსება მაშინ, როცა მსესხებელი მოისურვებს ფულის მიღებას.

ფულის გადინების კიდევ ერთი ტიპია დეპოზიტებსა და ნასესხებ სახსრებზე საპროცენტო ხარჯის გადახდა. დეპოზიტებზე საპროცენტო ხარჯის გადახდა ხორციელდება ჩვეულებრივ, დეპოზიტორის ანგარიშის დაკრედიტებით, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება ნაღდი ანგარიშსწორებითაც განხორციელდეს. ადმინისტრაციული ხარჯების გადახდა, როგორცაა ხელფასები, ქირა და კომუნალური გადასახადები ასევე იწვევს ფულის გადინებას. ასევე, ფულის გადინება ხდება, როცა ბანკები ყიდულობენ ფასიან ქაღალდებს ან ძირითად საშუალებებს, ან რესურსებს განათავსებენ ბანკთაშორის ბაზარზე. ფულის ეს გადინება გარკვეულწილად პროგნოზირებადია.

ლიკვიდობის პოზიციის მართვისთვის ბანკებმა უნდა განახორციელონ ფულის მიმოქცევის პროგნოზირება. შეიძლება აუცილებელი არ არის მოსალოდნელი შემოდინება და გადინება, ყოველდღიურად ან ყოველკვირეულად იყოს ერთმანეთთან შეთანხმებული. ბანკები ახდენენ პროგნოზირებას და დასაშვებად თვლიან მათ ხელთ არსებული ფულადი სახსრების და მოკლევადიანი ნასესხები სახსრების მცირე ზრდას ან შემცირებას, როცა მათ აქვთ ფულადი სახსრების წმინდა შემოდინება. როცა ხდება წმინდა გადინება, მაშინ ბანკები უშვებენ ფულის ნაშთების შემცირებას და შეიძლება დროებით გაზარდონ ნასესხები სახსრები. ერთი თვიდან მეორემდე ბანკებმა ისე უნდა დაგეგმონ ფულის შემოდინება და გადინება, რომ მათი მთლიანი ფულის ნაშთები და მოკლევადიანი ნასესხები სახსრები შედარებით უცვლელი დარჩეს.

მიუხედავად იმისა, რომ ბანკებმა ყოველთვის უნდა აწარმოონ დაგეგმვა ფულის ნაშთების და მოკლევადიანი ნასესხების სახსრების მუდმივ დონეზე შესანარჩუნებლად, ბანკმა შეიძლება განიცადოს დიდი ფულადი სახსრების წმინდა გადინება კონკრეტული თვის განმავლობაში. ასეთ შემთხვევაში, მოსალოდნელია, რომ ბანკი შეამცირებს მის ხელთ არსებულ ფულად სახსრებს ან გაზარდის მოკლევადიან ნასესხებ სახსრებს. ამ დროს უნდა დაისვას შემდეგი კითხვა – წმინდა გადინება ერთჯერადი მოვლენა იყო თუ მეორედობა მომდევნო თვეების განმავლობაში?

ფულის ქრონიკული ან განმეორებადი წმინდა გადინება შეიძლება გამოწვეული იყოს რამდენიმე ფაქტორით. ზოგიერთი ამ ფაქტორთან სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, ხოლო დანარჩენი ჯანსაღი საბანკო გარემოს შესახებ მიუთითებს.

ბანკი შეიძლება განიცდიდეს საოპერაციო ზარალს. მაგალითად, ბანკს შეიძლება ჰქონდეს ისეთი სესხების დიდი რაოდენობა, რომელზეც მსესხებლები პროცენტს არ იხდიან. მაშინ, არსებულ ვალდებულებებზე პროცენტის გადასახდელად ბანკმა ახალი ვალდებულებები უნდა აიღოს. მას შეუძლია მიიღოს ახალი დეპოზიტები ან გაზარდოს სხვა ბანკებისგან მიღებული ნასესხები სახსრები, ან შეიძლება სცადოს ობლიგაციების გამოშვება.

ეს პროცესი შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს, სანამ დეპოზიტარებს სურვილი ექნებათ, დამატებითი სახსრები განათავსონ ბანკში ან სხვა ბანკებს ექნებათ სურვილი, გაზარდონ გაცემული სესხების რაოდენობა. მაგრამ ბანკის კაპიტალი მცირდება და შეიძლება უარყოფითიც კი გახდეს. შედეგად, ბანკი ვერ გამოინახავს ახალ დეპოზიტორებს ან ახალ ბანკებს, რომლებიც მოისურვებენ მისთვის ფულის სესხებას.

განუწყვეტლად ფულის წმინდა გადინების შესაძლო მიზეზი შეიძლება იყოს სესხებზე მოთხოვნის სეზონური ზრდა. მაგალითად, ბანკი შეიძლება მდებარეობდეს სასოფლო-სამეურნეო რეგიონში და შეიძლება საჭირო გახდეს მოკლევადიანი სესხი დათესვის პერიოდში, რომლის დაფარვაც მოსავლის აღებისას მოხდება. დაბალია იმის ალბათობა, რომ ბანკში ახალი დეპოზიტების შემოდინება მოხდება მაშინვე, როცა ახალი სესხების დაფინანსება უნდა მოხდეს. ამგვარად, ბანკმა უნდა გაზარდოს მოკლევადიანი ნასესხები სახსრები ახალი სესხების დასაფინანსებლად.

რეგიონში მიმდინარე ეკონომიკურმა პროცესებმა შეიძლება განაპირობოს ბანკიდან ფინანსური ნაკადების წმინდა გადინება. მაგ., რეგიონული ეკონომიკის სწრაფი ზრდის პირობებში სესხებზე მოთხოვნილება უფრო სწრაფად იზრდება ვიდრე სადეპოზიტო ბაზა. ასეთ პირობებში ბანკებს დასჭირდებათ მოკლევადიანი სახსრების მოზიდვა სანამ სადეპოზიტო ბაზა ვერ უზრუნველყოფს ახალი სესხების დაფინანსებას.

ბანკირებმა და შემმოწმებლებმა უნდა შეისწავლონ და შეაფასონ თუ როგორ გააღწიან იქონიებს სხვადასხვა ტიპის რისკი ბანკის ლიკვიდობაზე.

თუ ბანკს სჭირდება ფული, ერთ-ერთი არჩევანი იქნებოდა აქტივების გაყიდვა. ზოგიერთი ტიპის აქტივის ყიდვა-გაყიდვა ხშირად ხდება და ასეთი აქტივების საბაზრო ფასი კარგადაა ცნობილი. ასე რომ, ბანკმა შეიძლება იოლად და რეალურ საბაზრო ფასად გამოინახოს მოცემული აქტივის მყიდველი დროის მოკლე მონაკვეთში. ამ აქტივებს ლიკვიდური აქტივები ეწოდება, რადგან მათი ფულად ქცევა ადვილია. რა თქმა უნდა, საკუთრივ ფული ყველაზე ლიკვიდური აქტივია. სხვა ბანკებზე გაცემული მოკლევადიანი სესხები ან მათში განთავსებული დეპოზიტები ასევე ლიკვიდურ აქტივებად განიხილება ბანკთაშორის ბაზარზე, რადგან ჩვეულებრივ ძნელი არ არის ისეთი ბანკის პოვნა, რომელიც შეისყიდის ამ სესხებს ან დეპოზიტებს. ფასიანი ქაღალდების კარგად განვითარებული ბაზრის მქონე ქვეყნებში სამთავრობო ან კომპანიების ფასიანი

ქალღმერთები ასევე ლიკვიდურია. რამდენადაც ლიკვიდური აქტივები წარმოდგენილია საბალანსო უწყისში, მათ ლიკვიდობის ხილულ წყაროს უწოდებენ.

სხვა ტიპის აქტივების ყიდვა-გაყიდვა ხშირად არ ხდება. მაგრამ როდესაც ადგილი აქვს ამ პროცესს, ფასზე შეთანხმება ინდივიდუალურად უნდა მოხდეს მყიდველსა და გამყიდველს შორის. ამ დროს კორტირებული საბაზრო ფასი არ არსებობს. დროის მოცემული მომენტისათვის ასეთი აქტივების მხოლოდ რამდენიმე დაინტერესებული მყიდველი შეიძლება არსებობდეს. მოცემული ტიპის აქტივები შეიძლება ძლიერ განსხვავებოდეს ერთმანეთისგან, რაც შედარებას ართულებს. ასეთი ტიპის აქტივებს არალიკვიდური აქტივები ეწოდება. არალიკვიდური აქტივების შემთხვევაში დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც აქტივი უნდა გაიყიდოს, ფასის განსაზღვრის გადაწყვეტი ფაქტორია, რომელიც ბანკმა უნდა მიიღოს ამ აქტივის სანაცვლოდ. რაც უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შეძლებს ბანკი, დაელოდოს ბაზარზე დაინტერესებული მყიდველის გამოჩენას, მით უფრო მაღალი იქნება აქტივის ფასი. ანუ, თუ ბანკს მოკლე დროში სჭირდება აქტივის გაყიდვა ფულის მისაღებად, მან აქტივი შეიძლება ზარალიანად გაიყიდოს. მიუხედავად იმისა, რომ ბანკებს შორის ხდება ბიზნესსა და კერძო პირებზე გაცემული სესხების ყიდვა-გაყიდვა, სესხები მაინც არალიკვიდურ აქტივად განიხილება.

ძირითადი საშუალებები, შენობები, ავეჯი და მოწყობილობა, რომლითაც ბანკი ახორციელებს თავის საქმიანობას, კიდევ უფრო არალიკვიდურია. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ ასეთი აქტივები ინდივიდუალურად უნიკალურია. მაგალითად, მხოლოდ საოფისე შენობას ასობით დამახასიათებელი ნიშანი გააჩნია, როგორცაა ასაკი და მდებარეობა, რაც მას სხვა შენობებისგან განასხვავებს. ამის გამო, პოტენციურმა მყიდველმა უნდა დახარჯოს დრო და ძალისხმევა, რომ ეს მახასიათებლები შეამოწმოს და გადაწყვიტოს რამდენის გადახდას მოისურვებს. არჩევანის გასაკეთებლად მყიდველმა შენობის მახასიათებლები უნდა შეუდაროს სხვა შენობების ნიშნებს. გაყიდვის დასაჩქარებლად გამყიდველმა შეიძლება წაახალისოს მყიდველი ნაკლები ფასის შეთავაზებით. მეორე მიზეზი ბანკების მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებების შედარებით არალიკვიდრობისა არის ის, რომ ბანკის ძირითადი საშუალებები, როგორცაა საცავი და ფულის დასათვლელი მანქანები, შექმნილი იყო მხოლოდ ბანკებისთვის ეს, რა თქმა უნდა, ამცირებს ამ ტიპის აქტივების პოტენციურ მყიდველთა რაოდენობას.

ლიკვიდურ და არალიკვიდურ აქტივებს შორის ზემოთ მოყვანილი ნათელი განსხვავება მხოლოდ განხილვის თვალსაზრისით გაკეთდა. სინამდვილეში, უფრო ზუსტი იქნებოდა ლიკვიდურობის ხარისხზე საუბარი. აქტივების სხვადასხვა ტიპები შეიძლება განიხილოს, როგორც სპექტრი ყველაზე ლიკვიდური აქტივიდან, როგორცაა ფული, ყველაზე ნაკლებად ლიკვიდურ აქტივებამდე, როგორცაა ძირითადი საშუალებები. სხვა ბანკებზე გაცემულ სესხებს, სამთავრობო ფასიან ქალღმერთებს, ბიზნესსა და კერძო პირებზე გაცემულ სესხებს, მათი ხარისხიდან გამომდინარე, გააჩნიათ ლიკვიდობის სხვადასხვა დონე. საპროცენტო ხასიათის აქტივებისთვის, ჩვეულებრივ ჭეშმარიტებას წარმოადგენს, რომ მაღალი ლიკვიდობის მქონე აქტივებს გააჩნიათ უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთი ვიდრე ნაკლებად ლიკვიდურ აქტივებს.

სხვა ბანკებზე გაცემული სესხები და ფიქსირებული ვადიანობის და განაკვეთის მქონე ფასიანი ქალღმერთები შეიძლება ბანკის ლიკვიდური აქტივების პორტფელის მნიშვნელოვანი კომპონენტი იყოს. თუმცა ასეთი აქტივები, რომელთა ვადიანობა ერთ წელს აღემატება, არ განიხილება ისევე ლიკვიდურად, როგორც ხანმოკლე ვადიანობის მქონე აქტივები. თუ საბაზრო საპროცენტო განაკვეთები იზრდება, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე აქტივების საბაზრო ღირებულება შემცირდება. რაც უფრო მეტია ვადის დადგომამდე დარჩენილი დრო, მით უფრო შემცირდება აქტივის საბაზრო ღირებულება საპროცენტო განაკვეთების მოცემული ზრდის ოდენობით. გრძელვადიანი აქტივებისთვის შეიძლება არსებობდეს დამკვიდრებული ბაზრები ისეთი ფასებით, რომლებიც ცნობილია და ადვილად შეიძლება მათი გადამოწმება. ბანკი, რომელიც განიცდის ლიკვიდობის ნაკლებობას, ადვილად გაყიდის ასეთ აქტივს. მაგრამ მას შეიძლება არ სურდეს ამ აქტივის გაყიდვა, თუ მისი საბაზრო ფასი შესყიდვის ფასზე დაბალია, რადგან შედეგად მიღებული სხვაობა უნდა გაატაროს, როგორც ხარჯი. ამ მიზეზის გამო, გრძელვადიანი აქტივები უნდა განიხილოს, როგორც ბანკის ლიკვიდობის უფრო მთლიანი ვიდრე პირველადი წყარო.

აქტივების გაყიდვასთან ერთად, ბანკი რომელსაც სჭირდება ფულადი სახსრები დროის მოკლე მონაკვეთში, შეიძლება შეეცადოს ნასესხები სახსრების მოზიდვას სხვა ბანკებისგან ანდა ეროვნული ბანკისგან. ბანკისთვის მეტად მნიშვნელოვანია წინასწარ ჰქონდეს განსაზღვრული ალტერნატიული სახსრების წყაროები, რათა ყოველთვის იცოდეს, საჭიროების შემთხვევაში, საიდან და რა რაოდენობის თანხის სესხება შეუძლია. ამ ოდენობას ეწოდება ბანკის გამოყენებული ნასესხები სახსრები. იგი წარმოადგენს ლიკვიდობის წყაროს, რომელიც არ ჩანს ბანკის ბალანსში და შეიძლება განვიხილოთ, როგორც უხილავი ლიკვიდობა.

ბანკის გამოყენებულ ნასესხებ სახსრებს რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს. პირველი, რა თქმა უნდა, ის ოდენობაა, რომელიც ბანკმა უკვე მოიხიდა სხვადასხვა წყაროებიდან. შემდეგია ბანკის მიმდინარე კაპიტალის პოზიცია. გარკვეული მიზეზების გამო კარგად კაპიტალიზებულ ბანკს უფრო ადვილად მიუწვდება ხელი სახსრებზე ვიდრე ცუდად კაპიტალიზებულს. მესამე მნიშვნელოვანი ფაქტორია აქტივების ოდენობა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს გირაოდ დამატებითი ნასესხები სახსრების მოსაზიდად, თუ ასეთი გირაო აუცილებელია. ამ თანხის განსაზღვრისას, ბანკმა არ უნდა ჩათვალოს აქტივები, რომლებიც უკვე გამოყენებულია გირაოდ არსებული ნასესხები სახსრებისთვის. ასევე მნიშვნელოვანია, არ ჩაითვალოს ის ლიკვიდური აქტივები, რომლებიც ბანკს გამოყოფილი აქვს ფულის მოულოდნელი საჭიროების შემთხვევაში გასაყიდად.

უკანასკნელი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ბანკის მიერ სახსრების მოზიდვის უნარზე, არის სხვა კომერციული ბანკების და სეზ-ის პოლიტიკა იმ ბანკებზე სესხების გაცემასთან დაკავშირებით, რომლებსაც ლიკვიდობის პრობლემა აქვთ. თუ სესხის გამცემი, მაგალითად სეზ-ი, იხელმძღვანელებდა მხოლოდ საკუთარი ფინანსური ინტერესით ბანკის თხოვნასთან დაკავშირებული (რომელიც ეხება მოკლევადიან სესხს ლიკვიდობასთან კავშირში) გადაწყვეტილების მიღებისას, იგი განახორციელებდა შემდეგ ანალიზს: პირველი, სესხის გამცემი განსაზღვრავდა ლიკვიდობის ნაკლებობის მიზეზს. თუ იგი გამოწვეული

იქნებოდა ბანკის პრობლემით, როგორცაა საოპერაციო ზარალი ან დეპოზიტების მდგრადი გადინება, სეპი ან სხვა ბანკი არ მოისურვებს სესხის გაცემას. ისინი მოითხოვდნენ მაღალი ხარისხის აქტივით წარმოდგენილ გირაოს, რომლის გაყიდვაც იოლი იქნებოდა. საპირისპიროდ, თუ ლიკვიდობის ნაკლებობა გამოწვეული იქნებოდა რაიმე დადებითი მოვლენით, მაგალითად როგორცაა სესხებზე მოთხოვნის ზრდა, ბანკის მიერ ნასესხები სახსრების მოზიდვის შესაძლებლობა უფრო დიდი იქნებოდა. შემდეგ გამსესხებელი განიხილავდა ბანკის საერთო ფინანსურ მდგომარეობას და განსაზღვრავდა რა რაოდენობის თანხის სესხად გაცემას განახორციელებდა და რა პირობებით.

კომერციული ბანკი, თავისი კლიენტებისაგან თავისუფალი თანხების სესხებით, ამ სახსრების თავისდროულად დაბრუნებასთან დაკავშირებულ ვალდებულებას თავის თავზე იღებს, ანუ მან ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის პრინციპები უნდა დაიცვას.

ბანკის ფინანსურმა მენეჯმენტმა თავისი საქმიანობის პროცესში საკმაოდ ურთიერთსაპირისპირო ისეთი ამოცანები უნდა გადაწყვიტოს, რომელთაც საბანკო ლიკვიდურობის მართვის ფუნქციებს უწოდებენ, როგორებიცაა: კრედიტებზე მოთხოვნის დაკმაყოფილება; დეპოზიტების მიღებასთან დაკავშირებით მენაბრების სურვილის დაკმაყოფილება; ბანკის ფინანსურ ბაზარზე საიმედოობის შენარჩუნება; შემოსავლიანობის შემცირების მინიმიზაცია აქტივების მოგების მიუხედავად გაყიდვის ხარჯზე; ბაზარზე მოზიდული რესურსების ღირებულების შეზღუდვა; ბანკის ერთობლივი მოგების ოპტიმიზაცია.

დაგროვებული ლიკვიდურობისა (პირველი და მეორე რიგითობის ფულადი რეზერვების სახით) და შექმნილი ლიკვიდურობის (ბანკზე გახსნილი საკრედიტო ლიმიტების ერთობლივი მოცულობა) თანაფარდობა, აგრეთვე, ბანკის ლიკვიდურობის ერთობლივი მოთხოვნილების განსაზღვრის პრობლემა ბანკის აქტივებისა და პასივების მართვის ძირითად პრობლემად რჩება, ვინაიდან ბანკის საქმიანობა არა მარტო ბანკის შიდა მდგომარეობაზე, არამედ გარეშე ფაქტორებზედაც არის დამოკიდებული.

#### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. ცაავა გ., ხანთაძე გ., საბანკო მენეჯმენტი (სახელმძღვანელო), გამომც. „დანი“, თბილისი, 2015.
2. ცაავა გ., ხანთაძე გ., საბანკო საქმე (სახელმძღვანელო), გამომც. „დანი“, თბილისი, 2014.
3. Choudhry M. An Introduction to Banking: Liquidity Risk and Asset-Liability Management. Paperback, 2011.
4. Matz L. Liquidity Risk Measurement and Management: Basel III And Beyond, Paperback, 2011.
5. [https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/supervision/2014/kombankebis\\_zedamxedv\\_da\\_regulireb\\_wesi\\_19\\_03\\_14.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/supervision/2014/kombankebis_zedamxedv_da_regulireb_wesi_19_03_14.pdf)

*Giorgi Khantadze  
David Zhghenti*

#### **COMMERCIAL BANK LIQUIDITY MANAGEMENT DIRECTIONS**

##### **Annotation**

Banks should implement a cash flow forecast while managing liquidity position. It is not necessary the expected inflow and outflow to be agreed with each other on a weekly or monthly basis. Banks implement a forecast and consider it acceptable their available cash and short-term borrowings to increase or decrease a little, when they have a net inflow of funds. When there is a net outflow, banks reduce bank balances and it is possible temporarily to increase borrowings. Banks should plan their inflow and outflow from month to month in such a way, that their gross cash balances and short-term borrowings remain unchangeable.



# სოფლის ეკონომიკის, სექტორული და რეგიონული ეკონომიკის სექცია

თამილა არნანია-კეპულაძე  
იზოლდა ხასია  
გიორგი კეპულაძე

## სიღარიბის პრობლემა იმპროვის რეგიონის სოფლებში და ტურიზმის როლი მის დაკმაყოფილებაში

### 1. სიღარიბის რაობისა და სახეების შესახებ.

თანამედროვე საზოგადოება უამრავი პრობლემის წინაშე დგას, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მძიმეა სიღარიბე.

მსოფლიო ბანკის (World Bank) განმარტების თანახმად, სიღარიბე – ეს არის ადამიანის ისეთი მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია მატერიალური რესურსების უკმარისობით, რის გამოც ინდივიდს არ შეუძლია ცხოვროვოს საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ცხოვრების სტანდარტების შესაბამისად. სიღარიბე ვლინდება ყოველ ჯერზე, როდესაც მოსახლეობის რაღაც ნაწილს არ შეუძლია დაიკმაყოფილოს ის მოთხოვნები, რომელიც შეესაბამება მოცემული ქვეყნის ცხოვრების მინიმალურ სტანდარტებს. ისტორიულად ჩამოყალიბდა, რომ სიღარიბის გაზომვა უშუალო დამოკიდებულებაშია შემოსავლების მიღებასთან<sup>159</sup> და ასეთი მიდგომა დღემდე რჩება სიღარიბის ძირითად<sup>160</sup> განმსაზღვრელ ფაქტორად.

სიღარიბის გამომწვევი უამრავი მიზეზი არსებობს, რომელთა შორის აღსანიშნავია საზოგადოებაში არსებული არახელსაყრელი ეკონომიკური კონიუნქტურა და მის მიერ გამომწვეული უმუშევრობა, დაბალი ხელფასები ან ხელფასების გაუცემლობა, ინფლაცია, პოლიტიკური არასტაბილურობა, რეგიონულ-გეოგრაფიული განსხვავებები (ღარიბი ადგილების არსებობა), განათლების დაბალი დონე, ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვ.

სიღარიბესთან ბრძოლაზე ყველა სახელმწიფოს მთავრობის, პოლიტიკური პარტიის, სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ორგანიზაციისა და მეცნიერის ძალისხმევაა მიმართული. მიუხედავად ამისა, სიღარიბე დღემდე რჩება მნიშვნელოვან პრობლემად. მსოფლიო ბანკის გამოკვლევების თანახმად, 2011 წელს დაახლოებით 1 მილიარდი ადამიანი სიღარიბის ზღვრის ქვემოთ ცხოვრობდა და მათი შემოსავალი შეადგენდა არაუმეტეს 1,25 აშშ დოლარს დღეში.


### 2. სიღარიბე საქართველოში. საქართველო სიღარიბის წინაშე პირველად 90-იანი წლების და საწყისში

აღმოჩნდა, საბჭოთა კავშირის ნგრევამ საფუძველი გამოაცალა საქართველოს ახლად ჩამოყალიბებულ ეკონომიკას და, როგორც უმრავლეს ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკაში, ეკონომიკა სრულ ქაოსში აღმოჩნდა. ამ პერიოდში თვითური შემოსავალი პენსიის სახით დაახლოებით 2 აშშ დოლარს შეადგენდა, როდესაც მსოფლიოს სხვა განვითარებად ქვეყნებში მინიმალური პენსია მიღებული იყო 30 აშშ დოლარამდე. გაეროს „მოსახლეობის მსოფლიო ორგანიზაციის“ (World Population Organization) კვლების თანახმად, 2011 წელს საქართველოში 600 ათასი ადამიანი ცხოვრობდა 1,25 აშშ დოლარის დღიური შემოსავლით, ანუ იმყოფებოდა ზომიერი სიღარიბის პირობებში. მსოფლიო ბანკმა საქართველო მიაკუთვნა 5 ქვეყანათა რიცხვს, სადაც არ არის საკმარისი საკვები. საქართველოზე უფრო ცუდი სიტუაცია ჰქონდა მხოლოდ 3 ქვეყანას: კამერუნს, ნიგერიას და სამხრეთ აფრიკას [8,11].

<sup>159</sup> სწორედ ამ მიდგომის საფუძველზე მსოფლიო ბანკმა (World Bank) ჩამოაყალიბა სიღარიბის განსაზღვრის კონკრეტული კრიტერიუმები და განასხვავა სიღარიბის სამი სახე: 1. აბსოლუტური სიღარიბე, როდესაც ადამიანის დღიური შემოსავალი 1 აშშ დოლარზე ნაკლებია; 2. ზომიერი სიღარიბე, როდესაც ადამიანის დღიური შემოსავალი მერყეობს 1 აშშ დოლარიდან 2 აშშ დოლარამდე; 3. შეფარდებითი სიღარიბე, რომელიც ფაქტობრივად წარმოდგენს სუბიექტურ კატეგორიას, როდესაც სუბიექტი აფასებს თავის მატერიალურ მდგომარეობას სხვა ადამიანებთან შედარების მეშვეობით.

<sup>160</sup> არსებობს სიღარიბის განსაზღვრის რამდენიმე მანქანეელი. საერთო სიღარიბის განსაზღვრა ხდება მოსახლეობის ერთ სულზე მიღებული საშუალო თვითური (უფრო ხშირად, დღიური) შემოსავლის მიხედვით; შემოსავლის ერთ სულ მოსახლეზე და საარსებო მინიმუმს შორის (ტოლია, ნაკლებია ან მეტია) თანაფარდობის მიხედვით; ქვეყანაში არსებული საშუალო ხელფასის დონესთან შედარების საფუძველზე, როცა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მიაკუთვნებენ ადამიანებს, რომელთა საშუალო შემოსავალი ქვეყანაში საშუალო ხელფასის 1/3 შეადგენს; ოჯახის მიერ საკვებზე დახარჯული თანხით, თუკი ეს თანხა 50% აღემატება, მაშინ ეს ოჯახი ღარიბად შეიძლება ჩაითვალოს. მდიდარი ოჯახები საკვებზე 5–6 % ხარჯავენ.

## საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება ძირითადი წყაროების მიხედვით



**ნახ. 1. საშუალო თვიური შემოსავლების განაწილება ძირითადი წყაროების მიხედვით ქალაქ-სოფლის ჯრილში (%)**

*წყარო:* საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი

ოფიციალური სტატისტიკის მონაცემების თანახმად, საქართველოში სოფლის მოსახლეობის ფულადი შემოსავალი 20%-ით ნაკლებია ქალაქში მცხოვრებ მოსახლეობის შემოსავალთან შედარებით, ანუ სოფლის მოსახლეობის თვიური საშუალო შემოსავალი 52 ლარით ნაკლებია ქალაქში მცხოვრებთა შემოსავალზე. გარდა ამისა, განსხვავებულია შემოსავლების სტრუქტურა ქალაქსა და სოფელს შორის (ნახ. 1). სოფლის მოსახლეობის შემოსავლის მეოთხედი (24,5%) არაფულად შემოსავალს წარმოადგენს.

რით ხასიათდება სიღარიბე საქართველოს სოფლებში? რაში ხედავენ სოფლის მცხოვრებლები სიღარიბის მიზეზს და როგორ ესახებათ მათ სიღარიბის დაძლევის გზები?

სწორედ ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად ჩატარდა კვლევა იმერეთის რეგიონის რიგ სოფელში.

### 3. სიღარიბის პრობლემა იმერეთის სოფლებში

**კვლევის მეთოდოლოგია.** იმერეთის რეგიონის სოფლებში სიღარიბის კვლევა სახელწოდებით „სიღარიბის შემცირების შესაძლებლობათა კვლევა საქართველოს იმერეთის რეგიონის სოფლებში“ ჩატარდა პროექტის ENPARD ფარგლებში, რომელიც განხორციელდა სიღარიბესთან ბრძოლაზე ორიენტირებული M4P პროგრამის საფუძველზე და მიმართულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და სოფლებში მცირე და საშუალო საწარმოების განვი თარების ხელშეწყობაზე.

პროექტი ხორციელდებოდა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, Czech Republic Development Cooperation ხელშეწყობითა და Czech University of Life Sciences (Prague) მხარდაჭერით<sup>161</sup>.

კვლევა მიზნად ისახავდა იმერეთის სოფლებში სიღარიბის გამომწვევი მიზეზების კვლევას ამ სოფლების მცხოვრებთა აზრის შესწავლის საფუძველზე.

კვლევა ჩატარდა იმერეთის შემდეგ სოფლებში: მაღლაკი, ქვიტირი, ობშკეითი, გუბი, დიდველა. გამომდინარე იქიდან, რომ ქალაქის სიახლოვე დადებითად მოქმედებს სოფლების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, სოფლების არჩევა განხორციელდა რეგიონის მსხვილ ქალაქთან (ჩვენ შემთხვევაში ქუთაისთან) ადგილმდებარეობიდან გამომდინარე შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე. „რძე-ნაღების“ პრინციპიდან გამომდინარე, მიღებული შეკვდები შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც რეგიონისთვის შედარებით უფრო და მაკმაყოფილებელი.


პროექტი დაიწყო 2014 წლის 8 დეკემბერს და სრულდება 2015 წლის 28 ივნისს.

2014 წლის დეკემბერში პროექტის სამუშაო ჯგუფმა ჩაატარა სოციალური გამოკითხვა ზემოთ აღნიშნულ სოფლებში, გამოკითხული იქნა მოსახლეობის დაახლოებით 5%.

<sup>161</sup> პროექტს ხელმძღვანელობდნენ პროფესორები იზოლდა ხასაია და თამილა არნანია-კეკულაძე, ხოლო პროექტის განხორციელებაზე პასუხს აგებდნენ ეკონომიკის მიმართულებების პირველი და მეორე კურსის მაგისტრატურის სტუდენტები: ვიორგი კეკულაძე, დავით ნუცუბიძე, ნინო ჩხიკვაძე, ხატია სირბილაძე და ვალერი გაჩეჩილაძე.

იმერეთის სოფლებში სიღარიბის დონის განსაზღვრისათვის გამოყენებულია მოსახლეობის ერთ სულზე დღიური შემოსავლის დადგენის მეთოდი.

**იმერეთის რეგიონის სოფლების სიღარიბის დონის შეფასება.** როგორც კვლევამ გვჩვენა, იმერეთის სოფლების მოსახლეობის უდიდესი ნაწილის თვიური შემოსავალი მოსახლეობის ერთ სულზე 100 ლარზე ნაკლებია, რაც ერთ დღეზე გაანგარიშებით 3,3 ლარს (1,43 აშშ დოლარი) შეადგენს, ანუ მსოფლიო ბანკის კრიტერიუმების შესაბამისად, ზომიერი სიღარიბის დონეს შეესაბამება. ამასთან, რიგ სოფელში (კერძოდ მაღლაკის მოსახლეობის 57,9%, ქვიტირის მოსახლეობის 39,9%, გუბის მოსახლეობის 37,5%, ობშკვიტის მოსახლეობის 34,8%) მოსახლეობის შემოსავალი არ აღემატება 50 ლარს (21,7 აშშ დოლარი), რაც, ერთ დღეზე გადანგარიშებით 1,67 ლარზე (0,73 აშშ დოლარი) ნაკლებია და მსოფლიო ბანკის შეფასებით, აბსოლუტური სიღარიბის დონეს წარმოადგენს (ნახ. 2).



ნახ. 2. შემოსავლები მოსახლეობის ერთ სულზე/თვეში (%).


წყარო: პროექტის კვლევის შედეგები

ამასთან, 100 ლარზე (43,5 აშშ დოლარი) მაღალი შემოსავალი გააჩნია მხოლოდ ობშკვიტის მოსახლეობის 39,1%, ქვიტირის მოსახლეობის 34,8%, გუბის მოსახლეობის 25%, ხოლო მაღლაკსა და დიდველაში, შესაბამისად, 15,8% და 10,5%.

**იმერეთის სოფლების მოსახლეობის მიერ შრომის ბაზარზე საკუთარი მდგომარეობის შეფასება.** საქსტატის თანახმად, საქართველოს სოფლებში დასაქმების დონე (70,8%) აღემატება ანალოგიურ მაჩვენებელს ქალაქებში (44,8%), ხოლო უმუშევრობის დონე ბევრად დაბალია, ვიდრე ქალაქში (შესაბამისად 5,4% და 22,1%). ასეთი მდგომარეობა, ძირითადად, განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სოფლად მაღალია თვითდასაქმებულთა რაოდენობა<sup>162</sup>.

სოფელ მაღლაკში, რომლის მოსახლეობის 57,9%, როგორც აღინიშნა, ცხოვრობს აბსოლუტური სიღარიბის პირობებში, მცხოვრებთა 79% საკუთარ თავს ალიქვამს, როგორც უმუშევარს. ასევე უმუშევრებს მიაკუთვნებენ საკუთარ თავს სოფელ გუბის მოსახლეობის 75%, სოფელ დიდველას მოსახლეობის 53%, ხოლო ქვიტირსა და ობშკვიტში, შესაბამისად, მოსახლეობის 46% და 44%. სეზონურად დასაქმებულებს მიაკუთვნებს საკუთარი თავი ობშკვიტში გამოკითხული მოსახლეობის 39%-მა, ქვიტირში გამოკითხულთა 25%-მა (ნახ. 3).

<sup>162</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მეთოდოლოგიის თანახმად, დასაქმებული (დაქირავებული ან თვითდასაქმებული) – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში მუშაობდა (სულ მცირე, ერთი საათი მაინც) შემოსავლის (ხელფასის, ნატურალური შე მოსავლის, მოგების და ა.შ.) მიღების მიზნით, ესმარებოდა უსასყიდლოდ სხვა შინამეურნეობის წევრებს, ან რაიმე მიზეზით არ იმყოფებოდა სამუშაოზე, თუმცა ფორმალურად ირიცხებოდა მომუშავედ. თვითდასაქმებული – მესაკუთრის საქმიანობა საანგარიშო პერიოდში, მოგების ან ოჯახური შემოსავლის (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით, აგრეთვე ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე პირი.



**ნახ. 3. შრომის ბაზარზე საკუთარი სტატუსის განსაზღვრა იმერეთის რეგიონის სოფლების მოსახლეობის მიერ (%).**


წყარო: პროექტის კვლევის შედეგები

რაც შეეხება მუდმივ დასაქმებას, ამ კატეგორიას მიაკუთვნა საკუთარი თავი სოფელ დიდველაში გამოკითხული მოსახლეობის 31%-მა, სოფელ ქვიტირში გამოკითხული მოსახლეობის 29%-მა, ხოლო გუბში, ოზმუგვიტსა და მაღლაკში, შესაბამისად, 19%, 17% და 10%-მა.

დასაქმების სფეროში საკუთარი მდგომარეობის შეფასებისას იმერეთის სოფლების მოსახლეობა ეფუძნებოდა არა დასაქმებისა და უმუშევრობის შსო-ის მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას, არამედ მათ მიერ მიღებული შემოსავლის მოცულობას, რომელიც თავისი სიმწირის გამო შექმნა დაუსაქმებლობის შეგრძნებამ.

**სიღარიბის გამომწვევი მიზეზების შეფასება იმერეთის რეგიონის სოფლების მოსახლეობის მიერ.** რასთან არის დაკავშირებული იმერეთის სოფლების მძიმე მატერიალური მდგომარეობა? რა ფაქტორებს ასახელებს სიღარიბის მთავარ გამომწვევ მიზეზად იმერეთის სოფლების მოსახლეობა?

როგორც გამოკითხვამ გვჩვენა, იმერეთის სოფლების მოსახლეობის უდიდესი ნაწილი საკუთარი საოჯახო მეურნეობების მძიმე მატერიალურ მდგომარეობას უკავშირებენ ისეთ გარე, მათგან დამოუკიდებელ ფაქტორებს, როგორცაა ქვეყანაში არსებული ეკონომიკური არასტაბილურობა და, პირველ რიგში, უმუშევრობის მაღალი დონე (ნახ. 4).



**ნახ. 4. საოჯახო მეურნეობების სიღარიბის მიზეზების განსაზღვრა იმერეთის რეგიონის სოფლების მოსახლეობის მიერ (%).**

წყარო: პროექტის კვლევის შედეგები

მეორე ფაქტორად არის დასახელებული ისეთი სუბიექტური, პირადი ხასიათის მქონე ფაქტორი, როგორცაა საოჯახო მეურნეობის ერთ-ერთი წევრის ჯანმრთელობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა ან მისი ხანდაზმულობა. ეს მიზეზი დასახელებს ობსკურში გამოკითხული მოსახლეობის 26,3%-მა, გუბში გამოკითხულთა 17,3%-მა, ქვეტირში - 15,5%-მა, დიდველაში - 16,6%-მა, მაღლაკში - 14,3%-მა.

სიღარიბის გამომწვევ კიდევ ერთ ზოგადი (ობიექტური) ხასიათის ფაქტორად დასახელებული იყო პოლიტიკური არასტაბილურობა. ამ ფაქტორს ასახელებდა გუბში გამოკითხულთა 23,8%, ქვეტირში გამოკითხულთა 22,2%, მაღლაკში გამოკითხულთა 20%, ობსკურში გამოკითხული მოსახლეობის 7,9% და დიდველაში - 6,7%.

განათლების დაბალი დონე, რომელიც წარმოადგენს სიღარიბის გამომწვევ სუბიექტურ, პირადი ხასიათის მქონე ფაქტორს, დასახელება დიდველაში გამოკითხულთა 13,3%-მა, ობსკურში - 7,9%-მა, ქვეტირში - 6,6%-მა, მაღლაკში - 5,7%-მა და გუბში - 3,3%-მა.

მრავალშვილიანობა ან/და მეურნეობაში დიდი რაოდენობის კმაყოფაზე მეფე პირთა რაოდენობა წარმოადგენს შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც აღნიშნული იყო მხოლოდ მაღლაკში, ობსკურში და ქვეტირში გამოკითხული მოსახლეობის შესაბამისად 5,7%, 5,2% და 4,5%-ის მიერ.

**ტურიზმი, როგორც იმერეთის რეგიონის სოფლებში დასაქმების ალტერნატივა.** ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას საკუთარი საოჯახო მეურნეობასთან ერთად ან/და მის საფუძველზე ჰქონდეს დასაქმების დამატებითი შესაძლებლობა. ერთ-ერთ ასეთ მიმართულებას სწორედ ტურიზმი, კერძოდ კი სოფლის ან საკარმიდამო ტურიზმი წარმოადგენს.

ეს დასტურდება იმ ფაქტით, რომ იმერეთის რეგიონში შეიმჩნევა ტურიზმში დასაქმების ზრდის დადებითი ტენდენცია (ცხრ. 1). ასე, თუ 2011 წლიდან 2013 წლამდე დასაქმებულთა რაოდენობა საქართველოში გაიზარდა 1,09%-ით და თითქმის ანალოგიურად ტურიზმის სფეროში (1,08%-ით), იმერეთში დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 1,07%-ით და აქედან მხოლოდ ტურიზმში დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 2,24%-ით.

*ცხრილი 1*

**საშუალო-წლიური დასაქმება საქართველოსა და იმერეთში, მ.შ. ტურიზმში 2011-2013.**

	2011	2012	2013		2011	2012	2013
საქართველო	503236	534397	550885	იმერეთი	40087	43815	43122
მ.შ. ტურიზმი	151270	171600	164430	მ.შ. ტურიზმი	3176,67	6864	7108

წყარო: <http://www.geostat.ge/>; <http://stats.georgia.travel/Default.aspx>

იმერეთის სოფლები ცნობილია ბუნებრივი მშვენიერებით და მდიდარი ფლორითა და ფაუნით. რეგიონში დიდი ტერიტორია უკავია მთებს, ველებს, ტყეებს, მდინარეებს, ტბებს, ბევრია კულტურული და ისტორიული ძეგლები. თუ ინფრასტრუქტურა კარგად განვითარდა, რეგიონში შეიძლება სოფლის და საკარმიდამო ტურიზმის განვითარება.

სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ისეთი პროგრამები, რომელიც, მოსახლეობის დასაქმების ზრდის მიზნით, ხელს შეუწყობს რეგიონში სოფლის და საკარმიდამო ტურიზმის განვითარებას. ამისათვის კი ძალზე მნიშვნელოვანია ინფრასტრუქტურის განვითარება, ახალი ტურისტული მარშრუტების შემუშავებაში ხელის შეწყობა და ა.შ.

იმერეთში საკარმიდამო ტურიზმის განვითარებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ტრადიციული საოჯახო მარნების არსებობა. იმერეთში ასეთი მარანი აქვთ გაკეთებული, მაგალითად, ბაღდათის რაიონის სოფელ ობჩაში, სადაც შესაძლებელია სხვადასხვა იმერული ღვინოების დაგემოვნება, ჩურჩხელის ამოვლება, მწვადის შეწვა, შოთი პურის გამოცხობა და ა.შ.

„სოფლად ტურიზმის განვითარება ამცირებს უმუშევრობას და ზრდის ადგილობრივი პროდუქტის გასაღების შესაძლებლობას. დღეს, როდესაც სოფლად ცხოვრების პირობები რთულია და ადგილობრივ მცხოვრებთა ფინანსური შემოსავლები მცირეა, პროდუქტის გასაღების ბაზრების მოპოვება და პროდუქტის პირველადი ღირებულების გაზრდა მომსახურების დამატებით (value add chain) სიღარიბის დაძლევის პრიორიტეტული მიმართულებაა“ [1, გვ.7].

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. ლ. ხარტიშვილი. ტურიზმი სოფლად. ელკანა, 2008.
2. შინამეურნეობების შემოსავლები, [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=181&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=181&lang=geo)
3. დასაქმება და უმუშევრობა, [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=145&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo)
4. სამუშაო ძალის სტატისტიკა, [http://geostat.ge/cms/site\\_images/files/georgian/methodo\\_logyLabour%20Force%20Statistics.pdf](http://geostat.ge/cms/site_images/files/georgian/methodo_logyLabour%20Force%20Statistics.pdf)
5. საქართველოს სტატისტიკური წელიწადი: 2014 / საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. თბილისი, 2014.<http://www.geostat.ge>
6. Annual Report 2013-2014, Published by The Economic and Social Inclusion Corporation, ISBN 978-1-4605-0643-1, October 2014, <http://www2.gnb.ca/content/dam/gnb/Departments/esic/pdf/AnnualReport2013-2014RapportAnnuel.pdf>
7. Boot Eric R., 2014, Subsistence Needs and Individual Duties, Theoria and Praxis, Volume 2, issue 1.
8. Ending Poverty and Sharing Prosperity, Global Monitoring Report 2014/2015, 2015 International Bank for Reconstruction and Development / The World Bank, ISBN (electronic): 978-1-4648-0337-6.
9. Hunger and Poverty: Definitions and Distinctions, The Hunger Project, New York.
10. The Chronic Poverty Report 2014-2015: The road to zero extreme poverty. <http://static1.squarespace.com/static/539712a6e4b06a6c9b892bc1/t/539b1fe3e4b0d7588ce6ead8/1402675171712/Chronic+Poverty+report+-+full+report.pdf>

*Tamila Arnanian-Kepuladze  
Izolda Khasaia  
Giorgi Kepuladze*

## **THE RILE OF TOURISM IN THE OVERCOMING THE POVERTY IN THE VILLAGES OF IMERETI REGION**

### **Annotation**

The paper investigates the poverty problem in the villages of Imereti region of Georgia and considers how the habitants of the region evaluate the causes of poverty. As the study shows, 55,4% of respondents believe the low income and unemployment as the main source of the poverty. The development of the rural tourism could be considered as a way for the overcoming the poverty in the villages of Imereti region of Georgia.

*Givi Bakradze*

## **DETERMINING THE KEY ASPECTS OF ACCOUNTING POLICY IN THE HOSPITAL SECTOR**

The main purpose of the article is to discuss peculiarities of accounting policy formation in hospital accounting procedures and studying of the usage issues those important internal document in company's management.

Following objectives are set to achieve this goal:

- Formation of hospital accounting policy and discussing the peculiarities of disclosure concepts.
- Interpretation of differences between accounting and tax accounting in hospital accounting policy;
- Interpretation of peculiarities of the main characteristics of financial accounting in hospital accounting policy;

One of the main principles of preparation and presentation financial statements is the permanence of the information, which means reflection of similar operations, events or circumstances in financial reporting during the accounting period and from period to period and by the same method that means similar transactions, events or circumstances reflected in the financial statements for the accounting period and from period to period and by the same method.

Accounting policy is a unity of certain principles, basics, assumptions, rules and practical methods, which is used during preparation and presentation of company's financial reporting.

Accounting policy should be developed according to the requirements of IFRS (International Financial Reporting Standards), IAS (International Accounting Standards) and IFAC (International Financial Reporting Committee). Information received in compliance with the accounting policy, on the one hand, complies with the need of user's economic decisions and on the other hand, it is reliable.

Reliability of the information means that presented information : impartially reflects company's financial position, results of activities and cash flows; Expresses its operations', events or conditions and economic substance, and not the form; It is neutral or free from subjective approaches; is a prudent and completed in all material aspects.

Medical institution, analogously to other similar institutions, must unchangeably use the selected accounting policy for similar economic operations, events or conditions, if a standard or interpretation does not specifically require categorization of elements, for which different policy may be acceptable.

Accounting policy may be changed when:

- Changing is required by the standard or interpretation, when the previous accounting policy is not acceptable. For example, hospital did not conducted capitalization of paid percent on specific assets, and according to made amendment it became compulsory.

Voluntary changing happens, when a company with a gained experience:

- confirms the necessity of accounting policy changing. And this change provides a more appropriate presentation of events and operations, which improves conformity and reliability of financial reporting.

Reflection of changing results in accounting policy implicates adjustment of capital articles with aggregated results, or change in all components subjected to the influence of own capital.

Retrospectively reflection of Changes in accounting policy implicates the implication of new accounting policy in respect with operations, events and conditions, as if this policy has been always used. In this respect, financial reporting of prior period should be presented already corrected and adjusted in compliance with the new accounting policy, which ensures comparability of information. Any result of correction should be presented in financial reporting as a balance correction of **retained earnings**.

Practically, there are cases when it is impossible to determine aggregated result of changes that occurred in accounting policy. If the reflection of changes in accounting policy is impossible retrospectively, then it does happen to recalculate financial reporting of prior periods and the aggregated result of changes belongs to the **financial results of current period**.

The main purpose and objective of accounting policy is to adequately describe organization's peculiarities and provide to receive complete, objective and reliable information to take effective economic decision.

Financial-economic department of medical institution elaborates accounting policy, with participation of upper and mid – level management employees, at the same time responsibility about the content of the accounting policy is imposed on chief manager.

Practically, it is appropriate to distinguish three aspects while developing company's accounting policy: organizational and technical; accounting policy defined for financial purposes; Accounting policy defined for taxation purposes.

Accounting policy should be preceded by analysis of the current legislation and must be determined specific issues, which, organization plans to discuss. Firstly, it is necessary to distinguish those approaches of accounting policy, departments and units/objects that are directly related to the specifics of the field's activity. The next step while developing accounting policy is the

discussion of existing legislative and regulatory legal acts, which regulate the activity of the accounting object and activity of its separate departments.

While developing accounting policy must be approved:

- Work accounting plan of the accounting;
- Primary accounting document forms of the hospital, which confirm facts of economic operations, must be approved internal and subdivision's financial reporting forms;
- Must be approved schedule of hospital document producing which regulates primary accounting document forms, the terms of their drawing up, as well as a list of officials who are responsible for the signing and approval.
- Inventory procedures and deadlines.
- Accounting policy about revenues and expenditures of the formation of company (expenditure, profit, rules of distinguishing of the investment centers).
- Rules of attributing assets to the fixed assets;
- Terms of revaluation of fixed assets and the rule of their reflection in accounting;
- The rule of evaluation, acquisition, development and disposal method of intangible assets;
- Depreciation methods, which are determined separately with respect to fixed and intangible assets.
- Valuation methods of assets and liabilities.

Tax accounting means generalization of information for the formation of tax base. Accounting policy defined for tax purposes concerns to tax payers' income and expenditure recognition, assessment in consideration of requirements of the Tax Code of Georgia.

## REFERENCES

1. Tax Code of Georgia, Tbilisi 2014;
2. International Financial Reporting Standards, Tbilisi 2010

*Givi Bakradze*

### DETERMINING THE KEY ASPECTS OF ACCOUNTING POLICY IN THE HOSPITAL SECTOR

#### Annotation

The present article discusses peculiarities of accounting policy formation in hospital sector accounting system and the issues of using that important internal document. Hereby, is analyzed methods of elaboration, changing of accounting policy and the proper methods of reflecting the changing results in compliance with the requirements of IFRS and IFAC.

Here is demonstrated appropriateness of distinguishing three basic aspects in developing accounting policy of the medical institution: organizational and technical; accounting policy defined for financial purposes; accounting policy defined for taxation purposes.

*ლია ბიბილაშვილი*

#### ბანახლებადი ენერგეტიკის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

ეკონომიკაში განახლებადი ენერგორესურსების გამოყენების საჭიროება ობიექტური აუცილებლობითაა განპირობებული. ახლა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა სათბობ-ენერგეტიკული რესურსების დეფიციტს განიცდის. თუ კაცობრიობა მომავალშიც შეეცდება ამ ენერგოდეფიციტის შევსებას მხოლოდ არსებული ტრადიციული ენერგორესურსების წარმოების გაზრდით, ეს არათუ მიუღწეველი იქნება, არამედ მკვეთრად გაამწვავებს ეკოლოგიურ ვითარებას. ამას განაპირობებს ის გარემოება, რომ სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის დარგები, ეკონომიკის სხვა დარგებთან შედარებით, ყველაზე უფრო მეტად ატუჭყიანებს გარემოს. ბუნება ბინძურდება ენერგორესურსების არა მარტო მოპოვების, წარმოების და მოხმარების დროს, არამედ ასევე ირღვევა გარემოს სითბური წონასწორობაც.

განახლებადი ენერგეტიკის განვითარებისას, განსაკუთრებით მწვავედ დგას გარემოს დაცვის პრობლემები ჰიდროენერგეტიკული რესურსების გამოყენების დროს. ცნობილია, რომ მიწის მნიშვნელოვანი ფართობი სტიდება ენერგეტიკის, განსაკუთრებით ჰიდროენერგეტიკის განვითარებას. ეს საკითხი, პირველ რიგში, აქტუალურია მცირემიწიანი რეგიონებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის. ამჟამად, ჩვენთან ერთ სულ მოსახლეზე მოდის 1,43 ჰა მიწის საერთო ფართობი; 0,64 ჰა – სასოფლო-სამეურნეო სავარგული და 0,15 ჰა - სახნავი, ეს კი ძალიან მცირეა და შესაბამისად ყოფილი სსრ კავშირის ანალოგიური მაჩვენებლის მხოლოდ 17,1 % და 17,7% -ს შეადგენს .

მიწას კი ბუნებრივ რესურსებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი წარმოადგენს შრომის უმრავლეს საგანთა შექმნის წყაროს. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მიწა არა მარტო საგანი, არამედ შრომის მთავარი საშუალებაა. დედამიწას, ბიოსფეროს, ჰიდროსფეროსა და ატმოსფეროს თანამედროვე მდგომარეობამდე მოსაყვანად, ათასწლეულები დასჭირდა. მათი დაბინძურებით კი უვარგისი ხდება ათასობით ჰექტარი მიწა. აკადს. სობოლევის მტკიცებით, ნიადაგის 2,5 სმ სისქის დარღვეული ზედა ნაყოფიერი შრის აღსადგენად საჭიროა 300-დან 1000 წლამდე. დაახლოებით ამავე აზრისაა აკად. ნ. კეცხოველი. მას მიანია, რომ ნიადაგის ყოველი სანტიმეტრის აღსადგენად საჭიროა 100 წელი მაინც.

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით კი სამრეწველო წარმოებით განვითარებულ ქვეყნებში, ჰიდროენერგეტიკის განვითარების გამო, საგრძნობლად მცირდება მიწის ფონდები. ეს მაშინ, როცა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მოთხოვნილება უფრო და უფრო იზრდება. გეოგრაფ ი.ზაბელინის გამოანგარიშებით, ჯერ კიდევ 1963 წელს დედამიწაზე სრულიად უვარგისი გახდა 50 მილიონი ჰექტარი მიწა; ახლა ყოველწლიურად სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან გამოდის ათასობით ჰექტარი მიწა.

ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობით კი მიწის დიდი ფართობები იფარება წყლით და უვარგისი ხდება სასოფლო-სამეურნეო სარგებლობისათვის. ზოგიერთ მათგანზე კი, განსაკუთრებით საქართველოს პირობებში, შეიძლება ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიღება, მათ შორის ისეთების, რომელთა მოყვანა (ჩაი, ციტრუსები, იშვიათი ჯიშის ყურძენი) სხვაგან არ შეიძლება. ახლა საქართველოში ჰიდროელექტროსადგურების წყალსაცავებს უჭირავს დაახლოებით 8800ჰა, მათ შორის 6200 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულით, ხოლო 1800 ჰა - ტყე.

საქართველოს პირობებში, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობების დროს უნდა გავითვალისწინოთ კიდევ ერთი გარემოება. ჩვენს მდინარეებს, რომლებიც შავ ზღვაში ჩაედინებიან, თან ჩააქვთ უამრავი ქვა, ღორღი, სილა და ამით წონასწორობას ამყარებენ ზღვისა და მდინარეთა ურთიერთობაში. მაგრამ, როცა მდინარე წყალსაცავში მოხვდება, ეს წონასწორობა ირღვევა. მდინარეებს ვეღარ ჩააქვთ ზღვაში მყარი ჩამონადენი და ზღვა ნელ-ნელა რეცხავს ნაპირს, თანდათანობით მიაქვს ხმელეთი.

მაგნე გავლენა განსაკუთრებით დიდია მსხვილი ჰესების მშენებლობის დროს. მსხვილ ჰიდროელექტროსადგურებს, გარდა იმისა, რომ სჭირდება მიწის მნიშვნელოვანი ფართობი, მათ სხვა მხრივაც მაგნე გავლენა აქვთ გარემოზე. ექსპერტთა შეფასებით, ისინი არღვევენ კლიმატურ-ეკოლოგიურ წონასწორობას, წარმოშობენ მიწისძვრისა და ზეგების ჩამოწოლის საშიშროებას. ეს კი პირდაპირ უკავშირდება დიდი წყალსატევებიდან მომეტებულ აორთქლებასა და სხვა უარყოფით შედეგებს. სწორედ პასიური ეკოლოგიური პოლიტიკის გატარების გამო, აღნიშნული მოთხოვნები სრულიად არ იყო გათვალისწინებული საქართველოში მიმდინარე ჰიდროენერგომშენებლობაში. ამის მაგალითია ის, რომ მხოლოდ ფართო საზოგადოების აქტიური ჩარევის შემდეგ, 1989 წელს შეწყდა მდ. ენგურზე ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, მაშინ, როცა მშენებლობის დაწყებიდან უკვე გასული იყო 10 წელზე მეტი და დასარჯული იყო მშენებლობის საერთო ღირებულების დაახლოებით ნახევარი -- 150 მლნ. მანეთი. ჰესების, განსაკუთრებით კი მსხვილი ჰესების მშენებლობის დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო. როგორც 80-იანი წლების მოვლენებმა დაგვანახა, საქართველოში ჰესების მშენებლობის დროს აშკარად არ იყო დაცული მთელი რიგი აუცილებელი მოთხოვნები. ცნობილია, რომ ენგურჰესის მშენებლობა გაცილებით უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე დაამთავრებდნენ პროექტს. ნაჩქარევად დაიწყო ხუდონჰესის მშენებლობა ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების გარეშე. ამის გამო შეწყდა კიდევ ხუდონჰესის მშენებლობა. ახლა, როცა ლაპარაკია ხუდონჰესის მშენებლობის განახლებაზე, ბევრი საკითხია შესასწავლი და გასათვალისწინებელი. მიგვანჩნია, რომ საქართველოში ჰესები აუცილებლად უნდა აშენდეს. ჩვენი მდინარეები დიდი ეროვნული სიმდიდრეა და მისი გამოყენებლობა ყოველად გამართლებელია. მსოფლიოს ყველა ცივილიზებული და განვითარებული ქვეყანა წარმატებით იყენებს ამ ენერჯიას. საკითხის კომპლექტურად გადასაწყვეტად ენერგეტიკულ-ეკოლოგიურ და სოციალურ-ეკონომიკურ მოთხოვნათა გათვალისწინებით, თითოეული ახლად ასაშენებელი ობიექტისათვის უნდა განისაზღვროს ოპტიმალური პარამეტრები. აქ მხედველობაში უნდა მივიდეთ ადგილობრივი პირობების, ჩვენი ისტორიული წარსულისა და ეროვნული ტრადიციების თავისებურებანი. ეს ისე უნდა მოხდეს, რომ საზოგადოებამ მინიმალური ზიანის პირობებში მაქსიმალური ეფექტი მიიღოს. ამასთან, ყოველი მნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობის საკითხი აუცილებლად წინასწარ უნდა იყოს გამოტანილი განსახილველად. მიგვანჩნია, რომ საქართველოს პირობებში ჰიდროენერგომშენებლობაში ადგილმდებარეობისა და ვითარების შესაბამისად, უპირატესობა უნდა მიეცეს მცირე და საშუალო სიდიდის ელექტროსადგურების გამოყენებას.

მცირე ჰიდროენერგეტიკის განვითარება ხელს შეუწყობს მაღალმთიან რაიონებში ტყის უსისტემო ჭრისა და ორგანული სათბობის წვის შეწყვეტას, შრომისა და ყოფის ელექტრიფიკაციის ამსაღებას, რეგიონულ-ეკონომიკურ გაჯანსაღებას, მთელი რაიონის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას. ამას ადასტურებს საზღვარგარეთის (შვედეთი, საფრანგეთი, აშშ) პრაქტიკა. ამ მხრივ კარგი ტრადიცია აქვს საქართველოსაც. 1925-1960 წლებში აქ აშენდა 250-მდე მცირე ჰიდროელექტროსადგური, რომელთა საერთო სიმძლავრე 70 ათას კვტ-ს აღწევდა. შემდგომ აღნიშნული სადგურების უმრავლესობა სხვადასხვა მიზეზის (დანადგარების ფიზიკური და მორალური გაცვეთა და სხვა) გამო ჩამოიწერა. დღესდღეობით მათი რიცხვი შემცირდა 50-მდე, რომელთა ჯამური დადგენილი სიმძლავრე 150 მგვტ-ს შეადგენს, ხოლო წლიური გენერაციის მანვერბელი კი 700 მლნ. კვტ.-ს ტოლია.

ჰიდროენერგეტიკული რესურსებით მდიდარ საქართველოში შესაძლებელია აშენდეს 1200-ზე მეტი მცირე ჰიდროელექტროსადგური, 3700მ გვტ. ჯამური სიმძლავრით, რომელთა საშუალო წლიური გამოშუშავება 16 მლრდ. კვტ. სთ-ია. საქართველოში არსებობს თერმული წყლების მოპოვების გაზრდის პერსპექტივა, რასაც ადასტურებს ქვეყანაში თერმული წყლების არსებული მარაგი. თერმული წყლები, ძირითადად, შეიძლება გამოვიყენოთ სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოთა თბომომარაგებაში, აგრეთვე ნაწილობრივ ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის.

საქართველოს პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მზის ენერჯის გამოყენების გაფართოებას. ანალიზი გვიჩვენებს, რომ უახლოესი პერსპექტივისთვის საქართველოში მზის ენერჯის გამოყენებით შესაძლებელი იქნება წლიურად დაიზოგოს დაახლოებით 40-50 ათასი ტონა პირობითი სათბობი. ამისათვის აუცილებელია, ამ მხრივ სამეცნიერო-კვლევითი და სამეურნეო-ორგანიზაციული სამუშაოების გაძლიერება და, რაც მთავარია, კერძო კაპიტალის მოზიდვა.

საქართველოში კარგი პერსპექტივებია ქარის ენერჯის გამოსაყენებლად. როგორც გამოკვლევებმა გვიჩვენა, ენერგეტიკული დანადგარების გამოყენება შედარებით ყველაზე უკეთეს ეკონომიკურ მანვერბლებს იძლევა იმ რაიონში, სადაც ქარის საშუალო წლიური სიჩქარე წამში 5 მ-ია (ქუთაისი, ყაზბეგი, მამისონი, მთა-საბუეთი და სხვ).

ბიოლოგიური გადამშუშავების შედეგად, მნიშვნელოვანი ენერგეტიკული გამოყენება შეიძლება მივცეთ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კომუნალური და საყოფაცხოვრებო სექტორის ნარჩენებს. ასეთი გადამშუშავებით მიღებული ბიოგაზი განსაკუთრებით ეფექტური შეიძლება გამოდგეს სასოფლო-სამეურნეო რაიონებისათვის.



ენერჯის არატრადიციული სახეების ყველა ზემოთ ჩამოთვლილი წყარო აუცილებელი, მნიშვნელოვანი შენაკადია დამოუკიდებელი საქართველოს ენერჯის იმ დიდი მდინარისა, რომელმაც უნდა მოამარაგოს სახალხო მეურნეობა ტრადიციულ სათბობ-ენერჯეტიკულ რესურსებთან ერთად, მოხდეს მათი გამოყენების ოპტიმიზაცია.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. დ. ჩომახიძე, საქართველოს ენერჯეტიკული პოტენციალის გამოყენების ეკონომიკურ-ეკოლოგიური პრობლემები, თბ., 2002.
2. შ. დ. კაპანაძე, მიკრო და მცირე ჰესები პრაქტიკულ მაგალითებში, თბ., 2000.
3. მ. დადიანი, ნ. ცაბაძე, საქართველოს მდინარეების მცირე ჰიდროენერჯეტიკული ტექნიკური პოტენციალის კადასტრი, თბ., 2006.
4. www.eecgeo.org. ენერჯოეფექტურობის ცენტრი
5. www.nshp.org. მცირე ჰიდროსადგურების საერთაშორისო ქსელი

*Lia Bibilashvili*

### PROSPECTS OF RENEWABLE ENERGY DEVELOPMENT IN GEORGIA Annotation

The thesis discusses the prospects for the use of local renewable energy resources. The share of renewable energy in the total electricity production is 92%.

*გიორგი ბრეგვაძე*

#### ინვესტიციები მშენებლობის სექტორში

ცნობილია, რომ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისა და განვითარების ერთ-ერთ გზას წარმოადგენს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რაც, თავის მხრივ, ქვეყანაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის, ახალი ტექნოლოგიების მოზიდვის და დასაქმების უზრუნველყოფის საფუძველია.

ეროვნული ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების, ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის სისტემატური ამაღლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ეკონომიკაში საინვესტიციო რესურსების არსებობის დონე, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისთვის ხელსაყრელი კლიმატისა და მათი ეფექტიანი გამოყენების მექანიზმების ჩამოყალიბება.


განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური ზრდის მისაღები პარამეტრების უზრუნველყოფაში უმნიშვნელოვანესი როლი ინვესტიციებმა უნდა შეასრულონ, ამიტომაც ინვესტიციები ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ ფაქტორად წარმოდგენილი.

უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვან დადებით შედეგს იძლევა ეკონომიკისთვის. განვითარებადი ქვეყნების, მათ შორის საქართველოს პრობლემა დაკავშირებულია საკუთარისა და სხვების დეფიციტსა და მობილიზაციასთან, რომელიც საჭიროა კაპიტალდაბანდების განსახორციელებლად. აღნიშნულ პრობლემების საფუძველია განვითარებადი ქვეყნებში შრომის ნაყოფიერების დაბალი დონე, რაც იწვევს შრომის ანაზღაურების დაბალ დონესაც. დაბალი შემოსავლების პირობებში დანაზოგები ან ძალიან მცირეა, ან საერთოდ არ არსებობს, რაც იწვევს ეკონომიკაში თავისუფალი ფულადი სახსრების ნაკლებობას, ანუ საინვესტიციო რესურსების სიმცირეს. ამ მდგომარეობიდან გამოსვლა შესაძლებელია უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საშუალებით. უცხოელი ინვესტორებისათვის მომხიბვლელია ის ქვეყანა, სადაც ტარდება მთავრობის სწორი ეკონომიკური პოლიტიკა და სადაც არის სტაბილურობა.

მშენებლობის სექტორს საქართველოში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია ქვეყნის ეკონომიკაში. მშპ-ში მშენებლობის წილი 2014 წელს 7.3 პროცენტით ჩამორჩება მხოლოდ მრეწველობას, ვაჭრობასა და ტრანსპორტის დარგებს. მშენებლობის ბრუნვამ გასულ წელს 3354.2 მლნ ლარი შეადგინა. ამ სფეროში დღესდღეობით 750 კომპანია მუშაობს და დასაქმებულია 51565 კაცი, რაც ერთ-ერთი მაღალი მაჩვენებელია საქართველოში დასაქმებულთა შორის. ამ სფეროში დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება 2014 წ. შეადგენდა 1164 ლარს, რაც, სხვა დარგებთან შედარებით კარგი მაჩვენებელია.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2014 წელს მე-4 კვარტალში საქართველოში 359 მლნ ლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოვიდა, ხოლო მთელი წლის განმავლობაში 1277 მლნ ლარის ინვესტიცია იქნა მოზიდული. 2013 წელთან შედარებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 35% - ით გაიზარდა. ეკონომიკის სექტორების მიხედვით ყველაზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში 343 მლნ, მშენებლობაში 295 მლნ და გადაამამუშავებელ მრეწველობაში 171 მლნ (დიაგრამა 1).

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2015 წლის I კვარტალში



\*წინასწარი მონაცემები.

დიაგრამა 1<sup>163</sup>

მშენებლობაში ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში რეგიონების მიხედვით ასე გამოიყურება (ცხრ. 1).

ცხრილი 1<sup>164</sup>

მშენებლობაში განხორციელებული ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში რეგიონების მიხედვით

წელი	საქართველო-სულ	მათ შორის:										
		თბილისი	აჭარის არ	გურია	იმერეთი	კახეთი	მცხეთა-მთიანეთი	რაჭა-ლეჩხუმი და	სამეგრელო-ზემო	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი
ლარი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
2006	276.6	166.0	9.5	...	1.6	0.3	2.1	0.2	92.6	0.1	2.4	1.8
2007	240.4	80.1	7.1	0.5	8.4	0.4	0.4	...	136.5	0.3	3.3	2.7
2008	142.2	92.7	8.7	...	0.4	0.7	0.1	...	34.4	0.8	1.7	2.7
2009	110.6	95.1	3.2	...	1.7	1.2	0.5	0.9	2.1	0.7	1.7	3.5
2010	151.3	134.5	3.1	0.2	1.2	0.2	0.2	0.5	7.6	2.1	0.9	0.8
2011	114.4	70.0	16.0	0.4	3.4	0.9	0.1	...	17.8	3.0	1.4	1.4
2012	298.0	253.3	14.2	0.0	16.2	1.9	0.2	0.2	2.0	0.9	5.2	3.9
2013	343.5	274.2	17.1	0.0	2.7	32.7	0.7	0.0	6.7	4.0	1.9	3.5

ცხრილიდან ჩანს, რომ უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში მეტი ინვესტიცია თბილისზე მოდის. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან საწარმოების და ფირმების უმრავლესობა თბილისშია რეგისტრირებული. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა ინვესტიციები კახეთში, სამცხე-ჯავახეთში, შიდა ქართლში, იმერეთში, აჭარაში. მაგრამ არის რეგიონები სადაც ფაქტობრივად ინვესტიციები ძალზე მიხერულია ან საერთოდ არ არის. ესაა: რაჭა-ლეჩხუმი, გურია, მცხეთა-მთიანეთი.

2003 წლიდან ხელისუფლებაში მოსული მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები მიმართული იყო ახალი მშენებლობისა და ძველის რესტავრაციისკენ, რის შედეგადაც რესტავრაცია ჩაუტარდა ბევრ შენობას და აშენდა ბევრი ახალი ნაგებობა სახელმწიფო დაწესებულებებისთვის. მაგ., პოლიციის შენობები, სამხედრო ყაზარმები, ჰესები, გზები, ხიდები, სტადიონები და სხვა. ამისთვის ყოველწლიურად, 2004 წლიდან დღემდე, გამოიყოფა ბიუჯეტი 800 მლნ-დან 1 მილიარდ ლარამდე თანხა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროზე.

2012 წელს მოსული ხელისუფლების პირობებშიც ეს ტრადიცია გრძელდება. 2012 წლიდან დღემდე 2.4 მილიარდი ლარის ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა.

2015 წელს ბიუჯეტში მილიარდ ლარამდეა გამოყოფილი. ეს ძალზე დიდი თანხაა. ტენდერებში გამარჯვებული კომპანიები ამ გზით დიდ მოგებას ნახულობენ. ფაქტობრივად გამოდის, რომ სამშენებლო სექტორი ჩვენთან სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხებით არსებობს და ვითარდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, თუ

<sup>163</sup> შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალების მიხედვით.

<sup>164</sup> შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალების მიხედვით

სახელმწიფო ბიუჯეტი არგამოყოფს თანხებს, ბევრი კომპანია შეიძლება ერთ დღეს გაკოტრდეს, რაც გამოიწვევს ამ სფეროში დასაქმებული ბევრი ადამიანის უმუშევრად დარჩენას. ამას მოჰყვება მშენებლობის მომიჯნავე დარგების სამშენებლო მასალებით მოვაჭრეთა და გადაამზიდავ-დისტრიბუტორთა შემცირება და უმუშევრად დარჩენა. ამიტომ სახელმწიფო ფაქტობრივად იძულებულია, ხელი შეუწყოს ამ სფეროს, რათა არ გამოიწვიოს კრიზისი. ეს სიტუაცია კი არ შეიძლება საბაზრო ეკონომიკის ჯანსაღ განვითარებად ჩაითვალოს.

მშენებლობაც და მისი მომიჯნავე დარგებიც უმჯობესია და სასურველია ვითარდებოდეს კერძო ინვესტორების ხარჯზე. ამაშია სწორედ საბაზრო ეკონომიკის უპირატესობა სოციალისტურ ეკონომიკასთან შედარებით. მართალია ინვესტიციები იზრდება, მაგრამ არა იმ ოდენობით და ტემპებით, რაც საშუალებას მისცემდა სახელმწიფოს, ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფა შემცირებინა.

თავისთავად, თითქოს ცუდი არაფერია იმაში, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხორციელდება ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი და კერძო კომპანიები არიან მასში ჩართული, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ეს სიტუაცია არ არის გამართლებული. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიარდობით ლარის ხარჯვა ყოველწლიურად და ამას თუ იმასაც დაემატებთ, რომ ბევრი პროექტი საერთაშორისო ვალებით ხორციელდება, არ არის გამართლებული. ჯერ ერთი, ეს ვალები ადრე თუ გვიან გადასახდელია, მეორეც ასეთი დიდი თანხების გამოყოფა აზიანებს სხვა სფეროებს, მაგ., სოციალურ სფეროს, ჯანდაცვას, განათლებას, მეცნიერებას და სხვა. ამ დარგებისთვის 8 მილიარდიან ბიუჯეტში თანხები აღარ რჩება. ამიტომ სახელმწიფომ კარგად უნდა გააცნობიეროს პრიორიტეტები და უფრო მეტად შეუწყოს ხელი ინვესტიციების მოძიებას, რომლებიც თავიანთი თანხებით ააშენებენ. ეს უფრო მეტად შეუწყობს ხელს სწორი საბაზრო ეკონომიკის განვითარებას და ჯანსაღ კონკურენტუნარიანობას. თუ იმასაც დაემატებთ, რომ ტენდერებში გამარჯვებული კომპანიები მთავრობის წევრებთან იყენებენ დაახლოებულები და დღესაც არიან, რისი მაგალითებიც უხვად არსებობს, მაშინ ამ სფეროს განვითარების საფრთხეები და რისკები კიდევ უფრო იზრდება პერსპექტივაში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. რომან ცინცაძე, რეგიონული საინვესტიციო პროცესების რეგულირების საფინანსო-ეკონომიკური მექანიზმი, 2012, ბათუმი, გვ. 76-77.
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები
3. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მასალები.

*George Bregvadze*

### INVESTMENTS IN THE CONSTRUCTION SECTOR Annotation

The article deals with the issues of investment in the construction sector. In learned investment growth in recent years.

*ნაზი გვარამია*

*ნაწილი ძიგეიშვილი*

### მენეჯერული აღრიცხვის, როგორც დამოუკიდებელი სასწავლო დისციპლინის ჩამოყალიბების მთავარი

საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პირობებში კომპანია იურიდიულად და ეკონომიკურად დამოუკიდებელი სუბიექტია, რომლის სამეწარმეო საქმიანობის ეფექტური მართვა სულ უფრო მეტად გახდა დამოკიდებული მისი ცალკეული ქვედანაყოფებისა და სამსახურების ინფორმაციულ უზრუნველყოფაზე.

თანამედროვე ეტაპზე ჩვენს ქვეყანაში ქართული კომპანიების მცირე ნაწილი თუ გამოირჩევა ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზების ისეთი მაღალი დონით, როდესაც მისი ინფორმაცია გამოყენებადია კომპანიის ოპერატიული მართვისა და ანალიზისათვის. დღეისათვის მხოლოდ ბანკები ადგენენ ბალანსს ყოველდღიურად, მათი საიმედოობისა და ლიკვიდობის კონტროლის მიზნით.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, რთული საწარმოო სტრუქტურის მქონე კომპანიები რეალურად საჭიროებენ ოპერატიულ ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც დაეხმარება მათ, მიიღონ დასაბუთებული მმართველობითი გადაწყვეტილება დანახარჯებისა და ფინანსური შედეგების ოპტიმიზაციისათვის. ხშირად კომპანიის განვითარებისა და ორგანიზაციისათვის ზედა დონის მენეჯერების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ემყარება არა სათანადო გათვლებს, არამედ ატარებს ინტუიციურ ხასიათს. კომპანიის ოპერატიული მართვისათვის საჭირო აუცილებელი ინფორმაცია მოცემულია მმართველობითი აღრიცხვის სისტემაში, რომელსაც თვლიან ბუღალტრული პრაქტიკის ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებად.

დამოუკიდებელი ინფორმაციული სისტემის ფორმირების აუცილებლობის შესახებ პირველი მინიშნებები გაჩნდა XX საუკუნის დასაწყისში. გ. მერსონის წიგნში „შრომის ნაყოფიერება, როგორც ოპერატიული სამუშაოსა და ხელფასის საფუძველი“, მოცემულია პირველი ცდა საწარმოო დანახარჯების აღრიცხვის დამოუკიდებელ მიმართულებად გამოყოფის შესახებ. მმართველობითი კონტროლის, როგორც ბუღალტრული აღრიცხვის დამოუკიდებელი მიმართულების შექმნის მეორე მნიშვნელოვან გარემოებად ითვლება აშშ-ში ბუღალტერთა ნაციონალური ასოციაციის დაფუძნება 1919 წ. დღ. ი ნიკოლსონის ინიციატივით. ამ ასოციაციამ დიდი როლი ითამაშა აშშ-ში ბუღალტრების კვალიფიკაციის ამაღლებასა და განვითარებაში.

ბოლო პერიოდში ნათელი გახდა ის გარემოება, რომ ბუღალტრულმა აღრიცხვამ აქტიური მონაწილეობის მიღება დაიწყო მმართველობითი პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში, ბუღალტრმა კი შეითავსა პროგნოზირება, დაგეგმვა, გადაწყვეტილებათა მიღება, მმართველობითი სამსახურების ინფორმაციათა კონტროლი, ანუ მას გაუჩნდა დამატებითი ფუნქციები მართვისა და სამეურნეო გადაწყვეტილებათა მიღების სფეროში.

პრაქტიკული ნაბიჯი მენეჯერული აღრიცხვის ჩამოყალიბების გზაზე იყო ერთიანი ბუღალტრული სამსახურიდან მმართველობითი (საკალკულაციო) ბუღალტერიის გამოყოფა. ორი დამოუკიდებელი (ფინანსური და მმართველობითი) ბუღალტერიის შექმნა, პირველ რიგში, დაკავშირებული იყო წარმოების გაფართოებასთან, მისი კონცენტრაციის ზრდასთან, კაპიტალის ცენტრალიზაციასთან, მსხვილი კომპანიების ფორმირებასა და კომერციული საიდუმლოებების შენახვის აუცილებლობასთან.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ევროპის ეკონომიკურ ცხოვრებაში გადაწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა ამერიკულ კაპიტალს, ამასთან ერთად, აღიარება მოიპოვა ბუღალტრული აღრიცხვის ამერიკულმა მიდგომამ. თეორეტიკოსთა და პრაქტიკოსთა უმეტესობის აზრი შეჯერდა, რომ ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის მომცველ სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც საინტერესო კომპანიის მენეჯმენტისათვის, მიუყვართ კომერციული საიდუმლოს დაცვის შესუსტებამდე. ეროვნულ ანგარიშთა გეგმის შემდგომი განვითარება ორიენტირებული იყო ფინანსური ანგარიშგების შედგენის შესაძლებლობაზე და უმეტესწილად შემოიფარგლებოდა ფინანსური აღრიცხვით.

მენეჯერული აღრიცხვის, როგორც დამოუკიდებელი სასწავლო დისციპლინის, ჩამოყალიბება უკავშირდება ბუღალტერთა ამერიკულ ასოციაციას (American Accounting Association), რომელმაც 1972 წ. შეიმუშავა პროგრამა მმართველობითი აღრიცხვაში დიპლომის მისაღებად ბუღალტერ-ანალიტიკოსის კვალიფიკაციით. იმავე წელს ბუღალტრული აღრიცხვა ოფიციალურად დაიყო ფინანსურ და მმართველობითი აღრიცხვად.

შეცდომა იქნებოდა მენეჯერული აღრიცხვის სიახლედ მიღება ეროვნული ეკონომიკისათვის. 20-იანი წლების დასაწყისში და 30-იანი წლების ბოლოს ბუღალტრული სამსახურების ფუნქციები გაცილებით ფართო იყო, ვინაიდან ბუღალტერი ასრულებდა როგორც სააღრიცხვო პროცედურებს, ასევე დაგეგმვისა და ანალიზის სამუშაოსაც. შემდგომ პერიოდში, ცენტრალიზებული დაგეგმვის გამყარების პარალელურად, მოხდა ბუღალტრული სამსახურების საგეგმო და ფინანსურ დანაყოფებად გამოიჯენა, რის შედეგადაც ბუღალტრის საქმიანობა ფაქტობრივად გახდა საწარმოს სამეურნეო საქმიანობის ფაქტების ბუღალტრული რეგისტრაცია.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისას უსაფუძვლოდ იქნა დაკნინებული დაგეგმვის მნიშვნელობა, მენეჯერულ აღრიცხვაში გამოყენებული ბიუჯეტირება გარკვეულწილად წარმოადგენს საწარმოო გეგმების შემუშავებას. ქართული ეკონომისტებისათვის კარგად ცნობილი ფაქტორული ანალიზი ასევე გამოიყენება მენეჯერულ აღრიცხვაში ფაქტობრივი მაჩვენებლების გეგმურისაგან გადახრის ანალიზისათვის. ამასთან, სამეურნეო აღრიცხვის ობიექტს წარმოადგენს კომპანიის საწარმოო და არასაწარმოო ქვედანაყოფები, ხოლო შემოსავლის ობიექტს – მათ მიერ გამოთქმული თანხები. ასეთი მიდგომა ემსახურება **მენეჯერული აღრიცხვის ერთ-ერთ კონცეფციას – მართვა პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით**. მენეჯერული აღრიცხვის საფუძველი წარმოადგენს კომპანიის დანახარჯებისა და თვითღირებულების კალკულაციის მეთოდოლოგიის შემუშავებას.

აღსანიშნავია, რომ დირექტიულ ეკონომიკაში გამოყენებული მმართველობითი აღრიცხვის მეთოდები არ იძლეოდა საჭირო შედეგებს, ვინაიდან არ იყო საწარმოო დანახარჯების ეკონომიის გზით ინვესტირებული კაპიტალის უკუგებით დაინტერესებული მესაკუთრე. აქედან გამომდინარე, საბაზრო ურთიერთობის პირობებში შესაძლებელია მართვის მეთოდებისა და მენეჯერული აღრიცხვის ერთიან სისტემაში ობიექტური ინტეგრირება.

მენეჯერული აღრიცხვის პრიორიტეტული საკითხებით დაკავებულია კომპანიის სხვადასხვა ქვედანაყოფი (ოპერატიული ანგარიშგების, ანალიზის, პროგნოზირების და სხვა). ინფორმაცია ხშირად მიმოფანტულია სხვადასხვა სამსახურებს შორის და საკმაოდ ძნელია მისი დროული და კომპლექსური გამოყენება. სერიოზული დაგვიანებით ტარდება მმართველობითი ანალიზი, მაშინ, როდესაც ფირმის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები უკვე ფორმირებულია და მათზე ზემოქმედების შესაძლებლობა უკვე აღარ არსებობს. ცალკეული ქვედანაყოფების მუშაობის ეფექტიანობის ანალიზი, როგორც წესი, იშვიათად კეთდება.

თანამედროვე პირობებში, როდესაც კომპანიები დამოუკიდებლები არიან თავიანთი საწარმოო პროგრამის შემუშავებაში, საწარმოო და სოციალური განვითარების გეგმების, ფასების პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებაში, არსებითად იზრდება მენეჯმენტის პასუხისმგებლობა მათ მიერ მიღებულ მმართველობით გადაწყვეტილებებზე, რადგან მათ სჭირდებათ უტყუარი ინფორმაცია კომპანიის როგორც საწარმოო, ასევე ფინანსური მდგომარეობის შესახებ. სწორედ ამ ამოცანების გადაწყვეტას ემსახურება ბუღალტრული აღრიცხვა.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებმა და მათზე დაყრდნობით შედგენილმა ბუღალტრულმა (ფინანსურმა) ანგარიშგებამ უნდა ასახოს სამეურნეო სუბიექტის, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული პირის საქმიანობის შედეგები ცალკეული სტრუქტურული ქვედანაყოფების (სეგმენტური ბიზნესის) წვლილის გათვალისწინების გარეშე. აღნიშნული ინფორმაცია კი საწარმოო საქმიანობის მართვისათვის არასაკმარისია. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური, მმართველობითი და საგადასახდო აღრიცხვის საწყისი ბაზა ერთი და იგივეა, სამეურნეო საქმიანობის ყოველი ფაქტი მათ მიერ კლასიფიცირდება და აისახება თავისებურად, აღრიცხვის მოთხოვნების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, ბუღალტრული აღრიცხვის ეს სრულიად განსხვავებული მიმართულებები გამოირჩევა საკუთარი მიზნებით, საბოლოო შედეგების განზოგადების ფორმით და ინფორმაციის მომხმარებლებით, რამაც, სხვა ობიექტურ მიზეზებთან ერთად, შესაბამისად განაპირობა ბუღალტრული აღრიცხვის დაყოფა ფინანსურ, მმართველობით და საგადასახდო აღრიცხვად.

მენეჯერული აღრიცხვა ერთმანეთთან აკავშირებს საწარმოს მმართველობასა და სააღრიცხვო პროცესს და შესაბამისად იკვლევს კომპანიის და მისი ცალკეული სტრუქტურული დანაყოფების (სეგმენტების), ანუ პასუხისმგებლობის ცენტრების სამეწარმეო საქმიანობას. ბიზნესის სეგმენტებს, რომელთაც იკვლევს მენეჯერული აღრიცხვა, შეიძლება ჰქონდეს იურიდიული დამოუკიდებლობა ან სტრუქტურული ქვედანაყოფის უფლებებით შედიოდეს კომპანიის შემადგენლობაში. **პირველის** მაგალითს წარმოადგენს პოლდინგი, რომელიც შედგება დედა კომპანიისა და მასზე დამოკიდებული შვილობილი კომპანიისაგან. ასეთ შემთხვევაში ყველა კომპანიისათვის ერთიანი მმართველობითი აღრიცხვის სისტემის შემოღება საშუალებას იძლევა, უფრო ეფექტურად წარვმართოთ სამეწარმეო საქმიანობა როგორც ცალკეულ საწარმოებში, ასევე მთელ პოლდინგში, უფრო ოპერატიულად მივიღოთ აუცილებელი ბუღალტრული ინფორმაცია ბიზნესში მონაწილე ყველა სუბიექტის ინტე-

რესების გათვალისწინებით და, საბოლოოდ, – თავი ავარიდოთ მცდარ მმართველობით გადაწყვეტილებებს. **მეორე** შემთხვევაში კი საუბარია ორგანიზაციაზე, რომელსაც აქვს სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფები, მაგალითად, სამშენებლო კომპანია, რომლის შემადგენლობაში შედის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოები; გამომცემლობა, რომელსაც აქვს საქმიანობის სხვადასხვა მიმართულება და ა.შ. ყოველ ასეთ სტრუქტურულ დანაყოფს ჰყავს თავისი მენეჯერი.

მენეჯერულ აღრიცხვაში გამოყოფენ დანახარჯთა და პასუხისმგებლობის ცენტრებს. დანახარჯთა ცენტრი საწარმოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფია, სადაც არსებობს საწარმოო დანახარჯების ნორმირების, დაგეგმვის და აღრიცხვის საშუალება მათი კონტროლის, მართვისა და შეფასების მიზნით. პასუხისმგებლობის ცენტრებში კი გამოყოფენ ოთხ ტიპს:

- დანახარჯთა ცენტრი;
- შემოსავლების ცენტრი;
- მოგების ცენტრი;
- საინვესტიციო ცენტრი.

ხარჯების ასეთი კლასიფიკაციის აუცილებლობას საფუძვლად უდევს ეკონომიკური მიზანშეწონილობა და მენეჯმენტის მოთხოვნები. თითოეულ ცენტრში უნდა გაერთიანდეს ეკონომიკური დანიშნულების მიხედვით კლასიფიცირებული დანახარჯები. **დანახარჯთა ცენტრების** ფორმირება უნდა განხორციელდეს საწარმოს ორგანიზაციული თავისებურებების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე; **შემოსავლების ცენტრის** მენეჯერი პასუხისმგებელია მიღებულ შემოსავლებზე და ატარებს პასუხისმგებლობას გაწეულ დანახარჯებზე; **მოგების ცენტრი** არის სემგენტი, რომლის ხელმძღვანელი პასუხს აგებს საკუთარი ქვედანაყოფის როგორც შემოსავლებზე, ასევე დანახარჯებზე. შესაბამისად, მოგების ცენტრის მენეჯერი გადაწყვეტილებას იღებს მოთხოვნილი რესურსების რაოდენობასა და მოსალოდნელი ამონაგების მოცულობაზე; უპირატესობის მიუხედავად, მოგების ცენტრები დაინტერესებული არ არიან მათთვის გამოყოფილი ინვესტიციების გამოყენებით. ამ ნაკლისაგან თავისუფალია **საინვესტიციო ცენტრები** – რომელთა მენეჯერები აკონტროლებენ არა მხოლოდ მათი ქვედანაყოფების შემოსავლებსა და დანახარჯებს, არამედ თვალყურს ადევნებენ მათში ინვესტირებული საშუალებების გამოყენების ეფექტურობასაც. საინვესტიციო ცენტრის საქმიანობა იზომება გამოყენებულ კაპიტალზე ამონაგებით.

საინვესტიციო ცენტრის ხელმძღვანელები ყველა ზემოხსენებული ცენტრის პასუხისმგებლობასთან შედარებით განსაკუთრებული უპირატესობით სარგებლობენ და, შესაბამისად, გადაწყვეტილებების მიღებისას აქვთ განსაკუთრებული მძლავრი პასუხისმგებლობა. მათ დელეგირებული აქვთ უფლება, მიიღონ გადაწყვეტილება ინვესტიციებთან დაკავშირებით, ანუ საწარმოს ხელმძღვანელების მიერ გამოყოფილი საშუალებები გადაანაწილონ შესაბამის პროექტებზე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გავანალიზოთ, როგორია თანამედროვე ეტაპზე საქართველოში არსებული რეალობა მენეჯერული აღრიცხვის კუთხით.

დღესდღეობით ქართული კომპანიები გამოიყენებენ აღრიცხვის ინტეგრირებულ სისტემას (ფინანსურ და მენეჯერულ აღრიცხვას), რასაც, ცხადია, ახლავს თავისი უარყოფითი მხარეები.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ორგანიზაციული სტრუქტურა მათ მენეჯერებზე დაკისრებული პასუხისმგებლობის ხარისხთან მიმართებაში შეიძლება დაიყოს ცენტრალიზებულ ან დეცენტრალიზებულ ფორმად, რომელთაგან ცენტრალიზებულ ორგანიზაციებს აქვთ იერარქიული, პირამიდული სტრუქტურა, აგებული ფუნქციონალურ პრინციპებზე (ადმინისტრაცია, ფინანსები, მომარაგება, წარმოება, მომსახურება, მარკეტინგი და სხვა). მმართველობის ასეთი სისტემა თავისი არსით კონსერვატიულია და არ უზრუნველყოფს თანამშრომლების საქმიანობის თავისუფლებას. კვლევები გვიჩვენებს, რომ გარკვეულ შემთხვევაში მმართველობის მკაცრად ცენტრალიზებული სისტემა განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად იქცევა, ზღუდავს შემსრულებელთა ინიციატივას, აფერხებს მმართველობის ოპერატიულობას. დეცენტრალიზებული მმართველობის მთავარ უპირატესობად გვევლინება პასუხისმგებლობის ცენტრის მენეჯერების თავისუფლება მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისას, ვინაიდან ისინი უფრო ზუსტ და დეტალურ ინფორმაციას ფლობენ, რაც დადებითად მოქმედებს მენეჯმენტის ქვედა დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძვლიანობასა და ოპერატიულობაზე. მიმდინარე მოვალეობების შესრულებისაგან გათავისუფლებულ საწარმოს ზედა დონის მენეჯმენტს კი საშუალება ეძლევა, კონცენტრირება მოახდინოს პერსპექტიული ამოცანების გადაჭრაზე, სტრატეგიის შემუშავებაზე.

ჩვენი აზრით, მმართველობითი აღრიცხვის საერთაშორისო პრაქტიკა და არსებული ტენდენციები, ამ მიმართულებით დაგროვილი დიდი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქართულ კომპანიებს თავიანთ საქმიანობაში, რაც, თავის მხრივ, იქნება მათი ეფექტური ფუნქციონირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტი.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. პ. მიქაძე. მმართველობითი აღრიცხვა, დამხმარე სახელმძღვანელო. თბ., 2000.
2. ფინანსური ინფორმაცია მენეჯერებისათვის, ACCA სახელმძღვანელო (საერთაშორისო პრაქტიკა), თარგმანი ინგლისურიდან., თბ., ბაფ. 2003.
3. ნ. ძიმცივიშვილი, მ. ნაჭყებია, ს. დათუაშვილი, გ. ბაქრაძე. მმართველობითი აღრიცხვა. თბ., 2009.

MANAGERIAL ACCOUNTING DEVELOPMENT STAGES, AS AN INDEPENDENT ACADEMIC DISCIPLINE  
Annotation

In the article managerial accounting is presented as stages of the forming of one of the perspective direction of accounting practice.

Managerial accounting is considered as a link connecting managerial process with accounting one. Enterprise activities of a company and its structural units are researched using this link.

Correspondingly, the current state of managerial accounting in Georgia is analyzed.

ელისო გველეხიანი

ტურიზმის სტრატეგიული განვითარების მიმართულებები საქართველოში

ტურიზმის განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა, რადგან ეს სექტორი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ აღმავლობას. ტურიზმის სფერო აერთიანებს მრავალ სხვადასხვა დარგს, ამიტომ მისი განვითარებისთვის გადაწყვეტია მჭიდრო უწყებათაშორისი კოორდინაცია. ასევე, თანამშრომლობა კერძო და არასამთავრობო სექტორებთან. აღნიშნულის გათვალისწინებით, ტურიზმის სტრატეგიის შემუშავება მკაფიოდ წარმოაჩენს სფეროს წინაშე არსებულ გამოწვევებს და განსაზღვრავს იმ ძირითად მიმართულებებს, რომლებიც საფუძვლად დაედება ქვეყანაში ამ მნიშვნელოვანი სექტორის განვითარებას. მსოფლიო ბანკი ტურიზმის სექტორის, მასთან დაკავშირებული ბიზნეს-შესაძლებლობების და კერძო ინვესტიციების განვითარებას ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისთვის პრიორიტეტულ მიმართულებებად აღიქვამს. მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ერთობლივი ძალისხმევა მეწარმეობის განვითარებაზე, ფინანსებზე უკეთ წვდომის უზრუნველყოფაზე, საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებაზე და საქართველოს ტურიზმის სტრატეგიის შემუშავებაზეა მიმართული. ამ სტრატეგიამ უნდა აჩვენოს, თუ როგორ უნდა მოხდეს სექტორის გაუმჯობესება, განხორციელების მხრივ არსებული პრიორიტეტების გადანაწილება და სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობა.

ტურიზმი და მოგზაურობა საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორია, რომელსაც სამუშაო ადგილების შექმნაში უდიდესი წვლილი შეაქვს. 2013 წელს ტურიზმის სექტორში დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 14.2 პროცენტი მუშაობდა. აღნიშნული სექტორი მთლიანი შიდა პროდუქტის 6-7 პროცენტს შეადგენს. 2015 წელს კი, ტურიზმი საქსპორტო შემოსავლების 20 პროცენტს ქმნის. შესაბამისად, ეროვნული ტურიზმის განვითარების სტრატეგია სექტორის შემდგომი ხელშეწყობის ინსტრუმენტს წარმოადგენს, რათა საქართველოს პოტენციალის სრულად ათვისება და მსოფლიოში მისი როგორც მდიდარი, მრავალფეროვანი და მაღალი ხარისხის ტურისტული დასინჯვის დასაქვიდრება მოხდეს.

კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ სათავეში მოსვლისას ტურიზმის განვითარების მიზნით მთიანი რეგიონებისა და სოფლების ხელშეწყობა დაიწყო, რაც ადგილობრივ მოსახლეობას ტურიზმის საშუალებით საკუთარი საარსებო წყაროს გაუმჯობესებაშიც დაეხმარებოდა. ასევე 2014 წელს ამოქმედდა ახალი სავიზო რეჟიმი, თუმცა სტრატეგიული დაგეგმვის ნაკლებობა ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას აფერხებს. მიუხედავად სერიოზული გეგმებისა, ტურიზმის განვითარება საქართველოში საკმაოდ ნელი ტემპით მიმდინარეობს.

ტურიზმი არის ერთ-ერთი ყველაზე მდგრადად მზარდი ინდუსტრია და, როგორც ყველა ინდუსტრია, საჭიროებს რესურსს. ტურიზმის შემთხვევაში ეს არის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა, ბუნებრივი და ადამიანური რესურსები. ვინაიდან ნებისმიერი რესურსი, რომელსაც მზარდი ინდუსტრია იყენებს ამოწურვადია, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია მათი დაცვა და მდგრადად გამოყენება, ამისთვის კი სტრატეგიული გეგმის არსებობაა საჭირო.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ბოლოდროინდელი კვლევის თანახმად, საქართველოში ტურიზმის სფერო სწრაფი ტემპით ვითარდება. 2014 წელს უცხოელ მოგზაურთა რაოდენობა 5 493 492 იყო, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 1,9%-ით მეტია. ვიზიტების რაოდენობის მიხედვით პირველი ხუთი ქვეყანა: თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი და უკრაინა იყო.

შეიძლება ითქვას, რომ ტურიზმის ზრდას 2014 წლის 1 სექტემბერს საქართველოში ამოქმედებულმა ახალმა სავიზო პოლიტიკამაც შეუწყო ხელი. რის მიხედვითაც განისაზღვრა იმ ქვეყნების სია, რომელთა მოქალაქეებს (მოქალაქეობის არმქონე პირებს), მოკლევადიანი ვიზიტების შემთხვევაში, უფლება აქვთ შემოვიდნენ საქართველოში უვიზოდ. უცხოელს მოკლევადიანი ვიზის საფუძველზე აქვს შესაძლებლობა, იმყოფებოდეს საქართველოს ტერიტორიაზე 90 დღით ნებისმიერი 180-დღიან პერიოდში. უცხოელებს, რომლებიც ფლობენ 2014 წლის 1 სექტემბრამდე გაცემულ საქართველოს მოქმედ ვიზას, უფლება აქვთ აღნიშნული ვიზის საფუძველზე შემოვიდნენ საქართველოში. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ ახლახან „ნიუ იორკ თაიმსში“ გამოქვეყნებულ 52 ქვეყნის ჩამონათვალში, რომელიც 2015 წელს აუცილებლად უნდა მონახულდეს ტურისტმა, საქართველოც მოხვდა. სასურველ ადგილებს შორის საქართველომ 25-ე ადგილი დაიკავა. ეკონომიკის მინისტრის მოადგილე დიმიტრი ქუმსიშვილი „ნიუ-იორკ თაიმსში“ გამოქვეყნებულ მასალას ეხმაურება და ამბობს, რომ მასში გამოქვეყნებული სტატია, საქართველოს და ჩვენი ქვეყნის ტურიზმს პოპულარიზაციას გაუწევს. „ამ ჩამონათვალში სასიხარულოა ის, რომ საქართველო 25-ე ადგილზე მოხვდა. ასევე სასიხარულოა, რომ თვითონ სტატიაში არის მითითებული კონკრეტული ადგილები და კონკრეტული დასახელებები იმ ტურისტული ადგილების, სადაც აუცილებლად უნდა მოხედეს ტურისტმა. „ნიუ იორკ თაიმსის“ პრესტიჟულობა ყველასთვის კარგად ცნობილია და, შესაბამისად, ტურისტების რაოდენობა, რომელსაც ჩვენ ველოდებით 2015 წელს, განსაკუთრებით გაიზრდება“, – განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

ხელისუფლება 2015 წელს ელოდება ტურისტების რაოდენობის გაზრდას იმ ფონზე, როცა ლარის კურსი უმართვი, ხოლო პროდუქტები გაძვირებულია. ტურიზმის განვითარების პერსპექტივაზე საუბრისას საქართველოში ხშირად უსვამენ ხაზს იმ ფაქტს, რომ მისი განვითარების ერთ-ერთი შემავარსებელი ფაქტორი ტრანსპორტის სიძვირეა. გარდა ამისა, სერიოზული პრობლემაა ძვირადღირებული პროდუქტები, განსაკუთრებით კი სეზონურად აქტიურ პერიოდში (ზაფხულის განმავლობაში ბათუმში, ზამთარში კი სვანეთსა და გუდაურში). ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორი ტურისტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და საჭირო ინფრასტრუქტურის არარსებობაა.

„საქართველოში ტურიზმი გამოცხადებულია, როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება და ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ეკოლოგიურ მდგომარეობას უნდა მიექცეს. გარემოს დაბინძურება არის ის, რაც უშუალოდ ზემოქმედებს ტურიზმის განვითარებაზე. თუ არ არის ეკოლოგიურად სუფთა გარემო, ბუნებრივია, ტურისტების მოზიდვაც გაართულებდა. ეს ერთ-ერთი მიმართულებაა, რომელიც ზრუნვას გარემოზე აუცილებელს ხდის”, – აცხადებს ექსპერტი მიხეილ თოქმაზიშვილი.

ბოლო დროს ლარის კურსის ვარდნამ მოსახლეობაში სერიოზული ენებათაღელვა გამოიწვია. მიუხედავად ტურისტთა გაზრდილი რაოდენობისა, ამ ფონზე, ტურიზმი ისევ საფრთხის წინაშე დგას. შესაძლოა, ესეც გახდეს ტურისტთა შეცდირების მიზეზი.

2015 წლის განმავლობაში ტურიზმის სფეროში მარკეტინგული გეგმების, შიდა ტურიზმის სტიმულირებისთვის განკუთვნილი აქტივობების, ტურისტული პროდუქტების განვითარების, ინფრასტრუქტურული საკითხების, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ქმედებებისა და ქვეყანაში ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები ჯერ კიდევ აქტუალურია.

როგორც აღვნიშნეთ, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია მსოფლიო ბანკის დახმარებით საქართველოში ტურიზმის განვითარების გრძელვადიან სტრატეგიაზე 2014 წლის დეკემბრიდან მუშაობს, რომელიც უნდა მოიცავდეს ტურიზმის სექტორის განვითარების ძირითად მიმართულებებს 2025 წლამდე მზადდება. საბოლოო დოკუმენტი, სამოქმედო გეგმის სახით. მას საქართველოს მთავრობა დაამტკიცებს და ყოველ 5 წელში ერთხელ გადაიხედება.

„დაგეგმილია საკონფერენციო ტურიზმის განვითარება, კურორტების განვითარება, მათი პოზიციონირება როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის ბაზრებზე. ასევე დაგეგმილია სიახლეები მცირე ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით და სხვა მიმამართულებებით”, – აცხადებს ვიორგი ჩოგოვაძე, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

სახელმწიფო უშუალოდ გეგმავს ტურიზმის მარკეტინგულ განვითარებას, ასევე ცდილობს იმ გზების განვითარებას, რომელიც შიდა და შემომყვანი ტურიზმის განვითარებას უკავშირდება, კერძო სექტორი კი მოტივირებულია, ყოველ გადაგზულ ნაბიჯში მიიღოს აქტიური მონაწილეობა.

საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო ცდილობს მასობრივი ტურიზმი განავითაროს და მომდევნო წლების განმავლობაში ქვეყანაში 5–6 მილიონი უცხოელი ტურისტი მოიზიდოს. გაუგებარი მიზეზების გამო, ისინი არ ითვალისწინებენ დასავლეთის ქვეყნების გამოცდილებას მასობრივი ტურიზმის განვითარების კუთხით. როგორც ზოგიერთი მკვლევარი (Mowforth & Munt, 2003) აცხადებს, მასობრივი ტურიზმის ზრდას მთელი რიგი პრობლემები მოჰყვა, რომლებიც სულ უფრო თვალსაჩინო გახდა ბოლო წლების განმავლობაში. ამ პრობლემებს შორისაა ნეგატიური ზეგავლენა გარემოზე და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების წესსა და კულტურაზე, ფინანსური მოგების არათანაბარი გადანაწილებასა და დაავადებების გავრცელება.

SW Associates-ი 2007 წელს მომზადებული ტურიზმის განვითარების ეროვნულ სტრატეგიასა და გეგმაში მოცემული რეკომენდაციებით საქართველოს ძველ მთავრობას სთავაზობდა 2015 წლისთვის ვიზიტორთა რაოდენობის გაზრდას 2.5 მილიონამდე და ხაზს უსვამდა, რომ 16% (400 000) უნდა ყოფილიყო მაღალი მხარჯეულობითი პოტენციალის მქონე ვიზიტორი დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან. ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ ტურისტების რაოდენობა არ არის საკმარისი და საჭიროა ისეთი ტურისტების შეთავაზება, რომლებიც მიმზიდველი იქნება მაღალი მხარჯეულობითი პოტენციალის მქონე ტურისტებისთვის დასავლეთ ევროპული ქვეყნებიდან.

მაღალი მხარჯეულობითი პოტენციალის მქონე საშუალო რაოდენობის ვიზიტორი შეამცირებდა გარემოსთან, ჯანმრთელობასთან და ფინანსებთან დაკავშირებულ რისკფაქტორებს და უზრუნველყოფდა სახელმწიფო ხაზინის გაზრდას. აქედან გამომდინარე, ჯერ კიდევ 2007 წელს არსებობდა სტრატეგიული გეგმის შემუშავების იდეა, მთავრობა კი ამ იდეის განხორციელებას 2015 წლის გაზაფხულამდე დაელოდა.


დღემდე, მიუხედავად მთავრობის მიერ გატარებული რეფორმებისა, ასობით დიდი თუ პატარა ტურისტული კომპანიისა და ტურისტთა რაოდენობის 1,9%-ით გაზრდისა, ხელისუფლებას ჯერჯერობით 2015 წლისთვის არც გრძელვადიანი სტრატეგია და არც ტურიზმის განვითარების ეროვნული ან რეგიონული გეგმა არ გააჩნია.

ტურიზმი და მოგზაურობა მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს და ყველაზე სწრაფად მზარდ ინდუსტრიად ითვლება. ტურიზმს მრავალგვარი (ეკონომიკური, სოციალური, ფსიქოლოგიურიც კი) სარგებლის მოტანა შეუძლია. ვინაიდან ტურიზმის განვითარების თანამდევნი პროცესებია: დასაქმება, სიღარიბესთან ბრძოლა, სახელმწიფო შემოსავლების ზრდა, ინფრასტრუქტურის განვითარება, ეკონომიკის დივერსიფიკაცია, ადგილობრივი კულტურისა და ხელოვნობის ხელშეწყობა, პატრიოტული აღზრდა (შიდა ტურიზმი) საერთაშორისო ურთიერთგაგების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.


დღეისათვის ტურიზმის განვითარებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს საქართველოში ეროვნული და რეგიონული ეკონომიკისა და ბიზნესის წარმართვის საქმეში, თუმცა მას არასაკმარისად ექცევა ყურადღება. აღნიშნულმა პრობლემებმა განსაზღვრა საკვლევი თემის აქტუალობა.

ამრიგად, კვლევის მიზანია: უმუშევრობის პრობლემის დაძლევის, ეკონომიკური სტაბილურობის, რეგიონული გამოთანაბრების, ინფრასტრუქტურის განვითარება ტურიზმის საშუალებით. ტურიზმის მნიშვნელობის სწორად განსაზღვრა და სათანადო პოლიტიკის გატარება.

წარმოგიდგინოთ საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მონაცემებს საერთაშორისო მოგზაურობის სტატისტიკის შესახებ (დიაგრ. 1) და საერთაშორისო ტურიზმის შემოსავლების სტატისტიკას (დიაგრ. 2).



დიაგრამა 1



დიაგრამა 2

საქართველოს ტურისტული პოტენციალის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემები, კერძოდ, 2013 წლის მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენციის ინდექსის თანახმად საქართველოს ტურისტული კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე 2011 წელთან შედარებით (73-ე პოზიცია) შეიძინა პოზიციით გაიზარდა და 66-ე ადგილი დაიკავა 140 ქვეყანას შორის (ქულა: 4.10). ამის გარდა “Rough Guides” თანახმად, “საქართველო მეხუთეა ტოპ 10 „მოსანახულებლად რეკომენდირებულ ქვეყანას“ შორის და ისეთი ტურისტულად განვითარებული ქვეყნების შემდეგ არის, როგორცაა ბრაზილია და თურქეთი.

საქართველოში ტურიზმის პოლიტიკის სტრატეგიული დაგეგმვა არის მთავარი ბერკეტი, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ქვეყანაში დაგეგმილი სიღარიბის პრობლემა, უზრუნველყოთ ეკონომიკური წინსვლა და სტაბილურობა, საზოგადოებრივი ცნობიერების, თვითმყოფადობის სწორად გააზრება, ეროვნული, კულტურული ფასეულობების აღდგენა და შექცევა თანამედროვე ყოფა-ცხოვრებასთან.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. მეტრეველი მარინა ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა, I გამოცემა, თბ., გამომცემლობა “სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიის გამოცემებისა და ტრენინგების ცენტრი”, 2011.
2. შუბლაძე ვაჟა, ტურიზმის დაჩქარებული განვითარება - სიღარიბის დაძლევის ფაქტორი საქართველოში, ნაწილი I, თბ. გამომცემლობა საქართველოს ოლიმპიური ფონდი, 2006.
3. გველესიანი ელისო, ახვლედიანი მაია ტურისტული ბაზრის პერსპექტივები საქართველოში, ჟურნალი „ეკონომიკური პროფილი“, №15, 2014.
4. <http://ka.wikipedia.org>;
5. [http://economy.ge/uploads/meniu\\_publicaciebi/ouer/turizmis\\_statistikuri\\_mimoxilva\\_2013.pdf](http://economy.ge/uploads/meniu_publicaciebi/ouer/turizmis_statistikuri_mimoxilva_2013.pdf); <http://iveria.biz/1183--2015-.html>
6. <http://stats.georgia.travel/Default.aspx>
7. <http://gnta.ge/wp-content/uploads/2014/08/4kvartali.pdf>;
8. <http://forbes.ge/news/454/saqarTvelos-viza>

*Eliso Gvelesiani*

**STRATEGIC DEVELOPMENT OF TOURISM IN GEORGIA**

**Annotation**

Compared with the same period of the previous year, the number of visitors to Georgia has increased by 14.7% in May. However, the amount of tourists has dropped by 3%. The Interior Ministry’s analytical department has published information on



visitors that crossed Georgia's border in May of 2015. According to MIA, there were 454,545 visits to Georgia in May 2015, which exceeds the previous year's rate by 14.7%. As for the period from January to May, a total of 1.835,545 took place. The rate exceeds the last year's statistic by 2%.

Georgia adopted a new law of on Legal Status of Alien and Stateless Persons that went into effect on 1 September 2014.

All visa exempt nationals are allowed now to stay for a maximum of up to 90 days within 180 days. After this period, citizens who want to continue working in Georgia will have to obtain a visa, for which they will have to leave Georgia, as the visa is issued only in Georgian embassies abroad. Citizens of countries that require visas are issued with visas for a single entry and a 30-day stay. The list of countries whose citizens have the right of visa-free entry to Georgia is no longer provided in the new law, it is determined in the separate ordinance of the Government of Georgia. The extension of visa-free stay is not possible for holders of ordinary passports. The visa-free list was approved on 26 August 2014.

So, In February 2015 Georgia launched an e-VISA portal allowing citizens of countries that are required to obtain a visa to do so online without a visit to the Georgian diplomatic mission or consulate.<sup>[7]</sup> For the following nationalities it is required to hold a valid Schengen visa or a valid visa from any of the OECD member countries or a valid residence permit of a Schengen or OECD country:

*ლინა დათუნაშვილი*

**მეაბრეშუმეობის განვითარების ისტორიის ზოგიერთი საკითხი საქართველოში**

საქართველო ოდითგანვე წარმოადგენდა უნიკალურ აგრარულ ქვეყანას, სადაც სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგი და ქვედარგია განვითარებული, მათ შორის მეაბრეშუმეობა, რომელსაც საუკუნეების მანძილზე დიდი ადგილი ეკავა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, როგორც ერთ-ერთ უძველეს, ტრადიციულ და მნიშვნელოვან დარგს.

მეაბრეშუმეობის, ისე, როგორც სოფლის მეურნეობის სხვა დარგების, დასაწყისი – ამბობს ნ. შავროვი – ბურუსითაა მოხილი და მეცნიერება ჯერ კიდევ უძველური აღმოჩნდა ჭეშმარიტების სხივებით გაეშუქებინა თითოეული მათგანის ჩასახვისა და განვითარების ეტაპები. „მიუხედავად მრავალი ცდისა და ჩვენამდე მოღწეული ათასი ისტორიული საბუთის გულმოდგინედ შესწავლისა, შეუძლებელი გახდა არა მარტო იმის აღმოჩენა, თუ როდის მოაშენეს აბრეშუმის ჭია, არამედ ისიც კი ვერ გამოიკვლიეს, თუ რომელმა ხალხმა შეძლო პირველად ამ ჭიის გამოყენება [14].

თუ დავეყრდნობით დ. როსინსკის შეხედულებას, „მაშინ თუთის აბრეშუმხვევიას წინაპრის სამშობლო აზიაში უნდა ვეძებოთ, უფრო კონკრეტულად ჰიმალაის აღმოსავლეთ ნაწილში“. ამ აზრს იზიარებს მეაბრეშუმეობის მკვლევართა დიდი ნაწილი, მაგ., მუკერჯანი, პროფ. ა. ტიხომიროვი და სხვები [13].

თუ ვირწმუნებთ ჩინურ გადმოცემას, რომელსაც იზიარებს მკვლევარი რონდოც, ჭიის მოვლა, აბრეშუმის პარკის წარმოება და მისგან ძაფის ამოხვევა თავდაპირველად ჩინეთის დედოფალმა სილინგ ჩიმ დაიწყო 26 საუკუნეზე მეტი ხნის წინ. ჩინელმა ხალხმა სილინგ ჩი სიკვდილის შემდეგ აბრეშუმის ქსოვისა და თუთის ხის მფარველ ღვთაებად აღიარეს [7].

ჩინეთში მეაბრეშუმეობის განვითარების დიდი ხნის ისტორიას ამ ქვეყანაში წარმოებული XX საუკუნის 60-იანი წლების არქეოლოგიური გათხრებიც ადასტურებს.

ჩინეთის აკადემიის საზოგადოებრივი მეცნიერების ისტორიის ინსტიტუტის ძველი ჩინეთის განყოფილების მონაცემებით, 1958წ. არქეოლოგებმა პროვინცია ჩუენციანში ტბა ტაიხუს ახლოს, ნეოლითის ეპოქის კულტურის სხვადასხვა სახის საგნებთან ერთად, აბრეშუმის ნარჩენები აღმოაჩინეს. მასალის ანალიზმა აჩვენა, რომ ნაქსოვი შესრულებული იყო აბრეშუმხვევიას პარკიდან მიღებული ერთნაირი სისქის ძაფისაგან, ქსოვილის ასაკი დაახლოებით 2750-2850 წლით განისაზღვრებოდა. ქსოვილის ხარისხობრივი მაჩვენებელი ადასტურებდა მისი წარმოების ტექნოლოგიის შედარებით მაღალ დონეს, რაც იმის საფუძველს იძლევა, რომ ვივარაუდოთ: ჩინეთში მეაბრეშუმეობის განვითარების ისტორია 3000 წელზე მეტ ხანს ითვლის [12].

საუკუნეობით კარნაკტელი ჩინეთი საიდუმლოდ ინახავდა აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოყვანის საიდუმლოებას, რადგან იგი ეროვნული ეკონომიკური ძლიერების მეტად მნიშვნელოვანი წყარო იყო. ის, ვინც შეეცდებოდა ქვეყნის გარეთ თუთისა და ჭიის თესლის გატანას, სიკვდილით ისჯებოდა.

ჩვენი წელთაღრიცხვით II საუკუნის 20-იანი წლებში აბრეშუმის თესლი (გრენა) ჩინეთიდან კორეაში გავრცელებულია. სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებმა ხელი შეუწყო მეაბრეშუმეობის გავრცელებას სხვა ქვეყნებშიც. ამ დარგის განვითარებას იაპონიაში III საუკუნეში მოჰკიდეს ხელი. შუა აზიაში – IV საუკუნეში, ხოლო ამიერკავკასიაში მეაბრეშუმეობის განვითარებას (გრენის შემოტანა და სხვა) V საუკუნეში მიმდინარე პროცესებს უკავშირებენ.

აბრეშუმის პარკის წარმოებას VI საუკუნეში გაეცნენ ბიზანტიელები, შემდგომ საუკუნეებში დასავლეთ ევროპის ქვეყნები: ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი, უფრო მოგვიანებით – ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, რუმინეთი და სხვ.

სიტყვა „აბრეშუმის“ წარმოშობის ისტორიას საქართველოში არაერთგვაროვნად განიხილავენ ამ დარგის მეცნიერ-მკვლევარები. როგორც ისტორიული წყაროები გვამცნობს, აბრეშუმში უძველესი დროიდან არის ცნობილი საქართველოს მოსახლეობისათვის და მას სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად მოიხსენიებენ. თუ დავეყრდნობით ძველ აღთქმას, რომლის დიდი ნაწილი, სავარაუდოდ, ქართულად VI საუკუნის დასაწყისში უნდა გადმოთარგმნილიყო, აბრეშუმში მოიხსენიება როგორც „ჭიჭნაური“ (ეზეკ. 16. 13).

აბრეშუმში „ჭიჭნაურის“ სახელწოდებით გვხვდება „შუშანიკის წამებაშიც“ (Vს.), სადაც ჭიჭნაურის საქმე გულისხმობს აბრეშუმის ქსოვას, აბრეშუმქსოვის საქმეს, რაც ქალის ხელსაქმეს წარმოადგენდა.

ზოგიერთი მკვლევარი (ნ. შავროვი და ა. კალაძე) თვლის, რომ საქართველოში აბრეშუმის კულტურის შემოტანა და ტერმინი – „აბრეშუმი“ დაკავშირებულია სპარსეთთან. ნ. შავროვი ამ აზრს ავითარებს და ასკენის, რომ კავკასიის აბრეშუმის ძველი ჯიშები ძლიერ ენათესავენა სპარსულ ჯიშებს [14].

აბრეშუმის სპარსულ წარმომავლობას არ იზიარებენ ქართველი მკვლევრები გ. ფხაკაძე და ს. ბოცვაძე. სიტყვა „აბრეშუმი“, აღნიშნავს ს. ბოცვაძე, ჩინური წარმოშობისაა და შეეფერება ჩინურ სიტყვას „Cs“(ში-ს), რაც ნიშნავს აბრეშუმს, ჩინეთიდან აბრეშუმი ინდოეთსა და შუა აზიის ქვეყნებში გავრცელდა, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიასა და საქართველოში[3].

გ. ფხაკაძე მეცნიერული კვლევის შედეგად ასკენის, რომ „სიტყვა „აბრეშუმი“ არასპარსული წარმოშობისაა და სპარსულ ენაში შესულია იბერიულ-კავკასიური (პერო-კავკასიური) ჯგუფის ხალხებისა და მათი მონათესავე ტომების მეშვეობით“[6].

ჩვენი ქვეყნის ისტორია კი გვაუწყებს, რომ უხსოვარი დროიდან საქართველოს დამპყრობნი (სპარსები, თურქები, მონღოლები და სხვანი) ქვეყნის ეკონომიკის განადგურების მიზნით, წვავდნენ და ჩეხდნენ თუთის ხეს, კაფავდნენ ვენახს და მიწასთან ასწორებდნენ ბაღებს, რაც ათეული წლობით აფერხებდა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

მეცნიერთა წინაშე იბადება კითხვა, საქართველოში მეაბრეშუმეობის გავრცელება და ამ დარგის განვითარება როდიდან შეიძლება ვივარაუდოთ. ისტორიულ წყაროებში ამის შესახებ პირდაპირი დათარიღება არ მოიპოვება. საქართველო ძველთაგანვე იყო ჩაბმული შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობაში, ამიტომ, ცხადია, ქართველები ადრეული ხანიდან უნდა გაცნობოდნენ აბრეშუმის წარმოებას, რასაც სამარხებში მრავლად აღმოჩენილი აბრეშუმის ქსოვილის ნაშთები მოწმობს, მაგრამ, ტექნოლოგიურად შეუსწავლლობის გამო, ძნელი ხდება მათი დამზადების დროისა და სადაურობის შესახებ ვარაუდის გამოთქმა.

მართალია, საქართველოში მეაბრეშუმეობის გავრცელების ზუსტი ცნობები ჯერჯერობით არ მოგვეპოვება, მაგრამ უნდა დავეყრდნოთ მკვლევართა უმრავლესობის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომლებიც ამ მოვლენას V საუკუნეს უკავშირებენ და ამტკიცებენ, რომ მეფე ვახტანგ გორგასალმა, რომელიც სპარსეთის შაჰს სალაშქროდ ახლდა ინდოეთში, დაბრუნებისას აბრეშუმის გრენაც თან წამოიღო და საქართველოში გაავრცელა. მკვლევარ მოსე ჯანაშიელის აზრით, ქართველებმა ინდოეთიდან დაბრუნებისას სხვა განძეულთა შორის აბრეშუმის ჭიის თესლიც შემოიტანეს [8].

აღნიშნულ აზრს ავითარებს ბატონი გ. ფხაკაძე, როდესაც წერს: „ვახტანგ გორგასალი ნამდვილად ყოფილა ინდოეთს და იქ პეპქრობაც ჰქონია, რაც გვაფიქრებინებს, რომ ვახტანგ გორგასალს უკან დაბრუნებისას შეეძლო აბრეშუმის თესლის ჩამოტანა და მით საფუძველი ჩაეყარა აბრეშუმის ჭიის კულტურისათვის საქართველოში ნ.წ. აღრიცხვის V საუკუნეში“ [6].

ფაქტი ის არის, რომ საქართველოს ბუნებრივი პირობები, ნიადაგი (თუთის ხის გაშენებისათვის) და პავა ფრიად ხელსაყრელია ამ დარგის განვითარებისათვის და რომ მას დიდი ხნის ისტორია აქვს.

საქართველოს მდებარეობა და ის ფაქტი, რომ ამ ქვეყნის ტერიტორიაზე უხსოვარი დროიდან გადიოდა დიდი სავაჭრო გზები როგორც აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ, ისე სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ, მიუთითებს იმაზე, რომ მეურნეობის ეს დარგი ადრეული ხანიდან იყო ცნობილი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისათვის.

ისტორიული მასალებიდან თვალნათლივ ჩანს, რომ საქართველოში მეურნეობის ეს დარგი სწრაფად ვითარდება მომდევნო საუკუნეებში და განსაკუთრებით X საუკუნიდან აბრეშუმი უკვე ექსპორტის საგნად იქცა. ამ მხრივ ჩვენთვის საინტერესო მასალას ვპოულობთ ამიერკავკასიაში, კერძოდ საქართველოში, მეაბრეშუმეობის მდგომარეობის და აბრეშუმის ნაწარმით სხვადასხვა ქვეყნებთან ვაჭრობის შესახებ არაბი და იტალიელი ავტორების ცნობებში.

X საუკუნიდან უკვე ვხვდებით საქართველოს მეაბრეშუმეობაში არსებული მდგომარეობის დახასიათებას სხვადასხვა მწერლისა და მოგზაურის ნაშრომებში.

მოგზაური მარკო პოლო, რომელმაც XIII საუკუნის აღმოსავლეთის მრავალი ქვეყნის შესახებ ვრცელი აღწერა დატოვა, საქართველოზე შემდეგს მოგვითხრობს: ქართველები ლამაზები, მამაცები, კარგი მსროლენი და მხნე მეთომრები არიან, რომ საქართველოში დიდადლი აბრეშუმი, სადაც აბრეშუმისა და ოქრონარევი ქსოვილებს ამზადებენ, რომელთა უფრო ლამაზს ვერსად იპოვით [11].

არქანჯელო ლამბერტი „სამეგრელოს აღწერაში“ წერს: „ოსმალებს თავიანთი შემოტანილი საქონლის მაგიერად სამეგრელოდან გაჰქონდათ თაფლი, ცვილი, ადგილობრივი ტილო, ძაფი და აბრეშუმი“ [2].

XI-XIII საუკუნის მასალების მიხედვით, საქართველოს ქალაქებს გაცხოველებული ვაჭრობაჰქონდათ ახლო აღმოსავლეთის ქალაქებთან და, სხვა საქონელთან ერთად, საქართველოდან აბრეშუმიც გაჰქონდათ.

XVII საუკუნის საქართველოში აბრეშუმის ნაწარმისშეტანა-გამოტანაზე გარკვეული სახით ბაჟი იყო დაწესებული. ცნობილი ავტორის, არქანჯელო ლამბერტის გადმოცემით, XVII საუკუნეში თურქეთიდან შემოტანილ საქონელს დასავლეთ საქართველოში აბრეშუმზეც ცვლიდნენ [2].

საქართველოს ცალკეული კუთხის სამეურნეო საქმიანობის დახასიათებას ვახუშტი ბატონიშვილი საგანგებოდ ეხება და დაწვრილებით აღწერს ყველა იმ დარგს, რომლის წარმოებასაც მისდევდნენ საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში მცხოვრები გლეხები.

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობების საფუძველზე ირკვევა, რომ მეაბრეშუმეობა ყველაზე დაწინაურებული ყოფილა აღმოსავლეთ საქართველოში (ჭრეთი, კახეთი). ქართლი ამ მხრივ ჩამოუვარდებოდა კახეთს, ვინაიდან, ავტორის სიტყვებით, აქ ზაფხული არის „ჰავით ცხელი და გაუსადისი“, რაც უარყოფითად მოქმედებს აბრეშუმის მოყვანაზე. დასავლეთ საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარებით გამოირჩეოდა სამეგრელო (ოდიში), სადაც აბრეშუმის პარკის მაღალ მოსავალს იღებდნენ.

შუა საუკუნეებიდან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აბრეშუმის პროდუქცია ხარკის საგანს შეადგენდა. მეფე ვახტანგ VI-ის „დასტურლამალის“ მიხედვით შულავრისა და თეთრი სოფლის

მცხოვრებლებზე გაიწერებოდა: „კვამლზედ თითო კვერცი ყაჭი, ვისაც ჭია ჰყავდეს, მანჯანიკზედ თითო სტილი აბრეშუმი, თუ მოვიდეს, თორემ ნუ სთხოვენო“, ხოლო „ვინც ჭიას შეინახავს, ერთი კვერცი ყაჭი უნდა გადაიხადოსო“ [4].

მეაბრეშუმეობის დარგი დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენდა როგორც ადგილობრივი ბატონების, ასევე დამპყრობთა მხრივაც. მაგ., ოსმალები, მოსახლეობისაგან ხარკს აბრეშუმის ნაწარმის სახითაც იღებდნენ.

მაგ., კახეთის მეფეები ოსმალებს წლიურად რამდენიმე საპალნე აბრეშუმს უხდიდნენ. მეფე ალექსანდრემ 1590 წელს ირანის შაჰს „ძღვნად“ 20 საპალნე აბრეშუმი და სხვადასხვა მისართმეველი გაუგზავნა [1].

საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის გაუქმებისა და რუსეთთან მისი შეერთების შემდეგ ახალი ხანა იწყება საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამ პერიოდიდან რუსეთი ცდილობს, საქართველო გადააქციოს მეტროპოლისის მრეწველობისათვის სანედლეულო ბაზად და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვას ადგილობრივი მრეწველობის განვითარება.

რუსეთის მთავრობამ კარგად იცოდა, რომ ამიერკავკასია წარმოადგენდა მეტად მდიდარ და მრავალფეროვან სანედლეულო ბაზას და ცდილობდა, შეერჩია ის დარგები, რომლის ნედლეულიც რუსეთის მრეწველობისათვის სასარგებლო იქნებოდა. ამ მხრივ ბამბისა და აბრეშუმის ნედლეულის პირველადი გადაამუშავებაზე სარფიან საქმედ მიიჩნდა.

1802 წელს პეტერბურგიდან საქართველოში მიაგვლინეს მეაბრეშუმეობის მთავარი ინსპექტორი ბატონი ბიბერშტეინი, რომელსაც უნდა გაერკვია, თუ როგორ მდგომარეობაში იმყოფებოდა მეაბრეშუმეობა და პირადად ენახა ადგილები, სადაც მეურნეობის ამ დარგის განვითარება ხელსაყრელი იქნებოდა [9]. საქართველოში ბიბერშტეინის მოგზაურობას მოჰყვავკავკასიაში რუსეთის ინსპექციის უფლებების გავრცელება. დაწესდა იქნა მეაბრეშუმეობის ინსპექტორის თანამდებობა, რომელზედაც 1802 წელს მოწვეულ იქნა გ. სტეკევი.

ამ პერიოდს ეკუთვნის (1803წ. მაისი) იმპერატორის მიერ დამტკიცებული მოსხენებითი ბარათი – „1802 წელს მეაბრეშუმეობის განვითარების შესახებ“, – რომელშიც ვრცლად არის გადმოცემული ცნობები ამიერკავკასიაში და კერძოდ საქართველოში მეაბრეშუმეობის მდგომარეობის შესახებ. „ქართლსა და სომხეთში, მდინარეების გასწვრივ მრავლად ხარობს თუთის ხე, რომლის ფოთლით იმ ადგილების მცხოვრებნი კვებავენ აბრეშუმის ჭიას და ღებულობენ აბრეშუმს საოჯახო საჭიროებისათვის, ხოლო ბორჩალოს ოკრუგში – გასაყიდადაც, კახეთში, განსაკუთრებით მდინარე ალაზნის მარცხენა ნაპირზე და ქიზიყის ოკრუგში მეაბრეშუმეობა საკმაოდ მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს, რამდენადაც იქ ყოველწლიურად ღებულობენ 200 ფუტზე მეტ გრუნას, მაგრამ მოსახლეობა არაა დახელოვნებული აბრეშუმის ძაფის ამოხვევაში, რის გამოც ამ აბრეშუმს ჰყიდიან სიღნაღში მცხოვრებ სომეხ ვაჭრებზე, ანდა მათვე უცვლიან სხვა საქონელზე, ფუთი აბრეშუმი ფასობს 80 მანეთამდე ვერცხლით“ [9].

1804 წელს, დასავლეთ საქართველოს, კერძოდ იმერეთის მხარის დახასიათების დროს რუსეთის იმპერიის ჩინოვნიკი – ლიტვინოვი გვაწვდის ცნობას ამ მხარეში მეაბრეშუმეობის განვითარების შესახებ და აღნიშნავს, რომ აქ „აბრეშუმს ადვილად აწარმოებენ და იგი ფრიად იაფია, იმიტომ, რომ არსად არ გააქვთ და გამოიყენება მხოლოდ ზოგიერთი საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებებისათვის“ [10].

რუსეთის იმპერიის მრეწველობისათვის მყარი სანედლეულო ბაზის შესაქმნელად მეფის რუსეთი სხვადასხვა ღონისძიებებით ცდილობდა ამიერკავკასიის მდიდარი რეგიონებისათვის „კეთილსასურველი პირობები“ შეექმნა, რათა აქ წარმოებული აბრეშუმი, ბამბა, ყურძენი და სხვა პროდუქცია ისევ მათი იმპერიული მიზნების განხორციელებას მოხმარებოდა და ამას წარმატებითაც აღწევდა.

1836 წელს დაარსდა ამიერკავკასიაში „მეაბრეშუმეობისა და საეჭრო მესარეწეობის გამავრცელებელი აქციონერული საზოგადოება“. აღნიშნული ორგანიზაციის მიზანს შეადგენდა ბაღებში საუკეთესო ჯიშის თუთის ნარგავების გაშენება, უმაღლესი ხარისხის აბრეშუმის ჭიის თესლის შემოტანა, ხაზინისა და კერძო პირთაგან პარკის შექმნა, ევროპული წესით ძაფის ამოხვევა, ქსელისა და საზედაოს დამზადება, ამოხვეული აბრეშუმის ძაფის ღებვა და სხვა.

ამ დარგის სპეციალისტების აზრით, საქართველოში XIX საუკუნის 60-იანი წლები მეაბრეშუმეობის აყვავების პერიოდი იყო. სწორედ ეს წლები იყო კავკასიაში მეაბრეშუმეობის ოქროს ხანა, როდესაც მან მიაღწია ისეთ განვითარებას, როგორსაც არ მოსწრებია არც მანამდე და არც შემდეგ [14].

ამ პერიოდის შემდეგ მეაბრეშუმეობის განვითარება ხანგრძლივი დროით შეაჩერა აბრეშუმის ჭიის გამანადგურებელმა სენმა – „პებრინმა“, რომელმაც პირველად თავი იჩინა ქუთაისის გუბერნიაში, 1862 წელს გავრცელდა სამეგრელოში, ხოლო 1865 წელს მოედო კახეთს. ეპიდემიის დროს თითქმის მთლიანად განადგურდა აბრეშუმის ჭიის ძველი კავკასიური ჯიშები. მან იმსხვერპლა აბრეშუმის ჭიის ის ევროპული ჯიშებიც, რომლებმაც მოასწრო კავკასიაში გავრცელება. 1869 წლიდან ეპიდემიამ საქართველოში თანდათანობით შენელება იწყო და 1874 წელს უკვე აღარ შეინიშნებოდა.

საქართველოში მეაბრეშუმეობისათვის კარგი ბუნებრივი პირობების არსებობის მიუხედავად, ამ დარგის განვითარებასა და აღორძინებაზე მთელი რიგი დამაბრკოლებელი მიზეზი მოქმედებდა. უმთავრესი იყო მეაბრეშუმეობაზე დაკისრებული მძიმე გადასახადები, რომელიც მოსავლის თითქმის 40-80%-ს შეადგენდა. გადასახადები მრავალგვარი იყო. ამ საკითხთან დაკავშირებით აკ. კალაძე აღნიშნავდა: „მეაბრეშუმეობაზე, სააბრეშუმო წარმოებასა და აბრეშუმით ვაჭრობაზე ჩვენში რუსეთის ხელისუფლების დამყარებამდე ერთობ დიდი გადასახადები არსებობდა, გადასახადი ნატურით: თუთის ფოთლით, თესლით, ნაქსოვი აბრეშუმით. გადასახადი ფულით: ტვირთის წონისათვის, სამთავროში შეზიდვისა და იქიდან გაზიდვისათვის და ცალკე გადასახადი აბრეშუმით ვაჭრობაზე. ამრიგად, ჩვენი მეაბრეშუმეობის პროდუქტს სანამ მას მომხმარებელი მიიღებდეს, გადასახადთა მთელი საფეხურები უნდა გავეწლო და ეჭვს გარეშეა ასეთი პირობები მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის დამაბრკოლებელი იქნებოდა“ [5].

მეაბრეშუმეობის განვითარებაზე განსაკუთრებით გავლენას ახდენდა აბრეშუმის პარკის ხელსაყრელი რეალიზაცია. ეს საქმე კი ხელში ჰქონდათ აღებული როგორც ადგილობრივ, ისე უცხოელ ვაჭრებს,

რომლებიც მაღალი მოგების მიღების მიზნით არაფერს ერიდებოდნენ. ისინი ერთმანეთს უთანხმდებოდნენ აბრეშუმის პარკზე ბაზრის ფასების დაწესებაში და უპირისპირდებოდნენ გამყიდველ მეაბრეშუმეებს, რომლებიც იძულებული ხდებოდნენ, თავიანთი პარკი ნაკლებ ფასებში მიეყიდათ ვაჭრებისათვის.

ქ. თბილისში 1850 წელს სოფლის მეურნეობის საზოგადოება დაარსდა. აღნიშნული საზოგადოების საქმიანობამ დადებითი გავლენა იქონია ამ რეგიონში მეაბრეშუმეობის განვითარებაზე. საზოგადოების ბაზაზე 1887 წელს თბილისში გაიხსნა ამიერკავკასიის მეაბრეშუმეობის სადგური, რომელსაც ევალებოდა მოსახლეობაში აბრეშუმის ჭიის მოვლის შესახებ ინფორმაციის გავრცელება, მაღალი ხარისხის თესლით მეაბრეშუმეთა უზრუნველყოფა, ევროპული წესით აბრეშუმის ძაფის ამოღება და ამისათვის გაუმჯობესებული ძაფის ამოსაღები მანქანა-დანადგარების მოსახლეობისათვის დარიგება, საუკეთესო ჯიშის თუთის ხის ნერგებით მეაბრეშუმეობის რაიონების მომარაგება და სხვა.

მეაბრეშუმეობის სადგურის დაარსების შემდეგ საქართველოში მეაბრეშუმეობას წინსვლა დაეცო. ამ პერიოდში ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში შეიქმნა მეაბრეშუმეობის განყოფილება და ჩამოყალიბდა კურსები, სადაც მნიშვნელოვანი მუშაობა წარმოებდა ამ დარგის სპეციალისტთა მოსამზადებლად.

თბილისის მეაბრეშუმეობის სადგურის საქმიანობამ ხელი შეუწყო საქართველოში მეაბრეშუმეობის შესახებ ცოდნის გავრცელებას და, საერთოდ, მეაბრეშუმეობის განვითარებას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე ნ. მეაბრეშუმეობა საქართველოში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით). თბილისი, 1957.
2. არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. თარგმანა იტალიურიდან ალ. ჭყონიასი. თბილისი, 1938.
3. ბოცვაძე ს. საქართველოს მეაბრეშუმეობის მოკლე ისტორიულ-ეკონომიკური მიმოხილვა. ქუთაისი, 1958.
4. ვახტანგ VI, „დასტურდამალი“.
5. კალაძე ა. მეაბრეშუმეობა და სააბრეშუმო მრეწველობა საქართველოში. თბილისი, 1928.
6. ფხაკაძე გ. მასალები საქართველოს მეაბრეშუმეობის ძველი ისტორიისათვის. თბილისი, 1958.
7. ქვარიაძე ს. ევროპის მეაბრეშუმეობა. ბათუმი, 1901.
8. ჯანაშვილი გ. საქართველოს ისტორია. ტფილისი, 1894.
9. Аскак, II № 1123.
10. Аскак, III № 90.
11. Марко Поло. Путешествие Тифлис. 1902.
12. Мухамедов М. М. Из истории шелка, журнал Шелк-, №1, 1996.
13. Росинский Д. Исторический ход и современное состояние шелководства наземном шаре. Москва, 1892.
14. Шавров Н. Добивание отработка и условия сбыта шелка в Австро-Венгрии, Италии, Франции. СПб, 1890.

*Lina Datunashvili*

## ON THE ISSUE OF SILKWORM BREEDING DEVELOPMENT HISTORY IN GEORGIA

### Annotation

The article deals with the views of foreign researchers on the origin and development of silkworm breeding branch (Mukerjani, Tikhonirov, Rondo, Mukhamedov, Shavrov) The attention is focused on the considerations of Georgian researchers on the issue of silkworm import and further development of the branch (Abesadze, Botsvadze, Kaladze etc). There are described the existing situation in various sectors including silkworm breeding seen and evaluated by foreign travelers being in Georgia at different periods. The article studies the measures taken by Tsarist Russia at a certain extend determining the preservation and development of silkworm breeding – the traditional sector of the country.

*ციური ღურული  
ლეილა მამულაშვილი*

### სასტუმრო ბიზნესი – განვითარება თანამედროვე ეტაპზე

დღეისათვის სასტუმროების ინდუსტრიის მაღალპროფილიანი კომპანიები მკვეთრად განსხვავდება წინა თაობის კომპანიებისგან. პირველი 70-იანების სასტუმრო ამერიკის შეერთებულ შტატებში ნიუ-იორკში ბროდვეიზე გაიხსნა 1794 წელს, რომელსაც 1829 წელს ბოსტონის „Tremont House“ მოჰყვა 170-იანების, პირველი ფრანგ-დესკოთა და ოთახზე მომსახურების სისტემით. დროთა განმავლობაში, ყოველი ახალი სასტუმრო სულ უფრო მეტად გამოირჩეოდა ფართო პოლითა და მდიდრული სასტუმრო ოთახებით, ლიფტებით, სამეჯლისო დარბაზებითა და ფეშენებელური რესტორნებით. ელექტროობა პირველად ნიუ-იორკის სასტუმრო „Everett“-ში გაიყვანეს. სასტუმროს ბიზნესის განვითარებასთან ერთად, სასტუმროებმა დასასვენებელი ადგილის სტატუსიც შეითავსა. იმატა სასტუმროებმა დიდ ქალაქებში, კურორტებზე სხვადასხვა ტიპის მომსახურებით. სასტუმროების მშენებლობის და დიდი კორპორაციების ხელახალი ბუმი მეორე მსოფლიო ომის დასრულებისა და ეკონომიკური აღმავლობის დაწყების შემდეგ დაიწყო.

მმართველობითი კონტრაქტის დამსახურება გახდა 1970-იან წლებში სასტუმროების ინდუსტრიის ბუმი და ის განსაკუთრებული პოპულარობით სასტუმროთა კორპორაციებში სარგებლობდა, ვინაიდან მართვის კონტრაქტი კორპორაციების მხრიდან საქმეში თანხის წინასწარ ჩადებას ან ძალიან მცირე ოდენობით, ან საერთოდ არ ითვალისწინებს. მაგ., კალიფორნიაში „La Jolla“-ს მშენებლობაში „Marriot Corporation“-მა 34 მილიონი აშშ დოლარი ჩადო და გამზადებული სასტუმრო მართვის კონტრაქტით მსხვილ საბანკო ფირმა „Pain Webber“-ს 52 მილიონ დოლარად გადასცა. სასტუმროების ბიზნესი მაღალ რისკთანაა დაკავშირებული, რაც

პირდაპირაა დამოკიდებული შემდეგ ფაქტორებზე: მოთხოვნის ციკლურ ხასიათზე, ინვესტირებული კაპიტალის ხარისხზე, მშენებლობისგან მოგების მიღებაზე, სასტუმროსა და მისი მართვისგან მოგების მიღებაზე, უძრავი ქონების ფასის ზრდისგან მოგების მიღებაზე და ა.შ.

„შერატონისა“ და „ჰილტონის“ კორპორაციების მოგების უდიდესი წილი ყიდვა-გაყიდვიდან, საგადასახადო შეღავათებიდან და, დროთა განმავლობაში, უძრავი ქონების ფასის ზრდაზე მოდის. კორპორაციული განვითარების ყველაზე საოცარი მაგალითი ერნესტ ჰენდერსონმა გვიჩვენა. სწორედ მისი ფინანსური ნიჭის წყალობით კორპორაცია „შერატონი“ 26 წელიწადში 154 უმსხვილესი სასტუმროს მფლობელად აქცია. მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში ამერიკის სასტუმროებისა და მოტელების ასოციაციის მონაცემებზე დაყრდნობით, 46 ათასი სასტუმრო და მოტელია სამი მილიონ სამასი ათასი ოთახით.

სასტუმროების კლასიფიკაცია მისი ადგილმდებარეობის, ფასებისა და შემოთავაზებული სერვისების მიხედვითაც ხდება. მაგ., სასტუმროები შეიძლება დაიყოს: ქალაქის ცენტრის სასტუმროებად, საკურორტო სასტუმროებად, აეროპორტის სასტუმროებად, გაზისპირა სასტუმროებად და მოტელებად, კაზინოს სასტუმროებად, ყრილობების სასტუმროებად, სრული მომსახურების სასტუმროებად, ეკონომიურ/საბიუჯეტო სასტუმროებად, გახანგრძლივებული განჩერების სასტუმროებად, მხოლოდ ლუქსის ტიპის ოთახებიან სასტუმროებად, საუზმე + ღამის თევის სასტუმროებად.

სასტუმროების ვერტიკალური ინტეგრაცია ბოლო წლების ტრენდია. სასტუმროს ინდუსტრიის წარმომადგენლები მიხვდნენ, რომ სტუმრის დაბინავებისადმი მხოლოდ ერთი დონის მოთხოვნების წაყენება შეუძლებელია მათი განსხვავებული ფასის, აღჭურვილობისა და კომფორტის დონის გამო.

1990 წელს ჩამოყალიბებული კორპორაცია „სენდანტი“ იმთავითვე საშუალო მომხმარებლის ბაზარზე იყო გათვლილი. დღეისათვის „სენდანტი“ მთელი იმპერიაა, რომელიც მომიჯნავე მომსახურებების სფეროს არაერთი ბიზნესისა და ბრენდის მფლობელია, სასტუმროებიდან დაწყებული, მანქანების გაქირავების სერვისითა და უძრავი ქონებით დამთავრებული. „სენდანტი“ მსოფლიოს უმსხვილესი ფრანშიზორი და უძრავი ქონების საბროკერო ფირმების მფლობელია.

დღეისათვის ჰილტონის სასტუმროების კორპორაცია მეტად წარმატებულია, რასაც ორ ძირითად ფაქტორს უკავშირებენ: სამსახურში საუკეთესო მენეჯერების აყვანას და მათთვის სრული ავტონომიის მინიჭებას და კარგი და ყაირათიანი ვაჭრის გამოცდილებიდან გადახარჯვის თავიდან აცილების უნარს. ჰილტონის კორპორაცია 50-ზე მეტ ქვეყანაში 2 ათსზე მეტი დამოუკიდებელი სასტუმროსაგან შედგება, მის საკუთრებაშია ისეთი ახალი ბრენდები, როგორცაა: Double Tree Hotels, Embassy Suites, Hampton Inn & Suites, Homewood Suites და სხვ.

„ელსვორთ სტატლერმა“ დანერგა უმაღლესი კლასის სტანდარტების კომფორტი და პირობები საშუალო კლასის მოგზაურებისთვის. მან ჯერ 2,257 ოთახიანი სასტუმრო და მერე 1908 წელს ბუფალოში 300 ნომრიანი სასტუმროც გახსნა, სადაც მოიფიქრა სასტუმროს სამხარეულობისა და რესტორნების ერთმანეთის სიახლოვეს განლაგება და სტუმრებისთვის დილის გახეთის უფასოდ მირთმევის სერვისის შემოღება, ოთახების რადიოფიცირება, საბაზანოებში პირსახოცებისა და ოთახებში საწერი მოწყობილობების შეტანა. დღეისათვის სტატლერის ფონდი რამდენიმე მილიონიანი ქონების მფლობელია.

აისელორ შარპი, პირველი თაობის კანადელი, დღეს „Four Seasons Regent Hotels“-ის თავმჯდომარე, პრეზიდენტი და დამფუძნებელია. ტორონტოში, ჯერვის სტრეტზე 1960-იან წლებში გახსნილი პირველი სასტუმროდან დაიწყო და მსოფლიოს ყველაზე მდიდრული და უმსხვილესი სასტუმროთა ქსელი – მულტიმილიონ დოლარიანი იმპერია შექმნა. „Four Seasons Regent Hotels“-ის წარმატება ზუსტად გამოხატავს აისელორ შარპის პირად თავდადებას, მიზანსწრაფულობას, სტილსა და გემოვნებას. დღეისათვის „ოურ შეასონს“ მსოფლიოს ხედასხვა ქვეყანაში 41 უმსხვილეს სასტუმროს აერთიანებს.

ყველაზე უჩვეულო სასტუმრო - „The Treetop Hotel“ კენიის ეროვნულ ნაკრძალში ხის კენწეროებზეა განლაგებული. „Absolute Ice Bar“ შედედეთში, ლაპლანდიაში ყოველ ზამთარს აშენებენ სასტუმროს მთლიანი ყინულის ბლოკებისგან, რომელიც ერთდროულად 100 სტუმარს მასპინძლობს. უჩვეულო სასტუმროები განსაკუთრებულად ხშირია იაპონიაში. მსოფლიოში ყველაზე მაღალ წერტილზე აშენებული სასტუმრო ჰიმალაიზე მდებარეობს ზღვის დონიდან 3900 მეტრის სიმაღლეზე.

ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველი მეათე საშუალო ადგილი პირდაპირ უკავშირდება ეკონომიკის ამ უფრო და უფრო სწრაფად მზარდ სექტორს. მხოლოდ საერთაშორისო გადაზიდვების სფეროზე ყოველწლიურად 840 მლნ ტურისტის მოდის. ყველა ეს მოგზაური თუ ტურისტის ითხოვს, რომ შეთავაზებული პირობები და მომსახურება იყოს საუკეთესო. მაღალი სტანდარტის მიღწევა კი შესაძლებელია ტურიზმის სექტორის ყველა რეგლის პერსონალის ორგანიზებული სწავლების შემთხვევაში.

მომსახურება - ეს არის ნებისმიერი სახის საქმიანობა ან სარგებელი, რომელსაც ერთი მხარე სთავაზობს მეორეს. მომსახურების წარმოება მოიცავს ინფორმაციას, განათლებას, პირად მომსახურებას და სხვა. მისი არამატერიალური ბუნებიდან გამომდინარე, მისთვის დამახასიათებელია: შენახვის შეუძლებლობა, წარმოებისა და მომსახურების ერთდროულობა, რაც ნიშნავს წყაროსთან განუყოფლობას, ხანმოკლეობას, ცვალებადობას, მისი შეფასების შესაძლებლობას მხოლოდ მისი შესრულების შემდეგ და სხვა

დღეს ტურიზმის განვითარებული ინდუსტრია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის. ჩვენს ქვეყანას ხომ უზარმაზარი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. ბოლო წლებში საქართველოში გაჩნდა მსოფლიოში ცნობილი სასტუმროების ბრენდები: მარიოტი, რედისონი, შერატონი... გრძელდება სასტუმროების მშენებლობა და უახლოეს მომავალში თბილისსა და ბათუმს არაერთი თანამედროვე სასტუმრო შეემატება. საქართველოში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში პირველი ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო გაიხსნა. „რიქსოს ბორჯომი“ ლიკანში, ე.წ. მეოთხე სამმართველოს სახელით ცნობილ ტერიტორიაზე საპარტნიორო ფონდმა და ყაზახურმა კომპანია „ეაზმუნაიგაზმა“ გახსნა და მათი ერთობლივი ინვესტიციით აშენდა. პროექტის დირექტორებია 48 მილიონი აშშ დოლარია. სასტუმროში 151 ნომერია – სტანდარტული, ლუქსის და საპრემიუმინტო. კომპლექსი რესტორნებს, კაფე-ბარებს, საკონფერენციო დარბაზებს, გოლფის და ფეხბურთის სათამაშო მოედ-

ნებს, სპაცენტრს, საცურო აუზს, ბავშვთა გასართობ ცენტრ „რიქი ქლაბს“ და დამხმარე ნაგებობებს აერთიანებს. სასტუმროს ოპერირებას სასტუმროების ცნობილი ქსელი „რიქსოსი“ განახორციელებს, რომელიც ამ პროექტით პირველად შემოვიდა საქართველოში. მშენებლობის დროს ობიექტზე 600-მდე ადგილობრივი მუშაობდა. ამჟამად „რიქსოს ბორჯომში“ 200 ადამიანი დაასაქმა და სამომავლოდ დასაქმებულთა რიცხვის გაზრდას გეგმავს.

ცოტა ხნის წინ სასტუმრო კომპლექსები წარმოადგენდა მხოლოდ საცხოვრებელ ფუნქციას და გართობის სფეროს. ამჟამად, ინფორმაციული ტექნოლოგიების და ინტერნეტის განვითარების ეპოქაში, სასტუმრო კომპლექსების კლიენტებს ესაჭიროებათ კავშირის თანამედროვე პირობები – სწრაფი უსადენო ინტერნეტკავშირი, ინტერაქტიული სერვისები და სხვა. ხარისხიანი მომსახურების კომერციული შეთავაზება ზრდის სასტუმროს მფლობელის შემოსავლებს. სასტუმრო ინდუსტრიის ამოცანებს წარმოადგენს:

- სასტუმროს პერსონალის ეფექტური მართვა;
- სასტუმროს იმიჯის შენარჩუნება;
- სასტუმროს კლიენტებისთვის კომფორტული და უსაფრთხო ცხოვრების პირობების შეთავაზება;
- სამუშაო პროცესების ცენტრალიზაცია და ოპტიმიზაცია ხარჯების შესამცირებლად.

ტურიზმის განვითარება საქართველოს მთავრობისათვის პრიორიტეტულია. ამიტომ პრიორიტეტული ხდება ტურიზმისა და სასტუმრო ბიზნესის კვალიფიციური სპეციალისტების სულ უფრო მეტი რაოდენობით მომზადება. საზღვარგარეთ განათლების მიღება სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან ურთიერთობის, მსოფლიო კულტურის გაცნობისა და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების განვითარების და მომსახურების სფეროს მაღალი სტანდარტების შესწავლის შესაძლებლობას მოგვცემს, რაც მნიშვნელოვანია სასტუმრო და ტურიზმის სფეროში მოღვაწე ადამიანისთვის.

სასტუმრო მენეჯმენტის პირველი სკოლა 1893 წელს შვეიცარიაში გაიხსნა და დღემდე იქ მიღებული განათლების დონე საკმაოდ მაღალია, მათი სწავლების მოდელის მიხედვით, სასტუმროს ხელმძღვანელმა მისი დაქვემდებარებული პირის მიერ შესასრულებელი სამუშაოს შესახებ უნდა ფლობდეს როგორც თეორიულ ცოდნას, ასევე, პრაქტიკულად შესრულების უნარს. ხშირად, შვეიცარიული სასტუმრო მენეჯმენტის სკოლები მოწყობილია ნამდვილი სასტუმროს მსგავსად. ასევე, დიდ ბრიტანეთში, ტურიზმისა თუ სასტუმრო მენეჯმენტის ბაკალავრის ხარისხის მოპოვებისას სტუდენტებს მუშაობის უფლება აქვთ და ხშირად უკვე სწავლის პერიოდში პრაქტიკულ ცოდნას იძენენ სასტუმროში ან ტურისტულ სააგენტოში მუშაობით. ნიდერლანდებში სასწავლო პროცესის განმავლობაში სასტუმრო მენეჯმენტის პროგრამის სტუდენტები კვირაში რამდენიმე დღე სასწავლო სასტუმროში მუშაობენ, რომელიც უნივერსიტეტის კამპუსზეა განლაგებული. მათი პრაქტიკა მართივით სამუშაოს შესრულებით იწყება და ბოლო კურსზე მენეჯერის მოვალეობების შესრულებით მთავრდება.

ამრიგად, სასტუმრო ბიზნესი დღეს საჭიროებს: წარმადობის გაუმჯობესებას, კლიენტების მომსახურების გაუმჯობესებას, მომხმარებლების კმაყოფილების და სიმპატიის ზრდას, ხარჯების შემცირებას. სტუმრების მომსახურება და მათ მიერ მოთხოვნილი სერვისის მიწოდება არის კრიტიკული. კლიენტების კმაყოფილება მომავალში ნომრების გრძელვადიანი დაჯავშნის მნიშვნელოვანი კრიტერიუმი. კომპანიები, რომლებიც მუშაობენ სასტუმრო ბიზნესში, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კლიენტის კმაყოფილების ზრდას, რაც ხელს უწყობს მათ წარმატებას. კავშირი შიდა და სამუშაო ადგილებს შორის დიდ როლს თამაშობს ოპერატიული ეფექტურობის და კლიენტების მომსახურების დონის განსაზღვრაში. მნიშვნელოვანია მართვის პროცესების ავტომატიზაცია, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური ეფექტურობის ზრდას. სტანდარტული კომუნიკაციური პლატფორმის შევსებით შესაძლებელი ხდება დამატებითი მოდულების ინტეგრაცია.

ჩვენ მსოფლიო ეკონომიკის ნაწილი ვართ. მოგზაურობის, ტურიზმის, ვაჭრობის დონის განვითარებას ევროსაბჭოსა და მის საზღვრებს გარეთაც სასტუმროებისა და სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიის დონის ამაღლება მოჰყვება.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. კ. აბულაძე, სასტუმრო ინდუსტრია და ტექნოლოგიები, თბილისი, 2008.
2. მ. ვასაძე, სასტუმროს მენეჯმენტი, სტუ, 2009.
3. მ. ვასაძე, სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესადმინისტრირების კურსი, სტუ, 2009.
4. <http://www.infotel.com.ge/ge/for-hotels/>
5. [www.libra.ge/content.php?id=240&lang=geo](http://www.libra.ge/content.php?id=240&lang=geo)
6. [bfm.ge/index.php?newsid=8731](http://bfm.ge/index.php?newsid=8731)

*Tsiuri Duruli  
Leila Mamulashvili*

#### HOTEL BUSINESS – THE DEVELOPMENT AT THE MODERN STAGE

##### Annotation

Today, tourism is particularly important for the industry. In our country there is a huge tourist potential. In recent years, in Georgia the world-renowned hotel brands appeared: Marriott, Radisson and Sheraton hotels and this process will continue; in near future not a single modern hotel will be opened in Tbilisi and Batumi.

Hotel business today needs to improve productivity, customer service, increase customer satisfaction and sympathy, the costs of the services must be reduced. Service delivery is critical. Customer satisfaction is an important criterion in the future to take a long-term numbers. We are part of the world economy. The development of travelling tourism, trade in and outside the Council of Europe will raise the level of hospitality industry.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მოსარგებლეთა კმაყოფილების შეფასება

**შესავალი.** 2013 წლის 28 თებერვლიდან ამოქმედდა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა. შედეგად, ყველა მოქალაქისთვის გარანტირებული გახდა საბაზისო სამედიცინო მომსახურებაზე (როგორც ამბულატორიული, ასევე სტაციონარული) ფინანსური ხელმისაწვდომობა.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, USAID და მსოფლიო ბანკის ექსპერტების მიერ 2014 წლის თებერვალ-აპრილის პერიოდში განხორციელდა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ერთი წლის შედეგების შეფასება და ანალიზი. პარალელურად, აშშ-ის განვითარების სააგენტოს ჯანდაცვის სისტემის განმტკიცების პროექტის (USAID/HSS) ფინანსური და ტექნიკური დახმარებით ჩატარდა მოსახლეობის სატელეფონო გამოკითხვა მიღებული მომსახურებით კმაყოფილების შესახებ და პროვადერებისა და მოსარგებლების ხარისხობრივი კვლევა (ფოკუს-ჯგუფების დისკუსია) საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მიმდინარეობის შეფასების მიზნით [3]. გამოკითხვის შედეგად, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლების 80.3% კმაყოფილია ან ძალიან კმაყოფილია გაწეული სამედიცინო მომსახურებით [3].

წარმოდგენილი კვლევის მიზანია, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ამბულატორიული სერვისით მოსარგებლეთა კმაყოფილების გამოკვლევა, ამბულატორიული სერვისის მიწოდებისას გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა.

**მეთოდოლოგია.** გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. საფოსტო ანკეტირებით და პირდაპირ ინტერვიუს მეშვეობით გამოიკითხა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ის მოსარგებლები, რომელთაც ერთხელ მაინც მიუღიათ ამბულატორიული მომსახურება. რესპონდენტების შერჩევა მოხდა შემთხვევითობის პრინციპით. რესპონდენტები გამოიკითხნენ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, მეტროსადგურების მიმდებარე ტერიტორიებზე. სულ გამოიკითხა 514 რესპონდენტი. ამთვან, საფოსტო ანკეტირების მეთოდით – 162, ხოლო პირდაპირ ინტერვიუს საშუალებით 352 მოსარგებლე. გამოკითხული რესპონდენტების 63% ქალია, ხოლო 37% მამაკაცი. მონაწილეთა 87%-ს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, 5%-ს პროფესიული განათლება, დანარჩენ 8%-ს სრული საშუალო და არასრული საშუალო განათლება. რესპონდენტთაგან 18-დან 35 წლამდე ასაკის შეადგენდა 54%-ს, 35-დან 50 წლამდე – 33%-ს, 50 წელზე მეტი – 13%-ს.

კვლევის შეზღუდვები: დაზღვეულთა ბაზაზე წვდომის და საკვლევი ჯგუფის წინასწარ შერჩევის შეუძლებლობის გამო რესპონდენტების შერჩევა მოხდა შემთხვევითობის პრინციპით. კვლევა ეხება მხოლოდ თბილისში მცხოვრებ მოსარგებლებს და არ მოიცავს საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებს.

**შედეგები.** კვლევის შედეგად ირკვევა, რომ რესპონდენტთა 65% ენდობა მისთვის ჩვეულ/უახლოეს სამედიცინო დაწესებულებას, 7%-მა იმავე კითხვას უარყოფითად უპასუხა, ხოლო გამოკითხულთა 28%-ს გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა. გამოკითხულთა 62% თვლის, რომ პროგრამის ფარგლებში კონსულტაცია კვალიფიციურმა ექიმმა გაუწია, 12% თვლის რომ სპეციალისტი არ იყო კვალიფიციური, გამოკითხულთა 26%-ს გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ სამედიცინო მომსახურების მიღების მოლოდინში გამოკითხულთა 18%-მა კლინიკაში დაჰყო 20 წუთზე ნაკლები, 30%-მა - 20-40 წუთი, 30%-მა - 40-60 წუთი, ხოლო რიგში დგომა 1 საათზე მეტხანს მოუწია გამოკითხულთა 22%-ს. ექიმთან კონსულტაციაზე 20 წუთზე ნაკლები დაჰყო გამოკითხულთა 28%-მა, 20-40 წთ. - 46%-მა, 40-60 წთ. - 19%-მა, ხოლო 1 საათზე მეტი - 8 %-მა.

ექიმმა/სამედიცინო მუშაკმა პაციენტისთვის გასაგები ტერმინოლოგიით მკურნალობის დანიშვნის მიზეზები სრულად აუხსნა რესპონდენტთა 65%-ს, ნაწილობრივი ახსნა მიიღო რესპონდენტმა 23%-მა, ხოლო გამოკითხულთა 13%-თვის სამედიცინო მუშაკს საერთოდ არ აუხსნია მკურნალობის დანიშვნის მიზეზები

კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა 73% აცხადებს, რომ მკურნალობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში იგი ჩართული იყო მისთვის სასურველი ხარისხით; გამოკითხულთა 19% თვლის, რომ მკურნალობის პროცესში ჩართული არ ყოფილა, ხოლო გამოკითხულთა 8% თვლის, რომ მისი ჩართულობა საჭირო არ არის.

გამოკითხულთა 39% აცხადებს, რომ სამედიცინო დაწესებულება რომელსაც ბოლოს მიმართა, იყო ძალიან დასუფთავებული. 56%-ის აზრით, სამედიცინო დაწესებულება, რომელსაც ბოლოს მიმართა იყო საკმარისად დასუფთავებული, ხოლო 5%-ის აზრით, სამედიცინო დაწესებულებაში არ იყო დაცული ჰიგიენური პირობები.

სამედიცინო დაწესებულების არჩევის პროცესში უპირატესი კრიტერიუმი გამოკითხულთა 41%-თვის აღმოჩნდა კლინიკის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, გამოკითხულთა 5 %-თვის - მაღალი ჰიგიენური პირობები, გამოკითხულთა 2%-თვის სპეციალისტების მიერ დანიშნული კვლევების ადგილზე ჩატარების შესაძლებლობა, ასევე, გამოკითხულთა 2%-თვის - კლინიკის პრესტიჟულობა, გამოკითხულთა 36%-თვის - ექიმთა კვალიფიკაცია, გამოკითხულთა 14 %-თვის - ვიზიტზე წინასწარ ჩაწერის შესაძლებლობა.

კვლევის შედეგებით ასევე ირკვევა, რომ რესპონდენტთა 91%-მა იცის, რომ მას პროგრამის ფარგლებში აუნაზღაურდება ოჯახის ექიმის კონსულტაცია, 49%-მა იცის, რომ აუნაზღაურდება ბინაზე ოჯახის ექიმის კონსულტაცია, 51%-მა იცის, რომ პროგრამით გათვალისწინებულია გეგმიური აცრები, 82%-მა - ლაბორატორიული გამოკვლევები, 51%-მა - ინსტრუმენტული გამოკვლევები, 25%-მა - სამედიცინო დოკუმენტაციის ხარჯები, 77%-მა - გადაუდებელი ჰოსპიტალიზაცია, 29%-მა - გეგმიური ქირურგია, 80%-მა - მშობიარობა.

საყოველთაო ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამით სარგებლობის წესების, პროგრამით დაფარული სერვისებისა და სიახლეების შესახებ გამოკითხულ რესპონდენტთაგან 18% მისთვის საჭირო ინფორმაციას

იღებს ინტერნეტ და მედია საშუალებებით (პრესა, ტელევიზია), გამოკითხულთაგან 12% ინფორმაციის მისაღებად სტუმრობს ჯანდაცვის სამინისტროსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდებს; გამოკითხული რესპონდენტებიდან 10% რეკავს ჯანდაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე, ხოლო 60% მიდის უახლოეს სამედიცინო დაწესებულებაში და ადგილზე ერკვევა დაზღვევის პირობებში.


გამოკითხული რესპონდენტებიდან 46% თვლის, რომ სამედიცინო მომსახურება სამედიცინო დაწესებულებაში არის უკეთესი ვიდრე სამი წლის წინ; გამოკითხულთა 3%-თვის სამედიცინო მომსახურება გაუარესდა; 11%-ის აზრით, მომსახურება სამედიცინო დაწესებულებებში ამჟამადაც ისეთივეა, როგორც იყო სამი წლის წინ; 40 %-ს გაუჭირდა კითხვაზე პასუხის გაცემა.

გამოკითხულთაგან 67% თვლის, რომ მისი სამედიცინო ხარჯები საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის დანერგვის შემდეგ შემცირდა; 9%-ის აზრით, სამედიცინო მომსახურების ხარჯები არ შემცირებულა, ხოლო 24%-თვის ხარჯები თითქმის იგივეა, რაც პროგრამის დანერგვამდე იყო.

გამოკითხულთა 69% მიიჩნევს, რომ ისურვებდა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის მომავალში გაგრძელებას. პროგრამის გაგრძელება არ სურს გამოკითხულთა 9%-ს, ხოლო 22%-თვის პროგრამის მომავალში არსებობას მისთვის მნიშვნელობა არ აქვს.

კითხვარის ბოლოს რესპონდენტებს ეთხოვათ ლიკერტის სკალის ხუთბალიანი სისტემით ზოგადად შეეფასებინათ მიღებული ამბულატორიული მომსახურება, სადაც 1 აღნიშნავდა ცუდს, ხოლო 5 კარგს. გამოკითხულთაგან 1%-მა მიღებული ამბულატორიული მომსახურება შეაფასა 1 ქულით, 8%-მა - 2 ქულით, 11%-მა - 3 ქულით, 48%-მა - 4 ქულით, 32%-მა - 5 ქულით.

**ინტერპრეტაცია-დისკუსია.** ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ რესპონდენტთა პროცენტული წილი, რომელმაც გამოთქვა ნდობა მისთვის ჩვეულებრივად აღწერილი სამედიცინო დაწესებულების მიმართ, არც ისე მაღალია და შეადგენს 65%-ს. ეს მაჩვენებელი წინა წლებში ჩატარებული მსგავსი გამოკვლევით მიღებული შედეგებისგან დიდად არ განსხვავდება. 2007 და 2010 წლებში ჩატარებული ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის შეფასების ანგარიშის მიხედვით, სამედიცინო დაწესებულების მიმართ პაციენტთა ნდობის მაჩვენებელი შესაბამისად შეადგენდა 65,5 %-ს და 66,5 %-ს [1] (იხ. დიაგრამა 1).



**დიაგრამა 1**  
**სამედიცინო დაწესებულების მიმართ რესპონდენტების ნდობის მაჩვენებლის პროცენტული განაწილება წლების მიხედვით [1].**


შედარებით დაბალია გამოკითხულთა მიერ სამედიცინო მუშაკის კვალიფიციურად აღქმა (62%), ასევე დაბალია ექიმის მიერ პაციენტთან გატარებული დროის ადეკვატურობის მაჩვენებელი (რესპონდენტთაგან მხოლოდ 60% აღნიშნავს, რომ მან 12 წუთზე მეტი დაჰყო სამედიცინო მუშაკთან ძირითადი კონსულტაციის დროს, ხოლო გამოკითხულთა 40% აღნიშნავს, რომ ძირითადი კონსულტაციისთვის სამედიცინო პერსონალთან დაყოვნების ხანგრძლივობა არ აღემატება 12 წუთს). აღნიშნული მაჩვენებლები 2007 და 2010 წლებში ჩატარებული ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის ანგარიშების მაჩვენებლებზე დაბალია [1]. კლების მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს სამედიცინო მომსახურებაზე მაღალი ხელმისაწვდომობის შედეგად ჯანდაცვის სერვისებზე გაზრდილი მოთხოვნილება.

გამოკითხულთა 79 %-ს მკურნალობის დანიშვნის მიზეზები ექიმმა სრულად აუხსნა მისთვის გასაგები ტერმინოლოგიით. კვლევის ეს მაჩვენებელი ნარჩუნდება წინა წლებში ჩატარებული მსგავსი კვლევის შედეგებთან მიმართებაში [1].

პაციენტთა პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც მიუთითებს, რომ მისთვის სასურველი ხარისხით ჩართულნი იყვნენ მკურნალობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების, თვითმკურნალობისა და მოვლის პროცესში, შეადგენს 73%-ს. სასურველია, გაიზარდოს პაციენტთა ჩართულობა მკურნალობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების და თვითმკურნალობის პროცესში.

რესპონდენტთა 95%-მა აღნიშნა, რომ სამედიცინო დაწესებულება, რომელსაც პროგრამის ფარგლებში ბოლოს მიმართეს, იყო საკმარისად ან ძალიან დასუფთავებული. ეს მაჩვენებელი ნარჩუნდება წინა წლებთან მიმართებაში [1].





**დიაგრამა 2.**

**სამედიცინო დაწესებულების ჰიგიენური მდგომარეობის შეფასების მაჩვენებლები 2007, 2010 და 2014 წლებში[1]**

კვლევის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა ინფორმირებულობის დონე პროგრამით დაფარული სერვისების შესახებ არც ისე მაღალი აღმოჩნდა. საყოველთაო ჯანდაცვით სარგებლობის წესების, პროგრამით დაფარული სერვისების და სიახლეების შესახებ ინფორმაციის მისაღებად გამოკითხულთა 66 %-ს უწევს უახლოეს სერვისის მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებაში მისვლა. მოსარგებლეთა ინფორმირებულობის დაბალი დონე პროგრამის განხორციელების ერთ-ერთ სუსტ მხარეს წარმოადგენს.

კვლევამ ცხადყო, რომ საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის დანერგვის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა მოსახლეობის ჯანდაცვაზე პირდაპირი დანახარჯები, რაც ჯანდაცვის სერვისებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის ზრდაზე მიგვანიშნებს. ასევე მაღალია ამბულატორიული სერვისის მიმართ კმაყოფილების მაჩვენებელი (80%).

**დასკვნა.** ჩატარებული კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლეთა კმაყოფილება მიღებული ამბულატორიული მომსახურების მიმართ მაღალია. მოსარგებლეთა ინფორმირებულობის დაბალი მაჩვენებელი, სასურველი სერვისის მიღებამდე სამედიცინო დაწესებულებაში დაყოვნების ხანგრძლივობა, მკურნალობის საჭიროების არასაკმარისი ახსნა წარმოადგენს პროგრამის პრობლემურ მახასიათებლებს და მოითხოვს გამოსწორებას.

რეკომენდებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, ასევე სოციალური მომსახურების სააგენტომ, გაატარონ სათანადო ღონისძიებები მოსარგებლეთა ინფორმირებულების დონის ასამაღლებლად. ამ მხრივ, მიზანშეწონილია სატელევიზიო ეთერით მოსარგებლეთათვის ინფორმაციის ხშირი მიწოდება, ინტერნეტსაიტებზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსება, საინფორმაციო ბუკლეტების პერიოდული მიწოდება მოსახლეობისთვის, მიზნობრივ ჯგუფებთან შეხვედრების გამართვა და მათთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება.

სერვისის მიღებამდე სამედიცინო დაწესებულებაში დაყოვნებული დროის შესამცირებლად რეკომენდებულია ქოლცენტრის მეშვეობით ექიმთან ვიზიტზე წინასწარი ჩაწერის მექანიზმების სრულყოფა.

სამედიცინო პერსონალმა პაციენტს უნდა მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მკურნალი ექიმი თვლის რომ პაციენტისთვის მიწოდებული ინფორმაცია საზიანო იქნება მისთვის ან აღიქმება არასწორად), განემარტოს მკურნალობის საჭიროება, მკურნალობის პროცესში მისი ჩართულობის აუცილებლობა და მკურნალობის შესაძლო შედეგები.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. 2010, საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის შეფასება, 2009. მოკლე ანგარიში.
2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. 2013, საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის შეფასება, 2013.
3. ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს „ჯანდაცვის სისტემის განმტკიცების პროგრამა (USAID HSSP)“. 2014. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შეფასება.
4. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. 2013. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა. ოფიციალური ვებ-გვერდი: [http://www.moh.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=255](http://www.moh.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=255)
5. სოციალური მომსახურების სააგენტო, 2013. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა - მოსარგებლები და სამედიცინო მომსახურების პრობლები საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 დადგენილების ფარგლებში. ოფიციალური ვებგვერდი: [http://ssa.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=889](http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=889)
6. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, 2013. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა: პრობლემები და რეკომენდაციები. <http://transparency.ge/blog/saqoveltao-janmrtelobis-datsvis-sakhelmtsipo-programa-problemebi-da-rekomendatsiebi?page=2>

EVALUATION OF PATIENT SATISFACTION WITH UNIVERSAL HEALTHCARE

Annotation

Since 2013, the universal health care program was introduced in Georgia, which cover the needs of all population. As a result, for each and every citizen the availability of the basic medical service became guaranteed. The patients were presented with an opportunity to receive the basic medical service in any medical facility of their choice. The objective of this research is to study the satisfaction level of the patients using the universal health ambulatory state program services, and also to reveal pros and cons of the ambulatory service provision processes. For conducting this research was used the quantitative research method, which implies taking polls from the patients who use the universal health state program services by postal forms and through direct interviews, for which beforehand were created structural questionnaires. The majority of patients are satisfied by the ambulatory medical service. The possession of information level among the users is comparatively low; also specific problems exist before the reception of the desired service in the medical institution in regards to the time required for receiving these services. The patients' education on the necessity of receiving treatment is comparatively low. The being informed level of the users, the time required before receiving the desired service in the medical institution, the non sufficient description of the necessity of treatment are the programs problematic issues, which need to be resolved.

ღელა კოჭლამა ზაშვილი  
თემურა ზ ყანდაშვილი

თხილის ბიზნესის განვითარების პერსპექტივები საქართველოში

თხილის კულტურა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია საქართველოს სოფლის მეურნეობისთვის. ეს კულტურა კარგადაა ადაპტირებული ადგილობრივ ეკოლოგიურ-კლიმატურ პირობებთან. თხილის კულტურა ძირითადად გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სუბტროპიკულ ზონაში – სამეგრელოსა და აფხაზეთის ვაკეზე, ასევე გურიისა და იმერეთის რეგიონებში. ამიტომ თხილი ამ რეგიონებისათვის შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს. მდიდარი ბუნებრივი პირობების გამო საქართველოში თხილის ჯიშების 30-მდე სახეობა გვხვდება: ანაკლიური, გულშიშველა, შველისყურა, დედოფლის თითი და ა.შ.

ლაბორატორიული კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ საქართველოში მოყვანილი თხილის ნაირსახეობები მაღალი კალორიულობით გამოირჩევა. კალორიულობის მაჩვენებელია 62-72%, რაც 7-8%-ით აღემატება თურქულ, ესპანურ, ბერძნულ და იტალიურ ნაირსახეობებს.

დღესდღეობით მსოფლიოს ბაზარზე თხილი განსაკუთრებით მაღალი მოთხოვნით სარგებლობს. ქართულ თხილს, მაღალი ხარისხისა და საგემონო თვისებების წყალობით, დიდი პერსპექტივა აქვს და, შესაბამისად, მზარდი მოთხოვნით გამოირჩევა. საქართველოსთვის თხილი უმსხვილესი და სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი დარგია. 2014 წლის მონაცემებით, საქართველოდან თხილის ექსპორტის ჯამურმა ღირებულებამ 183 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რითაც ღვინის ექსპორტს გადააჭარბა და საქართველოს საექსპორტო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს შორის პირველ ადგილზე გადაინაცვლა.

საქართველო თხილის მწარმოებელი და ექსპორტიორი უმსხვილესი ქვეყნების პირველ ათეულში შედის და თხილის წარმოება საქართველოში მცხოვრები 50000-მდე საოჯახო ფერმერული მეურნეობისათვის შემოსავლების უმთავრეს წყაროს წარმოადგენს. ამდენად, მაკროეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების გარდა, ამ დარგს საქართველოში სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის მოტანა შეუძლია.

თხილი მსოფლიოში საკვებად მოხმარებულ კაკალ-ნაყოფთა შორის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პროდუქტია. მისგან ხდიან ზეთს, რომელიც საკვებ, ტექნიკურ და პარფიუმერიულ წარმოებაში გამოიყენება. საკონდიტრო პროდუქციის წარმოება თხილის ყველაზე დიდი მოხმარებელია, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გამოიყენება შოკოლადის ნაწარმის წარმოებაში. საფუნტუშეები და მარცვლეულის საუზმის ნარევების წარმოება წარმოადგენს თხილის მეორე ყველაზე დიდ მოხმარებელ სექტორს. თხილი გამოიყენება ნამცხვრებსა და საკონდიტრო ნაწარმში. დატვირთული დღის რეჟიმის გამო ადამიანებმა ფორმალური სადილები სწრაფი წახემსებით ჩაანაცვლეს, რაც მეტად აისახა თხილის მზარდ მოხმარებაზე. დღეისათვის თხილი იწარმოება: დაშაქრული, მოხალული, პასტისა და გრანულების სახით. ბოლო 10 წლის განმავლობაში ქართული თხილის წარმოება მნიშვნელოვნად განვითარდა. იგი აკმაყოფილებს მსოფლიო სტანდარტებს და საქართველოში წარმოებული და გადამუშავებული თხილის უმეტესი ნაწილი საექსპორტოდ გადის აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. აღსანიშნავია, რომ ქართული თხილი ეკოლოგიურად სუფთაა და მისი წარმოება იაფი ჯდება, რამაც განაპირობა უცხოელი ბიზნესმენების დაინტერესება.

მსოფლიო ბაზრის 70%-ზე მეტი თურქეთს უკავია. თხილის ძირითადი მწარმოებელი ქვეყნებია, ასევე, იტალია, ესპანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და საბერძნეთი. შედარებით მცირე მოცულობით თხილი საფრანგეთში, რუმინეთში, ირანში, აზერბაიჯანში იწარმოება. საქართველოს ნიშა მხოლოდ 6%-ია. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ძირითადად თურქეთი აკონტროლებს თხილის ბაზარს, შესაბამისად, მის ფასსაც არეგულირებს.

მშრალი ხილისა და კაკალ-ნაყოფთა მწარმოებელთა და ექსპორტიორ-თათვის ევროპა ერთ-ერთი დიდი ბაზარია. ევროგაერთიანების ქვეყნებიდან ამ პროდუქტის უდიდეს წილს გერმანია (373,1 ტ) და ნიდერლანდების სამეფო (242,1 ტ) მოიხმარს. ამას ხელს უწყობს გამართული სავაჭრო ინფრასტრუქტურა და დიდი მოთხოვნა.

საქართველო თურქეთთან ახლომდებარე, მისი მეზობელი ქვეყანაა და მასთან ფართოდ გაშლილი პარტნიორული და სავაჭრო ურთიერთობა აქვს, ეს კი ხელსაყრელ გარემოს ქმნის ქვეყანაში თხილის ბიზნესის წარმატებული განვითარებისათვის. ამასთან, საქართველოს მდებარეობა ევროპა-აზიის საზღვართან იმის

წინაპირობაა, რომ თხილის ექსპორტი წარმატებით განხორციელდეს ევროპის მრავალ ქვეყანაში, თანაც მინიმალური სატრანსპორტო დანახარჯებით.

ევროპის ბაზარზე ქართული თხილი იტალიურ და თურქულ თხილთან შედარებით იაფია. თუმცა ქართული თხილი მარკით – „მოყვანილია საქართველოში“ იშვიათად იყიდება. შესაბამისად, მომხმარებლის ცნობიერებაში საქართველო თხილის მწარმოებელ ქვეყნად ნაკლებად აღიქმება.

კარგი კლიმატური პირობების შემთხვევაში, საქართველოში გავრცელებული თხილის ჯიშების გამოსავლიანობა (გადამუშავების, კერძოდ კი შრობისა და ნაჭუჭის გაცლის შედეგად) დაახლოებით 7,000 ტონა თხილის გულს იძლევა. ძირითადად თხილი დასავლეთ საქართველოში იწარმოება, აქვე მუშავდება ნედლეულის დიდი ნაწილი.

საქართველოში წარმოებული და გადამამუშავებული თხილის 95% საქსპორტოდ გადის და წარმატებით იყიდება აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში (იტალია, საფრანგეთი, გერმანია, პოლანდია, ბელგია, ესპანეთი, უკრაინა, ბალტიისპირეთი).

**ცხრილი 1**

**თხილის ექსპორტი**

წელი	ათასი აშშ \$	ტონა
2010	75134	8,228.0
2011	130086	17,863.9
2012	83635	15,625.7
2013	167005	16,724.8
2014	183348	19,900.3

2014 წელს გაუტეხავი თხილის ჩაბარების ფასი ერთ კილოგრამზე 4 - 5 ლარის ფარგლებში მერყეობდა. როგორც იქნება თხილის ფასი რამდენიმე თვეში ძნელი სათქმელია. თხილის ფასი დამოკიდებულია ბაზარზე და თურქულ თხილზე, რადგან მსოფლიო ბაზარზე თხილის ფასის დამდგენი თურქეთია. ქართული თხილის ფასი ობიექტურია მთელი რიგი გარემოებების გათვალისწინებით. თურქული თხილი მსოფლიოშია ცნობილი და დიდი ხანია ბაზარზეა, მნიშვნელოვანი გარემოებაა პროდუქციის მიწოდების პირობები. თურქული თხილი სამი თვის კონსიგნაციით მიეწოდებათ, რისი შესაძლებლობაც საქართველოს არ გააჩნია.

თხილის ფასების ზრდამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ინდუსტრიის მოთხოვნაზე:

- 1) ბევრმა კომპანიამ დაიწყო წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტის შეცვლა და არსებულ რეცეპტებში უფრო იაფი ნედლეულის (მაგ., მიწის თხილი, ქეშუ) ჩართვა.
- 2) თხილის შემოტანა ახალი წყაროებიდან, მაგ., არგენტინაში ფართოვდება თხილის წარმოების მოცულობა.

ამ ყველაფერს კი ემატება საკვები პროდუქტის ხარისხიანობაზე მოთხოვნის გამკაცრება. ე.წ. SSA (Specific Support Action) Hazelnut Project - თხილის პროექტის განსაკუთრებული ხელშეწყობის პროგრამა 100%-ით ევროკავშირის მიერ ფინანსდება. პროგრამის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს მსოფლიო ბაზრისათვის ხარისხიანი თხილის სტაბილურად წარმოების ხელშეწყობა. პროექტს თურქული კვლევის ცენტრი – **Tubitak Research Senter** უდგას სათავეში. ამ პროექტში თანამშრომლობენ **INC - International Tree Nut Council (კაკალ-ნაყოფიერ კულტურათა საერთაშორისო საბჭო)**, **CENTIV (გერმანია)**, **ISPA-CNR (იტალია)**, **PROTECH (დიდი ბრიტანეთი)**, და **RIHSC - აზერბაიჯანის მეხილეობისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევის ინსტიტუტი. ამ პროექტს ქართველი პარტნიორი არ ყავს.**

თუ წლების წინ ქართული თხილი გადაამუშავებლად (გაუტეხავად) იყიდებოდა, დღეს ეს პროდუქტი ძირითადად გადამამუშავებული (თხილის გამომშრალი, მოხალული, დაჭუცმაცვებული გული) სახით იყიდება. ამის საჭიროებას საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები, ხოლო შესაძლებლობას ქვეყნის შიგნით განვითარებული ინდუსტრიის თხილის სიმძლავრეები ქმნის.

ადგილობრივი თხილის გადამამუშავებელი ინდუსტრია დიდი წარმადობისაა და მზადაა, მთლიანად ათვისოს არსებული და მზარდი ადგილობრივი წარმოების შედეგად მიღებული ნედლეული. ქარხნები აღჭურვილია თურქული, იტალიური და ადგილობრივი წარმოების გადასამამუშავებელი დანადგარებით, რამდენიმე ქარხანაში დაინერგა სურსათის უვნებლობისა (HACCP) და მართვის კონტროლის (ISO) სისტემები.

ქართული თხილის გაყიდვის პერიოდი სექტემბრიდან აპრილამდე გრძელდება. მოსავლის აღება კი ძირითადად აგვისტოს თვეში ხდება.

ყოველად დაუშვებელია ძველი და ახალი მოწვევის მოსავლის ერთმანეთში შერევა. შესაბამისად, ქართული თხილის ხარისხზე ზრუნვა გლეხის ეზოდან, ანუ თხილის ბაღიდან უნდა დაიწყო და გადამზიდავი კომპანიის მიერ უნდა დასრულდეს იმისათვის, რომ ეს საკვები პროდუქტი დროულად და ხარისხის შეუღალხავად მიწოდდეს მომხმარებელს. სწორედ ამ და კიდევ მრავალი ფაქტორის გათვალისწინება განაპირობებს ქართული თხილის რეალურ პერსპექტივას მსოფლიო ბაზარზე.

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ჩატარებულმა ფერმერული მეურნეობების კვლევებმა მოგვცა იმის საშუალება, რომ გაგვეჩინა მეთხილეობის განვითარების ტენდენციები. კვლევების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ გამოკითხულ ფერმერთა 47% თხილის ბიზნესით არის დაკავებული და სამომავლოდ დაგეგმილი აქვს ამ კულტურის ფართობების გაზრდა.

გამოიკვეთა ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც, კერძოდ, ახალგაშენებული თხილის უმეტესი ნაწილი განლაგებულია იმ ფართობებზე, სადაც ჩაის კულტურა იყო გაშენებული. თხილის კულტურა განსაკუთრებულია იმითაც, რომ იგი არ ითხოვს დიდ კაპიტალდაზღვრებას და ნაკლებად შრომატევადია, აგრეთვე ნაკლები მოთხოვნები გააჩნია კლიმატური პირობების მიმართ.

ფაქტია, რომ საბაზრო მოთხოვნიდან გამომდინარე, დასავლეთ საქართველოს ბევრმა რეგიონმა შეიცვალა პროფილი და პრიორიტეტული გახადა ის დარგები, რომელთა მიმართ მსოფლიო ბაზარზე მაღალი მოთხოვნა ჩამოყალიბდა.

თხილზე მზარდი მოთხოვნისა და მისი წარმოების პრიორიტეტულობის მიუხედავად, შემოსავლების მხრივ დღემდე ბაზარზე ხშირად ფიქსირდება ამ ბიზნესის განვითარების არასტაბილური მდგომარეობა. პრობლემას წარმოადგენს თხილის ბაზარზე ფასების ცვლილება, რაც ზოგჯერ არავითარ კანონზომიერებას არ ემორჩილება. თხილის მწარმოებელთა მდგომარეობის გაუარესების ძირითადი მიზეზია პროდუქციის რეალიზაციის არსებობა და საცალო ფასებში მწარმოებელთა ხვედრითი წონის თვალსაზრისით მიმდინარე ხშირი ცვლილებები. მიმწოდებლებს, მომხმარებელსა და საბაზრო ურთიერთობებში ჩართულ სხვა მონაწილეებს შორის კავშირები ყალიბდება სტიქიურად.

სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს პროდუქციის მწარმოებლებსა და ბაზარს შორის კავშირებს. ამ ეტაპზე აუცილებელია სხვადასხვა ტიპის ინტეგრირებული საწარმოების შექმნის ხელშეწყობა რეგიონებში (როგორც ვერტიკალური, ასევე ჰორიზონტალური), სადაც თავმოყრილი იქნება ნედლეულის წარმოება, გადამუშავება და რეალიზაცია.

მართალია, გურიისა და სამეგრელოს რეგიონებში შეიქმნა თხილის დამამზადებელი და დამამუშავებელი ფირმები, მაგრამ აუცილებელია სიმძლავრეების გაზრდა და ფასების სტაბილურობის შენარჩუნება. დასახელებული მექანიზმის გამოყენება საშუალებას აძლევს სახელმწიფოს, აკონტროლოს ფასები და დაარეგულიროს ფასწარმოქმნა. თხილის ბაზარზე არსებული სპეკულაციების დასარეგულირებლად და არალეგალურ გადაყიდვებთან გასამკლავებლად, ექსპორტიორები შესყიდვის ერთიან სისტემას ნერგავენ.

ქართული თხილის ფიზიკური კრიტერიუმები უტოლდება საერთაშორისო დონის სტანდარტებს, რაც ზრდის მასზე მოთხოვნას. ამის გამო, თხილის წარმოების 95% ექსპორტის სახით გადის ევროპის ქვეყნებში.

აგრარული ბიზნესის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხდაჭერა. კერძოდ, სახელმწიფო რეგულირებისა და სტიმულირების ისეთი მეტოდების გამოყენება, როგორცაა ფასების სტაბილიზაცია და პირდაპირი საბიუჯეტო სუბსიდიების გამოყოფა.

მართალია, დღეისათვის თხილის წარმოება ბევრი სხვა აგრარული დარგისაგან განსხვავებით, წარმატებით მიიწვევს წინ, მაგრამ პრობლემა მრავლად არის, მათი გადაჭრა კი საჭიროებს კერძო სექტორისა და სახელმწიფოს მხარდაჭერას. აუცილებელია, ქვეყანაში იყოს როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად მშვიდი გარემო, რათა საქართველო იყოს მიმზიდველი ქვეყანა უცხოელი ინვესტორებისათვის. რაც უფრო მეტი კომპანია გაიხსნება, მით მეტი ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდება. ეს ყველაფერი კი კარგად აისახება ქვეყნის კეთილდღეობაზე, რაზეც გაამახვილა ყურადღება საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ატაშე ხუან ეხანოვეციმ: „თუ საქართველო თხილის საექსპორტო მოცულობას მნიშვნელოვნად გაზრდის, მას ევროკავშირის ბაზარზე დამკვიდრების დიდი შესაძლებლობა ექნება. საქმე ის არის, რომ მსოფლიოში თხილის მოხმარება ყველგან იზრდება, საქართველო კი თურქეთის შემდეგ თხილის მეორე მწარმოებელია. ამდენად, ამ მიმართულებით საქართველოს უდიდესი პოტენციალი აქვს“.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ბობოქაშვილი, მიროტაძე თხილის რეკომენდებული ჯიშები საქართველოსათვის, აგრო-ინფო, 2006. ნოემბერი, №2.
2. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო (სტატისტიკის დეპარტამენტი), საქართველოს სოფლის მეურნეობა 2010.
3. შარაბიძე ქართული თხილი და მსოფლიო ბაზარი, აგრო-ინფო, 2007, იანვარი, №4.
4. [www. Hepchazelnut.ge](http://www.Hepchazelnut.ge)
5. [www. Gth.ge](http://www. Gth.ge)
6. [www. Geonut.ge](http://www. Geonut.ge)
7. [www. Sixwise.com](http://www. Sixwise.com)
8. [www. Nutsforlife.com](http://www. Nutsforlife.com)
9. [www. Argonuts.ge](http://www. Argonuts.ge)
10. [www. Kvirispalitra.ge](http://www. Kvirispalitra.ge)
11. <http://ipress.ge/new/6220>
12. <http://eugeorgia.info/ka>
13. <http://nfa.gov.ge/files/images/>

*Lela Kochlamazashvili  
Teimuraz Kandashvili*

### DEVELOPMENT PERSPECTIVES OF NUT BUSINESS Annotation

Georgia is famous as the country of nuts culture. Nuts is the most popular product used for food among the nut yield in the world. The Georgian nut has high quality and best taste features due to which, it becomes more promising and the demand over it keeps constantly growing.

Physical criteria of the Georgian nuts are equal to international standards, which even increases the demand over it. Therefore, 95 % of nut products are exported to European countries.

**აბროზინის ბანკითარების შემავარსებელი ფაქტორები და მათი დაკლვის გზებისაძარტველოში**

ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ქვეყნის ეკონომიკის ტრანს-ფორმაცია შეუძლებელია სოფლის მეურნეობის განვითარების გარეშე. ამ დარგის პრიორიტეტულობის უზღუდებელიყოფა მცდარი პოლიტიკა<sup>165</sup>. რადგან საქართველოს უდიდესი აგრარული პოტენციალი გააჩნია, მისი გამოყენება ჯერჯერობით სათანადოდ ვერ ხერხდება. ქვეყანას აქვს რეალური შესაძლებლობა, რომ მნიშვნელოვნად გაზარდოს თავისი სასოფლო-სამეურნეო წარმოება. თუმცა, ამ პოტენციალის რეალიზებასა და დასახული მიზნების მიღწევას მრავალი სირთულე აფერხებს. ქვეყანაში ფაქტობრივად დამთავრდა საბაზრო აგრარულ ეკონომიკაზე გადასვლის ძირითადი ეტაპი. მთლიანად შეიცვალა აგრარული სტრუქტურა, კერძოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოება საწარმო-ორგანიზაციული და საკუთრებითი ფორმები, დასრულდა პრივატიზაციის პროცესი, ჩამოყალიბდა საადგილობრივი ურთიერთობათა ახალი სისტემა. ცვლილებები მოხდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განლაგებასა და სპეციალიზაციაშიც, ფორმირებულია სასურ-სათო ბაზარი, ხელახლა დაიწყო დარგში ინტეგრაციის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის, ახალი საკრედიტო სისტემის შექმნის პროცესი, აგროსექტორში განვითარება დაიწყო მეწარმეობამ და აგრობიზნესმა. შეიქმნა სასურველი პირობები საკუთრებისა მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმის სასოფლო-სამეურნეო წარმოება თანაბარუფლებიანი ფუნქციონირებისათვის, შექმნილია კონკურენციის პირობები და სხვა.საქართველო, თავისი ბუნებრივი კლიმატური პირობებით, იმის საშუალებას იძლევა, რომ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია გაწარმოთ. მსოფლიო ბაზარზე ასეთ პროდუქტებზე მოთხოვნა ზრდადია<sup>166</sup>.

დღევანდელი გლობალური სავაჭრო ურთიერთობები იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ ადგილობრივი წარმოება ჩანაცვლდეს იაფი იმპორტირებული პროდუქციით. ტრადიციული დამოკიდებულება სოფლის მეურნეობისადმი, როგორც ეკონომიკური განვითარების და გარდაქმნის მნიშვნელოვანი სფეროს მიმართ, ასევე, ღია სავაჭრო ურთიერთობებით გამოწვეული მიდგომა, რომლის თანახმად, მიზანშეწონილია შეფარდებითი უპირატესობის მქონე დარგების განვითარება, წარმოქმნის აგრარული სექტორის განვითარებისადმი განსხვავებულ მიდგომებს. ეს დღევანდელი საქართველოს ერთ-ერთი კონცეპტუალური საკითხია. ქვეყანაში აგრობიზნესის განვითარება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სოფლის ტერიტორიების განვითარების სტიმულირებაში. ზოგადად, ამ პროცესის წარმართვა ორი მთავარი პირობის გათვალისწინებას მოითხოვს: ა) სოფლის მეურნეობა მჭიდროდ უნდა იყოს ინტეგრირებული ადგილობრივ ეკონომიკასა და საზოგადოებასთან; ბ) სოფლის მეურნეობამ ძლიერი ინტეგრაცია უნდა შექმნას, არსებითი გავლენა მოახდინოს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაზე<sup>167</sup>. ამ პირობების შესრულების ერთ-ერთი გზაა სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობი პოლიტიკის შექმნა.

საქართველოში აგრობიზნესის სრულყოფილად განვითარებისათვის ჯერ კიდევ არ გამოიყენება ყველა შესაძლებლობა. ამას მოწმობს მშპ-ში მისი ხვედრითი წილი, რომელიც ბოლო ათწლეულში საშუალოდ 10%-ს არ აღემატება. ასევე მცირე ბიზნესში დასაქმებულთა რაოდენობა, რომელიც 2000-2013 წლების განმავლობაში მთლიანი დასაქმებულების მხოლოდ 18-25%-ს შეადგენს.

2013 წლის მონაცემებით, საქართველოში შრომისუნარიანი მოსახლეობის 54% სოფლის მეურნეობის სექტორშია დასაქმებული, თუმცა ამ სფეროს წილი მშპ-ში მხოლოდ 9,3%-ს შეადგენს. შედარებისათვის, აშშ-ში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მოსახლეობის 1,6%, გერმანიაში - 2,9%, ევროკავშირის ქვეყნებში საშუალოდ 5,0%. აშშ-ში ერთი ფერმერული მეურნეობა სურსათით უზრუნველყოფს საშუალოდ 126, გერმანიაში - 144, ევროკავშირის ქვეყნებში - 51 მცხოვრებს, ხოლო საქართველოში ერთ დასაქმებულს საშუალოდ თავის გამოკვებას კი უჭირს. 2013 წლის მონაცემებით, თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი მაღალია მხოლოდ ზოგიერთ პროდუქტზე, კერძოდ, ყურძენზე - 130%, კარტოფილზე - 100% სიმინდზე - 96%, რძე და რძის პროდუქტებზე - 91%, ცხვრისა და თხის ხორცზე - 85% ბოსტნეულზე - 75%<sup>168</sup>.

საქართველოში 2006-2013 წლებში შემცირებულია მეცხოველეობის უმეტესი პროდუქციის წარმოება, შემცირდა ხორცეულის წარმოება, კერძოდ, ხორცი თხრუნველყოფის მანქანებელია 39%, ხოლო ფრინველის ხორცის 18%. ხორბლით უზრუნველყოფის მანქანებელი მხოლოდ 12%-ია. 2012 წელს სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებულის საშუალო ხელფასი ზოგადად ეკონომიკაში დასაქმებულთა ხელფასის მხოლოდ 61%-ს შეადგენდა. ამავე დროს, ქალაქად და სოფლად მცხოვრებთა შემოსავლებს შორის სხვაობა საგრძნობლად გაიზარდა. ამჟამინდელი შეფასებებით, სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულთა 53% თავს მხოლოდ ნატურალურ მეურნეობაში წარმოებული პროდუქციით იკმაყოფილებს, ხოლო მათი 25,8% ქვეყნის საშუალო მედიანური მოხმარების მხოლოდ 60%-ს მოიხმარს. საერთო ჯამში, ქვეყანაში სიღარიბის დონე შემცირდა, მაგრამ სოფლად სიღარიბის მანქანებელი კვლავაც მაღალი რჩება. აქედან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარება სოფლად მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობისთვის სოციალური დაცულობისა და სიღარიბის დაძლევის მნიშვნელოვანი გარანტიას წარმოადგენს. საერთოდ ადარ იწარმოება მთელი რიგი პროდუქტები. შედეგად, საქართველოს მოსახლეობის მიერ მოხმარებული აგროსასურსათო პროდუქციის 80%-მდე იმპორტირებულია. ქვეყანაში პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ვალუტა საზღვარგარეთ გაედინება, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ადგილობრივ წარმოებას. ქვეყანაში სიღარიბე და უმუშევრობა ჯერ კიდევ უმძიმეს პრობლემად რჩება.

2011-2014 წლებში საქართველოს მთავრობამ ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგად სოფლის მეურნეობა დაასახელა. მიუხედავად იმისა, რომ ამ დარგს უზარმაზარი პოტენციალი გააჩნია, მას უამრავი პრობლემა

<sup>165</sup> ე. ხარაიშვილი, ფერმერულ მეურნეობათა დივერსიფიკაცია აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში, ე. „ეკონომიკადაბიზნესი“, №2, 2012.

<sup>166</sup> <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000500/Kelishashvili%20M..pdf>

<sup>167</sup> ე. ხარაიშვილი, ფერმერულმეურნეობათადივერსიფიკაციადამისიგანხორციელებისპოლიტიკასაქართველოში, 2015.

<sup>168</sup> [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

აქვს, ქვეყანაში ჯერ-ჯერობით არ არის შექმნილი სრულყოფილი სამეწარმეო გარემო და მეწარმეობით უნარები, რომელიც აგრობიზნესმენს უნდა ჰქონდეს. ამის გამო, ის როგორც წარმოების ფაქტორი, ხშირად გამოუყენებელი რჩება. საბაზრო ურთიერთობათა პირობებში, აგრობიზნესმენს შემდეგი უნარები უნდა გააძლიერებინო: 1. მან თავისთავზე უნდა აიღოს მიწის, კაპიტალისა და შრომითი რესურსების, საქონლისა და მომსახურების წარმოების ერთიან პროცესში შეერთების ინიციატივა. შეასრულებს რა კატალიზატორის როლს, იგი, ამავდროულად, უნდა გახდეს წარმოების მამოძრავებელი ძალა და შუამავალიც, გააერთიანოს საწარმოო რესურსები და წარმართოს იგი მომგებიანი საქმიანობისაკენ; 2. აგრობიზნესმენმა თავის თავზე უნდა აიღოს საქმიანობის პროცესში ძირითად გადაწყვეტილებათა მიღების ამოცანა და განსაზღვროს საწარმოს მიმართულება; 3. აგრობიზნესმენი ნოვატორიც უნდა იყოს, უნდა ცდილობდეს, წარმოების გაფართოების მიზნით, ბრუნვაში შეიტანოს ახალი პროდუქტები, ახალი ტექნოლოგიები და ბიზნესის ორგანიზაციის ახალი ფორმები; 4. აგრობიზნესმენი უნდა იყოს ის ადამიანი, რომელიც წინასწარ გააზრებულად შეარჩევს საქმიანობას ისე, რომ რისკის დონე არ აღემატებოდეს გონივრულობის ზღვარს<sup>169</sup>.

აგროსექტორის ეფექტიან ფუნქციონირებაზე დამოკიდებულია საბაზრო კონკურენცია, სამომხმარებლო ბაზრის გაჯერების ხარისხი, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა. აგრობიზნესის განვითარების აუცილებლობას ის გარემოებაც განაპირობებს, რომ მცირე ბიზნესი ავლენს მოქნილობას, სიცოცხლისუნარიანობას, რადგანაც ხასიათდება ბაზრის მოთხოვნაზე სწრაფი რეაგირების უნარით, სპეციალიზაციის მაღალი ხარისხით, რესურსების მობილიზაციის მეტი შესაძლებლობებით. ის წარმოადგენს საგადასახადო შემოსულობათა მნიშვნელოვან წყაროს, ასევე განსაკუთრებული როლი აკისრია ინოვაციური განვითარების თვალსაზრისით. აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან საკმარისი დაფინანსება, განვითარებული ინფრასტრუქტურა, მექანიზაციის მაღალი დონე და დაზღვევის სისტემის განვითარება.

აგრობიზნესის განვითარებისათვის აუცილებელია:

- ქვეყანაში აგროდაზღვევის სისტემის სწრაფი განვითარება;
- ფერმერებისათვის დაბალპროცენტის და გრძელვადიან კრედიტებზე ხელმისაწვდომობა;
- კოოპერატივებისა და სასოფლო-სამეურნეო ასოციაციების ხელშეწყობა;
- სოფლების მცირე და საშუალო ზომის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომარაგების უზრუნველყოფა, მანქანა-ტრაქტორების ცენტრების შექმნა და ლიზინგის განხორციელება;
- ახალი ჯიშების გამოყვანის საცდელი სადგურების აღდგენა და ახალი სტანდარტებით ამოქმედება;
- სახელმწიფოს მიერ ფერმერთა პროდუქციის გარანტირებული შესყიდვა;
- ფერმერებისათვის საკონსულტაციო მომსახურების ცენტრების გაფართოება მეცნიერულ კვლევებზე დაფუძნებული წარმოებით. ყოველივე ეს საფუძველს შექმნის ადგილობრივი კონკურენტუნარიანი პროდუქტების წარმოებისთვის;

• აგრარული სექტორის სტრატეგიული დარგების განვითარებას განსაკუთრებული მხარდაჭერა ესაჭიროება. ამდარგებში უნდა შექმნას ქვეყნის ძირითადი საექსპორტო პოტენციალი. მნიშვნელოვანია საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევის სტრატეგიების დამუშავება, ფართო მარკეტინგული ქსელის ჩამოყალიბება და ა.შ., რაც ქვეყნის პოპულარიზაციისა და შემოსავლების ზრდის საფუძველი გახდება.

მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის უკვე ვიყენებთ მაღალინტენსიურ ტექნოლოგიებსაც კი, აგრარული წარმოების შედეგები მაინც მნიშვნელოვნად არაპროგნოზირებადია. ბოლო წლებში გვალვები, წყალდიდობები, მავნებლები, პირუტყვისა და მცენარეების დაავადებები აგრარულ სექტორს და, მაშასადამე, აგრობიზნესსაც კაპიტალის ჩადების რისკად აქცევს. ისევე გადაუჭრელია აგრარულ პროდუქციასა და მისი წარმოებისათვის საჭირო საწარმოო საშუალებებს შორის ფასების პარიტეტის დაცვის პრობლემა, ანუ თანაფარდობა იმ ფასებს შორის, რომელიც გვიჩვენებს, რამდენი არასასოფლო-სამეურნეო საქონლის და მომსახურების შექმნა შეუძლია აგრობიზნესმენს თავისი პროდუქტის ერთეულის რეალიზაციით. ასეთი პარიტეტი დღევანდელ სიტუაციაშიც დარღვეულია. ეს ნიშნავს, რომ შემოსავლების გადიდებისას, სურსათსა და სხვა პროდუქტებზე მოთხოვნილება იზრდება არაპროპორციულად. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დაბალი ელასტიკურობა წარმოქმნის აგრობიზნესმენების (ფერმერების, მეწარმეების) ე. წ. გრძელვადიან პრობლემას – სურსათით მოსახლეობის დაკმაყოფილების დონე ძალზე ნელი ტემპით იზრდება. ქვეყანაში წარმოების მოცულობის გაკონტროლება ასეულათასობით მცირე ფერმერს არ ძალუძს, მათ ფაქტობრივად არ შეუძლიათ გააკონტროლონ საბაზრო კონიუნქტურა. ამიტომ, მოთხოვნილების მცირე ცვლილებას მიყვავართ ბაზარზე პროდუქციის ფასის მნიშვნელოვან რხევასთან.

სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის ბაზრის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭიროა აგრობიზნესში შემდეგი პირობების დაცვა: აწარმოოს ნედლეული და ისეთი ხარისხის პროდუქტი, რომ შესაძლებელი იყოს მისი გაყიდვა, ისეთის, როგორსაც მოითხოვენ მყიდველები და თანხმდებიან მათ შესყიდვაზე; ბაზრის ყველა მონაწილეს უნდა ჰქონდეს საწარმოო და კომერციული საქმიანობის შედარებითი თავისუფლება, რათა პატიოსანი კონკურენცია გაუწიონ ერთმანეთს; რა თქმა უნდა, ეს არ არის ბაზრისათვის საჭირო ყველა პირობა, მხოლოდ ძირითადია და რეალურად ჯერ არც მოქმედებს. აგროსექტორის შემდგომი განვითარებისათვის საჭიროა მოქმედებდეს აგრარული ბიზნესის რეგულირების სხვადასხვა მექანიზმი, სრულყოფილ იქნეს კანონმდებლობა კერძო საკუთრებაზე, სუფთა კონკურენციაზე, უნდა ხდებოდეს პროდუქციის (ბენდის) დაცვისათვის სერტიფიკატებისა და პატენტების გაცემა, სრულყოფილი უნდა იქნეს საგადასახადო, საკრედიტო, შეღავათების და დაზღვევის სისტემა და სხვა. აგრობიზნესის თითოეული საწარმო უნდა მისწრაფოდეს, აწარმოოს ექსპორტისათვის მთელი პროდუქციის არანაკლებ 20%-ისა მაინც. მხოლოდ ასე შეიძლება იყოს იგი დარწმუნებული თავისი პროდუქციის კონკურენტუნარიანობაში.

<sup>169</sup> <http://www.nplg.gov.ge>

აგრობიზნესის განვითარებას ხელს უშლის სოფლის მეურნეობის დაკრედიტების დაბალი დონე. კომერციული ბანკები, აღნიშნული სექტორის რისკებიდან გამომდინარე, თავს იკავებენ სოფლის მეურნეობის დაკრედიტებისაგან. ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანეს დარგზე საბანკო კრედიტების 2%-ზე ნაკლები მოდის. თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში ფერმერებზე განსაკუთრებით ზრუნავენ, რაც უწინარესად, უპროცენტო სესხის გამოყოფით გამოიხატება. ძალზე მცირეა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი სოფლის მეურნეობაში. ქვეყნის მთლიან პირდაპირ ინვესტიციებში სოფლის მეურნეობის წილი 2007 წელს - 0,8%-ს, 2009 წელს - 1,2%-ს, 2010 წელს - 1,1%-ს, 2011 წელს - 1,2%-ს, 2012 წელს - 1,8%-ს, 2013 წელს - 1,3%-ს შეადგენ<sup>170</sup>. ეს გამოწვეულია იმით, რომ დარგი რისიკიანი და დაბალმოშვებია. აგრობიზნესის განვითარების გზაზე არსებული ბარიერების აღმოფხვრაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს აგრარული ბიზნესსოციალიზაციებისა და მომსახურების ცენტრების შექმნა და ხელშეწყობა, აგრეთვე ისეთი სტრუქტურების ფორმირება, რომლებსაც შეუძლიათ ფერმერებსა და მათ კოოპერატივებს დაეხმარონ კონსულტაციებით, ტრენინგებით, ინფორმაციის მიწოდებით, კომუნიკაციებითა და სხვა მომსახურებით. აგრობიზნესცენტრების მეშვეობით ფერმერებს შეუძლიათ კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება შესამაბისი მომსახურების უზრუნველყოფით, აგრეთვე ლობიერების კამპანიის ჩატარება კრედიტების მოსაძიებლად და სახარბიელო საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად.

სახელმწიფოს მხრიდან აგრობიზნესის ფინანსური მხარდაჭერის ერთ-ერთ მისაღებ ფორმად მიგვიჩნია შეღავათიანი კრედიტების აღებაში ხელშეწყობა, შეღავათიანი ფინანსური დაბეგვრის განსაზღვრა და სხვა. სახელმწიფოსა და ფერმერულ მეურნეობებს შორის ურთიერთობა უნდა ემყარებოდეს ნამდვილ კონტრაქტაციის ორმხრივ ხელსაყრელ სისტემას, როცა სახელმწიფო გვევლინება არა მბრძანებლად, არამედ თანასწორუფლებიან პარტნიორად, როცა ადგილი აქვს ურთიერთვალდებულებებს. რაც შეეხება ფერმერული მეურნეობების უპირატეს განვითარებას, მათი გავრცელების არეალი უნდა იყოს არა მხოლოდ დაბლობ და საგარეუბნო ზონის ტერიტორია, არამედ მაღალმთიანი რეგიონები, მით უფრო, რომ როცა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების არსებული ორგანიზაციული ფორმების დაშლისა და ნგრევის ფონზე, მათი განვითარება საქართველოს აგრარული სექტორის კრიზისიდან გამოყვანის, მისი სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცების, სასურსათო პროდუქციის სიუხვის შექმნის ამოცანათა გადაწყვეტის უკვე სასიცოცხლოდ აუცილებელ, მნიშვნელოვან პირობად იქცა. აგრობიზნესში პრობლემების მოგვარებით ფერმერები შეძლებენ იმ დარგებში შედწევის, რომელთაც დღეს არა აქვთ პირდაპირი საწარმოო კავშირები ან ფუნქციური დამოკიდებულება. პროდუქტებისა და შემოთავაზებული მომსახურების სახეობების გაფართოებით კი სამეურნეო საქმიანობა ახალ სფეროებზე გავრცელებდა სახარბიელო საინვესტიციო გარემოს შესაქმნელად. საყურადღებოა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, სამართლიანი საგადასახადო-საბაჟო სისტემის შექმნა სტიმულს მისცემს სამამულო წარმოების ზრდის საფუძველზე ექსპორტის ზრდას და იმპორტის შემცირებას. ეს ხელს შეუწყობს ახალი დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვას, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ ქვეყანაში წარმოების შემდგომი გადიდებისათვის და უზრუნველყოთ სტაბილური ბაზრისა და ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბება. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ყველა აგრარულად მაღალგანვითარებულ ქვეყანაში სახელმწიფო დიდ როლს თამაშობს ეკონომიკის რეგულირებაში.

ფერმერული მეურნეობის, როგორც მეურნეობრიობის ერთ-ერთი ფორმის პერსპექტიულობაზე ისიც მიუთითებს, რომ მისი განვითარება, უპირველესად, მიზნად ისახავს მიგრაციული პროცესების შეჩერებას და მოსახლეობის სოფლად დამგრებას. აგრობიზნესის განვითარების პერსპექტიულობა საქართველოში დიდად არის დამოკიდებული სახელმწიფოს მხრიდან აგრარული პროტექციონისტული პოლიტიკის გატარებაზე<sup>171</sup>.

აგრობიზნესის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ქვეყანაში აგროდაზღვევის განვითარებაა. ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს სოფლის მეურნეობაში არსებულ რისკებს და ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის დაკრედიტების მოცულობის ზრდას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2013 წლიდან საქაოლ სერიოზული თანხები გამოყოფილი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, რაც ფერმერებისათვის სტიმულია გრძელვადიანი საქმიანობის დასაწყებად, შესაბამისად, განხდა რეალური მოთხოვნა აგროდაზღვევის სისტემის შექმნისა და განვითარებისათვის. აგროდაზღვევა სოფლის მოსახლეობას დაეხმარება სტიქიური მოვლენებით მიყენებული ზარალის შემცირებაში, რაც სტაბილურს გახდის მათ შემოსავლებს. მნიშვნელოვანია საერთაშორისო ბაზრებზე შედწევის სტრატეგიების დამუშავება, ფართო მარკეტინგული ქსელის ჩამოყალიბება და ა.შ., რაც ქვეყნის პოპულარიზაციისა და შემოსავლების ზრდის საფუძველი გახდება. 2014 წელს აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაცემულია 21 ათასზე მეტი პოლისი, დაზღვეულია 150 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების 34 სხვადასხვა კულტურა 19 ათას ჰა მიწის ფართობზე.

საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობები ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების შესაძლებლობას იძლევა. ასეთ პროდუქტებზე მოთხოვნა სულ უფრო იზრდება. აუცილებელია სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შემუშავება და სწორი პოლიტიკის გატარება, აგრობიზნესის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ისეთი სტრუქტურების ფორმირება, რომლის მეშვეობით აგრობიზნესმენებს შეეძლებათ კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება.

*Tamar Lazariashvili*

## DELAYING FACTORS OF AGRICULTURAL BUSINESS DEVELOPMENT AND THE WAYS OF THEIR OVERCOMING

### Annotation

In the article are analyzed the delaying factors of the development of agricultural business and are given the ways of overcoming them. It is shown the necessity of the forms of supporting agricultural business from the side of the state, namely, the fast de-

<sup>170</sup> www.geostat.ge

<sup>171</sup> გ. ერქომაიშვილი, საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები. თბილისი, 2013.

velopment of the system of agricultural business in the country. In the work is discussed the effective ways of the functioning of agricultural sector. Is shown the market competition, the quality of the filling of the consuming market, creating of the new working places. Are offered the necessary measures of the agricultural business; the fast development of the system of the agricultural insurance; the accessibility of the forms on the low percentage and long-term credits; guarantee of provision of cooperatives and agricultural associations, creation of the centers of implements and tractors, realization of lizing; restoring the experimental stations of making new sorts and making into action with the new standards; guaranteed buying of the farmers' products by the state; increasing consulting service centers for the farmers with the producing based on the scientific researches.

Is confirmed the necessity of working out the strategy of the development of agriculture and taking the right policy; Is made the conclusion that in the development of agricultural business the important role will be realized by the formation such a strategy, with the help of which the agricultural businessmen will be able to improve competitiveness.

*ეთერ ნარიშკინი*

### **ტურიზმის როლი ბიზნესის განვითარებაში**

ტურიზმი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მზარდი ინდუსტრიაა. იგი ვალუტის მოძრაობის მთავარი გენერატორია, რისი მეშვეობითაც უდიდეს როლს თამაშობს მსოფლიო ეკონომიკაში. მას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია როგორც კერძო ფირმების, ასევე კონკრეტული ქვეყნებისათვის. ტურიზმისათვის დამახასიათებელი სარგებელი ვლინდება დასქმების და სახელმწიფო სავადასახადო შემოსავლების ზრდაში, რეგიონების წრფივ ეკონომიკურ და მომსახურების სფეროს განვითარებაში.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე მდგომარეობის კომპლექსური ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ დგას სიღარიბის პრობლემა. მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ სიღარიბის დაძლევა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ისეთი ეკონომიკური და ორგანიზაციული ფაქტორების მიზანმიმართულად და კომპლექსურად გამოყენებას, როგორცაა ქვეყანაში ტურიზმის დაჩქარებული განვითარება.

ტურიზმის, როგორც მომსახურების სახეობის განვითარების უპირველეს მიზანს სარგებლის მიღება წარმოადგენს, რაც მიიღწევა ტურისტების მოთხოვნილების დაკმაყოფილების გზით. ამდენად, ლოგიკურია, რომ ტურიზმის შესწავლა ეფუძნება ბიზნესის კონცეფციას.

პროფესიულ ტურისტულ ბიზნესში სასოფლო ტურიზმს, როგორც საქმიანობის საკმაოდ შემოსავლიან სახეობას, რეგიონების ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე და საკმაოდ პოპულარულია ტურისტთა შორის.

აგროტურიზმის განვითარება ხელს უწყობს ქვეყნის რეგიონების ეკონომიკურ აღმავლობას. გასათვალისწინებელია, რომ აგროტურიზმი, ისევე, როგორც სასოფლო ტურიზმი, არ მითხოვს ისეთ მნიშვნელოვან ინვესტიციებს, როგორც სჭირდება საკურორტო ინფრასტრუქტურას. ადგილობრივი ეკონომიკის მხარდასაჭერად საჭიროა გაცილებით ნაკლები ხარჯები.

საქართველოსათვის დამახასიათებელი ხელსაყრელი ბუნებრივი და კლიმატური პირობები ხელს უწყობს სასოფლო და აგროტურიზმის განვითარებას, რომელიც შიდატურიზმის განვითარების საფუძველს წარმოადგენს.

ჩვენი ქვეყანა ყოველთვის საინტერესო და მიზიდველი იყო უცხო მოგზაურთათვის. არგონავტების კოლხიდაში მოგზაურობა ოქროს საწმისის დაუფლებისათვის, ამის უძველესი საბუთია. უხსოვარი დროიდან ჩვენი ქვეყანა თავისი მოხერხებული გეოგრაფიული მდგომარეობის გამო, დასერილი იყო სხვადასხვა მიმართულების სავაჭრო გზებით. ნიშანდობლივია ისიც, რომ დღესაც ჩვენი მთავრობა ზუსტად გზების კეთილმოწყობას აქცევს დიდ ყურადღებას და ამ კუთხით მდლიონობით ინვესტიციებს ხარჯავს. კეთილმოწყობილი გზები კი ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. მოგზაურობა ვერ განხორციელდებოდა იმ დროისათვის შესაფერისი ინფრასტრუქტურის გარეშე. საქართველოში უძველესი დროიდანაა სასტუმროს ტიპის სახლების არსებობა, რომელსაც სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელს უწოდებდნენ.

უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოში ტურიზმის განვითარების პრიორიტეტებს შორის შიდა ტურიზმის განვითარება მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ამუშავდა როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების პროექტი, რაც ითვალისწინებს სოფლის მცხოვრებთა სახლების სასტუმრო სახლებად გადაკეთებას, ასევე ტურიზმში ჩაბმული მოსახლეობის გადამზადებას და ტრენინგებს.

მიმდინარე პერიოდში დღის წესრიგში დგას ტურიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და განვითარებისათვის საჭირო ინვესტიციების მოზიდვისა და სტიმულირების საკითხი. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ საქართველო იცნობდეს ტურიზმის განვითარების იმ მასტიმულირებელ ფაქტორებს, რომლებიც სხვადასხვა დროს გამოიყენებოდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ტურიზმის დაჩქარებული განვითარების მიზნით.

საქართველოში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობი მნიშვნელოვანი ფაქტორები შეიძლება იყოს შემდეგი: სამთავრობო სესხის გარანტიები, წილობრივი მონაწილეობა; ტურიზმის სფეროში სავადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზაცია; გადასახადების შემცირება; ბანკების მიერ ბიზნესის დაწყების ე.წ. „სტარტაფის“ დაფინანსების შესაძლებლობა.

2010 წლის 25 ივნისს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა 172-ე განკარგულებით დაამტკიცა საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წლების სტრატეგია, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება ტურიზმის განვითარებას დაეთმო. ამ სტრატეგიის მიხედვით, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ტურიზმის განვითარებას ინვესტორთათვის სავადასახადო შეღავათების დაწესებისა და საკუთრებაში მიწის უსასყიდლოდ გადაცემის გზით.



საქართველოში ტურიზმის განვითარებას თან ახლავს მთელი რიგი სარგებლობა, რომელთა შორის მნიშვნელოვანია: დასაქმება, სიღარიბესთან ბრძოლა, სახელმწიფო შემოსავლების ზრდა და ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარება.

ბოლო 5-6 წლის განმავლობაში საქართველოში ტურიზმის სფეროს განვითარებასთან ერთად, გაიზარდა სასტუმროების რაოდენობა. ამდღელ კერძო სექტორისა და ინვესტორების დაინტერესება როგორც საპრივატიზაციო საკურორტო ობიექტებით, ასევე ახალი სასტუმროების, რესტორნებისა და გასართობი ობიექტების მშენებლობით.

როგორც ცნობილია, საქართველოში მრავალი ახალი სასტუმრო შენდება, ასევე იხსნება მსოფლიოში ცნობილი სასტუმროთა ქსელები, მაგ., „Millenium“, „Marriot“, „Rotama“, „Starwood“, რომელთა კონკურენტული უპირატესობა იმაში მდგომარეობს რომ მათ გააჩნიათ ეფექტიანი მართვის და მაღალი დონის მომსახურება.

თანამედროვე ეტაპზე, კერძო სასტუმროების რაოდენობის ზრდასთან ერთად, იმატა „საოჯახო სასტუმროების“ რაოდენობამ, რომელთა საკმაოდ დიდი ნაწილი თავმოყრილია დიდ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში.

UNWTO-ს მონაცემებით, მსოფლიოში დაახლოებით 220 მილიონი ადამიანი დასაქმებული ტურიზმის სფეროში, რაც მსოფლიო სამუშაო ძალის 8.3%-ს შეადგენს. ექსპერტთა გათვლებით, 2012 წლისათვის დასაქმება ამ სფეროში 249 მილიონ ადამიანს, ანუ მსოფლიო დასაქმების 8.6%-ს შეადგენს. ამავდროულად, ტექნოლოგიური განვითარება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შრომის ბაზარზე. მაგ., დაჯავშნის კომპიუტერული სისტემის გამოყენებამ მნიშვნელოვნად შეამცირა ტურისტული სააგენტოებისა და ავიაკომპანიების ოფისების რაოდენობა.

დღეისათვის ტურიზმი იკავებს მსოფლიოს მშპ-ის 10%-ს, მოიხმარს მშპ-ის 10.9%-ს, მსოფლიო ინვესტიციების 11.8-ს, ტურისტულ ბიზნესში დასაქმებულია მომსახურეთა დიდი რაოდენობა, მოზიდულია ძირითადი საშუალებები და მსხვილი კაპიტალი. ეს არის მსხვილი ბიზნესი. დიდი ფული და გლობალური დონის სერიოზული პოლიტიკა. მას სამართლიანად უწოდებენ „ოქროს კვრცხისმდეგულ ბაჭს“.

გაეროს ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის სეფასებით, 2013 წელს საქართველოში ტურისტულად ყველაზე მზარდი ქვეყანაა. საქართველოში საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობის ზრდის მაღალი ტემპი აღნიშნულია გაეროს ტურიზმის ორგანიზაციის ყოველწლიურ მოხსენებაში, სახელწოდებით „მსოფლიო ტურისტული ბარომეტრი“.

ტურისტული ნაკადის ზრდა თავის საჯარო გამოსვლებში არაერთხელ აღნიშნა საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი სიგუამ: „ივლისის თვეში მიმდინარე წელს დაფიქსირდა რეკორდული რაოდენობა საერთაშორისო მოგზაურების საქართველოში. ეს რიცხვი არის 609 ათას 189 კაცი საერთაშორისო ვიზიტორი, რაც არის აბსოლუტური რეკორდი ამ თვისათვის. ხოლო 1 აგვისტოს მონაცემებით, 2013 წელს ჩვენ უკვე გვყავდა 2 მილიონ 797 ათას 910 ვიზიტორი“.

უკრაინა და პოლონეთი ძველი ადმინისტრაციისათვის ერთ-ერთი ძირითადი სტრატეგიული მიმართულება იყო. შედეგად, პოლონეთიდან ჩამოსული ვიზიტორების რაოდენობა საგრძობლად გაიზარდა. ინტერესი იმდენად დიდია, რომ ერთ-ერთმა პოლონელმა მოგზაურმა წიგნიც კი გამოსცა საქართველოს შესახებ.

9 თვის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, პოლონეთიდან საქართველოში ჩამოსული ვიზიტორების რაოდენობა შარშანდელთან შედარებით 64%-ით გაიზარდა და სპეციალისტების, ზრდის პოტენციალი კვლავაც არსებობს. ამის ერთ-ერთი მასტიმულირებელი ფაქტორი კი ქუთაისისა და პოლონეთის ქალაქებს შორის იაფასიანი ავიაბიომოსვლაა.

მიმდინარე ეტაპზე საქართველოში უცხოელი ვიზიტორების ზრდა 2012 წელთან შედარებით დაახლოებით 25%-ს შეადგენს. ტურისტებს ძირითადად საქართველოს მრავალფეროვნება იზიდავს.

საქართველოს ტერიტორიული პოტენციალი შემდეგი პარამეტრებით ხასიათდება: 102 კურორტი, 182 საკურორტო ადგილი, 15 00 ისტორიული ძეგლი, რომელთაგან 4 შეტანილია იუნესკოს მსოფლიო საგანძურთა სიაში, მოქმედი 2 და პერსპექტიული 7 ეროვნული პარკი. მოსახლეობის გამოცდილების მაღალი დონე ტურისტული მომსახურების სფეროში, განათლებისა და კულტურის მაღალი დონე, ტრადიციული სტუმართმოყვარეობა და განთქმული ქართული სამზარეულო.

საქართველოში მრავალი ბუნებრივი ღირსშესანიშნაობაა: ნაკრძალები, ტბები, ჩანჩქერები, გამოქვაბულები, ხეობები, მთის მწვერვალები, მყინვარები, რომელთა უმრავლესობა მზის ზონაშია განლაგებული. ყველაფერი ეს ტურისტების ყურადღებას იპყრობს. კურორტების ძირითადი ნაწილი მდებარეობს ზღვისპირა და მთიან რაიონებში. საქართველოს ტერიტორიის მიხედვით გამოყოფენ შემდეგ ტერიტორიულ რეგიონებს: აჭარა, კოლხეთი, ბორჯომი-ბაკურიანი, თბილისი, აბასთუმანი, სამანაბლო, სვანეთი, კავკასიონის მთიანი ზონები, კახეთი. აჭარის რეგიონი მეტწილად მთიანია და გამოირჩევა სუკეთესო კლიმატით.

შავი ზღვის სანაპირო ზოლი საშუალებას იძლევა, სეზონზე მიიღოს დამსვენებელთა დიდი ნაკადი ტურისტული მისიით „მზე და პლაჟი“. დიდი შესაძლებლობებით ხასიათდება კოლხ ტურისტული მარშრუტები, გოგირდწყალბადოვანი, ქლორიუმნატრიუმიანი წყაროები, კურორტები წყალტუბო, მენჯი, ცაიში, საგარეო უბანი და სხვა. ზემო რაჭიდან მნიშვნელოვანია შოვი, თავისი მინერალური წყაროებით. ასევე მნიშვნელოვანია გუდაურის კომპლექსიც, სადაც უცხოელ ტურისტთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. განსაკუთრებულია აბასთუმნის, სურამის, მცხეთის ტურისტული კომპლექსები, სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული თავისებურებები. აქ იდეალური პირობებია მეკლდეურობის, სამთო ტურიზმის და ალპინიზმის განვითარებისათვის. ასევე დიდ ინტერესს იწვევს საქართველოს მთასა და ბარში მრავალრიცხოვანი რაიონები, რომელთა როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ტურიზმის განვითარებაში მეტად მნიშვნელოვანია. იმისათვის, რომ საქართველო საერთაშორისო ტურისტულ კონკურენციაში ჩაერთოს და მიმზიდველი გახდეს უცხო ტურისტებისათვის, აუცილებელია: 1. გაირკვეს, თუ რა ხდება დღეს მსოფლიოში, ვინ შემოდის და მომავალში ვინ შემოვა ქვეყანაში. 2. რა არის ტურისტების დამახასიათებელი თვისებები. 3. უნდა განისაზღვროს ძირითადი ბაზრები მოსახლეობის ჯგუფების მიხედვით. 4. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ტურისტული ჯგუფები მცირერიცხოვანი იყოს, რაც საერთაშორისო ტურიზმის თანამედროვე მიმართულებაა.

ამრიგად, ტურიზმი წარმოადგენს ეკონომიკის მზარდ და პრიორიტეტულ მიმართულებას, რომლის მთავარი მიზანია შემოსავლების გაზრდა, რაც გამოიხატება მოსახლეობის დასაქმების, მათი შემოსავლების ზრდისა და კეთილდღეობის ამაღლებაში. ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება იქნება სწორედ ის ბაზისი, რომელზეც უნდა დაფუძნდეს საქართველოს უკეთესი შიდა და საერთაშორისო ინტეგრაცია. უკეთესი საინვესტიციო გარემო და ქვეყნის ეკონომიკური მიმზიდველობა.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ქ. „ეკონომიკა“, 9-10, თბ., 2011.
2. ქ. „ეკონომიკა“, 5-6, თბ., 2009.
3. უ. სამადაშვილი, ბიზნესის საფუძვლები“ თბ., 2007.
4. ქ. „ბიზნესისა და მართვის შესახებ“ 3, თბ., 2013.
5. ქ. „სოციალური ეკონომიკა“, 2, თბ., 2013.
6. მ. მეტრეველი, ტურიზმის და სტუმარმასპინძლობის საფუძვლები“, თბ., 2008.

*Eter Narimanishvili*

### THE ROLE OF TOURISM IN THE DEVELOPMENT OF BUSINESS Annotation

The industry of tourism is very important in the world including Georgia, according to its natural-climatic conditions there is a big role and scale of tourism business in our country.  
It has a very important role to attract investment and increase our country's economic index.

*სოლომონ პავლიაშვილი  
დავით გუბელაძე*

### აბრარული და რეგიონული პოლიტიკის სტრატეგია სოფლის მეურნეობაში

საქართველოში აბრარული სფერო მრავალი პრობლემისა და გამოწვევის წინაშე დგას. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება დაბალია და ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე ტექნოლოგიების მოთხოვნებს, შემცირებულია ერთ პექტარ ფართობზე მოყვანილი მოსავლის საერთო რაოდენობაც. სოფლის მეურნეობას მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, მშპ-ს წილის გაზრდასა და რეგიონში მოსახლეობის დასაქმებაში. დღევანდელი მდგომარეობით, სახანავე მიწის დიდი ნაწილი პრივატიზებულია, მაგრამ კომერციული სასოფლო-სამეურნეო ბაზრის განვითარებისთვის აუცილებელი საკითხი – მიწის პირველადი რეგისტრაცია, კვლავაც არ არის მოგვარებული. იმისათვის, რომ შედეგიანად განხორციელდეს მიწის მართვის პოლიტიკა, საჭიროა, გაიმიჯნოს სახელმწიფო, მუნიციპალურ და კერძო საკუთრებაში არსებული მიწები. მიწაზე საკუთრების უფლების მისაღებად აუცილებელია მისი რეგისტრაცია. ასევე აღსანიშნავია, რომ საერთო საკუთრების საძოვრების რაციონალურ გამოყენებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი განსაზღვრული არ არის. შედეგად, წარმოიქმნება მართვის პრობლემები, რაც, თავის მხრივ, იწვევს ისეთ უარყოფით შედეგებს, როგორც არის დაბალი წვევადობა და მცირე წონამატი. საერთო საკუთრებაში მყოფი საძოვრები ინვაზიურ დაავადებათა კონტროლის პრობლემასაც ამწვევებს. ქვეყანაში არსებული მიწის კადასტრის აღრიცხვის სისტემა მოიცავს მხოლოდ გეოგრაფიულ და იურიდიულ უფლებრივ მხარეს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო მიწის დაახლოებით 20-30%-ია რეგისტრირებული, რაც განპირობებულია მოსახლეობის სარეგისტრაციო თანხების უქონლობით, მხედველობაშია მისაღები აგრეთვე მიწის ნაკვეთების დანიშნულების შეცვლის შემთხვევები, რაც, თავის მხრივ, ართულებს სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვას. აუცილებელია სრულფასოვანი მიწის კადასტრის სრულყოფილი სისტემის შექმნა და მიწათსარგებლობის თანამედროვე ელექტრონული სისტემის დანერგვა. თანამედროვე ტექნოლოგიების, კაპიტალისა და საბაზისო ცოდნის ნაკლებობამ დროთა განმავლობაში მიწის ნაყოფიერების შემცირება გამოიწვია. არსებული საირიგაციო და სადრენაჟო სისტემები სერიოზულ კაპიტალდაბანდებს და რეაბილიტაციას მოითხოვს, რის გამოც სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებულ ფერმერთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი ახერხებს მიწის ან წყლის რესურსების, ნედლეულის (მომსახურების) მიწოდების, მარკეტინგული ღონისძიებების ეფექტიან გამოყენებას და ქვეყნის მხრიდან სოფლის მეურნეობის დარგში მხარდამჭერი პროგრამებით სარგებლობას. პრობლემები რჩება მიწის ყიდვა-გაყიდვის, ფერმერთა შესაბამის ტექნოლოგიებთან წვდომის, სასოფლო-სამეურნეო კრედიტების, მოსავლის დაზღვევის და კოოპერატიული საქმიანობის წახალისების საკითხებში და სხვა.

ადგილობრივი ბიზნესის ბრუნვისა და რეგიონებში განხორციელებული სახელმწიფო ინვესტიციების 2014 წლის მაჩვენებლების შედარება ცხადყოფს, რომ სახელმწიფოს მიერ აბრარულ დარგში განხორციელებული ინვესტიციები, მათი მოცულობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად არ განაპირობებს ბიზნეს-სექტორის ბრუნვის მოცულობებს რეგიონებში. გადარიცხული თანხები რეგიონის ეკონომიკაზე, ბიზნესის აქტიუობასა და ბიზნესში დასაქმებაზე პირდაპირ ზეგავლენას ვერ ახდენს, თუმცა, ირიბი ზეგავლენა, ცხადია, არსებობს. ეს, დიდი ალბათობით, განპირობებულია იმით, რომ მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების შემსრულებლები, როგორც წესი, ადგილობრივი კომპანიები და ფერმერები არ არიან. შესაბამისად, ეს პროექტები მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკური [1] ზრდის ტემპებს. 2011 წლიდან მოყოლებული, ინფრასტრუქტურული ხარჯების წილი საბიუჯეტო ასიგნებებში 14-დან 11 პროცენტამდე შემცირდა. 2013 წელს კერძო ბიზნესში დასაქმებულთა რაოდენობა საქართველოში 519 ათას კაცს გაუტოლდა, რაც დაახლოებით 16 000 კაცით ნაკლებია 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. 2014 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, რაოდენობამ კვლავ დაიკლო და იგი პირველი კვარტლის ბოლოს უტოლდებოდა 495

ათას ადამიანს. ბიზნესსექტორში დასაქმების საერთო მაჩვენებლის კლების მიზეზი რეგიონებში დასაქმებულების შემცირებული ოდენობა იყო. მათ შორის აღსანიშნავია სამეგრელოს, ზემო სვანეთის რეგიონი, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა 8574 ადამიანით შემცირდა, ასევე შიდა ქართლის რეგიონში რაოდენობამ 6264 ადამიანით იკლო 2012 წელთან შედარებით;

2014 წელს, საერთო ჯამში განსაზღვრული 6445 პროექტის დაფინანსება, პროგრამის ფარგლებში დაიხარჯა 46,778,617.00 ლარი, შესაბამისად ერთი პროექტის ღირებულება საშუალოდ 7260 ლარით განისაზღვრა. ხოლო რაც შეეხება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს, 2013 წელს დაფინანსდა 6822 პროექტი საშუალო ღირებულებით 7623 ლარი. ისევე, როგორც 2013 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში, 2014 წელსაც ძირითად პრიორიტეტებს სოფლის ინფრასტრუქტურა, გზის რეაბილიტაცია და წყლის მომარაგება წარმოადგენს.

2013 და 2014 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის პრიორიტეტების პროცენტული განაწილება მსგავსია. თუ 2013 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში სოფლის ინფრასტრუქტურას 33% ეკავა, 2014 წელს იგი 32% უდრის. რაც შეეხება გზის რეაბილიტაციას და წყალმომარაგებას, 2014 წელს თითოეული 2%-ით ჩამორჩება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს. 2013 წლისგან განსხვავებით, წელს მნიშვნელოვნად არის გაზრდილი სანიაღვრე სისტემის მოწესრიგება და შესაბამისად, მთლიან პრიორიტეტებში იგი 5%-ს იკავებს. რაც შეეხება [2] თანხის განაწილებას პრიორიტეტების მიხედვით, 2014 წელს სოფლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას მთლიანი ფინანსური რესურსის 28% ხვდა წილად, რაც თანხობრივად 13,274,964 ლარის ტოლია. გზის რეაბილიტაციას კი 24% უჭირავს, რაც, შესაბამისად, 11,031,338 ლარს უდრის. ხოლო, რაც შეეხება წყლით მომარაგებას, მას აქაც 18% უჭირავს, რაც, თანხობრივად 8,503,799.2 ლარია. მნიშვნელოვანია ასევე, პროგრამის ფარგლებში თანხების რეგიონული განაწილების შედარება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან.

აუცილებელია ინფრასტრუქტურული პროექტების მასშტაბის გაზრდა, მათ შორის ურბანიზაციისა და მცირე ბიზნესის განვითარების პროცესების წახალისება სწორედ ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში. მიგვაჩნია, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება შემდგომ წლებში უკიდურესად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მოძიებული საკრედიტო და საინვესტიციო რესურსებით. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოზიდული სახსრები არ არის საკმარისი რეგიონებში არც ეკონომიკის სტიმულირებისთვის და არც სახელმწიფოში აუცილებელი ინფრასტრუქტურის შესაქმნელად.

აგრარული და რეგიონული პოლოტიკის სტრატეგიის განხორციელებისათვის საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება და სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა, კერძოდ:

1. მიწათსარგებლობის საკითხების დარეგულირება;
2. სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის მოწყობა;
3. სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის ბიზნესგარემოს სტიმულირება;
4. მცირე და საშუალო ფერმერების ხელშეწყობა, კოოპერატიული საქმიანობის წახალისება;
5. თანამედრო ტექნოლოგიების დანერგვისათვის საჭირო ხელმისაწვდომი დაბალპროცენტიანი აგროკრედიტებით უზრუნველყოფა;
6. აგრარული დარგის განვითარებისათვის ჯანსაღი კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა;
7. აგროეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების წახალისება და ადგილობრივი ბიომრავალფეროვნების დაცვა;
8. აგრარული განათლების თანამედროვე საკონსულტაციო მომსახურების ცენტრებით უზრუნველყოფა;
9. სასოფლო-სამეურნეო სექტორის მაღალი ხარისხის ნედლეულით უზრუნველყოფა;
10. ქართული პროდუქციის შიდა ბაზარზე რეალიზაციის ხელშეწყობა;
11. საერთაშორისო ბაზარზე ორიენტირებული პროდუქციის წარმოების წახალისება;
12. აგროდაზღვევის საკითხების მოგვარება;
13. აგრარულ დარგში დასაქმებული ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება;
14. რეგიონული აგრარული პოლიტიკის გატარება, ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების როლის გაძლიერება.

განსახორციელებელ ღონისძიებათა გატარების მიზნით, საჭიროა მიწაზე საკუთრების დაცულობის მკაფიო გარანტიები. უნდა დარეგულირდეს სასოფლო-სამეურნეო მიწის საკუთრების სამართლებრივი და ტექნიკური ასპექტები. უნდა მოხდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პასპორტიზაცია. მიწის და წყლის ბუნებრივი რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენების მიზნით საჭიროა როგორც ექსტენსიური (ფართობების სრული მოცვა), ასევე ინტენსიური (პროდუქციის და მოსავლიანობის ზრდის) ფაქტორების გათვალისწინება. შემუშავდეს მიწათსარგებლობის სისტემის მარეგულირებელი ნორმები, შეიქმნას აგროსაინფორმაციო მომსახურების ქსელი. მოგვარდეს დანაწევრებული მიწების ფრაგმენტაციით გამოწვეული არაეფექტიანობის დაძლევა და სავარგულების გამსხვილების ეკონომიკური სტიმულირება. ამ მხრივ აღსანიშნავია აგრარულ დარგში კოოპერაციის ხელშეწყობა და მისი განვითარების წახალისება;

სასოფლო-სამეურნეო სექტორის სერვისებით და ნედლეულით უზრუნველსაყოფად საჭიროა, გლეხისთვის (ფერმერისთვის) ხელმისაწვდომი გახდეს სარწყავი და სადრენაჟე სისტემებით, ტექნიკით, ვეტერინარული სერვისებით, აგრეთვე, მოსავლის შემდგომი ტექნოლოგიებით (გადამუშავება, შენახვა, დაფასოება) სარგებლობა, ხარისხიანი სათესლე-სანერგე მასალების, სასუქების, მცენარეთა დაცვის საშუალებების და ცხოველთა საკვების გამოყენება. ასეთი მომსახურება ორიენტირებული უნდა იყოს როგორც კომერციალიზაციაზე, ასევე გლეხებისთვის ხელმისაწვდომობაზე, სახელმწიფო მხარდაჭერით, ცალკეული რეგიონების სპეციფიკის გათვალისწინებით.

მცირე და საშუალო ფერმერების ხელმისაწვდომი ფინანსებით უზრუნველყოფა უნდა ეფუძნებოდეს აგროსასურსათო სექტორის საჭიროებებზე მორგებულ აგრარულ პოლიტიკას, რომელიც შეამცირებს დარგში რისკიანობას და უფრო მიმზიდველს გახდის მას საკრედიტო ინსტიტუტებისთვის. სახელმწიფოს უშუალო ფი-

ნანსური მხარდაჭერის პროგრამები მიზნად უნდა ისახავდეს სასოფლო-სამეურნეო სექტორის ეფექტიანობის ზრდას, აგროტექნოლოგიების განვითარებას და კაპიტალიზაციის ამოცანებს;

ქვეყნის აგრარული პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო სექტორში პროდუქციის წარმოების მოცულობის მკვეთრ ზრდაზე. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდა უშუალოდ უნდა ისახავდეს მიზნად სურსათის წარმოების [3] ზრდას. ქართულმა აგროსასურსათო საწარმოებმა, მათ შორის გადაამაშავეებელმა მრეწველობამ, უნდა შექმნას ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფის (როგორც რაოდენობრივი, ასევე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით) საფუძველი;

აგრარულ სექტორში მწარმოებლობის, რენტაბელურობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდა. აგრარული სექტორის ფუნქციონირების ხარისხობრივი მაჩვენებლები თანდათან უნდა გახდეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, ხოლო წარმოებული პროდუქცია – კონკურენტუნარიანი, უწინარეს ყოვლისა, შიდა ბაზარზე [4,5];

სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან მიღებული შემოსავლების ზრდა უშუალოდ აისახება აგრარული სექტორის განვითარებასა და მოსახლეობის შემოსავლების ზრდაზე. გაიზრდება დარგში კომერციალიზაციის დონე და ფულადი ბრუნვა;

აგრარული განათლების თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს გლეხების (ფერმერების) საკონსულტაციო-საინფორმაციო და ექსტენციის ცენტრების შექმნას. აგრარული განათლების განვითარება უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების მოზადებას და კადრების დასაქმებას, გლეხების (ფერმერების) მხადაჭერას (მათ შორის ფინანსურ) პროგრამებში. აგრარულ დარგში პრიორიტეტული უნდა იყოს ტექნოლოგიური მოდერნიზაციისა და ინოვაციების შემცველი პროექტები;

უახლოეს მომავალში საჭიროა, რომ ქართული პროდუქცია დაბრუნდეს შიდა ბაზარზე და დაიკავოს შესაბამისი ნიშა, დააკმაყოფილოს ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნები და ჩანაცვლოს იმპორტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. აგრარული სექტორის განვითარების შედეგად მოხდება სამამულო წარმოების აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ზრდა, იმპორტის ნაწილობრივი ჩანაცვლება და თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლის ზრდა. იმპორტის ნაწილობრივი ჩანაცვლების საფუძველი გახდება აგროსასურსათო პროდუქციის კონკრეტული სახეობების საბაზრო კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვანი ზრდა. ჩამოყალიბდება სურსათის უვნებლობის ეფექტიანი სისტემა;

ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიერ ღირსეული ადგილის დაკავება საერთაშორისო ბაზარზე, ეკოლოგიურად სუფთა, ხარისხიანი და კონკურენტუნარიანი აგროსასურსათო პროდუქციის წარმოება შექმნის საექსპორტო პოტენციალის სრულად გამოყენების შესაძლებლობას. უნდა ჩამოყალიბდეს დარგის მართვის ისეთი ინსტიტუციური სისტემები, რომლებიც აგროსასურსათო პროდუქციის სამამულო მწარმოებლებს დაეხმარება უცხოეთის ქვეყნების არასატარიფო ბარიერების გადალახვაში. სახელმწიფო სავაჭრო პოლიტიკისთვის პრიორიტეტული უნდა იყოს უცხოეთის ქვეყნებთან [6,7] ხელსაყრელი სავაჭრო ეკონომიკურად მომგებიანი გარემოს შექმნა; საჭიროა რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების როლის გაძლიერება. თვითმმართველობის სისტემის რეფორმის შედეგად უნდა აღდგეს თვითმმართველობა ქალაქებსა და სოფლებში/თემებში, სამხარეო დონეზე ჩამოყალიბდეს სამხარეო თვითმმართველობა. ადგილობრივი და სამხარეო თვითმმართველობის ორგანოებს გადაეცეს შესაბამისი უფლებამოსილებები და ფინანსები. მართვის დეცენტრალიზაციის შედეგად უნდა გაიზარდოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების როლი, განსაკუთრებით იმ საჯარო სერვისების/ინფრასტრუქტურის დაგეგმვასა და მიწოდებაში, რომლებიც ადგილობრივი ბიზნესის მწარმოებლობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდას განაპირობებენ. საჭიროა წახალისდეს აგროსასურსათო სექტორის, ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების გამოყენების, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ადეკვატური ინფრასტრუქტურული გარემოს შექმნა ადგილობრივი და სამხარეო თვითმმართველობის მხრიდან. ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ფუნქციონირება უნდა იყოს ადგილობრივ პრიორიტეტულ საჭიროებებზე ორიენტირებული გლეხის, ფერმერის დაქირავებით

მომუშაოს, თვითდასაქმებულის, მეწარმის მომსახურების საკითხების მოგაგრებისთვის დახარჯული დროისა და დანახარჯების მნიშვნელოვან შემცირებასა და მათ ორიენტაციაზე საქმიანობის ძირითად სფეროში სპეციალიზაციისა და მწარმოებლობის მნიშვნელოვანი ზრდისკენ; რეგიონებში ბიზნესგარემოს გაჯანსაღება და სტიმულირება. კონკურენტუნარიანი პირველადი აგრარული პროდუქციის წარმოების გაზრდის საფუძველი გახდება სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული წარმოებების და სერვისების გაფართოება და განვითარება. მოხდება ისეთი ინფრასტრუქტურული კომპონენტების განვითარების ხელშეწყობა, რომლებიც აგრარული პროდუქციის წარმოების შემდგომ ეტაპებზე იქნებიან ორიენტირებული და რომლებიც დასაქმების და მთლიანად რეგიონული განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენენ. პრიორიტეტული იქნება როგორც შიდა, ასევე უცხოეთის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი სასურსათო და კვების მრეწველობის პროდუქციის წარმოება. რეგიონებში აგროსასურსათო სექტორის და მასთან დაკავშირებული ბიზნესკომპონენტების განვითარებამ უნდა შეასრულოს მოსახლეობის შემოსავლების ზრდის ძირითადი გენერატორის ფუნქცია, რაც, შემდგომ, თავის მხრივ, აისახება არასასოფლო წარმოებისა და მომსახურების განვითარებაზე. აღნიშნული განაპირობებს მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის, ასევე დანაზოგებისა და საინვესტიციო რესურსების ზრდას.

ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი ადგილობრივი სამეწარმეო ინიციატივების წახალისება, რაც მოიცავს საკანონმდებლო და საკონსულტაციო მხარდაჭერას, ასევე ისეთი პროგრამების შემუშავებას, რომლებიც გაზრდის მათ ფინანსურ რესურსებთან ხელმისაწვდომობას. ინოვაციური სამეწარმეო ინიციატივების განხორციელება უნდა მოხდეს მათი პრიორიტეტულობის შესაბამისად. ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული გარემოს გაუმჯობესება გამოიწვევს ადგილობრივ ბუნებრივ რესურსებზე მოთხოვნის გადიდებას, რაც გაზრდის მცირე და საშუალო ბიზნესის აქტივობას. საქართველოს ყველა რეგიონს აქვს გარკვეული ტურისტული პოტენციალი. ტურისტული და აგროსასურსათო სექტორების განვითარება ერთმანეთთან ორგანულად უნდა იყოს დაკავშირებული. ტურისტულ ბიზნესში შექმნილი დამატებული ღირებულების სულ უფრო მეტი ნაწილი უნდა აისახოს რეგიონის ეკონომიკაზე. საჯარო ხელისუფლების დეცენტრალიზაციის ფონზე, ადგი-

ლობრივი/რეგიონული ინფრასტრუქტურული პროექტების მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა განხორციელდეს კონკურენტუნარიანი ადგილობრივი ბიზნესსუბიექტების მიერ.

რეგიონებში ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. სოფლის მეურნეობისა და რეგიონული ეკონომიკური განვითარების შემოთავაზებული პოლიტიკის წარმატების განმსაზღვრელი იქნება რეგიონებში ცხოვრების დონის ამაღლება და სიღარიბის აღმოფხვრა, ადამიანების ყოფითი საცხოვრებელი და ინფრასტრუქტურული გარემოს გაუმჯობესება. დეცენტრალიზაციის ეკონომიკური შინაარსი სახელმწიფო ორგანოების დედაქალაქიდან რეგიონებში გადატანაში არ იგულისხმება, არამედ რეგიონებში ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნის, ბიზნესაქტიურობების არეალის გაფართოებაში უნდა გამოიხატოს. ადგილებზე ღირსეული ცხოვრების და საქმიანობის შესაძლებლობების გაჩენა, რამაც მიმზიდველი უნდა გახადოს რეგიონში ცხოვრება და უცხოეთსა და დედაქალაქში იძულებით მიგრირებული მოსახლეობის უკან დაბრუნების მკაფიო ტენდენციები ჩამოაყალიბოს. რეგიონულმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ქალაქებსა და სოფლებში ეკონომიკური ცხოვრების რითმის და უსაფრთხოების ზრდა, სოციალურად გარიყულ, სიღატაკეში მყოფ, უმუშევარ (ან არასრულად დასაქმებულ) ადამიანთა მოტივირების ზრდა და მათი ინტეგრირება მუნიციპალიტეტის დინამიურად განვითარებად ლოკალურ ეკონომიკაში;

თავისი კულტურული და სახელმწიფო-პოლიტიკური მნიშვნელობის ცალკეულ გეოგრაფიულ ზონებში, მათ შორის სასაზღვრო, ჩიხურ და განსაკუთრებით დეპრესიულ დასახლებებში და მაღალმთიან სოფლებში საჭიროა გატარდეს რეგიონული აგრარული პოლიტიკა ადგილობრივი მოსახლეობის დამატებისა და მათთვის საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფისათვის.

ბაზრის კვლევის ანალიზმა აჩვენა, რომ რეგიონში აგრარულ სფეროში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება უკიდურესად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მოძიებული საკრედიტო და საინვესტიციო რესურსებით. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მოზიდული სახსრები აგრარულ დარგში ინფრასტრუქტურის მოსაწოდებლად არ არის საკმარისი რეგიონებში არც ეკონომიკის სტიმულირებისთვის და არც სოფლის მეურნეობაში რეგიონალური ინფრასტრუქტურის მოსაწოდებლად. მნიშვნელოვანია, ქვეყანაში დაინერგოს დარგში განხორციელებული პროექტების ეკონომიკური ეფექტურობის და ეფექტიანობის გაანგარიშების ნათელი პრაქტიკა, სოფლის მეურნეობაში სამინისტროს მხრიდან პროგრამული ბიუჯეტების დაგეგმვის პარალელურად და კვალდაკვალ, მოხდეს რეალური კრიტერიუმებითა და მაჩვენებლებით შეფასება აგრარულ სექტორში ყველა პროექტის კონკრეტული ბენეფიციარების შეფასების გაზომვადი კრიტერიუმების შემუშავება. ჯერჯერობით ამ პროცესს უფრო ფორმალური ხასიათი აქვს. აგრარული პროექტების ეფექტიანობის შეფასების თანამედროვე სტანდარტების დანერგვა გააიოლებს პროექტის შეფასებას, მეორე მხრივ კი ხელისუფლებას საშუალებას მისცემს, მაკროეკონომიკურ დონეზე რეგიონული ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვის პროცესის ხარისხი გაზარდოს და უკეთ გათვალისწინოს განსახორციელებელი აგრარული პროექტების განხორციელების შედეგად მიღებული რეალური ეკონომიკური ეფექტი.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. Pavliashvili S.P. The World Economic Crisis And Georgia- The Caucasus and Globalization, Volume 5. Issue 3-4 p 54 2011.
2. სოფლის მხარდაჭერის პროგრამისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის მონიტორინგი და ეფექტიანობის ანალიზი – ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2014.
3. საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015 – 2020 წწ.
4. Global Competitiveness Index, World Economic Forum.
5. Justin Yifu Lin, 2011. "New Structural Economics: A Framework for Rethinking Development," World Bank Research Observer, Oxford University Press, vol. 26(2), pages 193-221.
6. Robert Wade, 2011. "Why Justin Lin's Door-Opening Argument Matters for Development Economics". LSE Global Policy Journal Vol 2, No 1. p 115-116.

*Solomon Pavliashvili  
David Gubeladze*

#### AGRARIAN RURAL AND REGIONAL POLITICAL STRATEGIES IN AGRICULTURE

##### Annotation

Despite of climatic and natural favorable conditions for development of the agriculture in Georgia, during the recent decades, growth of agricultural development is significantly lower than other economic fields.

In the country, agriculture is discussed as economical side, as the most important vital field. For the region's sustainable development, is necessary to create agricultural infrastructure and to increase local production making. Therefore, Georgia, as an agricultural country must have all the conditions for the development and agricultural activities. It should be mentioned that the main goal is the development of ecologically pure production and of bio organic agriculture. Financing infrastructural projects must be grown, in cluding the encouragement of small business projects and urbanization and must be worked out regional agro strategic project.

*ზურაბ რევიშვილი*

#### საქართველოს აგრარული განვითარებისა და პოლიტიკის თეორიული საკითხები

საქართველოს გარდამავალი პერიოდის თუ მომდევნო ეკონომიკურ პროცესებში მეტად მნიშვნელოვანი იყო და არის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, ქვეყნისათვის ოპტიმალური სოციალურ-ეკონომიკური და აგრარული განვითარების მოდელების დადგენა. განსაკუთრებით აქტუა-

ლურია, თუ რა ადგილი უნდა დაიკავოს სოფელმა და სოფლის მეურნეობამ საქართველოს ეკონომიკაში და რა როლი ეკისრება მათ ქვეყნის განვითარებაში? წარმოადგენენ თუ არა ისინი ქვეყნის განვითარების გამაპირობებელ, ამძრავ ფაქტორებს, თუ მხოლოდ “სოციალური ბუფერის” როლს უნდა ასრულებდნენ? ამ კითხვებზე სწორი პასუხის გასაცემად, ვფიქრობთ, აქტუალურია აგრარული განვითარებისა და პოლიტიკის ზოგიერთი თეორიული შეხედულებების გაშუქება.

განვითარების ნეოკლასიკურ თეორიებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აგრარული სექტორის ტრანსფორმირებასა და განვითარებას. ამ თვალსაზრისით გამოყოფენ: ა) ზრდის სტადიების (საფეხურების) თეორიებს; ბ) დუალისტური ეკონომიკის მოდელებს; გ) სტრუქტურული ტრანსფორმაციის თეორიებს; დ) დამოკიდებულების თეორიას და სხვა[1, გვ. 15-39].

ზრდის სტადიების თაობაზე ადრეულ მოსაზრებებს გხვდებით XIX საუკუნის გერმანელი ეკონომისტების ნაშრომებში. მთლიანი განვითარების თეორიის შექმნას რომ ცდილობდნენ, ისინი გამოყოფდნენ განვითარების მნიშვნელოვან სეგმენტებს, ეტაპებს. ასე მაგალითად, ფრიდრიხ ლისტი (გერმანელი ისტორიული სკოლა) განიხილავს: ველურ, პასტორალურ, სასოფლო-სამეურნეო, აგრარულ-ხელოსნურ (სამრეწველო) და აგრარულ-სამრეწველო (ინდუსტრიულ)-სავაჭრო პერიოდებს. ლისტი თვლიდა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება ინდუსტრიული ეკონომიკისაკენ შესაძლებელია საექსპორტო მოთხოვნის სტიმულირებით ან ადგილობრივი მრეწველობის განვითარების ზეგავლენით [2].

XX საუკუნის 30-იან წლებში აღან ფიშერმა წამოაყენა კონცეფცია სტრუქტურული ტრანსფორმაციის თაობაზე, რომელშიც განიხილება ეტაპები პირველადი, მეორადი და მესამეული წარმოებისა (განვითარებულია ლისტის მოსაზრებები სამ უკანასკნელ სტადიაზე). ა. ფიშერმა ხაზი გაუსვა სოფლის მეურნეობიდან (პირველადი საქმიანობა) აგრარულ-ხელოსნურზე (მეორადი) გადასვლისას, დასაქმებისა და ინვესტირების შესაძლებლობების გაფართოებას, რაც კიდევ უფრო ფართოვდება აგრარულ-სამრეწველო (ინდუსტრიულ)-სავაჭრო (მესამეული) წარმოებაზე გადასვლის დროს [3, გვ.6]. ფიშერი, ისე, როგორც ლისტი, თვლიდა, რომ წარმოების ერთი მდგომარეობიდან მეორეზე გადასვლა (გადასვლები) უკავშირდება მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებას.

კოლინ კლარკმა, ფიშერის შეხედულებები რომ გაიზიარა, თვლიდა, რომ ეკონომიკური ზრდა, რომელიც ხელს უწყობს სტრუქტურულ ტრანსფორმირებას, მიღწევა ნებისმიერ სექტორში შრომის ნაყოფიერების გადიდებით და მუშახელის გადასვლით შრომის დაბალი ნაყოფიერების მქონე სექტორებიდან უფრო მაღალი ნაყოფიერების მქონე სექტორებში. კ. კლარკი ცდილობდა, გადასვლის თეორიული საკითხები ემპირიული საკითხების გადაწყვეტასთან მიესადაგებინა; თვლიდა, რომ აქტიური პოლიტიკის მეშვეობით შეიძლება წარმატების მიღწევა სოფლის-მეურნეობრივი საზოგადოების გარდაქმნაში თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებად [4, გვ. 337-340].

XX საუკუნის 60-იან წლებში განვითარების სტადიების განხილვის საფუძველზე ვ. როსტოუმ წამოაყენა “წამყვანი სექტორის” თეორია. როსტოუ გამოყოფდა 5 სტადიას საზოგადოების განვითარებაში: ტრადიციულ საზოგადოებას, მიწიდან მოწყვეტის (“აფრენის”) წინა მდგომარეობას, აფრენას (მიწიდან მოწყვეტა), მომწიფებულობისკენ სვლას და მასობრივად მაღალი მოხმარების ეპოქას. მისი აზრით, პირველი და უკანასკნელი სტადიის გამოკლებით, შუალედური სტადიები უნდა განიხილებოდეს, როგორც გარდამავალი სტადიები. ვ. როსტოუს აზრით, გარდამავალ პერიოდებში უნდა გამოიყოს მოწინავე სექტორი, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკის სხვა სექტორების განვითარებას, წარმოადგენს განვითარების წამყვან, მამოძრავებელ ფაქტორს. ამასთან, იგი აღნიშნავს, რომ მიწოდებიდან და მოთხოვნიდან გამომდინარე წამყვან სექტორს გააჩნია ოპტიმალური და კლებადი ფაზები, რომელსაც იგი აღწევს მთლიანად ეკონომიკის განვითარებისას. მისი აზრით, ტექნოლოგია თამაშობს უმნიშვნელოვანეს როლს როგორც ახალი, მოწინავე, მზარდი სექტორის განვითარებაში, ისე ძველი, კლებადი სექტორის ფუნქციონირებაში [5, გვ. 13-15].

ვ. როსტოუს კონცეფცია ნათლად აშუქებს გარდამავალ პროცესში სოფლის მეურნეობის განმსაზღვრელ, წამყვან როლს. ამასთან, განვითარებული საზოგადოების ეკონომიკაში მოწინავე სექტორის როლს იძენს მრეწველობა და დროის გარკვეულ პერიოდში იგი განაპირობებს ზრდის ხელშეწყობას. ამავე დროს, ამგვარ საზოგადოებაში სოფლის მეურნეობის როლის შემცირების მიუხედავად, სწორედ მან უნდა მიაწოდოს სურსათი მოსახლეობას, მიაწოდოს ნედლეული მრეწველობას და ასევე მიაწოდოს სამუშაო ძალა ახალ მოწინავე სექტორებს.

სოციოლოგიურ დუალიზმს საფუძველი დაუდო ჯ. ბოეკემ. ინდონეზიაში დანიის კოლონიური პოლიტიკის მარცხს რომ აანალიზებდა, იგი მივიდა იმ დასაკვნამდე, რომ დასავლეთის ეკონომიკა არ იყო გამოსადეგი ტროპიკული კოლონიური პირობებისათვის; რომ დასავლეთის ეკონომიკური თეორიები ვერ ვრცელდებოდა და მათ არ ჰქონდათ “შესაბამისად ღირებულება” ადგილობრივ რეალობებში. ამრიგად ჯ. ბოეკემ წარმოადგინა მოსაზრება ორგვარი საზოგადოების, ორგვარი სოციალური სისტემის თაობაზე და რომ ეს სისტემები ერთმანეთზე მეტად შეზღუდულად მოქმედებენ [6.]. “ანკლავური დუალიზმი”, როგორც ერთ-ერთი მიმართულება დუალისტური თეორიისა, ცდილობს ახსნას თანაარსებობა, ერთი მხრივ, მაღალ-პროდუქტიული, ექსპორტზე ორიენტირებული სექტორისა და მეორეს მხრივ, დაბალ-პროდუქტიული სექტორისა, რომელიც ორიენტირებულია ადგილობრივ ბაზარზე. ბ. ჰიგინსმა საფუძველი რომ დაუდო “ანკლავურ დუალიზმს”, გააკრიტიკა ჯ. ბოეკეს “სოციოლოგიური დუალიზმი” და აქცენტი გააკეთა იმაზე, რომ განსხვავება, თანამედროვე, განვითარებულ და ჩამორჩენილ, საარსებო სექტორებს შორის, ტექნოლოგიური უზრუნველყოფის მხრივ, განაპირობებს დუალიზმის საფუძველს [7, გვ. 99-115].

ჯ. ფეისა და გ. რეინის აზრით, ამგვარი ქვეყნების ეკონომიკები ხასიათდება ორი სექტორის თანაარსებობით: შეფარდებითად დიდი და “ჭარბად შთანთქმელი”, უძრავი, საარსებო სოფლის მეურნეობის სექტორისა, რომელშიც ინსტიტუციური შესაძლებლობები შეზღუდულია და შეფარდებითად მცირე და ზრდადი კომერციული სექტორის სახით, რომელშიც კონკურენტული პირობები განაპირობებს წარმოების საშუალებების ბაზრებით სარგებლობის აუცილებლობას. ფეი-რეინის მოდელში საარსებო, სოფლის მეურნეო-

ბის სექტორი ხასიათდება უმუშევრობითა და დაუსაქმებლობით [8, გვ. 3]. ამასთან, დინამიურ მოდელში გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდა, ნაჩვენებია მექანიზმი, რომელიც განაპირობებს შრომითი რესურსების გადანაწილებას სოფლის მეურნეობიდან ინდუსტრიულ სექტორში.

გასული საუკუნის 70-იან წლებში ადგილი ჰქონდა რიგ მცდელობებს დუალისტური ეკონომიკური მოდელების განვითარების მიმართულებით. განვითარდა იქნა “წონასწორობის მოდელი”, რომელიც აერთიანებს დუალისტურ სოფლის მეურნეობასა და ინდუსტრიულ სექტორებს შორის, წარმოდგენილ იქნა “არაწონასწორული” დაშვება ფაქტორების მოქმედებაში და პროდუქციის ბაზარზე. შედარდა მოდელირებაზე დამყარებული წონასწორობის და არაწონასწორული მოდელების ეფექტები რიგ ქვეყნებში (იაპონია და სხვა რიგი აზიის ქვეყნები); გაანალიზდა სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში მიმდინარე ტექნიკური ცვლილებებისა და ხელფასის ნორმის ურთიერთდამოკიდებულება [9, გვ. 426-447]. ღია დუალისტურ მოდელებში ფართოდ განიხილება სიღარიბისა და კომერციალიზაციის საკითხები, აქ მოცემულია სექტორის უკანსვლის ამსახველი ცვალებები, კერძოდ, რომ სამუშაო ძალა, დასაქმებულები სოფლის მეურნეობაში აბსოლუტურად მცირდება; გაანალიზებულია ვითარება, როდესაც შრომა – ინტენსიური სამრეწველო ექსპორტი ცვლის ტრადიციულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტს.

დამოუკიდებლობის პერსპექტივის საკითხები აგრარული განვითარების ასპექტში, ლათინური ამერიკის ქვეყნების მონაცემების ანალიზის საფუძველზე, განხილული აქვს ალან დე ჯენერის, რომელიც აჩვენებს სოფლის მოსახლეობის სიღარიბის მიზეზებს, რომელიც წარმოდგენილია ურთიერთობების სამი რგოლით: ესაა ურთიერთობა დომინირებული ცენტრის ქვეყნებსა და პერიფერიის დამოკიდებულ ქვეყნებს შორის, როგორც შედეგი უთანასწორო გაცვლისა ნედლეულსა და ინდუსტრიული წარმოშობის საქონელს შორის; მეორე – ესაა სექტორული დონე ჭარბი კაპიტალის მქონე ინდუსტრიასა, რომელიც აწარმოებს საქონლებს როგორც პერიფერიის შეძლებული კლასის, ისე მსოფლიო ბაზრისათვის და ჭარბი მუშახელის მქონე სამრეწველო და აგრარულ სექტორებს შორის, რომლებიც აწარმოებენ მასიური მოხმარების პროდუქციას დარბი მუშახელისათვის; საარსებო სექტორი აწარმოებს იაფ სურსათს სოფლის მეურნეობის კომერციაზე ორიენტირებული საწარმოების (მეურნეობების) მუშებისათვის, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, აწარმოებს, იაფ სურსათს ქალაქების სამრეწველო სექტორებისათვის; და მესამე – ესაა ურთიერთობა მსხვილი მიწის მესაკუთრეებსა და სასოფლო-სამეურნეო მუშებს და წვრილ მიწის მფლობელთა შორის, რომლებიც, საჭიროებებიდან გამომდინარე, აწარმოებენ იაფ სურსათს და აწვდიან მას იაფ მუშახელს ქალაქებში. მისი აზრით, ამ პრობლემათა დასაძლევად საჭიროა განხორციელდეს მიწის საფუძვლიანი რეფორმა, ასევე სოფლად უნდა განხორციელდეს მნიშვნელოვანი ტექნიკური ცვლილებანი “შემოსავლების ახალი ნაკადების” მისაღებად [10].

აგრარული პოლიტიკის გატარებასთან დაკავშირებით შეგვიძლია ვილაპარაკოთ რამდენიმე განსხვავებულ გზაზე, რომლებიც გვიჩვენებს სხვადასხვაგვარ მიდგომას. პირველ გზას აქვს პარალელები გასული საუკუნის 50-იანი წლების ფილოსოფიასთან, რომლის მიხედვითაც არ არის საჭირო აქტიურად აგრარული პოლიტიკის განხორციელება; აგრარული სექტორში ჩაურევლობა, მისი მიშვება განაპირობებს აგრარული სექტორის თავისუფალი განვითარების სტიმულირებას. ასეთი ზრდის პერსპექტივის ორიენტირად მიიჩნეოდა კარგად ფუნქციონირებადი ბაზრების როლი და მწარმოებელთა აქტიური მოქმედებები. ამ თვალსაზრისით, გადაჭარბებული პოლიტიკა არის უშედეგო ფერმერებისათვის და მხოლოდ ფასების რეგულირებითა და თავისუფალი საბაზრო ურთიერთობებით მიიღწეოდა სექტორის განვითარება. ამ დროს აგრარული შემოსავლები იყო გაიგივებული დასაქმების შესაძლებლობასთან. ამასთან, აგრარული სექტორი უნდა შემცირებულიყო წარმოების მოცულობის გადიდების პროპორციულად და სამუშაო – აბსოლუტურად.

განსხვავებული გზა არის მოცემული ჯ. მელორისა და ბ. ჯონსტონის მიდგომებში [11, გვ. 566-593]. კერძოდ, ისინი ლაპარაკობდნენ დაბალანსებულ ზრდაზე, “ურთიერთდაკავშირებულ სტრატეგიებზე”, რომელიც ავითარებს სურსათის წარმოებას იმ დროს, როდესაც ხელს უწყობს პროცესის ფართოდ განვითარებას; ამ მიდგომით, რომელიც საპირისპიროა თავისუფალი საბაზრო მიდგომისა და სექტორში ჩაურევლობისა, წინა პლანზეა დაყენებული სახელმწიფოს წამყვანი როლი აგრარული სექტორის სტრატეგიულ დაგეგმვასა და განვითარების ხელშეწყობაში, გამახვილებულია ყურადღება კვების გაუმჯობესებაზე, როგორც სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების ძირითად მიზანზე. ამგვარი მიდგომა აქცენტს აკეთებს სოფლის მეურნეობის დაჩქარებულ განვითარებაზე, ისეთი სტრატეგიის განხორციელებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოთხოვნის მაღალ სტრუქტურებს, მაღალ დასაქმებას, სიღარიბის შემცირებას. აგრარული განვითარება არა მხოლოდ უნდა აკმაყოფილებდეს საჭიროებებს სურსათსა და საკვებზე, არამედ ხელს უნდა უწყობდეს დასაქმებაზე ორიენტირებული მოთხოვნების სტრუქტურის ჩამოყალიბებას, დასაქმების ზრდას.

ჯ. მელორი და ბ. ჯონსტონი თვლიდნენ, რომ სოფლის მეურნეობას შეუძლია ითამაშოს მრავალმხრივი როლი “ერთმოდელიანი განვითარების” სტრატეგიის განხორციელების შემთხვევაში, რადგან, მცირე და საშუალო შინამეურნეობებზე ორიენტირებული “ფართოსაფუძვლიანი” სტრატეგია ყურადღებას ამახვილებს სოფლის მეურნეობის კვლევებსა და მიღწეული შედეგების დანერგვა-გავრცელებაზე სოფლის მეურნეობის მწარმოებელთა (შინამეურნეობათა) ძირითად მასაში [12, გვ. 531-574].

სოფლის მეურნეობის განვითარება რიგ ქვეყნებში (იაპონია, ტაივანი; მნიშვნელოვანწილად აშშ-ში და სხვ.) ეფუძნება “ფართოსაფუძვლიანი” სტრატეგიას (“Broad-based” strategy), რომლის მიზანია მიწის ნაყოფიერებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდება, რომელიც მოიცავს ფერმერების უმეტესობას და განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს მცირე და საშუალო ფერმერებზე. აღნიშნული ქვეყნები ცდილობენ, შეამცირონ და აღმოფხვრან სიღარიბე სოფლის მეურნეობაში. “ფართოსაფუძვლიანი” სტრატეგია განაპირობებს “უნიმოდელური” (ერთმოდელიანი) სასოფლო-სამეურნეო სტრუქტურის დამკვიდრებას და გაძლიერებას [13, გვ. 149-153; 320;]. იგი ეხმარება მცირე და საშუალო ზომის ფერმერებს და ხელს უწყობს სამუშაო ძალის მაქსიმალურად ჩართვას და მიწის დაზოგვით წარმოების ნაყოფიერების ზრდას. ამგვარი სტრატეგია ხელს უწყობს ადვილად გავრცელებადი ტექნოლოგიური სიახლეების, ნაყოფიერი თესლებისა და სასუქების კომბინირებულ დამკვიდრებას და მეურნეობების ეფექტური წარმოების საშუალებებით უზრუნველყოფას. ამ

ტექნოლოგიებს სწრაფად გავრცელების ტენდენცია აქვს განსხვავებული ზომების ფერმებს (მეურნეობებს) შორის. ამრიგად, ეს სტრატეგია მოწოდებულია, მოიცავს მცირე და საშუალო შინამეურნეობების (ფერმების) უმეტესი ნაწილი, რომლებიც მნიშვნელოვან უმრავლესობაში არიან. თუ შინამეურნეობების უმრავლესობას აქვს 1 ჰა-ზე ნაკლები მიწის ფართობი, ტექნოლოგიური სიახლეები მისადაგებული უნდა იყოს სწორედ ამგვარი მცირე ზომის მეურნეობებზე. ეს არ ნიშნავს, რომ სტრატეგია არ მოიცავს საშუალო ან მსხვილ მეურნეობებს, მაგრამ უმთავრესი აქცენტი უნდა გაკეთდეს მცირე ზომის მეურნეობებზე. ბუნებრივია, მცირე ზომის მეურნეობის (ფერმის) ცნება მეტად განსხვავებულია ქვეყნებს შორის.

“ფართოსაფუძვლიანი” აგრარული სტრატეგიის საპირისპიროდ, რიგი ქვეყნები ეწევიან “დუალისტურ” სტრატეგიას [13, გვ. 315-319; 334-337]. ამ ქვეყნებს მიეკუთვნება მექსიკა, ბრაზილია, კოლუმბია და რიგი სხვა ლათინური ამერიკის ქვეყნებისა. დუალისტური სტრატეგია განაპირობებს ბიომოდელურ, ორსაფეხურიან, ორდონიან სასოფლო-სამეურნეო სტრუქტურის ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას. იგი გულისხმობს მცირე რაოდენობის მსხვილი მიწათმფლობელების და დიდი რაოდენობის მცირე გლეხური მეურნეობების არსებობას. დუალისტური სტრატეგია აქცენტირებულია მსხვილი მიწათმფლობელობის ხელშეწყობაზე და სრულიად უგულებელყოფს, არ ითვალისწინებს მცირე გლეხური მეურნეობების პრობლემებსა და საჭიროებებს. ქვეყნები, რომლებიც ამგვარ სასოფლო-სამეურნეო სტრატეგიას ახორციელებენ, ვერ ახერხებენ ფართოდ გავრცელებული სიღარიბის დაძლევის სოფლად და მთლიანად სოფლის მეურნეობის მდგრად განვითარებას.

საქართველოს პოლიტიკური მისწრაფებების გათვალისწინებით, მეტად მნიშვნელოვანია, თუ რას გულისხმობს, რა პრინციპებს ეფუძნება “სოფლის მეურნეობის ევროპული მოდელი”. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ევროპის, ისე ევროკავშირში შემავალი ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო მოდელები არ არის ერთგვაროვანი, თუმცა შეიძლება საუბარი მათ მნიშვნელოვან, საერთო ნიშან-თვისებებზე, რაც საერთო “ევროპულ მოდელზე” საუბრის საფუძველს გვაძლევს.

ეს ნიშან-თვისებებია: ა) თანამედროვე და კონკურენტუნარიანი ფერმერული სექტორი, რომელიც ადგილობრივი, სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლების უმეტესი ნაწილისათვის “საარსებო სტანდარტების” და სათანადო შემოსავლების მიღების შესაძლებლობებს ქმნის, რომელსაც აქვს უნარი, დაიკავოს წარმატებული პოზიცია მსოფლიო ბაზარზე; ბ) მდგრადი, ეფექტური ფერმერული სექტორი, რომელიც, გარემოსდაცვითი მოთხოვნების თვალსაზრისით, იყენებს ჰიგიენურ, სათანადო წარმოების მეთოდებს და აწვდის მომხმარებლებს მათი მოთხოვნის სასურველ, ხარისხიან პროდუქტებს; გ) ფერმერული სექტორი, რომელიც ემსახურება სასოფლო გაერთიანებებს, რომლებიც მათ წარმატებულ ტრადიციებს და განსხვავებულობას აჩვენებენ და რომელთა როლი მდგომარეობს არა მხოლოდ სურსათის წარმოებაში, არამედ იმაშიც, რომ ისინი ქმნიან გარანტიებს სასოფლო ტერიტორიების, როგორც საარსებო და სამუშაო ადგილების ფუნქციონირებისა და როგორც თავისთავადი გარემოს არსებობისა; დ) გამარტივებული სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა, სადაც განვითარების მიმართულებები ასახავს ან გვიჩვენებს ფარგლებს, სათემო დონის გადაწყვეტილებებსა და საზოგადოების წევრების (პოლიტიკის გამტარებელთა) პასუხისმგებლობას შორის [14]. სოფლის მეურნეობის ევროპული მოდელი შესაძლოა ისე იყოს გაგებული, როგორც განვითარების ორიენტირი ან სამიზნე მდგომარეობა, რომელიც საშუალებას პოულობს იძლევა ბალანსის ეფექტურობასა და სათანადოდ მომგებიან ფერმერულ სტრუქტურებს შორის; როგორც მიღწევა სათანადო სტანდარტებისა და ხარისხიანი გარემოსი, თანამედროვე სოფლის მეურნეობის დანერგვა სასოფლო საზოგადოებაში და მარტივი და გამჭვირვალე ადმინისტრაციული პოლიტიკის განხორციელება.

უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის ევროპული მოდელი არაფერს არ გვეუბნება, თუ როგორ მივადწიოთ სამიზნე მდგომარეობას სხვადასხვაგვარი, განსხვავებული საწყისი მდომარეობიდან, რომელიც გააჩნია პოსტსაბჭოთა ქვეყნებს. განსაკუთრებით ნაკლებად შუქდება ეს პრობლემა, რომელიც მნიშვნელოვან გასაღებს წარმოადგენს მრავალი აღნიშნული ქვეყნისათვის მას შემდეგ, რაც მათ განახორციელეს პოსტსოციალისტური პრივატიზაცია და ეკონომიკის რესტრუქტურირება [15], რის შედეგად სოფლის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ცხოვრობს მცირე ზომის მეურნეობებში, რომლებიც ეროვნული შედარებისას გვიჩვენებს შემოსავლების მეტად დაბალ დონეს და არსებობის უმძიმეს პირობებს. ეს მეურნეობები ხშირად გვიჩვენებენ ბაზართან ინტეგრირების დაბალ ხარისხს და სასოფლო შინამეურნეობების მნიშვნელოვან დამოკიდებულებას სახელმწიფო დახმარებებზე, როგორც შემოსავლების უმთავრეს წყაროზე. რაც პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში არსებული საარსებო და ნახევრად საარსებო სოფლის მეურნეობა არის შედეგი სასოფლო-სამეურნეო მიწების არასთანადოდ, არასწორად განხორციელებული რეფორმებისა. ამის ნათელი მაგალითია საქართველო და ალბანეთი, სადაც სასოფლო შინამეურნეობებს გადაეცათ მეტად მცირე ზომის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები; ასევე, რუსეთი და უკრაინა, სადაც ყოფილი კოლმეურნეობებიდან და სახელმწიფო მეურნეობებიდან შინამეურნეობების უმეტეს რაოდენობას გადაეცა მცირე ზომის დამხმარე ნაკვეთები; ხოლო გარდამავალ პერიოდამდე პოლონეთსა და ყოფილ იუგოსლავიაში უკვე არსებობდა მცირე ზომის სასოფლო მეურნეობათა სტრუქტურები [16, გვ. 3].

რიგ ქვეყნებში, სამსახურების დაკარგვის გამო, ურბანული მოსახლეობისა ნაწილი სამუშაოდ და საცხოვრებლად სასოფლო ადგილებში გადავიდა. ასევე, მრავალმა სოფლად მცხოვრებმა არასასოფლო-სამეურნეო სფეროებში დასაქმებულმა დაიწყო საქმიანობა მცირე ზომის ოჯახურ მეურნეობებში. გარდამავალი კურსის გატარებისას, ეკონომიკის რესტრუქტურირების შედეგად გამოწვეული სამუშაო ძალის დასაქმების პრობლემები და დანაკარგები ხშირად განაპირობებდა იმას, რომ საარსებო და ნახევრადსაარსებო შინამეურნეობათა ფუნქციონირებამ მიიღო ეკონომიკის მოძველებული ნაწილის ხასიათი (მოძველებული აგროტექნოლოგიების აღდგენა), ხოლო აქ დასაქმებული სამუშაო ძალის მნიშვნელოვანი ნაწილი იქცა “სოციალურ ბუფერად” [16].

აღნიშნულ გარემოებათა ვაგლენით, ამ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურები უპირატესად ორიენტირებული არიან სიღარიბის შემსუბუქების სტრატეგიებზე. ამ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის სექტორის სათანადო განმავითარებელი პოლიტიკების შემუშავებისა და დაგეგმვისათვის დიდი მნიშვნე-



ნელობა აქვს როგორც რიგი განვითარებადი ქვეყნების გამოცდილებათა გააზრებას, ისე საერთო ევროპული სასოფლო-სამეურნეო მიდგომის კონსტრუირებას, რომელიც სოფლის მეურნეობის განმახიარებელი სტრატეგიის ორიენტირად შეიძლება იყოს დასახული. ამგვარი მიდგომა უნდა ითვალისწინებდეს მცირე მიწის ნაკვეთებზე დიდი რაოდენობით მომუშავეთა შემოსავლების მნიშვნელოვან გადიდებას და შემოსავლების დონის არსებით ამაღლებას სასოფლო-სამეურნეო არეალებში. სწორედ ამას ითვალისწინებს “ფართოსაფუძვლიანი” სტრატეგია. აღნიშნული სტრატეგია გულისხმობს ისეთი განვითარების მიღწევას, რომელიც მოიცავს მცირე მეურნეობების ფართო უმრავლესობას და რიგ განვითარებად ქვეყნებში ეს მეურნეობები ხშირად უფრო მეტად პროდუქტიულნი არიან და მათი საშუალო მოსავლიანობა (1 ჰა-ზე) უფრო მეტია, ვიდრე მსხვილ მეურნეობებში. ეს სტრატეგია ითვალისწინებს, უპირველეს ყოვლისა, მცირე და საშუალო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობას. იგი მოიცავს: ა) ინოვაციების და წარმოების საშუალებების (ფაქტორების) დანეგვის ხელშეწყობას; ბ) მამოძრავებელი მიზეზების, საბაზრო სტიმულების განსახიარებას; გ) სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარებას; დ) ინსტიტუტებისა და ინიციატივების ფორმირებას [13, გვ. 166-170].

გამოცდილება გვინფორმებს, რომ მცირე მეურნეობებში პროდუქტიულობის გადიდება მნიშვნელოვანადაა დამოკიდებული სოფლის მეურნეობის ეროვნული კვლევების პროგრამებზე, რომლებიც შეთანაწყობილია ეფექტურ ექსტენციის (Extention) სისტემებთან. აგროტექნოლოგიური კვლევები აქცენტირებული უნდა იყოს განსახიარებული სიდიდის მეურნეობების ტიპებისათვის, მათ უნდა მოიცვან მცირე მეურნეობათა ფართო უმრავლესობა და ხელი უნდა შეუწყონ მათი პროდუქტიულობის ზრდას.

მცირე მეურნეობების მოტივაცია, მამოძრავებელი მიზეზები დამოკიდებულია როგორც უკიდურესად აუცილებელი “სწორი ფასების” მიღწევაზე, ისე ფართო საბაზრო ლიბერალური პოზიციის განხორციელებაზე, ამ მიდგომების შეთანაწყობაზე, შეერთებაზე. იქ, სადაც ბაზრები არ ფუნქციონირებს წარმატებულად, არ შესწევთ უნარი ადგილობრივი სასაქონლო წარმოების ხელშეწყობისა, შეიძლება ამართლებდეს სამთავრობო ინტერვენცია. თუმცა ინტერვენცია ფოკუსირებას უნდა ახდენდეს ბაზრის განვითარებაზე და არა სამთავრობო ბიუროკრატის გაძლიერებაზე.

ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება და განვითარება სოფლად მთავრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. მან ხელი უნდა შეუწყოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას და ბაზრის არასრულყოფილების ფაქტორის შემცირებას. ინფრასტრუქტურის განვითარება მიმართული უნდა იყოს ბაზრის მხარდაჭერი ხარჯების დაფარვისა და სოფლის გრძელვადიანი, მდგრადი კეთილდღეობის მიღწევისაკენ.

ადგილობრივი ინსტიტუტების დაგეგმვა და ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამთავრობო ინტერვენციას და კერძო ინიციატივას შორის ბალანსს. მათზე დიდადაა დამოკიდებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ოპტიმალურად განაწილება და საკუთრების რეგისტრაცია; სოფლის მეურნეობის რიგი ტექნიკური, ტექნოლოგიური და მარკეტინგული ხელშეწყობის სამსახურების ჩამოყალიბება.

განხილული თეორიული მოსახრებები გვარწმუნებს, რომ საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში მეტად მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობისა და სოფლის როლი, სწორედ სოფლის მეურნეობის წარმატებულ განვითარებაზეა დიდად დამოკიდებული ქვეყნის სურსათით, ჯანსაღი საკვებით თვითუზრუნველყოფა, ექსპორტზე ორიენტირებული კვებისა და მსუბუქი მრეწველობის განვითარება, მთლიანად ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების განხორციელება. პერსპექტივაში, ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის როლის შემცირების მიუხედავად, სწორედ მან და მთლიანად სოფელმა უნდა მიაწოდონ სურსათი მოსახლეობას, ნედლეული მრეწველობას და სამუშაო ძალა ახალ მოწინავე სექტორებს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Yujiro Hayami, Veron W Ruttan, Agricultural Development, An International Perspective. Baltimore, London; The Johns Hopkins Un-ty Press, 1985
2. Friedrich List. The National Sistem of Political Economy. Repr. Augustus M Kelley, New York, 1966
3. Allan G., Fisher B.. Economic Progres and Social Security. London: Macmilan, 1945
4. Colin Clarc.”The Morpology of Economic Growth”, chapter X, The Conditions of Economic Progress and Social Security. Ed. C. Clarc. London:Macmilan, 1940
5. W.W.Rostow. The Economics of Take-off into Sustained Growth. London: Macmillan, 1964
6. J.H. Boeke. Economics and Economic Policy of Dual Societes as Excmplified by Indonesia. New York: Institute of Pacific Relations, 1953
7. Benjamin Higgins, “The Dualitic Theory’ of Underdeveloped Areas,” Economic Developmnt and Cultural Change 4(1955-1956)
8. John Fei and Gustav Ranis. Development of the Labour Surplus Economy: Theoty and Policy. Homewood, Ill.: Irvin, 1964
9. Allen C.Kelley, Jeffrey G. Williamson, and Russell J. Cheetham. “Biased Technological Progress and Labour Force Growth in Dualistic Economy. Journal of Economics 86, August, 1972
10. Alan de Janvry. The Agrarian Question and Reforms in Latin America. Baltimore: John Hopkins Un-ty Press, 1981
11. John W. Mellor,, & Bruce F. Johnston,, “The Role of Agriculture in Economic Development”. 1961. American Economic Reviw, Vol.51, no.4, 1961.
12. John W. Mellor,, & Bruce F. Johnston. “The World Food Equation: Interrelations Among Development, Emploiment, and Food Consumptin”. Journal of Economic Literature, Vol. 22, 1984.
13. T.P Tomich, P.K. Kilby, and B.F. Johnston.Transforming Agrarian Economies: Opportunities Seized, Opportunities Missed. Ithaca,New York:Cornel Un-ty Press, 1995,
14. European Commission (2004): European model of agriculture? [http://europa.eu.int/comm/agriculture/fag/q1/index\\_en.htm](http://europa.eu.int/comm/agriculture/fag/q1/index_en.htm).
15. Lerman Z., Csaki, C., Feder, G., Agriculture in Transition, Land Policies and Evolving Farm Structures in Post-Soviet Countries, Lanhan, Lexington Books, 2004

16. M. Petrick, P. Weingarten. The Role of Agriculture in Central and Eastern European Rural Development: An Overview, The Role of Agriculture in Central and Eastern European Rural Development: Engine of Change or Social Buffer? Ed. by M. Petrick, P. Weingarten, IAMO, 2004,

17. Z.Revishvili, H.W. Kinnukan. "Agricultural Problems in Georgia and Strategic Policy responses", The Role of Agriculture in Central and Eastern European Rural Development: Engine of Change or Social Buffer?, Edited by M.Petrick and P.Weingarten, IAMO, 2004

*Zurab Revishvili*

## THE THEORETICAL ISSUES OF AGRICULTURAL DEVELOPMENT AND POLICY OF GEORGIA

### Annotation

The article covers the important theoretical issues of agricultural development and policy of Georgia. Is shown "growth stages", "dual economy models", "structural transformation" and "dependency perspective" theories.

Are analyzed and compared the "broad-based" agricultural strategy and "unimodel" structure and "dualistic" strategy and "bimodel" structure. Also, are discussed the actual issues of "European agricultural model", as a goal of development orientation for Georgia.

*თენგიზ ჯავთიაძე*

### რძის დამზადებისა და ტრანსპორტირების ორგანიზაციის პრობლემები საქართველოში

ჩვენ ქვეყანაში თავის დროზე ფუნქციონირებდა მერძევეობის მსხვილი ფერმები. თითოეული ასეთი ფერმა, თავის მხრივ, წარმოადგენდა რძის ფაბრიკას. ფერმის ტერიტორიაზე რძის მისაღებად და შესანახად მოწყობილი იყო სარძევე, საძროხისაგან იზოლირებული, მიშენებული ან სპეციალური შენობა, რომელსაც ჰქონდა რძის პირველადი გადამამუშავებისა და შესანახი განყოფილება, სამრეცხაო, ვაკუუმ-სატუმბაეი და საჭებე-რამდენიმე საძროხის არსებობის შემთხვევაში გათვალისწინებული იყო ცალკეულ საძროხესთან არსებული სარძევეებიდან რძის მისაღებად ცენტრალური სარძევის ცალკე შენობაში მოწყობა. სარძევეში მოწყობილი იყო რძის ლაბორატორია.

იმ თვეებში, როცა კლიმატური პირობების მიხედვით შეიძლებოდა პირუტყვის დღე-ღამის განმავლობაში საძოვარზე ყოლა, ცხოველების საწველ და დასასვენებელ ადგილებზე ეწყობოდა სარძევე, რძის პირველადი დამამუშავებისა და გაცივების შემდეგ შენახვისათვის, ვიდრე ის ცენტრალური მეურნეობების ან სახელმწიფო რძის ქარხანაში გაიგზავნებოდა.

საზოგადოებრივ მეურნეობებში გათვალისწინებული იყო: ა) ფერმის სარძევე ყველა საქონლის ეზოსთან; ბ) ცენტრალური სარძევე, როცა ერთ მეურნეობას რამდენიმე საძროხე გააჩნდა.

**ფერმის სარძევეები** უზრუნველყოფდა: ა) პირუტყვის ბაკში რძის მიღებას შესაბამისი სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვით; ბ) წველის შემდეგ რძის პირველად გადამამუშავებას და შენახვას რძის ქარხნებში ან სავაჭრო ქსელში გაგზავნამდე; გ) სისტემატიურად აღრიცხავდნენ მერძეული პირუტყვის პროდუქტიულობას; დ) იკვლევდნენ რძის შემადგენლობას როგორც ცალკეული ძროხის, ისე ნაწველის საშუალო სინჯის მიხედვით, რათა დაეღინათ ნახირის რძის ხარისხი და გამოეყვინათ პირუტყვის ჯიშობრივი ღირსებები; ე) უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო მეურნეობის მეცხოველეობის ფერმები მოხდილი რძით, რძის გადამამუშავების სხვა პროდუქტებით ხბორების, გოჭების, ბატკნების გამოსაზრდელად; ე) ეწყობოდა რძის ტურტლის, ინვენტარისა და საწველი მანქანების გულმოდგინე დაორთქვლა და დეზინფექცია, ფურების ცურის თბილი წყლით ჩამობანა, აგრეთვე მეურნეობის ფერმის სხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რაც უზრუნველყოფდა სუფთა, მაღალხარისხოვანი ვარგისი რძის მიღებას როგორც გადასამამუშავებლად, ისე უმი სახით მოხმარებისათვის; ზ) ფერმის მუშაკთა შორის ეწყობოდა კულტურულ-საგანმანათლებლო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მერძევეობის საქმის საერთო და საწარმოო კულტურის ასამაღლებლად[2].

ცენტრალური სარძევეების ვალდებულება იყო: ა) მიეღოთ რძე ფერმის სარძევეებიდან, გადაამუშავებინათ, შეენახათ და უმი სახით ჩაებარებინათ მომხმარებლებისათვის; ბ) თვალყური ედევნებინათ სახელმწიფოსათვის რძის ჩაბარებისა და რძის როდუქტების მიყიდვის გეგმის დროულად შესრულებისათვის; გ) მიეღოთ და გადაამუშავებინათ მეურნეობებიდან და მოსახლეობიდან ჩაბარებული რძე; დ) ეწარმოებინათ სტანდარტული შემადგენლობისა და ხარისხის კარაქის, ყველის, ხაჭოს, არაჟნის გადამამუშავება და შენახვა, თუ ისინი სისტემატიურად აწარმოებდნენ რძის გადამამუშავებას; ე) იმ შემთხვევაში თუ მეურნეობას არ ჰქონდა ფერმის სარძევე, მის ყველა მოვალეობას ასრულებდა ცენტრალური სარძევეები.

რძის მოძრაობის ასეთი სისტემა შესაძლებლობას იძლეოდა, მომხმარებლისათვის მიეწოდებინათ ახალი რძე და რძის როდუქტები. მეცხოველეობის ფერმები მოზარდი პირუტყვის გამოსაკვებად მარაგდებოდნენ მოხდილი რძით. ამასთან, რძის ქარხანა მეურნეობას აძლევდა მოგებას, მისი საქმიანობა ეკონომიკურად გამართლებული იყო.

რძის მოძრაობის აღნიშნული სისტემა დღეს მთლიანად მოშლილია. მერძევეობის ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხები იგნორირებულია. იგი დაიყვანება გლეხების მიერ წარმოებული რძის, რძის შემკრებ პატარ-პატარა პუნქტებში ჩაბარებით. მაგალითად, დმანისის რაიონის რძის ქარხანა ყოველდღიურად იღებდა და ამუშავებდა 50-60 ტონა რძეს. მზადდებოდა შვეიცარული ყველი, კარაქი, სულგუნი, ქართული ყველი და სხვა. დღეს ქარხანა ნახევრად გაჩერებულია. მოსახლეობა რძეს აბარებს სულგუნის დამზადების პატარა საოჯახო საწარმოებს. რძის ნაწილი კი, სეზონის მიხედვით, ცისტერნით იგზავნება თბილისში – რძის კომბინატ „სანტეში“. რიგი რძის ქარხნები მოსახლეობისაგან რძეს აღარ იღებენ. ისინი ამჯობინებენ რძის ფხვნილის გამოყენებას. მოსახლეობა ეკონომიკურად ზარალდება.

ყოფილ საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოშიც, რძის სტანდარტის მოთხოვნებიანი განისაზღვრებოდა ГОСТ 13264-70 სტანდარტით. დღეს საქართველოში 1,3 მილიონი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვია, აქედან მეწველი ძროხაა დაახლოებით 800 ათასი სული.

ქვეყანაში რძის ყოფილი საბჭოთა სტანდარტი გაუქმებულია, ხოლო საერთაშორისო ევროპული სტანდარტი დაწესებული არ არის. მიმდინარე წლის აგვისტოდან მკაცრდება სარეალიზაციოდ განკუთვნილი რძის პროდუქტების სტანდარტის დაცვა. შემოღებული იქნება რძის პროდუქტების მარკირება, სადაც დადასტურებული იქნება რძის ნაწარმის ნატურალობა და სხვა. რძე, როგორც ჩვენში, ისე სხვაგან, მეტ-ნაკლებად დაბინძურებულია. მაგალითად, ასპინძის რაიონის სოფელ ჭობარეთში ახლად შექმნილმა კოოპერატივმა ხელი მოკიდა ცნობილი მესხური ყველის ტენილის წარმოებას. ყველი დიდად მოეწონა მის ამერიკელ პარტნიორს. ტენილის, სულგუნის, იმერული და ქართული ყველის ნიმუშები გაიგზავნა აშშ-ში. იქ ყველს რეალიზაციამდე ჩაუტარეს ლაბორატორიული შემოწმება. აღმოჩნდა, რომ ყველის ნიმუშები ბაქტერიებით იყო დაბინძურებული და რეალიზაცია არ შეიძლებოდა. აცნობეს, რომ ამერიკაში წარმოებულ რძეში ბაქტერიები საკმაოდ არის და ახლად მოწველილ რძეს, ბაქტერიების მოსაზობის მიზნით, სპეციალურ დანადგარში ატარებენ. რძე უვნებელი ხდება. საჭიროდ მიგვანჩნია ჩვენი ფერმერული მეურნეობებისათვის ასეთი დანადგარების შექმნა.

ურთიერთკავშირი, ერთი მხრივ, ფერმერულ მეურნეობებსა და მოსახლეობას, მეორე მხრივ, რძის მრეწველურ საწარმოებს შორის, უნდა გამყარდეს საკონტრაქტო ხელშეკრულებებით, რომლითაც განისაზღვრება რძისა და რძის ნაწარმის მიყიდვისა და შესყიდვის პირობები, აგრეთვე ორივე მხარეს შორის ურთიერთვალდებულებანი. ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს რძისა და რძის ნაწარმის რაოდენობა და ხარისხი, რომელსაც ყიდის ფერმერი ან მოსახლე წელიწადში, კვარტლებისა და თევების დაყოფით, რძის საწარმოებისათვის. რძის საწარმოებმა ვალდებულება უნდა აიღონ, თავის დროზე მიიღონ ეს პროდუქტები, დაამუშაონ, შეინახონ და რეალიზაცია გაუკეთონ. ჩვენი აზრით, ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ წლის დასაწყისში რძის ქარხნები სოფლად რძის მწარმოებელ ფერმერებზე გასცემენ ფულად ავანსს, რომელიც, შემდგომ პროდუქციის მიყიდვით თანდათან დაიფარებოდა. ორივე მხარემ მატერიალური პასუხისმგებლობა უნდა იკისროს ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის. ამრიგად, რძისა და რძის პროდუქტების გაყიდვისა და შესყიდვის ურთიერთსახელშეკრულები ვალდებულებანი შესაძლებლობას უნდა აძლევდეს ფერმერულ მეურნეობებს, მუდმივი მყიდველი ჰყავდეთ რძის საწარმოების სახით, ხოლო ამ უკანასკნელთ ჰქონდეთ მტკიცე ნედლეულის ბაზა.

საქართველოში ცნობილია რძის მრეწველობის შემდეგი დარგები: კარაქის, ყველის, მოუსხდელი რძისა და რძის კონსერვების და სხვა. ყველა ამ დარგს უნდა გააჩნდეს ძირეული დამამზადებელი ქსელი, რომელიც შემდეგი რგოლებისაგან შედგება: მიმღები პუნქტი ძირეული რგოლია. მისი მოვალეობაა რძის მიღება ფერმერული მეურნეობებიდან და მოსახლეობიდან. აქ უნდა წარმოებდეს რძის გაცივება, შენახვა და ტრანსპორტირება. აქვე უნდა იყოს მოწყობილი სასეპარატორო განყოფილება. მიმღები პუნქტები უზრუნველყოფილი უნდა იყოს საჭირო ინვენტარით – ჭურჭლით, ცივი და ცხელი წყლით. გარდა რძის ძირეული მიმღები პუნქტების, ყურადღება უნდა მიექცეს შარავზეებსა და სოფლებთან არსებული მიმღები პატარა პუნქტების არსებობას, სადაც რძეს მიიღებენ ახლომდებარე დასახლებული პუნქტების მოსახლეობისაგან.

სასეპარატორო განყოფილება რძეს იღებს მოსახლეობიდან და ფერმერული მეურნეობებიდან. მიღებულ რძეს ნაწილობრივ სეპარატორში ატარებენ. ნაღებს აციებენ და გზავნიან ქარხანაში. მოხილ რძეს უბრუნებენ ჩამბარებლებს სასოფლო-სამეურნეო ცხოველების მოზარდეულის საკვებად და ნაწილობრივ იყენებენ ხაჭოს გამოსაშვებად.

ძირეული რძის ქარხნები უნდა ჰქონდეს რძის მრეწველობის საწარმოებს. ქარხნები რძეს იღებენ მიმღები პუნქტებიდან, ახლომდებარე ფერმერული მეურნეობებიდან, სასეპარატორო განყოფილებებიდან, ამუშავებენ მას და გზავნიან ცენტრალურ ან მთავარ რძის ქარხნებში. ძირეული ქარხნები, არსებითად, მთავარი ან ცენტრალური ქარხნების ფილიალებია. ისინი კარგად უნდა იყოს აღჭურვილი სათანადო მოწყობილობებით, ორთქლით, სიცივითა და ელექტროენერგიით.

რძის ცენტრალური ქარხნები კარგად აღჭურვილი თანამედროვე საწარმოებია. ისინი რძეს იღებენ რძის ძირეული ქარხნებიდან, სასეპარატორო განყოფილებებიდან, აგრეთვე, ახლომდებარე ფერმერული მეურნეობებიდან. ადმინისტრაციულ-ფინანსურ მხრიდან რამდენიმე ძირეული ქარხანა ერთ ცენტრალურს ემორჩილება. ამ შემთხვევაში ამ უკანასკნელს მთავარი ქარხანა, ანუ კომბინატი ეწოდება.

კვლევის შედეგად ირკვევა, რომ ადგილობრივ, რაიონულ და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული სამეურნეო ერთეულების დონეზე არ წარმოებს სათანადო მუშაობა რძის წარმოებისა და დამზადების ორგანიზაციულ საკითხებზე, ძნელი დასადგენია რაიონის დონეზე რამდენი რძის მიმღები პუნქტია, რამდენია სასეპარატორო განყოფილება, ძირეული რძის ქარხანა და სხვა. მათ ფუნქციონირებას სოფლად მოსახლეობის დამკარების მიზნით, დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მოსახლეობა რძის პროდუქტებს ადგილებზე შემოსავლების მიღების მიზნით, ხალისით აბარებს რძის დამამზადებელ ქსელს.

სამეცნიერო მონაცემებისა და სხვა მასალების საფუძველზე რესუბლიკის ცალკეული ზონებისათვის უნდა დაწესდეს რძის საბაზისო ცხიმოვანობა, ე.ი. მოცემული ზონისათვის რძის ცხიმოვანობის საშუალო პროცენტი წლის მანძილზე. ამიტომ რძის მიმღები პუნქტების მიერ შესყიდული რძის ფასი დიფერენცირებული უნდა იყოს ზონების მიხედვით, საბაზისო ცხიმოვანობის საფუძველზე. ძროხის რძე, რომელსაც ყიდიან ფერმერული მეურნეობები და ინდივიდუალური ჩამბარებლები, უნდა იყოს ახალი, ნატურალური და შეესაბამებოდეს სათანადო ტექნიკური პირობების მოთხოვნებს. ნაწველი რძე არ შეიძლება გაიყიდოს ხოს მოგების პირველ შეიდ დღეში (ხენი) და ფურების გაშრობის უკანასკნელი 10-15 დღის განმავლობაში [2]. ფერმერულ მეურნეობებსა და ინდივიდუალურ ჩამბარებლებს უკეთესი ხარისხის რძის მიყიდვისათვის სტიმულირების მიზნით, უნდა დაუწესდეთ ძირითადი ფასის ზევით დანამატი ან მოხდეს ფასდაკლება.

პირუტყვის პროდუქტიულობისა და ჯიშობრივი თვისებების გამოსავლენად, გენოფონდის შენარჩუნების მიზნით, ფერმერულ მეურნეობებსა და ინდივიდუალურ მეურნეობებსა და რძის მიმღებ საწარმოებში დიდი ყუ-

რადღებდა უნდა დაეთმოს რაოდენობრივი აღრიცხვის წარმოების სპეციფიკას მერქვევობაში. უნდა წარმოებდეს რძის რაოდენობის გაანგარიშება ლიტრებიდან კილოგრამებად და პირიქით; რძეში ცხიმის აბსოლუტური რაოდენობის განსაზღვრა; ერთპროცენტის რძეზე გადაანგარიშება; რძის რაოდენობის გადაანგარიშება საბაზისო ცხიმთანობაზე; ლაქტაციის პერიოდში რძის ცხიმის საშუალო პროცენტის განსაზღვრა; რძის გადაანგარიშება 4%-იან ცხიმთანობაზე; ცხიმის საშუალო პროცენტის განსაზღვრა რძის რამდენიმე პარტიაში; სეპარატორში გატარებულ მოხდელ რძეში გადასული ცხიმის რაოდენობის გამოანგარიშება და სხვა.

რძე, მისი მიღების მომენტიდან ნატურალური სახით ან რძის პროდუქტების სახით, მომხმარებლამდე თავის თვისებებს ინარჩუნებს მხოლოდ სიცივით დამუშავების პირობებში. ამიტომ ყველა რძის საწარმოს ფერმერული და ინდივიდუალური მერქვევობის ფერმებს უნდა ჰქონდეს პირობები და საშუალებები რძის პროდუქტების გაცივებისა და შენახვისათვის.

სიცოცხე შეიძლება მივიღოთ ხელოვნური გზით სპეციალური მანქანების მეშვეობით ან ბუნებრივი წყაროების გამოყენებით რძის გასაცივებლად. ამ საკითხის მოგვარება სოფლად, განსაკუთრებით მთიანი დასახლებების ან რაიონული ცენტრებიდან დიდად მოცილებული სოფლებისათვის, მნიშვნელოვანი პრობლემაა. მთის სოფლების მოსახლეობაში რომ მოეწეოს რძის გამაცივებელი შესანახი ადგილები, საიდანაც კვირაში ერთხელ ან ორჯერ ავტოციცტერნა გაცივებულ რძეს რძის ქარხანაში გადაიტანდა, მოსახლეობას ადგილებზე შემოსავალი გაუზარებდა. მაგალითად, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელი სამთაწყარო რაიონული ცენტრიდან მოცილებულია 50 კმ მანძილზე, ტრანსპორტი რაიონულ ცენტრამდე ნაკლებად მოძრაობს, მოსახლეობას კარგად განვითარებული რძის წარმოება აქვს, მათი პრობლემაა რძისა და რძის პროდუქტების რეალიზაცია. თუ სამთაწყაროში მერქვევობის ოჯახურ ფერმებში მოეწეობდა რძის გამაცივებელი, მაშინ კვირაში ერთხელ ან ორჯერ შეიძლებოდა ცივი რძის ცისტერნით დედოფლისწყაროს ყველ-კარაქის ქარხანაში გადატანა.

რძის დამზადებაში მნიშვნელოვანი როლია ტრანსპორტირების ორგანიზაციის საკითხი. დღეს სოფლად ფერმერულ მეურნეობებსა და ინდივიდუალურ მეურნეობებში რძის დამზადების ძირითადი ფორმაა: ფერმერული მეურნეობა – დამზადების პუნქტი. რძის დამზადების აღნიშნულ მეთოდს ბევრი უარყოფითი მხარე აქვს. მაგალითად, ფერმერული მეურნეობები რძის გადაზიდვის სატრანსპორტო საშუალებებით ცუდად არიან უზრუნველყოფილნი. უმეტეს მათგანს არ გააჩნია სპეციალური რძის საზიდი ცისტერნა, ხოლო ვისაც აქვს, მას რაციონალურად ვერ იყენებს, რადგან უმეტეს მეურნეობათა სარძევე ფერმები სულაღობის მიხედვით პატარაა და შესაბამისად ნაკლებ რძეს აწარმოებენ. იმ ფერმერულ მეურნეობებში, რომლებიც რძეს სატვირთო მანქანებით ბიღონებით ზიდავენ არა ერთი და იმავე, არამედ, ხშირ შემთხვევაში, სხვადასხვა მანქანით უხდებთ ტრანსპორტირება. რძის ჩაბარებაც სხვადასხვა მძღოლს უხდება, რომლებიც რძის ჩაბარების წესებს ცუდად იცნობენ და პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების დადგენაში არ მონაწილეობენ. ამასთან, რძის ტრანსპორტირების შემდეგ სატვირთო მანქანები სხვადასხვა საშუალოზე გამოიყენება, რაც მანქანის ძარის გაჭუჭყიანებას იწვევს და, ხშირ შემთხვევაში, რძის ტრანსპორტირებისათვის მოუშადადებელი მანქანით ხდება პროდუქციის გამოზიდვა. ფერმერულ მეურნეობებსა და რძის მრეწველობის საწარმოებს პროდუქციის ჩაბარების გრაფიკი არ აქვთ და თუ აქვთ, მის განრიგს არ იცავენ, რის შედეგადაც დილით და საღამოთი რძის ჩაბარების დროს, ტრანსპორტის დიდ მოცდენას აქვს ადგილი, რაც ჩასაბარებელი პროდუქციის ხარისხზე უარყოფით გავლენას ახდენს და სატრანსპორტო ხარჯებს ადიდებს. ფერმერულ მეურნეობებსა და ინდივიდუალურ მეურნეობებს, რომლებიც რძეს დამზადების პუნქტებში თავიანთი ტრანსპორტით ზიდავენ, უხდებათ ცისტერნებით, სატვირთო ავტომანქანებით, ტრაქტორებითა და ურმებით ამ პროდუქციის ბიღონებით ტრანსპორტირება. რძის ბიღონები მწვობრიდან მალე გამოდის. იჟანგება (წყალს უშვებს), ხშირ შემთხვევაში სახურავები კარგად ვერ ესურება და სისუფთავის დაცვა ძნელდება. ზოგჯერ მეურნეობები იძულებულნი არიან, მაღალი ტვირთამწვობის მანქანით დღეში ზოგჯერ წაიღონ რძე დამზადების პუნქტებში, რის შედეგადაც ტრანსპორტის გამოყენების კოეფიციენტი მცირდება. ტრადიციული მეთოდით რძის ზიდვასთან შედარებით ცენტროზიდვას დიდი უირატესობა აქვს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ რძის ქარხნის ავტოტრანსპორტს შედგენილ უნდა ჰქონდეს რძის შემკრები პუნქტებიდან რძის ზიდვის გრაფიკი. რძის ცენტროზიდვის დანერგვით სატრანსპორტო ხარჯებისაგან მეურნეობები თავისუფლდებიან, ხოლო რძის მრეწველობის საწარმოები პასუხისმგებელნი ხდებიან რძის დაბინავებაზე. რძის ცენტროზიდვის დანერგვით დამამზადებელ ორგანიზაციებს საშუალება ეძლევათ, უფრო ეფექტიანად გამოიყენონ სატრანსპორტო საშუალებები და მნიშვნელოვნად შეამცირონ ერთი ტონა რძის ტრანსპორტირების ხარჯები, რაც შრომის ნაყოფიერებას მნიშვნელოვნად ზრდის.

სხვადასხვა მეთოდით რძის ტრანსპორტირების ხარჯების ანალიზი გვიჩვენებს, რო, მართალია, რესურსულიკაში ჯერ კიდევ არ არსებობს რძის ზიდვის პროგრესული მეთოდის რაციონალურად გამოყენების პირობები, მაგრამ მას მაინც გარკვეული უპირატესობა აქვს. რძის გამოზიდვის ორივე მეთოდის შემთხვევაში საერთო სატრანსპორტო დანახარჯების სტრუქტურაში მეტი ხვედრითი წონა მოდის შრომის ანაზღაურებაზე. ოღონდ ფერმერული მეურნეობის ტრანსპორტით გამოზიდვისას აღნიშნული მაჩვენებელი უფრო მაღალია დამამზადებლის ტრანსპორტის რძის გამოზიდვასთან შედარებით. რძის ქარხნებს თავიანთი ავტოციცტერნებით ფერმერული მეურნეობებიდან რძის გამოზიდვაზე გაწეული სატრანსპორტო დანახარჯების სტრუქტურაში შრომის ანაზღაურების ხვედრითი წონა 30-40%-ს შეადგენს, მაშინ, როცა ფერმერული მეურნეობების სატრანსპორტო ხარჯების სტრუქტურაში შრომის ანაზღაურებას შესაბამისად 55-70% უკავია.

ეს იმით არის გამოწვეული, რომ ფერმერულ მეურნეობათა ავტოტრანსპორტის მძღოლებს, ხელფასთან ერთად, დამატებით ეძლევათ აგრეთვე ბიღონების დატვირთვა- ჩამოტვირთვაზე მიღებული რძის რაოდენობასა და ხარისხზე პასუხისმგებლობისათვის, მათ ეძლევათ აგრეთვე ექსპედიტრობაზე განსაზღვრული პროცენტიც, ხოლო დამზადების ორგანიზაციის ავტოციცტერნის მძღოლი, არ არის რა რძის ხარისხზე პასუხისმგებელი და პროდუქციის დატვირთვა-ჩამოტვირთვაც ამ შემთხვევაში მექანიზებულია, დამატებითი ანაზღაურება არ ეძლევა. ამასთან ერთად, იმ ფერმერულ მეურნეობებს, რომელთა ავტოციცტერნის გამოყენების კოეფიციენტიც მაღალია, ერთი ტონა რძის ტრანსპორტირება შედარებით იაფი უჯდება, ხოლო, სადაც ეს მაჩვენებელი დაბალია, ერთი ტონა რძის ტრანსპორტირებაც შესაბამისად ძვირი ჯდება. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ერთი ტონა

რძის გამოზიდვის ხარჯები ავტოტრანსპორტის გამოყენების კოეფიციენტის პირდაპირპროპორციულია. ჩვენი აზრით, ცალკეულ რძის ქარხნებს რაიონში, თვით ქალაქებშიც, რამდენიმე ავტოცისტერნის შენახვის სათანადო პირობები არ გააჩნია, ამიტომ სახეზე არსებული ტრანსპორტი რაიონის რომელიმე გარაჟთან უნდა ჰქონდეთ გაერთიანებული და მის ტექნიკურ მზადყოფნაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს, რაც ხელს შეუწყობს ტრანსპორტის უფრო რაციონალურად გამოყენებას. იმ ქალაქებში კი, როგორც არის თბილისი, უნდა შეიქმნას სპეციალური ავტობაზა, რომელიც რძის კომბინატებს, მიმღებ პუნქტებსა და ფერმერულ მეურნეობებს მოემსახურება. რესპუბლიკაში რძის ცენტროზიდვის დანერგვას და მისი ეფექტიანობის ამაღლებას მნიშვნელოვნად აფერხებს ფერმებთან მისასვლელი გზების უქონლობა. დაგროვილი საკითხების მოგვარება დიდად შეუწყობს ხელს ფერმერულ მეურნეობებსა და მოსახლეობაში რძის დამზადებისა და ტრანსპორტირების პროგრესული ფორმების დანერგვას.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. გამყრელიძე ბ. ცენტრალური კავკასიის მთიელთა ალაპური მესაქონლეობა „მეცნიერება“, 1982.
2. დავიდოვი რ. რძე და მერძევეობა, „განათლება“, თბილისი, 1976.
3. ქავთარაძე თ. აგრარული რეფორმა საბაზრო ეკონომიკის პირობებში და საქართველო, „მეცნიერება“, თბილისი, 2003.
4. ყამარაული ს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადების ეკონომიკისა და ორგანიზაციის სრულყოფის გზები, „საბჭოთა საქართველო“, 1985.
5. წიკლაური ქ. მეცხოველეობა და ბიზნესი საქართველოს მაღალ მთიანეთში, თბილისი, 2002.
6. ჯანიაშვილი ი. მეცხოველეობის განვითარების ეკონომიკური პრობლემები საქართველოში, „საბჭოთა საქართველო“, 1974.

*Tengiz Kavtaradze*

### ORGANISATION PROBLEMS OF DAIRY PROCESSING AND SHIPPING IN GEORGIA

#### Annotation

In this article are researched dairy processing problems in Georgia. Are revealed the reasons of inefficiency. For the first time is put forward suggestion to be envisaged in the contract that dairy plants at the beginning of year give a cash to farms by advanced payments, which in the dairy sale account will be gradually matured. It is determined, in the rural area, dairy organizing-technological issues are derivative by only farmers in diary collecting points. In this article are put forward issues: by central shipping of milk, farms will be free from shipping cost and dairy processing plants will be responsible for receiving and placing milk.

*ქეთევან ქველაძე*

#### ტურისტული მომსახურების განვითარების ზოგიერთი ასპექტი ქვეყნის ეროვნულ ეკონომიკაში

ტურიზმი ერთ-ერთი მსხვილი, დინამიურად განვითარებადი დარგია, რომელიც ეფუძნება ტრანსპორტის, სოციალური და მომსახურების სფეროს განვითარებას, რაც მას მაღალშემოსავლიანი საქმიანობის სახედ აქცევს. მომსახურების სფეროს სახელმწიფოსთვის, მომხმარებლისათვის, ბიზნესის თუ სხვა ნებისმიერი სფეროსთვის ერთგვარი მაცოცხლებელი ფუნქცია აქვს. მომსახურება ხელს უწყობს ერების, მომხმარებლის, გამყიდველის და უბრალოდ ხალხის ურთიერთობას, დასაქმებას და აყალიბებს იმ სტანდარტებს რა დონეზეც ის არის განვითარებული, ასევე გამოდის ახალი რაიონების ათვისების პიონერადაც. ამის გარდა, მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის ექსპერტების პროგნოზის თანახმად, ტურისტული ინდუსტრია მოგზაურობისა და ექსკურსიების მუდმივად მზარდი მოცულობების ფაზაში შედის, რაც ზრდის კონკურენციას მიმღებ ქვეყნებსა და რეგიონებს შორის, სადაც, ასევე სერიოზულად იზრდება მომსახურების სფეროზე კარგად ინფორმირებული საზოგადოების ხვედრითი წილი, რომელთა ძირითადი მოთხოვნა მაღალი ხარისხი და უსაფრთხოებაა.

მსოფლიოში მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრია მომსახურების სახეობებს შორის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდია. WTTC მონაცემების მიხედვით, პირდაპირი და გვერდითი ეფექტების მხედველობაში მიღების შემდეგ, აღნიშნული სექტორის წელიწადი 2013 წლის მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში შემდეგია: მსოფლიოს მთლიან შიდა პროდუქტში 2,2 ტრილიონი ამერიკული დოლარი შეადგინა (მშპ-ს 9,5%) და ხელი შეუწყო 101 მილიონი სამუშაო ადგილის შექმნას (ანუ ერთი ადგილი ყოველი 11 სამუშაო ადგილიდან), 4,4% მთლიან განხორციელებულ ინვესტიციებსა და 5,4% მსოფლიოს მთლიან ექსპორტში [1]. ტურიზმისა და მოგზაურობის მსოფლიო საბჭოს (WTTC) პროგნოზების მიხედვით, 2009-2020 წლებში მოსალოდნელია ტურიზმის განუხრელი ზრდა, საშუალოდ 4,4% წელიწადში. ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი მოსალოდნელია აზიისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებში; ევროპასა და ამერიკაში ის იქნება მსოფლიო მანქანებლებზე დაბალი. ამ რეგიონის წილი ჩამოსვლელი ტურისტების რიცხვში დაეცემა 79,1%-დან 62,6%-მდე 2020 წელს. ამავე დროს, მოსალოდნელია ტურიზმიდან შემოსავლების ზრდა – 399 მლნ აშშ დოლარიდან 1995 წელს 2 ტრლნ აშშ დოლარამდე 2020 წელს.

ასევე გაიზრდება ტურისტის დანახარჯები ერთ მოგზაურობაზე-707 აშშ დოლარიდან 1995 წელს 1248 აშშ დოლარამდე 2020 წელს, ანუ 1,8-ჯერ. ყველაზე მეტი ტურისტული აქტივობა მოსალოდნელია ნიდერლანდებში, გერმანიაში, ზიდ ბრიტანეთში, კანადასა და იაპონიაში, სადაც ერთ სულ მოსახლეზე მოვა წელიწადში 1,5-2 მოგზაურობა საზღვარგარეთ [3].

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) მონაცემებით, მსოფლიოში არის 15 ქვეყანა, რომლებიც სპეციალიზებული არიან ტურისტულ მომსახურებაზე, სადაც ტურიზმიდან შემოსავლები ჭარბობს ექსპორტიდან შემოსავლებს და ხშირ შემთხვევაში – მრავალჯერ. მათ რიცხვს მიეკუთვნება კუნძულოვანი სახელმწიფოები

ტროპიკულ და სუბტროპიკულ ზონაში – ბარბადოსი, სეიშელის კუნძულები და სხვა. 45 ქვეყანაში ტურიზმიდან შემოსავლები ექსპორტის მოცულობის 1/4-ზე მეტია (ეს ძირითადად სუსტად განვითარებული ეკონომიკის მქონე განვითარებადი ქვეყნებში). ქვეყნების 38%-თვის ტურიზმი წარმოადგენს შემოსავლების ძირითად წყაროს, ხოლო 83%-თვის კი სუბი ძირითადი სახის შემოსავლებიდან ერთ-ერთს.

ტურიზმის არამწარმოებლური სფერო - მომსახურება, რომელიც არ გროვდება და არც ტრანსპორტირდება, მასპინძლობის ინდუსტრიის კომპლექსური და მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც ფორმირდება, ვითარდება და რეალიზდება ტურისტულ საწარმოში, რომელთა საქმიანობა შემოიფარგლება მხოლოდ ტურიზმის სფეროთი. ტურისტული მომსახურება, რომელიც ტურისტების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ხორციელდება, მოიცავს ტრანსპორტირების, განთავსების, კვების და მიზნობრივი მომსახურების ფართო ქსელს, რომელიც მოიცავს: დამატებით (მაგ., საექსკურსიო მომსახურებას, მასმედიას, ტვირთების გადაზიდვას, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვევო კომპანიების, გაქირავების მომსახურებას, ტურიზმის მარკეტინგული კვლევების, კადრების მომზადება და სხვ.), დამხმარე მომსახურებებს (საზოგადოებრივი კვების საწარმოები, ფუნიკულიორები, სამედიცინო მომსახურება, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვ.) და, აგრეთვე, თანმდევ მომსახურებას. ტურისტულ მომსახურებაში განთავსება და გადაყვანა (ტრანსპორტი) ითვლება ძირითად სახედ. განთავსება გულისხმობს ტურისტებისათვის სპეციალურად მოწყობილი საცხოვრებელი ფართის (სასტუმრო, ინდივიდუალური განთავსების საშუალება, კემპინგი, მოტელი, საოჯახო სასტუმროსა და სხვ.) გამოყოფას დამის გასათვებად. ხოლო, გადაყვანაში კი იგულისხმება მგზავრთა გადაყვანა, საქონლის მიმოქცევა და მასთან დაკავშირებული დამხმარე მომსახურება და ტრანსფერი. კვება წინ უსწრებს დასვენება-გართობის ღონისძიებებს. შემდეგ, ჯერ იგეგმება ექსკურსიები და ანიმაციური ღონისძიებები, შემდეგ კი საფინანსო-საბანკო, კავშირგაბმულობა, ფოტომომსახურება და ა.შ. ხემოთქმულიდან გამომდინარე, ტურისტების სახეობები განსხვავებულია: 1. ტურისტული მომსახურების „მინი“ პაკეტი - განთავსება და გადაყვანა (ტრანსპორტი); 2. „სტანდარტული პაკეტი“ - „მინი“ პაკეტის ყველა მომსახურება და ასევე კვება, დამატებით მომსახურება; 3. „გაფართოებული“ პაკეტი - მოცემული ტურისტის მაქსიმალურად შესაძლებელი მომსახურების სახეობების გაწევა.

ტურისტული მომსახურების (როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური) სპეციფიკურობა გამოიხატება მის კომპლექსურობასა და მომსახურების ბაზრის თავისებურებებში, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია მომსახურების პაკეტის შექმნისას. ეს თავისებურებებია: 1. ტურისტული მომსახურების სეზონურობა; 2. მისი შექმნის წყაროდან განუყოფლობა (ანუ წარმოება და მომსახურების მოხმარება განუყოფელია); 3. ტურისტული მომსახურების ხელშეუხებლობა და მისი შენახვის შეუძლებლობა; 4. ტურისტული მომსახურების მოხმარებელთა სხვადასხვაგვარობა; 5. საზოგადოებრივი ფაქტორებისადმი (ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური) მგრძობიარობა; 6. ტურისტული მომსახურების გაყიდვისა და მოხმარების ურთიერთდაუმთხვევლობა; 7. ტურისტული მომსახურების შესრულების ცვალებადობა; 8. მომსახურების წარმოქმნა მისი მოხმარების პროცესში და ცალკე სახით თავისთავად არარსებობა; 9. ტურისტული მომსახურების მოთხოვნის მეტი მგრძობიარობა ფასისა და შემოსავლების ცვლილებისადმი; 10. მომხმარებელს თავად უხდება მისვლა მომსახურების გენერაციის ადგილზე და არა პირიქით და ა.შ...

უნდა აღინიშნოს, რომ მომსახურების ბაზარი მსოფლიო ბაზრის დიდ ადგილს იკავებს, ხოლო ტურისტული მომსახურება განვითარებულ ტურისტულ ბაზარზე გამოდის ძირითად ობიექტად და მას უჭირავს მომსახურების გაყიდვათა მთელი მოცულობის 80% [2].

მომსახურების სახეობის ქვეყნების განვითარებისა და სპეციფიკის მიხედვით განსხვავებულია, რომელიც ბაზარს შეიძლება შევთავაზოთ როგორც კომპლექსურად, ისე ცალ-ცალკე (მაგ., აშშ-ს კლასიფიკაციაში 39 სახის მომსახურებაა, კანადაში - 41, ეს სიაც არასრულია). ასევე საყურადღებოა საერთაშორისო სტანდარტებისა და ნორმების დამდგენი კომისიის მიერ განსაზღვრული ტურმომსახურებების სხვადასხვა სფეროებისათვის შემდეგი ფორმულირებები:

- ტურისტული ორგანიზაციების - ტუროპერატორებისა და ტურსააგენტოების საქმიანობა;
- სამგზავრო ტრანსპორტის მომსახურება და ექსკურსიებისათვის ტრანსპორტის გამოყოფა, ასევე ავტომანქანების იჯარა;
- განთავსებისა და კვების საშუალებები;
- რეკრეაციული, კულტურულ-სპორტული, გასართობი და სხვა მომსახურება;
- დამატებითი და დამხმარე მომსახურება;

ტურისტულ ბაზარზე ტურისტული მომსახურების კომპლექსის (ტურპროდუქტის) შექმნის შემდეგ ტურისტს ტურის რეალიზაციის შესაძლებლობა ეძლევა, სადაც მომსახურების თავისებურებები მოხმარებაში (სადაც ისინი განივთებულ ფორმას არ იღებენ) სხვადასხვაგვარად ვლინდება. მაგ., შეუძლებელია მომსახურების დემონსტრირება, დანახვა ან მიღებამდე შემოწმება. ყოველივე ეს სირთულეს უქმნის მიმწოდებლებსაც, რადგან მათ უწევთ კლიენტის დარწმუნება იმ მომსახურებისა და პროდუქტის ხარისხიანობაში, რაშიც იხდიან ფულს. ასევე ართულებს ფასწარმოქმნისა და ტურისტული პროდუქტის წინ წაწევის პროცესებს. ამიტომ, სწრაფი და ხარისხიანი მომსახურების სისტემისათვის ტურისტული საწარმოს, ერთი მხრივ, თანამშრომლობის უნარი, მოტივაცია, ცოდნა, მეორე მხრივ, კლიენტის მოლოდინი და ქცევა, ქმნის მომსახურების წარდგენის პროცესს და ამიტომ, ყოველი მომსახურება წარმატებული უნდა იყოს პირველივე ურთიერთობიდან, გარე მომხმარებლის კმაყოფილება განაპირობებს კომპანიის წარმატებას, რადგანაც სწორედ ის წარმოადგენს მომსახურების საფასურის გადამხდელს.

მეტად საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ნებისმიერი ქვეყანა, მათ შორის საქართველოც, რომელიც ცდილობს განავითაროს თავის ქვეყანაში ტურიზმი, როგორც მომსახურების სფერო, ჯერ აუცილებლად უნდა გაერკვეს და გამოავლინოს თავისი ქვეყნის ტურისტული და ტურმომსახურების განვითარების საერთო, ზოგადი ტენდენციები და კანონზომიერებანი; უნდა იპოვოს სპეციფიკური თავისებურებანი, რომელიც საკმაოდ გააჩნია და რომელიც მხოლოდ მისთვისაა დამახასიათებელი და განსხვავებს ქვეყანას სხვა ქვეყნისგან. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა ვერ შეძლებს წარსდგეს ტურისტული ბაზრის (ტურისტული მომსახურების

მყიდველების) წინაშე. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემების მიხედვით საერთო მოხმარების მოცულობა შეადგენს დაახლოებით მსოფლიო ექსპორტის 25%-ს.

ექსპორტის ახრით, ყოფილ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში (მაგ., საქართველო, ყირგიზეთი, მოლდოვა და სხვა) მომსახურების სფეროს ინტენსიურ განვითარებას ხელი შეუწყო არსებული მომსახურების სფეროში მედიაციის, სპეკულაციის მომსახურების ოპერაციების წილის მკვეთრმა ზრდამ. ამასთან ერთად, ტრადიციულ ტურიზმში უპირატესობა მიენიჭა დასვენების, მოგზაურობებისა და ახალი შთაბეჭდილებების რეკრეაციულ მნიშვნელობას, რაც ერთობადა ზრდის ჩვენი ქვეყნის უმდიდრესი რეკრეაციული პოტენციალის როლს და მნიშვნელობას. საქართველო უღამაზესი ბუნებისა და კურორტების ქვეყანაა (გაგვანია 102 კურორტი და 182 საკურორტო ადგილი) საინტერესო გეოგრაფიული მდებარეობითა და უნიკალური კლიმატური პირობებით, კულტურული-რელიგიური, არქეოლოგიური, არქიტექტურული პოტენციალით (12000 ძეგლი), ხელუხლებელი ლანდშაფტებით - ეკოლოგიურად ადაპტირებულ დაცულ ტერიტორიებთან ერთად (რომელიც ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის 7%-ს შეადგენს და რომელთა 75% ტყეებითაა დაფარული), მრავალფეროვანი ბუნებითა და უმაღლესი მთებით. ქვეყნის ტერიტორიის 85%-ზე მეტი მთებშია გაბნეული. რეგიონები მდიდარია მჭკვე და მინერალური წყლებით (2400, აქედან 2000-ზე მეტი აღრიცხული და შესწავლილი). ტურისტულ და სამოგზაურო კომპანიებს შეუძლიათ ტურისტებს შესთავაზონ ისეთი შემცენებითი ტურები, როგორცაა ისტორიული ძეგლების და არქეოლოგიური მხარეების მონახულება, 5000 მ სიმაღლის პიკებზე ასვლა, თევზაობა მთის მდინარეებში, კარსტული მღვიმეების და უძველესი საცხოვრებელი ადგილების დათვალიერება, ღვინის სადგეუსტაციო ექსკურსიების ორგანიზება, რომელიც ფუფუნება ყურძნის 500-ზე მეტი ადგილობრივი და უნიკალური ჯიშის მოყვანის ტრადიციებს (მთავრობის ოფიციალური საიტების მონაცემებით, იუნესკომ სულ ახლა „ქართული ღვინის ქვეყნიდან ტექნოლოგია“ საოცრებათა ნუსხაში შეიტანა) და აგრეთვე ადგილობრივი რეცეპტებითა და ტრადიციებით მდიდარი სამზარეულოს გაცნობა, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებსა და სოფლებში ტრადიციულ სამთო დღესასწაულებზე დასწრება და ა. შ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა ხასიათდება ფინანსური რესურსების მწვავე დეფიციტით და ამ კრიზისის დაძლევის ერთადერთი გზაა ეკონომიკაში ეფექტიანი, მაღალმოშვებანი დარგების განვითარება, მაშინ ტურიზმის, როგორც მომსახურების სფეროს განვითარება, ხელს შეუწყობს ქვეყანაში ეკონომიკურ ზრდას, სავალუტო შემოსავლებისა და დასაქმების ზრდას, ეროვნული ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის ფასეულობათა მსოფლიო ასპარეზზე გატანას, პოპულარიზაციას და მათი შენარჩუნების ფინანსურ უზრუნველყოფას.

თავის მხრივ, ტურინდუსტრიის სექტორების სტრუქტურული შემადგენლობა გვინგნებს, რომ დარგის ეკონომიკური ეფექტიანობა დამოკიდებულია მის მრავალმხრივ განვითარებაზე და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური კომპლექსის სხვა დარგებთან მჭიდრო კავშირზე, როგორცაა: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, ფართო მოხმარების საქონლის წარმოება და სხვა. ხოლო, მისი სტრუქტურების ეფექტურობა შეიძლება განისაზღვროს დასაქმებულთა ხვედრითი წილით საერთო მაჩვენებელთან მიმართებაში. დასაქმებულების დიდი წილი მოდის განთავსების საშუალებებსა და რესტორნებზე, ტურისტთა მომსახურებაზე, რომელთაგანაც უმნიშვნელოვანესია, როგორც უკვე აღვნიშნეთ: განთავსება, კვება, ტრანსპორტი და მიზნობრივი მომსახურება.

დიდ ბრიტანეთში მთლიანად ტურინდუსტრიის ყველა სექტორში დასაქმებულია მოსახლეობის 60%, გერმანიაში - 55%. მსოფლიოს ყველა განვითარებული ქვეყნებისათვის ეს მაჩვენებლები მაღალია. საქართველოს შემთხვევაში კი, 2013 წლის ტურიზმის სტატისტიკის მიხედვით, დასაქმებულთა ყველაზე დიდი წილი მოდის ტრანსპორტის სექტორში (57%) და სასტუმროებსა და რესტორნებში (20%). დასაქმება ამ უკანასკნელში გაიზარდა 17%-ით, ტრანსპორტში კი 6%-ით. მთლიანობაში, დასაქმების შემცირება 6%-ია, რაც გამოწვეულია ტურიზმის სხვა სექტორებში ამ მაჩვენებლის კლებით. 2012 წელს ტურიზმში დასაქმების კონტრიბუცია მთლიან დასაქმებაში შეადგენდა 10%-ს.

ტურისტულ სფეროში ფუნქციონირებს სხვადასხვა ტურისტული საწარმოები.

მათი ერთი ნაწილი კლიენტებს აწვდის მხოლოდ ტურისტულ მომსახურებას, სხვებისათვის ტურიზმი მათი კომერციული საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა. არსებობს პირველადი და მეორადი მომსახურების სფეროს ტურისტული საწარმოები. პირველადია, მაგალითად, სასტუმროები და ტურბიუროები, რესტორნები ან კაფეები სანატორიუმებში ან დასასვენებელ სახლებში, მაგრამ ასეთი რესტორნები და კაფეები ქალაქში უკვე არ არის უშუალოდ ტურისტული საწარმოები, რამდენადაც ასრულებენ მეორად ტურისტულ ფუნქციებს.

როგორც 1 ცხრილიდან ჩანს, 2009-2013 წლისათვის საქართველოში საგრძნობლად იმატა როგორც სასტუმროების (836), ისე სტუმართა რიცხვმა (1255,5) სასტუმროებში, ხოლო 2009 წელთან შედარებით, ადგილების საერთო რაოდენობა კი 4-ჯერ გაიზარდა. ასევე სასტუმროების დატვირთვაც წლის განმავლობაში მზარდია, მაგრამ ეს ზრდა ჯერ კიდევ მიზერულია მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლისათვის.

ცხრილი 1

სასტუმროების საქმიანობის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები [6]

	2009	2010	2011	2012	2013
სასტუმროების* რიცხვი – სულ	386	462	616	777	836
მათ შორის საკუთრების მიხედვით:					
სახელმწიფო	19	15	13	10	5
არასახელმწიფო	367	447	603	767	831
საერთო ფართობი, ათასი მ <sup>2</sup>	536.9	611.0	747.7	875.5	889.6

აქედან იჯარით გაცემული	26.3	41.5	30.0	31.6	29.1
ნომრების საერთო რიცხვი მათ შორის:	9393	10564	12901	14463	15351
ლუქსი	746	947	1168	1578	1661
ერთადგილიანი	1813	2032	2420	2375	2456
ორადგილიანი	5479	5873	7382	7983	8367
სამი და მეტადგილიანი	1355	1712	1931	2527	2867
ყველა ნომრის საცხოვრებელი ფართობი, ათასი მ <sup>2</sup>	230.1	257.9	332.9	404.6	423.1
ადგილების საერთო რაოდენობა	18741	21086	25833	33029	32165
სტუმართა რიცხვი წლის განმავლობაში, ათასი კაცი	350.0	596.9	853.0	1185.1	1255.5
აქედან არარეზიდენტი	150.9	306.5	438.5	625.5	773.8
სასტუმროებში მომუშავეთა რიცხოვნობა	4824	6161	7416	8561	8735
აქედან ქალები	2834	3508	4375	5079	5189

\* კანონმდებლობის შესაბამისად დარეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტები (არ იგულისხმება საოჯახო სასტუმროები, რომლებიც არ არის დარეგისტრირებული).

2013 წ. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ მოგზაურობის დროს ტურისტების 43%-მა ამჯობინა სასტუმროებში განთავსება, მესამედზე მეტი - 33% დარჩა მეგობრებისა და ნათესავების კერძო ბინაში. სხვა ტიპის ბინების საშუალებები ნაკლებად გამოიყენება საერთაშორისო ვიზიტორების მიერ. 10% სასტუმროს სახლის პოტენციალში დარჩა, ნაქირავები ბინა გამოიყენა 7%-მა, საკუთარი სახლი - 5%-მა, ტრაილერი, ბანაკი - 3%-მა, დანარჩენი სხვა - 6%-მა. ამასთან, ტურისტების დიდი ნაკადის გამო, რომელიც 2012 წელთან შედარებით 22%-ით გაიზარდა, განსაკუთრებით იზრდება მოთხოვნა საშუალო კლასის სასტუმროებზე. მთიან რეგიონებში ტურისტთა უმრავლესობის განთავსება ხდება მცირე და საშუალო ზომის საოჯახო სასტუმრო სახლებში - საბაზრო მომსახურებით. ეს სტუმარს აძლევს უნიკალურ შესაძლებლობას, ახლოს გაეცნოს ადგილობრივ მცხოვრებლებს, მათ კულტურასა და ტრადიციებს. ყველაზე მეტი ტურისტი ჩამოდის ბუნების დასათვალიერებლად - 52%, კულტურული დასვენების მიზნით კი ჩამოდის 23%, სათავგადასავლო მიზნით -13%, ღვინო, სამზარეულოს გაცნობის მიზნით - 5%, დასვენების და რელაქსაციის მიზნით - 4%, დანარჩენები - 1%-1%.

ასევე საინტერესოა სასტუმროებისა და რესტორნების მომსახურების მოცულობა 2013 წელს 2009 წელთან შედარებით, სტატისტიკა მე-2-ე ცხრილიდან ასე გამოიყურება.

**ცხრილი 2**

**სასტუმროებისა და რესტორნების მომსახურების მოცულობა [6]**

	2009	2010	2011	2012	2013	2013-2009 (%)
მლნ ლარი (ფაქტობრივად მოქმედ ფასებში)						
სასტუმროები <sup>1</sup> რესტორნები	75.9 175.2	102.0 245.3	132.0 390.1	165.5 487.0	194.6 508.9	256.4 290.5
მთელი მოცულობიდან არასახელმწიფო სექტორი	74.4 175.2	101.5 245.3	130.8 368.6	164.8 399.0	280.0 466.9	376.3 266.5
პროცენტობით წინა წელთან (მუდმივ ფასებში)						
სასტუმროები	101.9	137.6	127.0	124.3	114.5	12.4
რესტორნები	131.9	132.8	145.9	117.4	101.7	77.1

<sup>1</sup>შემოსავალი ნომრებით სარგებლობიდან.

სასტუმროებში ნომრების სარგებლობიდან შემოსავალი 2009 წელთან შედარებით 2013 წლისათვის 56.3%-ით გაიზარდა, ხოლო ძირითადი საქმიანობის მიხედვით რესტორნებიდან შემოსავალი კი - 90,5%-ით. კერძოდ, 2009 წელს სასტუმროებიდან შემოსავლები თუ იყო 75.9 მლნ ლარი, 2013 წლისათვის 194.6 მლნ-მდე გაიზარდა, ხოლო რესტორნებიდან შესაბამისად შემოსავლები გაიზარდა 175.2 მლნ. ლარიდან 508.9 მლნ ლარამდე.



რაც შეეხება რეგიონებში რესტორნების მომსახურების მოცულობის მაჩვენებლებს მე-3-ე ცხრილის მიხედვით შემდეგია:

**ცხრილი 3**

**რესტორნების (კეების საწარმოების) მომსახურების მოცულობა რეგიონების მიხედვით [6]**  
(ათასი ლარი)

	2009	2010	2011	2012	2013	2013წ.(%)
საქართველო – სულ	175185	245277	390125	487052	508903	100
მათ შორის:						
ქ. თბილისი	134435	214596	328717	395030	386106	75.9
აჭარის არ	5462	8554	19437	35117	54341	10.7
გურია	661	555	3428	3186	4150	0.81
იმერეთი	5999	6565	21511	16022	21826	4.3
კახეთი	469	1167	1977	2014	6476	1.3
მცხეთა-მთიანეთი	1821	3228	4017	13812	10532	2.1
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	70	100	229	13	202	0.04
სამეგრელო-ზემო სვანეთი	19966	5889	4677	3558	8751	1.7
სამცხე-ჯავახეთი	858	1394	3733	3562	4393	0.9
ქვემო ქართლი	3713	2454	6555	9295	8267	1.6
შიდა ქართლი	1731	775	5204	5443	3859	0.8

2013 წლისათვის საქართველოში რეგიონების მიხედვით რესტორნების მომსახურებიდან შემოსავლების მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა თბილისის რეგიონი, რომლის მოცულობაც 75,9%-ს შეადგენს, შემდეგ მოდის: აჭარის რეგიონი - 10.7%; იმერეთი - 4,3 %; მცხეთა-მთიანეთი - 2,1%; სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი - 1,7%; ქვემო ქართლი - 1,6%; კახეთი - 1,3% და ა.შ., თუმცა აღსანიშნავია, რომ, სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, სადაც ყველგან მეტ-ნაკლებად შემოსავლების ზრდა შეიმჩნევა, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში პირიქით 2009 წელთან შედარებით რესტორნების მომსახურებიდან შემოსავლების ხვედრითი წილი 11,4%-დან 2013 წლისათვის 1,7%-მდე დაეცა.

საბოლოოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ წარმოდგენილი სტატისტიკის თანახმად, შეიმჩნევა ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში ტურიზმის, როგორც მომსახურების დარგის, როლის ზრდის ტენდენცია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არის მომსახურებათა ექსპორტორი ქვეყანა, რაშიც ტურიზმის ხვედრითი წილი 60%-ს შეადგენს, ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში ტურიზმის ხვედრითი წილის აბსოლუტური მოცულობა მაინც არ არის შთაბეჭდავი, რაც განპირობებულია როგორც ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური არასტაბილურობით, ისე ტურიზმის სფეროში მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების ჯერ კიდევ დაბალი დონით; აუცილებელია, სათანადო ყურადღება დაეთმოს მომსახურების სფეროს ხარისხის გაუმჯობესებასა და რეგიონებში საშუალო ფასიანი სასტუმროებისა და საოჯახო სასტუმროების განვითარების ხელშეწყობას, უნდა იყოს გათვალისწინებული მომსახურების პროგრამების არაღიფერენციურობა, მომსახურებისა და მისი ფასების სხვადასხვა დონეების შესაბამისი წინადადებების სუსტი განვითარება, ტურისტული მომსახურების საერთაშორისო დონის სტანდარტებისაგან ჩამორჩენა, რაც გარკვეულწილად შეუწყობს ხელს რეგიონულ დონეზე ტურიზმის განვითარებაში არსებული პრობლემების აღმოფხვრას. ამასთან, ქვეყანაში არსებული სასტუმროებისა და რესტორნების შედარებით ფართო ინფრასტრუქტურის მიუხედავად, თითქმის ყველგან (განსაკუთრებით რეგიონებში) დაბალია მომსახურების კულტურა და, უფრო ხშირად, საერთოდ არ არის ადაპტირებული ტურისტული მომსახურების პრინციპებთან, რაც ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემაა, განსაკუთრებით საქართველოს რეალობისათვის. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ჩვენს საგანმანათლებლო სისტემას არ ძალუძს ასწავლოს სწორი მომსახურება, ეს უკანასკნელი კი მოითხოვს ტურიზმის სფეროში მომუშავე კადრების გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებისა და მომსახურების ეთიკურობის პრინციპების გათვალისწინებას.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. საქართველოს ტურიზმის სტატისტიკური მიმოხილვა, 2013.
2. ნადირაშვილი გ., ჯანგულაშვილი დ., ტურიზმის საფუძვლები, თბ., 2014.
3. ქობლიანიძე თ., მელაძე მ., ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი, თბ., 2012.
4. <http://milanas.info/2010/04/04/международный-туризм-состояние-и-пер/>
5. ოქროცვარიძე ა., ვადაჭკორია მ., ოქროცვარიძე ლ., ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი, თბ., 2011.
6. საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტის წელიწადული. 2014.
7. <http://www.tophotelprojects.com/en/tourism-record-georgia-several-new-hotels-are-planned>

## SOME ASPECTS OF TOURIST SERVICE DEVELOPMENT IN NATIONAL ECONOMY OF THE COUNTRY

## Annotation

The article discusses some aspects of tourism development as a service sector and its impact on national economy. Are also reviewed some economic characteristics and sizes of service sphere in Georgia which can influence the development of national economic policy and are underlined those hampering factors, the decrease and eradication of which ensures the increase of country competitiveness, the creation of working places and active involvement in the processes of national economic development

## გივი ყუფარაძე

## ტურისტისა და ბიზნის ტანსაცმელი და ფეხსაცმელი

ბოლო წლებში საქართველოში საგრძობლად გაიზარდა უცხოელ ტურისტთა და ვიზიტორთა რიცხვი. წლის განმავლობაში საქართველოს საზღვარზე გადაადგილებულ ვიზიტორთა რაოდენობა 5 მილიონს აღარბეჭდს. ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევები აჩვენებს, რომ უცხოელ ვიზიტორთა დაახლოებით 30%-ის ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლის მიზანი დასვენება და რეკრეაციაა.

ტურიზმის სახეებიდან, რომლებიც ყველაზე მეტად კონკურენტუნარიანია საერთაშორისო ბაზარზე, შეიძლება გამოიყვანოს კულტურული ტურიზმი, ეკოტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი;

რა თქმა უნდა, არც ერთი ტურისტული პროდუქტი „სუფთა“ სახით არ მოიხმარება. ჩვენს სინამდვილეში, ძირითადად, ადგილი აქვს ორი ან რამდენიმე მათგანის კომბინაციას და ამ მიქსში რომელიმე დომინანტური როლი ენიჭება. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, საერთაშორისო ბაზრებისათვის ძირითადად ხდება ე.წ. „აღმოჩენითი ტურიზმის“ (დისკოვერი ტურიზმი) შეთავაზება [1].

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ, იშვიათი გამონაკლისის გარდა (ექსკურსიები მუზეუმებში, ე.წ. „სიტი ტურები“, ზღვისპირა დასვენება), უცხოელ თუ ადგილობრივ ტურისტსა და გამყოფს აუცილებლად სჭირდებათ სათანადო ეკიპირება, რომელიც მათ კომფორტულ და უსაფრთხო მოგზაურობას უზრუნველყოფს.

სამწუხაროდ, საქართველოში ცოტაა ისეთი, თუნდაც ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებული ადამიანი, რომელიც კარგად და სიღრმისეულად ერკვევა თანამედროვე ტურისტულ ტანსაცმელში, ფეხსაცმელსა თუ აღჭურვილობაში გამოყენებულ მასალებსა და ტექნოლოგიებში.

სტატიის ფორმატი, რა თქმა უნდა, საშუალებას არ იძლევა, დეტალურად იქნეს განხილული ტურისტულ ეკიპირებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, მაგრამ საკვებით შესაძლებელია მინიმალური საბაზისო ინფორმაციის მკითხველისათვის მიწოდება. იგი დაეხმარება ადგილობრივ ტურისტებს, ტურიზმის სპეციალისტებს და ამ ინდუსტრიაში დასაქმებულ ადამიანებს, სწორად შეარჩიონ აქტიური დასვენებისათვის საჭირო ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, კარავი, საძილე ტომარა, ზურგჩანთა თუ სხვა.

## მასალა

რა არის მემბრანული ნაწარმი? რატომ არის მემბრანული ტანსაცმელი ან ფეხსაცმელი მიმზიდველი? მთელი მისი არსი იმაშია, რომ გარედან წყალს არ ატარებს, ხოლო შიგნიდან გარეთ გამოაქვს ზედმეტი სინთეტიკა (მარტივად და უხეშად – ოფლი), ამასთან ერთად, იცავს ადამიანს წვიმისა და ქარისაგან. პროდუქციას ამ თვისებებს ანიჭებს სპეციალური მასალა – მემბრანა, რომელიც ერთ მხარეს, შიგნიდან გარეთ, თავისუფლად ატარებს ტანის ზედაპირზე წარმოქმნილ ორთქლის მოლეკულებს, ხოლო მეორე მხრიდან არ უშვებს წვიმის წვეთებს. პარამეტრები, რომლებიც ახასიათებს ამ ძირითად თვისებებს არის წყალმედვეობა და სუნთქვადობა (ორთქლის გატარების უნარი).

სუნთქვადობა აღნიშნავს წყლის იმ რაოდენობას გრამებში, რომელიც 24 საათის განმავლობაში შეიძლება გავიდეს მემბრანის ერთ კვადრატულ მეტრში. მაგალითად, 10.000 გ/მ<sup>2</sup>/24 სთ ნიშნავს, რომ 10 კგ (პრაქტიკულად 10 ლიტრი) წყალი შეიძლება აორთქლდეს ადამიანის ტანის ზედაპირიდან დღე-ღამის განმავლობაში, მემბრანის 1 მ-ის ფართობზე ისე, რომ ქურთუკის შიგნით ან კანზე არ წარმოიქმნას კონდენსატი.

ადვილად მიხვდებით, რამხელა რესურსზეა საუბარი. ჩემი გამოცდილებით, შემოდგომასა და ზამთარში 3000–5000 გ/მ<sup>2</sup>/24 სთ-დან დაწყებული სუნთქვადობა უკვე კომფორტული და საკმარისია. ხოლო წლის თბილ დღეებში და ისეთი აქტიურობისათვის, რომელიც შორ მანძილებზე და რთულ ადგილებში სიარულს ან თხილამურებზე სწრაფ სრიალს ან ველოსიპედით მთაში ასვლას გულისხმობს, საუკეთესოა 6000–7000 გ/მ<sup>2</sup>/24 სთ მემბრანის გამოყენება. თუმცა, უნდა იცოდეთ, რომ მაღალი ხარისხის ტანსაცმელს 25.000 გ/მ<sup>2</sup>/24 სთ სუნთქვადობის მაჩვენებელი აქვს.

წყალმედვეობა ან წყალგაუმტარობა – მასალის უნარია, ნალექების დროს წინ აღუდგეს წყლის ტანსაცმელში ან ფეხსაცმელში შეღწევას. იგი აღინიშნება წყლის სვეტის სიმაღლით მილიმეტრებში, რომელსაც უძლებს მემბრანის ქსოვილი ისე, რომ არ დასველდეს. საშუალო წვიმის დროს ხანგრძლივი და გარანტირებული დაცვისათვის სჯობს 7000–8000 მმ-იანი, ძლიერი თქემის დროს –10000–12000 მმ-იანი მემბრანა. თუმცა, ამ მაჩვენებლების წერისას ერთგვარად თავს ვიზღვევ, თორემ 5000 მმ-იანი ტანსაცმლის ხმარებისას, მე პირადად, საქართველოში პრობლემა არასოდეს შემიქმნია.

ქარგაუფლობა (ე.წ. „Wind stopper“) – ეს მასალის თანამდევია, გვერდითი მაჩვენებელია, რომელიც აღნიშნავს მასში ჰაერის ნაკადის გავლის ხარისხს. ამ მაჩვენებელს მნიშვნელობა ენიჭება გაზაფხულზე, შემოდგომა და ზამთარში. რა თქმა უნდა, ეს ბუნებრივიცაა, რადგან მემბრანული ტანსაცმელი, პირველ რიგში, სწორედ ამ სეზონებზე გამოსაყენებლადაა განკუთვნილი.

არსებობს ბევრი ასეთი ტიპის სხვადასხვა მემბრანა, რომელთაგან ყველაზე ცნობილია GORE-TEX®, SIMPATEX®, ISOTEX®, HYVENT® და სხვა. იმისათვის, რომ კარგად გაიგოთ და თვალსაჩინოდ წარმოიდგინოთ მემბრანების სტრუქტურა და მუშაობის პრინციპი, განვიხილოთ ყველაზე ცნობილი მემბრანა GORE-TEX.

იმის წარმოსადგენად რა ტექნოლოგიებთან გვაქვს საქმე, დავძენ, რომ GORE-TEX-ის მემბრანას ერთ კვადრატულ სანტიმეტრზე აქვს 1,4 მილიონი მიკრო ფორა (ნახვრეტი). ხოლო ყოველი ეს ფორა 20.000-ჯერ უფრო პატარაა, ვიდრე წყლის წვეთი (წარმოდგენაც კი ძნელია!). სამაგიეროდ, მათში შიგნიდან გარეთ ადვილად გამოდის ორთქლის მოლეკულები, რადგან ისინი 700-ჯერ (!) პატარაა, ვიდრე GORE-TEX-ის მიკროფორა [2]. ადვილი მისახვედრია, რომ მემბრანა ძალიან თხელია, მხოლოდ 1 მკმ-ის (მიკრომეტრი-მეტრის მემილიონედია) სისქისაა. ამიტომ იგი ძალიან სუსტი და ფაქიზია და მისი გამოყენება მხოლოდ კარკასულ ქსოვილზე დატანით ხდება. კარკასის გამძლეობაზე დამოკიდებული ქსოვილის საექსპლუატაციო თვისებები.

ტანსაცმლის ქსოვილი შეიძლება დამატებით იყოს დამუშავებული სხვადასხვა დაფარვებით, შემავსებლებით და გამქვინთავე ნივთიერებებით. მაგალითად, ეტიკეტზე წარწერა „PU“ აღნიშნავს წყალამრეკლ პოლიურეთანულ დაფარვას, რაც უზრუნველყოფს წყლის წვეთების ჩამოგორებას ქსოვილის ზედაპირზე და ტანსაცმლის დაცვას. ძალიან საინტერესო ტექნოლოგიაა, რომელიც ტანსაცმელზე უფრო ხშირად კარგების გარეშა ტენტებსა და ზურგჩანთებში გამოიყენება. ეს იმიტომ, რომ ორი მინუსი აქვს. პირველი – მისით დაფარვის შემდეგ სუნთქვადობა თითქმის 2-ჯერ მცირდება. მეორე მინუსია ის, რომ ხანგრძლივად დაფარვის შენარჩუნება ვერ ხერხდება. როგორც წესი, სრულფასოვნად იგი მხოლოდ პირველ გარეცხვამდე მუშაობს.

შეიძლება შეგხვდეთ წარწერა DWR (Durable Water Repellence) – წყალამრეკლ დაფარვა, რომელიც არ ატარებს წყალს ქსოვილის ზედა შრის ქვემოთ (მასში იწოვება). DWR-ით დაფარულ ტანსაცმელზე წყალი უბრალოდ წვეთებად ჩამოგორდება ქსოვილიდან.

### ტანსაცმელი

გარდა იმისა, რაც მემბრანულ ტექნოლოგიებზე ზემოთ აღვნიშნეთ, ტანსაცმლის ფუნქციონალურობასა და კომფორტულობას უამრავი სხვა დეტალიც განსაზღვრავს.

მაგალითად, ტანსაცმლის წყალმედეგობას, მემბრანის თვისებების გარდა, განაპირობებს შემდეგი:

- დაწებებული ან დაღუღებული ნაკერები (ტანსაცმლის ყიდვისას ამ ფაქტს აუცილებლად მიაქციეთ ყურადღება). შეიძლება შეგხვდეთ ასეთი წარწერა Sew Free – ნიშნავს ნაკერების დაწებების ისეთ ტექნოლოგიას, რომლის დროსაც ნაკერების შიდა მხრიდან მაღალ ტემპერატურაზე წებდება ან დუღდება სპეციალური ლენტი, რათა თავიდან ავიცილოთ მათში წყლის გაჟონვა.

- ელვა, რომელიც გარედან რეზინითაა დაფარული. ეს რეზინის საფენები ხელს უშლის ელვაში წვიმის წყლის გასვლას.

- კისრისა და თეძოების მიდამოებში მოსაქანი რეზინები, ხოლო სახელოებზე დასაფიქსირებელი ფხრიწები, ასევე, ხელს უშლის წყლის შეღწევას ტანსაცმლის შიგნით.

- სასურველია, ქურთუკს ზურგის მხარე დაგრძელებული ჰქონდეს, რაც ქარისაგან უკეთეს დაცვას უზრუნველყოფს.

- ძალიან კომფორტულია იდლიის მიდამოებში დამატებითი სავენტილაციო ღიობები, რომლებიც ელვით იკვრება.

- ხშირად ტანსაცმლის შიდა ნაწილი ბადისებრი ქსოვილისაა. ეს ბადე ქმნის ჰაერის დამატებით შრეს, რაც დაბალი ტემპერატურისაგან დაცვის კიდევ ერთი საშუალებაა.

- ასევე მოსახერხებელია ელვის ორმაგი შესაკრავები, რომლებიც საშუალებას იძლევა, ქურთუკი გავიხსნათ ზემოდანაც და ქვემოდანაც.

- კარგია თუ ქურთუკს აქვს ჩასაკეცი ან მოსახსნელი კაპიუშონი. დამატებითი კომფორტია შიდა ზედაპირზე ან ჯიბეში ჩამაგრებული თასმა შესაკრავით, მაგ., გასაღებებისათვის. ასევე, სასურველია ჯიბეები, რომლებიც დაცული ელვით იკვრება.

რა თქმა უნდა, ყველა დეტალის აღნიშვნა ძნელია, მაგრამ ზემოჩამოთვლილიდან ადვილად მიხვდებით, რომ ასეთი ტიპის ტანსაცმელში უსარგებლო და მეორეხარისხოვანი დეტალები პრაქტიკულად არ არის.

### ფეხსაცმელი

ფეხსაცმელში, ისევე, როგორც ტანსაცმელში, ძალიან მნიშვნელოვან როლს მემბრანული ტექნოლოგიები თამაშობს. თუმცა, სუნთქვადობისა და წყალგაუმტარობის გარდა, ფეხსაცმლის ხარისხს მრავალი სხვა ფაქტორიც განაპირობებს. კერძოდ: ამორტიზაცია, სუპინაციისა და პრონაციისაგან დაცვა, ფეხსაცმლის, და, შესაბამისად, კოჭის სახსრის დეფორმაციისაგან დაცვა და სხვა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რომლითაც სპორტული და სამთო ფეხსაცმელი უნდა შეფასდეს, არის ძირის ამორტიზაციული თვისებები. ამ მიზნით, სხვადასხვა კომპანია სხვადასხვა ტექნოლოგიას იყენებს (Vibram, Asics GEL). თუმცა, მათი დანიშნულება ერთია – სიარულის ან სირბილის დროს შეამციროს დარტყმები ქუსლისა და ფეხის თითების არეში და უზრუნველყოს კარგი არეკვლალობა მიწიდან.

იტალიური კომპანია ვიბრამი (Vibram) ითვლება მსოფლიო ლიდერად ამ სფეროში, რომელიც უკვე 70 წელზე მეტია აწარმოებს სამთო ფეხსაცმლის რეზინის ძირსა და ლანჩებს. მისი უპირატესობა ისაა, რომ ამ ტექნოლოგიის გამოყენებით შექმნილი ფეხსაცმელი ერთნაირად კარგად მუშაობს სხვადასხვა სიტუაციასა (აღმართი, დაღმართი) და პირობებში (კლდე, ბალახი, ტალახი, თოვლი, ყინული). ფეხსაცმლის მწარმოებელი ყველა წამყვანი კომპანია იყენებს ვიბრამის ძირებს და ამიტომაც ყოველწლიურად ამ ფირმის 35 მილიონი ლანჩი იყიდება მთელს მსოფლიოში [3, 4]

### მოვლა

მემბრანული მასალა ძალიან ნაზი და ფაქიზია, ამიტომ განსაკუთრებულ მოვლას საჭიროებს. ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის სიცოცხლისუნარიანობა პირდაპირად დამოკიდებული მათი ექსპლუატაციის პირობებზე. დაიმასხვრეთ, აუცილებელია მოვლის ელემენტარული წესების დაცვა.

დაიცავით პროდუქტი მაღალი ტემპერატურისაგან. არ დაჯდეთ ამ ტანსაცმელით კოცონთან ახლოს, არ მიაფიცხოთ ტექნოლოგიური ფეხსაცმელი ცეცხლს.

თუ ფეხსაცმელი დაგისველდათ – მაგ., გაიარეთ მდინარეში და ზემოდან წყალი ჩაგივიდათ. მის გასაშრობად ცეცხლზე დაადგით წყალი, ჩაყარეთ მასში პატარა ქვები და დაელოდეთ აღუდებს. შემდეგ წყალი გადაწურეთ, ცოტა დააცადეთ შეგრილება (ისე, რომ ხელი არ დაგწვიათ) და ეს ცხელი მშრალი ქვები ჩადეთ ფეხსაცმელში. თანამებოთ ჩამოკიდეთ სადმე გადახურულში, მაგალითად კარავში ან მის ტამბურში, რათა გარედან წვიმამ აღარ დაასველოს. 1 საათში, მაქსიმუმ 2 საათში ფეხსაცმელი გაშრება. კარგი მეთოდია, რადგან ცხელი ქვები შიგნით არსებულ ნესტს ააორთქლებს, მემბრანა მას სწრაფად გაატარებს და ფეხსაცმელი გაშრება.

ხშირი რეცხვა სასურველი არ არის, მაგრამ როცა აუცილებელია, ჯობს მოაშოროთ ჭუჭყი, რომელიც მემბრანის ფორებს ავსებს და შესაბამისად სუნთქვალობას აუარესებს. რეცხვა უნდა მოხდეს არაუმეტეს 30 გრადუსიან წყალში. ხელით რეცხვა მეტად იცავს ტანსაცმელს. სარეცხ საშუალებად არ გამოიყენოთ ჩვეულებრივი ფეხსაცმელი (არიელი, ტაიდი და მისთანანი), ისინი მომენტალურად შლიან მემბრანულ მასალებს. სარეცხ საშუალებად რეკომენდებულია სპეციალური შამპუნები.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოში ტურიზმის განვითარების კონცეფცია. თბილისი, 2001, გვ. 9.
2. <http://www.gore-tex.com/remote/Satellite/content/fabric-technologies>
3. <http://www.lasportiva.com/>
4. <http://en.wikipedia.org/wiki/Vibram>

*Givi Kupradze*

### CLOTHES AND FOOTWEAR OF TOURISTS AND GUIDES Annotation

In recent years, Georgia has significantly increased the number of foreign tourists and visitors. Not counting a few exceptions, (Excursions to museums, city tours, a seaside vacation) foreign and local tourists and their local guides definitely need the proper equipment, which will provide their comfortable and safe journey. There are a few people in Georgia even if they are employed in the tourism industry, which have a deep knowledge of used materials and technologies in modern tourism clothes and footwear. Membrane technology is irreplaceable in this regard, because it does not allow water from outside to get inside, and takes the extra moisture from the inside out and protects a person in the rain and wind. Besides the membrane technologies, there are various important details in the equipment (Sew-Free stitches, Rubber coated zippers, Anti-wind velcro and rubbers, Dual zippers, Special shoe soles, Protectors and etc.). Because of there are used a very thin, millionth of a meter thick membranes in such a high-tech clothes and shoes, a great attention should be paid to their care. Special detergents and shampoos should be used for this.

The present article discusses the above mentioned issues and it will help local tourists, tourism students and people employed in this industry, to choose properly the active leisure clothing and footwear.

*ლია ჩარეკიშვილი*

### საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სტატისტიკური ანალიზი

#### შესავალი

საქართველოში შექმნილი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისის ფონზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა საყოველთაო ჯანდაცვის შემოღება. აღნიშნულმა მიზეზებმა განაპირობა სწორი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განხორციელება ჯანდაცვის სფეროს გარდასაქმნელად და მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გასაზრდელად.

2012 წლის შემოდგომიდან ამოქმედდა ფართომასშტაბიანი ჯანმრთელობის საყოველთაო დაზღვევის პროგრამა, რომელმაც საქართველოს მრავალი მოქალაქის ოჯახში შეაღწია და, შეიძლება ითქვას, რომ მდგომარეობა შეუმსუბუქა მათ როგორც ჯანმრთელობის, ასევე ფინანსური სახსრების ხაზითაც, რამდენადაც სამედიცინო ჩარევების ფასები საკმაოდ მაღალია.

ქვემოთ მოყვანილი მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკური ანალიზი იმის მკაფიო გამოსატყულებაა, თუ როგორ გაიზარდა მოსახლეობის მიმართვიანობა ჯანდაცვის მომსახურებაზე.

#### 1. საქართველოს ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე პროცესები

ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმიანობა, სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულება. ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა, ეს არის ერის მომავალზე აქტიური ქმედება. ამ აქტივობის პრიორიტეტულობაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ მილენიუმის განვითარების ინდიკატორებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ჯანდაცვის მაჩვენებლებს.

სახელმწიფო სტრატეგია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მიმართულია ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისა და სიღარიბის აღმოფხვრისკენ. ეს არის ჩვენი ქვეყნის პოლიტიკის სამოქმედო გეგმა, რაც გამოიხატება ჯანდაცვაზე მისაწვდომობის გაუმჯობესებაში საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენისთვის საქართველოს ყველა რეგიონში.

თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საყურადღებოა აგრეთვე კერძო დაზღვევა, რომელზე მისაწვდომობაც, რა თქმა უნდა, ყველასთვის შესაძლებელია.

აქვე ყურადღება უნდა გავამხვილოთ იმაზე, რომ ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ დიდი პრობლემაა სიღარიბე. სწორედ ამიტომ შემუშავებულია სხვადასხვა სახის დახმარების პროგრამები სოციალურად დაუცველი და იძულებით გადაადგილებული პირებისთვის. მიუხედავად ამისა, პრობლემები მაინც გადაუჭრელია. ის კიდევ უფრო ღრმად სოფლის მოსახლეობაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის ექიმი-მეწარმის დამკვიდრებით სოფლის მოსახლეობის ჯანმრთელობის მომსახურება გაუმჯობესდა.

ჯანდაცვის სისტემის ეფექტური შეფასების ანგარიშის [1, გვ. 8] მიხედვით, გაუმჯობესდა ხელმისაწვდომობა ამბულატორულ და ჰოსპიტალურ მომსახურებაზე, თუმცა ფინანსური დაცულობა მთლიანობაში ვერ განხორციელდა მედიკამენტების არარაციონალური ფარმაცოთერაპიის და სადაზღვევო პაკეტში დაბალი მედიკო სარგებელის გამო. კვლავ დიდია სხვაობა უღარიბეს და უმდიდრეს შინამეურნეობათა იმ სამედიცინო დანახარჯებს შორის, რომელიც გადახდისუნარიანობის 40%-ს აჭარბებს, რაც საყოველთაოდ აღიარებული ზღვარია, რომლის ზემოთაც ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯები მიიჩნევა კატასტროფულად. სახელმწიფო და კერძო სადაზღვევო მექანიზმების განვითარების მეშვეობით საჭიროა განხორციელდეს უნივერსალური ხელმისაწვდომობის მიღწევა, როდესაც თითოეული მოქალაქე იღებს აუცილებელ და ხარისხიან სამედიცინო მომსახურებას ფინანსური ტვირთის გარეშე. ასევე უნდა მოხდეს სადაზღვევო პაკეტის გაზრდა/რაციონალიზაცია აუცილებელ ფარმაცევტულ საშუალებებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიმართულებით.

## 2. ჯანდაცვის სტატისტიკური ანალიზი

საქართველოს მოსახლეობის ავადობა დაავადებათა ძირითადი ჯგუფების მიხედვით პირველად დადგენილი დიაგნოზით 2013 წლის ბოლოსთვის რეგისტრირებულია 1795.8 ათასი ავადმყოფი<sup>172</sup> [3], ნაცვლად 2010 წლის 1170.1 ათასისა და 2005 წლის – 695.2 ათასისა. 2014 წელს, ყველაზე მაღალი წილი მოდის სუნთქვის ორგანოთა ავადმყოფობებზე – 31.0% (2010 წელს-37.5 %), საჭმლის მომნელებელი სისტემის ავადმყოფობები – 16.3% (13.0%), სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობები – 11.0% (8.4%), ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობები – 5.8% (6.1%), შარდსასქესო სისტემის ავადმყოფობები – 6.2% (6.1%), თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფობები – 5.1% (4.2), ყურისა და დერილისებრი მორჩის ავადმყოფობები – 3.1% (2.4), ენდოკრინოლოგიური სისტემის, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეული ავადმყოფობები – 3.7% (3.7), კანისა და კანქვეშა ქსოვილის ავადმყოფობები – 3.5% (3.3), ნერვული სისტემის ავადმყოფობები – 3.2% (4.1), სიმსივნეები – 1.0% (1.0), სიმპტომები, ნიშნები და ნორმიდან გადახრილი კლინიკური და ლაბორატორიული მონაცემები-1.1% (0.6%), სისხლისა და სისხლძარღვოვანი ორგანოების ავადმყოფობები და იმუნური მექანიზმების ჩართვით მიმდინარე დარღვევები – 0.9% (1.5%), ტრავმები, მოწამელები და გარეშე მიზეზების ზემოქმედების ზოგიერთი სხვა შედეგები – 3.2% (4.0%), ძვალ-სახსართა სისტემის და შემავრთველი ქსოვილების ავადმყოფობები – 3.2% (2.6%), ორსულობა, მშობიარობა და ლოგინობის ხანა – 0.8% (0.6%), ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები – 0.4% (0.3%), პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი ცალკეული მდგომარეობა და თანდაყოლილი ანომალიები – 0.1-0.1% (0.1%, 0.1%),

რეგისტრირებული ავადმყოფებიდან 473.1 ათასი, ანუ 26.3% 14 წლამდე ასაკის ბავშვია.

2013 წელს სტაციონარში შემოვიდა 389,5 ათასი ავადმყოფი (1999 წელს – 223,7 ათასი), რომელთა 2.3 პროცენტი გარდაიცვალა. ერთი საწოლის საშუალო დატვირთვამ შეადგინა – 181.3, საავადმყოფოში ყოფნის ხანგრძლივობამ – 5.4, ბრუნვა – 33.3. სტაციონარიდან გავიდა 383.7 ათასი კაცი, მათგან 77.0 ათასი 15 წლამდე ასაკის ბავშვია [2, გვ. 98].

2013 წელს აღრიცხებოდა 22,5 ათასი ექიმი<sup>173</sup> (2010 წელს – 21,2 ათასი) და 15,5 ათასი საშუალო სამედიცინო პერსონალი (2010 წელს – 19,3 ათასი). მოსახლეობის 100 000 კაცზე გაანგარიშებით, 502 ექიმი და 346 საშუალო სამედიცინო პერსონალი მოდის (2010 წელს შესაბამისად 474 და 432).

ექიმთან ვიზიტების წლიური რიცხვი (პროფილაქტიკის ჩათვლით) 10974.5 ათასი კაცია (2010 წელს–7623.3 ათასი).


თუ გადავხედავთ, სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში რეგისტრირებულ დაავადებათა გავრცელებას, ვნახავთ, რომ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ძვალ-კუნთოვანი სისტემის და შემავრთველი ქსოვილის ავადმყოფობები (თითქმის 120-ჯერ), საჭმლის მომნელებელი სისტემის ავადმყოფობები (48-ჯერ), სუნთქვის ორგანოთა ავადმყოფობები (15.5-ჯერ), სისხლის მიმოქცევის სისტემის ავადმყოფობები (48-ჯერ), ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები (5.9-ჯერ) და სხვა.

2013 წლის მონაცემებით, აღრიცხვაზე იმყოფებოდა 68,9 ათასი ფსიქიკური ავადმყოფი (2010 წელს – 79,2 ათასი), აქედან სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით 3020 კაცი, რომელთაგან 673 – 15 წლამდე ასაკის ბავშვია. ინციდენტობა 100 000 მოსახლეზე არის 67.3, ხოლო პრევენანტობა 1000 მოსახლეზე – 1536.0.

თუ გადავხედავთ, სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში რეგისტრირებულ ბავშვთა დაავადებებს, სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით მნიშვნელოვნად გაიზარდა 2013 წელს 2010 წელთან შედარებით სიმსივნეები (3.7-ჯერ), ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები (2.6-ჯერ), საჭმლის მომნელებელი სისტემით ავადმყოფობები (2,1-ჯერ), ძვალ-სახსართა სისტემის და შემავრთველი ქსოვილების ავადმყოფობები (1.8-ჯერ), ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობები (1.5-ჯერ), სიმპტომები, ნიშნები და ნორმიდან გადახრილი კლინიკური და ლაბორატორიული მონაცემები (1.7-ჯერ) და სხვ.

<sup>172</sup> საქსტატის მონაცემთა ბაზები Pc Axis.

<sup>173</sup> 2012 წელს სამედიცინო კადრების დეფინიციები გადაიხედა და დაჯგუფდა პროფესიების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის (ISCO-08) შესაბამისად.



**გრაფიკი 1**

**წყარო:** საქსტატი.

2013 წლის მონაცემებით, აღრიცხვაზე იმყოფება 23,8 ათასი ავადმყოფი ავთვისებიანი ახალწარმონაქმნებით, რომელთაგან 4,9 ათასი არის სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით. ინციდენტობა 100 000 მოსახლეზე არის 110.1, ხოლო პრეველანტობა 1000 მოსახლეზე – 531.2. 15 წლამდე ასაკის ბავშვებში რეგისტრირებულია 721 შემთხვევა, აქედან 366 ახალი შემთხვევაა [2, გვ. 129].

2013 წლის მონაცემებით, ქვეყანაში ტუბერკულოზით დაავადებულია 4.3 ათასი კაცი, აქედან 3.1 ათასი-ახალი შემთხვევაა.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ადგილი აქვს სამედიცინო დახმარებებს ბინაზე, კერძოდ, 2013 წელს სამედიცინო დაწესებულებებში მიღებული მშობიარობების წილი 99.9 %-ია. (ბინაზე მშობიარობის 68 შემთხვევა დაფიქსირდა) [2, გვ. 185].

2013 წლის მონაცემებით აღრიცხულია 38.0 ათასი (2010 წ.–25.6 ათასი) აბორტი, რომლის 45.0 პროცენტი 20-29 წლის ასაკის ქალებზე მოდის, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დაფიქსირდა 34 შემთხვევა ბავშვებზე 14 წლის ასაკის ჩათვლით.

სახელმწიფო სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურების ბრიგადების მიერ 1199.9 ათას კაცს აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება, მ. შ. 15.0 ათას კაცს–უბედური შემთხვევის დროს, 1179.7 ათას კაცს–უცაბელი ავად გახდომის დროს, 5.2 ათასს–მშობიარობის და პათოლოგიური ფეხმძიმობის დროს.

მნიშვნელოვანი მაკრომაჩვენებლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ვნახავთ, რომ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების ხვედრითი წილი მშპ-ში 4.0 პროცენტის ფარგლებში მერყეობს (იხ. ცხრ. 1).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებში ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯები, ამავე პერიოდში, 9.0 პროცენტის ფარგლებში მერყეობს.

**ცხრილი 1**

**მთლიანი შიდა პროდუქტი მუდმივ 2003 წლის ფასებში, მლნ ლარი**


	2005	2010	2011	2012	2013
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	388.1	592.5	600.3	617.6	617.6
<b>მშპ საბაზისო ფასებში</b>	9,376.8	12,132.8	12,936.0	13,740.7	14,257.5
<b>მშპ საბაზრო ფასებში</b>	9,936.0	12,835.0	13,757.2	14,637.7	15,123.7
მშპ ერთ სულზე, ლარი	2299.2	2893.1	3078.2	3254.6	3373.0
მშპ ერთ სულზე, აშშ დოლარი	1268.4	1623.0	1825.7	1971.0	2027.7
მშპ, მლნ აშშ დოლარი	5,481.4	7200.1	8159.5	8864.6	9091.9
ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების ხვედრითი წილი, %	3.9	4.6	4.4	4.2	4.1

**წყარო:** საქსტატი.

მნიშვნელოვანია მოსახლეობის მიერ ჯანდაცვაზე გაწეული მონაცემების გაანალიზება შინამეურნეობის კვლევის საფუძველზე.

საშუალო თვიური ხარჯების მიხედვით ერთი შინამეურნეობის მიერ ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების წილი მთლიან ხარჯებში 2013 წელს 7.9%-ა, ნაცვლად 2010 წლის 9.9%-ისა.

საშუალო თვიური ხარჯების მიხედვით შინამეურნეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების წილი მთლიან ხარჯებში 2013 წელს 7.9%-ია, ნაცვლად 2010 წლის 9.9%-ისა.



**გრაფიკი 2**  
**ჯანდაცვაზე გაწეული საშუალო თვიური ხარჯების წილი**  
**შინამეურნეობის ერთ სულზე მთლიან ხარჯებში, %**

წყარო: საქსტატი.

**დასკვნა**

ზემოთ მოყვანილი ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში მიმდინარე ჯანდაცვის რეფორმის მიზანია, ხელი შეუწყოს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების გაწევის გაუმჯობესებას და რეალურ შედეგებზე ორიენტირებული. ბოლო ორი წლის განმავლობაში სამედიცინო დაწესებულებებში მიმართვიანობის ზრდა სწორედ ამის დამადასტურებელია.

ამასთან, ცნობილია, რომ პრევენციის მიმართვიანობის ზრდა კიდევ უფრო აუმჯობესებს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობას და არა ამა თუ იმ დაავადებების გამოვლენამდე. თუმცა, გარკვეული ხარვეზები არის მომსახურების მიწოდების თვალსაზრისით, მაგრამ მისი გამოსწორება და მენეჯმენტის აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრა შესაძლებელია.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს სამედიცინო-საინფორმაციო სისტემების და სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მუშაობის ხარისხის ამაღლების თანამედროვე მეთოდების დანერგვას. საყოველთაო დახვედვის ორწლიანი გამოცდილების პრაქტიკა, რა თქმა უნდა, კონკრეტულ რეკომენდაციებს იძლევა ზემოაღნიშნული პრობლემების მოგვარების სფეროში.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. ჯანდაცვის სიტემის ეფექტურობის შეფასების ანგარიში. თბილისი, 2013. <http://www.healthrights.ge/health-system-performance/>
2. ჯანმრთელობის დაცვა, სტატისტიკური ცნობარი 2013, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო, დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. თბილისი, 2014.
3. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

*Lia Charekishvili*

**STATISTICAL ANALYSIS OF HEALTH CARE OF POPULATION OF GEORGIA**  
**Annotation**

Considering the political, economic and social crisis of Georgia, creating the nationwide health insurance policy has been a significant challenge. These reasons led to the conversion of the state policy in the field of health care and increasing of the access of the population to it.

From the fall of the year 2012, a wide-ranging program of nationwide health insurance has been launched. As a result, it has a positive impact both on health and financial conditions of the population. Most of the Georgian families use the program mentioned above and as the healthcare prices have been quite high, the insurance makes their life easier.

Analyzed is the statistical data reflecting the healthcare of population, which clearly demonstrates how the number of visits in medical institutions has increased.

There are some defects in terms of service delivery but they can be improved and the management gaps can be eradicated.

Of course the two years' experience of nationwide insurance gives the specific recommendations to resolve the aforementioned problems in the area.

**აღამიანისეული კაპიტალისა და ინოვაციური პროცესების ბანკითარების  
პრობლემები მიწვიანობის დარბში**

გლობალიზაციის პროცესები დიდ გავლენას ახდენს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროზე - ეკონომიკაზე, პოლიტიკაზე, კულტურაზე და ა.შ. აქედან გამომდინარე, მსოფლიო მასშტაბებს იძენს ქვეყნების დონეზე საყოველთაო კონკურენცია. ამ პირობებში, გლობალურ პროცესებში ქვეყნის აქტიურობის და მონაწილეობის დონე განისაზღვრება, პირველ რიგში, მისი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობით, ანუ მისი შესაძლებლობით, აწარმოოს მსოფლიო დონის შესაბამისი საქონელი, რომელიც კონკურენტუნარიანია მსოფლიო ბაზრებზე.

იმისათვის, რომ აღნიშნულ პირობებში იყოს წარმატებული, ქვეყანამ თავი უნდა დაამკვიდროს როგორც საინტერესო საქმიანი პარტნიორი და აწარმოოს მაღალტექნოლოგიური, უნიკალური პროდუქცია მსოფლიო ბაზრების მოთხოვნების შესაბამისად.

გლობალიზაციის პროცესები მოქმედებს არა მხოლოდ სხვადასხვა დარგის საწარმოების კონკურენტუნარიანობის ზრდის ფაქტორებზე, არამედ მთლიანობაში ეროვნულ განვითარებაზე. ამასთან დაკავშირებით, საწარმოების და სახელმწიფოების ინოვაციური შესაძლებლობები, რომლებიც ყალიბდება ადამიანური კაპიტალის უშუალო მონაწილეობით და საზოგადოების ინტელექტუალურ-კრეატიული რესურსებით, თანამედროვე მსოფლიო სამეურნეო სისტემაში სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს.

ინოვაციების შექმნაში ადამიანური კაპიტალის მონაწილეობის და გლობალიზაციის პროცესების გავლენის ადამიანური კაპიტალი, როგორც საზოგადოების სიმდიდრის ძირითადი წყაროს დამახასიათებელი, მისი მუდმივი ზრდა-დინამიკაა, ვინაიდან კაპიტალი არის ინვესტიციების დაგროვება, რომლის დონე ლოგიკურად იზრდება საზოგადოების შემოსავლების ზრდასთან ერთად. აქედან გამომდინარე, ადამიანური საქმიანობა ეროვნული ეკონომიკის სიმდიდრის წყაროა, მაგრამ მისი კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია მასში განხორციელებულ ინვესტირებაზე.

უშუალოდ ადამიანური კაპიტალი არის ის ფენომენი და გლობალიზაციის პირობებში თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის საწარმოების კონკურენტუნარიანობის ჩამოყალიბების ძირითადი ფაქტორი. ეს პროცესები ხასიათდება სწრაფად განვითარებადი ტექნიკურ-ეკონომიკური ცვლილებებით.

აქედან გამომდინარე, ინოვაციები, როგორც ადამიანური კაპიტალის ინტელექტუალური საქმიანობის პროდუქტი, უზრუნველყოფს სამომხმარებლო ბაზარზე წარმოებული მაღალტექნოლოგიური პროდუქციის კონკურენტუნარიანობას.

განვითარების ინოვაციურ ფაქტორებზე გადასვლა ეხება სახელმწიფოს ეკონომიკური სისტემის ყველა ელემენტს ინოვაციური ცვლილების მხარდაჭერის პოლიტიკის ჩარჩოებში.

ამ პრობლემის გადაწყვეტაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია უმაღლესი განათლების კვალიფიციური ცოდნის ფართო სპექტრის მქონე სპეციალისტების მომამზადებელ უმაღლეს სასწავლებლებს.

გლობალიზაციის პირობებში ასეთი სპეციალისტები მოთხოვნადი იქნებიან როგორც მაღალტექნოლოგიურ ბიზნესში, ასევე ინოვაციური მიმართულების კომპანიებისათვის.

ადამიანური კაპიტალის შექმნისას უნივერსიტეტებს უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავიათ, როგორც საზოგადოების ინტელექტუალური რესურსების ჩამოყალიბებლებს.

ეს გამოიხატება არა მხოლოდ საგანმანათლებლო მომსახურების გაწევით, არამედ მეცნიერულ-კვლევითი ამონაცანების გადაჭრის გზით. ამასთან, ეს ორი მიმართულება მჭიდრო ურთიერთკავშირში უნდა იყოს.

განათლება, როგორც სპეციალიზებული კვალიფიკაციების და ცოდნის შენახვის, ცოდნის განვითარების და თაობიდან თაობამდე გადაცემის პროცესი (ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაცია) და ასევე მეცნიერება და კვლევა, როგორც საზოგადოების ცოდნის დონის ამაღლების შესაძლებლობა, განსაზღვრავს უნივერსიტეტების დანიშნულებას, როგორც ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ტრანსფერს.

აქედან გამომდინარე, პოსტინდუსტრიულ ეკონომიკაში საწარმოს განვითარების ძირითადი ფაქტორი გამოდის ცოდნის კომერციალიზაციის პროცესი. ეს ნიშნავს მეცნიერების შედეგების გამოყენებას, ახალი ცოდნის და ტექნოლოგიების გადატანას მრეწველობაში (მომსახურებაში) და ინოვაციური საწარმოების შექმნას.

მაგრამ სახელმწიფომ და მეცნიერულ-კვლევითმა დაწესებულებებმა ამგვარი ამონაცანების რეალიზაცია ეტაპობრივად უნდა მოახდინონ ყველა დაინტერესებულ კომერციულ სუბიექტებსა და სახელმწიფო სტრუქტურებთან.

სხვადასხვა სახის ინოვაციების შექმნის ბიროფს ადამიანები წარმოადგენენ და საბოლოო დასკვნაა, რომ ადამიანური კაპიტალის სრულყოფის, დაგროვების და ეფექტური გამოყენების გარეშე შეუძლებელია თანამედროვე ეკონომიკაში საწარმოს ინოვაციური საქმიანობის განვითარება.

შესაბამისად, უმაღლესი სასწავლებლების კონკრეტული სასწავლო პროგრამები და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა თანამედროვე ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკის მოთხოვნების ადეკვატური უნდა იყოს და ოპერატიულად უნდა რეაგირებდეს ამ მოთხოვნებზე.

საგანმანათლებლო სტანდარტების საზოგადოების და დამსაქმებლის მოთხოვნებთან მიახლოება ყველა დონეზე, სწავლის ხარისხის ამაღლება განათლების სისტემისთვის ახალ გამოწვევად იქცა. ეს, თავის მხრივ, მოახდენს ყველა კატეგორიის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განათლების ხარისხის ამაღლებას და ინოვაციური პროგრამების შექმნას.

მაგალითად, კაკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა გაიარა სახელმწიფო აკრედიტაცია და პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ახალი ფაკულტეტი გახსნა მევენახეობა-მეღვინეობისა და აგროტექნოლოგიის მაგისტრატურის განყოფილებით, რომლის დეკანია კახა ჯაყელი. პირველი პროგრამა, რომელიც მომზადდა მევენახეობა-მეღვინეობისა და აგროტექნოლოგიის ფაკულტეტზე, ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაა, რომლის ორიგინალურობას - ქვეყრისა და მასში ღვინის დაყენების ტრადიცი-



ული მეთოდების შესწავლის გარდა, წარმოადგენს აღნიშნული ღვინოებისა და მათი ტექნოლოგიური სქემების შესწავლა, რომლითაც მდიდარია საქართველო. ღვინოსათვის ქვეყანა აწარმოებს 18 ადგილწარმოშობის დასახელების კონტროლირებად ღვინოს. პროგრამა იმითაც არის გამორჩეული, რომ მასში ყურადღებაა გამახვილებული საექსპორტო ღვინოს ზედაშეს წარმოებასა და მის თავისებურებებზე, ვაზის ჯიშებსა და ტექნოლოგიებზე, ღვინის დაყენებისა და ქვევრთან ჩასატარებელ რიტუალებზე. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის მაღალ დონეზე განხორციელების მიზნით, უნივერსიტეტში შეიქმნა უნიკალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც, პირველ ყოვლისა მარანს, და მიწაში სათუთად ჩაფლულ ქვევრებს მოიცავს, ხოლო კვლევითი კომპონენტის მაღალ დონეზე განხორციელებას ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

ფაკულტეტისთვის გამოიყო ცალკე შენობა უნივერსიტეტის მიმდებარედ, და მიწის ნაკვეთი, სადაც განთავსდა მარნები, ქვევრები, რაც დაეხმარება სპეციალისტებს ქართული მევენახეობა-მეღვინეობის ტრა დიციების აღდგენა-დაცვა-გაერცელებაში თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით.

გაშენდება სანერგე და სტუდენტები ჩართულები იქნებიან ყველა საფეხურზე პრაქტიკულად, ვაზის მოყვანიდან ღვინის დაყენებამდე.

**ცხრილი 1**

**ღვინის წარმოების კონსოლიდირებული მაჩვენებლების დინამიკა**

პროდუქცია	ზომის ერთეული	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
ყურძნის ღვინო და ღვინოსასაღებო ნატურალური, გარდა ცქრიალა ღვინოსა	ათასი დუკალიტრი	2117,8	1437,9	1669,8	1399,8	2475,6	2904,7	4499,1	6551,5
	ათასი ლარი	78523,7	59005,2	62848,0	57359,3	84878,4	112412,7	154982,0	283491,5
ცქრიალა ღვინო (შამპანური)	ათასი დუკალიტრი	136,9	162,2	159,5	121,8	114,2	138,8	123,7	164,5
	ათასი ლარი	5970,6	8209,4	10969,3	8856,2	8376,4	10827,8	9240,2	12313,8
		2254,7	1600,1	1829,3	1521,6	2589,8	3043,5	4622,8	6716
		84494,3	67214,6	73817,3	66215,5	93254,8	123240,5	164222,2	295805,3

ვინაიდან საქართველო გამორჩეულია ღვინის და ალკოჰოლური სასმელების დარგში, საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით წარმოვადგენთ ღვინის წარმოების დინამიკის მონაცემებს 2006-2013 წლებში, რაც გვიჩვენებს დინამიკას, თუ როგორ იცვლებოდა 2006 წლიდან 2013 წლამდე პროდუქციის წარმოების ზრდა და ამ დარგში დასაქმებულთა რაოდენობა.

მოცემული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ვხედავთ დინამიკაში შეუსაბამობას წარმოების ზრდასა და დასაქმებულთა რაოდენობას შორის, რამაც გამოიწვია დამატებითი კვლევის ჩატარების აუცილებლობა. მოვიძიეთ ამ დარგში კომპანიების რეიტინგი. შედგენილი კითხვარის და გამოკითხვის საფუძველზე (ცხრილი , კომპანიების რეიტინგები №) და შედეგად მივიღებთ რომ კომპანიები, რომლებიც ნერგავენ ინოვაციებს თანამედროვე ეკონომიკის შესაბამისად, რეიტინგში მოწინავე ადგილებს იკავებენ.

1. სს თელავის ღვინის მარანი
2. სს თბილღვინო
3. შპს ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია
4. შპს ღუგლაძეების ღვინოების კომპანია
5. სს თელიანი ველი
6. შპს Georgian Wine House
7. შპს ბადაგონი
8. GEORGIAN WINES FROM MUKHRANIS MARANI LLC-ს საქართველოს წარმომადგენლობა
9. შპს ტიფლისსკი ვინი პოგრებ
10. შპს გრუზვინპრომი

რეიტინგის ათეულში შესული კომპანიების მიერ ბოლო წლების განმავლობაში ყურადღება გამახვილებული იყო ინოვაციური პროცესების და ტექნოლოგიების დანერგვაზე, როგორც საწარმოო, ასევე, აქცენტები კეთდებოდა პროგრამების კუთხით. ასევე ადამიანური კაპიტალის განვითარებაზე როგორც პროფესიონალების და კონსულტანტების მოწვევის სახით, ასევე ტრენინგების და პროფესიული სემინარების მიმართულებით, სტაჟირებები ახალი ტექნოლოგიების ასათვისებლად.


ამ ყველაფერმა გამოიწვია ამ კომპანიების განვითარება, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება, ექსპორტზე გატანა. საექსპორტო პოტენციალის ზრდა შესაბამისად იწვევს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის პოზიციების გამყარებას და ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდას.

ასევე კვლევამ გვიჩვენა, რომ რეინტიგულ კომპანიებში, მიუხედავად წარმოების ზრდისა, დასაქმებულთა რაოდენობა არ იზრდება, შესაბამისად, იქიდან გამომდინარე, ინოვაციების დანერგვა მოითხოვს ხარისხიან და მაღალი კვალიფიკაციის ადამიანურ კაპიტალს და არა რაოდენობრივ ზრდას.

**ცხრილი 2**

**ღვინის მწარმოებელ საწარმოებში დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა 2006-2013 წწ. (საწარმოთა დეკლარირებული მონაცემები)**

მაჩვენებლის დასახელება	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა	4020	3111	2590	2212	3431	2893	4255	4689




დიაგრამა 1  
ღვინის მწარმოებელ საწარმოებში დასაკმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა

განვიხილოთ საქართველოს ექსპორტის ერთ-ერთი მიმართულების - ქართული ალკოჰოლური სასმელების დინამიკა 2006 წლიდან 2014 წლის ჩათვლით<sup>174</sup>.

ცხრილი 3

ღვინის ექსპორტის დინამიკა

ყურძნის ნატურალური ღვინის ექსპორტი		
წელი	ათასი აშშ დოლარი	ათასი ლიტრი
2006	41 050,6	15 027
2007	29 197,4	9 320
2008	36 862,8	10 636
2009	31 997,0	9 552
2010	41 137,7	12 873
2011	54 103,4	16 900
2012	64 871,4	20 213
2013	127 850,9	35 906
2014	180 721,8	45 931



დიაგრამა 2  
საქართველოს ყურძნის ნატურალური ღვინის ექსპორტი

2013 წელს ქართული ღვინო რუსულ ბაზარზე დაბრუნდა, თუმცა 2013 წელი ღვინისთვის წარმატებული აღმოჩნდა არა მხოლოდ ამ ბაზარზე: 2012 წელთან შედარებით, გასულ წელს ღვინის ექსპორტი საქართველოდან გაიზარდა 50 პროცენტით. ზრდა შეინიშნებოდა თითქმის ყველა პარტნიორ ქვეყანაში, მათ შორის, 150 პროცენტით - რუსეთში, თუმცა 254 პროცენტით გაიზარდა ღვინის ექსპორტი, მაგალითად, ნიდერლანდში.

<sup>174</sup> ღვინის ეროვნული სააგენტო.

მცირედი კლება აღინიშნა აზერბაიჯანში, კანადასა და ლატვიაში. ამ წელს უმსხვილესი პარტნიორი ქვეყნები იყვნენ რუსეთი და უკრაინა (შესაბამისად, 44% და 23%). წამყვან ათეულში ევროკავშირის ქვეყნებიცაა: პოლონეთი და ბალტიისპირეთის ქვეყნები<sup>175</sup>. ზრდა გრძელდება და 2014 წლის პირველ კვარტალში ღვინის ექსპორტმა უკვე მთლიანი ექსპორტის 7 პროცენტი შეადგინა. 2014 წელს საქართველოდან მსოფლიოს 19 ქვეყანაში 15.4 მილიონი ბოთლი გაიყვანა გასაყიდად, რაც 243%-ით მეტია წინა წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. და ეს მაშინ, როცა ქართული ღვინის რიგით მეოთხე ბაზარი, ბელორუსი, 2014 წლის პირველ კვარტალში ქართული ღვინისთვის დროებით დაიკეტა. შესაბამისად, ამჯერად ექსპორტის 70 პროცენტი რუსეთის ბაზარზე მოდის. ბელორუსის ბაზრის დაბრუნება, რაც უკვე 2014 წლის მაისიდან იგეგმება, ამ ბალანსსაც ნაწილობრივ შეცვლის და, სავარაუდოა, რომ ღვინის ექსპორტის მასშტაბზეც დადებითად აისახება.

ზოგადად, უნდა ითქვას, რომ ღვინის ექსპორტის ზრდა, ახალი ბაზრის გახსნის გარდა, განპირობებული იყო ქვეყანაში ამ დარგში წარმოების ზრდითაც - 2013 წელს საქართველოში 55 პროცენტით გაიზარდა ყურძნის წარმოება და 224,5 ათასი ტონა შეადგინა. ახალი საწარმოო შესაძლებლობების გაჩენა მნიშვნელოვანია იმ ფონზეც, რომ საქართველოს, წინაშეა ევრო სტანდარტებისა და სერტიფიცირების მოთხოვნების დაკმაყოფილების სირთულე. თუ გავით ვაღისწინებთ იმ პერსპექტივებს, რასაც საქართველოს ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება მოუტანს, ქართულ ღვინოს ევროკავშირის ბაზარზე ახალი პერსპექტივები ეხსნება.

სწორედ ამ პერსპექტივებიდან და ბოლო ათწლეულის გამოცდილებიდან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქართველმა მეწარმეებმა ხარისხზე აღებული ორიენტაცია არ შეცვალონ, გააგრძელონ ინოვაციური აქტივობების პროცესები საწარმოებში და ადამიანური კაპიტალის დაგროვება - ტრანსფორმაცია.

ღვინის ექსპორტის რაოდენობაც იზრდება, საქსპორტო ქვეყნების ნუსხაც და ქართული ღვინის ცნობადობაც. ქართული ღვინით უფრო და უფრო მეტი ღვინის მოყვარული ინტერესდება და დაინტერესდება რადგან: საქართველო მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი მეღვინეობის ქვეყანაა - საქართველოში 500-ზე მეტი უნიკალური ენდემური ჯიშია, რომელიც მხოლოდ საქართველოში გვხვდება.

წინააღმდეგობების გადაჭრისა და საქსპორტო ბაზრების განვითარებისთვის საჭიროა:

ღვინის კომპანიების მხრიდან:

- ინოვაციური ტექნოლოგიების და პროცესების დანერგვა საწარმოებში პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

- არსებული მენეჯერების გადამზადება და მათი შენარჩუნება კომპანიაში;

- უფრო გამოცდილი და მაღალანაზღაურებადი კადრების დაქირავება;

- ტომპენჯემენტის მიერ თანამშრომლების სხვადასხვა გადამზადების პროგრამების და კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ორგანიზება მუდმივი სწავლის რეჟიმში.

- უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა, პროფილური თანამშრომლების მოსამზადებლად სტუდენტების სტაჟირება პრაქტიკა, დასაქმება;

სახელმწიფოს მხრიდან:

- ქვეყნის პროფილის სარეკლამო ბლოკების დამზადება და საერთაშორისო ტელეარხებზე უფრო ხშირად გაშვება;

- საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის მიღება;

- სხვადასხვა ღონისძიებების, ფესტივალების, კონფერენციების და ა.შ. გამართვა ქვეყანაში.

- მევენახეობა-მეღვინეობის დარგში სპეციალიზებული ინსტიტუტის შექმნა, სადაც გაიზრდება პროფესიონალი მევენახე, მეღვინე, ღვინის მარკეტოლოგი, ღვინის სამართლის მცოდნე და ა.შ. ადამიანური კაპიტალის ფორმირება, დაგროვება, გამოყენება.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ა. აბრალავა, ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები, “უნივერსალი“, თბ., გვ. 21–25, 37–46, 146–156, 190–207. 2014.

2. ა. აბრალავა, ნ. გელაშვილი. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის პერსპექტიული ხედვა, ჟ. ეკონომიკა. 10-12. 2007.

3. ცილა ლომია. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, თსუ., 2010.

4. ბარათაშვილი ე., გენბაია ბ., ლლონტი ვ., საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა: თანამედროვე გამოწვევები, გამ., “უნივერსალი“, თბ., 2014.

5. ე. მექვაბიშვილი, გლობალიზაციის პროდუქტი და ფაქტორი., ჟ., «ახალი ეკონომიკა», მაისი-ივნისი, , გვ., 18–23. 2013.

6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ანგარიში: <http://www.geostat.ge/>

7. ეკონომიკა და ბიზნესი №5, 2011წ.

8. ჩავა ფრანკფორტ ნანმასი, ანა ლეონ-გერერო – სოციალური სტატისტიკა მრავალფეროვანი საზოგადოებისათვის, მე-9 გამოცემა, ავტორიზებული თარგმანი ინგლისურიდან, გამომც. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, თბ., 2012.

9. <https://www.freepdfconvert.com/pdf-word>

10. TRAINING MATERIAL FOR PRODUCING NATIONAL HUMAN DEVELOPMENT REPORTS, Final draft (October 2011), pg. 8.

11. <http://hdrstats.undp.org/en/indicators/100106.html>

12. <http://www.ophi.org.uk/wp-content/uploads/OPHI-RP-29a.pdf-2011.pdf?cda6c1>

<sup>175</sup> წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტო

13. <http://forbes.ge/news/217/3-%E2%80%9Ei%E2%80%9C-s-paradigma>
14. [http://peopleglobalization.blogspot.com/2012/06/blog-post\\_2032.html](http://peopleglobalization.blogspot.com/2012/06/blog-post_2032.html)
15. <http://data.worldbank.org/data-catalog/world-development-indicators> (Accessed April 2, 2012. 17:30) Human Development Reports, Official Website
16. <http://expatriatefoundation.org/course/globalization-an-hr-business-perspective-course-1/#sthash.DcQDCakm.dpuf>
17. <http://hdr.undp.org/en/> (განახილვა 07.03.12; 15:00)
18. <http://tsotnechikobava.blogspot.com/2012/03/blog-post.html>
19. <http://www.commersant.ge>
20. [www.civil.ge](http://www.civil.ge)
21. [www.nplg.gov.ge](http://www.nplg.gov.ge)

*Marina Tsertsvadze  
Irina Mujiri*

## PROBLEMS OF HUMAN CAPITAL AND INNOVATION PROCESSES DEVELOPMENT IN WINEGROWING INDUSTRY

### Annotation

Globalization in the era since World War II is largely the result of planning by economists, business interests, and politicians who recognized the costs associated with protectionism and declining international economic integration. Their work led to the Bretton Woods conference and the founding of several international institutions intended to oversee the renewed processes of globalization, promoting growth and managing adverse consequences.

The **role of Human Resources** is in setting the essential training courses for managers. HR has to push managers to apply for the courses. They have to understand roots of the common corporate culture and how they are expected to behave globally. The employees and managers have to communicate globally with colleagues around the Globe. The unified way of communication, the approach to problem solving and identification with the organization make global decisions easier.

HR should be the first global function. It has to introduce the globally managed HR processes focused on the development of the global talents and bringing the unified approach. The **performance management** and the **talent management** are usually the first globally managed HR processes. The unified and globally managed performance management process helps to manage the performance of individual businesses in countries and helps to identify the future global leaders for the organization.

*ცირა ცეცხლაძე  
ირინა მუჯირი*

### აჭარის სასტუმროების მომსახურების ხარისხის კვლევის ანალიზი

აჭარის რეგიონის ტურისტული პოტენციალის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ტურისტული ობიექტების მომსახურების ხარისხი. აჭარის კურორტებზე არსებული ხარვეზებისა და სისუსტეების დადგენის მიზნით 2013 წელს ჩატარდა კვლევა, რომლის შედეგების და რეკომენდაციების გამოყენება შეუძლია შესაბამის კერძო თუ სახელწიფო დაწესებულებებს. ჩატარებულმა კვლევამ ნათლად ასახა მომსახურების სფეროში არსებული მდგომარეობა და მიღებული შედეგების საფუძველზე შემუშავდა შესაბამისი დასკვნების და რეკომენდაციები. კვლევა ორიენტირებული იყო შემდეგ საკითხებზე: სასტუმროების მოთხოვნაზე არასაკმარისი მიწოდება, ხარისხისა და ფასის შეუსაბამობა, ტურისტთა კმაყოფილების დონის განსაზღვრა მომსახურების სფეროში არსებული ხარისხით და სხვა პრობლემათა წარმოჩენა, რომლებსაც აჭარაში ჩამოსული ტურისტები ხედავენ.

2013 წლის 1 აგვისტოდან 1 ოქტომბრამდე ჩატარდა აჭარის ტურისტული ობიექტების მომსახურების ხარისხით ტურისტთა კმაყოფილების დონის კვლევა. მიზნის მისაღწევად საჭირო იყო შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

- გამოკითხულ ტურისტთა დემოგრაფიული სეგმენტაცია (სქესი, ასაკი, ქვეყანა);
- მომსახურების ობიექტის ცნობადობის შესახებ ინფორმაციის წყაროს განსაზღვრა;
- მომსახურების ხარისხით კმაყოფილების დონის განსაზღვრა ტურისტთათვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა ფაქტორის მიხედვით.

სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა 2013 წელს აჭარის რეგიონში ჩამოსული მხოლოდ იმ შიდა და უცხოელ ტურისტთა ერთობლიობა, რომლებმაც ისარგებლეს ტურისტული ობიექტის მომსახურებით. კვლევა აქცენტირებული იყო განთავსების ობიექტების სექტორში არსებული მდგომარეობის შესწავლაზე რაოდენობრივი მეთოდისა და შეფასების ხუთბალიანი სკალის გამოყენებით, რომლის მიხედვითაც ფასდებოდა ტურისტის კმაყოფილების თითოეული ფაქტორი ძალიან კარგიდან ძალიან ცუდ დონემდე. კითხვარში ასევე მოცემული იყო კითხვები ობიექტის ცნობადობის შესახებ ინფორმაციის წყაროს დადგენის მიზნით. ამასთანავე, გათვალისწინებული იყო დამატებითი შენიშვნებისა და რეკომენდაციების ველი. საბოლოოდ, 400 რესპონდენტთან ჩატარებული კვლევის შედეგად განისაზღვრა:

- აჭარაში არსებული სატუმროების მომსახურების ხარისხი;
- აჭარაში არსებული სატუმროების რეკლამირების საშუალებები;
- რა უპირატესობით გამოირჩევა ბრენდირებული და ლოკალური სასტუმროები;
- რა კატეგორიის სასტუმროებს ანიჭებენ უპირატესობას სტუმრები;
- რა იწვევს სტუმრის კმაყოფილებასა თუ უკმაყოფილებას;
- როგორი ტიპის სასტუმროების არსებობას ისურვებდნენ ისინი.

კვლევის შედეგად კი დადგინდა:

• დემოგრაფიული სეგმენტაცია: კვლევაში მონაწილეობა მიიღო 24 სხვადასხვა ეროვნების რესპონდენტმა. რესპონდენტთა 25.1% შიდა ტურისტი იყო, ხოლო 74.9% – უცხოელი. უცხოელებს შორის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებლით გამოირჩეოდა თურქეთი (17.3%), შემდეგ ირანი (7.1%), რუსეთი (6.2%) და სხვა.

• რესპონდენტთა მიერ, საერთო ჯამში, შეფასდა 50-ზე მეტი ბრენდირებული და ლოკალური სასტუმრო – 26.7%-მა შეაფასა ბრენდირებული სასტუმროები, 73.3%-მა კი ლოკალური.

• ნომრების რაოდენობის მხრივ ყველაზე დიდი მოთხოვნა (35%) დაფიქსირდა 100-ზე მეტი ნომრის მქონე სასტუმროებზე, მისაღები ფასი კი 25\$-დან 100\$-მდე მერყეობდა.

• განისაზღვრა კრიტერიუმები სტუმრების მიერ სასტუმროების არჩევისას: ფასი, იმიჯი და რეპუტაცია, ადგილმდებარეობა, მომსახურების ხარისხი.

• გამოკითხული რესპონდენტების 75.5%-თვის სასტუმროს შესახებ ინფორმაციის მთავარ წყაროს წარმოადგენდა ინტერნეტი, ხოლო დამატებითი წყაროები მასმედიაზე (15.4%), ტაქსის მძღოლებსა (5.8%) და მეგობრის/ნათესავის რეკომენდაციებზე (3.3%) გადანაწილდა.

• განისაზღვრა ტურისტების კმაყოფილების დონე ბრენდირებული და ლოკალური სასტუმროების მაგალითზე: უცხოელი ტურისტი ბრენდირებული სასტუმროს მომსახურების ხარისხით უფრო კმაყოფილია, ვიდრე ლოკალური სასტუმროს ხარისხით.

საერთო სურათის მიხედვით დადგინდა რამდენიმე ფაქტორი, რაც ჩამოსულ ტურისტებში იწვევს უკმაყოფილებას:

• ფასისა და ხარისხის შეუსაბამობა, რაც ასოცირდება სიძვირესთან – უფრო მკაფიოდ გამოხატულია ლოკალურ სასტუმროებში, ვიდრე ბრენდირებულში. აღნიშნული ფაქტორის მიმართ უკმაყოფილება უცხოელ ტურისტებში გამოიწვია მომსახურების დაბალმა დონემ, რომელთან მიმართებაში მომსახურების ფასები შედარებით მაღალია. რაც შეეხება შიდა ტურისტებს, მათშიც წარმოიშვა სიძვირის განცდა და, ამასთანავე, უმეტესობისთვის არსებული მომსახურების ფასები ხელმისაწვდომი არ იყო;

• ლოკალური სასტუმროების მიერ პარკინგის პრობლემის მოუგვარებლობა, რაც დარეგულირებულია ბრენდირებული სასტუმროების შემთხვევაში – ჩატარებული კვლევების ანგარიშმა და ტურისტული სტატისტიკის წარმოების შედეგებმა ცხადყო, რომ ტურისტებისთვის აჭარამდე ტრანსპორტირების ერთ-ერთი ძირითადი საშუალება საკუთარი ავტომობილია. აქედან გამომდინარე, ზაფხულის სეზონზე, როცა რეგიონი ყველაზე მეტ სტუმარს მასპინძლობს წლის განმავლობაში, ქალაქებში მოთხოვნა იზრდება საპარკინგე ადგილებზე, რომლის დაკმაყოფილებაც კერ ხერხდება ლოკალური სასტუმროების მიერ, ხოლო ბრენდირებული სასტუმროები ამ საკითხს საკუთარი ავტოსადგომის ხარჯზე არეგულირებენ;

• საინფორმაციო მომსახურების გაუმართაობა, რომელიც თანაბარ უკმაყოფილებას იწვევს ორივე ტიპის სასტუმროს მიმართ;

გარდა აღნიშნული ფაქტორებისა, მომსახურების პრიორიტეტებში გასათვალისწინებელია კომუნიკაციების გაუმართაობა და სატრანსპორტო მომსახურება, რომლებიც ლოკალურ სასტუმროებში უფრო პრობლემატურად აღიქმება.

რაც შეეხება კმაყოფილების მიზეზებს, ის განსხვავდებოდა ბრენდირებულ და ლოკალურ სასტუმროებში: როგორც პერსონალის პროფესიონალიზმი, დამლაგებლის მომსახურება, ასევე სასტუმროს ნომრის კომფორტულობა და, ზოგადად, სამზარეულოს შიდა სიტუაცია. კმაყოფილების მაღალი დონით ასევე შეფასდა სველი წერტილების მდგომარეობა, ზოგადი სისუფთავე სასტუმროში, პერსონალის მიერ სტუმრის მიღება – სტუმართმოყვარეობა, სასტუმროში არსებული ატმოსფერო და სასტუმროს ადგილმდებარეობა. გამოკითხვის ბოლო ეტაპზე კი მოხდა მოლოდინისა და არსებული მომსახურების თანხედრის შეფასება და ამ ჭრილში ბრენდირებული სასტუმრო უფრო დაბალ დონეზე შეფასდა, ვიდრე ლოკალური.

მარკეტინგული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე და ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით, დაფიქსირდა რამდენიმე ფაქტორი, რომლის გამოც სასტუმროებმა მიიღო როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები:

**კმაყოფილების მაღალი დონით შეფასდა:**

- სტუმრის მოთხოვნების გათვალისწინება;
- კეთილგანწყობილი პერსონალი;
- მიღება – სტუმართმოყვარეობა;
- არსებული ატმოსფერო და სასტუმროს ადგილმდებარეობა;
- ორიგინალური დიზაინი;
- ზოგადი სისუფთავე სასტუმროში;
- სველი წერტილების მდგომარეობა.

**კმაყოფილების დაბალი დონის გამომწვევ მიზეზებად დასახელდა:**

- საკვების ხარისხი;
- არაკვალიფიციური პერსონალი;
- ფასისა და ხარისხის შეუსაბამობა;
- ძველი ინტერიერი და ავეჯი;
- საპარკინგე ადგილის არქონა;
- კომუნიკაციების გაუმართაობა.

აღნიშნული პრობლემატური საკითხების გადაჭრელობა ეტაპობრივად ზიანს მიაყენებს არა ერთეული ბიზნესის მფლობელებს, არამედ მთლიანი რეგიონის ტურისტული პოტენციალის განვითარებას. სასურველია, შემდეგი სახის რეკომენდაციების გათვალისწინება:

- სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის სტიმულირება;
- სასტუმროთა კლასიფიკაციის საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული სისტემისა და მისი მარეგულირებელი საკანონმდებლო ორგანოს შექმნა;
- მომსახურების სფეროში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად სპეციალიზებული სასწავლებლების შექმნა და მათთვის ტრენინგების ჩატარება;
- ლოკალური სასტუმროების მიერ საკუთარი პარკინგის ადგილის დაქირავება სეზონის ყველაზე დატვირთულ პერიოდში, კერძოდ კი ივლისი-სექტემბრის განმავლობაში;
- კომუნიკაციების გამართულობის ხარისხის გაუმჯობესება და სატრანსპორტო სერვისის განვითარება;
- საინფორმაციო სერვისის განვითარება უცხოელი ტურისტებისთვის;
- პერსონალის პროფესიონალიზმის დახვეწა;
- სამზარეულოს მომსახურების გაუმჯობესება – საკვების ხარისხისთვის შესაბამისი კონტროლის გაწევა.

მათავარ პრობლემას, უმეტესწილად შიდა ტურისტებისთვის, წარმოადგენს ფასების არასტაბილურობა ხარისხთან მიმართებაში. სასურველია, მოხდეს ზემოაღნიშნული რეკომენდაციების გაზიარება მომსახურების ხარისხის ამაღლების მიზნით, რეგიონში საბაზრო კონკურენციის გაზრდა და სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა მომსახურების სფეროს რეგულირების კუთხით (მაგ., სასტუმროების და რესტორნების კატეგორიზაციის ოფიციალური სისტემის დამკვიდრება).

*Tsira Tsetskhladze  
Nino Khakhubia*

### **THE RESULT OF SERVICE QUALITY RESEARCH OF HOTELS IN ADJARA Annotation**

The development of tourism potential in Adjara region is highly depended on the quality of service in the establishments related to the tourism. In 2013 the survey was conducted in order to identify the gaps and the weaknesses of local resorts. The outcomes and recommendations of this research can be used by private or public institutions. This survey illustrated the current situation in the field of services and on the basis of the obtained results relevant conclusions and recommendations had been worked out. The research focused on the following issues: the lack of supply of the hotel demand, discrepancies of quality and price, defining the level of satisfaction of tourists regarding the quality of services in the field; and other problems faced by the visiting tourists. The practical importance of the research was preparing recommendations for the development of hotels and improvement of the quality.

The study included the following key issues:

- The quality of service at the hotels;
- The ways of hotel advertisement;
- Hotel preferences by the tourists;
- The causes of guest's satisfaction or dissatisfaction etc;

Some of the important revealed problems include: non-qualified personnel, price and quality gap, a lack of parking space, food quality, communication malfunctions, old interior and furniture, and so on. The recommendations based on the analysis of these problems suggest a significant contribution to the improvement of the current situation.

*მამუკა ხუსკივაძე*


### **შემოსვლით ტურიზმზე მოთხოვნის დეტერმინანტები და მისი ანალიზი ეკონომეტრიკული მოდელების მიხედვით საქართველოს მაგალითზე**

#### **1. საქართველოს ტურისტული პოტენციალისა და შემოსვლითი ტურიზმის ბაზრის თანამედროვე მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა**

საქართველოს ბუნებრივ-გეოგრაფიული მრავალფეროვნება და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა საშუალებას იძლევა, განვითარდეს ტურიზმის ისეთი პერსპექტიული და მოთხოვნადი მიმართულებები, როგორცაა: ეკოლოგიური, აგროტური, კულტურული, რელიგიური, სათავგადასვლო, სამკურნალო-გამაჯანსაღებელი, სათამაშო, რეკრეაციული და სხვა.

ამჟამად, საქართველოს ტურისტული კომპლექსი მოიცავს 1310 განთავსების საშუალებას, 200-მდე მუზეუმს, რამდენიმე ასეულ ისტორიულ-კულტურულ ძეგლს (რომელთაგან 2 შესულია იუნესკოს მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობაში), 100-ზე მეტ კურორტს, 14 სახელმწიფო ნაკრძალს, 11 ეროვნულ პარკს, 19 ალკვეთილს, 41 ბუნების ძეგლს, 2 დაცულ ლანდშაფტს და სხვა.

მიუხედავად ტურისტული პოტენციალის მრავალფეროვნებისა, ტურიზმი, განსაკუთრებით კი შემოსვლითი ტურიზმი, საქართველოში სათანადო დონეზე არ არის განვითარებული. ეს, ნათლად ჩანს ქვეყნის მთლიან გამოშვებაში ტურიზმის წილიდან (დიაგრამა 1).



დიაგრამა 1

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ქვეყნებისათვის, რომლებიც ფლობენ სათანადო ტურისტულ პოტენციალს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემოსვლითი ტურიზმის განვითარება, ვინაიდან ის იძლევა დამატებითი კაპიტალის, სხვა ქვეყნებში შექმნილი სიმდიდრის ნაწილის მიღების საშუალებას. ეს საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას ღირს გაუფასურებითა და მისგან გამოწვეული ნეგატიური შედეგების გათვალისწინებით იქნეს ჩვენი ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

შსს-ის მონაცემებით, 2014 წელს საქართველოში შემოვიდა 2 218 050 უცხოელი ტურისტი, რაც 7,4%-ით აღემატება 2013 წლის მაჩვენებელს. უნდა აღინიშნოს რომ, წინა წლებთან შედარებით, ვიზიტორთა ზრდის ტემპები შემცირებულია. მაგალითად, 2011 წელს, 2010 წელთან შედარებით, 23,5%-იანი ზრდა დაფიქსირდა. 2012 წელს, წინა წელთან შედარებით, 35,7%-იანი ზრდა, ხოლო 2013 წელს უცხოელი ტურისტების რაოდენობის ზრდამ 2012 წელთან მიმართებაში მხოლოდ 15,4% შეადგინა.

2014 წელს, საქართველოს ყველაზე მეტად თურქი ტურისტები სტუმრობდნენ. თუმცა, 2013 წლის მაჩვენებელთან შედარებით 24,7%-ით კლებაა. მაშინ, როცა 2013 წელს 50,7%-იანი ზრდა დაფიქსირდა. მართალია, 2014 წელს სომხეთიდან შემოსული ტურისტების რაოდენობაც 16%-ით გაიზარდა, მაგრამ ეს საგრძნობლად ჩამორჩება 2013 წლის 91,3%-იან ზრდას.

ამავე წელს, ასევე გაიზარდა აზერბაიჯანიდან შემოსული ტურისტების რაოდენობა და 2013 წელთან შედარებით შეადგინა 20,6%, წინა წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 37,6% იყო. საქართველოში შემოსული ტურისტების რაოდენობაში მეოთხე ადგილი რუსეთს უჭირავს, ხოლო მეხუთეს უკრაინა იკავებს. მიუხედავად იმისა, რომ 2014 წელს რუსეთიდან შემოსულ ტურისტთა აბსოლუტური რაოდენობა არ შემცირებულა, მკვეთრად შემცირდა პროცენტული ზრდის ტემპი. კერძოდ, 2013 წელს პროცენტულმა ზრდამ 138% შეადგინა, 2014 წელს კი მხოლოდ 31%. რაც შეეხება უკრაინას, 2014 წელს პროცენტულმა ზრდამ 48,4%-ს მიაღწია, როცა 2013 წელს პროცენტული ზრდა 60,2% იყო. უნდა აღვნიშნოთ, რომ 2015 წლის იანვარ-თებერვალში ტურისტთა კლება შეინიშნება თურქეთიდან, რუსეთიდან, უკრაინიდან და ზოგიერთი სხვა ქვეყნიდან.

ექსპერტული შეფასებებით, ტურისტთა რაოდენობის შემცირების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად საქართველოს მთავრობის მიერ, რიგ ქვეყნებთან, 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედებული სავიზო რეგულაციები, კერძოდ მისი რეჟიმის გამკაცრება დასახელებულა. უნდა აღვნიშნოთ, ახალი სავიზო შეზღუდვები არ შეხება თურქეთს, რუსეთს, უკრაინას, სომხეთსა და აზერბაიჯანს (სტატისტიკურად ყველაზე მეტი ტურისტი ამ ქვეყნებიდან შემოდის საქართველოში), თუმცა ამ ქვეყნებიდანაც შემცირდა ტურისტთა შემოსვლა. ამდენად, ამის მიზეზად სავიზო ფორმალბები ვერ დასახელებულა. აღნიშნული ქვეყნებიდან ტურისტული აქტიურობების დაქვეითება, ცხადია, ძირითადად უკავშირდება საომარ მოქმედებებს, ეკონომიკური სიტუაციის გაუარესებას და სხვა ფაქტორებს.

მართალია ამ ქვეყნებზე არა, მაგრამ ახალმა სავიზო პოლიტიკამ მკვეთრად იმოქმედა ტურისტების ნაკადების შემცირებაზე ირანიდან და ერაყიდან (ორივე ქვეყანასთან გაუქმდა უვიზო მიმოსვლა). მაგალითისთვის, 2014 წელს ირანიდან 47 929 ვიზიტორი შემოვიდა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 44%-ით ჩამორჩება, ხოლო ერაყიდან საქართველოს ამავე წელს 21 752 ვიზიტორი სტუმრობდა, მათი რაოდენობა 2013 წელთან შედარებით 47%-ით ნაკლებია. ეს მაშინ, როცა ორივე დასახელებული ქვეყანა შედის ე.წ. იმ ტოპ 15 ქვეყანაში, საიდანაც საქართველოს სტატისტიკურად ყველაზე მეტად სტუმრობენ.

მოსალოდნელია, რომ ცვლილებები სავიზო რეგულაციებში შეამცირებს ტურისტთა შემოსვლას ისეთი ქვეყნებიდან, როგორცაა: ჩინეთი, ინდოეთი, მალაიზია, სინგაპური, ჰონკონგი და სხვა. ამ ქვეყნების მოქალაქეები ვეღარ ისარგებლებენ საზღვარზე ვიზის აღების შესაძლებლობით.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ საქართველოში შემოსვლითი ტურიზმის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორებად კვლავ რჩება ინფრასტრუქტურის განვითარების დაბალი დონე, ტურისტული მომსახურების არასათანადო ხარისხი, არახელსაყრელი პირობები ინვესტირებისათვის, ქვეყნის როგორც ტურისტული ბრენდის არასაკმარისი პოზიციონირება, კვალიფიციური პერსონალის სიმცირე და სხვა.

ყოველივე აღნიშნული განაპირობებს ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებში საქართველოს რეიტინგის დაქვეითებას. ამჟამად, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით, საქართველო 141 ქვეყანას შორის იკავებს 71-ე ადგილს, რაც 5

პოზიციით არის გაუარესებული 2013 წლის მონაცემებთან შედარებით. ასეთი რეიტინგები და მასში პოზიციების დათმობა ძალზე ნეგატიურად აისახება ქვეყნის ტურისტულ იმიჯზე და აქვეითებს მის ტურისტულ მიმზიდველობას.

## 2. შემოსვლით ტურიზმზე მოთხოვნის დეტერმინანტები საქართველოში

შემოსვლით ტურიზმზე მოთხოვნის დეტერმინანტების გამოვლენასა და ანალიზისადმი მიძღვნილია სხვადასხვა სახის კვლევა.

Frechting-ის კვლევებში შემოსვლით ტურიზმზე მოთხოვნის დეტერმინანტები პირობითად დაყოფილია მასტიმულირებელ და შემზღუდველ დეტერმინანტებად. პირველს მიეკუთვნება: მშპ ან ეროვნული შემოსავლები, მოსახლეობის რიცხოვნობა, თავისუფალი დრო დასვენებისათვის, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული კავშირები, ოჯახების სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა და სხვა. ხოლო მეორეს – გადაადგილების მანძილი, ფასები ტურისტულ პროდუქტებსა და თანამდევ მომსახურებაზე, სავიზო ფორმალბები, საომარი ვითარება, კრიზისული სიტუაცია, ტერაქტები და ა.შ.

Croes და Vanegas-ის, Song, Witt და Li-ის კვლევებში ისეთი კლასიკური დეტერმინანტებია შემოთავაზებული, როგორცაა: ტურისტების შემოსავლები, გაცვლითი კურსი, პოლიტიკური სიტუაცია, დამისთვის ღირებულება, მარკეტინგი და რეკლამა და სხვა. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში არსებულ კვლევებში შემოთავაზებული დეტერმინანტებია: სასტუმროები და სხვა განთავსების ადგილები, ტურიზმის სფეროში სპეციალისტთა რაოდენობა, სპორტულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებების რიცხოვნობა, მუზეუმების, ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების რაოდენობა, სასტუმროებისა და სხვა განთავსების საშუალებებში ნომრების რაოდენობა, ტრანსპორტის სახეობებზე ფასების ზრდის ინდექსი, სანიტარულ-გამაჯანსაღებელ მომსახურებაზე ფასების ინდექსი, ეკონომიკაში დასაქმებულთა რაოდენობა, კვების ობიექტების რაოდენობა, მშპ-ს მაჩვენებელი და სხვა.

ზემოთ აღნიშნულ და ასევე სხვა კვლევებში განხილული ფაქტორების ანალიზის საფუძველზე საქართველოში შემოსვლით ტურიზმზე მოთხოვნის ეკონომეტრიკული ანალიზის მიზნით შეირჩა იქნა შემდეგი დეტერმინანტები:

- **მშპ ერთ სულ მოსახლეზე.** კლასიკური მიდგომით უფრო მიზანშეწონილი და გამართლებული იქნებოდა ტურისტის წმინდა განკარგვადი შემოსავლის ამსახველ მაჩვენებელზე შეხერხება. თუმცა მასზე ზუსტი ინფორმაციის მოპოვება მისი სუბიექტური ხასითის გამო შეუძლებელია. ცხადია, ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს გაზრდა უკავშირდება საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებას, მათი შემოსავლების ზრდას, რაც, შესაბამისად, პირდაპირ კავშირშია მოსახლეობის ტურისტულ აქტიურობასთან.

- **ღამისთვის ღირებულება.** აღნიშნულ პარამეტრად აღებული იქნა საქართველოში სასტუმროებში და მისთვის საშუალო ღირებულება.

- **საპაერო ტრანსპორტით გადაადგილების ღირებულება.**

- **სახმელეთო ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულება.** იმის გამო, რომ საქართველო-რუსეთის სარკინიგზო ხაზი დროებით არ ფუნქციონირებს და საწყალოსნო ტრანსპორტით ტურისტთა უმნიშვნელო რაოდენობა შემოდის საქართველოში, მოდელში გათვალისწინებული იქნება საავტომობილო ტრანსპორტის მგზავრობის ღირებულება.

- **ტურისტული ორგანიზაციების რიცხოვნობა.** ეს მაჩვენებელი ნათლად განსაზღვრავს ტურისტული ბაზრებისა და ტურისტული პროდუქტების დივერსიფიცირებულობას. წარმოადგენს ტურისტული პოტენციალის ათვისებისა და ტურისტული ინდუსტრიის განვითარების ერთ-ერთ ინდიკატორს.

- **გაცვლითი კურსი.** ეს მაჩვენებელი ფიგურირებს საერთაშორისო ტურიზმზე მოთხოვნის დეტერმინანტების როგორც თეორიული, ისე გამოყენებითი ეკონომეტრიკული ანალიზისადმი მიძღვნილ სამეცნიერო პუბლიკაციებში. მისი ცვლილება მკაფიო სიგნალია უცხოელი ტურისტებისათვის დანიშნულების ადგილებში ტურისტულ მომსახურებაზე ფასების ცვლილების შესახებ. ღირსის გაუფასურება, სხვა თანაბარ პირობებში, აიფხებს ტურისტულ პროდუქტს და პირიქით. ნაშრომში გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსები.

- **ფიქტიური ცვლადები.** როგორც ცნობილია, ტურისტული ნაკადების დინამიკა და ზოგადად ტურისტული აქტიურობები ძალზე მგრძობიარეა საომარო მოქმედებების, ტერორისტული აქტების და სხვა ნეგატიური პროცესების მიმართ. ამგვარი მოვლენების ასახვას ეკონომეტრიკულ მოდელში ემსახურება ე.წ. ფიქტიური ცვლადები, რომლებიც არსებობის შემთხვევაში უდრის 1-ს და არარსებობის შემთხვევაში 0-ს. მოდელში ჩართულია ორი ფიქტიური ცვლადი. ერთი ასახავს რუსეთ-საქართველოს ომს 2008 წელს, ხოლო მეორე – მსოფლიო ფინანსურ კრიზისს იმავე წელს. ორივე მათგანმა დროებით შეამცირა უცხოელი ტურისტების შემოსვლა საქართველოში.

- **ლაგური ცვლადი.** ცვლადი, რომელიც ახასიათებს ტურისტთა მიზიდულობას ტურისტული დანიშნულების ადგილისადმი, ვუწოდოთ მას ტურისტული გრაფიტაცია. დადებითი შთაბეჭდილებები, ანიმაცია, რაც შეიძლება მიიღოს ტურისტმა დანიშნულების ადგილზე, ხშირად ხდება მათი განმეორებითი სტუმრობის წინაპირობა. ხოლო ნაკლები კმაყოფილების პირობებში არათუ თვითონ აღარ უნდებათ განმეორებით სტუმრობის სურვილი, არამედ, ადვილად შესაძლებელია, თავიანთი შთაბეჭდილების გაზიარებით სხვებსაც შეაცვლევინონ მოცემულ დანიშნულების ადგილებში მოგზაურობის გადაწყვეტილება.

## 3. მოდელის სპეციფიკაცია

საქართველოში შემოსვლით ტურიზმზე მოთხოვნის ანალიზის ეკონომეტრიკული მოდელის აგების მიზნით გამოყენებულ იქნა მონაცემები ე.წ. ტოპ 15 ქვეყნიდან (თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, უკრაინა, ირანი, პოლონეთი, ისრაელი, გერმანია, ყაზახეთი, აშშ, ერაყი,საბერძნეთი, ბელორუსი და გაერთიანებული სამეფო) შემოსული ტურისტების რიცხოვნობის შესახებ ( $i=1,15$ )



შერჩეული დეტერმინანტების გათვალისწინებით, საქართველოში შემოსვლით ტურიზმზე მოთხოვნის ფუნქციას ექნება შემდეგი სახე:

$$M_{it} = f(M_{it-1}, N_{it}, P_{1t}, P_{2t}, P_{3t}, K_{it}, Q_t) \quad (1)$$

სადაც

$M_{it}$  არის ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით  $i$ -ური ქვეყნიდან  $t$  წელს შემოსულ ტურისტთა რაოდენობა;

$M_{it-1}$  – ლაგური ცვლადი, რომელიც გვიჩვენებს მიზიდულობას (გრავიტაციას) ტურისტული დანიშნულების ადგილებზე;

$N_{it}$  –  $i$ -ურ ქვეყანაში  $t$  წელს ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს ამსახველი მაჩვენებელი;

$P_{1t}$  – ღამისთევის ღირებულება დანიშნულ ადგილზე  $t$  წელს;

$P_{2t}$  – საჰაერო ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულება  $i$ -ური ქვეყნიდან  $t$  წელს;

$P_{3t}$  – სახმელეთო მგზავრობის ღირებულება  $i$ -ური ქვეყნიდან  $t$  წელს;

$K_{it}$  – ღარის ერთეულის გაცვლითი კურსი  $i$ -ური ქვეყნის ვალუტასთან  $t$  წელს;

$Q_t$  – ტურისტული კომპანიების რაოდენობა  $t$  წელს;

$D_1$  – ფიქტიური ცვლადი, რომელიც ასახავს რუსეთ-საქართველოს ომს 2008 წელს;

$D_2$  – ფიქტიური ცვლადი, რომელიც ასახავს 2008 წელს დაწვეულ მსოფლიო ფინანსურ კრიზისს.

სპეციალურ კვლევებში (Беднова М.А., Ратникова Т.А.) შემოსვლით ტურიზმზე მოთხოვნის ანალიზის მიზნით აგებულ ეკონომეტრიკულ მოდელებს აქვს ლოგარითმული ფორმა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენს შემთხვევაში ეკონომეტრიკული მოდელი მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\ln M_{it} = \alpha + \beta_1 \ln M_{it-1} + \beta_2 \ln N_{it} + \beta_3 \ln P_{1t} + \beta_4 \ln P_{2t} + \beta_5 \ln P_{3t} + \beta_6 \ln K_{it} + \beta_7 \ln Q_t + \beta_8 D_1 + \beta_9 D_2 + U_{it} \quad (2)$$

სადაც  $i=1, \dots, 15$ ,  $t=2008, \dots, 2014$ ;  $U_{it}$  – შემთხვევითი წევრი, რომელიც აერთიანებს თეთრ ხმაურს, ქვეყნების არა-ლაკვირვებად ინდივიდუალურ ეფექტებსა და დროებით ეფექტებს.

წარმოდგენილი მოდელი დინამიკური სახისაა. მიხედავად, რომ მისი პარამეტრების გაანგარიშება უმცირეს კვადრატთა მეთოდით და FE შეფასება არ არის გამართლებული. ამგვარი მოდელის შეფასებისათვის რეკომენდებულია ინსტრუმენტალური ცვლადების მეთოდის ან მომენტების განზოგადებული მეთოდის (GMM) გამოყენება. კერძოდ, ამ მიზნით, ზოგიერთი სხვა კვლევის მსგავსად, ჩვენ გამოვიყენეთ არელლანო-ბონდის მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა არადაკვირვებადი ქვეყნების ინდივიდუალური ეფექტების ელიმინირების საშუალებას. შესაბამისად, დინამიკურ მოდელს ექნება შემდეგი სახე:

$$\Delta \ln M_{it} = \alpha + \beta_1 \Delta \ln M_{it-1} + \beta_2 \Delta \ln N_{it} + \beta_3 \Delta \ln P_{1t} + \beta_4 \Delta \ln P_{2t} + \beta_5 \Delta \ln P_{3t} + \beta_6 \Delta \ln K_{it} + \beta_7 \Delta \ln Q_t + \beta_8 \Delta D_1 + \beta_9 \Delta D_2 + \Delta U_{it} (\Delta \mu_i + \Delta \varepsilon_t) \quad (3)$$

ვინაიდან მოდელი დინამიკურია და გააჩნია ორმაგი ლოგარითმული ფორმა - მისი კოეფიციენტები წარმოადგენს მოკლევადიანი ელასტიკურობის ამსახველ მაჩვენებლებს, რომელთაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ შედეგების ინტერპრეტაციის პროცესში.

#### 4. ეკონომეტრიკული მოდელის შეფასებით მიღებული შედეგები და მათი ინტერპრეტაცია

არელლანო-ბონდის მეთოდით მე-3 რეგრესიული მოდელის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა სპეციალური ეკონომეტრიკული პაკეტი STATA10. ავტოკორელაციის ტესტის და სარგანის ტესტის ჩატარებამ აჩვენა, რომ რეგრესულ განტოლებაში სწორადაა ჩართული ცვლადები, რაც სტატისტიკურად მნიშვნელოვანი შეფასებების მიღების წინაპირობაა.

საქართველოში შემოსვლით ტურიზმზე მოთხოვნის ანალიზის მიზნით აგებული დინამიკური ეკონომეტრიკული მოდელის შეფასებით მიღებულ იქნა შედეგი შედეგი:

*ცხრილი 1*

2008-2014 წწ. დინამიკური ეკონომეტრიკული მოდელის პარამეტრების შეფასება საქართველოსთვის

$\ln M_{t-1}$	$\ln N$	$\ln P_1$	$\ln P_2$	$\ln P_3$	$\ln K$	$\ln Q$	$\ln D_1$	$\ln D_2$
0.73	1.64	-0.62	-0.05	-0.24	0.63	0.06	-0.10	-0.08

**დანიშნულების ადგილისადმი გრავიტაციის (მიზიდულობის) ამსახველი ლაგური ცვლადი.** გათვლების შედეგად საქართველოსთვის, აღნიშნულმა პარამეტრმა მიიღო 0,73-ის ტოლი მნიშვნელობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანაში ჩამოსული ტურისტების 73% -ს კვლავ უჩნდება განმეორებითი სტუმრობის სურვილი. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია, განსაკუთრებით მსოფლიო ეკონომიკური ფორმის მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსის ფონზე. ამ ინდექსის მიხედვით, ჩვენს ქვეყანაში არცთუ ისე სახარბიელო ვითარებაა სახმელეთო ინფრასტრუქტურის, ფასების კონკურენტუნარიანობის, მოგზაურობისა და ტურიზმის პრომოტივულულობის, ბუნებრივი რესურსების, კულტურული რესურსების და სხვა მაჩვენებლების მიხედვით. მიზიდულობის ასეთი მაღალი მაჩვენებელი, სავარაუდოდ გან-

პირობებული უნდა იყოს ქართველებისათვის მენტალურად დამახასიათებელი სტუმართმოყვარეობით. ასევე იმ ფაქტით, რომ საქართველოში შემოსულ ტურისტებში ჭარბობს ტურისტები პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან (სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, უკრაინა). საბჭოთა პერიოდში ამ ქვეყნებისა და საქართველოს ერთობლივმა თანაცხოვრებამ ისტორიული საფუძველი ჩაუყარა კულტურულ, სოციალურ და სხვა ტიპის კავშირებს, რაც თანამედროვე პირობებშიც გრძელდება და ხელს უწყობს ტურისტულ აქტიურობებს.

**შშ-ს ერთ სულ მოსახლეზე.** თეორიულად დასაბუთებულია, რომ ძირითადად მოსახლეობის შემოსავლები განაპირობებს მათი დანახარჯების მოცულობას გართობებსა და დასვენებაზე, რის გამოც ადამიანები ამა თუ იმ ქვეყანას უპირატესად ტურისტული დანიშნულებით სტუმრობენ. საქართველოს მაგალითზე აკრებული მონაცემების მიხედვით მოთხოვნის ელასტიკურობა შემოსავლების მიხედვით, არის 1,64 და მნიშვნელოვანია 1%-იანი მნიშვნელობების დონით. მაშასადამე, საქართველოს ტურისტული პოტენციალის ათვისება და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდა არსებითადაა დამოკიდებული ტურისტთა წარმოშობის ქვეყნებში ეკონომიკური კონიუნქტურის გაუმჯობესებაზე.

**დამისთვეის დირექტული.** დამისთვეა ტურისტული პროდუქტის მნიშვნელოვანი კომპონენტია, ხოლო დამისთვეაზე დანახარჯებს მთლიან ტურისტულ დანახარჯებში სოლიდური ხვედრითი წილი გააჩნია. მოდელში ამ მაჩვენებლის კოეფიციენტი 0,26 ტოლია, რაც ნათლად ადასტურებს შემოსვლით ტურიზმზე მოთხოვნის მგრძობიარობას მის მიმართ. საქართველოში დამისთვეის საშუალებები ძირითადად წარმოდგენილია საოჯახო ტიპის სასტუმროებით, თუმცა ბოლო წლებში ადგილი აქვს მსოფლიო სასტუმრო ბრენდების შემოსვლას. ამჟამად სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების მასშტაბების გაფართოება განსაკუთრებით შესაძლებელია აჭარაში. ეს, მისი ტურისტული პოტენციალის ვათვალისწინებით, სრულიადაც არაა გასაკვირი. სასტუმროების რაოდენობის ზრდამ (რისი ტენდენციაც აშკარად გამოკვეთილია) ხელი უნდა შეუწყოს კონკურენციის გაფართოებას, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებასა და სწორ ფასწარმოქმნას.

**საჰაერო ტრანსპორტით მგზავრობის დირექტული.** საქართველოსთვის, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, ეს დეტერმინანტი არცთუ ისე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. მოკლევადიანი ელასტიკურობა 0,05-ის ტოლია. ეს შესაძლებელია აიხსნას იმით, რომ ჩვენს ქვეყანაში ტურისტთა მთლიანი რაოდენობიდან აბსოლუტური უმრავლესობა, მიახლოებით 80-90%, შემოდის სახმელეთო საზღვრებიდან, ისეთი ქვეყნებიდან, როგორცაა: თურქეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი. რუსეთის ფედერაციიდანაც საკმაოდ დიდი ნაწილი საქართველოში შემოსასვლელად სარგებლობს სახმელეთო ტრანსპორტით (ამ ფაქტს განსაკუთრებით ჰქონდა ადგილი მაშინ როცა დროებით შეწყდა პირდაპირი ავიამიმოსვლა საქართველოსა და რუსეთს შორის). მაშინ როცა ევროკავშირის ქვეყნებიდან, საიდანაც ჩვენს ქვეყანაში ტურისტული მოგზაურობისათვის სახმელეთო გადაადგილების საშუალებების გამოყენება პრაქტიკულად არამიზანშეწონილია და მხოლოდ საჰაერო ტრანსპორტი უნდა იქნეს გამოყენებული, 2015 წლის პირველ კვარტალში შემოვიდა მოგზაურთა მთლიანი რაოდენობის 3%(31 953 მოგზაური).

გარდა ამისა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ბევრ ქვეყანასთან არ აქვს პირდაპირი ავიასაზღვაო ან ისინი არარეგულარულია, რაც აფერხებს ტურისტთა შემოსვლას. ამის დასტურად შევნიშნავთ, რომ 2015 წლის პირველ კვარტალში ლიტვის მიმართულებით პირდაპირი ავიასაზღვაო გასასვლელი გამოიწვია ამ ქვეყნიდან 2294 ვიზიტორის შემოსვლა, რაც 136%-ით მეტია წინა წლის იმავე კვარტალთან შედარებით. ამავე კვარტალში, საქართველოსა და ბელორუსს შორის ავიამიმოსვლის გააქტიურებამ 39%-ით გაზარდა ვიზიტორთა რაოდენობა.

**სახმელეთო ტრანსპორტით გადაადგილების დირექტული.** როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში შემოსულ ტურისტთა საერთო რაოდენობაში ჭარბობს ტურისტები მეზობელი ქვეყნებიდან. გეოგრაფიული სიახლოვის, არარეგულარული საავიაციო მიმოსვლის ან მისი არარსებობის და სხვა გარემოებების გამო, ისინი ირჩევენ საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრობას. მოდელში ამ დეტერმინანტის კოეფიციენტმა მიიღო - 0,24-ის ტოლი მნიშვნელობა და აღმოჩნდა მნიშვნელოვანი. უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, მათ შორის ავტობანის მშენებლობის დასრულება, შეამცირებს ტურისტთა მგზავრობის ხანგრძლივობას და მათ დანახარჯებს გადაადგილებაზე. პერსპექტივაში, ამან უნდა გამოიწვიოს ტურისტთა ნაკადის ზრდა.

**გაცვლითი კურსი.** ცნობილია, რომ ტურისტი ტურისტული პროდუქტის შექმნაზე გადაწყვეტილებას იღებს მგზავრობაზე, დამისთვეასა და სხვა მომსახურებაზე ფასების შესახებ ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე. თუმცა, ასეთი სახის ინფორმაცია მისთვის შესაძლებელია უფრო ნაკლებად ხელმისაწვდომი ან სანდო იყოს, ვიდრე მონაცემები გაცვლითი კურსის შესახებ. ამიტომ, ის ყოველთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ფასისმიერი პარამეტრები. მოდელში გაცვლითი კურსის კოეფიციენტი, როგორც მოსალოდნელი იყო, არის დადებითი, მნიშვნელოვანია 1%-იანი მნიშვნელოვნების დონით და უდრის 0,63, აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ, სხვა თანაბარ პირობებში, ლარის გაუფასურება უცხოელი ტურისტებისათვის იწვევს ტურისტული მომსახურების გათვალისწინებას, რაც ტურისტული ნაკადების ზრდის წინაპირობაა. შეიძლება აღვნიშნოთ, რომ 2015 წლის დასაწყისში საქართველოში დაწყებულმა ლარის დევალვაციის პროცესმა, ტურისტულ მომსახურებაზე ფასების უცვლელობის პირობებში, უნდა გამოიწვიოს უცხოელ ტურისტთა რაოდენობის ზრდა.

**ტურისტული ორგანიზაციების რაოდენობა.** დაკვირვებად პერიოდში საქართველოში ტურიზმის სფეროში ოპერირებადი ორგანიზაციების რაოდენობა ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, რაც ადასტურებს ტურიზმის ბიზნესის სფეროს ათვისების მასშტაბების გაფართოებას. ეს კომპანიები სულ უფრო და უფრო მეტად ცდილობენ ტურისტული პროდუქტების დივერსიფიცირებას, მის ექსპორტს, სწორი მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავებას და ხელს უწყობენ საქართველოს პოზიციონირებას საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე. მოდელში, ამ ცვლადის კოეფიციენტი დადებითი ნიშნითაა, თუმცა არცთუ ისე დიდი მნიშვნელობა მიიღო ( 0, 06).

**ფიქტიური ცვლადები.** მოდელში ჩართულ ფიქტიურ ცვლად D<sub>1</sub>-ს, რომელიც ასახავს რუსეთ-საქართველოს ომს, აქვს უარყოფითი ნიშანი და ტოლია - 0.10-ის. ეს ლოგიკურია, ვინაიდან ტურისტები

ძალზე მგრძობიარედ რეაგირებენ საომარ მოქმედებებზე, ტერორისტულ აქტებზე, პოლიტიკურ არასტაბილურობასა და სხვა კატაკლიზმებზე. რუსეთ-საქართველოს ომმა ჩვენს ქვეყანაში გააუარესა ტურისტული მიმზიდველობის ისეთი მანქანები, როგორცაა დაცულობა და უსაფრთხოება და საქართველოს შეუქმნა საომარ ვითარებაში მყოფი ქვეყნის იმიჯი. მეორე, მსოფლიო ფინანსური კრიზისის ამსახველი ფიქტიური ცვლადი  $D_2$  ასევე უარყოფითი ნიშნითაა. მისი კოეფიციენტი  $-0,08$ -ის ტოლია. ამ კრიზისმა შეამცირა საქართველოში უცხოელ ტურისტთა შემოსვლა, თუმცა კლება უფრო თვალსაჩინო იქნებოდა შემომსვლელი ტურისტების წარმოშობის ქვეყნები უფრო ინტეგრირებული რომ ყოფილიყო მსოფლიო ეკონომიკაში.

### დასკვნა

საქართველოში შემოსვლით ტურიზმზე მოთხოვნის ანალიზმა ეკონომეტრიკული მოდელის გამოყენებით გამოავლინა ის ძირითადი დეტერმინანტები, რომლებიც არსებით ზეგავლენას ახდენს უცხოელი ტურისტების რაოდენობის ზრდაზე. განსაკუთრებით გამოსაყოფია ტურისტული გრაეიტაცია (მიზიდულობა) და გაცვლითი კურსი. აღმოჩნდა, რომ მნიშვნელოვანი ზემოქმედება დაკვირვებად პერიოდში მოახდინა რუსეთ-საქართველოს ომმა და მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა. მიღებული შედეგების გამოყენება შესაძლებელია ტურიზმის სფეროს კომპლექსური კვლევების, პროგნოზირებისა და ამ სფეროს უფრო ეფექტიანი განვითარების სტრატეგიის ფორმირებისათვის.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. თოთლაძე ლ., ტურიზმის ეკონომეტრიკული მოდელირების თეორიული ასპექტები. თბ., 2014
2. Беднова М.А., Ратникова Т.А. Эконометрический анализ спроса на въездной туризм в России. Ж. Прикладная эконометрика, 2011. № 1. С. 97—113.
3. Croes R.R., Vanegas M. An Econometric study of tourist arrivals in Aruba and its implications. Tourism management. 2005, 26(6), 879-890.
4. Frechtling D. C. Practical tourism forecasting. 1996, Butterworth-Heinemann.
5. Haiyan Song, Stephen F. Witt, Gang Li. The Advanced Econometrics of Tourism Demand. Taylor and Francis. UK, 2008.
6. Nikolaos Dritsakis Spiros Athanasiadis. AN ECONOMETRIC MODEL OF TOURIST DEMAND: The Case of Greece Studies in Economics and Econometrics Vol. 22, No 1 p. 115 - 122.
7. www.hse.ru/data/2012/03/11/1266392615/
8. geostat.ge
9. http://gnta.ge/
10. http://police.ge/

*Mamuka Khuskivadze*

### THE DETERMINANTS OF INCOMING TOURISM DEMAND AND ITS ANALYSES IN GEORGIA USING ECONOMETRIC MODELING METHOD

#### Annotation

The article offers an econometrical analyses of incoming tourist demand in 2008-2014 in Georgia on the date basis of so-called 15 top countries. JDP per capital in tourist origin countries, exchange rate cost of lodging, cost of living, cost of air travel, surface travel cost, attraction of tourist destination, the number of tourist organizations in Georgia dummy, variables reflecting the world financial crises began in 2008 and Russian – Georgian war in 2008 are offered as the determinants of incoming tourism demand. By means of dynamic econometric model assessment are elucidated the determinants essentially influencing the formation of incoming tourism demand.

## მდგრადი განვითარების ეკონომიკური პრობლემების სექცია

გივი ბელიანაშვილი

ინსტიტუციონალიზაცია, კულტურა და საქართველოს მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება  
(მაკროსისტემური ასპექტი)

ნებისმიერი ქვეყნისთვის ინსტიტუციურ სტრუქტურას აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა შესაბამისი სოციალურ - ეკონომიკური სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და მდგრადი განვითარებისათვის, რაც უფრო მეტად გამოქვეყნდება გარდამავალ ეტაპებზე და კრიზისულ სიტუაციებში [1]. ამასთან, პირველ რიგში, არსებითია სწორედ ინსტიტუტების ფორმირება.

ინსტიტუტების შექმნა, ინსტიტუციონალიზაცია არის რთული, მრავალსაქვითი პროცესი და შედეგად გულისხმობს სპონტანური და ექსპერიმენტული ქცევის შეცვლას რეგულირებადი, მოსალოდნელი და პროგნოზირებადი ქცევით. ამასთან, ამ პროცესში ინსტიტუტების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფის (ხელშეწყობის) პოზიციებიდან გამომდინარე, გამოიყოფა (ყოველ შემთხვევაში, თეორიულად და მეთოდოლოგიურად იგულისხმება, რომ უნდა გამოიყოს) რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ეტაპი, როგორცაა: მოთხოვნების წარმოშობა (გამოვლენა), რომელთა დაკმაყოფილებაც მოითხოვს ადამიანთა ერთობლივ ორგანიზებულ ქცევას, მოქმედებას; სტიქური სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთქმედების პროცესში ნორმებისა და წესების გაჩენა, ამ ნორმებისა და მათი ხელშეწყობისათვის დადგენილი სანქციების გამოყენება; ინსტიტუტის ყველა წევრის მიმართ შესაბამისი სტატუსებისა და როლების ჩამოყალიბება; ფორმალური და არაფორმალური ორგანიზაციების შექმნა, რომლებიც დაარეგულირებენ ინსტიტუტის ფუნქციონირებას. შეიძლება ითქვას, რომ ინსტიტუციონალიზაციის შემთხვევაში წარმოებს ინსტიტუტების ადგილზე „გამოზრდა“ და არა გარედან შემოტანა (იმპორტი) ე. წ. „ტრანსპლანტაცია“ (ეკონომიკური ინსტიტუტების ტრანსპლანტაციის შესახებ იხ., მაგალითად, [2,3]. პოსტკომინისტური სივრცის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, ინსტიტუტების ტრანსპლანტაციის მრავალწლიანი პრაქტიკის ნეგატიური შედეგების შესახებ, იხ., მაგალითად, [4]).


საქართველოს ევროპული ორიენტაცია აქტუალურს ხდის ევროკავშირში და ევრო- სტრუქტურებში ჩვენი ქვეყნის კომპლექსური და ეფექტიანი თანმიმდევრული ინსტიტუციური ინტეგრაციის უზრუნველყოფას [5] ევროკავშირის დღევანდელი პრინციპული მოწოდების [6] თავისებურებათა გათვალისწინებით. ამასთან, უმნიშვნელოვანესი საკითხია ის, რომ ინსტიტუტების შექმნის (ან გარდაქმნის, მოდერნიზაციის) პროცესი (ინსტიტუციონალიზაცია) იყოს სისტემური და სინქრონული დროში.

ამ მიმართებით ლოგიკურია დაისვას საკითხი ევროკავშირის ბიზნესგარემოსთან, ასევე ევროკავშირის შემადგენლობაში მყოფი ცალკეული ქვეყნების და საქართველოს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური სისტემების ინსტიტუციური სტრუქტურების თავისებულების შესახებ.


რადგანაც პოსტკომინისტური ქვეყნების მრავალწლიანი გამოცდილება და პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ წარმატებული ან ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფოების ინსტიტუტების მექანიკური კოპირება ეფექტიანი არ არის კონკრეტული ქვეყნისათვის (მათ შორის, ბუნებრივია, საქართველოსთვისაც), გამომდინარე ზემოაღნიშნული სისტემური ინსტიტუციონალიზაციის ლოგიკიდან, პირველი ეტაპი უნდა იყოს მოთხოვნილებებისა და შესაბამისი პრობლემების გამოყოფა, რომელთა გადაჭრაც მოითხოვს სათანადო სისტემურ ინსტიტუციურ მიდგომას (მოწოდებას). ვფიქრობთ, მიზანშეწონილია, პირველ რიგში განვიხილოთ ის სფეროები, სადაც ადგილი აქვს ქვეყნის მნიშვნელოვან ჩამორჩენას, რაც არსებითად უშლის ხელს მის მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

საქართველოსთვის, ბენჩმარკინგის მიზნით, გამოყოფთ ესტონეთს. ინსტიტუციური სტრუქტურის ეფექტიანობა, ვფიქრობთ, შეიძლება ირიბად გაიზომოს ქვეყნის მდგრადობის დონით ექსტრემალურ (კრიზისულ) პერიოდებში და უშუალოდ კრიზისიდან გამოსვლის ეტაპზე, რითაც ესტონეთი აღმოჩნდა საკმაოდ პოზიტიურ მდგომარეობაში. აქვე საინტერესოა დაისვას კითხვა: აქვს თუ არა მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური დინამიკის მდგრადობის ხარისხისთვის მისი ეკონომიკური განვითარების დონეს? საზოგადოდ, რა თქმა უნდა, აქვს, მაგრამ არა გადაწყვეტი. უფრო მნიშვნელოვანია, ჩვენი აზრით, სწორედ ინსტიტუციური სტრუქტურის ეფექტიანობა.

ქვეყანაში ინსტიტუციური სტრუქტურის ეფექტიანობის დონეზე, ჩვენი აზრით, მიუთითებს ასევე ბიზნესის ნდობის ინდექსის დინამიკა, მათ შორის კრიზისულ სიტუაციებში (აღნიშნული ინდექსი, როგორც ცნობილია, გვიჩვენებს ბიზნესმენჯერების პესიმისტური და ოპტიმისტური მოლოდინების ზომას, რაც ინტეგრირებულად ასახავს ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობასაც). ამ კუთხითაც ესტონეთი შესაძნელებად გამოირჩევა ევროზონის საშუალო დონიდან და თვით შვეიცარიისგანაც კი (ნახ. 1–2; აქ გამოყენებულია მონაცემები [7]).




ნახ. 1. ბიზნესის ნდობის ინდექსის დინამიკა ესტონეთსა და ევროზონაში



ნახ. 2. ბიზნესის ნდობის ინდექსის დინამიკა ესტონეთსა და შვეიცარიაში


საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ცალკეული სფეროს განვითარების დონის იდენტიფიცირებისას, ჩვენი აზრით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს კარგად ცნობილი გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, რომელიც 2004-2005 წლიდან დაწყებული, ასახულია მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ყოველწლიურ მოხსენებაში. მასში გადმოცემულია ეროვნული ეკონომიკების მდგრადი განვითარების უზრუნველყოფი ფაქტორების კვლევა, ხოლო ქვეყნის კონკურენტუნარიანობა თავისი არსით წარმოდგენილია, როგორც ინსტიტუტების, პოლიტიკისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც, მთლიანობაში, გარკვეულად განსაზღვრავს შესაბამისი კონკრეტული სახელმწიფოს პროდუქტიულობის დონეს, და როგორც შედეგი, მის მოქალაქეთა კეთილდღობის უზრუნველყოფის შესაძლებლობებს [8]. როგორც ცნობილია, გლობალური კონკურენტუნარიანობის გამოკვლევა ეფუძნება 110-მდე სოციალურ-ეკონომიკური ინდიკატორის ანალიზს და საბოლოო მოხსენება მზადდება თორმეტი მაჩვენებლის მიხედვით, როგორცაა საჯარო ინსტიტუტები, ინფრასტრუქტურა, მაკროეკონომიკური გარემო, ჯანმრთელობა და დაწვებითი განათლება, უმაღლესი განათლება და ტრენინგები, სასაქონლო და შრომითი ბაზრების ეფექტიანობა, ფინანსური ბაზრის განვითარებულობა, ტექნოლოგიური მზადყოფნა, ბაზრის სიდიდე, ბიზნესის დახვეწილობა და ინოვაციები. პირველი ოთხი მაჩვენებელი ასახავს ძირითად მოთხოვნებს (ბაზურ ფაქტორებს), შემდეგი ექვსი – ეფექტიანობის ზრდის (გაძლიერების) ფაქტორებს, ხოლო ბოლო ორი კი წარმოგვიდგენს ინოვაციებს და ბიზნესის დახვეწილობის ფაქტორებს. მაგალითად, 2012-2013 წლის მონაცემებით [იქვე], საქართველოს მდგომარეობა ესტონეთთან და შვეიცარიასთან მიმართებაში გვიჩვენებს იმ სფეროებს, რომელთა უპირატესი განვითარებაც, ალბათ, მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას იმ ორიენტაციით, რომ საქართველო უნდა მიისწრაფოდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მოწყობის საუკეთესო ევროპული მოდელისაკენ (ნახ. 3). ბოლო ორი წლის განმავლობაში, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის შესახებ მოხსენების მასალების თანახმად (2014-2015) საქართველოს მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდება ცალკეული მაჩვენებლების მიხედვით [9,10] – საერთო რეიტინგში, გადმოინაცვლა 144 ქვეყანას შორის 72 ადგილიდან 69 ადგილზე (4.22 ქულით). თუმცა, ჩვენი ქვეყნისთვის კვლავ აქტუალურია ისეთი სფეროების ხელშეწყობა და არსებითი განვითარება, როგორცაა უმაღლესი განათლება და ტრენინგები (3.89 ქულა – 92-ე ადგილით), ინოვაციური პოტენციალი (2.71 ქულა – 121-ე პოზიციით) და ბიზნესის დახვეწილობა (3.49 ქულა – 113-ე

ადგილით). ცხადია, ეს სწორედ ის სფეროებია, რომლებიც მნიშვნელოვნად განაპირობებს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგრადობას და მის პერსპექტივებს.



ნახ. 3. საქართველო, ესტონეთი და შვეიცარია ცალკეული სფეროების განვითარების დონეთა მიხედვით 2012-2013 წწ.

უშუალოდ ინსტიტუციური სტრუქტურის (როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მდგრადობის უზრუნველყოფი, ჩვენი აზრით, მთავარი ფაქტორის), იდენტიფიცირება და მონიტორინგი შეიძლება განხორციელდეს, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსით. როგორც ცნობილია, აღნიშნული ინდექსი გამოითვლება გაზეთ Wall Street Journal და კვლევითი ცენტრის Heritage Foundation-ის მიერ 1995 წლიდან ყოველწლიურად მსოფლიოს ქვეყნების ჭრილში [11]. ეკონომიკურ თავისუფლებათა ინდექსი მოწოდებულია, ასახოს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის მნიშვნელოვანი ინსტიტუციური მახასიათებლები. ეს ინდიკატორი მოიცავს რამდენიმე ათეულ მაჩვენებელს, კიდევ გაერთიანებულს 10 ჯგუფში (ნახ. 4), წარმოდგენილი შემდგომ კიდევ ოთხ გამსხვილებულ ჯგუფად, როგორცაა: **მართლწესრიგი** (საკუთრების უფლებათა დაცვა და თავისუფლება კორუფციისაგან), **ხელისუფლების შეზღუდულობა** (გადასახადების თავისუფლება და თავისუფლება ხელისუფლებისაგან), **რეგულირების ეფექტიანობა** (ბიზნესის თავისუფლება, ფულადი თავისუფლება და შრომითი ურთიერთობების თავისუფლება), **ბაზრის გახსნილობა** (ვაჭრობის თავისუფლება, ინვესტიციური თავისუფლება და ფინანსური თავისუფლება).



**ნახ.4. საქართველოს შედარებითი მდგომარეობა ინსტიტუციონალიზაციის სისტემურობის დონის მიხედვით 2014 წ. მონაცემებით**


ევროკავშირის საშუალო და ევროპის საორიენტაციო ქვეყნებთან შედარებით 2014 წელს მომზადებული მონაცემებით, საქართველოს მდგომარეობა პოზიტიურია, თუმცა ჯერ კიდევ ჩამორჩება მათ ბაზრის გახსნილობის (ინვესტიციური და ფინანსური თავისუფლების), ასევე მართლწესრიგის ინსტიტუტის (საკუთრების უფლებათა დაცვის და კორუფციისაგან თავისუფლების) განვითარებით [12].

საქართველოს მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით და მისი ევროპული ორიენტაციიდან გამომდინარე, აქტუალურად გვესახება ისეთი მნიშვნელოვანი არაფორმალური ინსტიტუტის სისტემური და სტრუქტურირებული წარმოდგენა, როგორცაა კულტურა [13]. განსაკუთრებით აქტუალურად გვესახება აგრეთვე ჩვენი და ევროკავშირის ქვეყნების კულტურული თავისებურებების გათვალისწინება, ასევე მათი თავსებადობის დონის განსაზღვრა და, საჭიროების შემთხვევაში, ადაპტაციური მექანიზმების ჩართვა ან პირიქით ეროვნული იდენტობის გაძლიერება ჩვენი საზოგადოებისათვის სათუთი და მგრამობიარე ასპექტებით (აქვე შევნიშნავთ კარგად ცნობილ ფრაზას იმის შესახებ, რომ არ არსებობს კარგი და ცუდი კულტურები, უბრალოდ ისინი არიან გასხვავებული და ამ განსხვავებულობის კომპეტენტური დარეგულირება არის ნებისმიერი ქვეყნის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განმსაზღვრელი წინაპირობა). საზოგადოდ კულტურის დიდი მნიშვნელობის შესახებ ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირებაში ჯერ კიდევ დუგლას ნორტი [14] აღნიშნავდა.

კულტურის ცნების მრავალი განმარტებაა ცნობილი (იხ., მაგალითად [15-33]), თუმცა განსახილველი პრობლემატიკის კონტექსტში საინტერესოდ მიგვაჩნია გირტ ჰოფსტედის კონცეფცია, რომლის შესაბამისადაც, კულტურა ავტორის მიერ განიხილება ფასეულობების და ნორმების პრიზმაში მათი მთლიანი ერთობლიობის სახით [20]. ასევე საინტერესოა ცნობილი შალომ შვარცის მიდგომა, რომლის თანახმადაც, კულტურა საფუძველია საზოგადოებაში ადამიანების დომინირებული რწმენების, წესების, ჩვეულებების, სიმბოლოების, ნორმების და ფასეულობების. იგი სრულიად მართებულად აღნიშნავს, რომ კულტურა არის ლატენტური, ჰიპოთეტური ცვლადი, რომელიც შესაძლებელია გაიზომოს მხოლოდ მისი კონკრეტული გამოვლენის საშუალებით და ამ თვალსაზრისით (აზუსტებს ავტორი), კულტურა არაა ლოკალიზებული ცალკეული ადამიანების გონებაში და მოქმედებებში. იგი (კულტურა), უფრო მეტად, ინდივიდის გარეთაა და დაკავშირებულია იმ წნეხთან, რომელსაც განიცდის ეს ინდივიდი იმის გამო, რომ ცხოვრობს გარკვეულ სოციალურ სისტემაში [21]. ჩვენი აზრით, აღნიშნული განმარტებები მართლაც საკმაოდ ადეკვატურად ახასიათებს კულტურას, როგორც არაფორმალურ ინსტიტუტს.

უშუალოდ კულტურის და ფასეულობების მოდელირებას და რაოდენობრივი გაზომვის კუთხით საინტერესოდ მიგვაჩნია ერთ-ერთი პირველი და აღიარებული მიდგომა, შემუშავებული იმავე გირტ ჰოფსტედის მიერ. ჰოფსტედისეულ მოდელში გამოყოფილია კულტურის რაოდენობრივად გაზომვადი ცალკეული ბლოკები, რომლებიც ერთიანობაში სისტემურად წარმოდგენენ საზოგადოების ფასეულობებს. ამ მოდელის შედარებით ბოლო ვარიანტში წარმოდგენილია შემდეგი ბლოკები და შესაბამისი ინდექსები: ძალაუფლებრივი დისტანცია (ასახავს ადამიანთა შხაობას, მიიღოს საზოგადოებაში და ინსტიტუტებში ძალაუფლების იერარქიული სტრუქტურა და მისი უთანაბრო განაწილება); ინდივიდუალიზმი (კოლექტივიზმის საპირისპიროდ, წარმოგვიდგენს ადამიანების არჩევანს დამოუკიდებლობისა და ურთიერთდამოკიდებულების ფორმატში საქმიანობას შორის); გაურკვეველობის მიუღებლობა (აცილება, გაურკვეველობისაგან თავის დაღწევა, გვირგვინებს ადამიანისა და მთლიანად საზოგადოების მოთმინების, ტოლერანტობის დონეს გაურკვეველი, განუსაზღვრელი

სიტუაციების მიმართ). მასკულიზაცია (ფემინიზაცია, არის ადამიანების და მთლიანად საზოგადოების შეფასება ისეთი თვისებების მიხედვით, როგორცაა მიზანმიმართულება, საქმის ინტერესების წინ დაყენება, სიმკაცრე და წარმატებაზე ყურადღების კონცენტრაცია). გრძელვადიანი ორიენტაცია (მოკლევადიანი ორიენტაცია, იმის მახვევებელია თუ რამდენად ორიენტირებული არიან ადამიანები და საზოგადოება გრძელვადიან, სტრატეგიულ პრაგმატულ მომავალზე, საპირისპიროდ ტრადიციული მოკლევადიანი (ოპერატიული) ორიენტაციისა (ავტორის სულ ბოლო წლებში მოდელში ეს შეფასება აღნიშნულია როგორც პრაგმატიზმი) და დამატებულია აგრეთვე მეექვსე მახვევებელი ინდულგენცია (აღნიშნავს თავშეკავებულობისა და მიმტეველობის დონეს - რაც უფრო დაბალია ეს ინდექსი, მით უფრო დიდია საზოგადოებაზე, ადამიანების ქცევაზე ტრადიციებისა და ნორმების შემზღვეველი ზემოქმედება და პირიქით, ამ ინდიკატორის დიდი მნიშვნელობა მიუთითებს პიროვნული იმპულსური ქცევის შედარებით მაღალ დონეზე) [33]. განხილული კონცეფციის შესაბამისად, არსებითად განსხვავებულია ფასეულობათა შედარებითი განლაგება ქვეყნების მიხედვით (ნახ. 5).



**ნახ. 5. საზოგადოებათა კულტურულ ფასეულობათა განლაგება ქვეყნების მიხედვით**

ჩვენი აზრით, კულტურისა და ფასეულობათა (არაფორმალური ინსტიტუტების) ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან ურთიერთმიმართების (ურთიერთქმედების მექანიზმების) სისტემური კვლევისა და რაოდენობრივი გაზომვის პოზიციებიდან გამომდინარე, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ისეთი ასპექტების გამოყოფა, როგორცაა ინდივიდუალიზმი (საზოგადოებაში ადამიანის უნარების გამოვლენის დონე) და ძალაუფლებრივი დისტანცია (იერარქიულობის ხარისხი). ეს დასტურდება ზემოთ განხილული ცნობილი ძირითადი მიდგომებს ანალიზით და განზოგადებით. აღსანიშნავია, რომ არსობრივად სწორედ ამ მახვევებლების ჭრილში განსხვავებებიან მსოფლიოს ქვეყნების მენტალური მახასიათებლები ერთმანეთისგან. მეორე მხრივ, ამ მახვევებლების პრიზმაში შეიძლება მოვახდინოთ კანონზომიერებების გამოვლენა სხვადასხვა საზოგადოების ურთიერთშედარების და ამავე დროს მათ სოციალურ-ეკონომიკური განვითარებაზე არაფორმალური ინსტიტუტების ზემოქმედების ხასიათის გარკვევის პროცესში.

უშუალო მონიტორინგის თვალსაზრისით, ეს პრობლემა შეიძლება განხილულ იქნეს ზემოაღნიშნულ კულტურულ ფასეულობათა ჭრილში ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის ბაზაზე კულტურის ამ ორი ასპექტის სისტემური ინტეგრაციის საფუძველზე. ვფიქრობთ, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი საკმაოდ მკაფიოდ ასახავს ეროვნულ კულტურას (მათ შორის ბიზნესკულტურასაც), თუმცა სხვადასხვა რაკურსით. მაგალითად, კორუფციის მაღალი დონე, როგორც წესი, მიუთითებს ძალაუფლებრივი დისტანციის მაღალ დონეზე, განვითარებული ინდივიდუალიზმის მქონე ქვეყნები კი უზრუნველყოფენ საკუთარი ეკონომიკური თავისუფლების მაღალ მახვევებელს და პირიქით-უპირატესად (შედარებით) კოლექტივისტური ქვეყნები ხასიათდებიან ეკონომიკური თავისუფლების შესამჩნევად უფრო დაბალი დონით.

კულტურის თვისებრივი მახვევებლები და თვით ფასეულობები ინერციულია და დროის განმავლობაში იცვლება ნელა, ზოგჯერ თაობების შეცვლის თანაზომად პერიოდში, რაც ანიჭებს მათ გრძელვადიან ხასიათს. მაგრამ, ისიც ცხადია, რომ გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს მათ უწყვეტ მონიტორინგს და, საჭიროების შემთხვევაში, რეგულირებას, გამომდინარე როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის კომპლექსური განვითარების, ასევე ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობის მოთხოვნებიდან.

ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია ის, რომ ევროკავშირის სივრცეში ქვეყნების მიხედვით ეროვნული ბიზნესკულტურა, ორგანიზაციული და მმართველობითი კულტურები არაერთგვაროვანია. უფრო მეტიც - ზედა დონის მენეჯერების მმართველობითი და ორგანიზაციული კულტურები შეიძლება განსხვავებულად ერთმანეთისაგან, რაც მკაფიოდ მიუთითებს დღეისათვის (ვფიქრობთ, შორეული მომავლის



ფარგლებშიც) მენეჯმენტის ერთიანი ევროპული სტილის არარეალისტურობაზე (ეს დასტურდება მოქალი რიგი კონკრეტული გამოკვლევებით - იხ., მაგალითად [34]).

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ბედიანაშვილი გ., ევროკავშირი და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ბენეფიციარების საკითხი: ინსტიტუციური მაკროსისტემური ასპექტი. ჟურნალი „ეკონომისტი“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, №5, თბილისი, 2014. გვ. 12-21.
2. Полтерович В. М. Трансплантация экономических институтов. «Экономическая наука современной России», 2001, No. 3. С.24 -50.
3. ბედიანაშვილი გ., ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, ინსტიტუტები და სისტემური ინსტიტუციონალიზაცია. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები“. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბილისი, 2014. გვ. 158-161.
4. პაპავა ვლ., საქართველოს ეკონომიკა – რეფორმები და ფსევდორეფორმები. თბილისი, 2015.
5. <http://www.mfa.gov.ge>.
6. [http://europa.eu/index\\_en.htm](http://europa.eu/index_en.htm)
7. <http://www.tradingeconomics.com>.
8. Global Competitiveness Index (GCI), Scores, 2004–2013. <http://www.weforum.org/issues/global-competitiveness>
9. The Global Competitiveness Report 2014–2015. <http://www.weforum.org/issues/global-competitiveness>
10. [http://www.economy.ge/uploads/ek\\_ciprebshi/reitingebi/reitingebi\\_geo/GCI\\_2014-2015\\_geo\\_1.pdf](http://www.economy.ge/uploads/ek_ciprebshi/reitingebi/reitingebi_geo/GCI_2014-2015_geo_1.pdf)
11. <http://www.heritage.org/index/>
12. ციფრობრივი მონაცემები გამოყენებულია მასალებიდან: <http://www.heritage.org/index/explore>
13. ბედიანაშვილი გ., კულტურა როგორც ინსტიტუტი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და საერთაშორისო ბიზნესის კონტექსტში. ჟურნალი „ეკონომისტი“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, №6, თბილისი, 2014. - გვ. 6-16.
14. North D. Institutions, Institutional Change and Economic performance. Cambridge, CUP, 1990. <http://www.scribd.com/doc/52858859/Institutions-Institutional-Change-and-Economic-Performance-NORTH-Douglass-C>
15. Jean L. Cultural and Management. – A study of small Chinese family business in Singapore//Journal of small business management. July 1996.
16. Тайлор Э. Первобытная культура. М., 1989.
17. Ronen S., Shenkar O. Clustering Countries on Attitudinal Dimensions: A Review and Synthesis // Academy of Management Review, 1985, July. pp. 435-454.
18. Gladwin T. N. and Terpstra V. Introduction In Cultural environment of international business / Ed. by V. Terpstra, Cincinnati: Southwestern, 1978, p. xiv.
19. Ronen S. Comparative and International Management, N.Y., 1986.
20. Hofstede G. Culture's Consequences, Comparing Values, Behaviors, Institutions, and Organizations Across Nations. Thousand Oaks: Sage Publications, 2001.
21. Шварц Ш. Культурные ценностные ориентации: природа и следствия национальных различий. Психология. Журнал Высшей школы экономики, 2008. Т. 5, №2. С.37-67.
22. Harris P.R., Moran R.T. Managing Cultural Differences. Houston, 1979.
23. Allport G., Vernon P., Lindzey G. A Study of Values. Boston, 1960.
24. Rokeach M. The Nature of Human Values. N. Y., 1973.
25. Hall E. Beyond culture. N. Y., 1976.
26. Hall E., Hall M. Hidden Differences Doing Business with the Japanese. 1987.
27. ჰოფსტედე გ., ჰოფსტედე გ.ი. კულტურები და ორგანიზაციები. გონების პროგრამული უზრუნველყოფა. თბილისი, 2011.
28. Lewis D. When Teams Collide: Managing the International Team Successfully. 2012.
29. Lewis D. When cultures collide: leading across cultures. 2006.
30. Moran R., Abramson N., Moran S. Managing Cultural Differences. 2014.
31. Thomas D., Peterson M. Cross-Cultural Management. 2014.
32. Тромпаарс Ф., Хамден-Тернер Ч. Национально-культурные различия в контексте глобального бизнеса. Минск, 2004.
33. <http://geert-hofstede.com/national-culture.html>
34. Ralph B. Edfelt. Global Comparative Management: A Functional Approach. 2009.

*Givi Bedianashvili*

## INSTITUTIONALIZATION, CULTURE AND SUSTAINABLE SOCIO-ECONOMIC DEVELOPMENT OF GEORGIA (MACROSYSTEMIC ASPECT)

### Annotation

Discussed the problems of the institutionalization of the system in context of association of Georgia to the structures of the European Union. Indicated the need to consider the importance of systemic presentation and structuring of culture as the informal institution. Given the diversity of business cultures in the European Union, it is proposed the inclusion of adaptive mechanisms in the

process of entry into the European cultural environment of business, given the need to strengthen the positive aspects of their own national traditions and culture.

*ლია დვალიშვილი*

**ატმოსფეროს დაცვის საკითხები საქართველოში**

ამჟამად მსოფლიოში ჩამოყალიბებული ტექნოლოგიური განვითარების ტიპი წარმოადგენს სხვადასხვა დონის, ხასიათის, მასშტაბის მქონე ეკოლოგიური პრობლემების წარმოშობისა და გამწვავების მიზეზს. ეკოლოგიური სიტუაცია დედამიწაზე პერმანენტულად უარესდება. ნედლეულის გამოყენებისა და წარმოების ზრდასთან ერთად იზრდება ნიადაგის, წყლისა და ატმოსფერული ჰაერის ანთროპოგენური გატუჭყიანება. მატულობს გლობალური ეკოლოგიური პრობლემები: ატმოსფეროს ოზონის შრის შემცირება, კლიმატის დათბობა, გაუდაბნობა, ნიადაგის, ტყის ფართობებისა და ბიომრავალფეროვნების შემცირება.

ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში ატმოსფეროს დაბინძურების პრობლემა მთელ მსოფლიოში გახდა აქტუალური.

ზოგადად, ატმოსფეროს დაბინძურება არის ატმოსფერული ჰაერის შემადგენლობის ცვლილება მასში დამაბინძურებელ ნივთიერებათა არსებობის შედეგად. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას განაპირობებს როგორც ტექნოლოგიური, ასევე ბუნებრივი დაბინძურების წყაროების ფუნქციონირება. მაგრამ უმთავრესი დამაბინძურებელი ანთროპოგენური წყაროებია: ტრანსპორტი, სამრეწველო საწარმოები, ენერგეტიკული ობიექტები და სოფლის მეურნეობა.

გარემოს დაბინძურების, სამკვიდრებელი გარემოს მდგრადობის გაუარესება უდავოდ იწვევს ცხოვრების ხარისხის გაუარესებას და საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისა და ფენების ინტერესებს პირდაპირ ეხება.

გარემოს ზეგავლენას განიცდის როგორც საზოგადოება, ასევე ეკონომიკაც. სხვადასხვა წყაროებიდან გამოყოფილი ატმოსფეროს გამტუჭყიანებელი ნივთიერებები ჰაერის მასებს გადააქვს და ვრცელდება საკმაოდ დიდ მანძილზე. ასეთი გზით წარმოიქმნება ატმოსფეროს გლობალური დატუჭყიანება.

ჩემი აზრით, თანამედროვე სამყაროსთვის ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს ეკოლოგიური პრობლემები.

ადამიანს არსებობისთვის სჭირდება ისეთი გარემო, სადაც იქნება სუფთა ჰაერი, წყალი, ჯანსაღი კლიმატი.

გარემოს დაცვის საკითხები 21-ე საუკუნეში უფრო და უფრო აქტუალური ხდება წამყვანი ქვეყნებისა და, მაშასადამე, მთელი მსოფლიოსთვისაც. ეს განაპირობა იმან, რომ იგრძნობა გლობალური დათბობის შედეგები და გარკვეული რესურსების ნაკლებობა, რის შემცირებამაც შეიძლება წარმოუდგენელი ზიანი მიაყენოს მსოფლიო ეკონომიკას.

ადამიანი ბუნებისგან 100%-ს ითხოვს, ხოლო თვითონ 15%-საც კი არ აბრუნებს. უამრავი გამონაბოლქვის კერები, როგორცაა ქარხნები, მანქანები და ა. შ. ზიანს აყენებს იმ სამყაროს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. მსოფლიოს ლიდერ ქვეყნებში მომავლის შიშმა დაისადგურა და მე-20 საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული დღემდე, სულ უფრო და უფრო ძლიერდება. ამის შედეგია ის, რომ ქვეყნები ცდილობენ მივიღნენ კონსენსუსამდე გარემოსთან დაკავშირებულ უამრავ საკითხზე, შეამცირონ გამონაბოლქვი და აღმოაჩინონ წარმოების ახალი გზები, რომელიც გარემოსთვის არ იქნება საზიანო. ფორმდება უამრავი ხელშეკრულება, რომელიც ქვეყნებს კონკრეტული კრიტერიუმების დაცვას ავალდებულებს, რის შედეგადაც უნდა შემცირდეს გარემოსთვის ზიანის მომტანი საწარმოების რიცხვი. მაგ., კიოტოს პროტოკოლი, კოპენჰაგენის სამიტი, მეხიკოს სამიტი და სხვ. თუმცა ეს აქტიურობა გარემოს დაცვაში ხშირ შემთხვევაში პატიოსანი მიზნებით არ არის განპირობებული. ხშირად ქვეყნებისთვის დაცვა კი არ არის პრიორიტეტული, არამედ ამ საკითხის, როგორც პოლიტიკური ბერკეტის გამოყენება.

მიუხედავად სუფთა ტექნოლოგიების დანერგვისა სამრეწველო, ენერგეტიკულ თუ სატრანსპორტო სექტორებში, ჰაერის დაბინძურება მთელ მსოფლიოში კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება. აღსანიშნავია საავტომობილო პარკის თანამედროვე ზრდის ტემპი, რომელიც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ატმოსფეროს ეკოლოგიურ მდგომარეობას. ავტოტრანსპორტი ყოველწლიურად მსოფლიოში წარმოებული სათბობ-ენერგეტიკული მასალების 20%-ზე მეტს მოიხმარს. ცნობილია, რომ მსოფლიოს დიდ ქალაქებში ყველა სახის ტოქსიკური ნაერთების ჯამური რაოდენობის 40-60% საავტომობილო ტრანსპორტზე მოდის. დადგენილია, რომ ერთი მსუბუქი ავტომობილი ყოველწლიურად შთანთქავს საშუალოდ 4 ტ ჟანგბადს, ნამუშევარ აირებთან ერთად გამოყოფს დაახლოებით 800 კგ ნახშირბადის მონოქსიდს, 40 კგ აზოტის ოქსიდებს და თითქმის 200 კგ სხვადასხვა ნახშირწყალბადებს [9].

პრობლემა უნივერსალურია, რადგან ჰაერის ნაკადები შეიძლება მოძრაობდეს სხვადასხვა კონტინენტზე. ერთი სიტყვით, ატმოსფერო, ბიოსფერო პიდროსფერო და ლითოსფერო მთელი პლანეტისათვის ერთია.

საქართველოში ატმოსფერო ავტოტრანსპორტიდან, ენერგეტიკული სექტორიდან, სოფლის მეურნეობის დარგებიდან და სამრეწველო ობიექტებიდან წარმოებული ატმოსფერული გაფრქვევებით ბინძურდება. მათგან ურბანიზებული გარემოს ძირითადი დამაბინძურებელია ავტოტრანსპორტი და ენერგოსექტორი. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში იზრდება ავტოტრანსპორტის და ენერგოსექტორის მიერ მოხმარებული საწვავის რაოდენობები და შესაბამისად იზრდება ამ სექტორებიდან მავნე ნივთიერებათა ატმოსფეროში გაფრქვევები.

ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის საერთო გაფრქვევებში, დაწყებული 2006 წლიდან, პირველ ადგილზეა ნახშირბადის მონოქსიდი (CO), 2012 წლის მონაცემებით იგი შეადგენდა 15,6%-ს, შემდეგ ნახშირწყალბადები, მყარი ნაწილაკები, აზოტის ოქსიდები და ამიაკი [2].

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ 2002 წლიდან მოყოლებული, სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა გაიზარდა, დღეისათვის საქართველოში ჰაერის დაბინძურების ძირითად წყაროდ კვლავ

ავტორანსპორტის გამონაბოლქვი რჩება. კერძოდ, ნახშირბადის გაფრქვევათა 87%; აზოტის ოქსიდების 70%; გოგირდის დიოქსიდი – 50%; აქროლადი ორგანული ნაერთების – 40% სწორედ სატრანსპორტო საშუალებებიდან ხვდება ატმოსფერულ ჰაერში. 2000 წელს საქართველოში 1000 მოსახლეზე 70 სატრანსპორტო ერთეული მოდიოდა. ბოლო 10 წლის განმავლობაში ქვეყანაში ავტომობილების საერთო რაოდენობა 512,0 ათ. ერთეულით, ანუ 2,6-ჯერ გაიზარდა, მათ შორის მსუბუქი ავტომობილების – 424,9 ათ. ერთეულით, ანუ 2,7-ჯერ. 2013 წლისათვის, 2002 წელთან შედარებით, მსუბუქი ავტომობილების რაოდენობა თითქმის გასამმაგებული იყო. დღეს საქართველოში ყოველ 100 კაცზე 14 მსუბუქი ავტომობილი მოდის [2].

ქვეყანაში სატრანსპორტო გაფრქვევების დიდი რაოდენობის შესამცირებლად სხვადასხვა უწყების მიერ კომპლექსური მიდგომაა საჭირო, კერძოდ, ისეთი ღონისძიებების გატარება, როგორცაა: სატრანსპორტო ნაკადების მართვის ოპტიმიზაცია, იმპორტირებული სატრანსპორტო საშუალებების დასაშვები ასაკობრივი ზღვარის დაწესება და მისი თანდათანობით შემცირება, საავტომობილო საწვავის ხარისხის და ავტომობილების გამონაბოლქვის ნორმების ეტაპობრივი გამკაცრება და მათი კონტროლი, ელექტროტრანსპორტის განვითარება და ა. შ.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში ქვეყნის მასშტაბით ტრანსპორტის რაოდენობის ზრდის პარალელურად, საზოგადოებრივი დანიშნულების გამწვანებული ტერიტორიები სულ უფრო მცირდება. შესაძინევი ხდება ღია სივრცეებისა და მწვანე ზონების სიმწირე, განსაკუთრებით, დიდი ქალაქების განაშენიანებულ ტერიტორიებზე.

ზოგადად, ატმოსფერული ჰაერის დაცვის ღონისძიებების განსახორციელებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამრეწველო ობიექტების გამწვანებასა და ტყის მეურნეობის განვითარებას – ერთი ჰექტარი ტყე წლის განმავლობაში 50-70 ტონა მტვერს ფილტრავს. ტყე პირდაპირ კავშირშია ატმოსფერული ჰაერის გაჯანსაღებასა და წყლის რესურსების დაცვასთან, რადგან ჟანგბადის შევსება ძირითადად ფოტოსინთეზის გზით ხდება. 1 ჰა ტყე 10-15-ჯერ მეტ ჟანგბადს გამოყოფს, ვიდრე ნებისმიერი ფოტოსინთეზი.

XXI საუკუნე მსოფლიოს სთავაზობს ეკონომიკური განვითარების ახალ მოდელს. დღეს აქცენტი კეთდება რესურსდამზოგველ და ნაკლებნარჩენიან ტექნოლოგიებზე, ხარისხზე, ნოუ-ჰაუზე, ახალი სახეობის პროდუქტის შექმნაზე, ახალ სტანდარტებზე და ა. შ.

მთელ მსოფლიოში დიდი ყურადღება ეთმობა ატმოსფერული ჰაერის დაცვას ანთროპოგენური საქმიანობით დაბინძურებისაგან, რადგან ჰაერი ადამიანისათვის უმთავრესი სასიცოცხლო რესურსია.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე დაკვირვებების რეგულარული წარმოება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ჰაერის ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ ობიექტური და უტყუარი ინფორმაციის მისაღებად, რომლის განზოგადება სწორი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას იძლევა.

ჰაერის ხარისხის მონიტორინგს აწარმოებს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტო. დღეისათვის საქართველოში ჰაერის დაბინძურებაზე დაკვირვება წარმოებს მხოლოდ ხუთ ქალაქში: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ზესტაფონსა და რუსთავეში განთავსებული 7 სადამკვირვებლო ჯიხურის საშუალებით. ამათგან 3 ახალი სადგური (2 თბილისში, 1 რუსთავეში) ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელს მხოლოდ 2009 წლის ბოლოს დაემატა. 2010 წლიდან თბილისში დაიწყო მიწისპირა ოზონის კონცენტრაციის გაზომვები.

მოცემულ ქალაქში ჰაერის ხარისხი დასაშვებ დონეზე დაბალია. სადამკვირვებლო სადგურების სიმცირე არ იძლევა საშუალებას ჰაერის ხარისხი სრულყოფილად შეფასდეს თუნდაც ამ ხუთი ქალაქის მთელ ტერიტორიაზე, ამიტომ ქვეყანაში ჰაერის ხარისხის შესახებ რეალური სურათის შესაქმნელად აუცილებელია დაკვირვების ქსელის გაფართოება და მოდერნიზაცია, რათა საკმარისი სიზუსტით დადგინდეს, თუ მოსახლეობის რა ნაწილი იმყოფება დაბინძურებული ჰაერის ზემოქმედების ქვეშ.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მთავარ პასუხისმგებელ უწყებას ქვეყანაში გარემოს დაცვის სამინისტრო წარმოადგენს, რომელიც ამ მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკას ატარებს. ასევე სამინისტროს ფუნქციაა ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების სახელმწიფო აღრიცხვა და ჰაერის მონიტორინგი. ამ უკანასკნელს ახორციელებს სამინისტროს სისტემაში შემავალი გარემოს ეროვნული სააგენტო.

საქართველოში გარემოსდაცვითი სამართლებრივი ბაზა დიდი რაოდენობის ნორმატიულ დოკუმენტებს მოიცავს. ესენია, როგორც საქართველოს კანონები და კანონქვემდებარე აქტები, ასევე საერთაშორისო ნორმატიული დოკუმენტები.

საქართველო დაახლოებით 50 მრავალმხრივი და ორმხრივი საერთაშორისო გარემოსდაცვითი შეთანხმების მხარეა და თითოეული შეთანხმება გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს ქვეყანას. საქართველომ საერთაშორისო თანასაზოგადოების წინაშე დააფიქსირა საკუთარი პოლიტიკური ნება, წვლილი შეიტანოს გლობალური გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრაში.

ატმოსფერული ჰაერის დაცვის საკითხებთან დაკავშირებით საქართველოში მოქმედი ძირითადი საერთაშორისო ნორმატიული დოკუმენტებია:

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია UNFCCC (რიო-დე-ჟანეიროს, 1992) და კიოტოს ოქმი (კიოტო, 1997);
2. „ოზონის შრის დაცვის შესახებ“ 1985 წლის ვენის კონვენცია და „ოზონის შრის დამზღვევი ნივთიერებების შესახებ“ 1987 წლის მონრეალის ოქმი;
3. გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის კონვენცია „შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსპორტული დაბინძურების შესახებ“ (ჟენევა, 1979);
4. გაეროს კონვენცია „მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ“ (სტოკჰოლმი, 2001);
5. გარემოს დაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენცია (ორჰუსის კონვენცია, ორჰუსი, დანია, 1998).

„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ე. წ. „ჩარხო კანონი“ (მიღებულია 06.12.1996) არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო დაწესებულებებსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის.

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონი (ძალაშია 01.01.2008 წ-დან) განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე სავალდებულო ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობათა ნუსხას და მათ განსახორციელებლად გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის, ნებართვის გაცემისას ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების, გარემოზე ზემოქმედების შეფასების და ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში საზოგადოების მონაწილეობისა და მისი ინფორმირების საკითხებს.

„ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის (ძალაშია 01.01.2008 წ-დან) მიხედვით, ეკოლოგიური ექსპერტიზა არის გარემოსდაცვითი აუცილებელი ღონისძიება, რომელიც ხორციელდება საქმიანობაზე გარემოს ზემოქმედების ან მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი (მიღებულია 1999 წ.) წარმოადგენს მთავარ მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის სფეროში და მიზნად ისახავს, უზრუნველყოს ატმოსფერული ჰაერის ადამიანის ჯანმრთელობისა და ბუნებრივი გარემოსთვის უსაფრთხო მდგომარეობის მიღწევა, გაუმჯობესება და შენარჩუნება. კანონი განსაზღვრავს იმ მარეგულირებელ და მართვის მექანიზმებს, რომლებიც უნდა გამოიყენებოდეს ატმოსფერული ჰაერის დაცვის მიზნით ქვეყანაში და მოიცავს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ნორმებს, სტაციონარული, მოძრავი და დისპერსიული წყაროებიდან მათგან ნივთიერებათა გაფრქვევის სახელმწიფო რეგულირებას, ჰაერის ხარისხის მონიტორინგს და ა. შ.

საქართველოს დამოუკიდებლად ვერ ძალუძს პრობლემებთან გამკლავება. ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ქვეყანას არ გააჩნია გადამამუშავებელი ქარხნები, ანუ სპეციალური ტექნიკა, რომლის საშუალებითაც გადამამუშავება იქნება ნაკავი.

საქართველოში დღემდე არ არსებობს ნარჩენების მართვის პოლიტიკა და სტრატეგია. კანონმდებლობა ძალზე სუსტი და ფრაგმენტულია. ამჟამად საქართველოში ექსპლუატაციაში 63 აღრიცხული ნაგავსაყრელი და დაუდგენელი რაოდენობის სპონტანურად წარმოქმნილი სანაგვე ადგილია.

ნარჩენების მართვის სფეროს გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ისეთი პოლიტიკისა და პრაქტიკის დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, რესურსეფექტურობას და ნარჩენების წარმოქმნის თავიდან აცილებას და შემცირებას, მეორე მხრივ, ნარჩენების განცალკევებულად შეგროვებას, ხელმოკლედ გამოყენებას და რეციკლირებას.

დღეისათვის, სოციალურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ სფეროებში მიმდინარე ცვლილებების პირობებში, აუცილებელია ახალი მიდგომები გარემოსდაცვით პოლიტიკასა და კანონმდებლობაში. ეკოლოგიის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისას განსაზღვრული უნდა იყოს გრძელვადიანი მიზნები, მიმართულებები, ამოცანები და პრინციპები გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის ხანგრძლივი მოთხოვნების შესაბამისად.

გარემოს დაბინძურების თავიდან ასაცილებლად კარგი იქნებოდა ადამიანთა შეგნების ამაღლება, რათა არ დააბინძურონ გარემო სხვადასხვა სახის ნაკვით. ეს გარემო ხომ ჩვენი არსებობის – სიცოცხლის გარანტია. ამ ნაკავს ბუნება დიდი ხნის მანძილზე ვერ ამუშავებს.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. დვალიშვილი ლ. ატმოსფეროს დაბინძურების შემცირების პრობლემები საქართველოში. თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების კრებული, ტ. VII, პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2014.
2. საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. 2013.
3. Intermedia.ge
4. garemos\_dabinzureba
5. moe.gov.ge
6. ka.wikipedia.org
7. www.geostat.ge
8. www.wikipedia.org.ge
9. sangu.ge
10. greenalt.org
11. geoecoproblems.wordpress.com
12. ekologia.blogpost.com

*Lia Dvalishvili*

## ISSUES OF ATMOSPHERE PROTECTION IN GEORGIA

### Annotation

All over the world great attention is payed to the protection of atmospheric air from the pollution caused by anthropogenic activity, as the air is the main vital resource for humanity.

Ministry of environmental protection is the central department responsible for the quality of atmospheric air.

Today economic activities must be developed by means of better technologies and management, that wile significantly restrain the increase of loading on nature.

The article deals with normative documents currently in force in Georgia.

**წყლის რესურსების ბაზუჭყიანებითა და არარაციონალური გამოყენებით მიყენებული  
ეკონომიკური ზარალის შეფასება**

გარემოს დაცვასა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის. ბუნებისდაცვითი ღონისძიებების დაგეგმვისას, ეკონომიკური ეფექტის ანალიზი კაპიტალურ დაბანდებათა განაწილების ოპტიმალური ვარიანტის დასაბუთების საშუალებას იძლევა ბუნებისდაცვითი საქმიანობის ყველაზე ეფექტიანი ღონისძიებებისა და მიმართულებების მიხედვით, დარგებისა და რეგიონების ფარგლებში. ბუნებასა და საზოგადოებაში ანთროპოგენური ცვლილებების აღრიცხვამ და მათმა ურთიერთკავშირმა სამეურნეო მექანიზმებთან, ეკონომიკური ზარალის თეორიის შექმნამდე მიგვიყვანა.

საჭიროა დანახარჯების ორი სახის გამოიყენება:

1. უარყოფითი ცვლილებების თავიდან ასაცილებლად.

2. ზარალის, დანაკრების კომპენსირებისათვის. გამოთვლებისას იყენებენ ძირითადად ორ ცნებას: შესაძლებელი და აცილებული ზარალი. შესაძლებელი (მოსალოდნელი) ზარალი წარმოადგენს ზარალის პირობით, თეორიულ მნიშვნელობას, რომელიც მოსალოდნელია მომავალში. ამ ზარალის ლიკვიდაცია, პროექტირებადი ან ფაქტობრივად შესრულებული ღონისძიებების შედეგად, წარმოადგენს აცილებულ ზარალს.

წყლის რესურსების დაბინძურებით მიყენებული ეკონომიკური ზარალი ყალიბდება ფაქტორთა სამი ჯგუფის გავლენით:

I. გავლენის ფაქტორები – ე.ი. ფაქტორები, რომლებიც ახასიათებს გარემოს ამა თუ იმ ელემენტის ნეგატიური ცვლილებების ხარისხს (მდინარის ჩამონადენის გადაწელების მოცულობა, ტრანსპორტირების დანაკარგები, გადაწეული წყლის ხარისხი და ა. შ.).

II. აღმოქმედი ფაქტორები – წარმოადგენს იმ ობიექტებს, რომლებიც აღიქვამს წყლის ობიექტების ტერიტორიული გადაწელების უარყოფით ზეგავლენას (სახალხო მეურნეობის ძირითადი ობიექტები, რომლებიც ხვდება წყლის რესურსების გადაწელების ზონაში და აღიქვამს მის ნეგატიურ ზეგავლენას, მოსახლეობა, რომლის ჯანმრთელობა დამოკიდებულია წყლის ხარისხზე).

III. მდგომარეობის ფაქტორები – ისინი ასახავენ იმ ნორმატიული ეკონომიკური მაჩვენებლების დონეს, რომლებსაც ნატურალური მაჩვენებლები გადააქვს ღირებულებებითში. ეკონომიკური მაჩვენებლები, რომელთა საშუალებით ბუნებისა და საზოგადოების ცვლილებები ღირებულებით მაჩვენებლებში გადადის, ეკონომიკური ზარალის კომპლექსური სიდიდეა. იგი ძირითადი ლოკალური ზარალების ჯამით გამოიხატება: მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუარესება, კომუნალური, სასოფლო-სამეურნეო, სატყეო, სატრანსპორტო და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისადმი მიყენებული ზარალი.

დანახარჯები, რომლებიც გარემოს გატუჭყიანების შედეგად წარმოიქმნება სახალხო მეურნეობაში, წარმოადგენს ამ გატუჭყიანებით მიყენებულ ეკონომიკურ ზარალს. გარემოს გატუჭყიანება სახალხო მეურნეობაში ორი ტიპის დანახარჯებით წარმოიხინდება:

1. დანახარჯები გატუჭყიანებული გარემოს ზემოქმედების წინასწარ შეტყობინებაზე (როცა ამგვარი შეტყობინება სრულად ან ნაწილობრივ მანც ტექნიკურად შესაძლებელია).

2. დანახარჯები, რომლებიც გამოწვეულია გატუჭყიანებული გარემოს ზემოქმედებით, ისინი წარმოიქმნებიან იმ შემთხვევაში, თუ გატუჭყიანებული გარემოს ზემოქმედების სრული წინასწარი შეტყობინება (გაფრთხილება) შეუძლებელია, ან, თუ ამ სახის შეტყობინებაზე დანახარჯები აღემატება გატუჭყიანებული გარემოს ზემოქმედების ნაწილობრივ თავიდან ასაცილებლად საჭირო ორივე სახის დანახარჯის ჯამს. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ტიპის დანახარჯს ერთდროულად აქვს ადგილი. ამ ორი ტიპის დანახარჯის ჯამი წარმოადგენს სახალხო მეურნეობისადმი გარემოს გატუჭყიანებით მიყენებულ ეკონომიკურ ზარალს.

გარემოს გატუჭყიანებით მიყენებული ეკონომიკური ზარალის გამოთვლა ტარდება ბუნებისდაცვითი ღონისძიებების დაგეგმვისა და პროექტირების ყველა შემთხვევაში, როცა განისაზღვრება ამ ღონისძიებების წმინდა ეკონომიკური ეფექტი.

დანახარჯები გატუჭყიანებულ წყალსატევებზე ნეგატიური ზემოქმედების წინასწარი შეტყობინებისათვის განისაზღვრება იმ ხარჯების სიდიდით, რომელიც საჭიროა გატუჭყიანებული წყლის ტექნოლოგიური და საბინაო-კომუნალური საჭიროებისათვის გამოყენების თავიდან ასაცილებლად. ასეთ ხარჯებს განეკუთვნება ხარჯები ჩამდინარე წყლების განზავებისათვის, წყლის გაწმენდის უფრო რთული საშუალებებით გამოყენების ახალი სუფთა წყაროების გამოყენების ორგანიზაციისათვის და ა.შ.

გარემოს სხვა კომპონენტებით გატუჭყიანებისას შესაბამისად იცვლება მსგავსი ხარჯების გამოყენების სფეროც. საერთოდ კი, ყველა შემთხვევაში, გარემოს გატუჭყიანებით მოსალოდნელი ეკონომიკური ზარალის განსაზღვრისას ვარიანტული გამოთვლების საფუძველზე ხდება გატუჭყიანებული გარემოს (წყლის რესურსების) ზემოქმედების წინასწარი შეტყობინებისათვის მინიმალურად აუცილებელი დანახარჯების სიდიდის დადგენა.

გარემოს გატუჭყიანებით მიყენებული ეკონომიკური ზარალის განსაზღვრის მეთოდის შემუშავებისას, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მოქმედი მანე ფაქტორების რეალური ინტენსივობა დამოკიდებულია არა მარტო გარემოს და დაბინძურებული წყაროების სიმძლავრესა და სხვა პარამეტრებზე, არამედ იმ გარემოს თვისებებზე, სადაც ხდება დაბინძურება, ტერიტორიაზე ადამიანებისა და ობიექტების განაწილებასა და დაცვის საშუალებების თვისებებზე და ა.შ. ეკონომიკური ზარალის მაჩვენებელი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბუნებისდაცვითი დანიშნულების კაპიტალური დაბანდებაების აბსოლუტური ეკონომიკური ეფექტიანობის გამოსათვლელად. ჯერ კიდევ კვლევის საგანს წარმოადგენს გარემოს სხვადასხვა სახის ინგრედიენტებზე ზემოქმედებისას მათი მდგომარეობის ცვლილებების რაოდენობრივი შეფასებისას, ეკონომიკური ზარალის მაჩვენებლის მიახლოებითი გამოთვლა. კერძოდ, მანე ნივთიერებების წყალსატევებში ჩაშვებით მიყენებული ეკონომიკური ზარალის მაჩვენებლის მიახლოებითი განსაზღვრა.

ეკონომიკური ზარალის მიახლოებით გამოთვლის მეთოდის მთავარ ნაკლს წარმოადგენს მისი გამოყენების მიზანშეუწონლობა წელიწადის განმავლობაში ჩამდინარე წყლების ერთბაშად ჩაშვების შემთხვევის დროს, ხოლო ასეთ შემთხვევებს საქართველოში საკმაოდ ხშირად აქვს ადგილი.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მეთოდთა ეკონომიკური ზარალის გამოთვლისას არ ითვალისწინებს პერსპექტივაში ამ ზარალის გამოვლინების ფაქტს – დაბინძურებით მიყენებული ზარალის შედეგებს. მომავალში, ჩვენი აზრით, აუცილებელია ამ ფაქტის გათვალისწინება ეკონომიკური ზარალის გამოსათვლელ ფორმულაში თუნდაც რაიმე კოეფიციენტების შემოტანით. ეკონომიკური ზარალის გამოთვლისას მრავალი სიძნელე არსებობს. მთავარ სიძნელეს წარმოადგენს ინფორმაციის ნაკლებობა, დაბალ დონეზე პირველადი ანგარიშგება, არ ჩანს ჩამდინარე წყლებში ინგრედიენტების ქიმიური შემადგენლობის მონაცემები, ამიტომაც, ეკონომიკური ზარალის შეფასება მიახლოებით ხასიათს ატარებს, უნდა აღინიშნოს, რომ წყლის გაჭუჭყიანება რეგიონებისა და ობიექტების მიხედვით არათანაბარ ხასიათს ატარებს. ძირითადად ბინძურდება შავი და კასპიის ზღვების აუზების მდინარეები. საქართველოს წყალსატევები მრავალი სახის ნივთიერებითა და მინარეუვებით ჭუჭყიანდება, რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენს გარემო ბუნებაზე და, რაც მთავარია, მოსახლეობის ჯანმრთელობაზე.

დიდ სირთულეს წარმოადგენს საბინაო-კომუნალური სფეროს ობიექტების გაჭუჭყიანებული ჩამდინარე წყლებით მიყენებული ეკონომიკური ზარალის გამოთვლა. ამ დარგზე მოდის საქართველოს ჩამდინარე წყლების უმეტესობა, ხოლო დამაბინძურებელი ნივთიერებების რაოდენობის შესახებ ძალზე მწირი ინფორმაცია არსებობს, რომელიც ძირითადად სინჯების აღების ზონაში ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის გადაჭარბებას შეეხება. ინფორმაციის სიმწირე ეკონომიკური ზარალის შეფასებისას, მისი სიდიდის უნებურ შემცირებას იწვევს. უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო მეურნეობისათვის წყლის რესურსების გაჭუჭყიანებით მიყენებული ეკონომიკური ზარალის შეფასების სიზუსტის ასამაღლებლად, აუცილებლად მიგვაჩნია პირველადი ანგარიშგების ფორმების სრულყოფა ჩამდინარე წყლების ქიმიური შემადგენლობის ნაწილში, რასაც ხელი უნდა შეუწყოს ბუნებისდაცვითი სამსახურის საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ანგარიშგების ფორმების სრული პასუხისმგებლობით შევსებამ.

წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების ერთ-ერთი ფაქტორია წყლის დანაკარგების მაქსიმალური შემცირება, წყლის ხარჯვაზე მკაცრი კონტროლის დაწესება. წყლის დაზოგვის დიდი რეზერვია სამრეწველო საწარმოების წყალმომარაგების ზრუნვითი და განმეორებითი სისტემების დანერგვა.

წყლის რესურსების დაცვის გასაუმჯობესებლად აუცილებლად მიგვაჩნია წყალდაცვითი ღონისძიებების ფინანსირების ფონდის შექმნა. ამ ფონდში შევა:

- სამინისტროებისა და უწყებების მიზნობრივი შენატანები, რომლებიც უნდა აღემატებოდეს მათ მიერ სახალხო მეურნეობისადმი მიყენებულ ზარალს.
  - წყლის მოხმარების გადასახადის გარკვეული გადასახადის ნაწილი (აღებული როგორც მოსახლეობისაგან საბინაო-კომუნალური მეურნეობის მიერ, ისე სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისაგან).
  - ჯარიმები გემებისთვის ზღვის დაბინძურების გამო, როგორც ადგილობრივი სანაოსნო ხომალდების, ისე უცხოური ხომალდების მიერ ზღვაში მანევ ნივთიერებების ჩაშვებისათვის.
  - უნდა დაწესდეს გადასახადები გაჭუჭყიანებული ჩამდინარე წყლების ჩაშვებისათვის, რომელიც დიფერენცირებული იქნება ჩაშვებული წყლის ინგრედიენტული შემადგენლობის მიხედვით;
  - წყლის რესურსების დაცვისა და რაციონალური მოხმარების საქმეს ხელს შეუწყობს ტექნოლოგიური პროცესების წყალტევადობის შემცირება, წყლის გაწმენდის პროგრესული მეთოდების სწრაფი დანერგვა, წყლის აღებისა და ჩამდინარე წყლების ჩაშვების ზღვრულად დასაშვები მოცულობის ოპტიმალური ნორმატივების შემოღება.
  - სახალხო მეურნეობისათვის წყლის რესურსების გაჭუჭყიანებით მიყენებული ეკონომიკური ზარალის შეფასების სიზუსტის ასამაღლებლად, მიზანშეუწონელია, პირველადი ანგარიშგების ფორმების სრულყოფა ჩამდინარე წყლების ქიმიური შემადგენლობის ნაწილში.
  - საქართველოში უნდა დანქარდეს წყლის გაჭუჭყიანებაზე დაკვირვებისა და კონტროლის ავტომატური სისტემების დანერგვა.
- დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი წინადადება და რეკომენდაცია ხელს შეუწყობს წყლის რესურსების რაციონალურ გამოყენებას, შეამცირებს წყლის დანაკარგებს და ეკონომიკურ ზარალს.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. Иванов О.П. Государственное управление природными ресурсами, Москва, 2002.
2. Бобилев С.Н. Ходжаев А.Ш. Экономика природопользования, Москва, 2003.
3. Глушкова В.Г. Экономика природопользования, Москва, 2005.
4. Шимова О.С. Экономика природопользования, Москва, 2005.

*Zurab Nozadze*

#### THE EVALUATION OF ECONOMIC DAMAGE CAUSED BY IRRATIONAL USE AND POLLUTION OF WATER RESOURCES

##### Annotation

The article deals with the evaluation of economic damage caused by pollution and irrational use of water resources in Georgia

There are given some proposals and recommendations for the protection and rational use of water resources which at the end will decrease the size of economic damage of the country.

**გაუდაბნობა – ეკონომიკის მზარდი განვითარების მნიშვნელოვანი პრობლემა**

XXI საუკუნის ეკონომიკურ-ეკოლოგიურ პრობლემათა შორის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას გაუდაბნობა წარმოადგენს. დიდი ხანია საერთაშორისო საზოგადოებამ გაუდაბნობა აღიარა უმთავრეს გლობალურ გარემოს დაცვით პრობლემად.

გაუდაბნობას, როგორც ტერმინს, ასევე მეტი განმარტება აქვს, მაგრამ ყველაზე გავრცელებულია პრისტონის უნივერსიტეტის ლექსიკონის განმარტება, რომლის მიხედვითაც, გაუდაბნობა არის პროცესი, როდესაც ნოყიერი მიწა გადაიქცევა უდაბნო ადგილად, რომლის შედეგია გაუტყევება, გვალვა და არაჯეროვანი სოფლის მეურნეობა [2].

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გაუდაბნობასთან ბრძოლის კონვენციის მიხედვით, გაუდაბნობა განისაზღვრება, როგორც “მიწის დეგრადაცია” (ნიადაგის ნაყოფიერების დაკარგვა, გამოფიტვა) არიდულ, სემიარიდულ და მშრალ, ნახევრად მშრალ ნოტიო რაიონებში.

გაუდაბნობაში იგულისხმობა ექსტრემალურ გარემოში ნიადაგის და მცენარეულობის შეუქცევადი ტრანსფორმაცია და ტერიტორიის უდაბნოდ გადაქცევის პროცესი [3]. იგი ისტორიული პროცესია, რომლის დროსაც ბუნების არახელსაყრელი მოვლენები და ადამიანის საქმიანობა ხელს უწყობს ეკოლოგიური ვითარების გაუარესებას, კერძოდ მიწის დეგრადაცია-გამოფიტვას.

ტერმინი **უნდაბნო** ქართულ ლექსიკონში განმარტებულია, როგორც დედამიწის დაუსახლებელი ცხელი, უწყლო, მცენარეებით ღარიბი, უმეტესად ქვიშითა და სილით დაფარული ნაწილი [1].

უდაბნოს დედამიწის 25% უკავია. მძიმე კლიმატური პირობების გამო სუსტად არის დასახლებული, მიუხედავად ამისა, 700 მლნ ადამიანი, ანუ მსოფლიოს მოსახლეობის 14% ცხოვრობს არიდულ ზონაში და 80 მლნ ადამიანი მოსახლვრე რაიონებში განიცდის უდაბნოს გავლენას.

უდაბნოები ხასიათდება მცენარეულობის სიღარიბით და წყლის დაბალი უზრუნველყოფით, მკვეთრი კონტინენტური კონტრასტებით.

უდაბნო არა მარტო ადამიანის საცხოვრებელი გარემოა, არამედ მისი სამეურნეო მოქმედების არეალიც. ადამიანი სულ უფრო მეტად უწყევს ექსპლუატაციას და სარგებლობს უდაბნოს მდიდარი წიაღისეულით, ბიოლოგიური ეკოსისტემით. უდაბნოს ეკოსისტემის ფუნქციონირება დამოკიდებულია ტენიანობაზე. იმის გამო, რომ უდაბნოში წლის განმავლობაში ტენიანობა არათანაბარია, ეკოსისტემა მეტად ღარიბია. ადამიანის ზეწოლა უდაბნოს ეკოსისტემაზე კიდევ უფრო ადრმავეებს და ამძიმებს მდგომარეობას, რასაც, ზოგ შემთხვევაში, მივეყვართ ეკოლოგიის არასასურველ სიტუაციამდე. ეკოლოგიური წონასწორობის რღვევამდე და მიწის დეგრადაციამდე. ამ ნეგატიურმა მოვლენამ მიიღო გაუდაბნობის სახელწოდება [8].

უდაბნო უსსოვარი დროიდან გამოიყენებოდა საძოვრად მომთაბარე მეცხოველეობა, მაგრამ გადაჭარბებულმა, უსისტემო ძოვებამ და არასასურველმა კლიმატურმა პირობებმა შესაძლებელია მიწა უნაყოფობამდე მიიყვანოს. ამის შედეგია ის, რომ დედამიწაზე უდაბნოს ფართობები იზრდება. მაგ., საპარის უდაბნოს ფართობმა გადაიწია 600 კმ-ით სამხრეთისაკენ, რაც მცხოვრებთათვის ტრაგედიად იქცა. უწყლობით, უბალახოდ, უსაკვებოდ დაიღუპა პირუტყვი, იყო ადამიანის მსხვერპლიც.

უდაბნოს დედამიწაზე უზარმაზარი მიწის რესურსები უკავია. ეს მიწები ყველა იქნებოდა გამოყენებული, აქ რომ საკმარისი ტენიანობა იყოს, აქ მზის ენერჯიაც და ნიადაგში საკვები ელემენტებიც საკმარისია. აქედან გამომდინარე აქ წელიწადში 2-3-ჯერ შეიძლება მოსავლის მიღება, იქნება წყალი.

ამდენად, უდაბნოში ფასობს არა მიწა, არამედ წყალი, ამიტომაც არის უდაბნო მცენარეების, ცხოველების და ადამიანის გარეშე.

ჩვენ არასოდეს გვიფიქრია იმაზე, თუ რამდენი წყალია საჭირო ჩვენი საკვების მისაღებად<sup>176</sup>.

უდაბნო არის დაუსახლებელი უდაბური ადგილი, სადაც ირგვლივ არ არის ადამიანი და არც მისი არსებობა იგრძნობა.

**გაუდაბნობა** კი არის პროცესი, რომელსაც შეუძლია ადამიანის ნორმალური საცხოვრებელი გარემო უდაბნოდ აქციოს, რომლის შედეგად მცირდება სასოფლო-სამეურნეო წარმოება. ტერიტორიების გარდაქმნა „უდაბნოდ“ განიხილება, როგორც ეკოსისტემის დარღვევის შეუქცევადი პროცესი, გამოწვეული კლიმატური (გვალვა) და ანთროპოგენური ფაქტორებით, ამ პროცესის ინდიკატორებად შეიძლება ჩაითვალოს დაუმუშავებელი მიწების ზრდა, პირუტყვის სულადობის შემცირება, მთიანი რეგიონების ინტენსიური გაუკაცრიელება.

ამრიგად, „გაუდაბნობა“ არ უნდა გავიგოთ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით და გაუდაბნობული ტერიტორია არ უნდა წარმოვიდგინოთ ნამდვილი უდაბნოსათვის დამახასიათებელი ეკოსისტემის მოკლებული ქვიშის სამყაროდ.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „გაუდაბნობის“ შესატყვისი ტერმინებია: გავერანება, გაჩანაგება, გაპარტახება. ჩვენ ვთვლით, რომ გაუდაბნობის პროცესი, უპირანი იქნება, მოვისხენიოთ „გავერანების“ სახელწოდებით.

ეკოლოგიურ სამყაროზე ანთროპოგენურმა უარყოფითმა ზეწოლამ ბოლო ათწლეულის განმავლობაში გააძლიერა და გააჩაჩრა დედამიწაზე ეკოლოგიური კატასტროფები, კაცობრიობა ისეთი გლობალური ეკოლოგიური პრობლემების წინაშე დგება, როგორიცაა ოზონის შრის შემცირება, კლიმატის დათბობა, გაუდაბნობა, ბიომრავალფეროვნების შემცირება, შიმშილი, ავადმყოფობა სიკვდილიანობის მატება და სხვა.

<sup>176</sup> ერთი ნაჭერი პურისათვის საკმარისი ხორბლის მოსაყვანად საჭიროა 100-150 ლ წყალი.

ერთი უღუფა ბრინჯის ფაფისთვის 500 ლიტრი წყალი.

ქალის ერთი პერანგის მოსაქსოვი ბამბის ქსოვილის მოსაყვანად საჭიროა 1000 ლიტრი წყალი.

ერთი ხორციანი კატლეტისათვის, რომელიც დამზადებული იქნება 100 გრამი ხორცისაგან, საჭირო იქნება 3000-4000 ლ წყალი.

ნებისმიერი ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ ზრდას და განვითარებას საფუძვლად უდევს იმ ბუნებრივ რესურსული (მიწა, წყალი, ტყე, სასარგებლო წიაღისეული, მცენარეული და ცხოველური სამყარო და სხვა) პოტენციალის ოპტიმალურად გამოყენება, რომელიც გააჩნია ქვეყანას.

ეკონომიკური განვითარება, რომელიც ნაკარნახებია პლანეტის მოსახლეობის ზრდით, ემყარება რესურსტექვადი ტექნოლოგიების გამოყენებას, რომელიც აუნაზღაურებელ ზიანს აყენებს ბიოსფეროს, უმოწყალო ექსპლუატაციის და გარემოს უპრეცედენტო დაზიანებას თან სდევს სტიქიური უბედურებები, ტექნოგენური ავარიები, დიდი რაოდენობის მსხვერპლი და მატერიალური დანაკარგები.

გაუდაბნოების (გავერანების – თ. ჩ.) პროცესი სხვადასხვა ბუნებრივ გარემოში სხვადასხვა ფაქტორებს უკავშირდება, თუმცა მისი გამომწვევი ძირითადი მიზეზი **ნიადაგის დეგრადირებაა** – ფიზიკური თვისებების გაუარესება, მცენარეულობის განადგურება, გრუნტის წყალში მარილების რაოდენობის ზრდა, ეკოსისტემის თვითაღდგენის უნარის შემცირება.

გაუდაბნოების შედეგად მსოფლიოს არაერთ რეგიონში გამწვავდა სურსათის და წყლის პრობლემა, სათიბ-საძოვრების და მცენარეულობის სათიბად გამოყენების შესაძლებლობა.

გაუდაბნოების პრობლემებთან 250 მლნ ადამიანი პირდაპირ კავშირშია, ხოლო 1 მილიარდი ადამიანი მსოფლიოს 100 ქვეყანაში, პოტენციური საფრთხის ქვეშაა გაუდაბნოებით გამოწვეული საფრთხის გამო. ამასთან, გრძელვადიანი ბრძოლაა გამოცხადებული ძირითადად დასახლებულ მშრალ კლიმატურ რაიონებში.

გაეროს მონაცემებით, მსოფლიოში გაუდაბნობამ უკვე მოიცვა 4 მლნ კა სარწყავი ტერიტორია. თანაც ყოველწლიურად 6 მლნ კა-თი იზრდება მისი მასშტაბები. გაუდაბნობა ემუქრება სამხრეთ ამერიკის ტერიტორიის 10%, აზიის 19%, აფრიკის 23% და ავსტრალიის 45%.

გაუდაბნობა – მიწის დეგრადაცია შეიძლება გამოწვეული იყოს როგორც ბუნებრივი ფაქტორების, ისე ადამიანის სამეურნეო მოქმედებით. ადამიანი უძველესი დროიდან ამუშავებს ნიადაგს მოსავლის მიღების მიზნით. „აკულტურებს“ და ქმნის ნიადაგის „ეკონომიკურ ნაყოფიერებას“. ნიადაგი იმყოფება ადამიანის ზემოქმედების ქვეშ, ამიტომ მისი ნაყოფიერება დამოკიდებულია საზოგადოებრივ ურთიერთობათა და საწარმოო საშუალებათა განვითარების მიუღწევად კომპლექსზე.

უკანასკნელ პერიოდში სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ, მოსახლეობის ზრდამ დედამიწაზე, მრეწველობისა და ტრანსპორტის განვითარებამ, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციამ და სხვა ანთროპოგენურმა ფაქტორებმა მკვეთრად გააფართოვა და გააძლიერა ნიადაგზე ადამიანის ზემოქმედების მასშტაბები, რაც აუნაზღაურებელ ზიანს აყენებს ნიადაგს ხშირი ექსპლუატაციითა და გარემოს დაბინძურების მასშტაბებით.

მიწას როგორც წარმოების ძირითად ფაქტორს ახასიათებს მიწის რიგი თავისებურებები, ამით იგი განსხვავდება წარმოების სხვა ფაქტორებისაგან. მას ახასიათებს შეუნაცვლებლობა, ე.ი. მისი შეცვლა სხვა საშუალებით შეუძლებელია. იგი არის ბუნების წარმონაქმნი, მისი გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე საწარმოო თვალსაზრით ან კიდევ მისი იმპორტი და ექსპორტი შეუძლებელია.

მიწის, რესურსების მეშვეობით კაცობრიობა თითქმის მთლიანად (95%-ით) იკმაყოფილებს სურსათზე მოთხოვნილებას. მიწის რესურსების (129 მლნ. მ<sup>2</sup> ანუ, ხმელეთის 86,6%) მხოლოდ 1/5 შეიძლება სახნავ-სათესად იქნას გამოყენებულ. ცნობილია, რომ ერთი ადამიანის გამოსაკვებად საჭიროა 0.1 კა მიწის დამუშავება. სახნავი მიწის ფართობის ხვედრითი წილი სწრაფად მატულობს, თუ რამდენიმე ათეული წლის წინ (1960) დედამიწის ერთ მცხოვრებელ 0.5 კა სახნავ-სათესი ფართობი მოდიოდა, ამჟამად ეს მაჩვენებელი (0.21კა) მნიშვნელოვნადაა შეცვლილი. განსაკუთრებით მწვავედ დგას საკითხი მიწის რესურსების და მისი გამოყენების პრობლემების შესახებ მთიან რეგიონებში.

საუკუნეების მანძილზე ექსტენსიური სოფლის მეურნეობა შეცვალა ინტენსიურმა, თუმცა ანთროპოგენური ზემოქმედების მასშტაბებსა და მის უარყოფით შედეგებზე აქტიური საუბარი მხოლოდ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო. ამჟამად ნიადაგის საფარის სტრუქტურისა და ნაყოფიერების შენარჩუნება მსოფლიოს არაერთი სახელმწიფოს უნიშვნელოვანესი პრობლემაა. ამ მახასიათებლების შენარჩუნება, როგორც სოციალური და ეკონომიკური, ისე ეკოლოგიური აუცილებლობაა.

ნიადაგის გაუდაბნოების (გავერანების – თ. ჩ.) პროცესი იწყება ნიადაგის ფიზიკურ-მექანიკური შედეგინილობის დეგრადაციით. ნიადაგის სტრუქტურის ცვლაზე ძირითადად ანთროპოგენური ფაქტორი მოქმედებს, ხოლო ნაყოფიერებაზე – ანთროპოგენურიც და ბუნებრივიც.

ნიადაგის სტრუქტურის ცვლაზე განსაკუთრებით მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და აგროწესებები. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ზეგავლენით და ინტენსიური ძოვების შედეგად ხდება ნიადაგის გამკვრივება, ხენითა და კულტივაციით გაფხვიერება და ნიადაგის ჰორიზონტების აღვრევა. ხშირ რწყვას ნიადაგის ტენიანობის და ფორიანობის ცვლა მოსდევს (რაც ხშირად გრუნტის წყლის დონის ცვალებადობას ან დამლაშებას იწვევს). ქიმიური სასუქების გამოყენება იწვევს ნიადაგის ცოცხალი სამყაროს განადგურებას და ა.შ.

ეკოლოგიური თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე საჭირობო პრობლემა, რომელიც ნიადაგის დეგრადაციას და შემდეგ გაუდაბნოების პროცესს იწვევს, არის **ეროზია**.

ნიადაგის ეროზია ერთ-ერთი სტიქიური უბედურებაა, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის სამეურნეო საქმიანობასთან. ეროზიის შედეგად დეგრადირებული ნიადაგების ფართობი სწრაფად იზრდება, უკანსკნელ ასწლეულის მანძილზე წყლისმიერმა და ქარისმიერმა ეროზიამ მოიცვა 2 მლნ კა ფართობი, ანუ მსოფლიოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 1/4 -ზე მეტი. ეროზია გლობალურ პრობლემად იქცა.

დედამიწაზე მოსახლეობის ზრდასთან ერთად მატულობს ეროზიისადმი არამდგრადი ტერიტორიების ათვისების ტემპი, რაც მათი დეგრადაციის და გაუდაბნოების წინაპირობაა.

ეროზიის და შემდეგ დეგრადირების პროცესის მიზეზი ხშირად ტყეების გაჩეხვაა. ტყეების განადგურებისას სწრაფად იცვლება ნიადაგის ფიზიკური თვისებები და ქიმიური შედგენილობა. კერძოდ, მცენარეების გარეშე დარჩენილი ნიადაგის ზედაპირზე იზრდება წყლის ჩამონადენის სიჩქარე, იცვლება წყლის ბალანსი, თერმული რეჟიმი და ნივთიერების გარდაქმნის პროცესი. ამგვარი ნიადაგი სწრაფად კარგავს მცენარეულობის თვითაღდგენის უნარს და ვითარდება ბლენდერი. აგრომელიორაციული ზემოქმედება: რწყვა, დაშრობა, გრუნ-



ტის წყლის სპეციალურად გადაადგილება (აწვევა ან დაწვევა), ასევე მოქმედებს ნიადაგის ფიზიკურ-მექანიკურ შედგენილობაზე.

სარწყავი მიწათმოქმედების ისტორია შეიძლება ითვას წელს ითვლის, თუმცა ორი უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე სარწყავი ფართობები მსოფლიოში 25-ჯერ გაიზარდა და განსაკუთრებით დიდია სარწყავი მიწის ხვედრითი წილი ჩინეთში (45%), ინდოეთში (21%) და აშშ (16,5%). დაშრობა ტენიან ნიადაგებს ესაჭიროება, რაც, ძირითადად, დრენაჟით ან გრუნტის წყლის დაწვევით მიიღწევა. როგორც რწყვისას, ისე დაშრობისას მნიშვნელოვნად იცვლება ნიადაგის როგორც სინოტივის, ისე სითბოს მახასიათებლები. გარდა ამისა, ნიადაგში თავს იყრის დიდი რაოდენობით მარილები, რაც მის გამკვრივებას და ფიზიკური თვისებების გაუარესებას განაპირობებს. ცნობილია, რომ მსოფლიოში სარწყავი მიწის თითქმის ნახევარი უკვე დამლაშებულია. ამჟამად დამლაშების პრობლემა აწუხებს სარწყავი მიწათმოქმედების ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს ავღანეთსა და ირანს, ერაყს და ეგვიპტეს, ჩინეთს, მექსიკას და სხვა.

**ქიმიური ზემოქმედება** მინერალური სასუქების და პესტიციდების გამოყენებას უკავშირდება, რომლის მოხმარების მასშტაბები ყოველწლიურად მატულობს. ამგვარი ქიმიური ელემენტები რჩება და გროვდება ნიადაგში, საიდანაც ხდება მიწისქვეშა წყლებსა და ატმოსფეროში. ნიადაგში დაგროვილი ქიმიური ელემენტები ანადგურებს მიკროორგანიზმებს, ცვლის ნივთიერების განაწილებისა და ენერჯის გარდაქმნის პროცესებს. ამცირებს ნიადაგის ნაყოფიერებას. დასახლებული პუნქტების, საწარმოებისა და ავტომაგისტრალების გასწვრივ ნიადაგებში დამატებით ხდება ტყვია, კალიუმი, ნიკელი და სხვა. მყარი ნარჩენები აუარესებს ნიადაგის აერაციას და სპობს ცოცხალ ორგანიზმებს.

გაუდაბნობა (გავერანება – თ. ჩ.) საქართველოსათვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს, საქართველო, როგორც მცირემიწიანი ქვეყანა, განსაკუთრებით მწვავედ განიცდის ყოველი ჰექტარი მიწის დეგრადაციას როგორც ბუნებრივი გარემოს შენარჩუნების, ისე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.

საქართველო არ იმყოფება უდაბოს ზონის უშუალო მახლობლობაში, თუმცა გლობალური დაბობის ფონზე მისი აღმოსავლეთ ნაწილის ზოგიერთ რეგიონს (გარე კახეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, ნაწილობრივ სამხრეთ საქართველო) სისტემატიური გვაღვიანობის შემთხვევაში შეიძლება რეალურად შეექმნას უდაბნოდ გადაქცევის საშიშროება.

საქართველოში გაუდაბნობისადმი (გავერანების – თ. ჩ.) ყველაზე მგრძობიარე რეგიონია (დედოფლისწყაროს, სიღნაღის, საგარეჯოს რაიონები), სადაც ხდება გაუდაბნობის პროცესების გააქტივება. მიწის რესურსების არამდგრადი გამოყენების (არასწორი ირიგაცია, კულტივაცია, ტყეების განადგურება, ჭარბი ძოვება) და კლიმატური ფაქტორების (ნალექიანობის შემცირება) ზეგავლენის გამო აქ გავერანებულია დაახლოებით 3 000 ჰა, რომელიც მოიცავს შირაქის, ელდარის, ივრის, ტარიბანას, ოლეს და მათ გამყოფ ქედებს.

გავერანების პროცესის გააქტიურება შეიმჩნევა სამხრეთ საქართველოშიც (ახალციხის ქვაბული), სადაც, ბოლო ათწლეულის განმავლობაში ქარსაფარი ზოლების თითქმის მთლიანად განადგურების შედეგად, გაძლიერდა ქარისმიერი ეროზიის პროცესები.

საქართველოში მიწის დეგრადაცია უფრო მასშტაბური ხასიათისაა, ვიდრე გაუდაბნობა და იგი პრობლემას წარმოადგენს თითქმის მთელი ქვეყნისათვის. დღეისათვის სხვადასხვა ბუნებრივი ფაქტორებისა და ადამიანის საქმიანობის შედეგად დეგრადირებულია სასოფლო-სამეურნეო მიწების დაახლოებით 35% [6].

გაუდაბნობის პრობლემა ასევე აწუხებს საქართველოს მომიჯნავე აზერბაიჯანს და სომხეთს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გაუდაბნობა გამოაცხადა გლობალურ პრობლემად, რომელსაც უკავშირდება მოსახლეობის სიღარიბე და შიმშილი.

მდგრადი განვითარების შენარჩუნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს ნიადაგის რესურსის დეგრადაციისგან დაცვა წარმოადგენს, რაც უშუალო კავშირშია „სასურსათო უსაფრთხოებასთან“. ხოლო „სასურსათო უსაფრთხოება“ განეკუთვნება ფუნდამენტურ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემათა კატეგორიას.

ნიადაგის ნაყოფიერების აღსადგენად ხშირად ხელოვნურად შეაქვთ მასში მინერალური და ორგანული სასუქები (განსაკუთრებით მოსავლის აღების შემდეგ, ნიადაგი იფიტება, კარგავს ქიმიურ ნივთიერებებს – აზოტს, ფოსფორს, კალიუმს, კალციუმს ა.შ.). მოსავლიანობის ასამაღლებლად ან შესანარჩუნებლად საჭიროა ყოველ ჰექტარ სახნავზე წლიურად 50 კგ აზოტის შეტანა, რომლის თითქმის ნახევარი გარემოში იბნევა, რითაც ბინძურდება ნიადაგი.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ქართული ლექსიკონი – 2014.
2. ზ. დავითაშვილი, ნ. ელიზბარაშვილი, გობალური გეოგრაფია, 2012.
3. საქ. პრეზიდენტის ბრძანებულება „№ 112, 2003 წლის 2 აპრილი. ქ. თბილისი გაუდაბნობასთან ბრძოლის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის დამტკიცების შესახებ“.
4. გლობალური გარემოს დაცვის მიზნით საქართველოს შესაძლებლობის გაძლიერების საჭიროებათა გამოვლენა. ანოტაცია – გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, 2001.
5. Засуха – Оценка управления и смягчение воздействие – 2006.

*Tina Chkheidze*

### DESERTATION – A SIGNIFICANT PROBLEM OF SUSTAINABLE DEVELOPMENT OF ECONOMY

#### Annotation

The article shows that devastation is the process which can change a normal living environment of a man into a desert, as resulting soil degradation and making fertile soil into unfertile, UNO declared desertation as a global problem connected with the poverty and hunger of population.

The cause of desertation may be natural conditions (climate etc.) and economic activity of a man

Scientific technical revolution, population growth, agricultural intensification and other anthropogenic factors have strengthened the scale of human influence all soil, damaging it by incorrect exploitation and pollution, which is the precondition of soil degradation and further devastation

მაია ჭანია

**საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე**

თანამედროვე პირობებში ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვანწილად საყოველთაო გლობალიზაციის პროცესებით განისაზღვრება. ქვეყანაში არსებული ეკონომიკური ზრდის პრობლემების შესწავლა და ანალიზი ერთ-ერთ ყველაზე უფრო აქტუალურ პრობლემად გადაიქცა. მსოფლიო გლობალიზაციის პროცესები სულ უფრო მეტად მოიცავს მთელ მსოფლიოს, მასში სულ უფრო მეტი ახალი სახელმწიფო ერთეულები და სხვადასხვა საერთაშორისო პროექტების განხორციელებით თანამედროვე გლობალიზაციური პროცესების კიდევ უფრო აქტიური მონაწილე ხდება. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა.

აუცილებელია გლობალიზაციის მეტწილად დადებითი მხარეების ჩვენს სასარგებლოდ გამოყენება, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი საწინდარია. გაზრდილი საგარეო ვაჭრობა; ინფორმაციის მოძრაობის მაღალი ტემპი; ახალი იდეების ტექნოლოგიების, “ნოუ-ჰაუს” თავისუფალი გადაადგილება; საქართველოს მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკასთან ინტეგრირების შესაძლებლობა; ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის გათვალისწინება და ქვეყნის სასიკეთოდ გამოყენება საქართველოს ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს. საქართველო ან ნებისმიერი სხვა ქვეყანა ეროვნულ თვითმყოფადობას, თავისებურებებს, კულტურას, ტრადიციებს, გამორჩეულობას, ეკონომიკურ სიძლიერეს, ეკონომიკური ზრდის მაღალ ტემპებს ვერ შეინარჩუნებს თუ იგი გლობალიზაციის მიერ შექმნილი საკაცობრიო სიძლიერის მხოლოდ პასიურ მომხმარებლად იქცა. საქართველო უნდა გახდეს შემქმნელი მსოფლიო მნიშვნელობის პროდუქტის, ინოვაციების, გამოგონებების, რომლებზეც დიდი მოთხოვნა იქნება მსოფლიო ბაზარზე.

საქართველოში ბევრი რამ გაკეთდა ეკონომიკური ზრდის ტემპების გასაზრდელად, მაგრამ ეს, ბუნებრივია, საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ქვეყანამ თავისი მნიშვნელოვანი სიტყვა თქვას მსოფლიო ბაზარზე, დაძლიოს სიღარიბის და უმუშევრობის პრობლემები. სამწუხაროდ, საქართველოში დღემდე განხორციელებული მაკროეკონომიკური პოლიტიკა წინააღმდეგობრივია, დაუბალანსებელია. მეტად მნიშვნელოვანია ისეთი მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს მისი შემადგენელი ყველა ელემენტის დაბალანსებას. ეკონომიკური ზრდის პრობლემების შესწავლისა და გაანალიზებისას აქცენტირებული ყურადღება უნდა მიექცეს ეკონომიკური ზრდის ხარისხისადმი პრიორიტეტის მინიჭებას. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდა, არამედ ეკონომიკური ზრდის ხარისხი, რომელიც მიიღწევა სოციალური, სტრუქტურული, ინსტიტუციური, ტექნოლოგიური განვითარების დაჩქარებით, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებით, ადამიანური კაპიტალის განვითარებით.

**მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა და მისი დინამიკა**  
(მიმდინარე ფასებში, მლნ ლარი)

	2010	2011	2012	I 13	II 13	III 13	IV 13	2013	I 14*	II 14*	III 14*	IV 14*	2014*
მშპ მიმდინარე ფასებში, მლნ ლარი	20743.4	24344.0	26167.3	5776.8	6544.5	6835.0	7691.0	26847.4	6307.2	7162.8	7540.1	8176.8	29187.0
მშპ მუდმივ 2003 წლის ფასებში, მლნ ლარი	12835.0	13757.2	14637.7	3269.30	3725.0	3886.4	4243.0	15123.7	3504.1	3919.4	4102.2	4318.8	15844.6
მშპ-ის რეალური ზრდა, პროცენტული ცვლილება	6.2	7.2	6.4	2.4	1.6	1.4	7.6	3.3	7.2	5.2	5.6	1.8	4.8
მშპ დეფლატორი, პროცენტული ცვლილება	8.6	9.5	1.0	-0.5	-0.6	-1.1	-0.7	-0.7	1.9	4.0	4.5	4.4	3.8
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), ლარი	4675.7	5447.1	5818.1	1288.4	1459.6	1524.4	1715.3	5987.6	1404.6	1595.1	1679.1	1820.9	6499.7

მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	2623.0	3230.7	3523.4	777.0	884.5	918.6	1017.6	3599.6	802.9	905.0	962.1	1008.3	3680.8
მშპ მიმდინარე ფასებში, მლნ აშშ დოლარი	11636.5	14438.5	15846.8	3483.9	3965.7	4118.9	4562.8	16139.9	3605.3	4064.1	4320.4	4527.8	16528.5

წყარო: [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=118&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=118&lang=geo)

ზემოთ აღნიშნული ცხრილიდან ჩანს მშპ-ის ზრდის ტენდენცია. თუმცა, ბუნებრივია, აუცილებელია უფრო რადიკალური, უფრო ქმედითი ღონისძიებების გატარება. მშპ-ის მაღალი ტემპით ზრდა ტრადიციული მიდგომებით, უპირატესად ფიზიკური კაპიტალის გამოყენებითაც შეიძლება. ასეთი მაღალი ტემპების მიღწევას მრავალი ქვეყანა ახერხებდა, მაგრამ თანამედროვე პირობებში ამ გზით ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პრობლემები ვერ გადაწყდება, რადგანაც სასურველი სტრუქტურული გარდაქმნები, კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ექსპორტის სერიოზული გადიდება მაინც მიუღწეველი რჩება. ეკონომიკურ ზრდას საქართველოში აფერხებს არა თავისთავად მხოლოდ ინვესტიციების უკმარისობა, არამედ დანახოების, მოსახლეობისა და საწარმოების შემოსავლების სიმცირეც, რაც ძირითადად სამუშაო ძალის დაბალი პროფესიული მომზადების, გამოშვებული პროდუქციის არაკონკურენტუნარიანობის შედეგია. ამიტომ ეკონომიკური ზრდის დაჩქარების მთავარი ფაქტორია კონკურენტუნარიანი სამუშაო ადგილების შექმნა მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადებით, ანუ განათლების სისტემის პრიორიტეტული განვითარებითა და უახლესი ტექნოლოგიების დანერგვით, ტექნოლოგიური მიღწევების ინდექსის ამაღლებით. მაშასადამე, ეკონომიკური ზრდის დაჩქარების პრობლემების გადაწყვეტის მთავარი და ყველაზე ეფექტიანი გზა არის მუშათა კვალიფიკაციის, განათლების, ცოდნის ამაღლება, ანუ ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ინოვაციური სფეროს განვითარება. ინტელექტუალური და ინოვაციური განვითარება ფიზიკური კაპიტალის ხარისხის ამაღლებასაც იწვევს და ეკონომიკური ზრდაც კიდევ უფრო სტიმულირდება. პრიორიტეტი თავიდანვე უნდა მიენიჭოს ინვესტიციებს განათლებაში, მეცნიერებაში, ჯანმრთელობაში, სოციალურ ინფრასტრუქტურაში, რადგანაც ეს უფრო შედეგიანია, ვიდრე მხოლოდ ახალი საწარმოების შექმნა ან არსებული საწარმოების ინდუსტრიული ტექნოლოგიების ბაზაზე რესტრუქტურირება.

აუცილებლად მიგვაჩნია მცირე და საშუალო ბიზნესის პრიორიტეტული განვითარების უზრუნველყოფა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, კვებისა და მსუბუქ მრეწველობაში, მრეწველობის მეცნიერებატევად დარგებში, მომსახურების სფეროში. მცირე ბიზნესის განვითარების უპირატესობა ის არის, რომ იგი დასაქმების პრობლემის გადაწყვეტის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. აქ ინვესტიციები, სამუშაო ადგილების ღირებულება შედარებით მსხვილ საწარმოებთან, საგრძნობლად მცირეა, ხოლო უკუგება, შემოსავლიანობა და ეფექტიანობა – მაღალი, რაც ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარებას იწვევს. მცირე ბიზნესის ფართოდ განვითარების გარეშე ზრდის დაჩქარება შეუძლებელია. ამიტომ დაუშვებელია უნდა აღიკვეთოს ამ აუცილებლობის იგნორირება და მისი ყოველმხრივი ხელშეწყობა რეალურად უნდა განხორციელდეს.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში დაუშვებელ პრობლემად მიგვაჩნია საქართველოს ეკონომიკის ენერჯით უზრუნველყოფის პრობლემა. სწორედ ენერჯის უკმარისობა და წარმოების მაღალი ენერჯო და ელექტროტევადობა არის ზრდის ერთ-ერთი ყველაზე უფრო შემაფერხებელი ფაქტორი. ამ პრობლემის გადაჭრისათვის საჭიროა არა მარტო ტრანსკავკასიურ ენერჯეტიკულ პროგრამაში მონაწილეობა ნავთობსადენების, გაზსადენების, ელექტროსადენების სახით, არამედ საკუთარი ქვანახშირის, ნავთობის, გაზის, ჰიდროენერჯის, პელოენერჯეტიკის სწრაფი განვითარება. ამისათვის მიზანშეწონილია ელექტროსადენების მშენებლობის გარკვეული პერიოდით გადასახადებისაგან გათავისუფლება, რადგანაც აქ დაბანდებული ინვესტიციების ამოღების პერიოდი შედარებით ხანგრძლივია და სათანადო დაინტერესების გარეშე ინვესტორები კაპიტალდაბანდებებზე არ წავლენ. მასტიმულირებელი ენერჯეტიკული პოლიტიკის განხორციელების შემთხვევაში საქართველო შეიძლება ენერჯორესურსების ექსპორტიორ ქვეყნად გადაიქცეს, რაც ზრდის დაჩქარების და საქსპორტო შემოსავლების მნიშვნელოვანი წყარო იქნება.

უნდა აღინიშნოს, რომ აქ მარტო წილის გაზრდა არა არის მთავარი. მთავარია მშპ-ის, მოსახლეობის მოხმარების, სახელმწიფოს მოხმარების, ინვესტიციების მოცულობის მიახლოება შედარებით განვითარებული ქვეყნების აბსოლუტურ მაჩვენებელთან. სხვადასხვა ქვეყნების განვითარების შესწავლა გვიჩვენებს, რომ არსებობს მშპ-ის მოცულობის გარკვეული კრიტიკული მასა, რომლის მიღწევა დანახოებისა და ინვესტიციების ისეთ დონეს განაპირობებს, რომელიც ეკონომიკის შედარებით სტაბილურ ზრდას და ცხოვრების ხარისხს ასტიმულირებს.

ამასთან ერთად, არანაკლები მნიშვნელობა აქვს სტრუქტურული ძვრების განხორციელებას რეალურ ეკონომიკაში, განსაკუთრებით ინფორმაციული და პოლიტიკური სექტორების განვითარების დაჩქარებას. ეს აუცილებელია არა მარტო ახალი ტექნოლოგიების დასანერგად, არამედ აგრეთვე განათლების, ინოვაციური სფეროს, ტელეკომუნიკაციების ინფრასტრუქტურის, მაღალშემოსავლიანი დარგების განვითარების უზრუნველსაყოფად.

ეკონომიკური ზრდის განსაკუთრებით ძლიერ შემაფერხებელ ფაქტორად ქვეყნის ინსტიტუციური ჩამორჩენილობა რჩება. ამიტომ სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, პირველ რიგში, ეფექტიანი სახელმწიფოს უზრუნველყოფა, ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კონტრაბანდის აღმოფხვრა. ეს პრობლემა დიდი ხანია ხელისუფლებისა და მეცნიერ-ეკონომისტების ყურადღების ცენტრშია, მოქმედებს ანტიკორუფციული საბჭო, არის სერიოზული დადებითი ცვლილებები, მაგრამ ჯერჯერობით სასურველი შედეგები მაინც არ ჩანს. ამიტომ დღეს ყველაზე უფრო მთავარ საკითხად სწორედ ინსტიტუციური გარდაქმნების დაჩქარება გვესახება, კერძოდ საგადასახადო

სისტემის სრულყოფა, გადასახადების მასტიმულირებელი ფუნქციის აღდგენა მათი შემცირებისა და გამარტივების გზით, ხელფასების მატება, ჩრდილოვანი ეკონომიკის მინიმალურ ზომამდე დაყვანა. ჩრდილოვანი ეკონომიკის, კორუფციის, კონტრაბანდის დაძლევის გარეშე ქვეყანა ვერასოდეს გადაწყვეტს სიღარიბის პრობლემას, შესაბამისად, დანახოების, ინვესტიციებისა და ეკონომიკური ზრდის სერიოზულად დაჩქარების პრობლემას.

ამ მიზნების მიღწევა შესაძლებელი გახდება პროფიციტული ბიუჯეტით, მარტივი და დაბალი გადასახადებით, უცხოური ინვესტიციების მოზიდვით, საკუთრების უფლების დაცვით, ლიბერალური სავაჭრო და სატრანსპორტო პოლიტიკით, ექსპორტის ზრდით, სოფლის მეურნეობის სექტორის კომერციალიზაციით, დასაქმებისა და დაგროვების სტიმულირებით, “მომავალი თაობების ფონდისა” და “სტაბილური განვითარების ფონდის შექმნით”.

მეტად მნიშვნელოვანია ასევე საგადასახადო ბალანსის წონასწორობის მიღწევა, რომლისთვისაც აუცილებელია მისი კომპენსაციური პოტენციალის ამღებება, პირველ რიგში ექსპორტის პრიორიტეტული გაფართოებით, საგარეო ვალის შემცირებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ფართოდ მოზიდვით.

ექსპორტის სწრაფი ზრდა ეკონომიკური განვითარების დაჩქარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად გვევლინება. ამის შესაძლებლობას იძლევა საქართველოს გაწვევრიანება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, რაც საერთაშორისო ბაზრებზე მაქსიმალურად შეღავათიანი პირობებით ზრდის მიღწევის საშუალებას იძლევა. მაგრამ ამისათვის აუცილებელია მსოფლიოს ბაზრებზე მაღალი ხარისხის კონკურენტუნარიანი პროდუქციის მიწოდება, ექსპორტის სერიოზული გაფართოება, ასევე საჭიროა ექსპორტის დივერსიფიკაცია – ლითონის ნაწარმის, მარგანეცის, ეკოლოგიურად სუფთა სოფლისმეურნეობრივი პროდუქციის, სურსათის, ფარმაცოლოგიური, ინფორმაციული, მეცნიერებატექვადი, ტექნოტექვადი პროდუქციის საექსპორტო წარმოების თანდათან შექმნა ინოვაციური ფორმების ჩამოყალიბებით, მათი საქმიანობის ორგანიზაციით სპეციალური მიზნობრივი პროგრამების საფუძველზე. ექსპორტის ყოველმხრივი ხელშეწყობის პოლიტიკა არ გამოირჩევა იმპორტშემცველი მიმართულებების მხარდაჭერას იქ სადაც კონკურენტული უპირატესობა გვაქვს და ეფექტიანი წარმოების სწრაფი ზრდის შესაძლებლობანია. ფისკალური, ფულად-საკრედიტო და სავაჭრო პოლიტიკა სწორედ ამ ამოცანების გადაჭრას უნდა ემსახურებოდეს მასტიმულირებელი დაბეგვრის, დაკრედიტების, მეცნიერულ-ტექნოლოგიური უზრუნველყოფის მეშვეობით.

მაგრამ საქართველოს საკუთარი ინვესტიციური შესაძლებლობები ძალიან მოკრძალებულია, ამიტომ ეფექტიანი ფულად-საკრედიტო და სავაჭრო პოლიტიკის განხორციელებით მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის მასშტაბური წარმოება, ექსპორტის სერიოზული გაფართოება მხოლოდ საკუთარი ინვესტიციებით ვერ მოხერხდება. ამისათვის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საჭიროა აგრეთვე უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ფართოდ შემოსვლა, რომელსაც ყოველთვის ახლავს თან უახლესი ტექნოლოგიები და მენეჯმენტი. ასეთი შემოსავლების მთავარი პირობაა ქვეყანაში ინსტიტუციური წესრიგის არსებობა, ჩრდილოვანი ეკონომიკის, კორუფციის დაძლევა, ინვესტიციური გარემოს ჩამოყალიბება. სხვა შემთხვევაში უცხოური პირდაპირი ინვესტიციები საქართველოში მასშტაბურად არ შემოვა, შესაბამისად, ზრდის დაჩქარებისა და საგადასახადო ბალანსის გაწონასწორების პირობები არ გადაწყდება.

ცხადია, ამან ხელი არ უნდა შეუშალოს ეროვნული კაპიტალის გაძლიერებას. პირქით, უცხოური კაპიტალის შემოსვლა ეროვნული კაპიტალის გასაძლიერებლად უნდა გამოვიყენოთ, მათ შორის საბანკო სფეროში, რადგან მარტო საკუთარი ძალებით საბანკო სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება გახანგრძლივდება და ზრდაც მოკრძალებული იქნება.

ამგვარად, ეკონომიკური ზრდის პრობლემების დაძლევის მნიშვნელოვან მიმართულებად მიგვანჩნია ეკონომიკური ზრდის ხარისხისადმი პრიორიტეტის მინიჭება, სოციალური, სტრუქტურული, ინსტიტუციური, ტექნოლოგიური განვითარების დაჩქარება, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამღებება, ადამიანური კაპიტალის განვითარება. წინა პლანზე უნდა გამოვიდეს ზრდის ხარისხის უზრუნველყოფი სოციალური, სტრუქტურული, მეცნიერულ-ტექნოლოგიური, ეკოლოგიური პოლიტიკა. მაკროეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ პრიორიტეტად უნდა მივიჩნიოთ ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში, განათლების, მეცნიერების, ჯანმრთელობის სფეროების განვითარება, ადამიანის განვითარების პოტენციალის ინდექსისა და ტექნოლოგიური მიღწევების ინდექსის ამღებება, რაც საქართველოში ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისა და ჩამორჩენილობის დაძლევისათვის დამატებითი რესურსების უზრუნველყოფის მთავარი პირობაა.

სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი პირობების რეალიზაციას შეუძლია მოიტანოს სისტემური მაკროეკონომიკური ეფექტი ზრდის ტემპისა და ხარისხის ამღებების სახით. მრავალი ქვეყნის უახლესი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ განათლების, სავაჭრო ლიბერალიზაციის, ტელეკომუნიკაციების განვითარებით შესაძლებელია ქვეყნის მშპ-ის ზრდა საკმაოდ მნიშვნელოვანი ტემპებით, ხოლო ინსტიტუციური განვითარებით კიდევ უფრო მაღალი ტემპებით დაჩქარება. ბოლო ათწლეულში მრავალი ქვეყანა ვითარდება ძალიან მაღალი ტემპებით. საქართველოსაც შეუძლია, თუ იგი სისტემურ მაკროეკონომიკურ პოლიტიკას განახორციელებს.

*Maia Chania*

## **THE PROBLEMS OF THE SUSTAINABLE DEVELOPMENT OF ECONOMY OF GEORGIA AT THE MODERN STAGE**

### **Annotation**

The lack of social and intellectual development directly determines a low level of economic growth and its quality in Georgia. Georgia is characterized by low level of world competitiveness, competitiveness of growth, and current competitiveness, product efficiency, including that of territorial intensification of industry. Insufficient institutional and structural development, high level of shadow economy and corruption, significant disproportion between the factors of economic growth are obviously watched in the country.

In our opinion, it is necessary to assign the highest priority of macroeconomic policy to the investments into the human capital, development of education, science, public health, increase of an index of technological achievements.

მდგრადი განვითარების ეკონომიკური ასაქმები

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის შეუქცევადმა პროცესმა მრავალი ქვეყანა ახალი გამოწვევებისა და არჩევანის წინაშე დააყენა. ამ არჩევანის მთავარი მიზანი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების მიერ მსოფლიო ეკონომიკაში „ბუნებრივი“ ადგილის პოვნაა ისე, რომ არ დაკარგოს ისტორიულად მიღწეული სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და სხვა სახის მიღწევები და არ ჩამორჩნენ რეალობას, მაქსიმალური შესაძლო სარგებელი ნახონ ყოველი სიახლიდან. ამ გარემოებათა გათვალისწინებით მათ უნდა შეძლონ განვითარების ეროვნული მოდელის შემუშავება. ამ გამოწვევის წინაშე დგას საქართველოც.

ამასთან, უნდა გაითვალისწინოთ, რომ ეროვნულ სახელმწიფოთა წინსვლა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებენ ისინი გლობალური სოციალურ-ეკონომიკური ტენდენციებისადმი ქვეყანაში რეალურად ჩამოყალიბებული ეროვნული მენტალიტეტის, ინტერესებისა და ტრადიციების მისადაგებას. ყოველივე ეს ეროვნული ეკონომიკების განვითარების შესახებ არსებული თეორიული კონცეფციების გაანალიზებას მოითხოვს. ერთ-ერთი თანამედროვე მიმართულება, რომელიც ამ მიზანს ემსახურება, არის მდგრადი განვითარების კონცეფცია, რომელსაც საფუძველი ჯერ კიდევ XX საუკუნის 80-იან წლებში ჩაეყარა. დღეს კი ის მრავალი ქვეყნის, განსაკუთრებით ახალი ინდუსტრიული სახელმწიფოების ეროვნული ეკონომიკის განვითარების დოქტრინას წარმოადგენს. გამონაკლისი არც საქართველოა. შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს ეწოდა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რაც არსებითად ცვლის ამ უწყების მიზნებსა და მოქმედების არეალს. ჩვენი მიზანია, ყურადღება გავამახვილოთ მდგრადი განვითარების ეკონომიკურ ასაქმებზე და პრობლემა ამ კუთხით განვიხილოთ.

მდგრადი განვითარება – ეს არის საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემა, რომელიც ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას, ისარგებლონ შეუქცევადი, რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი. მრავალი მკვლევარი ამხევილებს ყურადღებას მდგრადი განვითარების ეკონომიკურ ასაქმებზე. იგი განიხილება განვითარებად, რომელიც მომავალ თაობებს არ აკისრებს დამატებითი დანახარჯების გაწევს აუცილებლობას და, რომელიც უზრუნველყოფს პერსპექტივაზე გათვლილ საწარმოო პოტენციალის კვლავწარმოებას.

მდგრადი განვითარების კონცეფციის საფუძველია გაეროს საერთაშორისო კომისიის სპეციალური გამოკვლევა, რომელიც მოხსენების ფორმით წარადგინა 1987 წელს გ. ბრუნტლანდმა. შემდგომ იგი ჩამოყალიბდა მდგრადი განვითარების პრინციპების სახით რიო-დე-ჟანეიროს სპეციალურ კონფერენციაზე [6, გვ. 5] საერთაშორისო აღიარებით, ეს პრინციპები მიღებულია როგორც უმთავრესი გზა გლობალური და რეგიონული განვითარებისათვის. მსოფლიოს ყველა განვითარებულმა სახელმწიფომ განაცხადა მდგრადი განვითარების გზით სიარულის სურვილი. იგი მოითხოვს ეკოლოგიურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას. მდგრადი განვითარების პირობებში თითოეული ქვეყნის მიერ ეკოლოგიურ-ეკონომიკური პოლიტიკის არჩევას განაპირობებს რელიეფი, კულტურული ტრადიციები, ზნეობრივი იმპერატივები და სხვა. ყველაფერი ეს იწვევს ცალკეულ ქვეყნებში მდგრადი განვითარების ფორმირების სპეციფიკას საერთო პრინციპების შენარჩუნების აუცილებლობით.

მდგრადი განვითარება დღეს განიხილება ეროვნული ეკონომიკის გარდაქმნის პირობად. ამ მხრივ აღსანიშნავია პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის, ბახელის უნივერსიტეტის პროფესორის გიუნტერ ბუხლერის მიერ გამოქვეყნებული სტატია “რას მოაქვს წარმატება? მდგრადი ეკონომიკური განვითარების 8 კაკეითილი”. 2013 წელს გამოქვეყნებული მოდერული მდგრადი განვითარებისაგან შემდგარმა ჯგუფმა, რომელთა შორის ელენ ჯონსონ სერლიფი და დევიდ კემერონიც არიან, 2015 წლის შემდგომი პერიოდისათვის განვითარების პროგრამული ორიენტირების შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა სახელწოდებით “ახალი გლობალური პარტნიორობა” (“გაერო“-ს გამომცემლობა, 2013), რომლის თანახმად კაცობრიობის მთავარი მიზანი მდგრადი განვითარების მეშვეობით უკიდურესი სიღარიბის აღმოფხვრა და ქვეყნების ეროვნული ეკონომიკის გარდაქმნაა.

მდგრადი განვითარება და მისი რეალიზაციის გზების ძიება ნებისმიერი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ამოცანაა. მსოფლიო საზოგადოება იწყებს მსჯელობას, როგორ დააღწიოს თავი გლობალურ პოსტინდუსტრიულ მანქანას. ამას ადასტურებს გაეროს სპეციალურ კონფერენციაზე მიღებული დოკუმენტი „დღის წესრიგი XXI საუკუნისათვის“. უნდა შეიქმნას განვითარების ახალი მოდელი, რომელიც შეძლებს, დაეხმაროს ცივილიზაციას გლობალური წინააღმდეგობის გადაჭრაში. ასეთ მოდელად მოიაზრება ნეოეკონომიკა.

ნეოეკონომიკა ცივილური განვითარების პოსტინდუსტრიული ეტაპის შემდგომი საფეხურია – ფასეულობათა ახალი ნაკრების საფუძველზე ჩამოყალიბებული გლობალური სისტემის პროგრესული მოდელი, რომელიც გულისხმობს ტექნოლოგიური და არასისტემური (ეთნოეროვნული, კულტურული, მორალურ-ეთიკური, ეკოლოგიური და ა.შ.) ფაქტორების ჰარმონიულ სიმბიოზს ცხოვრების დონის კვლავწარმოებისათვის.

პროგრესული განვითარების ნეოეკონომიკური მოდელი გულისხმობს მსოფლიო განვითარების ახალ კონცეფციებათა ჩამოყალიბებას, სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ახალი პრინციპების შემუშავებას. აღსანიშნავია, რომ არსებითად იცვლება თვით ადამიანის როლი ახალ მოდელში. უნდა ჩამოყალიბდეს განვითარების ახალი სუბიექტი და შესაბამისად ახალი ორგანიზაციულ-ფუნქციური სტრუქტურები.

ეროვნულმა ეკონომიკურმა სისტემებმა გამოავლინა მოქნილობის მაღალი ხარისხი, რაც ქმნის საფუძველს პოსტინდუსტრიული სამეურნეო სისტემის ძირითად მახასიათებელთა შერწყმისათვის ეთნოეროვნულ გარემოსთან. ასევე იქმნება საფუძველი ისეთი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებისათვის, რომელიც ითვალისწინებს ეროვნული მენტალიტეტის, კულტურულ და ტრადიციულ ფასეულობათა შერწყმას ცხოვრების ახალ წესთან. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში დიდი ყურადღება ეთმობა მდგრადი და უსაფრთხო განვითარების სახელმწიფოებრივი პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებას. საქართველოში ჯერ კიდევ 1996 – 1997 წლებში ქართველმა მეცნიერებმა არაერთი ნაშრომი მიუძღვნეს აღნიშნულ პრობლემებს. მათ შორის აღ-

სანიშნავია თ. ჩიკვაიძის საქართველოს მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პროგრამა XXI საუკუნისათვის, რომელშიც საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები გამოიკვეთა. როგორც ავტორი აღნიშნავს, მისი შემუშავება განაპირობა „მსოფლიოს გლობალური, განსაკუთრებით ეკოლოგიური კატასტროფის, რესურსების უკმარისობის პრობლემის გამწვავებამ, უდიდესმა გეოპოლიტიკურმა ძვრებმა მსოფლიოში და საქართველოს განვითარების გამოწვევებმა უკანასკნელ პერიოდში“<sup>177</sup>. მნიშვნელოვანია საქართველოს ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფის ღონისძიებების დასახვა გლობალური თუ რეგიონული პოლიტიკური ტრანსფორმაციის სხვადასხვა სცენარის და ეროვნული ეკონომიკის განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებით. საჭიროა ეროვნული ეკონომიკის მდგრადი განვითარების მოდელის შემუშავება.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში ამ მიმართულებით საქართველოში გარკვეული რეალური ნაბიჯები გადაიდგა. საქართველოს მდგრადი განვითარების მოდელის შემუშავების მიზნით მოწვეულ იქნა არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული გლობალური მდგრადი განვითარების ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფი, რომელთა შორის იყო მეცნიერი ჯონ ჰოფმანისტერი. მიუხედავად იმისა, რომ ის ძირითადად მდგრადი განვითარების ენერგეტიკულ ასპექტებს იკვლევს, აღნიშნავს, რომ მიდგომა აღნიშნული საკითხისადმი მულტისექტორულია და მოიცავს სხვადასხვა სფეროს. განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მდგრადი განვითარების ეკონომიკურ ასპექტებზე და აღნიშნავს: „წარმატებისა და განვითარების გზაზე ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური კეთილდღეობაა. ეს მეტ სამუშაო ადგილს, შიდა ინვესტიციების ზრდას, ადამიანური შესაძლებლობების გაუმჯობესებას, ინფრასტრუქტურის შექმნა-დახვეწას და ბევრ სხვა ასპექტს მოიცავს როგორც მოკლე, ისე ხანგრძლივი ძალისხმევის შედეგად“.

გლობალურ დონეზე „მდგრადი განვითარების“ ცენტრალურ იდეას წარმოადგენს პოსტინდუსტრიალიზმის მდგრადობის დასაბუთება, რაც გულისხმობს მსოფლიო კვლავწარმოების ციკლების შენარჩუნებას და მათი მოქმედების მდგრადობას, რისთვისაც საჭიროა ეროვნულ რესურსთა უწყვეტად მიწოდების უზრუნველყოფა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან. მაგრამ თვით პოსტინდუსტრიალიზმის უმაღლესი ფაზა – ტექნოგენური წყობა შეიძლება მრავალი ქვეყნის მდგრადი განვითარების შერყევის მიზეზი აღმოჩნდეს (მხედველობაში გვაქვს მაღალ ტექნოლოგიათა რეკოლუციური განვითარება, რომელიც ხშირად ჯერ კიდევ სიცოცხლისუნარიანი სამეურნეო ინფრასტრუქტურების მოშლას იწვევს და მძიმე მდგომარეობაში აყენებს ეროვნულ ეკონომიკას). პოსტინდუსტრიალიზმმა მოდელმა შეიმუშავა მდგრადი განვითარების სტრატეგიული მეთოდები, მაგრამ მხოლოდ მსოფლიო ტექნოლოგიური და ეკონომიკური განვითარების ცენტრებისათვის. რაც შეეხება რეგიონული ეკონომიკური სივრცის სხვა არეალებს, ეკონომიკური ზრდის ეკოლოგიურ შემადგენელთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი ფაქტორების გათვალისწინებას, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანთა საზოგადოების ჰარმონიულ განვითარებას, ცხოვრების დონის კვლავწარმოებას კულტურული, მორალურ-ეთიკური, რელიგიური და სხვა ტრადიციული ფაქტორების გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ შესაბამისად ცნება – „მდგრადი განვითარება“ იძენს სრულიად განსხვავებულ შინაარსობრივ და ფუნქციურ დატვირთვას. ის გულისხმობს ეროვნული და ინდუსტრიული ელემენტების ჰარმონიული სინთეზის მდგრადობას. ეს არის განვითარების მოდელი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მომავალი თაობების უფლება, ისარგებლონ შეუქცევადი, რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი. ამისათვის კი აუცილებელია, ქვეყნის ხელისუფლებამ გაიაზროს მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი პერსპექტივები და შექმნას შესაძლებლობები, რომ ყველა სექტორმა კომბინირებულად იმოქმედოს. როგორც ჯონ ჰოფმანისტერი აღნიშნავს, მნიშვნელოვანია, რომ დროს ჩვენს მეგობრად აღვიქვამდეთ. დრო, რომელიც მიდის, მტერი კი არა მეგობარია, მაშინ, როდესაც თქვენ იაზრებთ მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივებს. მისივე სიტყვებით, განვითარების გზაზე ბევრი პარლამენტი და ბევრი პრემიერ-მინისტრი შეიცვლება. თუმცა ხალხი არის ის, რაც არ იცვლება. განვითარების ამ მოდელისაგან საქართველოს მოსახლეობამ, საქართველოს ბიზნესმა უნდა მიიღოს სარგებელი [2].

ამრიგად, მდგრადი განვითარება დამყარებულია დემოკრატიული საზოგადოების ისეთ ეკონომიკაზე, რომელშიც შერწყმულია ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპები. მდგრადი განვითარება არის სამი ურთიერთდაკავშირებული სფეროს გადაკვეთის ადგილი: საზოგადოება, ეკონომიკა და გარემო. ის მხოლოდ გარემოს დაცვაზე არ არის ორიენტირებული, არამედ მოიცავს ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სფეროს: სოციალურს, ეკონომიკურს, კულტურულს, პოლიტიკურსა და დემოგრაფიულს. აქედან გამომდინარე, მდგრადი განვითარების მოდელი შეიძლება საფუძვლად დაედოს ქვეყნების, რეგიონების, ერების და გლობალური საზოგადოების განვითარებას.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. გიუნტერ ბუხლერი, რას მოაქვს წარმატება? მდგრადი ეკონომიკური განვითარების 8 გაკვეთილი. ჟურნალი "ლიბერალი", ონლაინ გამოცემა, თბილისი, 2013.
2. ჯონ ჰოფმანისტერი საქართველოს მდგრადი განვითარების გამოწვევის შესახებ, ჟურნალი "ლიბერალი", ონლაინ გამოცემა, თბილისი, 2015.
3. ლ. თოდუა, შ. მურღულია, მდგრადი განვითარება და საქართველოს რეფორმები, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, თბილისი, 2010.
4. კეპანაშვილი ნ., კლიშიაშვილი ლ., მაღრაძე კ., გარემო და მდგრადი განვითარება, სტუ. თბილისი 2007.
5. სილაგაძე ა. ნ., ბასილაია თ., ჩიკვაიძე თ. ნ. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია. საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე, თბ., 2001.

<sup>177</sup> ჩიკვაიძე თ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელი XXI საუკუნის მიჯნაზე, გახუთი „განათლებლა, მეცნიერება, ბიზნესი“, იანვარი, 1996, გვ. 5.

6. შისაშვილი გ., მდგრადი განვითარების კონცეფცია და ეკოლოგიური მენეჯმენტი. საქართველოს სტრატეგიული კვლევის ცენტრი, ბიულეტენი №51, 2001, გვ. 3-30.
7. Международная Энциклопедия. Социально-экономические концепции стран мира на рубеже тысячелетий. Под науч. ред. М. А. Севрука, `Содружество~, М., 2010;
8. Мировая экономика в XX веке: потрясающие достижения и серьезные проблемы. Глава V доклада МВФ «Обзор мировой экономики» (World Economic Outlook, May 2000, pages 149-180).
9. [www.ifsdeurope.com/conseptge.html](http://www.ifsdeurope.com/conseptge.html)
10. [w3.cenn.org/wssl/uploads/files/Sustainable\\_Development\\_and\\_Reforms\\_in\\_Georgia](http://w3.cenn.org/wssl/uploads/files/Sustainable_Development_and_Reforms_in_Georgia)
11. <http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/115578/>

*Lali Kharbedia*

**ECONOMIC ASPECTS OF SUSTAINABLE DEVELOPMENT**  
**Annotation**

The work “Economic aspects of sustainable development” discusses theoretical aspects of the concept of sustainable development. The main focus is made on the study of the economic aspects. It is noted that the sustainable development and its realization are the most important strategic tasks for any country. The world society has begun to discuss how to get rid of the global post-industrial machine. The latter can be confirmed by the document – “Agenda of the XXI c.” - adopted at the UN special conference. Its aim is to create a new model which will be able to help the civilization overcome the global resistance. Such model is considered to be sustainable development of national economies. It is emphasized, that in the conditions of sustainable development, the choice of each country's ecological and economic policy is depended on the religion, cultural traditions, moral imperatives and, etc. All this leads to the formation of the sustainable development in certain countries with the necessity to preserve its general principles.

## SOCIAL-CULTURAL FUNCTION AND ROLE OF GENDER IN DEVELOPMENT OF GLOBAL BUSINESS

**Role of Gender in the Process of Cultural Apprehension**

Difference in opinion exists among the scientists in regard to definition of culture. There exists broad and narrow understanding of culture. In the 1970s anthropologist Edward Taylor presented in the best way the narrow understanding of culture. He defined culture as “a whole complex, involving knowledge, laws, customs and other skills mastered by a man, as a member of society” [1, p 106]. Gerd Popsted, an expert in cultural differences and management, interpreted culture as collective programming of the mind, which differentiated one group of men from another. “Culture is an emotion (thought), which involves a combination of values and norms, and the values are bricks, with which culture is built” he writes [7, p 105]. Another explanation is given by Zvi Nemenworth and Robert Weber, which apprehended culture as the system of ideas and proved that these ideas formed the mode of human life [7, p 108]. In broad interpretation culture (Lat, Kultura – elaboration, development, education) is historically determined step of the society and man, expressed in the results of material and spiritual activities of man. The concept “culture” characterizes both the level of development of certain historical epochs (e.g. the Ancient culture, culture of Mayan tribes, etc) and various degrees of man’s life and activities (e.g. culture of labor, moral culture, business culture). In broad interpretation the term “culture” involves all that determines specificity of human existence in the world. In the most general form classification of culture involves material and spiritual spheres. Material contains the process of material production, and consumption, exchange and distribution of its results. Spiritual contains: education, upbringing, etc [8, p 56].

Culture forms the attributes accepted and aptoptoasyrf gpt mrn and women as well as expectations in regard to relations of men and women, which in other words can be called the gender. Proceeding from this, gender is a cultural construct, within which different cultures, different values, roles and responsibilities are attached to women and men. The gender roles are formed under the influence of culture. It can be said that women and men are cultural products of their society [9, p 87]. The issues of gender relations and gender identity are critical aspects of culture, because on the basis of mentioned above the style of everyday life is being established not only in the family, but in broader circles of the society as well, at work places, etc. Gender (as well as race or ethnic belonging) is presented as the basis for organization of the society proceeding from the cultural burden attached to being a man or a woman. In many societies exists the practice of work distribution according to the gender. In majority of societies the model is outlined for “working man” and “working woman”, both in the family farming and in broader community. The mentioned models, as a rule, in each culture are accompanied by explanations, why this should be this way. These models and their explanations differ in time and space. These gender disproportions are related to both human rights and the issues of development. That’s why we think interesting to consider in the present article the topic on the role of gender equality in economic development.

**Role of Gender Equality in Economic Development**

One of the most important aspects for the global business, to which the issues of gender equality are intersected, is economic development of the countries and regions.

Proceeding from the importance of gender equality protection and preservation, for the purposes of development UN Development Program (UNDP) annually calculates the index of gender inequality for the world countries and determines relevant ratings. By the data of 2013, the poorest index is fixed in Yemen (0.733), Niger (0.709) and Afghanistan (0.705). The list of five countries with the minimal index of gender inequality, as is expected, includes European countries: Switzerland (0.030), Germany (0.047), Sweden (0.054) and Denmark (0.056). The highest position in the rating, however surprising it may be, is occupied by East European country – Slovenia, with the minimal point of gender inequality (0.021). The index of gender inequality for the world countries is 0.450, and for the countries of Europe and Central Asia it is lower – average (0.317) [3].

This index is not calculated for Georgia. Instead, data on Georgia can be found in the ratings of Gender-related development index (GDI), in which our country is on 84<sup>th</sup> place (among 148 countries). To compare, in the CDI index rating 85<sup>th</sup> place is shared by the Cyprus and Mexico, and 83<sup>th</sup> position is occupied by Macedonia [2, P 53].

The first ten countries of the gender-related development rating is as follows”: 1. Slovakia; 2-3. Argentine and Venezuela; 4. Hungary; 5. Norway; 6. Sweden; 7. the USA; 8-9-10. Finland, Slovenia and Bulgaria.

Along with the degree of gender equality the approaches to the gender issues also differ by the countries and regions.

The European civilization, to which the ideas of democracy and gender equality are organic and which stands at an appropriate height from the viewpoint of economic development, faces less problems in regard to women’s rights protection. The Western culture is still the only one, in which the gender equality was implemented in full. On the contrary, the poorest results, concerning the gender inequality and violation of women’s rights, are fixed in the low-developed and poor countries of Asia and Africa.

At the World Conference of Education and Sustainable Development, held in Germany, in Bonn, one of the issues concerned unbelievably hard condition of women in general, and especially of juvenile girls in Mozambique.

Islamic countries should be mentioned especially, where the religious laws determine the supreme rights of men over women and this has considerably stronger influence on the system of cultural values and the mode of the population’s life than the civil laws. In Saudi Arabia, which by the data of Economist Intelligence Unit (EIU) is the 7<sup>th</sup> least democratic country in the world, women have to live in the most aggravated conditions. As a rule, in this country women need a permit from a protector (a guardian) man before they start work, go to travel or decide to marry. Mostly a husband or father is considered to be a protector (a guardian), though in some cases such a role can be attached to a son. It should also be mentioned here that Saudi Arabia is practically the last country, in which law till now neglected women’s election rights. Only from 2015 women will be given the right to fix their vote in the municipal elections.

Cultures and civilizations, especially in the epoch of modern communications, permanently interact and experience mobility and move. In this respect, the western culture is an indisputable leader. Numerous ideas, which are developed inside it, in its local mind, come out on the surface over time and its waves reach other, non-western shores [5, p 8]. One of such waves, which spread from the west to the east, is the idea of gender equality. However, how any society receives and shares this idea depends on unique



determinants of culture, its openness and good attitude to innovations. It is necessary to touch in a few words the gender phenomenon in its Georgian understanding and the researchers' opinion in connection with this. The gender phenomenon in Georgian culture does not reveal identity with the phenomenon of any other culture (neither European nor Asian): it is unique, peculiar and special (6, p 53). A part of Georgian researchers of gender issues on the basis of analysis of our history and literature concludes that in regard to the gender issue our culture is far more tolerant than all other well-known cultures and considers that the role of a woman, determined by the Georgian culture and tradition is a special phenomenon, which is seen at the very first glance. But not all the Georgian researchers agree on the nature of this phenomenon. For many of them the Georgia model of re-distribution of gender roles and relations between genders is not at all acceptable and exemplary, respectively, often instead of excitement, criticism is heard about the phenomenon mentioned above. But what is this phenomenon like? As the gender specialists say this issue requires fundamental study and analysis.

### **Glass Ceiling<sup>178</sup> as a Problem**

Despite the fact that, as we have already mentioned above, in Europe and America the fundamental rights of women are no longer doubted, the problems of gender equality in the issues of employment, called by the specialists "Glass Ceiling", still remain a challenge for the western society. Lean Martin determined "Glass Ceiling" as artificially formed barriers, based on the prejudices existing inside of the organization. This does not enable the skilled workers to move forward on the official ladder and succeed in their carrier. Qualified women specialists and representatives of minorities, in major cases, turn to be just under that invisible ladder. The only way left for them is to watch from there how other employees advance. Today far more women are on the position of managers than ten years ago, but still their number is still too small in the high rank management, and in some organizations, in average rank as well. Increased number of women and problems among managers, which these women face in their efforts of being employed on this position, forces the researchers to determine the relation between genders and wish to be in leadership. When women become high rank managers, often special attention is concentrated on their being women. In 1992 Helen Knapp was appointed to the position of deputy chairman of technology in the high rank management in Coopers & Librand – accounting company of "G6". Coopers & Librand was considered to be the company with "Men's Club Atmosphere" and a majority of partners in it were men. From the beginning, when Knapp came in the leadership, some men accepted her appointment as anarchy, were filled with respect towards her. Her transformational management within passed years considerably increased technological base of Coopers & Librand.

Despite this, when she was appointed to this position, more attention was concentrated on the fact that she is a woman. In case of her being a man, the gender issue wouldn't be raised. Even today the professional women on the managerial positions face the challenges, which in her time Knapp had to overcome in Coopers & Librand.

Possible differences between leadership behavior and management efficiency of woman and man is the subject of special interest not only of scientists, but of for the practical specialists in management as well. Interest in this issue becomes sharper by the fact that in the process of selection for the leadership position female representatives still experience discrimination. The fact that in majority of companies an amount of women employed on the high rank leading positions is too small, witnesses the scales of discrimination in this sphere. The tendency, which became stronger and according to which preference is attached to men than women in appointment to high rank governing positions, acquired the name of "Glass Ceiling". In 1995 only 5% of the world countries had woman governor (president or premier). In large business-organizations the number of women employed on the leading executive positions is also small and makes up 30%, though the tendency of improvement is noticed. It is natural that in case of full absence of gender discrimination the mentioned indicator should have been close to 50% both for governmental and private sector as well.

In XX century the gender discrimination was justified by old-fashioned view that men are more skilled than women for the role of a leader. These views involved expectations about those features and skills, which an efficient leader should have for efficient and successful activities in the organization (implicit theories), expectations about the hereditary differences between men and women (gender stereotypes) and expectations about existence of "relevant behavior" for men and women (role expectations). As no empirically proved argument exists in favor of the mentioned expectations, the legislation of the world progressive countries, for example, of the USA, is directed to uprooting of gender discrimination in the process of selection of leaders. The anti-discrimination legislation is based on the consideration that women and men are equally skilled for occupying the leaders' positions. Despite this, among certain segment of the population still exists a feeling that men are more suitable for the leader's position.

### **World Leading Countries in Glass Ceiling Rating**

In 2013 the journal "Economist" published a list of the developed countries, in which the gender discrimination in the least amount at work places or in search for work. In other words, the principles of gender equality are efficiently transferred from theory into practice by employers. In calculation of the above-mentioned index for 26 countries the following factors were considered in equal, 23-23% share:


1. Difference between the higher education levels among male and female population;
2. Coefficient of women's participation in labor force;
3. Difference between average incomes of full-time employed men and women;
4. Percentage indicator of women employed in higher management;
5. Correlation of full expenses for baby care with average salary was considered in the index by 8% share, because not all employed women have children;

Finally, it turned out that the work environment most favorable for women is in New Zealand. It is followed by the Scandinavian countries: Norway and Sweden. It is also interesting that from the viewpoint of education more equal terms are in Finland; Sweden has the highest indicator of women's participation in labor force – 78%; in Spain the difference between the average salaries according to the gender is the lowest – 6%. The most unfavorable business environment for women from the mentioned developed countries is in South Korea and Japan. Probably, this is mostly caused by the fact that the amount of women employed on the positions in higher management in these countries is very low (despite the fact that President of South Korea is a woman).

---

<sup>178</sup> Metaphor about that in majority of organizations exists the so-called glass ceiling, above which women cannot go up.

## Glass-ceiling index



### Analysis of Political and Economic Environment in Georgia on Terms of Equality

Considerable steps were recently undertaken in Georgia from the viewpoint of promotion to gender equality. The government of Georgia reached essential progress in the process of observation of obligations charged by the Convention on Eradication all kinds of Discrimination against Women (CEDAW): the Parliament adopted the Law “on gender equality”; the national a plan of activity was elaborated. However, the problems in regard to gender issues still exist.

In the political arena especially difficult for women is in the Parliament. The amount of women, which through elections entered the legislative body in Georgia within last two decades, never exceeded 10% and at present their number approaches 11%; from 150 MPs women are 17.

The situation in the bodies of local self-governance and executive power from the viewpoint of women’s participation is not attractive either. The amount of women in the self-governance bodies kept reducing after each following elections; after 15<sup>th</sup> fixed in the local elections of 1998, the percentage indicator of women in 2002 fell to 12%. In October 2006 elections from 1 750 deputies only 195 (11.14%) were women. This indicator does not improved in the local elections of 2010 either – women were only 11% among elected local authorities.

In August 2-12 only five women were among 19 ministers. By the data of June 2013 among 20 ministers only three were women, i.e. percentage indicator reduced more.

On the whole, according to the gender inequality index, by the data of 2014 Georgia is on 79<sup>th</sup> position among 187 countries.

As for participation of women in economy of the country, it should be mentioned that at present women have the function of bread-winner in the family. Economic independence gave women some strength, though this new situation cannot change traditional gender roles and main activity of women in parallel still remains care of family – housework, care of children, etc.

Majority of women, employed in the official sector, work in the spheres of agriculture, education, healthcare and light industry at low-paid jobs. Vertical and horizontal gender segregation at labor market is clearly witnessed by high indicator of women’s employment at low-paid jobs in low-income economic branches.

According to the Georgian National Statistical Service, by average data of 1999-2012 average nominal monthly salary of hired employed women is 54% of men’s average salary.

While analyzing the indicators of employment and unemployment in the gender aspect, it should be mentioned that in 2012 compared with 2011 the level of unemployment of men reduced by 0.6 percentage point, and among women it increased by 0.7 percentage point. It should also be mentioned that traditionally the level of unemployment among women is less than among men. Main

reason of this is that majority of unemployed women are housewives and, respectively, belong to the non-active category of the population. The level of inactivity among women exceeds twice the analogous indicator among men. In 2012 the level of inactivity among women was 42.6, and among men – 21.8%. Thus, compared with men, among women both the level of inactivity and the level of employment are low. Woman heads only 20% of business companies.

From the viewpoint of business are interesting some results of the research conducted by ACT in 2013 within the UN joint program “for promotion gender equality in Georgia”. On the one part, these results present what role women have in the family while adopting any decision on any purchase and, on the other, presents more concrete opinion on the condition existing in women employment in Georgia [2].

It appeared in result of research that 67% of the population does not work owing to the simple reason that failed to get job. 18% of unemployed women consider that it will be difficult for them to combine housework with the job and therefore prefer not to work.

**Table 1**

unemployment reasons N=1257

	Woman	Men	Total
Could not find job	46%	73%	56%
Don't want to work	25%	19%	23%
Fail to combine housework with job, so prefer not to work	18%	1%	11%
Due to high age	4%	4%	4%
My spouse doesn't want me to work	4%	0%	3%
Miscellaneous	4%	3%	3%

Among the peoples, which are not employed at present, more than half is in search for job and it should be mentioned that among them men prevail women. Among unemployed women are such, which at present do not search for job due to different reasons (e.g. is a housewife, has no interest, is disabled, is a student, etc) and their share does not exceed 30%.

Majority of employed are professional workers (39%), this labor status is mostly spread among employed women.

In general, 48% of women and 39% of men have no personal income. 29% of the population has income from GEL 101 to 300. It should also be mentioned that for 36% of the population this sum is family income. For 30% of the population average family income fluctuates from GEL 399 to GEL 700. Unfortunately, 8% of the population lives in extreme poverty and its monthly income is less than GEL 100. It turns out that majority of women has no income. Almost 1/5 of women say that their husband/partner has more income than they have; equal income, in women's words, is in 15% cases, but according to men, in 25%.

**Table 2**

income of spouses N=1081

	Woman	Man	Total
My spouse/partner has no income	6%	7%	1%
I have larger income	9%	25%	7%
We have approximately similar income	5%	25%	0%
My spouse/partner has more income	18%	7%	3%
I have no income	52%	24%	39%
Refuse to answer	0%	0%	0%
I don't know	1%	2%	1%

It should be mentioned that despite the fact who has in the family more income, the family members mostly unite all the money and then use in case of need (52%).

**Table 3**

income of spouses N=1081

	Man	Woman	Total
I manage entire money and give to my spouse/partner proceeding From my views	5%	11%	8%
I manage entire money and give to my spouse/partner Proceeding from his/her needs	9%	17%	13%
My spouse/partner manages entire money and gives me a part of it proceeding from his/her views	9%	6%	8%
My spouse/partner manages entire money and gives me a part of it proceeding from his/her views	15%	4%	10%
We unite entire money and take as much as each of us	51%	53%	52%
We unite a part of money leave the rest to us	5%	5%	5%
We each manage our own money	6%	4%	5%

For such needs as food products, clothes, large purchases, rest/entertainment and children's education, the final decision on expenses is mostly made jointly, though women have more autonomy in buying food products and clothes.

#### **Attitudes and Evaluations of the Georgian Society to Employment of Women**

Opinions on women's employment are mostly conditioned by the views of the society, the model of behavior of man and woman within the family, considerations on the role and function of women in the family and the obligations and role of men. According to the Georgian tradition, a man is a head of the family and his obligation is to keep his family; a woman is a housewife and mother and her obligation is to obey her husband, to take care of the family and children. The attitudes mentioned above answer the question – how the society should be arranged? However, it is interesting to analyze why the society considers such arrangement true, i.e. answer to the question – why it should be so?

By analyzing the results of qualitative and quantitative researches conducted by ACT we can separate several arguments, by which the Georgian society answers the question put above:

**1. Family hierarchy corresponds to the Georgian traditions**

A great part of the population considers that such distribution of roles in the family corresponds to the Georgian tradition. The traditions are not doubted. Respectively, it is necessary that all should adjust their behavior to the traditions.

**2. Care of Family is woman's unconditional obligation/woman is irreplaceable in the family**

It is considered that a woman cannot be as successful in the carrier as a man, because the objective conditions can impede her – due to housework she cannot spare much time to her carrier. The present consideration is supported by the stereotyped opinion that doing housework is woman's prerogative by all means, as this is what she should do in any case and her husband cannot share this work. Respectively, if a woman wants to be as much successful as a man, then she has to make a choice between the carrier and a family, a man does not have to make such a choice. In general, it is much more important for a woman to take care of her children, to bring a new generation up, to take care of her husband – this is important for the society and not her work. Therefore, a woman had better take care of her family.

**3. It is natural for a woman to take care of her family**

Consideration exists that to be a housewife and to bring up children is pleasant for a woman and in the family environment she feels happier. Without a family she cannot be happy and no success in the carrier can compensate her happiness received from care for the family. Care for the family is in the nature of a woman, it is organic for her.

**4. Woman's job should be simple and should not take much time**

It is considered that a woman can have a job, but it does not impede her in taking full-value care of her family, husband and children, because woman's primary obligation is to take care of her family. Respectively, the society considers only certain professions suitable for women (e.g. a teacher, a doctor, etc).

**5. A man cannot want his wife to work**

In some cases a man in the family cannot want his wife to work. Accordingly, proceeding from the consideration that according to the Georgian tradition a woman should obey her husband and that a man is a main decision-maker in the family, a woman cannot be employed due to a simple reason that her husband wants this.

**Conclusion**

In relation to apprehension and understanding of gender, proceeding from its uniqueness, the Georgian culture cannot resemble any other culture. Besides, as our country is on the transitional stage of economic development, it possesses approaches in relations to gender, which are characteristic for both high developed countries with high level of education and the economically unsustainable countries.

In Georgia the traditional views on the gender roles are still firm: a woman's function is to take care and bring up her children, to do housework, and the function of a man is to provide his family financially. Despite the fact that at present 30% of family breadwinners are women, the population considers this is not an ideal situation and in case of economic potentials a woman had better not to work or to have less busy job, the job "suitable for a woman". A woman should obey her husband and concede to him a leader's position on different arenas. Both recent and older researches show that Georgia is still masculine, patriarchal country, in which the men occupy domineering positions. As for various campaigns directed to actualization of women's rights, their greater part talks the language which the wide circles of population cannot understand. That's why the society shares the gender equality only at the level of declarations, and in thinking and actions the idea of equality failed to be perfectly reflected yet.

**REFERENCES**

1. Antelava L. Culture and Gender. Tbilisi. 2011.
2. ACT Program within „Promotion to gender equality in Georgia“. Tbilisi, 2013.
3. Democracy and Gender Equality: The Role of UN; Discussion paper, 2013.
4. Kikonishvili G. Two Women. Jnl. "Liberal", 2013.
5. Lomaya N. Vulture, Gender, Religion. 2012.
6. Encyclopedia of Esthetics. Tbilisi, 2009.
7. Shengelia T. Global Business. Tbilisi, 2013.
8. Steven L. McShane & Mary Ann Von Glinow. Organizational Behavior. 5<sup>th</sup> edition.
9. Tylor E.. Primitive Culture. London:Murray, 2001.

*Khatuna Berishvili*

**SOCIAL-CULTURAL FUNCTION AND ROLE OF GENDER IN DEVELOPMENT OF GLOBAL BUSINESS**

**Annotation**

To study the problems of gender equality is of great importance for the global business. Gender is a cultural construct, within which our different cultures attach different values, roles and responsibilities to women and men. However, in addition to culture, the gender issues are in close relation with the global business. From this viewpoint, experience of the West is considerable and of great importance. It can be said that the problems of women's rights and a whole number of barriers, which impede to reach the gender equality have long been a great problem for the leading countries of Europe and America. But one problem remains – the so-called „glass ceiling” – the barriers, which impede carrier advance of the female representatives.

At the same time, in the countries on the stage of low development, women are still considered to be minor creatures, which do not have the rights for not only work, but education equal to men. To this are added the religious laws of Islamic countries, which radically separates the rights of women and men from one another and often consider women's public activities unacceptable.

In the background of such diversity it is interesting to familiarize with the apprehension of gender equality in Georgia. In the present study the ways for settlement of the problem mentioned above are given.

მოსახლეობის ცხოვრების დონის სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები საქართველოში

ცხოვრების დონე მოსახლეობის მიერ მატერიალური და სულიერი სიმდიდრის მოხმარების დონე და ამ სიმდიდრით მოსახლეობის დაკმაყოფილების ხარისხია. იგი დამოკიდებულია მრავალ რთულ და განსხვავებულ გარემოებაზე. მის დასახასიათებლად გამოიყენება იმ სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ერთობლიობა, რომლებიც მოსახლეობის მატერიალური და სულიერი დოვლათით უზრუნველყოფას და ამ დოვლათით მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ხარისხს ასახავს. ცხოვრების ამა თუ იმ დონეს განაპირობებს ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, ისტორიული, ეროვნული თავისებურებები, ბუნებრივი პირობები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური პირობები, ანუ მოსახლეობის შემოსავალი, ხარჯი, ინფლაციის ტემპი. ცხოვრების დონის ანალიზისას მხედველობაში მიიღება ასევე განათლებისა და კულტურის განვითარების დონე, სამედიცინო და საკურორტო მომსახურების დონე, გართობის შესაძლებლობა, დასაქმება და სამუშაო დღის ხანგრძლივობა, ბინით უზრუნველყოფა, საცხოვრებელი ფართის სიდიდე და ბინის კეთილმოწყობა, კომუნალური პირობები, საკუთარი ავტომობილების, ტელეფონების, ტელევიზორების და სხვა საოჯახო ხელსაწყოების რაოდენობა, ეკოლოგიური პირობები და ა. შ. აგრეთვე მნიშვნელოვანია ე.წ. სოციალური მონაწილეობის ინდექსები – ტრადიციებისადმი მიდევნება კულინარიაში, ეროვნულ დღესასწაულებზე მონაწილეობა და სხვ.

დღეისათვის საყოველთაოდ მიღებულია მოსახლეობის ცხოვრების დონის ოთხი გაგება:

- კეთილდღეობა (უზრუნველყოფილი დონე), რომლის პირობებშიც შესაძლებელია ადამიანის ყოველმხრივი განვითარება;
- ნორმალური დონე, რომელიც ითვალისწინებს რაციონალურ მოხმარებას მეცნიერულად დასაბუთებული ნორმების მიხედვით;
- სიღარიბე, რომლის პირობებშიც შესაძლებელია მხოლოდ შრომისუნარიანობის შენარჩუნება;
- სიღატაკე, რაც მხოლოდ სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებას ითვალისწინებს.

ექსპერტების შეფასებით, საქართველოში ზემოწამოთვლილთაგან ბოლო ორ კატეგორიაში შემაჯავდ ადამიანთა რაოდენობა განუხრებლად იზრდება: 2011 წელს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილმა (რეგისტრირებულმა სიღარიბემ) 9,2% შეადგინა, მომდევნო 2012 წელს კი ეს მაჩვენებელი 9,7%-მდე გაიზარდა. შეიძლება ითქვას, რომ ცხოვრების დონე წლიდან წლამდე უარესდება, რის ძირითად მიზეზად უმუშევრობის ზრდა სახელდება, პირველ რიგში, სწორედ უმუშევრობა ახდენს ნეგატიურ გავლენას მოსახლეობის ფინანსურ მდგომარეობაზე. დღეის მდგომარეობით ვითარება, სავარაუდოდ, არ შეცვლილა, რადგან ეკონომიკურ ზრდას ადგილი არ ჰქონია, რაც სამუშაო ადგილების შემცირებაში აისახა. უმუშევრობამ განსაკუთრებით სამშენებლო სექტორში იმატა.

ჩვენი ქვეყნის ცხოვრების დონე მსოფლიოს საშუალო სტანდარტზე დაბალია. მართალია, საქართველო ამ თვალსაზრისით არასოდეს ყოფილა მოწინავეთა რიგებში, მაგრამ ამჯერად, ამერიკული კომპანია „გელაპის“ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, ცხოვრების დონის მხრივ განვითარების დონის ყველაზე დაბალი შეფასების მქონე იმ ქვეყნებს შორის აღმოჩნდა, რომელთაც შეფასების სამი კრიტერიუმის მიხედვით დაბალი შეფასება ჰქონდათ (სირია, ავღანეთი, კონგო, ჩადი, მადაგასკარი, უგანდა, ბენინი და სხვ.).

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ცხოვრების დონის საერთაშორისო შედარებისათვის ხშირად ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მაჩვენებელს (მსყიდველობითი უნარის პარიტეტს) იყენებენ. ქვეყნებს შორის ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მაჩვენებელი საერთაშორისო სტანდარტით აშშ დოლარებში იზომება, საქართველოში ეს მაჩვენებელი დღეისათვის 5 900 აშშ დოლარს შეადგენს, რაც ერთ სულ მოსახლეზე საერთაშორისო საშუალო მაჩვენებელზე ბევრად დაბალია.

ცხოვრების დონის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია ისეთი უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური კატეგორია, როგორცაა სამომხმარებლო კალათა, რომელიც გამოხატავს ცხოვრების (მოხმარების) განსაზღვრული დონის უზრუნველყოფისათვის საჭირო სამომხმარებლო დოვლათისა და მომსახურების ნაკრებთა ფასს. სხვანაირად, სამომხმარებლო კალათა საქონლისა და მომსახურების ის ერთობლიობაა, რაც აუცილებელია ადამიანის უპირველესი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად წლის განმავლობაში. იგი გამოიყენება საცხოვრებელი (საარსებო) მინიმუმის გამოსათვლელად.

საქართველოში ამჟამად სამომხმარებლო კალათა 295 სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურებისაგან შედგება, რომელთაც მინიჭებული აქვთ შესაბამისი ხვედრითი წონა მთლიანი მოხმარების პროპორციულად (2012 წლიდან სამომხმარებლო კალათის განახლება ხდება ყოველწლიურად).

ძნელია არ არის იმ თანხის გაანგარიშება, რაც რეალურად დასჭირდება 4-სულიან ოჯახს სამომხმარებლო კალათის შესაძენად, ზოგიერთი გათვლებით, ეს თანხა ყოველთვიურად 1450 ლარს შეადგენს.

რაც შეეხება ზრდასრული ადამიანის საარსებო მინიმუმს, იგი შეადგენს 141,9 ლარს, 4-სულიანი ოჯახისა კი - 283,3 ლარს თვეში. საქართველო ამ მაჩვენებლით ბევრად ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებს.

მსოფლიო პრაქტიკაში მეტად პოპულარულია კეთილდღეობის სუბიექტური ინდექსები, კერძოდ, ინდივიდის მიერ საკუთარი ცხოვრების დონის შეფასება. ამ კუთხით საინტერესოა, რომ 2014 წლის ივნისში კომპანია „აიფიემ კვლევებმა“ საქართველოს მასშტაბით ჩატარა გამოკითხვა თემაზე, თუ როგორ აფასებენ ადამიანები საკუთარი ცხოვრების დონეს და რა მოლოდინები აქვთ ცხოვრების დონის ცვლილებასთან დაკავშირებით მომავალში. კვლევის ფარგლებში გამოკითხა 1100 რესპონდენტი პირდაპირი გამოკითხვის წესით.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა 33,5% თავის ცხოვრების დონეს აფასებს როგორც ცუდს ან ძალიან ცუდს (10% მიიჩნევს, რომ მისი ცხოვრების დონე ძალიან ცუდია, ხოლო 23,5% თვლის, რომ მისი ცხოვრების დონე ცუდია), 54% მიიჩნევს, რომ მისი ცხოვრების დონე საშუალოა და მხოლოდ 12,6% თვლის, რომ მისი ცხოვრების დონე არის კარგი ან ძალიან კარგი (აქედან 9,8% აფასებს თავისი ცხოვრების დონეს, როგორც კარგს, ხოლო დანარჩენი 2,8% კი - როგორც ძალიან კარგს).

გარდა არსებული ცხოვრების დონის შეფასებისა, როგორც აღვნიშნეთ, რესპონდენტებს დაესმოდათ კითხვა მათ მოლოდინთან დაკავშირებით, როგორ ფიქრობენ, გაუმჯობესდება თუ არა მათი ცხოვრების დონე

მომავალში და როგორი იქნება ის რამდენიმე წლის შემდეგ, კვლევების მიხედვით, მოსახლეობის დაახლოებით 44% მიიჩნევს, რომ მათი ცხოვრების დონე მომავალ წლებში იქნება კარგი ან ძალიან კარგი, 36% მიიჩნევს, რომ მისი ცხოვრების დონე მომავალ წლებში იქნება საშუალო, ხოლო დაახლოებით 17% თვლის, რომ მისი ცხოვრება იქნება ცუდი ან ძალიან ცუდი.

რესპონდენტების დიდი ნაწილი – 44% მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე ცხოვრების დონე არ იცვლება, 30%-ის აზრით, ცხოვრების დონე უარესდება, ხოლო 26%-ს მიაჩნია, რომ ცხოვრების დონე უმჯობესდება.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. როზეტა ასათიანი, საით მიდის საქართველო? (სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი), 2014.
2. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო - 2020.
3. www.geostat.ge

*Khatuna Todua*

**SOCIAL-ECONOMIC ASPECTS OF THE QUALITY OF LIFE OF POPULATION IN GEORGIA**  
**Annotation**

We can say that the quality of life in Georgia is getting worse from year to year. In 2012, the share of population living below the poverty threshold (registered poverty) had risen to 9, 7 %, from 9,2% in 2011, and still in the following years the situation is not expected to be improved, as there has been no economic growth, which reflected in decline in jobs and the growth of number of unemployed, the social conditions of which strongly aggravated. The 33,5 % of the population living in Georgia asserts their quality of life is bad or very bad, 54 % believe that their quality of life is normal, and only 12,6 % believe that their quality of life is good or very good. Also a significant part of population has no hope in improving of their social-economical conditions. The State should take care of solution of these problems in a timely manner.

*ელგუჯა მენაბდიშვილი  
ნანა მენაბდიშვილი*

**შობადობისა და რეპროდუქციული ძვევის თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე**

ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობის გაუარესება გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო, 90-იანი წლების დასაწყისიდან კი აშკარა დემოგრაფიულ კრიზისში გადაიზარდა. დემოგრაფიული მდგომარეობის მკვეთრ გამწვავებაზე, სხვა მანკურებლებთან ერთად, მიანიშნებდა შობადობის კლება. მხოლოდ 1991-1993 წლებში ერთი ქალის მიერ გაჩენილ ბავშვთა რაოდენობა 2,1-დან 1,5-მდე შემცირდა. რაც მარტივად აღწარმოებასაც კი ვერ უზრუნველყოფს. ეს ტენდენცია მომდევნო წლებშიც გაგრძელდა. შობადობის მიხედვით, საქართველო მსოფლიოს 196 ქვეყანას შორის 164-ე ადგილს იკავებს. საქართველო შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტით მსოფლიოს საშუალოდ ჩამორჩება 1,4-ჯერ. მათ შორის განვითარებად რეგიონებს – 1,5-ჯერ, ხოლო ეკონომიურად ძალიან სუსტად განვითარებულ ქვეყნებს – 2,6-ჯერ [7]. მაშინ, როცა მსოფლიოს უდიდეს ნაწილში მოსახლეობის სწრაფი ზრდის პრობლემა დგას, საქართველოს დემოგრაფიულ კატასტროფას უწინასწარმეტყველებენ.

2005 წლიდან საქართველოში ახალშობილთა რიცხვნობა რამდენადმე გაიზარდა. განსაკუთრებით მაღალი იყო 2009 წელს, როცა 2005 წელთან შედარებით 16,5 ათასით მეტი ახალშობილი დაიბადა. შობადობის მომატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მისმა უწმინდესობამ თავისი შეთავაზებით ქვეყნის მართლმადიდებელი მოსახლეობისადმი. საქსტატის მონაცემებში ნათლად ჩანს ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობის შთამბეჭდავი ზრდა უკვე 2008 წლიდან. ამასთან, ცოცხლად დაბადებულთა რიგითობის განაწილებაშიც მნიშვნელოვანი ცვლილებები შეინიშნება. კერძოდ, დაბადებულთა საერთო რიცხვნობაში გაიზარდა მესამე და მომდევნო შვილების წილი, პირველი შვილის წილი კი შემცირდა მიუხედავად იმისა, რომ წინა წელთან შედარებით რაოდენობრივი მანკურებელი გაიზარდა. მეორე შვილის წილი თითქმის უცვლელი დარჩა. ეს ტენდენცია 2014 წელსაც გაგრძელდა და წინა წელთან შედარებით პირველი შვილის პროცენტული წილი 1,8 პუნქტით შემცირდა, მესამე და მომდევნო შვილის პროცენტული წილი 1,7 პუნქტით გაიზარდა, ხოლო მეორე შვილის წილმა უმნიშვნელოდ – 0,1 პუნქტით მოიმატა. (საქსტატი 31. 03. 2015)

*ცხრილი 1*

**ცოცხლად დაბადებულების განაწილება დაბადების რიგითობის მიხედვით 2005 – 2014 წლებში**

	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
I შვილი	27356	28935	29883	31308	33651	31062	27668	26368	26225	26355
II შვილი	13743	13371	14075	18146	21093	22305	21708	21740	22040	23171
III+ შვილი	5413	5489	5329	7111	8633	9218	8638	8923	9613	11109
სულ	46512	47795	49287	56565	63377	62585	58014	57031	57878	60635

უდავოა, რომ მესამე და მომდევნო შვილის დაბადების ზრდა გამოსმაურებაა მისი უწმინდესობის შემოთავაზებაზე. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ჩვენ საზოგადოებაში ნდობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა ეკლესია (79%) და მისი პატრიარქი ილია II [2]. პატრიარქის მნიშვნელოვან წვლილზე მიუთითებს მისი ნათლულების რიცხვის ზრდაც. 38-ე ნათლობით პატრიარქის ნათლულთა რაოდენობამ 24 000-ს გადააჭარბა. არ იქნება მართებული, არ აღვნიშნოთ, რომ ეს ფაქტი შობადობის დონის შემცირების პრობლემას ვერ მოაგვარებს.

შობადობის დონის შემცირება შეიძლება მრავალი მიზეზით იყოს გამოწვეული, როგორცაა: ქალთა ემანსიპაცია, ბავშვთა აღზრდისადმი წაყენებული გაზრდილი მოთხოვნები, მოსახლეობის ინტენსიური გარე შრომითი მიგრაცია, უმუშევრობა, ცუდი საცხოვრებელი პირობები და ა.შ. მაგრამ უმთავრესი მიზეზი მაინც “შვილის ყოლის მოთხოვნების” შემცირება ან არქონაა. რასაც მნიშვნელოვნად განაპირობებს სოციალურ ღირებულებათა ცვლილება. ტრანსფორმაცია განიცადა ისეთმა ღირებულებებმა, რასაც “მეუღლეობა” და “შვილიანობა” ჰქვია. შვილი, როგორც ოჯახური ღირებულება, ჯერჯერობით კვლავ მნიშვნელოვნად რჩება მრავალთაგან, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით “შვილიანობაზე”. ოჯახის ღირებულებათა გადაფასებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ბავშვების განსაზღვრულ რიცხვზე. ამგვარი ცვლილება საკმაოდ ზუსტად აქვს ფორმულირებული დ. დე კაა და ვ. რ. ლესტიგს. მათი ფორმულირებით, – ეს არის გადასვლა წყვილებიდან “ბავშვი მეფეა მშობლებისთვის” “მეფეთა წყვილზე ბავშვით” [3]. თუ ადრე ჩვენი საზოგადოების უმთავრესი ღირებულება “ოჯახის შექმნა” და “შვილების ყოლა” იყო, თანამედროვე საზოგადოებაში პიროვნულმა ღირებულებებმა (წარმატება, პრესტიჟი, თვითრეალიზაცია და ა.შ.) წამოიწია.

შობადობის დონის შემცირების მიზეზების შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ სოციოლოგიური კვლევის საფუძველზე. მხოლოდ ამგვარი კვლევა იძლევა რეპროდუქციულ ქცევასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხების ღრმა და საფუძვლიანი შესწავლის შესაძლებლობას. ჩვენი ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევა ოჯახთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, რეპროდუქციულ ქცევასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლასაც ითვალისწინებდა<sup>179</sup>. რესპონდენტებს მივეცი ღირებულებათა ჩამონათვალი, სადაც შედიოდა ხუთი ღირებულება: მატერიალური მდგომარეობა, განათლება, კარიერა, ოჯახის შექმნა, შვილების ყოლა. ჩამოთვლილი ღირებულებებიდან უნდა ამოერჩიათ სამი მათგანი და დაელაგებინათ ისინი მნიშვნელობის მიხედვით: ყველაზე მნიშვნელოვანი, მეორე მნიშვნელობის და მესამე მნიშვნელობის. ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებებს შორის ადგილები ასე განაწილდა: მატერიალური მდგომარეობა, ოჯახის შექმნა, განათლება, შვილის ყოლა, კარიერა. შვილის ყოლაზე მნიშვნელოვნად დასახელდა მატერიალური მდგომარეობა და განათლება.

**ცხრილი 2**

**ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებები რესპონდენტებისთვის (%)**

	ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებები		
	მამაკაცი	ქალი	სულ
<b>მატერიალური მდგომარეობა</b>	38,6	26,9	32,1
განათლება	16,8	24,8	21,2
კარიერა	9,4	7,8	8,5
ოჯახი	23,9	21,1	22,4
შვილის ყოლა	11,3	19,4	15,8

მონაცემების განხილვამ სქესობრივ ასაკობრივ ჯგუფში აჩვენა, რომ მამაკაცებში, თითქმის ყველა ასაკში, პირველ ადგილზეა მატერიალური მდგომარეობა, მეორეზე ოჯახი. გამოწვევის წარმოადგენს 18-20 წლის რესპონდენტები. მათ მატერიალური მდგომარეობის მეორე ადგილზეა განათლება, კარიერა და ოჯახი. შვილის ყოლა კი ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებათა მიღმა აღმოჩნდა. ქალ რესპონდენტებშიც გამოწვევისა და დასახელებული ასაკობრივი ჯგუფი, მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანია განათლება, შემდეგ კარიერა, მატერიალური მდგომარეობა და შვილის ყოლა, ბოლოს კი ოჯახი.

ღირებულებითი ორიენტაცია პიროვნების შინაგანი სტრუქტურის დიდმნიშვნელოვანი ელემენტი. ჩამოყალიბებული ღირებულებითი ორიენტაციები წარმოადგენს ცნობიერების თავისებურ დერმს, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების სიმტკიცეს გარკვეული ქცევისადმი. ამდენად, ღირებულებითი ორიენტაცია განსაზღვრავს პიროვნების მოტივაციის დეტერმინირებას და რეგულირებას.

ჩვენი საზოგადოებისათვის დამახასიათებელია დაქვეითებული რეპროდუქციული განწყობა და მისი შესაბამისი ქცევა. ბავშვთა შობის შიგაოჯახური რეგულირება და ოჯახში შვილების სასურველი რაოდენობის – შვილის ყოლის მოთხოვნების კლება. როგორც ჩენი კვლევის შედეგებმა აჩვენა, რესპონდენტებში ბავშვთა ყოლის მოთხოვნის დასაშვალად, ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მარტივ აღწარმოებასაც კი.

**ცხრილი 3**

**ფაქტობრივი და მოსალოდნელი ბავშვების საშუალო რაოდენობა ქალაქების მიხედვით (საშუალო)**

	თბილისი	ქუთაისი	კასპი
ბავშვთა ფაქტობრივი რაოდენობა	1,14	1,01	1,10
ბავშვთა მოსალოდნელი რაოდენობა	1,34	1,19	1,19

ოჯახები ძირითადად ორიენტირებულია ორ შვილზე. ქორწინებაში მყოფი რესპონდენტების მიერ დასახელებული ბავშვების სასურველი და სულ მოსალოდნელი საშუალო რაოდენობა დაახლოებით 2,5-ია. მაშინ, როცა ორივე სქესის რესპონდენტების აზრით, საერთოდ, ოჯახში უნდა იყოს საშუალოდ სამზე მეტი ბავშვი.

**ცხრილი 4**

**რესპონდენტთა რეპროდუქციული ორიენტაციები (საშუალო)**

	მამრობითი	მდედრობითი
რამდენი ბავშვი უნდა იყოს საერთოდ ოჯახში	3,17	3,02
რამდენი ბავშვის ყოლა გსურთ	2,64	2,39

<sup>179</sup> სოციოლოგიური კვლევა ჩატარდა 2013 წელს სამ ქალაქში: თბილისი, ქუთაისი, კასპი. გამოკითხვა 18-50 წლის 1212 რესპონდენტი. კვლევის მიზანი იყო ოჯახის სოციალურ-დემოგრაფიული მოდერნიზაციის თავისებურებების შესწავლა.

რამდენი ბავშვი გყავთ ამჟამად	0,98	1,18
კიდევ რამდენი ბავშვის ყოლას აპირებთ	1,48	1,09
რამდენი შვილი ჰყავთ თქვენ მშობლებს	2,27	2,51

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ რესპონდენტების მხოლოდ 49,3%-ს ჰყავს ან აპირებს იყოლიოს იმდენი ბავშვი, რამდენიც სურს. გამოკითხულთა ნახევარზე მეტისათვის კი არსებობს ხელის შეშლელი მიზეზები, რის გამოც არ ჰყავთ ან აპირებენ იმაზე ნაკლები ბავშვის ყოლას ვიდრე სურთ. ამ მიზეზებს შორის უმთავრესი არის მატერიალური პირობები.

**ცხრილი 5**

**მიზეზები, რის გამოც რესპონდენტები აპირებენ ან ჰყავთ იმაზე ნაკლები ბავშვი, ვიდრე სურდათ (%)**

	თბილისი	ქუთაისი	კასპი	სულ
ჩემი უნაყოფობა	2,3	1,5	0,5	1,7
ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა სხვა მიზეზით	7,0	9,0	9,1	8,0
მეუღლის უნაყოფობა	0,8	0,0	1,9	0,7
მეუღლის ჯანმრთელობის მდგომარეობა სხვა მიზეზით	2,2	2,3	3,3	2,4
მატერიალური პირობები	35,3	19,3	33,5	29,7
ოჯახური უთანხმოება	2,3	1,8	1,9	2,1
ცუდი საბინაო პირობები	1,5	0,3	1,9	1,2
სამუშაოს ხასიათი ოჯახის გარეთ	1,3	1,5	0,5	1,2
ბავშვის აღზრდის სიძნელეები	2,8	3,8	5,7	3,6
მყავს (ვაპირებ ვიყოლიო) იმდენი ბავშვი რამდენიც მსურს	44,4	60,8	41,6	49,3

აღსანიშნავია, რომ როდესაც ქორწინებაში მყოფმა ქალებმა დაასახელეს ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა სასურველზე უფრო ნაკლები, ამის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზად მათმა 44,2%-მა მატერიალური პირობები დაასახელა, 42,9%-მა – ჯანმრთელობის მდგომარეობა, 13,0%-მა კი – სხვა მიზეზი. ოჯახების მატერიალურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, უმუშევრობის მაღალი დონე. ამ კუთხით მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გასატარებელი. სამუშაო ადგილების შექმნა, უმუშევრობის შემცირება ხელს შეუწყობს მოსახლეობის მატერიალური დონის გაუმჯობესებას, რაც, თავის მხრივ, დაეხმარება ოჯახებს, იყოლიონ იმდენი ბავშვი, რამდენიც სურთ.

მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპისათვის დამახასიათებელია ბავშვთა შობის შიგაოჯახური გაცნობიერებული რეგულირება, რაც დაკავშირებულია სასურველი სქესის და სასურველი რაოდენობის ბავშვების შობასთან. ამ საკითხის შესწავლისას რესპონდენტებმა მკვეთრად გამოხატული პოზიცია გამოამჟღავნეს. შეკითხვაზე “თუ თქვენ დაგეგმილი გქონდათ ორი ბავშვის ყოლა და გაიგეთ, რომ მეორეც იმავე სქესისაა, იყოლიებთ თუ არა მას?” მათმა უმრავლესობამ დადებითი პოზიცია გამოხატა.

**ცხრილი 6**

**რესპონდენტთა დამოკიდებულება მეორე ბავშვის სქესისადმი**

თუ თქვენ დაგეგმილი გქონდათ 2 ბავშვის ყოლა და გაიგეთ, რომ მეორეც იმავე სქესისაა, იყოლიებთ თუ არა მას	მაშაკაცი	ქალი	სულ
დიახ	91,8	94,4	93,2
არა	8,2	5,6	6,8

გამოკვლევის შედეგების ანალიზი საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ: საქართველოში შობადობის დონის გაზრდის მიზნით გატარებული ქმედითი ღონისძიებები გარკვეული შედეგის მომტანი იქნება. ამის ნათელი მაგალითია მისი უწმინდესობის, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ილია II-ის შემოთავაზებაზე მიღებული შედეგი. მესამე და მომდევნო ბავშვის 1,7 პუნქტით გაზრდა.

ოჯახში შვილთა ოპტიმალური რაოდენობა, როგორც რესპონდენტებმა აღნიშნეს, საშუალოდ სამზე მეტია და, თუ ბავშვთა ოპტიმალური რაოდენობის შესაბამისად მოხდება მოსახლეობის რეპროდუქციული ქცევის ჩამოყალიბება, ის გარკვეული შედეგის მომტანი იქნება.

კვლავ მნიშვნელოვანია ახალგაზრდებში “ოჯახის” და “შვილის”, როგორც უმნიშვნელოვანესი ღირებულების, სოციალიზაცია, რაც ხელს შეუწყობს შესაბამისი განწყობის და ქცევის ჩამოყალიბებას.

მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან ქმედითი ეკონომიკური ღონისძიებების გატარება უმუშევრობის დონის მკვეთრად შესამცირებლად, ასევე, ოჯახების მატერიალური სტიმულირება შობადობის დონის გაზრდის მიზნით. ეს ხელს შეუწყობს მოსახლეობის მატერიალური დონის გაუმჯობესებას. რაც, თავის მხრივ, დაეხმარება ოჯახებს, იყოლიონ იმდენი ბავშვი, რამდენიც სურთ, რადგან სასურველი ბავშვთა რაოდენობის ყოლას ყველაზე მეტად ოჯახის მატერიალური მდგომარეობა უშლის ხელს.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. ლ. ჩიქავა, საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების საერთო ტენდენციები და რეგიონული თავისებურებანი. დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პობლემები, შრომების კრებული, 2014.
2. ე. მენაბდიშვილი, სტუდენტი ახალგაზრდების რელიგიისადმი დამოკიდებულება, ანალები, 2011, №7.



*Elguja Menabdishvili  
Nana Menabdishvili*

**PECULIARITY OF FERTILITY RATE AND REPRODUCTIVE BEHAVIOR AT THE PRESENT STAGE  
Annotation**

The reappraisal of family values had a great influence on the decrease in level of fertility rate. If the "marriage" and "demand for the children" were the underlying values of our society in the past, the personal values (success, prestige, self-realization, etc.) had become the priority in modern society. The modern family is mainly focused on two children. The average number of desired and expected number of children for the married respondents in total is about 2,5. While according to the point of view of respondents of both sexes it should be an average the more than three children in the family. It is also noteworthy to mention, that only 49, 3% of respondents already have or are going to have as many children as they desire. For the half of them there some obstacles exist, why they don't have, or don't plan to have the fewer children than they want. The Most important among these reasons is accordingly: economic conditions - 44.2% and health conditions - 42.9%.

According to the live births figures obtained from the data of National Statistics Office of Georgia, the share of the first and the second child has been decreased even since 2008 and the third and fourth child's share - increased. This trend has been continued during the following years. The percentage share of the first child's was decreased by 1, 8 points in 2014, in comparison of the last year; the third and subsequent child's percentage was increased accordingly by 1, 7 points. This fact a result of His Holiness Catholicos - Patriarch of all Georgia Patriarch Ilia II-'s proposal.

In order to improve the birth rate, the socialization of the "family" and "children" as the most important values is desirable among the young people. The formation of corresponding mood and behavior will be enhanced among them. What's really important from the national Government's side is to carry out the effective economic measures for sharply reducing the unemployment, stimulating the material welfare of families in order to increase the birth rates. The improving of the material conditions will help the families to have the desired number of children. Because the most important obstacle on the way of having the desired number of children is the material conditions of a family.

*ლეკა მენაბდიშვილი*

**ოჯახის ტრანსფორმაცია – დემოგრაფიული პრობლემატიკის საფუძველი**

გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან, დემოკრატიული პროცესების და ინდივიდუალიზმის განვითარების კვალდაკვალ, იწყება ოჯახის ტრანსფორმაცია. ოჯახის ინსტიტუტის განვითარებაში თავი იჩინა ახალმა ტენდენციებმა, როგორცაა: შობადობის შემცირება, განქორწინების და არასრული ოჯახების რიცხვის ზრდა, ოჯახში ბავშვთა რიცხის შემცირება და ოჯახთა ნუკლეარიზაცია; რეგისტრირებული ქორწინებების შემცირება, დაქორწინების გადაადგება და თანაცხოვრების ინსტიტუტის დამკვიდრება. ცვლილებების ერთობლიობის ამ პერიოდს მეორე დემოგრაფიული გადასვლა უწოდეს. მისთვის დამახასიათებელია ადამიანის განზრახვის მიმართვა თვითრეალიზაციისა და არჩევანის თავისუფლებისაკენ. პიროვნული განვითარებისა და ცხოვრების ინდივიდუალიზმისა და მომხმარებლობის დომინირების მიუხედავად, ოჯახი კვლავ რჩება ერთ-ერთ არსებით ღირებულებად. თუმცა საზოგადოების სიღრმისეულ ტრანსფორმაციასთან მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული ადამიანის ყურადღების გადასვლა ოჯახური პრობლემებიდან სხვა – უფრო აქტუალურზე. კარდინალური ცვლილებები ეკონომიკის, პოლიტიკის თუ საზოგადოების სულიერ სფეროში აისახება ოჯახურ ღირებულებებზეც. შეიმჩნევა ცვლილებები ისეთ ღირებულებაში, როგორცაა ქორწინება. რეგისტრირებული ქორწინებების გვერდით აღვივებს იმკვიდრებს თანაცხოვრება და რელიგიური ქორწინება. ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ არ არის იურიდიულად აღიარებული, საზოგადოებაში კი ჯერისწერა აუცილებლობაა მიჩნეული, რათა ცოლ-ქმრის კავშირი უფლის მიერ იყოს დადგინებული. მას უპირატესობას ანიჭებენ იურიდიულ ქორწინებასთან შედარებით, რაც ქორწინების აღრიცხვის დროს გარკვეულ პრობლემებს იწვევს. აუცილებლად მიგვანია, სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს საეკლესიო ქორწინების იურიდიული აღიარება.

თანაცხოვრების ინსტიტუტისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს. ერთი ფიქრობენ, რომ ეს არის გარდამავალი პერიოდი, რომელიც ქორწინებას უსწრებს წინ, ანუ თანაცხოვრება მიჩნეული იყო ქორწინების წინა პერიოდად. თუმცა გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან თანაცხოვრება სულ უფრო გავრცელდა და სხვადასხვა სეგმენტი მოიცვა. ახლა, ხშირ შემთხვევაში, თვლიან კიდევ, რომ მან შეცვალა ქორწინება. სოციოლოგების აზრით, თანამცხოვრებთა მხოლოდ 10% რჩება ერთად ბოლომდე, ქორწინების გარეშე. ასეთი წყვილებისათვის თანაცხოვრება ქორწინების გრძელვადიანი ალტერნატივაა, ანუ ოჯახური ფუნქციების შესრულების ერთ-ერთი გზაა, იმ სოციალურ ინსტიტუტში ჩართვის გარეშე, რასაც ქორწინება აკანონებს [1].

მკვლევართა ნაწილის აზრით, თანაცხოვრება ოჯახის ინსტიტუტს კითხვის ქვეშ აყენებს, რადგან საქმე გვაქვს არა "დროებით მდგომარეობასთან", არამედ "საბოლოო მდგომარეობასთან". ეს არის ინტერინდივიდუალური მოვლენა, რომელშიც არც სახელმწიფო და არც ეკლესია არ ერევა [5].

ჩვენს საზოგადოებაში თანაცხოვრების ინსტიტუტისადმი ლოიალური დამოკიდებულება სულ უფრო მეტად მკვიდრდება. რასაც სოციოლოგიური გამოკვლევები ადასტურებს<sup>180</sup>. რესპონდენტთა უმრავლესობას მიანიშნა, რომ წვედს შეუძლია ქორწინების გარეშე იცხოვროს ერთად (53,1%), რესპონდენტთა 15,4% კი თავის

<sup>180</sup> ნაშრომში გამოყენებულია დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მიერ 2013 წელს, თბილისში, ქუთაისსა და კასპში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგები. გამოკითხა 18-55 წლის 1212 რესპონდენტი.

პარტნიორთან ერთად იურიდიული და რელიგიური ქორწინების გარეშე ცხოვრობს. გამოკვლევამ დაადასტურა ასევე ლოიალური დამოკიდებულება ქორწინების გარეშე შობადობისადმი. ამგვარი ქცევა “ყოველმხრივ გაუმართლებელია” რესპონდენტთა მხოლოდ 21%-სათვის, ხოლო “ზნეობრივად გაუმართლებელი” – 11,4%-სათვის. ქორწინების გარეშე ქალის მიერ ბავშვის განენას რესპონდენტები ამართლებენ იმ შემთხვევაში, თუ ქალს აღარ აქვს გათხოვების იმედი (26,5%). საკმაოდ დიდი ნაწილი თვლის, რომ ამგვარი ქმედება გამართლებულია, თუმცა საზოგადოება ჯერ კიდევ არ არის მზად ამისთვის.

სტატისტიკურად ოჯახური თანაცხოვრების ფორმის აღრიცხვა არ ხდება. მაგრამ ამგვარ ოჯახში დაბადებული ბავშვები აღრიცხებიან, როგორც რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებულები. ამიტომ, აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების სტატისტიკური მაჩვენებლის ზრდას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ოჯახური თანაცხოვრებით და, ასევე, რელიგიური ქორწინებით დაბადებული ბავშვები.

**ცხრილი 1**

**რეგისტრირებული ქორწინების გარეშე შობადობა (%)**

	ქორწინებაში დაბადებულები	ქორწინების გარეშე დაბადებულები	მშობელთა ერთობლივი განცხადებით	დედის განცხადებით
1989	82,3	17,7	12,5	5,2
1993	75,4	24,6	21,2	3,9
2003	55,4	44,6	36,7	6,0
2004	52,3	47,7	37,9	8,0
2005	50,3	49,7	42,7	6,1
2006	45,6	54,4	48,8	5,1
2007	56,1	43,9	39,1	4,8
2008	65,7	34,3	29,1	5,3
2009	68,6	31,4	27,6	3,8
2010	63,3	36,6	32,6	4,0
2011	66,2	33,8	31,0	2,8
2012	67,5	32,4	29,9	2,5
2013	67,1	32,9	30,5	2,4

თუ მათი მაჩვენებელი 1989 წელს დაბადებულთა 17,7% იყო, 2006 წლამდე ყოველწლიურად იზრდება და 54,4%-ს აღწევს. მომდევნო წლებში კი მკვეთრად გამოხატული ზრდის ან კლების ტენდენცია არ ფიქსირდება. 2013 წელს რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებულები სულ დაბადებულთა 32,9%-ია. მათ შორის უმეტესობა მშობელთა ერთობლივი განცხადებით დაბადებულები არიან. რა თქმა უნდა, მათ რიცხვში შედიან როგორც რელიგიური ქორწინებით, ასევე ოჯახური თანაცხოვრებით დაბადებული ბავშვები. მხოლოდ დედის განცხადებით დაბადებული ბავშვების მაქსიმალური მაჩვენებელი დაფიქსირდა 2004 წელს (8,0), ხოლო მინიმალური 2013-ში (2,4).

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მხოლოდ დედის განცხადებით დაბადებულ ბავშვთა წილი ყველაზე მაღალია ოც წლამდე და ორმოცი და მეტი წლის ქალებში. სავარაუდოა, რომ ორმოცი და მეტი წლის ქალები ამ ნაბიჯს თავიანთი ასაკიდან გამომდინარე, გაცნობიერებულად დგამენ. რაც შეეხება ოც წლამდე ასაკის ქალებს, აქ საქმე არ უნდა გვქონდეს რაციონალურ ქმედებასთან, ეს უფრო ემოციური, გაუცნობიერებელი ქმედების შედეგია.

**ცხრილი 2**

**დედის განცხადებით დაბადებულები ყველა დაბადებულთა შორის დედის ასაკის მიხედვით (%)**

	- 20	20 - 24	24 - 29	30 - 34	35 - 39	40 - 44	45 +
2011	4,0	2,6	2,3	3,0	3,9	5,6	8,5
2012	4,4	2,1	2,0	2,5	3,4	3,6	2,8
2013	3,9	2,0	1,9	2,4	2,9	5,0	9,0

ოჯახის ტრანსფორმაცია თანამედროვე სოციოკულტურული და პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან ის ქვეყნის მომავალი პრობლემების განმსაზღვრელია და ძლიერ გავლენას ახდენს საზოგადოების და სახელმწიფოს განვითარების უახლეს სტრატეგიაზე. ტრანსფორმაცია შეუქცევადი პროცესია, რომელიც დადებით მხარესაც მოიცავს და რომელსაც ძირითადად სოციალურ ღირებულებათა ცვლილება განაპირობებს. ტოფლერის თეორიის თანახმად, სიახლეებზე ყველაზე სწრაფად რეაგირებს ბავშარი, მეორე ადგილზე კი არის ოჯახი მოქნილობით და რეაქციის სიჩქარით [4].

თანამედროვე ოჯახში მიმდინარეობს ეკონომიკური ფუნქციების შესუსტება. მთავარი ხდება ფსიქოლოგიური ატმოსფერო, მეუღლეთა პიროვნული ურთიერთობა. ასეთმა ოჯახებმა მიიღო სახელწოდება: “პარტნიორული”, “მეუღლეობრივი”, “მეგობრული”. ეს არის ოჯახის ტიპი, სადაც საფუძველი-დერძი არის ურთიერთობა. რა თქმა უნდა, ამგვარი ოჯახი განაგრძობს სოციალურ ინსტიტუტად ყოფნას. მასში ისევ ეწვეიან საოჯახო მეურნეობას, შობადობას, შვილების აღზრდას და ყველა იმ ფუნქციის შესრულებას, რასაც ადრე ასრულებდნენ. თუმცა ეს ოჯახი უფრო მეტად სოციალურ-ფსიქოლოგიური ჯგუფია, სადაც პირველ ადგილზე დგას მეუღლეთა ემოციური ურთიერთობა. თანამედროვე ოჯახი ნუკლეარული გახდა. მოხდა როლები და ფუნქციების რესტრუქტურირება. ტრადიციული ოჯახისაგან განსხვავებით, სადაც ოჯახის “მარჩენალი”, “თავი” მამაკაცი იყო და გადამწყვეტი სიტყვა მას ეკუთვნოდა, დღეს ოჯახში ძალთა გადანაწილება დემოკრატიულ ხასიათს ატარებს. უკვე თანაბრად ჩანს მამაკაცის და ქალის სიტყვა. ხშირ შემთხვევაში ქალმა იტიერთა ოჯახის “მარჩენალის” ფუნქციაც. იქმნება ოჯახის ახალი ტიპი ცოლისა და ქმრის “ორმხრივი კარიერით”, მათთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პროფესიული მიღწევები, შემოქმედებითი თვითგამოხატვის

შესაძლებლობა, გარეგანი კონტაქტების სიფართოვე. თუმცა ყოველივე ამის გვერდით კვლავ არსებობენ ოჯახები, რომლებიც მისდევენ როლების და ფუნქციების ტრადიციულ განაწილებას და ორიენტირდებიან მკაცრ სოციალურ კონტროლზე.

ფსიქოლოგები თვლიან, რომ, თუ მეუღლეებს ოჯახში სოციალური განწყობები მსგავსი აქვთ, მაშინ ეს ოჯახი მყარია. ადრე სირცხვილის ფაქტორი დიდ გავლენას ახდენდა ოჯახის შენარჩუნებაზე. თუ მაშინ ოჯახის დანგრევის მიზეზი მამაკაცი იყო, დღეს უმეტესად ეს როლი ქალმა იტვირთა, რაც ქალთა უფლებების წამოწვევამ განაპირობა. უკვე მეუღლეებს შორის ღია დიალოგი მიმდინარეობს. იძულებით და ხათრით აღარავინ ცხოვრობს. თანამედროვე ოჯახი უფრო ეგოცენტრული გახდა. შეიცვალა დამოკიდებულება ქორწინების, დაუქორწინებლობის და განქორწინებისადმი. ეს პროცესები ქმნის ქორწინების ახალ მოდელს, რომელიც წინასწარ განსაზღვრავს ახალ დამოკიდებულებას განქორწინებისადმი. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მივხვდებით რატომ ინგრევა დღეს გაცილებით მეტი ოჯახი.

განქორწინების რიცხვი ყოველწლიურად მატულობს. განქორწინების კოეფიციენტი 1000 კაცზე 2005 წელს 0,4 იყო, მომდევნო წლებში იმატებდა და 2014 წელს 2,4 გახდა.

**ცხრილი 3**

**განქორწინების რიცხვი და კოეფიციენტი**

წელი	განქორწინების რიცხვი	განქორწინების კოეფიციენტი 1000 კაცზე
2005	1 928	0,4
2006	2 060	0,5
2007	2 315	0,5
2008	3 189	0,7
2009	4 030	0,9
2010	4 726	1,1
2011	5 850	1,3
2012	7 136	1,6
2013	8 089	1,8
2014	9 119	2,4

2014 წელს რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობამ 9 119 შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 12,7%-ით აღემატება, ხოლო 2005 წლის მაჩვენებელს – 372,9 პროცენტით. 2014 წელს, 2013 წელთან შედარებით, 27,5%-ით გაიზარდა განქორწინებათა რიცხვი 0–10 წლამდე ხანგრძლივობის ქორწინებებში. განქორწინების საერთო რაოდენობაში კი ყველაზე მაღალია ერთ წლამდე ხანგრძლივობის ქორწინებების წილი (7,7%) (საქსტატი).

მკვლევართა აზრით, რადგან ქორწინების უმთავრესი საფუძველი სიყვარულია, განქორწინებულთა შორის, თითქმის ყოველთვის, უმრავლესობას ის პარტნიორები შეადგენენ, რომელთაც სიყვარულით შექმნეს ოჯახი. ასეთ შემთხვევაში პარტნიორები უფრო დიდ მოლოდინებს ამყარებენ ერთობლივ ცხოვრებაზე, ქორწინებაზე და უფრო დიდ მოთხოვნებს უყენებენ საქორწინო პარტნიორს და, როგორც წესი, იმედგაცრუებასაც ძნელად ითმენენ. ეს არის განქორწინების გაახალგაზრდავების უმთავრესი მიზეზი. განქორწინება გაახალგაზრდავდა არა მხოლოდ პირველად ქორწინებაში მყოფთათვის, იგივე მდგომარეობაა განმეორებითი ქორწინების შემთხვევაშიც.

**ცხრილი 5**

**განქორწინებები ქორწინების რიგითობის და სქესის მიხედვით 2014 წელს (%)**

ქორწინების ხანგრძლივობა	სულ	მათ შორის იმყოფება ქორწინებაში					
		პირველად		განმეორებით		არ არის მითითებული	
0 - 4	31,8	88,3	89,9	9,4	8,3	2,3	1,8
5 - 9	21,4	94,9	95,9	2,6	2,1	2,6	1,9
10 - 14	11,1	94,5	94,7	2,4	2,3	3,2	3,1
15 - 19	10,7	95,3	96,4	1,8	1,8	2,9	1,7
20 +	24,6	95,3	96,8	1,7	0,8	3,0	2,5
არ არის მითითებული	0,4	70,6	67,6	2,9	5,8	26,5	26,5
სულ	100	92,8	94,0	4,4	3,7	2,8	2,2

ოჯახის ინსტიტუტი თავის თავში მოიცავს არა მხოლოდ მოსახლეობის ოჯახურ სტრუქტურას, არამედ ადამიანთა ცხოვრების წესის მიმართულებას. თანამედროვე ოჯახში მიმდინარე ცვლილებები საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებების საპასუხოა. პიროვნული ინტერესების წინ წამოწვევამ ოჯახურ ურთიერთობებში ძირითადი აქცენტი გადაიტანა ფსიქოლოგიურ ატმოსფეროზე. შეიცვალა ოჯახური ღირებულებები, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია დემოგრაფიულ პრობლემატიკაზე. თანამედროვე ოჯახი კვლავ ასრულებს იმავე ფუნქციებს, რასაც ადრე ასრულებდა. უბრალოდ ხდება მისი ტრანსფორმაცია, რაც შეუქცევადი პროცესია.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. ქერბ კალპუნი, ონაღდ ლაიტოი, სუზენ კელერი, სოციოლოგია, 5–13, 2007.
2. საქართველოს დემოგრაფიული წელიწადი – 2013, 2014.
3. საქსტატი, 2014 წლის ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები.

4. Кризис трансформация института семьи брака: к вопросу о синкретизации и демаркации понятий. Коллективная монография, под общ. Ред. Е. В. Ануфриевой, Т.П. Машихиной. 2012, 36-57.
5. Gellen Ferreol yean, Pierre Noreck, Introduction a la Sociologie, Paris, 1996.

*Lela Menabdishvili*

**THE TRANSFORMATION OF THE FAMILY – THE FOUNDATION OF DEMOGRAPHIC PROBLEMS**  
**Annotation**

In consequence of the development of democratic processes and the individualism, the family transformation has begun. The changes in such values as is a marriage are becoming apparent. Next to the registered marriages the cohabitation institution has increasingly been common. Loyal attitude of society towards these changes is increasingly being established. The majority of respondents believe that the couple can live together without marriage (53, 1%). While 15, 4% do live in such way. The same type of loyal attitude is noted towards the out of wedlock births. Such type of behavior is "completely unacceptable" for only 21% of respondents, while "morally unacceptable" for 11, 4%. The only vindication for the respondents of the out of wedlock birth by a woman is the case, if a woman has no more hope of marriage (26, 5%). The number of births from unregistered marriages is increasing. In 2013, this number is accordingly 32.9% of total births. Most of them were born according the parents' joint statement. Of course they include the children born by religious marriages, and the family cohabitation as well. The highest rate of children born only by the mother's statement (8, 05%) was shown in 2004, while the lowest rate in 2013 (2, 4%). Their share is the highest among the following age groups of women: till the twenty years; and forty years or more.

The rate of divorces has been increased; the figure of 2014 excels the same figure of previous year accordingly by 12, 7%. The increase in rate of divorces in the group of marriages with the duration of 0-10 years has been increased by 27, 5% in 2014 in comparison to 2013. But among the total numbers of divorces the highest share is shown in the one-year marriages (7, 7%). The partners have the greater expectations from the mutual life, marriage and are more demanding towards the marriage partner and as a rule; they don't easily enduring the disappointment.

*ნარგიზა ქარქაშიძე*  
*დალი ჩახვაშვილი*

**რამდენად ეშვებურია სოციალურად ორიენტირებული მარკეტინგი**

სოციალურად ორიენტირებული მარკეტინგი საქართველოში – ესაა კლიენტებთან ურთიერთობის ახალი გზა, ეს კომუნიკაციის ის ხერხია, რომელიც უკვე რამდენიმე ათეული წელია ეფექტურად მუშაობს ყველა ევროპულ ბაზარზე და აშშ-ის ტერიტორიაზეც.

რა უნდა გააკეთოს ქართულმა კომპანიებმა, რომ ბაზარზე გაამყარონ თავიანთი ბრენდის პოზიცია, „რამდენი ღირს“ სოციალური მარკეტინგი და რომელი მექანიზმები წარმოადგენს უფრო ეფექტურს?

კლასიკური მარკეტინგის ისტორია იგება მოხმარების, ბრენდის ფლობის პრინციპზე, მაგრამ აბსოლუტურად არ ეხება საკითხებს, დაკავშირებულს ადამიანის პიროვნებასთან ან, მთლიანობაში, საზოგადოების სულიერ შევსებასთან. საკითხებს, დაკავშირებულს საზოგადოების „სულიერ“ კონტექსტში შევსებასთან, თავის თავზე იღებს სოციალური მარკეტინგი.

სოციალურად ორიენტირებული მარკეტინგის ქვეშ ჩვენ გვესმის ბრენდის წინსვლა საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში მონაწილეობის მეშვეობით. მარკეტინგის ასეთი სახე აერთიანებს კონკრეტული ორგანიზაციის (ბიზნესის) და საზოგადოების ამოცანებს; მისდევს ორგანიზაციისათვის მოგების მიღების მიზანს და სოციალურად მნიშვნელოვანი დაბანდების შეტანას.

სოციალურად ორიენტირებული მარკეტინგის ძირითად მიზანს წარმოადგენს საქონლის გაყიდვა დამატებითი ღირებულებით საბოლოო მყიდველებზე. ეს ის ინიციატივებია, რომლებიც არა უბრალოდ სტიმულირებს მყიდველობით აქტიურობას, არამედ კომპანიის კლიენტებს საშუალებას აძლევს, იგრძნონ თავისი მნიშვნელობა და თანამონაწილეობა კეთილ საქმესთან. აქ შეიძლება დახმარება მოსახლეობის დაუცველ ფენებზე, ზრუნვა ცხოვრების ჯანსაღ სახეზე და ეკოლოგიაზე, კულტურის განვითარებაზე, განათლებაზე და მრავალ სხვაზე [1]. ასე მაგალითად, რაღაც საქონლის ყიდვისას კლიენტმა იცის, რომ მონაწილეობს ვიდეის სიცოცხლის გადარჩენაში, ეხმარებიან საბავშვო სახლებს და მშობლიურ ქალაქს, გახდეს უფრო მწვანე. რასაკვირველია, ყველა ჩვენგანს გვაქვს სურვილი, გავაკეთოთ რაღაც კარგი. თავიანთ წიგნში „ბრენდის სული“ [2] გამიშ პრიგლი და მარჯორი ტომსონი წერენ, რომ „კორპორაციული სოციალური ინიციატივები დღევანდელ დღეს ბრენდის პოზიციის გაყარების ყველაზე ძლიერი საშუალებაა“. როგორც ავტორები თვლიან, დღეს მომხმარებელთა მოთხოვნები გადაადგილდება მასლოუს პირამიდის ზედა დონეზე – თვითრეალიზაციასთან და სოციალურად პასუხისმგებელი მარკეტინგი აპელირებს ზუსტად მასთან.

ძირითად მექანიზმებს სოციალურად პასუხისმგებელი მარკეტინგის გამოყენებისას წარმოადგენს სოციალურად მნიშვნელოვანი და საქველმოქმედო პროექტების ჩატარება, მხარდაჭერა და მასში მონაწილეობა. ასეთი პროექტები საშუალებას იძლევა, გავაძლიეროთ ბრენდის პოზიცია არა მხოლოდ ტექნოლოგიისა და გაყიდვების სტრატეგიის თვალსაზრისით, არამედ პოტენციურ მომხმარებლებთან და თანამშრომლებთან სოციალური ურთიერთობის ხარჯზე. არსებობს ასეთი ცნება, როგორცაა „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა“ (კსპ). ეს, როცა კომპანია თავის თავზე იღებს ვალდებულებას, გაითვალისწინოს არა მხოლოდ თავისი ინტერესები, არამედ საზოგადოების ინტერესები; თავის თავზე იღებენ პასუხისმგებლობას თავისი საქმიანობის გავლენის გამო შემკვეთზე, მომწოდებელზე, თანამშრომელზე, აქციონერებს და არაკომერციულ ორგანიზაციებზე. თავის თანამშრომლების მოზიდვით და მათზე ინფორმაციის დაყვანით კსპ შესახებ, კომპანიები მუშაობენ არა მარტო იმ წუთიერ იმიჯზე, არამედ საფუძველს დებენ მყარი ფუნდამენტისა და კარგი, სოციალურად პასუხისმგებელი მარკეტინგის სტრატეგიისათვის.

ფილიპ კოტლერი გამოყოფს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ინიციატივების 6 ძირითად ტიპს [3]:

1. წინ წაწევა კორპორაციული საქველმოქმედო იდეის (საქმის) – ფინანსური და სხვა კორპორაციული რესურსების გამოყოფა საზოგადოების ყურადღების მიპყრობის მიზნით განსაზღვრულ სოციალურ პრობლემასთან ან დახმარება, შეაგროვოს საშუალებები, მიიზიდოს მოხალისეები მის გადასაწყვეტად;

2. საქველმოქმედო მარკეტინგი ვალდებულება, გააკეთო შენატანი ან გადარიცხო განსაზღვრული პროცენტები გაყიდვის მოცულობიდან;

3. კორპორაციული სოციალური მარკეტინგი – შემუშავების ან PR ჩატარების და სარეკლამო კამპანიის მხარდაჭერა, მიმართული არასასიამოვნო ტიპების ცვლილებაზე, ჩატარება იმისათვის, რომ გააუმჯობესოს სოციალური ჯანმრთელობა ან უსაფრთხოება, ხელი შეუწყოს გარემოს დაცვას ან ტერიტორიული საზოგადოებების განვითარებას;

4. კორპორაციული ფილანტროპია – მიზნობრივი შეწირვა უშუალოდ საქველმოქმედო ორგანიზაციაზე ან აქციის ან/და პროექტის განხორციელებაზე, ყველაზე ხშირად, ფულადი გრანტების, სანუქრების, საქონლის, მომსახურების ფორმით;

5. სახალისო სამუშაო – დახმარების გაწევა და კომპანიის თანამშრომლების და სხვა მოხალისე კატეგორიის მოხიდავად ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების და ინიციატივების მხარდასაჭერად;

6. სოციალურად პასუხისმგებელი მიდგომა ბიზნესის წარმოებისას – საკუთარი არჩევანით ბიზნესის და ინვესტიციის შემოტანის პრაქტიკის დანერგვა, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოების კეთილდღეობას და გარემოს შენარჩუნებას.

დღესდღეობით მრავალი კომპანია იწყებს ფსიქოლოგიური, სიდრმისეული და ადამიანური მიდგომების თავის მყიდველებთან ურთიერთობების. ისინი მათ შესაძლებლობას აძლევენ, გააკეთონ რაღაც კარგი ამ სამყაროში. ეს არა მარტო ამდღეებს არსებული აუდიტორიის ლოიალურობას, იზიდავენ ახალ მომხმარებლებს, ახალ კლიენტებს.

ჩვენს ქვეყანაში კომპანიათა ნაწილი იყენებს სოციალურად ორიენტირებულ რეკლამას. ასეთს მიეკუთვნება საქველმოქმედო ფონდ ნატახტარის მიერ ტელევიზიით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც შემდეგში მდგომარეობდა, ღმირნათი „ნატახტარის“ თითოეული გაყიდული ბოთლიდან 1, 3 და 5 თეთრი ჩაირიცხება ნატახტარის საქველმოქმედო ფონდში „იზრუნე მომავალზე“ (ბოთლის ზომების მიხედვით 0,33 ლ, 0,5 ლ, 1 ლ და 2 ლ)[4]. ასევე პაატა ბურჭულაძის საქველმოქმედო ფონდ იავნანამ „ერთად ვაკეთო ქართული საქმე“ თანადგომისათვის ი/მ „საჩვენო + შაურმა“-მ თავისი პროდუქციის შეფუთვაზე წარწერა აქვს გაკეთებული: „თქვენ მიერ შექმნილი ყოველი შაურმიდან 5 თეთრი გადაირიცხება ფონდ იავნანას ანგარიშზე“. ეს არა მხოლოდ PR, არამედ შენატანი საზოგადოების განვითარებაში. ესაა ზემოქმედების ძლიერი ბერკეტი კაცობრიობის არსზე, მის ბუნებაზე. ესაა ყველაზე წარმატებული მაგალითი სოციალური მარკეტინგის.

თავისთავად ინფორმაციის არსებობა ამა თუ იმ პროდუქციის მონაწილეობის შესახებ საქველმოქმედო აქციაში, რასაკვირველია იპყრობს მყიდველთა ყურადღებას, მაგრამ, იმისათვის, რომ გაყიდვები სინამდვილეში იყოს წარმატებული და ყველაზე მთავარი, ეკონომიკურად ეფექტური, ეს არ არის საკმარისი. იმისათვის, რომ აქციამ იმუშაოს პლიუსში, კომპანიის მიერ შემუშავებული უნდა იყოს აქციის სავაჭრო ქსელში წინ წაწევის მარკეტინგული სტრატეგია. საქონლის გაყიდვის ტექნოლოგია გულისხმობს, რომ კომპანია-მწარმოებლებთან მუშაობენ მენეჯერები, რომლებიც ახორციელებენ კომუნიკაციებს მაღაზიებთან. მათი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მოუყვებს საცალო მაღაზიის ადმინისტრაციას ამ „განსაკუთრებული“ საქონლის შესახებ და მიად-წიოს, რომ მაღაზიამ რაც შეიძლება მეტი საქონელი აიღოს გასაყიდად. მაგრამ ესეც არ არის საკმარისი და საჭიროა მეტის გაკეთება. აქციის მიმდინარეობისას ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ იმ პროდუქციის გაყიდვები, რომელიც მონაწილეობს აქციაში, იზრდებოდა ძალიან დინამიურად, განსაკუთრებით სადღესასწაულო დღეებში (ნატახტარის ფონდის აქციის პერიოდი სწორედ 25 ნოემბრიდან 25 თებერვლის ჩათვლითაა). აქციის ფინანსური ანალიზის შემდეგ აღმოჩნდა, რომ კომპანიამ მიიღო კარგი მოგება. აქციის ფარგლებში, 2011 წლიდან 2015 წლამდე შეგროვდა 587657 ლარი და 246 ბენეფიციარის დახმარება მოხერხდა. აქედან 2011-2013 წლამდე 240 ათასზე მეტი ლარი შეგროვდა, 2013 წლიდან 2014 წლამდე შეგროვდა 183742 ლარი და დახმარება გაეწია 162 ბენეფიციარს, ე.ი. სამ წელიწადში შეგროვებულმა თანხამ 420000 ლარს გადააჭარბა, ხოლო 2014 წლის დასაწყისიდან 2015 წლამდე ფონდში გადაირიცხა 161313 ლარი, რომელიც 164 ბენეფიციარზე (მზრუნველობამოკლებული ბავშვები) გადანაწილდა [5]. მიუხედავად ფონდი ნატახტარის აქტიურობისა, არაფერი გამოვიდოდა, რომ არ ყოფილიყო მომხმარებლების მხარდაჭერა.

არის ასევე პროგრამა, რომელიც იწოდება „ერთობლივ ძალისხმევად“ - ეს, როდესაც კომპანია აცხადებს იმის შესახებ, რომ მზადაა, გაზარდოს თავისი თანამშრომლების შენატანი და საქველმოქმედო ფონდში გადარიცხოს იმდენი თანხა, რამდენიც შეგროვებული იყო თანამშრომლების მიერ კომპანიის ჩარჩოებში დამოუკიდებლად. არის ასევე ამამდღეული ლოიალურობის პროგრამები როგორც თანამშრომლების, ასევე პარტნიორების, რომელიც მუშავდება საქველმოქმედო ფონდების მიერ ერთობლივად კომპანიის შრომითი რესურსების განყოფილებასთან ერთად, რომელთა შორისაა „ბავშვების სახალწლო სანუქრები“, „დღესასწაულების ორგანიზაცია ბავშვებისათვის“. ცნობილია, რომ სოციალურად პასუხისმგებელი მარკეტინგის სტრატეგიის გამოყენება ამდღეებს კომპანიის ფასეულობას და მისი თანამშრომლების ლოიალურობას გარემოსთან. ყველა ზემოთ ნათქვამთან დაკავშირებით იბადება კითხვა: როგორია სოციალურად პასუხისმგებელი მარკეტინგის განხორციელების მინიმალური ღირებულება და საიდან ავიღოთ მასზე ფული. ბიუჯეტი სოციალური მარკეტინგისათვის სხვადასხვაა. თავდაპირველად არ არის ფინანსური შეზღუდვები, რომელიც შეძლება, სახსრები სოციალური მარკეტინგის სტრატეგიის შემუშავებაზე დაეყვანა ნულამდე. ეს შეიძლება იყოს თვეში 50000 ლ, ან მეტი, ან ნაკლები. აქ მუშაობს იგივე წესები, რაც კომერციულ სექტორში. რაც მეტია ბიუჯეტი, მით მეტია აუდიტორიის მოცვა და მაღალია ეფექტურობის მაჩვენებელი.

მეორე კითხვას –საიდან ავიღოთ მასზე ფული? – უპასუხო, გაცილებით რთულია: აქ თითოეული კომპანია თვითონ წვევებს ყველაფერს. ზოგიერთ დღესასწაულზე ყოველწლიურად ხდება თანამშრომლებისათვის რაღაც მიზეზით სახუჭის გადაცემა, მაგალითად 3 ან 8 მარტს, რომელიც არაფრის მომტანია, ამიტომ, კარგი იქნებოდა თუ მიიღოთ კოლექტივის სახელით ეს თანხა ყოველწლიურად გადაირიცხებოდა საქველმოქმედო ფონდში, ან რომელიმე ბავშვის მკურნალობაზე. ამ შემთხვევაში გაიზრდებოდა საზოგადოების ლოიალური დამოკიდებულება კომპანიის (ორგანიზაციის) მიმართ. ნაკლებად თუ მოიძებნება ადამიანი, რომელიც იტყვის რომ ქველმოქმედება ცუდია. ეს თანხა არა მარტო მოახდენს დიდ PR-ს, ასევე შექმნის დამატებით მიზეზს კომუნიკაციისათვის თანამშრომლებს, კლიენტებსა და პარტნიორებთან, თან, გადავარჩინოთ ბავშვის სიცოცხლე. ასეთი საქველმოქმედო აქციები არა მარტო ხელშეწყობს კომპანიის (ორგანიზაციის) იმიჯზე და მისი სოციალური პასუხისმგებლობის დემონსტრირებას ახდენს საზოგადოების წინაშე, არამედ ეხმარება მათ, ვისთვისაც ეს დახმარება სასიცოცხლოდ აუცილებელია.

თუ დაკვირვებისადაც, რატომღაც რომ ყველა გლობალური კორპორაცია, რომელთაც უდიდესი ბრუნვა აქვთ და მუდმივი მომხმარებლების მილიონობით ბაზა, დაკავებული არიან ქველმოქმედებით და არაერთ მილიონ დოლარს ხარჯავენ მასზე. ამ დასავლურმა პრაქტიკამ უკანასკნელ ათწლეულში აქტიურად დაიწყო ბრუნვის აკრეფა. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი. ბოლო პერიოდში ფონდ “იავნანას” მეშვეობით საკმაოდ ბევრი საქველმოქმედო ღონისძიება იმართება სხვადასხვა ასაკის ადამიანების დასახმარებლად და გადასარჩენად. ასეთი მრავალი შეიძლება ჩამოვთვალოთ, მაგრამ მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი: 2014 წლის 3 ივნისს ფონდ „იავნანას“ მხარდასაჭერად საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულმა აკადემიურმა ანსამბლმა „ერისიონმა“ დიდ საკონცერტო დარბაზში საქველმოქმედო კონცერტი გამართა. კონცერტის დასასრულს საკუთარი სახლის გასაღები გადაეცა ლომჯარიძეების მრავალშვილიან ოჯახს; 2013 წლის 4 დეკემბერს კურნალ „ბომონდისა“ და კომპანია „ართთაიმის“ ერთობლივი საქველმოქმედო აუქციონი გაიმართა ფონდ „იავნანას“ მხარდასაჭერად ქველმოქმედების ბავშვების დასახმარებლად. საქველმოქმედო აუქციონიდან შემოსული თანხა გადაერიცხა დღის ცენტრს „ია“, რომლის ბენეფიციარებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სოციალურად დაუცველი პატარები არიან. შემოსული თანხით დღისცენტრში დამონტაჟდება ცენტრალური გათბობა; 24 ნოემბერს, 18 საათზე დინამო არენაზე, საქართველოს ჩემპიონატის მე-13 ტურის ცენტრალურ შეხვედრაში თბილისის „დინამო“ გორის „დილას“ უმასპინძლა. მატჩზე დასასწრები ბილეთების რეალიზაციიდან შემოსული თანხა პაატა ბურჭულაძის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „იავნანას“ ანგარიშზე ჩაირიცხა და მოხმარდა სოციალურად დაუცველ ოჯახებს და ბავშვებს და ა.შ. ასევე ფონდ „იავნანას“ მხარს უჭერენ: ჯეოსელი, ბილანი, მაგთი, VTB, პოპული, ვისოლი, სასტუმრო მარიოტი, გუდვილი, თურქეთის ავიახაზები, რუსთავე 2, ფორტუნა FM 106,9, კარფური, სილქენტი, მაესტრო, კოდა, ჰაიდელბერგცემენტი, პალიტრა მედეა და სხვა[6].

აი კიდევ რამდენიმე საინტერესო ფაქტი სოციალურად ორიენტირებული მარკეტინგის შესახებ, მოყვანილი კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორის დენის რიჩის მიერ;

- სპონსორობა – მარკეტინგული კომუნიკაციის ყველაზე სწრაფად ზრდადი მეთოდი მსოფლიოში;
- ხარჯები სპონსორობაზე და სოციალურად ორიენტირებულ მარკეტინგზე შესულია პროდუქციის თვითღირებულებაში და გამოისყიდება მოგებით პროდუქციის რეალიზაციიდან;
- 1990 წლამდე სპონსორობა მიეკუთვნებოდა ძირითადად გასაღების მოკლევადიან სტიმულირებას. 1990 წლიდან სპონსორობა და სოციალურად ორიენტირებული მარკეტინგი გრძელვადიანი მარკეტინგული სტრატეგიის შემადგენელი გახდა;
- ჭარბი ინფორმაცია მის-ში კომპანიას აიძულებს, ეძებონ მყიდველებთან მიმართვის საშუალება, ისეთი, როგორცაა სპონსორობა და სოციალურად ორიენტირებული მარკეტინგი;
- კვლევების თანახმად, მოსახლეობას ურჩევნია მიმართოს იმ კომპანიებს, რომლებიც აფინანსებენ სოციალურად მნიშვნელოვან პროექტებს.

სოციალურად ორიენტირებულ მარკეტინგს აქვს უდიდესი პოტენციალი. შესაძლოა მისი შედეგები ყოველთვის არ „ისვრიან“ სწრაფად, მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ მისგან იგებს ყველა: კლიენტებიც და თავად ორგანიზაციაც, ბიზნეს გარემო და საზოგადოება მთლიანობაში.

გადაწყვეტილება, რომ გამოიყენოთ სოციალურად ორიენტირებული მარკეტინგი, იქნება ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გადაწყვეტილება თქვენი კომპანიის და ბრენდის განვითარებაში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. Кумбс Т. Управление корпоративной социальной ответственностью. – Издательство Вили-Блэквел, 2011.
2. Принг Г., Томпсон М. Дух Бренда. Издательство “Джон Вили и сыновья”, 2001.
3. Котлер Ф., Ли Н. Корпоративная социальная ответственность. Издательство “Джон Вили и сыновья”, 2005.
4. [http://natakhtari.ge/?action=nodes&node\\_pid=3&pageon=3&lang=geo](http://natakhtari.ge/?action=nodes&node_pid=3&pageon=3&lang=geo)
5. <http://www.natakhtarifud.ge/?page=news&id=124>
6. <http://iavnana.ge/>

*Nargiza Karkashadze  
Dali Chakhvashvili*

### HOW EFFECTIVE SOCIALLY ORIENTED MARKETING?

#### Annotation

The article “How effective socially oriented marketing?” gives the basic definitions and significance of a social marketing. Are also given the types of initiatives that can be used by socially oriented company; the specific examples of companies and organi-

zations in charitable activities; the numbers, which clearly shows how each of us can do this kind of action. Georgia has the potential to enable more families and children to support, this will happen of applicants participating in the endowment will be increased.

*ელენე ჩიქოვანი*

**სოციალურად დაუცველთა შეფასების ახალი მეთოდოლოგიის დანერგვის შესახებ საქართველოში**

სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის N758 დადგენილების შესაბამისად, 2015 წლიდან საქართველოში მოქმედებაში შევიდა სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და სოციალურად დაუცველობის სტატუსის მინიჭების ახალი მეთოდოლოგია. 2015 წლამდე არსებული მეთოდოლოგიის ძირითად ნაკლს წარმოადგენდა სუბიექტური მიდგომები, ასევე დახმარების მიღების განმსაზღვრელ კრიტერიუმად საცხოვრებელი პირობების, ოჯახში არსებული ავეჯის ან ხანგრძლივი მოხმარების სხვა საგნების არსებობა, რაც თავისთავად ვერ ქმნიდა ფონს დაუცველობის სხვა (მაგალითად, სურსათით, ჯანმრთელობისა და ა.შ.) არსებითი ნიშნების გასათვალისწინებლად.

ახალი კანონმდებლობის შესაბამისად, სიღატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისათვის ფულადი დახმარებების დანიშვნა უნდა განხორციელდეს ოჯახის მატერიალური მდგომარეობის, არსებული შემოსავლებისა და სულადობის გათვალისწინებით. შესაბამისად, საჭირო გახდა სარეიტინგო ქულების დათვლის ისეთი სისტემის შემუშავება, რომელიც, სტატუსის განსაზღვრისას, ორიენტირებულია ოჯახების შემოსავლებზე (ან შემოსავლის მომტან ქონებაზე) და არა ხარჯებზე. ახალი მეთოდოლოგიის თანახმად, სოციალურად დაუცველის სტატუსის მიმღები შეიძლება გახდეს ოჯახი (შინამეურნეობა), რომელსაც არა აქვს შემოსავალი ან შემოსავლის მომტანი რაიმე სახის ქონება. მაგალითად, დამატებითი ბინა, სახნავ-სათესი სავარგულები, ავტომობილი. გამომდინარე, სარეიტინგო ქულებზე გაყენას არ მოახდენს პირველადი საყოფაცხოვრებო ტექნიკა, საყოფაცხოვრებო საგნები (მაცივარი, სარეცხი მანქანა, გაზქურა, წყლის გამათბობელი, კონდიციონერი, ტელევიზორი). სარეიტინგო ქულების განსაზღვრისას მხედველობაში აღარ მიიღება სოციალური აგენტის სუბიექტური მოსაზრება, რაც მინიმუმამდე დაიყვანს არაობიექტურ ქულათა რაოდენობის მინიჭების შესაძლებლობას. გათვალისწინებული იქნება თავად ოჯახის საჭიროებები (თუ ოჯახში არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ქრონიკული ავადმყოფი და ა.შ.). ნაცვლად 2015 წლამდე არსებული მეთოდისა, როცა ოჯახის უფლებამოსილი პირის დახმარება 60 ლარით, ხოლო ყველა დანარჩენის კი – 48 ლარით განისაზღვრებოდა, გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველების დიფერენცირება. შესაბამისად, ოჯახების დაყოფა მოხდება რამდენიმე ჯგუფად. ყველაზე გაჭირვებული ოჯახები მეტ დახმარებას მიიღებენ. 30 000 ქულის ქვემოთ ოჯახის ნებისმიერი წევრი მიიღებს 60 ლარს, ხოლო 60 000-დან 65 000 ქულამდე – 30 ლარს. ოჯახის ყველა წევრი, ყველა დონეზე თანაბარი დახმარების მიმღები იქნება. სიახლეა ყოველ ბავშვზე 10 ლარიანი დანამატი, რომელიც ყველა ოჯახს დაენიშნება, მათ შორის, იმათ, ვისი სარეიტინგო ქულა განისაზღვრება 65 000-დან 100 000-ის ჩათვლით, მიუხედავად იმისა, ეს კატეგორია იქნება თუ არა დახმარების მიმღები [2].

მიუხედავად აღნიშნული მეთოდოლოგიის რიგი პოზიტიური მხარეებისა, ნაკლოვანებებისაგან არც ახალი სისტემაა დაზღვეული. კერძოდ, სადავოდ შეიძლება ჩაითვალოს შინამეურნეობების კეთილდღეობის ინდექსის სტრუქტურა, რომელიც შინამეურნეობების სამომხმარებლო ინდექსისა და შინამეურნეობების საჭიროების ინდექსის ფარდობით მიიღება. თავად სამომხმარებლო ინდექსი კი ხარჯებისა და შემოსავლების ერთგვარ კონგლომერატს წარმოადგენს, რომელშიც არ არის გამოჯანული მოსახლეობის შემოსავლები და ხარჯები და აქცენტი შემოსავლების მომტან ქონებაზე, ძირითადი საცხოვრებლის მდგომარეობის, დემოგრაფიული, განათლებისა და ტერიტორიულ ინდექსებზე არის აღებული, ხოლო ხარჯების ძირითადი კომპონენტებიდან მხოლოდ კომუნალური ხარჯების ინდექსი არის გამოყოფილი (რაც, თავისთავად წარმოადგენს რა საჭიროების ინდექსის ერთ-ერთი შემადგენლის – სამომხმარებლო კალათის ძირითად კომპონენტს აღნიშნულ ფორმულაში ისედაც არის გათვალისწინებული). შემოსავლების მომტან ქონებას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო ქონების (მიწის) ინდექსი, რომელიც შინამეურნეობის სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობიდან გამომდინარე არის შეფასებული. სასოფლო-სამეურნეო ქონების (პირუტყვის) ინდექსის ჩამონათვალი მხოლოდ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ფრინველების არსებობით შემოიფარგლება და არ არის გათვალისწინებული ოჯახში წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის – ცხვრის ან თხის, ან/და ღორის არსებობა. მოძრავი ქონების ინდექსის შეფასება შინამეურნეობებში არასაბჭოთა (რომელიც, რეალურად, შესაძლებელია საკმაოდ ძველიც კი იყოს) ავტომანქანის ან ტრაქტორების, კომბაინების, თესლის ჩამყრელი აპარატების რაოდენობას ეყრდნობა, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მფლობელთა რაოდენობა საქართველოს პირობებში არსებითად შეზღუდულია, მეთოდოლოგია ყურადღების მიღმა ტოვებს ამ და სხვა მიზეზების გამო სოფლად სიღარიბის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორის – მიწის გამოყენების (და არა ფლობის) სფეროში არსებულ მდგომარეობას საქართველოში. შემოსავლების ინდექსის გამოთვლისას გაურკვეველია ოჯახის ჯამური ფულადი შემოსავლების დათვლის პერიოდულობა, მიღებული და პოტენციურად მისაღები, ანუ შესაძლო შემოსავლების შეპირისპირების მიდგომები. ამასთან, საერთოდ არ არის გათვალისწინებული არაფულადი, ნატურით მიღებული შემოსავლები, რომელსაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სოფლის მოსახლეობის შემოსავლების სტრუქტურაში. განათლების ინდექსის დათვლის მეთოდიცა მხოლოდ უმაღლეს განათლებაზე არის აქცენტირებული, შესაბამისად, იგნორირებულია პროფესიული განათლების როლი ოჯახის კეთილდღეობის ფორმირების საქმეში. მიუხედავად სამომხმარებლო ინდექსის “დასაქმებისა და განათლების” კომპონენტის დასახელებისა, არაფერია ნათქვამი ოჯახის წევრთა დასაქმების სტატუსზე, ძირითადი საცხოვრებელი ადგილის ინდექსის გამოთვლისას აქცენტი პარკეტის იატაკზე არის გაკეთებული.

მაშინ, როდესაც გადაწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება გადახურვას ან საცხოვრებელი ფართის კეთილ-მოწყობას ჰქონდეს. შინამეურნეობის საჭიროების ინდექსის დათვლა შინამეურნეობაში ექვივალენტურ მოხრდილ წევრთა ჯამური რაოდენობის, თანაცხოვრების ეფექტის გამოთვლის, ასევე, ფორმულის შექმნის მომენტში მინიმალური სამომხმარებლო კალაის დირექტორების დაყრდნობით არის გაანგარიშებული და არ ითვალისწინებს ღარის გაუფასურების კვალობაზე ფორმულის შექმნის მომენტში მინიმალური სამომხმარებლო კალათის დირექტორების (149.6 ღარის) ინდექსირების მექანიზმს. დასაბუთებას მოითხოვს შემოთავაზებული კოეფიციენტების გაანგარიშების, ხოლო გაანგარიშების საფუძველად ლოგარითული და ექსპონენციალური ფუნქციის გამოყენების, ასევე რეიტინგული ქულის არჩევის შემოთავაზებული მიდგომები [1].

მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნის მეთოდოლოგია და პრაქტიკა სხვადასხვა სახეცვლილებებით ფართოდ არის ადაპტირებული მსოფლიოში. მისი გამოყენების განმსაზღვრელ კრიტერიუმებად ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა, ფინანსური რესურსების შეზღუდულობა, დახმარების ოდენობის განსაზღვრისათვის ამოსავალ ფაქტორად შრომისათვის ანტი-სტიმულების არსებობა, ასევე მოქმედი სუბიექტური ფაქტორების გამორიცხვა წარმოადგენს. ამდენად, პროგრამების ეფექტური ფუნქციონირების მნიშვნელოვან წინაპირობად მიჩნეულია დახმარების მიმღებთა შერჩევა, ანუ მიზნობრივი ჯგუფის სწორად განსაზღვრა, რათა მასში სწორად იქნეს ჩადებული სოციალური სამართლიანობის პრინციპები და ყურადღების გარეშე არ იქნეს დატოვებული მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების სოციალური დაცვის კონსტიტუციური ნორმები და გარანტიები. განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ფინანსური რესურსები ძალზე შეზღუდულია, ხოლო სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის რიცხვი კი ძალზე მაღალია. დაუცველობის შეფასების სისტემა ისე უნდა იქნეს აგებული, რომ შეზღუდულ სოციალური მუშაის მიერ ოჯახის მდგომარეობის სუბიექტური შეფასების შესაძლებლობები (რაც ახალი სისტემის უდავოდ პოზიტიურ მხარეს წარმოადგენს), თუმცა გაუმართავი, დაუსაბუთებელი მეთოდოლოგია და გამოყენებული არაობიექტური კრიტერიუმები ადვილს ტოვებს სუბიექტური მიდგომისათვის, რაც თავად შეფასების ბალური მეთოდის გამოყენების არსში დევს.

როგორც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების, ასევე ყოფილი სსრკ-ს ქვეყნების გამოცდილება და სიღარიბის ანალიზის შედეგები აჩვენებს საჭიროებების შეფასების ბალური მეთოდიკა, რომელიც საქართველოში გამოიყენება, საკმაოდ საეჭვოდ არის მიჩნეული. კერძოდ, სადავოდ ითვლება წარმოადგენს თუ არა ბალური შეფასება ეფექტურ მექანიზმს ინდიკატორების გამოყენებას ან შემოსავლების შემოწმებასთან შედარებით [4, გვ.274]. საშუალოზე დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში თითქმის შეუძლებელია არის მიჩნეული ღარიბი მოსახლეობის სიღარიბისა და საჭიროებების შემოწმებაზე დამყარებული დახმარების გაწევა ან ფინანსირება. ასეთ ქვეყნებში სოციალური დახმარების გაწევა შესაძლებელია მხოლოდ ღარიბთა გარკვეული კატეგორიებისადმი და, რადგანაც შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება ძალზე რთულია, ასეთ შემთხვევებში შესაძლებელია არის მიჩნეული გამოყენებულ იქნეს სიღარიბის პროფილირება. მაგ., მიზნობრივ ჯგუფად შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს მოსახლეობის უღარიბესი ფენები ან ისინი, რომელთაც არ შეუძლიათ მუშაობა. რესურსების არსებითი შეზღუდულობის პირობებში ადრესული დახმარების დროს ხანდაზმულებთან შედარებით უპირატესობა ბავშვებს ენიჭება, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბავშვების, როგორც ადამიანური კაპიტალის ფორმირების შედეგებზე ზეგავლენის შეუქცევადი პროცესები [4, გვ.273].

რაც შეხება შინამეურნეობის კეთილდღეობის შესაფასებლად გამოყენებულ საჭიროებათა შეფასების მიდგომას, რომელიც ძირითადად აქტივების ფლობის შეფასებებს ეყრდნობა, ეკონომიკურ ლიტერატურაში მისი გამოყენება, ანუ ასეთი სახის დახმარების დანიშვნა, მკვლევართა მიერ უფრო მაღალშემოსავლიან ქვეყნებში რეკომენდებული, სადაც არაოფიციალური ეკონომიკის მასშტაბები არცთუ ისე დიდია და ადმინისტრირების პოტენციალი და აქტივების აღრიცხვისა და რეგისტრაციის განვითარების უფრო ფართო შესაძლებლობები არსებობს. შესაბამისად, შემოსავლებისა და აქტივების შემოწმების გამოყენება ფულადი დახმარების გაცემის საფუძველად (კრიტერიუმად) უფრო რეალიზებად მიდგომას წარმოადგენს. ქვეყნების ამ ჯგუფში აბსოლუტური სიღარიბის დონე უფრო დაბალია, მათ გააჩნიათ უფრო მეტი ბიუჯეტური სახსრები და უფრო მაღალი ადმინისტრაციული შესაძლებლობები დაბალ და საშუალოზე დაბალ შემოსავლიან ქვეყნებთან შედარებით. გამომდინარე, მათ შეუძლიათ დახმარება გაუწიონ როგორც მოსახლეობის უღარიბეს ფენებს, ასევე მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენების უფრო ფართო ჯგუფებსაც [4]. აღნიშნული მიდგომა საქართველოში უფრო მისაღებია საშუალო და გრძელვადიან პერიოდებში იქნეს გამოყენებული, როდესაც ქვეყანაში შეიქმნება მისი გამოყენების მატერიალური საფუძველები. საქართველოს შემთხვევაში დახმარების გაწევა, რომელიც დაფუძნებულია ღარიბი მოსახლეობის სიღარიბისა და საჭიროებების შემოწმებაზე, საშუალებას იძლევა, სოციალური დახმარება გაეწიოს მხოლოდ ღარიბთა გარკვეულ კატეგორიებს. შესაბამისად, აქ მიზნობრივ ჯგუფად შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს მოსახლეობის უღარიბესი ფენები ან ისინი, რომელთაც არ შეუძლიათ მუშაობა. თუმცა, რესურსების შეზღუდულობის პირობებში ადრესული დახმარების დროს დღემდე უპირატესობა სწორედ ხანდაზმულებს ენიჭებოდა, მაშინ, როდესაც შედარებით ყურადღების მიღმა იყვნენ დარჩენილი ბავშვები.

დახმარების დანიშვნისას აღნიშნული მიდგომის გამოყენებას ართულებს ეკონომიკის საკმაოდ მაღალი არაფორმალური სექტორი და მოსახლეობის არსებობის საშუალებების შემოწმების შეუძლებლობა შემოსავლების დეკლარირების საფუძველზე, რაც ამჟამად ქვეყანაში განაპირობებს დახმარების დანიშვნის აუცილებლობას ცალკეული კატეგორიებისადმი მიკუთვნების საფუძველზე. შესაბამისად, სიღარიბესთან საბრძოლველად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დახმარების ისეთი ტიპები, როგორცაა ბავშვებზე დახმარება ან დემოგრაფიკული (ანუ ფულადი ტრანსფერტების მიმღებები, რომელთა კრიტერიუმს დემოგრაფიული მახასიათებლები/ასაკი წარმოადგენს), რომელთა შემადგენლობაში არიან ხანდაზმულები, რომლებიც ჯერ არ იღებენ პენსიას. ბავშვებზე დახმარება ხელს შეუწყობს იმ ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახების მდგომარეობის გაუმჯობესებას, რომლებშიც არიან უმუშევარი წევრები და შესაბამისად, ბავშვთა სიღარიბის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას. ხოლო, ღარიბებზე დახმარება დანიშნულია



შემოსავლებისა და არსებობის საშუალებათა შემოწმების საფუძველზე და მოიცავს ღარიბთა შეზღუდულ რაოდენობას. ასეთ პირობებში დახმარების ეს სახე შეიძლება შეივსოს (ან შეიცვალოს, თუ ისინი განსაკუთრებით არაეფექტურად მუშაობენ) საყოველთაო ან განსაზღვრულ მანქანებზე მიბმული ბავშვთა დახმარებით. ფულადი და ბავშვებზე დახმარების ერთდროული არსებობის შემთხვევაში, ორმაგი აღრიცხვის თავიდან აცილების მიზნით, ბავშვებზე დახმარება (საყოველთაო ან განსაზღვრულ კატეგორიებზე გაცემული) უნდა იქნეს განხილული მიმღები შინამეურნეობის შემოსავლად. ანალოგიური მიდგომა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ხანდაზმული ასაკის მოსახლეობის ადრესირებული დახმარების მიზნითაც, რომლებიც არ იღებენ პენსიას. იმ შემთხვევაში, როცა სოციალური დახმარების სისტემა ღარიბებთან (მათ შორის ბავშვიან ოჯახებთან) საკმაოდ შედეგიანად მუშაობს, ბავშვებზე დახმარებისა და სოციალური დახმარების პროგრამები შესაძლებელია გაერთიანდეს. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ახალ მეთოდოლოგიაში ჩადებული მიდგომა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარების სისტემისა და ბავშვებზე დახმარების სისტემის ინტეგრირების თაობაზე, დროის მოკლევადიან პერიოდში გამართლებულად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა, სოციალური დახმარების ზომა უნდა დადგინდეს ისეთნაირად, რომ გაიზარდოს 1 ბავშვზე გაცემული დახმარების მინიმალური ოდენობა და, ერთდროულად, მასში გათვალისწინებულ იქნეს დიფერენცირებული მიდგომის პრინციპები.

ბიუჯეტური სახსრების განსაკუთრებული სიმწირისა და უკმარისობის გამო ბავშვთა დახმარებამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა უზრუნველყოს იმ კატეგორიების დაცვა, რომლებიც ყველაზე მაღალ რისკს ექვემდებარებიან. დანიშნის ხასიათის მიხედვით, კატეგორიულური ან ნატურალური დახმარებები შეიძლება იყოს საყოველთაო ან დაფუნდებული მანქანებზე, რომლებიც კორელირებულია ღარიბთა მახასიათებლებთან. როგორც ეკონომიკურ ლიტერატურაში არის მითითებული, საყოველთაო დახმარებები უფრო მისაღები პოლიტიკური თვალსაზრისითაც, თუმცა აქ არსებობს იმის რისკიც, რომ ნაცვლად ნამდვილად დასახმარებელი მოსახლეობის კატეგორიებისა, დახმარება შეიძლება მიიღონ მოსახლეობის უფრო ფართო, მრავალრიცხოვანმა ფენებმა უფრო მცირე ოდენობით [4; 5].

დახმარების საყოველთაო ხასიათის ალტერნატივას წარმოადგენს ბავშვებზე დახმარების არსებობა განსაზღვრული ინდიკატორების საფუძველზე. ასე მაგალითად, ბავშვებზე დახმარება შეიძლება დაუწესდეთ ოჯახებს, რომლებშიც ბავშვების რაოდენობა არის 2 ან მეტი და შემოიფარგლოს დახმარების მიმღები ბავშვის ასაკი. თუმცა, რეგიონებში, სადაც ღარიბი მრავალშვილიანი ოჯახები ეროვნულ უმცირესობებს მიეკუთვნებიან, დახმარების დანიშვნა ინდიკატორების მიხედვით შეიძლება მიუღებელი აღმოჩნდეს პოლიტიკური თვალსაზრისით. თუ დაწესდება ბავშვებზე დახმარების ნომინალური მნიშვნელობის ჭერი, ეკონომიკური ზრდა მომავალში განაპირობებს იმ ოჯახების ავტომატურ გამორიცხვას დახმარების მიმღებთა რიცხვიდან იმ შემთხვევაშიც კი, როცა დახმარების მიმღებთა რიცხვი თავდაპირველად შეადგენდა მოსახლეობის უმრავლესობას. ასეთნაირად, ეკონომიკური ზრდასთან ერთად, სოციალური დახმარების დასაფინანსებლად საჭირო სახსრებს მიიღებს მოსახლეობის სულ უფრო კლებადი რაოდენობა. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კატეგორიების მიხედვით კვლევა ძალზე დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია საჭიროებების შეფასების ისეთი მეთოდის გამოყენება, როცა დახმარების მიღების საჭიროებების შემოწმება ხდება რამდენიმე მანქანებლის საფუძველზე (რომელთაც ენიჭებათ შესაბამისი წონები). საქართველოსათვის ძირითად ამოცანას წარმოადგენს რამდენიმე სახის უნდაობა და ნატურალური სახის დახმარების ან მომსახურების განსაზღვრა, რომელთა გაწევა მოსახლეობის უღარიბესი ფენების ან რეგიონებისათვის რთული არ იქნებოდა ადმინისტრაციული თვალსაზრისით. სოციალური დახმარების აღმოჩენა შესაძლოა შემოიფარგლოს სურსათით დაუკმაყოფილებლობის ან დაუცველობის სხვა ნიშნის (მაგ., ჯანდაცვის) წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ თვალსაზრისით მისაღებად შესაძლებელია ჩაითვალოს ადრესირება გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით იმ ტერიტორიებში, რომელთაც სიღარიბის ძალზე მაღალი მანქანებლები გააჩნიათ. თუმცა, კატეგორიების მიხედვით ადრესირების მსგავსად, ტერიტორიულ ადრესირებასაც გააჩნია ნაკლი სამართლიანობის თვალსაზრისით, რადგან ღარიბები ქვეყნის სხვა რეგიონებშიც შეიძლება იყვნენ. მაგრამ უკიდურესი სიღარიბის კერების გამოვლენის ეფექტური მექანიზმების არსებობის პირობებში ასეთმა მიდგომამაც შეიძლება დადებითი როლი შეასრულოს სურსათით დაუცველობის ან სიღარიბის სხვა ნიშნის მიხედვით მოსახლეობის დაცულობის თვალსაზრისით [4].

ეკონომიკურ ლიტერატურაში ადრესირების ერთ-ერთ საუკეთესო გზად თვითადრესირება არის რეკომენდებული. ეს მიდგომა ნიშნავს, რომ სუბსიდირებული კეთილდღეობა ყველასათვის არის განკუთვნილი, მაგრამ იგი ისეა აგებული, რომ მას მხოლოდ ღარიბები მიმართავენ. ამის მაგალითს წარმოადგენს საზოგადოებრივ სამუშაოთა პროგრამები, სადაც შრომის ანაზღაურება ძალზე დაბალია და მასში ჩადებულია თვითადრესირების მექანიზმი. ასეთი პროექტების რიცხვს მიეკუთვნება ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც ადგილობრივი თემებისთვის არის განკუთვნილი და ღარიბ რეგიონებში რეალიზდა. ეს მიდგომა უფრო ღარიბი მოსახლეობის სოციალურ დაცვას ემსახურება ვიდრე უმუშევართა შრომის ბაზარზე დაბრუნებას. მას თანდათანობით გამოაჟღავნებს მონაწილეები პროგრამიდან, რადგანაც, როგორც კი მონაწილეები ფეხზე დადგომას იწყებენ, ისინი თვითონვე ამბობენ უარს ასეთ დაბალანაზღაურებად სამუშაოზე და სხვაგან გადადიან სამუშაოდ. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პროგრამის სტრუქტურას, იმას, თუ რამდენად დაბალია ხელფასი, აქვს მნიშვნელობა მასზე უარს იტყვის თუ არა მონაწილე, მაგრამ გასათვალისწინებელია ეკონომიკის არაფორმალური სექტორის მასშტაბები. ადგილობრივ თემებს უფრო სრული ინფორმაცია აქვთ თავიანთ თემში ღარიბთა და დაუცველთა შესახებ ვიდრე ცენტრალური ან რეგიონული აპარატის სახელმწიფო მოხელეებს. ადგილობრივი თემების მეშვეობით დახმარების განაწილება ხდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ან ადგილობრივი თემების მეშვეობით. სრულიად მისაღებია აგრეთვე ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით საერთო ხასიათის დახმარებისა და ცალკეული კრიტერიუმების მიხედვით დაწესებული დახმარებების განაწილების შესაძლებლობებიც [4; 5].

საქართველოში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ბიუჯეტური სახსრების შეზღუდულობის გათვალისწინებით, მოკლევადიან პერიოდში ასევე სასურველია მისაღებ ვარიანტად მიგვაჩნია, მხარდაჭერილ

იქნეს სოციალური დახმარების ინტეგრირების მიდგომა. მოკლევადიან პერიოდში უპირატესობა უნდა მიენიჭოს დაუცველობის ბალური შეფასების პირობებში ბავშვთა დახმარებისა და ღარიბებზე დახმარების პროგრამების ინტეგრაციას, რომლის დროსაც შინამეურნეობისათვის ქულების რაოდენობა უნდა მიენიჭოს არა აქტივების ფლობის, არამედ ოჯახში ბავშვთა და შრომისუუნაროთა არსებობის პირობებში მათი რაოდენობის გათვალისწინებით.

ამასთან, ქვეყანაში გლობალურად უნდა დაისვას საკითხი სოციალური დახმარების სფეროში სისტემაწარმოქმნელი ფაქტორების გათვალისწინების შესახებ. მაგ., ჩეხეთში ასეთ სისტემაწარმოქმნელ ფაქტორს წარმოადგენს საარსებო მინიმუმი, რომელიც მტკიცდება მთავრობის მიერ. საქართველოში კი დახმარების დანიშვნა ხდება იმისდა მიხედვით, თუ რა შესაძლებლობები არსებობს მთავრობის ხელში დახმარების დასანიშნად (იგულისხმება ბიუჯეტური სახსრების არსებობა), რაც ამბაფრებს უსამართლობის შეგრძნებას. შესაბამისად, რთულდება ქვეყანაში არსებული სოციალური ფონი, რაც, თავის მხრივ, რეფორმის ხელის შემშლელ ფაქტორად გამოდის. ამჟამად, ქვეყანაში არსებული საბიუჯეტო შემოსავლების დონე საშუალებას იძლევა, სოციალური გასაცემლებს დანიშვნის კრიტერიუმად გამოყენებულ იქნეს საარსებო მინიმუმი, თუმცა გადასახედია მისი გაანგარიშების მეთოდოლოგია, რაც ამ სფეროში არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებას მოითხოვს. მით უფრო შესაძლებელია ასეთი კრიტერიუმის გამოყენება დახმარებათა ცალკეული სახეების (მაგ., უმწვეთა ან საოჯახო დახმარების, ბავშვებზე დახმარების და კომუნალური გადასახადების მონეტოზაციის) პროგრამის ფარგლებში გასაწევი დახმარების ინტეგრირებისა და მისი მიახლოებისათვის შესაბამისი კატეგორიის ოჯახის საარსებო მინიმუმთან. ამასთან, დახმარების ოდენობის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია გადასახადების ზრდაც. ამდენად, როდესაც ვსაუბრობთ ღარიბებზე დახმარების პროგრამებზე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მათი განკარგვად შემოსავლების, რომელიც ერთ-ერთ მნიშვნელოვან პარამეტრს წარმოადგენს სოციალური დახმარებების დანიშვნისას. ასევე საგულისხმოა ისიც, რომ, მართალია, ქვეყანაში შემცირებულია საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი, მაგრამ იზრდება კომუნალური გადასახადების მოცულობა. ჩვენი აზრით, სოციალური დახმარების ოდენობა უნდა განისაზღვროს, როგორც სხვაობა საარსებო მინიმუმსა და ოჯახის განკარგვად შემოსავლებს შორის, რათა მან იტვირთოს სოციალური გარანტიის, ანუ ადამიანის არსებობისათვის კონსტიტუციურად მინიჭებული უფლებებით სარგებლობის ფუნქცია.

როცა ვსაუბრობთ სოციალური დახმარების პროგრამების ინტეგრირებაზე ბავშვებზე დახმარებისა და სოციალურად დაუცველი კატეგორიების დახმარების პროგრამებთან (იგულისხმება მარტოხელა, მარჩენალდაკარგული, ინვალიდების და ა.შ. დაცვის პროგრამები), ბავშვებზე დახმარება უნდა ითვალისწინებდეს ქვეყანაში არსებული დარღვეული დემოგრაფიული ფონის გაუმჯობესებისა და შობადობის სტიმულირების საკითხებს. ბავშვის დაბადებისას ერთჯერადი დახმარების დანიშვნის დროს გასათვალისწინებელია დაფინანსების წყაროთა მრავალგვარობა. მხარდასაჭერია ბავშვის დაბადებისას ერთდროული დახმარების გაცემა ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე, ასევე ქველმოქმედების როლი სოციალური დაცვის პროცესებში (რაც სახელმწიფო სოციალური პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს). ამჟამად, ქვეყანაში არ ფასდება რა ხვედრითი წილი უჭირავს მშპ-ს შექმნაში არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საქველმოქმედო ფონდების მიერ გაწეულ სოციალურ მომსახურებას, სხვა ქვეყნებში კი ამ მხევენებელს ითვლიან. დროა, სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა დაიწყო ქვეყანაში გაწეული მთლიანი სოციალური ხარჯების მოცულობის დათვა, რაც, პირველ რიგში, ცენტრალურ ხელისუფლებას და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის სოციალური ხარჯების დაფინანსების შესახებ პასუხისმგებლობის გადანაწილების კვალობაზე ფინანსური სახსრების მოძრაობის აღრიცხვის მოწესრიგებასთან არის დაკავშირებული, რისთვისაც ამოსავალ პირობას რეგისტრების სისტემის მოწესრიგება წარმოადგენს. ამის ცოცხალ მაგალითს იძლევა ინფორმაციული კოსკების არსებობის პრაქტიკა, რომელიც დანერგილია ჩეხეთში და მიბმულია მოსახლეობის რეგისტრზე. აგრეთვე რეგისტრების დატოვილი სისტემის არსებობა (მაგალითად, შვედეთში), რომელიც, ერთობლიობაში, გამოდის როგორც კონტროლის ეფექტური მექანიზმი, საფუძველი და გარანტია კორუფციის წინააღმდეგ რეალური ბრძოლისა და სოციალური ხარჯების გაწევის სფეროში უყაირაობისა და დატაცების ფაქტების აღმოფხვრელად. აქვე გასათვალისწინებელია სოციალური ხარჯების გაწევის კონტროლის ფაქტორი სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის ქმედითობის ამაღლებისა და ინსტიტუციური გაძლიერების ხარჯზე. სტატისტიკის დეპარტმენტს უნდა მიეცეს დავალება ფინანსური ანგარიშგების ახალი ფორმების დასანერგად, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონული ორგანოების, მუნიციპალიტეტების, ადგილობრივ და სახელმწიფო ბიუჯეტებს შორის ფინანსური სახსრების მოძრაობის აღრიცხვას და სოციალურ დანახარჯებში ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ხვედრითი წილის დათვლას. ამჟამად არაიენ იცის ზუსტად რა როლს ასრულებს სოციალური სფეროს დაფინანსების საერთო მოცულობაში ცენტრალური ბიუჯეტი, ადგილობრივი ბიუჯეტები, არასამთავრობო ორგანიზაციები და კერძო კონტრიბუციები, ასევე ქველმოქმედება. დროა, ვიცოდეთ ბიზნესსექტორის ხვედრითი წილი სოციალური პროგრამების დაფინანსებაშიც.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს მთავრობის დადგენილება N758 2014 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი “სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ”. ვებგვერდი, 31/12/2014 სარეგისტრაციო კოდი 280120000.10.003.018378
2. სოციალურად დაუცველთა შეფასების ახალი მეთოდოლოგიის პრეზენტაცია. 10 დეკემბერი, 2014. [www.ssa.gov.ge](http://www.ssa.gov.ge).
3. ე. ჩიქოვანი, დ. ბასიაშვილი, ე. კაკულია, ზ. მურადაშვილი. სოციალური რეფორმები გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის საქართველოში. თბილისი, “ბარტონი”, 2009, გვ. 185-189;

4. "Обратить Реформы на Благо Всех и Каждого. Бедность и Неравенство в Странах Европы и Центральной Азии". Всемирный Банк. Вашингтон, О.К. 2001, с.272-274.
5. Pat Young, Mastering Social Welfare. Macmillan Master Series. Fourth Edition. London 2007-419 p.

*Elene Chikvani*

**ON INTRODUCTION THE NEW METHODOLOGY OF EVALUATION OF  
SOCIALY VULNERABLE GROUPS OF POPULATION IN GEORGIA  
Annotation**

The article is devoted to actual problems of introduction of a new methodology of evaluation of socially vulnerable groups of population in Georgia. Characterizes positive and negative sides of this methodology. Analyzes objective reasons and subjective factors creating obstacles in setting up the mechanisms of social protection of the most vulnerable groups of population. The ways of improvement of the system of evaluation of socially unprotected groups of population in short and long run in the country are given.

*ნათელა ჯანელიძე*

**სოციალური ინვესტირება, როგორც დემოგრაფიული შონის განმსაზღვრელი ფაქტორი**

მსოფლიოში მწვავე სოციალური პრობლემების გადაწყვეტა უმნიშვნელოვანეს ამოცანად აღიარებული, სოციალური ეკონომიკა კი ოცდამეერთე საუკუნის ეკონომიკურ სისტემად. ამასთან, მეცნიერებასა და პოლიტიკაში მკვეთრად განსხვავებული შეხედულებები და ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები ჩამოყალიბდა.

თანამედროვე ეპოქაში ძალზე მნიშვნელოვანია ადამიანის მიმართ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დამოკიდებულება. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში შრომის მწარმოებელურობის და ერთობლივი ეროვნული პროდუქტის ზრდა დიდადაა განპირობებული ადამიანურ რესურსებში მასშტაბური სოციალური ინვესტირებით.

სოციალური ინვესტირება არის დაბანდება ადამიანური რესურსის განვითარებაში, რომელსაც აქვს სოციალური მნიშვნელობა და რომლისგანაც მიიღება შემოსავალი გრძელვადიან პერსპექტივაში, რომელიც იწვევს ეკონომიკის განვითარებას. მოკლე და საშუალო ვადიან პერიოდში სოციალურ ინვესტირებას შეუძლია სიღარიბის აღმოფხვრა.

სოციალური ინვესტირების მეცნიერული კვლევა და ანალიზი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსათვის, რომელიც ორიენტირებულია სოციალურად საბაზრო ეკონომიკისაკენ. სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერებისა და მდგრადი განვითარების მიღწევის ერთ-ერთ მთავარ პირობას ადამიანური რესურსის განვითარებისათვის ხელშეწყობა, მათი შემოქმედებითი და ნოვატორული პოტენციალის გაძლიერება წარმოადგენს. აუცილებელი ხდება მოსახლეობის ცხოვრების უზრუნველყოფის პირობების შესწავლა, რადგან ადამიანური რესურსის განვითარებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა უნდა მოახდინოს სოციალურმა ინვესტირებამ. ადამიანის ცხოვრების პირობებზე, როგორც სოციალური ინვესტირების ობიექტზე, ზეგავლენას ახდენს მრავალი ფაქტორი, რომელთაც გააჩნია როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური ხასიათი. ობიექტურ ფაქტორებს შეიძლება მივაკუთვნოთ რეგიონის განვითარების დონე, მეურნეობის სტრუქტურა, ბუნებრივი პირობები, მეურნეობის ახალი ფორმების დანერგვა და ა.შ. ცნობილია, რომ ბაზრის მოცულობა უწყვეტადაა დაკავშირებული საზოგადოებრივი შრომის სპეციალიზაციის ხარისხთან, ანუ შრომის დანაწილებასთან. რაც უფრო ღრმაა შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, მით უფრო ძლიერია ტერიტორიის მოცემულ ერთეულზე საწარმოებს შორის კოოპერაცია, მით უფრო ღრმაა ინტეგრაცია. არანაკლებ მნიშვნელოვანია სუბიექტური ფაქტორი. მაგალითად, სახელმწიფოს პოლიტიკა, მოსახლეობის სამეწარმეო აქტიურობა, რეფორმების გატარება, მიგრაციის შემცირება და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ სუბიექტური ფაქტორები განსაზღვრავს ობიექტური ფაქტორების განვითარების ტენდენციას და სინქარეს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სპეციფიკური თავისებურება, რომელსაც პირდაპირი ზემოქმედება შეუძლია ადამიანური რესურსის განვითარებასა და შესაბამისად სოციალური ინვესტირების ეფექტურობაზე, არის სოციალურ-დემოგრაფიული პროცესები.

ისევე, როგორც ნებისმიერი რესურსი არის შეზღუდული, ადამიანის საარსებო საშუალებებიც შეზღუდულია და ობიექტურად არსებულ ეკონომიკურ ურთიერთობებსაც აქვს მატერიალური საფუძველი მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკაში. ადამიანსა და ბუნებას შორის წინააღმდეგობები იწვევს ამ ურთიერთობებში ახალი მიმართულებების ძიებას. მოსახლეობის კვლავწარმოების დემოგრაფიული ასპექტი წარმოადგენს ადამიანური რესურსის საერთო მოცულობის, როგორც სოციალური ინვესტირების ობიექტის ბუნებრივ საზღვარს. აქ განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, როგორც მნიშვნელოვანი მახასიათებელი და ადამიანური რესურსის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ცვლილების საფუძველი. თანამედროვე ცივილიზებული ქვეყნები ხასიათდება შობადობის შემცირებით, რასაც ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები განაპირობებს. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის 2012 წლის საადღმოსო ეპისტოლეს მიხედვით, რაც ოფიციალური წყაროებით დასტურდება, ყოველწლიურად 36000 აბორტი ფიქსირდება და 1400 მკვდრადშობილი ბავშვია. ეს ფაქტი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკაზე. მაგალითად, საქართველოს შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხოვნობა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით შეადგენდა (ათასი კაცი) 2001წ. - 2 919,9; 2002წ. - 2 797; 2009წ. - 3 004,8; 2010წ. - 3 058,0; 2013წ. - 2 668,9; 2014წ. - 2 965,9. შრომისუნარიანი (15-60 წ. ქალი, 65 წ. მამაკაცი) მოსახლეობის ხვედრითი წილი საერთო რაოდენობაში შეადგენდა 2001წ. - 66,3%-ს, 2002წ. - 64%, 2009წ. - 68,5%, 2010წ. - 68,8%, 2013წ. - 59,52%, 2014წ. - 60,46%.

წინასწარი, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, 2014 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ შეადგინა 3 729 635 კაცი, რაც წინა 2002 წლის აღწერის (4 371 535 კაცი)

შედგებათან შედარებით 14,7%-ით (641 900 კაცი) ნაკლებია. ადამიანური კაპიტალი ჩვენს ქვეყანაში მკვეთრად გაუარესებულია, ამას თან ერთვის „მოსახლეობის დაბერების“ პროცესი, რაც უარყოფით გავლენას ახდენს შრომითი პოტენციალის მოცულობაზე. 2001-2010 წწ-ში შრომისუნარიანი მოსახლეობის ხვედრითი წილის ზრდა მთელ მოსახლეობაში განპირობებული იყო იმ მდგომარეობით, რომ აღნიშნულ ჯგუფში შედგებოდა მრავალრიცხოვანი კონტინგენტი, დაბადებული გასული საუკუნის 50-იან და 60-იან წლებში, როდესაც შობადობის დონე იყო მაღალი. 2015 წლიდან ეს კონტინგენტი გამოაკლდება შრომისუნარიანი ასაკის ჯგუფს, რომელიც შეივსება უკვე შემცირებული შობადობის პერიოდში დაბადებული ასაკობრივი ჯგუფებით; ამიტომ, 2020 წლისათვის დადებითი მიგრაციული საღლოს პირობებშიც კი, შრომისუნარიანი მოსახლეობის ხვედრითი წილი მთელ მოსახლეობაში თანდათანობით შემცირდება.

მოსახლეობის, როგორც სოციალური ინვესტირების აღწარმოება ბევრად დაამოკიდებულ ოჯახის აღწარმოებაზე, პირდაპირ ოჯახის რეპროდუქტიულობაზე. ცალკეულ ქვეყნებში მოსახლეობის ფორმირების პროცესები გარკვეული კანონზომიერებებით და ტენდენციებით ხასიათდება. საქართველოში, როგორც ძლიერ მართლმადიდებლურ ქვეყანაში, შობადობის ზრდის ტენდენციაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა, ჩვენი აზრით, მოახდინა კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესი და უნეტარესის, ილია მეორის 2007 წლის გადაწყვეტილებამ მესამე და შემდგომი შეილის მონათვლის შესახებ. ჩვენს ქვეყანაში გამოკვეთილად მაღალია შობადობის მაჩვენებელი 20-24 წლის ასაკში, რასაც ვერ ვიტყვით მსოფლიოს ბევრ განვითარებულ ქვეყანაზე. მაგალითად, იაპონიაში და სამხრეთ კორეაში წვეილები დაქორწინებას წვეტენ 25 წლის შემდეგ, როცა მაღალია მათი მატერიალური ბაზისი და შესაძლებლობა აქვთ დაგროვილი კაპიტალით უზრუნველყონ შეილების მომავალი. იმ ასაკობრივი ჯგუფში (20-24წ.), სადაც შობადობის მაჩვენებელი მაღალია, აქტიური მოსახლეობის დასაქმების დონე შედგენს: 2007 წ. - 31,1%, 2008 წ. - 33,9%, 2009 წ. - 33,5%, 2010 წ. - 37%. 2013 წ. - 33,8%-ს. მოცემული შედეგებიდან აშკარად ჩანს, რომ განვითარება სოციალური ინვესტირების გარეშე ძალზე რთული იქნება. ცხოვრების პირობების გაუმჯობესების გარეშე შეუძლებლად მიგვაჩნია დემოგრაფიული ზრდა. ოჯახის დაგეგმარებაში მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს არჩევანი ბავშვთა რაოდენობასა და მათი განათლების დონეს შორის. თეორიულად ცნობილია, რომ ბავშვთა შენახვის (მოვლის) თუნდაც მცირედით გაძვირებას შეუძლია გამოიწვიოს მულტიპლიკაციური პროცესი და მიგვიყვანოს შობადობის მკვეთრ შემცირებასთან. ამიტომ ეკონომიკური კრიზისი მოსახლეობის შობადობის შემცირების ერთ-ერთ მიზეზია. თუმცა ეკონომიკურ ზრდას, რომელიც ამაღლებს განათლების მიცემის ნორმებს და ამით ასტიმულირებს მოთხოვნას ბავშვთა განვითარების ხარისხზე, ასევე შეუძლია კიდევ შეაფერხოს მოთხოვნა მათ რაოდენობაზე. აქედან გამომდინარე, სოციალური ინვესტირების პროცესში აუცილებელია საშუალო სულადობის შემოსავლების აუცილებლობასა და ამ ამაღლებით გამოწვეულ შობადობის დაქვეითებას შორის წინააღმდეგობების გათვალისწინება.

2014 წელს 1 ივნისიდან დაიწყო მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა. იმ რეგიონებში, სადაც დემოგრაფიული მაჩვენებლების ბალანსი უარყოფითია (აღნიშნულ რეგიონებს მიეკუთვნება: რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი, გურია, სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი), პროგრამით ყოველ დაბადებულ მესამე და მომდევნო ბავშვზე ბარში 150 ლარი, ხოლო მთაში 200 ლარი ფინანსური დახმარება გაიცემა ყოველთვიურად, რაც ბავშვს გააყვება 2 წლის ასაკამდე. პროგრამით ისარგებლა 1 652 ბავშვმა, დაიხარჯა 260 550 ლარი. ამავდროულად 1 იანვრიდან შრომის კოდექსში შესული ცვლილებების შესაბამისად, გაიზარდა დეკრეტული შევადგენის ანაზღაურება და ხანგრძლივობა. შევადგენს შეადგენს 733 კალენდარულ დღეს, ხოლო გაცემული ფულადი დახმარების ოდენობა 1000 ლარს ნაცვლად 600 ლარისა.

ზოგიერთი უცხოელი მეცნიერი მოსახლეობის ოპტიმალური რაოდენობის ერთ-ერთ კრიტერიუმად გარე სამყაროს დაცვას მიიჩნევს. ამ მოსაზრებას, რა თქმა უნდა, აქვს საფუძველი აუცილებელია, სახელმწიფოს მხრიდან გატარდეს სერიოზული ბუნების დამცველი ღონისძიებები, რადგან ბუნება თავად უზრუნველყოფს ადამიანის სიცოცხლის პირობებს. მოსახლეობის რაოდენობაზე გავლენას ახდენს მიგრაციული პროცესიც. მოსახლეობის რაოდენობის ყოველწლიურ გაანგარიშებაში მნიშვნელოვანია მოსახლეობის ბუნებრივი მატების მონაცემები (განსხვავება შობადობასა და გარდაცვალებას შორის).

ადამიანური კაპიტალის ფორმირების პროცესის განმსაზღვრელი ძირითადი ინდიკატორია მოსახლეობის ცხოვრების დონე. მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესების მნიშვნელოვან პარამეტრს წარმოადგენს ფულადი შემოსავლების რეალური ზრდა. მოსახლეობის ფულადი შემოსავლების ზრდის მიუხედავად, ეკონომიკური მდგომარეობა და საარსებო მინიმუმი ვერ აღწევს სასურველ მაჩვენებელს. ქვეყნის მოსახლეობის დიდ ნაწილს წარმოადგენს ადამიანები, რომლებსაც სახელმწიფოს სოციალური დაცვა სჭირდება, ქვეყნის ეკონომიკური კრიზისის დროს მკვეთრად მატულობს მისი მნიშვნელობა. სოციალური დაცვის ობიექტად, პირველ რიგში, გვევლინება მოსახლეობის ის ფენა, რომელიც მძიმე ცხოვრებისეულ პირობებში აღმოჩნდა, განსაკუთრებულად კი მისი სოციალურად სუსტი ჯგუფები, რომლებსაც თავისი ძალით აღარ შეუძლიათ საკუთარი მატერიალური მდგომარეობის შენარჩუნება (ხანდაზმულები, უნარშეზღვეულები დაბალი შემოსავლების გამოც, ბავშვები, უმუშევრები, იძულებით მიგრანტები და სხვა). გარდა ამისა, სიღარიბე შეიძლება არსებობდეს დაბალი შემოსავლების გამოც, რომელიც საჭირო ხარჯებს ვერ წვდება. 2013 წელს 8000-ით გაიზარდა პენსიის მიმღებთა რაოდენობა, რაც სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდით არის გამოწვეული. პენსიის მიმღებთა რაოდენობა შეადგენს 697 240 პირს და ყოველთვიურად გაიცემა 105 539 429 ლარი.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ორი ათწლეულია საქართველოში გაუმჯობესდა სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის და დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მონაცემები, 2012 წლისთვის ქვეყანაში ავადობის და სიკვდილიანობის დონე კვლავ მაღალი იყო და მნიშვნელოვნად აღემატებოდა ევროპის განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს. 2014 წელს საქართველოში ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი (10/1000 ცოცხალ შობილზე) მნიშვნელოვნად აღემატება ევროპის განვითარებული ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს (7/1000). ეს ფაქტი ჯანდაცვის სისტემაში არსებულ პრობლემებზე მიუთითებს და საქართველოს მთავრობის მხრიდან დაუყოვნებელი ღონისძიებების გატარებას მოითხოვს. თუმცა აღნიშნული მაჩვენებელი 2002-

2013 წლების მონაცემების მიხედვით მნიშვნელოვნად შემცირებულია და კლების ტენდენციით ხასიათდება. 2002 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 22/1000 იყო, რაც მკვეთრად გაუმჯობესებულია.

ზოგადად, გადაწყვეტილების შემუშავება ნიშნავს გაანალიზდეს მიზნის მიღწევის ყველა შესაძლო ალტერნატივა; მოხდეს მათი იდენტიფიცირება მართვის სისტემის ფუნქციონირების ნორმალურ მდგომარეობასთან მიმართებაში; ჩამოაყალიბოს ყველა კონკრეტული ქმედება ცალკეული გადახრების (პრობლემების) აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად, რომლის საფუძველზე უნდა შეიქმნას თანმიმდევრული, სრული სამოქმედო გეგმა დასახული მიზნის მისაღწევად, ანუ გეგმა, რომელიც სრულად ასახავს ორგანიზაციის რეაქციას მის შიგა და გარე გამაღიზიანებელზე.

ალტერნატივას, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, უწოდებენ მოქმედებათა გზებს, მიზნის მისაღწევ სტრატეგიას. ქმედებები კი არის რესურსების გამოყენების გზები. შესაბამისად, ვინაიდან რესურსები შეზღუდულია, ყოველი ალტერნატივა შეიძლება შევაფასოთ, ერთი მხრივ, რესურსების ხარჯის ოდენობით, ხოლო მეორე მხრივ, მოსალოდნელი შედეგებით. თუმცა, გასათვალისწინებელია ასევე მიზნის მიღწევის ალბათობაც. ამასთან, როგორც რესურსების ხარჯი, ასევე მიზნის მიღწევის ალბათობა და სასურველი შედეგი პროგნოზირებადი მახასიათებლებია. შესაბამისად, თუ, ზოგადად, გადაწყვეტილების მიღება – ეს არის ისეთი ალტერნატივების შერჩევა, რომელიც სრულად ითვალისწინებს დასაშვებ შეზღუდვებს, მათ შორის, ყველა იმ ალტერნატივას, რომლის გამოყენებაც შეიძლება არსებული შეზღუდვების ფარგლებში, ეწოდება შესაძლო (დასაშვებ) ალტერნატივები, ხოლო, მათ შორის იმ ალტერნატივას, რომელიც აღწევს სასურველი კრიტერიუმის ექსტრემუმს, უწოდებენ ოპტიმალურს.

აღსანიშნავია, რომ ყველა მმართველობითი გადაწყვეტილება გარკვეულ შეფასებას და შეფასების შესაბამის კრიტერიუმს მოითხოვს. როდესაც ვსაუბრობთ მმართველობითი გადაწყვეტილების შეფასების კრიტერიუმებზე, მის ქვეშ იგულისხმება ის მაჩვენებლები, რომლითაც აფასებენ გადაწყვეტილების ღირებულებას. ბუნებრივია, ის მმართველობითი გადაწყვეტილებაა უკეთესი, რომელიც ყველაზე მეტად ისწრაფვის, მიიღოს საუკეთესო შეფასებები. კერძოდ, კრიტერიუმების მიმართ მოთხოვნები, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საუკეთესო შეფასებები, შემდეგია:

- **სრულყოფილება.** კრიტერიუმები ზუსტად უნდა ასახავდეს მიზნის შეფასებას. ამასთან, თუ ალტერნატივათა შეფასებისათვის ვიყენებთ ერთ კრიტერიუმს, ასეთ ალტერნატივებს ეწოდება ერთკრიტერიალური. ხოლო, თუ გადაწყვეტილებების ოპტიმალურობის შეფასება ხდება ერთდროულად რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით, მაშინ ასეთ ალტერნატივებს უწოდებენ მრავალკრიტერიალურს.
- **სიცხადე.** თითოეულ კრიტერიუმს უნდა გააჩნდეს მკაფიო, ერთმნიშვნელოვანი ფორმულირება;
- **საკმარისობა.** ზედმეტი ყველაფერი ცუდია და, რა თქმა უნდა, ჭარბი რაოდენობის კრიტერიუმებიც. ჭარბი კრიტერიუმები იწვევს ყურადღების გაფანტვას სხვადასხვა მიმართულებით;
- **თანმიმდევრულობა.** თუ მმართველობითი გადაწყვეტილების შეფასება საჭიროებს მრავალ კრიტერიუმთა აუცილებლობას, სასურველია, იყოს ამ სისტემის სტრუქტურისა და სრული შესაძლებლობა;
- **მინიმალურობა.** უმჯობესია, თუ მმართველობითი გადაწყვეტილების ოპტიმიზაციის შეფასება მოხდება ერთი (ან, უკიდურეს შემთხვევაში, ორი-სამი) გამსხვილებული მაჩვენებლით. შესაბამისად, რაც შეიძლება მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი კრიტერიუმთა რაოდენობა;
- **გაზომადობა.** სასურველია, ყველა კრიტერიუმს გააჩნდეს მისი შეფასების რაოდენობრივი მაჩვენებელი. მიზნის გაზომვა ნიშნავს, რომ დადგინდეს დროში მისაღებ მოსალოდნელ შედეგს უნდა გააჩნდეს მისი შეფასების კონკრეტული მაჩვენებლები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მაღალღირებული მმართველობითი გადაწყვეტილების განსაკუთრებული თვისებაა წონადი, დროსა და ადგილთან დაკავშირებული, სწორი და ძლიერი მიზნის დასახვა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიზანს ძალა აქვს, მენეჯერს შეუძლია აიყოლოს პერსონალი და წარმატებით შეასრულოს იგი. შესაბამისად, მენეჯერული ხედვა და მათი წარმატება ფასდება სწორედ ისეთი მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავებით, თუ რამდენად კონკრეტული, დროში გათვლილი და რეალურ შედეგზე ორიენტირებული იგი.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. არტურ ა. ტომპსონი-უმც., ა.ჯ. სტრიკლენდი 3. სტრატეგიული მენეჯმენტი: კონცეფციები და ბიზნეს-სიტუაციები, მე-13 გამოცემა: ნათ. ინგლ. – შრსუ-ს გამომცემლობა, 2010.
2. რამიშვილი ბ., სტრატეგიული მენეჯმენტი, თბილისი, 2013. old.press.tsu.ge/GEO/internet
3. ჯულაყიძე ე. მენეჯმენტის საფუძვლები, ქუთაისი, „ხანძია“, 2013.
4. Трофимова Л.А., Методы принятия управленческих решений, Санкт-Петербург, Изд-во «Санкт-Петербургского государственного университета Экономики и Финансов» 2012.
5. Кирхлер Э., Шротт А. Принятие решений в организациях, Харьков: Изд-во «Гуманитарный Центр», 2009.

*Elizbar Barbakadze*

## THE MAIN REQUIREMENTS FOR THE CRITERIA TO EVALUATE THE MANAGERIAL DECISIONS

### Annotation

Managerial decisions are influenced by the combination of the desired objective of the organization and the information about the state of the management unit received from the external sources. Accordingly, the decision that enables to prevent these deviations is considered to be optimal. It should be noted that every managerial decision requires a certain evaluation. The evaluation criteria include the indices which are used to estimate the appropriateness of the decision. In particular, the requirements towards the criteria which should provide the correct evaluation of the managerial decisions are as follows: clarity, completeness, sufficiency, consequentiality, minimality and measurability. Measuring a managerial decision implies that an expected result, which should be achieved in a certain time period, should have the specific index of its evaluation.

**ინოვაციები და ტურიზმის სფეროს სახელმწიფო რეგულირება**

საერთაშორისო და ადგილობრივ ტურისტულ ბაზრებზე კონკურენტული ბრძოლის გამაფრება განსაზღვრავს ისეთი გზების ძიების აუცილებლობას, რომელიც უზრუნველყოფს ტურიზმის დარგის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და მის მყარ განვითარებას, რაც, თავის მხრივ, მოიცავს ტურისტული ნაკადების გაზრდას და ტურიზმის წილის ზრდას ეკონომიკასა და სოციალურ სფეროში. ერთ-ერთი პერსპექტიული გზა მოცემული ამოცანის გადასაჭრელად არის ინოვაციების გამოყენება ტურიზმის სფეროს სახელმწიფო რეგულირებაში.

ეკონომიკურ ლიტერატურაში საგნობრივ-შინაარსობრივი ნიშნით (პროდუქტიული ინოვაციები, მომსახურების ინოვაციები, საპროცესო, ტექნოლოგიური, სოციალური და საკადრო ინოვაციები) ინოვაციების დაყოფასთან ერთად, გვხვდება ინოვაციები გამოყენების სფეროს მიხედვით და ორგანიზაციულ-ეკონომიკური, ანუ მმართველობითი ინოვაციები. მმართველობითი ინოვაციები გვთავაზობს ორგანიზაციული სტრუქტურები სფუნქციების, მართვის პროცესის ტექნოლოგიების და ორგანიზაციის მართვის სისტემის მუშაობის მეთოდების ცვლილებებს დარეალიზდება სამი ძირითადი ადაპტაციური მექანიზმის ფორმით: სტრუქტურული, ადმინისტრაციული და ინფორმაციული. მომსახურების სფეროში, და მათ შორის ტურიზმის მომსახურებაში, ინოვაციად შეიძლება ჩაითვალოს მათი წარმოებისა და წარდგენის პრინციპულად ახალი ან არსებითად სრულყოფილი მეთოდები, რომლებიც ეფუძნება, მაგალითად, უახლეს ინფორმაციულ და კომუნიკაციურ ტექნოლოგიებს. ტურიზმის სფეროში ინოვაციების გაჩენის ძირითად მიზეზებად გვევლინება მოსახლეობის მზარდი მოთხოვნები ტურიზმზე, ტრადიციული ტურისტული მიმართულებების სიჭარბე, კონკურენციის გამწვავება, შემოსვლითი ტურიზმის წილის დაკარგვის საშიშროება, ტურიზმის ყველა შესაძლებელი ვარიანტის პარმონიული გაერთიანება მოთხოვნილებების მაქსიმალური და კმაყოფილებისთვის, მიწოდების ეკონომიკიდან მოთხოვნის ეკონომიკაზე გადასვლა. ტურისტულ სფეროში ინოვაციური საქმიანობა დაკავშირებულია ტურისტული ბიზნესის განვითარებასა და მართვის სისტემის და სტრუქტურის, საკადრო პოლიტიკის რაციონალური, ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობის განვითარებასთან. მარკეტინგული ინოვაციები საშუალებას იძლევა, მოცული იყოს მიზნობრივი მომხმარებლების მოთხოვნილებები, მოზიდული ქნეს ახალი კლიენტები. პერიოდული სიახლეების დანერგვა, ანუ პროდუქტიული ინოვაციები მიმართულია ტურისტული პროდუქტების სამომხმარებლო თვისებების ცვლილებების, მისი პოზიციონირებისა და კონკურენტული უპირატესობის მიღებისკენ.

ტურიზმის სფეროში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის თავისებურებებიდან გამომდინარეობს, რომ ახალი პარამეტრების მიღწევის უზრუნველსაყოფად გამოყოფილი უნდა იქნეს ტურიზმის სფეროს სახელმწიფო რეგულირებაში ინოვაციების შემუშავებისა და დანერგვის შემდეგი ძირითადი მიმართულებები; მმართველობითი, მარკეტინგული, პროდუქტიული და საქონლური. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, გვევლინება რა ინოვაციური საქმიანობის სუბიექტებად, უნდა ფლობდნენ განსაკუთრებულ თვისებებსა და უნარებს. ამის უზრუნველყოფა შეიძლება, პირველ რიგში, ინოვაციების დამუშავებით და დანერგვით. მისი საფუძველი უნდა იყოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ინოვაციური სისტემა, რომელიც პასუხისმგებელია ტურიზმის განვითარებაზე. ტურიზმის სფეროს სახელმწიფო რეგულირებასთან დაკავშირებით ეს შეიძლება იყოს სახელმწიფო დაწესებულებები ან სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სტრუქტურები, რომლებიც შექმნილია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ და მათზე დაკისრებულია ინოვაციური საქმიანობის განხორციელების ცალკეული მიმართულებები.

ტურიზმის სფეროს სახელმწიფო რეგულირების ორგანიზებაში ინოვაციებს შეიძლება მივაკუთვნოთ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან მუდმივმოქმედი ან დროებითი კომისიების სამუშაო და საექსპერტო ჯგუფების საქმიანობა, რომლებიც საშუალებას იძლევა, მაღალპროფესიულად და მრავალმხრივ განვიხილოთ პრობლემური სიტუაციები და მივიღოთ ოპტიმალური გადაწყვეტილებები. სხვადასხვა გარემოვადიანი პროგრამების შემუშავებისა და თანამიმდევრული რეალიზაციისთვის აუცილებელია, შეიქმნას საექსპერტო კომისიები, სამუშაო ჯგუფები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები. გარდა ამისა, იმავეს ემსახურება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ ტურისტული დარგის განვითარების კონცეფციის ან სხვადასხვა პროექტების შექმნისათვის გამოცხადებული კონკურსები, ასევე კონკურსის წესით გამარჯვებული პროექტების რეალიზება.

ტურიზმის სფეროს სახელმწიფო რეგულირების ორგანიზებაში ინოვაციების სახით შეიძლება განვიხილოთ მსხვილი ტურისტული ინდუსტრიის ობიექტების, სასტუმრო კომპლექსების, სტადიონების, თეატრების, პარკების და ა.შ. პროექტების საჯარო განხილვა, მოსმენები და სხვა. ასეთ განხილვებში შეიძლება არა მხოლოდ სპეციალისტების, არამედ საზოგადოებრიობის ჩართვა, ეს უზრუნველყოფს მიღებულ გადაწყვეტილებათა ხარისხისა და საფუძვლიანობის ამაღლებას, საშუალებას იძლევა, გათვალისწინებულ იქნეს მოსახლეობის აზრი, რომლის გარეშე რეალიზებული პროექტი ვერ მოგვეცემს მოსალოდნელ შედეგს, რადგან ადგილობრივმა მოსახლეობამ შეიძლება არ მიიღოს, თუ წინასწარ არ იქნება შეთანხმებული.

ინოვაციებისთვის დიდ შესაძლებლობას წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების უშუალო საქმიანობა ტურიზმის სფეროს ობიექტებზე ზემოქმედების გზით. ობიექტის ხასიათის და თავისებურებებიდან გამომდინარე, მათი გამოყენება შეიძლება სხვადასხვა ფორმით და, ამავე დროს, რეგულირების სხვადასხვა მეთოდებით. ინოვაციებს შეიძლება მივაკუთვნოთ: განსაზღვრულ ტერიტორიაზე სპეციფიკური სამართლებრივი რეჟიმის შექმნა, მნიშვნელოვანი სახელმწიფო სახსრების დაბანდება



ტერიტორიის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, რომლებიც სტიმულს აძლევს კერძო ინვესტიციების მოზიდვას ტურისტული ინდუსტრიის ობიექტების მშენებლობისა და ფუნქციონირებისთვის.

ტურიზმის სფეროს სახელმწიფო რეგულირებაში ინოვაციების შემუშავებისა და დანერგვის მეორე მიმართულებად გვევლინება ტურისტული პროდუქტისა და დესტინაციის ბრენდის გატანა საერთაშორისო თუ ადგილობრივ ბაზრებზე. ინოვაციებმა ტურისტული პროდუქტების განვითარებით შეიძლება გააძლიეროს ზემოქმედება პოტენციურ ტურისტებზე, უზრუნველყოს ტურისტთა ნაკადების გაზრდა. უფრო ვიწრო გაგებით, შეიძლება განვიხილოთ მარკეტინგში ინოვაციების დანერგვა, რომელიც თავისთავში მოიცავს მარკეტინგული ამოცანების გადაწყვეტის ახალ ხერხებსა და საშუალებებს, იგი გადაიქცევა ინოვაციურ მარკეტინგად, როგორც ინოვაციური საქმიანობის განსაკუთრებული სახე. ნებისმიერი, მათ შორის ინოვაციური მარკეტინგული საქმიანობა ტურიზმის სფეროში, გულისხმობს ბაზრის შესწავლას, დესტინაციის, ტურისტული პროდუქტების მწარმოებლების შესაძლებლობების შესწავლას და ტურისტული მომსახურების ბაზრის ახალი მიწოდების ფორმირებასა და არსებულის სრულყოფას. ინოვაციების შემუშავებასა და დანერგვას მარკეტინგში წინ უნდა უძღოდეს ანალიტიკური სამუშაო, რომლის მიზანია ინოვაციის ამა თუ იმ ფორმით პრაქტიკული გამოყენებიდან მიღებული ეფექტი. მარკეტინგული ინოვაციის ძირითად სახეს წარმოადგენს ტურისტული პროდუქტის ან დესტინაციის ბრენდის წარმოჩენა, ბაზრის კვლევის ახალი მეთოდების გამოყენება, არსებული მარკეტინგული სტრატეგიების გაუმჯობესება ახალი ბაზრების ათვისებით; გასაღების ახალი არხების ძიება, მიწოდების სტიმულირების ახალი მეთოდების გამოყენება და ტურისტების მოზიდვა; სარეკლამო საქმიანობისა და კომუნიკაციური პოლიტიკის არატრადიციული ახალი ფორმების, მეთოდების და საშუალებების გამოყენება.

ინოვაციების დანერგვის მესამე მიმართულებად შეიძლება ჩაითვალოს ახალი, თვისებრივად გაუმჯობესებული ტურისტული პროდუქტების შემუშავება. ინოვაციებმა ტურისტული პროდუქტების შემუშავებაში უნდა შექმნას ბაზრის წილის და მოგების გაზრდის შესაძლებლობა ახალი ტურისტების და მათი ხარჯების გაზრდით დესტინაციის ადგილებზე. ინოვაციური ტურისტული პროდუქტები უნდა დიფერენცირდეს ტურისტთა ცალკეული ჯგუფების ინტერესების მიხედვით ისე, რომ ფლობდნენ ექსკლუზიურობის ელემენტებს.

სახელმწიფოს მონაწილეობა ინოვაციური ტურისტული პროდუქტების შემუშავებასა და დანერგვაში, შეიძლება შევავსოთ შემდეგი ძირითადი დებულებებით:

1) სახელმწიფომ თვითონ ან დაქვემდებარებული უწყებების საშუალებით შექმნა ტურისტული ინტერესის ახალი ობიექტები. ასეთი ობიექტები შეიძლება იყოს არა მხოლოდ მატერიალური ობიექტები, როგორცაა სტადიონები, თეატრები, მუზეუმები და ა.შ., არამედ კულტურული, შემეცნებითი, სპორტული, სანახაობითი ან გასართობი ხასიათის ღონისძიებები.

2) სახელმწიფომ ჩართო ტურისტულ ბრუნვაში ადრე გამოყენებელი, მის საკუთრებაში მყოფი ობიექტები, როგორცაა დარბაზები, პარკები და სხვა.

3) სახელმწიფო კოორდინირებას უკეთებს ტურისტული ბაზრის სხვადასხვა სუბიექტის განსხვავებულ საქმიანობას მსხვილი კომპლექსური ტურისტული პროდუქტის შემუშავებისთვის, რომლის დანერგვას შეუძლია სერიოზული ზეგავლენა მოახდინოს ტურისტული დესტინაციის მდგომარეობაზე. უნდა აღვნიშნოთ, რომ ტურისტული პროდუქტების შექმნაში შეიძლება მონაწილეობდეს განსხვავებული პროფილის საწარმოების, ფირმების და ორგანიზაციების დიდი რიცხვი, რომელთა შორის მნიშვნელოვანია ტუროპერატორები, სასტუმრო მომსახურების საწარმოები, საზოგადოებრივი კვების ობიექტები, სატრანსპორტო საწარმოები, სარეკლამო-საინფორმაციო დაწესებულებები, სადაზღვევო კომპანიები, თვითმომქმედი ტურიზმის დაწესებულებები.

ახალი ტურისტული პროდუქტის შემუშავება და დანერგვა საკმაოდ რთული პროცესია, რომელიც მოიცავს რამდენიმე ერთმანეთთან თანმიმდევრულად დაკავშირებულ ეტაპს და თითოეულ მათგანზე შეიძლება გამოყენებულ იქნეს ახალი ხერხები და ამოცანების გადაწყვეტის საშუალებები. მთლიანად სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ ტურიზმის სფეროს რეგულირების ინოვაციური საქმიანობის მართვა უნდა განვიხილოთ, როგორც ინოვაციური მენეჯმენტი და განხორციელდეს მისთვის დამახასიათებელი პრინციპებით, ფუნქციებით და მეთოდებით. ინოვაციების ეფექტური მართვის საერთო პრინციპებად, როგორც თანამედროვე კომპანიების გამოცდილების შესწავლა გვიჩვენებს, გვევლინება ინოვაციური საქმიანობის პერმანენტულობა და კომპლექსურობა, სტრატეგიული დაგეგმარება, ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის ოპტიმალური შერწყმა და გადაწყვეტილების მიღებაში კოლეგიალობა. ტურიზმის დარგის სახელმწიფო რეგულირებაში ინოვაციების შემუშავება და დანერგვა მოიცავს რამდენიმე თანმიმდევრულ ეტაპს, რომლებიც ხორციელდება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ:

1) ტურიზმის მოცემულ კონკრეტულ სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი.

2) სიტუაციის შეცვლის შესაძლებლობების კვლევა, ინოვაციების იმ სახეების განსაზღვრა, რომელიც აუცილებელია დამუშავდეს და დაინერგოს.

3) ინოვაციების დანერგვის საერთო გეგმის შემუშავება, პროგნოზული შედეგების შეფასება. ინოვაციების დანერგვის მმართველობითი გადაწყვეტილებების განხილვა და მიღება, ინოვაციების დანერგვის ცვლილებასთან დაკავშირებული სიტუაციის კონტროლი.

ინოვაციების დაგეგმვა გვევლინება ინოვაციური საქმიანობის მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპად და მოიცავს მისი ძირითადი მიმართულებების შემუშავებას განვითარების დასახული სტრატეგიის შესაბამისად,

არსებული რესურსების და ბაზრის მოთხოვნის მიხედვით. ის ეფუძნება ტურიზმში მართვის პროცესების სტრუქტურის მრავალმხრივი და სისტემატიური კვლევების ჩატარებას. ინოვაციების დაგეგმვა მოიცავს თავის თავში ზოგადი ამოცანების და თითოეული მონაწილის ამოცანის განსაზღვრას, რაციონალურად და ეკონომიკურად დასაბუთებული მმართველობითი გადაწყვეტილებების მომზადებას, ყველა მონაწილის საქმიანობის კოორდინაციას. არაგეგმიური პრობლემური სიტუაციის აღმოცენებისას, რომელთა გადაწყვეტაც დაკავშირებულია ინოვაციების შემუშავებისა და დანერგვის აუცილებლობასთან, უნდა გადაწყდეს თანმიმდევრული პროცედურების დახმარებით, როგორცაა: ინოვაციური პრობლემური სიტუაციის დიაგნოსტიკა, ინოვაციების პორტფელის ფორმირება, გეგმიური ღონისძიებების რეალიზაცია, ინოვაციების შედეგების მონიტორინგი. ცალკეული მიმართულებების მიხედვით ინოვაციების დანერგვის ამოცანებისკ ონკრეტიზაცია. ინოვაციური საქმიანობა ტურიზმში მიმართულია თანამედროვე ორგანიზაციული მმართველობითი ფორმის დანერგვაზე, თვისებრივად ახალი ტურისტული პროდუქტების და მომსახურების შექმნაზე, ახალი ბაზრების ათვისებაზე ან არსებულის გაფართოებაზე.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. Rodriguez, I., Williams, A. & Hall, C.M. 2015, Tourism innovation policy: implementation and outcomes. Annals of Tourism Research.
2. Bundesministerium für Wirtschaft und Technologie (BMWi) Barrierfreie Tourismus für alle in Deutschland , 2012.
3. Смирнов В.А. Повышение эффективности управления туризмом в условиях транзитивной экономики, Санкт-Петербург, 2010.

*Tamar Beridze*

### INNOVATIONS AND TOURISM FIELD'S STATE REGULATION

#### Annotation

One of the perspective way to improve the competitiveness of the tourism sector, among other directions is using the innovation in tourism field's state regulation. To provide achieving new options for tourism field's state regulation, following major trends of innovation development and implementation should be allocated: management, marketing, production and commodity.

Great opportunity for innovation represent direct activities of state authorities influencing tourism sector in following ways: creating specific legal regime for certain area, investing significant state resources for infrastructure development which encourages private investment to construct and operate facilities in tourism industry.

*Eugenia Gheorghita  
Diana Grosu*

### PUBLIC FINANCIAL RESOURCES: DEVELOPMENT AND WAYS OF STRUCTURING IN REPUBLIC OF MOLDOVA<sup>186</sup>

The state aims to attract financial resources for achieving macroeconomic goals. Appealing to fiscal policy, the state tends to accumulate financial resources and to contribute to their equitable redistribution according to the law, in order to obtain general economic equilibrium. Being a part of a country's financial policy, fiscal policy represents the effective lever to reform the economy, influencing both the economic sphere as well as the political and social one. Therefore, the fiscal-budgetary mechanism ensures a double influence on economic processes: first, increasing budgetary expenses in priority areas and, secondly, creating conditions to accumulate revenues through the tax system. Using the tools of budgetary and fiscal policy, the state realizes the reforms that are focusing the strategy for socio-economic development of the country.

As mentioned in the specialty literature, the state accumulate and dispense through the budget itself the financial resources, but the budgetary and fiscal policy instruments allow the effective macroeconomic management and ensure the economic and financial balance.[3]

The State establishes financial directives for the next fiscal year financial planning their expenses, based on the revenues it will accumulate under the single budget classification system with the admission budget deficit within the limits set by law. This system includes classification of budget revenues and functional organizational and economic classification of budget expenses.

Classification of budget revenues involves their grouping based on the legislation which determines their sources, as they consist of tax revenues, non-tax revenues and grants. The state as the supreme authority uses its power of coercion by applying taxes and fees, both on the incomes of economic agents, public and private institutions and the population incomes, whereas the share of tax revenues in total revenues is quite significant. According to Moldovan law, the Tax Code no. 1163-XIII of 24.04.1997, the following both state's and local's taxes and fees are levied by the state, which contribute to the formation of the national public budget. (Table 1)

In the amount of the national public budget revenues, *tax revenues* hold the major part, so in 2014 they represent about 88.9 percent to 86.3 percent projected for 2013. By 2015, the shares of tax revenues in the total amount of national public budget revenues are expected to increase compared to 2014 by 1.8 percent and constitute 90.7 percent.

<sup>186</sup>This research was prepared in the context of the Marie Curie Actions EU-PREACC - Possibilities and limits, challenges and obstacles of transferring CEE EU pre-accession best practices and experience to Moldova's and Georgia's pre-accession process (2013-2017)

Table 1

The tax system of Moldova	
System tax	
The system include state taxes:	The system include local taxes:
a) income tax	a) real estate tax
b) value added tax	b) fees on natural resources
c) excise duty	c) fee for area development
d) private tax	d) fee for organizing auctions and lotteries
e) customs duty	e) fee for placement of advertisements
f) road taxes	f) fee for use of local symbol
	g) fee for commercial units and/or social service provision
	h) market fee
	i) accommodation fee
	j) resort fee
	k) fee for provision of passenger road transport services on municipal, city and village (commune) routes
	l) parking fee
	m) fee charged to dog owners
	n) parking lot fee
	o) street trading units and service provision units
	p) fee for advertising devices

Source: prepared by the authors based on Tax Code of Republic of Moldova

Non-tax revenues have recorded in the 2014 year - 1308.4 millionMDL and will grow slowly reaching to the 2015 year - 1362.9 millionMDL. As a proportion of the total, given revenues will remain at 3.3 - 3.2 percent and as a share of GDP at 1.2 - 1.1 percent.

Funds and special means revenues are estimated at 1 233.4 - 1 243.0 millionMDL for the 2014-2015 years. As a proportion of the total, given revenues will decrease slowly from 3.2 percent to 2.9 percent and will decrease as well their share in GDP from 1.1% in 2014 to 1.0% in 2015 years.(Table 2, Figure 1)

Table 2

National Public Budget 2012 – 2014 years (mm MDL)

Indicators	2012	2013	2014	2014-2012	2014-2013
SSIB	7238,00	7949,80	8817,50	+1579,5	+868,0
MMIF	1823,30	1935,10	2143,70	+320,4	+208,6
ATUB	4252,30	4644,80	4982,90	+730,6	+338,1
SB	21032,50	22457,70	23573,12	+2540,62	+1115,42

Source: prepared by the authors based on the reports of Ministry of Finance of Republic of Moldova

During 2014-2015, the Government will receive *grants* from the development partners amounting to about 3 214.0 millions, of which budget support grants - amounting to 1855.0 million MDL, grants for projects financed by external sources amounting to 1315.7 million MDL, internal and external grants for public institutions amounting to 43.3 million MDL. Grants for budget support will be medium-term oriented, as a priority for energy sector reform, justice reform, boosting the economy in rural areas, vocational education and visa liberalization.




Figure 1. National Public Budget Structure 2015-2014 years (mm MDL)

Source: prepared by the authors based on the reports of Ministry of Finance of Republic of Moldova

In the structure of public revenues for the 2014–2015 years, the major part, 59.7 percent and 58.9 percent respectively hold state budget revenues, and will increase the average annual with 6.1 percent, reaching in 2015 - 25 134.2 millions.

Administrative-Territorial Units Budget (ATUB) revenues in the medium term will be approximately 12.7 percent of total National Public Budget (NPB) revenues and increase annually to about 8.5 percent, reaching in the 2015 year to 5437.0 million. State Social Insurance Budget (SSIB) revenues will consist 22.3 to 23.0 percent in total budget revenues and will increase to 10.5 percent annually, reaching in the 2015 year the amount of 9779.8 million. Mandatory Medical Insurance Funds (MMIF) revenues include from 5.3 to 5.6 percent of budget revenues and increase annually to about 9.3 percent, reaching to the 2015 year the amount of 2377.6 million.

According to data presented in the Appendix no. 1 - Summary of state budget on revenues, expenses, deficit and financing sources - the Law of state budget for 2014 no. 339 from 23.12.2013, it was planned the accumulation of tax revenues, which consist 82.40% of the total budget revenues. The Table no. 3 shows the revenues volume evolution on categories for the period 2012-2014 and their share in total budget revenues of the State Budget.

*Table 3*

**Evolution of budget revenues in the state budget 2012-2014 years**

Budget revenues	Sum, thousand MDL					
	2012	%	2013	%	2014	%
<b>Revenues, total</b>	<b>20638187,9</b>	<b>100</b>	<b>22507826,7</b>	<b>100</b>	<b>27220315,1</b>	<b>100</b>
<b>Tax revenues</b>	<b>16575695,0</b>	<b>80,316</b>	<b>18255918,2</b>	<b>81,11</b>	<b>22428520,5</b>	<b>82,40</b>
Income taxes	721200,0	4,351	843600,0	4,62	2623224,2	11,70
Internal taxes on goods and service	14544995,0	87,749	16013919,2	87,72	18242896,3	81,34
Taxes on foreign trade and on foreign operations	1309500,0	7,900	1398399,0	7,66	1562400,0	6,96
<b>Non – tax revenues</b>	<b>865679,0</b>	<b>4,195</b>	<b>799753,2</b>	<b>3,55</b>	<b>729058,1</b>	<b>2,68</b>
Other income from business activity and property	409656,0	47,322	345290,7	43,17	328043,8	44,99
Administrative fees and payments	319223,0	36,875	262580,0	32,83	221014,3	30,32
Fines and administrative sanctions	136800,0	15,803	191882,5	24	180000,0	24,69
<b>Special means of public institutions</b>	<b>1144014,5</b>	<b>5,543</b>	<b>641749,9</b>	<b>2,85</b>	<b>676736,8</b>	<b>2,48</b>
Revenues of special funds	<b>310153,4</b>	<b>1,503</b>	<b>379650,0</b>	<b>1,69</b>	<b>408084,6</b>	<b>1,50</b>
Transfers	<b>617,5</b>	<b>0,003</b>	<b>277378,6</b>	<b>1,23</b>	<b>11694,6</b>	<b>0,04</b>
Grants	<b>1742028,5</b>	<b>8,440</b>	<b>2153376,8</b>	<b>9,57</b>	<b>2966220,5</b>	<b>10,90</b>

Source: prepared by authors based on the Annex 1 of the Law on State Budget for 2012-2014

Based on the data presented in the table, we note an annual tax revenues growing in total budget revenues, motivated by increasing tax rates, while non-tax revenues have a slight tendency to decrease. In this context, the need for planning tax revenue, on the one hand, considers that taxation fulfill various functions, including the finance of public expenses, and that tax efficiency may be reduced due to negative effects on the rest of the economy, on the other hand.

Finally, it is quite fair evident the truth: in low-income countries, it is difficult to design a tax system based on direct taxes because there is missing an adequate tax base. The explanation is that in most of these countries, their potential in the field of direct taxation is decreased due to lower citizens and national companies' revenues. Not all developing countries can count on their jurisdiction inflow from foreign investors; therefore, the basis of taxation systems is constituted by the indirect taxes. Developed countries, in turn, are interested to tax both domestic revenues of natural and legal persons as those produced abroad. In addition, income taxes may be levied without any difficulties from foreign investors' income obtained in the country; this one makes certain direct taxes being the most important element in the structure of the tax system of developed countries.

The fact that developed countries are focused on direct taxation, while developing countries on indirect taxation, in the globalization process of the world economic system, leads to the isolation of mutual cooperation between developed countries and the developing ones in fiscal way. Regarding Moldova, changes in the structure of the tax system are shown in the table below. (Table 4)

*Table 4*

**The evolution of tax revenues 2011 – 2017 years (mm, MDL)**

	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
				Estimated			
<b>Direct taxes</b>	258,4	770,4	801,0	2 574,1	3 784,0	4 159,5	4 563,3
Share direct taxes in budget revenues %	1,77%	4,94%	4,48%	12,23%	15,52%	15,68%	15,92%
<b>Indirect taxes</b>	14 272,5	14 812,9	17 047,5	18 459,5	20 594,6	22 351,1	24 099,1
Share indirect taxes in budget revenues%	98,23%	95,06%	95,52%	87,77%	84,48%	84,32%	84,08%
<b>Total tax revenues</b>	14 530,9	15 583,3	17 848,5	21 033,6	24 378,6	26 510,6	28 662,4

Source: prepared by authors based on Reports of Ministry of Finance of Republic of Moldova

Analysis of the data in the table shows that during 2011-2014 years there were changes in the structure of the tax system, we can see an increase for indirect taxes from 1.77%, in 2011 yearup to 12.23% in 2014 year, and a decrease for indirect taxes from 98.23% in 2011 to 87.77%. In the tax system of Republic of Moldova the indirect taxes prevails even if the direct taxes have an increasing trend in tax revenues. Among the determinants of this structure can be outlined as follows:

- Taxpayers accept more easily the tax increases for consumer spending than the decrease of the net salary. Therefore, in the shortage of financial resources the governments of several countries recourse to the quota increase of the indirect taxes;
- Tax evasion is more difficult and therefore increase the collection index while reducing related costs;
- indirect taxes involve less crimes than the direct ones;

Analysis of the data in the table shows that during 2011-2014 years the share of direct taxes in GDP is growing at 2.4% until 2014 year, while indirect taxes have a constant share in GDP with the amount of 17.4%, nevertheless keeping the structure of the tax system of the Republic of Moldova. (Table 5)

Table 5

The evolution of state budget 2011 – 2017 years, share in GDP, %

	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
				estimated			
<b>Global revenues</b>	22,6	22,8	22,5	24,3	24,2	23,1	22,2
<b>Current income</b>	20,6	21,0	20,2	22,0	22,4	22,2	21,6
<b>Tax revenues</b>	17,6	17,7	17,9	19,8	20,4	20,4	20,1
<b>Direct taxes</b>	<b>0,3</b>	<b>0,9</b>	<b>0,8</b>	<b>2,4</b>	<b>3,2</b>	<b>3,2</b>	<b>3,2</b>
<b>Indirect taxes</b>	<b>17,3</b>	<b>16,8</b>	<b>17,1</b>	<b>17,4</b>	<b>17,2</b>	<b>17,2</b>	<b>16,9</b>
<b>Non – tax revenues</b>	1,2	1,6	1,3	1,2	1,2	1,0	0,8
<b>Funds and special means</b>	1,8	1,6	1,0	1,0	0,9	0,8	0,7

Source: Reports of Ministry of Finance of Republic of Moldova

The table below shows that the largest share in the income tax revenues is awarded to the indirect taxes: the value added tax (VAT), which consists in 2013 the amount of 12272.0 million MDL and represents an increase of 514.90 million MDL, more than in 2012; excise duty constituting 3306.0 million MDL in 2013 with an increase of 355.0 million MDL more than in the 2012 year and custom duties which decrease in 2013 with 75.60 million MDL. (Table 6)

The increase of the VAT and excise duties is assessed positively as it increases state budget resources and in that way the state can achieve its goals, but this is quite far a negative effect for population as they are the ones who bear such taxes. The reduction of customs duties may be viewed as both positive because we may believe that decreasing the imports the state protects domestic producers but also negative because the state budget decreases in this way.

Table 6

The evolution of tax revenues 2011–2013 years (mm MDL)

Indicators	2011	2012	2013	2013-2012	2013-2011
<b>1. Income tax</b>	2388,4	3816,7	805,2	-3011,50	-1583,20
<b>2. Value added tax</b>	10667,8	11757,1	12272,0	514,90	1604,20
<b>3. Excise duty</b>	2472,0	2951,0	3306,0	355,00	834,00
<b>4. Customs duty</b>	1237,9	1132,3	1056,7	-75,60	-181,20

Source: prepared by authors based on Reports of Ministry of Finance of Republic of Moldova

These indirect taxes have the largest share since this way are characterized the less developed states where the taxes on income have a smaller share because of the smaller physical and legal persons revenues and we can note also that in 2013 the income tax is 805.2 million MDL less than in 2012 as well.

In conclusion we mention that one of the main directions of budget and tax policy in Moldova is creating such a tax system that would contribute to fair redistribution of the tax burden between different people categories and stimulate the attraction of domestic and foreign investments in the real sector of the economy. The accumulation of financial resources should be achieved by increasing tax efficiency because not every increase in taxation (a tax rate) has the effect of increasing budget revenue. There is a threshold (of course it differs from one country to another and from one point to another within the same country) beyond which the further increase of the level of taxation does not lead to growth but to lower budgetary income.

#### REFERENCES

- Legeprivindsistemulbugetarşiprosesulbugetar nr. 847-XIII din 24.05.1996. Monitorul Oficial al Republicii Moldova nr.19-20/197 din 27.03.1997;
- Codul fiscal al Republicii Moldova nr. 1163-XIII din 24.04.1997;
- BAURCIULU A. *Dimensiunea echilibrului financiar public la nivel macroeconomic în Republica Moldova*. ASEM, Chişinău, 2007;
- HOANȚĂ N. *Economie şi finanţe publice*. Polirom, Iaşi, 2000;
- NEMEC J., WRIGHT G. *Finanţe publice – teorie şi practică în tranziţia central-europeană*. Ars Longa, Iaşi, 2000;
- ULIAN G., DOGA-MÎRZAC M., ROTARU L., *Finanţepulice: Note de curs şi aplicaţii practice*. Ediţia II – CEP USM, Chişinău, 2012;
- www.fisc.md
- www.mf.gov.md

## ტექნოლოგიური და მარკეტინგული ინოვაციები ფირმის ეფექტიანობის ამაღლებაში

ინოვაცია (innovatio) ლათინური სიტყვაა და ნიშნავს “განახლებას”, “ცვლილებას”. ინოვაციის, როგორც ტერმინის ცნება ეკონომიკაში შემოიტანა ჯოზეფ შუმპეტერმა. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ცნების გაგება ბევრად უფრო ადრინდელ მეცნიერულ კვლევებშიც გვხვდება.

ჯ. შუმპეტერი გამოყოფს ინოვაციების („ამა თუ იმ სფეროში არსებული საგნებისა და ძალების ახალი კომბინაციების განხორციელების“) 5 ტიპს: 1. ახალი (მომხმარებლისთვის უცნობი) საქონლის ან საქონლის ახალი თვისების შექმნა; 2. წარმოების ახალი (მოცემული დარგისთვის პრაქტიკულად უცნობი) მეთოდის, მათ შორის შესაბამისი საქონლის კომერციული გამოყენების ახალი ხერხის დანერგვა; 3. გასაღების ახალი ბაზრის ათვისება; 4. ნედლეულის ან ნახევარფაბრიკატების ახალი წყაროს მიღება; 5. შესაბამისი რეორგანიზაციის განხორციელება [Шумпетер Й. А., с. 159].

საერთოდ, ინოვაცია წარმოადგენს ტექნიკასა და ტექნოლოგიაში, შრომისა და წარმოების ორგანიზაციაში, მეწარმეობის ფორმებსა და მართვაში ისეთ სიახლეებს, რომელიც მეცნიერულ ცოდნასა და მოწინავე მიღწევებზე არის დამყარებული [ჩიქავა ლ., 2006] და, ამავე დროს, ძალზე მნიშვნელოვნად ზრდის მოქმედი სისტემის ეფექტიანობას.

ზოგადად, ფირმის ინოვაციური საქმიანობა შესაძლოა დაიყოს რამდენიმე ეტაპად: 1. ინვესტიციები; 2. კვლევები და საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებები; 3. დანერგვის პროცესი; 4. ხარისხობრივი გაუმჯობესების მიღება-მიღწევა.

აღსანიშნავია, რომ ინოვაცია შეიძლება იყოს ფირმის მიერ შექმნილი, ასევე შექმნილი, ანუ ფირმაში გარედან შემოდებული.

ინოვაცია ითვლება ფირმის მიერ შექმნილად, როდესაც ფირმა თვითონ ატარებს შესაბამის კვლევებსა და საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებებს. გარედან შემოდებული ინოვაცია (მათ შორის ცოდნა და ტექნოლოგია) როგორც შექმნილი პატენტი, დაუპატენტებული გამოგონება, ლიცენზია, „ნოუ-ჰაუ“, სავაჭრო მარკა, ტექნიკური პროექტი და ნიშუში, კომპიუტერული და სხვა სახის მეცნიერულ-ტექნიკური მომსახურება, სხვადასხვა საკონსულტაციო მომსახურება და ა.შ.

ამასთან, ფირმის ინოვაციების დანერგვაზე ორიენტირებული ღონისძიება შესაძლოა თვითონ იყოს ინოვაციური, თუმცა გასათვალისწინებელია ის ღონისძიებებიც, რომელიც ინოვაციის განხორციელებაში დამხმარე როლს ასრულებს.

ამავე დროს, მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ სიახლე მაშინ ითვლება ინოვაციად, როდესაც, როგორც მინიმუმ, იგი არის, ერთი მხრივ, ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული მოცემული ფირმის პრაქტიკისათვის და, მეორე მხრივ – პრაქტიკულ გამოყენებაში შემოდებული, ანუ დანერგილი [Руководство Осло, 2010].

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა (ეოგო-ს) და ევროსტატის ერთობლივი ცნობილი პუბლიკაციის მიხედვით, რომელიც ინოვაციებზე მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის მიმართ რეკომენდაციებს ეხება, ინოვაცია წარმოადგენს ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტის (საქონლის ან მომსახურების) ან პროცესის გამოყენებაში შემოდებას, მარკეტინგის ახალი მეთოდის დანერგვას ან ახალი ორგანიზაციული მეთოდის შემოდებას საქმიან პრაქტიკაში, სამუშაო ადგილების შექმნაში ან გარე კავშირების ფორმირებაში [Руководство Осло, 2010, გვ. 31].

ნაშრომში ჩვენ ძირითადად ამ პუბლიკაციაში მოცემულ განმარტებებს დავეყრდნობით, სადაც ცალკე ინოვაციურ საქმიანობად გამოყოფილია ფირმის მიერ განხორციელებული კვლევები და საექსპერიმენტო დამუშავებები. აქვე განსაზღვრულია ინოვაციების 4 ტიპი (სახეობა) ფირმის საქმიანობის სფეროების მიხედვით: 1. პროდუქტული ინოვაცია; 2. პროცესული ინოვაცია; 3. მარკეტინგული ინოვაცია; 4. ორგანიზაციული ინოვაცია.

აღსანიშნავია, რომ აქ პროდუქტული და პროცესული ინოვაციები ტექნოლოგიურ ინოვაციებს განეკუთვნება, მარკეტინგული და ორგანიზაციული ინოვაციები კი – არატექნოლოგიურს [Mohnen, P. and Hall B., 2013].

სწორედ ამ გაგებით, ჩვენი გამოკვლევის ობიექტია ტექნოლოგიური (პროდუქტული და პროცესული) და მარკეტინგული ინოვაციები.

პროდუქტული ინოვაცია გულისხმობს ისეთი საქონლის ან მომსახურების შემოდებას (დანერგვას), რომელიც, თვისებების ან გამოყენების ხერხების მიხედვით, ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული. აქ შედის როგორც ტექნიკური მახასიათებლების, კომპონენტებისა და მასალის, ასევე დანერგილი პროგრამული უზრუნველყოფისა და გამოყენების მოხერხებულობის ან სხვა ფუნქციონალური მახასიათებლების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება და სრულყოფა [Руководство Осло, 2010, გვ. 32].

პროცესული ინოვაცია გულისხმობს პროდუქტის წარმოების ან მიწოდების ახალ ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული ხერხის დანერგვას. აქ შედის მნიშვნელოვანი ცვლილებები ტექნოლოგიაში, საწარმოო დანადგარებსა და/ან პროგრამულ უზრუნველყოფაში [Руководство Осло, 2010, გვ. 33].

ფირმის საქმიანობა ტექნოლოგიური ინოვაციების განხორციელების სფეროში მოიცავს: 1. ცოდნის მიღება-შექმნას გარე წყაროებიდან; 2. მანქანა-დანადგარებისა და სხვა კაპიტალური საქონლის შექმნას, რომელიც გამოიყენება ამ ინოვაციების განხორციელებლად (მაგალითად, მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები – მათ შორის მათი არსებითი გაუმჯობესება, გადაკეთება და რემონტი; მანქანები, ინსტრუმენტები და დანადგარები; კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა, როგორც არამატერიალური ინვესტიციების შემადგენელი ნაწილი და კაპიტალის კომპონენტი); 3. ამ ინოვაციების მომზადების სხვადასხვა შიგნაფორმით სამუშაოებს (გამოკვლევებისა და დამუშავების გარდა), რომელიც ამ ინოვაციების შემუშავებასა და დანერგვას ახლავს თან (მაგალითად, ტექნიკური პროექტირება, ინჟინრული და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, საცდელი წარმოება; საპატენტო-სალიცენზიო სამუშაოები და ა.შ.); 4. პროდუქტული ინოვაციების მარკეტინგულ მომზადებას (მაგალითად, ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტის მიმართ განხორციელებული ბაზრის

წინასწარი გამოკვლევა, მარკეტინგული ცდები და სარეკლამო კამპანიის განხორციელება); 5. კადრების მომზადებას, რომელიც საჭიროა ამ ინოვაციების განხორციელებლად [Pykovodstvo Oclo, 2010].

მარკეტინგული ინოვაცია გულისხმობს მარკეტინგის ახალი მეთოდების დანერგვას. ამ სახეობის ინოვაციაში შედის მნიშვნელოვანი ცვლილებები: 1. პროდუქტის დიზაინსა და შეფუთვაში; 2. საქონლისა და მომსახურების გავრცელებაში (ადგილმდებარეობასა და მოთხოვნაში), მათ შორის იგულისხმება გასაღების არხების ტიპებისა და ამ არხების ორგანიზაციის ხერხების გაუმჯობესება; 3. ბაზარზე წინ წაწევაში (სტიმულირებაში), მათ შორის იგულისხმება პროდუქტის იმიჯის გაუმჯობესება და პროდუქტის ცნობადობის ამაღლება; 4. ფასების დადგენაში, მათ შორის იგულისხმება საქონელსა და მომსახურებაზე ფასების დადგენის სპეციალური მეთოდების დანერგვა [Pykovodstvo Oclo, 2010, გვ. 34].

ფირმის საქმიანობა მარკეტინგული ინოვაციების განხორციელების სფეროში მოიცავს ამ ინოვაციების მომზადებას, მათ შორის მარკეტინგული ხერხების 4 ტიპის („4P“) დამუშავებასა და გამოყენებას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ისეთი ცვლილება პროდუქტის დიზაინში, რომელსაც პროდუქტის ფუნქციონალურ მახასიათებლებში ან პროდუქტის სავარაუდო გამოყენების ხერხებში მნიშვნელოვანი ცვლილება ახლავს თან, პროდუქტულ ინოვაციას წარმოადგენს [Pykovodstvo Oclo, 2010, გვ. 34].

ზოგადად, პროდუქტული ან მარკეტინგული ინოვაცია უფრო მოთხოვნაზე ორიენტირებული და მიზნად ისახავს: პროდუქტის ხარისხის ამაღლებას; ბაზრის წილის გადიდებას; ახალ ბაზრებზე შეღწევას. პროცესული ან ორგანიზაციული ინოვაცია კი – უფრო მიწოდებაზე არის ორიენტირებული და მიზნად ისახავს ხარჯების შემცირებას; საწარმოო პოტენციალის ამაღლებას [Pykovodstvo Oclo, 2010].

საერთოდ, ინოვაცია ეკონომიკურად მიზანშეწონილ ცვლილებას გულისხმობს.

საჭიროა იმ ფაქტორების გათვალისწინება, რომელიც ფირმის ცოდნისა და ტექნოლოგიების ათვისებისა და ინოვაციების რეალიზაციის უნარიანობაზე მოქმედებს. მაგალითად, ფირმაში არსებული ცოდნის ბაზა, მუშაკების უნარ-ჩვევები და განათლება, მუშაკების მეცნიერული კვალიფიკაცია, ტერიტორიული სიახლოვე სახელმწიფო მეცნიერულ დაწესებულებებთან, ინოვაციური საწარმოების მაღალი სიმჭიდროვის რეგიონებთან და სხვ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ინოვაციურ პროცესზე ფირმაში ზეგავლენას ახდენს ქვეყანაში არსებული ინსტიტუციური გარემო (მათ შორის განათლების სისტემის ხარისხი), ინოვაციების განხორციელების დარგობრივი და რეგიონული ასპექტები, თვით საწარმოს ზომები (სიდიდე), გლობალიზაციის პროცესი და ა.შ.

ერთი სიტყვით, ინოვაციების მამოძრავებელ ძალებად შესაძლოა წარმოვიდგინოთ როგორც ფირმის შიდა არეალის მახასიათებლები (მაგალითად, ფირმაში ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული მახასიათებლები, როგორცაა კადრების კვალიფიკაცია, თავისი თანამშრომლები ადამიანურ კაპიტალში ინვესტირება, კვალიფიციური კესონალის ნაკლებობა, საკმარისი შესაძლებლობები თავისი მუშაკების სწავლებისთვის და სხვ.), ასევე ფირმის გარე არეალის ცვალებადი პირობები (მაგალითად, კანონები და რეგულაციები, რომელიც ზეგავლენას ახდენს ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და საკუთრების უფლებებზე, საგადასახადო და ადმინისტრაციულ დატვირთვასა და გარემოს დაცვის სტანდარტებზე და ა.შ.) [Pykovodstvo Oclo, 2010].

ლიტერატურაში ცნობილია, რომ სხვადასხვა სექტორს ან ქვედანაყოფს, მეცნიერებას ან სხვა ტიპის საქმიანობას ინოვაციებში თავისი წვლილის შეტანა შეუძლია. განსაკუთრებით არის ხაზი გასმული სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებების წვლილზე ინოვაციის შექმნასა და რეალიზაციაში. ამასთან, გარემოსთან ურთიერთობებისას ფირმის სწავლის პროცესში მნიშვნელოვანია მარკეტინგული და ორგანიზაციული ცვლილებების წვლილი ინოვაციაში.

ამავე დროს, ლიტერატურაში ძალზე დიდი ყურადღება ექცევა ინოვაციების კავშირებისა და დიფუზიის საკითხებს: ახალი ცოდნისა და ინოვაციების ინკორპორაციას; ინოვაციის ტიპებს შორის ურთიერთკავშირებს; ინოვაციის დიფუზიის შეფარდებით წონას ინოვაციურ შემოქმედებასთან შედარებით; გარედან მიღებული ცოდნის მთავარ წყაროებს; ფირმაში „ორიგინალურ“ და „კოპირებულ“ ინოვაციებს შორის თანაფარდობას; ინოვაციურ პროექტებში ინფორმაციის არაფორმალურ ურთიერთგაცვლასა და ფორმალურ თანამშრომლობას; ინოვაციურ პროცესში ინსტიტუციურ სტრუქტურებს; ცოდნის ბუნების საკითხს; ცოდნის დაგროვებისა და გადაცემის მექანიზმებს; ცოდნისა და ტექნოლოგიების ნაკადების დინებას; დაბრკოლებებს არასრული ინფორმაციის გამო და სხვა.

შესაბამისი ლიტერატურაში სერიოზული ყურადღება ექცევა აგრეთვე ინოვაციების გავლენას ფირმის შედეგიანობაზე, მათ შორის წარმოების მოცულობისა და მწარმოებლურობაზე, ბრუნვასა და დასაქმებაზე, ამავე დროს, მნიშვნელოვან საკითხად არის მიჩნეული ინოვაციებიდან მიღებული და მისაღები ეკონომიკური და სოციალური სარგებლობა.

ხაზი უნდა გავეუსვათ იმას, რომ სხვადასხვა მოტივაციის მიუხედავად, ფირმის ინოვაციების განხორციელების საბოლოო მიზანი თავისი ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებაა. და, საერთოდ, ინოვაციების განხორციელება ფირმების კონკურენტული უპირატესობის მიღწევისა და შენარჩუნების ერთ-ერთი საუკეთესო გზაა.

იმის გასარკვევად, თუ რეალურად რამდენად აღწევს ამ მიზანს ფირმები, ჩვენ განვიხილეთ ემპირიული კვლევების გარკვეული ნაწილი, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით ჩატარდა და ფირმის მწარმოებლურობასა და ინოვაციებს, ინოვაციურ საქმიანობას (მათ შორის კვლევებსა და დამუშავებებს) შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებასა და დაკავშირებას და, საერთოდ, ფირმის შედეგიანობაზე (მათ შორის ფირმის კონკურენტული უპირატესობის მიღწევასა და შენარჩუნებაზე) ინოვაციების გავლენას ეხება.

საერთოდ, ფირმის საქმიანობის ემპირიული კვლევის ზოგადი მიზანია, გაირკვეს მისი როგორც საწარმო-მარკეტინგული, ასევე ინსტიტუციური მრავალფეროვანი ქცევის მექანიზმები. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ყველა ემპირიულ კვლევას ახასიათებს სამი აუცილებელი ეტაპი: 1. პრობლემის დასახვა (გამოკვლევის მიზნებისა და ამოცანების დასახვა და ჰიპოთეზების ფორმულირება); 2. ფირმების შესახებ ინფორმაციის დაგროვება და დამუშავება; 3. შედეგების ანალიზი.

ემპირიული კვლევის მიზანი განსაზღვრავს, შესაბამისად, ერთი მხრივ, იმ მეთოდს, რომელიც იქნება გამოყენებული ინფორმაციის შეგროვებისათვის და, მეორე მხრივ – ინფორმაციის მოპოვების წყაროს.

ჩვენი აზრით, პირველ რიგში, აღსანიშნავია ემპირიული ხასიათის ნაშრომი, სადაც განხილულია არსებული ურთიერთკავშირები და დამოკიდებულება ისეთ სამ ფაქტორს შორის, როგორცაა: ფირმაში განხორციელებული კვლევები და დამუშავებები (R&D<sup>187</sup>), ფირმაში დანერგილი ინოვაციები და ფირმის მწარმოებლურობა [Crepon, B., Duguet, E. and Mairesse J., 1998].

ევროპაში ძალზე პოპულარული სტატისტიკური მიმოხილვის (CIS<sup>188</sup>-ის) საფუძველზე და საფრანგეთის სამრეწველო ფირმების მონაცემებზე დაყრდნობით, ავტორებმა შემუშავებული სტრუქტურული ეკონომეტრიკული მოდელის (ე.წ. CDM<sup>189</sup>მოდელის) გამოყენებით შეაფასეს ფირმაში განხორციელებული კვლევებისა და დამუშავებების გავლენა ინოვაციებზე და, შესაბამისად, ინოვაციების გავლენა ფირმის მწარმოებლურობაზე. შექმნილი მოდელი მოიცავდა პროცესს, რომელიც იწყება კვლევებსა და დამუშავებებზე ხარჯების გაწვევის მიმართ გადაწყვეტილების მიღებით და მთავრდება წარმოებასა და გასაღებაში ინოვაციების გამოყენებით. მოდელი იმ ეკონომიკურ შინაარსს ეყრდნობა, რომლის თანახმად ფირმის მწარმოებლურობისა და სხვა ეკონომიკური შედეგების მანქანებლების ზრდას განაპირობებს არა კვლევებსა და დამუშავებებში ინვესტიციები, არამედ კვლევებისა და დამუშავებების შედეგი – პროდუქტული და პროცესული ინოვაციები. ავტორების მიერ შექმნილი მოდელი შედგება ოთხი განტოლებისაგან და ასახავს შემდეგ ურთიერთკავშირებს: 1. ფირმაში განხორციელებულ კვლევასა და მის დეტერმინანტებს შორის კავშირს (ეს ურთიერთკავშირი წარმოადგენს ორი განტოლებით, რომელიც ითვალისწინებს, შესაბამისად, კვლევებსა და დამუშავებებში საინვესტიციო გადაწყვეტილებას და ამ ინვესტიციის სიდიდეს); 2. ტექნოლოგიურ ინოვაციებსა და კვლევებს შორის კავშირს; 3. ინოვაციებსა და ფირმის მწარმოებლურობას შორის კავშირს. გარდა ჩვეულებრივი ინფორმაციისა (ფირმების მიმდინარე ხარჯები, ბუღალტრული ბალანსის მონაცემები, დასაქმებულების რაოდენობა, გამოკვლევებისა და დამუშავებებზე გაწეული ხარჯები და ა.შ.), ამ ემპირიულ კვლევაში ავტორებმა პირველად გამოიყენეს საფრანგეთის მრეწველობის ინოვაციების შესახებ ახალი მონაცემები: 1. გამოყენებული ევროპული პატენტების რაოდენობა და 2. ახალი პროდუქტის ბაზარზე გაყიდვების პროცენტული წილი. აღსანიშნავია, რომ მოდელში ჩართული იყო ორი ახალი ინდიკატორი, რომელიც ითვალისწინებდა მოთხოვნისა და ტექნოლოგიური პროგრესის ცვლილებებს. ამ ემპირიული კვლევის მთავარი შედეგი მდგომარეობს იმაში, რომ ფირმის მწარმოებლურობა დადებით კორელაციურ კავშირშია ფირმის მიერ განხორციელებულ ინოვაციებთან [Crepon, B., Duguet, E. and Mairesse J., 1998].

საინტერესოა სკანდინავიური ქვეყნების (ფინეთის, ნორვეგიისა და შვედეთის) მიხედვით განხორციელებული ემპირიული კვლევა. ავტორებმა ჩაატარეს ინოვაციებისა და ფირმის მწარმოებლურობას შორის ურთიერთდამოკიდებულების ანალიზი. მათ ყურადღება ჰქონდათ გამახვილებული ორ სფეროზე: 1. ფირმის დონეზე არსებული ინოვაციური ქცევის დეტერმინანტებზე და 2. ინოვაციაზე, როგორც ეკონომიკური ზრდის მთავარ ხელშემწყობ ფაქტორზე. მკვლევრების მიზანი იყო CIS-ის მონაცემებისა და CDM მოდელის გამოყენებით გამოეკვლიათ ქვეყნების მიხედვით მწარმოებლურობის დონეთა შორის არსებული სხვაობის მიზეზები, მიუხედავად ამ ქვეყნებს შორის არსებული პოლიტიკური, სოციალური და კულტურული მსგავსებისა. ამავე დროს, ავტორებს აინტერესებდათ, ამ მიზნის მისაღწევად რამდენად ხარისხიანი იქნებოდა მოცემული მონაცემები და რამდენად საიმედო იქნებოდა მოცემული ეკონომეტრიკული მოდელი. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ, სავარაუდოდ, ფირმის დონეზე განხორციელებული კვლევები და დამუშავებები და, სავარაუდოდ, ინოვაციური საქმიანობა – ეს ის გადაწყვეტი ფაქტორებია, რომელიც განაპირობებს ქვეყნების მიხედვით მწარმოებლურობის განსხვავებულ დონეს. გარდა ამისა, ავტორებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ CIS-ის მონაცემები წარმოადგენს ინფორმაციის ძალზე ხარისხიან წყაროს, რომლის გამოყენებით სიღრმისეულად აიხსნება ისეთი როლი პროცესი, როგორცაა, ავრეგირების სხვადასხვა დონეზე ინოვაციების გარდაქმნა მწარმოებლურობაში. ამავე დროს, კვლევამ აჩვენა, რომ ამ ასპექტით CDM მოდელს შეუძლია სასარგებლო როლის შესრულება [Löf, H. et al., 2001].

ევროპაში მეტისმეტად პოპულარულ CIS-ის მონაცემების გამოყენებით და აკადემიურ წრეებში ასევე პოპულარულ CDM სტრუქტურულ ეკონომეტრიკულ მოდელზე დაყრდნობით განხორციელდა 2 ევროპული ქვეყნის (გერმანიისა და შვედეთის) მიხედვით ფირმების ფუნქციონირების ემპირიული კვლევა, რომელიც ეხებოდა ინოვაციებსა და მწარმოებლურობას შორის არსებულ კავშირებს. შედეგად გამოვლინდა, ევროპულ ქვეყნებში მოქმედი, ახალ ცოდნაზე (ინოვაციებზე) ორიენტირებული (მეცნიერებატევადი) სამრეწველო ფირმების საერთო მახასიათებლები, მათ შორის მწარმოებლურობის ფორმირებაში ინოვაციების გადამწყვეტი როლი. შესაბამისად, პოზიტიური კორელაცია მწარმოებლურობასა და ინოვაციებს შორის დადასტურდა. ამასთან, აღნიშნული ქვეყნების მიხედვით ძალზე საინტერესო სპეციფიკური თავისებურებები (ინსტიტუციური გარემო და ინოვაციური სტრატეგიები) გამოვლინდა, რომელიც ზეგავლენას ახდენს ზემოთ ხსენებულ კორელაციაზე [Janz, N., Löf, H. and Peters, B., 2003].

აღსანიშნავია CDM სტრუქტურულ ეკონომეტრიკულ მოდელზე დაყრდნობით ემპირიული კვლევა, განხორციელებული 4 ევროპული ქვეყნის (საფრანგეთის, გერმანიის, ესპანეთისა და დიდი ბრიტანეთის) მიხედვით, რომელიც ეხება კვლევებსა და დამუშავებებზე გაწეულ ხარჯებს, ინოვაციებსა და მწარმოებლურობას შორის არსებულ კავშირებს. ავტორთა ეკონომეტრიკული დასკვნების მიხედვით, ყველა ხსენებულ ქვეყანაში ფირმები ინოვაციებისა და მწარმოებლურობის მსგავსი დეტერმინანტებით ხასიათდება, თუმცა, ამავე დროს, მწარმოებლურობის რაოდენობრივ ვარიაციებში ფიქსირდება განსხვავებულობა, განპირობებული ინოვაციური აქტიურობით.

<sup>187</sup> R&D – Research and Development.

<sup>188</sup> CIS – Community Innovation Surveys.

<sup>189</sup> CDM – C – Crepon, D – Duguet, M – Mairesse.



ბის სხვადასხვაგვარი ინტენსივობით. განსხვავებით ადრინდელი გამოკვლევებისა, ფორმალიზებული CDM მოდელის შეფასება მოხდა არა მხოლოდ ინოვაციური ფირმების მონაცემთა ბაზაზე [Griffith, R. et al, 2006].

ავტორთა სხვა ჯგუფმა მიზნად დაისახა, გამოეკვლია ფირმის დონეზე ინოვაციებისა და ეკონომიკური შედეგების როლი, სხვადასხვა ევროპული და ლათინო-ამერიკული ქვეყნის (საფრანგეთის, ესპანეთის, შვეიცარიის, არგენტინის, ბრაზილიისა და მექსიკის) მიხედვით. სტანდარტულ CDM სტრუქტურულ ეკონომეტრიკულ მოდელზე დაყრდნობით განხორციელებული ემპირიული გამოკვლევის შედეგად, ევროპული და ლათინო-ამერიკული ქვეყნების ფირმებს შორის არსებული სტრუქტურული განსხვავება გამოვლინდა. მიუხედავად განსხვავებებისა, დაფიქსირდა მსგავსებაც იმ წინამძღვრებსა და წინაპირობებში, რომლის მიხედვითაც ფირმები ამ ქვეყნებში ინოვაციურ აქტიურობას იწყებენ ეკონომიკური შედეგების გასაზრდელად [Raffo, J., Lhuillery, S. and Miotti, L., 2008].

აღსანიშნავია დასაქმებას, ინოვაციებსა და მწარმოებლურობას შორის ურთიერთ-კავშირების ემპირიული გამოკვლევა, რომელიც იტალიის მიკრომონაცემთა (1995-2003) ბაზის გამოყენებით ჩატარდა. ემპირიული კვლევის შედეგად, ავტორებმა აღმოაჩინეს, რომ აღნიშნული დროის მანძილზე იტალიაში დასაქმების დონის ზრდის დაახლოებით ნახევარი განპირობებულია ფირმებში პროდუქტული ინოვაციების განხორციელებით. მაშინ როცა იტალიაში დასაქმების მანქანების ცვლილებაში პროცესული ინოვაციის წვლილი არ იყო მნიშვნელოვანი. ამავე დროს, ამ სახის ინოვაციებს აღნიშნული დროის პერიოდში ზეგავლენა არ მოუხდენია ფირმის მწარმოებლურობის ზრდაზე [Hall, B., Lotti F. and Mairesse J., 2008].

განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ფირმის დონეზე ინოვაციებსა და მწარმოებლურობას შორის კავშირის დადგენის მიმართ არსებული მზარდი ინტერესიდან გამომდინარე, ავტორთა ჯგუფმა განხორციელა კვლევა, რომლის მიზანი იყო დაედგინათ, მნიშვნელოვანია თუ არა ურთიერთდამოკიდებულება ტექნოლოგიურ ინოვაციასა და მწარმოებლურობას შორის სამრეწველო სექტორში ესტონეთის მაგალითის მიხედვით. CIS-ის და ფირმების ფინანსური მდგომარეობის შესახებ მონაცემებისა (1998-2000 და 2002-2004 წწ.) და CDM სტრუქტურული ეკონომეტრიკული მოდელის გამოყენების საფუძველზე შესწავლილ იქნა ინოვაციის ზეგავლენა ფირმის შედეგებზე. ემპირიული გამოკვლევის შედეგად მიღებულ იქნა დასკვნა, რომ 1998-2000 წწ. მხოლოდ პროდუქტული ინოვაციამ განაპირობა მწარმოებლურობის ზრდა და 2002-2004 წწ. მწარმოებლურობაზე მხოლოდ პროცესული ინოვაცია ახდენდა დადებით ზეგავლენას. ასეთი სხვაობა, ავტორთა ვარაუდის მიხედვით, განპირობებული იყო განსხვავებული მაკროეკონომიკური მდგომარეობით ამ პერიოდებში [Masso, J. and Vahter, P., 2008].

აღნიშვნის ღირსია ემპირიული კვლევა, რომელიც ზემოთ აღნიშნული CDM მოდიფიცირებული (გაფართოებული) მოდელის გამოყენების საფუძველზე ჩატარდა. კვლევა განხორციელდა ფირმაში ჩატარებულ კვლევებსა (R&D) და ინოვაციებს, მწარმოებლურობასა და საექსპორტო საქმიანობას შორის არსებული კავშირების დასადგენად, იტალიის სამრეწველო ფირმების მონაცემებზე დაყრდნობით. მოდელი აიგო 5 განტოლების საფუძველზე: 1. პირველი ორი განტოლება მოიცავს ფაქტორებს, რომელიც განსაზღვრავს, ერთი მხრივ, კვლევებსა და დამუშავებების (R&D) მიმართ მისაღებ საინვესტიციო გადაწყვეტილებას და, მეორე მხრივ – ამ ინვესტიციის ტევადობას ფირმაში; 2. მესამე განტოლება მოიცავს კვლევებსა და დამუშავებებზე გაწეულ ხარჯებსა და ინოვაციას (საინოვაციო საქმიანობის შედეგს) შორის არსებულ კავშირს; 3. მეოთხე განტოლება ასახავს ინოვაციებით დეტერმინირებული ფირმის საერთო ფაქტორულ მწარმოებლურობას; 4. მესამე განტოლება ასახავს ფირმის საერთო ფაქტორული მწარმოებლურობის კავშირს საექსპორტო საქმიანობის შედეგთან. ამასთან, მოდელი იყო შევსებული ფირმების გეოგრაფიული ახლომდებარეობით განპირობებული ლოკალური გარე ეფექტების მანქანებლებით: 1. ლოკალური სპეციალიზაციის ინდექსი (უკავშირდება „ლოკალიზაციის ეკონომიკის“ გაგებას, რომლის მიხედვით ფირმებს შეუძლიათ ცოდნა და გამოცდილება გადმოიღონ გეოგრაფიულად ახლომდებარე, იმავე დარგის ფირმებისაგან); 2. ე.წ. იაკობის გარე ეფექტების მანქანებლები (უკავშირდება გაგებას, რომლის მიხედვით ფირმებს შეუძლიათ ცოდნა და გამოცდილება გადმოიღონ გეოგრაფიულად ახლომდებარე, მაგრამ განსხვავებული დარგის ფირმებისაგან); 3. სიმჭიდროვის ინდექსი (უკავშირდება „ურბანიზაციის ეკონომიკის“ გაგებას, რომლის მიხედვით ფირმებს შეუძლიათ გადმოიღონ ცოდნა და გამოცდილება გეოგრაფიულად ახლომდებარე სხვა ეკონომიკური სუბექტებისაგან, მათ შორის მომხმარებლების, სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მთავრობისგან და ა.შ.). მოდელის ეკონომეტრიკული შეფასებისა და ემპირიული ტესტირების შედეგად, ავტორებმა გააკეთეს დასკვნა, რომლის მიხედვით ხაზგასმულია სივრცობრივი აგლომერაციის ლოკალური გარე ეფექტების როლი ფირმის დონეზე ინოვაციების, მწარმოებლურობასა და საექსპორტო საქმიანობას შორის კავშირებისა და ურთიერთობების ფორმირებაში. კერძოდ, ავტორთა ემპირიული კვლევების შედეგების მიხედვით, 1. ფირმის კვლევებსა და დამუშავებებთან (R&D), ფირმაში ახალი იდეების გენერაციასთან დადებით კორელაციურ კავშირშია მომიჯნავე დარგების ფირმათა კონცენტრაცია და ურბანიზაცია; 2. ერთი და იმავე დარგის ფირმათა კონცენტრაცია (სპეციალიზაცია) კი, ინოვაციური საქმიანობის შედეგებთან ერთად, ზრდის ფირმის საერთო ფაქტორული მწარმოებლურობის დონეს; 3. ურბანიზაციის გარე ეფექტები დადებით ზემოქმედებას ახდენს ფირმის საქმიანობაზე როგორც კვლევებისა და დამუშავებების (R&D), ასევე საექსპორტო მიმართულებით [Antonietti, R. and Cainelli, G., 2009].

ავრთვევ, მიგვაჩნია, რომ ყურადსადგობია ინოვაციებსა და მწარმოებლურობას შორის ურთიერთკავშირების ემპირიული კვლევა, რომელიც იტალიის მცირე და საშუალო ზომის ფირმებში განხორციელდა. მოდიფიცირებული CDM სტრუქტურული მოდელის გამოყენებით ავტორებმა დაადგინეს, რომ საერთაშორისო კონკურენცია განაპირობებს ფირმაში განხორციელებული გამოკვლევებისა და დამუშავებების ტევადობას (ინტენსივობას), განსაკუთრებით ეს მაღალტექნოლოგიურ ფირმებს ეხება. ფირმის სიდიდე, კვლევებისა და დამუშავებების ტევადობა (ინტენსივობა), ტექნიკური აღჭურვილობისა და მოწყობილობების შესაძენად გაწეული ინვესტიციები განაპირობებს ფირმის შესაძლებლობას, განხორციელოს პროდუქტული და პროცესული ინოვაციები, რომელიც ფირმის მწარმოებლურობაზე პოზიტიურ გავლენას ახდენს [Hall, B., Lotti F. and Mairesse J., 2009].

CIS-ის მონაცემებზე დაყრდნობით, CDM მოდელის გამოყენების საფუძველზე გამოკვლეულია ინოვაციებზე გაწეული ხარჯების, ინოვაციური საქმიანობის შედეგისა და ფირმის მწარმოებლურობას შორის კავშირები შედეგის მავალითის მიხედვით (2002-2004). ავტორების მთავარი მიზანი იყო დადგინება: 1. რამდენად შესაძლებელია ზოგადი სტრუქტურული მოდელით შეფასდეს მიკრომონაცემები ცალკეულ ქვეყნებში; 2. არსებობს თუ არა იმის აუცილებლობა, რომ ცალკე აღებული ქვეყნისთვის აიგოს სპეციფიკური, ინდივიდუალური მოდელი; 3. რამდენად ხარისხიანია CIS-ის მონაცემები. CDM მოდელის ემპირიული ტესტირება შედეგით CIS-ის მონაცემებით ძალზე პრობლემური აღმოჩნდა. ავტორებმა გამოთქვეს ეჭვი, რომ CIS-ის თანმიმდევრული და ძალზე ხარისხიანი მონაცემების მიუხედავად, იგივე მოხდება სხვა ევროპული ქვეყნების მიმართ. ამდენად, მიიჩნევენ, რომ უფრო სასარგებლო იქნება სპეციფიკური მოდელის აგება ცალკეული ქვეყნისთვის [Johansson, B. and Löf, H., 2009].

საინტერესოა ემპირიული კვლევა, რომელიც საფრანგეთის ფირმების მაგალითზე განხორციელდა და შრომის მწარმოებლურობაზე ინოვაციების ეფექტის (გავლენის) გამოვლენას ეხებოდა. ავტორებმა გამოკვლეს კვლევებსა და დამუშავებების მიმართულებით აქტიურობა და პროდუქტული და პროცესული ინოვაციები. მათ გამოიყენეს მოდიფიცირებული CDM მოდელი, რომლის ემპირიული ტესტირება მოხდა CIS-ის მონაცემებით (1998-2000 და 2002-2004 წწ.). ავტორებმა მოდიფიცირებული CDM მოდელი წარმოადგინეს 5 განტოლებიან მოდელად: 1. პირველი ორი განტოლება ითვალისწინებს, ერთი მხრივ, ფირმაში განხორციელებულ კვლევებსა და დამუშავებებზე (R&D) გასაწევი ხარჯების შერჩევას; 2. მეორე მხრივ – კვლევათა და დამუშავებებზე (R&D) ტევადობის (ინტენსივობის) დეტერმინანტებს; 3. მესამე განტოლება წარმოადგენს „ცოდნის წარმოების ფუნქციას“ პროდუქტული ინოვაციის მიმართ; 4. მეოთხე კი – „ცოდნის წარმოების ფუნქციას“ პროცესული ინოვაციის მიმართ; 5. მოდელის მეხუთე განტოლება ასახავს ორივე ტიპის ინოვაციის ზეგავლენას შრომის მწარმოებლურობაზე. ემპირიული კვლევის შედეგად როგორც სამრეწველო, ასევე სამომხმარებლო სექტორში და ორივე პერიოდში დაფიქსირებული მონაცემების მიხედვით, პროდუქტული ინოვაცია გამოვლინდა როგორც შრომის მწარმოებლურობის ზრდის მთავარი მამოძრავებელი ფაქტორი, მაშინ როდესაც პროცესული ინოვაციის ზეგავლენა ან უმნიშვნელოა, ან ნულის ტოლი. ავტორის დასკვნით, პროდუქტული და პროცესული ინოვაციები შრომის მწარმოებლურობის ურთიერთშემავსებელ დეტერმინანტებს წარმოადგენს [Mairesse, J. and Robin, S., 2009].

ამასთან, განხორციელდა ინოვაციებს, მწარმოებლურობასა და საექსპორტო საქმიანობას შორის მიზეზ-შედეგობრივი (და არა მხოლოდ კორელაციური) ურთიერთკავშირების ემპირიული კვლევა, სლოვენის მიკრომონაცემებზე დაყრდნობით (1996-2002), რომელიც მოიცავდა როგორც ფინანსურ მონაცემებს და ინფორმაციას სავაჭრო ნაკადების შესახებ, ასევე ინოვაციური და სამრეწველო მიმოხილვის მონაცემებს. ავტორები, ჩატარებული ემპირიული კვლევის შედეგად, ასაბუთებენ, რომ ინოვაციებსა და საექსპორტო საქმიანობას შორის არსებობს ორი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი: 1. კვლევებსა და დამუშავებებზე ინვესტირების გადაწყვეტილების მიღება და პროდუქტული ინოვაციის განხორციელება განაპირობებს მწარმოებლურობის ფორმირებას, რომელსაც, თავის მხრივ, საექსპორტო საქმიანობის წამოწყების გადაწყვეტილების მიღება მოჰყავს მოქმედებაში; 2. საექსპორტო საქმიანობა ფირმას აძლევს ბიძგს, განახორციელოს პროცესული ინოვაცია, რომელიც, თავის მხრივ, განაპირობებს მწარმოებლურობის ამაღლებას ხანგრძლივადიან პერსპექტივაში [Damijan, J., Kostevc, Č. and Polanec S., 2010].

მწარმოებლურობასა და საექსპორტო საქმიანობას შორის ურთიერთკავშირების ემპირიული კვლევა განხორციელდა აგრეთვე ესპანეთის მრეწველობაში ფუნქციონირებად ინოვაციური ფირმების მიხედვით. მათ შორის პოზიტიური კავშირები დადგინდა და აღინიშნა, რომ უფრო მნიშვნელოვან როლს პროდუქტული და არა პროცესული ინოვაცია ასრულებს [Cassiman B., Golovko E., Martínez-Ros E., 2010].

ავტორმა CIS-ის მონაცემებისა და CDM სტრუქტურული ეკონომეტრიკული მოდელის გამოყენებით, პირველად განახორციელა ინოვაციისა და მწარმოებლურობას შორის კავშირის კვლევა და, შესაბამისად, როდენობრივი შეფასება უკრაინის საწარმოო ფირმების მიმართ. მკვლევრები აღნიშნავენ, რომ დსო-ს ქვეყნების მიხედვით ძალზე ცოტა მსგავსი კვლევაა განხორციელებული. ემპირიული კვლევის შედეგების მიხედვით, წარსულში ინოვაციების წარმატებული განხორციელება მომავალში ინოვაციებზე გაწეული ხარჯების ზრდის შესაძლო წინაპირობას წარმოადგენს, განსაკუთრებით ეს პროდუქტულ და პროცესულ ინოვაციებს ეხება. კვლევის შედეგებიდან აღსანიშნავია: 1. ფინანსური მხარდაჭერა მთავრობის მხრიდან დადებით ზეგავლენას ახდენს ინოვაციებზე გაწეული ხარჯების მოცულობაზე, მაგრამ არა თვით ინოვაციებზე; 2. უკრაინული ფირმების მწარმოებლურობაში მთავარი წვლილი შეაქვს პროცესულ ინოვაციას, მაშინ, როდესაც პროდუქტული ინოვაციის წვლილი ძალზე უმნიშვნელოა [Vakhitova, G. and Pavlenko T., 2010].

ფირმის დონეზე არსებული კავშირები ინოვაციებსა (პროდუქტული და პროცესული ინოვაციების) და მწარმოებლურობას შორის საინტერესოდ არის გამოკვლეული ბ. პოლის მიერ. მთავარი დასკვნა არის ის, რომ პროდუქტული ინოვაცია არსებით დადებით ზეგავლენას ახდენს ფირმის მწარმოებლურობაზე, მაშინ, როდესაც პროდუქტული ინოვაციის წვლილი ფირმის მწარმოებლურობის ფორმირებაში ძალზე საეჭვოა. ავტორის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ინოვაციური აქტივობების გაზომვა ბევრ შემთხვევაში სირთულეებთან არის დაკავშირებული, ინოვაციური საქმიანობა აძლიერებს ფირმის უნარიანობას, ამოიღოს უკუგება გაწეული დანახარჯებიდან [Hall, B., 2011].

CDM სტრუქტურული მოდელის გამოყენებით განხორციელდა ინოვაციებსა და მწარმოებლურობას შორის ურთიერთკავშირების ემპირიული კვლევა პოლანდიური ფირმების შესახებ პანელური მონაცემების მიხედვით (2000-2006). კვლევის მიზანი იყო დაედგინათ, კვლევები და საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებებზე გაწეული ხარჯები რა ზეგავლენას ახდენს პატენტებზე და ეს უკანასკნელი რა ზეგავლენას ახდენს ფირმის საერთო ფაქტორული მწარმოებლურობის ზრდაზე. განხორციელებული ემპირიული კვლევის მიხედვით, კვლევებისა და დამუშავებები მნიშვნელოვან და დადებით ზემოქმედებას ახდენს ინოვაციური საქმიანობის შედეგზე.

რომელიც, თავის მხრივ, დადებით კორელაციაში იმყოფება ფირმის მწარმოებლურობასთან [Vancauteren, M. et al., 2011].

ყურადღებია ემპირიული ხასიათის კვლევა, სადაც ინოვაცია აღიარებულია, როგორც ეკონომიკური ზრდის საკვანძო ფაქტორი. ნაშრომი ფირმის მწარმოებლურობაზე ტექნოლოგიური (პროდუქტული და პროცესული) და არატექნოლოგიური (ორგანიზაციული და მარკეტინგული) ინოვაციების გავლენას (ეფექტებს) ეხება. ავტორების საკვლევი ინტერესი მდგომარეობს მწარმოებლურობის (როგორც შრომის, ასევე საერთო ფირმის) ელასტიკურობის ზომების დადგენაში ინოვაციის სხვადასხვა სახეობის ინტენსივობის მიხედვით. გარდა ამისა, მკვლევრები განიხილავენ ამ ინოვაციათა ურთიერთშეხების შესაძლებლობებს [Mohnen, P. and Hall B., 2013].

საერთოდ, ინოვაციების თეორია და ინოვაციური საქმიანობის ემპირიული კვლევა წარმოადგენს ინოვაციების არსში სიღრმისეულად გარკვევის, ინოვაციური აქტიურობის გაზომვისა და ინოვაციური პოლიტიკის ფორმირების საფუძველს. ამავე დროს, მიუხედავად გარკვეული სირთულეებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვებისა, ინოვაციების გაზომვისა და მონაცემთა შეგროვების მეთოდები არსებითი უნდა იყოს თეორიისა და პოლიტიკისათვის და მოიცავდეს როგორც თვისებრივ, ასევე რაოდენობრივ მხარეს. თუ თვისებრივი კვლევა მიმართულია დაადგინოს, მაგალითად, რა სახის ინოვაციებს ახორციელებს ფირმა, რაოდენობრივმა გამოკვლევამ უნდა გაარკვიოს, მაგალითად, ინოვაციების განხორციელებაზე ან სამეცნიერო-კვლევით საცდელ-საკონსტრუქტორო დამუშავებებზე (სკისდ-ზე) გაწეული ხარჯების სიდიდე.

შესაბამისი ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე, რომელიც ეხება სხვადასხვა (განვითარებული და განვითარებადი) ქვეყნის მიხედვით ჩატარებულ ემპირიულ კვლევებს, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ფირმის კონკურენტული უპირატესობის უზრუნველყოფასა და, შესაბამისად, ეფექტიანობის (მათ შორის როგორც შრომისა, ასევე ფირმის საერთო მწარმოებლურობის) ამადლებაში, ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინოვაციები საერთოდ, მათ შორის ტექნოლოგიური და მარკეტინგული. როგორც განვითარებული, ასევე განვითარებადი ქვეყნების მიხედვით ვლინდება საერთო დადებითი კორელაცია ისეთ ფაქტორებს შორის, როგორიცაა კვლევები და დამუშავებები, ფირმაში შექმნილი თუ გარეაღწერილი შემოდებული ინოვაციები და მწარმოებლურობა (და, შესაბამისად, ფირმის ეფექტიანობა), მიუხედავად ქვეყნებს შორის არსებული განსხვავებული თავისებურებებისა და სპეციფიკისა. გარდა ამისა, აღსანიშნავია აკადემიურ წრეებში ძალზე პოპულარული CIS-ის (ქვეყნის მასშტაბით ინოვაციური მიმოხილვის) მონაცემებისა და ე.წ. CDM სტრუქტურული ეკონომეტრიკული მოდელის მოდიფიცირებული ვერსიების (ქვეყნის სფეციფიკური ფაქტორების გათვალისწინებით) გამოყენება.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. პაპავა გ. საბაზრო ეკონომიკაზე საქართველოს გადასვლის საფუძველები. თბილისი, გამომცემლობა „ენა“, 1991.
2. პაპავა გ. სამრეწველო ფირმის ორგანიზაცია და მართვა. (ორტომეული). თბილისი, გამომცემლობა „სამშობლო“, 1998.
3. შენგელია თ. ინოვაციური პროცესები: პოლიტიკა, რეგულირება, ეფექტიანობა. თბილისი, საქპროფგამის გამომცემლობა, 1997.
4. ჩიქავა ლ. ინოვაციური ეკონომიკა. თბილისი, საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, 2006.
5. ხარებავა რ. ფირმის ეკონომიკური სტრატეგიები. თბილისი, გამომცემლობა “უნივერსალი”, 2012.
6. *Руководство Осло. Рекомендации по сбору и анализу данных по инновациям.* // Совместная публикация ОЭСР и Евростата. Москва, 2010.
7. Шумпетер Й. А. *Теория экономического развития.* Москва, «Прогресс», 1982.
8. Antonietti, R. and Cainelli, G. The Role of Spatial Agglomeration in a Structural Model of Innovation, Productivity and Export: a Firm-Level Analysis. *Special Issue Paper*, 15 December, 2009.
9. Cassiman B., Golovko E., Martínez-Ros E. Innovation, Exports and Productivity. *International Journal of Industrial Organization*, v. 28, 2010, pp. 372-376.
10. Crepon, B., Duguet, E. and Mairesse J. Research, Innovation, and Productivity: an Econometric Analysis at the Firm Level. *NBER Working Paper*, No. 6696, August, 1998.
11. Damijan, J., Kostevc, Č. and Polanec S. From Innovation to Exporting or Vice Versa? *The World Economy*, 2010.
12. Griffith, R., Huergo, E., Mairesse, J. and Peters B. Innovation and Productivity Across Four European Countries. *Oxford Review of Economic Policy*, 22, 2006, pp. 483-498.
13. Hall, Bronwyn H. Innovation and Productivity. *Nordic Economic Policy Review*, Number 2, 2011.
14. Hall, B., Lotti F. and Mairesse J. Employment, Innovation, and Productivity: Evidence from Italian Microdata. *Industrial and Corporate Change*, Volume 17, Number 4, July 10, 2008, pp. 813-839.
15. Hall, B., Lotti F. and Mairesse J. Innovation and Productivity in SMEs: Empirical Evidence for Italy. 9 May, 2009.
16. Janz, N., Löf, H. and Peters, B. Firm Level Innovation and Productivity – Is there a Common Story across Countries. *Problems and Perspectives in Management*, 2, 2003, pp. 184-204.
17. Johansson, B. and Löf H. Innovation, R&D and Productivity: Assessing Alternative Specifications of CDM-Models. *CESIS Electronic Working Paper Series*, Paper No. 159, January, 2009.
18. Löf, H., Heshmati, A., Asplund, R. and Naas, S. Innovation and Performance in Manufacturing Industries: A Comparison of the Nordic Countries. *SSE/EFI Working Paper Series in Economics and Finance* No. 457, August 6, 2001.
19. Mairesse, J. and Robin, S. Innovation and Productivity: a Firm-Level Analysis for French Manufacturing and Services Using CIS3 and CIS4 Data (1998-2000 and 2002-2004), December, 2009.
20. Masso, J. and Vahter, P. Technological Innovation and Productivity in Late-Transition Estonia: Econometric Evidence from Innovation Surveys. *European Journal of Development Research*, 02, 2008.
21. Mohnen, P. and Hall B. Innovation and Productivity: an Update. *Eurasian Business Review*, 3(1), 2013, pp. 47-65.

22. Raffo, J., Lhuillery, S. and Miotti L. Northern and Southern Innovativity: a Comparison Across European and Latin-American Countries. *The European Journal of Development Research*, Volume 20, Issue 2, 2008.
23. Vakhitova, G. and Pavlenko T. Innovation and Productivity: a Firm Level Study of Ukrainian Manufacturing Sector. Kyiv School of Economics, *Discussion Papers* 01, 2010.
24. Vancauteran, M., Bongard, R., Kort, P., Melenberg, B. and Plasmans J. Innovation and Productivity of Dutch Firms: A Panel Data Analysis. October, 2011.

*Teimuraz Gogokhia*

**TECHNOLOGICAL AND MARKETING INNOVATIONS  
IN THE INCREASING OF THE EFFICIENCY OF A FIRM**

**Annotation**

The article presents the essence, role and significance of technological and marketing innovations in the increasing of the efficiency of a firm on the examples of the developed and developing countries.

*თამარ დავითაძე*

**დაცული ტერიტორიები და ეკოტურიზმის განვითარების პირველადი საქართველოში**

ტურიზმი XXI საუკუნის ყველაზე მზარდი ინდუსტრიაა, ახალი სოციალური და პოლიტიკური მოვლენაა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მრავალი ქვეყნის თუ რეგიონის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობის მსოფლიო გამოცდილება და პრაქტიკა ამტკიცებს, რომ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, მისი ბუნებრივ-კლიმატური რესურსები და ღირსშესანიშნავი ადგილები საყოველთაო სიკეთე ხდება ტურიზმის მეშვეობით.

XX საუკუნის 70-80-იან წლებში ტურისტული მომსახურების ბაზარზე ჩნდება ახალი ტურისტული პროდუქტი – ეკოლოგიური ტურიზმი („eco-tour“), რომელიც მიზნად ისახავს მოცემული ტერიტორიის ბუნებრივი და კულტურული თავისებურების შესახებ წარმოდგენის შექმნას.

ეკოტურიზმის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს სწრაფად მზარდი მოთხოვნა ბუნებაში რეკრეაციისადმი, შესაბამისად, ეკოტურიზმის წარმატება დამოკიდებულია ბუნებრივი სამყაროს ხარისხზე, რადგან, ჩვეულებრივ, ეკოტურისტები დაინტერესდებიან არიან ადგილობრივი ხელუხლებელი ბუნებით, წარმტაცი პეიზაჟითა და ლანდშაფტებით, კულტურით, ცხოვრების სტილითა და ტრადიციებით, ხოლო ინტერესის მთავარი საგანი უშუალო ურთიერთობაა პირველყოფილ ბუნებასთან.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მიერ განისაზღვრა ეკოტურიზმის განვითარების ტენდენციები, რომლის პროგნოზითაც 2020 წლისათვის ეკოტურიზმი შევა ტურიზმის განვითარების ხუთ ძირითად სტრატეგიულ მიმართულებათა შორის.

ნებისმიერი ქვეყანა ცდილობს, სრულყოფილად გამოიყენოს თავისი გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივ-რეკრეაციული, კულტურული პოტენციალი იმისათვის, რომ მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე შესაბამისი ადგილი დაიკავოს.

ტურიზმის განვითარება საქართველოში იწყება XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე, რომელიც მასშტაბურ ხასიათს XX საუკუნის მეორე ნახევარში იღებს. ტურიზმი საქართველოს ერთ-ერთი სწრაფად განვითარებადი სექტორია. დღეისათვის ტურიზმი საქართველოში განვითარების თვისებრივად ახალ, საწყის ეტაპზე იმყოფება. ამასთან, ქვეყანას უდიდესი ტურისტული პოტენციალი გააჩნია, რომელიც ტურისტებისათვის ჯერ კიდევ ძალიან ახალი და აღმოუჩენელია.

ქვეყანას, თავისი უდიდესი ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობით, შეუძლია, XXI საუკუნეში მსოფლიოში ერთ-ერთი მიმზიდველი ადგილი გახდეს ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების მხრივ. საქართველოს მიმზიდველობა ტურისტებისათვის უპირველესად იმით განისაზღვრება, რომ აქ, შედარებით მცირე ტერიტორიაზე, შენარჩუნებულია ხელუხლებელი ბუნება, პეიზაჟებისა და ლანდშაფტების მიმზიდველობა.

საქართველოში მცირე მოცულობით ეკოლოგიური ტურიზმის თითქმის ყველა სახეა წარმოდგენილი, რომელთაგან დიდი პოპულარობითა და მოთხოვნით სარგებლობს ეკოლოგიური ორიენტაციის ერთდღიანი ექსკურსიები. ეკოტურიზმის განვითარების მთავარ ძალას წარმოადგენს ქვეყანაში არსებული დაცული ტერიტორიები თავისი უნიკალური ფლორისა და ფაუნის სინქრონული ნაზავით.

საქართველოში დაცული ტერიტორიების დაარსებას დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველი დაცული ტერიტორია – ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი – ჯერ კიდევ 1912 წელს შეიქმნა. ის სამეცნიერო კვლევითი ტერიტორიაა, სადაც უშუალოდ ბუნებრივ პირობებში მცენარეთა და ცხოველთა შესწავლა დასაშვებია არამანიპულირებადი სამეცნიერო კვლევების სახით. საქართველოში ამჟამად დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი 600 490,40 ჰექტარია, რაც ქვეყნის ტერიტორიის 8,62% შეადგენს. დაცული ტერიტორიების დაახლოებით 75% ტყით არის დაფარული. 2014 წლის მონაცემებით, საქართველოში 14 სახელმწიფო ნაკრძალი, 11 ეროვნული პარკი, 19 აღკვეთილი, 41 ბუნების ძეგლი და 2 დაცული ლანდშაფტია. ჩვენში ბუნებრივი ტერიტორიების დაცვის ისტორია საუკუნეების წინ იწყება. ჯერ კიდევ XII საუკუნეში თამარ მეფემ გამოსცა სამეფო ბრძანება ზოგიერთი ტერიტორიის დასაცავად.

1996 წელს საქართველოს პარლამენტმა გაითვალისწინა რა ქვეყნის თვითმყოფადი და უნიკალური ბუნებრივ-კულტურული გარემოს მნიშვნელობა, მიიღო კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, რომელიც ქმნის იურდიულ საფუძველს დაცული ტერიტორიების დასაარსებლად, რომელთა დანიშნულებაა დაიცვას ქვეყნის ღირსშესანიშნავი ბუნებრივი გარემო და კულტურული მემკვიდრეობა. დაცული ტერიტორიები ხელს უწყობს რეგიონის ტურისტული შემოთავაზებების დივერსიფიკაციას, ტურიზმის ინდუსტრიის რეგიონული ცენტრების ფორმირებას.

დაცული ტერიტორიების ძლიერ მხარეს მიეკუთვნება ის, რომ ისინი სახელმწიფო საკუთრებაა, მათი საფუძვლიანი შესწავლა, ბიოლოგიური, ლანდშაფტური და კულტურულ-ისტორიული მრავალფეროვნების გათვალისწინებით, საიმედო საფუძველია ტურიზმის დაგეგმარების და განვითარების მხრივ.

დაცული ტერიტორიების სუსტ მხარეებს მიეკუთვნება ადგილობრივ მოსახლეობას შორის კოორდინაციის მექანიზმის არარსებობა, რაც პირდაპირ მოქმედებს ტურიზმის დაგეგმვის და მართვის პროცესზე. დაცული ტერიტორიების არასრულყოფილი ტურისტული ინფრასტრუქტურა ასევე ერთ-ერთი შემაფერხებელი პირობაა ტურიზმის განვითარებისათვის.

არსებობს გარკვეული საფრთხეები დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებით. დაცული ტერიტორიის საფრთხედ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ის ფაქტი, რომ აღნიშნული ტერიტორიები შეიძლება არ აღმოჩნდეს მზად ტურისტებისა და დამსვენებელთა მზარდი ნაკადის მისაღებად, რაც უარყოფითად აისახება ბუნებრივ გარემოზე. გამოიწვევს უნიკალური ეკოსისტემების განადგურების საფრთხეს და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დამატებითი ფულადი რესურსის დახარჯვას.

დაცულ ტერიტორიებს სხვადასხვა გზით შეუძლია გავლენის მოხდენა ტურიზმის განვითარების პროცესებზე.

- ✓ სტრუქტურული მოწყობა და ვიზიტორების მომსახურების მაღალი დონის უზრუნველყოფა;
- ✓ პირობების შექმნა შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის;
- ✓ პროფესიული მიდგომა დაცული ტერიტორიის ტურისტული შეთავაზების ფორმირებისადმი.

რაც უფრო მაღალია დაცული ტერიტორიის პოტენციალი, მით უფრო ღირებულია მისი რესურსები და საინვესტიციო მიზიდველობა. დაცული ტერიტორიები ახდენს რეგიონის ტურისტული იმიჯის ფორმირებას, ხელს უწყობს მის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ეკოტურიზმის განვითარება ქვეყანაში ხელს უწყობს ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნას, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას ტურიზმის სფეროში, რაც გამოიწვევს აღნიშნულ რეგიონსა თუ ქვეყანაში მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას. კერძოდ, ეკოტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს მნიშვნელოვანი ბუნებრივი ტერიტორიების, ფაუნის, ეკოსისტემების, ეროვნული პარკების, ნაკრძალების, ტყეების განვითარებას.

ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებიდან ჩანს, რომ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში იგრძნობა ტურიზმის განვითარების ტენდენციები, აქედან გამომდინარე, გაიზრდება მოთხოვნა ეკოტურიზმზე, რაც განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

- ✓ ტურიზმის მოცულობის საერთო ზრდით;
- ✓ „სპეციალური ინტერესების მიხედვით მოგზაურობის“ პოპულარობის ზრდით;
- ✓ გარე სამყაროს დაცვის პრობლემების მიმართ საზოგადოების ყურადღების გამახვილებით.

ეკოტურიზმი წარმოადგენს სერიოზულ ბიზნესს. დადგენილია, რომ 1988 წელს საერთაშორისო ეკოტურისტთა რიცხვმა 157-დან 236 მლნ-მდე შეადგინა. აქედან უმეტესობა ორიენტირებული იყო ველური ბუნების ტურიზმზე. ამით სხვადასხვა ქვეყნების ეროვნულმა შემოსავალმა 93-დან 233-მდე მილიარდი დოლარი შეადგინა. ზოგიერთი ამტკიცებს, რომ აღნიშნული მონაცემები 5-7-ჯერაა შემცირებული რეალურ სიტუაციასთან შედარებით.

შემოსავალი ტურიზმის ერთადერთი შედეგი არ არის, შემოსავლის მიღებასთან ერთად გათვალისწინებული უნდა იქნეს იმ დანაკარგის მოცულობა, წილი რომლის შედეგადაც ვიდებთ შემოსავალს.

ვერანაირი შემოსავალი ვერ უშველის პარკსა თუ დაცულ ტერიტორიას, თუ არ აღმოფხვრა ეკოლოგიური დეგრადაციის ძირეული მიზეზები. ყველაზე მეტ ზარალს ბუნებას, უნიკალურ ეკოსისტემებს ადამიანი აყენებს, რომელიც სარგებლობს ბუნებრივი რესურსებით (ტრადიციული სასოფლო სამუშაოები, ნადირობა თუ სხვა). მისაღებია ზომები ამ საკითხთან დაკავშირებით, უნდა შემცირდეს ან საერთოდ აიკრძალოს დაცულ ტერიტორიებთან ახლოს აღნიშნული ქმედებები, რითაც ადამიანი უდიდეს ზიანს აყენებს უნიკალურ ბუნებას.

საქართველოს რეგიონებში ეკოტურიზმის განვითარებით შეიძლება მივიღოთ შემდეგი შედეგები:

- ✓ განვითარდება ადგილობრივი მეურნეობა (სასტუმროები, რესტორნები, ხალხური რეწვა, სატრანსპორტო სისტემა, მომსახურების ხარისხი);
- ✓ ტურიზმის სფეროში და საქმდება ადგილობრივი მოსახლეობა;
- ✓ ადგილობრივ ბიუჯეტში მოხდება უცხოური ვალუტის შემოდინება;
- ✓ მრავალფეროვანი გახდება ადგილობრივი ეკონომიკა;
- ✓ ამაღლება მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების დონე;
- ✓ უზრუნველყოფილი იქნება ბუნებრივი, სოციალური და კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნება;

✓ ბუნების დაცვითი ღონისძიებების ხარჯების შემცირება.

იმ შემთხვევაში, თუ ეკოლოგიური ტურიზმის განვითარება და ახალი სტრატეგიების დანერგვა არამიზნობრივად მოხდება, შეიძლება უდიდესი ზიანი მივაყენოთ ეკოლოგიურ გარემოს, კერძოდ:

✓ ტურისტულ რაიონებში სატრანსპორტო საშუალებების ინტენსიურმა გამოყენებამ შეიძლება ნორმაზე მეტად დააბინძუროს ჰაერი;

✓ ტურისტულ ობიექტზე ნარჩენების დაყრით და საკანალიზაციო სისტემების გაუმართაობით დაბინძურდეს მდინარეები, ტბები, ჩამდინარე და მიწისქვეშა წყლები;

✓ არასწორად დაგეგმილმა თუ აშენებულმა ტურისტულმა საწარმოებმა და ობიექტებმა, მათმა არასწორმა განლაგებამ, შესაძლებელია გააუარესოს ბუნებრივი ლანდშაფტების ესთეტიკური მხარე, დააზიანოს ისტორიული ძეგლები;

✓ წარმოიშვას ტურისტების მიერ ბუნებაში დატოვებული ნარჩენების შეგროვებისა და გატანის პრობლემა, მოხდეს ტურისტულ ობიექტებთან მისი არასწორი უტილიზაცია;

✓ ტურისტული საქმიანობის არასწორი დაპროექტება, დაგეგმვა და განთავსება წარმოშობს მიწათსარგებლობასთან დაკავშირებულ რისკებსა და პრობლემებს.

✓ მრავალი რეგიონის გამოცდილება ცხადყოფს, რომ ბუნებრივ ლანდშაფტებს, ფლორას და ფაუნას, ეკოტურიზმის სახეების სწორად განვითარების შემთხვევაში, განვითარებადი ქვეყნებისათვის დიდი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული სარგებლის მოტანა შეუძლია.

დღეისათვის საქართველოში შესაძლებელია ტურიზმის სხვადასხვა მიმართულებით განვითარება, რომელთაგანაც, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ეკოლოგიურ ტურიზმს, რომლის განვითარების პოტენციალი და პერსპექტივები აქ ძალიან დიდია.

ქვეყნის ტერიტორიის 8,62%-ს შეადგენს საქართველოში არსებული დაცული ტერიტორიები, რომელიც ეკოტურიზმის მთავარი საფუძვლი ბარათია.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველო უნიკალური ქვეყანაა თავისი განფენილობითა და ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსებით, რომელიც შეგვიძლია ვაქციოთ „ეკოტურიზმის მარგალიტად“, რისი პოტენციალიც ქვეყნისათვის განუსაზღვრელია. ტურიზმის აღნიშნულ სფეროში ინვესტიციების დაბანდების შემთხვევაში, 2020 წლისათვის მნიშვნელოვნად გაიზრდება ეკოტურისტთა რაოდენობა, რაც ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ერთგვარი ხელშემწყობი წინაპირობა იქნება.

თანამედროვე პირობებში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისთვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

✓ საქართველოს ტურისტული პოტენციალის, არსებული ტურისტული პროდუქტების შესახებ ფართო მასებისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით სარეკლამო მასალების მომზადება (ბეჭდვითი, აუდიო და ვიდეო პროდუქცია, სასაჩუქრე აქსესუარები);

✓ სხვადასხვა ქვეყნის წამყვანი მასმედიის საშუალებებისა და მსხვილი ტუროპერატორებისათვის პრეს და გაცნობითი ტურების ორგანიზება საქართველოს რეგიონებში;

✓ საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის, პოზიციონირებისა და ტურისტული ნაკადის გაზრდის მიზნით, კერძო სექტორთან ერთად, საერთაშორისო გამოფენა- ბაზრობებში მონაწილეობის მიღება;

ამჟამად საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულია სამთავრობო პროგრამა „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსათვის“, სადაც განხილულია ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2014–2017 წლებისათვის. პროგრამაში, ეკონომიკური პოლიტიკის ღონისძიებების განხორციელების კუთხით, აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობა ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას, რაც ეკონომიკური აღმავლობის, ასევე შემოსავლებისა და დასაქმების შესაძლებლობების ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. ანზორ დევაძე, ნოდარ გრძელიშვილი. ტურიზმი საქართველოში, არსებული მდგომარეობა, პრობლემები და პერსპექტივები“, თბილისი, 2012.
2. Папирян Г.А. Экономика туризма. – М., Статистика, 2012.
3. Храбовченко В.В. Экологический туризм: учебно-методическое пособие. – М., Финансы и статистика, 2013.
4. Миркин Б.М. Туризм и охрана природы: компромисс возможен. М., 2009.

*Tamar Davitadze*

#### PROTECTED AREAS AND THE DEVELOPMENT OF ECOTOURISM POTENTIAL IN GEORGIA

##### Annotation

In the article it is mentioned that in Georgia Ecotourism is on the initial and new level of development. The country also has great tourism potentials some of them are new and are not discovered by tourists yet. Ecotourism offers to protect areas as this would unnecessarily restrict the range of activities included in ecotourism products and tours. However, protected areas, particularly National Parks, are often the most visible ecotourism destinations and attract not only the greatest visitor interest, but also the greatest effort towards ecotourism development. It is often hoped that the development of ecotourism will offer new income opportunities to communities in the vicinity of protected areas, thereby reducing the need of these communities to engage in other, environmentally more damaging activities. Georgia's main strength of ecotourism are protected areas with its unique flora and fauna.

There are given some ways to solve those problems that are in direct connection with the defense of protected areas and prospects of ecotourism development in the country at Georgian tourism market.

*მაია ღიაკონიძე*

**ტურიზმი, როგორც ძველის ეკონომიკის პერსპექტიული მიმართულება**

ტურიზმი XXI საუკუნის ერთ-ერთ სწრაფად განვითარებად დარგად მიიჩნევა. მან მოიცვა ჩვენი თანაცხოვრების თითქმის ყველა სფერო და რეალურად შეცვალა გარემომცველი სამყარო. ტურიზმი, როგორც მსოფლიო ეკონომიკის საკმაოდ რენტაბელური დარგი, ქვეყნის ეროვნული ეკონომიკისა და ბიზნესის წარმატებული განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა. ტურიზმი მეტად საყურადღებო სოციალურ-ეკონომიკური მოვლენაა. მისი როლი და მნიშვნელობა განუწყვეტილად იზრდება, როგორც ქვეყნის ეკონომიკაში, ისე მსოფლიოში მთლიანად.

ტურიზმი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული მოვლენაა, რომელიც გულისხმობს ადამიანთა გადაადგილებას ქვეყნებში დასვენების, თავისუფალი დროის ხარჯვის ან ბიზნეს მიზნებით. მსოფლიო ტურიზმი სორგანიზაცია ტურისტებს შემდეგნაირად განმარტავს: „ხალხი, რომელიც ტოვებს თავის ჩვეულ გარემოს და მიემგზავრება სხვა ადგილას ერთ თანამიმდევრულ წელზე ნაკლები ხნით, დასვენების, თავისუფალი დროის ხარჯვის ან სხვა მიზნებით“.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საკურორტო მომსახურების სფეროს განვითარებას, რადგან მას შეუძლია ქვეყანაში არსებული მრავალი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის (დასაქმება, შემოსავლების გაზრდა და ა.შ.) გადაჭრა. საქართველოს ტურისტულ ბაზარზე სახელმწიფო ზემოქმედების მექანიზმების შესწავლა გვარწმუნებს ტურიზმის სახელმწიფო რეგულირების უაღვიანობაზე, რომელიც, გლობალიზაციის მძლავრი პროცესების მიუხედავად, დარგის სპეციფიკური თავისებურებითაა განპირობებული. საკითხი ეხება საქართველოში ტურისტული ბაზრის რეგულირების არა მარტო მექანიზმების გამოყენებას, არამედ ტურისტული პროდუქტის ფორმირებისა და მისი ზრდა-განვითარების პერსპექტივებს.

ტურიზმი ხასიათდება განვითარების სწრაფი ტემპებითა და შემოსავლების ზრდის დადებითი ტენდენციით. ათწლეულების განმავლობაში ტურიზმი განაგრძობს ზრდის ტემპების შენარჩუნებას და თითქმის უტოლდება ეკონომიკის ისეთ მსხვილ სექტორებს, როგორცაა ნავთობწარმოება, მანქანათმშენებლობა და კვების ინდუსტრია.

**საერთაშორისო გადაადგილების ზრდის ტენდენცია**

	2011	2012	2013	2014
საერთაშორისო მოგზაურობები	+5%	+4%	+4%	+4,5%
დანახარჯები გადაადგილებებიდან	+8%	+4%	+6%	+6%

წყარო: unwto.org

საერთაშორისო გადაადგილებების რიცხვმა გადააჭარბა პროგნოზებს, რომლებიც მსოფლიო ტურისტულმა ორგანიზაციამ გამოაქვეყნა 2010–2030 წლებისათვის. UNWTO-ს (მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია) 2014 წლის პირველი 8 თვის მონაცემებით ტურისტული გადაადგილებების რიცხვმა მთელ მსოფლიოში 4,8 %-მდე იმატა წინა 5 წელთან შედარებით. რეგიონების მიხედვით სურათი შემდეგნაირია: აშშ – 8%; აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი +5%; ევროპა 4%.

ტურიზმის ეს გლობალური გავრცელება დადებითად აისახება ისეთი პრობლემების მოგვარებაზე, როგორცაა შემოსავლების ზრდა, დასაქმება და ცხოვრების დონის ამაღლება. მსოფლიოში ბევრი ქვეყანა ცდილობს, ტურიზმი ეკონომიკის წამყვან სფეროდ აქციოს და მისგან მაქსიმალური შედეგი მიიღოს.

ტურიზმი არის დარგი, რომელიც ინტენსიურად ქმნის სამუშაო ადგილებს, იმ დროსაც კი, როცა ეკონომიკის სხვა დარგებში შეიძლება ფიქსირდებოდეს რეგრესი. პატარა და განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის 50%-ზე მეტი დასაქმებულია ჩართულია საქმიანობაში, რომელიც პირდაპირ ან ირიბად მასთან არის დაკავშირებული. მოგზაურობა და ტურიზმი იწვევს ეკონომიკური აქტივობის დივერსიფიკაციას და შესაძლებლობას, სოფელ ადგილებში შეიქმნას სამუშაო და სიმდიდრე. ყურადსადეგია ასევე ის, რომ ზოგადად მსოფლიოში ხელმისაწვდომი სამუშაო ადგილებიდან დაახლოებით 8% დასაქმებულია ტურიზმის სექტორში და მოსალოდნელია, რომ სამუშაო ადგილების რაოდენობა ყოველწლიურად 9%-ით გაიზრდება, 2019 წლისათვის კი დაახლოებით 296 მილიონს მიაღწევს. თვალსაჩინოებისათვის შეიძლება მოვიყვანოთ აშშ-ს სტატისტიკის დეპარტამენტის კვლევა დასაქმების ზრდასთან დაკავშირებით, სადაც დათვლილია ბოლო 30 წლის მონაცემები. ამ მონაცემების მიხედვით, ტურიზმში დასაქმება გაზრდილია 32%-ით, ხოლო სხვა სფეროებში 25%-ით. ასევე მოთხოვნა მენეჯერებზე საზოგადოებრივი კვების ობიექტებში გაზრდილია 47%-ით. ტურიზმის ინდუსტრიას კიდევ ერთი დადებითი თვისება გააჩნია, მას შეუძლია დაასაქმოს სხვადასხვა პროფილის სპეციალისტები, ვინაიდან ის წარმოადგენს მულტიდისციპლინურ კომპლექსს და არ ზღუდავს შრომის ბაზრებზე არსებული სხვადასხვა კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ძალის დასაქმების პერსპექტივას.

ვინაიდან ტურიზმი წარმოადგენს საქმიანობის მეტად რთულ სფეროს, რომელიც მოიცავს საზოგადოებისა და ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებს, ამიტომ იგი უნდა განვიხილოთ, როგორც მოთხოვნა-მიწოდების ფაქტორთა ურთიერთ დაკავშირებული სისტემა.

ტურიზმში მოთხოვნის ფაქტორებია საერთაშორისო და შიდა ტურისტული ბაზრები და ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც იყენებს ტურისტულ ღირსშესანიშნაობებს, ობიექტებს და მომსახურებას. მიწოდების ფაქტორები კი მოიცავს:

1. ტურისტულ ღირსშესანიშნაობებს, კერძოდ, ბუნებრივ, კულტურულ და ისეთ სპეციალურ ობიექტებს, როგორცაა თემატური პარკები, ზოოპარკები, ბოტანიკური ბაღები და სხვა, აგრეთვე საქმიანობის იმ სახეებს, რომელიც დაკავშირებულია ამ ღირსშესანიშნაობებთან;

2. ტურიზმის ძირითად საშუალებებს, რომელსაც მიეკუთვნება სასტუმროები, კემპინგები, სტუმრის სახლები და განათავსების სხვა საშუალებები, სადაც ტურისტები დამეს ათენებენ;

3. ტურებისა და მოგზაურობების ორგანიზაციას, რესტორნებს, მაღაზიებს, საბანკო მომსახურებას, ვალუტის გაცვლას, აგრეთვე სამედიცინო პუნქტებს.

ბუნებრივია, ზემოაღნიშნული მიწოდების ფაქტორებით სარგებლობისათვის საჭიროა გამართული ინფრასტრუქტურა, რომელიც მოიცავს ტრანსპორტს, ენერჯიას, ტელეკომუნიკაციებს, ნარჩენების მოცილებას და სხვა.

შესაფერისი ინფრასტრუქტურას ჭირდება ბუნების დაცვასაც, რომელიც ხელს უწყობს გარემო ბუნების მდგრად შენარჩუნებას, რაც ასევე უცილებელია ტურიზმის ბიზნესის განვითარებისთვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტურიზმის ძირითადი ფუნქციაა, დააკმაყოფილოს მოსახლეობის ტურისტულ-რეკრეაციული მოთხოვნილებანი, მაგრამ ამავე დროს, იგი ასრულებს ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ ფუნქციებსაც [6].

**ტურიზმის ეკონომიკური ფუნქცია ვლინდება რამდენიმე ფორმით:**

1. სწორი ორგანიზაციის პირობებში მას მოაქვს მოგება (მათ შორის უცხოური ვალუტაც), მაშინ, როცა სხვა დარგებში მოგების მიღებას სჭირდება რამდენიმე ან ათეული წელი;

2. ტურიზმის მეშვეობით ხორციელდება ე.წ. „უხილავე ექსპორტი“, როცა ქვეყანაში ჩამოსული ტურისტი ტურისტულ მომსახურებას იძენს უცხოურ ვალუტაზე და ქვეყანაში შემოაქვს სავალუტო შემოსავლები;

3. ტურისტული კომპლექსების ფუნქციონირება დიდადაა დამოკიდებული ტურიზმის მომსახურე დარგების განვითარების დონეზე. კერძოდ, საგარეუბნო ტიპის სოფლის მეურნეობაზე, კვებისა და მსუბუქი მრეწველობის ცალკეულ დარგებზე, ტრანსპორტზე, სამშენებლო ინდუსტრიაზე, საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურაზე, კულტურულ მომსახურებაზე და სხვა [6].

**შემოსავლები საერთაშორისო ტურიზმიდან  
(1000 აშშ დოლარი)**

2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
383746	446646	475889	659245	954909	1410902	1719700	1394925
16 %	16%	7 %	7%	45 %	48 %	22 %	

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ტურიზმის სოციალური ფუნქცია ვლინდება იმაში, რომ:**

ა) იგი ასტიმულირებს კულტურათა შორის გაცვლით ურთიერთობებს;

ბ) საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას;

გ) განათლებას საკუთარი ქვეყნის შიგნით;

დ) რეკრეაციული შესაძლებლობების უზრუნველყოფას.

საკურორტო ტურისტული ინდუსტრია, როგორც ინტეგრირებულ და მრავალრიცხოვან თანამედვე დარგთა ერთობლივი სისტემა, საზოგადოების წევრთა მატერიალურ და სულიერ ცხოვრებაზე მზარდ გავლენას ახდენს. ამიტომ მისი ეფექტური ფუნქციონირების ეკონომიკური, სამართლებრივი და ორგანიზაციული პირობების ანალიზსა და ყოველივე ამის საფუძველზე გლობალიზაციის თანამედროვე რთულ პროცესში დარგის განვითარების თავისებურებებისა და ტენდენციების მეცნიერულ შესწავლა-შეფასებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ტურისტული ინდუსტრიის სწრაფი ტემპებით განვითარებამ ამ ქვეყნების ეროვნულ ეკონომიკებში დადებითი ეფექტები აშკარად წარმოაჩინა: საკურორტო ინდუსტრიის საწარმოების სოციალურ-ეკონომიკური და ტექნიკურ-ტექნოლოგიური განვითარება; ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, მომუშავეთა შემოსავლების გადიდება და სხვ., ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, კვების მრეწველობა და ა.შ. მიიღწევა. იზრდება ქვეყნის ეროვნული მთლიანი შიდა პროდუქტი, მატულობს უცხოური სავალუტო შემოსავლები, რაც საბოლოოდ ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონეს აუმჯობესებს და, საგადაამხდელ ბალანსის დეფიციტის შემთხვევაში, მისი შემცირების მნიშვნელოვან რეზერვად გვევლინება.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთობების კარდინალურმა ცვლილებებმა ტურისტული და საკურორტო მეურნეობის ფუნქციონირების მდიდარი ტრადიციები მოშალა და არსებული ინფრასტრუქტურა საგრძნობლად გაანადგურა. აღნიშნულის გამო, საქართველოს ტურისტული და საკურორტო მეურნეობა ამჟამად განვითარების საწყის ეტაპზე იმყოფება.

საქართველოს, ბუნებრივი კლიმატური მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, დიდი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს შავი ზღვის სანაპირო ზოლის არსებობა, რომელიც მეტად მიზიდველ ადგილს წარმოადგენს როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ტურისტებისათვის. საქართველოს კარგი პოტენციალი გააჩნია სამთო-სათხილამურო სპორტის, ალპინიზმის, აგროტურიზმის განვითარებისათვის, რასაც განაპირობებს დიდი და მცირე კავკასიონის მთაგრეხილების არსებობა. კავკასიონის მრავალი მწვერვალის სიმაღლე 4000 მეტრს აღემატება, ხოლო შხარა და ყაზბეგი 5000 მეტრსაც კი აღემატება.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა საკმაოდ მდიდარია ტურისტული რესურსებით, დარგი განვითარებული მაინც არ არის. ტურიზმის სექტორის განვითარებლობაზე უამრავი ფაქტორი მოქმედებს, მათ შორის:

1. ტურიზმში არ არსებობს ერთიანი აღრიცხვის სისტემა, რომელიც პროგნოზების გაკეთების საშუალებას იძლევა და შემდგომი მუშაობისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

2. არ არის ერთიანი მონაცემთა ბაზა ტურისტული რესურსების შესახებ რევიონების მიხედვით.



3. ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია კანონი ტურიზმის შესახებ.

4. არ არის სახელმწიფო სტრატეგია ტურიზმის განვითარების მიმართულებით (არსებობს მხოლოდ სამუშაო ვერსია)

ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში არ ხდება ტურიზმის ეკონომიკური ზემოქმედების შესწავლა და განსაზღვრა, ეროვნული ტურიზმის ეკონომიკური პარამეტრები უცნობია. ხდება მხოლოდ ტურისტული სტატისტიკის შედგენა 2 მეთოდით, პირველი მათგანი ეყრდნობა საზღვრის კვეთის მონაცემებს და აგროებს შსს უბრალოდ დათვლის მეთოდით, ხოლო მეორე UNWTO-ს რეკომენდაციებს და გამოიყენება საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის (GNTA) მიერ. ტურისტთა რაოდენობა ამ შემთხვევაში ითვლება საერთაშორისო გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით. არსებული მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველოში საერთაშორისო მოგზაურების რიცხვი ნამდვილად იზრდება. 2012-13 წლებს შორის ტურისტთა რაოდენობის 22%-ით მატება დაფიქსირდა. საზღვარგარეთიდან ჩამოსული ტურისტების საერთო რაოდენობის 34,6% ევროკავშირის ქვეყნებზე, 25,8% დსთ-ს ქვეყნებზე, ხოლო 37,3% სხვა ქვეყნებზე მოდის [3].

**საერთაშორისო მოგზაურთა სტატისტიკა**

2009	2010	2011	2012	2013	2014
1500049	2031717	2822363	4428221	5392303	593492
35 %	39 %	57 %	22 %	2 %	2 %

**წყარო:** შინაგან საქმეთა სამინისტრო

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ტურიზმის განვითარება ცალსახად უწყობს ხელს წარმოების სხვა დარგების განვითარებასაც. ისეთების, როგორიცაა: სოფლის მეურნეობა, ინფრასტრუქტურა და მრეწველობის სხვადასხვა დარგები. განვითარებული ტურიზმი ხელს უწყობს:

- ქვეყნის ცნობადობის ამაღლებას საერთაშორისო ასპარეზზე.
- ტურისტული მოთხოვნის ზრდას.
- ინვესტიციების შემოდინებას.
- ეკონომიკურ ზრდას.
- დასაქმებული კადრს რაოდენობის ზრდას.
- მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

საბაზრო მექანიზმის უნარი, დაარეგულიროს მოთხოვნა-მიწოდების პროცესები იმ მიზნით, რომ გადალახოს მათ შორის არსებული დისბალანსი, იმედს იძლევა, რომ საქართველო შეძლებს არსებული პრობლემების გადალახვას, თუმცა, აუცილებელია, სახელმწიფოს მხრიდან სწორი პოლიტიკის განსაზღვრა და ხელშეწყობა.

აღნიშნული პრინციპულად ახლებურ მიდგომასა და მეცნიერულ კვლევებს მოითხოვს. ამ თვალსაზრისით, სამამულო მეცნიერებისა და პრაქტიკოსების მიერ ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით, შესაძლებელია პრაქტიკული რეკომენდაციები საკურორტო ტურიზმის განვითარების პერსპექტივების შესახებ, რომელიც ჩვენი ქვეყნისათვის ერთ-ერთ სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემას წარმოადგენს.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. მ. მეტრეველი, „ტურიზმისა და სტუმართმასპინძლობის საფუძვლები“, თბილისი, 2008.
2. Марина Метрели, Итоги и Прогнозы, Business Time Georgia, თბილისი, 2015.
3. <http://www2.unwto.org/content/why-tourism>
4. <http://www.tppra.org/ru/%D0%BF%D1%83%D0%B1%D0%BB%D0%B8%D0%BA%D0%B0%D1%86%D0%B8%D0%B8/intervyu-doktora-ekonomicheskikh-nauk-zishalashaa-torgovo-promyshlennoy-palate-respubliki>
5. <http://www.spargalki.ru/tourism/74-tehnologii-v-turizme.html?start=4>
6. საქართველო და ტურიზმის განვითარება <http://georgiantourizm.blogspot.com/>

*Maia Diakonidze*

**TOURISM AS A PROMISING SECTOR OF THE NATIONAL ECONOMY**

**Annotation**

Over the decades, tourism has experienced continued growth and deepening diversification to become one of the fastest growing economic sectors in the world. Modern tourism is closely linked to development and encompasses a growing number of new destinations. These dynamics have turned tourism into a key driver for socio-economic progress.

*Tatiana Diaconu*

**ONE WAY ON DEVELOPMENT OF AGRICULTURAL ENTERPRISES FOR IMPROVING TRADE OF THE REPUBLIC OF MOLDOVA WITH AGRO-FOOD PRODUCTS**

In the first decades of the XXI century is certifying a very high level of changes in the agro-food system, both on global level as well on regional and local level. An agro-food system comprises a set of activities and relations that interact in order to determine the type, quantity, methods and actors involved in the production, processing, distribution and consumption of agro-food products.


Agro-food systems include not only aspects of food production but also preparation of agricultural inputs, processing, distribution, access, usage, recycling agricultural products and waste for leading agro-food industries to a sustainable growth. [8].

Agro-food industries can be sustainable only in the case if they will be competitive in terms of costs, prices, operational efficiency, offers of products and other associated parameters and only if prices paid to farmers shall be remunerative. Establishing and maintaining competitiveness is a particular challenge for small and medium agro-industrial enterprises, and also for small farms. Although, agro-food industries have the potential to provide secure and stable sale markets for most agricultural products, including those produced by small farms, the necessity to ensure a certain level of competitiveness mainly favors farms which are able to deliver a larger quantities and higher quality products.

The transformation and global modernization of agro-food sector has encountered many challenges during time. Countries with economies in transition faced with complex processes of transforming of political and economic systems. In these countries, the liberalization of exchange rates and prices, and also the privatization of farms and enterprises have caused a collapse of the vertical coordination system and significant disruptions in the agro-food chain. Disruptions in the relationships between agricultural producers, input suppliers and food enterprises also resulted from serious constraints faced by many farms in accessing certain essential inputs such as feed, fertilizer, seed capital, etc. [9]

Also in many countries with economies in transition privatization and market liberalization have led to a decline in the inputs supply and credit to farms and disrupted the activity of several agricultural institutions controlled by the state, agricultural and consumer cooperatives as well as of processing enterprises [2].

Analyzing the economy of the Republic of Moldova since 2000 until now, we shall observe that it recorded certain increasing economic trends. The most important contribution to economic growth belongs to agro-food sector, where however the population involved remains to be predominant. Among the most important factors stimulating the economic growth imports and remittances from abroad were increased. To formulate a strategic limitation in the future in the context of designing an integrated system of agro-food production, we intend to perform an analysis of the agricultural production structure by categories of enterprises of the Republic of Moldova in order to better adjust the system which shall lead to increase economic efficiency of this sector. [10, 11]



**Fig. 1 STRUCTURE OF AGRICULTURAL PRODUCTION, BY CATEGORIES OF PRODUCERS (in percentage to the total volume of production)**

Source: National Bureau of Statistics

So from the above data we shall find out that most of the agricultural production is obtained from households making up 51.6% in 2006 and 38.4% in 2013.

The decrease of production achieved in households, production obtained in agricultural individual sector is also in continuous decrease. The share of agricultural production in farms and in households in 2006 was 20.2 % of total production and decreased up to 17.8% for 2013.

However, during 2013 was registered an increase of agricultural production about twice compared to 2006 in the agricultural enterprises, but also the level of agricultural production in 2009 decreased compared to the previous year by 5.1%. This decrease was determined due to the risks posed by climate change for agriculture in Moldova, which cannot be effectively managed as well as the use of waste technology.

Thus, in this socio-economic context, existing both on national and international level, as well as the crisis increasingly stronger of natural resources faced by the Republic of Moldova, I suggested to research and analyze a topical subject for companies from the agro-food field, and not only.

This refers to the design of a certain integrated system of agro-food production, whose aim is to improve continuously safety and quality of food, by compliance with norms of European industrial best practices, to reduce the impact on natural capital by reducing the cost expressed in money, time and human resources that are usually involved in the realization of such a project, to strengthen local and regional economy by the production of agro-food products and sustainable services and to capitalize the elements of social and cultural capital – by training programs, awareness and ongoing communication with interested parties and by respecting ethical principles, thereby reducing pressure on the carrying capacity of the natural capital.

In general, integrated systems are systems that require certain assimilation, a melding of all parties in a whole, fully harmonized. From the functional point of view, integrated systems may already be complete, providing a closed circuit of input, output and function elements in order to realize something useful for achieve a goal. [3]

Integrated agro-food production systems have developed as business with a primary base integrated system of agro-food nature that becomes the start of a cyclical development, with the ultimate in food, non-food as well as other economic results. This way of connections between elements of the system eliminates many of the economic barriers as well as commercial, industrial, administrative and in general of business barriers. [6]

Under structural aspect of system activities, it includes both the supply and production of raw materials, processing, as well as all necessary actions in relation with the consumer / beneficiary products. From the economic point of view, top management monitors the profit evolution and its reinvesting in order to improve the whole business. [6]

The process of conception and design of a certain integrated system of agro-food production is generated and channeled to certain conditions, being structured in several stages.

1. Analysis of available personnel resources
2. Choosing Business
3. Establish objectives of the system
4. Develop strategy
5. Develop financial plan and budget
6. Construction of evaluation and monitoring elements of the integrated system [8, 3.]

Process chain formed of these steps is partially or fully reversible. In succession of going through these stages occurs feedback, so that after each step is compared the results with needs and with initial purpose or mission and business strategy, performing the necessary corrections. There are practical situations to which correction can be made after going through several steps or even final, or situations where anomalous deviations are found out from the mission or initial strategy of business. In these situations, the whole business shall be reconsidered in terms of resources, placement, structure, contents or starting time, the corrections being partial or total. [4, 5, 7]

Addressing issue must be systemic, reported to inputs, outputs, internal and external control mechanisms, conditions and disruptive factors. Every technological flux has a highly complexity, but it is very important that it shall be addressed as unitary from the level of whole integrated system of agro-food manufacturing. Decision regarding opportunity and construction of a certain integrated system of agro-food production is the result of a complex systemic analysis of an existence and level of available components: raw materials, land, equipment, technologies, own sales network etc. The difference between separate component systems (economic, industrial, commercial) and integrated systems of agro-food production consists in the fact that the last have many internal possibilities of interconnection between elements, and also of temporary support from certain economic unprofitable activities producing raw materials or strict conditions necessary for performing activities more economic profitable than the market average. Within this integrated system of production all entrepreneurial activity is based on five functions of enterprises and of management during all value chain.

Prospects for evolution of integrated systems for agro-food manufacturing are related to the dynamic general evolution of Europe and, in particular, of evolution trends of agro-food sector. Thus, within development conditions of sustainable agro-food production, combined with new quality and food safety condition, but also with environmental requirements occur new restrictions with competitive factors role. Intra-European agricultural trade balances are generating new disparities, being strongly negative for certain component countries and strongly positive for other. The development, composition and direction of trade in agro-food production reveals interesting aspects on agro-food products from this region, causing also damage situations. The introduction of strict standards with quality and food safety requirements lead to an increase of production costs for food products, especially in the newly integrated countries, who have lack of necessary experience and, naturally, spend more money with technical and specialists. [4, 12]

## CONCLUSION

Agro-food sector is one of the most important sectors and has a huge contribution on the economy of the Republic of Moldova. Currently, in condition of limited character of resources in the Republic of Moldova and the exodus of human resources in rural areas, as well as weak links between primary agricultural production, processing industry and trade sector, results the necessity to improve the quality of products of this sector and looking for certain effective management options of trade relations on their markets. This aspect requires the implementation of integrated policies leading to a sustainable development of agro-food sector by the production and marketing of agricultural products through more rational methods. In this context, one solution shall be implementation of integrated system of agro-food production that shall lead to a sustainable development of this sector. Thus, small and medium entrepreneurs from agro-food industry by integration of these systems shall give an example of a more efficient and flexible response to the demand of internal and external markets and shall lead directly to the increased of national wealth.

## REFERENCES

1. Anna LOHIN, Designing the eco-management integrated system in food industry of Romania, Bucharest 2011
2. 2 Carlos A. da Silva et al. Agro-industries for development. Edited by FAO / CAB International, 2009
3. Dumitru Lucu, Dumitru Mnerie, Gabriela Anghel - Prospects of integrated systems of agro-food production in the European economy, AGIR bulletin, The quality impact on Romania's integration into the European economic space, Industry, agriculture, environment, ISSN 1224-7928, year IX, no.4, October-December 2004, page 73-76;
4. D.Tucu, D. Mnerie, Integrated systems for agro-food production, publisher University Horizons, Timisoara, 1998
5. D. Tucu, D. Mnerie, Food industry technologies and nourishment, publisher University Horizons, Timisoara, 1999
6. D. Mnerie, D. Tucu, Opportunities of integrated systems for agro-food production, publisher University Horizons, Timisoara, 1999
7. D. TUCU, D. Handles, Integrated systems for agro-food production, publisher University Horizons, Timisoara, 2000
8. Pimbert Michel P. year 2001. Global Restructuring, Agro-Food Systems and Livelihoods. Gatekeeper Series No.SA 100.
9. Victor Moroz, Mihail Poisic, Ignat Anatolie, TRANSFORMATION OF AGRO-FOOD INDUSTRY IN THE REPUBLIC OF MOLDOVA. [ince.md/ro/engine/download.php?id=144]
10. <http://www.mec.gov.md/ro/content/comert-exterior> (accessed on January 01, 2015)
11. [www.statistica.md](http://www.statistica.md) (accessed on January 23, 2015)
12. [http://www.agir.ro/buletine/279.pdf]

*Tatiana Diaconu*

## ONE WAY ON DEVELOPMENT OF AGRICULTURAL ENTERPRISES FOR IMPROVING TRADE OF THE REPUBLIC OF MOLDOVA WITH AGRO-FOOD PRODUCTS

### Annotation

Changes and global modernization of agro-food industry faced some provocations. Setting and maintenance of competitiveness are special provocations for small and medium enterprises of the Republic occupied in agro-food industry has great potential to expose new stable markets for agricultural products, including that of small and medium enterprises.

**ინტერნეტმარკეტინგი, როგორც მარკეტინგული კომუნიკაციის ფორმა და მისი ბანკოთარების პერსპექტივები საქართველოში**

მარკეტინგმა და მარკეტინგულმა კომუნიკაციებმა განვითარების რთული გზა განვლო. საქართველოში, განვითარებადი ქვეყნების მსგავსად, ცვალებადი გარემოა და ცვლილებების პროცესს პროფესიული, ფრთხილი მიდგომა სჭირდება, რათა ის უმტკივნეულოდ განხორციელდეს, მაქსიმალურად სწრაფად მოერგოს თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნებს და გააგრძელოს განვითარება.

ინტერნეტზე მარკეტინგული კომუნიკაცია მოიცავს რეკლამას, გაყიდვების სტიმულირებას, პერსონალურ გაყიდვებს, პირდაპირ მარკეტინგსა და საზოგადოებასთან ურთიერთობას. გარდა ამისა, თანამედროვე შედარებით ახალ სახელმძღვანელოებში დამატებით განიხილება ინტერნეტზე მარკეტინგული კომუნიკაციის ალტერნატიული მეთოდები. ინტერნეტმარკეტინგი, ღონისძიების მართვა, შეფუთვა და სხვა. თემაში განვიხილავთ და გავარკვევთ მათ თავისებურებებსა და განვითარების პერსპექტივებს საქართველოში.

ტერმინი „მარკეტინგი“ პირველად გვხვდება 1907 წელს გამოცემულ ენციკლოპედიაში - „ბრიტანიკა“. აღსანიშნავია, რომ ენციკლოპედიაში წარმოდგენილი „მარკეტინგის“ შინაარსობრივი დატვირთვა ბევრად განსხვავდება მისი თანამედროვე გაგებისგან. ბიზნესის განვითარებასთან ერთად, 1915 წელს შეიქმნა რეკლამის მასწავლებელთა ამერიკული საზოგადოება, რომლის საფუძველზე 1924 წელს დაარსდა რეკლამისა და მარკეტინგის საზოგადოება, ხოლო 1931 წელს დამოუკიდებლად ჩამოყალიბდა მარკეტინგის ამერიკული საზოგადოება [1, გვ. 360].

70-80-იან წლებში მარკეტინგში მოთხოვნილება ღრმადება რამაც გააძვირა ეკონომიკური წინააღმდეგობანი რიგ ქვეყნებს შორის. ბიზნესის სფეროში დაიწყო უღმობელი ბრძოლა ბაზრის დაპყრობისთვის, რამაც, თავის მხრივ, მარკეტინგს გამოუყო ახალი როლი მსოფლიო ბიზნესის პროცესებში [1, გვ. 362].

მარკეტინგული კომუნიკაცია განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა. მწარმოებლებს საშუალება მიეცათ გამოიყენონ მარკეტინგული კომუნიკაციის ის საშუალებები, რომელსაც წლების წინ მხოლოდ ვიწრო სემენტი, რამდენიმე კომპანია იყენებდა. ძირითადად დიდი შემოსავლების ძლიერ კომპანიებს შეეძლოთ გამოეყენებინათ სატელევიზიო რეკლამა. თანამედროვე რეალობაში კი სატელევიზიო რეკლამას ანაცვლებს სოციალური მედია, რაც, მსხვილი კომპანიების მსგავსად მცირე კომპანიებსაც აძლევს საშუალებას ეფექტურად, მცირე დანახარჯით გამოიყენონ მარკეტინგული კომუნიკაციები. ვინაიდან კომუნიკაციის ელექტრონული ფორმების გამოყენება სარგებლობდა ამცირებს ორგანიზაციულ (რეკლამას, პიარს, შეკვეთების გაფორმებასა და სხვა) ხარჯებს. ონლაინ მარკეტინგისთვის დამახასიათებელია ფორუმების, სოციალური ქსელებისა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით მომხმარებელთან პირდაპირი ურთიერთობების ჩამოყალიბება.

არასწორია მოსაზრება, რომ მარკეტინგული კამპანია რაც უფრო მსხვილიზუჯეტიანია მით უფრო კარგად გაიყიდება პროდუქტი. ციფრული ტექნოლოგიის ერაში ხშირად სატელევიზიო რეკლამა ისე ასრულებს სასიცოცხლო ციკლს, რომ ვერც კი ვამჩნევთ მათ. ჩვენს ქვეყანაში ბოლო დროს ჩატარებული თითქმის ყველა კვლევის მიხედვით, დღეისათვის სოციალური მედია ფაქტობრივად უალტერნატიუო საშუალებაა მომხმარებელთან ურთიერთობისთვის.

ACT-ის კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოში ბოლო წლების მანძილზე აშკარად შეინიშნება სოციალური ქსელების როლის გააქტიურება. თუ 2009 წლის დასაწყისში მომხმარებელთა მხოლოდ 43 პროცენტი სარგებლობდა სოციალური ქსელებით, ერთი წლის შემდეგ (2010) კომუნიკაციის ამ ფორმას უკვე ინტერნეტმომხმარებელთა უმრავლესობა - 68 პროცენტი იყენებდა [2].

ინტერნეტს სწორედ ახალი ინფორმაციის მიღების საშუალებად ასახელებს რესპონდენტთა 80 პროცენტი, მცირე სხვაობით მას ტელევიზია უსწრებს (83.2 პროცენტით); თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციის ძირითად წყაროდ მაინც ტელევიზია სახელდება (55.2 პროცენტით), ინტერნეტი კი მეორე ადგილზეა (40.2 პროცენტით).

შეიძლება ითქვას, რომ ტელევიზია და ინტერნეტი ინფორმაციის მიღების ორი ძირითადი წყაროა და კონკურენციას მხოლოდ ერთმანეთს თუ უწევენ, რადგან ახალი ამბების გასაცნობად მედიის სხვა საშუალებებს რესპონდენტები საკმაოდ პასიურად იყენებენ.

რაც შეეხება ინფორმაციის სანდო წყაროს, აქ ინტერნეტი უდავოდ პირველია. რესპონდენტების 49.7 პროცენტი მიიჩნევს, რომ ინტერნეტი ინფორმაციის მიღების ყველაზე სანდო წყაროა, მაშინ, როდესაც ტელევიზიას ინფორმაციის სანდო წყაროდ რესპონდენტთა 37.7 პროცენტი მიიჩნევს. ტელევიზიასთან შედარებით, ინტერნეტისადმი ნდობის უფრო მაღალი მაჩვენებელი იმით შეიძლება აიხსნას, რომ ინტერნეტი ღია სივრცეა, სადაც, მართალია, გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელების შანსი დიდია, მაგრამ, იმავდროულად, მომხმარებელს შესაძლებლობა ეძლევა, იმავე ინტერნეტსივრცეში მოიძიოს და თავად გადაამოწმოს ალტერნატიული ინფორმაცია. ინფორმაციის გადამოწმების განსხვავებული მოსაზრებებისთვის სივრცის შეთავაზების შესაძლებლობა, რასაც ინტერნეტი იძლევა, შეიძლება ითქვას არის კიდევ იმის გარანტი, რომ მის მიმართ ნდობა იყოს უფრო მაღალი, ვიდრე ტელევიზიის მიმართ, სადაც მომხმარებელს უკვე მზა, კარგად შეფუთულ ინფორმაციას აწვდიან [3, გვ. 139].

აღნიშნული კვლევებზე დაყრდნობით ინფორმაციის ყველაზე სანდო წყაროდ ინტერნეტი მიიჩნევა, თუმცა ასაკობრივი ნიშნით შემდეგი თავისებურებები ვლინდება; „კიბერაბორიგენები“ (18-22 წლის ასაკის ახალგაზრდები) ინფორმაციის ძირითად წყაროდ ინტერნეტს ასახელებენ და ყველაზე მეტად სწორედ მას ენდობიან. „კიბერ იმიგრანტების“ ყველაზე უფროსი თაობა (50+) ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროდ ტელევიზიას ასახელებს და ნდობასაც მას უცხადებს. დანარჩენი ასაკობრივი კატეგორიებისთვის კი (23-49 წლისანი) მართალია, ტელევიზია ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროდ რჩება, მაგრამ ნდობას მაინც ინტერნეტს უცხადებენ. [3, გვ. 142], რაც მეტყველებს, რომ ინტერნეტში განთავსებული რეკლამის სანდოობა არაფრით ჩამოუვარდება სატელევიზიო რეკლამას სანდოობის მხრივ, ფასით კი გაცილებით ნაკლებია.

მართალია, საქართველოში მარკეტინგული საქმიანობები საკმაოდ ნელა ვითარდება, შესაბამისად, ქართული ინტერნეტსივრცე განვითარებით ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებს და აქ უამრავი ნიშაა თავისუფალი, რადგან საქართველო პატარა ქვეყანაა და ინტერნეტმარკეტინგის კუთხით მოსახლეობაც ნაკლებადია ინფორმირებული.

როცა მომხმარებელს მიეწოდება ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია მარკეტინგული კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალების მიერ, როცა რეკლამას, საზოგადოებასთან ურთიერთობას, პერსონალურ გაყიდვებსა და გასაღების სტიმულირებას სხვადასხვა მესიჯები აქვთ, რომლებიც მომხმარებლის მისამართით სხვადასხვა დროს იგზავნება, ცხადია, მომხმარებელი კარგავს ნდობას პროდუქტის მიმართ. ამიტომ პროდუქტის შეფუთვისას კომპანიის მარკეტინგის სამსახური უნდა ეცადოს ერთიანი კომუნიკაციის კომპლექსის გამოყენებას, რათა პროდუქტის გაყიდვა ეფექტურად განხორციელდეს. კომპანიამ უნდა გააერთიანოს სტიმულირების საშუალებები და შექმნას კოორდინირებული მასტიმულირებელი კომპლექსი.

კოორდინირებული მასტიმულირებელი კომპლექსის შექმნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, სადაც ერთი კონკრეტული მიმართულების გამოყენებამ შესაძლოა კომპანიის ეფექტურობა ეჭვქვეშ დააყენოს. ხოლო, იმისთვის, რომ ნეგატიური შედეგი არ გამოიღოს, ბევრი ასპექტია გასათვალისწინებელი. განვიხილოთ თითოეული მასტიმულირებელი საშუალების თავისებურებები და მახასიათებელი.

მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებები რეკლამას, მარკეტინგსა და პიარს შორის კარგად არის განსაზღვრული, მაინც არსებობს უამრავი მოსაზრება, რომ ორგანიზაციებში მიზნების მიღწევა უკეთ იქნება შესაძლებელი ინტეგრირებული მიდგომების მეშვეობით.

ეს მიდგომა სათავეს 1990-იანი წლების დასაწყისიდან იღებს. ამავე პერიოდში ჩნდება ტერმინები: „ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაცია“. დონ შულცი, სტენლი ტანენბაუმი, რობერტ ლაუტერბორნი, ავტორები წიგნისა „ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები“, ამგვარად ხსნიან თავიანთი წიგნის დასახელებას:

მარკეტინგული საკომუნიკაციო დაგეგმვის ცნება მნიშვნელობას მატებს იმ ყოველსომომცველ გეგმას, რომელიც აფასებს სხვადასხვაგვარი საკომუნიკაციო დისციპლინის, მაგალითად, ზოგადი რეკლამის, უშუალო გამომხმარებლის, გაყიდვების ხელშეწყობისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების სტრატეგიულ როლს და აჯგვრებს ამ დისციპლინებს მკაფიო, თანმიმდევრული და მაქსიმალური საკომუნიკაციო ეფექტის უზრუნველსაყოფად.

რამდენიმე ფაქტორი განსაკუთრებით აძლიერებს ინტეგრაციისკენ სწრაფვას. პირველია ორგანიზაციის ზომის შემცირება. ბევრმა მათგანმა გაერთიანებული განყოფილებები შექმნა და ამით შეამცირა სხვადასხვა საკომუნიკაციო დისციპლინაში მომუშავე პერსონალის რაოდენობა, შედეგად, ერთი განყოფილება უფრო ნაკლები თანამშრომლით, გაცილებით მეტ საკომუნიკაციო ამოცანას უმკლავდება.

მეორე, საორგანიზაციო მარკეტინგისა და კომუნიკაციების დეპარტამენტები უფრო შეკვეცილი ბიუჯეტით მუშაობენ. ბევრი ორგანიზაცია, რეკლამაზე გაწეული ხარჯების შემცირების მიზნით, თავიანთი შეტყობინებების გასავრცელებლად ალტერნატიულ გზებს ეძებს. მათ შორის შეიძლება იყოს: ხმაურის შექმნა კონტაქტური, ზეპირი კომუნიკაციით, გაველნიანი ადამიანებისა და ჯგუფების ამოღება მიზანში, ვებმარკეტინგი, ფართო მასაზე გათვლილი მარკეტინგი, მედიასთან ურთიერთობები და პროდუქციის პოპულარიზაცია, დონისძიებების სპონსორობა.

მესამე ფაქტორია იმის გაცნობიერება, რომ რეკლამა, მთელი თავისი უზარმაზარი დანახარჯებით, ის ჯადოსნური ვერცხლის წყალი არ არის, რომელიც აქამდე გვეგონა. ნაწილობრივ ეს პრობლემა უკავშირდება სულ უფრო მოზარდ ქაოსს და უწესრიგობას რეკლამის სფეროში (ერთ-ერთი შეფასებით, ამერიკელ მომხმარებელს დღეში 237 სარეკლამო განცხადებას სთავაზობენ, წლიურად - 86,000-ს) და ზოგადად სანდოობის კლებას რეკლამის მიმართ მომხმარებელთა მხრიდან. [5, გვ. 21].

ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები დღეს უბრალოდ განიხილება, როგორც ბიზნესპროცესი, რომელიც კომპანიებს მომხმარებლებსა და სხვა დაინტერესებულ პირებთან ურთიერთობის წარსამართავად ხელსაყრელი და ეფექტიანი მეთოდების ძიებაში ეხმარება. [6, გვ. 10].

საქართველოში, ისევე როგორც ბევრ სხვა განვითარებად ქვეყანაში ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის საჭიროება თანდათანობით კარგად ესმით კომერციულ ორგანიზაციებს. ფირმის წარმატება, დიდათაა დამოკიდებული მარკეტინგული კომუნიკაციის ეფექტურობაზე. კომერციული ორგანიზაციები სწორედ ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის მეშვეობით ახდენენ ეფექტურ ბრუნდინგს. არაკომორციული ორგანიზაციები კი მარკეტინგული კომუნიკაციის ზოგიერთი ფორმის ინტეგრირებით ქმნიან მათი საქმიანობისთვის მისაღებ სწორ იმიჯს.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. თეიმურაზ შენგელია. ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები.
2. <http://www.act-gr.com/geo/index/news/677>
3. სოციალური მედიის განვითარების ტენდენციები საქართველოში, თბილისი 2013, გვ. 139
4. დონ შულცი, სტენლი ტანენბაუმი, რობერტ ლაუტერბორნი. ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაცია.
5. დენის ლ. უილკოქსი. საზოგადოებასთან ურთიერთობა სტრატეგია და ტაქტიკა. გვ. 21
6. ჯორჯ. ი. ბელნი, მაიკლ ე. ბელნი, რეკლამა და პრომოცია. სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამომცემლობა დიოგენე, 2013, გვ. 10

INTERNET MARKETING AS A MARKETING COMMUNICATION FORM AND PERSPECTIVES OF ITS DEVELOPMENT IN GEORGIA

Annotation

In Georgia need of integrating marketing communication and use of internet marketing is gradually getting actual as well as in other developed countries. Commercial organizations form effective branding by using of relevant integrated marketing communication. Noncommercial organizations create the proper business image by integrating of some forms of marketing communication.

გულადი თხილაიშვილი

აჭარის აბრარული სექტორის მდგრადი განვითარების პოტენციალი

აგარარული სექტორის მდგრადი განვითარების თანამედროვე პირობებში პირველხარისხოვანი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების თავისებურებების, ტენდენციების კანონზომიერებათა გამოკვლევას, სასურსათო და სამრეწველო პოტენციალის ამოქმედების რეალური ფაქტორების თეორიულ მეთოდოლოგიურ შესწავლას და ეკონომიკური რესურსების ეფექტურად მართვას. საქართველოს აგარარულ სექტორში შექმნილი რთული ვითარება მოითხოვს ქვეყანაში არსებული რესურსების რაციონალურ გამოყენებას, რომელიც მხოლოდ მისი ოპტიმალური შეფასების გზით მიიღწევა. მიმდინარე აგარარული რეფორმა, რომელიც მიმართულია საბაზრო ურთიერთობათა პრინციპების დამკვიდრებისაკენ, დღის წესრიგში აყენებს ეკონომიკური გარდაქმნების შემდგომი გაღრმავებისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკური რესურსების რაციონალურად გამოყენების აუცილებლობას ცალკეული რეგიონების მიხედვით, რამაც უნდა უზრუნველყოს ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, მოსახლეობის შემოსავლებისა და მათი ცხოვრების რეალური დონის აღმავლობა.

აგარარული რეფორმის ძირითადი მიზანი სასურსათო უსაფრთხოების მიღწევაა, რომლის რეალიზაცია აგარარულ სექტორში რიგი ამოცანების გათვალისწინებას და გადაწყვეტას ითხოვს. მათგან მთავარია:

- კონკურენტული საბაზრო გარემოს ფორმირება და ეფექტიანი კონკურენტუნარიანი საწარმოო ერთეულების გამრავლება-განვითარება;
- ქვეყნის შიდა სამომხმარებლო ბაზრის ტეკადობის გადიდება, მუშახელის დასაქმებისა და შემოსავლების არსებითი გადიდება;
- ქვეყნის შეფარდებით უპირატესობათა მაქსიმალური ამოქმედება იმ პროდუქტების წარმოების გზით, რომელიც ყველაზე ეფექტურია როგორც წმინდა ეკონომიკური, ასევე სოციალური და ეკოლოგიური თვალსაზრისით;
- წარმოებისათვის საჭირო რესურსების კონცენტრაცია და გამოყენება პრიორიტეტულ მიმართულებებზე;
- ექსპორტზე და იმპორტის ჩანაცვლებაზე ორიენტირებული დარგების სწორი შერჩევა და მათი მიზანმიმართული განვითარება;

საქართველოში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არსებობს აგარარული რეფორმის განხორციელების გრძელვადიანი სტრატეგიული ხედვა, რადგანაც როგორც კარგიც არ უნდა იყოს ის დროის გარკვეული პერიოდისათვის, დინამიკაში მუდმივ ცვლილებას განიცდის იმ მიზნების გათვალისწინებით, რომლებიც ქვეყნის წინაშე დგება განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. სახელმწიფოს, მიზნობრივი პროგრამების რეალიზაციის გარდა, უნდა გააჩნდეს სხვა ბერკეტებიც, მათ შორის არსებითია წარმოების პირდაპირი სუბსიდირება, დოტაცია, კომპენსაცია და სხვა. საქართველოში მოსახლეობის 54% სოფლის მეურნეობით ირჩენს თავს და, შესაბამისად, ყურადღებას იმსახლეობს უმრავლესობის გამოკვება [1], ამიტომ ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობა მუდმივ ხელშეწყობას მოითხოვს.

საქართველოში, განსაკუთრებით კი აჭარის რეგიონში, მიწის რეფორმა ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო საკითხი გახდა დღევანდელი საბაზრო ეკონომიკის ფორმირების გზაზე, მით უფრო რთული იგი ყოფილ სოციალისტურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, რომლებშიც ძალდატანებით შეწყდა სოფლად საბაზრო ურთიერთობათა განვითარების ბუნებრივი პროცესი. ხელის შემშლელ პროცესს, რომელიც ახლა მიმდინარეობს აჭარაში, შეიძლება მივაკუთვნოთ: საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე მოსახლეობის შეცვლილი ფსიქოლოგია, დამოუკიდებელი შრომის უნარის მოღუწება, სოციალური და ისტორიული სამართლიანობის აღდგენის მცდელობა. შედეგად, რეგიონში 2007 წელს შეჩერდა მიწის რეფორმა, რითაც მოსახლეობამ ისედაც მწირ ნაკვეთებში ვერ შესძლო ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბება და შესაბამისად არათუ საექსპორტოდ, არამედ ადგილობრივ ბაზარზეც ვერ გახდა კონკურენტუნარიანი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარიანი განლაგების გამო მისი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები მცირე ნაკვეთებად არის წარმოდგენილი, ამიტომ, გამოყენების თვალსაზრისით ეს სავარგულები არახელსაყრელია, რადგან ასეთ ნაკვეთებზე სასოფლო-სამეურნეო მიმე ტექნიკით სარგებლობა თითქმის შეუძლებელი და არაეკონომიურია, რის გამოც სამუშაოთა დიდი ნაწილი ძირითადად ხელით სრულდება. საბედნიეროდ, აჭარაში მოსახლეობას აქვს ხილის წარმოებისა და დამზადების დიდი გამოცდილება: მათ შორის ციტრუსოვნების და ჩაის მასიურ წარმოებაში, ასევე აღსანიშნავია საუკუნეების განმავლობაში ენდემური და ველური ხილის ჯიშებიდან ადგილობრივ კლიმატთან შეგუებული უხეიმოსავლიანი და ყინვაგამძლე კულტურული ჯიშების მოშენება, რომლებიც საკარმიდამო ნაკვეთებში ცალკეული ნარგავების სახით არის წარმოდგენილი.

ფართოდაა გავრცელებული ტყემლის, ვაშლისა და მსხლის ჯიშები, რომლებიც ძირითადად გათვალისწინებულია სამრეწველო გადამამუშავებისათვის. საკარმიდამო მეურნეობებში გაშენებულია აგრეთვე სხვა კურკოვანი, თესლოვანი და კაკლოვანი ხეხილის მრავალი ჯიშო, რომელთა პროდუქცია შიდა ბაზრის მოთხოვნათა დაკმაყოფილებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. სამწუხაროდ, ბოლო ათწლეულში შეინიშნება ტრადი-

ციული კულტურებით დაკავებული ფართობების შემცირების ტენდენცია, რაც გამოწვეულია ნარგავების ხანდაზმულობით, ხილის სამრეწველო გადამამუშავებაში არსებული შეფერხებებითა და შიდა ბაზარზე სხვა რეგიონებიდან შემოტანილი ხილის და სხვა აგრონაწარმის მატებით.

რესპუბლიკაში ბოსტნეულის, ხილისა და ციტრუსების წარმოების რეალური შესაძლებლობანი საკონსერვო მრეწველობის ინტენსიური განვითარების საუკეთესო სახელმძღვანელო ბაზას ქმნის. მიუხედავად ამისა, მოსახლეობაში დიდი მოთხოვნილების მქონე კონსერვების დამზადების პირობების უქონლობა, რომელიც ბოლო პერიოდში სულ უფრო უარესდებოდა, პროდუქციის თანამედროვე მოთხოვნილებებთან შეუსაბამო სასაქონლო სახემ, ბაზრის უცხოეთიდან შემოტანილი დაბალფასიანი და უხარისხო პროდუქციით გაჯერებამ გამოიწვია ის, რომ 2012 წლამდე საკონსერვო ქარხნები თითქმის განერებული იყო. დაწყებულია ძველი ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, მაგრამ მაინც საჭიროა მკვეთრად შეიცვალოს აჭარის საკონსერვო ქარხნებში წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტი და სტანდარტები. ძირითადად უნდა დამზადდეს ისეთი პროდუქცია, რომლებზეც შიდა ბაზარზე მოთხოვნილება დიდია, ნაწილი კი საექსპორტოდ გაიგზავნება [2].

აჭარის მთავრობა, საერთაშორისო კურორტის განვითარებასთან ერთად, აცნობიერებს ტურისტებისათვის უსაფრთხო საკვების მიწოდების მნიშვნელობას საზოგადოებრივი კვების ობიექტების მეშვეობით. ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში მთელი საქართველოს მასშტაბით აღინიშნება სურსათის ეროვნული სააგენტოს (სეს) მიერ კონტროლის გამკაცრება, მათ შორის აჭარაშიც, რაზეც მეტყველებს აჭარის სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ინსპექტირებული საზოგადოებრივი კვების ობიექტების გაზრდილი რაოდენობა და ტურიზმის დეპარტამენტის მიერ ტრენინგებსა და საინფორმაციო აქტივობებში ხარისხიანი საკვების საკითხის წამოწევა. თუმცა, საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსად, სურსათის ეროვნული სტანდარტების შესაბამისი ყველისა და ხორცის ადგილობრივი მომწოდებლების რაოდენობა მცირეა და როგორც ადგილობრივი, ასევე სხვა რეგიონის მცირე მესაქონლე ფერმერთა პროდუქტების დიდი ნაწილი არ შეესაბამება სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის სტანდარტებს.

ამგვარად, საზოგადოებრივი კვების ობიექტების მოთამაშეები რთულ მდგომარეობაში არიან, განსაკუთრებით მაღალი სტანდარტისა და უმაღლესი პროფილის დაწესებულებებთან ურთიერთობისას, სადაც მომხმარებლები მიიჩნევენ, რომ გარემო, სერვისი და ფასი უნდა შეესაბამებოდეს საკვების ხარისხს. მიუხედავად მათი ძალისხმევისა, ისინი ვერ ყიდულობენ უსაფრთხო პროდუქციას, ვინაიდან ასეთი პროდუქციის წარმოების ღირებულებები ჯაჭვი არ არსებობს. ჩანს, რომ პროგრესი მიღწეულია ხორცის სექტორში. სამწუხაროდ, საქონლის „უკანა ეზოში“ დაკვლა ჯერ კიდევ გავრცელებულია და მიწოდების არაფორმალური ჯაჭვები კვლავ არსებობს, ნაკლებად სარწმუნოა, რომ მთელი ხორცი აგრორულ ბაზარში, რომლითაც შემდეგ მარაგდება ბევრი სავაჭრო წერტილი, შეესაბამება სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის სტანდარტებს; უცნობია რა დონეზე ხდება ფორმა 2-ის გამოწერა და გამოყენება და რამდენად წარმატებულად ხდება მიწოდებული პროდუქციის გაკონტროლება. ყველის სეგმენტში იმერული ყველის წარმოება, რაც აუცილებელია ხაჭაპურის მოსამზადებლად, თითქმის ყოველთვის კეთდება შინამეურნეობებში და ბაზარზე ხვდება შუამავლების, არაფორმალური სავაჭრო ურთიერთობების და აგრარული ბაზრების მეშვეობით.

2014 წლის 27 ივნისს, ბრიუსელში გაფორმდა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება, რომელიც საშუალებას აძლევს საწარმოებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ევროკავშირის სურსათის უვნებლობისა და ჰიგიენის მკაცრ ნორმებს (მინ. საფრთხისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების ანალიზი), განახორციელონ ექსპორტი ევროკავშირში ხელშეკრულების სპეციალური პირობების დაცვით. ხოლო ამის საფუძველზე, ევროკავშირის საწარმოებს, თავის მხრივ, საშუალება ეძლევათ ჰქონდეთ გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა ქართულ ბაზარზე. რაც შეეხება ქართულ კომპანიებს, რომლებიც უკვე ასორციელებენ ექსპორტს ევროკავშირში, ამით თავიდანვე ისარგებლებენ. კომპანიები ასევე ისარგებლებენ მარტივი პირობებით მათი ბიზნესის ევროკავშირში შესაქმნელად.

მაგრამ იმისათვის, რომ ქართული კომპანიები უცხოეთის ბაზრებზე გავიდნენ, მათ თანდათან უნდა მიუახლოვონ თავიანთი ეკონომიკური, ფინანსური რეგულაციები და სურსათის უვნებლობის სტანდარტები ევროკავშირის სტანდარტებს. 2015 წლის აპრილში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა სურსათის უვნებლობის კოდექსში, თუმცა დაახლოებით 90 ნორმატიული აქტი უნდა იქნეს მიღებული, რათა ხელი შეეწყოს საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამ ჰარმონიზაციის შედეგად იქნება შეადგინა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

2012 წლიდან სოფლის მეურნეობა სახელმწიფო პრიორიტეტად იქცა, შესაბამისად აჭარაშიც შეიქმნა საკონსულტაციო საბჭოები, რადგანაც სასოფლო-სამეურნეო ბიზნესის უმრავლესობა არ იყენებს ბიზნესის დაგეგმვის მომსახურებას, რაც ხელს უშლის ორგანიზაციას გაძლიერებაში, კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და დარგის განვითარებაში, ვინაიდან ის ძვირადღირებულ და უსარგებლო მომსახურებად მიაჩნია. აჭარაში შეიქმნა აგრობიზნესის განვითარების მომსახურების საკონსულტაციო კომპანიები და სახელმწიფო ორგანიზაციები:

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი, რომელიც აწვდის საწარმოებს ბიზნესის, საინვესტიციო და გრანტის სიღრმისეულ გეგმებს. „ბიზნესის განვითარების ცენტრი“, რომელსაც აქვს ბიზნესგეგმის ფორმირებისა და აღრიცხვის სისტემის შექმნის სერვისი. ის ხშირ შეხვედრებს ატარებს მოსახლეობასთან და კონსულტაციას უწევს სოფლის მეურნეობის სფეროში ბიზნესის განვითარების სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. კიდევ ერთ საკონსულტაციო სერვისს ახორციელებს საქართველოს ბიზნესის განვითარების ცენტრი „კავკასია“. ის ასევე მუშაობს ბიზნესისა და გრანტის გეგმების შემუშავებაზე. ასევე, აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა, იურიდიულ მომსახურებასთან ერთად, ბიზნესკონსულტაციებს უწევს მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს, ასევე ჩართულია აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო და „აგროსერვის ცენტრი“.

ამრიგად ზემოთ მოყვანილი ანალიზიდან შეიძლება ითქვას, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგრარული სექტორის მდგრადი განვითარების პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენისა და ამოქმედების მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი:

1. მოწინავე ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინების საფუძველზე უნდა მოხდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღორძინება;
2. აჭარის აგრარული სექტორის განვითარება უნდა მოხდეს არა მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან ორგანიზაციული, ეკონომიკური და ფინანსური მექანიზმებით, არამედ საკუთრივ აგრარული საწარმოების შიდა-მეურნეობრივი რესურსების ეფექტური გამოყენებით, ასევე დარგში კერძო, ქართული თუ უცხოური კაპიტალ-დაბანდების სტიმულირებით [3].

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. ბერიძე ზურაბ, საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი. ეკონომიკური რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ამდლების გზები საქართველოს აგრარულ სექტორში, თბილისი, 2011.
2. გიგლა გაბაიძე, საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი. მეურნეობრიობის ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების ფუნქციონირებისა და მართვის სრულყოფის გზები აგრარულ სექტორში (აჭარის არ-ის მაგალითზე), თბილისი, 2013.
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
<http://adjara.gov.ge/branches/default.aspx?gid=4>

*Guladi Tkhilashvili*

### AJARA A/R SUSTAINABLE DEVELOPMENT POTENTIAL OF THE AGRICULTURAL SECTOR Annotation

Sustainable development of the agricultural sector should be given paramount importance in terms of the region's economic and social development patterns, trends regularities research, food and industrial potential of putting into real factors in the theoretical study of methodological and economic resources to effectively manage. Therefore, we consider it necessary for the sustainable development of the agricultural sector in the Autonomous Republic of Adjara:

Advanced countries should be based on the experience to revive the agricultural production, which is not enough only the help from the state by organizational, economic and financial mechanisms; for they need proper, efficient use of resources of agricultural enterprises in domestic farming and processing of agricultural products should be made to promote the formation of a network of small enterprises; proper laboratories, will enable manufacturers to conduct a proper analysis of the food product.

*ნათია კახიაშვილი*

#### მოსახლეობის სიღარიბე და პრობრმული გადასახადები

ყოველი პოლიტიკა, რომელიც მიმართულია უღარიბესი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამდლებისაკენ, დასახული მიზნის მისაღწევად უზრუნველყოფილი უნდა იყოს საკმარისი ფინანსური რესურსით. ასეთი სახის პროგრამების ფინანსირების წყაროა ქონებასა და შემოსავალზე დაბეგვის პროგრესული სისტემა. ასეთი პირდაპირი პროგრესული დაბეგვის ობიექტია პირადი და კორპორაციული შემოსავალი. შემოსავლის ზრდის კვალობაზე მატულობს საგადასახადო განაკვეთი (მაგალითად, საქართველოში “ვარდების რევოლუციამდე” შემოსავალზე საგადასახადო განაკვეთი იყო: 12, 15, 17 და 20%). საგადასახადო დაბეგვა მოგებაზე (დაგროვილი აქტივი და შემოსავალი), ჩვეულებრივ, მოიცავს საკუთრებაზე პირად და კორპორაციულ გადასახადებს (საქართველოში პირად ქონებაზე არა არის დაწესებული გადასახადი, ხოლო კორპორაციულ ქონებაზე დაწესებულია 19%-იანი საგადასახადო განაკვეთი, ასევე დაწესებულია მიწაზე გადასახადი, ამ ქონების სიდიდის მიუხედავად), აგრეთვე პროგრესულ გადასახადს მექვიდრობაზე.

მრავალ განუვითარებელ, ისევე, როგორც ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყანაში საგადასახადო სტრუქტურა და რეალური განაკვეთები არსებითად განსხვავდებიან. პროგრესული გადასახადი ხშირად ქალაქებზე რჩება და პრაქტიკაში გადაიქცევა რეგრესულ გადასახადად. მაშინ, როცა მრავალი ეკონომისტის, მათ შორის ნობელის პრემიის ლაურეატის ჯეიმს ტობინის მტკიცებით, “საშემოსავლო ბეგარა შემოსავლის გადანაწილების ეფექტური საშუალებაა”, რამდენადაც დაბალი და საშუალო შემოსავლიანი მოსახლეობა, გადასახადის ფორმით, თავიანთი შემოსავლის უფრო დიდ ნაწილს გადაიხდიან, ვიდრე მაღალშემოსავლიანი მოსახლეობა. ასეთი “გარდაქმნის” მიზეზები მარტივია. მოსახლეობის ღარიბი ფენიდან გადასახადი ამოიღება მათი შემოსავლის წყაროდან (საქართველოში ასეთია საშემოსავლო გადასახადი), მაშინ, როცა მდიდრები შემოსავლის დიდ ნაწილს იღებენ ქონებრივ და ფინანსურ აქტივზე სარგებლის (დივიდენდის) სახით, რაც მათ საშუალებას აძლევს, დაფაროს ის საგადასახადო დაბეგვისაგან. უფრო დიდ უთანასწორობას წარმოშობს გადასახადის ამოღება დანახარჯის წყაროსთან. მხედველობაში გვაქვს არაპირდაპირი გადასახადები (გადასახადი დამატებულ ღირებულებაზე, აქციზი...), რომელსაც ერთნაირი განაკვეთით იხდის როგორც დაბალი და საშუალო შემოსავლიანი, ასევე მაღალშემოსავლიანი მოსახლეობა. 2000 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავალი შეადგინა 437.8 მლნ ლარი. მათგან ყველაზე მცირე იყო მოგების გადასახადი (21.0 მლნ), ხოლო ყველაზე მაღალი – არაპირდაპირი გადასახადი, ანუ გადასახადი მოხმარებაზე; დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი (254.9 მლნ ლარი) და აქციზი (86.6 მლნ), ხოლო საბაჟო გადასახადმა შეადგინა 44.0 მლნ ლარი. 2014 წლის სექტემბერში, საგადასახადო შემოსავლების წილი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში გაზრდილია 1.9 პროცენტული პუნქტით 2013 წელთან შედარებით და შეადგენს 94.8%-ს. საგადასახადო შემოსავლების სტრუქტურა შემდეგია: დღგ (45,6%), საშემოსავლო (24,0%), მოგება (17,4%), აქციზი (11,5%), იმპორტზე გადასახადი (1,3%) და სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადები (0,2%).



ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ჩანს, რომ საქართველოც, როგორც საბაზრო ეკონომიკის განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა, სახელმწიფო შემოსავლის გადიდებას, უპირატესად მოხმარების გადასახადის ხარჯზე ცდილობს. ეს იმით აიხსნება, რომ მისი აკრეფა შედარებით ადვილია. რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, სახელმწიფო შემოსავალში მით უფრო ჭარბობს პირდაპირი გადასახადის წილი. ღარიბ ქვეყნებში კი, პირიქით, გამოიკვეთა არაპირდაპირი გადასახადის მაღალი წილი, ხოლო პირდაპირი გადასახადის წილი სახელმწიფო შემოსავალში არ აღემატება 20%, მაგრამ უპირველესად მოხმარების გადასახადებზე დაფუძნებული საგადასახადო სისტემა, თავისი შინაარსით რეგრესულია და უარყოფითად მოქმედებს მცირეშემოსავლიანი მოსახლეობის ცხოვრების დონეზე.

ძალაუფლების მქონე "მდიდარი მოსახლეობა" თავს არიდებს გადასახადის მნიშვნელოვანი ნაწილის გადახდას, რადგან მათ არ ემუქრება სამთავრობო სანქციების საშიშროება. ე.წ "კრიშის" ინსტიტუტის არსებობა მას შესაძლებლობას აძლევს, ქრთამის გაღებით "ჯოჯოხეთი გაანათოს". ამიტომ, შემოსავალსა და სიმდიდრეზე პროგრესული საგადასახადო დაბეგერის სისტემის შემოღება უნდა ჩაითვალოს შემოსავლის გადანაწილების პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილად.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. ანანიაშვილი ი., პაპავა ვ., გადასახადები, მოთხოვნა და მიწოდება: ლაფერ-კეინზიანური სინთეზი, თბ., 2009.
2. ბახტაძე ლ., კაკულია რ., ჩიკვილაძე მ., საგადასახადო საქმე, თსუ, თბ., 2007.
3. კობალევიშვილი თ., ჩიკვილაძე მ., გადასახადები და დაბეგერა, თსუ, თბ., 2011;
4. სეხნიაშვილი ე., [www.liberali.ge](http://www.liberali.ge), artikles, (EMLE, Bologna, Hamburg), 2014.
5. Доклад о развитии человека 2007/2008. Изд , " Вес Мир ". 2013.
6. [www.rs.ge](http://www.rs.ge)
7. [www.economy.ge](http://www.economy.ge)
8. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

*Natia Kakhniashvili*

**POPULATION POVERTY AND PROGRESSIVE TAXES  
Annotation**

Reducing poverty level of the population depends on proper planning and the fair distribution of taxes in the conditions of market economy . Differential tax rates plays an important role in reducing social inequality, that is why it is necessary to consider the connection between poverty and progressive taxes.

It is also important to mention so-called ineffective "non-taxable income" in the income tax, having mainly voucher content and is a type of assistance for low-income communities. Since the 1<sup>st</sup> of April, 2014 , the 459766 physical entities are refunded 128060800 GEL. Non-taxable income is going to be cancelled from 2015. Now comes the question, why? There will be no poverty after 2015? So, poverty will be resumed . It is also noteworthy that none of the tax credit regarding poverty alleviation has not been put into effect .

*მაკა კიკილაშვილი*

**შრომის კმაყოფილება და მომსახურების ხარისხი საქართველოში**

**შესავალი**

ბოლოდროინდელი კვლევების თანახმად, საქართველოში მაღალია მომხმარებლების უკმაყოფილების დონე. ამგვარ კრიტიკულ დამოკიდებულებას ობიექტური მიზეზები გააჩნია, რაც უკავშირდება მომსახურების დაბალ ხარისხს თითქმის ყველა სფეროში.


„დღესდღეობით მომსახურების ხარისხზე აქცენტის გაკეთება მაინც PR-ის ნაწილი გახდა და არა კომპანიის წინაშე მდგარი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც აუცილებელ გადაწყვეტას მოითხოვს. ამის მაგალითია თუნდაც ის, რომ ბევრ წამყვან ქართულ ორგანიზაციას აქვს ვიზუალურად ძალიან კარგად გაფორმებული მომსახურების წერტილები, მაგრამ, სამწუხაროდ, ანალოგიურ კმაყოფილებას ვერ იწვევს მომსახურე პერსონალის კომპეტენტურობა, ქცევა, კლიენტისადმი დამოკიდებულება და იქ არსებული პროცედურები“[1].

**შრომის კმაყოფილებისა და მომსახურების ხარისხის მიმოხილვა**

საქართველოში მომსახურების ხარისხი ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა, რომელიც ყველა მომხმარებელს აწუხებს. სოციალური მარკეტინგის ინსტიტუტისა (SMI) და ილიაუნი ბიზნესრევიუს (IBR) მკვლევარების მიერ მომსახურების ხარისხის დასადგენად ჩატარებული კვლევა (2013) ცხადყოფს, რომ „საქართველოში კლიენტების 84% მომსახურების ხარისხით უკმაყოფილოა“<sup>190</sup> (იხ. დიაგრამა).

<sup>190</sup>[http://www.bpi.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=14465%3A--84---&catid=955%3A2013-05-02-07-10-28&Itemid=154&lang=ka](http://www.bpi.ge/index.php?option=com_content&view=article&id=14465%3A--84---&catid=955%3A2013-05-02-07-10-28&Itemid=154&lang=ka)

დიაგრამა I. საქართველოში მომსახურების ხარისხის კვლევა



როგორც 2014 წელს ჩატარებული სატელევიზიო ინტერაქტივის შედეგად გახდა ცნობილი, ზემოხსენებულ კვლევაში დაფიქსირებული შედეგი 77%-მდე შემცირდა<sup>191</sup>. თუმცა, მანვენებული მაინც საკმაოდ მაღალია. აღნიშნული გამოკითხვის შედეგი ნათელყოფს, რომ მომსახურების ხარისხის დონე საქართველოში არადაბალია.

მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის აქტუალურია საუბარი ხარისხიან მომსახურებაზე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორებში, სამწუხაროდ, თითქმის არაფერი კეთდება ან, შესაძლოა, სწორი მიმართულებით არ იდგმება ნაბიჯები მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

მსოფლიო პრაქტიკით დადგენილია, რომ, საშუალოდ, მომსახურებით ან პროდუქციით უკმაყოფილო მომხმარებლის რაოდენობა, რომელიც სხვა ადამიანებს უყვება თავისი გამოცდილების შესახებ, ხუთჯერ მეტია, ვიდრე კმაყოფილი მომხმარებლის რაოდენობა. ამრიგად, საწარმოს რეპუტაცია მნიშვნელოვნად ილახება იმ შემთხვევაში, თუ კლიენტებს დაბალი ხარისხის პროდუქცია მიაწოდა, ან ცუდი მომსახურება გაუწია მომხმარებელს. საბოლოო ჯამში, ამგვარ განმეორებად ქმედებებს ფირმის გაკოტრდება მოსდევს. ზოგადად, სუსტი ან უხარისხო მომსახურება, გაწეული თანამშრომლების მიერ, რომლებსაც პირდაპირი კონტაქტი აქვთ მომხმარებელთან, მიხნეულია, როგორც სუსტი მენეჯმენტის, ტრენინგისა და ნაკლები განათლების შედეგი [2].

ზოგადად, მომსახურების ხარისხზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორები არსებობს, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევა მოტივაციის ფაქტორი. იგი ძლიერ ზეგავლენას ახდენს დასაქმებულთა შრომის კმაყოფილებაზე, რაც უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ამაღლებასა და კომპანიის მომგებიანობის ზრდას. ამდენად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოტივაცია მწარმოებულობის ზრდის განმაპირობებელ ძირითად ფაქტორს წარმოადგენს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მომსახურების ხარისხზე მოქმედი რამდენიმე სხვადასხვა ხელის შემშლელი ფაქტორი შეიძლება გამოვკვეთოთ. თუმცა, ყველაზე მეტ ყურადღებას იმსახურებს სუსტი მენეჯმენტი, დასაქმებულთა მოტივაციის დაბალი დონე და მშრომელთა უკმაყოფილება, რომელიც, საბოლოო ჯამში, იწვევს სამუშაოს შესრულების დაბალ ხარისხს. შედეგად კი, მომხმარებლის უკმაყოფილებას ვიღებთ.

საგულისხმოა, რომ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მკვლევრები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ შრომის კმაყოფილების დონის ამაღლებას, როგორც მომსახურების ხარისხზე მოქმედ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს.

მიუხედავად იმისა, რომ შრომის კმაყოფილების კვლევას ხანგრძლივი ისტორია აქვს, მისი არსი მრავალმა მკვლევარმა ის სხვადასხვაგვარად ჩამოაყალიბა და, შესაბამისად, თეორიაში გხვდებით მრავალი სახის განმარტებას. თავად ტერმინი უკავშირდება ადამიანის ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებას საკუთარი სამუშაო პირობებისადმი – სამუშაო შინაარსისა და გარემოს მიმართ და ძირითადად იკვეთება ის, რომ შრომითი კმაყოფილება აღმოცენდება თანამშრომლის მიერ მიმდინარე (რეალური) და სასურველი (მისი მოლოდინის საპასუხო) სამუშაო პირობების ერთმანეთთან შედარების საფუძველზე. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი განსაზღვრება ეკუთვნის ლოკს (1976), რომელიც განმარტავს, რომ ეს არის „სასიამოვნო/დადებითი ემოციური მდგომარეობა, რომელიც დასაქმებულის შრომის, ან შრომის პირობების დაფასების შედეგია“ [3].

აღსანიშნავია, რომ შრომითი კმაყოფილების კვლევის თეორიაში აღიარებულია ურთიერთკავშირი შრომის კმაყოფილებასა და სამუშაოს შესრულებას შორის. ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს ფრედერიკ ტეილორი (1911) საუბრობდა ორგანიზაციის სტრუქტურისა და ხასიათის შესახებ და მხარს უჭერდა დასაქმებულთა და ხელმძღვანელთა მოვალეობების დეტალიზებას შრომის ნაყოფიერების გაზრდის მიზნით [4]. ტეილორს მოჰყვა მეოცე საუკუნის დასაწყისში ელტონ მეიო (1924), რომელიც ცდილობდა, გამოეკვლია მწარმებლურობის დონის ამაღლების გზები და ჰაუტონის ქარხანაში ჩატარებულმა ცნობილმა ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ წარმოების დონის გაზრდაზე დასაქმებულთა დამოკიდებულებამ ძლიერი ზეგავლენა იქონია [5]. ასევე, თანამედროვე მიდგომების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის აბრაამ მასლოუს (1943) თეორიას სახელწოდებით „ადამიანური მოტივაციის თეორია“, რომელიც შესაფერისია როგორც სამუშაო, ასევე არასამუშაო პირობებისათვის და განიხილავს, რომ ადამიანის ქცევას, იერარქიულად, მოთხოვნილებათა ხუთი

<sup>191</sup> საზოგადოებრივი მაუწყებელი, გადაცემა “სამოთხის ვაშლები”, აპრილი, 2014, სატელევიზიო ინტერაქტივი – “კმაყოფილი ხართ თუ არა მომსახურების ხარისხით საქართველოში?”.

კატეგორია – ფიზიოლოგიური, უსაფრთხოების, სოციალური, დაფასებისა და თვითრეალიზაციის მოთხოვნილებები მართავს [6].

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ორგანიზაციებში ჩატარებული კვლევების საფუძველზე მეცნიერები ცდილობენ იმის ახსნას, თუ რა არის მომუშავეთა შრომითი კმაყოფილების დონის განმსაზღვრელი. მეცნიერული კვლევების შედეგებიდან გამომდინარე, ყოველთვის აღინიშნება ძლიერი კავშირი მომუშავეთა შრომით კმაყოფილებასა და ორგანიზაციის ეფექტიანობას შორის. აღნიშნული განაპირობებს ორგანიზაციებისთვის ამ მოვლენის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, ხოლო ორგანიზაციებში ყოველთვის დიდი ყურადღება ეთმობოდა მომუშავეთა შრომითი კმაყოფილების სასურველი დონის მიღწევას [7].

აღნიშნულ კვლევებზე დაყრდნობით, ჰერცბერგმა (1968) თავისი ნაშრომი მასლოუს „მოთხოვნილებათა იერარქიის“ ზედა ორ დონეს – პატივისცემასა და თვითრეალიზაციას მიუძღვნა და მივიდა დასკვნამდე, რომ კმაყოფილება სამუშაოდან მომდინარეობს [8]. ამდენად, მან განსაზღვრა სამუშაოთი კმაყოფილების ზრდისა და მწარმოებლურობის მაღალი დონის განმაპირობებელი ფაქტორები – მიღწევა, აღიარება, პასუხისმგებლობა, წინსვლა, ზრდა, სამუშაო პირობები. ჰერცბერგმა ამ ფაქტორებს „მოტივატორები“ უწოდა, ხელმძღვანელებს კი სთხოვა პრაქტიკაში მათი გათვალისწინება საქონლისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

წლების მანძილზე შრომითი კმაყოფილების შესასწავლად ჩატარებულ კვლევებს შორის უნდა აღინიშნოს შრომითი კმაყოფილების დონის განმსაზღვრელი ფაქტორების გამოვლენის მიზნით შემუშავებული მინესოტას შრომითი კმაყოფილების კითხვარი MSQ<sup>192</sup>- (1977), რომელიც გამოყოფს შრომის კმაყოფილების განმსაზღვრელ მრავალ ფაქტორს: შესაძლებლობების გამოყენება, მიღწევები, საქმიანობა, დაწინაურება, ავტორიტეტი, კომპანიის პოლიტიკა და პრაქტიკა, კომპენსაცია, თანამშრომლები, შემოქმედება, დამოუკიდებლობა, მორალური ფასეულობები, აღიარება, პასუხისმგებლობა, უსაფრთხოება, სამუშაო პირობები, სოციალური სტატუსი, ზედამხედველობა – ადამიანური ურთიერთობები, ტექნიკური მრავალფეროვნება, სოციალური მომსახურება [9]. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი, ცალ-ცალკე თუ ერთად, ქმნის შრომის კმაყოფილებას. როგორც ვხედავთ, თანამედროვე მიდგომები მოიცავს და სცდება წინა საუკუნეებში გამოკვლეულ სამოტივაციო ფაქტორებს.

როგორც უკვე აღინიშნა, შრომის კმაყოფილებასა და სამუშაოს შესრულებას შესახებ ჩატარებული უამრავი კვლევა ადასტურებს ზემოხსენებულ ორ ფაქტორს შორის დადებით კორელაციას. სამუშაოს შესრულება – ეს არის დასაქმებულის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობებისა და ამოცანების შესრულების შედეგი. ცნობილია შრომის შესრულების სამი ძირითადი დეტერმინანტი: თეორიული ცოდნა, პრაქტიკული ცოდნა და უნარები და მოტივაცია, სადაც თეორიული ცოდნა ნიშნავს, ვიცოდეთ რა ვაკეთოთ, მაშინ როცა პრაქტიკული პასუხობს კითხვას როგორ ვაკეთოთ? რაც მოიცავს კოგნიტურ, ინტერპერსონალურ უნარებს და სხვა. ხოლო მესამე ფაქტორი – მოტივაცია უზრუნველყოფს ზემოხსენებული უნარების პრაქტიკაში გამოყენებას. კემპბელი (1990) ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოტივაცია უნდა განვიხილოთ, როგორც ერთადერთი და პირდაპირი განმსაზღვრელი ფაქტორი შრომის შესრულებისთვის [10].

მაშასადამე, შრომის კმაყოფილება უდიდეს მოტივაციურ ფაქტორად გვევლინება. მოტივაცია, ორგანიზაციული ქცევის ცნობილი სპეციალისტების სტივენ რობინსისა და ტიმოთი ჯაჯის თანახმად, განისაზღვრება, როგორც პროცესი, რომელიც „მიზნისკენ სწრაფვის დროს პიროვნების ინტენსიურობას, მიმართულებასა და შეუპოვრობას აძლევს ახსნას“ [11].

რაც შეეხება საქართველოში არსებულ შრომის კმაყოფილების დონეს, სამწუხაროა, რომ ჯერჯერობით სათანადო ყურადღების ცენტრში ვერ მოექცა ეს საკითხები და კვლევებიც მწირად მოგვეპოვება. საქართველოს კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად (2012), საქართველოში დასაქმებით კმაყოფილი დასაქმებულთა მხოლოდ 37% იყო [12].

2013 წელს კავკასიის ბარომეტრმა, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის პროფესიების სტანდარტული კლასიფიკაციის გამოყენებით (ISCO-88)<sup>193</sup>, გაზომა რესპონდენტების დასაქმების სტატუსი სამსახურით კმაყოფილების გამოსავლენად. კვლევაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ სხვადასხვა სამუშაოს პროფილის მქონე დასაქმებულებს სამსახურით კმაყოფილების განსხვავებული დონე ახასიათებთ. „მაღალი პროფილის“ სამსახურით დასაქმებულების 75% მიიჩნევენ, რომ აკეთებენ ბევრ ადამიანისთვის საჭირო საქმეს, ვიდრე „დაბალი პროფილის“ სამსახურის მქონენი (40%).<sup>194</sup> ასევე, უმეტესად მაღალი პროფილის სამსახურში დასაქმებულები გამოხატავენ ზოგადად შრომით კმაყოფილების მაღალ დონეს [13].

მომუშავეთა კმაყოფილება/უკმაყოფილებას კი, ფინანსური უზრუნველყოფის გარდა, სხვადასხვა ფაქტორები იწვევს. მაგალითად, საინტერესო სამუშაო თუ მუშაობის პროცესში ადამიანებთან მუშაობის შესაძლებლობა; მოქნილი სამუშაო გრაფიკი თუ სტრესული, დატვირთული სამუშაო დღე; მოწესრიგებული სამუშაო გარემო თუ შენობის გარეთ მუშაობის შესაძლებლობა; ხშირი მივლინებები და მოგზაურობა თუ მუდმივად ერთ ოფისში მუშაობა; სრული ავტონომია სამუშაო დავალებების შესრულების პროცესში თუ სხვის გადაწყვეტილებებზე დაყრდნობა; მრავალფეროვანი სამუშაო თუ ერთფეროვანი დავალებები და ა. შ.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების მიერ ჩატარებული „საქართველოში მშრომელთა უფლებების კვლევა“-მ (2014) გამოავლინა მშრომელთა უფლებების დარღვევის პროცენტულად მაღალი მაჩვენებლები სხვადასხვა კუთხით. კვლევა ჩატარებულია როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სექტორში და მოიცავს მხოლოდ იმ ორგანიზაციებს, რომელშიც პროფკავშირები არსებობს. „კვლევას არ მოუცავს არაფორმალური სექტორი, რომელიც კვლევის მიხედვით საქართველოში ეკონომიკის 50-55%-ს შეადგენს“ [14]. მკვლევართა ვარაუდით, იმ შემთხვევაში, თუ კვლევა ჩატარდება საწარმოებში, სადაც არ არის პროფკავშირი,

<sup>192</sup> Minnesota Satisfaction Questionnaire – შრომის კმაყოფილების გასაზომად შექმნილი კითხვარი.

<sup>193</sup> შრომის საერთაშორისო სტატისტიკის ერთ-ერთი სტანდარტული სისტემა.

<sup>194</sup> მშრომელთა კვალიფიკაციებს შორის განსხვავება დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის 1988 – ISCO-88 თანახმად.

კვლევის შედეგად მიღებული ნეგატიური მანკვებები, დიდი ალბათობით, კიდევ უფრო გაიზრდება. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ საქართველოში სხვადასხვა სექტორში, მათ შორის მომსახურების სექტორშიც, დასაქმებულთა უკმაყოფილების მაღალი დონე არსებობს.

ბოლოდროინდელი კვლევის შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ შრომითი კმაყოფილების და, აქედან გამომდინარე, ორგანიზაციის ეფექტიანობის მანკვებების მიხედვით ლიდერობენ კერძო ორგანიზაციები, რომლებშიც საჯარო ორგანიზაციებთან შედარებით გაცილებით უფრო მკაფიოდ არის გამოვლენილი და დამკვიდრებული კლანური (გუნდური) ორგანიზაციული კულტურა. მართვის ასეთი მოდელი დამახასიათებელია შორეული აღმოსავლეთის განვითარებული ქვეყნებისთვის, რომელთა სწრაფი განვითარება შეფასდა, როგორც სასწაული. აღნიშნული გარემოება სახელმძღვანელო უნდა გახდეს ჩვენი ქვეყნის ორგანიზაციებისთვის, რომლებიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ საზოგადოებისა და მთლიანად ქვეყნის განვითარების ტემპებს.

შესაბამისად, ორგანიზაციები უნდა ცდილობდნენ, რომ დასაქმებულებს შეუქმნან მუშაობისთვის ხელსაყრელი გარემო. საჭიროა ადამიანურ ფაქტორზე მეტი ყურადღების გამახვილება, ვინაიდან ადამიანური რესურსი წარმოადგენს ორგანიზაციის მამოძრავებელ ძალას და, შესაბამისად, ორგანიზაციის ეფექტიანი ფუნქციონირების განმსაზღვრელ ფაქტორს.

## დასკვნა

როგორც აღნიშნული კვლევითი ფენომენის თაობაზე წარმოდებული აკადემიური დისკურსი და თეორიული წყაროები ცხადყოფს, შრომითი კმაყოფილება დადებით კორელაციაშია ისეთ მოვლენებთან, რომლებიც განაპირობებს ორგანიზაციის მაღალ ეფექტიანობას, მის ზრდას და განვითარებას. შესაბამისად იქნეს მიჩნეულ. შრომითი კმაყოფილება შეიძლება ბიზნესის წარმატებისათვის აუცილებელ წინაპირობად. შრომის კმაყოფილების კუთხით არსებული მიღწევები სრულიად შესაძლებელია, რომ ორგანიზაციის გაძლიერების და განვითარების საიმედო ბერკეტად გადაიქცეს.

ამდენად, ქართულ რეალობაში, მომსახურების ხარისხის ამაღლების მიზნით მნიშვნელოვანია შრომის კმაყოფილების, როგორც დასაქმებულთა ძირითადი სამოტივაციო ფაქტორის, მხედველობაში მიღება, რაც შედეგად გამოიწვევს მომხმარებლის კმაყოფილების დონის ამაღლებას და, თავისთავად, ბიზნესის უპირობო წარმატების საწინდარი გახდება.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ნონა ქარქუაშვილი, 10 რჩევა მომსახურების ხარისხის განვითარებისთვის – რა არის და რა უნდა იყოს?! ქ. „სტრატეგია და ორგანიზაცია“, 2013/10.
2. გიორგი გოროშიძე, თამარ კაკაურიძე, მართვის სტილი და შრომითი კმაყოფილება ქართულ ორგანიზაციულ კულტურაში, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
3. Frederick W. Taylor, The principles of Scientific Management, 1911.
4. Mayo, E. (1924). Revery and industrial fatigue. Journal of Personnel Research.
5. Maslow, A.H. (1943). A theory of human motivation. Psychological Review 50 (4) 370-396.
6. Locke, E.A. The nature and causes of job satisfaction. In M.D. Dunnette (Ed.), Handbook of industrial and organizational psychology (pp. 1297-1349). (1976). Chicago: Rand McNally.
7. Herzberg, F. (1968). One more time: How do you motivate employees? Boston: Harvard Business Review. pp. 46–57.
8. David, Weiss, Minnesota Satisfaction Questionnaire, University of Minnesota, 1977.
9. Campbell, J. P., McCloy, R. A., Oppler, S. H., & Sager, C. E. (1993). A theory of performance: In N. Schmitt & W. C. Borman (Eds.), Personnel Selection in Organizations (pp. 35-70). San Francisco: Jossey-Bass.
10. ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები, ილიას სახ. უნივერსიტეტი. 2010. გვ. 86.
11. <http://www.netgazeti.ge/GE/105/News/20592/>

*Maka Kikilashvili*

## LABOR SATISFACTION AND SERVICE QUALITY IN GEORGIA

### Annotation

Academic discussion and theoretical sources show that labor satisfaction is in positive correlation with such events that stipulate a high efficiency of organization, its growth and development. The to achieve events is quite possible to become the leverage for the strengthening and development of organization in the aspect of labor satisfaction.

Thus, in Georgian reality is significant to take into consideration labor satisfaction as the main motivation factor for unemployed to increase service quality. This will result in the raise of the level of consumer's satisfaction

*ბექა კობერიძე*

## საპარტფელოს მცირე და საშუალო ემპირიული მონაცემების ინტერნაციონალიზაციის პრობლემატიკა

ინტერნაციონალიზაცია არის ეკონომიკური და ქცევითი კომპონენტების ერთობლიობა და გულისხმობს საერთაშორისო საქმიანობაში ჩართვას, ადაპტაციას და გაფართოებას. საწარმოების ინტერნაციონალიზაციის შედეგად მოყვება მენეჯმენტის ცვლილებები, დანახარჯების ეკონომია, შრომის მწარმოებლურობის ზრდა და ისეთი სტრატეგიული ფაქტორების ეფექტიანად ამოქმედება, როგორცაა ადგილობრივ ბაზარზე კონკურენციის თავიდან აცილება, ადგილობრივი ბაზრის გაფართოება და სხვ. იგი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ინოვაციების დანერგვას და ზრდის ბაზრების მიზიდვლობას ახალი ფასების ფორმირებით, საქონლის დიფერენციალით და სხვ. მისი განხორციელებით რესურსები მნიშვნელოვნად იზოგება და წარმოება კი ფართოვდება.

მსხვილ კორპორაციებთან შედარებით, მცირე და საშუალო ბიზნესის წინაშე უფრო მეტი ბარიერია, რომლებიც ხელს უშლის ან ანელებს მათი ინტერნაციონალიზაციის პროცესს. ამ ბარიერების გამოსავლენად ჩატარდა სოციოლოგიური გამოკითხვა სოფლის მეურნეობის, დამამუშავებელი მრეწველობისა და ვაჭრობის სფეროს 42 საწარმოში, რომლებმაც ევროკავშირის ქვეყნებში განახორციელეს საქონლის ექსპორტი 2012-2013 წლებში.

ქართული საწარმოები ევროკავშირის ბაზრებზე შესვლის საწყის სტადიაზეა, ამიტომ კვლევა სწორედ ამ ეტაპის ანალიზს გულისხმობდა. კვლევისას გამოყენებულ იქნა შემდეგი თეორიული კონსტრუქცია: საერთაშორისო მეწარმეობის პროცესი, როგორც ადგილობრივი მეწარმეობის აღქმა და მოტივაცია უცხო ბაზრებზე შესვლის შესახებ (მეწარმეების აღქმა); მათი ქსელში გაერთიანების შესაძლებლობები და წინააღმდეგობები (ქსელი) და იმ პროდუქციის მნიშვნელობა, რომლითაც ისინი შეძლებენ ან ახდენენ ბაზრებზე შეღწევას (ბრენდი).

გამოკითხვისას გამოვლინდა, რომ რესპონდენტთა მხოლოდ ერთი მეოთხედი თვლის, რომ მისი საწარმო ინტერნაციონალურია.

უცხოეთის ბაზრებზე საქმიანობის ყველაზე დიდ ბარიერებს წარმოადგენს კონტაქტები უცხოელ პარტნიორებთან, ბაზრების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა ლოგისტიკა და სტრანსპორტო მომსახურების ღირებულება, ხოლო ყველაზე უმნიშვნელო ბარიერია კულტურული განსხვავებები. კაპიტალის ნაკლებობა, მხოლოდ რამდენიმე ორგანიზაციამ აღიარა, როგორც მათი წარმოების გაფართოების ბარიერი. სოფლის მეურნეობის წარმოებაში მეწარმეების ყველაზე დიდი პრობლემაა პროდუქციის არაკონკურენტუნარიანობა, ლოგისტიკა და სტრანსპორტო მომსახურება, ხოლო მედიცინა ყველაზე დიდი პრობლემაა კონტაქტების დამყარება უცხოელ პარტნიორებთან და ენობრივი ბარიერი.

ექსპორტორი კომპანიები საზღვარგარეთ ძირითადად ინსტიტუციური შუამავლების, მათ შორის ნაცნობი ფიზიკური პირების მეშვეობით ახდენენ პროდუქციის ექსპორტს. ეს გარემოებები ნაწილობრივ შეიძლება იმითაც აისხნას, რომ საწარმოებს არ აქვთ სტრატეგიული ხედვა. მათ სტრატეგია არ გააჩნიათ და არც ბაზრის ცოდნას თვლიან საჭიროდ, შესაბამისად, მათი საექსპორტო ქცევები ქაოსურია. ისინი დამოკიდებულნი არიან თავიანთი პროდუქციის განსაკუთრებულობასა და სპეციფიკურობაზე, რომელიც მათ შეფარდებით უპირატესობას აძლევს უცხოურ ბაზრებზე.

ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებად, რომელსაც მეწარმეები ასახელებენ უცხო ბაზრებზე შეღწევისას, არის ინსტიტუციური პარტნიორის გამოჩენა, ბრენდი და მაღალი ფასები., საწარმოს ინტერნაციონალიზაციის ზრდის ძირითად მიზეზად კი ასახელებენ პროდუქციის წარმოების შესაძლებლობებსა და მათი დივერსიფიკაციის სურვილს.

საქართველოში საექსპორტო პროდუქციის რესურსული შესაძლებლობები გამოკითხულ დარგებში საკმარისზე მეტია, რაც ზრდის დიდ პოტენციალს გამოხატავს. თუმცა ინტერნაციონალიზაციის პროცესი არ არის მნიშვნელოვანი ნოუ-ჰაუსი, ახალი ტექნოლოგიების ზრდის კუთხით, რაც განპირობებულია ექსპორტის სტრუქტურით, ძირითადად ნედლი მასალის ან უკვე გამოყენებული ტექნოლოგიების თავისებურებებით. ევროპული ბაზარი ქართველი ექსპორტიორებისათვის ჯერჯერობით ვერ ქმნის ინოვაციური განვითარების პირობებს. მათ კონკურენტულ უპირატესობას ქმნის პროდუქციის განსაკუთრებულობა, შრომის დაბალი დანახარჯები და ფასი.

ქართული პროდუქციის ექსპორტი თავისებური და სპეციფიკურია, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი საექსპორტო პროდუქცია, მაგალითად, თხილი, დაბალკონკურენტუნარიანია, მისი რეალიზაცია ევროპულ ბაზრებზე სულ უფრო იზრდება, რადგან ამ პროდუქციის განსაკუთრებულობა და მასზე მაღალი მოთხოვნა ამცირებს მეწარმის დაინტერესებას, გაზარდოს მისი ხარისხი.

ქართველი ექსპორტიორები ძირითადად დამოკიდებული არიან ადგილობრივ საბანკო სესხსა და საკუთარ კაპიტალზე, ხოლო უცხო ქვეყნის საკრედიტო ხაზები და სახელმწიფო და საერთაშორისო პროგრამები მათთვის დაბალეფექტიანია.

პარტნიორული ქსელების დამყარებაში ყველაზე მნიშვნელოვანია პიროვნული კონტაქტები, რომელიც განსაზღვრავს მათი ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობებს. ინტერნაციონალური კონტაქტები არსებითად უზრუნველყოფს ქართული საწარმოების საბაზრო პოზიციას და ბაზარზე შესვლას. ამდენად, ინსტიტუციური პარტნიორის გარეშე ქართველი მეწარმეების შეღწევა ევროპულ ბაზრებზე შეუძლებელია. მიუხედავად პარტნიორული ქსელის ასეთი მნიშვნელოვანი როლისა, საკუთარი ვებგვერდი აქვს მხოლოდ მეწარმეთა ერთ მეექვსედს და ინტერნეტი ძირითადად ანგარიშსწორებისათვის გამოყენება.

მენეჯმენტისა და რეგულირების სფეროში საწარმოებს გააჩნიათ შესაბამისობის სერტიფიკატები, რომლის დანახარჯებიც მნიშვნელოვანი არ არის მათი პროდუქციის ღირებულებაში და მათ, ფაქტობრივად, არ აქვთ სერიოზული ბარიერები შესაბამისობის სერტიფიკატების შექმნისას. ზოგიერთი ძირითადი საექსპორტო პროდუქციის, მაგალითად თხილის წარმოებაში, მსს-ის მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს სერტიფიკატი, რამდენადაც მას შედარებით ძვირად ღირებულად მიიჩნევენ. მეწარმეები აღიარებენ, რომ მენეჯმენტისა და სტანდარტიზაციაში ყველაზე მნიშვნელოვანი ბარიერია ევროპული სტანდარტების მოთხოვნების უცოდინარობა და გაუგებარი და ბუნდოვანი წესები, რაც ხელს უშლის მათი პროდუქციის დივერსიფიკაციას.

ქართველი მეწარმეებისათვის პროდუქციის რეალიზაციისას ევროკავშირის მარეგულირებელი ტექნიკური პირობები ასევე არ წარმოადგენს აქტუალურ თემას, რამდენადაც ისინი უშუალოდ არ ყიდნიან პროდუქციას ევროკავშირის ბაზრებზე, ამიტომ მათთვის ძნელია იმსჯელონ, თუ რამდენად რთულია ადგილობრივი ტექნიკური ნორმებისა და საზღვარგარეთულ ტექნიკურ ნორმებს შორის შეუსაბამობის გადალახვა ან ევროკავშირის რომელი სტანდარტია ყველაზე მძიმე და ძვირი.

საექსპორტო პროდუქციის სტანდარტსა და ხარისხზე მოთხოვნების შესახებ მეწარმეებს ინფორმაციას აწვდიან დარგობრივი ასოციაციები სხვადასხვა შემეცნებითი და სასწავლო ღონისძიებების მეშვეობით, მაგრამ

ევროპის საზღვრებზე სტანდარტების მოთხოვნებს უშუალოდ უცხოელი პარტნიორები აკმაყოფილებენ, რომლებიც ევროპაში ახდენენ პროდუქციის გადამუშევას და ისე შეაქვთ ეს პროდუქცია ევროპის ბაზრებზე.

საბაჟო პროცედურები შედარებით ადვილი ბარიერია ქართველი ექსპორტიორებისათვის, ამიტომ ეს მათთვის არ არის აქტუალური. პრობლემა მხოლოდ საქართველოს საბაჟოზე დოკუმენტებზე გადაჭარბებული მოთხოვნები ზოგიერთი პროდუქციის გატანისას. განსაკუთრებით ეს ეხება შესყიდვების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენას. ექსპორტიორი საწარმოები რიგ საექსპორტო პროდუქციას ფერმერებისაგან ყიდულობენ და მათთვის რთულია ამ საბუთის მიღება, რადგან ფერმერები, როგორც წესი, არ არიან რეგისტრირებული. ამიტომ, ხშირად იძულებული არიან შეისყიდონ მხოლოდ მათთან, ვისაც შეუძლია ამ ცნობის მიცემა. სხვა შემთხვევაში მცირე მეწარმეები იძულებული ხდებიან ადგილობრივ მსხვილ მეწარმეებს მიყიდონ თავიანთი პროდუქცია, და ეს უკანასკნელი ხდებიან მისი ექსპორტიორები, რისთვისაც მცირე და საშუალო მეწარმეები თმობენ ღირებულების ნაწილს.

რესპონდენტებს გარკვეული პასუხები არ აქვთ კითხვაზე, თუ რა არის მთავარი ხელის შემშლელი გარემოება საიმპორტო საბაჟო პროცედურების გაგლისას ევროკავშირის ბაზარზე, რადგან საზღვრის გადაკვეთაზე ძირითადად და აბსოლუტურად მათი ინსტიტუციური პარტნიორები ზრუნავენ და მათ არ აქვთ სრული ინფორმაცია ექსპორტის პროცედურების შესახებ.

კვების სექტორში მომუშავე საწარმოებისათვის ევროკავშირის სანიტარულ და ფიტოსანიტარულ ნორმებთან შესაბამისობისათვის გაწეული ღირებულება და ტექნიკური ნორმები ფრიად მნიშვნელოვანია, თუმცა ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტისას პროდუქციის მოყვანა სანიტარულ და ფიტოსანიტარულ ნორმებთან შესაბამისობაში არის ბარიერი, რომლის გადალახვაც მათ მნიშვნელოვან ღონისძიებად მიაჩნიათ შემდგომი განვითარებისათვის.

ამდენად, საქართველოში მცირე და საშუალო ზომის ექსპორტიორებისათვის მთავარი უპირატესობა მათი პროდუქციის განსაკუთრებულია, დაბალი დანახარჯები და ფასი. მეწარმეების ევროპულ ბაზრებზე შედგენის სტრატეგია განმტკიცებულია ამ ბაზრის დიდი ზომით, მათ პროდუქციაზე მაღალი მოთხოვნით და სტაბილურობის სურვილით. საექსპორტო ფირმებს აქვთ არა წარმოების პრობლემები, არამედ უცხოეთის ბაზრებთან კონტაქტის ნაკლებობა იმისათვის, რომ მოახდინოს მომხმარებელთა იდენტიფიკაცია და სტრატეგიის განსაზღვრა. საერთაშორისო ბაზრებზე მონაწილეობა ძირითადად ფიზიკურ პირებთან პერსონალური ურთიერთობების გზით ხდება. ქართველ მეწარმეებს ევროპულ ბაზრებზე საქმიანობის მცირე გამოცდილება აქვთ, ამიტომ მათი შედეგა და ბაზარზე დამკვიდრება მნიშვნელოვანად არის დამოკიდებული მათ პარტნიორებზე ევროპაში. ისინი დეტალურად არ სწავლობენ და არ აანალიზებენ ამ ბაზრებს, ამიტომაც ნაკლებად ერკვევიან ბაზრების რეგულაციებსა და სტანდარტულ ტექნიკურ ნორმებში. გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ მეწარმეთა დიდი ნაწილი ფიქრობს, მომავლში განხორციელოს და გააღრმავოს ინტერნაციონალიზაცია და მათ მიერ ინტერნაციონალიზაცია აღქმულია არა როგორც რესურსების გაფართოების საშუალება, არამედ ბიზნესის გაგრძელების პირობა, თუმცა ისინი არ აძლევენ მნიშვნელობას ინტერნაციონალიზაციასა და ინოვაციებს შორის კავშირს და არ მიიჩნევენ მათ საწარმოს ტექნოლოგიური განვითარების პირობად.

მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის სახელმწიფოს პროგრამების დახმარება ძალიან უმნიშვნელოა. მის შესახებ ცნობადობა მხოლოდ დარგობრივი ასოციაციების მიერ განხორციელებული ღონისძიებების მეშვეობით იქმნება. პოლიტიკის თვალსაზრისით მიზანშეწონილია, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს შემდგომი მხარდაჭერა და ხელი შეუწყოს ბიზნესასოციაციების საქმიანობას, რადგან მათი ურთიერთქმედება და ქსელის განვითარება, როგორც კვლევამ დაადასტურა, მნიშვნელოვანად დაეხმარება მცირე და საშუალო ბიზნესს საერთაშორისო ბაზრებზე წარმატების მიღწევაში.

*Beka Koberidze*

## **PROBLEMS OF INTERNATIONALIZATION OF SMALL AND MEDIUM-SIZED EXPORTERS OF GEORGIA** **Annotation**

The paper examines contradictions and basic patterns of enterprises of Georgia to enter into foreign markets, the reasons for the internationalization growth, competitive advantages, support forms and barriers of exporting firms in EU markets based on survey in three sectors of economy: agriculture, manufacturing industry and trade, it is estimated that international entrepreneurship process is perceived by local entrepreneurs of Georgia as the employment of specific resources, for the manufacturing of traditional brands. This process is provided by import behavior of partner foreign firms and individuals, which are main vehicle of exporting activities of Georgian MSE,s.

*ტარიელ ლომია*

### **საერთაშორისო ბარემოსდაცვითი პოლიტიკის როლი საქართველოში**

გარემოს დაცვის საკითხი 21-ე საუკუნეში უფრო და უფრო აქტუალური ხდება წამყვანი ქვეყნებისა და, შესაბამისად, მთელი მსოფლიოსათვის. ეს განაპირობა იმან, რომ იგრძნობა გლობალური დათბობის შედეგები და გარკვეული რესურსების ნაკლებობა, რის შემცირებამაც შეიძლება წარმოუდგენელი ზიანი მიაყენოს მსოფლიო ეკონომიკას. მსოფლიოს ლიდერ ქვეყნებში გამანადგურებელი მომავლის შიშმა დაისაღვრა და ეს შიში მე-20-ე საუკუნის დასაწყისიდან დღემდე ძლიერდება. მისი შედეგია ის, რომ ქვეყნები ცდილობენ მივიდნენ კონსენსუსამდე გარემოსთან დაკავშირებულ უამრავ საკითხზე, შეამცირონ გამონაბოლქვი და წარმოების ახალი გზები აღმოაჩინონ, რომელიც არ დაზიანებს გარემოს. ფორმდება უამრავი ხელშეკრულება, რომელიც ქვეყნებს კონკრეტული კრიტერიუმების დაცვას ავალდებულებს, რის შედეგადაც უნდა შემცირდეს გარემოს დამაზიანებელი ნივთიერებების გამოყოფილი საწარმოების რაოდენობა. მაგ., კიოტოს პროტოკოლი, კოპენჰაგენის სამიტი, მეხიკოს სამიტი და სხვ. [7]

გარემოს დაცვა გულისხმობს ყველა იმ ღონისძიებას, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის და ბუნების სასიცოცხლო საფუძვლების მთლიანობაში შენარჩუნებას და გარემოს არსებული დაზიანებების აღმოფხვრას. აქ წინა პლანზე დგას ადამიანის მიერ გამოწვეული ზიანის შეზღუდვა ყველა ცოცხალი არსების კეთილდღეობისათვის.

გარემოზე ინტენსიურმა, ხშირ შემთხვევაში კი, უკონტროლო ზემოქმედებამ, ერთი მხრივ, ხელი შეუწყო მსოფლიოში ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდას, მეორე მხრივ, კი ბიძგი მისცა გარემოში დეგრადირებული, უმეტესად, შეუქცევადი პროცესების დაწყებას, რაც რეალურ საფრთხეს უქმნის ადამიანის სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობას. განვითარებად ქვეყნებში მცხოვრები ადამიანები უფრო დაუცველნი არიან ბუნებრივი საფრთხეებისგან და ყველაზე დიდ დანაკარგს განიცდიან როგორც სიცოცხლისა და საარსებო საშუალებების თვალსაზრისით, ასევე ეკონომიკურადაც, მთლიანი შიგა პროდუქტის პროპორციულად. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მაღალგანვითარებული ინდუსტრიული ქვეყნების მოსახლეობა გაცილებით მეტად აზიანებს გარემოს, ვიდრე ღარიბი ქვეყნების მოსახლეობა. გარემოს დაბინძურება წარმოიშობა საყოფაცხოვრებო პირობებში ენერჯის გამოყენებით, გათბობის მოწყობილობათა გამოწვევებით, ისევე, როგორც ნაგებობა და ქიმიური და სასმელი წყლის გაფლანგვით.

ამჟამად მწვავედ დგას ჰაერის, წყლის, ნიადაგის გაჯერების საკითხი. ხე-ტყის განეხვის შედეგად გამოწვეული ჟანგბადის დეფიციტი, ზღვებსა და ოკეანეებში ნავთობპროდუქტების გაუონვა, საწარმოების გამონაბოლქვი და სხვა. არსებობს გარემოს დაბინძურების ბუნებრივი და ანთროპოგენური მიზეზები, მათ შორის: ენერგეტიკა, საყოფაცხოვრებო ნარჩენები, გამონაბოლქვი, პესტიციდები, სამრეწველო საქმიანობა, რადიაცია და ა.შ. ამ ყოველივეს კი საბოლოოდ მიეყვართ გარემოს დეგრადაციამდე, რომელიც გამოიხატება გაუდაბნობით, ტყეების განადგურებით, სახეობათა გადაშენებით, დაბინძურებით, კლიმატის ცვლილებით და სხვა.

არსებობს გარემოს დაცვის რამდენიმე პრინციპი:

**რისკის შემცირების პრინციპი** – საქმიანობის სუბიექტი თავისი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელებისას ვალდებულია, მიიღოს სათანადო ზომები გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების რისკის თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად;

**ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნების პრინციპი** – საქმიანობა არ უნდა იწვევდეს ბიომრავალფეროვნების შექცევად დეგრადაციას;

**ნარჩენების მინიმიზაციის პრინციპი** – საქმიანობის განხორციელებისას უპირატესობა ენიჭება ისეთ ტექნოლოგიას, რომელიც უზრუნველყოფს ნარჩენების მინიმიზაციას;

**მდგრადობის პრინციპი** – გარემოსა და ბუნებრივი რესურსების გამოყენება, როდესაც საშიშროება არ ექმნება საზოგადოების განვითარებას და უზრუნველყოფილია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა შეუქცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან;

**ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპი** – ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ ღია და ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის.

გარემოს დაცვა ევროკავშირის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა მთელს მსოფლიოში. ევროკავშირის განხორციელების გარემოსდაცვითი პოლიტიკის მიზანი ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაა. გარდა ამისა, იგი მიზნად ისახავს ბუნებრივი რესურსებით უფრო ფრთხილი და რაციონალური სარგებლობის წახალისებას. ამასთანავე, გაერთიანება ცდილობს, საერთაშორისო დონეზე წამოჭრას გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები. [9]

საერთაშორისო მასშტაბით, გარემოს დაცვის ერთ-ერთი მარეგულირებელი ორგანო გაეროს დაცვის პროგრამაა, რომლის მიზანია განახორციელოს ხელმძღვანელობა და ხელი შეუწყოს პარტნიორობას გარემოს მიმართ ფაქიზი დამოკიდებულების მიზნით და ერების ცხოვრების დონის გაუმჯობესება მომავალი თაობებისთვის ზარალის მიყენების გარეშე. იგი შეიმუშავებს გლობალურ ეკოლოგიურ პროგრამებს, რომლებიც ფინანსდება ეკოლოგიური ფონდების სახსრებით.

მასშტაბის მიუხედავად, გარემოს მრავალფეროვნებისა და უნიკალურობის თვალსაზრისით საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა. ევროკავშირი საქართველოს არა მხოლოდ რეალური და პრაქტიკული გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელებაში ეხმარება, არამედ გარემოსდაცვითი პოლიტიკის, სტრატეგიისა და კანონმდებლობის შემუშავებაში უწყვეს მხარდაჭერას. 2010 წლისთვის საქართველოში მიმდინარე გარემოსდაცვითი პროექტების ღირებულებამ 20 მილიონი ევრო შეადგინა. [7] საქმიანობის დიდი ნაწილი მიმართული იყო გარემოსდაცვით საკითხებში საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე.

ევროკავშირის გარემოს დაცვის პოლიტიკის მიზნებია:

1. გარემოს შენარჩუნება, დაცვა და მისი ხარისხის გაუმჯობესება;
2. ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა;
3. ბუნებრივი რესურსების ფრთხილი და რაციონალური გამოყენება;
4. საერთაშორისო დონეზე გარემოს რეგიონული და გლობალური პრობლემების დასაძლევად გასატარებელ ღონისძიებათა ხელშეწყობა.

ერთ-ერთ ყველაზე წამატებულ გარემოს დაცვის საერთაშორისო ინიციატივას მიეკუთვნება “დედამიწის საათი 2011”. ეს გლობალური აქცია დაარსდა ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის მიერ. „ჩაატრე შუქი, ანუქე დედამიწას ერთი საათი“ – ამ აქციას 2011 წლის 26 მარტს საქართველოც შეუერთდა. ეს არის მსოფლიოში ყველაზე წარმატებული საინფორმაციო კამპანია კლიმატის ცვლილებისა და გლობალური დათბობის წინააღმდეგ, რომელშიც 131 ქვეყანა იღებს მონაწილეობას. [12]

გარემოსდაცვითი დაგეგმვის სისტემის დანერგვის მცდელობა საქართველოში ჯერ კიდევ 90-იანი წლების ბოლოდან იწყება. გაცნობიერებულ იქნა რა გარემოსდაცვითი პრობლემების კომპლექსური ხასიათი, ასევე ეკონომიკური განვითარების, ჯანდაცვისა თუ სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფის ღონისძიებებში გარემოსდაცვითი საკითხების ასახვის საჭიროება, 1996 წელს მიღებულ იქნა ჩარჩო-კანონი „გარემოს დაცვის

შესახებ“. ეს კანონი ითვალისწინებს ეროვნული მდგრადი განვითარების სტრატეგიის მომზადებას და ამ პროცესში წამყვან როლს გარემოს დაცვის სამინისტროს ანიჭებს[7].

გარემოსდაცვითი პოლიტიკის ფორმირება საქართველოში მრავალი საერთაშორისო ვალდებულებითაც ხდება. საქართველო ცდილობს დანერგოს საერთაშორისო დონეზე აღიარებული გარემოსდაცვითი მიდგომები და რეგულაციები. დღეის მდგომარეობით საქართველო დაახლოებით 50 მრავალმხრივი და ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმების მხარეა და თითოეული შეთანხმება მას გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს[7].

საერთაშორისო თანამშრომლობა წარმოადგენს უმთავრეს მამოძრავებელ ძალას გარემოსდაცვითი რეგულაციებისთვის საქართველოში. საქართველომ 1994 წელს, ხელი მოაწერა ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვის კონვენციას, რითაც აიღო პასუხისმგებლობა, დაეცვა ქვეყნის მდიდარი მცენარეული, ცხოველთა და მიკრობული მრავალფეროვნება და დაეწყო ბიოლოგიური რესურსების მდგრადი მოხმარება[11].

ოზონის შრის დამწვევ ნივთიერებათა შესახებ მონრეალის ოქმის ვალდებულებების შესაბამისად, ძირითადი ოზონდამწველი ნივთიერებების ჩივრებიდან წარმატებით ამოღებისა და მათი ალტერნატიული ნივთიერებებით ჩანაცვლების შედეგად ბაზარზე გაჩენილი ახალი მაცივარაგენტების და თანამედროვე დანადგარების ადამიანისა და გარემოსთვის უსაფრთხო მთავრობის მიზნით, შექმნა და დამტკიცდა საქართველოს ეროვნული სტანდარტი „სამაცივრო სისტემების და თბური ტუმბოების მომსახურების უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მოთხოვნები“. მუშავდება ნორმატიული აქტების პაკეტი სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტისა და განთავსების შესახებ ბაზელის კონვენციის და ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებებითა და პესტიციდებით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში წინასწარი დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ როტერდამის კონვენციის ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობად. აღნიშნული ნორმატიული აქტების ამოქმედება ხელს შეუწყობს საქართველოს კანონის აღსრულებას, რომელიც კრძალავს საქართველოს ტერიტორიაზე სახიფათო ნარჩენების იმპორტსა და ტრანზიტს და აკონტროლებს არასახიფათო ნარჩენების იმპორტს, ექსპორტსა და ტრანსიტს[7].

მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველომ 2006 წელს მოახდინა სტოკჰოლმის კონვენციის რატიფიკაცია, რომელიც ითვალისწინებს როგორც ტექნიკურ, ასევე ფინანსურ დახმარებას განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების შესაძლებლობათა პოტენციალის გასაძლიერებლად კონვენციის მოთხოვნათა დანერგვის მიზნით; თითოეული ამ ქვეყნისათვის ეროვნული სამოქმედო გეგმის შედგენას შემდგომში მისი განხორციელებით.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ 2009 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის მიერ მომზადდა “საქართველოში გარემოსდაცვით საქმიანობათა ეფექტიანობის შეფასების” დოკუმენტი. შეფასების მიზანია ქვეყანაში 2003 წლიდან დღემდე გარემოს დაცვის სფეროში არსებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბაზის შესწავლა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება გარემოსდაცვითი მმართველობის გაუმჯობესების მიზნით.

უმნიშვნელოვანესი გარემოსდაცვითი დოკუმენტია ასევე ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულება, რომელიც ქვეყნის გარემოსდაცვითი პოლიტიკის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს და სხვადასხვა მიმართულებით მას გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს[10].

საქართველოს მთავრობამ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის ადგილობრივი წარმომადგენლობის დახმარებით, განაცხადი შეიტანა გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მცირე გრანტების პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც საქართველოში ოფიციალურად დაიწყო 2012 წლის ნოემბერში. იგი ხელს უწყობს ქვეყანაში გლობალური გარემოსდაცვითი სარგებლობის გაზრდას, გავრცელებას და დანერგვას.

სპეციალისტები გარემოს დაცვის სფეროში გამოყოფენ 6 ძირითად დარგს, რომელთა მიხედვითაც ხორციელდება გარემოს დაცვა:

1. წყლის რესურსები და შავი ზღვა;
2. ატმოსფერული ჰაერის დაცვა;
3. ნარჩენები და ქიმიური ნივთიერებები;
4. ბიომრავალფეროვნება და დაცული ტერიტორიები;
5. მიწის რესურსები;
6. კლიმატის ცვლილება და კატასტროფები.

1990 წლიდან მოყოლებული, შავი ზღვის ექსპრესსა ქვეყანამ მიაღწია რამდენიმე შეთანხმებას ზღვის დასაცავად. ზოგადად ეს კონვენცია ძალიან საჭირობოტო და აქტუალურია ჩვენი ქვეყნისათვის, რადგან შავი ზღვა უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მისი სამეურნეო, სატრანსპორტო და ტურისტულ-რეკრეაციული მნიშვნელობების გამო[13].

მოწინავე ქვეყნებში, მათ შორის ევროგაერთიანების ქვეყნებში, გარემოს დაცვის სფეროში გამოიყენება ე.წ. ეკონომიკური ინსტრუმენტები. ამ ინსტრუმენტებს შორის ყველაზე ფართოდ გავრცელებულია გადასახადები გარემოში მავნე ნივთიერებების გამოფრქვევაზე საქონელზე ან ნედლეულზე, რომლებიც იწვევს გარემოს დაბინძურებას. ასეთი გადასახადები, წარმოების, მომსახურების და პროდუქტების ფასებზე ზემოქმედების გზით, ეკონომიკურ სტიმულს აძლევს მწარმოებლებს და მომხმარებლებს, შეამცირონ გარემოს დაბინძურება.

გარემოს დაბინძურების პრობლემა საკმაოდ აქტუალური საკითხია და მის გადასაჭრელად კონკრეტული ღონისძიებების გატარება საჭირო. ეს, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს ადამიანთა შეგნების ამაღლებას, გაუფრთხილდნენ გარემოს და ოპტიმალურად გამოიყენონ მასში არსებული შეზღუდული რესურსები.

აუცილებელია, გარემოს დაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება; ჰაერის დაბინძურების წყაროებზე კონტროლის დაწესება; ნიადაგის დაბინძურების პრევენცია; საქართველოს ტერიტორიის გაწმენდა რადიოაქტიური ნარჩენებისა და სარაკეტო საწვავისაგან; საკვების უსაფრთხოების უზრუნველყოფა; ევროპის და გაეროს გარემოს დაცვის სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივი დაახლოება; მოსახლეობისა და გარემოს უსაფრთხოების დაცვა ბუნებრივი რესურსების მნიშვნელოვანი შემცირების, გარემოს დაბინძურების და ბუნებრივი და ადამიანის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი უბედურებების პრევენციის



გზით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მასშტაბურ საწარმო ინციდენტებს და ისეთ ბუნებრივ მოვლენებს, როგორცაა წყალდიდობა, მეწყერი, ზეავი და მიწისძვრა. აუცილებელია, რეგულარულად ხორციელდებოდეს რისკების შეფასებები, მოსახლეობის ინფორმირების კამპანიები და მუშავდებოდეს კრიზისების ეფექტიანი პრევენციის და პოსტკრიზისული მართვის პროგრამები.

„ეკვლას აქვს უფლება, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი და კულტურული გარემოთი“ – განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლში. გარემოს დაცვის პოლიტიკის გატარების აუცილებლობა განპირობებულია სწორედ ადამიანის უფლებით, ცხოვრობდეს ჯანსაღ გარემოში და სარგებლობდეს ეკოლოგიურად სუფთა ბუნებრივი გარემოთი[4].

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. ბაბუნაშვილი გ, საქართველოს ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების პრობლემები, თბილისი, 2000.
2. გველესიანი რ, გოგორიშვილი ი, ეკონომიკური პოლიტიკა, წიგნი II, თბილისი, 2012,
3. ლემონჯავა პ, ბუნების გამოყენების ეკონომიკა, თბილისი, 2014,
4. საქართველოს კანონი: “გარემოს დაცვის შესახებ”, დეკემბერი, 1996.
5. წერეთელი გ, გარემოს დაცვის ეკონომიკური პრობლემები, თბილისი, “მეცნიერება”, 1987.
6. <http://eurostat.com>
7. <http://moe.gov.ge>
8. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959>
9. [http://eeas.europa.eu/delegations/georgia/index\\_ka.htm](http://eeas.europa.eu/delegations/georgia/index_ka.htm)
10. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959>
11. [www.eiec.gov.ge](http://www.eiec.gov.ge)
12. <http://www.wwf.eu>
13. [http://ilmo.gov.ge/?sec\\_id=119&lang\\_id=GE08project\\_id=33](http://ilmo.gov.ge/?sec_id=119&lang_id=GE08project_id=33)

*Tariel Lomia*

### THE ROLE OF INTERNATIONAL ENVIRONMENTAL PROTECTION POLICY IN GEORGIA

#### Annotation


The article represents the analysis of environmental protection issues in Georgia, also there is substantiated the necessity of environmental treaties, conventions and agreements in it that aims to maintain the vital basis of nature and human being and strengthen the damage control.

The article proposes the changes that should be implemented in order to improve the environmental protection politics in Georgia and it estimates the role of these changes for reduction of damage caused by mankind. Also, there is analyzed the principles of environmental protection, which have an important role as part of an international initiative.

*ნანა მაისურაძე*

#### პერსონალის ორგანიზაციულ-ეკონომიკური მართვა – "RMG"-ის კომპანიების მაგალითზე

როგორც ცნობილია, მართვა, როგორც პროცესი, არის მმართველობითი მოქმედებების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს დასახული მიზნის მიღწევას არსებული შრომითი რესურსების პირობებში ორგანიზაციულ-ეკონომიკური ბერკეტების გამოყენების გზით [4]. ამ პროცესის შემაფერხებელი ფაქტორებია: ფინანსური, წმინდა ორგანიზაციული და პიროვნული კონფლიქტები [2]. ჩვენი მოსაზრებით, ნებისმიერ ორგანიზაციაში კონფლიქტური ვითარების უკუღმართულობის მიზნით, აუცილებელია პერსონალის კატეგორიებად დაყოფა, ეს ასევე მნიშვნელოვანია ანაზღაურების სისტემის სრულყოფისათვის, ამ მიზნით გამოყენებული უნდა იქნეს ხელფასის ოდენობის განსაზღვრის ტრადიციული ალგორითმი: შესრულებული სამუშაოს აღწერა; თანამდებობრივი კლასიფიკაცია; შრომის ბაზრის ანალიზი; სამუშაო ადგილის ფასის დადგენა; ხელფასის დადგენა. ამ სისტემის დასაზღვრად, "RMG"-ის კომპანიებს შევთავაზებთ თანამდებობრივი კლასიფიკაციის დაყოფის იერარქიული მრავალფუნქციური პირამიდა, რომელიც მართვის დონეების განმსაზღვრელია, ამასთან, სისტემური ანალიზის კონვერგენციული მოდელის წარმმართველია და ასახავს თანამდებობრივ მდგომარეობას, შესაბამის ფუნქციებს, კვალიფიკაციის დონეს, რომლის გამოყენება შესაძლებელია როგორც ანაზღაურების სისტემის, ისე სოციალურ-ეკონომიკური ანალიზისათვის. ჩვენ მიერ ("RMG"-ის კომპანიების საქმიანობის შესწავლის საფუძველზე) წარმოდგენილი პირამიდა ასახავს თუ რა ადგილი უჭირავს "RMG"-ის კომპანიების სტრუქტურაში კონკრეტული კატეგორიის თანამდებობაზე დასაქმებულ პერსონალს იერარქიულად, რა ტიპის გადაწყვეტილებების მიღება უწევთ, რა დონის პასუხისმგებლობა აქვთ ორგანიზაციულ-ეკონომიკური მართვის პროცესში (ნახ. 1).



**ნახ. 1. სისტემური ანალიზის კონვერგენციული მოდელის მრავალფუნქციური პირამიდა**

მოცემულ პირამიდაში პერსონალის თანამდებობრივი და ფუნქციური გრადაცია აგებულია შემდეგ ორგანიზაციულ-ეკონომიკურ პრინციპებზე [3]:

G - ამ კატეგორიაში შედის სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც არ წარმოადგენს კომპანიის პერსონალს, მაგრამ აყალიბებს კომპანიის კონცეფციას, იღებს დივიდენდებს და მართავს კომპანიას აქციების ფლობის შესაბამისად;

F კატეგორიის პერსონალი აყალიბებს "RMG"-ის კომპანიების კონცეფციის შესაბამისად ორგანიზაციულ-ეკონომიკურ პოლიტიკას, სახავს სტრატეგიას. ამ იერარქიულ დონეში შედის დირექტორატი;

E კატეგორიის პერსონალი იღებს სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს, მოქმედებს თავისი კურატორობის ფარგლებში და, ამასთან, პორიზონტალურ კავშირებს აღრმავებენ შესაბამისი დონის მენეჯერებსა და დეპარტამენტის უფროსებთან. ამ კატეგორიის პერსონალს მოეთხოვება პროფესიონალიზმი, უმაღლესი განათლება და განსაკუთრებული უნარების ქონა.

E და F კატეგორიის პერსონალს, მათი სამუშაოს დიდი მოცულობისა და დაძაბული ხასიათის გამო, აქვთ მაღალი ანაზღაურება. ამ კატეგორიის პერსონალი მონაწილეობს კომპანიის განვითარების სტრატეგიის შექმნაში. მართვის ამ დონის ხელმძღვანელები თავიანთი სამუშაო დროის უდიდეს ნაწილს, დაახლოებით 55%-ს, დაგეგმილ თათბირებსა და შეხვედრებს უთმობენ, ხოლო დარჩენილ დროს – დოკუმენტებზე მუშაობას და კომპანიის პოლიტიკის განხორციელების კონტროლს;

D კატეგორიის პერსონალი იღებს ტაქტიკურ გადაწყვეტილებებს კომპანიის ორგანიზაციულ-ეკონომიკური პოლიტიკის გათვალისწინებით, მათი მიზანია, მართვა გასაღონ ქმედუნარიანი, რისთვისაც იყენებენ სხვადასხვა მართვის მექანიზმებს, მათ შორის კონტროლს. ამ კატეგორიაში შედიან ისეთი მენეჯერები, რომლებიც დასაქმებულისაგან მოითხოვენ პროფესიონალიზმს, უმაღლეს განათლებას, გამოცდილებას. ამ კატეგორიის წარმომადგენლები არიან: სამსახურის ან განყოფილების უფროსები, მთავარი ბუღალტრი;

C კატეგორიის პერსონალი დასახული მიზნების მისაღწევად იყენებს პროცესუალურ გადაწყვეტილებებს, ახდენს მეთოდების შერჩევას, საშუალებათა გამოყენების კოორდინაციას და ზემდგომი ხელმძღვანელების დავალებების მისადაგებას კომპანიის ორგანიზაციულ-ეკონომიკურ პოლიტიკასთან. ამ კატეგორიის პერსონალი დასაქმებულებისაგან ითხოვს პროფესიონალიზმს, უმაღლეს განათლებას სპეციალობის მიხედვით. ამ კატეგორიაში შედიან ბრიგადის უფროსები, ოფისის მენეჯერები, ინჟინრები, პროგრამისტები, იურისტები, ეკონომისტები. ამ პერსონალს წარმოადგენს "RMG"-ის კომპანიების მართვის საშუალო (C და D) დონის ხელმძღვანელები, რომლებიც შუალედურ როლს ასრულებენ მართვის უმაღლესი და ქვედა დონის პერსონალს შორის. უმაღლესი დონის ხელმძღვანელები ძირითადად მათგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებას, რომელიც მართვის საშუალო დონის ხელმძღვანელების მეშვეობით დაიყვანება ქვედა დონის ხელმძღვანელებამდე. მართვის საშუალო დონის ხელმძღვანელები თავიანთი სამუშაო დროის დიდ ნაწილს უმაღლესი და ქვედა დონის ხელმძღვანელებთან ურთიერთობაში ატარებენ. მართვის ამ დონის ხელმძღვანელები პასუხს აგებენ მთელი ორგანიზაციის საქმიანობაზე და მონაწილეობენ კომპანიის სტრატეგიის განხორციელების გეგმის შედგენაში;

B კატეგორიის პერსონალი კონკრეტული დავალების შესასრულებლად იყენებს ოპერატიულ გადაწყვეტილებას, იყენებს არსებულ მეთოდებს. ამ კატეგორიაში განლაგებული პერსონალი იკავებს ისეთ თანამდებობებს, როგორცაა ტექნიკოსი, მდივანი, ასისტენტი, საქმის მწარმოებელი, რომლებიც დასაქმებულებისაგან გარკვეული კვალიფიკაციის ცოდნას მოითხოვენ, მაგრამ უმაღლესი განათლება აუცილებლობას არ წარმოადგენს;

A კატეგორიის პერსონალი იღებს პირველად გადაწყვეტილებას, იყენებს არსებულ საშუალებებს დაკისრებული სამუშაოს შესასრულებლად. ამ კატეგორიის პერსონალს მიეკუთვნებიან მუშები, დამლაგებლები, დარაჯები და ა.შ. ამასთან, "RMG"-ის კომპანიების მართვის ამ ძირეული რგოლის (A და B) პერსონალი უშუალო კავშირშია არამართველობითი შრომით დაკავებულ პერსონალთან. მათი ძირითადი მოვალეობაა, განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში თვალყური ადევნონ საწარმოო დავალებების შესრულებას. ისინი ხშირად პასუხს აგებენ გამოყოფილი რესურსების გამოყენებაზე და უზრუნველყოფენ კონკრეტული სამუშაოს შესრულებას.

პერსონალის არსებული თანამდებობების კატეგორიებად დაყოფა აუცილებლობას წარმოადგენს ობიექტური ანაზღაურების სისტემის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც ბიზნესპროცესის სრულყოფის და ფუნქციონირების მთავარი შემადგენელია.

აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ პერსონალის მართვის პროცესში ახალი მოთხოვნების კვალობაზე იკვეთება დამატებითი პრობლემები, რომლებიც მართვის ახალი მეთოდების ძიებას ითხოვს. ჩვენი კვლევის პრობლემატიკიდან გამომდინარე, ასევე გამოიკვეთა ის საკითხები, რომლებიც ყველაზე მეტად დაკავშირებულია "RMG"-ის კომპანიების პერსონალის ორგანიზაციულ-ეკონომიკურ მართვასთან, განსაკუთრებით მატერიალური სტიმულირების ფორმების სრულყოფასთან. ამ საკითხების შესწავლა-გაანალიზებამ და ლოგიკურად გააზრებამ საშუალება მოგვცა, განგვესაზღვრა რამდენიმე ძირითადი მიმართულება:

1. ფოკუსირება სამუშაოს მხოლოდ კონკრეტულ ელემენტებზე (იგულისხმება პერსონალის მიერ შეძენილი ტენდენცია, გააკეთოს მხოლოდ ის, რისთვისაც მას უნაზღაურდება შრომა და ელის შესაბამის წახალისებას). ამ ჯგუფში ძირითადად შედის A და B კატეგორიის პერსონალი. სამუშაოს ასეთი მიდგომა ზრდის შესრულებული სამუშაოს ხარისხს. ხოლო ამ კატეგორიის პერსონალის მოტივაციის ყველაზე ქმედითი საშუალებაა ფულადი პრემიები. სტიმულირების ეს თუნდაც არამრავალჯერადი ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფორმა საკმარისია იმისათვის, რომ პერსონალში ჩამოყალიბდეს მოლოდინი, რომ მათ მიერ სანიმუშოდ შესრულებული სამუშაო წახალისებული და აღიარებული იქნება. არსებითად ეს მოლოდინი სწორედ ისაა, რის მიღწევასაც ცდილობენ "RMG"-ის კომპანიების მენეჯერები სტიმულირების სისტემის ჩამოყალიბებისას.

2. ფოკუსირება სამუშაოს რამდენიმე ელემენტზე (პერსონალის ვალდებულება, გააკეთოს მასზე დაკისრებული სამუშაო და გამოირჩეოდეს ინიციატივით, რისთვისაც მას უნაზღაურდება შრომა და ელის შესაბამის წახალისებას). ამ ჯგუფში ძირითადად შედის B, C და D კატეგორიის პერსონალი. სამუშაოს მიმართ ასეთი დამოკიდებულება ზრდის ხელქვეითების სტიმულს და შესრულებული სამუშაოს ხარისხს.

3. ფოკუსირება სამუშაოს რამდენიმე ელემენტზე და სამომავლო გეგმაზე (პერსონალის ვალდებულება, გააკეთოს მასზე დაკისრებული სამუშაო, გამოირჩეოდეს ინიციატივით და კონტროლით, რისთვისაც მას უნაზღაურდება შრომა და ელის შესაბამის წახალისებას). ამ ჯგუფში ძირითადად შედის B, C და D კატეგორიის პერსონალი. სამუშაოს მიმართ ასეთი დამოკიდებულება ზრდის კომპანიის საერთო პოტენციალს და შესრულებული სამუშაოს ხარისხს.

4. ფოკუსირება სამუშაოს რამდენიმე ელემენტზე, მოსალოდნელ ცვლილებებზე, სამომავლო გეგმასა და პოლიტიკაზე (პერსონალის ვალდებულება, გააკეთოს მასზე დაკისრებული სამუშაო, გამოირჩეოდეს ინიციატივით, კრეატიულობით და კონტროლით, რისთვისაც მას უნაზღაურდება შრომა და ელის შესაბამის წახალისებას). ამ ჯგუფში ძირითადად შედის D, E და F კატეგორიის პერსონალი. სამუშაოს მიმართ ასეთი დამოკიდებულება ზრდის კომპანიის საბაზრო ღირებულებას [1].

მაშასადამე, ზემოთ მოცემული ანალიზიდან აშკარაა, რომ პერსონალის ორგანიზაციულ-ეკონომიკური მართვა დაკავშირებულია სტიმულირების ეფექტიანი სისტემის არსებობასთან, რაც მოითხოვს პერსონალის კატეგორიებად დაყოფას მათი კვალიფიკაციის დონის მიხედვით.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. **თაკალანძე ლ., თაკალანძე ლ.** მმართველობითი გადაწყვეტილებების ოპტიმიზაცია, როგორც კონკურენტუნარიანობის ფაქტორი. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია "პოსტკრიზისული ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მექანიზმები", სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 18-19 ნოემბერი, 2011, გვ. 270-274.

2. **კაკაბაძე ვ.** ბიზნეს-ადმინისტრირება (სრულყოფის თორმეტი საფეხური). მონოგრაფია. გამ. „მერიდიანი“, თბ., 2012.

3. **მაისურაძე ნ.** "ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა და კორპორაციის უსაფრთხო განვითარების სტრატეგიები (საქართველოს სამთომომპოველი დარგის RMG-ის კომპანიებში)". თსუ-ს პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია "ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების აქტუალური პრობლემები", თბ., 27-28 ივნისი, 2014, გვ. 528-531.

4. **Синявец Т.Д.** Контроль системы управления персоналом организации: Теория и механизмы. М., Изд. центр "Информ-Знание", 2011.

*Nana Maisuradze*

## ORGANIZATIONAL-ECONOMICAL MANAGEMENT OF PERSONNEL ON THE EXAMPLE OF "RMG" COMPANIES Annotation

The present article analyzes the definition of staff by categories. How the categories definition influence on salaries and use for different stimulation, that is providing the fair management. The article also says that staff has expectations to be recognized and encouraged if they do their job well, and economical-organizational stimulation forms are enough, even it is non-multiple. Actually the methods of categories definition is that managers try to set in company.

## უცხოური ინვესტიციები აჭარის რეგიონში

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას უსვამს ხაზს და ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებას. ამასთან, მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის შიგნით განხორციელებულ მთლიან ინვესტიციაში სახელმწიფოს მონაწილეობის შემცირება მაშინ, როცა არ მცირდება მთლიანი ინვესტიციის ჯამური ოდენობა. აღნიშნული პირდაპირ მიუთითებს კერძო სექტორის მიერ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობის ზრდაზე.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით, 2014 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1 მილიარდ 272 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2013 წლის დაზუსტებულ მაჩვენებელს 35 პროცენტით აღემატება და 2008 წლის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. ყველაზე დიდი ოდენობით უცხოური ინვესტიცია საქართველოში 2007 წელს შემოვიდა – 2 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი.

2014 წელს შემოსული ინვესტიციების 21 პროცენტი რეინვესტირებული თანხებია, რაც გულისხმობს პირველადი ინვესტიციიდან მიღებული შემოსავლების ხელშეორედ დაბანდებას. ინვესტიციების სახით შემომავალი ნაკადები სულ 2 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს, აქედან მილიარდ დოლარამდე თანხის მეშვეობით ინვესტორის მიმართ ვალდებულებები შემცირდა.

2014 წელს განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით, უმსხვილესი ინვესტორი ქვეყანა ნიდერლანდებია (26 პროცენტი), მეორე და მესამე ადგილებზე აზერბაიჯანი (24 პროცენტი) და ჩინეთია (15 პროცენტი). ამ სამი უმსხვილესი ქვეყნის წილმა მთლიან ინვესტიციებში 65 პროცენტი შეადგინა.

სექტორულ ჭრილში გასულ წელს განხორციელებული ინვესტიციების 27 პროცენტი, 343 მლნ აშშ დოლარი, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში დაიხარჯა. მეორე ადგილზეა მშენებლობა, 295 მლნ აშშ დოლარით, და მესამეზე – დამამუშავებელი მრეწველობა, 174 მლნ აშშ დოლარით<sup>195</sup>.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო დამატებით იმ საწარმოთა სიას აქვეყნებს, სადაც განხორციელდა ინვესტიციები. ინვესტიციების უმსხვილესი მიმღებია BP Group, სადაც აზერბაიჯანული ინვესტიცია ჩაიდო. მეორე ადგილზეა სამშენებლო სამუშაოების მწარმოებელი „ჰუალინგ ინტერნეიშენალი“, ჩინური ინვესტიციით. ნიდერლანდური ინვესტიციები უმეტესად ენერგეტიკის სფეროში იყო მიმართული და შპს „აჭარისწყალი ჯორჯიაში“ განხორციელდა. ამავე ქვეყანამ ჩალო ინვესტიციები დამამუშავებელ მრეწველობაში, კერძოდ, „აიდიეს ბორჯომი საქართველოში“, ასევე RMG Copper-ში, „შავი ზღვის ტერმინალიში“, „სილქნეტსა“ და „თელასში“, შპს „ლუკოილ ჯორჯიასა“ და „რომპეტროლ საქართველოში“.

აშშ-ის ინვესტიციები მიმართული იყო შპს „მაგთიკომის“ მისამართით. რუსთავის „აზოტმა“ მიიღო ლუქსემბურგის ინვესტიციები დამამუშავებელი მრეწველობის დარგში. კვიპროსიდან განხორციელდა ინვესტიციები შპს „ნინოწმინდის ნავთობკომპანის“ წარმომადგენლობაში<sup>196</sup>.

სავალუტო კრიზისის ფონზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების, როგორც უცხოური ვალუტის ერთ-ერთი წყაროს, ზრდა. თუმცა, როგორც ჩანს, გაზრდილი ინვესტიციების მიუხედავად, ლარის გამყარებაზე ამ ფაქტორმა მნიშვნელოვანი გავლენა ვერ იქონია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქვეყნისა და რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში, კერძოდ, დამატებული ღირებულების ფორმირებასა და სამუშაო ადგილების შექმნაში, დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც უცხოური, ასევე ადგილობრივი კერძო პირდაპირი ინვესტიციების განხორციელებას და სტაბილურ საინვესტიციო გარემოს. 2014 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განხორციელდა 276 მლნ აშშ დოლარის ოდენობის კერძო პირდაპირი ინვესტიცია, საიდანაც 94 მლნ აშშ დოლარი ადგილობრივი წარმოშობისაა, ხოლო 182 მლნ აშშ დოლარი შეადგინა უცხოურმა პირდაპირმა ინვესტიციებმა (FDI).


საინვესტიციო საქმიანობის შეფასების მნიშვნელოვან ცვლადებად განიხილება ასევე განხორციელებული ინვესტიციების მოცულობა რეგიონში შექმნილ მთლიან დამატებულ ღირებულებასთან მიმართებით და მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით. ინვესტიციების მოცულობა ნომინალურ მთლიან დამატებულ ღირებულებასთან მიმართებით ბოლო წლებში შეადგენს დაახლოებით 15-20%-ს, ხოლო რეგიონის მოსახლეობის ერთ სულზე კერძო პირდაპირი ინვესტიციების ოდენობამ 2014 წელს შეადგინა 697 აშშ დოლარი, ხოლო წინა წლებში იყო შემდეგი მონაცემები: 2013 წელს 495 აშშ დოლარი, 2012 წელს - 386 აშშ დოლარი, 2011 წელს - 381 აშშ დოლარი და 2010 წელს - 380 აშშ დოლარი.

რეგიონში განხორციელებული საინვესტიციო აქტიურობა მნიშვნელოვანია გაანალიზდეს: ა) ეკონომიკის სექტორების მიხედვით; ბ) ქვეყნების მიხედვით; გ) თვითმმართველი ერთეულების მიხედვით. 2014 წელს განხორციელებული კერძო პირდაპირი ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: ტურიზმი - 43%, მშენებლობა - 32%, ენერგეტიკა - 18%, სოფლის მეურნეობა - 4%, მრეწველობა - 1%, სხვა სექტორები - 2%. რაც შეეხება კერძო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სექტორულ განაწილებას, აღნიშნული თვალსაზრისით ყველაზე მსხვილი უცხოური საინვესტიციო ნაკადები მოდის ტურიზმზე (57%), ენერგეტიკასა (27%) და მშენებლობაზე (12%).

<sup>195</sup> <http://www.radiotavisupleba.ge>

<sup>196</sup> <http://www.radiotavisupleba.ge>

**კერძო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება სექტორების მიხედვით (აჭარის ა.რ./2014 წ.)**



წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.


2014 წლის მონაცემების მიხედვით, რეგიონში ყველაზე მეტი ოდენობის ინვესტიციები მოდის თურქეთზე - 36%, დიდ ბრიტანეთზე - 29%, ნორვეგიაზე - 20%, ხოლო შედარებით დაბალი ხვედრითი წონა მოდის აზერბაიჯანზე - 9%, კვიპროსზე - 3%, უკრაინაზე - 2% და სხვა ქვეყნებზე - 1%.

ტერიტორიული ერთეულების მიხედვით განხორციელებული ინვესტიციების მოცულობის გათვალისწინებით კი ლიდერობს თვითმმართველი ქალაქი ბათუმი (71%) და ქობულეთის მუნიციპალიტეტი (8%). შედარებით დაბალი ხვედრითი წონა მოდის რეგიონის მაკროეკონომიკის ტერიტორიულ ერთეულებში განხორციელებულ კერძო პირდაპირ ინვესტიციებზე - ხელვაჩაური (7%), შუახევი (7%), ხულო (6%) და ქედა (1%).

მნიშვნელოვანია მაღალი საინვესტიციო აქტიურობის სექტორების გამოვლენა არა მხოლოდ სტატიკური, არამედ დინამიკური შეფასების თვალსაზრისით, რაც იძლევა სწრაფად მზარდი საინვესტიციო სექტორების გამოკვეთის საშუალებას. ამ მხრივ განვითარების მიმდინარე ეტაპზე აღსანიშნავია რეგიონის ეკონომიკის სექტორების შემდეგი სამეული: ენერჯეტიკა, ტურიზმი და მშენებლობა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განხორციელებული სახელმწიფო ინფრასტრუქტურული ღონისძიებების პორტფელის (სახელმწიფო საინვესტიციო პროექტების) ღირებულებითმა მოცულობამ 2014 წელს შეადგინა 234918 274 ლარი<sup>197</sup>, რომლის ძირითადი ნაწილი მოდის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე - 55%, შემდეგ პოზიციაზეა გარემოს დაცვა - 16%, შემდეგ მოდის განათლება, კულტურა და სპორტი - 9%, შემდეგ - წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია - 8%, შენობების მშენებლობა/რეკონსტრუქციამ შეადგინა მთლიანი პორტფელის 3%, სოფლის მეურნეობამ - 3%, ხოლო დანარჩენი 6% მოდის სხვა ინფრასტრუქტურულ ღონისძიებებზე.

**სახელმწიფო ინვესტიციები პრიორიტეტების მიხედვით (აჭარის ა.რ. / 2014 წ.)**




წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

2014 წელს რეგიონში განხორციელებული სახელმწიფო ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დაფინანსების წყაროების 63% უჭირავს საბიუჯეტო სისტემის სხვადასხვა დონის (სახელმწიფო, რესპუბლიკური, ადგილობრივი)

<sup>197</sup> <http://www.mofea.ge>

ბიუჯეტებიდან გამოყოფილ ასიგნებებს, ხოლო 37% - საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების (აზიის განვითარების ბანკი - ADB, ევრობანკი - EBRD, მსოფლიო ბანკი - WB) ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმებს.

**სახელმწიფო ინვესტიციები დაფინანსების წყაროების მიხედვით (აჭარის ა.რ./2014 წ.)**



წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

რაც შეეხება სახელმწიფო ინფრასტრუქტურული ღონისძიებების რეგიონის ტერიტორიული ერთეულების ჭრილში განაწილებას, განხორციელებული ღონისძიებების 45% მოდის ქობულეთის მუნიციპალიტეტზე (ინვესტიციის ძირითად ნაწილს შეადგენს პროექტი - ქობულეთის შემოვლითი გზა), 21% - თვითმმართველ ქალაქ ბათუმზე, 18% - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტზე, 8% - საერთო რეგიონულ პროექტებზე, ხოლო დანარჩენი 8% - ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტებზე.

ეკონომიკური რეფორმები, რომელიც საქართველოში მიმდინარეობს უკანასკნელ პერიოდში, უნდა განვითარდეს, გამრავლდეს, ასევე უფრო სრულყოფილი გახდეს საკანონმდებლო სისტემა, რომელიც, ფაქტობრივად, უცხოურ ინვესტიციას შეუქმნის ხელსაყრელ გარემოს და, რა თქმა უნდა, საერთო პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაციის სტაბილიზაციას, რაც ძალიან მნიშვნელოვანი სტიმული და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემდგომი ზრდის საფუძველია. ზემოთქმულიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, მაგრამ, ამავდროულად, არ უნდა მოხდეს ეროვნული ინტერესების შთანთქმა. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს როგორც უცხოურ, ასევე შიდა ინვესტიციების მოზიდვას.

ცხადია, ღია ეკონომიკა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და მისი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების უმთავრესი ფაქტორებია. საქართველოს დიდი და მზარდი სავაჭრო დეფიციტი იმის მაჩვენებელია, რომ ღია ვაჭრობას ავტომატურად არ მოაქვს სარგებლობა, ამიტომ ხელი უნდა შეუწყოს ექსპორტზე ორიენტირებული ინვესტიციების დაბანდვას იმისათვის, რომ საგადაამხდელ ბალანსის ნეგატიური ეფექტი შესუსტდეს. გამოცდილებამ, განსაკუთრებით პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, გვიჩვენა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოღინება ხშირად ღია ეკონომიკის სიკეთის სრულად მიღების წინაპირობაა.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაცია – [www.economy.ge](http://www.economy.ge);
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაცია – [www.mofea.ge](http://www.mofea.ge);
3. <http://www.amerikiskhma.com>;
4. <http://www.radiotavisupleba.ge>;
5. <http://forbes.ge>;
6. <http://www.nplg.gov.ge>
7. <http://www.geostat.ge>

*Irakli Meskhi*

#### FOREIGN INVESTMENTS IN AJARA REGION Annotation

Attraction of direct foreign investments is a factor underlining stability of the political and economic situation in the country, which also promotes economic development.

In the situation of financial crisis the growth of direct foreign investments, as one of sources of foreign currency, is extremely important. The changes in the investment activity can be evaluated from such points as: volume of investment in the region in proportion to additional value and per capita. It is important to detect high investment activity sectors not only from static, but also from dynamic assessment point, which gives the opportunity to detect sectors of rapid investment growth. From this point of view three regional sectors of economy can be underlined: energy, tourism and construction.

The direct foreign investments are the main factor for economic development and rise in standard of living for Georgian citizens. That is why it is important to promote export oriented investments to weaken negative effect of tax balance.

**იპოთეკური ბანკების როლი საკრედიტო ბაზრის განვითარების საქმეში**

21-ე საუკუნის დასაწყისიდან ევროპის განვითარებულ ქვეყნებში კომერციულ საბანკო სექტორს არსებით კონკურენციას უწევს სპეციალური საბანკო და არასაბანკო ინსტიტუტები, რომელთაგან პრიორიტეტულია არასაბანკო ორგანიზაციები. ამ ქვეყნებში მოქმედებს სპეციალური საკანონმდებლო ბაზა, რომელიც არეგულირებს არასაბანკო და საბანკო დაწესებულებების ფუნქციონირების ფორმებსა და მეთოდებს. არასაბანკო დაწესებულებები, კომერციული ბანკების მსგავსად, ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს დაკრედიტებას ახორციელებენ. ამასთან ერთად, გარკვეულ შემთხვევაში ადგილი აქვს დანაზოგების და შემოსავლების აკუმულაციას და სასესხო კაპიტალად ტრანსფორმირებას.

სპეციალურ საკრედიტო ინსტიტუტებს ვიწრო სპეციალიზაცია განასხვავებს კომერციული საბანკო სექტორისაგან, რადგან კომერციული საბანკო სექტორი დღეისათვის უნივერსალურ საკრედიტო სფეროს განეკუთვნება ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში. სპეციალური საკრედიტო ინსტიტუტების ფუნქციები, მათი ოპერაციების სახეები, მოცულობა, ადგილი და როლი ქვეყნის ეკონომიკაში რეგულირებადია სახელმწიფოს მხრიდან. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში სპეციალურ საკრედიტო ინსტიტუტებს არაერთგვაროვანი ფუნქციები და როლი გააჩნია. დღეისათვის ქვეყნების უმრავლესობაში ფუნქციონირებს შემდეგი სახის საკრედიტო დაწესებულებები:

- იპოთეკური ბანკები;
- საინვესტიციო ბანკები და საინვესტიციო კომპანიები;
- ურთიერთშემნახველი ბანკები, სასესხო-შემნახველი ასოციაციები.

სპეციალური საკრედიტო ინსტიტუტები ფუნქციონირებას იწყებენ მე-19 საუკუნიდან და თავდაპირველად ისინი კომერციული ბანკების დანამატად მოგვევლინენ. ხოლო მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან განვითარებულ ქვეყნებში სპეციალური საკრედიტო დაწესებულებების გაფართოება დაჩქარებული ტემპით დაიწყო, რაც ძირითადად განპირობებული იყო კონკურენციის გამწვავებით, კერძოდ მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში დაზოგილი თავისუფალი სახსრების აკუმულაციასა და მის განთავსებას შორის. სწორედ ეს მოვლენა დაედო საფუძვლად საკრედიტო ბაზარზე საკრედიტო დაწესებულებათა დიფერენციაციას.

იპოთეკური ბანკი არის არადეპოზიტური საკრედიტო დაწესებულება, რომელიც სპეციალიზებულია იპოთეკური სესხების გაცემაზე, იპოთეკების ყიდვა-გაყიდვასა და სხვადასხვა ტექნიკური ხასიათის მომსახურებაზე<sup>198</sup>.

იპოთეკური ბანკები პირველად ჩამოყალიბდა გერმანიაში XVIII საუკუნეში, პირველი იპოთეკური ბანკი დაფუძნდა 1770 წელს სილესიაში. იგი წარმოადგენდა სახელმწიფო ბანკს და ფინანსურ დახმარებას უწევდა მსხვილ მიწათმფლობელებს. სახსრების მოსაზიდად ბანკი უშვებდა იპოთეკურ ობლიგაციებს. მე-19 საუკუნიდან ბანკი ფინანსურ დახმარებას უწევდა წვრილ მემამულეთა მეურნეობებს, ხოლო შემდეგ დაიწყო გლეხური მეურნეობების დაფინანსებაც. დღეისათვის გერმანიაში 45-ზე მეტი ბანკია, რომლებიც მიწისა და უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვით არიან დასაქმებულნი (იხ. ცხრ. 1).

*ცხრილი 1*

**გერმანიაში იპოთეკური ბანკების განვითარების დინამიკა<sup>199</sup>**

წლები	ბანკების რაოდენობა
1914	39
1934	30
1948	20
1966	43
1970	31
1980	30
1990	31
2000	38
2005	45

როგორც ცხრილიდან ჩანს, იპოთეკური ბანკების რაოდენობის შემცირებას გერმანიაში ადგილი ჰქონდა ეკონომიკური ძვრების დროს, კერძოდ, 1930-იანი წლების კრიზისისას, ომის შემდგომი ინფლაციისას გასული საუკუნის 40-იან წლებში, ხოლო უკვე 50-იანი წლებიდან, ეკონომიკის აღმავლობის კვალობაზე, გაიზარდა იპოთეკური ბანკების რაოდენობაც და მე-20-ე საუკუნის 90-იანი წლებიდან კვლავ ზრდის ტენდენციას ინარჩუნებს. გერმანული იპოთეკური ბანკებიდან სიდიდით განსაკუთრებით აღსანიშნავია ოთხი სააქციო იპოთეკური ბანკი. გერმანიის ცენტრალური სამიწათმოქმედო ბანკი, ფრანკფურტის იპოთეკური ბანკი, რენის იპოთეკური ბანკი, გერმანული იპოთეკური ბანკი (ქ. ბრემენი). როგორც წესი, ამ ბანკების აქციონერული კაპიტალის 50-70% ეკუთვნის გერმანიის უმსხვილეს კომერციულ ბანკებს, ხოლო სახელმწიფო იპოთეკური ბანკებიდან წამყვანი პოზიციები უკავია ბავარიის სამიწათმოქმედო ბანკს და ორ ბანკს ბადენ-ვიურტენბერგის მიწებიდან.

Increasingly, the theme of world tourism is discussed by scientists in many countries, as it is one of the most profitable and influential sector of the state economy. To determine the state of development of international tourism as a sector of the economy for some countries, as well as the dynamics of its development, the article analyzes the main quantitative and monetary indicators: international tourist arrivals, the country's income from international tourism, expenditures citizens for international tourism in the year, expenditure on international tourism per capita. On the basis of these indicators formed the tourism balance of some countries in the dynamics of the years, the calculated ratio and the growth rate between quantitative and monetary indicators of development or stagnation of the international tourism sector.

*ნინო ქოქიაური*

### ინოვაციების და ცვლილებების მართვის თანამედროვე პრობლემები

მმართველობითი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის მუშაკთა დამოკიდებულებასთან თვით კომპანიაში მიმდინარე ცვლილებების მიმართ, ამ ცვლილებების გარდაუვალობა და მათთვის შეფარდებითი მნიშვნელობის მინიჭება დიდი ხანია საზღვარგარეთელი ეკონომისტების კვლევის საგანს წარმოადგენს. მაგალითად, რონ დეილის აზრით, მსხვილი კომპანიები, უნივერსიტეტები და ინსტიტუტები, სახელმწიფო და მუნიციპალური სამთავრობო დაწესებულებები, შეიარაღებული ძალებიც კი დღეისათვის იძულებულნი არიან, არსებითად შეცვალონ სამუშაოს შესრულების ხერხები და თუმცა მენეჯერის საქმიანობა ყოველთვის დაკავშირებული იყო ცვლილებებთან, უკანასკნელ წლებში ეს პრობლემა უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. სწორედ ამ მდგომარეობის შესახებ გვექნება საუბარი ამ თავში. აქვე საუბარი გვექნება იმაზე, როგორ წაახალისონ მენეჯერებმა სიახლეები და გაუადვილონ თავიანთ ორგანიზაციებს გარე გარემოს რთულ პირობებთან ადაპტირება.

**ცვლილებების არსი. ჯიმ ზავადსკი** – ფირმა GR Spring Stamping Inc-ის (მიჩიგანის შტატი) პრეზიდენტი. ამ ფირმის ერთ-ერთი სახელოსნო უშეუბნებელი წვრილ ლითონნაკეთობებს. ბევრი სხვა თანამედროვე მენეჯერის მსგავსად, იგი ცდილობს თავისი საწარმო აქციოს მოქნილ და ეფექტიან ორგანიზაციად. რატომ აკეთებენ მენეჯერები ამას? ჯიმ ზავადსკი, მაგალითად, ამას იმით ხსნის, რომ მას ემუქრება შეკვეთების შეცდირება იმასთან დაკავშირებით, რომ შეიმჩნევა სამეწარმეო აქტივობის გამოცოცხლება დაბალი შრომის ანაზღაურების მქონე ქვეყნებში. მაგალითად ჩინეთში<sup>208</sup> და ზავადსკიც აკეთებს სწორედ იმას, რასაც ნებისმიერი ქვეყნის მენეჯერები აკეთებენ მსგავს სიტუაციაში – იგი აქტიურად ნერგავს სიახლეებს.

ყოველ ჩვენგანს ესმის, რომ ორგანიზაციული ცვლილებების გარეშე, ანუ ორგანიზაციასთან, ადამიანებთან, სტრუქტურას ანდა ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილებების გარეშე მენეჯერის მუშაობა გაცილებით მარტივი იქნებოდა. დაგეგმვა ადვილი იქნებოდა, რადგანაც სვალინდელი დღე არაფრით განსხვავდებოდა დღევანდელი ან თუნდაც გუშინდელი დღისგან. ეფექტიანი ორგანიზაციული სტრუქტურის დაპროექტების საკითხი ასევე არ იქნებოდა დღის წესრიგში იმიტომ, რომ გარე გარემოში არ ყოფილიყო რაიმე განუსაზღვრელობა და, შესაბამისად, არც რაიმე ცვლილებებთან შეგუების აუცილებლობა. ზუსტად ასევე, ძალზე გაადვილდებოდა გადაწყვეტილების მიღება, რადგანაც ყოველი ვარიანტის შედეგის შერჩევა შეიძლებოდა პრაქტიკულად შეუცდომლად გვეწინასწარმეტყველა. ცხადია, მენეჯერის საქმიანობა ძალზე მარტივი იქნებოდა, კონკურენტებს ბაზარზე რომ არ გამოჰქონდეთ ახალი სახეობის პროდუქცია ანდა მომსახურება; კლიენტები და მომხმარებელი სულ მუდამ რომ არ ითხოვდნენ ახალ და სრულყოფილ საქონელს; სახელმწიფო კანონები და ნორმები არასოდეს რომ არ იცვლებოდეს და მუშაკების მოთხოვნილებები ასევე უცვლელი რომ იყოს. მაგრამ, სამწუხაროდ, სინამდვილეში საქმე სულ სხვაგვარადაა.

<sup>208</sup> J. S. McClenahan, "Waking Up to a New World". Industry Week, June 2003, p. 22-26.

**ცვლილებები** – ეს აუცილებელი პირობა და ცხოვრებისეული რეალობაა ნებისმიერი თანამედროვე ორგანიზაციისთვის<sup>209</sup>, ხოლო მართვა მუდმივად ცვალებად გარემოში ნებისმიერი მენეჯერის სამუშაოს განუყოფელი ნაწილი გახდა. უფრო დაწვრილებით მიმოვიხილათ ცვლილებების მიზეზები.

როგორც ცნობილია, მენეჯერთა საქმიანობაზე გავლენას ახდენს როგორც გარე, ისევე შიდა ფაქტორები, რაც ძირითადად ცვლილებების მთავარი მიზეზია. მოკლედ განვიხილოთ ეს ფაქტორები.

**გარე ფაქტორები.** გარე ფაქტორები, რომლებიც ორგანიზაციაში მიმდინარე ცვლილებების მიზეზია, სხვადასხვა წყაროებიდან მომდინარეობს. ასე მაგალითად, უკანასკნელ წლებში, კონკურენციის გაძლიერების გამო ისეთი კომპანიების მხრიდან, როგორიცაა Google, Look Smart, Askjeeves და Allta Vista, ბაზარზე მკვეთრად შეიცვალა ფორმა Yahoo-ის სიტუაცია. ყველა ეს კომპანია ამუშავებს ყველანაირ ახალ მექანიზმს ინტერნეტში ინფორმაციის მისაწოდებლად. ისინი ყოველთვის ორიენტირებულები არიან თავიანთი მომხმარებლების ცვალებად მოთხოვნებზე. აღნიშნული კომპანიები ადაპტირდებიან მომხმარებელთა სწრაფად ცვლად სურვილებზე, ქმნიან კომპიუტერების ახალ მოდიფიკაციებს და ახდენენ თავიანთი მარკეტინგული სტრატეგიის სრულყოფას.

ცვლილებების მიზეზია ასევე სახელმწიფო კანონები და ნორმები. ასე მაგალითად, სარბენს-ოკსლის კანონი (მიღებულია 2002 წ.) ამერიკული კომპანიებიდან მოითხოვს ფინანსური ინფორმაციის განზოგადოების წესის შეცვლას და კორპორაციული მართვის საქმიანობის აქტივიზაციას.

გარდაქმნები ხშირად გამოწვეულია ტექნოლოგიების ცვლილებებით. ასე მაგალითად, ბოლო პერიოდში განხორციელებულმა კვლევებმა და დამუშავებებმა რთული და ძვირადღირებული სადიაგნოსტიკო მოწყობილობის შესაქმნელად განაპირობა არსებითი ეკონომიის მიღება მასშტაბის ეფექტის ხარჯზე საავადმყოფოებისა და სხვა სამედიცინო დაწესებულებებისთვის. სხვა მაგალითია არსებითი ცვლილებები კონვეიერულ ტექნოლოგიებში, როცა მთელ რიგ დარგებში ხელით შრომა შეიცვალა მანქანური შრომით. ცვლილებები შეეხო ისეთ უმნიშვნელო წვრილმანებს, როგორიცაა მისაღობი ღია ბარათები. ელექტრონული ფოსტის და WWW-ს შექმნამ გავლენა მოახდინა არა მარტო მათ გარეგნულ სახეზე, არამედ მისი გაგზავნის ფორმებზე.

ამას გარდა, ცვლილებების დანერგვას ხელს უწყობს და განაპირობებს რყევები შრომის ბაზარზე. ასე მაგალითად, სწრაფად გაზრდილმა მოთხოვნამ Web-გვერდის დიზაინერებსა და საიტების მენეჯერებზე განაპირობა ის, რომ ამ მუშაკებზე მოთხოვნის მქონე ორგანიზაციები იძულებულნი გახდნენ, შეეცვალათ პერსონალის მენეჯმენტის პოლიტიკა კვალიფიციური პერსონალის მოზიდვითა და შენარჩუნების მიზნით.

რა თქმა უნდა, პრაქტიკულად ყველა ორგანიზაციას ეხება ეკონომიური ცვლილებები. მაგალითად, გლობალური ეკონომიკური დაცემის პირობებში კომპანიები იძულებულნი არიან, აამაღლონ თავიანთი დანახარჯების ეკონომიკური ეფექტიანობა. თუმცა ყველაზე მდგარად ეკონომიკურ პირობებშიც კი ყოველთვის შეინიშნება საპროცენტო განაკვეთების რყევა, ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტი, სავარყო ვაჭრობის ცვლილებებით გამოწვეული გარკვეული განუსაზღვრელობები, რაც აიძულებს ორგანიზაციებს, დანერგონ სიახლეები (ცვლილებები).

**შიდა ფაქტორები.** გარეშე ძალებთან ერთად, ცვლილებების აუცილებლობას ხშირად განაპირობებს შიდა ფაქტორები, რომლებიც ან გამოწვეულია ორგანიზაციის შიდა ოპერაციებით, ანდა გარე გარემოში მიმდინარე ზემოქმედებით.

მაგალითად, მსხვილმასშტაბიანი ცვლილებები ხშირად დაკავშირებულია ორგანიზაციის სტრატეგიის შეცვლასთან. ასე მაგალითად, როცა სტივ ბენერმა დაიკავა მთავარი აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობა კომპანია Intuit Inc-ში (ამ კომპანიის ყველაზე უფრო ცნობილი პროდუქციაა Quicken, Quick Books და Turbo Tax-ი) მან აღმოაჩინა, რომ კომპანიას იმდენად უსისტემოდ მართავდნენ, თითქოს ეს იყო მხოლოდ ეს-ესაა შექმნილი საწარმო. ოპერაციები ხორციელდებოდა უწყისრიოდ, კომპანია კარგავდა ფულს. ტექნოლოგიები აშკარად მოქმედებდა იყო. სამუშაოები სრულდებოდა ძალზე ნელი ტემპით, არაფრის დოკუმენტირება არ ხდებოდა<sup>210</sup>... დანერგა რა რიგი კარგად დაგეგმილი და ერთობ რადიკალური სტრატეგიული ცვლილებები, სტივმა შეძლო კომპანია გადაექცია მომგებიან ორგანიზაციად, რომელსაც ერთგული და ეფექტიანი პერსონალი გააჩნდა. ამას გარდა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამუშაო ძალა კომპანიაში ასევე იშვიათადაა სტატიკური. მისი შემადგენლობა გამუდმებით იცვლება ისეთი პარამეტრების მიხედვით, როგორიცაა ასაკი, განათლების დონე, სქესი და ა.შ. ასე მაგალითად, სტაბილურ ორგანიზაციაში, სადაც მაღალი ასაკობრივი ჯგუფების პერსონალის რიცხოვნობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება, საჭირო ხდება შეიცვალოს სამუშაო დაგეგმვათა პროექტირების მიმართულება, მოხდეს მათი ხელახალი დაპროექტება, რათა საწარმომ შეინარჩუნოს მართვის იერარქიული კიბის დაბალსაფეხურზე მდგომი ახალგაზრდა მენეჯერები. იმისთვის რომ დაკმაყოფილდეს მაღალი ასაკის თანამშრომელთა მოთხოვნები, კომპანიებს ხშირად უხდებათ დაჯილდოების (ანაზღაურების) და შეღავათების დაწესების სისტემის შეცვლა.

ცვლილებების, გარდაქმნების კიდევ ერთი შიდა ფაქტორია ახალი მოწყობილობის დანერგვა. ამის შედეგად იცვლება მუშაკების მიერ შესრულებული სამუშაოს ხასიათი, მათ მუშაობა უხდებათ ახალ ჩარხებთან, იძულებულნი არიან შეისწავლონ ისინი და შეიმუშაონ მუშა ჯგუფის შიგნით ურთიერთზემოქმედების ახალი სქემები.

დასასრულ, უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანების შრომისადმი დამოკიდებულების ცვლილება, მაგალითად, მათი ნაკლები დაინტერესება შესრულებული სამუშაოსადმი განაპირობებს საწარმოში გაცდენების (მოცდენების) ზრდას, სამუშაოდან საკუთარი სურვილით წასვლას და გაფიცვებსაც კი. ასეთი მოვლენები, თავის მხრივ, ხშირად ხდება მენეჯმენტის პოლიტიკისა და პრაქტიკის რადიკალური ცვლილების მიზეზი.

**მენეჯერი, როგორც გარდაქმნების ორგანიზატორი.** იმისთვის, რომ ორგანიზაციის შიგნით განხორციელდეს ესა თუ ის ცვლილება, საჭიროა კატალიზატორი. ადამიანები, რომლებიც მოქმედებენ როგორც კა-

<sup>209</sup>C.R. Leana, B. Barry, "Stability and Change as Simultaneous Experiences in Organizational Life", Academy of Management Review, October 2000, p.753-759.

<sup>210</sup>E. Nee. "The Hottest CEO in Tech", Business 2.0, June 2003, p. 86.

ტალიზატორები და თავის თავზე იღებენ გარდაქმნების პროცესის მართვაზე პასუხისმგებლობას, იწოდებიან გარდაქმნების ორგანიზატორებად.

გარდაქმნათა ორგანიზატორი შეიძლება იყოს ნებისმიერი მენეჯერი. მივიღებთ რა ინფორმაციას კომპანიაში ამა თუ იმ ცვლილებათა შესახებ, ჩვენ ინტუიციურად ვგულისხმობთ, რომ ეს ცვლილებები ინიცირებული და განხორციელებული იყო ამ ფირმის მენეჯერების მიერ. ოღონდაც, სინამდვილეში გარდაქმნათა ორგანიზატორი შეიძლება იყოს არა მენეჯერი, არამედ კომპანიის საშტატო სპეციალისტი ანდა სხვა კომპანიის კონსულტანტი, რომელიც დასპეციალებულია რეორგანიზაციის გატარებაზე. ვთქვათ, სერიოზული გარდაქმნების დასანერგად, რომელიც მთელს ორგანიზაციულ სისტემას ეხება, როგორც წესი, ქირობენ შტატგარეშე კონსულტანტებს. საქმე ისაა, რომ ასეთ სპეციალისტებს, ორგანიზაციის თანამშრომლებისაგან განსხვავებით, როგორც წესი, შეუძლიათ ობიექტურად შეაფასონ სიტუაცია, მაგრამ, მეორე მხრივ, მოწვეული კონსულტანტი არამომგებიან მდგომარეობაშია, რამდენადაც ცუდად იცნობს კონკრეტული ორგანიზაციის წარმოების კულტურას, სამუშაო პროცედურებს, ასევე პერსონალის თავისებურებებს. გარდა ამისა, ასეთ სპეციალისტებს უნარი შესწევთ, ხშირად მოახდინონ რადიკალური გარდაქმნების ინიცირება იმაზე მეტად, ვიდრე ეს სინამდვილეშია საჭირო. მათგან განსხვავებით, ფირმის მენეჯერები, რომლებიც მოქმედებენ როგორც გარდაქმნების ორგანიზატორები, როგორც წესი, უფრო წინდახედულნი (ხშირად კი მეტისმეტად ფრთხილები) არიან, რამდენადაც კარგად ესმით, რომ პირადად ისინი აგებენ პასუხს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგებზე (მათ უნდა მიიღონ მათივე მოხარული ფაფა).

**ორი შეხედულება ცვლილებების პროცესზე.** გარდაქმნების პროცესის აღწერისათვის ჩვენ ვისარგებლებით ორი სრულიად განსხვავებული მოსახრებით<sup>211</sup>. ჯერ ერთი, წარმოვიდგინოთ ორგანიზაცია როგორც დიდი გემი, რომელიც სერავს წყნარ ზღვას. კაპიტანმა და გუნდმა ზუსტად იცის, საით მიდიან, რადგანაც ბევრჯერ გაუთვლიათ ეს მარშრუტი. ცვლილებები ამ შემთხვევაში ყალიბდება უცებ, მოულოდნელი ძლიერი შტორმის სახით, რაც იწვევს ხანმოკლე დაბნეულობას და განგაშს წინა წყნარ და პროგნოზირებად ყველა სხვა მარშრუტთან შედარებით. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ორგანიზაცია არის პატარა ტივი, რომელიც მიცურავს მშფოთვარე მთის მდინარეზე ბევრ ციკაბო ნაპირებს შორის. ტივზე არის ხუთიოდე კაცი, რომელთაც აქამდე ერთად არასოდეს უმუშავიათ, საერთოდ არ იცნობენ მდინარეს, ძნელად წარმოუდგენიათ მობრახის ბოლო პუნქტი და ბოლოს, მოგზაურობენ ბნელ დამეში. პირველ შემთხვევაში ცვლილებები გამოწვეულია განსაკუთრებული შემთხვევით, რომელიც ჩვეულებრივი გარემოების ჩარჩოებს სცილდება. მეორე – ეს არის ბუნებრივი მდგომარეობა, ხოლო მართვა ასეთ პირობებში არის მუდმივი და უწყვეტი პროცესი. როგორც ჩანს, ეს ორი შედარება ასახავს ორგანიზაციაში ცვლილებების კონცეფციისადმი სავსებით განსხვავებულ მიდგომებს. განვიხილოთ ისინი უფრო დაწვრილებით:


**წყნარი ზღვა:** 1980-იანი წლების ბოლომდე მოცემული შედარება ფეხმოკიდებულ იყო მენეჯერების – როგორც თეორეტიკოსების, ასევე პრაქტიკოსების – შეხედულებებში. ეს თვალნათლივ შეიძლება წარმოვიდგინოთ გარდაქმნების პროცესის სამეტაპიანი აღწერის მაგალითზე, რომელსაც გვთავაზობს მკვლევარი კურტ ლევინი<sup>212</sup> (ნახ. 1).

ლევინის თანახმად, ცვლილებების წარმატებით განხორციელებისთვის საჭიროა არსებული მდგომარეობის, ე.წ. „გალხობა“ (სტატუს-კვო), მისი ახალ მდგომარეობამდე შეცვლა და სიტუაციის განმეორებით, ხედავს „გაყინვა“ დანერგილი ცვლილებების განსამტკიცებლად. სტატუს-კვო განიხილება, როგორც რაღაც წონასწორობითი მდგომარეობა. ხოლო მისგან გამოსვლა შეიძლება მხოლოდ „გალხობის“ გზით. ეს, ჩვეულებრივ, მიიღწევა სამი გზით: 1. წონასწორობის არსებული მდგომარეობიდან გამოსვლაზე მიმართული მთავარი ფაქტორების გაძლიერებით; 2. შემაფერხებელი ფაქტორების შესუსტებით, რომლებიც ხელს უშლის წონასწორობის არსებული მდგომარეობიდან გამოსვლას და 3. ორივე ამ ფაქტორის გამოყენებით.

შემდგომ ეტაპზე შეიძლება ამ ცვლილებების განხორციელება. ოღონდაც უნდა გვახსოვდეს, რომ ცვლილებათა უბრალო დანერგვა ჯერ კიდევ არ არის იმის გარანტია, რომ იგი მყარი გახდება. ახალი მდგომარეობა აუცილებლად განმეორებით უნდა „გაიყინოს“, რათა ის მდგრადი გახდეს. თუკი ბოლო ეტაპს (пренебречь) არ განხორციელებთ, მაშინ გაიხრდება გარდაქმნების მოკლევადიანობის ალბათობა და მუშაკები გარკვეული დროის შემდეგ ისევ დაუბრუნდებიან წონასწორობის პირველსაწყის მდგომარეობას. ასე რომ, განმეორებითი დარღვევის მიზანია ახალი მდგომარეობის სტაბილიზაცია ბიძგის მიმცემი და შემაფერხებელი ფაქტორების დაბალანსებულობის მიღწევის შემთხვევაში.

<sup>211</sup> ამ რეფორმების იდეა წარმოქმნა შემდეგმა ნაშრომებმა: J.E. Dutton, S.J. Ashford, R. M. O'ell, K.A. Lawrence, "Moves that Matter. Issue Selling and Organization Change". Academy of Management Journal, August 2001. p. 716-736. B.H.Kemelgor, S.D. Johnson, S.Srinivasan, "Forces Driving Organizational Change: A Business School Perspective". Journal of Education for Business. January-February 2000, p.133-137; G. Colvin, "When It Comes to Turbulence, CEOs Could Learn a Lot From Sailors", Fortune, March 29, 1999, p.194-196; P. B. Vaill, "Managing as a Performing Zrt: New Illdeas for a World of Chaotic Change (San Francisco: Jossey-Bass,1989).

<sup>212</sup> K. Lewin, Field Theory in Social Science (New York: Harper & Row, 1951).



ნახ. 1. ცვლილებების პროცესი

მიაკციეთ ყურადღება, რომ ლევინის მიერ აღწერილი სამი ეტაპის ჩართვა ცვლილებათა გარდაქმნის პროცესში აღიქმება, როგორც ორგანიზაციის წონასწორობითი მდგომარეობის უბრალო დარღვევა. სხვა სიტუაციებში, არსებული მდგომარეობა დარღვეულია, ხოლო ცვლილებები აუცილებელია, რათა მიღწეულ იქნეს ახალი წონასწორობითი მდგომარეობა. ეს შეხედულება სავსებით მისაღები იქნება შედარებით მშვიდი სიტუაციისთვის, რომელშიც მუშაობდნენ ორგანიზაციები 1950–1970-იან წლებში. მაგრამ დღეს წყნარ, მშვიდ გარემოსთან შედარება მოძველდა და საერთოდ არ მიესადაგება იმ „მშფოთვარე მდინარის“ აღწერას, რომლის დინების გადალახვა უწყვეტ თანამედროვე პირობებში წარმოების მენეჯერებს.

**მშფოთვარე მდინარე (ბურნაია რეკა) მქუხარე მდინარე.** მქუხარე მდინარესთან შედარება სავსებით შესაბამეა ჩვენ მიერ განხილულ განუსაზღვრელ და დინამიურ გარემოს. იგი სავსებით ესადაგება ასევე ინდუსტრიული საზოგადოებისთვის დამახასიათებელ დინამიკურობას, რომელშიც სულ უფრო მეტ როლს ასრულებს ინფორმაცია, იდეები და ცოდნა<sup>213</sup>.

თუ თქვენ გინდათ გაიგოთ, რას ნიშნავს მართვა ცვლილებების პერიოდში, მაშინ მოგიწევთ მუდმივი მანევრირება დაუსრულებელ ბარიერებს შორის მქუხარე მდინარეზე, სადაც მოქმედებს და ძალაშია შემდეგი წესები: სხვადასხვა საგნების სწავლების პერიოდის ხანგრძლივობა იცვლება, ამიტომ ამა თუ იმ სალექციო კურსის დაუფლებისას თქვენ საერთოდ არ იცით, რა ხნის მანძილზე მოხდება ამ ლექციების კურსის კითხვა – ორ კვირას თუ ნახევარ წელიწადს; უფრო მეტიც, მასწავლებელს შეუძლია დაასრულოს თავისი საგანი ნებისმიერ მომენტში, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე და ბოლოს, ლექციის ხანგრძლივობა ყოველ ჯერზე იცვლება: ზოგჯერ იგი გრძელდება 20 წუთს, ზოგჯერ კი 3 საათს. მომდევნო ლექციის დრო დგინდება მხოლოდ წინა ლექციაზე და კიდევ ერთიც: გამოცდების შესახებ არ აფრთხილებენ და ამიტომაც, თქვენ მისთვის მზად უნდა იყოთ ყოველთვის, ნებისმიერ დროს. ცხადია, წარმატებით რომ ისწავლოთ ასეთ ინსტიტუტში, საჭიროა ძალზე სწრაფი და მოქნილი რეაგირება სიტუაციის უმნიშვნელო ცვლილებებზეც კი. მოუქნელი სტუდენტი შენელებული რეაქციით, რომელიც დისკომფორტს განიცდის მუდმივი ცვლილებებისა და განუსაზღვრელობის გამო, ასეთ ინსტიტუტში, ცხადია, არ გაჩერდება.

ვფიქრობთ, თანამედროვე მენეჯერთა უმეტესობა დაგვეთანხმება, რომ მათი სამუშაო ძალზე წააგავს ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილ სიტუაციას ინსპირირებულ უმაღლეს სასწავლებელში. სტაბილურობა და წინასწარმეტყველება, ყველაფრის წინასწარ განსაზღვრა, რომელზედაც აგებულია შედარება წყნარ ზღვასთან, უკვე წარსულს ჩაბარდა. წონასწორობითი მდგომარეობის დარღვევა უკვე აღარ არის არც ერთჯერადი და არც დროებითი მოვლენა. მას არ ენაცვლება წყნარი დრეიფი „წყნარ წყლებში“. არსებითად, ბევრი მენეჯერისათვის „მქუხარე მდინარეზე ცურვა“ არასოდეს არ მთავრდება. ისინი მუშაობენ მუდმივი ცვლილებების პერიოდში, სადაც ქაოსი ჩვეულებრივი მოვლენაა.

და მაინც, ხომ არ არის „მქუხარე მდინარესთან“ შედარება სიტუაციის გადამეტებულად შეფასება? არავითარ შემთხვევაში! შეიძლება ვფიქრობთ, რომ ცვლილებები დამახასიათებელია მაღალი ტექნოლოგიების მქონე უმაღლესი ხარისხის ქაოსური და დინამიური დარგებისთვის, მაგრამ სინამდვილეში ასეთ სიტუაციაში მუშაობს დღეს ყველა სხვა, უფრო ტრადიციული ორგანიზაციებიც. განვიხილოთ, მაგალითად, სიტუაცია ფირმა Converse Ins-ში. (ქ. პორტ-რიდინგი, მასაჩუსეტსის შტატი)<sup>214</sup>. სპორტული ფეხსაცმლის საწარმოში, სადაც გამეფებულია მკაცრი კონკურენცია, კომპანია ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს. ბავშვებსა და მოზარდებს (ესენი არიან ძირითადად მოცემული პროდუქციის მომხმარებლები) უკვე აღარ აკმაყოფილებს ფეხსაცმლის სტილის შეცვლა რამდენიმე წლის შემდეგ. მათ უნდათ, რომ პრინციპულად ახალი და უწყველო ფასონის სპორტული ფეხსაცმელი (კელები, ტაპები, კეტასები) ბაზარზე ადრე იყოს წარმოდგენილი. ამიტომ სპორტული ფეხსაცმლით მოვაჭრე მსხვილი საცალო ფირმები სულ უფრო მეტად ამკაცრებენ მოთხოვნებს დამამზადებელი კომპანიების მიმართ, მაგალითად, ისინი ცდილობენ შექმნან მეტი სასაქონლო-მატერიალური მარაგები, სწრაფად შეაგონ ისინი, ასევე მოითხოვენ დახმარებას გაყიდვების მოცულობის გადიდების გზების ძიებაში, მაგრამ კონკურენცია აქ ძალზე ძლიერია, ლიდერები კი ისეთი ფირმები – როგორცაა Adidas-ი და Reebok-ი, რომლებიც მნიშვნელოვნად უსწრებენ წინ დანარჩენ კონკურენტებს. კონკურენტული მოთხოვნები იმდენად დიდია, რომ 2001 წლის იანვარში Converse-მ საქმე აღძრა მე-II თავის მიხედვით (ეს არის კოდექსის მე-II თავი, რომელიც შეეხება გაკოტრებას. იგი აწესრიგებს და არეგულირებს გადახდისუნარიან კომპანიების რეორგანიზაციის საკითხებს ძველი მენეჯმენტის

<sup>213</sup> G. Hamel, “Take It Higher”. Fortune. February 5. 2001. p. 169-170.  
<sup>214</sup> კომპანიის შესახებ ინფორმაცია აღებულია Web-კომპანიის ვებგვერდიდან (www.converse.com) და გვერდიდან Hoovers’s Online (www.hoovers.com), June 6. 2003; ნახეთ ასევე სტატია M. Davids. “Wanted: Strategic Planners” Journal of Business Strategy. May-June 1995. p. 30-38.

ხელმძღვანელობით და ცდილობს თავიდან იქნეს აცილებული კომპანიის სრული ლიკვიდაცია). ითვალისწინებდა რა ყოველივე ამას, კომპანია Converse-ში ხელმძღვანელობას კარგად ესმოდა ერთი გარემოება, რომ თუკი მას სურდა ბიზნესში დარჩენა და წარმატებების მიღწევა, აუცილებლად უნდა შეცვლილიყო. კომპანიის მენეჯერებმა გაატარეს რიგი ცვლილებები. დაიწყო იმით, რომ აღადგინეს ერთ დროს პროულარული კალათბურთის ტილოს ფეხსაცმლის წარმოება და დაასრულეს მთის ველოსპორტის და სკეიტბორდის მეცადინეობის დროს საჭირო ფეხსაცმლის წარმოებით. ასევე გაატარეს ღონისძიებები ხარისხის მართვის პროგრამის რეალიზაციისთვის მთელი საწარმოს მასშტაბით. 2003 წლის ივლისში ჩონვერსეს მენეჯერებმა განაცხადეს კიდევ ერთი სიახლის შესახებ – გადაწყვეტილება ფირმა Nike-ის შექმნა 305 მილიონ დოლარად. სწორედ ამ გარდაქმნის წყალობით ფირმა Converse-მ შეძლო გადარჩენა მძიმე სიტუაციაში „მქუხარე მდინარის“ მსგავსად, რომელშიც იგი მუშაობს.

**დამოკიდებულება ცვლილებათა პროცესისადმი გუშინ და დღეს.** უხდება თუ არა ყველა მენეჯერს მუშაობა მუდმივი და ქაოსური ცვლილებების პირობებში? დიდი ალბათობით პასუხი იქნება უარყოფითი, თუმცა არაფერ არ დაიწყებს იმის უარყოფას, რომ იმ მენეჯერთა რიგები, რომლებიც სხვა სიტუაციაში მოქმედებენ, სწრაფად მცირდება. ასე მაგალითად, მენეჯერები, რომლებიც მუშაობენ ბიზნესის ისეთ სახეობებში, როგორიცაა ქალის მოდური ტანსაცმლის პროგრამული უზრუნველყოფის და მოდელირების სტილის შემუშავება, პრაქტიკულად იმთავითვე მუშაობდნენ ისეთ პირობებში, რომელიც თავისუფლად შეიძლება შევადაროთ მხოლოდ მშფოთვარე მთის მდინარეს. ისინი დიდი ხანია ამას მიეჩვივნენ და შურით შეჰყურებდნენ თავიანთ კოლეგებს, რომლებიც მუშაობდნენ ისეთ დარგებში, როგორიცაა ავტომშენებლობა, ნავთობის მოპოვება, საბანკო და საგამომცემლო საქმე, საპაერო გადაზიდვები, რომელთათვის დამახასიათებელია სტაბილურობა და ყველაფრის წინასწარ განსაზღვრულობა, მაგრამ დღეისათვის სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა, ბიზნესის სამყარო უკვე ისეთი აღარ არის, როგორიც ეს ადრე იყო.


ჩვენს დროში ნებისმიერი ორგანიზაცია, რომელიც ცვლილებებს აღიქვამს როგორც დროებით უსიამოვნებებს, რომელიც საერთოდ ხდება მშვიდ და სტაბილურ გარემოში, ძალზე დიდ რისკზე მდის. თანამედროვე მენეჯერები მზად უნდა იყვნენ იმ ცვლილებების პროცესის ეფექტიანი და შედეგიანი მართვისთვის, რომელსაც აუცილებლად ეჯახება მათი ორგანიზაცია ანდა ქვედანაყოფი მაინც. როგორ გავაკეთოთ ეს? სწორედ ამ საკითხს განვიხილავთ ჩვენ შემდეგ განყოფილებაში.

ცვლილებების მართვა. მსოფლიოში უმსხვილესი მისალოცი ბარათების მწარმოებელი ფირმის Hellmark-ის მენეჯერებმა ერთ მშვენიერ დღეს გაიაზრეს, რომ მათი პროდუქციის მეიდველები იცვლებიან. მათ შეძლეს გამოეყვინათ ბოლო დროს აღმოცენებული და აქტიურად განვითარებადი სამომხმარებლო ტენდენცია: სულის სიმშვიდე (წარმატება) ფასდება იმით, თუ როგორ აღიქვამს ადამიანი თავისი კეთილდღეობის ღონეს; წინააღმდეგობა (შხამსაწინააღმდეგო) შეწუხების (მოუსვენრობის) საპირისპიროდ (ადამიანები უფრო აქტიურად ერთვებიან საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში და ესწრაფვიან პრობლემებისგან თავის დაღწევას. ადამიანები ისწრაფვიან ცხოვრებისკენ მინიმალური სირთულეებით)<sup>215</sup>. იმისთვის რომ მოერგონ ამ ტენდენციებს, ფირმა ალმარკ-ის მენეჯერებს განზრახული აქვთ, შეცვალონ პროდუქტები, რეკლამები და შესაძლებელია, თვით კომპანიის საკადრო პოლიტიკაც კი.

ასრულებენ რა გარდაქმნების ორგანიზატორების როლს, მენეჯერები, რომლებიც უცვლელად ამაღლებენ თავიანთი ორგანიზაციის ეფექტიანობას, სულ მუდამ მზად უნდა იყვნენ იმისთვის, რომ შეუდგნენ სიახლეების დანერგვას, ცვლილებათა ინიციატივა იწყება იმის განსაზღვრით, თუ რომელი ორგანიზაციული სფეროები შეიძლება და აუცილებლად უნდა შეიცვალოს და როგორ განხორციელდეს ცვლილებების ეს პროცესი. თუმცა მენეჯერების ამოცანა მარტო ცვლილებების მართვით არ ამოიწურება. მენეჯერებს ასევე უხდებათ თავიანთ იმ მუშაკებთან წინააღმდეგობების მართვა, რომელთაც არ სურთ ეს ცვლილებები. განსახილველად გთავაზობთ ცვლილებათა სხვადასხვა ტიპებს; განვიხილოთ, როგორ უნდა გადალახოს მმართველმა პერსონალმა თავიანთი ხელქვეითების და ზოგადად თანამშრომელთა წინააღმდეგობები.

**ცვლილებათა ტიპები.** რა უნდა გააკეთოს მენეჯერმა თავის ორგანიზაციაში გარდაქმნების ეფექტიანად რეალიზაციისთვის? მმართველობითი პერსონალის შესაძლებლობები ამ სფეროში შეიძლება დაიყოს სამ კატეგორიად: სტრუქტურის შეცვლა, ტექნოლოგიების შეცვლა და ადამიანების შეცვლა (ნახ. 2). სტრუქტურის შეცვლა მოიცავს ძალაუფლებითი ურთიერთობების ნებისმიერი მოდიფიკაციას, მაკოორდინირებელი მექანიზმების, ცენტრალიზაციის ხარისხის, თანამდებობრივი ვადლებულეობების ანდა სხვა სტრუქტურული პარამეტრების ნებისმიერ ცვლილებას. ტექნოლოგიების ცვლილება – ეს არის სამუშაოთა შესრულების, ორგანიზაციის მიერ გამოყენებული, საწარმოო მეთოდების ანდა მოწყობილობების ხერხებისა და მეთოდების მოდიფიკაცია. ადამიანების შეცვლა გულისხმობს ცვლილებებს ადამიანებთან ურთიერთობებში, მოლოდინებში, აღქმასა და ქცევაში.

<sup>215</sup>“Hallmark Spots Emerging Trends for 2003 and Beyond”. June 6, 2003 - Hallmark კომპანიის Web-გვერდი - www.hallmark.com.



ნახ. 2. ორგანიზაციაში ცვლილებების სამი კატეგორია

**სტრუქტურის ცვლილება.** როგორც მიღებულია, მენეჯერები, ესაა ხალხი, რომლებიც პასუხს აგებენ ისეთ საკმეინობაზე, როგორცაა ორგანიზაციის ფორმალური სტრუქტურის შერჩევა, ძალაუფლებრივი უფლებამოსილების განაწილება და დეცენტრალიზაციის ხარისხის განსაზღვრა, თუმცა ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ გადაწყვეტილებების მიღება სტრუქტურასთან მიმართებაში ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ არჩევანი გაკეთებულია საბოლოოდ და მუდმივად. შიდა და გარე პირობების ცვლილებისას ასევე აუცილებელია სტრუქტურის შეცვლა.

რა შესაძლებლობები გააჩნია მმართველობით პერსონალს ამ მიმართულებით? არსებითად იგივე, რაზეც ისინი საუბრობდნენ ორგანიზაციის სტრუქტურის შემუშავებისა და ჩამოყალიბების განხილვისას. სიცხადისთვის მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი. როგორც ხემათ აღვნიშნეთ, ორგანიზაციის სტრუქტურა განისაზღვრება ისეთი კრიტერიუმებით, როგორცაა სამუშაო დავალებათა სპეციალიზაცია, დეპარტამენტალიზაცია, დაქვემდებარების წესი (სუბორდინაცია), მმართველობის ნორმა, ცენტრალიზაცია, დეცენტრალიზაცია და ფორმალიზაცია. მენეჯერებს შეუძლიათ შეცვალონ ერთი ან რამდენიმე ამ სტრუქტურული კომპონენტებიდან. ასე მაგალითად, შეიძლება განყოფილებებში გაერთიანდეს რამდენიმე თანამდებობრივი ვადლებულება, გაუქმდეს ზოგიერთი სტრუქტურული დონე და ამადლდეს მმართველობის ნორმა, რაც ორგანიზაციის სტრუქტურას უფრო „გამჭვირვადეს“ და ნაკლებად ბიუროკრატიულს გახდის. ასევე შეიძლება დაინერგოს ახალი წესები და პროცედურები და ამით ავამდლოთ სტანდარტიზაციის დონე. გადაწყვეტილებების მიღების პროცესის დაჩქარებისთვის, ჩვეულებრივ, მიმართავენ დეცენტრალიზაციას. კადრების შემცირებაც კი ხშირად იწვევს ორგანიზაციის სტრუქტურის შეცვლას.

არსებითი ცვლილებების რეალიზაციის სხვა მიმართულებაა ორგანიზაციის სტრუქტურული სქემის შეცვლა. მაგალითად, როცა კომპანია *Hervlett-Parkard*-მა შეიძინა კომპანია *Compaq Competer*-ი, ახალ კომპანიაში გაატარეს რიგი სტრუქტურული ცვლილებები. რიგი პროდუქციული ქვედანაყოფები გააუქმეს, სხვები გააერთიანეს, მესამენი გააფართოვეს. ამ პროცესს განეკუთვნება ასევე ფუნქციონალურიდან საწარმოო სტრუქტურაზე გადასვლა ანდა საპროექტო სტრუქტურის შექმნა. მაგალითად: კომპანია *Avery-Donnis*-მა ტანსაცმლის ტრადიციულ-ფუნქციონალური სტრუქტურა შეცვალა ახლით, რომლის თანახმადაც მუშაობა ხორციელდება გუნდური პრინციპის მიხედვით ფუნქციითა გადაკვეთით.

**ტექნოლოგიების ცვლილებები.** როგორც უკვე აღინიშნა, რადიკალური ცვლილებების დასანერგად მმართველობით პერსონალს ასევე შეუძლია შეცვალოს ტექნოლოგია, რომლის მეშვეობითაც მასალებისა და ნედლეულის ნაკადი გარდაიქმნება მზა პროდუქციის ნაკადად. თეორიული მენეჯმენტის მეკლევრების, კერძოდ კი ფ. ტეილორის და ცოლ-ქმარ გილბრეიტების შრომებში უმეტესწილად განხილულია სწორედ ტექნოლოგიების ცვლილებები. ცნობილია, რომ მენეჯმენტისადმი მეცნიერული მიდგომის მიზანია წარმოების ეფექტიანობის ამაღლების გამომწვევი ცვლილებების რეალიზაცია; ამასთან, საფუძვლად აიღება მუშის მოძრაობების ქრონომეტრაჟული ჩანაწერი. დღეისთვის ძირითადი ტექნოლოგიური ცვლილებები, ჩვეულებრივ, ითვალისწინებს ახალი მოწყობილობის დანერგვას, ინსტრუმენტების ანდა მუშაობის მეთოდების, ასევე წარმოების ავტომატიზაციის და/ანდა კომპიუტერიზაციის დანერგვას.

ისეთი ფაქტორები, როგორცაა კონკურენცია ანდა სერიოზული მეცნიერული სიახლეები დარგში, ხშირად მენეჯერებს აყენებენ ახალი მოწყობილობის, ინსტრუმენტებისა და სამუშაო მეთოდების დანერგვის აუცილებლობის წინაშე. ასე მაგალითად, ახალი სამხრეთ უელსის (ავსტრალია) ქვანახშირის მრეწველობის ბევრმა კომპანიამ თავიანთი სამუშაო მეთოდების რადიკალური მოდერნიზაცია განახორციელეს, წარმოებაში დადგეს ახალი მოწყობილობა ქვანახშირის ტრანსპორტირებისთვის, აშშ-ს შეიარაღებულ ძალებში განუწყვეტილ ინერგება უახლესი ტექნოლოგიები, მაგალითად, სამგანზომილებიანი ტრენაჟორ-იმიტატორი სროლის



შესასწავლად ანდა ინფორმაციის გადაცემის შესაძლებლობა ელექტრონული ფოსტით მეომართა სხვადასხვა, ცალკეულ ჯგუფებს შორის ბრძოლის ველზე<sup>216</sup>.

ავტომატიზაციის პროცესი გულისხმობს ტექნოლოგიურ ცვლილებებს, რომელთა მსგელობაშიც ადამიანების შრომა იცვლება მანქანებით. იგი დაიწყო ინდუსტრიული რევოლუციის კოქაში და დღემდე გრძელდება. თავის დროზე ავტომატიზაციას ნერვავენენ (ზოგჯერ პერსონალის აქტიური წინააღმდეგობის პირობებში) ამერიკის საფოსტო სამსახურში (U.S. Postal Service), სადაც დაიწყო ფოსტის ავტომატური სორტირების გამოყენება ანდა ავტომატურად ქარხნებში ამწობი კონვეიერების დანერგვა, რომელზედაც ადრე მუშების შესასრულებელ სამუშაოებს ახლა რობოტები ასრულებენ.

თუმცა უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური ცვლილებები უკანასკნელ წლებში არის საყოველთაო კომპიუტერიზაცია. თითქმის ყველა ორგანიზაციაში დღეისთვის მუშაობს ურთულესი ინფორმაციული სისტემები. მაგალითად, საცალო სავაჭრო ქსელში კომპიუტერში ჩართული სკანერები, რომელთა მეშვეობით შეიძლება წამიერად მივიღოთ ინფორმაცია საქონელზე (მისი ფასი, კოდი და ა.შ.). ამას გარდა, ძნელად თუ მოიძებნება ოფისი, სადაც არ არის კომპიუტერი. ასე მაგალითად, BP Amoco-ს მუშაკებმა ისწავლეს მუდმივი მხედველობის არეში და სრული ანგარიშსწორების პირობებში მუშაობა, რაც შექმნა ინფორმაციული სისტემების დანერგვამ მთელი ორგანიზაციის მასშტაბით. ამ სისტემის გამართიანებელი ბუნება იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი ოპერაცია, რომელსაც ფირმის მუშაკები კომპიუტერით ახორციელებენ, ავტომატურად ახდენს გავლენას ლოკალური ქსელის დანარჩენ კომპიუტერულ სისტემებზე<sup>217</sup>. ანდა ავიღოთ, მაგალითად, ფირმა Benetton Group SpA, რომელშიც ფართოდ გამოიყენება სპეციალური კომპიუტერული ტექნიკა, რის გამოც ერთიმეორეს უკავშირდება იტალიის ქარხნები, კომპანიების სავაჭრო წერტები და ავტომატიზებული საწყოები<sup>218</sup>.

შეიცვალა ადამიანები – ეს ნიშნავს რომ იცვლება მათი ურთიერთობები, აღქმა, მოლოდინი და ქცევები. დაახლოებით 30 წლის წინ თეორეტიკოსი მეცნიერები და პრაქტიკოსი მენეჯერები სულ უფრო მეტად ინტერესდებოდნენ ცალკეული მუშაკებისა და ჯგუფების ეფექტიანობის საკითხებით. ტერმინი „ორგანიზაციული განვითარება“, რომელსაც ზოგჯერ იყენებენ ნებისმიერი ცვლილებების აღწერისთვის, ძირითადად აღნიშნავს მეთოდებს ანდა პროგრამებს, რომელიც მიმართულია ადამიანების ანდა პიროვნებათა შორის მუშა ურთიერთ-დამოკიდებულების შესაცვლელად<sup>219</sup>. ორგანიზაციული განვითარების შედარებით პოპულარული მეთოდები ჩამოთვლილი და მოკლედ აღწერილია ნახ. 3-ზე. ყველა ამ მეთოდისთვის საერთოა ის, რომ მათი მეშვეობით შესაძლებელია სწრაფად და უმტკივნეულოდ დაინერგოს ცვლილებები, როლებიც დაკავშირებულია ორგანიზაციაში ადამიანურ რესურსებთან. ასე მაგალითად, კანადაში სიდიდით და გავლენით მეორე ბანკის Nova Scotia-ის ხელმძღვანელობამ იცოდა, რომ გაყიდვებისა და ახალი კლიენტების მომსახურების წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, შეძლებს თუ არა მენეჯმენტი, შეცვალოს პერსონალთან დამოკიდებულება და მისი ქცევა. ამ სტრატეგიული ცვლილებების დანერგვის პროცესში მენეჯერებმა გამოიყენეს ორგანიზაციული განვითარების სხვადასხვა პრაქტიკული მეთოდი, მათ შორის გუნდების შექმნა, განხილვები უკუკავშირების შედეგების მიხედვით და ჯგუფთაშორისი განვითარება. იმის ნათელი მაჩვენებელი, თუ რამდენად კარგად იმუშავა ამ მეთოდებმა, არის ის ფაქტი, რომ ბანკის ყველა კანადურმა ფილიალმა დანერგა ახალი სტრატეგია დანიშნულ ვადაში ანდა ზოგჯერ ვადამდე<sup>220</sup>.

**მართვა ცვლილებებისადმი წინააღმდეგობების პირობებში.** ცვლილებები ხშირად წარმოადგენს მუქარას როგორც მმართველობითი, ასევე დანარჩენი პერსონალისთვის, ამიტომ ორგანიზაციაში ხშირად შეინიშნება ინერციის ძალა, რომელიც ადამიანებში აღძრავს წინააღმდეგობის უნარს, რათა არ დაირღვეს ჩვეული წონასწორობითი მდგომარეობა, მაშინაც კი, როცა ცხადია ცვლილებების სარგებლიანობა და სასიკეთობა. ამ თავში ჩვენ ავხსნით, თუ რატომ ეწინააღმდეგებიან ორგანიზაციის მუშაკები გარდაქმნებს და როგორ შევამციროთ ეს წინააღმდეგობები.


<sup>216</sup>S. Crock, J. Carey, P. Magnusson, G. Smith, O. Port, "Storming the Streets of Baghdad", Business Week, October 21, 2002, p. 46-47.

<sup>217</sup>J. Jesitus. "Change Management: Energy to the People". IW. September 1. 1997. p. 37,40.

<sup>218</sup>D. Lavin, "European Business Rushes to Automate", Well Street Journal, July 23, 1997. p.A14.

<sup>219</sup>T. C. Hcad, P. F. Sorensen, "Cultural Values and Organizational Development: A Seven-Country Study". Leadership @ Organization Development Journal, March 1993, p.3-7; M. P. O'Driscoll, J. L. Eubanks, "Behavioral Competencies, Goal Setting, and OD Practitioner Effectiveness". Group @ Organization Management, September 1993, p.308-326; A.H. Church, W. W. Burke, D. F. Van Eynde, "Values Motives, and Interventions of Organization Development Practitioners". Group @ Organization Management, March 1994, p. 5-50. N. A. Worren, K. Ruddle, K. Moore, "From Organization Development to Change Management" Journal of Applied Behavioral Science, September 1999. p. 273-286. G. Farias, "Organizational Development and Change Management". Journal of Applied Behavioral Science, September 2000. p. 376-379. W.Nicolay, "Response to Farias and Johnson's Commentary" Journal of Applied Behavioral Science, September 2000. p. 380-381; S. Hicks, "What Is Organization Development?". Training S Development, August 2000. p.65.

<sup>220</sup>T. White, "Supporting Change : How Communicators at Scotiabank Turned Ideas Into Action", Communication World, April 2002, p. 22-24.



ნახ. 3. ორგანიზაციული განვითარების მეთოდები

**რატომ ეწინააღმდეგებიან ადამიანები ცვლილებებს.** როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანთა უმეტესობა ეწინააღმდეგება ნებისმიერ ცვლილებას, რომელიც არ უზრუნველყოფს მათ ამა თუ იმ მატერიალური უპირატესობებით. ამის შესახებ ბევრს ლაპარაკობენ და წერდნენ<sup>221</sup>. რატომ ცდილობენ ადამიანები გაექცნენ ცვლილებებს? ამისათვის ოთხი ძირითადი მიზეზი არსებობს: ჯერ ერთი, მათ აშინებთ განუსაზღვრელობა, მეორე, ჩვევა; მესამე, მათ ეშინიათ, რომ ბოლოს წააგებენ; მეოთხეც, ისინი ხშირად დარწმუნებული არიან იმაში, რომ რეალიზებული ცვლილებები საერთოდ ეწინააღმდეგება ორგანიზაციის ინტერესებს<sup>222</sup>.

გარდაქმნები განაპირობებს იმას, რომ ყველაფერი ნაცნობი და ჩვეულებრივი ხდება უჩვეულო და განუსაზღვრელი. იმისგან დამოუკიდებლად, რომ სტუდენტებს ძალიან არ უნდათ ინსტიტუტში სიარული, მათ სულ მცირე, რამდენიმე წლის მანძილზე იციან, რომ ეს საჭიროა გაკეთდეს და ისიც, თუ იქ რა უნდა აკეთონ, ხოლო როცა ისინი სწავლას ამთავრებენ და იწყებენ მუშაობას, მათ რამდენადაც არ უნდა ეცადონ, უფრო ადრე დაამთავრონ ინსტიტუტი და დაიწყოთ მუშაობა, დამოუკიდებელი ცხოვრება, ისინი ღვანან აუცილებლობის წინაშე – შეჩვეული ჩვეულება უნდა გაცვალონ სრულ გაურკვეველობაზე. მუშაკები ორგანიზაციებში აწვდებიან ანალოგიურ გაურკვეველობას და განუსაზღვრელობას. ასე მაგალითად, როცა ქარხანაში შემოაქვთ ხარისხის კონტროლის ახალი პრინციპები, რომელთა საფუძველია რთული სტატისტიკური მოდელები, დაბალი დონის მენეჯერებმა უნდა შეისწავლონ ისინი და ბევრი მათგანი შიშობს, რომ ისინი ძალზე რთული აღმოჩნდება. ამ მიზეზის გამო ფირმის პერსონალს ხშირად უყალიბდება ნეგატიური დამოკიდებულება სტატისტიკური კონტროლის მიმართ და ისინი, დიდი ალბათობით, წინააღმდეგობას გაუწევენ მათ დანერგვას.

წინააღმდეგობის კიდევ ერთი მიზეზია ის, რომ ადამიანები ხშირად მოქმედებენ ჩვევის მიხედვით. ყოველდღე, ინსტიტუტში ან სამსახურში წასვლისას, ადამიანები, დიდი ალბათობით, აკეთებენ ერთსა და იმავეს. ადამიანები ამ დროს ირჩევენ განსაზღვრულ მარშრუტს და სარგებლობენ სწორედ ამ მარშრუტით. ადამიანები

<sup>221</sup> იხ. მაგალითად, **B. M. Staw**, "Counter-forces to Change", in P. S. Goodman and Associates (eds.), *Change in Organizations* (San Francisco, Jossey-Bass, 1982), p. 87-121; **A. A. Armenakis, A. G. Bedeian**, "Organizational Change: A Review of Theory and Research in the 1990 s", *Journal of Management*, March 1999, p. 293-315; **C. R. Wanberg, J. T. Banas**, "Predictors and Outcomes of Openness to Change in a Reorganizing Workplace", *Journal of Applied Psychology*, February 2000, p. 132-42; **S. K. Piderit**, "Rethinking Resistance and Recognizing Ambivalence: A Multidimensional View of Attitudes Toward an Organizational Change", *Academy of Management Review*, October 2000, p. 783-794; **R. Kegan, L. L. Lahey**, "The Real Reason People Won't Change", *Harvard Business Review*, November 2001, p. 85-92; **M.A. Korsgaard, H.J. Sapienza, D.M. Schweieger**, "Beaten Before Begin: The Role of Procedural Justice in Planning Change", *Journal of Management*, April 2002, p. 497-516; **C. E. Cunningham, C. A. Woodward, H. S. Shannon, L. Macintosh, B. Lendrum, D. Rosenbloom, J. Brown**, "Readiness for Organizational Change: A Longitudinal Study of Workplace, Psychological and Behavioral Correlates", *Journal of Occupational and Organizational Psychology*, December 2002, p. 377-392.

<sup>222</sup> **J. P. Kotter, L.A. Schlesinger**, "Choosing Strategies for Change". *Harvard Business Review*. March-April 1979. p.107-109. **P. Strebler**, "Why Do Employees Resist Change?" *Harvard Business Review*. May- June 1996. p. 86-92. **J. Marlotti**. "Troubled by Resistance to Change". *IW*. October 7. 1996. p. 30; **A. Reichers, J. P. Wanous, J. T. Austin**. "Understanding and Managing Cynicism about Organizational Change". *Academy of Management Executive*, February 1997, p.48-57.

თავიანთი ჩვევების მონები არიან. ცხოვრება ძალზე რთული რამ არის და არავის არ უნდა ამ სირთულეებში დიდი რაოდენობით სხვადასხვა გადაწყვეტილებების მიღება. ამ სირთულის გამკლავება შეიძლება ჩვევებით ანდა დაპროგრამებული რეაქციით, თუმცა ცვლილებებთან დაპირისპირებისას ყველაფრის დადგენილი წესით გაკეთების ტენდენციამ შეიძლება ცვლილებებისადმი წინააღმდეგობა და მტრული განწყობა გამოიწვიოს.

წინააღმდეგობის მესამე მიზეზია შიში, დაიკარგოს ის, რაც უკვე გვაქვს. ცვლილებები საფრთხის ქვეშ აყენებს იმ წვლილს, რომელიც მუშაკს მიუძღვის ორგანიზაციის წინაშე სტატუსკოს მისაღწევად და რაც უფრო მეტი წვლილი მიუძღვის ადამიანებს ჩამოყალიბებულ სისტემაში, მით უფრო ძლიერ წინააღმდეგობას გაუწევენ ისინი გარდაქმნებს. რატომ? მათ ეშინიათ, დაკარგონ მდგომარეობა, ფული, ძალაუფლება, მეგობრები, პირადი სარგებელი და სხვა უპირატესობები, რასაც ისინი ძალზე აფასებენ და რისი მიღწევაც მათ შეეძლებს. ამით აიხსნება, მაგალითად, ის ფაქტი, რის გამოც მაღალი ასაკობრივი ჯგუფის თანამშრომლები უფრო ძლიერ ეწინააღმდეგებიან ცვლილებებს, ვიდრე ახალგაზრდები. ძველ მუშაკებს, როგორც წესი, მეტი წვლილი მიუძღვით ორგანიზაციის არსებულ სისტემაში და, ცხადია, მეტის დაკარგვა მოუწვევთ ცვლილებების შემდეგ.

და წინააღმდეგობის ბოლო მიზეზი – ადამიანის თვითდაჯერებულობა იმაში, რომ ცვლილებები შეუთავსებელი იქნება ორგანიზაციის მიზნებთან და ინტერესებთან. თუკი მუშაკი თვლის, რომ შემოთავაზებული ცვლილებების რეალიზაცია გამოიწვევს შრომისმწარმოებლურობის შემცირებას ანდა პროდუქციის ხარისხის გაუარესებას, დიდი ალბათობითაა მოსალოდნელი, რომ ის წინააღმდეგობას გაუწევს გარდაქმნებს. თუმცა, მეორე მხრივ, თუკი ასეთი მუშაკი თავის უთანხმოებას ცვლილებებისადმი გამოხატავს პოზიტიურად და კონსტრუქციულად (მაგალითად, ღიად გამოხატავს თავის აზრს გარდაქმნების ორგანიზატორთან, ასევე გეთავაზობს სხვა ღონისძიებებს), მაშინ მისი ასეთი წინააღმდეგობა შეიძლება ორგანიზაციისთვის ერთობ სასარგებლოც კი აღმოჩნდეს.

**წინააღმდეგობის შემცირების მეთოდები.** რა უნდა გააკეთოს მენეჯერმა მაშინ, როცა ხედავს, რომ ცვლილებებისადმი პერსონალის წინააღმდეგობა დიდია და გამოხატულია არც თუ ისე კონსტრუქციული ხერხებით, რათა გაუმკლავდეს ამ სიტუაციას? მმართველ პერსონალს ანდა გარდაქმნების სხვა ორგანიზატორებს სთავაზობენ ექვსი ტაქტიკური ხერხის გამოყენებას<sup>223</sup>. ისინი ჩამოთვლილი და მოკლედ აღწერილია პირველ ცხრილში. მათ მიეკუთვნება სწავლება და ურთიერთობა; ცვლილებების დანერგვასთან დაკავშირებული პერსონალის ჩართვა გადაწყვეტილების მიღებაში; პერსონალის დახმარება და მხარდაჭერა; მოლაპარაკებები, მანიპულაცია და კოოპტაცია და ბოლოს ჩასშობა.

*ცხრილი 1*

**პერსონალის ცვლილებებისადმი წინააღმდეგობის შემცირების მმართველობითი მეთოდები**

<b>სწავლება და ურთიერთობა</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>• გულისხმობს მკიდრო ურთიერთობას მუშაკებთან, რათა დაეხმარათ მათ მაქსიმალურად სრულად აღიქვან დასანერგი ცვლილებების ლოგიკა;</li> <li>• გულისხმობს მუშაკთა ინფორმირებულობას პირად საუბრებში, „ერთი ერთზე“, მოხსენებითი ბარათებით ანდა საერთო კრებაზე;</li> <li>• ეს მეთოდიკა ეფექტიანია მაშინ, თუ წინააღმდეგობის მიზეზი არის არასაკმარისი ინფორმირებულობა;</li> <li>• მეთოდის გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, რომ მუშაკებს შორის და მუშაკებსა და ხელმძღვანელებს შორის ურთიერთობები აგებულია ურთიერთნდობაზე.</li> </ul>
<b>ცვლილებებთან დაკავშირებულ დანერგვაში მონაწილე პერსონალის ჩართვა გადაწყვეტილების მიღებაში</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>• გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებაში იმათ ჩართვას, ვინც შეიძლება შეეწინააღმდეგოს ცვლილებებს;</li> <li>• გამოიყენება მაშინ, როცა გადაწყვეტილების მიღების პროცესის მონაწილენი საკმარის კომპეტენტურნი არიან იმისთვის, რომ არსებითი წვლილი შეიტანონ საერთო საქმეში;</li> <li>• ხელს შეუწყობს წინააღმდეგობის შემცირებას და იმ გადაწყვეტილების ხარისხის ამაღლებას, რომლებიც მიიღება ცვლილებებთან მიმართებაში, ხოლო ადამიანებს გაუჩნდებათ სურვილი, დაინახონ თავიანთი საქმიანობის წარმატებული შედეგები.</li> </ul>
<b>პერსონალისათვის დახმარება და მხარდაჭერა</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>• გულისხმობს ფსიქოლოგებისა და სხვა სპეციალისტების კონსულტაციების ჩატარებას და ახალი ჩვევების შესწავლას, ასევე მოკლევადიანი, ფასიანი შევსებულებების გაცემას;</li> <li>• მოითხოვს სახსრებისა და დროის მნიშვნელოვან დანახარჯებს.</li> </ul>

<sup>223</sup> **J. P. Kotter, L.A. Schlesinger**, “Choosing Strategies for Change”. Harvard Business Review. March-April 1979. p.106-111. **K.Matejka, R. Julian**, “Resistance to Change Is Natural”, Supervisory Management. October 7. 1993. p. 10; **C. O’Connor**, “Resistance: The to Repereussions of Change”. Leadership Organization Development Journal. October 1993. p. 30-36; **J. Landau**. “Organizational Change and Barriers to Innovation. A Case Study in the Italian Public Sector”, Human Relations, Desember 1993. p. 1411-1429; **A. Sagie, M. Koslowsky**, “Organizational Attitudes and Behaviors as a Function of Participation in Strategic and Tactical Change Decisions: An Application of Path-Goal Theory”, Journal of Organizational Behavior, January 1994, p. 37-47; **V. D. Miller, J.R. Johnson, J. Grau**, “Antecedents to Willingness to Participate in a Planned Organizational Change”, Journal of Applied Communicational Research, February 1994, p. 59-80; **P.Pritchett, R.Pound**, The Employee Handbook fir Organizational Change (Dallas: Pritchett Publishing, 1994); **R. Maurer**, Beyond the Wall of Resistance: Unconventional Strategies That Build Support for Change (Austin: Bard Books, 1996); **D. Harrison**, “ Assess and Remove Barriers to Change”, HR Focus, Juli 1999, p. 9-10; **L. K. Lewis**, “Disseminating information and Soliciting input During Planned Organizational Change”, Management Communication Quarterly, August 1999, p. 43-75; **J. P. Wanous, A.E. Reichers, J. T. Austin**, “Cynicism About Organizational Change”, Group @ Organization Management, June 2000, p. 132-153; **K. W. Mossholder, P.P. Settoon, A. A. Armenakis, S.G. Harris**, “ Emotion During Organizational Transformations”, Group @ Organization Management, September 2000, p. 220-243.

<b>მოლაპარაკებები</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>• თანამშრომლებს სთავაზობენ რაიმე ფასეულს წინააღმდეგობის შემცირების სანაცვლოდ;</li> <li>• ჩვეულებრივ, საჭიროა მაშინ, როცა წინააღმდეგობა მოდის გავლენიანი წყაროდან;</li> <li>• პოტენციურად ძვირად ღირებული მეთოდიკაა. ალბათ, საჭიროა ასეთი მოლაპარაკებების ჩატარება სხვა მოწინააღმდეგე მხარეებთან.</li> </ul>
<b>მანიპულაცია და კოოპტიცია</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>• მანიპულაცია გულისხმობს სიტუაციაზე გავლენის მოხდენის ფარულ მცდელობას. მაგალითად, ფაქტების დამახინჯება, რათა მათ მიენიჭოს მეტი მიმზიდველობა, არასასურველი ინფორმაციის დამალვა ანდა ცრუ, ყალბი ხმების გავრცელება;</li> <li>• კოოპტიცია – ეს არის მანიპულაციის სახესხვაობა და გამოიყენება მუშაკების მოსაზიდად ცვლილებების პროცესში მონაწილეობისთვის;</li> <li>• მანიპულაცია და კოოპტიცია – ეს არის მოწინააღმდეგე მხარის მხარდაჭერის შედარებით იაფი და მარტივი ხერხი;</li> <li>• მოცემული ტაქტიკა კრახით დამთავრდება, თუ ხალხი გაიგებს, რომ მათ ატყუებენ და იყენებენ.</li> </ul>
<b>ჩახშობა</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>• მოწინააღმდეგეების მიმართ მუქარებისა და ძალისმიერი მეთოდების გამოყენება;</li> <li>• მოწინააღმდეგე მხარის მხარდაჭერის უზრუნველყოფი შედარებით იაფი და მარტივი მეთოდის გამოყენება;</li> <li>• ასეთი ტაქტიკა ხშირად უკანონო ხასიათის მატარებელია. ჩახშობის კანონიერი მეთოდებიც კი შეიძლება განხილულ და აღქმულ იქნეს როგორც დაშინება.</li> </ul>

**ცვლილებების მართვის თანამედროვე პრობლემები.** სპეციალისტების აზრით, გარდაქმნების დანერგვასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც ყველაზე მეტად აღელვებთ თანამედროვე მენეჯერებს, არის ორგანიზაციული კულტურის შეცვლა, ხარისხის მუდმივი ამაღლების პროგრამების გამოყენება ანდა რეინჟინინგი და პერსონალისთვის სტრესის მოხსნა – ეს პრობლემები ძველებურად რჩება, როგორც მმართველი პერსონალისათვის ერთ-ერთი რთული სფერო. რისი გაკეთება შეუძლია მენეჯერებს იმ ორგანიზაციული კულტურის შესაცვლელად, რომელიც არ შეესაბამება ორგანიზაციის მისიას? როგორ ახორციელებენ მენეჯერები უწყვეტი ცვლილებების პროგრამებს და როგორ ნერგავენ პრაქტიკაში რადიკალურ გარდაქმნებს? რისი გაკეთება შეუძლიათ თანამედროვე მენეჯერებს სტრესულ სიტუაციაში მყოფი მუშაკების დასახმარებლად (როცა სტრესი გამოწვეულია სამუშაო ძალის ბაზარზე არსებული მკაცრი კონკურენციით) დღევანდელ დინამიურ გარემოში? მომდევნო თავში ჩვენ განვიხილავთ ყველა ამ საკითხს და ვიმსჯელებთ იმაზე, თუ რა ღონისძიებებს უნდა მიმართოს მმართველმა პერსონალმა ზემოთ განხილული პრობლემების გადასაჭრელად.

**ორგანიზაციული კულტურის შეცვლა.** როდესაც ჟ. ჯეიმს მაკ-ნერნი უმცროსმა 3 კომპანიაში აღმასრულებელი დირექტორის პოსტი დაიკავა, მან თან მოიტანა მმართველობითი მიდგომები ფირმა General Electric-დან, სადაც იგი ადრე მუშაობდა. თუმცა მან მალევე შენიშნა, რომ ის, რაც დიდი ხანია ჩვეულებრივად ითვლებოდა ფირმა GE-ში, გაუგონარი იყო ფირმა 3M-სთვის. მაგალითად, იგი ერთადერთი იყო მათ შორის, ვინც შეკრებაზე ჰალსტუხის გარეშე მოვიდა, ხოლო მისი კითხვების დასმის პირდაპირი და რამდენადმე მკვეთრი, უკმეხი მანერა ახალი კომპანიის მენეჯერებს შორის დაბნეულობას იწვევდა. ძალზე მალე ბატონი მაკ-ნერნი მიხვდა, რომ მანამ, სანამ ამ ორგანიზაციაში რაიმე სიახლეს დანერგავდა, მას ჯერ ორგანიზაციული კულტურა უნდა შეეცვალა<sup>224</sup>. რამდენადაც ორგანიზაციული კულტურა განისაზღვრება სტაბილური და მკვიდრად ჩამოყალიბებული მახასიათებლებით, იგი ძნელად ექვემდებარება რაიმე ცვლილებებს<sup>225</sup>. კულტურა წლების მანძილზე ყალიბდება და ერთხელ უკვე დამკვიდრებული ცვლილებებისადმი წინააღმდეგობის ძლიერი ტენდენციით ხასიათდება. განსაკუთრებით ძნელად ეგუება ცვლილებებს ძლიერი კულტურები, რამდენადაც პერსონალი ძლიერ არის დამოკიდებული აქ დამკვიდრებულ ნორმებსა და პრინციპებსზე. ასე მაგალითად, ლუ გერსტნერი, IBM-ის ყოფილი მთავარი აღმასრულებელი დირექტორი, ძალზე ადრე მიხვდა, თუ რამდენად მძლავრი შეიძლება იყოს ძლიერი ორგანიზაციული კულტურა. იგი გახდა პირველი „უცხო“ მის მიერ მართულ კომპანიაში და მას მოუწია კაპიტალურად გარდაქმნა ორგანიზაცია მყარად დამკვიდრებული ტრადიციებიდან. არსებითი გარდაქმნების გარეშე მას უკვე აღარ შეეძლო შეენარჩუნებინა თავისი ლიდერის როლი კომპიუტერულ ინდუსტრიაში და, ასრულებდა რა სწორედ იმ ამოცანებს კომპანიაში, რომელიც ყოველთვის ამაყობდა თავისი კულტურით, ლუ გერსტნერისთვის ეს ძალზე რთული აღმოჩნდა. იგი ამბობდა: „IBM“-ში მუშაობის ათი წლის შემდეგ მე მივხვდი, რომ კულტურა – ეს თამაშის ერთი ასპექტი კი არა, თვითონ თამაშია<sup>226</sup>, ისიც უნდა

<sup>224</sup> C. Hymowitz, “How Leader at 3M Got His Employees to Back Big Changes”, Wall Street Journal, April 23, 2002, p. B1; J. Useem, “Jim McNerney Thinks He Can Turn 3M from a Good Company into a Great One - With a Little Help from his Former Employer; General Electric”, Fortune, August 12, 2002, p. 127-132.

<sup>225</sup> იხ. მაგალითად, T. H. Fitzgerald, “Can Change in Organizational Culture Really Be Managed?” Organizational Dynamics, Autumn 1988, p. 5-15; B. Dumaine, “Creating a New Company Culture”, Fortune, January 15, 1990, p. 127-131; P. F. Drucker, “Don’t Change Corporate Culture – Use It!”, Wall Street Journal, March 28, 1991, p. A14; J. Martin, Cultures in Organizations Three Perspectives (New York: Oxford University Press, 1992); D. C. Pheysey, Organizational Cultures: Types and Transformations (London: Routledge, 1993); C. G. Smith, R. P. Vecchio, “Organizational Culture and Strategic Management: Issues in the Strategic Management of Change” Journal of Managerial Issues, Spring 1993, p. 53-70; P. Bate, Strategies for Cultural Change (Boston: Butterworth-Heinemann, 1994); P. Anthony, Managing Culture (Philadelphia: Open University Press, 1994).

<sup>226</sup> K. Maney, “Famously Gruff Gerstner Leaves IBM a Changed Man”, USA Today, November 11, 2002, p.1B+; Louis V. Gerstner, Who Says Elephants Can’t Dance: Inside IBM’s Historic Turnaround (New York: Harper Business, 2002).

ითქვას, რომ დროდადრო რაიმე კულტურა ორგანიზაციისთვის შეუფერებელი ხდება და ხელს უშლის ფირმის ნორმალურ მართვას და განვითარებას. მენეჯერის ცოტა რამ თუ შეუძლია მის შესაცვლელად, განსაკუთრებით მოკლე დროის განმავლობაში. ყველაზე საუკეთესო პირობებში კულტურის შეცვლას წლები დასჭირდება: კვირეებისა და თვეების მანძილზე კი ეს, უბრალოდ, შეუძლებელია.

**სიტუაციური ფაქტორების გავლენა.** მაინც რა ხელსაყრელი პირობები არსებობს იმისათვის, რომ შემსუბუქდეს ორგანიზაციული კულტურის ცვლილების პროცესი. ფაქტები ადასტურებს იმ გარემოებას, რომ კულტურული გარდაქმნები მიმდინარეობს მარტივად და სწრაფად მაშინ, თუ ქვემოთ ჩამოთვლილი პირობები სრულდება სრულად ანდა ნაწილობრივ მაინც.

- **სერიოზული კრიზისი.** ასეთ დარტყმას შეუძლია დაარდვიოს სტატუს-კვო და აიძულოს ადამიანები, დაფიქრდნენ არსებული კულტურის ეფექტიანობაზე. ასეთი რყევის მაგალითია მოულოდნელი ფინანსური დაცემა, ძირითადი კლიენტის დაკარგვა ანდა კონკურენტი ფირმის მიერ შესრულებული კარდინალური ტექნოლოგიური სიახლეები.

- **ხელმძღვანელობის შეცვლა.** თუკი ახალი ლიდერები სთავაზობენ ძირითადი ფასეულობების ალტერნატივათა ნაკრებს, ისინი, როგორც წესი, ადამიანების მიერ აღიქმება, როგორც კრიზისული სიტუაციიდან ეფექტიანად თავის დაღწევის საშუალება. უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობა, ჩვეულებრივ, წარმოდგენილია ორგანიზაციის მთავარი აღმასრულებელი დირექტორის სახით, მაგრამ ამ კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს ყველა მენეჯერი, რომელ წამყვანი მმართველობითი პოსტები უკავიათ.

- **ახალი ანდა მცირე ორგანიზაცია.** რაც უფრო ახალგაზრდაა ორგანიზაცია, მით უფრო არამდგრადი და ნაკლებად ფესვგადგმულია მისი კულტურა. ამის გარდა, მენეჯერებისათვის გაცილებით ადვილია ახალი ფასეულობების დანერგვა მცირე ორგანიზაციებში მსხვილ ორგანიზაციებთან შედარებით.

- **სუსტი ორგანიზაციული კულტურა.** რაც უფრო ღრმად ფესვმოკიდებულია კულტურა და რაც უფრო მაღალია ორგანიზაციის წევრთა ერთგულება მისი ძირითადი ფასეულობებისადმი, მით უფრო ძნელია მისი შეცვლა და, პირიქით, სუსტი კულტურები უფრო ადვილად ეგუება ახალ ფასეულობებს ძლიერებთან შედარებით<sup>27</sup>.

ამ სიტუაციური ფაქტორების გათვალისწინებით ძნელი არ არის იმის გაგება, თუ რატომ გახდა ასე ძნელი ისეთი კომპანიების კულტურის შეცვლა, როგორიცაა მაგალითად IBM. როგორც ჩანს, ამ ორგანიზაციის მუშაკებს მიმდინარე პრობლემები არ მიაჩნიათ კრიტიკულად და საფრთხის შემქმნელად ფირმისთვის. მათ მოსწონთ ფირმაში საქმის არსებული მდგომარეობა.

**კულტურული ცვლილების დანერგვის ხერხები.** კომპანიის მმართველ პერსონალს მართებს შემდეგ საკითხებზე დაფიქრება: თუკი ზემოთ ჩამოთვლილი პირობები შესრულდება, მაშინ მენეჯერები როგორ შეძლებენ კულტურული ცვლილებების განხორციელებას? პირველ რიგში აუცილებელია „გაიყინოს“ (დაიბლოკოს) არსებული და მოქმედი კულტურა. ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოება, რომ არც ერთი იზოლირებული ქმედება არ მოიტანს სასურველ შედეგებს, რაც ასე აუცილებელია იმის „გასაყინავად“ (დასაბლოკავად), რაც ღრმად ფესვმოკიდებულია და ადამიანები დიდად აფასებენ. ამიტომ საჭიროა ორგანიზაციული კულტურის შეცვლა და ყოველმხრივი და კოორდინირებული მენეჯმენტის სტრატეგია. ასეთი სტრატეგიის აღწერა მოცემულია მე-2-ე ცხრილში.

როგორც ირკვევა, ეს წინადადებები აისახება კონკრეტულ ქმედებებში, რასაც მენეჯერები მიმართავენ თავიანთი ორგანიზაციის არაეფექტიანი კულტურის შესაცვლელად. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიება, ცხადია, საერთოდ არ არის განხორციელებული ქმედებების ეფექტიანობის გარანტი. ორგანიზაციის წევრები ადვილად და სწრაფად ვერ ეღებებიან იმ ფასეულობებს, რომლებიც მათთვის გასაკებები იყო და დიდი ხანია მას მხარს უჭერდნენ. ამიტომ მენეჯერებს მოთმინება მართებთ, ისინი მზად უნდა იყვნენ იმისთვის, რომ ცვლილებები, დიდი ალბათობით, ძალზე ნელა დაინერგება და მართვის პერსონალი სულ მუდამ მზად უნდა იყვნენ, წინ აღუდგნენ წარსულში დაბრუნების ყველა მცდელობას, შეეყუდნენ მეთოდებს, პოლიტიკას და ტრადიციას.

**ცხრილი 2**

**ორგანიზაციულ კულტურაში ცვლილებების დანერგვის ეტაპები**

<ul style="list-style-type: none"> <li>• ჩაატარეთ კულტურული გარემოს ანალიზი და გამოავლინეთ გარდაქმნისათვის საჭირო ელემენტები.</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>• აუხსენით მუშაკებს, რომ თუ უახლოეს მომავალში არ განხორციელდება ცვლილებები, ორგანიზაციის გადარჩენა საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება.</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>• დანიშნეთ ახალი ხელმძღვანელობა კომპანიის მომავლის ახალი ხედვით.</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>• დაიწყეთ რეორგანიზაცია.</li> </ul>
<ul style="list-style-type: none"> <li>• ცვლილებები შეიტანეთ ახალი თანამშრომლების არჩევის პროცესებში და ორგანიზაციაში მათ ადაპტაციაში, ასევე შრომის შეფასების სისტემაში და ჯილდოების განაწილებაში ახალი ფასეულობების შესაბამისად.</li> </ul>

<sup>27</sup> იხ. მაგალითად, R.H. Kilmann, M.J.Saxton, R. Serpa (eds), Gaining Control of the Corporate Culture (San Francisco: Jossey-Bass, 1986); D. C. Hambrick, S. Finkelstein, "Managerial Discretion: A Bridge between Polar Views of Organizational Outcomes", in L. L. Cummings, B. M. Staw (eds), Research in Organizational Behavior, vol. 9 (Greenwich, CT: JAI Press, 1987), p. 384.

**სხვადასხვაობის (ნაირსახეობის) პარადოქსი.** თუკი ორგანიზაცია ქირობს განსხვავებულ პერსონალს და, შესაბამისად, ახდენს ახალბედების ადაპტაციას თავისი კულტურის მიმართ, ყალიბდება რიგი პარადოქსი<sup>228</sup>. ერთი მხრივ, მენეჯერები ცდილობენ, ახალი მუშაკები რაც შეიძლება სწრაფად და სრულად ეზიარონ ორგანიზაციის ძირითად კულტურულ ფასეულობებს, რამდენადაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ გაუჭირდებათ ორგანიზაციაში ადაპტაცია, მეორე მხრივ, მმართველ პერსონალს ევალება, ნათლად და ერთმნიშვნელოვნად მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ აღიარებენ და მხარს უჭერენ ახალი მუშაკების განსხვავებულ შეხედულებებს და იდეებს.

ძლიერი ორგანიზაციული კულტურები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ მუშაკებზე, მჭიდროდ იზიდავენ მათ, ხოლო მისაღები ფასეულობების დიაპაზონი და ქცევის სტილი მათთან მიმართებაში საკმაოდ შეზღუდულია. სწორედ ამაში მდგომარეობს პარადოქსის მიზეზი. ორგანიზაციები ქირობენ სხვადასხვა მუშაკებს სპეციფიკური, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ღირსებების გამო. მაგრამ, ამავე დროს, ქცევის ღირსებები და სტილი, დიდი ალბათობით, დროსთან მიმართებაში მცირდება იმ ძლიერი კულტურის გავლენით, რომლის გათავისებასაც მუშაკები მომავალში ეცდებიან.

ასე რომ, ამ სიტუაციაში მენეჯერების მთავარი ამოცანა, მრავალი სახეობის პარადოქსის არსი არის ის, რომ დაბალანსდეს ორი, არსებითად საპირისპირო მიზანი – ახალი მუშაკების სტიმულირებით მიიღონ ორგანიზაციის ძირითადი ფასეულობები და ადამიანების შორის პატივისცემისა და აღიარების დამკვიდრება. სხვა სიტყვებით, ცდილობენ რა დანერგონ ცვლილებები ორგანიზაციულ კულტურაში, მმართველ პერსონალს სულ უნდა ახსოვდეს სამუშაო ძალის სხვადასხვაგვარობის შენარჩუნების მნიშვნელობისა და უპირატესობების შესახებ.

**როგორ გავუმკლავდეთ მუშაკთა სტრესებს.** სტუდენტები ხშირად არიან სტრესულ სიტუაციაში, მაგალითად, როცა წერენ საკონტროლოს, აბარებენ გამოცდას ანდა ეძებენ გაზრდილი სწავლის გადასახადის დაფარვის გზებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ცდილობენ, სწავლა შეუხამონ მუშაობას და იწყებენ სამუშაოს ძებნას. არანაკლებ სტრესს განიცდიან ადამიანები, როცა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იწყებენ ღირსეული სამუშაოს ძებნას.

მაგრამ ასეთი სამუშაოს მოძიების შემდეგაც კი სტრესი არ მთავრდება. დღეისთვის სტრესის სერიოზული წყარო სამუშაო ადგილზე არის მნიშვნელოვანი გარდაქმნები. გარე გარემოს დინამიკურობა და განუსაზღვრელობა, ფირმების შერწყმა და მათი რესტრუქტურისაცია, პენსიაზე იძულებით გასვლა, კადრების შეცვრები განაპირობებს იმ ადამიანების რიცხვის ზრდას, რომლებიც მუდმივად მუშაობენ ფსიქოლოგიური დაძაბულობისა და სტრესის პირობებში<sup>229</sup>. სინამდვილეში, ამერიკელ მომსახურეთა 54% საერთო ეროვნული აღწერის მონაცემებით, ზედმეტადაა გადაღლილი, ხოლო 55% თავის სამუშაო დატვირთვას გადამეტებულად მიიჩნევს<sup>230</sup>. ამ თავში ავტორი ახსნის, კონკრეტულად რა იგულისხმება ტერმინ „სტრესის“ ცნებაში, როგორია მისი ძირითადი წყაროები, როგორ გავიგოთ, რომ ადამიანი იმყოფება სტრესულ სიტუაციაში და რა უნდა გააკეთოს მენეჯერებმა მის შესამცირებლად.

**რა არის სტრესი?** სტრესი – ეს არის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომელიც ყალიბდება მაშინ, როცა ადამიანს ძალზე სურს რაიმე, მაგრამ, ამასთან, არ არის დარწმუნებული იმაში, რომ სასურველის მიიღებს<sup>231</sup>. ეს ძალზე რთული განმარტებაა. ამიტომ მოგვყავს მისი ცალკეული ელემენტების თანმიმდევრული განხილვა.

პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ თავისთავად სტრესი ყოველთვის არ შეიძლება ჩაითვალოს ნეგატიურ მდგომარეობად და, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე ხშირად სწორედ ასე მოიხსენიებენ, მას ზოგჯერ შეუძლია პოზიტიური გავლენის მოხდენა, განსაკუთრებით მაშინ, თუ პოტენციურ სარგებელს გეპირდება. ასე მაგალითად, უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როცა სწორედ სტრესული სიტუაცია დაეხმარა სპორტსმენს ანდა მსახიობს კრიტიკულ სიტუაციაში, ემოქმედა მისი ზღვრული შესაძლებლობების ზევით.

თუმცა ყველაზე მეტად სტრესი ასოცირდება რაიმეთი შეზღუდვასთან. შეზღუდვა რაიმეს გაკეთების საშუალებას არ იძლევა. იგი იმ სურვილს ეწინააღმდეგება, რომლისკენაც ადამიანი მიისწრაფვის. როცა სტუდენტი ან მოსწავლე აბარებს გამოცდას ან გადის ატესტაციას სამუშაოზე, იგი გარკვეულ სტრესს განიცდის. კარგი საატესტაციო შეფასება გზას ხსნის სამუშაოზე დაწინაურებისკენ, უფრო ფართო პროფესიული შესაძლებლობისა და დიდი ხელფასისკენ. ხოლო ცუდი შეფასება, მეორე მხრივ, შეიძლება გახდეს დაწინაურებაზე უარის თქმის მიზეზი. თუკი შეფასება არც ისე მაღალია, ან პირიქით, ძალზე დაბალია, მაშინ შეიძლება, საერთოდ გაათავისუფლონ სამსახურიდან.

აღსანიშნავია ისიც, რომ სტრესული გარემოებების აღმოცენება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ სტრესი აუცილებლად იქნება, იმისთვის, რომ პოტენციური სტრესი რეალურად იქცეს, საჭიროა ორი პირობის არსებობა<sup>232</sup>:

<sup>228</sup> C. Lindsay, “Paradoxes of Organizational Diversity: Living within the Paradoxes”, in L.R. Jauch, J. L. Wall (eds), Proceedings of the 50th Academy of Management Conference (San Francisco, 1990), p. 374-378.

<sup>229</sup> M.A. Cavanaugh, W. R. Boswell, M. V. Rochling, J. W. Boudreau, “An Empirical Examination of Self-Reported Work Stress among U. S. Managers”, Journal of Applied Psychology, February 2000, p. 65-74; M. A. Verespej, “Stressed Out”, IW, February 21, 2000, p. 30-34; J. Laabs, “Time-Starved Workers Rebel”, Workforce, October 2000, p. 26-28; C.Daniels, “The Last Taboo”, Fortune, October 28, 2002, p.137-144.

<sup>230</sup> “Too Much Work, Too Little Time”, Business Week, July 16, 2001, p.12.

<sup>231</sup> R.S. Schuler, “Definition and Conceptualization of Strees in Organizations”, Organizational Behavior and Human Performance, April 1980, p. 189. R.L. Kahn, P. Byosiere, “Stress in Organizations”, In M. D. Dunnerro, L. J. Hough (eds.), Handbook of Industrial and Organizational Psychology. vol. 3, 2nd ed (Palo Alto, CA: Consulting Psychologists Press, 1992), p. 573-580.


<sup>232</sup> R.S. Schuler, “Definition and Conceptualization of Stress in Organizations”. Organizational Behavior and Human Performance, April 1980, p. 191.

ჯერ ერთი, ადამიანი დარწმუნებული არ უნდა იყოს შედეგში და მეორეც, ეს შედეგი მისთვის მართლაც ძალზე მნიშვნელოვანი უნდა იყოს, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, სტრესული მდგომარეობა ადამიანს ეუფლება მხოლოდ მაშინ, როცა მას ეჭვი ეპარება ანდა დარწმუნებული არ არის იმაში, რომ იგი შეძლებს ისარგებლოს ხელსაყრელი შესაძლებლობით, აღმოფხვრას შეზღუდვა ანდა თავიდან აიცილოს დანაკარგი. სხვა სიტყვებით, დიდ სტრესს განიცდიან ადამიანები, რომელთაც არ იციან, მოიგებენ თუ წააგებენ და იგი მინიმალურია იმათთვის, ვინც დარწმუნებულია წაგებაში ანდა მოგებაში. რისკის წარმომშობი კიდევ ერთი ფაქტორია ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ადამიანისთვის ის, რასაც დაკარგავს ანდა შეიძენს. თუკი შედეგი არცთუ ისე მნიშვნელოვანია და ინდივიდისთვის საერთოდ ბევრს არაფერს წარმოადგენს, მაშინ სტრესული მდგომარეობა არ იქმნება. მაგალითად, მუშაკისთვის თუ პრაქტიკულად სულ ერთია შეინარჩუნებს თუ არა სამუშაო ადგილს ან დააწინაურებენ თუ არა, მაშინ ატესტაციის წინ მას არანაირი სტრესი არ ექნება.

**სტრესის წარმოშობის მიზეზები.** როგორც ნახ. 4-დან ჩანს, სტრესის მიზეზები შეიძლება დაკავშირებული იყოს სამუშაოსთან ანდა მუშაკის პირადი ცხოვრების გარემოებებთან. სტრესული მდგომარეობის წყარო შეიძლება იყოს ნებისმიერი რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელსაც შეიძლება თან ახლდეს განსაზღვრული შესაძლებლობები, შეზღუდვები ანდა მოთხოვნები. უფრო მეტიც, გარდაქმნები ხშირად იწვევს არადამაჯერებლობის ატმოსფეროში და, როგორც წესი, დაკავშირებულია იმ საკითხებთან, რომლებიც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია მუშაკებისთვის. ასე რომ, გასაკვირი არ არის ის გარემოება, რომ გარდაქმნები შეიძლება იყოს სტრესების გამომწვევი ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი.

**სტრესული მდგომარეობის სიმპტომები.** მაინც რომელი ნიშანი მიუთითებს მუშაკის სტრესულ სიტუაციაში ყოფნას? ეს შეიძლება დადგინდეს სხვადასხვა მეთოდით. ასე მაგალითად, სტრესულ სიტუაციაში მყოფი მუშაკი გამოიყურება დათრგუნულად, ხშირად კამათობს, ყურადღება ადვილად ეფანტება; ხშირად რაღაც ემართება, აწყდება გარკვეულ სირთულეებს ყველაზე მარტივი გადაწყვეტილების მიღებისას და ა.შ. ეს სიმპტომები პირობითად სამ ძირითად კატეგორიად შეიძლება დაიყოს (ნახ. 5): ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური და ქცევითი ხასიათის სიმპტომები. ყველაზე მნიშვნელოვნად ითვლება ფსიქოლოგიური და ქცევითი სიმპტომები, ვინაიდან ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ თანამშრომელთა მუშაობაზე.

**სტრესის შემცირების ხერხები.** როგორც უკვე აღინიშნა, სტრესს არა მხოლოდ ნეგატიური მხარე აქვს. უფრო მეტიც, თუ სიტუაციას რეალისტურად აღიქვამთ, მაშინ გასაგებია, რომ სტრესისგან საბოლოოდ თავის დაღწევა შეუძლებელია როგორც სამსახურში, ასევე ადამიანის პირად ცხოვრებაში. ამიტომ სტრესის თავიდან აცილების, სტრესის შემცირების სხვადასხვა მეთოდების გაანალიზებისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ მენეჯერის მიზანია ზემოქმედება მოახდინოს სტრესული მდგომარეობის სწორედ იმ ასპექტებზე, რომელიც განაპირობებს დისფუნქციონალურ (ნეგატიურ, არაადეკვატურ) ქცევას.




ნახ. 4. სტრესის მიზეზები

რაც შეეხება სამუშაოსთან დაკავშირებულ სტრესულ ფაქტორებს, მისი შემცირება უნდა მოხდეს პერსონალის სამუშაოზე არჩევის ეტაპზე. მენეჯერი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ პოტენციური მუშაკის შესაძლებლობები შეესაბამება სამუშაო დავალების მოთხოვნებს და ეს მოთხოვნები შესრულდება.

თუ სამუშაოსთან დაკავშირებული ამოცანის შესრულება პოტენციური მუშაკის შესაძლებლობებს აღემატება, მომავალში სტრესული სიტუაციის ჩამოყალიბების ალბათობა საკმაოდ მაღალია. სამუშაოს წინასწარი გაცნობა პერსონალის არჩევის ეტაპზე შესაძლებელს გახდის სტრესის მინიმუმზებას განუსაზღვრელობის დონის შემცირების ხარჯზე, ვინაიდან ინდივიდუუმს შედარებით რეალური წარმოდგენა შეექმნება მასზე. მხედველობაშია ასევე მისაღები ისიც, რომ თუკი ორგანიზაციაში კარგი კავშირია დამყარებული მუშაკებსა და ინფორმაციის გაცვლას შორის, მაშინ განუსაზღვრელობით გამოწვეული სტრესი მინიმუმამდე იქნება დაყვანილი. ამის გარდა, თანამდებობრივი ვალდებულებების დეტალური ახსნა, მიზნების ნათლად დასახვა და განუსაზღვრელობის დონის შემცირება ზუსტად დამყარებული უკუკავშირების მეშვეობით, ხელს უწყობს ისეთი პროგრამების რეალიზაციას, როგორცაა, მაგალითად, მართვა მიზნების მიხედვით, სამუშაო დავალების ხელახლა დაპროექტება სტრესის შემცირების კიდევ ერთი საშუალებაა. თუკი სტრესული მდგომარეობა გამოწვეულია რუტინული სამუშაოთი ანდა მნიშვნელოვანი გადატვირთვებით, მაშინ სამუშაო დავალების გადაწყობაა საჭირო: უნდა გახდეს იგი უფრო რთული და დაბაბული, ანდა პირიქით, მოიხსნას სამუშაო დატვირთვა. გარდა ამისა, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დავალების ხელახლა დაპროექტება მუშაკებს ფართო შესაძლებლობებს უხსნის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის, გარემომცველების მხარდაჭერის თვალსაზრისით, რაც ასევე ამცირებს სტრესს.<sup>233</sup>

<sup>233</sup> S.E. Jackson, "Participation in Decision Making as a Strategy for Reducing Job-Related Strain". Journal of Applied Psychology, February 1983, p. 3-19; C.D. Fisher, "Boredom at Work: A Neglected Concert", Human Relations, March 1993, p. 395-417; C. A. Heaney et al., "Industrial Relations, Worksite Stress Reduction and Employee Well-Being: A Participatory Action Research Investigation". Journal of Organizational Behavior, September 1993, p. 495-510. P. Froiland, "What Cures Job Stress? Training, December 1993, p. 32-36; C. L. Cooper, S. Cartwright, "Healthy Mind.



ნახ. 5. სტრესის სიმპტომები

მუშაკის პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული სტრესის შემცირებისას მმართველობითი პერსონალის წინაშე დგას ორი რთული პრობლემა. ჯერ ერთი, მენეჯერისთვის რთულია სიტუაციის უშუალოდ გაკონტროლება და მეორეც – სახეზეა მორალურ-ეთიკური ხასიათის საკითხები. კერძოდ, აქვს კი მენეჯერს უფლება, თუნდაც ძალზე დელიკატურად ჩაერიოს მუშაკის პირად ცხოვრებაში? თუკი მენეჯერს მიაჩნია, რომ ეს ეთიკურია და მუშაკიც არ აპროტესტებს ამას, არის მოქმედების რამდენიმე ვარიანტი. კერძოდ, სტრესის შემცირებაში დაგვეხმარება თანამედროვე სასარგებლო რჩევა. ადამიანებს ზოგჯერ სურთ ვინმესთან განიხილონ, სხვას გაუზიარონ საკუთარი პრობლემები და ორგანიზაცია დაეხმარება მას ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაში – მმართველი პერსონალის, შტატის კონსულტანტების (კადრების განყოფილებიდან) ანდა პროფესიული ფსიქოლოგიური დახმარების შედარებით იაფი სამსახურების მეშვეობით. ასე მაგალითად, ისეთი კომპანიები, როგორცაა Citicorp, AT T და Johnson Jonson – ფართო საკონსულტაციო სამსახურს სთავაზობს საკუთარ მუშაკებს. არაორგანიზებული და მოუწესრიგებელი პირადი ცხოვრების მქონე მუშაკებს, რომელთაც სტრესული სიტუაცია ავლავს ასეთ ვარიანტში, სთავაზობენ დროის დაგეგმვის პროგრამას, რომელიც დაეხმარება მათ, სწორად გაიაზრონ პრიორიტეტები<sup>234</sup>. კიდევ ერთი მიდგომა – ორგანიზაციის მიერ დასპონსორებული თანამშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლების პროგრამები. მაგალითად, ფირმა Brewing Company (გოლდენი, კოლორადოს შტატი) თავიანთ მუშაკებს სთავაზობს, ისარგებლონ უზარმაზარი ფიტნეს-ცენტრით, ფირმა SRA (ქ. ფერფაკი, ვირჯინიის შტატი), ზრუნავს რა მუშაკთა ჯანმრთელობაზე, მათ უზრუნველყოფს სამედიცინო კონსულტაციური მომსახურებით, კორპორაცია Lab Safety-ში მუშაკებს შეუძლიათ გაიკეთონ მასაჟი და ისარგებლონ დიეტური კვებისა და ფიტნესის პროგრამებით<sup>235</sup>. ხოლო ფირმა Eddie Bauer-ში მენეჯერს, რომელიც იგრძნობს ძლიერ დაღლას ანდა სტრესის მოახლოებას, შეუძლია ჩათვლიდეს სპეციალური მოწყობილობის გამოყენებით დასვენებისთვის გათვალისწინებულ ოთახში<sup>236</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ სტრესის შემცირების პროგრამები აქვს ბევრ ორგანიზაციას, ძალზე ხშირად მუშაკებს არ სურთ მათში მონაწილეობა. რატომ? ბევრი ადამიანი ვერ ახერხებს დახმარების თხოვნას, განსაკუთრებით მაშინ, თუ სტრესის ძირითადი მიზეზია საკუთარი ძაღლისადაც რწმენის და სამუშაოს შესრულების უნარის სიმცირე (მუშაკს არ სწამს საკუთარი ძაღლის და სამუშაოს შესრულების უნარის). ბოლოს და ბოლოს, სტრესი ზოგჯერ აღიქმება როგორც სირცხვილი. ადამიანებს არ უნდათ, მას უყურებდნენ როგორც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების უნარის არმქონე პირებს. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ სწორედ ის მუშაკები, რომლებიც სხვებზე უფრო მეტად არიან მიდრეკილნი სტრესული სიტუაციებისადმი, ყველაზე მეტად უუნარონი არიან აღიარონ იგი (სტრესი). რა უნდა გაკეთდეს ასეთ პარადოქსულ სიტუაციაში. ეთიკის ნორმების თანახმად, ვალდებულია თუ არა ორგანიზაცია საერთოდ დაეხმაროს თავის პერსონალს სტრესის დაძლევაში?

**სიახლეების დანერგვის ეფექტიანობის მუდმივი ამაღლება.** ორგანიზაციული ცვლილებები აუცილებელია არა მარტო კომპანიის სტრატეგიის შეცვლისას ანდა კრიზისის პერიოდში. ეს არის მუდმივი და საკმაოდ

Healthy Organization – A Proactive Approach to Occupational Stress”, Human Relations, April 1994, p. 455-471. A. A. Brott, “New Approaches to Job Stress”, Nation’s Business, May 1994. p.81-82.

<sup>234</sup> იხ. მაგალითად, R.S. Schuler, “Time Management: A Stress Management Technique”, Personnel Journal, December 1979, p. 851-855; M.E. Haynes, Practical Time Management: How to Make the Most of Your Most Perishable Resource (Tulsa: Penn Well Books, 1985)..

<sup>235</sup> P.J. Kiger, “Optimal Award Innovation: Healthy, Wealthy, and Wise”, Workforce, July 2003, p. 41-42; Well Workplace Award Executive Summaries, Coors Brewing Company and Lab Safety Supply, ეფექტრონული სახით ხელმისაწვდომია Wellness Councils of America-ს ვებგვერდზე - www.welcoa.org.

<sup>236</sup> S. F. Gale, “Seminars and Wills on Wheels”, Workforce, May 2002m p. 68-69.



რთული ამოცანა, რომელიც დღეისთვის მთელი მსოფლიოს მენეჯერების წინაშე დგას. ორგანიზაციული ცვლილებების გლობალური კვლევის შედეგების თანახმად, რომელიც ჩატარდა ევროპის, იაპონიის, აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის 2000 კომპანიის ბაზაზე, რესპონდენტთა 81% ბოლო პერიოდში ნერგავდნენ სერიოზულ ცვლილებებს ინფორმაციულ სისტემებში, 72% აყალიბებდა მომსახურებისა და ინფორმაციის პორიზონტალურ გაცვლას, 62% ნერგავდა პერსონალის მართვის მოქნილ მეთოდიკას, 62% ახდენდა ოპერაციული გადაწყვეტილებების მიღების დეცენტრალიზაციას<sup>237</sup>. ყველა ეს სერიოზული ცვლილება დაკავშირებულია ორგანიზაციის სტრუქტურაში, მის მიერ გამოყენებულ ტექნოლოგიებსა და პერსონალთან მიმართებაში გატარებულ მრავალრიცხოვან ცვლილებებთან. მაინც ვინ ნერგავს სიახლეებს, როცა ისინი აუცილებლობითაა გამოწვეული? ვინ მართავს ამ პროცესს? ერთი შეხედვით, ეს უმაღლესი მენეჯმენტის პასუხისმგებლობის სფეროში შედის, თუმცაღა, სინამდვილეში, ცვლილებების პროცესში ორგანიზაციის ყველა დონის მენეჯერები არიან ჩართული.

უნდა ითქვას რომ, მაშინაც კი, როცა ორგანიზაციაში გატარებული ცვლილებების პროცესში მთელი მმართველობითი პერსონალია ჩართული, პროცესი არცთუ ისე უმტკივნეულოდ მიმდინარეობს. სინამდვილეში, ორგანიზაციული ცვლილებების გლობალურმა კვლევებმა დაადასტურა, რომ „ევროპული და ამერიკული კომპანიების ასობით მენეჯერი სრულიად კმაყოფილია თავიანთი საქმიანი თვისებებით, მაგრამ უკმაყოფილონი არიან თავიანთი უნარით, დანერგონ სიახლეები (ყველას არ შეუძლია სიახლეების დანერგვა)“<sup>238</sup>. როგორ დავძლიოთ ეს ნაკლი? როგორ გაზარდონ მენეჯერებმა თავიანთი შრომის ეფექტიანობა სიახლეების დანერგვისას? მათ ამის მიღწევა შეუძლიათ ძალისხმევით კონცენტრაციით ცვლილებათა დანერგვაზე, როცა მაქსიმალურად ზუსტად გაიგებენ და გაითავისებენ თავიანთ როლს ამ პროცესში და ცალკეული თანამშრომლის როლის გაფართოებას ამ საქმეში. უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ყოველივე ეს რეკომენდაცია.

აშშ-ს ერთიანი საფოსტო სამსახური (UPS-United Parcel Service) მოწინავე პოზიციებს იკავებს დარგში, რომელშიც ზრდა განუწყვეტლივ ეცემა, ნელდება, ხოლო კონკურენცია ძლიერდება. მაინც როგორ აღწევს ამას? გარდაქმნების მეშვეობით. ამ კომპანიის მენეჯერებმა არაერთი წელი შეაღიეს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ახალი გლობალური სისტემის შექმნას, რამდენადაც მათ წინასწარ განჭვრიტეს თავიანთი მომსახურებაზე მოთხოვნის შემცირება შიდა ბაზარზე და დღეისთვის ისინი აგრძელებენ მუშაობას ამ მიმართულებით, ცდილობენ რა მაქსიმალური უკუგებით გამოიყენონ ნებისმიერი ახალი შესაძლებლობები<sup>239</sup>. UPS იმის ნათელი მაგალითია რომ იგი აღიქმება, როგორც ორგანიზაცია, რომელსაც უნარი შესწევს, გაატაროს ცვლილებები. მაინც რა არის საჭირო იმისთვის, რომ ორგანიზაცია იყოს სწორედ ასეთი? ცხრილ 3-ში აღწერილია მათი ძირითადი მახასიათებლები.

ცვლილებების წარმატებით დანერგვის მეორე აუცილებელი პირობა იქნება, რომ მენეჯერებმა უნდა აღიარონ თავიანთი მნიშვნელოვანი როლი ამ პროცესში. მენეჯერები ვალდებული არიან და უნდა იმოქმედონ როგორც გარდაქმნების ორგანიზატორებმა, მაგრამ მათი როლი ამ პროცესში არ უნდა შემთოფარგლოს მხოლოდ იმით, რომ გახდეს მისი კატალიზატორი. ისინი გარდაქმნების ლიდერები უნდა იყვნენ. როცა ფირმის პერსონალი ეწინააღმდეგება ცვლილებებს, სწორედ მენეჯერებმა უნდა გამოიხატონ ამ წინააღმდეგობის გადალახვის გზები, მაგრამ იმ შემთხვევებშიც კი, როცა წინააღმდეგობა არ არის, ლიდერები მაინც საჭიროა და ლიდერებად სწორედ მენეჯერები უნდა გახდნენ.

მაინც რა უნდა გააკეთოს გარდაქმნების ლიდერმა, რომ ეს გარდაქმნები წარმატებით განხორციელდეს, აი რამდენიმე რეკომენდაცია: უნდა შედგეს მარტივი, მაგრამ დამაჯერებელი განცხადება თანამშრომელთათვის, სადაც გადმოცემული უნდა იყოს ცვლილებების განხორციელების მიზეზები. მუდმივად და კეთილსინდისიერად უნდა აუხსნან ადამიანებს ამ პროცესების მსვლელობის შესახებ, მიღწეული უნდა იქნეს პერსონალის მაქსიმალური აქტივობა, ცვლილებებს მუშაკათათვის უსიამოვნება მოაქვს და ეს აღიარებული უნდა იყოს, მაგრამ უნდა წახალისდეს მათი მოქნილობა, ადმინისტრაცია უნდა შეელოს იმ ადამიანებს, ვინც აქტიურად ეწინააღმდეგება სიახლეებს და ცვლილებებს, ოღონდ ეს უნდა მოხდეს მას შემდეგ, რაც ყოველგვარი მცდელობა მისი გადმობირების შესახებ უშედეგო აღმოჩნდება. ორიენტაცია აღებული უნდა იქნეს მოკლევადიან მიღწევებზე ცვლილებების დანერგვის მსვლელობისას, რამდენადაც გრძელვადიანი წარმატების მიღწევას შეიძლება დიდი დრო დასჭირდეს, მენეჯერებმა პოზიტიური პირადი მაგალითი უნდა უჩვენონ<sup>240</sup>.

ცვლილებების წარმატებული დანერგვის დამამთავრებელი ასპექტი იმაში მდგომარეობს, რომ ამ პროცესში ფირმის მთელი პერსონალი უნდა ჩაერთოს. ამ პროცესის წარმატების მიღწევა ერთ ადამიანს არ შეუძლია. მხოლოდ ყველა თანამშრომელი ერთად შეიძლება იყოს იდეების ძლიერი წყარო იმ სფეროების განსახდერისთვის, რომლებიც გარდაქმნებს საჭიროებს და უნდა შეირჩეს შესაბამისი ხერხები: გაუმართლებელი იქნება, თუ მოქმედების პროგრამას შეიმუშავებს მენეჯერი და დასანერგად გადასცემს მას ხელქვეითებს. მაგრამ თუ ადამიანები მონაწილეობას მიიღებენ ასეთი პროგრამის შემუშავებაში, ისინი მხარს დაუჭერენ მას და იმუშავებენ ამ მიმართულებით<sup>241</sup>. მენეჯერებმა უნდა წახალისონ მუშაკები – გახდნენ გარდაქმნების ორგანიზატორები. ყოველდღე ეძებონ სრულყოფის გზები და გარდაქმნები, რომელთა დანერგვას თვითონ შეძლებენ.

<sup>237</sup> P. A. McLagan, "Change Leadership Today", T @ D, November 2002, p. 27-31.

<sup>238</sup> Ibid, p.29.

<sup>239</sup> C.Haddad, "Ups: Can It Keep Delivering?", Business Week Online Extra (www.businessweek.com) Spring 2003.

<sup>240</sup> W. Pietersen, "The Mark Twain Dilemma: The Theory and Practice for Change Leadership". Journal of Business Strategy. September – October 2002, p. 32-37; C. Hymowitz, "To Maintain Success, Managers Must Learn How to Direct Change" Wall Street Journal, august 13, 2002, p. B1; J. E. Dutton, S.J. Ashford, R.M. O'neill, K. A. Lawrence, "Moves That Matter: Issue Selling and Organizational Change", Academy of Management Journal, August 2001. p. 716-736.

<sup>241</sup> W. Pietersen, "The Mark Twain Dilemma: The Theory and Practice for Change Leadership", Journal of Business Strategy. September - October 2002, p. 35.

## MODERN PROBLEMS OF MANAGEMENT OF INNOVATIONS AND CHANGES

## Annotation

Management problems related with the attitude of the workers of the company regarding changes provided in the company, inevitability of the changes and granting it relative values have been being the subject of study of foreign economists for a long period of time. For example, according to Ron Daily, large companies, universities and institutes, state and municipal governmental institutions and even armed forces today are to make essential changes to the methods of performing work and, though activities of the manager was always related with the changes, during last years this problem gets more importance; this is the problem we speak in the work about. We will talk about promotion of innovations by managers and simplifying adoption of their companies with complex environmental conditions.

ბაჩანა შელია

## სასტუმროს ფასწარმოქმნის დამოკიდებულება სტუმართა კმაყოფილების ინდექსზე

თანამედროვე ტექნოლოგიები ხელს უწყობს და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკური სისტემის პრაქტიკულად ყველა დარგის განვითარებაზე. მათ შორის არც სასტუმროს ბიზნესია გამონაკლისი.

დღესდღეობით ინტერნეტის საშუალებით სასტუმროს შეფასება საკმაოდ პოპულარული გახდა. მოგზაურთა დიდი ნაწილი სასტუმროს შერჩევის დროს საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობს სასტუმროს შეფასებებს. სასტუმროს მმართველობაც განიხილავს და რეაგირებას ახდენს თითოეულ პატარა კომენტარზეც კი. სასტუმროს მენეჯმენტს ფასწარმოქმნის სტრატეგიის სწორად შემუშავებისთვის აუცილებლად სჭირდება სტუმართა შეფასებების განხილვა. აღნიშნულ მიზეზთა გამო საჭიროა ამ პრობლემების ერთიან ასპექტში დანახვა და კანონზომიერებათა გამოვლენა.

წინამდებარე კვლევის მიზანია დამოკიდებულების განსაზღვრა სასტუმროს შეფასების, ნომრის ფასსა და კონკურენტუნარიანობას შორის.

მიზნიდან გამომდინარე, კვლევის ამოცანებს შეადგენს:

- თანამედროვე სასტუმრო ინდუსტრიაში ინტერნეტის როლის იდენტიფიკაცია;
- სასტუმროს მომხმარებლის შეფასების მნიშვნელობის გამოვლენა;
- მომხმარებლის მიერ სასტუმროს შეფასებისა და ნომრის ფასების ურთიერთგავლენის დადგენა;
- მომხმარებლის შეფასების შესაბამისად სასტუმროს კონკურენტუნარიანობაზე გავლენის აღწერა;

თანამედროვე სასტუმროს ინდუსტრიაში სერვისის დონის შეფასების და გაუმჯობესების შესახებ არსებობს საკმაოდ ბევრი ნამუშევარი, მათ შორის შეიძლება გამოვეყნოთ შარაბიძე ნ. [1], შონია დ. [8] საინფორმაციო ტექნოლოგიების მნიშვნელობასა და სოციალური მედიის როლზე უნდა გამოვეყნოთ გელაძე დ. [2], აბულაძე რ. [3], არჩვაძე ა. [4], ჭალაგანიძე ნ. [5], ჯერენაშვილი ნ. [6], ნიკოლაიშვილი ნ. [7], კუხიანიძე ნ. [9]. ასევე კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა ვებპორტალი [www.trustyou.com](http://www.trustyou.com) დასკვნა და C.K. Anderson [12.2012] ჩატარებული ანალიზი.

მასპინძლობის ინდუსტრიაში დღეს მკაფიოდ იკვეთება ინტერნეტის მნიშვნელობა და როლი. ადგილობრივი და საერთაშორისო სასტუმროები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა ინტერნეტის საშუალებით ხელი შეუწყონ გაყიდვების ზრდას და გააუმჯობესონ სტუმრებთან/კლიენტებთან ურთიერთობა. სოციალური ქსელების როლი როგორცაა Facebook, Twitter და ა.შ. საგრძობლად იზრდება სასტუმროს ბიზნესში მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

მომხმარებელთა გამოხმაურებები და კომენტარები უზარმაზარ როლს თამაშობს სასტუმროს სერვისის/მომსახურების პოპულარიზაციაში. უფრო მეტიც, ინტერნეტის გამოყენებით უფრო ადვილდება კონტაქტის დამყარება, ისევე, როგორც მისი შენარჩუნება ყოფილ სტუმრებთან.

უამრავი ვებგვერდი მუშაობს 24 საათიანი რეჟიმით და სთავაზობს მომხმარებლებს მოგზაურობასთან დაკავშირებულ სერვისებს, რომლებიც ადვილად ხელმისაწვდომია მოგზაურებისთვის პერსონალური კომპიუტერისა თუ მობილური ტელეფონების მეშვეობით. მრავალი პორტალი სთავაზობს დაინტერესებულ პირებს, გაეცნონ სხვადასხვა მომხმარებლების მიერ სასტუმროებზე დატოვებულ კომენტარებს და მიმოხილვებს.

ინტერნეტის მნიშვნელობა გამუდმებით იზრდება. იგი წარმოადგენს ტურისტული ინფორმაციის წყაროს, სადაც ინტერნეტგვერდებისა და პორტალების პარალელურად არსებობს ე.წ. ბლოგერული სფეროც, ასევე საზოგადოებრივი მედია, რომელთა განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ მათ შინაარსს ეცნობა უამრავი მომხმარებელი, ყოველი შეტყობინება კი შესაძლოა შეფასებული და კომენტარდართული გახდეს. გარდა ამისა, გაჩნდა ტურისტული მომსახურების ახალი ტიპები, პირველ რიგში, დაჯავშნის (მაგ., Booking.com, HRS) და სხვა დამატებითი ფუნქციების მატარებლები, მათ შორის ქალაქებისა და ღირსშესანიშნაობების თაობაზე რეკომენდაციების (TripAdvisor) შემცველი.

ინტერნეტი მხოლოდ განვითარების პროცესში მყოფ სადისტრიბუციო არხს აღარ წარმოადგენს, იგი საკვანძო არხია, რადგან, მაგალითად, შეერთებულ შტატებში მოგზაურობების 50% ონლაინ რეჟიმში იჯავშნება.

მომხმარებლებს არჩევანის გაკეთების საშუალება აქვთ. მათ შეუძლიათ ინტერნეტის მეშვეობით დაჯავშნონ ან ტურისტული სააგენტოების მომსახურება გამოიყენონ, მაგრამ ისინი მაინც ინტერნეტს ირჩევენ.

ინტერნეტი მძლავრი ეკონომიკური ინსტრუმენტია, რომელსაც ახსიათებს ოპერაციების განხორციელების სიმარტივე და ტურისტული შესაძლებლობების ფართო არჩევანი.

მასშტაბურობიდან გამომდინარე, ინტერნეტი საშუალებას აძლევს მომხმარებელს, სიღრმისეულად გადაამოწმოს ასობით ვარიანტი თუ მიმართულება. მაგრამ, იმისათვის, რომ ინტერნეტის მუშაობა უფრო ეფექტიანი გახდეს, მომხმარებელს კარგად უნდა ესმოდეს, თუ სად ეძებოს და რა კითხვები დასვას. სხვა შემთხვევაში, საათები შეიძლება გავიდეს ინტერნეტში უშედეგო მუშაობაში. სწორედ ეს არის ის შემთხვევა, როდესაც ტურისტულ სააგენტოებს ეძლევათ უპირატესობა, რადგან ისინი ძალიან წარმატებულად ზოგავენ მომხმარებლის დროს.

დღესდღეობით, ინტერნეტი გამოიყენება არა უბრალოდ მიწოდებლების მიერ მგზავრობის ნებისმიერი სერვისის დასაჯავშნად ან ინფორმაციის მოსაძიებლად, არამედ ის გახდა ძლიერი სოციალური შუამავალი. ახლა მისი უმნიშვნელოვანესი ძალა მისი გამოყენებლებია.

ტურიზმის ინდუსტრიაში მოგზაურების მიერ ინტერნეტის გამოყენების ერთ-ერთი ფუნქციაა მომხმარებელთა აზრის გენერირება, როდესაც ისინი საკუთარ მოსაზრებებს და პრეფერენციებს გამოხატავენ სოციალური ქსელების გამოყენებით. მოგზაურობების დაგეგმვისას, მომხმარებლები სტუმრობენ სოციალურ ვებგვერდებს, ამოწმებენ ტურისტულ ბლოგებს, ეძებენ რეკომენდაციებს, ეცნობიან სხვადასხვაგვარ მოსაზრებებს და მოხიბლული არიან ფოტოებითა და ვიდეოებით. მოგზაურობის შემდეგ მათაც აქვთ საშუალება, სხვებს გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება ინტერნეტის მეშვეობით. მაგალითად, მათ შეუძლიათ Tripadvisor-ზე შეაფასონ ის სასტუმროები, სადაც რჩებოდნენ, გამოაქვეყნონ ფოტოები Flickr-ზე, ატვირთონ ვიდეოები YouTube-ზე და გაუზიარონ სხვებს გამოცდილება Facebook-ზე და Twitter-ზე. ინტერნეტი ასევე იძლევა „Word-of-mouth“ რეკომენდაციებს, რაც ძლიერ ზემოქმედებას ახდენს ელექტრონული კომერციის დინამიკაზე. სოციალური მედია უზრუნველყოფს ახალი გზების აღმოჩენას მიწოდებლების ბაზართან უკეთ დასაკავშირებლად.

სასტუმროს მართვა საკმაოდ რთული პროცესია. წარმატებული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია სხვადასხვა მომსახურების სინქრონულად მართვა. ერთ-ერთი მათგანის არათავსებადობის შემთხვევაში დადებითი შედეგის მიღწევა შეუძლებელი იქნება. მიუხედავად არსებული სირთულეებისა, დასავლური სასტუმროების ქსელები წარმატებით ართმევენ თავს ამ პრობლემებს და გამართული მართვის სისტემის პირობებში მომხმარებელთა კმაყოფილების მაღალ დონეს აღწევენ.

მიზნობრივი ბაზრის სეგმენტაციის პარამეტრების დადგენას და მომხმარებელთა პრეფერენციების კვლევასაც ტექნიკური სირთულეები ახლავს. თუმცა, ეს სირთულეები უფრო ფსიქოლოგიურ და პროცედურულ პრობლემებთან არის დაკავშირებული და უფრო უნივერსალურ ხასიათს ატარებს. სასტუმროს არჩევანისა და პრეფერენციების კვლევა დასავლეთშიც კი ერთ-ერთ ყველაზე რთულ ამოცანად მიიჩნევა. რაციონალური არჩევანის თეორიის მიხედვით, ადამიანი იმ სასტუმროს ირჩევს, რომელიც ყველაზე დიდ სარგებელს სთავაზობს. ამ თეორიის ძირითადი დაშვება იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი ყველა სასტუმროს მიერ შემოთავაზებული სარგებლის შესახებ ინფორმაციას ფლობს; თანაც, ყოველი მათგანის მიერ აღქმული სარგებლები სავსებით ლოგიკური და, ამავდროულად, მატერიალურია.

მიზნობრივი ბაზრის შესახებ ინფორმაციის მოპოვება გამოცდილებითაც შეიძლება. საქართველოში არსებობს კერძო სასტუმროები, რომელთაც ლოიალური მომხმარებლები ჰყავთ. სასტუმროს მმართველები მათგან ხშირად იღებენ შენიშვნებს და, შეძლებისამებრ, ითვალისწინებენ. დასავლეთში ამგვარ გამოცდილებას ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მისი დაგროვება, ორგანიზებული სახით შენახვა-გადამუშავება და შემდგომი განვითარებისთვის გამოყენება ფორმალურ დონეზე ხორციელდება, დადგენილი სტანდარტებითა და პროცედურებით.

სასტუმრომ, რომლის მიზანიც გრძელვადიანი წარმატებაა, მარკეტინგის სტრატეგიის უმთავრეს ამოცანად მომხმარებელთა ნდობის მოპოვება და გამართლება უნდა დაისახოს. ამის მიღწევა კი, იმავე სტერეოტიპული ხედვიდან გამომდინარე, საკმაოდ რთულია.

მსგავსი პრობლემა თურქეთის კურორტებსაც აქვს. ინტერნეტგამოკითხვების თანახმად, მომხმარებელთა უმეტესი ნაწილი ფიქრობს, რომ თურქეთის მხოლოდ იმ სასტუმროებში ღირს წასვლა, რომლებიც, მინიმუმ, ორი წელია გაიხსნა და, მაქსიმუმ 4 წელია, რაც ფუნქციონირებს. თურმე, პირველ წელს, გამოცდილების არარსებობის გამო, მრავლადაა ტექნიკური წუნი და შეფერხებები მომსახურებაში, ხოლო 4 წლის შემდეგ სასტუმროს ვიზუალური მხარის ხარისხი მნიშვნელოვნად იკლებს.

მომხმარებელთა ნდობის მოსაპოვებლად ერთ-ერთი ყველაზე მარტივი გზა მათი მდგრადი კმაყოფილების მიღწევაა. სასტუმროს შეფასების ძირითადი პარამეტრი უდავოდ ხარისხია. იგი საკმაოდ სუბიექტური და ძნელი შესაფასებელია და, სასტუმროების შემთხვევაში, მის კეთილმოწყობასა და დამატებითი მომსახურებების სპექტრთან არის გაიგივებული.

დასავლეთში ბევრად უფრო მარტივია სასტუმროს ხარისხის დონის ზუსტად შეფასება მანამ, სანამ მომხმარებელი მას უშუალოდ ეწვევა. არსებობს დამოუკიდებელი ორგანიზაციები, რომლებიც სასტუმროს ობიექტური შეფასების შემდეგ მას ხარისხის სხვადასხვა მაჩვენებელს ანიჭებენ. ყველაზე განთქმული შეფასების სისტემა მიჩელინის ვარსკვლავებია, რომლის მიხედვით, ხუთი ვარსკვლავი ხარისხის მაქსიმალურ დონეს აღნიშნავს. ამ სისტემით შეფასების კრიტერიუმები სიმრავლით და სიმკაცრით გამოირჩევა, დაწყებული ოთახების მინიმალური ფართიდან, დამთავრებული სასტუმროს საპარიკაზეროში შეთავაზებული მომსახურების სპექტრით.

ძალზე დიდია ინტერნეტის განვითარების როლი ამ ინდუსტრიაში. სწორედ ინფორმაციული ტექნოლოგიების, კერძოდ - ინტერნეტის, განვითარების დამსახურება თუ ბრალია ის, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში დასავლეთში სასტუმროების მარკეტინგის სტრატეგია მნიშვნელოვნად შეიცვალა და განვითარდა. საქართველოში ინტერნეტის მოხმარების სისწორე, ისევე, როგორც დაფარვის ზონა, მნიშვნელოვნად იზრდება. სასტუმროების ინდუსტრია ამ ზრდას ადეკვატურად ვერ მიჰყვება. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ სასტუმროთა საკმაოდ დიდ ნაწილს დღესდღეობით საკუთარი ვებგვერდი აქვს, ისინი ხშირად ნაკლებად ინფორმაციული, ძნელი საპოვნელი ან გაუმართავია.

ინტერნეტმომხმარებელთა შეფასებები და კომენტარები ძალიან მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მოგზაურების არჩევანზე, თუ რომელი სასტუმრო შეარჩიონ. კომპანია “Trustyou” -ს მიერ ჩატარებულ კვლევაში, რომლის მიზანაც იყო სასტუმროს შეფასებებისა და ნომრის ღირებულებას შორის ურთიერთდამოკიდებულების და სასტუმროს შერჩევისას გადაწყვეტილების მიღებაზე მისი გავლენის შესწავლა, გამოკითხულ იქნა 513 მომხმარებელი სიმულაციური რეზერვაციის სისტემის მეშვეობით, სადაც შეირჩა სამი სასტუმრო ფასების მიხედვით (მაღალი, საშუალო, დაბალი), ფასი მერყეობდა 100\$-დან 120\$-მდე, ამასთან, სასტუმროების შეფასებების საშუალო იყო 80-დან 100 ქულამდე. კვლევა გვჩვენებს, რომ თანაბარი ფასის შემთხვევაში მომხმარებლების 4-ჯერ უფრო მეტი რაოდენობა ირჩევს უმაღლესი შეფასებების მქონე სასტუმროს. თუ ფასის სხვაობა უმნიშვნელოა, მოგზაურები მაინც მზად არიან გადაიხადონ 5-9%-ით მეტი თანხა იმ სასტუმროში, რომელსაც 5%-ზე მეტი შეფასება აქვს.

კვლევა ჩატარდა 2014 წლის აგვისტო-სექტემბერში, გამოკვლეულ იქნა 513 ინტერნეტის მომხმარებელი, რომლებმაც გასული 12 თვის განმავლობაში იმოგზაურეს და მათი ასაკი აღემატება 18 წელს.

კვლევა შეიცავდა 4 სიტუაციას, თითოეული მათგანი შეიცავდა 3 ჰიპოტეტურ სასტუმროს, თავისი ფასებითა და შეფასებების საშუალო მაჩვენებლებით.

სცენარი 1. სამივე სასტუმრო თანაბარი ფასებით, მაგრამ განსხვავებული შეფასებებით (80, 85, 90 ქულა);

სცენარი 2. სამი სასტუმრო შემდეგი შესაბამისობით: 100\$-80 საშუალო შეფასებით 80 ქულა, 105\$ -85 ქულა, 110\$ - 90 ქულა;

სცენარი 3. სამი სასტუმრო შემდეგი შესაბამისობით: 100\$-80 საშუალო შეფასებით 80 ქულა, 110\$ -85 ქულა, 115\$ - 90 ქულა;

სცენარი 4. სამი სასტუმრო შემდეგი შესაბამისობით: 100\$-80 საშუალო შეფასებით 80 ქულა, 110\$ -85 ქულა, 120\$ - 90 ქულა;

მოცემული სიტუაციების ანალიზის შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ სქემაზე.

სიტუაცია 1				სიტუაცია 2			
სასტუმრო	ღამის საფასური	საშუალო შეფასების ქულა	მომხმ. არჩევა %	სასტუმრო	ღამის საფასური	საშუალო შეფასების ქულა	მომხმ. არჩევა %
პროფილი 1	100	80	19%	პროფილი 1	100	80	28%
პროფილი 2	100	85	12%	პროფილი 2	105	85	19%
პროფილი 3	100	90	60%	პროფილი 3	110	90	47%
სხვა	--	--	9%	სხვა	--	--	6%

სიტუაცია 3				სიტუაცია 4			
სასტუმრო	ღამის საფასური	საშუალო შეფასების ქულა	მომხმ. არჩევა %	სასტუმრო	ღამის საფასური	საშუალო შეფასების ქულა	მომხმ. არჩევა %
პროფილი 1	100	80	36%	პროფილი 1	100	80	42%
პროფილი 2	110	85	19%	პროფილი 2	110	85	20%
პროფილი 3	115	90	41%	პროფილი 3	120	90	34%
სხვა	--	--	4%	სხვა	--	--	3%

სქემა 1. სასტუმროს ფასსა და მომხმარებლის მიერ სასტუმროს შეფასებას შორის დამოკიდებულების 4 შემთხვევა

აქ ნათლად ჩანს ის ფაქტი, რასაც The Nielsen Company, ნაშრომში “Global Trust In Advertising and Brand Messages,” 2013 სექტემბერში ამტკიცებს, რომ ადამიანები მოგზაურობის დაწყებამდე და სასტუმროს შერჩევამდე ძალიან დიდ ყურადღებას უთმობენ თავისი ახლო ნათესავების, მეგობრების შეფასებებს ამა თუ იმ ადგილებისა და სასტუმროს შესახებ.


თანაბარი ფასის შემთხვევაში მომხმარებლების 72% ირჩევს მაღალი შეფასებების მქონე სასტუმროს, 60% ირჩევს უმაღლესი ქულის მქონე სასტუმროს, მხოლოდ მომხმარებელთა 9 %-მა შეარჩია უმაღლესი ქულების მქონე სასტუმრო.

სცენარი 2-ის შემთხვევაში, როცა ფასის განსხვავება 5-10\$, მომხმარებელთა 66% მაინც არჩევს მაღალი შეფასებების მქონე სასტუმროს, ხოლო მომხმარებელთა 28% არჩევს უმაღლესი ქულების მქონეს.

სცენარი 3, როცა ფასის განსხვავება სასტუმროებს შორის მერყეობს 10-15\$, მომხმარებელთა დიდი ნაწილი – 60%, მიუხედავად ფასის საკმაო განსხვავებისა, მაინც არჩევს მაღალი შეფასებების სასტუმროს.

სცენარი 4, აქ უკვე ფასის განსხვავება საგრძნობლად დიდია, მაინც მომხმარებელთა 54 % არჩევს უკეთესი შეფასებების მქონე სასტუმროს.

უკეთესად რომ გავარკვიოთ, თუ როდის არის მომხმარებელი მზად, გადაიხადოს მაღალი ფასი მაღალი შეფასებებისათვის, დავაკვირდეთ სქემა 2-ს:



სქემა 2. ურთიერთდამოკიდებულება კლიენტის მიერ სასტუმროს შეფასებისა და გადახდის მზადყოფნას შორის

სასტუმრო მაქსიმალურად უნდა ეცადოს, არ გაუშვას არც ერთი უკმაყოფილო სტუმარი. შედეგი შეიძლება საკმაოდ საგალალო გამოდგეს სასტუმროსათვის, თუნდაც ერთი უკმაყოფილო სტუმრის გამო. უკმაყოფილო მომხმარებლის შეფასებით მიღებული ზიანის მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ფაქტია Dave Carroll-ის სიმღერა გატყევილი გიტარის შესახებ, რომლის შეფასების გამო სულ რაღაც 4 დღეში კომპანია United Airlines-მა დაკარგა 180 მილიონი დოლარი შემოსავალი. კანადელ მუსიკოსს Dave Carroll ერთ-ერთი ფრენის დროს მებარგულემა გაუტყვეს გიტარა, რომელიც ღირდა 3500\$. United Airlines-მა, მიუხედავად Carroll-ის მიერ შევსებული განაცხადისა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ, უარი განუცხადა, რის შედეგადაც მუსიკოსმა დაწერა სიმღერა „United Breaks Guitars“, რომელსაც დღესდღეობით მილიონობით ნახვა აქვს, Youtube-ზე უკვე 100 მილიონს გადააჭარბა. 15 მილიონზე მეტმა მომხმარებელმა გაიგო United Airlines დამოკიდებულება მომხმარებელთა ბარგის მიმართ, რაც დღემდე ძვირად უჯდება კომპანიას სახელის აღდგენის თვალსაზრისით.

კომპანიამ შეიძლება ნაკლები მნიშვნელობა მიანიჭოს ერთეულთან შემთხვევას, როდესაც კლიენტი უკმაყოფილო რჩება, მაგრამ თითოეულ უკმაყოფილო სტუმარს დიდი ზიანის მიყენება შეუძლია სასტუმროს შემოსავლებზე, რადგან, როგორც ზემოთ ნახსენები კვლევებიდან ჩანს, მომხმარებლები არჩევანის გაკეთების დროს ითვალისწინებენ კლიენტთა შეფასებებს. მომხმარებელთა დიდი ნაწილი უარს განაცხადებს ისეთ სასტუმროში დაბინავებაზე, რომელსაც ბევრი უკმაყოფილო სტუმარი ეყოლება და აირჩევენ სხვა სასტუმროს, რომელსაც უფრო მეტი კმაყოფილი სტუმარი ეყოლება. მათი დიდი ნაწილი მზადაა, გადაიხადონ უფრო ძვირი უკეთესი კომფორტისათვის.

ყოველივე ზემოთ თქმული საშუალებას გვაძლევს, გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები: ინტერნეტი დიდ გავლენას ახდენს ნებისმიერი სასტუმროს განვითარებაში. სასტუმროები ცდილობენ, ინტერნეტის საშუალებით ხელი შეუწყონ გაყიდვების ზრდას და გააუმჯობესონ სტუმრებთან ურთიერთობა. სოციალური ქსელების როლი, როგორცაა Facebook, Twitter და ა.შ. საგრძნობლად იზრდება სასტუმროს ბიზნესში მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მომხმარებელთა გამოსხაურებები და კომენტარები უზარმაზარ როლს თამაშობს სასტუმროს მომსახურების პოპულარიზაციაში. უფრო მეტიც, ინტერნეტის გამოყენებით უფრო ადვილდება კონტაქტის დამყარება, ისევე, როგორც მისი შენარჩუნება ყოფილ სტუმრებთან და მომხმარებელთა კმაყოფილების მაღალი დონის შენარჩუნება.

მოგზაურობების დაგეგმვისას მომხმარებლები სტუმრობენ სოციალურ ვებ-გვერდებს, ამოწმებენ ტურისტულ ბლოგებს, ეძებენ რეკომენდაციებს, ეცნობიან სხვადასხვაგვარ მოსაზრებებს და მოხიბლული არიან ფოტოებითა და ვიდეოებით. მოგზაურობის შემდეგ მათაც აქვთ საშუალება ინტერნეტის მეშვეობით, სხვებს გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება.

თანაბარი ფასის შემთხვევაში მომხმარებლების 4-ჯერ უფრო მეტი რაოდენობა ირჩევს უმაღლესი შეფასებების მქონე სასტუმროს. ხოლო, თუ ფასის სხვაობა უმნიშვნელოა, მოგზაურები მაინც მზად არიან, გადაიხადონ 5-9%-ით მეტი თანხა იმ სასტუმროში, რომელსაც 5%-ით მეტი შეფასება აქვს, რაც კიდევ დამატებითი სტიმულია სასტუმროსათვის. კარგი შეფასების მქონე სასტუმროებს შეუძლიათ თავიანთი მომსახურება გაყიდონ უფრო ძვირად ვიდრე სხვებმა.

სტუმართა მიერ ინტერნეტით სასტუმროს შეფასებების რაოდენობების ზრდასთან ერთად, იზრდება გავლენა სტუმართა გადაწყვეტილებების მიღებაზე. სტუმართა შეფასებები დიდ ზეგავლენას ახდენს ფასებზე. ყოველივე აქედან გამომდინარე, სასტუმრო, რომელიც აქცენტს აკეთებს მაქსიმალურად კარგი ჰქონდეს ონლაინ შეფასებები, აქვს შანსი, გაზარდოს თავისი მომხმარებლები და შემოსავალი.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. შარაბიძე ნ., სერვისის დონის შეფასება ქუთაისის სასტუმროების ინდუსტრიაში. V საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „ტურიზმი ეკონომიკა და ბიზნესი“. გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2014, გვ. 219-223.
2. გელაძე დ., თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების მნიშვნელობა ტურიზმში. V საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „ტურიზმი ეკონომიკა და ბიზნესი“. გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2014, გვ. 448-451.
3. აბულაძე რ. ონლაინტურიზმის განვითარების პრობლემები და ტენდენციები საქართველოში. V საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „ტურიზმი ეკონომიკა და ბიზნესი“. გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2014, გვ. 458-462.
4. არჩვაძე ა., სოციალური მედიის როლი ტურიზმის განვითარებაში. IV საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „ტურიზმი ეკონომიკა და ბიზნესი“. გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2013, გვ. 428-430.
5. ჭალაგანიძე ნ., ქელბაქიანი ლ., სოციალური მედიის მნიშვნელობა ტურისტული ბიზნესის განვითარების საქმეში. IV საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „ტურიზმი ეკონომიკა და ბიზნესი“. გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2013, გვ.418-422.
6. ჯერენაშვილი ნ., საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების როლი ტურიზმის ბიზნესში. III საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია: „ტურიზმი ეკონომიკა და ბიზნესი“. გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2012, გვ.338-340.
7. ნიკოლაიშვილი ნ., ინტერნეტმარკეტინგის როლი ტურისტულ ბიზნესში. II საერთაშორისო-სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია: „ტურიზმი ეკონომიკა და ბიზნესი“. გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2011, გვ. 572-575.
8. შონია დ., კლიენტებთან ურთიერთობების მართვის (CRM) სისტემა და მისი ზეგავლენა ტურისტული კომპანიის მომგებიანობაზე. I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „ტურიზმი ეკონომიკა და ბიზნესი“. გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2010, გვ. 433-441.
9. კუხიანიძე ნ., საინფორმაციო ტექნოლოგიები ტურიზმში. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2013.
10. ფასწარმოქმნა სასტუმრო ინდუსტრიაში [http://tsu-tdi.blogspot.com/2013/09/blog-post\\_30.html](http://tsu-tdi.blogspot.com/2013/09/blog-post_30.html)
11. Margaret Ady, Donna Quadri-Felitti, Ph.D. The Effect of Reviews on Hotel Conversion Rates and Pricing. New York University, Preston Robert Tisch Center for Hospitality and Tourism [www.trustyou.com](http://www.trustyou.com)
12. C.K. Anderson, “The Impact of Social Media on Lodging Performance.” The Center for Hospitality Research Report, Vol. 12 No. 15 (2012).

*Bachana Shelia*

#### DEPENDENCE OF HOTEL PRICELIST ON GUEST SATISFACTION INDEX

#### Annotation

This scientific work describes influence of information technologies on hospitality industry. Particularly, influence of guest satisfaction index to hotel prices and vice versa. It illustrates ways how hotels seek positive feedback, high ratings and their product popularization through social networks. In order to catalyze hotel sales and to improve customer relations, it is evident how internet is playing a key role in development of hotel industry today. As nowadays, internet became crucial role-player through which most travelers choose to gain objective information about hotels according to other guest feedbacks. On the other hand, hotels try to eliminate negative feedbacks which encourage service enhancement. Information technologies made it easier for hotels to keep in touch with guests before arrival as well as after their departure. Study also shows increasing numbers of websites providing booking, information and rating options about hotels throughout the world. Study provides statistics of factors which play crucial role for guests while making decisions which hotels to choose. User generated comments and feedback left on websites play a huge role in popularizing hotel services by word of mouth. Higher a hotel rating is, more people tend to choose the hotel and pay higher prices in comparison to other same level hotels.

*ბაჩანა შელია  
თამარ ბერიძე*

სასტუმროს წარმატებული ფუნქციონირება თანამედროვე კონკურენციის პირობებში წარმოუდგენელია კომპიუტერული პროგრამირების გარეშე. კომპიუტერული პროგრამა Opera PMS სასტუმრო ბიზნესში ე.წ. „ტექნოლოგიური რევოლუციის“ უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ზოგიერთ შემთხვევაში სწორედ Opera PMS

გვევლინება სასტუმროს წამყვან ელემენტად. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ორგანიზაციის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია: დანიშნულება (მიზანი), თანამშრომლები, სტრუქტურა და მოგება, რაც Opera PMS-ის საშუალებით საკმაოდ მარტივი ხდება.

წინამდებარე კვლევის მიზანია იდენტიფიცირდეს თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფის გავლენა სასტუმროს მმართველობით გადაწყვეტილებებზე.

მიზნიდან გამომდინარე, კვლევის ამოცანებს შეადგენს:

○ თანამედროვე სასტუმრო ინდუსტრიაში პროგრამული საშუალებების როლის იდენტიფიკაცია;

○ თანამედროვე მმართველობითი პროგრამული საშუალებების მნიშვნელობის სასტუმროს მომხმარებლის კმაყოფილების გამოვლენა;

○ თანამედროვე პროგრამული საშუალება Opera PMS შემადგენელი კომპონენტების ურთიერთდამოკიდებულების დადგენა;

○ სასტუმრო ინდუსტრიაში სასტუმროს წარმატებულ ფუნქციონირებაზე Opera PMS გავლენის აღწერა;

თანამედროვე სასტუმროს ინდუსტრიაში სასტუმროს წარმატებული ფუნქციონირებისათვის მართვის სხვადასხვა პროგრამულ საშუალებებზე არის საკმაოდ ბევრი ნამუშევარი მათ შორის შეიძლება გამოვეყნოთ მელაძე მ. [1], ნაკაშიძე გ. [2]. საინფორმაციო ტექნოლოგიების მნიშვნელობაზე სასტუმროს მართვისას უნდა გამოვეყნოთ ოსანაძე მ. [3], ნ. აბესაძე. [4], მეტრეველი მ. [5], მესხია ი. [6] კ. ხმალაძე, ლ. ბერიძე. [7], მექვაბიძე რ. [8], ჭილაძე გ. [9]. ასევე კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა ვებპორტალი <http://www.micros.com.au/documents/21.pdf>

საბაზრო რეჟიმის და მკაცრი კონკურენციის პირობებში კომერციული ფირმების, სასტუმროების, ბანკების, სადაზღვევო კომპანიების და სხვა ორგანიზაციების წარმატებული ფუნქციონირებისათვის საჭიროა პროდუქციის წარმოების, ექსპლუატაციის, ასევე კონკურენტების შესახებ ინფორმაციის ანალიზი, საიმედო და დასაბუთებული დასკვნების მიღება. ამიტომაც პროგრამულ საშუალებებზე მოთხოვნა საკმაოდ მაღალია. შესაბამისად პროგრამების ბაზარი მნიშვნელოვნად განვითარდა და დღეს ამ ბაზარზე წარმოდგენილია ათასზე მეტი სხვადასხვა პროგრამა, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან სამომხმარებლო ინტერფეისით, გამოყენების შესაძლებლობებით, მოწყობილობებისადმი მოთხოვნებით და ა.შ. სხვადასხვა კრიტერიუმებით.

მენეჯმენტის გარდაქმნისა და მისი რადიკალურად სრულყოფის, თანამედროვე პირობებთან მისი მისადაგების მთავარ მიმართულებად იქცა უახლესი კომპიუტერული და ტელესაკომუნიკაციო ტექნიკის მასიური გამოყენება, მის საფუძველზე მაღალეფექტური საინფორმაციო-მმართველობითი ტექნოლოგიების ფორმირება. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საინფორმაციო მენეჯმენტის დანერგვას, რომელიც არსებითად აფართოებს კომპანიების მიერ საინფორმაციო რესურსების გამოყენების შესაძლებლობებს. სასტუმროებს მართვის წარმატებული სტრატეგიის სწორად შემუშავებისთვის აუცილებლად სჭირდება თანამედროვე პროგრამული საშუალებების გამოყენება. აღნიშნულ მიზეზთა გამო საჭიროა ამ პრობლემების ერთიან ასპექტში დანახვა და კანონზომიერებათა გამოვლენა.

საინფორმაციო მენეჯმენტის განვითარება დაკავშირებულია მონაცემთა დამუშავების სისტემის და ცოდნის ორგანიზებასთან, მათ თანმიმდევრულ განვითარებაზე მართვის ინტეგრირებული ავტომატიზებული სისტემების დონემდე, რომლებიც წარმოებისა და გასაღების ყველა დონეს და რგოლს მოიცავს როგორც ვერტიკალურად, ასევე ჰორიზონტალურად. თანამედროვე პირობებში ეფექტური მართვა ორგანიზების მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს ფინანსურ, მატერიალურ, ადამიანურ და სხვა რესურსებთან ერთად. ამიტომ, მმართველობითი საქმიანობის ეფექტურობის ამაღლება მთლიანობაში საწარმოს საქმიანობის სრულყოფის ერთ-ერთი მიმართულება ხდება. შრომითი პროცესის წარმართვის ეფექტურობის ყველაზე აშკარა ხერხს მისი ავტომატიზაცია წარმოადგენს. მაგრამ, ის, რაც მისაღებია მკაცრად ფორმალური საწარმოო პროცესისთვის, არტოვ იხე აშკარა ისეთი ფაქტორი სფეროსთვის, როგორიც არის მართვა. მმართველობითი შრომის ავტომატიზებული მხარდაჭერის ამოცანების გადაწყვეტისას წარმოქმნილი სირთულეები დაკავშირებულია მის სპეციფიკასთან. მმართველობითი შრომა გამოირჩევა სირთულითა და მრავალფეროვნებით, ფორმებისა და სახეების დიდი რაოდენობით, მრავალმხრივი კავშირებით სხვადასხვა მოვლენებსა და პროცესებთან. ეს, უპირველეს ყოვლისა, შემოქმედებითი და ინტელექტუალური შრომაა. ერთი შეხედვით, მისი უდიდესი ნაწილი საერთოდ არ ექვემდებარება რაიმე ფორმალისაციას. ამიტომ, მმართველობითი საქმიანობის ავტომატიზაცია თავდაპირველად უკავშირდებოდა მხოლოდ ზოგიერთი დამხმარე რუტინული ოპერაციების ავტომატიზაციას. მაგრამ საინფორმაციო კომპიუტერული ტექნოლოგიების მძაფრმა განვითარებამ, ტექნიკური პლატფორმის სრულყოფამ და პროგრამული პროდუქტების პრინციპულად ახალი კლასების გამოჩენამ წარმოების მართვის ავტომატიზაციისადმი მიდგომების შეცვლა გამოიწვია.

როცა 40-იანი წლების ბოლოსა და 50-იანი წლების დასაწყისში კომერციულ ორგანიზაციებში პირველად გამოჩნდა ეგმ, პრაქტიკულად თავში არავის მოსვლია, სხვადასხვა მანქანებს შორის გაენაწილებინა მონაცემების დამუშავება. მომხმარებლები გახარებულნი იყვნენ, რომ მანქანებმა მათ თავიდან ააცილა ხელით ინფორმაციის დამღვრელი დამუშავება. გამოთვლითი ტექნიკის განვითარების შესაბამისად გაჩნდა ერთ ან რამდენიმე კომპიუტერზე სხვადასხვა დავალებების შესრულების შესაძლებლობა და მონაცემთა გადაცემა ერთი დანართიდან მეორეში, რაც წინ გადადგმული უდიდესი ნაბიჯი იყო. 80-იან წლებში პერსონალური კომპიუტერების გამოჩენამ პატარა კომპანიებს, რომელთაც არ გააჩნდათ მაღალკვალიფიციური მმართველობითი და ტექნიკური პერსონალი, აღრიცხვის წარმოებისა და მონაცემთა დამუშავების საშუალება მისცა. პროგრამული უზრუნველყოფი საში კატეგორიის მომხმარებელთათვის შეიქმნა ახალი, კომერციული ტიპის,

რამდენიმე სხვადასხვა ფუნქციის მინტეგრირებული დანართები, რომელიც რამდენიმე კერძო დანართს საშუალებას აძლევდა ერთხელ შეყვანილი მონაცემების მანიპულირებაში – ინფორმაციული სისტემები. საინფორმაციო სისტემა (სს) ობიექტის შესახებ ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, გადაცემისა და დამუშავების საკომუნიკაციო საშუალებების ერთობლიობას წარმოადგენს.

ტელეკომუნიკაციების თანამედროვე საშუალებების (ელექტრონული ფოსტა, ტელეკონფერენციები), გლობალური და ლოკალური გამოთვლითი ქსელების და ა.შ. გამოყენება, მონაცემთა დამუშავების ამოცანები უზრუნველყოფს ჩვეულებრივ რუტინულ დამუშავებასა და ინფორმაციის შენახვას (რეგულარული ან მოთხოვნით) შეჯამებული ინფორმაციის გაცემის მიზნით, რომელიც შეიძლება საჭირო გახდეს ობიექტის მართვისთვის.

სასტუმროებისათვის თანამედროვე კონკურენციის პირობებში ეს ყველაფერი წარმოუდგენელი გახდა კომპიუტერული პროგრამირების გარეშე. კომპიუტერული პროგრამა Opera PMS სასტუმრო ბიზნესში ე.წ. „ტექნოლოგიური რევოლუციის“ უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ზოგიერთ შემთხვევაში სწორედ Opera PMS გვევლინება სასტუმროს წამყვან ელემენტად. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ორგანიზაციის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია: თანამშრომლები, სტრუქტურა და მოგება, რაც Opera PMS-ის საშუალებით საკმაოდ მარტივი ხდება.

**Reservation:** რეზერვაციის მოდული საშუალებას იძლევა, გავაკეთოთ ყველა ტიპის რეზერვაცია: ინდივიდუალური, ჯგუფური, ბლოკური, ტურისტული სააგენტოებისთვის და აგრეთვე შეიძლება რეზერვაციის მოლოდინის რეჟიმზე, ანუ “Waitlist“-ზე დაყენება; რეზერვაციის მოდული დაკავშირებულია ოპერას სხვა მოდულებთან, რაც საკმაოდ დიდი მოქნილობის საშუალებას იძლევა.

ერთ-ერთი ასეთი მოდულია Profile, რომელიც ინახავს მონაცემებს როგორც ინდივიდუალური, ტურისტული, ასევე კომპანიის პროფაილების შესახებაც. რეზერვაცია ასევე მოხერხებულად მუშაობს შემდეგ მოდულებთან: Front Desk, Rooms Management, Cashiering, Accounts receivable, commissions and Inventory Control.

ახალი რეზერვაციის შექმნის დაწყებიდან დასრულებამდე შეიძლება როგორც პროფაილების, ფასების, ოთახების ტიპების, პიროვნებათა რაოდენობის, სართულების და ა.შ. შერჩევა, ასევე შეგვიძლია შევამოწმოთ სასტუმროს დატვირთულობა. ეს ყველაფერი ძალიან აადვილებს მუშაობის პროცესს და აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს;

Opera PMS-ი გვაძლევს ნებისმიერი რეზერვაციის განახლების საშუალებას. შეგვიძლია შევცვალოთ ჩამოსვლის ან გასვლის თარიღები, პიროვნებათა რაოდენობა, ნომრის ღირებულება, ოთახების ტიპი, გადახდის მეთოდი და ა.შ., რაც საკმაოდ მარტივად გასაკეთებელია; ნებისმიერ ფანჯარაში შეგვიძლია შევარჩიოთ ჩვენთვის სასურველი ინფორმაცია და მაუსის ერთხელ დაჭერით შევცვალოთ იგი.

რეზერვაციის მოდულის საშუალებით აგრეთვე შეიძლება რეზერვაციის გაკეთება „მოლოდინის რეჟიმში“, ანუ როდესაც ვიცით, რომ სასტუმრო მთლიანად დაკავებულია, ჩვენ მაინც შეგვიძლია რეზერვაციების მიღება. ეს გვეხმარება სასტუმროს მოგების ზრდაში, რადგანაც პრაქტიკამ აჩვენა, რომ რეზერვაციების დაახლოებით 5-10% არ ჩამოდის, სასტუმრო კი, ამის მიუხედავად იღებს, იმავე შემოსავალს რაც შეიძლება მიეღო იმ შემთხვევაში, თუ ყველა ჩამოვიდოდა, მაგრამ სასტუმროს დარჩებოდა თავისუფალი ნომრები, რომელთა გაყიდვა ხელმეორედ შეეძლო და მოგება გაეზარდა; ამიტომაც ხდება Waitlist-იდან (მოლოდინის რეჟიმიდან) რეზერვაციების მოხსნა და ხელმეორედ გაყიდვა. სასტუმრო უკვე ყიდის თავისი ნომრების არა 100%, არამედ 105%-110% რაც საკმაოდ დიდ თანხებს უკავშირდება დიდი სასტუმროების შემთხვევაში. თანამედროვე კონკურენციის პირობებში ეს აუცილებელია, რადგან სწორედ ასეთ შემთხვევებში ხდება მაქსიმალური მოგების მიღწევა მინიმალური დანახარჯებით;

რეზერვაციის მოდულის საშუალებით შეიძლება („Confirmation Letters“) ჯავშნების დამადასტურებელი წერილების გაგზავნა ყველა რეზერვაციისათვის როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური ჯავშნებისათვის; ოპერა ამისათვის გვაძლევს რამდენიმე გამზადებულ ვარიანტს, სადაც ყველა ის დეტალი გათვალისწინებული, რომელიც მნიშვნელოვანია როგორც სასტუმროს, ისე რეზერვაციის მენეჯერისათვის; წერილში ავტომატურად ჯდება სტუმრის ჩამოსვლის და გასვლის თარიღები, სასტუმროს დასახელება და მისამართი, წინასწარ მომზადებული ტექსტი, ოთახის ტიპი და ნომრის ღირებულება, აგრეთვე გარკვევით არის დაწერილი, რომ ჯავშნის გაუქმების შემდეგ შეიძლება ჯარიმის გადახდა მოუწიოს სტუმარს;

**Messages:** ოპერა საშუალებას გვაძლევს, სტუმრებს დავეუბნოთ ნებისმიერი რაოდენობის მესიჯები და თან შესაძლებელია მონიშნოს სტუმრის მიერ მიღებული და ჯერ კიდევ მისაღები მესიჯები. ეს მესიჯები ოპერას ინტერფეისის დახმარებით შეიძლება ამოიბეჭდოს ან/და ტელევიზორზე გაეგზავნოს სტუმარს, რაც საკმაოდ დიდ ფასეულობას წარმოადგენს სტუმრებისათვის. რაც მთავარია, შეიძლება ჯგუფურად მესიჯების გაგზავნა სტუმართა გარკვეული ჯგუფისათვის. მაგალითად, 200 სტუმრისათვის ერთი და იმავე მესიჯის გასაგზავნად ზუსტად იგივე დროა საჭირო, რაც 1 მესიჯის გასაგზავნად.

**Trace.** თრეის არის მესიჯის მსგავსი, შენი კოლეგისათვის დატოვებული მცირე ინფორმაცია, სტუმრის მოთხოვნის შესაბამისად, შესაბამისი თარიღისათვის. შესაძლებელია შეიქმნას თრეისინებისმიერი რეზერვაციისათვის. თრეისი ყველა დეპარტამენტისათვის სხვადასხვანაირია,

**Room Assignment:** ოპერა საკმაოდ ამარტივებს ოთახების მინიჭების პროცედურას. ოპერას შეუძლია, პრიორიტეტებისა და სტუმართა მოთხოვნილებების შესაბამისად, ავტომატურად მიანიჭოს ოთახები ყველა რეზერვაციას. ინდივიდუალურადაც შეიძლება ოთახის მინიჭება იმის მიხედვით, თუ როგორი ოთახი უნდა სტუმარს: მაღალი თუ დაბალი სართული, ზღვის თუ მიწის ხედი, ლიფტთან ახლოს თუ შორს, ერთსართულიანი თუ ორსართულიანი, მწვევლთა თუ არამწვევლთა და ა.შ.

პროფაილი ოპერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოდულია. ოპერაში არსებობს 6 ტიპის პროფაილი. პროფაილის მოდულში იწერება საკმაოდ დიდი მნიშვნელობის ინფორმაცია: სტუმრის სახელი და გვარი, ენა (თუ რომელ ენაზე საუბრობს სტუმარი), სქესი, პროფესია, მისამართი (6 ტიპის მისამართი), სტატუსი,



ეროვნება, პასპორტის მონაცემები, დაბადების თარიღი, ტელეფონი, ელფოსტა, ფაქსი, სტატისტიკური მონაცემები, შენიშვნები, საკრედიტო ბარათის მონაცემები და ა.შ.

სრულად შევსებული პროფაილი სასტუმროს საკმაოდ დიდ ინფორმაციას აძლევს სტუმრის შესახებ, რაც, შეიძლება შეიძლება გამოიყენოს სასტუმრომ თავისი მიზნებისათვის. მაგალითად, სარეკლამო შეთავაზებებისათვის, ოპერამ შეიძლება ავტომატურად გაუგზავნოს ელფოსტა ყველა სტუმარს, რომელსაც შეარჩევს სასტუმროს მენეჯმენტი და გაუკეთოს სასტუმროს ახალ პროდუქციას უფასო რეკლამა.

**Billing** (ანგარიშწორება) საბილინგო ეკრანზე შეიძლება ერთდროულად 8 ღია ფანჯარა გაიხსნას, რომელიც იძლევა საშუალებას, რომ დაეახარისხოთ სტუმრის ხარჯები, ამა თუ იმ ხარჯის სხვადასხვა ფანჯარაში გადაადგილება მისი მონიშვნით და სასურველ ფანჯარაში ჩაგდება, თანხის გაყოფა. აღრიცხვის ეკრანი საშუალებას გვაძლევს, ხელით შევიყვანოთ სტუმრის ხარჯები. სატრანზაქციო ინფორმაციას როგორც არის ფასი, როდენობა და ანგარიშგაქტურის ფორმა, გარკვეული კოდი ენიჭება სისტემაში.

სწრაფი დაბოსტვა – სწრაფი დაბოსტვის განხორციელება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ გვსურს დაბოსტვა ანგარიშგაქტურის ნახვის გარეშე, როდესაც დარიცხვის დროს ფიქსირებული ფასი არის შესაყვანი, მხოლოდ რაოდენობა შეგვიძლია შევიყვანოთ და ოპერა ავტომატურად მოახდენს დაანგარიშებას და დაბოსტვას. წინა და შემდგომი დღის დაბოსტვა გვაძლევს საშუალებას, დავარიცხოთ თანხა სტუმარს სასტუმროში შემოსვლამდე სამუშაო დღის დახურვამდე. ასევე შეიძლება დავარიცხოთ თანხა სტუმრებს, რომლებიც არ შემოვიდნენ დაჯავშნილ თარიღებში ან გააუქმეს ჯავშანი.

აღრიცხული თანხის დაყოფა შესაძლებელია, როგორც დღგ-ს ან სერვისის საფასურის, მარტივად თანხის ან სასურველი პროცენტულობის შეყვანით სისტემაში. დაყოფილი თანხა შეიძლება გადავიტანოთ სასურველ ფანჯარაში ან სხვა სტუმრის ანგარიშზე (ისეთ სასტუმროებში, რომელშიც გაერთიანებულია რამდენიმე სასტუმრო, ოპერა აძლევს საშუალებას, ერთიანი სისტემით აკონტროლოთ და მართონ სტუმართა ანგარიშები და განახორციელონ ჯავშნები).

**Rooms Management.** ოპერაში ოთახების მართვის ეკრანზე შეგვიძლია თვალყური ვადევნოთ ოთახების მდგომარეობას, ოთახების სტატუსს, ოთახებს, რომლებშიც მიმდინარეობს ტექნიკური სამუშაოები და არსებული ოთახების რაოდენობას, რომლებიც შეიძლება გაიყიდოს. ოთახების მართვის საშუალებით ასევე შეგვიძლია გავიგოთ ამა თუ იმ ოთახის ისტორია, თუ რა ჯავშანი ყოფილა მოცემულ ოთახში, რა ფასად იყო გაყიდული და იმ სტუმრების პროფილის ნახვაც შეიძლება, თუ ვინ ცხოვრობდა მოცემულ ოთახში.

**Facility Management.** ოთახის ტიპებს შეიძლება მივანიჭოთ სპეციალური კოდები, რომლებიც გვაძლევს ინფორმაციას იმისათვის, რომ დაიგეგმოს შესასრულებელი სამუშაოები. მაგალითად, გავიგოთ თუ რამდენ დღეს რჩება სტუმარი და თუ როგორ უნდა დალაგდეს მოცემული ოთახი, რა უნდა გამოიცივლოს და ა.შ.

**Room History.** ოთახის ისტორია გვაწვდის იმ ინფორმაციას, თუ ვინ ცხოვრობდა მოცემულ ოთახში და ვისი დაზიანებული შეიძლება იყოს ეს ოთახი.

**Maintenance.** ოთახს ვანიჭებთ სათანადო სტატუსს, როდესაც ოთახში სარემონტო სამუშაოები არის ჩასატარებელი, მაგალითად, ნათურა, ონკანი ან კონდენციონერი არის შესაკეთებელი.

**Queue Rooms.** ასალაგებელი ოთახების პრიორიტეტების მიხედვით კლასიფიკაცია და რიგში ჩაყენება გვეხმარება, ჯერ ის ოთახები დალაგდეს რომლებშიც შემოდინან სტუმრები იმავე დღეს. ამით თავიდან ავიცილებთ გაუგებრობას და სირთულეებს, თუ სტუმარი შემოვა დროზე ადრე და მისთვის მინიჭებული ოთახი არ იქნება დალაგებული.

**Commissions** არის მოქნილი და მარტივად გამოყენებადი სისტემა დაანგარიშებისა, და ტურისტული სააგენტოებისთვის თანხის/საკომისიოს გადასარიცხად. შეიძლება ჩვეის/ანგარიშგაქტურების დამზადება სტუმრის ანგარიშის დეტალების და ტურისტული სააგენტოს ან შესაბამისი წყაროს დეტალების კომბინირებით საკომისიოს რეპორტში. მოცემული დეტალების შეცვლა და დეტალენის დამატება შესაძლებელია, ასევე შეიძლება სხვადასხვა კოდის გამოყენება გადასახდელი საკომისიოს შესაცვლელად. ამ მოდულის საშუალებით შეგვიძლია დაგებდეთ ჩეკები, საბანკო გადარიცხვები ან საკომისიოს დეტალები გავაგზავნოთ.

საკომისიოები გამოითვლება საკომისიო კოდების გამოყენებით, რომლებიც შეიძლება მივაბოთ მოგზაურობის აგენტის პროფილს. საკომისიოები შეიძლება გამოისახოს პროცენტულად ან ფიქსირებული თანხით და მათი შეცვლა და გადაკეთება ადვილად შესაძლებელია. სხვადასხვა საკომისიო კოდები შეიძლება სხვადასხვა დარჩენილ დღეზე იქნეს გამოყენებული როდესაც სტუმარს აქვს გრძელვადიანი დარჩენა.

**Reports.** მოხსენება არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომელიც გვაძლევს საშუალებას, ემართოთ, გავაანალიზოთ, თვალყური ვადევნოთ და ოპტიმალური პროგნოზი მოვიპოვოთ სასტუმროს ფუნქციონირებაში. ოპერა გვაწვდის წინასწარ განსაზღვრულ ინფორმაციას.

იმისათვის, რომ ადვილად ვიპოვოთ სასურველი რეპორტი, ოპერა გვაძლევს ამის საშუალებას 1000-ზე მეტი სტანდარტული რეპორტით, რომლებიც დახარისხებულია ჯგუფებად, რომელშიც შედის როგორც შემომსვლელი, ასევე გამსვლელი სტუმართა სის რეპორტი ფინანსური, ჯგუფებისთვის, სტუმართა, ვინც უკვე ცხოვრობს სასტუმროში, დალაგების სერვისისთვის, პროფილები, ჯავშნები, სტატისტიკა, საკომისიო, საბუღალტრო, პროგნოზი და ა.შ.

შესაბამისი რეპორტის პარამეტრების არჩევით შესაძლებელია გადავახარისხოთ ინფორმაცია, ინფორმაციის ფორმა და მოვიპოვოთ სასურველი ინფორმაცია სასურველი კლასიფიკაციით. თითოეული რეპორტი გვაძლევს საშუალებას, ავირჩიოთ როგორი ფორმატით შევინახოთ ელექტრონული ფაილი, ემაილზე გასაგზავნად, ფაქსით გასაგზავნად, ამოსაბეჭდად, ან წინასწარ გაგხსნათ და გადავამოწმოთ თუ როგორი სახით დაიბეჭდება. წინასწარი გახსნილი ფაილი იხსნება ადობე **Adobe Acrobat reader** საშუალებით. **Print**-ის საშუალებით შესაძლებელია სასურველი რეპორტი ჩვენ მიერ არჩეულ პრინტერზე ამოგებდეთ. ელექტრონული ფაილის ფორმატები შეიცავს **HTML, PDF, RTF** და **delimited** ინფორმაციას. ოპერა გვთავაზობს **Simple Report Writer**-ის საშუალებით ჩვენ თვითონ შევქმნათ რეპორტები სხვადასხვა სახის ინფორმაციის

გაერთიანებით. მაგალითად, ჯავშნებთან დაკავშირებული ინფორმაციისგან, პროფილებისგან, გაყიდვებთან დაკავშირებული ინფორმაციისგან და ა.შ.

დღის დახურვა შედგება ფინანსური და არაფინანსური პროცედურებისგან, რომლებიც აჯამებენ ყოველი დღის გადარიცხვებს და შესრულებულ სამუშაოებს და ამზადებს ოპერას მომდევნო დღისთვის. დღის დახურვის დროს სისტემა ავტომატურად პოსტავს ოთახების საფასურს და დღეებს, ფიქსირებულ ხარჯებს, პაკეტებს, ასევე მათ მოგებას და დანაკლისს. ყოველდღიური სტატისტიკა ჯამდება და იბეჭდება. მრავალი რეპორტის დაბეჭდვა შეიძლება გადაიშავებული ინფორმაციისგან.

შესაძლებელია წინასწარ აირჩეს პროცესები, რომლების სასურველია დღის დახურვისას გამოიყენოს სისტემამ. მაგალითად, შემოსავლების აუდიტის დროს სისტემამ დაბეჭდოს რეპორტები, დაოსტოს, გაასწოროს შეცდომით დაოსტილი დღეები, სანამ დაიხურება დღე.

**Security.** უსაფრთხოება ოპერაში სასიცოცხლო მნიშვნელობის მატარებელია. ოპერაში შესვლა პაროლის გარეშე შეუძლებელია. დამატებითად პაროლი არის შესაყვანი, როდესაც ვცდილობთ, გაეხსნათ საბუღალტრო დაანგარიშების ფანჯარა. პაროლები პერიოდულად უქმდება და ხშირად შეცვლას საჭიროებს. თუ გარკვეულ დროს არ მოხდება ოპერაში ოპერაციების გატარება და თუ დავტოვებთ ჩართულს, თავისით გამოვა სისტემიდან, რითაც უზრუნველყოფს უსაფრთხოებას და უცხო პირებისგან მიუწვდომელს ხდის მას. ასევე ოპერაში გარკვეულ მომხმარებლებს გარკვეული უფლებები ენიჭებათ, რომლებიც შეიძლება საჭიროებისამებრ შეეცვალოს.

**Credit Card Handling.** საკრედიტო ბარათების შენიღება ოპერაში გამომდინარეობს **Payment Card Industry (PCI)**-საკრედიტო ბარათების უსაფრთხოების სტანდარტებიდან. საკრედიტო ბარათის მონაცემების დანახვის ფუნქცია ენიჭებათ ნდობადაღჭურვილ პირებს, როგორებიც არიან მენეჯერები და შესაბამისი თანამდებობის პირები.

**User Activity Log.** **The user activity log** მომხმარებელთა აქტიურობის ჟურნალი აღნიშნავს ყველა მნიშვნელოვან ცვლილებას, რომლებსაც მომხმარებლები ქმნიან ჯავშნების გაკეთების დროს, ბლოკების, დაოსტვის, ჰაუსჰიპინგის, საკომისიოების, 'AR' (კოდი განკუთვნილი კომპანიებისთვის რომელზეც ირიცხება გადასახდელი თანხა), პროფილებისა და კონფიგურაციისთვის, რაც გვეხმარება, რომ თვალყური ვადევნოთ და გადავამოწმოთ, როცა საჭირო გახდება თუ რომელი მომხმარებლის მიერ არის განხორციელებული ესა თუ ის ცვლილება მოცემულ დროს. ინფორმაციის მოძიება არის შესაძლებელი კონკრეტული თარიღის არჩევით ან მომხმარებლის საიდენტიფიკაციო ნომრის აღნიშვნით. ჩვენი არჩევანის თანახმად, სისტემა გვიჩვენებს ყველა ცვლილებას ან მხოლოდ კონკრეტულ ცვლილებას.

ყოველივე ზემოთ თქმული საშუალებას გვაძლევს, გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები: განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საინფორმაციო მენეჯმენტის დანერგვას, რომელიც არსებითად აფართოებს კომპანიების მიერ საინფორმაციო რესურსების გამოყენების შესაძლებლობებს.

თანამედროვე სასტუმროთა ან სასტუმროთა ქსელების არსებობა პროგრამული საშუალებების გარეშე შეუძლებელია. კომპიუტერული პროგრამა Opera PMS სასტუმრო ბიზნესში ე.წ. „ტექნოლოგიური რევოლუციის“ უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ზოგიერთ შემთხვევაში სწორედ Opera PMS გვევლინება სასტუმროს წამყვან ელემენტად. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ორგანიზაციის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია: დანიშნულება (მიზანი), თანამშრომლები, სტრუქტურა და მოგება, რაც Opera PMS-ის საშუალებით საკმაოდ მარტივი ხდება.

დღესდღეობით ყველაზე გამოყენებადი და გავრცელებული პროგრამული საშუალებაა Opera PMS, რომელშიც ყველაზე კარგად არის გამოყოფილი ის ძირითადი კრიტერიუმები, რაც აუცილებელია სასტუმროს ფუნქციონირებისა და მართვის სიმარტივისათვის.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. მელაძე მ. თანამედროვე საინფორმაციო სისტემების მნიშვნელობა ტურისტული პროდუქტის რეალიზაციისათვის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ეკონომიკა, 1-2, თსუ გამომცემლობა, 2004.
2. ნაკაშიძე გ. ინფორმაცია – საზოგადოების სტრატეგიული რესურსი, ჟ. „ეკონომიკა“, 7-8, 2005.
3. ოსანაძე მ., კაკურიძე ხ., ცეცხლაძე ს., საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება ტურიზმში, სამეცნიერო შრომების კრებული, ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ., 2010.
4. ნ. აბესაძე, რ. ქიქელაძე, ქ. ჩიტაღაძე ტურიზმის სტატისტიკა (ნაწ 1) თბილისი, 2012.
5. ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა. მარინა მეტრეველი. თბ., 2011.
6. მესხია ი. ბიზნეს გარემო საქართველოში: ანალიზი და პროგნოზები, ბიზნესი და მენეჯმენტი, გამომც. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2010, № 2, გვ. 115–132.
7. კ. ხმალაძე, ლ. ბერიძე. ინოვაციური მეწარმეობის ხელშეწყობის რეგიონული პროგრამის შემუშავების მეთოდური საკითხები. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ინოვაციები ბიზნესში“ (პრობლემები, პერსპექტივები, გამოწვევები). ბათუმი, 2010.
8. რ. მექვაბიძე, ტურიზმის ბიზნესი და ტურიზმის ბიზნესის მენეჯმენტის თავისებურებები.
9. ჭილაძე გ. რეგიონალური სასტუმრო მეურნეობის მართვა: სამართლებრივ-ეკონომიკური ასპექტები //საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია “კულტურათაშორისო დიალოგები”. თელავი, 2011
10. Buhalis, D. Tourism: Information technologies for strategic tourism management. 2003.
11. <http://www.hrs.ru/clients/hotels.php>
12. <http://www.micros.com.au/documents/21.pdf>
13. <http://www.micros.com.au/en/operapms.aspx>
14. <http://www.fideliobg.com/userfiles/file/opera/Opera%20PMS.pdf>

CONTEMPORARY EFFICIENT TECHNIQUES FOR SUCCESSFUL HOTEL MANAGEMENT  
Annotation

At the core of the Opera Enterprise Solution is the Opera Property Management System (PMS). Designed to meet the varied requirements of any size property or property chain, Opera PMS will provide the tools to help you run your operation at a greater level of productivity and profitability than ever before. The application is configurable to your specific requirements making it easy to use and enabling you to obtain fast, accurate, up- to-the-minute information.

Opera's Multi-Property functionality can help you dramatically reduce your hardware, software and labor expenses by running multiple properties off of a single database. Its design allows you to use a centralized database for multiple PMS installations. Centralized software and hardware make system support and upgrades easier by containing them to one central location. Properties may also realize labor efficiencies by sharing functions between properties including Reservations, Accounting, Sales and PBX.

Opera PMS provides a new level of communications through your entire operation. Telephone operators and front desk clerks can quickly locate guests at their own or at other properties. Guest satisfaction increases with timely and accurate messaging and locator services. The system also reduces staff overhead when handling batch messages and provides staff in all departments with the information they need to efficiently meet guest needs.

ანა წულაია

ფირმის მარკეტინგული სამსახურის ფუნქციონალური სისტემის სრულყოფის ძირითადი ტენდენციები

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამრეწველო ფირმების ძირითად პრობლემად გვევლინება პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, რაც განაპირობებს კლიენტთა (მომხმარებელთა) მოზიდვას. როგორ უნდა მოიხილოს ფირმამ კლიენტი, როგორ განსაზღვროს ბაზრის ტევადობა, საკუთარ პროდუქტზე არსებული მოთხოვნა, ფასი და საერთოდ მისი კონკურენტუნარიანობა? ამ საკითხთა გადაწყვეტის შესაძლებლობას იძლევა კომპანიის მარკეტინგული სამსახურის ფუნქციონალური სისტემის სრულყოფა, რაც მნიშვნელოვანი საკითხია ქართული კომპანიებისათვის და საწარმოო, ფინანსური, სავაჭრო-გასაღების, ტექნოლოგიური, საკადრო და საქმიანობის სხვა სფეროსთან ერთად, ქმნის ერთიან ინტეგრირებულ პროცესს, რომელიც მიმართულია ბაზარზე არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და მოგების ზრდისაკენ.

მარკეტინგული სამსახურის სტრუქტურის ორგანიზაციის ერთი, უნივერსალური სქემა არ არსებობს. სპეციფიკური პროდუქციის მწარმოებელ საწარმოებში მარკეტინგის ქვედანაყოფები ტექნიკური განყოფილების ელემენტები ხდება. ყველა საწარმოში მარკეტინგის სამსახური მარკეტინგის მიზნის (გამოვლინდეს მომხმარებელთა დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა, მოხდეს ბაზრის გეოგრაფიული ზრდა, ახალი სეგმენტის ათვისება და ა.შ.) მისაღწევად იქმნება. მარკეტინგული სამსახურის სათავეში, ჩვეულებისამებრ, კომპანიის დირექტორის შემდგომ მარკეტინგის ვიცე-პრეზიდენტი დგას. რაც შეეხება სტრუქტურულ ერთეულებს, განსახვავებენ მარკეტინგის სამსახურის ორგანიზაციას სხვადასხვა პრინციპით, რომელთა შორის ძირითადია: ფუნქციური ნიშნით, საქონელზე ორიენტირებული, ბაზარზე და მომხმარებელზე ორიენტირებული, რეგიონზე ორიენტირებული, ფუნქციაზე და საქონელზე ორიენტირებული, ფუნქციაზე და ბაზარზე ორიენტირებული, ფუნქციაზე და რეგიონზე ორიენტირებული [5].

ეფექტური მარკეტინგული მართვისათვის აუცილებელია, ჩამოვაყალიბოთ ამოცანები, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის წინაშე მდგომ მიზნებს, ასევე ცალკეული ქვეგანყოფილებების ფუნქციები, რომელთაგან გამოვყოფილი სამ ძირითად განყოფილებას:

**1. მარკეტინგული კვლევის და მარკეტინგული გეგმის შექმნის განყოფილება, – რომელიც ასრულებს შემდეგ ფუნქციას:**

- მარკეტინგული ღონისძიებების დაგეგმვა;
- მიზნობრივი ბაზრის შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება;
- საბაზრო შესაძლებლობების ანალიზი;
- კონკურენტუნარიანობის, SWOFT ანალიზის ჩასატარებლად მარკეტინგული კვლევის ჩატარება;
- ანტიკრიზისული მართვის მოდელის შექმნა;

**2. კომპანიის სასაქონლო ასორტიმენტის დაგეგმვის განყოფილება – ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:**

- მომხმარებელთა მოთხოვნის გათვალისწინებით სასაქონლო პოლიტიკის ფორმირება და კონკურენტუნარიანობის განსაზღვრა;
- თითოეულ სასაქონლო ერთეულზე მოთხოვნის მექანიზმის შექმნა;
- მომხმარებლის მოთხოვნის შესაბამისი ასორტიმენტული ჯგუფის საქონლის შექმნა;
- ბაზარზე საქონლის და მომსახურების ეფექტური პოზიციონირებისათვის ბრენდის ხელშეწყობა;

**3. რეკლამის და სტიმულირების სამსახური (საკომუნიკაციო და PR) – ორიენტირებულია სარეკლამო პოლიტიკის კომერციული წარმატების მიღწევაზე, ბაზრობა-გამოფენებზე, აუქციონსა და სხვა ღონისძიებებში მონაწილეობით, ასევე სოციალურ ღონისძიებებში აქტიური ჩართულობით დადებითი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისათვის.**

ფირმაში მარკეტინგული საქმიანობის ორგანიზაციული სტრუქტურა წარმოადგენს მარკეტინგის სამსახურის ორგანიზაციის კონსტრუქციას, რომლის საფუძველზე ხორციელდება მარკეტინგული საქმიანობის მართვა. მოცემულ სტრუქტურას გადამწყვეტი როლი აკისრია მარკეტინგის კონცეფციების წარმატებით რეალიზაციისთვის. ბოლო პერიოდში ქართულ ფირმებში მარკეტინგული განყოფილებების შექმნამ გარკვეული მოთხოვნები ჩამოაყალიბა მარკეტოლოგების მიმართ. ფირმებს გაუნდათ გარკვეული მოთხოვნები: როგორი

უნდა იყოს მარკეტოლოგი, რა გამოცდილებას უნდა ფლობდეს, ხშირად ხდება ძველი კადრების ჩანაცვლება ახლით. მარკეტინგი, მარკეტოლოგის მხრიდან, გარკვეულწილად, შემოქმედებით მიდგომასაც კი საჭიროებს.

კომპანიებში შესაძლებელია იყოს: მარკეტინგის ტოპმენეჯერის, ფუნქციონალური სპეციალიზაციის მენეჯერის, სავაჭრო მარკის და საქონლის მენეჯერის, გასაღების მენეჯერის, კომუნიკაციის მენეჯერის და ფასების მენეჯერის თანამდებობრივი ერთეულები. განვიხილოთ თითოეული მათგანი [8]:

- მარკეტინგის სამსახურის სათავეში, როგორც წესი, საწარმოს ხელმძღვანელობის შემდეგ მეორე პირია მარკეტინგის დირექტორი, ანუ ფირმის ვიცეპრეზიდენტი მარკეტინგის საკითხებში. მარკეტინგის ტოპმენეჯერი – განსაზღვრავს კომპანიის მისიას, განვითარების პერსპექტივას, ახდენს მართვის პროცესებისთვის სტრუქტურის ფორმირებას (საჭიროების შემთხვევაში ახდენს არასასურველი, არაეფექტური სტრუქტურის რესტრუქტურისაციას), განსაზღვრავს საბაზრო შესაძლებლობების სტრატეგიას და ტაქტიკას, კოორდინაციას უწევს მმართველობის გეგმიურ პროცესებს, ამუშავებს შრომის მოტივაციის სისტემას – იცავს მის უსაფრთხოებას და ახორციელებს მარკეტინგული საქმიანობის კონტროლს.

- ფუნქციონალური სპეციალიზაციის მენეჯერი – წარმართავს მარკეტინგის მართვის პროცესს, ჩართულია დაგეგმვის, მარკეტინგული კვლევის, გასაღების ორგანიზაციის, მარკეტინგული კომუნიკაციის და სერვისული მომსახურების პროცესში;

- სავაჭრო მარკის ან საქონლის მენეჯერი – მიზნად ისახავს პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგიის შემუშავებას და განხორციელებას. ვალდებულია, მონაწილეობა მიიღოს მარკეტინგის ოპერატიული გეგმის ფორმირებასა და რეალიზაციაში. ახორციელებს პროდუქციის მხარდაჭერ ღონისძიებებს, მონაწილეობას იღებს ტენდერებში. მთელი მისი ძალისხმევა მიმართულია სასაქონლო პოლიტიკის ფორმირებისაკენ. დროულ ინფორმაციას აწვდის ხელმძღვანელს მოთხოვნის მოცულობის, მომხმარებელთა დამოკიდებულების ცვლილებების შესახებ და სთავაზობს მას შესაბამის წინადადებებს.

- გასაღების მენეჯერი – შეიმუშავებს უკვე მზა საქონლის გასაღების გეგმას და ახდენს მის რეალიზაციას, ასევე ამზადებს გასაღების და დისტრიბუციის პროგრამას, სავაჭრო მარკის და მარკეტინგული კომუნიკაციის მენეჯერებთან ერთად აკეთებს სიტუაციის ანალიზს, განსაზღვრავს ბაზრის კონკურენტუნარიანობას, აფასებს: საქონელმომარაობის არხებს, საწვობის მუშაობის რეჟიმს, აკონტროლებს გაყიდვების პროცესს, შეკვეთების პორტფელის ეფექტურობას და სერვისული მომსახურების სისტემას.

- რეკლამის და PR მენეჯერი – განსაზღვრავს სარეკლამო კომპანიის ჩატარების აუცილებლობას, მის ვადებს, ბიუჯეტს და ხარჯებს. თანამშრომლობს სარეკლამო სააგენტოებთან (სარეკლამო ფურცლების, ტექსტების, ბუკლეტების, მედია-დოკუმენტების მწარმოებლებთან). აქტურად თანამშრომლობს მასობრივ საინფორმაციო საშუალებებთან ფირმის შესახებ დადებითი იმიჯის ფორმირებისა და შენარჩუნების მიზნით [4].

მარკეტინგის სფეროს მმართველები ასევე არიან სპეციალისტები მენეჯმენტშიც და უკავიათ განსაკუთრებული მდგომარეობა, ვინაიდან მიზნად ისახავენ ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარებას როგორც კომპანიის თანამშრომლებს შორის, ასევე, ბაზარზე, ვინაიდან ურ ინსტიტუტებთან, სახელმწიფო ორგანოებსა და სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებთან. ამიტომაც მიმართა, რომ მარკეტინგის სპეციალისტი უნდა ფლობდეს არამარტო პროფესიულ თვისებებს, იყოს კომპეტენტური, ასევე უნდა შეეძლოს მიმდინარე პროცესების მართვა, იყოს კომუნიკაბელური და ჰქონდეს ორგანიზაციული თვისებები. გამოყოფილი ზოგიერთ მოთხოვნებს მარკეტოლოგებისადმი. მარკეტოლოგი:

- უნდა იყოს – განათლებული, ერუდირებული, ჰქონდეს ანალიზის და დასკვნის გაკეთების უნარი. მარკეტოლოგი უნდა ფლობდეს შესაბამის ცოდნას და ერკვეოდეს: მეცნიერული ტექნოლოგიების პროგრესის მიღწევებში, კომერციულ სფეროში მიმდინარე პროცესებში, წარმოებაში და ა.შ.

- ცოდნის და უნარების ერთობლიობა – იგი უნდა აერთიანებდეს მსოფლიო და ადგილობრივი მარკეტოლოგების ცოდნას, ჰქონდეს უნარი, გააერთიანოს კომპანიის ტექნოლოგიური სამსახურების შესაძლებლობები და მიმართოს ეს კომპანიის მარკეტინგის განვითარებისაკენ; ჰქონდეს უნარი მოიხილოს ნიჭიერი თანამშრომლები, მოახდინოს ფოკუსჯგუფის ფორმირება აქტუალური მარკეტინგული და ტექნოლოგიური ამოცანების გადასატარებლად. უნარი – ესაა როგორც ახალი წარმატებული სახის სასაქონლო ასორტიმენტის შექმნის, ასევე კომპანიის წარმატების წინაპირობა.

- სწორად შეადგინოს დოკუმენტები – ცნობილია, რომ მარკეტინგული დოკუმენტაცია მარკეტოლოგმა უნდა შეადგინოს საქმიანი ენით, მოკლედ (ტელეგრაფული სტილით), არ გადაუხვიოს ძირითადი არსიდან. პრაქტიკულმა კვლევებმა აჩვენა და საწარმოო კომპანიებში მომუშავე მარკეტოლოგებმაც დაადასტურეს, რომ მათ კარგად ესმით, რომ საჭიროა წერონ მოკლედ, მაგრამ ხშირად გვერდს ვერ უვლიან დოკუმენტების სიმრავლეს;

- ჰქონდეს ორგანიზატორული ნიჭი (უნარი, გადაწყვიტოს მიმდინარე და პერსპექტიული ამოცანები, მართოს ადამიანები, ნათლად მოახდინოს ამოცანის ფორმულირება და მის შესრულებაზე მომუშავეთა კოორდინირება);

- გაანდეს ბიზნესმენის თვისებები (უნარი, უხელმძღვანელოს კომპანიის სტრატეგიის შექმნას და რეალიზაციას, დაიცავს ფინანსური მოთხოვნები, მონაწილეობა მიიღოს კომპანიის ბიზნესგეგმის შემუშავების პროცესში, წინასწარ განსაზღვროს მოსალოდნელი რისკი და მისი თავიდან აცილების გზები). დრო მარკეტინგისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, მარკეტოლოგს უნდა შეეძლოს: მოუღებდნენ წარმოქმნილ შედეგებზე სწრაფი რეაგირება, ასევე, სხვადასხვა შესხედულებების, თვისებების, ხასიათის, რეგიონის, ქვეყნის ადამიანებთან საერთო ენის გამოჩახვა;

- თუკი მარკეტინგის სამსახურის ხელმძღვანელი არ არის დიპლომატიური, ტაქტიკური, მაშინ ორგანიზაციაში იქმნება არაჯანსაღი საშუალო ატმოსფერო. იგი აქტიურად უნდა ნერგავდეს კომპანიაში ინოვაციურ პროცესებს და უადვილებდეს თანამშრომლებს მიმდინარე პროცესებთან ადაპტირებას.

• მარკეტინგული საქმიანობის მართვა – მოიცავს გარკვეულ ეთიკურ მონაცემებს, რომელიც განსაზღვრავს თანამშრომლების და ხელმძღვანელობის ქცევის ნორმას. მარკეტინგული კულტურის აუცილებელი მოთხოვნაა კომუნიკაბელურობა, წერის, საუბრის, მოსმენის კულტურა;

• ფსიქო-ფიზიოლოგიური მახასიათებელი (შრომისუნარიანობა, საქმიანობის სხვადასხვა სახეობებზე გადართვის უნარი, გამძლეობა, გადაწყვეტის უნარი, გამჭრიახობა, ფართო აზროვნება, სურვილი – მოიპოვოს ხალხის კეთილგანწყობა, უნარი – კრიტიკულად შეაფასოს საკუთარი მიღწევები, უნარი – აღმოფხვრას საკუთარი უარყოფითი შტრიხები).

როგორი უნდა იყოს მარკეტინგის დირექტორი? – მარკეტინგის დირექტორმა პროდუქტის შესახებ უნდა იცოდეს ყველაფერი, დაწყებული წარმოების სტადიიდან, დამთავრებული გაყიდვის შემდგომი მომსახურებით. შესაბამისად, მასში გაერთიანებული უნდა იყოს მარკეტოლოგის, ბრენდ მენეჯერის, რეკლამის მენეჯერის და სხვათა თვისებები.

მარკეტინგის დირექტორის ამოცანაა – წარმოაჩინოს ორგანიზაციის ის თვისებები, რომელიც შემდგომში უზრუნველყოფს მის კონკურენტუნარიანობას. მას ბუღალტერისგან განსხვავებულად, უფრო ვრცლად უნდა ესმოდეს „შემოსავლის“ ცნება. გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი, ფულადი ნაკადები, მიმდინარე წმინდა ღირებულება, ინვესტიციების უკუგება, აქტივების ბრუნვა და სხვა მახასიათებლებთან დაუფიქრებელმა მიდგომამ შეიძლება კატასტროფამდე მიიყვანოს კომპანია. ამიტომაც, მარკეტინგის დირექტორი კარგად უნდა იცნობდეს საქონლის და მთლიანად ბაზრის პორტფელს და მასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ პროცესებს. მარკეტინგის დირექტორი უნდა იყოს რაციონალური და პრაგმატული პიროვნება; გააჩნდეს პასუხისმგებლობის გრძობა, ყველა დავალებას ადასრულებდეს პირნათლად – „ხარისხი არ საჭიროებს კომენტარს“, მას ძალიან კარგად უნდა ესმოდეს თითოეული მისი თანამშრომლის და შექმნას ყველაზე პირობა კომპანიაში გუნდური მუშაობისთვის.

მარკეტინგის დირექტორს მარკეტოლოგის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თვისების ფლობა სჭირდება.

ქართულ ფირმებში უპირატესობას ანიჭებენ მაღალ პროფესიულ განათლებას (ეკონომიკური ან საინჟინრო-ტექნიკური), სტაჟს – მარკეტოლოგად მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი სტაჟი. ხშირად კი პრეტენდენტის კომპეტენცია გაიზომება მისი სამუშაო გამოცდილებით საშუალო თუ დიდ ბიზნესში. თუმცა, არის შემთხვევებიც, როდესაც დამქირავებელი პირველ ადგილზე აყენებს გამოცდილებას, შემდეგ განათლებას.

**მარკეტინგის დირექტორმა უნდა იცოდეს:**

• საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი, სხვა საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები, ხელმძღვანელობის წესდებით, შინაგანაწესით, დირექტორის ბრძანებით, მარკეტინგის შესახებ კომპანიის მეთოდოლოგიური მასალით და ბაზრის საფინანსო-ეკონომიკური მონაცემებით;

• ახალ საქონლზე გადახდისუნარიანი მოთხოვნის განსაზღვრის მეთოდი, წარმოების პერსპექტიული და მიმდინარე გეგმის შემუშავება.

• კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის ძირითადი ტექნოლოგიური და კონსტრუქციული მახასიათებლები. მისი განსხვავებები და უპირატესობები საზღვარგარეთული ან ადგილობრივი წარმოების ანალოგებთან;

• გამოშვებული პროდუქციის საბაზრო კონიუნქტურის შესწავლა და მომხმარებელთა მოსალოდნელი მოთხოვნების წინასწარ განსაზღვრა.

• წარმოების ეკონომია;

• სარეკლამო საქმიანობის ორგანიზაცია;

• გამოშვებული პროდუქციის მიმართ მომხმარებელთა მოტივაციის შესწავლა;

• წარმოებული პროდუქციის შენახვის, მიწოდების და ტრანსპორტირების მოთხოვნები;

• შესწავლეს მასობრივ საინფორმაციო საშუალებებსა და დილერებთან ურთიერთობის უნარი;

• გაყიდვის შემდგომი სერვისული მომსახურების ორგანიზაცია;

• შესაძლებელ პრეტენზიებზე საპასუხო მოქმედებები;

• წარმოებული პროდუქციის სტანდარტების ფლობა;

• ტექნოლოგიის, წარმოების ორგანიზაციული პროცესების მართვის უნარი;

• საქონლის მოცულობასა და რეალიზაციაზე შესაბამისი ანგარიშის მომზადება;

• შრომის, ტექნიკური და ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნების დაცვა;

ფირმის მარკეტინგული სამსახურის ფუნქციონალური სისტემის სრულყოფით მიიღწევა ის, რომ კომპანიაში მარკეტინგული სამსახური არის კომპანიისთვის და არა პირიქით, კომპანია – მარკეტინგისათვის. ერთი მხრივ მარკეტინგული სამსახური და მარკეტინგის დირექტორი მუდმივად უნდა ვითარდებოდნენ და იცვლებოდნენ ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად. მარკეტინგის სამსახური თავის მხრივ უნდა იქცეს ბაზრის მოთხოვნის თავისებურ ანარეკლად და უზრუნველყოს ბაზარზე ფირმის მაქსიმალური ეფექტური ფუნქციონირება. მეორე მხრივ, მარკეტინგი საერთო საქმიანობაა და არ უნდა განვიხილოთ მხოლოდ მარკეტინგის თანამშრომლების მიერ შესრულებული საქმიანობა, მასში მონაწილეობას უნდა იღებდეს მთლიანად კომპანია – ეს კი დამოკიდებულია მთლიანად კომპანიის ორგანიზაციულ სტრუქტურასა და მმართველობით ფორმაზე. მარკეტინგი მაქსიმალურად ახლოსაა მომხმარებელთან – დღევანდელი კომუნიკაციის ფორმატი ორმხრივია, ინტერაქტიული და მოითხოვს ორივე მხარის აქტიურ ჩართულობას. რეკლამა კვლავ მნიშვნელოვანია, გადამწყვეტია მომხმარებელთან მუდმივი საუბარი, მისი აზრების მოსმენა და, რაც მთავარია, მათი მოთხოვნების გათვალისწინება კომპანიის საქმიანობაში, ბრენდიგში, რეკლამაში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრალავა ა. ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები, თბ., 2014.
2. ერჰარდი ლ. კეთილდღეობა ყველასათვის (თარგმანი გერმანულიდან ა.აბრალავას მთავარი რედაქტორობით და წინასიტყვაობით), თბ., 2001.
3. КотлерФ. Маркетинг-менеджмент. Пер. с англ. М., 2005.

4. Котлер Ф. Маркетинг от А до Я. Пер. с англ. 5-е издание М., 2013, с. 173.
5. Романова А.Н. Маркетинг, Москва, 1998.
6. Герчилова И.Н. Маркетинг и международное коммерческое дело. Москва 1990.
7. Черчилль Г., Браун Т. Маркетинговые исследования. 5-е изд. Питер, 2007.
8. А. В. Короткова, И.М. Синяева. Управление маркетингом, М., 2005, с. 291.
9. <http://library.iliauni.edu.ge>
10. <http://geoeconomics.ge/>
11. <http://www.nplg.gov.ge>
12. [http://deming.ru/Books/Vihod\\_Iz\\_Krizis.htm](http://deming.ru/Books/Vihod_Iz_Krizis.htm)

*Ana Tsulaia*

**THE MAJOR TRENDS OF IMPROVING THE FIRMS MARKETING SERVICE FUNCTIONAL SYSTEM**

**Annotation**

In the given work the role and place of a service of marketing in conditions of market economy, its meaning in management of firm is considered. Marketing activity of firm together with industrial, financial, marketing, technological, personnel, trade and other kinds of activity create the integrated process, which is directed to satisfaction of the consumer market and reception of the profit.

The greatest number of firms aspire to create working marketing system or it is principle make reorganization already existing. The structure of a service of management of marketing does not represent sample model, it can change according to concrete conditions facing it. It is principle that the manager of marketing be a good organizer.

The article focuses on the basic requirements of marketers and marketing directors in Georgian companies. They should be highly professional qualities, competent, communicative, manage current processes, have an organizational properties, which will help the company in the formation of the effective marketing and its efficient competitiveness.

*გიორგი ხარშილაძე*

**საბიუჯეტო პოლიტიკა და ტენდენციები კონსტრუქციულ სამართლებლოში**

საქართველოს საბიუჯეტო პოლიტიკის სამართლებრივ ბაზისს წარმოადგენს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ 2009 წლის 18 დეკემბერს იქნა მიღებული და 2010 წლის 1 იანვრიდან შევიდა ძალაში. საბიუჯეტო კოდექსმა შეცვალა ადრე ცალკე მოქმედი სამი საკანონმდებლო აქტი და რამდენიმე ახალი რეგულაცია დააწესა საბიუჯეტო სისტემაში (მ.შ. არსებითი პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტების დეფინიციის შემოღება, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების ვალდებულება). საბიუჯეტო კოდექსით გაუქმებული საკანონმდებლო აქტებია: „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონი; „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტების შესახებ“ საქართველოს კანონი; „შემოსულობების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“ საქართველოს კანონი. ნაცვლად პრინციპულად და სისტემურად ახალი რეგულაციების დაწესებისა, ახალმა საბიუჯეტო კოდექსმა მექანიკურად გააერთიანა ზემოაღნიშნული სამი საკანონმდებლო აქტი და მხოლოდ მცირედი სიახლეები დააწესა.

2004 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტში სამჯერ შევიდა ცვლილება, რაც გამოწვეული იყო დაგეგმილ საპროგნოზო შემოსავლებზე ბიუჯეტის შემოსავლების ფაქტობრივი მობილიზაციის გადაჭარბებით. შესაბამისად, შედიოდა ცვლილებები სხვა დონის ბიუჯეტებშიც.

შემდგომ წლებშიც, ყოველწლიურად, ადგილი ჰქონდა რამდენჯერმე დამტკიცებულ საბიუჯეტო კანონში ცვლილებების შეტანას იმ განსხვავებით, რომ, თუ 2004 წლამდე ეს ცვლილებები ძირითადად ითვალისწინებდა ბიუჯეტის შემოსავლითი და ხარჯითი ნაწილის სეკესტრსა და შემცირებას, 2004 წლიდან ყოველი ასეთი ცვლილება შემოსავლებისა და საბიუჯეტო გადასახდლების გეგმას ზრდიდა. მაგალითისთვის, 2004 წელს, თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტებთან შედარებით, წლიური ბიუჯეტის ბოლო ვარიანტში სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების პროგნოზი გაიზარდა 22.3%-ით, 2005 წელს – 28.4%-ით, 2006 წელს – 17.4%-ით, 2007 წელს – 37.5%-ით, 2008 წელს – 9.9%-ით, 2009 წელს მოხდა შემცირება 8.5%-ით. 2010 წელს კი ადღა ტენდენცია და კვლავ მოხდა მცირე ზრდა – 2.8%-ით [1, გვ. 77]. 2011 წელს გაიზარდა 20%-ით, 2012 წელს თითქმის 9%-ით, ხოლო 2013 წელს 4%-ით. შემოსავლების ფაქტობრივი მობილიზება კიდევ უფრო მეტი იყო ყოველწლიურად, ვიდრე დაიგეგმა დამტკიცებული ბიუჯეტების საბოლოო ვარიანტებში. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ 2013 წელი, როდესაც ვერ მოხერხდა დამტკიცებული ბიუჯეტის როგორც საშემოსავლო, ისე ხარჯვითი ნაწილის შესრულება.

ნამოყალიბებული ტრადიცია, როდესაც დამტკიცებულ ბიუჯეტში წლის განმავლობაში რამდენჯერმე შედის ცვლილება და, საბოლოოდ, ბიუჯეტის მოცულობა მკვეთრად განსხვავდება თავდაპირველი ვარიანტისაგან, მიუთითებს გარკვეულ მახასიათებლებზე. ერთი მხრივ, ეს უკავშირდება ბიუჯეტის დაგეგმვის და პროგნოზირების პრობლემას, მეორე მხრივ – ბიუჯეტში შემოსავლების სულ უფრო მზარდ მობილიზაციას. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლითი ნაწილის ზრდა 2004-2006 წლებში ნახტომისებურად მოხდა და შემდგომაც გააგრძელა მზარდი ტენდენცია. მაგალითისთვის, 2004 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული შემოსავლები შეადგენდა 1773.90 მლნ ლარს, ხოლო 2013 წლისთვის მან მიაღწია 6917.0 მლნ ლარს, ანუ თითქმის გაოთხმაგდა [2].

2007 წელს დაწყებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა საქართველოს ეკონომიკაზე ცუდი ზეგავლენა მოახდინა. შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტმაც გარკვეული ტიპის ცვლილებები განიცადა. იმის თქმა, თუ რომელმა ფაქტორმა მოახდინა საქართველოს საბიუჯეტო პოლიტიკაზე ზეგავლენა, ძალზე რთულია, მაგრამ ფაქტია, რომ 2009 წელს მშპ-ს 3,8%-იანი ვარდნა დაფიქსირდა, ხოლო

სახელმწიფო ბიუჯეტში 2-ჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები შემცირების მიმართულებით. თავდაპირველად, 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით, საგადასახადო შემოსავლები განისაზღვრა 4,760 მლრდ ლარით, მაგრამ ჯერ ივლისში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ხოლო შემდეგ 2009 წლის ბოლოს, საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მანუვრებელმა შეადგინა 4,139 მლრდ ლარი, (13,1%-იანი კლება) [3]. რომ არა დონორთა დახმარება, ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო რთული იქნებოდა, ხოლო ბიუჯეტის დეფიციტი გაცილებით მაღალი. შედეგად მივიღეთ ეკონომიკურად შედარებით მდგრადი მდგომარეობა, ანუ, სხვა სიტყვებით, თავიდან ავიცილეთ ეკონომიკური კოლაფსი.

2004 წელს, წინა წელთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის ფაქტობრივმა შემოსავლებმა მკვეთრი, 68%-იანი ზრდა განიცადა. ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები შემდგომაც იზრდებოდა საკმაოდ მაღალი ტემპებით: 2005 წელს – 25%-ით, 2006 წელს – 36%-ით, 2007 წელს – 29%-ით, 2008 წელს – 18%-ით, 2009 წელს შემცირდა წინა წელთან შედარებით 10%-ით, თუმცა 2010 წელს კვლავ 11%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით.

კიდევ უფრო მზარდი იყო საგადასახადო შემოსავლების ზრდის დინამიკა: 2004 წელს, წინა წელთან შედარებით, 52%-ით გაიზარდა, 2005 წელს – 30%-ით, 2006 წელს – 33%-ით, 2007 წელს – 39%-ით და 2008 წელს – 30%-ით. 2009 წელს საგადასახადო შემოსავლებშიც 8%-იანი ვარდნა დაფიქსირდა, ხოლო 2010 წელს კვლავ გაიზარდა 11%-ით, 2013 წელს კი კვლავ შემცირდა 1,7%-ით. ნომინალური მშპ-ს საკმაოდ სწრაფი ტემპებით ზრდის ფონზე, ნაერთი ბიუჯეტის როგორც მთლიანი შემოსავლები, ისე საგადასახადო შემოსავლები იზრდებოდა არა მარტო აბსოლუტურ მანუვრებელში, არამედ პროცენტულადაც მშპ-ს მიმართ. ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი შემოსავლების წილი მშპ-თან მიმართებაში 2004 წელს წინა წელთან შედარებით მკვეთრად – 7%-ით გაიზარდა, კერძოდ, 16%-დან 23%-მდე. შემდგომ ზრდის ტენდენცია შენარჩუნებული იქნა 2008 წლის ჩათვლით და მიაღწია 31%-ს. 2012-2013 წელს კი ოდნავ შემცირდა, შესაბამისად, 28,9%-მდე და 27,7%-მდე.

ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების მზარდი დინამიკა აისახა საბიუჯეტო ხარჯებზეც. კერძოდ, 2004 წელს, წინა წელთან მიმართებაში, მშპ-ს წილში საბიუჯეტო ხარჯები 15%-დან 19%-მდე გაიზარდა. მზარდი ტენდენცია იყო კრიზისული 2009 წლის ჩათვლითაც და ამ წელს 30%-ს მიაღწია, მიუხედავად იმისა, რომ, ამავდროულად, სხვა ეკონომიკურ პარამეტრებში, მათ შორის საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზებაში მკვეთრი დაცემა იყო და დეფიციტიც გაიზარდა. 2013 წელს მშპ-თან მიმართებაში ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების წილი შემცირდა 25%-მდე.

2004 წელს, წინა წელთან შედარებით, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები გაიზარდა 44,6%-ით, ანუ 378,700 ათასი ლარიდან 547,600 ათას ლარამდე. 2005 წელს ზრდა წინა წელთან შედარებით ნაკლები იყო და – 1,9% შეადგინა. 2006-2008 წლებში სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების საკმაოდ მაღალი ზრდა დაფიქსირდა, შესაბამისად, 18,5%, 41,17% და 44,3%-ით. 2012-2013 წლებში სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების ზრდის ტემპმა იკლო, შესაბამისად, 11,8%-დან 7,8%-მდე.

*ცხრილი 1*

**ნაერთი ბიუჯეტის მანუვრებლები<sup>242</sup>**

	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
<b>მშპ საბაზრო ფასებში (ათასი ლარი)</b>	<b>9824.3</b>	<b>11620.9</b>	<b>13789.9</b>	<b>16993.8</b>	<b>19074.9</b>	<b>17986.0</b>	<b>20743.4</b>	<b>24344.0</b>	<b>26167.3</b>	<b>26847.4</b>
ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები (ათასი ლარი)	2266.9	2828.9	3850.2	4972.7	5854.2	5264.5	5865.8	6873.7	7560.0	7434.3
შემოსავლების ცვლილება წინა წელთან მიმართებაში (პროცენტი)	68.5	24.8	36.1	29.2	17.7	-10.1	11.4	17.2	10.0	-1.7
ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების წილი მშპ-თან (%)	23.1	24.3	27.9	29.3	30.7	29.3	28.3	28.2	28.9	27.7
ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების (ათასი ლარი)	1835.8	2425.9	2978.7	4379.0	5410.9	5397.1	5480.3	5786.6	6495.7	6723.1
ხარჯების ცვლილება წინა წელთან მიმართებაში (პროცენტი)	45.5	32.1	22.8	47.0	23.6	-0.3	1.5	5.6	12.3	3.5
ნაერთი ბიუჯეტის ხარჯების წილი მშპ-თან (%)	18.7	20.9	21.6	25.8	28.4	30.0	26.4	23.8	24.8	25.0
ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები (ათასი ლარი)	1530.2	1982.8	2646.6	3669.0	4752.7	4388.9	4867.5	6134.8	6671.0	6659.3
საგადასახადო შემოსავლების ცვლილება წინა წელთან მიმართებაში (პროცენტი)	52.1	29.6	33.5	38.6	29.5	-7.7	10.9	26.0	8.7	-0.2
საგადასახადო შემოსავლის წილი მშპ-თან (პროცენტი)	15.6	17.1	19.2	21.6	24.9	24.4	23.5	25.2	25.5	24.8

<sup>242</sup> [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=313&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=313&lang=geo)

სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები	547.6	558.1	661.4	933.7	1347.4	1505.9	1623.6	1655.5	1857.6	2294.9
სოციალური ხარჯების ცველილება წინა წელთან შედარებით (%)	44.6	1.9	18.5	41.2	44.3	11.8	7.8	2.0	12.2	23.5
სოციალური ხარჯების წილი მშპ-ში	5.6	4.8	4.8	5.5	7.1	8.4	7.8	6.8	7.1	8.5
ნაერთ ბიუჯეტში სოციალური ხარჯების წილი (%)	29.8	23.0	22.2	21.3	24.9	27.9	29.6	28.6	28.6	34.1

2004-2007 წლებში ნაერთი ბიუჯეტის მთლიან ხარჯებთან მიმართებაში სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების წილი მცირდებოდა, შესაბამისად, 30%-დან 21.3%-მდე. 2008-2013 წლებში კი აღნიშნული წილის ზრდის ტენდენცია დაფიქსირდა და, შესაბამისად, შეადგინა 24.9%, 27.9% და 29.6%, 28.6%, 28.6% და 34.1%. მშპ-თან მიმართებაში სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებთან დაკავშირებით შესაძლებელია გამოიყოს ორი ეტაპი: 2004-2007 წლები, როდესაც ეს წილი შეადგენდა, შესაბამისად, 5.6%, 4.8%, 4.8% და 5.5%-ს და 2008-2013 წლები, როდესაც მშპ-თან მიმართებაში სოციალური ხარჯები გაიზარდა, შესაბამისად, 7.1%, 8.4%, 7.8%, 6.8%, 7.1% და 8.5%-მდე.

მნიშვნელოვანია ამ პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფუნქციური სტრუქტურაც. ამ მხრივ, საკუთრივ ფუნქციურ კლასიფიკაციაში გარკვეული ცვლილებები მოხდა. შესაბამისად, გასათვალისწინებელია 2007 წლამდე და 2007-2013 წლების პერიოდების ხარჯების განხილვისას.

2004 წელს, წინა წელთან შედარებით, ყველაზე მეტად გაიზარდა თავდაცვის ხარჯები – 60,391.80 ათასი ლარიდან 158,749.04 ათას ლარამდე, რაც თითქმის სამმაგი ზრდაა ნომინალურ გამოხატულებაში. თავდაცვის სფეროს წილი 2004 წელს შეადგინა ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების 8.2%, როცა წინა წელს 5%-ს შეადგენდა. შემდგომ წლებში კვლავ იზრდებოდა თავდაცვის ხარჯების წილი – 2005 წელს 145%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით და მთლიანი ხარჯების 14.87% შეადგინა, 2006 წელს კი კვლავ გაორმაგდა წინა წელთან შედარებით და მთლიანი ხარჯების 18.8% შეადგინა.

თავდაცვის ხარჯების ზრდა შემდგომ წლებშიც გაიზარდა და, შესაბამისად, 2007 წელს შეადგინა მთლიანი ხარჯების 28.65%, 2008 წელს კი – 24%, მხოლოდ 2009 და 2010 წელს დაიწყო თავდაცვის ხარჯებმა შემცირება, კერძოდ, 2009 წელს თითქმის განახევრდა წინა წელთან შედარებით და მთლიანი ხარჯების 13.8% შეადგინა, ხოლო 2010 წელს კიდევ უფრო შემცირდა და 10.3% შეადგინა.

ასეთივე მკვეთრი ზრდის დინამიკა დაფიქსირდა საბიუჯეტო ხარჯების სხვა მიმართულებით, კერძოდ, “საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების” სფეროში, რომელიც 2004 წელს, წინა წელთან შედარებით, გაორმაგდა და ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების 12.3% შეადგინა. შემდგომაც გაგრძელდა მკვეთრი ზრდის ტენდენცია 2008 წლის ჩათვლით, როდესაც ამ სფეროში ხარჯებმა 983,461.30 ათასი ლარი და ბიუჯეტის ხარჯების 15% შეადგინა, მაშინ, როდესაც 2004 წელს აბსოლუტურ გამოხატულებაში 237,432.90 ათასი ლარი იყო. 2009-2010 წლებში ოდნავ შემცირდა ამ მუხლით გაწეული დანახარჯები და, შესაბამისად, მთლიანი ხარჯების 13.8% (853,143.30 ათასი ლარი) და 10.3% (829,063.70 ათასი ლარი) შეადგინა.

ასეთივე მკვეთრი ზრდა ფიქსირდება “ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის” სფეროში, რომელიც 2004-2005 წლებში გაორმაგდა წინა წლებთან შედარებით, 2006 წელს კი 44%-ით გაიზარდა. 2007 წლიდან ბიუჯეტის ახალი კლასიფიკატორის მიხედვით, ეს მუხლი შევიდა ეკონომიკურ საქმიანობაში, რომელიც ძირითადად მოიცავს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციას. “ვარდების რევოლუციის” შემდგომ პერიოდში ამ სფეროში დანახარჯები ბიუჯეტის მთლიანი დანახარჯების საშუალოდ 4-5%-ის ფარგლებში მერყეობს.


სოფლის მეურნეობაზე გაწეული დანახარჯების მიხედვით, აბსოლუტურ მაჩვენებლებში მცირედით ზრდის ტენდენცია ფიქსირდებოდა, თუმცა ეს მუხლი ბიუჯეტის საერთო დანახარჯების მხოლოდ 2%-ის ფარგლებში რჩებოდა ყოველწლიურად. ამასთან, ეს სფეროც 2007 წლიდან „ეკონომიკური საქმიანობის“ მუხლში იქნა ინტეგრირებული.

საინტერესო სურათია სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტთან დაკავშირებითაც. 2008 წლის 1 იანვრამდე და მის შემდგომ ბიუჯეტის ფორმატი და სტრუქტურა არსებითად განსხვავდებოდა. ძველი მეთოდოლოგიით, 2004-2007 წლებში დამტკიცებული ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტით გათვალისწინებული იყო დეფიციტები: 2004 წელს – (184,066.50) ათასი ლარი, 2005 წელს – (344,390.00) ათასი ლარი, 2006 წელს – (277,174.00) ათასი ლარი და 2007 წელს – (365,526.70) ათასი ლარი. ფაქტობრივი დეფიციტი ამ წლებში შესაბამისად შეადგენდა: 2004 – 211,738.00 ათასი ლარი, 2005 – 98,962.60 ათასი ლარი, 2006 – 48,454.80 ათასი ლარი, 2007 – 78,124.10 ათასი ლარი.

2008 წლის 1 იანვრიდან შემოვიდა ბიუჯეტის დეფიციტის დაანგარიშების ახალი მეთოდოლოგია. დეფიციტი გამოხატულია ბიუჯეტის მთლიან სალდოში, რომლის მიხედვითაც 2008-2013 წლებში დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, დაგეგმილი იყო უარყოფითი მთლიანი სალდოები: 2008 წელი – 517,652.1 ათასი ლარი, 2009 წელი – 1,299,347.80 ათასი ლარი, 2010 წელი – -1,053,233.7 ათასი ლარი, 2011 წელს თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტით მთლიანი სალდო განისაზღვრა 362,278.4 ათასი ლარი, ხოლო დაზუსტების შემდეგ კი 282,742.5 ათასი ლარი.



სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი საღებო 2004-2013 წლებში (მლნ ლარი)<sup>243</sup>



ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა 2012-2013 წლებში და დაზუსტებული გეგმით 2012 წელს მთლიანი საღებო განისაზღვრა 297,293.9 ათასი ლარით, ხოლო 2013 წელს 372,664.7 ათასი ლარით. საყურადღებოა, რომ ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად, პოსტფაქტუმ შეიცვალა 2004-2007 წლების ბიუჯეტებთან დაკავშირებული მანუენებლები. ანუ, მიუხედავად იმისა, რომ 2004-2007 წლებში როგორც დამტკიცებულ ბიუჯეტებში, ისე ფაქტობრივად დეფიციტის დაფინანსების წყაროებში სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენდა დეფიციტურს, ახალი მეთოდოლოგიით, მთლიანი საღებო ამ პერიოდში გახდა დადებითი: შესაბამისად, 2004 წელს – 52.600,00 ათასი ლარი, 2005 წელს – 177.200,00 ათასი ლარი, 2006 წელს – 345.200,00 ათასი ლარი, 2007 წელს – 129.600,00 ათასი ლარი. მიუხედავად იმისა, რომ 2004-2007 წლების ბიუჯეტები ახალი მეთოდოლოგიით პროფიციტულად იქნა გადათარგმნილი, ეკონომიკური თვალსაზრისით, ის თავისი არსით წარმოადგენს დეფიციტურს, შესაბამისი დეფიციტის დაფინანსების წყაროებით. 2008-2013 წლების ბიუჯეტები კი ორივე მეთოდოლოგიით დეფიციტურს წარმოადგენს. შესაბამისად, 2004-2013 წლების ყველა ბიუჯეტი დეფიციტური იყო. ამასთან, 2009 და 2010 წლებში დეფიციტი მკვეთრად მაღალი იყო, შესაბამისად, (1,196,966.00) ათასი ლარი და (918,600,00) ათასი ლარი, რაც ბიუჯეტის ფაქტობრივი ხარჯების მიმართ შეადგენს, შესაბამისად, 19.08%-ს და 14.16%-ს. გასათვალისწინებელია, რომ წინა წლებში, გარდა 2004 წლისა, როდესაც ბიუჯეტის დეფიციტი ფაქტობრივი ხარჯების მიმართ 11%-ს შეადგენდა, ორნიშნა პროცენტი არ დაფიქსირებულა.

**გამოყენებული ლიტერატურა**

- 1.ლიბერალური აკადემია თბილისი - საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია: დამოუკიდებლობის 20 წელი.
- 2.საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)
- 3.საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, გვ.2.
- 4.საქართველოს 2004-2013 წლების სახელმწიფო ბიუჯეტი.
- 5.საქართველოს 2004-2013 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

*Giorgi Kharshiladze*

**BUDGET POLICY AND TENDENCIES IN POSTCOMMUNIS GEORGIA  
Annotation**

In this article is presented and analyzed Georgian state budget tendencies and policy, in 2004-2013 years. There are analyzed dynamics and of state budget revenues and costs and their correlation to the gross domestic products. There are detailed analyzed state budget deficit and functional structure of the budget itself.

*დავით ხაჯორია*

**ინფორმაციული ლოგისტიკის როლი ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებაში**

ლოგისტიკური სისტემის ელემენტებს შორის ინფორმაცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია. თუმცა, ინფორმაცია განიხილება, როგორც ელემენტი მთლიანი ლოგისტიკური სისტემის დონეზე. დეტალური განიხილის ჩანს, რომ ინფორმაციული სისტემა რთული სისტემაა, რომელიც რამდენიმე ქვესისტემისგან შედგება.

თანამედროვე წარმოებაში ინფორმაციული უზრუნველყოფის როლი გაიზარდა, ის შედგება ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავებისგან, რაც აუცილებელია სწორი, საფუძვლიანი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისთვის, წარმოების მართვის დონის ამაღლებისა და ქვედანაყოფებს შორის თანამედროვე ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის საშუალებებით ინფორმაციის გაცვლისთვის.

<sup>243</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=313&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=313&lang=geo)

ურთიერთდამოკიდებული კომერციული სტრუქტურების, საწარმოების ნორმალური ფუნქციონირებისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ზუსტი, სარწმუნო ინფორმაციის ოპერატიული გადაცემა, ამიტომაც ის მნიშვნელოვან დანიშნულებას იძენს ოპერატიულობის უზრუნველყოფის და ინფორმაციის მართებულობისთვის. ინფორმაციული უზრუნველყოფის ხასიათი განისაზღვრება მმართველობითი რგოლის მოთხოვნით, რომელიც წარმოიშობა მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისას. ინფორმაციისადმი მოთხოვნებია:

- ინფორმაცია ობიექტზე და ხარისხზე – მოკლე, ზუსტი ფორმულირება, დროული მიწოდება და მიღება.
- მიზანმიმართულება - კონკრეტული მოთხოვნების დაკმაყოფილება.
- სიზუსტე - პირველადი მონაცემების სწრაფი გადარჩევა, ოპტიმიზაცია, მონაცემთა უწყვეტი შეგროვება და გადაამუშავება.

მატერიალური ღირებულებების მიმოქცევა დაკავშირებულია ინფორმაციის გადაცემაზე. ზოგიერთი შეტყობინება ასწრებს ტვირთს, რაც მიმდებს საშუალებას აძლევს, მოემზადოს მიღებისათვის. მონაცემები, რომლებიც თან სდევს ტვირთს, ტვირთის დახასიათების საშუალებას იძლევა. განსაზღვრავს მის რაოდენობას, ხარისხს, გამომგზავს. ამასთანავე, უკონკრეტებს მას მიმდებს. შესაძლებელია სხვა თან სდევს მატერიალურ ნაკადებს, რომელიც ისევე უკან ბრუნდება (მიღების დადასტურება, ფაქტურირება, დამატებითი შეკვეთები, მოთხოვნები და სხვ.).

საბაზრო ურთიერთობების შეწყობამ არსებულ ინფრასტრუქტურასა და სტრატეგიულ მართვასთან, ჩამოყალიბდა დომინირებული მიმართულებები საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებაში, რომელიც საჭიროებს შემდეგს:

- ინფორმაციული პროდუქტების პროგრამული საშუალებების, მონაცემთა ბაზისა და ექსპერტული უზრუნველყოფის სამსახურის ჩამოყალიბება და განვითარება, ეინიდან კარგად შესრულებული ინფორმაციული პროდუქტი უფრო ხანგრძლივად ინარჩუნებს ღირებულებას ვიდრე კონკრეტული ინფორმაციის მატარებელი.

- ინფორმაციული ტექნოლოგიების ლოგისტიკურ ელემენტებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესება, რაც მდგომარეობს მხარეებს შორის ინფორმაციული პროდუქციის გაცვლაში.

- ახალი ტექნოლოგიების დანერგვით შუალედური რგოლების ნაწილის ლიკვიდაცია, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის გარდასახვას ხელმისაწვდომ და მოსახერხებელ ფორმებში მომხმარებლის მიერ დროული გამოყენებისთვის. ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები ხელს უწყობს მყიდველსა და გამყიდველს შორის არსებული შუალედური რგოლების მინიმუმამდე დაყვანას.

- ინფორმაციული ბაზის გლობალიზაცია, ეს საშუალებას აძლევს ფირმებსა და ტრანსნაციონალურ კორპორაციებს, მსოფლიო მასშტაბებით აწარმოონ საქმეები, შეასრულონ მომგებიანი ოპერაციები, უფრო ეფექტიანად გამოიყენონ ბაზრის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციები. „გლობალიზაცია არ იძლევა განვითარების გარანტიას, იგი მხოლოდ ამის შესაძლებლობას ქმნის, ხელს უწყობს მსოფლიო მასშტაბით რესურსების ეფექტიან გამოყენებას, მეცნიერული მიღწევების მოკლე დროში დანერგვას, რესურსდამზოგველი და ნაკლებნარჩენიანი ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელებას, კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას, ფინანსური კაპიტალის მობილურობის ზრდას“ [1].

დროთა განმავლობაში ეს ტენდენციები გავლენას ახდენს კომერციული გარიგების ინფორმაციულ მხარეზე. „კომერციული თვალსაზრისით ინფორმაციისადმი წაყენებული მთავარი მოთხოვნებია: მოქნილობა, სიზუსტე, განახლების უწყვეტობა და დროულობა“ [2]. სავაჭრო ოპერაციების განხორციელებისას ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემის გამოყენება ლოგისტიკური მეთოდით გაცილებით მაღალ ეფექტს იძლევა, ვიდრე არსებული მეთოდით მიდგომა.

ინფორმაციული სისტემა შედგება ინფორმაციის გადამამუშავებელ, შიდა და გარე არხებზე გადაცემის კომპონენტებისაგან. ინფორმაციულ მმართველობითი სისტემა თანმიმდევრულად ახორციელებს ორგანიზაციაში ერთიანი ინფორმაციული პროცესის პრინციპებს ტექნიკური საშუალებების მიღების გზით. შეგროვება, გადაამუშავება და ინფორმაციის გადაცემა მნიშვნელოვანია ანალიტიკური პროგნოზისა და სტატისტიკისთვის.

სამეწარმეო-სამეურნეო ქვედანაყოფების ურთიერთობები საწარმოებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინფორმაციით, როგორც „ქვემოდან – ზემოთ“, ასევე „ზემოდან – ქვემოთ“.

ეფექტიანობის ასამაღლებლად ინფორმაციული სისტემის გამოყენება მიიღწევა გამჭოლი (პირდაპირი) გზებით და ინფორმაციული სისტემის ერთობლიობით, რომელიც საშუალებას იძლევა, ავიცილოთ დუბლირება და უზრუნველყოთ ინფორმაციის მრავალჯერადი გამოყენება, ამასთანავე, საშუალებას იძლევა, დაგადგინოთ ინტეგრირებული კავშირების განსხვავება, რაც სწრაფად ამადლებს მანევენებელთა რაოდენობას და ინფორმაციული ნაკადების მოცულობას, ინფორმაციის გამოყენების ხარისხს და დამაჯერებლობას.

თანამედროვე ეტაპზე მასიურად ხდება გადასვლა ცალკეული მმართველობითი ინფორმაციული სისტემიდან ინფორმაციის გადაამუშავების, შენახვის და გადაცემის ერთიანი მმართველობითი სისტემაზე.

ინფორმაციის გადაცემის სფეროში მისი საბოლოო მიზნის უზრუნველსაყოფად, ხდება ინფორმაციული მართვის კუთხით საქმიანობის მიმართულების შეცვლა ორგანიზაციის სხვადასხვა მმართველობითი საფეხურების საჭირო ინფორმაციით დასაკმაყოფილებლად. მთავარი ყურადღება ეთმობა ამოცანების ზუსტად ფორმირებას, რომელიც წარმოიშობა ოპერატიულ მმართველობით სფეროში მოკლე დროში ინფორმაციის მიღებით აუცილებელი გადაწყვეტილებების მისაღებად. „ორგანიზაციაში ლოგისტიკური ინფორმაციული სისტემის გამოყენება მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს, არანაკლებ მნიშვნელოვანია ანალიზურ მუშაობაში მისი გამოყენება. ამ დროს ასახვევ ანალიზის გამოყენების სამ დონეს:

- მაკროდონე, ლოგისტიკის გარემო;
- მიკროდონე, შიდა საფირმო გარემო;
- ფირმათაშორისი დონე, კავშირი სხვა კომპანიებთან.

ამ ასპექტში მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც იმყოფება ლოგისტიკის კომპეტენციაში, ეხება ელექტრონულ გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებას“ [2]. საჭირო ინფორმაციის ხასიათიდან გამომდინარე გა-

ნისაზღვრება შესაბამისი ტექნიკური საშუალებები და ინფორმაციული გადაამუშავების მეთოდები, ამავდროულად, ინტელექტუალური ტექნოლოგიები ინტელექტუალური საქმიანობის განსახორციელებლად.

ინფორმაციული ლოგისტიკა წარმოადგენს ღონისძიებათა კომპლექსურ სისტემას, რომელიც მიმართულია ინფორმაციის წარმოების მართვაზე, მისი მინიმალური შეფერხებებით მოძრაობაზე. ამავდროულად, ორგანიზებას უკეთებს მონაცემთა ნაკადს მატერიალურ ნაკადთან ერთად და გვევლინება სამეწარმეო რგოლის განმასხვრციელებლად, რომელიც აკავშირებს მომარაგებას, წარმოებას და გასაღებას. მონაცემთა გამოყენება სასაქონლო ნაკადში ინფორმაციული მომსახურების კომპიუტერული ქსელების დახმარებით, განასხვავებს ლოგისტიკური დანახარჯების წილს მომარაგების მართვის მოდელში.

ინფორმაციების გამოყენების უფრო მაღალ სტადიაზე გადასვლა მსოფლიო ეკონომიკური სტრუქტურების შეცვლის თანხლებია. ამ ცვლილებების მხარდაჭერია ტელეკომუნიკაციებისა და გლობალური ქსელების განვითარება. სწორედ გლობალურმა ქსელებმა შექმნა „ინფორმაციული ცივილიზაცია“, რომელმაც ხელი შეუწყო ეკონომიკაში ახალი ლოგისტიკური სტრუქტურის ჩამოყალიბებას.

რესურსები, რომელიც დომინირებს ეკონომიკაში ინფორმაციული ფორმაციით, უკვე არ გამოირჩევა, როგორც ადღენილი და შემოსაზღვრული, არამედ, როგორც ერთდროულად უნიკალური და საყოველთაო.

ეკონომიკური სივრცის სტრუქტურისა და ერთი მხრივ აისხნება მრავალფუნქციური ინსტრუმენტული საშუალებების განვითარებით – გლობალური ქსელების აპარატი. მეორე მხრივ – დიდი ინვესტიციებით და ტრანსნაციონალური ხარჯებით ძირითადი ინფორმაციული რესურსის ფორმირებაზე. შესაძლებლობა ასეთი ხარჯებისა გააჩნიათ და ჩანს, რომ მომგებიანია მხოლოდ მსხვილი კომპანიებისთვის, საბანკო გაერთიანებებისთვის, სახელმწიფო ორგანიზაციებისთვის და სხვ. კომპანიები, რომლებიც იყენებენ კომპიუტერულ ტექნიკას გადაწყვეტილებების სფეროში, მიუხედავად დიდი პრობლემებისა, საბოლოო ანგარიშით მეტს იგებენ [2].

იმისთვის, რომ წარმოებებმა შეძლონ ოპერატიული რეაგირება ბაზრის მოთხოვნებზე, მათ უნდა აამაღლონ:

- საქმიანობის გამჭვირვალობა (აქტუალური განწყობა ბაზრის მდგომარეობისა და განვითარების მიმართ);
- მოქნილობა (ბაზრის მოთხოვნის ცვლილებებზე სწრაფი რეაგირება);
- ეფექტიანობა (ბაზრის მოთხოვნა უნდა სრულდებოდეს მინიმალური დანახარჯით, რათა საწარმომ შეინარჩუნოს კონკურენტუნარიანობა).

ინფორმაციულ სისტემებს (ამ შემთხვევაში გლობალური), რომლებიც დაფუძნებულია თანამედროვე გამოთვლელი ტექნიკის გამოყენებაზე, შეუძლიათ მნიშვნელოვნად შეუწყონ ხელი ამ მოთხოვნების შესრულებას.

ნებისმიერი ლოგისტიკური სისტემა იმართება ინფორმაციული და მაკონტროლებელი ქვესისტემის მეშვეობით. ეს ქვესისტემა გადასცემს შეკვეთებს, მოთხოვნებს ტვირთის გადატანაზე, იცავს მარაგის დონეს. ის არის ძირითადი ინფორმაციული სისტემის ნაწილი, ამიტომაც ძნელია მისი იდენტიფიცირება მიზნების ეფექტიანობის განსაზღვრაში.

ინფორმაციული სისტემა ისე, როგორც ნებისმიერი სხვა სისტემა, უნდა შედგებოდეს მომწესრიგებელურთიერთდაკავშირებული კომპონენტებისგან და, ერთობლიობაში, უზრუნველყოფდეს სწრაფ და ხარისხიან ფუნქციონირებას. ხშირად ინფორმაციული სისტემები იყოფა ორ ქვესისტემად: ფუნქციონალურ და უზრუნველმყოფად.

ფუნქციონალური სისტემა ამოცანების გადასაწყვეტი ერთობლიობისაგან შედგება, რომელიც დაჯგუფებულია მიზნების ნიშან-თვისებებით. უზრუნველყოფი გულისხმობს შემდეგი ელემენტების ჩართვას:

- ტექნიკური უზრუნველყოფა, ანუ ტექნიკური საშუალებების ერთობლიობა, რომელიც ინფორმაციული ნაკადის მიღებას და გადაცემას უზრუნველყოფს;
- ინფორმაციული უზრუნველყოფა, რომელშიც ჩართულია სხვადასხვა ცნობარები, კლასიფიკატორები, კოდიფიკატორები, მონაცემთა ფორმალიზებული აღწერის საშუალებები;
- მათემატიკური უზრუნველყოფა, ანუ ფუნქციონალური ამოცანების გადაჭრული მეთოდების ერთობლიობა.

ინფორმაციული სისტემა უნდა იყოს მოქნილი ნებისმიერი დაბრკოლებისას. მნიშვნელოვანია, რომ ერთ ქვედანაყოფში თუ შეიქმნა შეფერხება, მან არ უნდა იმოქმედოს სხვა ქვედანაყოფის საქმიანობაზე. ანუ სისტემაში უნდა არსებობდეს მცირე და სწრაფი რეგულირების ჯაჭვი (დეცენტრალიზებული), რომელსაც შეუძლია გარკვეული დროის მანძილზე დამოუკიდებლად მუშაობა. დეცენტრალიზება მომგებიანია გამოთვლელი სტრუქტურისა და მონაცემთა ბაზისთვის ინფორმაციულ სისტემაში ცვლილებების შესაძლებლობის თვალსაზრისითაც. მოდიფიკაციის რიგები შეიძლება იყოს ლოკალური ხასიათის. მხოლოდ ერთ სისტემას ეხებოდეს და არ მოქმედებდეს სხვა სისტემის მუშაობაზე.

ოპერატიული ცვლილებების აუცილებლობა ინფორმაციულ სისტემაში ხშირად მისი შექმნის ეტაპზე წარმოიშობა. ასეთი სისტემის პროექტირება, რეალიზება და დანერგვა ითხოვს ხანგრძლივ დროს, თანამშრომელთა მაღალ კვალიფიკაციას და სოლიდურ ფულად საშუალებებს. თანამედროვე გამოთვლითი და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებას მიყვარათ იქამდე, რომ სისტემა დანერგვისთანავე იწყებს მოქმედებას. თუმცა, პროექტირებისას მათი კონცეფცია წარმოადგენდა საუკეთესო გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას. საკომუნიკაციო სისტემის განსხვავებული ვარიანტები, რომელიც ლოგისტიკური სისტემის საქმიანობაში გამოყენება, საჭიროებს მართვის და დაკვირვების მეტ დეტალიზაციას.

მრავალდონიანი სისტემის დიდ უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ ინფორმაციის შესწავლა ხორციელდება დამოუკიდებლად ყველა დონეზე და ამ დონეებს შორის ხდება აუცილებელი ინფორმაციის გაცვლა.

მართვის ავტომატიზებული სისტემის ეფექტიანობის განმსაზღვრელად შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი მახველები – მიღებული მოგების ფარდობა ტექნიკური საშუალებებისა და ინფორმაციული სისტემის ფუნქციონირების ხარჯებთან.

ორგანიზაციები, რომლებიც დაკავშირებულია ლოგისტიკურ ელემენტებსა და ინფორმაციულ სისტემებთან, არსებითად განსხვავდება იმ ორგანიზაციებისგან, რომლებიც სარგებლობენ ძველი საინფორმაციო სისტემებით. ეს განპირობებულია იმით, რომ ლოგისტიკაში ინფორმაციული სისტემები უნდა უზრუნველყოფდნენ მრავალმხრივ ინტეგრაციას და საიმედო ურთიერთობებს. ლოგისტიკური სისტემის ინფორმაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა განსხვავდება არა ინფორმაციის ხასიათით და ტექნიკური საშუალებების ნაკრებით, რომელსაც იყენებენ მათ გადასამუშავებლად, არამედ მათი აწვობით, მეთოდების და პრინციპების გამოყენებით [4]. სწორედ ასეთი სისტემაა მინწული ლოგისტიკური პროცესების ინფორმაციულ-უზრუნველყოფი (ლპიუს) სისტემის მუშაობის საფუძვლად, რომელიც ხელს უწყობს მმართველობით ორგანოებს გრძელვადიანი გადაწყვეტილებების მიღებაში

ლოგისტიკური პროცესების ინფორმაციულ-უზრუნველყოფი სისტემის (ლპიუს) მონაცემთა ბაზით და მასში მოთავსებული ანალიტიკური საშუალებებით ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი მუშაობისთვის აუცილებელი საჭირო ინფორმაციის მიღება. ეს ინფორმაციები არის არა მხოლოდ მიწის ზედაპირზე არსებული შესახებ მონაცემები, რომლებიც წარმოადგენილია რუკებსა და ცხრილებზე, არამედ სხვა, ამაზე უფრო მეტად მასშტაბური და სივრცული, ლპიუს-ის საფუძველი არის შესაძლებლობა, დააკავშიროს აღწერილობით კარტოგრაფიულ (გრაფიკულ) ობიექტს ატრიბუტული ინფორმაცია (პირველ რიგში, ალფაბეტურ-ციფრული, ზოგჯერ სხვა სახის გრაფიკული და ხმოვანი და სხვ). ალფაბეტურ-ციფრული ინფორმაცია კეთდება ცხრილების სახით მონაცემთა ბაზაზე. ჩვეულებრივ, ყველა გრაფიკულ ობიექტს (ძირითადად გამოიყოფა წერტილოვანი, ხაზობრივი სიბრტყული ობიექტები) აქვს შესაბამისი სტრიქონი მონაცემთა ბაზის ცხრილში. ასეთი კავშირების გამოყენება ლპიუს-ის მონაცემთა ბაზისთვის ხსნის ფუნქციონირების მდიდარ შესაძლებლობებს. ეს შესაძლებლობები განსხვავებულია სხვადასხვა სისტემებში, მაგრამ, ამასთან, წარმოადგენენ ზოგიერთი ფუნქციის საბაზო ნაკრებს, რომელიც შემავალია ლპიუს-ში. ეს არის შესაძლებლობა, გასცეს პასუხი კითხვებს: „რა არის ეს?“ (რუკაზე ობიექტის ჩვენებით) და „სად მდებარეობს?“ (რუკაზე ობიექტის გამიჯვებით, მონაცემთა ბაზის რაიმე პირობით შერჩევით), ასევე, მივიღოთ პასუხი კითხვაზე „რა არის მის გვერდით?“ მისი განსხვავებული მოდიფიკაციით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ლპიუს-ის უნივერსალური გამოყენება ინფორმაციულ-საძიებო, საცნობარო სისტემებში. აუცილებელია, ამ კავშირებში გამოვიყენოთ გეოინფორმაციული ლოგისტიკა, როგორც ინფორმაციული ლოგისტიკის შემადგენელი ნაწილი.

მნიშვნელოვანია რეგიონებში ლოგისტიკური პროცესების რეგულირების სისტემაში ლპიუს-ის გამოყენება, საქმიანი (საინვესტიციო) აქტიურობის სტიმულირება, რეგიონული წარმოების წახალისება, რეგიონული ბაზრის სიდიდის სტიმულირება და ერთიანი სატრანსპორტო ინფორმაციული ქსელის ფორმირება. ამ მიზნებისთვის აუცილებელია ინფორმაცია არსებული და ფორმირებადი სატრანსპორტო და ინფორმაციული კომუნიკაციებისთვის, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისთვის, მოსახლეობისთვის, სხვადასხვა დანიშნულებისა თუ სხვადასხვაგვარად აღჭურვილი ობიექტებისთვის, მოსახლეობის საინჟინრო მომსახურებისთვის, საწყისიდან საბოლოო პუნქტამდე ტრანსპორტიაზე მოძრავი გაზის-წყლის-თბოელექტრომომარაგების ნაკადებისთვის, რომლებიც ატარებენ გეოგრაფიულ ხასიათს. ლპიუს-ის ყველა ობიექტს გააჩნია გეოგრაფიული კვანძი რეგიონებზე, რომლებიც თავისი ინდივიდუალური განლაგებით ერთმანეთზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენენ. თუმცა არსებობს ლპიუს-ში სხვა სპეციფიკაცია. მის ობიექტებს გააჩნია მჭიდრო ტექნოლოგიური ურთიერთკავშირი, თვალსაჩინო წარმოდგენა, რომლითაც გადაეცემა ტექნოლოგიური ცხრილები და სქემები. ამ სახით ლპიუს-ს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, გამოხატოს როგორც გეოგრაფიული რუკები, ასევე ტექნოლოგიური სქემები. გარდა ამისა, ლპიუს-მა უნდა გადაწყვიტოს არა მხოლოდ საცნობარო, ინფორმაციულ-საძიებო ამოცანები, არამედ ეკონომიკური და საწარმო-ტექნოლოგიური ხასიათის მქონე ამოცანებიც, რომელიც, მთლიანობაში, აფართოებს ამ სისტემის საბაზო შესაძლებლობებს. თანდათან ამ ამოცანების განსახლვრა განსხვავებს ინფორმაციის მოცულობას სტრუქტურაში, რომელიც განთავსებულია ლპიუს-ში. ლპიუს-ი მოწოდებულია, გააერთიანოს ინფორმაციული სისტემები აღმასრულებელ მმართველობით ორგანოებში (სამხარეო, საქალაქო და რეგიონულ ადმინისტრაციებში). ასეთ ინფორმაციულ სისტემას შეეძლება გადაჭრას ამოცანები ინფორმაციული უზრუნველყოფით ნებისმიერ ორგანიზაციაში, რეგიონების ინდუსტრიაში შეეძლება, მიმართონ მათთვის საინტერესო ინფორმაციის მისაღებად. ლპიუს-ს შეუძლია უპასუხოს კითხვების დიდ სპექტრს, მაგ., ანალოგიური საქონლის მწარმოებლებზე, მათ ადგილმდებარეობაზე, საქონლის პოტენციურ მყიდველზე და სხვ. ინფორმაციის მომხმარებელთა ცალკეულ მცირე ჯგუფად შეიძლება იყვნენ სააგენტოები უძრავი ქონების გაყიდვის სფეროში, წარმოების სფეროსა და კომერციულ საქმიანობაში, სამშენებლო ინდუსტრიაში და სხვ.

თანამედროვე ეტაპზე ყველა ზემოაღნიშნულ ორგანიზაციაში არსებობს ლოკალური, ერთმანეთად დაკავშირებული საბაზო მონაცემთა მართვის სისტემა, რომელსაც მიეკავართ ინფორმაციის დუბლირების, ცდომილებისა და შეუსაბამობისაკენ. არსებული სიტუაციების აღმოსაფხვრელად ან ცდომილებების მინიმუმამდე დასაყვანად, საჭიროა ერთიანი ინფორმაციული სისტემის არსებობა, რომელიც ინფორმაციის ოპერატიული და მთლიანი ანალიზის შესაძლებლობას იძლევა. ნათელია ის, რომ ლპიუს-ის დახმარებით შესაძლებელია ეფექტური ხელმისაწვდომობა დიდ ინფორმაციულ მოცულობებზე. მაგალითისთვის, გაცილებით მარტივია მიწის ნაკვეთზე თუ შენობაზე ინფორმაციის მიღება ლპიუს-ის ერთიანი ბაზიდან ვიდრე ათასი სხვა ერთმანეთის მსგავსი ფაილებიდან იმ ერთის პოვნა, რომელიც ჩვენ გვჭირდება.

ლოგისტიკური პროცესების ინფორმაციულ-უზრუნველყოფი სისტემა (ლპიუს) ინახავს რეალურ ინფორმაციებს თემატური ნაკრების სახით, რომელიც გაერთიანებულია გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით. ეს მარტივი, მაგრამ ძალიან მოქნილი მიდგომაა, რომელიც მნიშვნელოვნად შეცვლის მიდგომას სხვადასხვა რეალური ამოცანის გადაჭრისადმი, მატერიალური, სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებას სამსახურში რეალური ვითარების დეტალური გამოხატვით.

ნებისმიერ გეოგრაფიულ ინფორმაციაში მოიპოვება ცნობა სივრცულ მდებარეობებზე, რომლებიც სხვადასხვაგვარად მიბმულია გეოგრაფიულ თუ სხვა კოორდინატებს და მიუთითებს ობიექტის მისამართს, საფოსტო ინდექსს, საარჩევნო ოლქს ან მოსახლეობის აღწერას ოლქში, მიწისა და ტყის ნაკვეთების იდენტიფიკა-

ციას, გზის დასახელებებს და სხვ. ლპიუს-ში გეოგრაფიული ინფორმაციის არსებობით შესაძლებელია მივიღოთ პასუხი კითხვებზე – ვინ არის მფლობელი მიწის ნაკვეთის? რა მანძილიაა დაშორებული ერთმანეთისგან ობიექტები? სად არის განლაგებული მთავარი სამრეწველო ზონა? - და უფრო რთული, ანალიზისთვის საჭირო დამატებითი შეკითხვები – სად არის ადგილი ახალი სახლის თუ ობიექტის ასაშენებლად? რა შემადგენლობისაა ნიადაგი? როგორ იმოქმედებს ახალი გზის მშენებლობა სატრანსპორტო მოძრაობებზე? შეკითხვა შეიძლება დავსვათ როგორც პატარა განსახლდურულ ობიექტზე, ასევე ანალიტიკურ საშუალებებზეც. ლპიუს-ის დახმარებით შეგვიძლია გამოვაგლინოთ და შევქმნათ საძიებო შაბლონი, შევქმნათ შემდეგი ტიპის სცენარები: „რა იქნება თუ?“ თანამედროვე ლოგისტიკური პროცესების ინფორმაციულ-უზრუნველყოფის სისტემისათვის (ლპიუს) მნიშვნელოვანია ანალიზისთვის საჭირო ძლიერი ინსტრუმენტები, მათ შორის ორი არსებითად მნიშვნელოვანია: მსგავსების ანალიზი და ანალიზთა ერთობლიობა. მსგავსების ანალიზის წარმართვისთვის, ობიექტების ერთმანეთთან შედარებისთვის ლპიუს შეუძლია გამოიყენოს ე.წ. „ბუფერიზაციის“ პროცესი. ის ეხმარება, უპასუხოს შემდეგი სახის კითხვებს: რამდენი სახლია წყალსატევადან 100 მეტრის მანძილზე? რამდენი მყიდველი ცხოვრობს მალაზიიდან მიმდებარე 1 კმ-ში და სხვ. პროცესი – ანალიზთა ერთობლიობა – იყენებს მონაცემთა ინტეგრაციას, რომელიც წარმოქმნილია სხვადასხვა თემატურ შრეებზე. უბრალო შემთხვევაში ეს ოპერაცია გამოხატავა, ხოლო სხვა შრეებიდან ის ანალიტიკური ოპერაციების მონაცემებთან ფიზიკურად ერთიანდება. ერთობლივი ანალიზი, ანუ სივრცული გაერთიანება მონაცემთა ინტეგრაციის საშუალებას გვაძლევს, მაგალითად, ნიადაგზე, რელიეფზე, მცენარეებსა და მათ მფლობელებზე.

ლოგისტიკური პროცესების ინფორმაციულ-უზრუნველყოფის სისტემა (ლპიუს) დაეხმარება მომხმარებლებს დროის დაზოგვაში; შეკითხვაზე პასუხის მიღებაში; საჭიროებისას გეინვენებს შესაფერის ტერიტორიებს; გეინვენებს ურთიერთაკეთილსამართლო სხვადასხვა პარამეტრებს შორის (მაგ., ნიადაგის, კლიმატის, მოსაფლანობის შესახებ სხვადასხვა კულტურებისთვის); გეინვენებს ელექტროქსელების განლაგებას და სხვ. რეალტორები (უძრავი ქონების აგენტები) ლპიუს-ს გამოიყენებენ მოსაძებნად, მაგალითად, ნებისმიერი სახლის, რომელიც მდებარეობს განსახლდურულ ტერიტორიაზე, ამასთან, იძლევა კონკრეტულ ინფორმაციას მშენებლობის აღწერაზე. შეკითხვა შეიძლება იყოს დაკონკრეტებული დამატებითი პარამეტრებით. მაგალითად, ობიექტის ღირებულება, შესაძლოა მივიღოთ ყველა სახის სია, რომლებიც მდებარეობს განსახლდურული დაშორებებით მითითებული მაგისტრალიდან, სატყეო მასივიდან ან სამუშაო ადგილიდან.

თუ დავაკვირდებით ლპიუს-ის ფუნქციებს, შესაძინებია, რომ მისი ძირითადი უპირატესობა მდგომარეობს ახალ შესაძლებლობებში, რომელიც საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს, გააუმჯობესონ მართვა და გააერთიანონ რესურსები გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად. მას გააჩნია მონაცემები და შესაძლებლობები რესურსების ერთობლივი გამოყენების და განსხვავებული ქვედანაყოფის შეთანხმებული მოდიფიკაციისათვის. განსხვავებული სტრუქტურების ქვედანაყოფების მონაცემთა ბაზების ერთობლივი გამოყენების შესაძლებლობა მუშაობის ეფექტიანობის გაზრდის საშუალებას იძლევა როგორც ცალკეულ ქვედანაყოფებში, ასევე მთლიანად ორგანიზაციაში. ინჟინერულ მომსახურებაზე მომუშავე კომპანიებს შეუძლიათ, მკაფიოდ, გარკვეულად დაგეგმონ სარემონტო თუ პროფილაქტიკური სამუშაოები, დაწყებული სრული ინფორმაციის მიღებით და კომპიუტერის ეკრანზე გამოსახულებით, რომელზეც აღნიშნულია ობიექტის პროექტი, წყალგაყვანილობა და სხვა, რომელიც ამ სამუშაოზე ახდენს გავლენას.

ინფორმაციის მოზიდვის ეტაპზე ლპიუს დიდ დახმარებას გაავიწევს წარმოდგენილი პირველადი ინფორმაციის დამუშავებისას. აქ ბევრია საერთო საწარმოო და სხვა ობიექტების ავტომატიზებული მართვის სისტემაში, როდესაც რომელიმე რთული ობიექტი წარმოდგენილია სქემების სახით, მაშინ ლპიუს არის მოხერხებული ინტერფეისი ინფორმაციის მოსაპოვებლად. მაგალითისთვის: სქემა შეიძლება იყოს სატრანსპორტო ქსელის (სამანქანო გზები, სარკინიზო გზები, მილსადენები), ამ შემთხვევაში ლპიუს-ის დახმარებით მომხმარებელს შეუძლია მიუთითოს „კურსორი“-თ სქემაზე აღნიშნულ რომელიმე ელემენტზე და მიიღებს ინფორმაციას დახასიათებითა და შემადგენლობით მისი ობიექტის შესაბამისობაში: რა სახისაა გზის საფარი, სარკინიზო გზებზე მატარებლის გადაადგილება, მილის დიამეტრი და სისქე და სხვ. ასევე მთავარია ის, რომ ლპიუს-ს გააჩნია მოხერხებული საშუალებები ზემოთ ჩამოთვლილი და სხვა მონაცემების შექმნისა და გამოყენებისთვის, რომელიც მოსახერხებელი იქნება მასთან კავშირში მყოფი ობიექტებისთვის (მომხმარებლებისთვის), რომლებიც, ამავდროულად, წარმოადგენენ ინფორმაციის პირველადი წყაროს მომმარაგებლებს. ლპიუს-თან მჭიდროდ დაკავშირებულ ცალკეულ მიმართულებას წარმოადგენს „გეოპოზიციური“ საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს ობიექტების ზუსტ გეოგრაფიულ განლაგებას.

გეოინფორმაციული სისტემის და ერთიანი სატრანსპორტო-ინფორმაციული სისტემის გამოყენება პრაქტიკაში განაპირობებს ლპიუს-ის დანერგვას, რომელსაც შეუძლია მატერიალური, ფინანსური, ინფორმაციული და სამუშაო ძალის ნაკადების, ინფორმაციის სისტემიზაციის და გაერთიანების საფუძველზე, რეგიონებზე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის ოპტიმიზაცია. ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პროცესების ყველა მონაწილის სრული და დროული ინფორმაციით მომარაგებას შეუძლია არსებითად აამაღლოს ეფექტიანობა მათ საქმიანობაში და შეამციროს ხარჯები საკუთარ ინფორმაციულ უზრუნველყოფაზე, ხოლო ზოგ შემთხვევაში გააუმჯობესოს მოძველებული შიდა ინფორმაციული სისტემა ხარჯების შემცირების მიზნით.

ნებისმიერი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა დამოკიდებულია ინოვაციურ აქტიურობაზე, რაც ინტენსიურად მიდის განახლების პროცესში, მით მეტია საწარმოს ეფექტიანობა წარმოებით-კომერციულ საქმიანობაში.

ლოგისტიკური ხედვით, ინვესტიციური პროექტების ოპტიმიზაცია უნდა განხორციელდეს ფართო სპექტრული კრიტერიუმის ფარგლებში. ბიზნეს-გეგმებში არსებობს პროცედურა, რომელიც საინფორმაციო პროექტების შეფასებას ახდენს.

ლოგისტიკური მდგომარეობა მოითხოვს შეფასების კრიტერიუმთა გაფართოებას. ამ მოთხოვნის რეალიზაციისთვის საჭიროა ვიხედვით ლოგისტიკური წესებით: „მოცემული სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს, სხვა მასთან დაკავშირებული სისტემის ფუნქციონირების ხარისხიდან გამომდინარე“.

ზემოთ აღნიშნული წესი დაფუძნებულია იმაზე, რომ მოცემული სისტემის „გასვლა“ წარმოადგენს იმავე დროულად მეორე სისტემის „შესვლას“ ე.ი. ადგილი აქვს ინოვაციური პროდუქციის მაკროეკონომიკურ ნაკადს და ყოველ ეტაპზე მწარმოებლის პროდუქცია ფასდება ამ პროდუქციის მომხმარებლის მიერ. ინოვაციის ეფექტიანობის შესაფასებლად მოცემული მდგომარეობა მკვეთრად გამოსახულ მაკროეკონომიკურ ხასიათს ატარებს. მონაცემთა ბანკის მიმართებაში პროექტების ოპტიმალურობა განისაზღვრება არა მხოლოდ პროექტის ინიციატორების (რეციფიენტების) მიერ აღნიშნული მოგებით, არამედ დანახარჯების ეფექტიანობით – კაპიტალური (ერთჯერადი) და მიმდინარე (საექსპლუატაციო), რომლებიც დაგეგმილია პროდუქციის წარმოებასა და მის ექსპლუატაციაზე ამ პროექტის მონაწილენი ყველა მეწარმის მიერ. აგრეთვე საბიუჯეტო ეფექტიანობა, რომელიც გამოიხატება საგადასახადო და ბიუჯეტში შემავალი გადასახადების ერთობლიობით.

მოცემულ შემთხვევაში წარმოიშობა პარეტოს ოპტიმალურობა, რომელიც ვლინდება ცალკეული რგოლის ეფექტიანობის ზრდით მთლიანი ეფექტიანობის ამადლებაში. „ეფექტიანობა განისაზღვრება როგორც წარმოების მიზნის შესაბამისად წარმოების ფაქტორთა დანახარჯების ერთეულზე მიღებული სასარგებლო შედეგი ან ამ შედეგის ერთეულზე გაწეული დანახარჯები. ასეთი თვალსაზრისის გამოხატველ ეფექტიანობის ზოგად ფორმულას შემდეგი სახე აქვს:

**ეფექტიანობა= შედეგი / დანახარჯები**

აქ იგულისხმება, რომ წარმოება ეფექტიანად ფუნქციონირებს, როდესაც წარმოების ფაქტორთა დანახარჯების ერთეულზე მიღებული შედეგების ოდენობა იზრდება ან შედეგების ერთეულზე გაწეული დანახარჯები შემცირების ტენდენციით ხასიათდება“ [3]. კომერციული მოგების თვალსაზრისით, ინვესტიციური პროექტი ოპტიმალურია მწარმოებლისთვის, მომხმარებლისა და მთლიანად საზოგადოებისთვის. მოვიყვანოთ მარტივი მაგალითი, ახალი ტექნოლოგიის დანერგვა წარმოებაში ამადლებს წარმოებული პროდუქციის ხარისხს, ამცირებს თვითღირებულებას და იძლევა ეკონომიკურ ეფექტს – E1. პროდუქციის წარმოება, დაბალი თვითღირებულებით და გაუმჯობესებულ ხარისხით, მატებს კონკურენტუნარიანობას და საწარმოს მოუტანს ეკონომიკურ ეფექტს – E2. საბითუმო შუამავლებს შეეძლება, სხვადასხვა სავაჭრო ცენტრებს შესთავაზონ ახალი საქონელი და გაზარდონ თავიანთი წილი ბაზარზე ფასისმიერი კონკურენციით, შედეგად, ისინი მიიღებენ ეკონომიკურ ეფექტს – E3, შესაბამისად, სხვადასხვა სავაჭრო ობიექტები მიიღებენ ეკონომიკურ ეფექტს – E4. მომხმარებელი გაუმჯობესებულ მომსახურებას ან პროდუქციას მიიღებს შედარებით დაბალ ფასში, აქედან გამომდინარე, მომხმარებელი მიიღებს ეკონომიკურ ეფექტს – E5.

შედეგად, ჩვენ მიერ მოყვანილი სუბიექტების ეკონომიკიდან, ყველა მონაწილე სუბიექტი მიიღებს ჯამურ ეკონომიკურ ეფექტს:

$$E = E1 + E2 + E3 + E4 + E5 \quad (\text{Efficiency} - \text{ეფექტიანობა}),$$

სადაც:

- E1 – პროდუქციის თვითღირებულების შემცირებიდან მიღებული ეკონომიკური ეფექტიანობა;
- E2 – კონკურენტუნარიანობის ამადლებით მიღებული ეკონომიკური ეფექტიანობა;
- E3 – შუამავლების მიერ მიღებული ეკონომიკური ეფექტიანობა;
- E4 – სავაჭრო ობიექტების მიერ მიღებული ეკონომიკური ეფექტიანობა;
- E5 – მომხმარებლის მიერ მიღებული ეკონომიკური ეფექტიანობა.

„...ოპტიმუმი ეფექტიანობის განსაზღვრულ მაქსიმალურად შესაძლო მნიშვნელობას წარმოადგენს. ამასთან, ეკონომიკური ეფექტიანობის ამადლება ეკონომიკური ოპტიმუმის მიღწევის საშუალებად გვევლინება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკონომიკური ოპტიმუმი ეკონომიკის დამოუკიდებელი კატეგორია კი არაა, არამედ ეკონომიკური ეფექტიანობის გამოვლენის ერთ-ერთი სპეციფიკური ფორმა“[3]. სახელდობრ, ინოვაციური სარგებლიანობა განსაზღვრავს კაპიტალდაბანდების, ანუ ინვესტიციის მაკროეკონომიკურ ეფექტიანობას.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. ასათიანი რ. ეროვნული კონკურენტული უპირატესობების რომბი. ჟურნალი ეკონომისტი, №6, 2010.
2. ბოცვაძე ლ., ერაძე კ., ბოცვაძე ვ. ლოგისტიკური მენეჯმენტი და მოდელირება „დიზაინპრინტ ექსპრესი“. თბილისი, 2011, 798-გვ.
3. სისვაძე ა. ეფექტიანობა – ბიზნესის მარადიული, ფუნდამენტური პრობლემა. ბიზნეს-მაცნე, 2008, №4 (10).
4. Промьюлов Б.Д., Жученко И.А. Логистические основы управления материальными и денежными потоками. СПб.: Эхо, 1996, 105 გვ.

*David Khazhomia*

**THE ROLE OF INFORMATIVE LOGISTICS IN IMPROVING ECONOMIC EFFICIENCY**

**Annotation**

Going to a higher level in using the information accompanies the changes of the world economic structures. These changes are supported by the development of telecommunications and global networks. Resources, which dominate in the economy as information units, aren't distinguished as restored or bounded, but as unique and universal at the same time.

*მარიამ ხაჩიძე*

**ქართული საბანკო სისტემა თანამედროვე ბაზრეკონომიკის წინაშე**

ეროვნული ეკონომიკის ფინანსური სისტემის საკვანძო რგოლს საბანკო სექტორი წარმოადგენს. ეკონომიკური გარდაქმნების პროცესის საწყისი სწორედ საბანკო სისტემის მოდერნიზაცია იყო, რადგან ცნობილია, რომ ისინი ზემოქმედებენ ეკონომიკის პრაქტიკულად ყველა დარგზე.

საქართველოს ფინანსური სისტემის ძირითად რგოლს სწორედ ბანკები წარმოადგენს.

საქართველოს საფინანსო სექტორის ანალიზი გვიჩვენებს, რომ უკანასკნელი 12-15 წლის განმავლობაში ქვეყანაში არსებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მეტ-ნაკლებად ანარქიული ხასიათის იყო, რომელიც არანაირ კანონზომიერ ჩარჩოებში არ იჯდა, რამაც მეტ-ნაკლებად დააჩქარა ქვეყნის ეკონომიკის ნგრევა და მძიმე სოციალური ფონის შექმნის წინაპირობა გახდა. ამის ნათელი მაგალითია კუპონის გამოშვება, რომელმაც ფულის რეფორმა ვერ განახორციელა და მალევე გაუფასურდა.

1995 წელს საქართველოში განხორციელებულმა ფულის რეფორმამ ეროვნული ვალუტის - ლარის შემოღებამ ფინანსური სტაბილიზაციის რეალური საფუძველი შექმნა. ამ პროცესის აქტიურად წარმართვაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სწორედ ეროვნული ბანკის როლია. ასევე მნიშვნელოვანი იყო ქართული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და ქვეყანაში ფულის მიმოქცევის მოწესრიგების საკითხში საერთაშორისო სავალუტო ფონდის დგაწლი.

ბიზნესის აღორძინებისთვის, ეროვნული ეკონომიკის და მეურნეობის დარგების განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საბანკო დაკრედიტებას. საქართველოში ეკონომიკის სექტორის წარმართველ ძალას, როგორც აღნიშნულ კომერციული ბანკები წარმოადგენს, რომლებიც განსაზღვრავენ ფინანსურ რესურსებზე მოთხოვნილებას, ისევე, როგორც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სოციალური სექტორის მხარდაჭერასა და ინოვაციური პროექტების ინვესტირებაში.

დღეისათვის, გარდა გლობალური მიზნებისა, ლოკალურად, კომერციული ბანკები საფინანსო ბაზრის უმსხვილესი მოთამაშენი არიან და მათი საქმიანობა ძალზე მრავალმხრივი და რთულია. თანამედროვე საბანკო სისტემა გამოირჩევა მრავალფეროვანი მომსახურების ფართო სპექტრით და მოიცავს როგორც ტრადიციულ მიმართულებებს, შემნახველ, სასესხო, საკასო ოპერაციებს, ისე თანამედროვე ფულად-საკრედიტო ოპერაციებს, შინაარსობრივად და ტექნოლოგიურად დახვეწილ ინოვაციურ მიღწევებს.

2015 წლის მაისში საქართველოში გამართულ EBRD-ის რიგით 24-ე ყოველწლიურ შეხვედრაზე ყველაზე მაღალი შეფასება მიეცა ქართულ საბანკო სისტემას, ქართულ ბანკებს უწოდეს სტაბილური, კარგად კაპიტალიზებული ფინანსური ინსტიტუტები.

დღეისათვის ქართული ბანკები არა მხოლოდ ვიწრო მიმართულებით დაკრედიტებას უზრუნველყოფენ, არამედ სხვადასხვა მეწარმე- და ბიზნეს სუბიექტების დაკრედიტებას ახორციელებენ, აწარმოებენ ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას, სატრასტო (ნდობით) ოპერაციებს, ისევე, როგორც ეწევიან საკონსულტაციო, სადაზღვევო, საპენსიო, უძრავი ქონების შექენა-ფლობასთან დაკავშირებულ მომსახურებებს;

წინა პერიოდისაგან განსხვავებით, როდესაც კომერციული ბანკების საქმიანობა და არსებობა ზოგადად ჩაკეტილი და მკაცრი ჩარჩოებით შემოიფარგლებოდა, ისინი მონოპოლიურ სახელმწიფო ინსტიტუტს წარმოადგენდნენ და საერთოდ არ ითვალისწინებდნენ მომხმარებელთა ინტერესებს. საბანკო სისტემის საბაზრო სისტემაზე გადასვლამ პოსტსაბჭოთა პერიოდში ვითარება არსებითად შეცვალა. ასევე, მკვეთრად შეიცვალა მომსახურების მიწოდების პრინციპები, წინა პლანზე წამოვიდა თანამედროვე, მეტად ლიბერალური პრინციპების დამკვიდრება და კონკურენტუნარიანი გარემოს ფორმირება დაიწყო. მომხმარებელს თავად მიეცა შესაძლებლობა ბანკთაშორის თავისუფალი არჩევანის გაკეთებისა; საზოგადოდ დაიწყო ფორმირება აზრისა, რომ ბანკსა და კლიენტს შორის ურთიერთობა ითვალისწინებს ორმხრივ დანტერესებასა და სარგებლიანობას: თავის მხრივ, ბანკი არ არის საკველმოქმედო ორგანიზაცია, ის ორიენტირებულია მოგებაზე, ხოლო მომხმარებელი თავისუფალია არჩევანში – თავად აირჩიოს უკეთესი პირობებით მოთამაშე ბანკი და, სანაცვლოდ, მისგან ხარისხიანი მომსახურება მიიღოს;

საქართველოს საბანკო ბაზარი 21 კომერციული ბანკითაა წარმოდგენილი, თუმცა გაცხადდა, რომ ქვეყანაში მოქმედმა ერთ-ერთმა უმსხვილესმა სს „საქართველოს ბანკმა“ შეისყიდა ერთ-ერთი ასევე მნიშვნელოვანი მოთამაშე „ტოპრივატ ბანკი“-ს სახით და სრული ინტეგრაციის პროცესს ახორციელებს. საქართველოში საბანკო სექტორი წარმოდგენილია ნაკლებად ადგილობრივი კაპიტალით, უმეტესად 50% -მდე („ლიბერთი ბანკი“, „ბოთიეი ბანკი“, „ინვესტბანკი“, „კონსტანტა“) და 50%-ზე მეტი, უცხოური კაპიტალის მონაწილეობით („რესპუბლიკა ბანკი“, „პრივატბანკი“, თიბისი ბანკი“, „საქართველოს ბანკი“, „პროკრედიტ ბანკი“ და სხვ).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თანამედროვე საბანკო სისტემას, მიუხედავად პოსტსაბჭოთა პერიოდის საფინანსო ინსტიტუტებისგან განსხვავებული შესაძლებლობებისა, თანამედროვე ინოვაციური მომსახურების სტანდარტები და მრავალფეროვანი საკრედიტო პორტფელი აქვს, მაგრამ ის ეკონომიკური პირობები, რა გარემოპირობებშიც ბანკებს უწევთ ფუნქციონირება, არასტაბილური და მაღალრისკიანია.

მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული პერიოდის მანძილზე (2003-2007) ზოგადი საბანკო დაკრედიტება ნაკლებპროცენტული, ანუ უფრო იაფი იყო, 2008 წლის აგვისტოს ომმა, გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა, არათანმიმდევრული ეკონომიკური და საინვესტიციო პოლიტიკის გატარებამ ნელ-ნელა ზრდის ტენდენცია გამოავლინა (საკრედიტო-საბანკო სექტორისთვის ეს პერიოდი 65 მილიონ ლარამდე ზარალში აისახა). თუმცა გაცილებით ნაკლებად გაძვირდა უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები, რისი თქმაც არ შეგვიძლია ეროვნულ ვალუტაში არსებულ კრედიტებზე.

2010-2011 წლიდან ბანკების ყოველწლიური მოგება განუხრვლად ზრდის ტემპით მიმდინარეობს, ხოლო 2014 წელს კომერციული ბანკების წმინდა მოგებამ 475 მლნ ლარი შეადგინა. წმინდა მოგება კი, როგორც ცნობილია, კომერციული ბანკების მიერ განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებული საპროცენტო, იგივე სესხებზე დარიცხული პროცენტული შემოსავლებია.

მიუხედავად არაერთი რთული გამოწვევისა, საბანკო სექტორი ქვეყანაში ყველაზე წარმატებული ბიზნესსექტორი და ძლიერი ეკონომიკური სეგმენტია, რომელიც დღემდე ინარჩუნებს ქვეყანაში განუხრვლად ზრდის ტენდენციას. ნათელ მაგალითს წარმოადგენს სწორედ 2014 წლის ზოგადი საბანკო პორტფელის მოცულობა, რომელიც წინა წლებთან შედარებით 25%-ითაა გაზრდილი და 12,452 მლნ ლარი შეადგინა. პორტფელის ზრდაში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების რაოდენობას, რომელიც მთლიანი საკრედიტო პორტფელის 54%-ს მოიცავს.


აღნიშნული მონაცემების პარალელურად, აუცილებელია აღინიშნოს 2015 წლის 1 აპრილის მდგომარეობით საბანკო ვითარება, რომელიც 14,714 მილიონიან პორტფელს მოიცავს მიმდინარე წლის 1 მარტის მონაცემებით. თუ გადავხედავთ უახლეს პერიოდისა და წინა წლის მონაცემებს, ნათლად ჩანს, რომ ზრდა მიმდინარე წელსაც შენარჩუნებულია. საანალიზოდ აუცილებელია აღინიშნოს, რომ ეროვნული ვალუტის გაუფასურების პირობებშიც კი, მთლიანი კრედიტების მოცულობა გაზრდილია და ლარის დეველვაციამ განსაკუთრებული ზარალი ან შეფერხება არ შექმნა საკრედიტო პორტფელის ზრდის კუთხით.

აღნიშნული მონაცემები წინა წლის მაჩვენებელს 37%-ით აღემატება და ზრდა უმეტესწილად განპირობებულია უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების ზრდის ხარჯზე, ანუ იმის გათვალისწინებით, რომ 2015 წლის 1 აპრილის მდგომარეობით საკრედიტო პორტფელი 4 მლრდ ლარით არის გაზრდილი, ამ ნაწილში 74% უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე მოდის. თუ საანალიზოდ მთლიანობაში განვიხილავთ, უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების მოცულობა 45%-ითაა გაზრდილი გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ამ ფონზე მხოლოდ 25% -ითაა გაზრდილი ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების მოცულობა.

სავალუტო კრიზისის პარალელურად, არ უნდა გამოგვრჩეს ერთ-ერთი ასევე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც გასათვალისწინებელია პორტფელის ზრდის პარალელურად. ესაა საბანკო პორტფელის ზრდის პარალელურად მზარდი პრობლემური სესხების მოცულობა, რომელიც ასევე 2015 წლის 1 მარტის მონაცემებით, ანალოგიურად მომატებულია და მატებამ 16% შეადგინა (305,646 მლნ). ეს მაჩვენებელი კი წინა წლის მონაცემებს მნიშვნელოვნად აღემატება (2014წ. - 11%); მსგავსი ვითარებაა ვადაგადაცილებების მიხედვით, უცხოურსა და ეროვნულ ვალუტაში პრობლემურ სესხებს შორის, სხვაობა მდგომარეობს მათ ხანგრძლივობაში. უცხოური ვალუტით დაკრედიტებული სესხები ძირითადად ხანგრძლივადიანი, ხოლო ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების უდიდესი ნაწილი საშუალო და უმეტესად მოკლევადიანია, გარდა იმისა, რომ ძირითადად ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხების მოცულობა გაცილებით ნაკლებ თანხიანია (საშუალოდ 4 000 - 6 000) და, ძირითადად, საშუალო შემოსავლის მქონე პირებს აქვთ.

მიუხედავად საკრედიტო პორტფელის მნიშვნელოვანი ზრდისა და ამ ზრდაში უცხოურ ვალუტაში დაკრედიტებული სესხების უმრავლესობისა, 2015 წლის იანვარ-მარტის მდგომარეობით, კომერციულმა ბანკებმა სავალუტო კონვერტაციებით (საკონვერსიო ოპერაციები) წარმოებულ ოპერაციებში ფინანსური ზარალი ნახეს. ლართან მიმართებაში კურსის მერყეობამ და გაუფასურებამ არასტაბილური გარემო შექმნა კონვერსირებადი ოპერაციებისთვის. შედარებისათვის, რომ გადავხედოთ წამყვანი ბანკების გაცვლით ოპერაციებთან დაკავშირებულ ფინანსურ მაჩვენებლებს, ვნახავთ, რომ წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით 110%-იანი კლება აღინიშნება. აღნიშნული კლების შედეგი აღმოჩნდა მიმდინარე წლის 4 თვის განმავლობაში კომერციული ბანკების 3 მილიონიანი ზარალი საკონვერსიო ოპერაციებიდან.

ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ ასევე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია კომერციულ ბანკებში არსებულ სადეპოზიტო პორტფელზეც. თუკი 2015 წლამდე საკრედიტო პორტფელის მსგავსად, ზრდის ტენდენციით გამოირჩეოდა სადეპოზიტო პორტფელიც და ეს ზრდა განსაკუთრებით დიდი იყო ეროვნულ ვალუტაში არსებული დეპოზიტების მხრივ. 2015 წლის 1 აპრილის მონაცემების მიხედვით 13,581 მილიონ ლარიანი სადეპოზიტო პორტფელიდან უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილმა წილმა შეადგინა 8,633 მლნ ლარი. ანუ დეპოზიტებში დოლარიზაციის მაჩვენებელი 65%-მდეა გაზრდილი. ეს გამოწვეული იყო სწორედ იმ სავალუტო პანიკით, რაც კურსის ცვლილებასა და შესაბამისად ლარის დეველვაციას მოჰყვა, ლარში გახსნილი დეპოზიტების უმრავლესობა უცხოურ ვალუტაში გადაკონვერტირდა. ეს ნიშნავს, რომ მოსახლეობაში ეროვნული ვალუტა თანდათანობით კარგავს ნდობას. ადამიანები უპირატესობას ანიჭებენ დანაზოგის უცხოურ ვალუტაში შენახვას.



როგორც ვხედავთ, გრაფიკზე შედარებულია იანვარ-მარტის დოლარიზაციის მაჩვენებელი მთელი წლის მაჩვენებლთან. ის 2010 წლიდან დადებითი ტენდენციით გამოირჩეოდა. 2010 წელს არსებული 74%-დან მოხერხდა ის, რომ 2014 წლისათვის დოლარიზაციის მაჩვენებელმა 61% შეადგინა, თუმცა ლარის დეველვაციამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ამ მაჩვენებელზე და 2015 წლის 3 თვეში დოლარიზაციის მაჩვენებელმა მოიმატა 3%-ით.

აღნიშნული მონაცემების გაანალიზების საფუძველზე შესაძლებელია ვთქვათ, რომ მიუხედავად არაერთი გლობალური თუ ლოკალური გამოწვევისა, საბანკო სისტემა მუდმივად მზარდი ინსტიტუტია, სტაბილურად ვითარდება და სტაბილურობით გამოირჩევა მეტ-ნაკლებად ყველა ძირითადი ინდიკატორით. სტაბილურ ინდიკატორებში კი იგულისხმება, პირველ რიგში:

- საკრედიტო პორტფელი, რომელიც 37%-ითაა გაზრდილი;



- სადებოზიტო პორტფელი, რომელმაც ზრდის ტენდენცია შეინარჩუნა და მოლიანობაში 30%-ითაა გაზარდილი;

- გადაგადაცილებული სესხების პორტფელი, რომელიც მოლიანი საკრედიტო პორტფელის 2%-ს შეადგენს და ამ ეტაპზე ნორმალურ მანქანებლად მიიხსნება მიმდინარე გამოწვევების ფონზე.

აღნიშნული პოზიტიური ტენდენციის შენარჩუნების ფონზე მნიშვნელოვან უარყოფით ფაქტორად და № 1 გამოწვევად დოლარიზაციის მანქანებლის ზრდა რჩება მცირე პერიოდის განმავლობაში.

დღევანდელი ქართული საბანკო სისტემა ჩამოყალიბდა, როგორც მზარდ შემოსავლიანი, ტექნოლოგიურად კარგად განვითარებული, თანამედროვე ინტელექტუალური პოტენციალით მზარდი ბიზნესსექტორი, რომლის გაფართოების ამოცანა უნდა იყოს ძალზე ფრთხილი, დაგეგმილი, კარგად ორგანიზებული პოლიტიკის შედეგად განხორციელებული პროცესი, რადგან იგი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში. თავის მხრივ კი, საიმედოობის ამაღლება, საკრედიტო სისტემის მდგრადობისა და რისკების დაზღვევის მექანიზმები განაპირობებს არა მარტო ბანკების და მათი მომხმარებლების, არამედ საზოგადოების ფინანსური ინტერესების დაცვასა და მოლიანად ეროვნული ეკონომიკის დინამიურ განვითარებას.

*Mariam Khachidze*

## GEORGIAN BANKING SYSTEM BEFORE CURRENT CHALLENGES Annotation

The article discusses current problems and main challenges of Banking sector in the conditions of present economic situation. Georgian Banking sector is considered as one of the most well developed, stable and growing sector from beginning of market economic transformation. Thus we consider it necessary to review the run of processes, detailize when commercial banks must be the only trustworthy institution, the basis of economic stability for the society.

In current situation a significant problem and challenges in banking sector are: credit portfolio; volume and state deposit portfolio, dollarization and its impact of banking portfolio

*ნინო ხახუბია*

## პერსონალის სამუშაოს მენეჯმენტის სისტემების მიმოხილვა

ადამიანური რესურსების მართვის სისტემის ელემენტების მეშვეობით ორგანიზაციები ახდენენ საკუთარი პერსონალის მოზიდვას, შენარჩუნებას, მოტივირებასა და განვითარებას. ადამიანური რესურსების მართვის, კერძოდ კი პერსონალის სამუშაოს სისტემების განსხვავებულობას იწვევს შემდეგი საკითხები:

- დასაქმების საწილის ეტაპი (**Point of entry**) – როდის ხდება ახალი თანამშრომლების დასაქმება? სკოლის, კოლეჯის ან უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე თუ დამთავრებიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ? ამ კითხვის პრაქტიკული შედეგები დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სტრატეგიას იყენებენ მოზიდვის ეტაპზე;

- სამუშაოს არსი (**Nature of the job**) – სჭირდება თუ არა სამუშაოს გამოცდილი პერსონალი, თუ მოითხოვება ვიწრო/პროფილური ან ზოგადი ცოდნა? თუკი სამუშაოს ანალიზი მოითხოვს გამოცდილ სპეციალისტებს, ასეთ შემთხვევაში სამუშაოს მოთხოვნებიც ბევრად უფრო კონკრეტიზებულია და მოზიდვის პროცესიც გამარტივებულია;

- კარიერული საფეხურები (**Career ladders**) – სთავაზობს თუ არა ორგანიზაცია წინსვლას თავის თანამშრომლებს? წინსვლა ხდება ღია, ყველასათვის ხელმისაწვდომი სისტემით თუ მხოლოდ კონკრეტული შემთხვევების გათვალისწინებით;

- დაწინაურების პირობები (**Promotion rules**) – რა უნდა გააკეთოს დასაქმებულმა იმისათვის, რომ დაწინაურდეს? ეს პროცესი ხორციელდება გამჭვირვალედ, ფორმალური კრიტერიუმებისა და პროცედურების თანახმად, თუ არა;

- ტრენინგის შესაძლებლობანი (**Training opportunities**) – რამდენად სწორად ტარდება ტრენინგები და არის თუ არა ის პირდაპირ კავშირში დასაკავებელ/დაკავებულ პოზიციასთან;

- სამუშაოს უსაფრთხოება (**Job Security**) – რამდენად არის დაცული სამუშაოს უსაფრთხოება და გარანტია, ახდენს თუ არა მენეჯმენტი სამუშაოს ხელფონურ შეზღუდვას, რაც წინააღმდეგობაში მოდის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ქმედებებთან;

- ანაზღაურების სისტემა (**Payment Way**) – როგორია ანაზღაურების სისტემა? ანაზღაურება წარმოადგენს დასაქმებულთა ჯგუფების განმსხვავებელ მახასიათებელს – მაშინ, როდესაც ქარხნების თანამშრომლების ანაზღაურებისა და მოტივაციის განმსაზღვრელი ფაქტორი იყო „ანაზღაურება შედეგის მიხედვით“, თეთრსაყელიანი, ანუ ოფისის თანამშრომლები იღებდნენ ფიქსირებულ და ყოველწლიურად მზარდ ხელფასს;

- თანამშრომლების ჩართულობა (**Employee involvement**) – თანამშრომლების ჩართულობა ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებში არის ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთი მთავარი ასპექტი. ეს აბალანსებს ურთიერთობას ზემდგომებსა და ქვემდგომებს შორის.

სხვადასხვა ორგანიზაციების დამოკიდებულება კარიერის განვითარების, დაწინაურების, ტრენინგებისა და სამუშაოს უსაფრთხოებასთან მიმართებაში, რაც შემთხვევებში ემთხვევა ერთმანეთს შიდა თანმიმდევრობისა და რეგულირების კუთხით, თუმცა, დროთა განმავლობაში, სწრაფად ცვალებად ბიზნესგარემოს მოთხოვნილებების შესაბამისად, არაერთგზის ხდება სამუშაოს მენეჯმენტის სისტემების მოდიფიცირება და განვითარება. საბოლოოდ, დღეისათვის აღიარებულია სამუშაოს მენეჯმენტის 5 კლასიკური და 2 „ახლადამოცნებული“ სისტემა. სამუშაოს

მენეჯმენტის თითოეულ სისტემას ახასიათებს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ელემენტები და თვისებები, რაც, თავის მხრივ, აისახება იმ პირებზე, რომელთა მიმართებაშიც ხდება კონკრეტული სისტემის გამოყენება.

**1. კარიერული სისტემა** – სისტემა გულისხმობს დასაქმებას სკოლისა თუ უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე და კარიერული საფეხურები თვალისწინებს დაწინაურებას სტაჟის მიხედვით; ხელფასიც, სტაჟის მატებასთან ერთად, განიცდის ზრდას, რაც, საბოლოოდ, დამსახურებული პენსიით სრულდება. ამის სანაცვლოდ ორგანიზაციის თანამშრომლებში ყალიბდება ლოიალური დამოკიდებულება, რასაც მინიმუმადე დაჰყავს კადრების დენადობის მახვევებელი. კარიერულ საფეხურებზე ასევე ხორციელდება გამოცდილ თანამშრომლებზე მიმაგრებით (შეგირდობით), რაც ხელს უწყობს სამუშაოსთან დაკავშირებული კონკრეტული ცოდნისა და უნარ-ჩვევების უშუალო გადაცემას მეორე პირზე. ამ გზით ხდება თანამშრომლებში „ფასეულობის“ შეგრძნების გაღვივება, რადგან დასტურდება, რომ მათი სპეციალური ცოდნა და გამოცდილება წარმოადგენს ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს კაპიტალს. ამასთანავე, კონკრეტული ორგანიზაციის სპეციალური ცოდნის ჩარჩოებში მოქცევა დაბლა სწევს ინდივიდის სხვა ორგანიზაციაში დასაქმების ალბათობას, რაც, შესაბამისად, კიდევ უფრო ამყარებს მათი საწყის ორგანიზაციაში დარჩენის შანსებს. თანამშრომლები იცნობენ ერთმანეთს და იცნობენ ორგანიზაციის ფილოსოფიასა და ფასეულობებს, რაც ეხმარება მათ სამუშაო ქცევის გამოუმუშავებაში, რაც, თავის მხრივ, კულტურისა და გარემოს გათვალისწინებით, ამცირებს პირდაპირი ზედამხედველობისა თუ კონტროლის აუცილებლობას. კარიერული სისტემის შემთხვევაში ორგანიზაცია ურთიერთობებს არეგულირებს ბიუროკრატიული წესებისა და პროცედურების მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს სამართლიანობას.

